ტომი IV

პ ი ე ს ა , ო რ ი გ ი ნ ა ლ უ რ ი
ბ ო ლ ო ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ი თ
დ ა ა ნ დ ე რ ძ ი თ _

სამწუხაროდ, ჯერჯერობით უსათაუროდ.
სათაურზე ვაცხადებ პრემიას:
1 _ სამი ბილეთი პრემიერაზე
2 _ ორი ბილეთი « _ «
3 _ ერთი ბილეთი პრემიერაზე.
ასეთი პრემიების შემდეგ, დარწმუნებული ვარ სათაურზე ფიქრით არავინ თავს აღარ შეიწუხებს, რითაც ძალიან დამავალებენ.

მ ო ქ მ ე დ ი პ ი რ ე ბ ი

მარინა _ გოგო, რომელსაც მოუკლეს შეყვარებული.
ცირა _ კუტი გოგო, მისი ამხანაგი.
ქეთო _ ცირას დედა.

ნატა
მარგო } ქეთოს ამხანაგები.
სუსანა

ნანა _ ნატას შვილი.
მათხოვარი.
დათო _ დეფექტური დიდი ბიჭი.
ქოფაკი _ მარინას ძაღლი.
კატა _ ცირას ფისო.

ლანა
ბრმა, ვიოლინოზე დამკვრელი
ფეხშიშველა მოდღლეზილი ბოშა } ბოშების ჯგუფი.
დათვი

გურამი
თემო } მეზღვაურები ტელეგადაცემიდან.

არეული საზოგადოება ტელეგადაცემიდან.
ხალხი _ მარტო იმისთვის, რომ მათხოვარს ფული ჩაუყარონ.

სცენის მარცხენა მხარეს მოჩანს დიდი ოთახი, ორი საწოლით. ერთში, კედელთან, წევს ცირა, მეორეში _ დედამისი ქეთო. საწოლების შუაში დგას ტელევიზორი, იქვე _ მაგიდა, ორი სკამით. ტიხარი ერთი მთლიანი ფიცარია, სცენის სიღრმეში წასული.

მის მარჯვნივ არის ვიწრო შუკა, ხოლო შუკის მარჯვენა მხარეს შედარებით პატარა ოთახი, ისიც ისე გადატიხრული. ამ ოთახში თხელფეხება მაღალ სკამზე ზის მარინა, ქოფაკი უკანა ფეხებზეა წამოსკუპული კუთხეში. შუკის თავში მავთულზე კიდია ნიშანი მოძრაობის წესებიდან – «მანქანის გასასვლელი არ არის». სიღრმეში ჩანს მოლიცლიცე რეკლამა და მოძრავი მანქანები.

სცენას ძველ ბოძზე დაკიდებული რეკლამა ანათებს. ნელა ბაცდება ელექტრონის შუქი, თენდება. შუკის სიღრმიდან გორგოლაჭებიან ოთხთვალაზე დაკრული მათხოვარი მოგორავს, ცალ ხელზე მხოლოდ სამი თითი აქვს, მეორე მოგლეჯილი აქვს და ზედ მიმაგრებული მასიური ჯოხით აძლევს ბიძგებს. ის ნათურის ქვეშ ჯდება.

მათხოვარი: დილა მშვიდობისათ!
/პირჯვარს იწერს/
არ ეცხელება, ალბათ, დღეს ისე, როგორც გუშინწინ, წვიმის შემდეგ რომ ჩამოიბურა, კინაღამ მეც კი არ დავტოვე ჩემი ადგილი.
/იხდის თავიდან დიდ, გრძელკეპიან ქუდს/
ესეც ნაცადი ჩემი კარტუზი და ერთადერთი ჩემი ერთგული, ღმერთო, ნუ მიწყენ /ისევ იწერს პირჯვარს, ქუდს დებს ოთხთვალას წინ, თხოულობს/:
მოიღეთ მოწყალება,
საწყალ ინვალიდს
ნუ დაამადლით ათ-თხუთმეტ კაპიკს,
ორჯერ დამარხულს ბრძოლის ველზე
და სასწაულით ძლივს გადარჩენილს.
/მარინა დგება სკამიდან, წინ გამოდის, უყურებს ცარიელ ქუჩას, დღის სინათლე მატულობს. შემდეგ ისევ ჯდება/.

მათხოვარი: საწყალი გოგო, ისევ არ სძინავს.
ოთხი თვე გადის,
რაც გიო მოკლეს, ჩემი მფარველი.
სანამ ის იყო,
ვერვინ ბედავდა ჩემს წყენინებას
და ფულიც მქონდა
ნათხოვარს ზევით ხუთი მანეთი.
სულ ერთად იყვნენ გათენებიდან.
/მაღლა იყურება. უფრო თენდება. მეეზოვე გვის, მტვერს აყრის მათხოვარს, ის ყურადღებას არ აქცევს/
ჰოო, მზეც ამოდის.
როგორ უყვარდათ მათ ერთმანეთი.
მგელს დაემსგავსა ახლა ეს გოგო,
ხორცს მონატრებულს.
ვგრძნობ, რომ მსხვერპლს მსხვერპლი მოჰყვება
ზედვე,
არ მოისვენებს იმ ბიჭის სული.
/შუკაში ზევიდან ქვევით ვიღაც მიდის, მათხოვარი მეჩხერ კბილებს აჩენს, ცხვირი ნახევრად წაგლეჯილი აქვს, იღრიჯება, თხოულობს/
მიეცით კაპიკი საწყალ ინვალიდს,

ორჯერ დამარხულს
და სასწაულით ორჯერვე ცოცხლად ძლივს გადარჩენილს. /ფულს უყრიან ქუდში/
გმადლობთ, ბატონო,
ღმერთს ვთხოვ შენზედაც. /ნასიამოვნები უყურებს ხურდას/
ორმოცი კაპიკი,
პირველი სიფთა,
მოხერხებულად დაიწყო ეს დღე.

/მთელი ამ ხნის განმავლობაში მარინა უმოძრაოდ ზის სკამზე, მერე სახელდახელოდ ისწორებს კაბას, თმებს ერთი ხელის გადასმით და ამაყი სახით გამოდის ღია მხრიდან პირდაპირ სცენაზე. აცვია ბიჭის პერანგი, დამდგარი საყელოთი, გული ორ ღილზე გახსნილი და ბოლომდე ჩამოშვებული სახელოები, დიდი შავი სამაგრებით; პერანგი ჩატანებული აქვს ვიწრო შავ ქვედატანში. ის არც უყურებს მათხოვარს, მიდის შუკის სიღრმეში. ოთახში სკამის ფეხთან მიბმული ძაღლი რჩება. სცენის მარცხნივ მოთავსებულ ოთახში ქეთო სკამიდან იღებს ხალათს, ლოგინშივე იცვამს, დგება. სარკესთან ნელა მოჰყავს თავი წესრიგში. ცირა ბრუნდება მისკენ. ოთახში მზის პირველი სხივი შედის. მარინას ოთახი ისევ ოდნავ სიბნელეშია/

ცირა: ადექი, დედა?

ქეთო: ჰო, ცირა, უკვე დრო არის ადგომის, რვაზე უკვე სამსახური დამეწყება. თუმცა დღეს გვიან წავალ,
გუშინ ვთხოვე უფროსს, შენი კაბა მაქვს დასამთავრებელი.

ცირა: რა კარგია!

ქეთო: თანაც ახალ მოდაზე უნდა შეგიკერო, წელში ვიწრო, ზევით გამოყვანილი, ამოჭრილი გულით და გრძელი, მკლავის სიმსხოზე გამოყვანილი, სახელოებით. ერთ საათში ნატა მოიტანს მოდების ჟურნალს.

ცირა: ვიცი, როგორსაც ამბობ, მარინას რომ ეცვა შარშან, არა?

ქეთო: ჰო, ოღონდ ქვევით იქნება გაშლილი, მარინას კი ქვევითაც მოჭერილი ჰქონდა.

ცირა: /ნაღვლიანად/ ეგრე ჯობია, მე მოჭერილი არ მინდა, სწორეა.
/დედა მიდის, კოცნის/

ქეთო: ახლავე დავდგამ საუზმეს, პირსაც დაგაბანინებ.

/შემოაქვს იქითა ოთახიდან, რომელიც კულისებშია, ნავთქურა. ანთებს, ზედ ტაფასა დგამს, მერე ცირასთან მიაქვს ტაშტი და თუნგი, ცირა საწოლიდან გადმოიწევა, პირს იბანს, შემდეგ იმშრალებს; ქეთო ფანჯარაში იყურება/.

ქეთო: აგერ შენი შვილობილი, უკვე იქა ზის და მათხოვრობს, საცოდავი.

ცირა: დედა, დღესაც გაუტანე, რა, კერძი, ცოტა რძეც, ჰო?!
/კოცნის დედას/

ქეთო: რა თქმა უნდა, ცირა.
/ისიც კოცნის ცირას/

ცირა: მარინასაც გაუტანე, კარგი?! გუშინაც არ უჭამია არაფერი.

ქეთო: მარინეს? აბა რა, ახლავე.

ცირა: არა, აქ მოვიდეს, ჯობია, ერთად ვისაუზმებთ, თან ცოტას დაველაპარაკები, იქნება გული გადააყოლოს საწყალმა გოგომ.
/თავისთვის/

ზოგჯერ გული არც კი მიშვებს, რომ ვანუგეშო. ან რა უნდა ვუთხრა, ისეთი ბიჭი იყო გიო, თან როგორ უყვარდა. აი, მე რომ დედა აღარ მყავდეს, ოჰ, ღმერთმა დამიფაროს.

/ამასობაში ქეთოს ჩააქვს კერძი მათხოვრისათვის/

მათხოვარი: დილა მშვიდობისა, ქალბატონო, ისევ შეწუხდით ასეთი უღირსისთვის, ისევ გაისარჯეთ. გმადლობთ, გმადლობთ.

ქეთო: ცირას უთხარი მერე მადლობა, ის არის შენი მფარველი.

/იხედება მარინას ოთახში/

ნეტა, ასე ადრე სად წავიდა ის გოგო, თანაც სულ მშიერი.

მათხოვარი: დილით გავიდა აქედან, არც კი შემომხედა. წინ კი სულ მესალმებოდა, სანამ გიო იყო ცოცხალი. ახლა ვერც მამჩნევს, რაღაც ცუდია მაგის თავს, რამე არ მოუვიდეს.

ქეთო: მეც მაგას ვამბობ, მეტისმეტად დარდობს, არც ეგრე ვარგა.

/მიდის/

მათხოვარი: /თავისთვის/

დარდისგან კაცი უმეტესად კეთილი ხდება,
გულისხმიერიც,
თუმცა ვინ იცის,
ეგ კი დარდს არ გავს,
დასუსტებული ნერვების ნაყოფს,
ასეთი სახე, მარინას რომ აქვს,
ერთხელა ვნახე ჩემს ცხოვრებაში.
ჰო, ის მე მქონდა,
ვერ დავივიწყებ,
და ყველაფერი დაიწყო ასე:
მწვანედ ამოსულ სველ ბალახში
მიდიოდა ჩვენი ნაწილი,
სუნთქავდა მიწა გაზაფხულით,
ნუშის ხეები ადრეულად ყვაოდნენ იმ წელს,
იდგა სიჩუმე კრიალა ცაში,
სულ დამავიწყდა თუ იყო ომი,
და ზარბაზნის ხმა, სადღაც მთის იქით
მიტოვებული, არ მაშფოთებდა.
ბალახის შემდეგ ტყეში შევედით,
ერთ მწკრივად ყველა ჩავყევით ბილიკს,
ხის კენწეროდან მოისმოდა სუსტი გალობა,
გალობდა შაშვი.
სინათლის სხივი, საოცრად მკრთალი,
მოდიოდა სადღაც სიღრმიდან...
იქ გავიზარდე,
ნაცნობ გზაზე მითრთოდა ფეხი:
სამი წლის შემდეგ
გამარჯვებული ვბრუნდებოდი მშობელ სოფელში, _
მამა და დედა ბუნებასთან იყო შეზრდილი, _
ხეებთან ერთად ვგრძნობდი სიყვარულს,
დიდი მუხები ხელებს მიწვდიდნენ

მე, ვინც აკვანთან ერთად დავტოვე
ცრემლიც,
სინაზეც...
თავბრუ დამეხვა,
თვალებზე რაღაც ნაზი ვიგრძენი.
ახლაც კი მახსოვს, რომ ჩემი შემრცხვა
და ცხადზე-ცხადად შევიგრძენი დედის ხმა:
«შვილო».
ეს ყველაფერი სულ ერთი წამით!
ჩვენს სოფელში, მდინარის იქით, ფრიცები იდგნენ.
თვითეულ სახლზე იერიში იყო საჭირო,
გახურდა ბრძოლა:
კრიალა ცა ასად გაიყო,
ცეცხლში გაეხვა ყველაფერი,
ძირფესვიანად ბრუნდებოდნენ
შავი ძირებით _ დიდი მუხები,
უცებ გაწითლდა მწვანე მინდორი,
კუნძების გვერდზე
გადაჭრილი ეყარა ხალხი.
შემოვეწყვეთ,
დავახევინეთ,
და შუა სოფლამდე ტყვიით ნაკაწრი,
სისხლში გასვრილი,
როგორ მივედი, აღარც კი მახსოვს.
იქ, ერთ პატარა _
სულ ერთი წამით გამიელვა, რომ
ნაცნობ _ სახლთან,
გერმანელი წამოვაგე თოფის დაშნაზე,
კარები ფეხით შევამტვრიე,
შიგნით შევვარდი.
შკაფი,
საწოლი,
კერა.
ღმერთო ჩემო _
ჩემი სურათი,
ჩემი სახლ-კარი!
და დედაჩემი კუთხეში, ხატთან, ჩამომხრჩვალი.
თოფს ხელი ვუშვი,
ჩემსკენ წამოსულ მეორე ფრიცსაც
შიგ ყელში მივწვდი,
უცებ მოეშვა იმ ძაღლისშვილს
ბინძური ტანი,
მყრალი სახიდან
ყვითელი ენა გადმოვარდა ნელა,
სრიალით.
კიდევ წამიც და...

ჩემს წინ სარკეში დავინახე ჩემი თვალები,
რამაც ყველაზე უფრო შემზარა,
მე იქ გიჟს ვგავდი,
არა!
უფრო მეტს _
იმ კაცს, რომელსაც სისხლი სწყურია.
/საშინლად აღელვებულია, ოფლი მოსდის, შუბლზე ისვამს ხელს/
უფალო ჩვენო, რათ გამახსენე.
ჰოო /ეშვება მთლიანად/, დამავიწყდა კიდეც,
რაზე დავიწყე, ჰო /დაბნეულად/:
ღმერთო, შენ უშველე ყველა ცოდვილს.
/პირჯვარს იწერს, იღრიჯება, სამათხოვროდ ემზადება/
ეს ინვალიდი, იმ ერთი წამის მოგონებამ
სულ მთლად შემცვალა, დამავიწყდა, რომ
მათხოვარი ვარ _
კმაყოფილი,
უსურვილო,
გამოფიტული.
/ამასობაში ცირა საუზმობს, ერთი-ორი კაცი ფულს უყრის მათხოვარს./

ცირა: გმადლობთ, დედიკო, რა გემრიელია, რო იცოდე. არა, ასე მარტო შენ იცი საჭმლის კეთება. რომ
იცოდე, რა კარგი იყო. აბა ნახე, გასინჯე.

ქეთო: მართლა მშვენივრად გამომსვლია, აიღე კიდე.

ცირა: არა, დედა, მარინას შეუნახე.

ქეთო: არ არის სახლში, ხომ გითხარი, დილითვე წასულა.

ცირა: მაშინ თბილად შეუხვიე ან მერე გაუცხელე, დედიკო.

ქეთო: ეს აიღე, მანამდე სადილიც იქნება. ის კი, შენც იცი, დილით წასული, შეიძლება, საღამომდეც არ მოვიდეს. ახლა, ალბათ, უკვე პროკურორთან ზის და უყურებს დაბღვერილი. ასეთი ყოჩაღი თუ იყო, არასოდეს არ მეგონა, რა ვიცი...

ცირა: დედა! მარინა ძალიან კარგი გოგოა. თუმცა შენც მაგას არ ამბობ?! ეგ ერთადერთია, ვისთანაც ვამხანაგობ, უფრო სწორად, ვინც ჩემთან ამხანაგობს და ვისაც არ ვწყინდები, მაგრამ ბოლოს, ახლა, გიოს ამბის შემდეგ, სულ სხვანაირი გახდა, უცხო, თითქოს...

ქეთო: კიდე კარგად არის, შვილო, ის ჰყავდა მხოლოდ.

ცირა: არა, დედა, დარდზე არ ვამბობ. ღმერთო, ნუ მიწყენ, თავისთვის რომ აეტეხა რამე, ისე არ გამიკვირდებოდა, როგორც...

ქეთო: ჰო, ძალიან გამოიცვალა. ნუ ნერვიულობ, ცირა, შენთვის არ შეიძლება.

ცირა: მე, მაგალითად, ვერ შევძლებდი მაგდენს, თუმცა, მე არც შეიძლება შევედარო.
/შუკაში მოდის ნატა, მათხოვარს ხურდას ჩაუყრის და პირდაპირ, დაუკაკუნებლად, შედის ქეთოსთან./

ნატა: გამარჯობათ. დღეს დილით გავიგე, იმ ავაზაკს, მკვლელს, ერთ კვირაში გაასამართლებენ და ივანემ თქვა, დახვრეტენო. კიდევ, მარინა უნახავთ

პროკურორთან, მერე უმაღლესში ვიღაც ნაცნობები მიუგზავნია, ისე რომ სიკვდილი არ ასცდება. ახია, ახი, რა კარგია!

ქეთო: რა არი კარგი, უბრალოდ, ღირსია და მორჩა, ეგეთებმა არ უნდა იცოცხლონ.

ნატა: არ უნდა იცოცხლონ, სწორეა, ნამდვილად ღირსია დახვრეტის. იმისმა ამხანაგებმა ყველგან შეიტანეს განცხადება ხელის მოწერით. წარმოგიდგენია? თითოეულზე ასზე მეტი კაცი აწერს ხელს, რომ ის დახვრიტონ. ასეც უნდა, სხვები ჭკუას ისწავლიან. მართლა, რა უნდა მეთქვა, ბუაძე როა მომღერალი, სოპრანო, შარშან დაამთავრა კონსერვატორია, იცნობ შენ, ცოლად მიჰყვება, აბა, ვის, თუ გამოიცნობთ. /ცირა თითქმის ყურს არ უგდებს, ჭერში იყურება, კედლისკენ ოდნავ გადაბრუნებული. ნატას ბოლო სიტყვებისას დაუკაკუნებლად შემოდის მარგო/

მარგო: как, как ბუაძე, ახ, ვიცი. за кого же? ქეთო, დროა, არ მოდიხარ?

ქეთო: ჯერ არა. დასვენების შემდეგ წამოვალ, ცირას კაბა უნდა გამოვუჭრა /ათვალიერებს ნატას მოტანილ მოდების ჟურნალს./.

ნატა: ამაშუკელზე.

მარგო: не может быть! შეუძლებელია. Она на четыре года старше его. ეჰ, ზოგს რა ბედი აქვს! ფული აქვთ და იცვამენ. ახლა ხო იცი, ყველაფერი ჩაცმაა, რამდენი ხანია მინდა ასეთი კაბა შევიკერო, დეკოლტე.

ნატა: მაგას ფული უნდა, ჩემო კარგო.

მარგო: მეც მაგას ვამბობ. ეს ახლანდელები კი მეტს არაფერს უყურებენ.

ნატა: შენ ახლანდელებისგან რა გინდა, შენი ასაკის ხალხზე ილაპარაკე.

მარგო: то есть, ჩვენი, შენი და ჩემი, не так ли, милая? რაღაც ძალიან მაბერებთ, არც ჩვენ დროს იყვნენ, ну, что я говорю, ახლაც მახსოვს. был у меня жених,ჟორა, აი, კავალერი, რა სიტყვა-პასუხით, обоятельнейший был человек. ქეთო, აბა მაჩვენე, როგორ უკერავ ცირას; ძვირფასი ნაჭერია, საინტერესოა, როგორ ახერხებს ხალხი ფულის შოვნას.

ქეთო: რა ფულის, ჩემო კარგო, მთელი წელი ვაგროვებდი.

მარგო: არ მოდიხარ? უნდა გქონდეს, რომ შეაგროვო. მე წავედი.

ნატა: მეც დამაგვიანდა, მოიცა, მოვდივარ. /გადიან. მარგო იაპონურ ქოლგას შლის, ნატა ხელს უყრის, ლაპარაკობენ სცენისკენ ზურგით./

ნატა: აუტანელი სიცხეა.

მარგო: და, და, ужасно печет, თანაც ჯერ დილაა.

ნატა: წარმომიდგენია, შუადღეს რა იქნება.

/შუკის სიღრმიდან შემოდიან ბოშები, თითქმის ერთ მწკრივზე გაშლილი. ლანას, რომელსაც აქვს გაშლილი თმები, წითელი ნაჭრით შუბლი გაკრული და აცვია «პლისე», ჩექმები, ხელით მოჰყავს ბრმა ვიოლინოზე დამკვრელი, მეორე მაღალ, მოდღლეზილ ბოშას უჭირავს ათსიმიანი გიტარა და ჯაჭვზე გამობმული დათვი მოჰყავს. მარგო და ქეთო ჩერდებიან, უყურებენ, მათხოვარი წინ გამოაგორებს თავის ოთხთვალას, აშკარად ნასიამოვნებია, ბოშებს უკან მოსდევს ამუბნელი დებილი, დიდი ბიჭი დათო _ ხან ახლო მივა დათვთან, ხან უკან გარბის, მოდღლეზილი ფეხშიშველა ბოშა ათვალიერებს შუკას. მერე ნიშანს აძლევს სხვებს, ყველანი იმარჯვებენ საკრავს, დათვი ორ ფეხზე დგება, დაძუნძულებს; საიდანღაც კიდევ ორი

გამვლელი გამოდის, მათხოვარი ქუდს უწვდის, მაგრამ ფულს არ აძლევენ, უსმენენ ბოშებს./

სამივე ერთად: ჩვენ ფულს არ ვითხოვთ, ბოშები
ვმღერით.
რა ვქნათ,
თავს ვირთობთ,
გვიყვარს, როცა ვინმე გვისმენს.
მოგვისმინეთ!
ეს სიმღერა ათ თაობას უმღერია,
დიდ ტაბორში ატამანთან
გაბმულ ლხინში,
ან ტრამალში ყმაწვილ ბოშას,
მარტოდმარტოს
დროზე ადრე დამიწებულ სიყვარულთან.

მარტო კაცები: /უკრავენ და მღერიან/
გიცდით, ლანა,
შენ დაიწყე,
ჩვენ მოგისმენთ,
მერე გეტყვით
მოძახილებს.

ლანა: მე ვიყავი თოთხმეტი წლის,
როცა მომიტაცა
ხუჭუჭა გიორგიმ
შავი ცხენით
ბნელ ღამეში.
წინ ტრამალი
გადაშლილი,
უკან დარჩა
ტაბორი
და
მკრთალი შუქი.

ყველა ერთად: /აჯავრებენ ცხენის ჭიხვინს, ჭენებას: ერთი გულზე ხელების დარტყმით, მეორე გიტარაზე, მესამე პირით./
იჭენე, ცხენო,
იჭენე, ცხენო,
ხელი მოუმართე
ხუჭუჭა გიორგის,
გოგო მოიტაცა
ულამაზესი.
/მიდის ისევ ჭიხვინი, ჭენების გაჯავრება/

ლანა: ნუ ჭიხვინებთ,
გაიგონებს მამაჩემი,
წინ მე ვზივარ,
უკან გიორგი,
ვეღარ ვხედავთ სინათლეებს,
შუაღამეა,

ცხენი მარტო დანავარდობს,
ჩვენ გარშემო ტკეპნის მიწას
და ბალახს ძოვს.
ყველა ერთად: ძოვე, ძოვე,
ფშუ, ფშუ, /ერთი უსტვენს ნელა/
წყალიც შესვი,
დაისვენე,
თორემ ტრამალს,
იცოდე რომ,
ბოლო არ აქვს.
ლანა: ჩემი გიორგი,
გრუზა თმები ახლაც მახსოვს,
მიწას ჰქონდა მიწის გემო
და ნაყოფის სუნი.
მე გავძეხი მისი კოცნით,
ის კი,
როგორც ცეცხლის ალი
თივის ზვინში,
შეტრუსული მზისგან თმებით,
ტრიალებდა
გასაშლელად მომზადებულ
ჩემს კოკრებში...
ეჰ, რა მოვყვე! /ბოლო, ურიტმიანესი აკორდი/
ერთი: /ჭიხვინებს ხმამაღლა/
დათვი: /თავისთვის გადადის მალაყებზე/
მეორე: ჩუ, არ გესმის?
ყველა ერთად: ატამანი, ატამანი,
აგერ ბუმბა,
მისი შვილი.
შეძახილი: /იძახის მოდღლეზილი ბოშა/
აუ, გიორგი.
გრუზა გიორგი.
ყველა ერთად: გიორგი, როგორც
ცეცხლის ალი
თივის ზვინში,
იწვის,
იწვის
და დაიწვა,
უბედური.
ლანა: თავს დაგვადგნენ.
მაშინ გიორგი მოკლა ბუმბამ,
მე გადავრჩი,
წამიყვანა თავის ცოლად.
ჩუუ!
ღამეა,
ტაბორიდან ფიქრით ვხედავ

გიორგის საფლავს,
ბუმბა მკოცნის,
საძულველი ჩემი ქმარი,
მე ცივი ვარ
როგორც წყალში მუგუზალი,
მიტრიალებს
ცხელ დიდ თათებს
გაქვავებულ და გაყინულ ძუძუებში.
შორს კი, იქით,
სადაც მარტო ყურღანია,
დიდ ტრამალში,
თქეშში,
ღვარში,
გიორგის შავ ლანდს თმებს უწეწავს
გიჟი ქარი.
და იმისი კბილებიდან სისხლის სუნი
ახლაც მომდის.
ჭკუას ვკარგავ
და ვხელდები.
შური, შური,
სისხლი მინდა,
და ორთითით
ბუმბას ღამით
ორივე თვალს ვუღებ მაღლა.

სამივე ერთად: ბუმბა, ლამაზი,
მაღალი ბიჭი,
გიორგი რო მოკლა,
დარჩა უთვალოდ.
საწყალი ბუმბა,
მკვდარი _ მკვდარია,
გინდ შეიცოდე,
გინდა გაკიცხე,
საწყალი ბუმბა, დარჩა უთვალო.

ლანა: მოდი აქ, ბუმბა,
/მოჰყავს წინ ბრმა ვიოლინოზე დამკვრელი/

ეს მე ვიყავი,
შე უბედურო,
ახლა მიყვარხარ,
შენი თვალები
ახლა მე დავრჩი,
მომკალი, ბუმბა,
გინდა მითხარი,
დანას გიშოვი.

სამივე ერთად: ბუმბას თვალები
ახლა შენა ხარ,

იცოდე, ლანავ.
ეეჰ!!! /ურიტმიანესი აკორდი. ლანა ცეკვავს, დათვი მალაყებზე გადადის./
ჰეი, ჰეე,
სანამ ცხოვრობ,
არ მაჩვენო
ღაწვზე ცრემლი,
რო მოვკვდები,
არ მიტირო,
ჰეი, ჰეი, ჰეე.
უუუ,
ჩემო ცხენო,
სანამ ვზივარ მე შენს ზურგზე,
მანამ მინდა შენი თავი.

/აჯავრებენ ცხენის ჭიხვინს, ჭენებას.

გიჟდება რიტმი და უცებ წყდება. მაყურებლები ფულს უყრიან დათვს დაირაში ან პირდაპირ მიწაზე, მარინას ძაღლი ოთახიდან იყეფება; მათხოვარს ბოშები უყრიან ხურდას, ის ლოცავს. ლანა სწრაფად წყნარდება. დამშვიდებული ჰკიდებს ბრმას ხელს: მიდიან. მოდღლეზილ, ფეხშიშველა ბოშას დათვი მიჰყავს; მოდის მარინა. დათო შეხტებასავით, უცებ ავიწყდება ბოშები, უკან მისდევს მას პირდაღებული, დიდი ყურები უთამაშებს, იღრიჭება. მარინა შედის თავის ოთახში და გრძელფეხება სკამზე ჯდება, ძაღლი ცმუკავსP_ ის მიუძლურებულია, მერე ისევ წყნარად წვება კუთხეში. დათუნა დაუკითხავად შედის მარინას ოთახში და დამნაშავესავით დგება. მარინა არ უყურებს/

დათო: /უჩვენებს ძაღლზე/
არ მიკბენს, მარინა, რო იღრინება, ჰა?

მარინა: არა.

დათო: ვეთამაშო, რა. მე რო არ მკბენდა, ხო იცი, არც მე, არც გიოს. ჩქარა მოვა გიო?

მარინა: არა.

დათო: სად არი გიო, ქუდი უნდა მოეტანა ჭრელი, იქ რომ წამართვეს, ხო იცი, მერე გიომ რომ ცემა, ხო იცი. ჩქარა მოვა?

მარინა: არა.

დათო: რატო, მარინა?

მარინა: მოკლეს.

დათო: /ჯდება ძალიან ნაღვლიანი სახით/
ხო, ვიცი. მე მეგონა, აღარ გახსოვდა. დიდი ხანია, არა? და იმიტომ არ მოვა, არა?

მარინა: წადი, დათო, ცირასთან, გელის, მარტოა, გაუხარდება შენი მისვლა.

დათო: ვიქნები, რა, ცოტა კიდე.

მარინა: კარგი.

დათო: მარინა, აი, მე რა მაქვს, ნახე, გინდა? /უბიდან იღებს ნაჭერში გამოხვეულ ნამცხვარს, პურს, ყველს/ჭამე, რა, ჭამე. დედამ თქვა, მათხოვარს მიეციო. გუშინ სტუმრები გვყავდა, ღვინო დალიეს, მერე იცეკვეს; აქ რო გოგო ცეკვავდა გიტარით და დათვი ჰყავდათ, რომელი

მოერევა, შენი ძაღლი თუ ის დათვი, ჰა? შენ თუ არ გინდა, ძაღლს მივცემ, კარგი?

მარინა: მიეცი მათხოვარს, დედამ როგორც გითხრა, წადი.

დათო: კარგი. /გადის/

აი, ძია, ეს, მარინამ თქვა, მიეციო ძია მათხოვარს.

მათხოვარი: მადლობთ, დათო, მადლობთ, შენ კარგი ბიჭი ხარ. საწყალი მარინა, თითონ არაფერი უჭამია, მე მიგზავნის.

დათო: ჰო, ძია, ჰო, თქვა, მიეციო, მერე თქვა, ცირასთან წადიო. ახლა იქ წავალ. კიდე იცი რა _ აქ რომ ბიჭი დადიოდა, მე რომ ჭრელ ქუდს შემპირდა, აღარ მოვა. მარინემ თქვა, დიდი ხანიაო მოკლეს.

მათხოვარი: ხო, მოკლეს. /დათო მიდის/ ეჰ, შე საწყალო, შენ რა გიშველის, თორე.

ცირა: დათო, დათუნა, მოდი აქ.

მათხოვარი: წადი, ბიჭი, გეძახის, გესმის?

/დათო ჩუმად იხედება მარინას ოთახში, მერე მირბის ცირასკენ./

დათო: რა, ცირა?

ცირა: დაჯექი, ეგ სკამი აიღე ან სავარძელი, მოიწიე აქეთ, ოღონდ ჯერ გადმოიღე ის კალათი, შიგ ვაშლია, ჭამე, არ გინდა? კიდე, ბუფეტში დევს კანფეტი, ტკბილია, შენ ხომ გიყვარს, აიღე, აიღე, ნუ გრცხვენია, ახლა მოდი აქ, რას ჰგავხარ, ბიჭო, თმები არ დაგივარცხნია? მოდი აქ.

დათო: არ მინდა, ქუდი მინდა, ჭრელი ქუდი, მიშოვი შენ?

ცირა: მოდი, ჯერ მოიწიე, ასე, ჩამოჯექი საწოლზე, აი, ამ სავარცხლით დაგვარცხნი თმებს, არ დაგწიწკნის. ასე, ასე, ახლა ლამაზი ბიჭი ხარ, მერე დედას ვეტყვი ქუდი გიყიდოს. როგორი გინდა? ჭრელი? მე ვიცი, რახან შეგპირდი, შეგისრულებ.

დათო: მარინასთან მინდა, წავალ.

/მიდის/

ცირა: /თავისთვის/

უბედური, რა კარგი გოგოა მარინა, როგორ უყვარს დათოსაც. ნეტა ჩემთან მოვიდოდეს. ვერც ვეძახი, არ ვიცი რა ვუთხრა. სიარული მაინც შემეძლოს, მივიდოდი მე თვითონ. ეეჰ, დათოს კი შეუძლია წავიდეს, თან სულ უნდა იქ იჯდეს.

/დათო მიდის და მარინას კედელთან ჯდება/

ცირა: /თავისთვის/ ნეტა არ ეშველება რამე დათოს, ვერ უმკურნალებენ? არ მორჩება? მარინას შველა კი შეუძლებელია, ვიცი. საცოდავი გოგო. როგორ ვუყვარდი მეც გიოს, ხშირად მოდიოდა ჩემთან, სულ რაღაც მოჰქონდა საჩუქრად. მეც ვდარდობ ახლა, მაგრამ სად ჩემი, სად მარინას დარდი. ჩემი თავი მეზიზღება, მეც რომ ისე ვერ განვიცდი _ მაინც ვჭამ, ვლაპარაკობ. ნუთუ მე ყველაზე ბედნიერი ვარ.

/რეკავს საათი ექვსჯერ/

უკვე ექვსი გამხდარა, საცაა დედაც მოვა, რამდენს წვალობს ჩემთვის, მე კი არ შემიძლია რითიმე დავეხმარო. აი, ახლა კერვას მასწავლის და კარგი იქნება _ მაშინ მარინასაც შევუკერავ რამეს, დათოსაც, მათხოვარსაც. ძალიან მომწონს ისეთი კაბა, ნატას ჟურნალში რომ ხატია, თუმცა მე რად მინდა, აი, მარინას კი როგორ მოუხდებოდა, იქნებ ცოტა გულიც გადაეყოლებინა. ღმერთო ჩემო, რას ვამბობ, მაგის დარდს რა უშველის, რა? განა ვერ ვხედავ, როგორ არის გამოცვლილი, ჩემთანაც კი

აღარ მოდის, მე კი მაგის მეტი ამხანაგი არავინა მყავს; უჰ! რა ცუდი ვარ, ნამდვილი ეგოისტი, მაგის თავი აქვს, ან რა დროს ჩემზე ფიქრია! მოდი აქ, მოდი, ჩემო ფისო, მოგიალერსებ. შენ მისმენ მარტო ასე ერთგულად, თან თვლემ. გეძინება? კარგი, დავიძინოთ, მეც დავიღალე. ძილი ნებისა, ჩემო ციცკა, ერთხელ კიდევ გადაგისვამ ხელს. აი, აქ იწექი. /იძინებს/

/მოდის ქეთო, ოთახს ალაგებს, მერე კერავს, საღამოვდება, მარინა თავის ოთახში გრძელფეხება სკამზე ზის, ისევ ნახევრად სიბნელეში, დათო ნაღვლიანი თვალებით უყურებს, ხანდახან ისმის მათხოვრის ხმა, ღამდება. მათხოვარი მიგორავს შუკის სიღრმეში, დათო ფეხაკრეფით გადის, მერე მირბის.

ამოდის მთვარე, ცივი და ნათელი.

მარინას ოთახი სიბნელეშია.

მთვარე ცირას ანათებს თვალებში. ქეთო წვება, იძინებს.

მარინა ისევ ისე ზის გრძელფეხება სკამზე.

ძაღლი მთვარეს უღრენს;

ოდნავ შეშფოთებული იღვიძებს ცირა/

ცირა: დედა მოსულა კიდეც. დედა! თუმცა არა ღირს გაღვიძება, დაღლილია. უჰ, კაბაც რამდენი შეუკერავს, ალბათ, ხვალ ჩამაცმევს. ღმერთო ჩემო, რა ცივად ანათებს მთვარე, /თვალებზე ხელს იფარებს/ მეშინია, თითქოს მიზიდავს და ფანჯრიდან უნდა წამიყვანოს, როგორ დაჟინებით იყურება. დედა! _ არა, ეძინოს, საბანს წავიხურავ, ასე ჯობია, ოჰ, აქაც ატანს. მცივა. მეშინია. გარშემო კი არავინ არის, დედასაც სძინავს, სულ მარტო ვარ, ჯობია წამოვჯდე, თვალებში შევხედო, უფრო შევეჩვევი ასე. /მთვარე მაღლა ადის, თვალებში აღარ უნათებს/ ახლა კარგია, რა სისულელე იყო შიში, თითქოს პირველად ვხედავდე, გუშინწინ ლექსიც კი დავწერე მთვარეზე და ჩემს ციცკაზე. /კატა ფეხთითაა მორთხმული, მერე ფანჯრის რაფაზე ადის, კუდს მაღლა სწევს, კნავის, ჩანს შავი სილუეტი/ ციცკა, ჩემო ფისო, აი, წაგიკითხავ ხმამაღლა, შენ ხომ გესმის ჩემი, და მერე ისევ დავიძინოთ, კარგი? /ჩამოჰყავს ფანჯრიდან, იხუტებს/

ცირას ლექსი: ღამეა,
მე ისევ ვწევარ ჩემს დიდ საწოლში,
გამოხვეული თბილ საბანში,
ვთვლემ და ვოცნებობ.
მთვარე უეცრად იპარება მკრთალი სხივებით,
აღვიძებს ციცკას
სხვა ეზოდან კატის კნავილი,
ის იშმუშნება, იზლაზნება
ზმორებ-ზმორებით,
კუდს ბერავს, უფრო იფხორება...
იქითა მხრიდან კნავილი ისევ მეორდება,
ხან მოიმატებს,
ხან მიწყნარდება,
ჩვენს სახლს შორდება
და თან ჩემ საწყალ
ფისოს იბირებს.
მინდა წამოვდგე,

გავხედო მაინც,
სად წაიყვანეს?
საით წავიდა?
მაგრამ /ცრემლნარევი ხმით/
ფეხები არ მიშვებს, არა.

/უხმოდ ქვითინებს/

/მთვარე ჩადის, სულ ღამდება, მერე ოდნავ ნათდება. ცას ეტყობა გათენება, ისიც მხოლოდ მარინას ოთახში. მარინა ისევ გაქვავებულივით ზის. შუკის სიღრმიდან შავებში ჩაცმული, წელში მოხრილი მაღალი ქალი შემოდის, აქეთ-იქით იხედება, ჩერდება მარინას ოთახთან, აკაკუნებს. მარინა ოდნავ აბრუნებს თავს, ის ისევ აკაკუნებს, მერე შედის პირდაპირ/

ქალი: ეს მე ვარ, შვილო. /ეცემა მის ფეხებთან, კოცნის, მარინა სწრაფად იმართება და უკან იწევს/

მარინა: გთხოვთ, არ გინდათ.

ქალი: ეს მე ვარ, შვილო, იმ ავაზაკის, კაცის მკვლელის დედა, მე, მე, დედა, ჰო, დედა. რა გითხრა, რა გთხოვო, არ ვიცი, ჭკუა მაქვს არეული, დღემდე ვერაფრით ვერ გავბედე აქ მოსვლა, მეშინოდა, მეშინოდა შენი ნახვა, შე უბედურო, ან როგორ უნდა შემეხედა შენთვის. დღეს კი აღარ შემეძლო, ვეღარ გავძელი; დედა ვარ, დედა, იცოდე, და მარტო დედობამ მომიყვანა; არ მინდა სამართალი, არაფერი სხვა, მე, როგორც მშობელი, ისე მოვედი სათხოვნელად, ფეხების დასაკოცნად /ეცემა მუხლებზე, კოცნის, მარინა გაქვავებული დგას/. არ ვამბობ არაფერს, არა, ვერცა გთხოვ მის პატიებას, არ შეგიძლია, ვიცი, მაგრამ გაიგე, ეგ ერთია, ვინცა მყავს ამ ქვეყანაზე. მე მომკლან, უთხარი იქ, ეს მოკლან, ეს /გულზე ხელს ირტყამს/. ხვალ თუ შენ აჩვენებ მის წინააღმდეგ, იმას დახვრეტენ, ჩემს შვილს დახვრეტენ წამებით, გესმის? მე ხომ ჯვარს ვეცვი, ბედნიერი გიოს დედა, ის საცოდავი ჩემსავით _ უცებ მოხდა ყველაფერი და მორჩა, უცებ მოკვდა ის ცხონებულიც, მე კი, ალბათ, ამაზე მეტს სიკვდილიც აღარ მიზამს არაფერს, ნუ, ჩემო გოგო, ნუ აჩვენებ, ასე მაჩუქე მისი სიცოცხლე, შენი ჭირიმე; მითხარი რამე, დამელაპარაკე, გამლანძღე, გამაგდე, ღირსი ვარ, ოღონდ ნუ დგახარ ასე ჩუმად, მე აღარ შემიძლია, გესმის, უთხარი რამე დედას, რომელსაც შვილი უნდა მოუკლან, რომელმაც იცის ეს, რომელიც ვერ ეხმარება ვერაფრით.

მარინა: გთხოვთ, მაგაზე ნუღარ ვილაპარაკებთ.

დედა: არა, არა თქვა, არ გინდა, ეს მე, მე მაპატიე ის უბედური, ის ავაზაკი, ის კაცის მკვლელი, ის ჩემი შვილი.

მარინა: აი, კარები, მე შურს ვიძიებ, ყველაფერს ვიზამ იმისთვის, რომ თქვენი შვილიც ზედ მიაყოლონ, ახლა გათავდა, წადით, მეტს აღარ ვიტყვი არც ერთ სიტყვას; აი, ჩემი პასუხი: ის მიიღებს ღირსეულ სასჯელს: თქვენს შვილს დახვრეტენ, დახვრე-ტენ, ჰო, ჰო, წადით, ახლა აღარ შემიძლია მეც მეტი, წადით, გესმით, აი, კარები, გესმით კი თქვენ ჩემი, ჰა, ჰა, არა?!

/თენდება, მათხოვარი მოგორავს უკვე/

დედა: მაინც გიკოცნი ფეხებს, რა ვთქვა, მითხარი, სანთლებს დავუნთებ ცხონებულს, რას ვამბობდი? ჩემს შვილზე გთხოვდი, არა? ჰო, მე, მე მაჩუქე, გადაასახლონ სამუდამოდ, ოღონდ ჩემმა გულმა იცოდეს, რომ ცოცხალია.

მარინა: მე ტყუილს ვერ გეტყვით.

დედა: დედას, დედას აჩუქე.

მარინა: /ხმას არ იღებს/

დედა: /ფეხებში უვარდება/
შენს ფეხებს ვენაცვალე.

მარინა: /ჯდება გაქვავებული გრძელფეხება სკამზე/

დედა: მაშ, არა მჩუქნი, დაპირებასაც არ მაჩუქებ?
/იმართება, თავშალი წამოშლილი აქვს, უკან იწევს მარინასკენ გაშვერილი ხელებით/

დედა: ღმერთმა დაწყევლა ერთხელ უკვე ეს ოჯახი, ძირშივე წყეული, უძიროდ გამხმარი, უგულო, კიდე დაწყევლოს და არ გაგახაროს ჩემი უსისხლოდ მოკვლისთვის. შენ, ეშმაკის შვილო _ ერთი მოკლეს, თქვენ მოკალით, თქვენ, ახლა მეორეს უსჯით დახვრეტას, იმასაც დახვრეტენ! მაგრამ იცოდე, ეგ შურისძიება არ მოგასვენებს შენ ყველაზე მეტად: ღმერთო, ისმინე ჩემი წყევლა და გადაუხადე. /მისი ხმა სულ მაღლა და მაღლა ადის და უცებ ბოლო სიტყვაზე ტირის/ შე უბედურო! /ამბობს გაბზარული ხმით, მიდის დამტვრეული, მოტეხილი, თავისთვის ლაპარაკობს უკვე გარეთ/ მაინც მაქვს იმედი, ბოლომდე რომ არ დაღუპავთ დედის გულს.
/სულ თენდება. შუკიდან მოდიან ნატა, ნანა და მარგო, მათ გვერდზე ჩაუვლის დედა/

მარგო: ოო! შავებში ვინ არის ნეტა, ნატა, ასე ადრე?

ნატა: ჩუ, იმის დედაა.

მარგო: ვისი?

ნატა: შენი მიკვირს, როგორ არ იცი, მკვლელის.

ბავშვი: დედა, დედა, აგერ მათხოვარი, მიეცი, რა, ფული, არა, მე მომეცი, მე მინდა ჩავუგდო თვითონ.

ნატა: აჰა, აბაზი. არა, მოიცა, მარგო, მოდი, მივიდეთ მასთან, ის აქ ზის დილიდან.

მარგო: Ну и что ж, не понимаю.

ნატა: წამო, დღეს ვეღარ გცნობ, ვერაფერს ვეღარ ხვდები.

მათხოვარი: ორიოდ კაპიკი, გამარჯობათ, შვილო, ნაცნობებო, თუ არ გეწყინებათ, ასე გიწოდებთ, თქვენივე გულის სადღეგრძელებლად.

ნატა: აჰა, აბაზი, არა, აჰა, მანეთი.

მარგო: მეც მოგცემ, აი, აბაზი.
/ლაპარაკი მიდის ნახევარ ხმაში/

ნატა: დიდი ხანია ის აქ იყო?

მათხოვარი: დიახ, ქალბატონო.

ნატა: მერე?

მათხოვარი: მარინამ თითქმის გამოაგდო.

მარგო
ნატა } дальше, дальше.

მათხოვარი: თქვენ როგორც იცით ქალების ამბავი, ჯერ იმ ქალმა წყევლით ამოაგდო, ძირში მოთხარა, ბოლოს შეეცოდა მარინა, თქვა, ღმერთი დიდია, მაინც იმედი მაქვსო.

მარგო: წავიდეთ, ქეთო, რა უგულოა ის გოგო. расстрелять человека! თუმცა ღირსია, და, და, скажу прямо в лицо, ყველგან ვიტყვი, ეგეთები ადგილზე უნდა მოკლა.

ნატა: იმას მეტი უნდა უყო, მაგრამ მარინას რა გული აქვს, არ ვიცი.

ნანა: დედა, მომეცი, რა, კიდე აბაზი, მივცემ, რა?

/ნატა ხელს ჰკიდებს, ნანას ქაჩავს, შედიან ცირასთან, ქეთო იქით ოთახიდან გამოდის, ცირა წევს უმოძრაოდ/

ქეთო: ოჰ, უკვე?

მარგო: რა თქმა უნდა, скоро восемь, გვიანაც არის.

ქეთო: შენ საითღა, ნატა?

ნატა: ცირასთან დავრჩები, დღეს გვიან მივდივარ სამსახურში, ცოტა გულს გადავაყოლებინებ, ცოდოა მთელი დღე მარტო.

ცირა: გმადლობთ, ნატა.

/ბავშვი კატას აწვალებს/

ნატა: როგორ მოგწონს იმ კაბის ფასონი? ქვევით ვიწრო სახელოებით, მხრებთან ფართო, დიდი თეთრი საყელოთი, ბიჭური პერანგივით.

ცირა: ძალიან, ოღონდ კერვა მასწავლე, ნატა, ისე მინდა ვიცოდე.

ნატა: გასწავლი უეჭველად, ადვილადაც ისწავლი, მთავარი პრაქტიკაა, შენ კი იმდენი დრო გაქვს, აი, მე რომ დრო მქონდეს, ოღონდ თვალებს აფუჭებს, სუფთა სამუშაოა, შენ კი, მგონი, სუსტი თვალები გაქვს. რაღაც დაღლილი ჩანხარ, არ გეძინა წუხელ? წაიძინე ახლა, ჩემო კარგო, წაიძინე.

/ქეთო საწოლთან, სკამზე, საუზმეს შლის, მერე ჩანთას იღებს, შვილს კოცნის, გადის/

მარგო: ნახვამდის, საყვარელო, ნახვამდის, ჩვენ წავედით, ნატა, შენ რჩები? ცირა, აუცილებლად დამახვედრე ახალი ამბები, მეც მოგიტან. ხომ იცი, ვიწვი _ შენ კი მაგ ლოგინში მეტს გაიგებ, ვიდრე მე. კარგად, ჩემო კარგო, მიმიხვდი, რა ამბებზეც გითხარი?

/ხელით კოცნას უგზავნის, მიდის/

ნატა: ცირა, საყვარელო, იცი რა? რანაირი უძილო თვალები გაქვს, ოჰ, ათის ნახევარია, მარინაც მიდის სასამართლოში უკვე, აი, გამოვიდა, არც კი იხედება, წავიდა. ნეტა, რა იქნება, რა საინტერესოა? ვიწვი პირდაპირ, ისე მინდა დავესწრო გასამართლებას, მაინც არ მესმის მაგ გოგოსი, ძალიან მინდა რომ ის დახვრიტონ, ავაზაკი, ფუ! ოღონდ მარინა არ მიყვარს, გოგო და ეგეთი? მესმის იტირო რამდენიც გინდა, ოღონდ ასე იძიო შური? სულ არ არის ქალური, არც ლამაზია, საინტერესოა, რატომ უყვარდა გიოს ეგრე ძალიან, რა ბიჭი იყო, ღმერთო შეგცოდე, მეც კი მიყვარდა, მგონი, ახლაც მახსოვს მისი გამოხედვა, გაცილებით კარგი გოგო ეკუთვნოდა, იცი...

ცირა: ნატა, გთხოვ, მეტს ნუღარ იტყვი ნურაფერს.

ნატა: კარგი, კარგი, როგორც გინდა. იცი, მე წავალ, გავიქცევი. ისე მაინტერესებს, ვიწვი. შენთან ბავშვს დავტოვებ, ის მოგივლის, თანაც არც ვიცოდი, სად დამეტოვებინა. მწ, მწ.

/უგზავნის ხელით კოცნას, მიდის/

/მათხოვარს რამდენიმე კაცი ფულს უყრის, ისინი სცენის შიგნიდან შემოდიან, მიდიან შუკისკენ, იქიდან მოდის დათო, ჯდება მარინას

სახლთან და ხუთ ქვას თამაშობს თავისთვის, მათხოვარი ფულს ითვლის/.

მათხოვარი: სადილად მეყოფა, მომშივდა კიდეც, წავალ, სადმე ვისაუზმებ, იმასთან ჯობია, ირაკლისთან, ერთ ჭიქა ლუდს უფასოდ მასმევს. კაცს გააჩნია, არა? /თვალს უკრავს მაყურებლებს, მიგორავს/

ცირა: მოდი აქ, ნანა.

ნანა: სად?

ცირა: აი, იმ კაბას ხომ ხედავ, აგერ ნემსი და სათითეც, მომაწოდე.

ნანა: შენ ვერ იღებ, არ შეგიძლია, არა?

ცირა: ჰო, კარგი, არ მინდა. /იყურება ჭერში/ ნეტა, რას შვრება ახლა მარინა, წარმომიდგენია იმ ბიჭის სახე, ალბათ, სულ ტირის და ეხვეწება აპატიონ, რა თქმა უნდა, მარინასაც გული მოულბება, არ იტყვის იმის წინააღმდეგ ყველაფერს, მაშინ დახვრეტას გადარჩება, ღმერთო ჩემო, რა ცოდოა, საწყალ გიოს კი აღარაფერი ეშველება, არაფერი. /ცრემლები მოსდის/ რა ცოდოები არიან, ღმერთო ჩემო.

/გარედან ისმის მათხოვრის ხმა, მოგორავს, ვიღაც ფულს უყრის/

ცირა: აი, მათხოვარიც მოგორდა საუზმის შემდეგ, ალბათ, შუადღე გადავიდა, ვინ იცის, როგორ არის მარინა, იქნებ ცუდადაა, ნეტა შემეძლოს მასთან ყოფნა, ის ხომ სულ მარტოა, ნეტა შემეძლოს.

/შუკაში მოდის მარინა, თავი ოდნავ დახრილი აქვს და პირდაპირ იყურება ჩოლკის ქვევიდან, დათო წამოხტება, ღიმილით მირბის მისკენ, მაგრამ მარინა არ უყურებს, დათო შემკრთალი იხევს უკან და ბაჯბაჯით მისდევს, შესახვედრად გამოვარდნილი ძაღლი დინჯად უსვამს ტუჩებს, მიჰყვება. ცირას კატა გულზე ეხუტება, მარინა დაუკაკუნებლად შედის და მაღალ, გადმოსაკეციან, ბავშვის სკამზე ჯდება. დათო კართან დგას დაბნეული, ნანა კუთხეში ინაბება/

ცირა: გამარჯობა, მარინა.

მარინა: როგორა ხარ, ცირა?

ცირა: კარგად, მადლობთ.

მარინა: _

ცირა: _

მარინა: _

ცირა: შენ, მარინა, როგორა ხარ, არა, ნუ მეტყვი ნურაფერს; თუ ხათრი გაქვს, გთხოვ, დამიჯერო, აიღე რამე, აგერ იქ დევს ტაფაზე, მე ხომ იცი, არ შემიძლია მოგაწოდო, გაუმასპინძლდი შენ თავს, კარგი? დაღლილი ხარ, ალბათ, გშია კიდეც.

მარინა: ნუ მთხოვ მეტს, ცირა, არ მინდა.

ცირა: დააძალე თავს, საშინლად გახდი, თუმცა, მოგიხდა თითქოს, გალამაზდი უფრო, დაავადმყოფდები ასე უჭმელი, მელაპარაკე რამე, ჩვენ ხომ ბავშვობის ამხანაგები ვართ, მარინა, დამიჯერე, ვიცი, ძნელია, მაინც ცოტა, რამდენადაც შეიძლება, გადააყოლე გული, აღარც ჩემთან შემოდიხარ, არა, საყვედურს კი არ ვამბობ, მოგაბეზრე, ალბათ, თავი, კარგი, მეტს აღარ გეტყვი არაფერს, ოღონდ აიღე რამე.

მარინა: კარგი, ავიღებ.

/მიდის, იღებს კატლეტს, დებს პურზე, ჭამს, სვამს წყალს/

ცირა: აი, იქ ნამცხვარია კიდე, ისიც აიღე, ჰო?!

/მარინა იღებს ნამცხვარს, ჭამს/

ცირა: აი, ასე, ახლა კარგი გოგო ხარ, მოდი ჩემთან, გაკოცო.

/მარინა მიდის, უშვერს ლოყას/

ცირა: ჩემო კარგო, გაწვალდი ძალიან? მითხარი, რითი დაგეხმარო, განა შემიძლია მე რამე?! მართლა, დღეს ტელევიზორია, აქ ვუყუროთ ერთად, ჩვენები არ მოვლენ, დარჩები, დარჩები ვიცი, უკვე რამდენიმე თვეა კინოში არ ყოფილხარ, ალბათ, არც გინახავს ტელევიზორი, არა?

მარინა: რა გადის?

ცირა: გამოაცხადეს, დამავიწყდა, მოიცა, ნანა, მომიტანე გაზეთი.

/ნანა თავისთვის თამაშობს კუთხეში, მერე მოაქვს გაზეთი/

ცირა: /ათვალიერებს/

«მეზღვაურები პორტში».

მარინა: კარგი, ვუყურებ.

ცირა: მოდი, აქ ჩამოჯექი, დღეს ვეღარა გცნობ; აი, ასეთი უნდა იყო ყოველთვის, ჰო, ჩემო კარგო.

მარინა: /აბნეულია, ცდილობს გაიღიმოს/ ჰო. /იხედება გარეთ/

რა მყუდრო შუკაა, ჩვენი მათხოვარიც რო ასე პირნათლადა ზის ყოველთვის. წინათ სხვა იყო, მოხუცებული ქალი პატარა ბავშვთან ერთად, გახსოვს, ჰო?! ჩქარა გავიზარდეთ, სულ გუშინ იყო თითქოს, შენ ურიკაში იჯექი, მე გაგორებდი აქეთ-იქით. ზოგჯერ გარეთაც გავდიოდით, დიდ ქუჩაში. ერთხელ იმ ქუჩის იქითა მხარეს ბომბორა ბაბთიანი ძაღლი დავინახეთ, არა, შენ დაინახე, მგონი, პირველად, მარტოს მინდოდა მისკენ გაქცევა, ისე მომეწონა, მაგრამ შენ ატირდი, მაშინ მივაწექი ურიკას და სირბილით წავედი, სულ მაჩქარებდი და მაჩქარებდი, ძაღლის გარშემო კი აუარებელი ხალხი მოგროვდა, ცოტაც და მივიდოდით, მაგრამ უცებ მოსახვევიდან გამოვარდნილი საბარგო მანქანა პირდაპირ ჩვენზე წამოვიდა, მე გამიკვირდა, შენ დაიყვირე, სასწაულით გადავრჩით. მანქანამ კი ჩვენ მაგიერ სხვა გაიტანა, მაღალი შლაპიანი კაცი, რომელიც იქითა მხრიდან გადმოდიოდა და ის-ის იყო გვერდზე ჩაგვიარა. ვერ გავიგე რა მოხდა, ყველაზე ახლოს კი მე ვიყავი. ის ეგდო, თავის ქალა გადახდილი ჰქონდა, სისხლი არ მოსდიოდა, მხოლოდ ფეხებს ჭიმავდა, მერე გაჩერდა, ხალხმა დაფარა ქუჩა; ბაბთიანი ძაღლი საიდანაღაც ჩვენთან გაჩნდა, შენ ტიროდი მთელი ხმით, მეც ძალიან შემეშინდა, ტირილი დავაპირე, მაგრამ ბაბთიან ძაღლს მოვკიდე ხელი _ გადამიარა _ იმას გრძელი და თბილი ბეწვი ჰქონდა. მთელი თვე აღარ გვიშვებდნენ იმ ამბის შემდეგ სახლიდან.

ცირა: ნუთუ ასე კარგად გახსოვს შენც ეგ ამბავი, სულ ექვსი წლისანი ვიყავით მაშინ.

მარინა: ჰო, ექვსის. შემდეგ წელს მე დავიწყე სკოლაში სიარული, საღამოს მომქონდა ჩაწერილი გაკვეთილები და ერთად ვსწავლობდით, ყოველთვის ჩემზე ადვილად იმახსოვრებდი ყველაფერს, ოი, რა უნიჭო ვიყავი. წარმოგიდგენია? მუსიკაზე სიარულიც კი მეზარებოდა, მაგრამ მერე შემიყვარდა, ზოგჯერ ექვს-შვიდ საათს ვუკრავდი, _ სკოლის გაკვეთილებიც კი მავიწყდებოდა. ეჰ, ისე მინდა ახლა კარგად ვუკრავდე, სიამოვნებით გავატარებდი ფორტეპიანოსთან მთელ დღეს. ვერ წარმოიდგენ, რა სიამოვნებით შევასრულებდი ლისტს ან რახმანინოვს.

ცირა: საწყალი დეიდა ოლია, ეცოცხლა, შენ არ დაანებებდი მუსიკას თავს.

მარინა: ჩემი დედა... თითქოს ახლაც ვხედავ საწყალს, რა კეთილი იყო, გამიკეთებდა დიდ თეთრ ბაბთას, ოჰ, როგორ არ მიყვარდა ისე მაღლა აწეული თმები, სულ მეჩვენებოდა, რომ ყოველდღე უფრო და უფრო იზრდებოდა ბაბთა, დედა კი მომცემდა ერთ ხელში შავ, დიდ ნოტების შესანახს, შოპენის პროფილით ყდაზე, მეორე ხელში ჩამკიდებდა და მივდიოდით მუსიკაზე; იქ გავიცანი გიო... ისეთი პატარა და ბომბორა იყო ჩემი ბიჭი... მეექვსე კლასში როცა გადავედით, გააგდეს _ სულ არაფერს არა სწავლობდა. როგორ დამწყდა გული, ვერ წარმოიდგენ, ვიტირე კიდეც, ისე ვიყავი შეჩვეული მის ნახვას. ღმერთო ჩემო, რეებს ვიგონებ, როგორ მსიამოვნებს თან, ვერ წარმოიდგენ. როცა ვყვები პატარაობის ამბებს, მგონია, რომ ის ცოცხალია. ასეც არის. სანამ არ მოვალ ამ ასაკამდე, ჩემი მოყოლის დროს მაინც სულ ცოცხალი იქნება. ჰო, ჰოო, მოიცა... მომაგონდა... თავი მტკივა, იმდენჯერ მიფიქრია ამაზე, რომ მეჩვენება თითქოს მავიწყდება.

ბევრი დრო გავიდა მას შემდეგ, მე დავამთავრე, იმანაც, ჩვენ ერთმანეთი გვიყვარდა, მაგრამ არაფერი არ გამხარებია ისე გულწრფელად, როგორც გაგდებული გიოს ჩუმად მოსვლა მუსიკალურში. მაშინ დედა უკვე მარტოს მიშვებდა, თანაც სწორედ იმ დღეს ბაბთა არ გამიკეთა, ყვითელი მოჭერილი გეტრები და მაღალყელიანი ფეხსაცმელები მეცვა, შავი სწორი კაბა, თან ხელში, რაც ყველაზე ძალიან მიხაროდა, დიდი პაპკის მაგიერ, პატარა, მრგვლად რომ იღუნება, ისეთი ნოტების შესანახი მეჭირა. ყველაფერს ამას ვგრძნობდი ისე აშკარად, იმდენად ნასიამოვნები ვიყავი ჩემი გარეგნობით, რომ პირველად გიოს დანახვა არც კი გამიკვირდა, თითქოს ასეც უნდა ყოფილიყო, მხოლოდ კიბეების ბოლოს, სადაც ის იდგა, ვიგრძენი, რომ სახე გამიხურდა და გავწითლდი. ამაყად წავედი პირდაპირ, მე თვითონ არ ვიცი, რატომ არ მივედი, არ დაველაპარაკე და უხმოდ ჩავუარე.

_ დიდი ხანია ბაბთა მოიძრე? _ მომესმა იმისი ხმა, მერე რაღაცა ჩაუსტვინა თავისთვის. მე ძალიან გავბრაზდი, თან სულ ვფიქრობდი, იქნებ ჩემი ბრალი იყო და იმიტომ მომაძახა ისე, რომ არ დაველაპარაკე _ სულ შეუმჩნევლად მესიამოვნა კიდეც, რომ ასე გაბრაზდა, ჩემი არდალაპარაკების გამო. ყოველი შემდეგი დღე მახსოვს თითქმის. ერთი თვე არც იყო გასული, ჰო, ოცდაერთში მომიკვდა დედა. საწყალი დედა, სულ ტიროდა სიკვდილის წინ, მე კი ვუყურებდი გაკვირვებული, გაბრუებული. მოკვდა საწყალი, დილა იყო მაშინ.

მეორე დღეს ფანჯრიდან დავინახე გიო. ის იდგა, აი, იქ, ბოძთან, და დანით ჭრიდა რაღაცას, მე ცრემლებიდან გამეღიმა, გულზე მომეშვა, მაგრამ ამ ახალმა შეგრძნებამ თითქოს უფრო მატკინა გული, უფრო შემეცოდა დედა და ავტირდი, მერე ცრემლები შევიმშრალე და ფანჯარასთან მივედი.

_ დედა მოგიკვდა? _ მკითხა იმან.

_ ჰო, _ წამომივიდა ცრემლები.

_ მე შარშან ბიძა მომიკვდა, ისეთი ღონიერი იყო, სულ მაღლა-მაღლა მისროდა, ჩვენთან იმდენი ხალხი იყო რო... _ თქვა და წავიდა.

მეორე დღეს სამი ბიჭი მოიყვანა და მოვიდა. მე ველოდი, სულ არ გამკვირვებია მისი მოსვლა, ახლოს არ მივედი, გარშემო ხალხი იყო და მეუხერხულა.

_ აგერ მარინას სკოლის ამხანაგებიც მოვიდნენ, _ დაატირა კუბოს დეიდაჩემმა. _ მიდი, მიდი, _ მითხრა ბიძამ, მაგრამ მე არ წავედი. როცა ისევ გავიხედე იქით, ჩხუბი იყო გახურებული: გიო და მისი ამხანაგები სეირის საყურებლად მოსულ ბიჭებს სცემდნენ, ისინიც იწევდნენ. ქვებს ისროდნენ.

ცირა: მახსოვს, ჩვენი ფანჯარა ჩაამტვრიეს სწორედ.

მარინა: ჰო, ვიცი, რომ გახსოვს, მარტო შენ იცი ყველაფერი ჩვენი და შენ გამიგებ. შენთან როცა ვარ ახლა, მეჩვენება, რომ ის ცოცხალია; როგორ ვიტანჯებოდი ყოველი მასთან დაშორების დროს, ჯერ კიდევ მაშინ, ბიძასთან რომ გადამიყვანეს დედის სიკვდილის შემდეგ და გიოს ვეღარ ვხედავდი; გავიდა მთელი წელი, მეტიც.

აღარ მინდა, არც შემიძლია მეტის მოგონება, გამიგე, ცირა, შენ იცი ჩვენი ყველაფერი, გიო მომიკლეს, მოკლეს, ჰო, მოკლეს, მოკვდა, გითხარი. კიდევ, ჰო, რას გეუბნებოდი, იცი, ვინ მოკლა, ვიღაცამ, ხო, ვიღაცამ, ცხოველმა, არაკაცმა, ახლაც მაკანკალებს მას რომ ვიგონებ, თხელი, მხრებში ჩამჯდარი, თავისი სახესავით მწვანე თვალებით, პატარა, ქერა ჩოლკით.

ყველაფერი ერთ წამში მოხდა. მივდიოდით ერთად, როგორ დაუძახა აღარ მახსოვს, რატომ, არც ის ვიცი _ ისინი გვერდზე გავიდნენ, მერე ის გაიქცა, მე ვერ გავიგე რა მოხდა, როცა მივირბინე გიოსთან, ის წელში იყო მოხრილი, მე გამიკვირდა, ხელი მოვკიდე, ის სულ მოეშვა: «აღარ შემიძლია, რო გადავუხადო», თქვა თითქოს თავის მართლებით, მერე კიდე უფრო დასუსტდა, მოეშვა, სულ მოეშვა და გათავდა. ჩემი ბიჭი...

/ცირა ხელს უწვდის, მარინა მიდის, ლოყებს ადებენ ერთმანეთს, ტირიან/

ცირა: დაწყნარდი, ჩემო მარინა, ვიყოთ ერთად, დაწყნარდი, ჩემო კეთილო.

მარინა: /უცებ სულ იცვლება. სწრაფად შორდება საწოლს/ კეთილო? არა! არ მინდა ვიყო ეგ კეთილი, ჰმ, ჰა, ჰა, ჰა. იცი, რა იყო დღეს? ოთხი თვის შემდეგ ვნახე ის მწვანე თვალები, არავითარი სინანული, არც მონანიება არ ეტყობოდა სახეზე, თუმცა ჩემთვის სულ ერთი იყო. გამომიძახეს. ხალხი გაიყო, მე ვერ ვხედავდი ვერაფერს იმის გარდა, პირდაპირ იჯდა მელოტი მოსამართლე, იმაზე გადავიტანე მზერა, კიდე ერთხელ მივიხედე ბრალდებულთა სკამისკენ და დინჯად, ოღონდ ერთი სულის ამოღებით ვთქვი: «აი, იმ ბიჭმა, მე მისი სახელი და გვარი არ ვიცი, მოკლა გიო, მე იქ ვიყავი, მოკლა დანით და წინასწარგანზრახვით, რადგან ვუყვარდი მე, მე კი მას რამდენიმეჯერ უარი ვუთხარი. ეს არის და ეს.»

გამოვბრუნდი, ის წამოიწია, სახეზე წამომახურა, მხოლოდ ახლა შევხედე პირდაპირ ხალხს;

გავბრუვდი, სიზმარივით მესმოდა ხმები: «კახპა», «ეშმაკის შვილო», «დაწყევლილო».

არაჩვეულებრივად მსიამოვნებდა მათი ლანძღვა, ვგრძნობდი, რომ სწორედ ის გავაკეთე, რაც უნდა მექნა, თავისუფლად ვიგრძენი თავი, ამაყად, ძლიერად.
აქეთა მხრიდან გიოს ნაცნობები მიყურებდნენ გაბრწყინებული, ნასიამოვნები თვალებით. «ყოჩაღ, მარინა,» მითხრა კოტემ, გიოს ძმაკაცმა, რაღაც არ მესიამოვნა მის ქებაში, ისეთი რამე, რაც არც გამიფიქრია, როცა მლანძღავდნენ. სწრაფად წამოვედი პირდაპირ აქეთ, რა დროა, არც კი ვიცი. იქ, ალბათ, ისევ გრძელდება სასამართლო... სხვაგან წასვლა არ შემეძლო, ცირა... მე რაც შემეძლო, გავაკეთე, სულ ყურში მედგა გიოს სიტყვები: «აღარ შემიძლია, რომ გადავუხადო.» მე გადავუხადე, მე კმაყოფილი ვარ... დავმშვიდდი... ნამცხვარსაც ავიღებ, კატლეტსაც, დავლევ კიდეც, ახალი წყალია, ცივია, ო, პაპიროსსაც სიამოვნებით მოვწევ, რა თამბაქოა... დუკატი... ასე... ვმშვიდდები მთლიანად. /აბოლებს/ ახლა შემეძლება კიდეც გიო ვიგლოვო, ძველი ამბებიც მოვიგონო მასთან გატარებული დროიდან, როგორც ახლა ვიგონებდი... მართლა, ვინ იცის, როგორი მოუვლელია მისი საფლავი. ჩემი ბიჭი... დასაფლავების შემდეგ აღარ ვყოფილვარ იქ. დავიფიცე, სანამ მისი მკვლელი ცოცხალი იყო, იქ არ მივსულიყავი, ახლა წავალ..., ხვალ, ალბათ, მიუსჯიან. სამი დღის შემდეგ მორჩება ყველაფერი, მაშინ ... /ეწევა/

ცირა: მაშინ რა იქნება?

მარინა: არაფერი, იმ ბიჭს დახვრეტენ, აღარ იქნება არაფერი, დარდის მეტი.
როგორ დახვრეტენ, იცი? არა! არ იცი! მე გავიგე: გაიყვანენ ჩუმად სამი დღე სიკვდილის მოლოდინში ყოფნის შემდეგ, და ქქ! დაახლიან კეფაში, ნელა დახუჭავს დაუხამხამებლად მწვანე თვალებს, ნეტა შემეძლოს, რომ ვუყურო, ღმერთო ჩემო, რას ვამბობ, ჰო, ნეტა შემეძლოს! ხომ ხედავ, ხედავ? მე გიჟი ვარ, სისხლისმსმელი და ეს მსიამოვნებს, გესმის?! გესმის შენ ჩემი?! თქვი რამე, თქვი.

ცირა: მართლა უყვარდი იმ ბიჭს?

მარინა: არა, ჰო, არა, ჰო, არ ვიცი, თუმცა რა მნიშვნელობა აქვს, არა, არა... არ ვიცი. მე ვიცი, რომ მარტო გიო არ იქნება მკვდარი, იქ, მარტოკა, სიცივეში, თქვი, თქვი, ცირა, ხო კარგი ვქენი, ხო გათბება გიო, ისიც რომ ჩავა იქ, ხომ ვარ ღირსი, რომ გიოს ვყვარებოდი, რომ მე მყვარებოდა, თქვი, ცირა, ჰა?

ცირა: ღმერთო ჩემო, მეშინია შენ რომ გიყურებ, ნუთუ შენ ტყუილი თქვი, ტყუილად უნდა დახვრიტონ კაცი, ვისაც არც კი იცნობდი.

მარინა: არ ვიცნობდი? იმან მოკლა გიო, რატომ _ ჩემთვის სულ ერთია, არც ვიცი, არც მინდა ვიცოდე, იმან დამტოვა მე ასე, ნახევრად გიჟი, ტყუილად დახვრეტენ? ტყუილად? ჰა, ჰა, განა ეს ტყუილადაა!

ცირა: მარინა, ნუთუ ეს შენა ხარ, მეშინია რომ გიყურებ, და ყველაფერი ეს შენ გააკეთე, შენ, რომელიც სულ ორი წუთის წინ ასეთი ნაზი, კარგი იყავი. მე ვიცი არ არის ის ხალხი მართალი, ვინც ამბობს შენზე: «მარინა უგულო გოგოაო», თუმცა, იმ ბიჭის დახვრეტა ძალიან სიამოვნებთ, ხო არა ხარ შენ უგულო? მითხარი, ჩემო კეთილო, ხომ არ არის ეგ სწორი.

მარინა: სწორია.

ცირა: ტყუიხარ, მარინა, შენ კარგი გოგო ხარ, უბრალოდ, არ გესმის რას აკეთებ, შენ არ იცი რა არის სიკვდილის მოლოდინი _ ათასჯერ უარესია, ვიდრე თვითონ სიკვდილი.

მარინა: შენი სიტყვებიდან უფრო კარგად ვგრძნობ, რომ ისე მოვიქეცი, როგორც საჭირო იყო.

ცირა: დამიგდე ყური, ნუღარ იტყვი ნურაფერს, მარინა, შენ ეგ არ იცი, მე კი ვიცი. აქ, ამ ლოგინში, ბევრ ისეთ რამეს ვგრძნობ, რაც თქვენ არ იცით, ის არ გხვდებათ ყოველდღე ქუჩაში, სადაც შეიძლება, თუნდაც ბევრი ხალხის დანახვით, გული გადააყოლო დარდს. აქ კი სიმარტოვეა, ყველაზე ცხელ დღეებშიც კი მცივა და მეშინია. არ გეგონოს თავს გაცოდებდე, მაგრამ მინდა მომისმინო: შარშანწინ შემოდგომაზე, ჯერ შენ კიდევ ზღვაზე იყავი, გავცივდი ორპირ ქარში, ჩემთვის კი გაციებაც აკრძალულია, ამდენი წოლით დასუსტებული ორგანიზმი ვერ უძლებს, გამირთულდა, გადამივიდა ფილტვებზე, ყურებზე. მოიწვიეს კონსილიუმი, მე უგრძნობლად ვიყავი _ ახლაც არ ვიცი მომეჩვენა თუ მართლა უთხრა ექიმმა ბიძაჩემს _ სამ დღეს თუ იცოცხლა, დიდი რამ არისო და წარმოიდგინე მთელი სამი დღე, იმ სიტყვების გავლენით, უფრო შიშით რომ მოვკვდებოდი, გონებაზე ვიყავი. არავინ არ დატანჯულა, ალბათ, ისე, როგორც მე მაშინ. სიკვდილის შეგრძნებამ, თან წინასწარ რომ იცი კიდეც _ არაჩვეულებრივი სიცოცხლის ძალა მომცა, ისე არასოდეს არ მომდომებია, თუნდაც ასე, როგორც ახლა ვარ, ნახევრად მკვდარს მეყურებინა ცარიელა კედლებისთვის, როგორც მაშინ. მარინა, ყველაფერი ეს მართლა იყო, მით უმეტეს რომ ჩემისთანა ავადმყოფისთვის, რომელიც მიწაზე ცალი ფეხითაც კი არა დგას, სიკვდილი არ უნდა იყოს ძნელი. ო! ამ შეგრძნებას ყველანაირი უცებ სიკვდილი სჯობია. შენ არ იცი ეს, მარინა, თორემ არ შეიძლება შენისთანა მგრძნობიარე გოგო ვერ ხედავდეს, არ იცი შენ, დამიჯერე, გამიგონე, რას შვრები არ გესმის, ღმერთო ჩემო, მარინა! მოდი გონზე, გთხოვ, მარინა, თქვი მაინც, ხომ არა ხარ შენ ასეთი?

მარინა: მე მამტყუნებთ, შენც მამტყუნებ, ცირა? მე არ ვიცი რა არის სიკვდილის ლოდინი? შენ, შენ კი იცი რა არის სიყვარული, რა განვიცადე მე ამ ოთხ თვეში, რა იყო ჩემთვის გიო, თქვი, იცი, რა არის ბიჭის სიყვარული, რა იყო გიო, ჰა? მითხარი, თქვი, თქვი, გესმის? იცი?! იცი?! რა არის სიყვარული, ოჰ ღმერთო ჩემო...

ცირა: /ტირის ქვითინით/

მარინა: /უცებ ეშვება, ცირას შორდება, თავისთვის/ ღმერთო ჩემო, ეს როგორა ვთქვი, როგორ ვაწყენინე ცირას, ოო, მართლა რა ბოროტი გავხდი, საწყალი გოგო, /მიდის მასთან/ ნუ, ჩემო კარგო, ნუ, ნუ, მე არა, სულ სხვა ვიფიქრე. /არ ტირის, ოღონდ ისე ჩამოსდის ცრემლები/

ცირა: /ქვითინით/: მესმის, ახლა მესმის, მარინა, შენი. როგორ შემეძლო გამტყუნება. ო, რა დამნაშავე ვარ. არ არის შენი ბრალი, ეგ არის, ალბათ, სიყვარული. ახლა მესმის. შე საწყალო, მოდი აქ, /კოცნის/ ჰო, ჰო არ არის შენი ბრალი, აღარ, აღარ მესმის მეც არაფერი, შე საწყალო /ტირის, მარინა კოცნის/.

დათო: მარინა! მარინა! უთხარი, რა, ცირას, ნუ ტირის, მოდით, მეთამაშეთ ქვები, კარგი?!

ნანა: მეც მინდა თამაში, მომწყინდა, გვეთამაშეთ, შენ და ცირა, მე და დათო. მე გავითვლი: მარინა კარგი გოგოა, ა- ა-ა, კარგი გო-გო-ა /გათვლა ხვდება დათოზე/. შენ კარგი გოგო ხარ?

მარინა: დათო კარგი ბიჭია /ოდნავ იღიმება, ცირაც იღიმებასავით/. კარგი, ვითამაშოთ, მოდით აქ, ცირას ლოგინთან.

ცირა: ოოჰ, /იწმენდს ცრემლებს, ამოისუნთქავს, უყურებს მარინას, რომელიც ნერვიულად დაწყნარებულია/.

ცირა: ვითამაშოთ. რამდენი ხანია არ მითამაშია.
/თამაშობენ/

დათო: მე კინოს ვნახავ ამ ტელ----ამ ყუთში, მე და შენ ხო ვნახეთ, გახსოვს, ცირა?

ცირა: მართლა, მოაბრუნე, დათო, აქეთ. ასე, ახლა ჩართე. შენ ჩართე, მარინა, აგერ შტეპსელი. ასე, ჯერ გახურდეს, მარჯვნივ არის ფოკუსი, შუაში ხმაა, აქეთ სიმკრთალე-სიბაცის დასაყენებელი. ასე დააყენე. სწორედ დროა. ყოჩაღ, დათო, რომ მოგაგონდა, მათხოვარსაც დავუძახოთ, ესიამოვნება.

დათო: ძია, ძია, /დათო გარბის გარეთ, უძახის/ ძია, ძია, კინო იწყება!
/ნელა ეშვება თეთრი ფარდა, მათხოვარი მიგორავს ფარდის წინ _ ლაპარაკობს, სანამ ფარდა ბოლომდე დაეშვება/

მათხოვარი:

უყურეთ, უყურეთ, ტელევიზორში დღეს ნახავთ გადმოცემას ციკლიდან «მეზღვაურები პორტში». მეც შეიძლება კარგი ფული გავაკეთო. /ხალხს თვალს უკრავს, გამოდის ფარდის წინ/

ფარდა სულ ეშვება. ის თეთრია, კაშკაშა. უკრავენ ბლუზს. ფარდის ერთ კუთხეში ხატია, ორი უზარმაზარი გემის ცხვირი, მეორეში _ ყვითელი მზე და პალმა, შავი შტრიხებით. ფარდის ზედა ნაწილში ეცემა რამდენიმე ჩრდილი, ისინი ქანაობენ _ ჩამომხრჩვალ ადამიანებს ჰგვანან. იწყება გაცხოველებული მოძრაობა, ბლუზი გადადის ურაჯაზში. ქალები რაც შეიძლება ღია კაბებით, კაცები მოკლე შარვლებით, მეზღვაურები ტელნიაშკებით ან ფორმით, გენერალ-ადმირალი ცოლით და ბავშვებით. იქით ვიღაცეები არშიყობენ. ორი ბიჭი გოგოს აწვალებს, ჯაზი უფრო ხურდება, ჩვენი მათხოვარი ზის წინ და აუარებელ ფულს აგროვებს; მოაგორებენ მოძრავ დუქანს. სვამენ არაყს, ლუდს, იფურთხებიან, ყრიან თევზის ნაფრცქვენებს, მუსიკოსები სცენაზევე არიან: საყვირი _ ტიტველა ტანზე შავი კოსტუმით და წითელი დიდი ყელსახვევით, აკორდეონი _ ტილნიაშკით, ჩელო _ ფრაკით და თეთრი პერანგით, შავი ბაბთით, ბარაბანი _ სულ შიშველი წელზევით, ბანჯგვლიანი. ჯერ შემოდის თემო, მერე გურამი _ ორივენი ზორბები არიან და სხვებისგან ირჩევიან, გურამს ჩაბრედილი ტელნიაშკა აცვია, თემოს _ ოფიცრის დახეული ტუჟურკა, უპაგონებოდ.

თემო: ოხმე, ძლივს არ დავდგი ფეხი ამ წყეულზე.

გურამი: გადავეჩვიე კიდეც მიწაზე სიარულს.

თემო: აბა რა იქნება, საუკუნეა წყალში ვართ.

გურამი: კარგია, მაინც ნუგეშია, წყალში ხარ და ხმელეთზე გელოდება ვინმე – ისეთი, შენი ირინკა როა.

თემო: შენ რა იცი ჩემი ირინკა.

გურამი: კაიუტაში მეტს რას ვუყურებ, ზოგჯერ ღამეც კი კოცნი იმის სურათს.

თემო: მერე იქნება სიცოცხლეში არ ვარგა, რა იცი...

გურამი: კიდევ, წერილებს ვკითხულობდი, შენ არ მაკითხებდი? მახსოვს კიდეც ზეპირად, გითხრა?

თემო: /ნასიამოვნები იჩეჩავს მხრებს/ თქვი, რა, /ვიღაცეები არაყს აწვდიან. სვამენ. კიდევ სვამენ/

გურამი: ზღვაში გასულების სადღეგრძელო იყოს, კიდე იმათი, ვინც ხმელეთზე გელოდება და გწერს წერილს, «ჩემო თემო, დიდხანს, დიდხანს გრძელდება ეს, მაგრამ სიკვდილამდე რომ იყოს, მაინც დაგიცდი, ასეთია ჩემი გული, სულ ბედნიერი იყავი, ჩემზე ნუ იდარდებ», ჰა? რა მხრებს იჩეჩავ, ვითომ არ გახსოვს, ხო ვიცი გსიამოვნებს როცა გიქებენ და იმაზე გელაპარაკებიან, ვითომ არ ვიცოდე შენი ხასიათი. კარგი გოგოა, ძმაო, კარგი, ეგეთი გოგო ახლა იშვიათია, ამათ კი არ ჰგავს.

/აქეთ-იქით ქალები დადიან გამომწვევად/

გურამი: მოიცა, ლამაზო, ლამაზო.

ლამაზი: რა, ჩემო მეზღვაურო?

/ხელს უსვამს ნიკაპზე/

გურამი: არაფერი, გაიარე.

თემო: რატო ეგრე, ჯერ უძახი, მერე აგდებ.

გურამი: შენ რა, შენისთანა გოგო რო მყავდეს, მორჩა, არც გავეკარებოდი. ახლაც უცებ აღარ მომინდა ეგ კახპა. წამო, კიდე დავლიოთ, მაგათ მერეც ვნახავთ.

/დუქანთან მთვრალი მეზღვაურები კინკლაობენ, ერთს მიათრევენ იქით, ქალები მკერდგადმოგდებულები უყურებენ შუხურს, მერე ერთი შუაში იწყებს ცეკვას. როკ-ენდ-როლ. რიტმი გიჟდება. აქეთ გურამი და თემო სვამენ, თვრებიან, მოძრაობები უდუნდებათ, დაწითლებული თვალებით უყურებენ ვნებიან ცეკვას _ გურამი ზურგით დგას. ერთს ჩქმეტს, ის შეხტება, იცინის, ხელს ჰკიდებს თემოს, უნდა ცეკვაში შეითრიოს/

თემო: წამო, ბიჭო, რა ქალებია, ხედავ? თითო სიცოცხლედ ღირს.

ქალები: აქეთ, მეზღვაურებო, ჩვენთან. /გურამს/ ლამაზო, რა ზურგი შეგვაქციე.

თემო: წავყვეთ, წამო.

გურამი: არა, არ მინდა.

თემო: /ექაჩება/ წამო.

გურამი: არ მინდა. მე მინდა... /იქნევს ხელს/ შენ რა გიჭირს, მე კი არ მინდა, გითხარი. არც შენ გინდა_

გეუბნები. /ცეკვა უკან იწევს, ბაცდებასავით, ცოტა ბნელდება, კარგად ჩანან ლამფის ქვეშ გურამი და თემო./

თემო: მა რა გინდა?

გურამი: ისეთი გოგო, სიყვარული.

თემო: მართლა, რატომ მითხარი ირინკაზე კარგი გოგოაო.

გურამი: კარგია და იმიტომ.

თემო: /იწევს/ მერე შენ რა! ჰა?!

გურამი: მე? არაფერი.

თემო: ის ჩემია, ხო იცი.

/გურამი ხელს ჰკიდებს და მიათრევს/

გურამი: წამოდი, რაღაცას გეტყვი.

/მიდიან. ეშვება ახალი ფარდა, განათებული მთვარის შუქით. თეთრ ტილოზე, ზღვის მაგიერ, ორი სწორი ლურჯი ხაზია _ არის უდაბური ზღვის ნაპირი, უპალმოდ/

აი, აქ მარტო ვართ.

თემო: მერე?!

გურამი: არაფერი. წავალთ.

თემო: თქვი რა გინდოდა. მართლა, რატო თქვი ირინკა კარგი გოგოაო, ჰა?

გურამი: ვიტყვი.

თემო: თქვი.

გურამი: მეც მიყვარს.

თემო: რა თქვი?!

გურამი: /ყვირის/ მიყვარს! მიყვარს! მიყვარს! ჰა, /უშვერს სახეს/ მირტყი, მირტყი!

/თემო ურტყამს, კიდევ ურტყამს/

გურამი: უფრო მაგრა გამარტყი! მიყვარს ძმაკაცის შეყვარებული, მიყვარს ირინკა; ასე, უფრო მაგრად, მომკალით, მიყვარს, ვინც შენ, ის. მირტყი, მირტყი, ხა, ხა, ხა, ჰა. /უსტვენს ოთხი თითით/

/თემო სულ ურტყამს, თეთრ ფონზე ჩრდილები ჩანს, გურამი ხან დაეცემა, ისევ დგება, ისევ ეცემა. თემო წიხლს ურტყამს წაქცეულს, ზედ ეცემა და ტირის ხმამაღლა/.

თემო: რა მიყავი, რა, ბიჭო, უჰ, შენი, რატომ მაცემინე თავი, შემომიბრუნე ხელი, აჰა, მიიღე /კიდევ ურტყამს, კიდე ტირის/ შემომიბრუნე ხელი, თორემ მოგკლავ, გესმის, მიშველეთ, ვკლავ... /სწვდება ყელში. გურამი გდია, ხრიალებს/ გურამ, ბიჭო, გამარტყი შენც, ნუ მახრჩობინებ თავს, ნუ მაცემინე თავი, იქნებ მომერიო კიდეც, ბიჭო, მირტყი შენც. არა?! მიიღე კიდე. /ყელში ხელს უშვებს, ურტყამს სილას/

გურამი: /ხრიალით/ კიდე გამარტყი.

თემო: /ეცემა ზედ ისევ და კოცნის გიჟივით/

არა! მორჩა, მორჩა, მორჩა, რისთვის? გიყვარდეს შენც, არ გიშლი, რატო გცემე? /ირტყამს სახეში/

გიყვარდეს, გიყვარდეს, ეს რა ვქენი, ბიჭო, ადექი, გურამ, თქვი რამე, მითხარი, არ შეიძლება ორივეს გვიყვარდეს! ჰა? /ტირის/

გურამი: /ხრიალით, მწარედ/არა, არ შეიძლება, გაიგე.

თემო: მაინც გვიყვარდეს ორივეს, კიდე რამდენი დრო გვაქვს ზღვაში სამყოფი, მანამ ვინ იცის, /თვითონ ირტყამს სახეში, ოღონდ მისუსტებულია/ გვიყვარდეს ორივეს, ხო, გურამ. /კოცნის/

/უყურებს დაშტერებით გურამის დასისხლიანებულ სახეს, აყენებს, ორივენი მიდიან ზღვის ნაპირის გასწვრივ, ტალღები ცოტათი ხმაურობენ, გრძელი სილუეტები მიჰყვებიან ჰორიზონტს/

თემო: /უცებ ბრუნდება და ისტერიულად ხარხარებს/ ხა, ხა... უუჰა... შენ ხო ის არც გინახავს /უნჯღრევს მხრებს/.

გურამი: /ყრუდ და ჩახრეწილად/ მერე რა, სურათიდან, წერილიდან. ის ერთადერთია, ვისაც ვიცნობ ნაპირზე, იმასაც სურათით, მიყვარს, რა ვქნა! არა, გაიგებ, რატო, იცი? არა! გეტყვი: შენ რომ გიყვარს იმიტომ – მორჩა.

თემო: მორჩება სამსახური, ერთად წავალთ იქ, მანამ გვიყვარდეს ორივეს, მერეც...

გურამი: ორივესი ხომ არ იქნება მაინც, მირტყი კიდე, დამახრჩე /ამბობს უკვე სუსტად, უდილიხოროდ კოცნის, ხელს ხვევს, მიდიან/.

/ზღვა, თავისი ორი ლურჯი ზოლით, მაღლა ადის/

/საღამო ხანია, სასამართლოდან მოდის მარინა, დათოს ვიღაც პატარა ბიჭი მოსდევს ჯოხით, აწვალებს/

დათო: მარინა! მარინა!

მარინა: /მკაცრად უყურებს პატარას, ის შეშმუშნული იმალება/

დათო: მცემდა, იცი?! მოვუგე და იმიტომ. დღეს აღარ ვუყუროთ კინოს, კიდე მეზღვაურები იქნებიან, როგორ სცემა, არა, იმან? მოხვალ შენ?

მარინა: არა.

დათო: მე მოვალ შენთან, ვითამაშოთ კიდე, აი, კენჭები, გუშინ ხომ მოგიგეთ, მე კარგად ვთამაშობ, ყველას ვუგებ, იცი? იმიტომ მცემენ მერე, ეგეც იმიტომ მომდევდა, შენ კი არა მცემ, გეთამაშები, მერე კინოს ვუყუროთ, კარგი, მარინა?

მარინა: /დათოს არ უყურებს/ დღეს, არა. /შედის თავის ოთახში, უფრო ღამდება, ჯდება თხელმაღალფეხება სკამზე _ გაფითრებულია. დათო მის კედელთან დგას; შუკის სიღრმიდან ნელი, მოტეხილი ნაბიჯებით მოდის მკვლელის დედა, თმები გაშლილი აქვს, თავშალი ხელში უჭირავს, უცნაურად იღიმება _ ჭკუაზეა შემცდარი/

დედა: რა მყუდრო ქუჩაა, რა კარგია აქ სეირნობა, თანაც დღეს გრილი საღამოა, გუშინ კი ცხელოდა, ოი, რამდენი ოფლი მქონდა, ნეტა, რა ჰქვია ამ ქუჩას. /მიდის ბოძთან, კითხულობს. მარინა გაქვავებულივით დგება ფეხზე, იქით კუთხეში ეყუდება კედელს, ჩანს პროფილში, ღია თვალებით უყურებს ტიხარს, რომლის უკანაც დედა ლაპარაკობს, თმები დავარცხნილი აქვს, ჩოლკით. გულამოჭრილი უსახელო კაბის შიგნით აცვია ბიჭის პერანგი, დამდგარი საყელოთი და დიდი შავი სახელოების შესაკრავით/ შუ-კა, ოჰო, მშვენიერი სახელია, ქუჩას ეძახიან შუკას _ ქუჩის შუკა. რა სიმყუდროვეა, არც წავალ იქით, თავი ამატკია მანქანების ხმაურმა, ახლაც მტკივა, აი, აქ, კეფაზე, თითქოს მიჭერენ. არა, მომიშვა, დავისვენე ძლივს. ოოჰ, ისევა მტაცა, მაგრამ მაინც ადვილია, ალბათ, იმიტომ, რომ დღეს გრილა _ რა მითხარით? /ყურზე იდებს ხელს, გარშემო ვერაფერს ვერ ამჩნევს, დათო ისე დგას, რომ ის ვერ ხედავს/ _ მოვიდე? სად? მანდ? კარგით, ოღონდ გზა რომ არ ვიცი. ასე? ღმერთო დიდებულო, რა კეთილი ხალხია, და ნამდვილად მაჩვენებთ ჩემ ბიჭს? კმარა, ვხედავ, ოოო, რა პატარაა, აი, აქედანაც ძლივსა ჩანს, არა, მანდ ვერ მოვალ, ჯერ არ გაზრდილა, მეშინია ხერხემალი არ ვატკინო, ეს იმიტომ, რომ ძუძუ დამიშრა, რძეც აღარა მაქვს, საწყალი ბიჭუნა, როგორ არა ჰგავს ჩემს შვილს, თან ვიცი, რომ ის არის, ახლავე, გენაცვალოს დედა, ახლავე მოგიტან რძეს, აი, ხელის გულით. მოიცა, ნუ მოძრაობ, ერთი წამით, აი, ასე. /იღებს ძუძუს, იწურავს ხელის გულზე/ აჰა, რძეც

გავაჩინე, ოთახში მოგაწოდო? აღარ გინდა? ნუთუ ასე უცებ გაიზარდე, რამოდენა ხარ უკვე, ოღონდ ხომ გეუბნები, ეგ ჩანთა ნუ გაქვს ეგრე მხარზე გადაკიდებული, დაიჭირე ხელში, როგორც წესიერ ბიჭს შეეფერება, ასე კი მარტო ქუჩის ბიჭებმა იციან გადაკიდება. ახლა წადი, დაგაგვიანდება. მოიცა, ეგ სისხლი რაღაა, იჩხუბე? ძალიან გცემეს? მართალი თქვი, ხომ არ მოგკლეს, არა? ვიცი, ვიცი. ჩუმად დაიბანე პირი, მამამ არ გნახოს, და მეორედ აღარ გაბედო. არა გრცხვენია? აი, დეიდა იულაც გიყურებს, შენ კი უხეშობ, ყველას ცუდი ჰგონიხარ, მარტო მე, მე ვიცი, არა ხარ ცუდი, ნაზი და კარგი ბიჭიკო ხარ. ისევ მისდევ კატას, რა დაგიშავა, მოუკვდი დედას! დედას მოუკვდი?! ეგ სიტყვა აღარა თქვა მეორედ, აბა, შენ თითონ თქვი, რა სიტყვაა სიკვდილი, იმიტომ ბრაზობენ შენზე სკოლაშიც, მე კი ვიცი, შენ არა ხარ ცუდი, ყველას ჰგონია, რომ კატებს დასდევ და კლავ. წასვლა მოგინდა? უეჭველად, თანაც? კარგი, მე უარს არ გეტყვი, არ მინდა გაწყენინო, ოღონდ ჯერ მოდი აქ, დაივარცხნე თმა, ასე უკან, სულ უკან, ნუ ურჩობ, რა არის, ერთ საათში მოდი, იცოდე; ოოჰ, როგორ მირბის, რა გაუგონარია, თმა კი მაინც არ დაივარცხნა გვერდებზე; წავიდა...ჩუუუ... არ გაიგონოს, საშინლად არ უყვარს, როცა იმაზე ლაპარაკობენ, განსაკუთრებით როცა აქებენ, მე კი მეპატიება, დედა ვარ, თან ისე მინდა მოვყვე რამე ჩემ ბიჭზე, ჩუუ, ოღონდ იმან არ გაიგონოს, მისმინეთ!

შარშან სოფელში, ო, ეგ წელი არ დამავიწყდება,
როგორ გრილოდა, ჩვენ სახლი გვქონდა მაღალ
გორაზე,
დიდი, გაშლილი მუხების ქვევით,
იქ, ცივ წყაროში, სულ ყოველ დილით
ჩემი ბიჭუნა ტანს იზელავდა,
მერე მირბოდა სათამაშოდ,
ბიძამისმა რომ გაუკეთა იმ მშვილდისარით.
ესროდა ჩიტებს და ხმლით დასდევდა დიდკუდა
კატებს,
მე სულ ვბრაზობდი, სხვებიც ჯავრობდნენ,
მაინც მიყვარდა,
მეპატიება, არა?
მე ხომ დედა ვარ და კარგად ვიცნობ.
ერთხელ მდინარის პირას ვიჯექი,
ადიდებული და ამღვრეული მოდიოდა მაღლა
მთებიდან,
დიდი და შავი ღრუბლის ლაქები გადადიოდნენ
წყალზე ზევიდან,
ის იყო წვიმამ წამოიწყო,
ცოტა შემცივდა,
გვერდიდან უცებ გავიგონე რაღაც ხრიალი,
ბუჩქთან, ჩემს უკან, ვიღაცა გლეხი
ურემს ტვირთავდა მრგვალი რიყის ქვით.
ახლაც არ ვიცი, რა დაუშავა
თვალდახუჭულმა პატარა ფისომ,

რომელიც იქვე მზეზე თბებოდა,
მან ხელი სტაცა,
შიგ შუა მორევში გადაისროლა,
ცრემლით გამევსო მაშინ თვალები,
ის გაიჯგიმა, გაიცინა _ უგნური გლეხი
თავს იწონებდა, ეტყობოდა, თავისი ქცევით.
ო! ღმერთო ჩემო, ნუ გამახსენებ,
ჩემი ბიჭუნა სულ ამოსვრილი,
მხარზე მშვილდისრით
გადმოხტა ტყიდან, წყალში შევარდა,
ერთი შევკივლე, მისი ყურება მე არ შემეძლო,
ოჰ, რა სუსტი ვარ, რომ ვერ ვუშველე,
როცა გონს მოველ, ჩემ წინ, ფერდაზე,
ეგდო ის კნუტი,
ჩემი ბიჭუნა კი ისევ მარტო მიხტოდა ტყისკენ
სულ გაწუწული,
მერე წავედით...
ჰო, რას ვყვებოდი... წავედი, ოჰ, თავი, ღმერთო, მომაგონე, სად გავჩერდი, აქ, ამ ადგილას მახსოვს, ჰო, ის აქ ცხოვრობს, აქ გადმოსახლდა ახლა, მგონი, თან როგორ გაიზარდა?! მართლა! რომ იცოდეთ, გუშინ რა მოგვივიდა, რა კარგი იყო, ახლა კი იშვიათია კარგი ადამიანის ნახვა, გუშინ, სწორედ ბედზე, სულ ყველა კეთილი ხალხი ვნახე, რამდენი კარგი თქვეს ჩემ ბიჭუნაზე, ტაშიც კი დაუკრეს, რა მადლობელი ვარ იმათი. ეს რას გავს, სად დაიკარგა ამდენი ხანი, მე ხომ მახსოვს, რომ ბოლოს აქ ცხოვრობდა, აქ მქონდა მეც სადღაც საქმე, არა, სახლში ვერ წავალ, აქ მოვა ის, ასე შემპირდა, გუშინ, როცა მარტოკა იჯდა, იქით კი ორი კაცი ედგა თოფებით, მერე მელოტმა მოსამართლემ თქვა, რომ დახვრეტენ და ყველამ ტაში დაუკრა _ რა კარგია დახვრეტა, არა?! ამდენი ხალხი ჩემ ბიჭს უკრავდა ტაშს, მახსოვს, სიხარულით ვიკივლე, ვიტირე, გონიც კი დავკარგე და მერე ცოტა ამტკივდა თავი, ოოჰ, ახლაც მტკივა. ნეტა, არ გაივლის? ჯობია ჩამოვჯდე, იქნებ წავთვლიმო კიდეც და გაიაროს. გისმენთ! თქვენ ვინა ხართ? /მათხოვარს/ ახლავე გიცხადებთ, ფული არა მაქვს, არც სხვისი მინდა რამე, მე ისე, ცოტა ხნით აქ ჩამოვჯდები, ჩემი ბიჭუნა თუ მოვიდეს, უთხარით რომ ვუცდი...
ასე... /ჯდება, თვლემს, მარინაც ჯდება თავის სკამზე/

/მათხოვარი სინათლისკენ ინაცვლებს, ბოძის ქვეშ. დედის სიტყვებთან ერთად ნელ-ნელა ღამდება და ბოლოს ინთება ნათურა, ბაცად ანათებს სცენას, მათხოვარი თავისი ადგილიდან ლაპარაკობს/

მათხოვარი: საწყალი ქალი,
დღეს-ხვალ შვილს კარგავს,
გადასცდა ჭკუას დიდი დარდისგან.
მე მისი მესმის,
მაგრამ ჩვენს დათოს რა მოუვიდა,
ისიც დარდობდა?
_ ნეტავი ჰქონდეს მაგისი თავი,

ახლა ერთობა სადმე, თავისთვის,
დედა კი, ალბათ, უშლის თბილ ლოგინს.
უკვე დაღამდა,
წავალ,
მოვძებნი სადმე პოდიეზდს დასაძინებლად.
_ ძილი ნებისა, უბედურებო.
_ ღამე მშვიდობის ძილი მისურვეთ, სამაგიეროდ.
მივალ,
თავს მივდებ სადმე კიბეზე,
თქვენ კი იფხიზლეთ, ხმებს მოუსმინეთ,
სიზმრები ნახეთ.
/გამოდის ცოტა წინ და სიღრმეში, ლაპარაკობს ყრუდ/
აი, ვინ არის უბედური /იდებს გულზე ხელს/,
გიჟსაც აქვს ბინა,
ქურდსაც, ავაზაკს ციხეში მაინც,
ოჰ, დიდო ღმერთო, რა დაგიშავე,
რატომ არ მომკალ იქ, ჩემ სოფელთან,
სადაც დავკარგე ორივე ფეხი, სმენა, ხელები,
ჩემი კაცობა,
სადაც დავკარგე სირცხვილის გრძნობა...
მაგრამ რას ვიზამ, ეს არის ბედი,
ალბათ, უბედურთ
და მე ნუგეშად ისიც მეყოფა:
რაც გინდა იყოს,
ცუდი ცოცხალი სჯობია კარგ მკვდარს.
/ნელა უკან-უკან მიგორავს, მარინა თავის ოთახში დადის, ხან გაჩერდება და მაღლა იყურება, უცებ ტრიალდება, ისმის ხმები: ერთი, ორი ან რამდენიმე ლაპარაკობენ/

ხმები /აქეთ-იქიდან/:

მარინა! მარინა! მარინა!
შენ კიდე სახლში ხარ. წადი საფლავზე, იქ ბუჩქები ამოვიდა გიოსთან, ვეღარც კი იცნობ იმ ადგილს, იმის გვერდზე, წინ, უკან, ახალი უცხო საფლავებია, კიდე ემატება, წადი ჩქარა, თორემ დაიკარგები, ვეღარ იპოვი, ერთი დღე და ზედ დაასაფლავებენ ვინმეს, მერე აღარ გექნება ადგილი, სადაც უნდა იტირო, იჯდე, რას უნდა მოუარო? დარჩები მარტო, დარჩები უსაფლავოდ, კიდე დგახარ?
რა მოგივიდა, არ შეგიძლია წასვლა? ნუთუ ასე იმოქმედა იმ ბიჭის დახვრეტამ, თუმცა რა იცი, ჯერ ორი დღეა, შეიძლება არც დახვრიტონ, შეიძლება იცოცხლოს.
მარინა! მარინა! მარინა!
გამოფხიზლდი, ნუთუ გინდა რომ იცოცხლოს, აა? თუ გეშინია, რომ გაიქცეს და აღარ მოკლან _ არა! უეჭველად დახვრეტენ, ის ახლა სულ მარტოა სიკვდილმისჯილების საკანში, სქელი, დაგრეხილი რკინებით ჩაწნული კარების უკან, უზარმაზარი რკინისავე ურდულით და ბოქლომით ჩაკეტილში.

ხმა: იქ ცივა, სიჩუმეა, ყინავს.

ხმები: /ბოროტად ხრიალებენ/ ნუ გვაწყვეტინებ, ჩვენ უკეთ ვიცით, იქ თაგვებიც კი არ დარბიან, ის წევს გულაღმა, ქვევით სუფთად დაგვილი მიწის იატაკია... მწვანე თვალები ღია აქვს, ანათებენ, არ ტირიან, არც უნდათ, რომ მოინანიონ ცოდვა. შენ რა გაწუხებს, უკეთესი, იქაც ეწამება წასავალში. ითვლის წუთებს, ერთი... ორი... სამი... სულ პატარა ხმასაც კი ეპოტინება, აი, გაიჩხაკუნა სადღაც, ნუთუ დრო მოვიდა – ოო, როგორ ელის, რომ აპატიებენ, თუ არც უნდა პატიება? თვალებს ხუჭავს, მოუჭირა გუგები ერთმანეთს, ტყუილად, იქ ცრემლები არ არიან... ჰა, ჰა, ჰა, ჰა, შეეშინდა, ტირილი მოუნდა, შეეშინდა, ვაითუ დახვრიტონ, გიკვირს?! არა, მაინც ეჭვი ეპარება, სანამ ცოცხალია, არ შეუძლია თავი მკვდრად წარმოიდგინოს... ისევ ნაბიჯები, მერე ტრიალდება გასაღები, ხრიალით ხსნიან მძიმე ბოქლომს, იღება კარები.

ოო, რამდენი ძალა უნდა, რომ არ შეიმჩნიოს, არ წამოხტეს, არ იყვიროს, თუ თავი აღარა აქვს არაფრის; ის წევს, ეს მხოლოდ ექიმია, შედის, უხმოდ სინჯავს. აბა, რა გეგონა, განა შეიძლება ავადმყოფის დახვრეტა, როცა კარგად აღარ ესმის რას უშვრებიან _ ჯანმრთელია, მიდის ექიმი _ ხვალ ისევ მოვა, ხომ შეიძლება ერთ დღეში გაცივდეს, ადამიანს სულ წამი ჰყოფნის, მაშინ წამლებს მოუტანენ, ან საავადმყოფოში გადაიყვანენ სიკვდილამდე, შენ კი გეგონა შური იძიე, ხედავ, როგორ უვლიან!

მარინა: ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რა ვქნა, მირჩიე.

ხმა: წადი საფლავზე, ღამე კარგია იქ, ახლა გიოს სულიც ამოსული იქნება მაღლა, ის კმაყოფილია, გელის, ხედავ?! როგორ მოდის შენკენ, ფეხსაც კი არ აკარებს მიწას, ნუ, მარინა, თვალებში არ შეხედო, ოჰ, რა უმადურია მკვდარი ადამიანიც კი, შენ ამდენი იწვალე, რა არ ქენი მისთვის, ის კი როგორ გიყურებს, მიდი, აკოცე, ო, უმადურო ლანდო, ბრუნდები იქით? არ იღებ შენ სიყვარულს, ახლა აღარ გინდა. რა, სულო, მარტო გირჩევნია მანდ ყოფნა? ჩვენ აღშფოთებულები ვართ, ხმები. ო, უმადურებო.

ხმები ერთად: წადი, წადი საფლავზე, არ მიდიხარ? კიდე დგახარ გაქვავებული, ოოჰ, მაგის ნუ გეშინია, ეგ გიჟი ქალია; დედაა? მერე რა, რომ დედაა, გიჟი გიჟია.

ხმა: გიჟი დედაც -_ დედაა.

ხმები: მაგას ყურს ნუ უგდებ, ხომ ხედავ, არც კი ესმის ჩვენი, ზის და იყურება მაღლა, მაგან წეღანვე გაიღვიძა, ჰგონია, აქ მოვა მისი შვილი, ხე, ხე, ხე, ხომ გითხარით, არ არის ჭკუაზე, ან აქ რა უნდა, გზა აერია და მოვიდა, გადი ფეხაკრეფით, ვერც კი გიცნობს, რას უცდი, წადი ჩქარა, თორემ გათენდება და გიოს ვეღარ ნახავ.

ხმა: მოიცა, მარინა! მიდიხარ? სად? გახვალ თუ არა, გაიგონებს, ან სად გაექცევი, იქაც ის იქნება, იმ ბიჭის სახე, იმ ქალის სახე, დაიცა – იფიქრე, ჯერ კიდევ დრო გაქვს.

მარინა: დრო? დრო, დრო მაქვს? რომელი დრო, რაღაც არ მესმის, მა-ცა-ლეთ... ოჰ, რა საოცრად ნელა გადიან წუთები და როგორ უცებ მირბიან წლები, საწყალი ბიჭი, ჩემი საყვარელი გიო, ვეღარც კი ვიდგენ კარგად ცოცხალს და სულ მგონია, რაც დავიბადე, იმის შემდეგ ასეთი ღვარძლით ვიბრძვი მისი ხსოვნისთვის, რა ბოროტი გავხდი... ღმერთო ჩემო... დავსუსტდი... აღარა მაქვს არაფრის თავი, არც მესმის არაფერი, დავიღალე. ოოჰ, კიდევ ხმები, აა, თავი მტკივა მეც, დამასვენეთ, გესმით, აღარ შემიძლია, ნუთუ

ეს არის შურისძიება, რომ უარესად ვეწამო, შე-მე-შვით, მინდა ვიჯდე ასე, ნახევრად ძილში, თვალწინ მედგას გიოს სახე.
გიო, ჩემო ჩოლკიანო ბიჭო, ჩემო ვაჟკაცო, ... ღმერთო, მომაგონე მისი იერი, ოოჰ, არა, არა ისევ უბაცდება სახე, ეს მისი თვალები არ არის, ნუთუ ისევ სხვას ვხედავ, დავხუჭავ თუ არა თვალებს, ოო, ეგ ქერა ჩოლკა შენი არ არის, ნუ მატყუებ, არც თვალები. შენ მწვანე არა გქონდა. ვიცი, ეს მისია, მისი, აი, უფრო ცხადად ვხედავ, ოო, რა უბრალოდ მიყურებენ ეს მწვანე თვალები, ზიზღიც კი არა აქვთ, არც მონანიება, ღმერთო ჩემო, ისე მშვიდად იყურებიან, ვერც ვაგდებ, იყურონ, იყურონ, იყურონ ცოტა ხანიღა დარჩათ და დაიხუჭებიან. ასევე იყვნენ გიოს თვალებიც, დაიხუჭნენ და ახლა ვეღარა ვხედავ, ეგენიც ჩაქრებიან, დაეკარგებათ სინათლე, ნუთუ, ეგენიც?
... ოჰ, როგორ დავიღალე, აღარ მინდა არაფერი, დამასვენეთ, გესმით?

ხმები: იძინე, მარინა! დაისვენე, ჩვენო საყვარელო, ჩვენ ნანას გიმღერებთ, არ გინდა? აბა, მარტო ხომ არ დაგტოვებთ, ახლა ჩვენთან ერთად იქნები ყოველთვის _ საცა შენ, იქაც ჩვენ. ეგ სახე გტანჯავს? მწვანე თვალები. რა, მოგწონს, კარგი ბიჭია, არა? ვაჟკაცი. გინდა ახლა, რომ ეგეც მოკვდეს. ეგ ერთიღაა, ვისაც ასე ახლოს იცნობ, ვისზეც ამდენს ფიქრობ, როგორც კაცზე, როგორც ცუდ კაცზე, ოღონდ მაინც კაცზე, არა? თქვი მართალი, ჩვენი ნუ გერიდება, ჩვენ განუყრელები ვართ ახლა შენგან.

ხმა: ჩუმად! აგერ დედამისი, გაიღვიძა, მგონი, აქეთ მოდის, ნუ გეშინია, სწორედ ახლა ვიყავი მე მასთან და გავაღვიძე.
/შემოდის დედა/

დედა: მშვიდობა ამ ოთახს, იწექით, იწექით, ჩემო გოგონა, ფერი აღარა გაქვს, რა მოგივიდა, მითხარი?
მართლა მინდოდა გამეგო, ჯერ არ მოსულა ჩემი ბიჭი, დაწყნარდი, გენაცვალე, მოვა, სწორედ ახლა წამთვლიმა, ძილში მოვიდა უცნობი ულვაშა კაცი, მე მინდოდა გამეგდო, მაგრამ შემეშინდა _ ის ცოტა ხანი ჩუმად იყო, მერე თქვა: მარტო მაგ გოგოს შეუძლიაო შენი ბიჭის მოყვანა, მე შენ ხომ გუშინაც გნახე, მოიგონე, მოიგონე? ჩემი ბიჭი მარტო იდგა იმდენ ხალხში, მერე ტაში დაუკრეს, გახსოვს?

მარინა: /თავისთვის/
/ისმის ტაშის ხმები, მარინა იხევს უკან, ყურებზე იკიდებს ხელს/ ხალხი, ხალხი და ყველანი მე მიკრავდნენ ტაშს, მთელი დარბაზი, მთელი გზა ის ხმა, ახლაც ტაშის ხმები, რომლებიც მე, მე დავიმსახურე მხოლოდ, კაცის მოკვლისთვის. აბა! /იმართება უცებ/ ეს მე მიკრავდა ხალხი ტაშს, მე გავაკეთე ეს _ იმ ბიჭს დახვრეტა მიუსაჯეს და დავიმსახურე ტაში. აბა! აბა! /უცებ ეშვება/ ღმერთო ჩემო, ნუთუ ეს შენა ხარ, მარინა, შენ, კაცის მკვლელი? მითხარით ჩქარა, ჩქარა! ნუ მტანჯავთ, რა, ხმები! ხმებია, ყურებში მიდგას... თუ მეჩვენება, რომ გიოც ბრაზობს ჩემზე, რისთვის?! ოჰ, ნუთუ ასეთი ვარ. თავი, ფეხები, ვეღარც ვიძვრი ადგილიდან, დავსუსტდი სულმთლად, რამდენი ძალა მქონდა ცოტა ხნის წინ, ღმერთო, მომეცი უნარი...
არა! დავძლევ კიდევ თავს, ვიშოვი ძალას, ასე, მარინა, გაიმართე, მარინა!
...

ჯერ კიდევ არ არის გვიან

დედა: უკვე დრო არის, ჩქარა გათენდება, ჩემო გოგონა, წადი და ჩემი ბიჭი მომიყვანე, მე კი აქ ცოტას ჩავთვლემ...

მარინა: ღმერთო დიდებულო, შენ მითხარი მართალი, შენ მიშველე.

/იწერს პირჯვარს, მიდის, ნელ-ნელა თენდება, მოგორავს მათხოვარი. //»*ჯერაც არ გამოგორებულა!!!* (ხაზი ჩემია.)//

მათხოვარი: უფალო, შენ მაშოვნინე დღეს ბევრი ფული და კვირის თავზე სანთელს დაგინთებ, თუ უფრო მეტს მაშოვნინებ ორს დაგინთებ, ხო ვიცი, შენც მექრთამე ხარ, არა? /ეშმაკურად უკრავს თვალს/ მარინაც უკვე წავიდა გიოს საფლავზე, ღმერთო, შენ სახელს დიდება, ერთ სანთელსაც გიოს სახელზე დაგინთებ, ბევრჯერ მოუტანია ხუთმანეთიანი. /ამასობაში ცირას ოთახში მეორე ოთახიდან _ ის ოთახი კულისებშია _ გამოდიან მარგო, ნატა, ნანა, სუსანა, სხდებიან საწოლიდან მოშორებით, ქეთო ჩაის აწყობს/

ნატა: რა კარგია, დღეს კვირაა, მთელი დღე თავისუფლები ვართ.

მარგო: არ გვეკუთვნის თუ, რასაც ჩვენ ვშრომობთ.

ნატა: ვინა თქვა, რომ არ გვეკუთვნის, пологается и отдыхаем, ქეთო, ხომ იცი, მე მაგარი ჩაი არ მიყვარს, შენ, სუსანა, როგორი დაგისხა, მოდი აქ, ნანა, აი, თუმანი, წადი, კუთხიდან ნამცხვარი მოიტანე.

მარგო: ოღონდ ნიგვზიანი, იცოდე, ფხვიერი, გაიმეორე.

ნანა: ნიგვზიანი, ფხვიერი.

ნატა: ხურდას მოიტან, იცოდე, კარგა დათვალე, გესმის.

ნანა: ორ მანეთს, არა?

ნატა: ხედავთ, უკვე იცის, ეგ ისეთი ყოჩაღი მყავს, სახლში ყველაფერს თვითონ აკეთებს, როცა მე სამსახურში ვარ. საწყალი სიკო, ნეტა მოსწრებოდა.

მარგო: შენ ბავშვი მაინცა გყავს, а я совсем одна.

ნატა: მშურს შენი ბედი, შენ ჩემზე კარგადა გაქვს აწყობილი მაინც საქმე, რას მედრები, ასეთ პატარას მოვლა არ უნდა, სამსახური _ სახლი, სახლი _ სამსახური, სულ გამუდმებით გზაზე ვარ.

ქეთო: თქვენ რა გიჭირთ, აი მე... /იხედება ცირასკენ, უცებ წყვეტს, სუსანას.../ თქვენ მაგარი ჩაი დაგისხათ?

სუსანა: დიახ, საშუალოდ.

/ქეთო ასხამს ჩაის, ბავშვი ხელში ფულით გარბის, გზაზე ფეხს წამოჰკრავს რაღაცას და ღრიალით ბრუნდება უკან/

ქეთო
მარგო } კარგი, აღარ გინდა.

ნატა: შენ ხომ ვერსად გაგაგზავნის კაცი, რა ბავშვია, პირდაპირ არ ვიცი.

მარგო: არაფერიც, ეს ჩემი გოგოა, მოდი, გაკოცო, ახლა თვალებში, კარგი გოგო ვინ არი? დედა უფრო გიყვარს თუ მამა? მითხარი, გეთაყვა.

ნანა: დედა.

მარგო: სულ დამავიწყდა, მამა გახსოვს?

ნანა: არა.

ქეთო: დაანებე ბავშვს თავი, მარგო. ნანა, გაიქეცი, გენაცვალე, მარინას დაუძახე, ჩაი დავალევინოთ.

ცირა: არ არის სახლში, მისი ფეხის ხმა გავიგე, წავიდა, გუშინ კიდე უფრო ადრე წავიდა.

მარგო: интересно где она теперь ходит.

ნატა: ალბათ, საფლავზე, სხვაგან სად უნდა წავიდეს.

სუსანა: ახალი ამბავი იცით? მაგის შესახებ სწორედ.

მარგო: ჰო, მკვლელს მიუსაჯეს სიკვდილი, по заслугам.

ნატა: он то по заслугам, მაგრამ ეგ გოგო რაღაც ქაჯი ყოფილა პირდაპირ, ასეთი გამბედაობა? ჩემი გულისათვის რომ ვინმე დახვრიტონ, გინდა ჩემი ქმრის მკვლელიც იყოს, არა, ამას ვერ ვიზამ, უწინ თავს მოვიკლავ, ვერა, არ შემიძლია, ქალი-ქალია, რაც გინდა თქვით.

სუსანა: ყური დამიგდე, ნატა, მე მაგაზე არ ვამბობ, ეგ უკვე მოძველდა, მაგ ამბის შემდეგ ორი დღე გავიდა.

ქეთო: აბა, რის შესახებ.

სუსანა: მარინაზე.

მარგო: კიდე იყო რამე?

სუსანა: /ახლო მიიწევს/ გუშინ დილით პროკურატურაში იყო და განცხადება დაწერა, არ ვილაპარაკეო სწორი სასამართლოში, არ არისო დახვრეტის ღირსი, თან ახსნა-განმარტება დაამატა, გული გაუხდა ცუდად, რაღაც არეულივით ლაპარაკობდა, ექიმმა თქვა შიმშილისგან აქვსო ეს, მის ჩვენებას არ იღებენ მხედველობაში.

მარგო: неужели? да от истощения сил.

ნატა: საწყალი, ადრევე ეტყობოდა, რომ აირია.

სუსანა: რაც მთავარია, კიდე არ მითქვამს. /უფრო ახლო იწევენ ერთმანეთთან, ისე, რომ ცირამ ვერ გაიგოს, ცირა იქითაა გადაბრუნებული/

სუსანა: ჩვენი მთავარი მსაჯული გიჟდება მარინაზე, მე ხომ მისი მდივანი ვარ, ყველაფერს ლაპარაკობენ ჩემთან _ ჩემი საქმე პატარაა, ვზივარ და სასამართლო ოქმებს ვწერ. იმათ ჰგონიათ, მარტო ასოებს ვხედავ საერთოდ და ხმა არ მესმის; გუშინ კაბინეტში მოვკარი საიდუმლო ლაპარაკს ყური: ჩემი უფროსი ეუბნებოდა თავის ნაცნობს, _ ერთი ახალგაზრდა ბიჭია, ეგეთი მოხერხებული ყმაწვილი იშვიათია, _ ხმას დაუწიეს, მაინც გავიგონე: ჩემი გახდეს და ყველა კაპრიზს ავუსრულებო.

ნატა: ნეტა, რა მოსწონთ მაგ გოგოსი ასე, არ მესმის პირდაპირ.

მარგო: შენ ისევ შენსას იძახი, მე სულ სხვა არ მესმის, добилась одного, ახლა აღარ უნდა, მართლმსაჯულებას ხომ არ შეუძლია ხან ასე, ხან ისე, как она захочет, მე მგონია, она просто сошла с ума, да, от истощения сил.

ქეთო: ღმერთო, შეგცოდე, ბოლო ხანებში მართლა არ იყო ნორმალური, მგონი, ობლად გაზრდილი ბავშვია, თან სულ მარტო ცხოვრობს, საწყალი.

მარგო: რაც მართალია _ მართალია, ზოგს დარდი უხდება, она безусловно изменилась к лучшему, прямо красавицей стала.

ნატა: что за вкус у людей, რა მოსწონთ ასე მისი.

ქეთო: მოიცათ, მოჰყვეს სუსანა.

სუსანა: ის ყმაწვილი, მსაჯულის ნაცნობი, რაღა ყმაწვილი _ უკვე კაცია, ასე ოცდაათის იქნება, შეხვედრია მარინას, ოღონდ რა თქმა უნდა, პირდაპირ არ უთქვამს, ის ჭკვიანი ბიჭია, თან ცდილობს მთავარი

მსაჯულის გული მოიგოს, მასზეა მისი ბედი დამოკიდებული, ერთი კარგი ადგილი გათავისუფლდა და იმას უმიზნებს.

ქეთო: ღმერთო ჩემო, ეს რა მესმის, ღმერთო ჩემო, არა, საწყალი გოგო არ არის ნორმალური, მე ნამდვილად დამნაშავე ვარ, მაგრამ რა უნდა მექნა, ნუთუ ჩემი ბრალიც არის, ჩემი ცირას ბავშვობის მეგობარი ასეთ დღეში, მე უნდა მომევლო, წარმოგიდგენიათ, ცირა რომ იყოს მის ადგილას, არა, შეუძლებელია, ცირა სულ სხვანაირია. მერე, მერე, სუსანა.

სუსანა: დღეს ოთხ საათზე უნდა შეახვედროს ვითომ მოსალაპარაკებლად.

ქეთო: ღმერთო ჩემო, რა ვუშველო, ღმერთო ჩემო, საით წავიდე.

ქალები: /ლაპარაკობენ ყველანი ერთად/

_ დაწყნარდი, დაწყნარდი.

_ შენი ნერვების აშლა არ შეიძლება.

_ შენ უკეთ იცი ეს.

_ არაფერიც არ იქნება.

_ ნუ გეშინია, ქვეყანა ჩალით კი არ არის დახურული.

_ თანაც მარინა ისეთი ყოჩაღი გოგოა.

_ მარინას ძვირად ხმას ვერავინ გასცემს.

ნატა: სინდისმა თუ დაქეჯნა ბოლოს.

ქეთო: ძია მათხოვარა, ძია, /მათხოვარი მოგორავს/ იცი რა, ჩვენი მარინა ცუდ დღეშია, აღარ არის ჭკუაზე, ახლა გავიგეთ, თავისი ქალიშვილობის ფასად, _ საწყალმა თვითონაც კი არ იცის ეს, ვერცა გრძნობს, _ უნდა ციხიდან გამოიყვანოს მკვლელი, ვინც თითონვე მიიყვანა დახვრეტამდე, შენ ყველა იცი სად ცხოვრობს, გაქანდი მთავარი მართლმსაჯულის ბინაზე, იქ იქნება მარინა, ვითომ ფულს სთხოვ, უთხარი, რომ მოატყუებენ, იმას მაინც დახვრეტენ, არ შეუსრულებენ არაფერს, გაქანდი ახლავე, მოიცა, აჰა, თუმანი, გეყოფა? მერე კიდე მოგცემ.

სუსანა: ქეთო, შენ მე დამღუპე, რომ გაიგოს სამსახურიდან მომხსნის უეჭველად.

მარგო: /ნატას/ каждый о себе думает.

ნატა: სუსანა სწორია, რატომ უნდა დაიღუპოს სხვისი გულისთვის, თანაც ასეთი საზიზღარისთვის, როგორიც მარინა გამოდგა. თქვენ წარმოიდგინეთ, ისე დავიბენი, ვერც კი შევაფასე მისი საქციელი. ახლაც, სუსანა რომ არა, ვერ გავიგებდით ვერაფერს. ღმერთო, ნუ მიწყენ, ისეთი ეჭვები მებადება გიოს მოკვლაზე, რა ერთგული გვეგონა და რა ყოფილა მარინა, ხედავთ, ხედავთ სადამდე მიდის ადამიანის ვერაგობა, როგორ აგვიხვია ყველას თვალები. ქეთო, ტყუილად ზრუნავ მისთვის, მე მგონი, ჩვენზე უკეთ ესმის, რასაც აკეთებს, ღმერთო, როგორ აგვიხვია ყველას თვალები.

მარგო: მე თავიდანვე ასე ვფიქრობდი, რომ რაღაც იმალება მანდ, что-то нечистое.

ქეთო: კი, მაგრამ რათ უნდა ყველაფერი ეს, მაინც არ მესმის, არ მესმის, ღმერთო მოწყალე, საწყალი მარინა.

/ცირა მთელი ამ ხნის განმავლობაში სლუკუნებს, ტირის, მერე საბანს იხურავს თავზე, ქეთო მიდის, ეფერება/

ქეთო: ნუ ტირი, ცირა, ყველაფერი კარგად იქნება.

სუსანა: /ქეთოს/ რა მიყავი, ქალო, დამღუპე, სამსახური დამაკარგვინე, შენ ჩვენს მსაჯულს არ იცნობ!...

ქეთო: არა, მეც უნდა გავიქცე, /ემზადება ფაცაფუცით/ ოჰ, უკვე საღამოვდება, საცაა დაბნელდება, აღარ მესმის რას ვლაპარაკობ, ისე დავიბენი.

/იღებს ჩანთას, იხედება სარკეში/

ცირა: /ქვითინით/ ჩქარა, დედა, გეთაყვა, შენი ჭირიმე.

/ქეთო გადის, ისმის გორგოლების ხმა, მოგორავს მათხოვარი, ღამდება ამასობაში, ინთება პატარა სინათლე, დღის სინათლეც არის, ოღონდ ბაცი/

ქეთო: ჩქარა, ჩქარა თქვი, რაშია საქმე, როგორ არის.

მათხოვარი: /ორივე ხელს მაღლა იშვერს/ ჩემი თვალით ვუყურე, ჩემი ყურით გავიგონე, მეორე მხარეს ავგორდი გორაკზე, მსაჯულის სახლში სინათლე ენთო, ფარდის ჩამოფარება დავიწყნოდა, ღმერთია მოწამე.

/ყველანი გარეთ გამორბიან, ცირას უნდა ადგეს, გამოიქცეს, ეცემა იატაკზე, წამოიწევა, ქვითინებს/

მარგო: მერე, მერე, как она.

სუსანა: ვერ მოასწარი გაფრთხილება? ხომ არ გაუგია მსაჯულს.

ნატა: აცალეთ, მოჰყვეს, თქვი.

ქეთო: /თავზე აქვს მოკიდებული ხელი, გაქვავებული დგას/

მათხოვარი: მარინა ჩუმად იყო, თმები ჰქონდა აშლილი, სულ აწეწილი, წამოდგა ტახტიდან, მშვიდად გაისწორა კაბა, წამოსვლის დროს თქვა: მე არ ვნანობ, ახლა მჯერა, რომ იმას აღარ დახვრეტენო და გამოვიდა – მსაჯული იჯდა სავარძელში მოღუშული და სწევდა პაპიროსს, მერე მე გამოვქანდი, მინდოდა მომესწრო მარინასთვის, დღეს ღამის თორმეტ საათზე ხდება სამოცდათორმეტი საათი, თუ უკანასკნელ ცნობებში არ თქვეს, არ დახვრეტენ.

მარგო } კი, მაგრამ რაშია საქმე _ რად უნდოდა

ნატა } ყველაფერი ეს _ არ გვესმის.

სუსანა }

ნატა: მე მგონი, მესმის, აქ რაღაც არაწმინდაა, неужели это страшное убийство было подстроено ею და ხალხის თვალის ასახვევად...

მარგო: ეგ მე დიდი ხანია ვიფიქრე, боже мой, да, что-то есть нечистое.

სუსანა: ნამდვილად არ გაუგია მსაჯულს?

/მათხოვარი ყურადღებას არ აქცევს/

მათხოვარი: ღმერთი დიდია, ქვეყანაც.

/მარინას ოთახში ძაღლი ყმუის ხმამაღლა, დედა, რომელსაც მჯდომარეს ეძინა აქამდე, გაღიმებული სახით გამოდის, გაწეწილი, გრძელი თმებით, ერთხანს დგას, ვერავის ვერ ხედავს, ყველანი უფრო შფოთდებიან, მერე მიდის, იკარგება შუკაში; ნელა მოდის მარინა/

ნატა: /ნანას/ შედი ოთახში, ფეხებში გვედები, არ არის შენი საქმე.

ქეთო

სუსანა } ჩვენც შევიდეთ. /შედიან ყველანი/

/მათხოვარი კუთხეში იყუჟება, გამოდის დათო, მერე მარინა, წინ უშვებს და უკან მისდევს, მარინა ხელს გადაუსვამს თავზე, გაუღიმებს. სულ ღამდება, მარტო ნათურები ანათებენ. მარინა მაღალფეხება სკამზე ზის, თითქმის ბნელ ოთახში, აქეთ პატარა ნათურა ანთია ბოძზე, რადიო ლაპარაკობს ახალი ჰესის მშენებლობის დამთავრების შესახებ, რომლის გახსნასაც ხალხი აღფრთოვანებით შეხვდა. საათი რეკავს თორმეტჯერ. მარინა ზის და თავი მაღლა აქვს აწეული/

_ ვაგრძელებთ უკანასკნელი ცნობების გადმოცემას _ /აცხადებენ რადიოში/ _ მოისმინეთ ქალაქის ამბები.

კაცის ხმა: გუშინ გაიხსნა ახალი უგამყიდველო მაღაზია, მომხმარებლებმა თავიანთი აღტაცება გამოხატეს.

ქალის ხმა: სამი დღის წინ /რადიო ხრიალებს, ხმები აღარ ისმის, მერე ხრიალი წყდება და მკვეთრად გაისმის/ სასამართლოს გადაწყვეტილებას ხალხი აღფრთოვანებით შეხვდა – განაჩენი მოყვანილია სისრულეში. /ძაღლი, რომელიც წკმუტუნებდა, ხმამაღლა ყმუის. მარინა ისევ ისე გაშეშებული რჩება/.

ფ ა რ დ ა

ჩემი აზრით, პიესა არ არის ცუდი. ერთადერთი ის მაწუხებს, რომ ერთმოქმედებიანია და პრემიერაზე შესვენების დროს (რომელიც საერთოდ აქვთ პიესებს) ვერ გავივლ-გამოვივლი ფოიეში ავტორის ღიმილით.

ბოლოსიტყვაობას მოსდევს

ანდერძი (იხ. შემდეგი გვერდი)

თუ ამოღებულ იყოს ოჯახური ცენზურის მიერ _ მოითხოვეთ!

უუჰ!

როგორც იყო დავამთავრე პიესის გადათეთრება. უღმერთოდ დამღალა – სხვა საქმე რომ მქონდეს, არასოდეს არაფერს არ დავწერდი. ღმერთო, რა დაგიშავე, რომ საერთოდ დამაწყებინე წერა! თქვენ არ იცით, ეს ნამდვილი წყევლაა, ეს იგივე თამადობაა სუფრაზე: თავი შენა ხარ, იცი სულ რამდენი ღვინოა და ვინ რამდენს სვამს. სხვები კი ტკბებიან სასმელ-საჭმელით, შენ კი იმის დროც არა გაქვს გოჭის თავი დაჭრა. ღმერთო ჩემო, ვერ გამიფიქრებია რამე, რომ ჩაწერა არ მომინდეს ან უბრალოდ, ან ლექსად, ან მოთხრობად _ ნამდვილი ტანჯვაა, რომელსაც თავს ვერ ვაღწევ, როგორც ჰერაკლე თავის 12 დავალებას.

არა! მე მწერალი არა ვარ!

მე შეყვარებული ვარ! გესმით! ოღონდ ახლა არ ვიცი ვისში. წერა მხოლოდ ნაწილობრივ მინაცვლებს ამ სიყვარულს, რითაც ძალიან მაგონებს რაიმე სერიოზული რადიოგადაცემის დროს მუსიკალურ ანტრაქტს. არც მზიას, არც რუსიკოს დროს თითქმის არაფერი დამიწერია. ვმუშაობდი მხოლოდ ინერციით _ ისეც, როცა ნაწყენი ვიყავი მათგან. ახლა არ შემიძლია, რომ არ ვწერო, სხვა რა უნდა ვაკეთო, აბა? მომიტევეთ, თუ ჩემი მოთხრობები ან პიესები ბევრ უსიამოვნებას მოგაყენებენ, შემიძლია გირჩიოთ: გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ნუ წაიკითხავთ _ მე როცა კარგ ხასიათზე ვარ, არასოდეს არაფერს არ ვკითხულობ.

რამდენიმე სიტყვა სათაურებისა და სიუჟეტის შესახებ:

არის რამდენიმე წინადადება, პიესას დაერქვას:

1. აცალეთ მარინას სიყვარული... _

ძალიან ჰგავს «მიეცით ქმარი ანნა ზაკეოს».

2. *ხმები და მარინა*
   ან } ძალიან მაგიურია
   მარინა და ხმები.

3. *მეზღვაურები პორტში _ ზედმეტად სიმბოლურია.*
4. *ტრაგედია უკაცოდ _ ძალიან აშიშვლებს.*
5. *უბრალოდ, მარინა _ ოღონდ მეშინია «ჭრიჭინა» არ ეგონოს ვინმეს.*

საერთოდ, პიესა საშინელი დაუმუშავებელია, გადმოვწერე ცალკე გაბნეული ნაგლეჯებიდან, რომელთაც არავითარი კავშირი არა ჰქონდათ ერთმანეთთან, მონტაჟზე ვმუშაობდი გადაწერის დროს. განსაკუთრებით მოუწესრიგებელია თეთრი ლექსები და გრძელი მონოლოგები, აუარებელს ლაპარაკობს მარინა ცირასთან, უფრო მეტს მკვლელის გიჟი დედა _ მეშინია სცენიდან არ გადმოაგდონ _ თანაც გიჟია, ყურს ვინ დაუგდებს, როცა დეპუტატის მონოლოგის სმენაც კი სწყინდება ხალხს თანამედროვე პიესიდან, თუმცა, შეიძლება პირიქითაც იყოს.

ნახვამდის.

1958 წლის 4 მარტი. 4. 30.

კ ა დ ა კ ო

ფიქრები გოგენის სურათთან: «მაშ, შენ ეჭვიანობ?»

პ ი რ ვ ე ლ ი მ ო ქ მ ე დ ე ბ ა

სცენა წარმოადგენს გოგენის სურათს «მაშ, შენ ეჭვიანობ?» წინ ზის ვეირამუტი, მის გვერდით წევს ტია-ტუ. უკან გაშლილია ველი. ჩამოდის მდინარე. მარჯვნივ ქოხისმაგვარი რაღაცა ჩანს; ველი დაგებულია სხვადასხვაფერი ნაჭრებით _ ჭარბობს ყავისფერი, ყვითელი. ტია-ტუ იხდის თავიდან ყვავილების გვირგვინს და აძლევს ვეირამუტს, რომელიც, თავის მხრივ, აძლევს ნიჟარების მძივებს; შორიდან ისმის უმნიშვნელო დაფდაფი და გოდება. ვეირამუტი სცენისკენ აბრუნებს თავს _ ეტყობა არ უნდა ტია-ტუს უყუროს _ და ეკითხება:

ვეირამუტი: მაშ, შენ ეჭვიანობ?
ტია-ტუ: ჰო, ჩემო და.
ვეირამუტი: მე არა.
ტია-ტუ: სწორედ მაგიტომ ვეჭვიანობ.
ვეირამუტი: მეც რომ ვეჭვიანობდე, შენ არ იეჭვიანებდი?
ტია-ტუ: არა, ცოტას.
ვეირამუტი: მე ვეჭვიანობ.

/ტია-ტუ წამოჯდება. ახლა ისინი ერთმანეთის პირდაპირ სხედან. მარცხენა მუხლის თავი მოქცეული აქვთ იდაყვის ქვეშ, ნიკაპები ზედ დაყრდნობილი, მერე ტია-ტუ დგება, იხრება დისკენ/.

ტია-ტუ: ვისზე ეჭვიანობ?
/შემორბიან კა და კო./
ვეირამუტი: ჩვენს დებზე.
ტია-ტუ: ჩვენს დებზე?
ვეირამუტი: კაზე და კოზე; კა და კო, მოდით აქ! როცა მიდიოდით, რა გითხრათ იმან?
კა და კო: გვითხრა, რომ შორს არ წავიდეთ ტყეში.
ვეირამუტი: კიდევ რა გითხრათ?
კა და კო: კიდევ გვითხრა /უყურებენ ერთმანეთს/, დიდხანს ნურც სახლში დავსხდებით, თორემ შეიძლება ავად გავხდეთ.
ვეირამუტი: კა და კო, მოდით ჩემთან. შენ აქ დაჯექი, კო, შენ აქ, კა. თქვენ კარგი გოგოები ხართ.
კა და კო: ასე თქვა იმანაც.
ტია-ტუ: იმანაც?
კა და კო: ჰო, იმანაც.
ვეირამუტი: მე მიყვარხართ თქვენ, წამოდით ჩემთან, ჩემო დებო, უნდა გაგიკეთოთ ასეთი გვირგვინი, მე რომ მაქვს.
კა და კო: მაშინ გაუკეთე ტია-ტუსაც.
ვეირამუტი: მაგას უკვე აქვს ნიჟარები დაკიდებული გულზე.
კა და კო: ჩვენც გვინდა ნიჟარები.

ვეირამუტი: არა, თქვენ მოგიხდებათ ყვითელი ყვითელთავების გვირგვინი. ის რომ მოვა, უფრო მოეწონებით, მეც მოვეწონები...

ტია-ტუ: იმას მძივები უფრო მოსწონს.

ვეირამუტი: შენ რა იცი?

ტია-ტუ: თვითონ ყოველთვის მძივები ჰკიდია.

ვეირამუტი: იმიტომ, რომ იმას ძუძუები არა აქვს.

ტია-ტუ: ის მეომარია და სპილოს ძვალი აქვს ცხვირში.

ვეირამუტი: ჰო, დიდი სპილოსი, წინათ რომ მოკლეს.

ტია-ტუ: ახლა მეც ვიშოვი ძვალს.

ვეირამუტი: სპილოს ძვალს ვერ იშოვი.

/კა და კოს სწყინდებათ, მიდიან და ყვავილებს კრეფენ/

ტია-ტუ: მე ვიშოვი სპილოს ძვალს.

ვეირამუტი: შენ სად იშოვი სპილოს ძვალს?

ტია-ტუ: იქ, სადაც მისვლა სხვას არ შეუძლია.

ვეირამუტი: მე ყვითელი და თეთრი ყვავილების უფრო დიდ გვირგვინს გავიკეთებ.

ტია-ტუ: მე დავიხატავ მკერდზე დიდ ჩიტებს, ზღვის ჩიტებს, დიდი ფრთებითა და დიდი ნისკარტით, ძუძუებზე დავიხატავ თევზებს, რომლებსაც ისინი პირით იჭერენ.

ვეირამუტი: მე დავიხატავ ძუძუების შუა ეხოს.

ტია-ტუ: ეხოს?!

ვეირამუტი: ეხოს.

ტია-ტუ: ეხოსი ყველას ეშინია.

ვეირამუტი: იმას არ ეშინია, ის ტყუილს არ ამბობს.

ტია-ტუ: ეხოსი ყველას ეშინია. შენ თუ დაიხატავ, ყველა მოვკვდებით.

ვეირამუტი: მე არ მეშინია.

ტია-ტუ: შენ თუ დაიხატავ, ყველა მოვკვდებით.

ვეირამუტი: დიდ დედას ეხატა ის ეხო და არ მოკვდა.

ტია-ტუ: ის ბებერია.

ვეირამუტი: ბებერ ნაოსაც ეხატა ეხო და არ მოკვდა.

ტია-ტუ: ჩვენ მოვკვდებით.

ვეირამუტი: ჩვენ მაშინ მოვკვდებით, თუ ვინმე დაიხატავს რქებს.

ტია-ტუ: რქებს?

ვეირამუტი: რქებს ვინც დაიხატავს, იმასთან ახლოს არავინ არ მივა.

ტია-ტუ: არავინ არ მივა...?!

ვეირამუტი: ოღონდ რქებს შუა უნდა ეხატოს პატარა ეხო, ისიც რქებით.

ტია-ტუ: პატარა ეხო, ისიც რქებით...?!

ვეირამუტი: ეხოს რქები უნდა იყოს წითელი, დახატული პატარა ბუსუსა პალმის წვენით ისე, რომ არ წაიშალოს.

ტია-ტუ: ისე, რომ არ წაიშალოს, პატარა ბუსუსა პალმის წვენით.

ვეირამუტი: იმიტომ არ უხატია არავის რქები და შუაში რქიანი ეხო.

ტია-ტუ: არ ეხატა აქამდე. /ჩაფიქრებულია, სახეზე ბოროტება ეხატება/

ვეირამუტი: რატომ აქამდე?

ტია-ტუ: იმიტომ, რომ შენ თვითონ თქვი.

ვეირამუტი: ტია-ტუ, დამიხატე გულზე ეხო, მე დაგიხატავ ჩიტებს და ძუძუზე თევზებს.

ტია-ტუ: ეხოს მე არ დაგიხატავ.

ვეირამუტი: რატომ?

ტია-ტუ: მაშინ მე მოვკვდები, შენც მოკვდები.

ვეირამუტი: მაშინ დამიხატე უთავო ეხო, ხელში რომ ეჭიროს პალმის ტოტები.

ტია-ტუ: უთავო ეხო, ხელში რომ ეჭიროს პალმის ტოტები, ეგ ლამაზია?

ვეირამუტი: ეგ ეხატა გვერდზე სოფლიდან ერთ გოგოს, რომელსაც ჰყავდა მაღალი, ლამაზი ქმარი.

ტია-ტუ: ვეირამუტ, შენ არ გინახავს, დიდი ფრთები რომ ჰქონოდა დახატული ვინმეს, დიდი ნისკარტი და პირში თევზები და ჰყოლოდა ლამაზი ქმარი?

ვეირამუტი: არა. ერთს ეხატა მარტო ერთი ზღვის ჩიტი და ერთი თევზი და უშნო ქმარი ჰყავდა.

ტია-ტუ: ძალიან უშნო იყო?

ვეირამუტი: ძალიან უშნო არ იყო.

ტია-ტუ: მე დავიხატავ ორ ზღვის ჩიტს, ოთხ ფრთას და ორ თევზს, მერე კიდევ დავიხატავ ფრთებს, მაშინ ჩემი ქმარი ორჯერ ლამაზი იქნება.

ვეირამუტი: ორჯერ ლამაზი...

ტია-ტუ: ვის ემსგავსება, თქვას ტია-ტუმ?!

ვეირამუტი: თქვას...

ტია-ტუ: იმ გოგოს, რომელსაც ეხატა ერთი ფრთა, ერთი ნისკარტი, ერთი თევზი, ჰყავდა ცოტა ლამაზი ქმარი, თუ მე დავიხატავ ოთხ ფრთას, ორ თევზს, მერე კიდევ დავიხატავ ფრთებს, მაშინ მე მეყოლება ორჯერ ლამაზი ქმარი, ვის ემსგავსება, თქვას ტია-ტუმ?!

ვეირამუტი: იმას!!

/ტია-ტუ რამდენიმე ველურ მოძრაობას აკეთებს დაფდაფის ქვეშ, გარბის, სცენაზე რჩება ვეირამუტი, ის ჩაფიქრებულია, ისმის ნაზი მუსიკა, ბავშვები კრეფენ ყვითელთავა და თეთრთავა ყვავილებს, მერე კა ჯდება და გვირგვინების კეთებას იწყებს. კოს მოაქვს ყვავილები./

კა და კოს სიმღერა:

კა: კო! კო! ჩუ, შენს გვერდზე...

კო: რა, ჩემს გვერდზე?

კა: ჩიტი, ჩიტი, ჩიტის ბარტყი, მთელი დღე რომ უკაკუნებს.

კო: /იღიმება, იმართება, მერე წვება და ხოხვით ეპარება, იჭერს ბარტყს/.
ხეკაკუნა, ხეკაკუნა,
მთელი დღე რომ უკაკუნებს.

კა და კო: კა, კო, კა, კო.
/უალერსებენ ჩიტს/
რა მარტოა საცოდავი,
ნეტავ, დედა სად გაექცა.
/ხის კენწეროდან ისმის კაკუნი:
კა-კო-კა-კო... კა და კო მაღლა იხედებიან/

კო: კა! აგერ, აგერ დედამისი.

კა: კო! აგერ, აგერ დედამისი.

კა და კო: ზის მარტო და უკაკუნებს:
კა-კო, კა-კო.

დედა, დედა, გინდა ბარტყი?
ო! როგორ თრთის საცოდავი,
რა მარტოა, რა პატარა!
კო: გინდა შენ, კა, შევიკედლოთ?
კა: შენ არ გინდა?
კო: როგორ არა.
კა: მეც ძალიან.

/კა და კო შუაში სვამენ ჩიტს და ურბენენ გარშემო. ზევიდან ისმის ბარტყის დედის კაკუნი, გვერდზე, მოშორებით, ზის ვეირამუტი და იღიმება/

კა და კო: რა მარტოა,
რა პატარა,
დედა ზის და
უკაკუნებს.
კა: თვითონ ჯერ არ შეუძლია, რომ გაფრინდეს.
კო: /თითს ადებს ნისკარტზე/
ო! რა რბილი ტუჩები აქვს.
კა და კო: დედა ზის და უკაკუნებს:
კა-კო, კა-კო.
გინდა შენც იქ?
რა, არ გინდა?
მაშ იყავი ჩვენთან, ჩიტო,
გაგიკეთებთ ახალ ბუდეს.
/ზევიდან კაკუნი ძლიერდება: კა-კო, კა-კო. ბარტყი მოიწყენს/
კო: რაღაც უნდა.
კა: რაღაც უნდა.
/ზევიდან ისმის კაკუნი/
კა და კო: აი, ეს უნდა.
/იღებენ ჯოხს, აკაკუნებენ/
კა-კო, კა-კო.
/ჩიტი იყუჟება, იშლება, აკეთებს მოძრაობას, ცდილობს აფრინდეს, მერე ჯდება, არ შეუძლია ფრენა/
კა და კო: აქ არ უნდა,
ზევით უნდა, დედამისთან.
კა, ხედავ ზევით?
კა: ვხედავ, ვხედავ.
კა და კო: ო, რამდენი /ითვლის თითებზე/
ერთი, ორი, სამი,
ეს მეოთხე,
ერთი დედა,
ო, იქ უნდა,
საცოდავი,
თუ აქ დარჩა,
ბუა შეჭამს.
/ჩიტის ბარტყი ფართხალებს, ბავშვები ურბენენ გარშემო/
კა-კო, კო-კა.
გეშინია,

გეშინია,
გული გიძგერს,
აქ ცუდია და იქ გინდა?
ჩვენ,

კა: კა

კო: და კო
დედაშენთან ა- გაფ-რენთ.
/ტაშს არტყამენ, ბარტყი იბუზება, კო იყვანს ხელში და ხეზე მიცოცავს/

კა: ნელა, დაო,
იქ რტო არის,
იქ ეკალი,
მარჯვედ ადი,
გაუფრთხილდი,
არ წამოსდო იმ რტოს
თვალი.

კო: უფრო ზევით, უფრო ზევით

კა და კო: დედამისი მოიბუზა, აღარ ისმის
მისი ხმები: კა-კო, კა-კო.

კო: მისი დები დაიმალნენ ბუდეებში.

კა: შიგ შეუსვი საცოდავი.

კო: შიგ შევუსვამ
ასე, ასე,
ნუღა თრთიხარ, მოგიყვანე.

/ყველანი ინაბებიან, კო ეშვება ხის კენწეროდან. კაკუნი გაუბედავად იწყება, ჩნდება დედა კოდალა, რომელიც რტოს მიკვროდა და არა ჩანდა. რაც უფრო ქვევით ჩამოდის კო, უფრო მკვეთრად ისმის ხმები: კა-კო, კა-კო; კო ბოლო ტოტიდან პირდაპირ ხტება ძირს/

კა: ოოოჰ, კო.

კო: ის იქ არის, კა.

კა და კო: ის იქ არი,
ისევ ისმის იმისი ხმა,
ხეკაკუნა უკაკუნებს:
კა-კო, კა-კო.
/ცეკვავენ, ხელში ნახევრად გაკეთებული გვირგვინები უჭირავთ/

ვეირამუტი: კა და კო!

კა და კო: რა, ვეირამუტ?

ვეირამუტი: თქვენ დამიკრიფეთ ყვითელთავები, მე შეგიკრავთ გვირგვინს.

კა და კო: ჩვენ უკვე შევკარით ნახევარი, ვეირამუტ.

ვეირამუტი: ეგ კარგა არ არის შეკრული, მეორე ნახევარს მე ჩაგიწნავთ.

კა და კო: ორივეს დაგვიწნავ?

ვეირამუტი: ორივეს _ შენც, კა, შენც, კო.

კა და კო: ჩვენ ყვავილებს დავკრეფთ.

კო: მე დავკრეფ თეთრ ყვავილებს.

კა: მე დავკრეფ ყვითელთავა ყვავილებს.

ვეირამუტი: მე მოვკრეფ რტოს გვირგვინისთვის.

კა და კო: რამდენ რტოს მოტეხ?
ვეირამუტი: ორ რტოს.
კა და კო: რატომ მოტეხ ორ რტოს?
კა: ვეირამუტ, მოტეხე სამი რტო.
კა და კო: ჩვენ დავკრეფთ ბევრ ყვავილებს, იმდენს, იმდენს, რომ შენც გეყოფა.
კო: შენი გვირგვინი, ტია-ტუმ რომ მოგცა, უკვე ჭკნება.
კა: ჰო, უკვე ჭკნება.
ვეირამუტი: რანაირ ყვავილებს დაკრეფთ ჩემთვის?
კა და კო: ყვითელთავას და თეთრთავას, ისეთივეს, როგორსაც ჩვენთვის.
კო: და კიდევ ცისფერს, დიდი ფოთლებით.
კა: ცისფერს, დიდი თხელი ფოთლებით.
ვეირამუტი: კა და კო, ცისფერი ყვავილები, დიდი თხელი ფოთლებით, დაკრიფეთ თქვენთვისაც.
კა და კო: ჩვენ არ გვინდა ცისფერი ყვავილები.
ვეირამუტი: ისინი ძალიან ლამაზები არიან და მოგიხდებათ.
კა და კო: ჩვენ არ გვინდა, რომ ძალიან მოგვიხდეს.
ვეირამუტი: რატომ?
კა და კო: ცისფერი პალმის დიდი რტოები, იმან რომ მოგვიტანა, ძალიან გვიხდებოდა.
ვეირამუტი: მაშინ წავალ, ცისფერი პალმის ტოტს გიშოვით.
კა და კო: არ გვინდა.
ვეირამუტი: თუ გიხდებათ, რატომ არ გინდათ?
/კა და კო უყურებენ ერთმანეთს/
კო: ტია-ტუმ წაგვართვა მაშინ პალმის ტოტი.
კა: მერე გადაყარა წყალში.
კო: ჯერ დაამტვრია.
კა: მერე მე მცემა, კო გაიქცა.
კო: მე გავიქეცი.
ვეირამუტი: მოდი აქ, კა, დაჯექი ჩემ გვერდზე. ო, რა ლამაზი თმები გაქვს და რა ლამაზი თვალები. ამ თვალებში იდგა წყალი და მოდიოდა, როცა ტია-ტუმ გცემა?
კა: არა.
კო: არა, კო უყურებდა კას.
ვეირამუტი: საიდან უყურებდა კას კო?
კო: ხეს მოეფარა და იქიდან.
კა: მე ვხედავდი, კო რომ ხეს მოეფარა.
ვეირამუტი: და არ ტიროდი?
კა: არა.
კო: კა მაშინ ტიროდა, როცა პალმის ტოტები დაამტვრია ტია-ტუმ და წყალში გადაყარა.
კა: ტია-ტუ მცემდა ჯოხით.
კო: ტია-ტუ სცემდა ჯოხით და კა არა ტიროდა.
კა: როცა ტია-ტუ მცემდა ჯოხით, ტიროდა კო.
ვეირამუტი: გიყურებდა და ტიროდა?
კა: კო მიყურებდა და ტიროდა.

კა და კო: როცა ტია-ტუ წავიდა, ჩვენ ვისხედით მარტო მდინარის პირას და ერთად ვტიროდით.

ვეირამუტი: მერე რატომღა ტიროდით?

კა და კო: პალმის ტოტები წყალმა წაიღო და აღარა ჩანდა.

ვეირამუტი: საწყალი კა. მოდი აქ. შენც, კო, როგორ გაგეზარდა თმები და რა მაღალი გახდი. ხეების ორი შეფოთვლის წინ სულ პატარა იყავი, ახლა უკვე ძუძუები გეტყობა. შენ, კა, მაჩვენე. შენც გეტყობა. ცოტა ხნის შემდეგ ჩემსავით ძუძუები გექნებათ და იმას მოეწონებით.

კა და კო: ჩვენ ის გვიყვარს.

ვეირამუტი: მე ის მიყვარს.

კა და კო: შენ კარგი და ხარ, ვეირამუტ.

ვეირამუტი: თქვენ კარგი გოგოები ხართ, კა და კო.

კა და კო: ჩვენ გვეშინია ტია-ტუსი.

ვეირამუტი: ტია-ტუსი მეშინია მეც.

კა და კო: ტია-ტუ ცუდი და არის?

ვეირამუტი: ტია-ტუ ცუდი და არ არის.

კო: აბა, რატო გვეშინია იმისი?

კა: აბა, რატო გვცემა ჩვენ და რატო დაგვიმტვრია პალმის ტოტები?

კა და კო: აბა, რატო გეშინია შენც ტია-ტუსი?

ვეირამუტი: ტია-ტუ ჩვენზე დიდია და ჭკვიანი.

კა და კო: შენ ტია-ტუზე ლამაზი ძუძუები გაქვს და ტია-ტუზე გრძელი თმები.

კო: ვეირამუტ, შენ გიყვარს თეთრი, ყვითელთავა და ცისფერი ყვავილები?

კა: ტია-ტუს უყვარს დიდი მძივები და ძვალი.

კო: «იმას» არ უყვარს დიდი მძივები და ძვალი.

ვეირამუტი: საიდან იცი ეგ შენ, კო?

კო: ერთხელ მე მეკეთა დიდი დედის მძიმე მძივები, «იმან» მომხსნა და თქვა: «შენ კარგი გოგო ხარ, კო, აჰა ყვავილი». მერე მომცა ყვითელთავა ყვავილი.

კა: იმას უყვარს მარტო ყვითელთავა ყვავილი.

ვეირამუტი: მაშ თქვენ მარტო ყვითელთავებს ჩაგიწნავთ.

კა და კო: მარტო ყვითელთავა, მარტო ყვითელთავა.

ვეირამუტი: წადით, მოიტანეთ ყვითელთავა.

კა: ჩვენ შენთვის მოვიტანთ ცისფერსაც.

კო: ჩვენ შენთვის მოვიტანთ ორივეს.

ვეირამუტი: რატომ?

კა და კო: დიდ გოგოს როცა უკეთია ცისფერი ყვავილი, დიდი თხელი ფოთლებით, იმას უყვარს.

ვეირამუტი: რა იცით თქვენ, კა და კო?

კა და კო: ერთხელ დაგვიკრიფა ბევრი ყვითელი ყვავილები და თქვა: როცა გაიზრდებით, მერე მოგიტანთ ცისფერ, დიდ თხელფოთოლა ყვავილებს.

ვეირამუტი: მართლა თქვა?

კა და კო: მართლა თქვა.

ვეირამუტი: კიდე რა თქვა?

კა: /უყურებს კოს/ ვთქვა, კო?

კო: თქვი, კა.

კა: კიდე თქვა: ცისფერი ყვავილები მოუხდება ვეირამუტს.

კო: დიდი, თხელი ფოთლებით.

ვეირამუტი: მარტო ცისფერი ყვავილები?

კა და კო: ჰო, მარტო ცისფერი ყვავილი, დამაგრებული ყვითელთავა ყვავილების გვირგვინში.

ვეირამუტი: იმან თქვა, რომ მოუხდება ვეირამუტს?

კა და კო: ჩვენ ვიცით, ჩვენ ვიცით.

ვეირამუტი: თქვენ იცით?

კა და კო: ჩვენ ვიცით, რატომ თქვა იმან, რომ ვეირამუტს მოუხდება ყვითელთავა ყვავილების გვირგვინში დამაგრებული დიდი, თხელფოთოლა, ცისფერი ყვავილი.

ვეირამუტი: თქვენ იცით? რატომ თქვა, მითხარით, კა და კო, ორივემ ერთად, ორივემ ერთად, მე ვიტყვი გულში და მაშინ გვეცოდინება სამივეს.

კა და კო: /სულმოუთქმელად/ იმას, მაღალი რომ არის, ჩვენ რომ გვაჩუქა ცისფერი პალმის ტოტი, რომელიც დაამტვრია ტია-ტუმ, იმას, რომელსაც აქვს სპილოს ძვალი გარჭობილი ცხვირში, იმას, რომელსაც აქვს სამი ფრთა, ორი პატარა და ერთი გრძელი, გედის სწორი ფრთა გარჭობილი თმებში, იმას, რომელსაც აქვს გრძელი ისარი, დიდი მშვილდი და იმას, რომელსაც გულზე ახატია ეხო, ვეფხვის თავით...

ვეირამუტი: იმას!

კა და კო: იმას უყვარს ვეირამუტი.

/სიჩუმე/

ვეირამუტი: იმას უყვარს ვეირამუტი.

კა და კო: იმას უყვარს ვეირამუტი.

ვეირამუტი: ვეირამუტს უყვარს ის... და კიდე უყვარს კა და კო, თავისი დები.

კა და კო: კას და კოს უყვართ ვეირამუტი.

ვეირამუტი: კას და კოს არ უყვართ ის, ვინც უყვარს ვეირამუტს?

კა და კო: კას და კოს უყვართ ის.

ვეირამუტი: საწყალი კა და კო.

კა და კო: საწყალი კა და კო. იმას არ უყვარს ისე კა და კო, როგორც უყვარს ვეირამუტი.

ვეირამუტი: კა და კო კარგი გოგოები არიან, ოღონდ არიან პატარები. როცა გაიზრდებიან, კა და კო ეყვარება ისეთ კაცს, როგორიც არის ის.

კა და კო: კა და კოს სხვა კაცი არ ეყვარებათ.

ვეირამუტი: საწყალი კა და კო.

კა და კო: საწყალი კა და კო.

ვეირამუტი: ვეირამუტი იქნება კარგი და, და კა და კო იცხოვრებენ კარგად.

კა და კო: კა და კო იცხოვრებენ კარგად.

ვეირამუტი: ვეირამუტი უმღერებს კას და კოს კარგ სიმღერას, კა და კო დაიძინებენ და გაიზრდებიან დიდი გოგოები ლამაზი ძუძუებით.

კა და კო: კა და კო მოუსმენენ და დაიძინებენ.

ვეირამუტი: დაიძინებენ ჩქარა და კარგად, არ ნახავენ ცუდ ეხოებს.

კა და კო: კა და კოს ეშინიათ ცუდი ეხოების, როცა თვალები დახუჭული აქვთ.

ვეირამუტი: დაიძინებენ კა და კო.

კა და კო: კა და კო მოუყვებიან ვეირამუტს, როცა გაიღვიძებენ და ვეირამუტი ეტყვის, ცუდი ეხოები ნახეს, თუ კარგი ეხოები.

ვეირამუტი: შენ აქ დაწვები, კა, შენ აქ დაწვები, კო, შენ მომეცი ეს ხელი, კა, შენ ეს ხელი, კო.

კა და კო დახუჭავენ თვალებს და ვეირამუტი დაიწყებს სიმღერას.

/კა და კო ხუჭავენ თვალებს, ვეირამუტი ირწევა, მერე იწყებს სიმღერას, შორიდან ისმის მუსიკა, ჯერ არაჩვეულებრივად წყნარი, მერე ღელდება, გადადის ყრუ დაფდაფში, ფერები იცვლება, სიზმრებთან ერთად ხდება სევდიანი, საშიში და ისევ წყნარდება სიმღერის სიტყვების მიხედვით. სიმღერის ბოლოს მჯდომარე თვლემს ვეირამუტიც. დიდი ვერხვი, სადაც კოდალა ზის, საიდუმლოდ შრიალებს. სცენის ორივე მხრიდან დაბალი ნისლი იპარება. მთვლემარე ვეირამუტი მღერის, სიტყვები ისმის სულ ბუნდოვნად, მერე წყდება. სძინავს კას, სძინავს კოს, ძინავს ვეირამუტს, მუსიკა გრძელდება/

ვეირამუტის სიმღერა:

სძინავს კას, სძინავს კოს,
ხეკაკუნა უკაკუნებს ზევით რტოს,
რტო იძახის: კა _ კო, კა _ კო.

მზე გადადის, სძინავთ დებს,
და ხედავენ კარგ სიზმრებს,
ეღიმებათ,
ეცინებათ.
ო! რას ხედავთ,
მომიყევით!
არ მიყვებით?
დავიძინებ მაშინ მეც.
აი, ასე გადმოვიშვებ გულზე თმებს,
თავს ჩავქინდრავ.
არა, არა,
მეშინია,
ვიღაც არის სულ ახლოს.
გადავიყრი ისევ უკან ჩემს კულულებს,
და ვიფხიზლებ,
ვუდარაჯებ პატარებს.
მოიღუშნენ გოგონები,
ნუთუ ცუდი ეხო ნახეს!
/წვრილი დაფდაფი/
ოო! რამდენი ვარსკვლავი შესევია ერთ მთვარეს _
ერთი, ორი, სამი, ოთხი, ათი, ასი, ათასი.
ხარის რქებო, ეხოებო, ნუ დამალავთ ნურაფერს.
გეხვეწებით,
დამანახვეთ ის ვარსკვლავი,
ის, რომელიც სხვებზე უფრო ახლოს წევს.

ეხოები თეთრებში: ეს შენა ხარ? /ამბობენ და იმალებიან/

/ვეირამუტი იხედება აქეთ-იქით, ოღონდ წყნარად, ოცნებით/

ვეირამუტი: აი, ის დიდი? ის ბრჭყვიალა? ის ხომ უნდა დაიწვას?

ეხოები თეთრებში: აი, ის დიდი! ის ბრჭყვიალა! მარჯვნივ,
ახლოს, და ის უნდა დაიწვას!
/ამბობენ და იმალებიან/

ვეირამუტი: გმადლობთ, გმადლობთ, ეხოებო.
სძინავს კას, სძინავს კოს,
თავს ჩავქინდრავ,
დავიძინებ
მათ ახლოს.
ის ხომ მაინც მალე, ჩქა-რა,
უნდა მასთან აღარ იყოს,
უნდა სულმთლად და-ი-წვას...

/იძინებს ჯდომელა. აქეთ-იქით სძინავთ კას და კოს, მთვარე ანათებს, მერე იმალება, ცას დიდი ვარსკვლავი სწყდება და იწვის, მთვარეს ღრუბლები ეფარება. სიღრმიდან ისმის ტია-ტუს ხითხითი, უბერავს კუდიანი, მრგვალი ქარი. სიღრმეში ინთება ცეცხლი და მის ფონზე გამოდის ტია-ტუ/

ტია-ტუ: ჰუუუუჰუჰუჰუ, ქარი, ქარი, ქარი ქრის, ქარი თმებს მიწეწავს, ქარი თმებს მიშლის, ქარი ღრუბლებს ფანტავს, ქარი ცას წმენდს, ქარი ვარსკლავს წყვეტს, ვარსკვლავი იწვის, ვეირამუტს სძინავს, ვეირამუტის ვარსკვლავი იწვის, სულ ახლოს, მის გვერდით, ჩემი ვარსკვლავი ახლად ამოდის; ჩემი ვარსკვლავი ის არის, ის. გაიმეორეთ ეხოებო: ის არის ტია-ტუს ვარსკვლავი.

ეხოები შავებში: ის არ არის ტია-ტუს ვარსკვლავი /ამბობენ და იმალებიან/.

ტია-ტუ: თქვენ ხართ ეხოები, თქვენ გაიმეორეთ ისე, როგორც იმეორებენ ეხოები: ის არის ტია-ტუს ვარსკვლავი.

ეხოები შავებში: ის არ არის ტია-ტუს ვარსკვლავი; ჩვენ შენი გულის ეხოები ვართ, ჩვენ ვიმეორებთ იმას, რაც არის შენს გულში.
/ამბობენ და იმალებიან/

ტია-ტუ: რა არის ჩემს გულში?

ეხოები შავებში: სიბნელე. /ამბობენ და იმალებიან/

ტია-ტუ: რა არის სიბნელე?

ეხოები შავებში: ის, რაც არა ჩანს /ამბობენ და იმალებიან/.

ტია-ტუ: რა არა ჩანს?

ეხოები შავებში: არა ჩანს ღამე /ამბობენ და იმალებიან/.

ტია-ტუ: არა ჩანს ღამე... ახლა ღამეა... ის დიდი ვარსკვლავი, იმასთან ახლოს, ახლაც ანათებს. ის კასი და კოსია. ვეირამუტის ვარსკვლავი როგორ დაიწვა ჩემი თვალით ვნახე. არა ჩანს ღამე... ახლა ღამეა... ღამეში არა ჩანს ტია-ტუ... ღამეში ხედავს ტია-ტუ... ტია-ტუს გულში არის თვითონ ღამე /უცებ ველურ მოძრაობას აკეთებს, ხითხითებს, გარბის, ისევ შემორბის, ინაბება, მოძრაობს ფრთხილად, რაღაცა იარაღებს და სითხეს მოათრევს, მოისმის წვრილი დაფდაფი, მუსიკის ხმა. ტია-ტუ ცეკვავს უხმოდ ველურ ცეკვას, მერე ეპარება კას და კოს და პალმის ტოტის წვერით, რომელსაც წითელ სითხეში აწებს, გულზე ახატავს ბოროტ ეხოებს, ხის რტოები იწევენ დაბლა და ფარავენ მკრთალ სინათლეებს/.

ტია-ტუ: შენ, მთვარევ, მნათობთა შორის
ყველაზე ნათელო,

შენ, მთვარევ, მნათობთა შორის
ყველაზე უწყინარო და სევდიანო,
შენ, მთვარევ, სუსტო და უძლურო
ღრუბლების წინაშე,
შენ დამანახვე, შენ გამინათე,
თუნდაც სულ მკრთალად,
კას და კოს მკერდი.
თქვენ, პალმის ბუსუსა წვერებო,
შენ, სითხევ, დამზადებულო ხის ნაყოფისგან
და შენ, სიბნელევ, ყველაზე ძლიერო
ჩემივე სხეულში, შენ გამინათე.
მე ჩემი დების გულებზე ვხატავ ბოროტ ეხოებს.
ეს რქები _ ეს კა, ეს იმათ შორის რქიანი ეხო,
ზედ წამოგებული კოს ძუძუებით,
ეს ჩემი სიბნელის ხელოვნებაა,
სულ ცოტაც, სულ ცოტაც...
ახლა მშვიდობით, ჩემი ხელოვნების,
ავი ეხოების დანახვაზე
მათგან გაიქცევა ყველაზე ძლიერი,
მათგან გაიქცევა ყველაზე სუსტი,
კას გაექცევა კო,
კოსგან გაიქცევა კა.
ვეირამუტის ვარსკვლავი უკვე მოწყდა
და დავრჩი მარტო მე, ტია-ტუ.
მნათობთა შორის ყველაზე ნათელო,
შენ გამინათე, რომ დამინახოს იმან,
როცა დავუცდი შინ მობრუნებულს,
გამოქვაბულის კარებთან მარტო მდგომი.
ეხოებო, ოოო, ეხოებო,
ჩქარა ნახავს იმას ტია-ტუ!?

ეხოები შავებში: ჩქარა /ამბობენ და იმალებიან/.

ტია-ტუ: ნახავს ახლოს?

ეხოები შავებში: ახლოს, ახლოს. /ამბობენ და იმალებიან/

ტია-ტუ: ტია-ტუ ნახავს მას თავისთვის, ტია-ტუ შეახებს მას ხელს...!

ეხოები შავებში: ტია-ტუ არ ნახავს მას თავისთვის.

ტია-ტუ: ტია-ტუ შეახებს მას ხელს... ა?

ეხოები შავებში: არა! /ამბობენ და იმალებიან/.

ტია-ტუ: ტია-ტუს შეეხება ის?

ეხოები შავებში: არა! /ამბობენ და იმალებიან/.

ტია-ტუ: ის მოკვდება ტია-ტუზე ჩქარა?

ეხოები შავებში: არა! /ამბობენ და იმალებიან/.

ტია-ტუ: არა?! / ტია-ტუ კივის, იკლაკნება ელვაში, ხის რტოები ადიან მაღლა, ქრება ტია-ტუ, ოდნავ ნათდება. იღვიძებს კა/

კა: კო!

კო: /სძინავს, ამოძრავებს ხელს და უშვებს/

კა: ვეირამუტ!

ვეირამუტი: /თავს იქნევს, დიდი გაშლილი თმებიდან მოუჩანს შიშველი ძუძუები/

კა: კოს სძინავს, ვეირამუტს სძინავს, კას აღარ სძინავს, კამ ცუდი ეხოები ნახა, როცა თვალები დახუჭული ჰქონდა.

/ნელა მოდის უკნიდან ტია-ტუ, ბოლო სიტყვები ესმის/

ტია-ტუ: რა ნახა კამ, როცა თვალები დახუჭული ჰქონდა?

კა: /იშმუშნება/ კამ ნახა ტია-ტუ.

ტია-ტუ: კამ ნახა, რომ ტია-ტუ კვდებოდა?

კა: არა, კამ ნახა, რომ კვდებოდა ვეირამუტი.

ტია-ტუ: საწყალი ვეირამუტი. რადგან ის ნახა კამ, ვეირამუტი მოკვდება და იქნება კას ბრალი.

კა: იქნება კას ბრალი. კას არ უნდა, რომ მოკვდეს ვეირამუტი.

ტია-ტუ: რა უნდა კას?

კა: კას უნდა, ვეირამუტი იყოს იმისი ცოლი.

ტია-ტუ: იმისი ცოლი იქნება ტია-ტუ.

კა: საიდან იცის ეს ტია-ტუმ?

ტია-ტუ: ტია-ტუს უთხრეს ეხოებმა.

კა: კამ ნახა ეხოები, როცა ეძინა. ეხოებმა თქვეს, ჯერ მოკვდება ტია-ტუ _ კას ეცოდება ტია-ტუ,

მერე მოკვდება ვეირამუტი და კა და კო იცხოვრებენ მარტო.

ტია-ტუ: ის ეხო, რომელიც ნახა კამ, როცა თვალები დახუჭული ჰქონდა, ტყუის.

კა: საიდან იცის ეს ტია-ტუმ?

ტია-ტუ: ტია-ტუმ ნახა თვითონ ეხო.

კა: ნახა ეხო?

ტია-ტუ: ნახა ეხო, ეხომ აჩვენა ტია-ტუს ადგილი დიდი წყლის პირას, კლდის თავზე, მსხვილი მუხის ქვეშ, იქ დაიძინებს ვეირამუტი და აღარ ილაპარაკებს არც დღე და არც ღამე, მერე ვეირამუტს დაკიდებენ ხეზე დიდ ტომარაში, როგორც დაკიდეს ნაო, როგორც დაკიდეს კრო, როგორც დაკიდეს ის, ვინც გააჩინა კა, კო, ვეირამუტი და ტია-ტუ.

კა: კას უნდა ნახოს ის ადგილი.

ტია-ტუ: რად უნდა კას ეს?

კა: კა ეტყვის შემდეგ.

ტია-ტუ: ტია-ტუ აჩვენებს კას იმ ადგილს.

/მიდიან/

/იღვიძებს შეშფოთებული ვეირამუტი, კულულებს იყრის უკან, მკერდს წინ სწევს, ახელს თვალებს, ხუჭავს, მერე მხარზე იდებს ნიკაპს, თმები იფარავს მის სხეულს, უცებ დგება/

ვეირამუტი: ოოო!

ეხოები: ოოო! /ამბობენ ფარდის იქიდან/

ვეირამუტი: კა! კა! სად არის კა!

ეხოები: კა არის დიდი მდინარის პირას, კა არის მარტო, კა არის ცოდო.

/არ ჩანან, ისე ამბობენ/

ვეირამუტი: ოოო!

ეხოები: ოოო!

ვეირამუტი: სად არის კო?

ეხოები: კოს ჯერ სძინავს და ვეირამუტს შეუძლია ელაპარაკოს, თუ გააღვიძებს სანამ ბნელა.
ვეირამუტი: კოს სძინავს კარგად და კო ცოდოა, რომ გააღვიძოს ვეირამუტმა.
ეხოები: დღისით, როცა ამოვა მზე, ვეირამუტი აღარ დაელაპარაკება კოს.
ვეირამუტი: ვეირამუტი აღარ დაელაპარაკება კოს! კო! კო! გაიღვიძე, კო, სანამ ბნელა.
კო: სად არის კა!
ვეირამუტი: კა არის დიდი მდინარის პირას, დიდ მუხასთან.
კო: კოს უნდა ნახოს კა.
ვეირამუტი: რათ უნდა კოს, რომ ნახოს კა?
კო: კო უნდა მოუყვეს კას.
ვეირამუტი: ვეირამუტს უნდა, რომ კო მოუყვეს ვეირამუტს.
/უბერავს ქარი, წამით ნათდება და ისევ სიწყნარეა/.
კო: კოს უნდა, რომ ახლოს დაჯდეს ვეირამუტი. კომ ნახა მზე და ნახა მთვარე და ნახა პატარა და
დიდი ვარსკვლავები, როცა დახუჭული ჰქონდა თვალები.
ვეირამუტი: ყველაფერი ერთად ნახა კომ თუ ცალ-ცალკე?
კო: ყველაფერი ერთად.
ვეირამუტი: მოძრავი თუ მკვდარი?
კო: ჯერ მკვდარი, მერე მოძრავი, მერე ისევ მკვდარი.
ვეირამუტი: მწვანე, ყვითელი თუ წითელი?
კო: ყვითელი, წითელი, მწვანე და შავი.
ვეირამუტი: შავი?!
კო: შავი.
ვეირამუტი: მწვანე და შავი?!
კო: მწვანე და შავი.
ვეირამუტი: წითელი, მწვანე და შავი?!
კო: წითელი, მწვანე და შავი.
ვეირამუტი: ყვითელი, წითელი, მწვანე და შავი?!
კო: ყვითელი, წითელი, მწვანე და შავი.
ვეირამუტი: ოო!
კო: კომ ნახა კიდევ ლურჯი.
ვეირამუტი: ლურჯი?!
კო: ლურჯი და ცისფერი.
ვეირამუტი: ლურჯი და ცისფერი?!
კო: ლურჯი და ცისფერი.
ვეირამუტი: რა იფიქრა კომ, როცა ნახა ყველაფერი ის, როცა თვალები დახუჭული ჰქონდა?
კო: კომ არ იფიქრა არაფერი, როცა თვალები დახუჭული ჰქონდა.
ვეირამუტი: მაშ რა ქნა კომ?
კო: კომ ნახა.
ვეირამუტი: რა ნახა კომ?
კო: ნაცრისფერი, ყვითელი და თეთრი.
ვეირამუტი: კომ ნახა ტია-ტუ?
კო: კომ ნახა ტია-ტუ.
ვეირამუტი: რა იფიქრა კომ?

კო: კომ არ იფიქრა არაფერი.

ვეირამუტი: რა ქნა, აბა, კომ?

კო: კომ ნახა...

ვეირამუტი: რა ნახა კომ?

კო: კომ ნახა დიდი, დიდი მინდორი, სულ მწვანე, ძალიან მწვანე. იქ არ იყო არც ყვითელი, არც წითელი, არც შავი, მარტო იყო ლურჯი, ოღონდ მწვანე მინდვრის ზევით, ძალიან, ძალიან ლურჯი. მერე კომ დაინახა ყვითელი და წითელი და გაიცინა. კომ გაიცინა, იმიტომ რომ დაინახა ცისფერიც. ცისფერი ამოდიოდა მწვანე მინდვრის შუაში, ის იყო პატარა და უშვებდა თხელ ფერფლს, ფერფლი იყო ბევრი და ადიოდა მაღლა, მერე სულ იყო ფერფლი და აღარა ჩანდა არაფერი. როცა ისევ დაინახა კომ, ცა იყო ცისფერი და მინდორი ჩანდა ყვითელი, შავი, წითელი, შინდისფერი. სულ შინდისფერი იყო ყველაფერი, ნელა გახდა უფრო ძალიან შინდისფერი და დაემსგავსა შავს. მერე შავი გაიზარდა, გაჩნდა ისევ ფერფლი, კო ვეღარა ხედავდა ვერაფერს. როცა ისევ დაინახა, აღარ იყო აღარც წითელი, არც ლურჯი, მწვანე, ყავისფერი, ცისფერი, თეთრი. კო დიდხანს ვერ ხედავდა ვერაფერს, იმიტომ რომ ყველაფერი იყო შავი, ძალიან შავი. კომ იმიტომ დაინახა შავი, რომ ზევით გამოჩნდა ყვითელი. კომ იფიქრა, რომ ის არის მთვარე.

ვეირამუტი: კომ იფიქრა სწორად.

კო: კომ კიდე ნახა წითელი და კომ იფიქრა, რომ ის არის ვარსკვლავი და სისხლი და ცეცხლი და ის არის...

ვეირამუტი: ვეირამუტი!

კო: ვეირამუტი. /ეკვრება ვეირამუტს/

ვეირამუტი: რატომ იფიქრა კომ, რომ წითელი არის ვარსკვლავი ან ცეცხლი?

კო: წითელი იწვოდა, წითელი იწვოდა, წითელი იყო ვეირამუტი.

ვეირამუტი: საწყალო კო, შენ გეძინა ცუდად, შენ ნახე ცუდი ეხოები. რა ნახე, კო, შენ ბოლოს?

კო: მე არა ვნახე არაფერი.

ვეირამუტი: შენ არ ნახე არაფერი?

კო: მე არ ვნახე არაფერი, არ ვნახე, იმიტომ, რომ ბოლოს ყველაფერი იყო შავი.

ვეირამუტი: საწყალი კო, კოს ცუდად ეძინა.

კო: საწყალი კო, საწყალი კა.

ვეირამუტი: კა?!

კო: კა!

ვეირამუტი: რატომ კა?!

კო: კომ ნახა ყავისფერი და წითელი, კომ ნახა პატარა და დიდი, რომლებიც ჰგვანდნენ ერთმანეთს, კომ ნახა შავი და იქ არ იყო არც წითელი, არც ყავისფერი, იმიტომ რომ იყო მარტო შავი და მარტო ყვითელი.

ვეირამუტი: წითელი?

კო: წითელი აღარ იყო, ის დაიწვა მაშინ, როცა დაიმალა ყვითელი.

ვეირამუტი: კომ თქვა, რომ ნახა ყავისფერი.

კო: კომ ნახა ყავისფერი და ყვითელი და თეთრი.
ვეირამუტი: რა იფიქრა კომ?
კო: კომ არ იფიქრა არაფერი.
რას ფიქრობ შენ, ვეირამუტ?
ვეირამუტი: მე არ ვიცი რა ვიფიქრო. სამაგიეროდ, ვეირამუტის, კოს, კას და ტია-ტუს დედამ იცის რა იფიქროს. სანამ დედა მოვა, კო და ვეირამუტი დაუძახებენ კას.
კო: კა! კა!
ვეირამუტი: კა! კა!
კა: ო, კო! ო, ვეირამუტ! კას უნდა თქვენი ნახვა, მაგრამ კამ არ იცის სადა ხართ თქვენ.
ვეირამუტი
კო } შენი დები არიან ჭრელ მინდორზე.
/შემორბის კა/
ვეირამუტი
კო } სად იყო კა?
კა: კა იყო დიდ მუხასთან.
ვეირამუტი
კო } მარტო თუ ვინმესთან ერთად?
კა: ჯერ სხვებთან ერთად, მერე მარტო.
ვეირამუტი
კო } ვინ იყო ის სხვა?
კა: ის სხვა იყო ჩვენი და _ ტია-ტუ.
ვეირამუტი: რა გაიგო მისგან კამ?
კო: რა გაიგო მისგან კამ?
კა: კამ ნახა...
ვეირამუტი: კამაც ნახა?
კა: დიახ, ვეირამუტ.
ვეირამუტი: კამ ნახა ფერები?
კა: კამ ნახა ხე.
კო
ვეირამუტი } ხე?!
კა: ხე.
ვეირამუტი: დიდი ხე, გაშლილი ფოთლებით.
კა: საიდან იცის ეს ვეირამუტმა?
ვეირამუტი: კომ ნახა შავი.
კო: შავი, ყვითელი, ყავისფერი და წითელი.
ვეირამუტი: ბოლოს კომ ნახა შავი, ვეირამუტმა იცის, რომ შავი არის ცუდი, საშიში, საიდუმლო, სხვა არაფერი არ იცის ვეირამუტმა, სხვა ყველაფერი იცის დედამ.
კა და კო: სხვა ყველაფერი იცის დედამ.
ვეირამუტი: იცის დედამ, იცის ბებერმა დედამ.
კა და კო: კას და კოს ეშინიათ.
ვეირამუტი: მათ ეშინიათ დიდი ბებერი დედის.
კა და კო: ჩვენ არ ვიცით, ჩვენ არ ვიცით.
ვეირამუტი: მეც მეშინია, ჩემო კა, მეც მეშინია, რისი, არ ვიცი, ჩემო კო.

კა და კო: საწყალი ვეირამუტი.
ვეირამუტი: საწყალი კა და კო.
/შემოდის ტია-ტუ ზურგით/
ტია-ტუ: ტია-ტუს ეშინია.
კა და კო
ვეირამუტი } ტია-ტუს ეშინია?!
/ტია-ტუ ბრუნდება/
კა და კო
ვეირამუტი } ტია-ტუმ ნახა ცუდი ეხო?!
ტია-ტუ: /თავს იქნევს/
კა და კო
ვეირამუტი } ტია-ტუს ეშინია დიდი ხის.
ტია-ტუ: ტია-ტუმ არ იცის რას ჰქვია შიში.
კა და კო
ვეირამუტი } საწყალი ტია-ტუ.
ტია-ტუ: საწყალი ტია-ტუ.
ვეირამუტი: ვეირამუტს უყვარს ტია-ტუ.
კა და კო: კას და კოს უყვართ ტია-ტუ.
ტია-ტუ: ტია-ტუს უყვარს თავისი დები.
/ეკვრიან ერთმანეთს/
ერთად: დიდო დედა, ბებერო დედა, მოდი ჩქარა, მოდი ჩვენთან, ჩვენ გვეშინია, ჩვენ გვეშინია, ჩვენ ვნახეთ ფერები, ჩვენ ვნახეთ ხე.

/შემოდის დედა დამჭკნარი, ფეხშიშველა და შიშველი ძუძუებით, ჭუჭყიანი ჩამოშლილი სწორი თმებით. სასირცხოს დათვის დაგლეჯილი ტყავი უფარავს. ცალი ძუძუ ჰკიდია მუცლამდე, ცალი ახვეული აქვს ხილაბანდით და შიგ უზის ლეკვი, რომელსაც ძუძუს თავი უდევს პირში, წკმუტუნებს და წუწნის. ტია-ტუ და ვეირამუტი სხედან, კა წევს, კო დგას, დედა შემოუვლის ყველას, მერე ლეკვს აქანებს როგორც ბავშვს/

დედა: აი, თქვენი და.
ვეირამუტი ჩვენი ახალი და.
ტია-ტუ }
დედა: თქვენი ახალი და, ჩემი ახალი შვილი.
ტია-ტუ
ვეირამუტი } დედას უყვარს ჩვენი ახალი და და თავისი შვილი.
დედა: დედას ის ყველაზე ძალიან უყვარს.
ტია-ტუ: დედას არ უყვარს ტია-ტუ.
დედა: /მკაცრად უყურებს/.
ტია-ტუ: ალბათ, ლეკვმა საჭმელი მოუტანა გუშინ დედას.
დედა: თქვენი ბებერი დედა თვითონ აჭმევს ლეკვს თავის ძუძუს.
ტია-ტუ: როცა გაიზრდება, მაშინ მოუტანს ლეკვი საჭმელს.
დედა: /უყურებს მკაცრად/.
ტია-ტუ: მაშ რატომ უყვარს დედას ლეკვი?
დედა: /წინ გამოდის/ დედამ ის არ გააჩინა, დედამ ის იპოვა, დედა ეჭვიანობს, რომ თავისი შვილობილი, თავის მუცელში გაჩენილ შვილებზე ნაკლებად უყვარს, დედა არ ეჭვიანობს, რომ ლეკვს დედა ნაკლებად უყვარს, ვიდრე შვილებს, რომლებიც თავისი მუცლით

გააჩინა, დედა არ ეჭვიანობს, რადგან ლეკვმა არ იცის, რომ მის ახალ დედას აქვს დამჭკნარი ძუძუები, რომ ის დაბერდა. დედა ეჭვიანობს შვილებზე, რადგან მათ აქვთ ხელუხლებელი სავსე ძუძუები;
თქვენ ყველა ხართ ცოდო, დედა არ არის ცოდო! დედას აღარა აქვს სავსე ძუძუები, თქვენ ყველამ ნახეთ ცუდი ეხოები, დედა არ არის ცოდო! დედა ვერ ხედავს ეხოებს.

ტია-ტუ: ტია-ტუს არ უნდოდა გაებრაზებინა დედა.

კა და კო: ჩვენ არ ვიცით რა ვქნათ, ჩვენ არ ვიცით რა ვქნათ.

ვეირამუტი: კა და კო არიან ცოდოები.

კა და კო: ჩვენ გვიყვარს დედა, ჩვენ გვეცოდება დედა, ჩვენ გვეცოდება ჩვენი ახალი და.

დედა: თქვენი ახალი და? დედამაც ნახა ცუდი ეხო. ლეკვი სწოვდა ძუძუს და მერე დაიწყო ხორცის ჭამა. ჯერ შეჭამა ერთი ძუძუ, მერე შეჭამა მეორე ძუძუ, მერე თავი, მერე ფეხები, მერე მუცელი და გაეხვია შიგ, და თვითონ გახდა დედა, და დედა იყო ლეკვი, და წოვდა ძუძუს, ლეკვი უვლიდა დედას, ამიტომ უყვარს დედას ლეკვი.

ტია-ტუ: რომ შეჭამა და თვითონ გახდა დედა?

დედა: რომ შემჭამა და თვითონ გახდა დედა, ამიტომ მიყვარს მე ჩემი ლეკვი.

ვეირამუტი: დედა ამბობს სწორს.

ყველანი: დედა ამბობს, რომ უყვარს თავისი ლეკვი.

დედა: დედას უყვარს თავისი ლეკვი, დედას აგონდება ბევრი ამბები, დედას აგონდება როგორ წავიდნენ ეხოები და როგორ მოიგონა სიმღერა, დედას ახსოვს სიმღერა, დედა იმღერებს სიმღერას.

ყველანი: დედა იმღერებს ლეკვის სიმღერას,
დედა იცეკვებს ლეკვის სიმღერას.

ლეკვი: /გაბმულად წკმუტუნებს/

/ისმის ყრუ ყმუილი, დედა შუა სცენაზე შემოდის, იღებს არტისტულ პოზას, თმების ნაწილს იშლის, ნაწილს უკან იყრის. ხმა ამოდის მუცლის სიღრმიდან, დანარჩენები სხვადასხვა პოზებს იღებენ მის გარშემო, ეხმარებიან მიმიკებში და სიმღერაში, ვეირამუტი და ტია-ტუ ცალ-ცალკე, კა და კო ერთსა და იმავე მოძრაობას აკეთებენ/

დედის სიმღერა:

უმუ, უუმ, უუმ, უუი.
დადიოდა ტყეში მარტო
ჩემი ლეკვი,
იმის დედა, იმის დები.

ყველანი: /ყმუიან როგორც მგლები, ლეკვი იყუჟება/

დედა: იმის დედა, იმის დები
მგლებმა ჭამეს, მგლებმა ჭამეს
ღელის იქით, მთების იქით
შავ ჯუნგლებში,
დიდ ძაძების, დიდ ხეების
იქით, შუაში,
ყავისფერი, ნაცრისფერი,
უფერული, ხვლიკისფერი,

დიდი ქვებით შემოსაზღვრულ
ყვითელ ველში.
ყველანი ერთად: /წვრილი ხმით, კანკალებენ/
უმუმუმუმუ, უმ, უმ, უუ.
დიდი მგლები,
შავი მგლები,
ნაცრისფერი ძუძუებით,
დაძღნენ ლეშით
მაგის დედის, მაგის დების
ნაწლავებით, ბარძაყებით.
დედა: უუუუუ, ჰუჰუ.
ქარი ქროდა,
ქარი დაქრის.
ყველანი ერთად: /ყვირიან როგორც ქარი/
დედა: მუხის შუაში
გაქცეული,
გაჩხერილი,
ვიღაც ტირის,
ვიღაც კვნესის;
შია, სცივა,
ეხოები, ეხოები.
ღამე ვდგები
და მივყვები,
ეხოები, ეხოები.
შავი, შავი,
ყველგან შავი,
მე მივყვები
ყვითელ ეხოს.
ტია-ტუ: მთვარის ეხოს.
დანარჩენები: მთვარის ეხოს,
დედა: მთვარის ეხოს
შუა შავი,
შავი, შავი
დგას ღამე.
თავის ზევით,
უთვალებოდ,
ვხედავ ყვითელს,
ის ცივია,
არ ანათებს,
არც თვალებს მჭრის,
უუუუუუუ.
რქები, რქები,
ჩემკენ რქები,
ზედ ვეგები
ძუძუებით.
კა და კო: დედა, დედა.

ტია-ტუ: /იქით გარბის/
მიხვდა, მგონი, მიხვდა.
/ისევ მორბის/
ვეირამუტი: უუუუუ კა, უ კო, უ დედა, უ.
დედა: ყვითელი სინათლე,
რომელიც ცივია,
რომელიც არ ანათებს,
რომელიც მიზიდავს.
ყვითელი ეხო,
შავი რქები,
მიშველეთ ჩქარა.
მიშველეთ ჩქარა.
მომეცით უკან ჩემი ძუძუები.
/მაგრად იგლესავს ხელით დამჭკნარ ძუძუებს/
სხვები ერთად: ძუძუები, ძუძუები, ძუძუები.
/ათქვირებულ ძუძუებზე ისვამენ ხელებს/
/დედა, ტრანსამდე მისული, დამჭკნარ ძუძუებს აქეთ-იქით აგდებს/
დედა: /უცებ წყვეტს სიმღერას, წყნარდება/
ეხო წავიდა.
კა და კო: /გაკვირვებულები/ ეხო წავიდა!
ვეირამუტი: ეხო წავიდა!
ტია-ტუ: ეხო წავიდა!
დედა: ლეკვი იწვა და ძუძუს მწუწნიდა.
ვეირამუტი: დედას უყვარს ლეკვი, ლეკვმა მოსწოვა დედას ძუძუები, მერე შეიყვარა დედამ ის.
კა და კო: ლეკვი ტირის და წკმუტუნებს, ლეკვი კანკალებს.
დედა: საიდან იციან ეს კა და კომ!
კა და კო: კა და კომ არაფერი არ იციან, კა და კო ხედავენ ლეკვს, რომელიც კანკალებს და კა და კოს ეშინიათ.
დედა: კა და კო არიან უკვე დიდები.
ვეირამუტი: კა და კოს ეშინიათ.
კა და კო: ჩვენ გვეშინია, ჩვენ ვნახეთ ცუდი ეხოები.
ტია-ტუ: ეხოები ნახა კომ.
დედა: კო მოჰყვება თავის ეხოებს, სანამ ამოვა მზე, დედა მოუსმენს თავის შვილს, სანამ ამოვა მზე _ ყვითელი, წითელი, ბრჭყვიალა, შავი და ცხელი.

/კო გამოდის წინ. ვეირამუტი, ტია-ტუ და კა მიდიან ფერად ფართო ნაჭრებთან, რომლებიც დასტად აწყვია, და უსმენენ კოს/

კო: კომ ნახა ვარსკვლავები, მთვარე, მთები, მინდორი და ხე.
დედა: რა ნახა პირველად კომ?
კო: კოს არ ახსოვს არაფერი, კოს ახსოვს მარტო მწვანე, ყველაფერი იყო მწვანე.

/ტია-ტუ, ვეირამუტი და კა იღებენ ფართო, მწვანე ნაჭერს და აგებენ, ყველაფერი ხდება მწვანე/

დედა: /დედა ხელს იშვერს სამი დისგან დაგებულ მწვანე ფერისკენ/ იყო სიცოცხლე და იყო სიბოროტე.

/სცენაზე ირევიან სხვადასხვა ტონის მწვანე ფერები, მათ ალაგებენ დები, ჩქარა, ერთმანეთის მიყოლებით/

კო: მერე იყო ლურჯი /ზევით ისვრიან ლურჯ ნაჭერს, ის იშლება და ნელა ეშვება მიწაზე, ბუნების ნახევარი იღებს ლურჯ ფერს და თანდათან გადადის მწვანიდან ლურჯში/

დედა: კო იყო ცოცხალი და კოს ეძინა, რადგან კო არ არის ბოროტი.

კა: ეძინა კასაც.

ვეირამუტი: ეძინა ვეირამუტსაც.

ტია-ტუ: /ხმას არ იღებს/

დედა: ამოვა მზე და კო ვერ მოასწრებს თქმას.

კო: კოს ახსოვს, რომ კომ გაიცინა.

დედა: კომ დაინახა ცისფერი?

კო: კომ დაინახა ცისფერი.

/ცისფერი მოდის სიღრმიდან ნისლივით და შეუმჩნევლად, მოყოლის დროს ყველაფერი ხდება ცისფერი. ძირს აგებენ მთლიანად ცისფერ ნაჭერს/

დედა: კომ დაინახა ყველაზე დიდი და ღრმა ფერი.

სამივე: რა არის ეგ ფერი, რას ნიშნავს ცისფერი?

დედა: დედამ არ იცის, რა არის ეგ ფერი, დედამ მაშინ იცის რა არის ეგ ფერი, როცა თვალები დახუჭული აქვს და გაიგებს მაშინ, როცა დაკიდებენ, ტომარაში ჩასმულს, დიდი მუხის ხეზე, იქ, სადაც კიდიან დედის დედები.

ტია-ტუ: ეგ ცუდი ფერია?!

დედა: ეგ არ არის ცუდი ფერი.

ვეირამუტი: ეგ კარგი ფერია, ეგ ფერი არის, როცა ამოდის მზე.

დედა: ეგ არ არის კარგი ფერი, ეგ არ არის ცუდი ფერი, ეგ ფერი არის მაშინ, როცა თვალები დახუჭულია ქუთუთოებით.

კო: კოს წყნარად გაეღიმა, როცა ნახა ცისფერი.

დედა: ვინც ნახულობს ცისფერს, ყველას ეღიმება წყნარად.

კო: მერე ყველაფერი იყო ცისფერი და კოს აღარ ეღიმებოდა.

დედა: ვინც ცისფერის მეტს ვერაფერს ხედავს, ცოტა თეთრს მაინც, იმას აღარ შეუძლია გაიღიმოს, ის მკვდარია და იმას დაკიდებენ ტომარაში ჩადებულს, დიდ, გაშლილტოტება ხეზე.

კო: კომ მაშინვე დაინახა ყვითელი, შავი, წითელი, ყავისფერი, შინდისფერი /სამივენი ფენენ ფერებს ძირს/. ყველაზე მეტი იყო შინდისფერი /სცენა თითქმის შინდისფერი ხდება - ფენენ შინდისფერ ნაჭრებს სხვებზე, პირდაპირ ზევიდან/ და კოს შეეშინდა, იმიტომ რომ შინდისფერი აღარა ჰგავდა შინდისფერს, ის იყო უფრო და უფრო შინდისფერი და გახდა შავი.

/შინდისფერი ნაჭრები გროვდებიან და ზევიდან აფარებენ მთლიან შავ ნაჭერს/

დედა: კომ ხომ არ ნახა წითელი და ყვითელი.

/შავ ნაჭერზე ჩნდება ყვითელი ნაჭერი და წითელი ნაჭერი. ძირითადი ფერი ისევ შავია/

კო: ნახა.

ვეირამუტი: ნახა.

დედა: ნახა მას შემდეგ, რაც ნახა შავი.

კო: დედა ამბობს სწორს.

/ცა შავდება, მერე გამოდის ყვითელი მთვარე, რომელიც გარემოზე არ მოქმედებს, ის მარტო თავისთავადაა ყვითელი, მის გვერდით მოჩანს ერთი წითელი ვარსკვლავი. ყველანი უყურებენ იმ ვარსკვლავს, ინაბებიან. სრულ სიჩუმეში ისმის დედის ხმა/.

დედა: გურამ-გურამ!

კა, კო: ის, ის, ის.

ვეირამუტი: ის.

ტია-ტუ: გურამ-გურამ?!

დედა: კომ ნახა, რომ წითელი მოწყდა და დაიწვა?

კო: ჰო, ნახა წითელი...

/წითელი წყდება და იწვის, გარემოს ედება წითელი ფერი, მერე ისევ ჩანს შავი და ყვითელი/.

დედა: /თავისთვის სცენის წინ იჩოქებს, ეფერება ლეკვს/

გურამ-გურამ, ჩემო ლეკვო, გურამ-გურამ, შენ, როგორც ეს ლეკვი, გიშვილე მე, შენ, როგორც ამ ლეკვმა, შენს დებთან, ჩემს ნამდვილ შვილებთან ერთად მოწოვე ეს ძუძები _ ეს ძუძუები, რომლებიც იყვნენ სავსე და ლამაზი, დაიცალნენ, დაიჩუტნენ და ახლა პატარა ლეკვიც ძლივს პოულობს შიგ რძეს, ოოო, ოოო, ოოო. /მოსდის ცრემლი, უცებ ბრუნდება შვილებისკენ და წინანდებურად უმეტყველო სახეს იღებს/ გურამ-გურამ მოკვდება.

ყველა: ოოო.

დედა: სანამ ნახავს მხოლოდ ცისფერს და მეტს არაფერს, ის მოვა აქ.

ყველა: ოოო.

ტია-ტუ: ო! /ის მიდის შეუმჩნევლად/

/დედა თავს უფრო იღებს ხელში/

დედა: რა ნახა ბოლოს კომ? კომ ბოლოს ნახა შავი.

დედა: კომ ნახა კეთილი და ბოროტი სული, კო იცოცხლებს.

კო: კა?

დედა: იცოცხლებს კა.

კა: ვეირამუტი?

დედა: _

ვეირამუტი: ტია-ტუ?

დედა: ტია-ტუ ყველაზე ადრე..

კა და კო: ყველაზე ადრე...

ვეირამუტი: საიდან მიხვდა დედა?

დედა: ტია-ტუს ეხო არ ამბობს არაფერს, ეხო გაბრაზებულია ტია-ტუზე, დედამ არ იცის, რატომ.

ვეირამუტი: დედა არაფერს არ ამბობს დედაზე და კაზე და კოზე.

დედა: ლურჯი, მწვანე და შავი არის დედა, დედა არ კვდება, დედა არ შეიძლება მოკვდეს, კვდება მხოლოდ შვილი.

ვეირამუტი: კა და კოც არის ლურჯი, მწვანე და შავი.

დედა: კა და კო, კა და კო. /უცებ ბრუნდება კოსკენ/ კო! კომ არა თქვა რა ფერები ნახა სულ პირველად, სანამ ნახავდა მწვანე ფერს.

კო: საიდან იცის დედამ ეს?

დედა: დედამ იცის, რომ პირდაპირ მწვანე და მუქი ლურჯი არ მოდიან, როცა ქუთუთოები გუგებს ხუჭავენ.

კო: ჯერ მოდიან ნაცრისფერი, ყვითელი და თეთრი.
დედა: საიდან იცის ეს კომ?
კო: კომ ნახა ისინი, სანამ ნახავდა მწვანეს.
დედა: ნაცრისფერი, ყვითელი და თეთრი?!
კო: ნაცრისფერი, ყვითელი და თეთრი.
დედა: /ეცემა მუხლებზე/ ოოო, ოოო, ოოო.
ვეირამუტი: ოოო, ოოო. რატომ ტირის უცრემლოდ და მარტო ხმით, დედა?
დედა: დედას არ შეუძლია ცრემლით იტიროს.
ვეირამუტი: მაშინ რატომ ტირის ხმით დედა?
დედა: დედა ვერ იკავებს თავს.
ვეირამუტი: მაშინ იტირებს ვეირამუტიც, იტირებენ კა და კოც, ოღონდ დედამ თქვას, რატომ.
დედა: დედას ეშინია, რომ ისინი ვერ შეიკავებენ ცრემლებს.
კა და კო: თუ დედა იკავებს, ჩვენც შევიკავებთ.
ვეირამუტი: ცრემლებს შეიკავებს ვეირამუტიც.
დედა: ვერც ვეირამუტი, ვერც კა და კო, ცრემლებს ვერ შეიკავებენ, როცა ამოვა მზე.
ვეირამუტი
კა და კო } მაშ, როგორ იკავებს დედა ცრემლებს?
დედა: დედას ისინი აღარა აქვს.
კა და კო: ისინი აქვთ ახლა კას და კოს. კას და კოს ეშინიათ, ამოდის მზე და ისინი ვერ იკავებენ ცრემლებს.
ვეირამუტი: /ვეირამუტი უყურებს დებს და ისიც ტირის/ მოდით აქ, დებო, ჩემთან ახლოს, ვიტიროთ ერთად. /დები უახლოვდებიან/
დედა: ოოო, ოოო. /უცებ სტაცებს ვეირამუტს ხელს და აქეთ ისვრის/ გეშინოდეს კასი და კოსი, მათ გულზე ახატიათ ავი ეხოები.
ვეირამუტი: ავი ეხო?!
დედა: ამოდის მზე.
/ამოდის მზე/
ვეირამუტი: /უყურებს დებს, თითქოს საფარველი ჩამოეცალა, ისე ცხადად ჩანს მათ გულებზე დახატული ავი ეხოები _ ტატუირება, რქები, წითელი თავებით, ვეირამუტი თავში იტავებს ხელს/ ავი ეხო, ოო!
დედა: ავი ეხო!
კო: დედა, ვეირამუტ, მე და კას გვეშინია, ჩვენ გვინდა თქვენ ახლოს, ჩვენ გვეშინია ყვითელი, წითელი და ბრჭყვიალა მზის. /ორივენი ცდილობენ გაუშტერონ თვალები/
კა და კო: ჩვენ ვერ ვუყურებთ მზეს, ჩვენ ვერ ვუყურებთ მზეს.
/გარემო გაკაშკაშებულია ყვითლად, ძალიან და ავადმყოფურად. ყვითლის გარდა, არ მოჩანს არც ერთი ფერი/ კა და კოს ეშინიათ ყვითელი ფერის, კა და კო ტირიან, ტირიან, ოოო.
ვეირამუტი: ოოო.
დედა: ოოო, ავი ეხო, ავი ეხო, ვინც კა და კოსთან ახლოს მივა, ის მოკვდება, კა და კომ უნდა იცხოვრონ მარტო.
ვეირამუტი: /უნდა მივიდეს, თან ეშინია, კა და კო მიდიან მისკენ, ის უკან იხევს/ დაო, კა.
კა: ვეირამუტ.

ვეირამუტი: დაო კო.

კო: ვეირამუტ.

(ხელები გაშვერილი აქვთ ერთმანეთისკენ, მაგრამ ვერ მიდიან)

დედა: ოოო, ბოროტმა ეხოებმა დაახატეს ბოროტი ეხოები ჩემს შვილებს, ჩემს კას, ჩემს კოს.

კა და კო: ოოო.

/დედა ხელებგაშვერილი მიდის შვილებისაკენ, მიდის ხელებგაშვერილი ვეირამუტიც, მიდიან მათკენ კა და კოც, სცენის სიღრმეში ცეკვავს ტია-ტუ ტრაგიკულ სამხიარულო სიმღერას. ახლოს მისვლის მაგიერ, კა და კოს დედა და და უფრო შორდებიან, ხელგაწვდილნი. ბოლო: ჩანს ვეირამუტის ხელი და დედის თმა, რომელსაც ამოვარდნილი ქარი წეწავს. კა და კო ერთმანეთისკენ ბრუნდებიან, უყურებენ ერთმანეთს/.

კა: კო.

კო: კა.

/მიდიან ერთმანეთისკენ, მაგრამ ეშინიათ ერთმანეთის გულზე დახატული ბოროტი ეხოების, ის არის უნდა ჩაეკვრნენ ერთმანეთს, და შორდებიან, რამდენჯერმე იძახიან: ავი ეხო, ავი ეხო/

კა: კო!

კო: კა!

/ერთმანეთისკენ იწევენ, მაგრამ რაღაც უხილავი ძალა იჭერთ და უფრო შორდებიან ერთმანეთს გაწვდილი ხელებით, ერთმანეთისკენ გაშლილი თმებით. ბუნება ყვითელია და სიღრმეში ყვითელი ტია-ტუ ცეკვავს სიკვდილის ცეკვას, განშორების ცეკვას/

მ ე ო რ ე მ ო ქ მ ე დ ე ბ ა

/სცენაზე ჩანს უზარმაზარი გამოქვაბულის შესავალი, რომელიც მიდის სულ სიღრმეში და, ბოლოს, სიბნელეში იკარგება. სიბნელიდან გამოდის მკრთალ სინათლეში ვეირამუტი, დაღვრემილი სახით.

ვეირამუტი: /იყურება დასავლეთისკენ/ უკვე მზე ჩავიდა, იმას ჯერ კიდევ არ სძინავს: უკვე ღამდება, ის კი ჯერ არ მოდის, მე ვუძახი მას, ის კი არ მოდის, მე კი მარტო ვარ, მე მეშინია, ბოროტმა ეხომ ჩემი თავი დახატა დილით კედელზე და მე მოვკვდები, მე არ მინდა, რომ მციოდეს. ჩემი თავი, ჩემი ხელები, ჩემი ძუძუები ბოროტმა ეხომ კედელზე დახატა, მე ვეღარ მივალ ცეცხლთან, მე მეციება... ო, ეხოებო, არასოდეს აღარ გათბება ჩემი სხეული.

/გამოქვაბულის სიღრმეში ჩანს ტია-ტუ, რომელიც ბოროტ გრიმასებს აკეთებს, მოდის წინ ისე, რომ ვეირამუტმა ვერ დაინახოს, რამდენიმე შტრიხს უმატებს ვეირამუტის სიმბოლურ გამოსახულებას კედელზე, მერე ადგილს ინაცვლებს/

ტია-ტუ: მზე ჩავიდა, ის კი არ მოდის. მის მაგიერ მოვა ღამე და სიცივე.

ვეირამუტი: ტია-ტუც არის მარტო? მას ჩაეკვრება ვეირამუტი და გათბება, ვეირამუტს ეშინია თავისი დის; მაგრამ აქ სხვა არავინ არ არის, ყველაზე ძალიან კი ვეირამუტს ეშინია, როცა არავინ არ არის.

ტია-ტუ: მე ჩაგიკრავ შენ ღამე, რომელიც საცაა მოვა ჩვენს გამოქვაბულში და გაგათბობ.

ვეირამუტი: ტია-ტუ დიდია, ძლიერი და ყოჩაღი, იმას არ ეშინია სიცივის.
ტია-ტუ: მე არ მეშინია, როცა მარტო ვარ და როცა მცივა.
ვეირამუტი: არც მე მინდა, რომ მეშინოდეს, მასწავლე, ტია-ტუ, როგორ არ უნდა მეშინოდეს.
ტია-ტუ: უნდა თქვა, რომ არ გიყვარს არავინ.
ვეირამუტი: რომ არ მიყვარს არავინ.
ტია-ტუ: რომ არ გიყვარს დედა, ლეკვი, რომელიც დედამ გაზარდა.
ვეირამუტი: რომ არ მიყვარს დედა, ლეკვი, რომელიც დედამ გაზარდა.
ტია-ტუ: რომ არ დარდობ კა და კოზე და გიყვარს მარტო შენი თავი.
ვეირამუტი: რომ მიყვარს მარტო ჩემი თავი
ტია-ტუ: მაშინ არ შეგეშინდება სხვების.
ვეირამუტი: შენ არ გეშინია, ტია-ტუ?
ტია-ტუ: მე არ მეშინია არაფრის.
ვეირამუტი: მე მეშინია, მე მეშინია, რომ არ მიყვარდეს, მაშინ არც მე ვეყვარები არავის.
ტია-ტუ: მაშინ იქნები ჩემსავით ძლიერი.
ვეირამუტი: შენ არ გიყვარს არც ის?
ტია-ტუ: მე ის მინდა, ის არის კაცი, მე ის მინდა ძალიან.
ვეირამუტი: ო ტია-ტუ, მე მიყვარს გურამ-გურამ.
ტია-ტუ: მე მინდა ის, ის არის კაცი.
ეხოები: ტია-ტუ! /ტია-ტუ იხედება/ ვეირამუტ! /ვეირამუტი იხედება/ შენ მახინჯი ხარ, ტია-ტუ, შენ გეშინია თქვა, რომ გიყვარს გურამ-გურამ! შენ ლამაზი ხარ, ვეირამუტ, და ყველა შენს გრძნობას ეძახი სიყვარულს.
ვეირამუტი: ო, ეხოებო, მე მეშინია, რომ არ მიყვარდეს კა და კო და დედა და ლეკვი.
ტია-ტუ: შენ აღარ გიყვარს გურამ-გურამ!
ვეირამუტი: მე მეშინია კიდევ ვთქვა მასზე რაიმე ხმამაღლა.
ტია-ტუ: გეშინია კა და კოსი?
ვეირამუტი: არა.
ტია-ტუ: გეშინია დედის და ლეკვის?
ვეირამუტი: არა.
ტია-ტუ: გეშინია ჩემი და ეხოების?!
ვეირამუტი: ჰო.
ტია-ტუ: მე არ მეშინია ჩემი, მე არ მეშინია ეხოების, ჩემი ეშინიათ სხვებს.
ვეირამუტი: შენი ეშინია ყველას.
ტია-ტუ: მე ვარ ავი, მე ბევრ ვნებას ვაყენებ სხვებს.
ვეირამუტი: ტია-ტუ, შენა ხარ ჩემი და, მე არ შემიძლია ცუდის გაკეთება, მე მიყვარს ყველა, შენც გიყვარს ყველა, ოღონდ შენ არ ამბობ მართალს.
ტია-ტუ: მე ვამბობ მართალს, შენ არ გიყვარს ყველა, შენ სტყუი, ჩემო ლამაზო და.
ვეირამუტი: მე არ მინდა ვთქვა ტყუილი.
ტია-ტუ: მე კი თავისთავად არ ვამბობ ტყუილს არასოდეს. მე როცა ვტყუი, ყველამ იცის, მაგრამ მე ვარ ეშმაკი და ყველანი მიჯერებენ. სამაგიეროდ, მათ არ ვუყვარვარ, _ მეც ამითივე ვუხდი ყველას.
ვეირამუტი: მე სულ უფრო მეშინია ჩემი დის.

ტია-ტუ: მე არ მეშინია შენი.

ეხოები თეთრებში

და შავებში: ო, ვეირამუტ! ო, ტია-ტუ! თქვენ ორივენი ხართ დიდ, ღრმა გამოქვაბულში, რომელშიაც არის მარტო სიბნელე, თქვენ ორივეს ახვეული გაქვთ თვალები და ვერა ხედავთ სინათლეს, რომლის მძლავრი სხივიც დანახვისთანავე თვალებსა გჭრით და გაბრმავებთ. ის, ვინც ვერ ხედავს სინათლეს, დაიღუპება.

ტია-ტუ: გესმის ხმები?

ვეირამუტი: ო, ტია-ტუ, მე მესმის ხმები და ვერ ვარჩევ მათ.

ტია-ტუ: ისინი ამბობენ, რომ ვეირამუტი არის სიბნელეში, რომ ვეირამუტს ახვეული აქვს თვალები და არ შეუძლია დაინახოს სინათლე, თქვას მართალი.

ვეირამუტი: ისინი ამბობენ, რომ ვეირამუტს ეშინია, ეშინია ყველაფრის და არ შეუძლია გააკეთოს ცუდი.

ტია-ტუ: ტია-ტუს ესმის სხვანაირად ეხოების, ისინი აბრაზებენ მას.

ვეირამუტი: ვეირამუტს ამშვიდებენ ეხოები, ისინი არიან წყნარი და ტკბილი, როცა ვეირამუტი არის სხვებთან ერთად, როცა მასთან არიან მისი დები და კაცები; ვეირამუტს ეშინია სიმარტოვის, ეშინია მარტო ყოფნის დროს ეხოების მოსმენის.

ტია-ტუ: ტია-ტუს არ ეშინია არაფრის, როცა ის არის მარტო. ტია-ტუს მაშინ ეშინია ეხოების, როცა ის სხვებთანაა, როცა მას უყურებენ მისი დები, დიდი მეომრები და როცა მას უყურებს ვეირამუტი.

(შორიდან ისმის ლეკვის წკავწკავი, ყრუ ხმა ლოცვის, გამოდის სიღრმიდან დედა, ხელში აყვანილი ლეკვით, ლეკვს თავი გვერდზე აქვს გადაგდებული, საფეთქლიდან მოსდის სისხლი, წკავწკავებს. შემოდის დედა, ის უყურებს ორივეს და ვერ ხედავს ვერც ერთს)

ტია-ტუ: დედა და ლეკვი!

ვეირამუტი: საწყალი დედა, ის ვერ გვხედავს, საწყალი ლეკვი.

ტია-ტუ: ლეკვი მოკვდება.

დედა: /უცებ მიდის ტია-ტუსკენ/ მოკვდება დედაც, მოკვდება ტია-ტუც, მოკვდება ვეირამუტიც.

ვეირამუტი: საწყალი დედა, საწყალი ტია-ტუ, საწყალი ვეირამუტი. ვეირამუტს სცივა, ვეირამუტს არ უნდა, რომ მოკვდეს.

დედა: /აღარ უყურებს არავის, სიბრაზე ჩაქრა, იყურება ზევით, ფარდისაკენ. ფეხმორთხმული ჯდება, წინ იდებს ლეკვს, ლეკვი შეყეფს და მოკვდება/

ოოო, ოოო, ოოო! ლეკვი... პატარა ლეკვი... ის ბოლო იყო, ვინც კიდე მოწოვა ჩემი ძუძუები, ვინც გამოწუწნა საბოლოო რძე, შინ აღარ არის რძე, რძე დაიცალა, ძუძუები დაიჩუტა. ოოო, ოოო, ოოო... ურძეოდ მოკვდება დედა /უცებ წამოვარდება, მიდის ვეირამუტისკენ, მერე ტია-ტუსკენ/ თქვენ გამოწოვეთ ეს ძუძუები, ისინი კვდებიან ახლა. ოოო, მოკვდებიან ისინიც, ვინც გამოწოვა ჩემი რძე, ჩემი სიცოცხლე, მოკვდებიან რძით სავსე ძუძუებით, ცხოვრებით სავსე გულით; დედა წყევლის ყველას! დედა ლოცავს ყველას! დედას უყვარხართ თქვენ, პატარა და დიდო დებო; დედას ა-ღარ შე-უძ-ლია არა-ფერი, საწყალი დედა...

/დედა მოსხლეტით ეცემა, მერე წამოიწევს, მკვდარ ლეკვს მიითრევს თავისკენ, ჩაიხუტებს მაგრად, ხელები უდუნდება, უმოძრაოდ ეცემა, კვდება. ვეირამუტი და ტია-ტუ ამ სცენაში არიან ჩაფლულები, როცა იჭრება ახალი ხმები, ძლიერი დაფდაფი, სირბილი, ნაბიჯები... მკვდარ დედას ლეკვთან ჩახუტებულს ტოვებენ შუა სცენაზე, იყუჟებიან. პირველი გარბის წინ ტია-ტუ, მისკენ მორბის დაჭრილი «ის» _ გურამ-გურამ. ის აწყდება ტია-ტუს, მაგრამ ვერ ხედავს მას, ის ხედავს მხოლოდ ვეირამუტს. ტია-ტუ _ პატარა, უშნო, ბოროტი _ თავისთვის იყუჟება კუთხეში. წინ გამოდის ვეირამუტი _ მაღალი, ლამაზი, კეთილი გაბრწყინებული თვალებით, რამდენადაც შეუძლია, ღირსეულად თავშეკავებული/.

ვეირამუტი: მე გელოდი შენ.

გურამ-გურამ: მე მოვედი შენთან.

ვეირამუტი: ო, გურამ-გურამ.

გურამ-გურამ: ო, ვეირამუტ.

ეხოები სიღრმიდან: ო, შენ მოხვედი ვეირამუტთან, ოღონდ მოხვედი ძალიან გვიან.

გურამ-გურამ: /იძაბება/ გესმის ხმები, ვეირამუტ? შენ აღარ გიყვარვარ მე?

ვეირამუტი: ხმები არ ამბობენ სწორს.

მეომარი: /იზიდავს ქალს, სისხლიან მკერდზე იკრავს/ შენი ძუძუები მიწამლებენ მე.

ვეირამუტი: შენი მკერდი არის თბილი, ძალიან თბილი, ის ათბობს ჩემსას, რომელიც იყო ცივი და რომელსაც ეშინოდა.

ხმები: გურამ-გურამ /ეხოები იმეორებენ და იმალებიან/

სხვა ხმები: ვეირამუტ /ეხოები იმეორებენ და იმალებიან/

მეომარი: ვეირამუტ! მე მქონდა იმდენი ძალა, რომ შენთან მოვსულიყავი.

ვეირამუტი: მეც მქონდა იმდენი სიყვარული, რომ შენთვის დამეცადა.

მეომარი: შენ მიჰყავდი სხვა მეომარს?

ვეირამუტი: მე მივყავდი ავ და კარგ ეხოებს თავისთან, მე ისინი წამიყვანენ ჩქარა, მე ისინი წამიყვანენ, იმიტომ რომ მოხვედი შენ.

მეომარი: რომ მოვედი მე?!

ვეირამუტი: ჰო, რომ მოხვედი შენ.

მეომარი: მე.

ვეირამუტი: ასე ახსნა ძილში ნახული ეხოები დედამ, რომელსაც ეჭირა ლეკვი, რომელმაც მოწოვა მისი ძუძუ და რომელიც მოკვდა მასთან ერთად.

მეომარი: /ნაღვლიანად/ დედამ იცის ეხოების ენა.

ვეირამუტი: /ნაღვლიანად/ დედამ იცის ეხოების ენა.

მეომარი: /უცებ აენთება/ გურამ-გურამ წავა, გურამ-გურამ მოკლავს თავის სიყვარულს გულში, გურამ-გურამ აღარ ნახავს ვეირამუტს აღარასოდეს, ვეირამუტი იცოცხლებს დიდხანს, ვეირამუტი იცოცხლებს...

ვეირამუტი: თუ წავა ის, ვისაც ელოდა ვეირამუტი, თუ წავა ის, ვისაც ცხვირში დიდი ვაჟკაცობის ნიშნად აქვს ყველა დიდ ტყეებში მცხოვრები ყველაზე დიდი სპილოს ძვალი, რომელიც ყველა სხვა ტომებში ყველაზე დიდმა მონადირემ მოკლა.

ეხოები: ის მოკლა გურამ-გურამმა.

ვეირამუტი: /აღგზნებული/ ის მოკალი შენ!

გურამ-გურამ: მე ის მოვკალი, მე მინდოდა დამრჩენოდა მისი ეშვი.

ვეირამუტი: შენ მოკლავ ვეირამუტს შენი წასვლით უფრო ჩქარა, ვიდრე ეს ეხოების სურვილია და არ დაგრჩება მისგან არაფერი.

მეომარი: მე არ წავალ მისგან.

ეხოები თეთრებში

და შავებში: მაშინ უფრო ჩქარა მოკვდება ვეირამუტი /ორივენი იშმუშნებიან/.

ვეირამუტი /სასოწარკვეთილებით/: გურამ-გურამ!

მეომარი } ვეირამუტ!

ეხოები თეთრებში

და შავებში: დრო გადის, დრო გადის, დრო გადის /ამბობენ და იმალებიან/.

/ორივენი იხედებიან აქეთ-იქით. მეომარს ძალა ელევა, კარგავს ფერს, მსუბუქად ტოკდება, ვეირამუტი კუთხისკენ იხევს მისგან შორს, ჩანს როგორ თრთის მეომრის მკერდზე ჭრილობა. მეომარი ცდილობს არ შეიმჩნიოს არაფერი, გამოქვაბულიდან ისმის ჩუმი სისინი/.

მეომარი: ვეირამუტ!

ვეირამუტი: ა! /იყურება კედლისკენ და უცებ გარბის მისკენ, ორ ნაბიჯზე ჩერდება. აღელვებული, გაკვირვებულია/ ჯერ ხომ არ მომკვდარა ვეირამუტი?!

მეომარი: ის არ მოკვდება.

ვეირამუტი: ის არ მოკვდება.

მეომარი: ის უყვარს გურამ-გურამს. ის ეყვარება გურამ-გურამს მანამდე, სანამ უყურებს და უყურებს მანამდე, ვიდრე შეუძლიათ მის თვალებს უყურონ, ვიდრე შეუძლიათ მის ყურებს, რომ გაიგონონ მისი ხმა.

ვეირამუტი: /სასოწარკვეთილებით/ მერე?!

ხმები: მერე მოკვდება ვეირამუტი.

ვეირამუტი: მერე?! /სასოწარკვეთილებით, ოღონდ წინააღმდეგობის გრძნობის გარეშე, ბედს მინდობილი. უცებ ისევ ენთება, ის ვერავის ვეღარ ამჩნევს, როცა ამბობს/: ვეირამუტს უნდა სიცოცხლე.

/გურამ-გურამს უფრო ელევა ძალა, ძლივს ადგამს ფეხებს, ვეირამუტიც შეიპყრო მისმა უძლურებამ, უნდა წავიდეს მისკენ, ოღონდ არ შეუძლია, წუწუწუუ _ მოულოდნელად უბერავს ქარი გამოქვაბულიდან, წუწუუ _ განმეორებით უბერავს ქარი, სცენაზე ყველაფერი ბრიალებს, ორივენი ადგილზე ქვავდებიან, რაღაცა ძალა იღვიძებს მათში. ამ ძალას მათი უმოძრაო დგომა იმავე პოზაში, როგორც ბოლოს იყვნენ, უსვამს ხაზს. რაღაც გაჩნდა ისეთი, რომელმაც ორივენი დააბრუნა სიცოცხლესთან. ახლა უკვე მთელი გარემო შრიალებს. ოოჰო ჰო ჰოოო! _ ისმის სიჩუმეში სიცილი, მკვეთრი, მშრალი. გამოქვაბულის სიღრმიდან გამორბის თმებგაშლილი ტია-ტუ; სხვა ყველაფერი წყვდიადში ექცევა, წყვდიადში ექცევიან გურამ-გურამ და ვეირამუტიც. მთელი სინათლე ეცემა ტია-ტუზე. ის განსახიერებაა სიბოროტის. პატარა, გაძეძილი, უშნო და ბოროტად ჭკუაზე შემცდარი, ქვის ხელცულით და ქვის დანით ხელში, ის თავის გარშემო ვერაფერს ხედავს/.

ტია-ტუ: ტია-ტუ, ტია-ტუ, ტია-ტუ.

ეხოები: /იმეორებენ მრავალჯერ/ ტია-ტუ, ტია-ტუ, ტია-ტუუუ.

ტია-ტუ: ტია-ტუს უნდა, ტია-ტუ იპოვის, ტია- ტუ იქნება ლამაზი.

ხმები: იქნება, იქნება, იქნება.

ხმა: მაშინ იქნება ისეთივე უშნო და ბოროტი.

ტია-ტუ: ტია-ტუს არ უნდა ბოროტად ყოფნა, ტია-ტუს არ უნდა უშნოდ ყოფნა.

ხმები: ის იქნება ლამაზი, ის იქნება კეთილი.

ხმა: როცა არ იქნება ის, რასაც ჰქვია ტია-ტუ.

ტია-ტუ: /გიჟის თვალებით, რაღაცას უგდებს ყურს/ ტია-ტუ უ, ტია-ტუ უუ _ იწევა თითის წვერებზე, მოკრძალებული.

ეხოები: /დუმან და იმალებიან/.

ტია-ტუ: /სახეზე კეთილი ღიმილი ეხატება/ მე არა ვარ ტია-ტუ? რა არის ტია-ტუ? მე რომ ვიყო ტია-ტუ, მაშინ ხმები დამიძახებდნენ ტია-ტუს. ჰა... ჰა რა არის ტია-ტუ? /ბავშვურად/ რაღაც მაგონდება, როცა ამ სახელს ვამბობ. ო, ეხოებო, მაპატიეთ, მე ისე დავიღალე, რომ ვერც კი მოგესალმეთ და სულ დამავიწყდა მესურვებინა თქვენთვის ლამაზი ფერები, დიდი ფოთლებით, ცივი წყლებით, ახლა მიკვირს, რომ არ ვხედავდი... აი... ოო, რა ლამაზია /გამოქვაბულიდან გამოდის მკრთალი შუქი/, ოო, რა ლამაზია. ოღონდ მე მისი სახელი არ ვიცი, მე არც მისი ფერი ვიცი, მე არ ვიცი არც მისი დედა ვინ არის. გამაცანით. მე ის მიყვარს, ეხოებო.

ეხოები: იმას არა აქვს სახელი.

ტია-ტუ: სახელი? განა შეიძლება იმას სახელი ჰქონდეს, ის ისეთი ლამაზია და მე ისე მიყვარს, მინდა სულ აქ ვიჯდე და ასე ვუყურო. ოღონდ თვალებს დავხუჭავ და ისე ვუყურებ. ო, ახლა ასე უფრო კარგადა ჩანს. ან რა საჭირო იყო თვალები მის დასანახად. ასე კარგია, ახლა მუსიკა მესმის. კარგო ეხოებო, რა კარგი ყოფილა, როცა არა გაქვს სახელი /მიდის ნირვანაში/.

/დაძაბული მოძრაობით, შემართულები უახლოვდებიან გურამ-გურამ და ვეირამუტი ტია-ტუს, რომლის სახეც უდიდეს სიმშვიდესა და ნეტარებას გამოხატავს. მისი გამომეტყველება ედება ორივეს. ყრუ ხმით ეცემა გამოქვაბულის შუაში მეომარი, ძალაგამოლეულია, ვეირამუტი მირბის მისკენ. სანამ მიირბენდეს, მეომარი იმართება, სახეზე ტკივილი ეხატება და ისევ ეცემა, ოღონდ ახლა ვეირამუტის მკლავებში. ბუნება ბოროტად იწყებს შრიალს, ის რაღაც მშვენიერი და ლამაზი, რომელიც არ ჩანდა, ქრება/

ვეირამუტი: ო დიდო და ძლიერო ეხოებო, ო კეთილო ძალებო, ო გურამ-გურამ.

მეომარი: ო ვეირამუტ!

ვეირამუტი: წყალი!

ხმები: წყალი, წყალი, წყალი!

მეომარი: /სუსტად/ წყალი!

ვეირამუტი: წყალი აქ არის.

/ორ ნაბიჯზე გადმოდის წყალი, ვეირამუტი ცდილობს დააწვინოს მეომარი და გაიქცეს წყალზე/

მეომარი: ოო, ნუ მტოვებ. წყალი!

ვეირამუტი: წყალი აქ არის /ცდილობს დააწვინოს/

მეომარი: ოო, ნუ მტოვებ. წყალი!

ვეირამუტი: /ცდილობს თან წაიყვანოს/ ერთად წავიდეთ, მე მომეჭიდე, ხელი მომხვიე კისერზე, აი ასე, აი ასე. აქვე გადმოდის ცივი, ცივი წყალი.

მეომარი: ოო, ნუ მანძრევ, ვეირამუტ, მეტს ვერ ავიტან.

ვეირამუტი: კეთილო და ბოროტო ეხოებო, მირჩიეთ, რა ვქნა?

ეხოები: /დუმან, მხოლოდ უხმო ელვის სინათლე ეცემა ტია-ტუს. მეხი ცოტა ხნის შემდეგ ვარდება, რომელსაც საშინელი წვიმა მოჰყვება.

ვეირამუტი თვალს მოჰკრავს ტია-ტუს, რომელიც ადრინდელი ნეტარების პოზაში ზის დავიწყებული; ვეირამუტის სახეზე სასოწარკვეთილი იმედი იხატება, ცალ ხელს მაღლა სწევს/.

ვეირამუტი: ნუ მოკლავთ, ძალებო, მეომარს უწყლოდ /ვეირამუტი თავს აბრუნებს ტია-ტუსკენ, რომელიც წინანდებურად მშვიდია, და ნელა უძახის/ ტია-ტუ! /ტია-ტუს ნერვიულად ეცვლება სახე, მაგრამ რაღაცას იგონებს, ისევ დამშვიდდება/ ტია-ტუ!! /იძახის უფრო ხმამაღლა. წყლის ხმა, რომელიც უკვე მდინარეს წააგავს, იზრდება; ელვა ძლიერდება, იწყებს წვიმას; ვეირამუტის გარშემო არა წვიმს. ტია-ტუ მეორე დაძახებისას უცებ ერკვევა, მაგრამ ვეირამუტი აღარ ეძახის და ისიც წინანდელ მდგომარეობას უბრუნდება/.

მეომარი: ო, სულ ცოტა სიგრილე მაინც, ო, არ მინდა უწყლოდ სიკვდილი.

ვეირამუტი: აჰა, აი აქ, აქ არის ნესტი. აჰა, შენია, აჰა, წაიღე, სულ შენ წაიღე. /ის აღგზნებულია, აზღუდიდან იღებს ძუძუს და აწვდის, მეომარი წუწნის ნელა და ვნებით/. ის სულ შენია, ის სულ შენია.

მეომარი: ის სულ ჩემია
/პირს უშვებს ძუძუს/

ვეირამუტი: ნუთუ სისველე აღარ დარჩა.

მეომარი: ის გავარვარდა და ყელსა მწვავს.

ვეირამუტი: კიდე მოწოვე, კარგად მოწოვე, მანდ იპოვი შენ, რაც გადაგარჩენს, ის სავსე არის შენი დახმარების სურვილით.

მეომარი: /ცდილობს ისევ მისწვდეს ძუძუს, ტუჩებს ავლებს და უშვებს/.
ო, ისევა მწვავს, ო რა ცხელია.

ვეირამუტი: აი, მეორე ძუძუ, გურამ-გურამ, ისიც სავსეა შენი მორჩენის სურვილით.

მეომარი: ო, ეგეც ყელს მწვავს, უფრო უარესადა მწვავს, ვეირამუტ.

ვეირამუტი: ეხოებო, მირჩიეთ.

მეომარი: მე ის ახლა ლოყას მწვავს, მე ის ახლა შუბლზე მედება. ო, მომაშორეთ ძუძუები, მომეცით სინესტე, მე წყალი მწყურია.

ვეირამუტი: კეთილო და ბოროტო ეხოებო, მომეცით წყალი, მომეცით სინესტე, აავსეთ, აავსეთ ჩემი ძუძუები.

ეხოები: შენი ძუძუები სავსეა ვნებით, შენ მარტო ის დაგრჩა შენი გრძნობებიდან და შიგ ნოტიო სამუდამოდ გამოილია.

ვეირამუტი: რა მეშველება?!

ეხოები: ჩვენ დაგვიჯერე.

მეომარი: მათ დაუჯერე.

ვეირამუტი: გიჯერებთ, გიჯერებთ, კეთილო ეხეობო, ნუ მოკლავთ მეომარს უწყლოდ.

ეხოები: შენ ვნებამ დაგწვა, შენ ეგ გაგივლის, მაგ ვნებამ დაწვა შენი მეომარიც.

ვეირამუტი: გურამ-გურამი კვდება უწყლოდ, ჩქარა გამივლის?

ეხოები: როცა აღარ გერქმევა შენ ვეირამუტი.

ვეირამუტი: ო, თანახმა ვარ.

მეომარი: წყალი, წყალი! ო ნუ მტოვებთ.

ვეირამუტი: მე თანახმა ვარ, ოღონდ წყალი, წყალი მომეცით, რომ გურამ-გურამს დავალევინო.

ეხოები: როცა აღარ გექნება ვნება, აღარ დასჭირდება მეომარს წყალი.

მეომარი: /ხმამაღლა/ წყალი, წყალი, წყალი /თავს სწევს მაღლა, ხვდება ვეირამუტის გადმოყრილი ძუძუები, სახეს სწვავს, უცებ იქნევს თავს და ირინდება/ ო ოოო /კვნესის საზარლად/.

/მკრთალი ციდან მოდის წვიმა. ვეირამუტს ყველაფერი ავიწყდება ქვეყანაზე გარდა წყლისა, ხელიდან უშვებს მეომარს და გარბის წყლისაკენ/

ვეირამუტი: წყალი, გურამ-გურამ, მე ჩემი პეშვით დაგალევინებ შენ წყალს /თითქმის ღონემიხდილი იხრება წყლისკენ, მაღლა ამოსული წყალი ნელა იწევს ქვევით და ქრება/. წყალი... ა /ბრუვდება ვეირამუტი და უცებ ხედავს მშვიდად მჯდომარე ტია-ტუს, საშინელი ბრაზი იპყრობს, ერთ დროს კეთილი, მშვიდი ვეირამუტი მთლიანად შეცვლილია სახეზე, ორივე ხელს მაღლა იშვერს და მთელი ხმით იძახის/

ვეირამუტი: ტია-ტუ!!!

ტია-ტუ: /წყნარად/ ტია-ტუ? (უცებ წამოვარდება, ნატამალიც აღარ რჩება მის არსებაში ძველი სიმშვიდის) ტია-ტუ, ტია-ტუ, ტია-ტუ

ეხოები: /იმეორებენ მრავალჯერ/ ტია-ტუ - ტია-ტუ - ტია-ტუუუ!

ტია-ტუ: მე ვარ ტია-ტუ! მე ვარ დიდი, მე ვარ ძლიერი, მე მქვია სახელი, შენ გამახსენე, ჩემი სახელი შენ! შენ!!! შენ!!! შენ, კეთილო ვეირამუტ.

ვეირამუტი: ტია-ტუ...

ტია-ტუ: მე ვარ ბოროტი!!

ვეირამუტი: ტია-ტუ...

ტია-ტუ: გურამ-გურამ მოკვდება უწყლოდ.

ვეირამუტი: ოოო...

ტია-ტუ: ის მოკვდება უწყლოდ სიკვდილზე ადრე.

ვეირამუტი: ოოო...

ტია-ტუ: ის მოკვდება ტია-ტუს ხელით, ის მოკვდება შენთან ერთად, შენ მოკვდები ამ ნაჯახით.

ვეირამუტი: ო, ტია-ტუ.

ტია-ტუ: ის მოკვდება ამ დანით და ჩემი ძუძუები დარჩებიან სავსე ვნებით, სავსე სიცოცხლის ძალით. ისინი მოკვდებიან ხელუხლებელი გურამ-გურამთან ერთად, ისინი მორწყავენ სისხლით ტია-ტუს სხეულს.

ვეირამუტი: ო შემინდეთ, კეთილო და ბოროტო ეხოებო.

ტია-ტუ: ო ჩაიბარეთ უკან ჩემი ძუძუები.

/ირტყამს ძუძუში დანას/

ეხოები: დრო დადგა, დრო დადგა, დრო დადგა.

/ტია-ტუ სისხლიანი დანით მიდის ვეირამუტისა და გურამ-გურამისაკენ, გურამ-გურამი წამოიწევს და, დაუძლურებული, ისევ ეცემა. ტია-ტუ და ვეირამუტი, დაბრმავებულები თავიანთი ვნებისგან, მიდიან წინ. _ უუუუ! _ ისმის უფსკრულში გადავარდნილი ვეირამუტის სასოწარკვეთილი კივილი; უუუუ უ! _ იმეორებს ათასი ეხო. უუუუ ოოო! უი! ოი! _ ისმის უფსკრულში გადავარდნილი ტია-ტუს სასოწრაკვეთილი ხმა. უუ! ოო! ეე! ییییو! _ იმეორებს ათასი ეხო ბანით, კრიმანჭულით, წრიპინით, მხიარულად, ბოროტად და უცებ ყველაფერი მშვიდდება, ნაწვიმარზე განსაკუთრებით გამჭვირვალეა ჰაერი და სასიამოვნოა მზე, რომელიც ჯერ არა წვავს. მზის იქით, მკრთალად განათებულში, გდია მეომარი./

გადის ხანი.

შემოდის კო ნელა, მოწყენილი, ყვავილების კრეფით, ხელში ნახევრად გაკეთებული გვირგვინი უჭირავს.

მეომარი: /გმინავს თავისთვის/ ო! ო! ო!

/კო შეშინებული იმალება, ისევ გამოდის ფრთხილად, თითის წვერებზე./

კო: ვინ კვნესის ჩრდილში?

მეომარი: ეს მე ვარ, გურამ-გურამ.

კო: გურამ-გურამ!

მეომარი: ო! ო! შენ ვინ ხარ თვითონ?

კო: მე?

მეომარი: შენ ხარ კო, მე შენ გიცნობ ხმაზე, მე შენ არ შემიძლია დაგინახო, რადგან არ შემიძლია ავწიო თავი; ის დაჭრილია, მძიმეა და სისხლიანი.

კო: გურამ-გურამ!!

მეომარი: ჩემო პატარა, რას აკეთებ შენ?

კო: მე ვწნავ გვირგვინს ყვითელთავებისაგან.

მეომარი: ყვითელთავებისაგან?

კო: ჰო, ყვითელთავებისაგან და შიგ ვაქსოვ ცისფერ დიდ და თხელფოთოლა ყვავილს.

მეომარი: ვეირამუტის ყვავილს?

კო: ჰო, ვეირამუტის ყვავილს.

მეომარი: ვეირამუტი იგვიანებს.

კო: /შეშფოთებული/ სად არის ვეირამუტი?

მეომარი: ის წავიდა წყალზე.

კო: ის წავიდა საბანაოდ?

მეომარი: ის წავიდა, რომ მომიტანოს მე დასალევად.

კო: შენ დასალევად?

მეომარი: ჰო, მე დასალევად ცივი, ახალი წყალი.

კო: ცივი, ახალი წყალი მოდის აქვე, ჩემ გვერდზე.

მეომარი: მაშ დამალევინე შენ.

კო: ვეირამუტი?

მეომარი: /წამოიწევს/ ვეირამუტთან მე თვითონ წავალ და იქ დავლევ.

კო: როცა მორჩები?

მეომარი: ჰო, როცა მოვრჩები.

კო: მე მინდა, რომ შენ ავად იყო ცოტა ხანი კიდევ.

მეომარი: მეც მინდა, ოღონდ ეს არ შეიძლება.

კო: მაშინ მე მოგიტან მოსარჩენ ბალახს.

მეომარი: მე მოვრჩები სულ ჩქარა მას შემდეგ, რაც დავლევ წყალს.

კო: მე მოგიტან წყალს.

მეომარი: გმადლობთ, პატარა კო.

კო: მერე დავრჩები უშენოდ მარტო და შენ წახვალ ვეირამუტთან.

მეომარი: მე არ მინდა წავიდე მასთან.

კო: შენ არ გინდა?

მეომარი: ჰო, მე არ მინდა.

კო: ვეირამუტი არის კარგი და ვეირამუტს უნდა, რომ შენ წახვიდე მასთან და შენ წახვალ მასთან.

მეომარი: და მე წავალ მასთან, მე შევპირდი მას, ოოოო, კო.

კო: რა, გურამ-გურამ.

მეომარი: წყალი.

კო: კო მოგიტანს წყალს და შენ წახვალ ვეირამუტთან.

მეომარი: კო მომიტანს წყალს და მე წავალ ვეირამუტთან.

კო: /იფარებს გვირგვინს გულმკერდზე დახატული ბოროტი ეხოების დასაფარავად, ერთხანს ყოყმანობს, მერე პეშვით წყალს იღებს და მიდის მეომრისაკენ. მეორე მხრიდან შემოდის კა, კო უცებ დაინახავს მას _ კას გული გადაღეღილი აქვს, თითქმის ყვითლად ჩანს ზედ დახატული ბოროტი ეხო, კო შეკივლებს, ოღონდ კას არ ესმის. წყალს ღვრის და იმალება/

კა: ო, რა კარგი ამინდი დადგა წვიმისა და ქუხილის შემდეგ. წინათ, როცა დიდებთან ერთად კო და მე ვისხედით გამოქვაბულთან, სულ ვნატ-რობდი, რომ წვიმა მოსულიყო, ყოფილიყო ელვა, ყოფილიყო მეხი. მაშინ მე და კო ვეკროდით ერთმანეთს და ძალიან-ძალიან გვიყვარდა ერთმანეთი, ისე ძალიან, რომ შიში ქრებოდა და ჩვენ გვიკვირდა, რომ ტია-ტუს და ვეირამუტს და დედას და ლეკვს ასე ეშინოდათ მეხის.

მეომარი: ოოო.

კა: /შეშინებულია, ოღონდ არ იცის, მოეჩვენა თუ მართლა მოესმა ხმა/ ალბათ, მეხისა და ელვისაგან გამომყვა შიში. ახლაც მეჩვენება ის საზარელი ხმები. როგორ გადავურჩი შიშს, ო რანაირი შიში იყო: სულ მარტო პატარა, პატარა, უფრო პატარა ვიჯექი, დიდი, დიდი გაშლილტოტებიანი ხის ძირში. უზარმაზარ ღრუბლებზე ავი ეხო ხატავდა წითელი ცეცხლის ხაზებით ბოროტ სულებს, რომლებიც ერთად დაგროვილი ხმებით უცებ ღრიალებდნენ, მერე ათასი ეხო იმეორებდა მათ ხმებს, მე კი ვიჯექი დიდი ტრიალი მინდვრის შუა... მერე ცეცხლი მოეკიდა ჩემს ხეს...

მეომარი: ოოო, მე ვიწვი...

კა: ხე დაიწვა, ვიწვოდი მეც, იწვოდა ყველაფერი და ღრიალებდა ეხო, მაგრამ მე არ მესმოდა არაფერი, მე მივრბოდი, მე მივრბოდი და უკან მომდევდა...

/ხელებს შლის, რაღაც საზარელსა და დიდს გამოხატავს/

მეომარი: ო, დაო კა, მე შენ გისმენ, მე ვიწვი წყურვილით და მე ვიწვი შენი საცოდაობით; და შენ იყავი სულ მარტო.

კა: გურამ-გურამ! /ძირიდან იღებს ტოტს, ფართო ფოთლებით, და იფარავს მკერდს/

მეომარი: შენთან არ იყო არავინ.

კა: ჩემთან არ იყო არავინ.

მეომარი: სად იყო კო?

კა: კო იყო...

მეომარი: სად წავიდა კო?

კა: კო წავიდა...

მეომარი: კოს უნდა მოეტანა ჩემთვის წყალი.

კა: სად იყო კო?!

მეომარი: ის იყო აქ.

კა: ის იყო აქ?!

მეომარი: მას უნდა მოეტანა წყალი.
კა: კოს უნდა მოეტანა წყალი?
მეომარი: ოო, წყალი!
კა: წყალი?!
მეომარი: ჰო, წყალი.
კა: მე მოგიტან წყალს.
მეომარი: წყალი მოჰქონდა ვეირამუტს, წყალი მოჰქონდა კოს.
კა: წყალს მოგიტან მე.
მეომარი: მათ არ მომიტანეს წყალი, მათ არ მომიტანეს წყალი, უწყლოდ მე არ შემიძლია წავიდე ვეირამუტთან.
კა: წყალს მოგიტან მე.
მეომარი: ასე ამბობდნენ ისინიც, ასე ამბობდა კო, ასე ამბობდა ვეირამუტი.
კა: /დაიხრება, გურამ-გურამის ლაპარაკის დროს პეშვით იღებს წყალს, მიაქვს. შემოდის კო. კა ხელებს შლის, წყალი იღვრება/ კო!
კო: კა! /ორივენი მიდიან ერთმანეთისაკენ, მეომარი წამოიწევს, უყურებს/
მეომარი: კა და კო! /კა და კო უყურებენ დაბნეულები მეომარს, მერე გარბიან სხვადასხვა მხარეს/ ო კა! ო კო!
კა: /სცენის უკნიდან/ ო გურამ-გურამ!
კო: /სცენის უკნიდან/ ო გურამ-გურამ!
მეომარი: გურამ-გურამ მიდის ვეირამუტთან, ის მიდის უწყლოდ.
კო: /შემოდის/ ის მიდის უწყლოდ? კო მოუტანს მას წყალს /მირბის წყლისკენ/
კა: /შემოდის/ ის მიდის უწყლოდ? კა მიუტანს მას წყალს /მირბის წყლისკენ/

/ორივენი იხრებიან, პატარა პეშვით იღებენ წყალს, ცდილობენ არ უყურონ ერთმანეთს/

გურამ-გურამ: /წამოდგება და იწევს მაღლა, ის უკვე ცალ ფეხზეა წამოჩოქილი/ ო, ჩემო დებო, ო კა! ო კო! გურამ-გურამ მიდის უწყლოდ, გურამ-გურამს სწყურია წყალი.

/კა და კო გარბიან მისკენ, გულიდან ეხსნებათ აკრული მწვანე ფოთლების საფარველი, გურამ-გურამ აშკარად ხედავს მათ გულზე დახატულ ავ ეხოებს, რომლებიც მიდიან მისკენ. იგი ახლა მხოლოდ ბოროტ ეხოებს ხედავს, აკეთებს ორ-სამ ნაბიჯს უკან, ხელებს ასავსავებს და მთელ სიმაღლეზე გაშლილი, ეცემა ყვირილით/

ო, ეხოები, ბოროტი ეხოები!

/კა და კო ადგილზე ქვავდებიან, არ უყურებენ ერთმანეთს, მერე უცებ შეხედავენ, ერთმანეთის გულზე დახატული ბოროტი ეხოების დანახვაზე იმავე მოძრაობას აკეთებენ, რაც გააკეთა მეომარმა, და გარბიან ერთმანეთისგან/

კა: ო კო! შენ გულზე ხატია ავი ეხო.
კო: ო კა! მე ვხედავ ავ ეხოს, ავ ეხოს, წითელი რქებით.
კა: /სცენის სიღრმიდან, მრავალჯერ ეხოებთან ერთად/
მე მეშინია, მე მეშინია, მე მეშინია...
კო: /სცენის უკნიდან, მრავალჯერ ეხოებთან ერთად/
მე მეშინია, მე მეშინია, მე მეშინია...
ეხოები: /გამოუჩენლად/ ო, საწყალი გურამ-გურამ, ის წავიდა ვეირამუტთან, ის წავიდა მასთან უწყლოდ.

/ხმები იშლება სხვა ხმებად, რომლებიც იმეორებენ იმავე წინადადებას, სხვა ტონებში, მათ ხმებს ემატება კა და კოს ხმები: მე მეშინია, მე მეშინია, მე მეშინია... ხმები მეორდებიან სულ უფრო და უფრო შორიდან და წყდებიან/

(დასასრული)

ბოლო
(მარტო კა და კო, ანუ კა და კო, ერთად)

ამბავი:

და ცოცხლობდნენ დიდხანს, ძალიან დიდხანს, ერთმანეთისგან რაც შეიძლება შორს, რადგან ვერ ხედავდნენ ერთმანეთს და ვერ ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს, ცხოვრობდნენ კა და კო. კა და კო იყვნენ პატარები, სულ პატარები, როცა დაშორდნენ ერთმანეთს, ისინი დარჩნენ ისეთივე პატარები ძალიან ბევრი, ბევრი წლები, რადგან ცხოვრობდნენ სულ მარტო, ერთმანეთისგან დაშორებით, და არა რცხვენოდათ ერთმანეთის, რომ იყვნენ ისევ ისეთივე პატარები, რომ არ იზრდებოდნენ.

ისევ ისეთივე უმწეო იყო კო. კო დადიოდა მთელი დღე უზარმაზარი მუხების სამფლობელოში, უღრან ტყეში, რომლის ძირსაც არასოდეს არ ანათებდა მზე. დადიოდა დაღლილი, მშიერი, მწყურვალი, მაგრამ ვერა გრძნობდა დაღლას, შიმშილს, წყურვილს, რადგან მარტო ცხოვრებამ ის გახადა უგრძნობი. დადიოდა კო დღე, დადიოდა კო ღამე, რადგან დაავიწყდა რა იყო დღე და რა იყო ღამე. უღრანი ტყე იფარავდა მას ყველა გრძნობისაგან, გრძნობები იყვნენ დამარხული თავისთვის და ისინი რჩებოდნენ ისეთივე პატარა და გაუზრდელი, როგორიც დარჩა ტანად კო.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, კო მიადგა ტყის ნაპირს, რომლის იქითაც მოჩანდა სინათლე. კოს გაუკვირდა, რომ იქით მოჩანდა ისეთი რამ, რისი სახელიც მას დაავიწყდა და კოს უფრო გაუკვირდა, რომ საერთოდ გაუკვირდა ისეთი რამის დანახვა, რისი სახელიც მან არ იცოდა. კო ჩქარი ნაბიჯით წავიდა, უფრო ჩქარით, მერე გაიქცა. მირბოდა ტყიდან, მირბოდა სინათლისკენ და კომ იგრძნო, რომ დაიღალა და კოს სირბილის დროს კიდევ უფრო გაუკვირდა, რომ, გაკვირვების გარდა, იგრძნო დაღლაც.

ტყე შეთხელდა, სინათლემ იმატა, კო უფრო ჩქარა გარბოდა სულ ახლო და ახლო სინათლესთან _ კო ხედავდა სინათლეს და ზედ სიბნელისა და სინათლის საზღვარზე ახალი რაღაცის _ დიდი, ყვითელი, თვალისმომჭრელი მზის _ შეეშინდა კოს და თავი მიაბრუნა უკან. უკან იდგა უღრანი ტყე _ ბებერი მუხების სამფლობელო, შავი, ბრმა, უგრძნობი. ის ჩანდა კოს ცრემლიან, მზისაგან დამწვარ თვალებში. უზარმაზარი შავი დევები ათასი რქებით, უფრო მეტი ბრჭყალებით, უფრო მეტი ეშვებით, უფრო მეტი უფსკრულებით, რომლებიც ხელში ეჭირათ, თავისკენ უქნევდნენ ხელს კოს, ცდილობდნენ მიეტყუებინათ თავისთან, ისინი ანიშნებდნენ მის გულზე დახატულ ავ ეხოებზე, ისინი აშინებდნენ,

რომ ის ავი იქ, სინათლეში, გამოჩნდებოდა, რომ იქ კოს ექნებოდა გრძნობები და იქ კო იქნებოდა უბედური.
სინათლისა და ბნელი ტყის საზღვარზე მდგარი კო შეყოყმანდა და უცებ კოს შეეშინდა, შეეშინდა, რომ დაბრუნდებოდა ისევ უკან, შეეშინდა, რომ იქნებოდა ყოველთვის პატარა, შეეშინდა შიშის, რომელიც აქამდე დავიწყებული ჰქონდა რა იყო, შეეშინდა და გაიქცა, გაიქცა სინათლისკენ, გაიქცა მზისკენ. კო მირბოდა და უკან მისდევდა შიში, დიდი ფეხებითა და დიდი თვალებით. მირბოდა კო დღისით, მირბოდა კო ღამით, მისდევდა კოს შიში, მისდევდა დღისით, მისდევდა ღამით და არ შეეძლო კოს გაჰქცეოდა შიშს, რადგან შიშს ჰქონდა დიდი თვალები და შიშს ჰქონდა დიდი ფეხები და უცებ, როცა კოს უღალატეს ძალებმა, როცა კოს ის იყო დაეწია შიში, დიდთვალება და გრძელფეხა, - მან დაინახა კა.
კა იჯდა მთის წვერზე მარტო, მოწყენილი, ისეთივე პატარა, როგორიც კო. ის იჯდა წყალთან ახლოს, ის იჯდა სინათლეში, ის იჯდა რბილ ბალახში, ოღონდ ისიც პატარა, უმწეო, და კამაც დაინახა კო.

სცენა:

სცენის უკანა მხარე წარმოადგენს თეთრ გამჭვირვალე ნაჭერს, რომელიც მთელ სიმაღლეზეა ატყორცნილი. ასეთივეა სცენის მარცხენა მხარე, რომელსაც ეცემა ოთხი დიდი და ერთი პატარა ჩრდილი ტომარაში ჩადებულ მიცვალებულთა სხეულებისა. ჩრდილები უმოძრაოდ ირხევიან. სცენის მარჯვენა მხარე თავისუფალია; ფარდის ახდისთანავე იგრძნობა არაჩვეულებრივი გამჭვირვალება და სისუფთავე, ყოველი მხრიდან ჰაერში ერევა ნაზი ცისფერი სივრცე და ბოლოს მთლიანად იპყრობს გარემოს.
კა ზის სცენის კუთხეში მარტო, უსურვილო. შემორბის კო.

კა: ჩემო პატარა.
კო: ჩემო საყვარელო.
კა: ჩემო ქერათმიანო და.
კო: ჩემო შავთვალა და.
კა: მე გელოდი აქ.
კო: მე მოვრბოდი შენთან.
კა: მე გელოდი ძალიან ბევრი, ბევრი ხანი.
კო: მე მოვრბოდი დღისით, მე მოვრბოდი ღამით.
კა: მე აქ ვიჯექი მოწყენილი, მე აქ ვიჯექი ერთი სურვილით, მენახე შენ.
კო: მე მოვრბოდი მაშინ, როცა ანათებდნენ მზის სხივები, მე მოვრბოდი მაშინ, როცა ბნელოდა და მთვარე მინათებდა გზას.
კა: მე ვიცოდი, რომ შენ მოხვიდოდი აქ.
კო: მე ვიცოდი, რომ შენ მელოდი აქ.
კა: მოდი ჩემთან, მე მინდა ჩაგიკრა გულში, მე მინდა ჩემი მკერდი მივადო შენს მკერდს.
კო: ჩემო საყვარელო.
კა: ოო, რა თბილია შენი მკერდი, ო რა ლამაზად არის ის მოხატული.
კო: უფრო ლამაზია შენი მკერდი, შენს მკერდზე ხატია ყვითელი და წითელი ხაზები, მე მშვიდად მეღიმება მათი დანახვისას, რადგან

ორივესა აქვს ცისფერი ფერი და ორივე არის ძალიან ნაზი და გამჭვირვალე.

კა: ჩემო ქერათმიანო, შენ გულზე ხატია ჰაერი, ცისფერზე უფრო გამჭვირვალე, ის ხატია ბევრი თხელი და ლამაზი ხაზებით, წითელი და ყვითელი ფერებით და არის მკრთალი ცისფერი. მე ისინი მომწონს, მე ისინი მიყვარს, ისინი ხატია შენს მკერდზე.

კო: მე ვერ ვხედავ ჩემს მკერდზე დახატულ ლამაზ ხაზებს, მაგრამ მე მიყვარს ის ხაზები, რომლებიც ხატია შენს მკერდზე, ისინი მიზიდავენ თავისკენ და მინდა შევუერთო ჩემი სითბო შენს მკერდს.

კა: აჰა, ჩემი მკერდი, ჩემო პატარა, ჩემო კეთილო კო.

კო: ო, რა თბილი და ახლობელია ის.

კა: ის იმიტომ არის თბილი და ახლობელი, რომ მას ეკვრები შენ.

კო: მე მინდა ასე ჩაკრულებმა ვიაროთ ერთად.

კა: ჩვენ წავალთ იქითკენ.

კო: იქით ირხევიან შავი ჩრდილები.

კა: შავ ჩრდილებს ეკვრებათ ცისფერი ფერი, ისინი კარგავენ თავიანთ ფერს.

კო: ისინი კარგავენ ფერს, ჩვენ მივდივართ მათკენ.

კა: ჩვენი გზა ხდება ცისფერი, შენი სახე ხდება ცისფერი, უფრო ცისფერი და გამჭვირვალე.

კო: ჩვენ მივდივართ ერთად, ჩვენ მივდივართ იმ ჩრდილებისკენ, რომლებიც იღებენ ცისფერ ფერს.

კა: ჩვენ მივდივართ ერთად.

კო: ჩვენი ჩრდილები გრძლად ეცემიან ჰაერში და უერთდებიან მას.

/კა და კო მიდიან მიცვალებულების შავი ჩრდილების გასწვრივ, რომლებიც სცენის მთელ გარემოსთან ერთად იღებენ ცისფერ ფერს, მათი მოძრავი ჩრდილები ეცემიან გრძლად ჰაერის გასწვრივ და უერთდებიან მას/

ფ ა რ დ ა

[1958 წელი, მაისი _ ივნისი. მოსკოვი_ოდესა]

ი უ ლ ო ნ ი

/დრამატული რომანი/

იულონისა და სხვა ცხრა ბიჭის ტრაგედია, რომელიც მიმდინარეობს ერთ ოთახში.

მ ო ქ მ ე დ ი პ ი რ ე ბ ი :

გურამი _ პიესის ავტორი.

გურამის პიესის შემსრულებელნი:

იულონი _ 30-35 წლის თმაგაცვენილი, გაპარსული ბიჭი.
თეზიკო _ სტუდენტი.

გურამის მიერ წარმოდგენის საყურებლად მოწვეულნი

რეზო _ კოპებიანი, დიდთავა, ექსცენტრული ბიჭი, მხატვარი.
პატარა გურამი _ ღლიცინა, რეზოზე მაღლა მდგომი იმით, რომ ესმის მისი მხატვრობა.
დიდი ბობა _ ნაციხარი ქურდი
სულხანი _ ისიც მწერალი.
ჯიმშერი _ სათვალიანი ბიჭი.
ირაკლი _ ბიჭი, რომელიც სწავლობს ფილოსოფიას კანტიკუნტად.
გიული _ ბიჭი მიდრეკილებებით სიტუტუციისადმი, რომელსაც ხაზს უსვამს.

/მოქმედება მიმდინარეობს ცარიელ, ორკესტრის სიგრძეზე გაჭიმულ, პატარა სიღრმის ოთახში, რომელიც ჭერში დაკიდებული ნათურით ნათდება. თეზიკო და იულონი წარმოადგენენ პიესას, რომლის ავტორია გურამი. სხვები უყურებენ მარჯვენა კუთხიდან: პატარა გურამი და რეზო იატაკზე სხედან, დიდი ბობა ზის მათ უკან. ის ორივეზე დიდი ჩანს. გიული დაჩოქილია მის იქით, გვერდზე; ხელები გულზე აქვს დაკრეფილი, კისერი _ წაგრძელებული; რაც შეიძლება ხაზგასმული ბრიყვული სახით უყურებს სპექტაკლს; ასეთი სახე მას აშკარად სიამოვნებს; ირაკლი, ხალხის ბოლოს, მაგიური სახით მიყუდებული კედელზე, უყურებს მხოლოდ მოთამაშეებს, აშკარად უნდა გვერდზე მიიხედოს, მაგრამ ეს დიდ ცოდვად მიაჩნია; სულხანი, გურამი და ჯიმშერი შეუმჩნევლად დგანან იქვე/

თეზიკო

აი, მე ისევ მოვედი შენთან, ჩემო უფროსო ძმაო.

იულონი

მე უკვე გითხარით, რომ ძმა არცა მყოლია არასოდეს და არც მინდა ვიცოდე რაიმე მისი არსებობის შესახებ.

თეზიკო

სამწუხაროდ, მაინც უნდა გითხრა სიმართლე, რომლის გამორკვევასაც ორივესთვის ერთნაირი მნიშვნელობა აქვს.

იულონი

მე უკვე გითხარით, _ მოსმენაც კი არა მსურს.

თეზიკო

სამაგიეროდ, ეს მჭირდება მე, მე, რომელიც გავიზარდე ბავშვთა სახლში უპატრონოდ; მე, რომელმაც ჩემი შრომით მივაღწიე უმაღლესის კარებს.

იულონი

სიამოვნებით შემიძლია დაგეხმაროთ, მხოლოდ გარკვეული თანხით.

თეზიკო

ეს ყველაფერი იმის შემდეგ, რაც არ დავზოგე არაფერი, აღმომეჩინა ერთი ნათესავი მაინც ამქვეყანაზე და ის ნათესავი არის ჩემი ძმა.

იულონი

ყმაწვილო, თქვენ გეშლებათ; მე მყავს დედა, მყავს დეიდა, რომლებიც დაადასტურებენ, რომ მე ძმა არა მყოლია.

თეზიკო

ძმაო იულონ, ნუთუ მართლა ვერა გრძნობ, რომ მე შენი ძმა ვარ, რომელიც უკუღმართი ბედის გამო გაიზარდა საბავშვო სახლში, როცა მისი უფროსი ძმა იულონი, გვარად გიორგაძე და არა გეგეჭკორი, როგორადაც ახლა ითვლება, იზრდებოდა მდიდარ ოჯახში.

იულონი

ეს ოჯახი არის ჩემი, ეს ქალი არის დედაჩემი.

თეზიკო

ის ისეთივე დედაა შენთვის, როგორც ჩემთვის.

იულონი

მაშ, შენც მისი შვილი ყოფილხარ.

თეზიკო

მე? ხი, ხედავ, როგორ არა გწამს შენც, რომ მისი შვილი ხარ.

იულონი

მე?

თეზიკო

შემომხედე ძმაო; ჰო, შენ ამდენი წელი იწვოდი ეჭვებით.

იულონი

მე? არა, არა, არასოდეს.

თეზიკო

იწვოდი ეჭვებით, რომ მათი შვილი არ იყავი.

იულონი

ეჭვებით? მე ვიცოდი, რომ...

თეზიკო

მე კი ნამდვილად ვიცოდი, ვინ იყო ჩვენი ორივეს დედა, მე ვიცოდი, იმიტომ რომ ვიზრდებოდი ცუდად, ვიზრდებოდი საბავშვო სახლში, უპატრონოთა თავშესაფარში.

იულონი

არა, არასოდეს, არც ეჭვით.

თეზიკო

შენ არ უტყდებოდი შენს თავს, შენ არ ეძებდი, როცა გრძნობდი, შენ ეს არ გჭირდებოდა _ შენ ცხოვრობდი მდიდარ ოჯახში.

იულონი

მე არ ვიცოდი არაფერი.

თეზიკო

ხედავ, ჩემო უფროსო ძმაო, უკვე როგორ ფრთხიხარ, მე კი ჯერ არ დამიმტკიცებია, რომ შენი ნამდვილი ძმა ვარ.

იულონი

მაგის დამტკიცება შეუძლებელია.

თეზიკო

შეუძლებელია?! ხი, ხი, ხი, მაგას დამტკიცება აღარა სჭირდება.

დიდი ბობა : ყველაფერი ცხადია, კაცო.
რეზო : ხა,ხა,ხა, რა დიდია და რა შავია.
პატ. გურამი: რა დიდია და რა ექსცენტრიულია.
რეზო : მაინც თეზიკო რას ამბობს _ ვითომ იულონის ნათესავია?
პატ. გურამი: ნათესავი კი არა, ძმაა.
რეზო : მერე რა მოხდა?
პატ. გურამი: შენ წადი, ხატე.
რეზო : ის ნახატი როგორ გამომდის, იცი?!
პატ. გურამი: ჰო, ის ძალიან იმპულსურია აღებულ მომენტში.
რეზო : სუსო, სუსო, რა დიდია და რა სიპატიურია.
პატ. გურამი: რა დიდია და რა ექსცენტრიულია.
დიდი ბობა : მორჩით, კაცო, მანდ ბაზარს.
რეზო : რა დიდია და რა ნოყიერია.
პატ. გურამი: რა დიდია და რა დეფექტურია.
დიდი ბობა : და მორჩით, კაცო, ბაზარს, არ გესმით? თქვენ გიყურებთ ხალხი.
რეზო : ხალხს ახლავე დავხატავ ტილოზე.
დიდი ბობა : იქნებ მეც მიპირებთ დახატვას?
რეზო : შენ ვითომ ვინა ხარ, რო?!
დიდი ბობა : მე ვინა ვარ?
რეზო : ერთი ტილოს კაცი ხარ.
პატ. გურამი: ჩუმად, ეგ ლევი ბობაა.
დიდი ბობა : როგორ, არ იცით ვინცა ვარ, ლევი ვარ, ბობა, არ გაგიგიათ დიდი ბობა, კაცო!
სულხანი : გითხარით, მაგათი მოყვანა არ იქნებოდა, ახლა აღარ დაგვამთავრებინებენ.
ირაკლი : ჯერ სპექტაკლს ვუყუროთ, კაცო, მერე ვთქვათ ჩვენ-ჩვენი აზრები.
დიდი ბობა : მეც მაგ ბაზარზე ვამბობ.
ირაკლი : შენ არ გეუბნები.
რეზო : რა დიდია და რა მწიფეა.

პატ. გურამი: რა დიდია და რა, რა ირაკლია.
რეზო : ნატურია, ნატურია.
პატ. გურამი: ჩემი ნათქვამი ხო იცი.
რეზო : ზუსტი ხარ, კარგი ხარ, დაჰკარი ხელი.
დიდი ბობა : და აღარ მორჩებით მანდ ყაყანს, ბობა ლაპარაკობს თუ ვინ?! გააგრძელეთ, კაცო, მანდ წარმოდგენა.
სულხანი : მიდი, იულონ, გავაგრძელოთ. თხუთმეტ წუთში მოვრჩებით კიდეც, მეც უნდა წავიდე.
ირაკლი : წასვლას მოუკვდა პატრონი, თავიდან როგორა ვთქვით, არ გახსოვს?
დიდი ბობა : სად მიდიხარ, კაცო.
სულხანი : რა ვიცი, საქმე მაქვს.
დიდი ბობა : საქმე ყველასა გვაქვს აქ, კაცო.
პატ. გურამი: წასასვლელი რომ არა გვაქვს, კაცო?!
რეზო : ბობასთან წავიდეთ ბაზარში.
პატ. გურამი: ბობასთან ბაზარში ბატები ბუდობენ ბევრი ბარტყებით.
რეზო : სუსო, სუსო, რა დიდია და რა სავია.
პატ. გურამი: ბატები ბუდობენ ბევრი ბარტყებით.
დიდი ბობა : და არ გიტირეთ ყოფა ორივეს, ადგილიც არ არის, კაცმა ჭკუა გასწავლოთ.
რეზო : ჭკუა სასწავლია.
პატ. გურამი: ჭკუები სასწავლია.
დიდი ბობა : და თუ მე მაბრაზებთ, წესიერად მაინც გამცინეთ, კაკნიბუტ არის ბობაში, რისი გადაღებაც შეიძლება самым достойным образом.
ირაკლი : ეს ბობა ვინ მოიყვანა?
გურამი : მე.
ირაკლი : რა უცნაური ტიპია, არა?
სულხანი : ძველი ნაციხარია, ახლაც განაბია. არ იცნობდი?
ირაკლი : მაგას არა, ეს რეზოც აღარ ისვენებს!
სულხანი : გააჩერე მერე.
ირაკლი : რაც გინდა იყოს, მხატვარია, ხო იცი, ექსცენტრიული ტიპია, მგრძნობიარე ნატურა იწვევს ამას უნებლიეთ.
სულხანი : ამას სულ ასხია, პატარა გურამს.
ირაკლი : რას ამბობ, მაგას რომ ესმის რეზოს მხატვრობა, ისე არავის, მაგან აღმოაჩინა, ხო იცი.
სულხანი : მაგაზე კარგა ბობა გაიგებს, რამე რომ იყოს.
დიდი ბობა : ახლა ამათ წამოიწყეს ბაზარი, ისე ლაპარაკობენ ჩვენზე, თითქოს აქ არა ვართ.
ჯიმშერი : ეგ გასაგებია, მე მგონია...
სულხანი : გაჩერდით რა, ბიჭებო, გავაგრძელოთ წარმოდგენა, მერე ხუთწუთიანი გარჩევა მოვუწყოთ და მე პირადად წავალ, სულ 15-20 წუთი დრო მაქვს.
დიდი ბობა : აქ უსაქმური არავინ არის.
ჯიმშერი : რა თქმა უნდა, ყველანი წავალთ.
რეზო : სად წავალთ?
გურამი : შენ გაჩუმდი და შენი საქმე იცოდე, როცა კისტს მოგცემენ.

გიული : მაგ კისტზე მომაგონდა ახლა: გიჟების გამოსაშვები საღამო რო იყო, ერთი ავიდა კიბეზე და ღებავს კედელს თეთრ ფერში; ამ დროს მეორე მოჭკვიანებულ გიჟს დასჭირდა კიბე, მივიდა წამოსაღებად და ზედ ასულს ეუბნება _ ბიჭო, კისტი მაგრა დაიჭირე, კიბე უნდა წავიღოო.

პატ. გურამი: კაცო, რაღაც წვერმა შემაწუხა, რამე ისეთი და უცებ მეზრდება.

რეზო : რა წვერმა?

პატ. გურამი: შენ თუ არ დაგიხატე წვერი, ისე ვერ მიხვდები.

გიული : წვერიანი კია, მაგრამ კარგია.

პატ. გურამი: კარგი გულით ნათქვამი თუა, კარგია.

გიული : რას იზამ, ყველას არ გვესმის ხატვა.

პატ. გურამი: თორემ მათემატიკის ამოცანებს აბულბულებ.

გიული : რა შუაშია ეგ.

რეზო : რა გიჟია და რა ტუტუცი.

გიული : ვინ მეუბნება, ბიჭო, მაგას, თავგასიებული რეზო?

რეზო : რა გრძელია და რა მკვახეა.

გიული : ვინაა მკვახე, დიდთავა კოპებიანო.

რეზო : როგორა გავს მაიმუნს სიპატიურობით.

პატ. გურამი: დეფექტურია და დეფორმირებული.

გიული : ვინაა, ბიჭო, დეფორმირებული, ჰა?

დიდი ბობა : კარგით, კაცო, ისევ წამოიწყეთ?

გიული : შენ დაემატე, თუ გინდა.

დიდი ბობა : და ეს გიული ვინ არის, კაცო.

გიული : გიული ვარ, ჟღენტი.

დიდი ბობა : ჟღენტი? მენტი, გიული? მიული. წამოხტებიან ეს ლაწირაკები და ვერა ხედავ, ბიჭო, ჭანჭურივით ხმები, რა გახტუნავებს! ненавижу таких лаწи-раков.

სულხანი : კარგით რა, ბიჭო, ერთი წამით, მოგვასმენინეთ სპექტაკლი.

დიდი ბობა : მეც მაგას არ ვასმენ?

გურამი : განაგრძე, თეზიკო.

იულონი : სად გავჩერდით.

გურამი : იქ, სადაც შენ ეუბნები თეზიკოს «ამის დამტკიცება შეუძლებელია, რომ შენ ჩემი ძმა ხარ».

დიდი ბობა : როგორ შეუძლებელი, კაცო, იქ ყველაფერი ცხადი იყო, ის იმის ძმაა, ის უარს ამბობს და მორჩა.

გიული : რა მორჩა, ძმაო, ახლა იწყება.

დიდი ბობა : და შენ გკითხავენ რამეს? მე კაცს ვეუბნები, შენ თუ როგორ გესმის, ის არ გვაინტერესებს.

გიული : აბა, რაზე ვარ აქ?

დიდი ბობა : მე ბობა ვარ ლევი და არა ცერემონმეისტერი.

სულხანი : შენც იმაზე ხარ, რაზეც სხვები, ოღონდ ჩუმად იყავი და მოუსმინე.

რეზო : ეს სუსანა, სუსანა, რა დიდია და რა სავია, ეს სუსანა რა ქალია.

პატ. გურამი: რაფაელის მადონაა.

რეზო : ო დონაა...

პატ. გურამი: მორჩი, ბიჭო, რა შენი საქმეა სიმღერა.

რეზო : რა, ნახატები გამიფუჭდება, რო ვიმღერო?

სულხანი : კარგით რა, თქვენ გიცდით.

რეზო : რა სითბოა და რა ლეიბია.
პატ. გურამი: რა დიდია და რა ექსცენტრიული, რა ოლოლი!
რეზო : /წამოხტება/ ვაჰ, ოლოლი, ვაჰ, ოლოლი, ბიჭო, ხო არ გაიგო მხატვარმა ლადომ, ჰა, ირაკლი, ხო არ გაიგო?
ირაკლი : ლადო თვითონ ეთამაშება, ხო იცი.
სულხანი : იფ, რა კარგი რამეა ოლოლი.
დიდი ბობა : ეგ რომელი ოლოლი?
თეზიკო : ვიცი, მე ვიცი, იმათ ქუჩაზე მინახია.
ირაკლი : შოფრებთან დადის, ხო იცი, მეორადი სასქესო ორგანოები აქვს ზედმეტად განვითარებული, იმიტომ უყვართ შოფრებს. ლადოსაც ეგეთი ქალები უყვარს დასახატად, ხო იცი.
სულხანი : რუბენსის ქალებსა ჰგავს.
დიდი ბობა : что за шум! გამარკვიეთ საქმეში.
ირაკლი : მე ვერ მოვყვები, თვითონ მოყვეს.
რეზო : ბიჭო, დავიღუპე, ბიჭო, შევრცხვი, ვეღარც მიმესვლება ლადოსთან.
პატ. გურამი: ძალიანაც კარგი.
გიული : რა, ძალიანაც კარგი.
პატ. გურამი: არაფერი, ისე ვთქვი, შენ ვერ გაიგებ.
დიდი ბობა : კაცო, რა ხელებითა წერთ, ისე მოყევით, ჩვენც საქმის კურსში ვიყოთ.
რეზო : ბიჭო, ეს რა მომივიდა, მე ვერ მოვყვები თვითონ.
ირაკლი : შენ კარგადა ყვები, კაცო. მაშინ მე დავიწყებ, მერე შენ გააგრძელე.
რეზო : ვაჰ, რა მომივიდა.
პატ. გურამი: რა მოგივიდა, არაფერიც არ მოხდა.
რეზო : ლადომ რო გაიგოს, ლადომ რო გაიგოს...
პატ. გურამი: გაიგოს და გაიგოს, თვითონ ვითომ არ მოუნდება ხოლმე, ჰა?
გიული : სულ ტიტველს ხატავს თვითონ?
სულხანი : აბა, ჩაცმული რა დილიხორია.
ირაკლი : მერე რა მეორადი ორგანოები აქვს, ხო იცი.
თეზიკო : ერთხელ მე ვუყურე ბოძზე ამძვრალმა, ტიტვლებს რო ხატავდა.
დიდი ბობა : თავისი მეორადი ორგანოებით?!
გიული : ეგ მეორადი ორგანოები რაა, ა?
ირაკლი : კაცი უმაღლესს ამთავრებ და ეგ არ იცი? მკერდი და...
დიდი ბობა : ძუძუები თავისი დის ტრაკებით. ის არის, რაც არი, მოაყოლეთ კაცს.
ირაკლი : ყური დამიგდეთ მაშინ, სულ ორ წუთში გავაგრძელებთ სპექტაკლს.
რეზო : რა დიდია და რა სავია.
პატ. გურამი: მაიცა, რეზო, მოვუსმინოთ შენ ამბავს.
ირაკლი : ერთ დღეს ეს კუზმანა არა მხვდება ქუჩაში, პატარა გურამი მეუბნება, ერთი კაცის ნახატები უნდა გაჩვენოო, ლადოს სჯობიაო. მე არ დავუჯერე. ხო იცი, კუზმანა რის კუზმანაა, თუ არ შეგაცდინა. თითქმის ძალით წამიყვანა. თურმე რეზოსთვის უთქვამს წინასწარ, ირაკლი უნდა მოვიყვანოო. ამას სახლში დიდი ტილო გაუკრავს და მუშაობს. ხიროსიმა უნდა დავარქვაო, მითხრა. მერე სხვებიც ვნახეთ: რაც მთავარია, გულწრფელი ნახატებია.
რეზო : ეჰ, ეგ ძველი დახატულები იყო, იმ დროს თან არ მეცალა, გამოცდები..
პატ. გურამი: აბა, ბიჭო, კი არ მიიღეს აკადემიაში!
ირაკლი : იმიტომაც სჯობია იმათ, გარყვნილი არ არის, ჯანსაღია, ხო იცი.

დიდი ბობა : თან საქმე, კაცო, მე ოლოლის ამბავი მაინტერესებს.
ირაკლი : ჰოდა, მომეწონა ნახატები. პირში, ხო იცი, არ ვეტყვი ახლა. შევპირდი, ძია ლადოსთან წაგიყვან-მეთქი. ხშირად დავდივარ, ხო იცი, იმათთან.
დიდი ბობა : ოლოლი ჩქარა იქნება, კაცო?
ირაკლი : ჯერ მივიყვანო იმათთან სახლში. იმას ვამბობდი, მეორე დღეს წავიყვანე, გავაცანი ლადო და დავტოვე იქ _ ნახატებზე უნდა ემუშავა, ერთი დიდი დაუმთავრებელი ტილო ედგა, რაღაც თარსად დაუწყო თავიდანვე ამ გოთვერანმა _ ბოდიში, ამ ყურუმსაღმა _ ყურება.
რეზო : ვაჰ, ვაჰ, ვაჰ, როგორ შევრცხვი ლადოსთან.
ირაკლი : მერე რა მოხდა, თვითონ მოჰყვეს.
დიდი ბობა : დაიწყე, ბიჭო, რისი გრცხვენია.
პატ. გურამი: აცალეთ, თვითონ დაიწყებს უთქმელად.
რეზო : ბიჭო, სულხან, რა მომივიდა! ნეტა გაიგო თუ არა ლადომ, რო გავიდა. ჰო, თვითონ ჯერ ხატავდა, მერე წავიდა. მე მითხრა, თუ გინდა დარჩი და ნახატები ათვალიერეო. ოლოლიც იქვე დადიოდა ლადოს სურათის გვერდით, მერე დადგა დასახატ პოზაში. ლადო წავიდა. ამ დროს, ჩემ საუბედუროდ, არ გამოირთო სინათლე! და მე უცებ ვეტაკე ოლოლის.
ირაკლი : ჰი,ჰი, ჰი...
სულხანი : ხა, ხა, ხა...
გიული : ჰიპ, ჰიპ, ჰიპ..
პატ. გურამი: მერე, რეზო, მერე, რეზო?
დიდი ბობა : ჰა, ჰა, ჰოო თუ არა.
რეზო : არა, ბიჭო, არა, ისევ აინთო სინათლე.
ირაკლი : ეგეთ ტიპებზე სინათლე დამაწყნარებლად მოქმედებს.
პატ. გურამი: крупный эксцентричный парень.
ირაკლი : მეორე დღეს მივედი, ხო იცი, ლადოსთან. რა მიყო, იქ აღარ მიმესვლება. ოლოლი ამბობს, დიდი თავი ჰქონდა და კოპები ესხდა ზედ, თორემ დავაპეპლინებდიო თავს, ხო იცი.
დიდი ბობა : ნატური დავაპეპლინებდიო?
ირაკლი : მე თვითონ მითხრა.
დიდი ბობა : ჰა, ჰა, ჰა...
ყველანი : ჰა, ჰა, ხა, ხი...
რეზო : ლადომ გაიგო, ლადომ გაიგო?!
ირაკლი : ჯერ არ გაუგია. მხოლოდ ეტყვის ოლოლი, ხო იცი.
რეზო : არც ნახატი უნახავს. ლადო რო წავიდა, იმის დამთავრება დავიწყე მე თვითონ.
ირაკლი : ლადოს ნახატის?
სულხანი : ლადოს ნახატის, აჰაჰაჰა.
რეზო : აბა, ბიჭო, და გამიფუჭდა. ეგ სხვანაირადა ხსნის საღებავს, მე სხვანაირადა ვხსნი საღებავს.
პატ. გურამი: ვაჰ, რა ექსცენტრიულია.
დიდი ბობა : ექსცენტრიული კი არა, გიჟი ყოფილა, კაცო.
რეზო : ეგრე გამოდის, არა, ჩემი საქციელიდან!
დიდი ბობა : კაცო, ის ქალი, ოლოლი, მართლა იმნაირია?
პატ. გურამი: ახლა შეუჩნდება ამას ოლოლი.

დიდი ბობა : მა შენ გიყურო? ცოტა მაინც გაზრდილიყავი, არცა ჩანხარ, რო დადიხარ.
პატ. გურამი: თორე შენა ხარ.
დიდი ბობა : მე, რაც გინდა იყოს, მაინც ბობა ვარ, ლევი, დიდი ბობა.
სულხანი : ააა, აბა მოგდომებიათ თქვენ მთელი დრო, რისთვის მოვედით აქ?
დიდი ბობა : მე რას მიყურებთ, კაცო, მეც მაგას ვამბობ, დავიწყოთ და ყველამ თავი დავიჭიროთ რამენაირად. ნურც ერთმანეთს ვაწყენინებთ და ნურც თეატრს შევუშლით ხელს, თორე...
პატ. გურამი: თორე ჩავარდა წარმოდგენა და ეს არის.
რეზო : მერე რა წარმოდგენა!
გურამი : ჰი, მართლა, სუ ნუ გაღლიცინდით, დაიღალა ხალხი. დაიწყე, იულონ.
იულონი : მე მზადა ვარ, გურამ.
გურამი : თეზიკო, მოემზადე შენც.
თეზიკო : მე უკვე იმდენჯერ მოვემზადე, თავი დამებნა.
სულხანი : იმ კაცს უთხრეს, წყნარად იქცევა, შენ რა მოგივიდა, რას იპრანჭები ქალივით.
თეზიკო : შენ შენთვის იყავი, მე თვითონ მოვუვლი ჩემს თავს.
სულხანი : რა გწყინს, შე კარგო კაცო, სიტყვა ვეღარ უთქვამთ.
თეზიკო : მე არა მწყინს. უბრალოდ, სხვისი საქმე არ არის.
იულონი : კარგით, ნუ იჩხუბებთ ამისათვის; მე მზადა ვარ გავაგრძელო.
რეზო : ერთ სიტყვასაც ვიტყვი და მერე.
დიდი ბობა : ეგ რომ არ გეთქვა, ისე ვერ იტყოდი, ახლა უფრო გრძელი არ გამოვიდა ვითომ?
პატ. გურამი: კაცო, ბობას დაუგდეთ ყველამ ყური.
დიდი ბობა : ბობა ყურებს აუწევს აქ ვიღაცას.
ირაკლი : და ეს ბობა რა გაგვიხდა, რა არის ამისთანაო.
რეზო : არსენას ამბავი არ გამაგონოთ; არა, ბობა?
დიდი ბობა : ნუ სარგებლობთ ბობას სიკეთით, ახლა რომ ხმას არ იღებს. რომ გაბრაზდეს, მერე რას ფიქრობთ.
პატ. გურამი: აქ ყველანი იმიტომ მოვედით, რომ ვიხუმროთ.
რეზო : ვიხუმროთ და ვილაზღანდაროთ.
დიდი ბობა : და სალაზღანდაროდ სხვა ადგილი ვერ ნახეთ, კაცო?
გიული : ეგაა, ბიჭო, ის სხვა ადგილი.
დიდი ბობა : მაშ, ვილაზღანდაროთ.
ირაკლი : აკი ვლაზღანდარობთ, არ გეყოფათ?
დიდი ბობა : ლაზღანდარობის ყოფნა იქნება?
პატ. გურამი: რა დიდია და რა ლაზღანდარა.
რეზო : რა რა რა არი.
ჯიმშერი : აქ მართლა იმიტომ მოვედით, მე მგონი, რომ ამხანაგის დაწერილ წარმოდგენას ვუყუროთ.
სულხანი : რა თქმა უნდა, იმიტომ მოვედით. მოვუსმინოთ, ბიჭებო.
ირაკლი : ჩვენი მიზანიც ეს არის. მოვუსმინოთ წარმოდგენას და ჩვენი აზრი ვთქვათ. თქვენ რას იტყვით?
დიდი ბობა : აზრი უნდა ვთქვათ, აბა როგორ!
რეზო : ჯერ მოგვასმენინეთ ბოლომდე.
პატ. გურამი: მოისმინეს და მოიწონეს.

ირაკლი : ჰოდა, დავუგდოთ ყველამ ყური, თორე ისე უაზრო იქნება ჩვენი აქ ყოფნა ამდენი ხანი ჩაკეტილში, თუ ვერ გავერკვევით რა შინაარსის და რა ღირსების პიესა დაწერა გურამმა.

ჯიმშერი : ირაკლი სწორს ამბობს. ეს უაზრობა რომ არ დაგვემართოს, გთხოვთ ყველას, გაჩუმდეთ და მოვუსმინოთ პიესას, რომ გამართლებული იყოს ჩვენი დღევანდელი აქ ყოფნის მიზანი _ წარმოდგენის მოსმენა. მე მგონი, ამაში გაუგებარი არავისთვის არაფერი არ არის, არა?

სულხანი : არის!

ირაკლი : რა არის გაუგებარი?

ჯიმშერი : ჩვენი მიზანი არ იყო წარმოდგენის ყურება?

სულხანი : იყო.

ირაკლი : აბა, რა არის გაუგებარი?

სულხანი : გაუგებარი ის არის, რატომ მოვედით ყველანი აქ.

ჯიმშერი : არ მესმის, რის შესახებ ამბობ.

სულხანი : მე ვამბობ სწორედ წარმოდგენის შესახებ, როგორც მხატვრულად, ისევე იდეის მიხედვით, მე ვამბობ იმ ხალხის შესახებ, რომლებიც თამაშობენ წარმოდგენის გმირებს და რომლებიც უყურებენ მას.

ჯიმშერი : ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარია, რატომ წამოიწყე ეგ ლაპარაკი.

სულხანი : იმიტომ, რომ ყველანი ცდილობთ, რაც შეიძლება შორიდან აუაროთ გვერდი იმ ძირითად შინაგან მიზეზს, რატომაცა ვართ ჩვენ ყველანი აქ მოსულები.

ჯიმშერი : ეგ ლაპარაკი შორს წაგვიყვანდა.

სულხანი : მოდით, ერთხელ მაინც მივიდეთ ახლოს სინამდვილესთან. როდემდე უნდა ვიტყუოთ თავი წარმოდგენებით, ქეიფით, ღვინით და სხვა რაღაცეებით, როცა ერთმანეთს ვხვდებით.

ირაკლი : შენ ეგ თავის მოტყუება გგონია. რატომ?

სულხანი : აი, გავერკვიოთ რატომ, მეც იმიტომ წამოვიწყე ეს ლაპარაკი. სულ მივდივართ მაგასთან და რაღაც გვერდს ვუვლით.

ჯიმშერი : ყოველ შემთხვევაში, ეგ ჩემი ბრალი არ არის.

ირაკლი : არც ჩემი ბრალია.

დიდი ბობა : მაშ, გამოდის, რომ მე ვარ დამნაშავე.

გურამი : შენ რა შუაში ხარ.

დიდი ბობა : მეც მაგას არ ვამბობ?!

სულხანი : ჩვენ ყველანი ვართ დამნაშავე, ყველანი? აა, არა, ასე არ უნდა მეთქვა, მინდოდა გულწრფელად დამეწყო და არ გამოვიდა. ჩვენ ყველანი არა ვართ დამნაშავე, არც რეზოა დამნაშავე, არც პატარა გურამი, ბობას დღეს პირველადა ვხედავ, ბობაზე არაფერს არ ვამბობ.

გიული : მაშ, ვინ არის დამნაშავე?

სულხანი : არ ვიცი, თითქოს ვიცი და რაღაც არ მყოფნის, რომ ვთქვა. ზედმეტი გულახდილობა მინდა და არ გამომდის, ვგრძნობ, რომ იმას არ ვამბობ, რაც უნდა მეთქვა.

ირაკლი : შენი ნათქვამით, მე და ჯიმშერი ვართ დამნაშავეები.

სულხანი : ჰო, შენ და ჯიმშერი ხართ დამნაშავეები.

ირაკლი : შენ, ბიჭო, შენი თავის დაძვრენა გიყვარს.

სულხანი : აი, ხედავთ, არ გამომივიდა. მინდოდა პირდაპირ მეთქვა, ალალად, და კაცს ვაწყენინე.

ჯიმშერი : ამიტომ უნდა დაუფიქრდე, როცა ლაპარაკობ.

სულხანი : აი, აი, არ ამბობ სწორს, როგორ არ გითხრა, სულ ვერ გამიგეთ, კაცო, მე სულ სხვა მინდოდა მეთქვა; მე მინდოდა მეთქვა, რომ თქვენთან ერთად მეც დამნაშავე ვარ გარეგნულად, მეც ისევე ვიქცევი, როგორც თქვენ; ეგრე ნუ იყურები, ჯიმშერ, შინაგანადაც ისევე ვიქცევი, როგორც შენ, მაგრამ არის რაღაცა, რის თქმის საშუალებასაც, უბრალოდ, არ მაძლევთ.

ირაკლი : აი, შენ ამბობ, რომ ისევე იქცევი, როგორც ჯიმშერი ან, დავუშვათ, მე, მაგრამ სულ ორი სიტყვა თქვი და შენი ქცევით უკვე დაიწყე გამოყოფა.

ჯიმშერი : მე, მე, უბრალოდ, ძალიან მიჭირს მასთან კამათი.

სულხანი : ჩემთან ორივენი სწორი ხართ. მე არ ვიყავი სწორი, რო დავიწყე, არ შეიძლებოდა, ვიცოდი ასე დამთავრდებოდა.

ირაკლი : რა, ვერ გაგიგებდით ჩვენ?

სულხანი : არა, მაგას არ ვამბობ.

ჯიმშერი : მე ვიცი, რომ სწორედ მაგას ამბობ, თან იძახი, მინდა გულწრფელი ვიყოო.

სულხანი : ნუ დამეხვიეთ ორივე, ბიჭო. მართლა სხვა მიზანი მქონდა, როცა ლაპარაკი დავიწყე, არ მინდოდა არც ერთის წყენინება, არც რაიმე თქვენთან.

ირაკლი : როგორ, კაცო, ჩვენ სულ გამოგვთიშე. პირადად ჩემზე ვამბობ.

სულხანი : არა, არა, იმიტომ კი არა, რომ თქვენ გამოგთიშეთ, თუნდაც შენ, აი, უყურე, არ დამამთავრებინე ლაპარაკი; ახლა უკვე ის აღარ არის, რაც მინდოდა.

ჯიმშერი : შენ სულ ის არ გამოგდის. მაპატიე, მაგრამ...

სულხანი : მე მართლა სულ ის არ გამომდის.

ირაკლი : ეგ დათანხმება კაცის გაფარჩაკებაზე უარესია, ხო იცი.

სულხანი : არ ვიცი, არ ვიცი. მოდი, რა, დამიგდე ყური, ირაკლი.

პატ. გურამი: დავუგდოთ და მოვუსმინოთ, კაცო, ერთმანეთს.

სულხანი : შენი ჭირიმე, ცოტა ხანს ნუ ანგლობთ, თუ შეგიძლია.

რეზო : იქნება რა აქვს კაცს სათქმელი.

სულხანი : გმადლობთ, რეზო, რომ გჯერა, რომ მართლა ბევრი მაქვს სათქმელი; უფრო სწორად, რაღაცა მაქვს სათქმელი.

რეზო : ხო, მესმის, ხო იცი...

სულხანი : აი, იცი, რა იყო, ირაკლი, შენ იმიტომ მოგმართავ, რომ პირველად შენ გამომეკამათე. გურამს მერე მოვუხდი ბოდიშს, რომ წარმოდგენას ვაწყვეტინებ, თუმცა არ უნდა ბოდიში. აი, წეღან ერთი მომენტი იყო, აი, აქედან შევხედე ყველას, აი, ასე, გონებაში, სახის შუაში დავიჭირე გამართული ხელი ისე, რომ ორად გაყოფილიყო ოთახი, მოთამაშეები, იულონი და თეზიკო და სხვები, მერე თითქოს წამოვედი უკან, აი, აქეთ, და ისევ დავიჭირე ხელი, ახლა ერთ მხარეს მოექცნენ არტისტებიდან თეზიკო, მაყურებლებიდან მის გამოყოლებაზე პატარა გურამი _ კუზმანა, ირაკლი, გიული, ჯიმშერი, მეორე მხარეს იყვნენ იულონი, რეზო, გურამი, და მე. რაღაცნაირი შური ვიგრძენი, იმდენად შუაში, მარტო გეომეტრიულად არ გამიგოთ, სითბოთი შუაში იდგა ბობა. ახლაც, აი, როცა ცალი თვალით გავხედავ, თითქოს ბობას სხეული მთლიანად იწოვს ყველას. ნიჭზე, სიდიდეზე, ვაჟკაცობაზე, ასეთ

წვრილმან პრაქტიკულ რაღაცეებზე არ ვამბობ, იცოდეთ. აი, ისევ ვერა ვთქვი. ეს იცით, რისი ბრალია _ რაღაცნაირად ზედმეტად ვგრძნობ იმას, რაც უნდა მეთქვა.

პატ. გურამი: ადგილი გამოიცვალე, უბრალოდ, და ისევ ამოკრეფ სათქმელს.

ირაკლი : ჩემთვის გასაგებია, რაც უნდა თქვა.

ჯიმშერი : ჩემთვისაც გასაგებია, რაც უნდა თქვა. აქ ბობაზე კი არ არის ლაპარაკი, არამედ...

სულხანი : არა, არა, სწორედ ბობაზეა ლაპარაკი.

რეზო : და რა გახდა, კაცო, ეს ბობა.

სულხანი : შენი ჭირიმე, ახლა ნუ იხუმრებ, გთხოვ.

ირაკლი : ჩემი აზრით, აქ საქმე სუფთა სუბიექტურ აღქმაში უნდა იყოს.

ჯიმშერი : ეგ არის სულხანის უბედურება.

ირაკლი : თუნდაც ბობას ამბავი...

დიდი ბობა : და მორჩით, კაცო, მაგ ბაზარს, ბობა მოკვდა თუ წავიდა!

ჯიმშერი : სწორს ამბობს ბობა, როგორ შეიძლება კაცი აქ იდგეს და ისე ილაპარაკო იმაზე. შენ უკვე აპირებ პირში მეცე, ცუდ ლაპარაკზე არ ვამბობ. უბრალოდ, კაცზე ილაპარაკო, გაარჩიო ის, როცა თვითონ აქა დგას.

სულხანი : ბოდიში, ჯიმშერ, _ ბოდიშს ხაზს არ ვუსვამ, იცოდე, _ შენ რა თქვი, ვერ გავიგე; ბიჭებო, მიგდებთ ყველა ყურს? მე მინდა ყველას გელაპარაკოთ და, რაც მთავარია, ყველას ერთნაირი გულისყურით, ე.ი. ერთნაირი ყურადღების მიქცევით, იმ წვრიმალი ინტერესის სრული გამორიცხვით, რომელსაც მე ამ წამში ვგრძნობ და რომელიც მაიძულებს, ჩემი პასუხის დიდი ნაწილი სწორედ ეკუთვნოდეს ირაკლის და ჯიმშერს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი არავისზე ნაკლებად არ მიყვარს.

პატ. გურამი: ეგ არც გვიფიქრია.

სულხანი : თქვენ ფიქრზე არ არის, მე თვითონ ვიფიქრე.

პატ. გურამი: შენ გინდა თქვა, რომ ყველა ერთნაირად გიყვარვართ.

რეზო : სიყვარულის ახსნა მოგინდა შუა სპექტაკლის დროს.

სულხანი : ჰო, ჰო და ჰო. შენ იხუმრე, მაგრამ სწორი თქვი, თან კარგადაც იხუმრე და კარგადაც ჩაამატე, ე.ი. თავის ადგილზე თქვი. მაგ ხუმრობაში, რომ მე «სიყვარულის ახსნა მომინდა», არ იყო არც არავისადმი მიმართული დაცინვა, არც ზედმეტი გრძნობა, მანდ იყო ობიექტური სითბო. მაგ სიტყვებს როცა ამბობდი, რეზო, ვიგრძენი, როგორ გაგინათდა სხეული და როგორ მოგინდა შენ თვითონაც აგეხსნა სიყვარული; მე შენ მაგიერ გამეხარდა, ისევე როგორც მიხარია ბობას მაგიერ.

დიდი ბობა : ჰე, ჰე, კაცო, ისევ ბობაზეა ლაპარაკი.

სულხანი : ჰო, ბობა, შენი ჭირიმე, ნუ მიწყენ, ისევ შენზეა ლაპარაკი, წეღან რომ ვამბობდი და ვერ დავამთავრე; აი, შენ რომ გიყურებ, თბილი შურით მევსება გული, სიყვარულის შურით: როგორ შეგიძლია ასე განურჩევლად გიყვარდეს ყველა, თან ისე, რომ არ გეცოდებოდეს არავინ; ამასთანავე, შენ თავზე ისე ლაპარაკობდე, როგორც სხვაზე; ისიც გიყვარდეს და ამ დროს არ იყო ფრჩხილის ოდენა ეგოისტიც კი. აი, აი, ასე დაგინახე ყველას შუაში და, სხვათა შორის, არც შემთხვევით მოხდა,

რომ კუზმანა და რეზო თითქმის შენთან ერთად სხედან, რაღაცნაირად სამივენი ძალიან გავხართ ერთმანეთს.

დიდი ბობა : კაცო, ამ კურკებს...

სულხანი : ჰო, ჰო, ჰო, მაგ კურკებს. აი, ეგ რომ მეთქვა მე სხვაზე, უნდა სწყენოდათ ჩემგან. მიუხედავად იმისა, რომ შენ სხვაზე ნაკლები არა ხარ ვაჟკაცობით, მეტიცა ხარ, მაინც არ სწყენიათ შენგან ნათქვამი და დაჩაგვრად არ იღებენ.

დიდი ბობა : ეგეთი რო იყო დიდი ბობა, არ იცოდით?

სულხანი : მოდი, ბობა, ისე ჯიგრიანად, როგორც შენ გულს გაუხარდება, როგორც შენ, აი, ამას, აი, ამ მკერდს ესიამოვნება, რომელზედაც ჩემ მუშტს ვურტყამ, ისე ჩაგკოცნი.

დიდი ბობა : მოდი, ბიჭო, ბობა მზად არის ჩასაკოცნად.

სულხანი : ჰმ, ამის დედა ავატირე, რაღაც უცებ დავთვერი უღვინოდ. შენ გენაცვალე, რეზო, და შენ, კუზმან; ბიჭებო, მაპატიეთ რა, ამათ რომ ველაპარაკები მარტო, მაგრამ ამათთან რაღაც საქმე მაქვს, ბობასთანაცა მაქვს ეგ საქმე, თქვენთანაც ყველასთან; ახლა რა იყო, იცით? შეიძლება ზედმეტი ვთქვი, სადღაც დამძლია არტისტულობამ, მაგრამ რანაირი შეგრძნება მქონდა, იცით? ძალიან ნაცნობი ყველასთვის. აი, ასე ხო დგას ხოლმე წრე, შეკრული წრე, და დაბალ ტაშს უკრავს, საცეკვაო ტაშს, წრის გული კი ცარიელია და მოცეკვავეს ელის, _ რაღაცნაირად ვიგრძენი, მთელი კუნთები დამეჭიმა, აი, სახეზეც კი წამომახურა, _ აი, ეგრე, ასე იდექით ჩემს გონებაში თქვენ, როგორც ახლა დგახართ წრედ და უკრავდით დაბალ ტაშს. მე სადღაც უკნიდან, მთელ ტანში მტვრევით წამოვედი, გამოვარღვიე რკალი წელში მოხრილმა, თავდაღუნულმა, ოღონდ სავსემ გამართვის სურვილით, წინ გაშვერილი მუშტით გაჭიმულ ხელზე; ცარიელა წრეში შემოვარდნილმა ერთი შემოვლა ასე შემოვუარე. ტაში მხოლოდ, როგორც ახლა, ოდნავ უფრო დაძაბული გახდა, მე ვიგრძენი საკუთარი ხერხემლის, მოღუნული ხერხემლის დაუოკებელი სურვილი და უცბად, ავარდნილ გაშლილ ტაშთან ერთად გავიმართე. ო, რა სასიამოვნოა წელში მოხრილი ყოფნის შემდეგ გამართვა: სხეული იზრდება და ბეჭები აღარ ეტევიან გარშემო სივრცეში, მანამდე მობღუჯული მუშტი იშლება უზარმაზარ ნიჩაბივით სილად, ნიჩაბივით უვნებლად და ალალად და ყოვლისშემძლედ.

ამ გამართვაში არ არის, გეფიცებით, არც თავის მოწონება, არც სურვილი იმისა, რომ მარტომ იცეკვო; აქ ჩემთვის მხოლოდ უფლებაა: იყო ისეთივე ადამიანი, როგორიც თითოეული ტაშის დამკვრელია, როგორიც თითოეული იმათგანია, რომლებმაც წრე შეკრეს.

პატ. გურამი: მაშ, ეს მოდი, წრის შემკვრელებს გაუმარჯოს!

სულხანი : არა, მაშ, ეს მოდი, მე გამიმარჯოს!

რეზო : სწორია, სულხანს გაუმარჯოს!

ირაკლი : გაუმარჯოს!

ჯიმშერი : უღვინოდ გაუმარჯოს!

დიდი ბობა : თუ გამარჯვებაა, ყველას გაგვიმარჯოს!

პატ. გურამი: მოდით, ეს უღვინოდ მთვრალებს გაგვიმარჯოს!

სულხანი : სწორია, მე მაგიტომ დავლიე ჩემი სადღეგრძელო. ჩემთან ერთად, კუზმან, შენ გაგიმარჯოს, გაგიმარჯოს შენ შენი სიყვარულით, შენი

კაცობით, აი, ასე პირდაპირ, შენი კუზმანობით, აი, ასე დიდად, ჩემთვის თბილად და უაზროდ, როგორც ეგ სიტყვაა თავისთავად და მე მაპატიე, თუ...

პატ. გურამი: ვიცი, ეგ ყველაფერი რაზე დაიწყე, დედა მომიკვდეს, თუ შენზე მე ნაწყენი ვიყო.

სულხანი : არა, ტყუილად ნუ მარწმუნებ, შენ გაქვს უფლება და უნდა იყო კიდეც ნაწყენი.

პატ. გურამი: ეგ ჩემი ნებაა. მე გეუბნები, რომ არა ვარ ნაწყენი.

სულხანი : ეგეთი გული რომა გაქვს, იმიტომ გენაცვალე.

პატ. გურამი: ეგ კარგი გულით არ მომსვლია.

სულხანი : ჩემთვის სულერთია, რითი მოგვიდა.

პატ. გურამი: სხვა არაფერი არ შემეძლო მექნა.

სულხანი : სწორედ ეგ არის დიდი და კარგი, რომ ასე გულახდილი ხარ, როგორა გგრძნობ ახლა, იცი? აი, ასე, მოდი ჩემი იღლიის ძირში მინდა მოვიქციო შენი მხრები. ასეთი ნათესაური შეგრძნება მარტო მაშინა მქონდა, როცა ჩვენი, ორივესი, ირინკა მომყავდა ხოლმე ქუჩაში, უფრო სწორად, როცა კიბეებზე ჩამოვდიოდით.

პატ. გურამი: რეზო, გახსოვს ირინკა?

რეზო : როგორ არ მახსოვს ირინკა.

სულხანი : არ შეიძლება, ის გენახოს და არ გახსოვდეს. ჰა, კუზმან!

პატ. გურამი: კარგი, აღარ გინდა, ნუღარ იგონებ.

რეზო : რაც გინდა იყოს, კაცს უყვარდა.

სულხანი : აი, მაგიტომ ვენაცვალე მაგ კაცს, რომ ის გოგო უყვარდა, ის არ შეიძლება ცუდს ყვარებოდა.

რეზო : ახლაც უყვარს და არ გინდა, ბევრს ნუ ილაპარაკებ იმაზე.

სულხანი : ახლაც უყვარს? მეც მიყვარს კიდე, ოღონდ გავუშვი და აღარ მოვა ჩემთან აღარასოდეს.

რეზო : შენ გაუშვი?

სულხანი : მე გავუშვი.

პატ. გურამი: კარგით, ნუღარ ილაპარაკებთ ირინკაზე.

სულხანი : კუზმან, გახსოვს ის საღამო? მე მაშინ არ ვიცოდი, რომ შენც ძალიან გიყვარდა ირინკა, გახსოვს რა თმები აქვს მაგ გოგოს? არა, ვტყუი: მე ვიცოდი თქვენი ამბავი, ოღონდ თავი მოვიტყუე. არა, კიდე ვტყუი. თითქოს არც თავი მოვიტყუე, სულ სხვა რაღაცა იყო.

პატ. გურამი: მახსოვს, იქიდან რომ ერთად წამოვედით, მაშინ კინაღამ არ გაგიყარე დანა მუცელში.

სულხანი : აი, ხედავ? ხედავთ? როგორც, აი, ამ ჩემ ხუთ თითს, აი, ამ ხუთ თითს: ერთი, ორი, ხუთი... _ მეზარება ბოლომდე დათვლა _ ისე ვხედავ იმ დღეს, იმ კიბეებს, რომელზედაც ჩვენ ჩამოვდიოდით. მე მთვრალი ვიყავი.

პატ. გურამი: მე წვეთი არ დამილევია იმ დღეს.

სულხანი : ისევ მოვიტყუე: არც მე ვიყავი მთვრალი, მაგრამ მთვრალზე უარესად ვიყავი. კიბეებზე ჩამოსვლის დროს მარჯვენა ხელი გადავხვიე კუზმანას, მარცხენა ირინკას. გოგოს ყოველთვის მარცხენა ხელსა ვხვევ, მიყვარს როცა იღლიის ძირში შემოჯდება, როცა მომეკვრება ქალური მხრებით, რომლებიც ერთმანეთთან მიდიან მკლავის მოხვევისას,

თრთიან. მაშინ შემოდის ჩემ სხეულში ქალი და სახეს გულზე მადებს. ამ დროს ვგრძნობ ქალს, ამ დროს ვიგებ ნათესავია ის ჩემთვის თავისი სხეულით თუ არა. უკანასკნელი ბოზიდან უპატიოსნეს ქალამდე შემიძლია ასე ამოვიცნო ქვეშეცნეულად ჩემი ნათესავი სხეულით, მისი დიდი გაგებით და მთელი არსებით შევიყვარო ის, თუნდაც მარტო ერთი საათით, ოღონდ მაინც მთელი არსებით.

პატ. გურამი: სულხან, ნუღარ ილაპარაკებ მეტს.

სულხანი : ა!

პატ. გურამი: იცოდე, შეიძლება მაწყენინო.

სულხანი : არ შეიძლება ეგ, ბიჭო, სწორედ მაშინ კიბეებზე მარჯვენა მხარეს შენ მყავდი მობღუჯული და ისევე გიგრძენი, როგორც ირინკა, როგორც ჩემი ნათესავი სხეულით, აი, ამიტომ გენაცვალე, აი, ამიტომ შემიძლია დავეცე შენ წინ მუხლებზე, ენით ავლოკო ის მიწა, რომელიც შენ გარშემოა და თავი არ დავიმცირო; ეს, ხომ გესმის, მე შემიძლია გავაკეთო ეს შენი გულისათვის, შენი გულისათვის ვურტყა თავი იატაკს.

პატ. გურამი: სულხან, სულხან!

ბიჭები : სულხან, სულხან!

რეზო : ადექი, ბიჭო, გეყოფა თავის რტყმა.

პატ. გურამი: მეც შემიძლია, როგორც შენ გააკეთე, ავლოკო მიწა, არ გჯერა? ადექი, ნუ ხარ დაჩოქილი და ნახე, ნახე, მეც, მეც.

რეზო : კუზმან, კუზმან.

ბიჭები : კუზმან, კუზმან, სულხან, გეყოთ მიწის ლოკვა და თავის რტყმა.

ჯიმშერი : თქვენი ჭირიმე, გეყოფათ ორივეს, რა მოგდით!

დიდი ბობა : ხალხო და რას ღელავთ?! არტისტები აქ არა ყოფილან?! რაღა ამ პატიოსან ხალხს ვაწვალებდით, შენი არ მიკვირს, დიდო გურამ.

სულხანი : აი, მაგ პირდაპირობისთვის გენაცვალე, ბობა. არც ირაკლი, არც ჯიმშერი მაგას არ მეტყოდნენ ჩემ აღტკინებაზე. ხე, ხე, შეეშინდებოდათ, რამე არ იფიქროსო.

ირაკლი : შენ ისევ ჩვენი პიროვნების შეურაცხყოფაზე გადადიხარ, ძალით გამოწვეული პათოლოგიური მოვლენიდან.

სულხანი : ხე, ხე, და მაგას ეძახი, რომ გამიგეთ?

ჯიმშერი : შენ რაღაც წინა აზრით მოდიხარ ჩვენთან, ეგ არის შენი ლაპარაკის ნაკლი.

სულხანი : გაჩერდით, თორემ ვიტირებ, არა გჯერა, არა? მართლა ვიტირებ. მაპატიეთ, რომ თითქოს ყველაფერი ხელში ჩავიგდე; ვიცი, რომ ეს ბოდიში უფრო გწყინთ, მაგრამ არ არის ეგ მარტო ჩემი ბრალი, ეგ ჩემი ტრაგედიაა, ბიჭო, გესმით? ტრაგედია. რამეს რომ ვამბობ ან ვაკეთებ, ერთ ნაწილს უნდა ვასიამოვნო, მეორეს უნდა ვაწყენინო, ამიტომ შემიყვარდა ბობა, რომ ეგეთი არ არის. აჰა, ბობა, შენ წინ თუ გინდა, მუხლს მოვიყრი, ფეხებზე გაკოცებ, როგორც ყველაზე პატიოსანი, ობიექტური კაცის წინ, შენ წინაშეც, რეზო, შენ წინაშეც, კუზმან, და არ შემიძლია იგივე გავაკეთო ირაკლისა და ჯიმშერის წინაშე, მიუხედავად იმისა, რომ არ მიყვარს, არა, თქვენზე ნაკლებად არც ერთი და, ღმერთო, ტყუილი არ გამოვიდეს ისევ _ შეიძლება თქვენზე მეტადაც მიყვარდეს ისინი.

დიდი ბობა : რაღა მე გინდა რო მომბაძო, კაცო.

სულხანი : არა, ბიჭო, შენი მობაძვა კი არ მინდა...
დიდი ბობა : მა რა გინდა, კაცო?
სულხანი : მე მინდა ფეხებში ჩაგივარდე, იმიტომ რომ რაც გინდა ცუდი საქმე გააკეთო, საქმესთან ცუდი გულით არ მიდიხარ; იმიტომ რომ შენ არ იცი, ტყუილი შეცოდება რა არი; იმიტომ რომ შენ ყველაზე სამართლიანი კაცი ხარ; ვგრძნობ, რომ ავიწყვიტე, იქით აღარ მივდივარ, მაგრამ ველარა ვჩერდები. აი, ეგეთივე კაცია კუზმანა, არ იცით კუზმანა, ჰე, ჰე, ჰე. არ გეგონოთ, რომ ვიცინოდე. მე და ამას უფრო ძველი ანგარიშებიც გვქონდა, გინდა გითხრათ, გაგიხსნათ?! ერთხელ მე და ამ კაცს...
პატ. გურამი: არ გინდა ახლა მოგონება.
რეზო : სხვა დროს რა, სულხან.
სულხანი : რას მეხვეწებით, გეგონება, მართლაც ხელში ჩამეგდოს უფროსობა.
რეზო : მა, ხო არა გცემთ.
სულხანი : მცემეთ.
დიდი ბობა : კაცო, მერე და ხელის დასაბანი წყალი სად ვიშოვოთ?
სულხანი : ეგ როგორ გავიგოთ, ხუმრობ თუ მართლა? ჰე, ჰე, ჰე.
დიდი ბობა : როგორც ბობა ამბობს, ისე უნდა გაიგოთ.
რეზო : უბრალოდა თქვა და მორჩა.
ჯიმშერი : სულხან.
სულხანი : მე მითხარი რამე, ჯიმშერ?
ჯიმშერი : ჰო, შენთვის მინდოდა მეთქვა.
სულხანი : რა გინდოდა?
ჯიმშერი : არაფერი, სულ უბრალო რაღაცა. ნუ აიღე თავიდანვე ეგეთი ტონი, თითქოს მე გიწვევ.
სულხანი : არა, კაცო, რატო გეჩვენება, ნუთუ მართლა ეგეთი ტონი მაქვს.
ჯიმშერი : მე არ მეჩვენება.
ირაკლი : ახლა თქვენ დაიწყეთ! სად წაგიყვანთ, იცით, ეგ ლაპარაკი?
სულხანი : რატო გაურბიხარ მერე ლაპარაკს?
ირაკლი : არ მინდა ეგეთ აფექტებამდე მივიდე.
პატ. გურამი: ირაკლი თავს უფრთხილდება, არა, ირაკლი?
რეზო : გოგლიმოგლი, გოგლიმოგლი.
ირაკლი : რა გოგლიმოგლი, ბიჭო?!
რეზო : გოგლიმოგლი ორი კვერცხით.
ირაკლი : ჩემზე ამბობ მაგას?
პატ. გურამი: ჯერაც არ გიჭამია გოგლიმოგლი!
ირაკლი : რო ვჭამ, ორგანიზმს სჭირდება და იმიტომ ვჭამ. როგორც წამალი, ისე მაქვს გამოწერილი.
დიდი ბობა : ვისთვის გოგლიმოგლი და ვისთვის ორასი გრამი ჭაჭის არაყი.
რეზო : გოგლიმოგლი.
ირაკლი : შენ გეუბნები, ოლოლი რო უნდა დაგეპეპლა, დაუფიქრდი, როცა ლაპარაკობ.
პატ. გურამი: ფიქრის თავი სადა აქვს, ისეც იმხელა თავი აქვს.
ირაკლი : ჰოდა, დიდი თავი რომა აქვს, იმიტომ უნდა დაუფიქრდეს, რომ მთელი ჰქონდეს ყოველთვის.
სულხანი : კარგით, გეყოფათ, ნუ მიიღებთ ასე არასერიოზულად ჩემ ლაპარაკს.

ირაკლი : ისე, სულ შენი ბრალია. ახლა ამ ხალხმა ჩვენზე რა უნდა იფიქროს, ისეთი სიტუაცია შექმენი, თითქოს ჩვენ ყალბი ტიპები ვიყოთ.

სულხანი : სწორს ამბობ, მართლა ვერ მოვიქეცი კარგად. ბიჭებო, თქვენ წინ ვითხოვ ბოდიშს, არა ირაკლისთან და ჯიმშერთან. ეგენი ეგრე მიიღეთ, როგორცა ხედავთ, მართლა კარგები არიან, ეს კრიტიკოსი კაცია, ეს ფილოსოფიას სწავლობს.

დიდი ბობა : ვა!

ირაკლი : აი, ისევ არასერიოზულ მდგომარეობაში ჩაგვაყენე.

პატ. გურამი: აფსუსი არ არის, მაგას რეზოს თავი არა აქვს.

ირაკლი : თქვენ სულ იცინით და სერიოზულად უკვე ძნელი გახდა ლაპარაკი, თუნდაც იმიტომ, რომ აქ როგორღაც შეურაცხყოფის გრძნობა თითქოს დაიკარგა; მე რომ მითხრას კუზმანამ, კიდე შეიძლება მოვითმინო, მაგრამ ჯიმშერს პირველად ხედავს.

ჯიმშერი : ირაკლი, ისევ არასწორად დაიწყე შენ ლაპარაკი; აქ ყველა ერთნაირადა ვართ. ამიტომ მე არც მიმიღია შეურაცხყოფად.

ირაკლი : რო არ მიიღე, ეგ შენი ნაკლია.

ჯიმშერი : იყოს ჩემი ნაკლი. ყოველ შემთხვევაში, ეგ არ არის იმისი ბრალი და, თუ მართალი გინდა, მე მიხარია კიდეც, რომ ასე პირდაპირ, უცერემონიოდ მომმართავენ.

სულხანი : სწორს ამბობ შენ, ჯიმშერ, სწორია კაცი, რა გინდათ.

ირაკლი : მე რა ყოველთვის დამნაშავე გამოვდივარ.

სულხანი : გულახდილობა გვაკლია ჩვენ ყველას, გულახდილობა.

ირაკლი : მე შემიძლია ვიყო გულწრფელი თქვენთან.

სულხანი : მოდი, შევეცადოთ მართლა, თითოეული ჩვენი სიტყვა იყოს გულახდილი.

ირაკლი : მეც მაგ აზრისა ვარ, თქვენ რო თითქოს ჩემ წინააღმდეგ გაილაშქრეთ, გეგონება მე აზრების შემჭმელი ვიყო; რაც მე მაგ აზრისათვის გადავიტანე... ჯერ მთელი ჩემი ოჯახი მაგ იდეებისთვის გაწყდა, მერე სულ მთლად ბავშვმა დავიწყე ღამღამობით წიგნზე მუშაობა, მაგის გამო იყო, რომ კინაღამ დავბრმავდი.

სულხანი : აი, ისევ გადაუხვიე გულახდილობას და შენი ამბების მოყოლა დაიწყე.

ირაკლი : ჯერ ხო არ მითქვამს ბოლომდე.

ჯიმშერი : არა, ირაკლი, აქ სულხანი სწორია, ბობას გულახდილობა რომ მოგწონთ, რატომ მოგწონთ?

სულხანი : ალალია და იმიტომ.

ჯიმშერი : არა ხარ სწორი, შენ გგონია ირაკლი ბობაზე ნაკლები გულის არის?

სულხანი : არა, როგორ გითხრა...

ჯიმშერი : აი, ისევ არა ხარ სწორი: ფიქრობ, რომ ხო და ამბობს სხვას, არც შენ შეგიძლია, ხედავ, იყო ალალი, გულახდილი.

სულხანი : მე ვცდილობ, რაც შემიძლია.

ჯიმშერი : რაც შეუძლია, ირაკლიც ცდილობს, ოღონდ მეტი არ შეუძლია, იმიტომ რომ თავისი ფორმა არა აქვს. სხვათა შორის, ეს უფორმობა მაგის ბრალი კი არ არის, ეგ უფორმობა გვახასიათებს ყველას ჩვენ და თითქმის უკლებლივ.

სულხანი : ეგ არის ჩვენი ტრაგედია.

ჯიმშერი : შენ გგონია, რომ ახლა დამეთანხმე; არა, ეგ არ არის ჩვენი ტრაგედია, რადგან ეს საერთოდ არ არის ტრაგედია; ეს არის ჩვენი ბუნება, ქართველი კაცის ბუნება, რომელმაც არასოდეს არ იცის, რა არის ის თვითონ და სისტემატურად ცხოვრობს მეზობელ ჩვენებებში და არა თავის სინამდვილეში.

სულხანი : თითქოს გავიგე და ისევ დამეკარგა ძაფი.

ჯიმშერი : აი, რეზო აიღე. სწავლობს საინჟინროზე და დარწმუნებულია, რომ მისი მოწოდებაა ხატვა; ვთქვათ, რეზოს მართლა აქვს ხელოვნების ნიჭი; აი, შენ აშკარად გაქვს არტისტული ნიჭი, შეიძლება ძალიან დიდიც, მაგრამ დარწმუნებული ხარ, რომ უნდა იყო თვითონ შემქმნელი ხელოვანი და ამ ფორმასა და აზრს შორის ჭიდილში მიდის შენი ცხოვრება; ვიტყვი უფრო მეტს _ გიული იმდენად შეეჩვია თავის მოსულელო ბიჭის როლს, რომ ის არამცთუ თავის ბუნებრივ, საშუალოდ ჭკვიანი ადამიანის ფორმაში არ გაცვლიდა მას, არამედ ძალიან ჭკვიანობასაც ითაკილებდა თავისი არსებობის გამოხატვის დროს.

სულხანი : მართალს ლაპარაკობ, ხო იცი... ჰო, სამწუხაროდ, მგონი, მართალია.

ჯიმშერი : რათა სამწუხაროდ? აი, ისევ ამოვარდა ფორმიდან. უბრალოდ, არ შეგიძლია გახდე არტისტი, ფანტაზიას, შემოქმედებას სწორედ იქ მისცე გასაქანი, იქ გახდე დიდი. რატომ არ არის, იცი, ეს სამწუხარო... გისმენ, კუზმან, ამაზე შემდეგ.

პატ. გურამი: კაცს უნდა, თვითონ წერდეს. რომელი უფრო დიდია, ხო უნდა გავითვალისწინოთ.

ჯიმშერი : ის კი არ უნდა გაითვალისწინო, რომელი უფრო დიდია, არამედ ის, რომელი უფრო თავისია.

სულხანი : სწორი ხარ, თითქოს სწორი... ოღონდ რაღაც მაინც ვერა ვგრძნობ.

ჯიმშერი : ჰო, შენ გგონია მე მწყინს, რომ ვერა გრძნობ ამას, რომ თუნდაც პატარა გურამი სამუდამოდ დაიღუპა, როგორც პატიოსანი ინჟინერი და ვერასოდეს ვერ იქნება ხატვის ტონის მიმცემი თავისი აზრებით... ერთი წამითაც არა.

ირაკლი : ყველა გამოგვლანძღე ერთ წუთში.

ჯიმშერი : მე? ერთი წამითაც არა, ერთი წამითაც. პირიქით, მე ჩემ ამბავსაც გეტყვით. მიუხედავად იმისა, რომ არავითარი ნიჭი არა მაქვს მსახიობობისა, თუ ოდესმე რამეზე ვოცნებობ, ეს არის სცენა: ვიყო სცენაზე ხალხით სავსე დარბაზში და ვიყო დიდი არტისტი, უზარმაზარ კოჟრიან მტევანში მეჭიროს შანდალი ანთებული სანთლით და ნელა, სულ ნელა ვმართავდე მოხრილ ხელს, სანამ ის არ მიაღწევს უსასრულობას ჩემი მტევნის შემწეობით და სანამ ეს სინათლე არ გაანათებს ყველას!

ხი, ჰი, ჰი, გეცინებათ ყველას, ჰა? როგორ შეიძლება სათვალიან ჯიმშერს ჰქონდეს ასეთი სურვილი _ იყოს არტისტი?! თანაც ეჭიროს ასე მაღლა აწეული შანდალი. აი, ასე! ასე მაღლა აწეული ერთი კი არა, ორი შანდალი, ათი შანდალი, ასი შანდალი!

რეზო : ეგ ხომ მეც მინდა!

სულხანი : ათასი შანდალი.

დიდი ბობა : კაცო, კაცო..!

ირაკლი : ეგ როდის მოგივიდა თავში?

ჯიმშერი : ეგ მე არ მომსვლია თავში, მე მაგ სურვილით გავჩნდი... კარგით, მე უკვე დავმშვიდდი და თითქოს შემიძლია ნორმალურად ვილაპარაკო... არტისტულობა, ჩემი აზრით, არის სუფთად ჩვენი ქართული ბუნება.

დიდი ბობა : ვითომ, კაცო...

ჯიმშერი : აი, შენ, აი, აიღეთ...

რეზო : ასი გრამი ბობა და გადაასხით მენზურაში.

ჯიმშერი : ხი, ჰო, თუნდაც, ოღონდ სერიოზულად, ყველაზე გულახდილი, ალალი ბობას ლაპარაკიც კი არის სუფთა სცენური, ოღონდ მისი ფორმა ისე შეესაბამება შინაარსს, რომ ვერც კი არჩევთ ერთმანეთისაგან დანარჩენები...

ირაკლი : ეგა გვღუპავს ქართველებს.

სულხანი : ფორმით გატაცება არის საშინელი რაღაცა, აი, მე ჩემ თავზე შემიძლია ვთქვა.

ჯიმშერი : თქვენ არ მოგწონთ ფორმით გატაცება; არც მე მომწონს, მაგრამ მე, მე ვამაყობ, რომ ვარ იმ ერის შვილი, რომელსაც არასოდეს არ აკმაყოფილებს თავისი არსებული ფორმა, რადგან არ იცის, რომელია ის _ დაუკმაყოფილებლობა არსებულით _ ეს არის ფორმა და ამას ჰქვია ქართველი კაცი; აი, მეც ვარტისტობ ახლა, ზედმეტად ვიქნევ ხელს და მე ამით ვამაყობ. ამან შეიძლება დამღუპოს მე, ამან შეიძლება დაგვღუპოს ჩვენ ყველა, დაგვღუპოს სხვა ფორმის ძიებამ, მაგრამ ის, რომელიც ნახავს თავის ნამდვილ არსს, ის იმდენად ნამდვილი იქნება, რომ არც ერთი ჩვენგანი არ ინანებს, რომ იყო მისი გზის უნებლიე მსხვერპლი, მიუხედავად იმისა, რომ სიტყვით ის შეიძლება გავლანძღოთ კიდეც.

ჰო, იმდენად ბევრი რამე უნდა თითოეულ ჩვენგანს, რომ ძნელია, გაერკვიო, რომელი უფრო გინდა; დიახ, ჩვენი, ქართვალების, უმეტესობა ყველა დარგში თანაბრად ნიჭიერი ხალხია, ხოლო ყველაფერში თანაბრად ნიჭიერ კაცს არ შეიძლება ჰქონდეს თავისი ნამდვილი საქმე _ ის აქვს მხოლოდ ცალმხრივად ნიჭიერ კაცს და გენიოსს, რომელიც, ჩემი აზრით, ცალმხრივად განვითარებული კაცის უმაღლესი ფორმაა, ამიტომ არის ჩვენთან ასე იშვიათი ცალმხრივად განვითარებული კაცი და გენიოსი.

უმორჩილესად გთხოვთ, არ მიიღოთ შიშველ ჭეშმარიტებად ჩემი სიტყვები, რადგან მე მაინც ამ პიესის ერთ-ერთი გმირი ვარ, ხოლო ძირითადი აზრი შეგიძლიათ გამოიტანოთ არა ერთის ან ბევრის ნალაპარაკევიდან, არამედ იმ გრძნობიდან, რომელიც აიძულებს მათ ილაპარაკონ...

მაშ ასე, ახლა ყველას გთხოვთ, გამხიარულდეთ... თქვენი ჯიმშერი... და კიდევ: გთხოვთ, დაუკრათ ტაში, ხოლო მე გავაკეთებ რევერანსს ან, როგორც მიღებულია, მეც დავუკრავ თქვენთან ერთად ტაშს. ბრავო!

_ ბრავოო!

_ ბრავოო, ბრავო!

_ ბრავო, ბრავო და ვაშა!

_ და ძალიან სერიოზულად ვაშა!

_ შენ ილაპარაკე იმდენი, რომ ყველა ჩვენი სიტყვა ამის შემდეგ უაზროდ მომეჩვენება.
_ ნუ გეშინიათ, თქვენ ისეთი ბიჭები არა ხართ, რომ ლაპარაკი ვეღარ შესძლოთ; სხვა რომ არაფერი, იმაზე ილაპარაკებთ, რამდენი ილაპარაკა ჯიმშერმაო.
_ მაინც დაიკარგა ლაპარაკის ხალისი და სხვა რამე გვინდა.
_ მაშინ გავაგრძელოთ სპექტაკლი.
_ ნამდვილად გავაგრძელოთ.
_ ჰო, მეც მაგის მომხრე ვარ.
_ ცოტა გავერთობით მაინც ყურების დროს.
_ მე უკვე აღარ ვიცი, საით ვუყურო.
_ კარგი, ბობა, ზედმეტი ნუ მოგდის.
_ თქვენ გგონიათ, მე ზედმეტობით მომდის?
_ ეგეთ ლაპარაკს ბოლო არა აქვს.
_ ჰოდა, გავაგრძელოთ, იქნება გულზე რო მოხვდეს კაცს, ისეთი რამე მოხდეს წარმოდგენაში.
არის, გურამ, შიგ ეგეთი მომენტი?
_ როგორ გითხრათ...
_ როგორც არის, ისე თქვი, კაცო.
_ არა, ისე კი ვიტყვი, სიტყვა ვერ ვნახე სათქმელად. მოკლედ, კაცი რომ კვდება, ჰქვია იმას თქვენთვის რამე მომენტი თუ არა?
_ გააჩნია, როგორა კვდება კაცი.

პატ. გურამი: მე ვიცი მაგისი შინაარსი; აი, უყურეთ და ნახავთ როგორა კვდება კაცი.

ჯიმშერი : იცით რა, აქამდე თითქოს მე აღარ მინდოდა, იმდენად აღგზნებული ვიყავი. ახლა რაღაც მომინდა, აშკარად ვგრძნობ, რომ მომინდა, რამე ხდებოდეს სცენაზე და მე მხოლოდ მაყურებელი ვიყო.

გურამი : მაშ, ვთხოვ ბიჭებს დაიწყონ, თორემ თვითონაც ძალიან მოიწყინეს; დაიღალე, თეზიკო? ამდენი ხანია შენ და იულონი უხმოდა სხედხართ, მოწყენილები, მაქეთა კუთხეში.

იულონი : არა, ჩემთვისა ვფიქრობდი.

თეზიკო : მე ყურს გიგდებთ.

პატ. გურამი: თქვენ რა მართლა დაქირავებული არტისტებივით იქცევით.

თეზიკო : სიტყვა სიტყვაა, რახან შეგპირდით, ვითამაშებ კიდეც ბოლომდე.

გურამი : დავიწყოთ ბარემ.

თეზიკო : კარგით. ადექი შენც, იულონ, მე უკვე მეშინია, ისეთი სახე გაქვს.

იულონი : ჩემი, ა!

თეზიკო : ჰო, რაღაცნაირი მჟავე სახე გაქვს, ნამძინარევი.

იულონი : მჟავე სახე, ა?!

თეზიკო : თუმცა როდის არა გაქვს შენ მჟავე სახე.

იულონი : მჟავე სახე?!

თეზიკო : რატომ მიყურებ ეგრე, არ ვამბობ სწორს?

ჯიმშერი : აქ ათასი ეგეთივე სწორი რამის თქმა შეიძლება, ოღონდ არ არის საჭირო.

თეზიკო : მე სწორედ მჭირდებოდა და იმიტომ ვთქვი.

იულონი : მე შენი ტოლი არა ვარ, იცოდე.

თეზიკო : უფროსი ხარ, მით უარესი შენთვის.

გურამი : რატო დადექი, თეზიკო, ეგეთ ხასიათზე?
თეზიკო : როგორზე?
გურამი : რაღაცნაირად გამომწვევად ლაპარაკობ.
თეზიკო : მე ვლაპარაკობ გამომწვევად?!
გურამი : აღარ გინდა, რომ ითამაშო?
თეზიკო : პირიქით.
გურამი : აბა, რატომ ლაპარაკობ ასე?
თეზიკო : გაბრაზებული უფრო კარგად ვითამაშებ, ხი, ხი, ხი, არა, იულონ?
იულონი : არ ვიცი.
სულხანი : რას იტყვით, ბიჭებო, დავიწყოთ ნამდვილი წარმოდგენა?
მე მინდა რომ დავიწყოთ, არა იმიტომ, რომ სანახაობა ვნახო. მე მგონი, გამიგებ, გურამ, ეს ჩემი სიტყვები შენს პიესას არ აყენებს ჩრდილს, უფრო პირიქით. უბრალოდ, ისეთი განწყობა ჩამოვარდა, რომ ყველას გვჭირდება, რაღაცა სხვას ვუყუროთ, რომელიც ჩვენგან დამოუკიდებლად ხდება.
აი, ახლა ცოტა გვერდზე ვიდექი და რაღაცნაირად გვერდიდან აღვიქვი ყველაფერი. ისეთი შთაბეჭდილება იყო, თითქოს მართლა სცენაზე ხდება ყველაფერი, ჩემს გონებაში სინამდვილეს ძირი გამოეცალა.
ირაკლი : ეგ შენ თვითონა ხარ ყალბი ტიპი და იმიტომ გეჩვენება.
დიდი ბობა : მეც ყალბი ტიპი ვარ? მეც ეგრე მეჩვენება.
სულხანი : საინტერესოა. ალბათ, არის წუთები, როცა ჩვენ ყველანი ერთნაირად ვხედავთ საგნებს.
იულონი : ჩემი საქმე არ არის, არც ვაპირებდი თქვენს ლაპარაკში ჩარევას, საერთოდ არ მიყვარს... მაგრამ ამდენი გულახდილობის ცდებისგან მეც უძიროდ დამტოვეთ, თითქოს ჰაერი ლაპარაკობს, თქვენი სიტყვებისგან თავი თითქოს იბერება, თავისუფლდება ტვინისგან და შიგ დიდ, მძიმე ბუშტებად დადიან უაზრო სახელები: ბო-ბა, გურამი, სულხანი, ჯიმშერი, ისევ ბო-ბა, მერე თითქოს ვიღაც უბერავს _ ჰუჰუჰუიიი.
პატ. გურამი: რეზოს მეტი სხვა ვინ შეუბერავს, სიუუ.
რეზო : სავია, სავია, რა დიდია და რა სავია.
პატ. გურამი: რა სიმპატიურია.
სულხანი : ეგ რა, ცდა იყო, რომ გავმხიარულდეთ?!
პატ. გურამი: არაფერიც არ იყო, დიდი იყო და შავი იყო.
რეზო : ოთხი ცალი იყო და ოთხივე ექსცენტრიული.
სულხანი : ხალხი გიყურებთ. რეებს იძახით, ანგლობთ თუ მართლა აღარა ხართ ჭკუაზე?!
პატ. გურამი: ვანგლობთ.
რეზო : და მეტი რა დაგვრჩენია, არა, ბობა?
დიდი ბობა : დიდი ბობა უარს ამბობს ბობობაზე.
პატ. გურამი: და მერე ობობა რომ გახდეს, არ ეშინია?
გიული : ა! ამდენი ხანია ხმა არ ამომიღია.
სულხანი : ჰა?! ეს რაღა იყო ახლა, მართლა სულ უკან წავედი, თითქოს ჰაერიდან მოსულმა გიულიმ რომ წვრილი ხმა ამოიღო. და მართლა ხდება ეს თუ არა, არ ვიცი.
გიული : შენ იკითხე, თვარა, მე ქე მაქვს ჩემი ოთახი, აგერ მიდევს ჯიბეში გასაღები.

სულხანი : რას ლაპარაკობს ეგ, გესმის?
ჯიმშერი : არ მესმის.
პატ. გურამი: ო, რა მწიფეა ეს სულხანი!
რეზო : ო, რა ქარია!
პატ. გურამი: ო, რა მაგრა ასხია ხეს!
რეზო : ო, რა ქარია!
გიული : გიჟების ანეგდოტი მომაგონდა მაგაზე.
რეზო : ესეც რა ნოყიერია!
გიული : მათქმევინეთ, ბიჭო, ბოლომდე. თქვენ ამდენი ილაპარაკეთ და ერთი არ შემიწყვეტინებია.
ირაკლი : მე, მე... ლაპარაკიც თვლით არის.
სულხანი : რატომღაც ახლა ვერ ვამტყუნებ, საერთოდ, რაც გინდა მოხდეს ან ითქვას, ისეთი აწეული სიტუაციაა, სწორედ მიწიდან აწეული, რომ ვერაფერს ვერ ვიტყვი.
დიდი ბობა : მიწიდან თუ ჭკუიდან.
გიული : ე ბიჭო, მათქმევინეთ.
სულხანი : რა?
გიული : გიჟებზე ანეგდოტი.
სულხანი : მართლა გიჟებივითა ვართ, ხო იცი, არავითარი კონტაქტი არ არის ჩვენს ლაპარაკში; ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ერთი გამოვა _ იტყვის, მეორე გამოვა _ იტყვის, მერე მიდის უკან და ყუჩდება თავისთვის, როგორც ობობა, რომელმაც ქსელი გააბა და ჩასაფრებული უცდის შიგ ბუზის გაბმას.
დიდი ბობა : და მართლა ეს ხალხი აზრების ობობები ხართ, კაცო.
ჯიმშერი : ნამდვილად, თანაც საშინლად მოშორდა ყველა ლაპარაკი ნიადაგს, აიწია, აიწია და თითქოს ღრუბლებს მიებჯინა, ახლა ერთი გზა დარჩა, რო გავიშალოთ, რეზოს თამადობით; თავის მიხედვით ვამბობ.
რეზო : მერე!
ჯიმშერი : ო... გაბრაზდი, ეგ ჯობია.
რეზო : რა ჯობია?
ჯიმშერი : ასე ნუ იქნება და გაბრაზდეს მაინც ვინმე, შეიგინოს, გინდაც გაარტყას მეორეს.
პატ. გურამი: ვა, მაგას შენ ამბობ, სათვალიანი?! შენზე ჭკვიანი აქ არავინ არ მეგონა.
სულხანი : მერე არ არის?! არა თქვა ჭკვიანური? მართლა ცოტა უნდა დავიწიოთ მიწაზე, თორემ ჭკუიდან ავიწევით და, გიულის რო უნდა მოეყოლა, იმ ანეგდოტის გიჟებივით, ხეზე რო ადიოდნენ და ერთი ეუბნებოდა...
რეზო : გიჟებო, ბოდიში, ბიჭებო, დამწიფდით?!
პატ. გურამი: მე ჯერ არა.
გიული : მაგი უკვე დალპა.
რეზო : ბიჭებო, დამწიფდით?
დიდი ბობა : კაცო, შენ ისევ მკვახე ხარ, სხვებს რას ეკითხები, ყელში გამეჩხირე ხურმასავით და ეგ არის.
რეზო : მაშ, მიდი, ბობა, შენ დაარხიე.
დიდი ბობა : ბიჭებო, დამწიფდით?
პატ. გურამი: ჩვენ კი დავმწიფდით, მაგრამ პირველი შენ არ ჩამოვარდე, ყველაზე მოწეული შენა ჩანხარ.

დიდი ბობა : დამწიფდით თუ არა?
პატ. გურამი: მიდი, ბობა.
დიდი ბობა : მიდი და შენი ყოფაც ავატირე, ვისაც უნდა, იმან დაარხიოს, მე აქ კუთხიდან გიყურებთ.
სულხანი : მეც, ძმაო, კუთხეში წავალ, არაფერი აზრი აღარა აქვს აქ დგომას.
ირაკლი : მე თავიდანვე ჭკუა ვიხმარე, აქ რომ ვზივარ.
გურამი : ო... ასე, გაჩუმდით ყველა.
რეზო : მე... მე!
გურამი : გაჩუმდი შენც, გესმის?!
პატ. გურამი: ჩიტი გამოფრინდება?
გურამი : შენი თავიდან. გეყოფა, არ გამცე პასუხი. როგორც პიესის ავტორი, დიქტატორობას ვიღებ ჩემს თავზე; იულონ, თეზიკო, დაიწყეთ. მერე ჩავერევი მე, დამწერი.
რეზო : და მე, მხატვარი.
გურამი : გაჩუმდი, შე საწყალო დიდთავა.
რეზო : საწყალო, ხი, ხი.
გურამი : რა გაცინებს?
პატ. გურამი: რაც მაგას გოგოები ჰყავს, რატომ არ იცინებს, სხვა რა ადარდებს. ნახავს გოგოს, ეტყვის _ წამოდი, უნდა დაგხატოო და მერე მორჩა; არა, შენ რა უნდა უთხრა, დიდო გურამ, გოგოს: წამოდი უნდა დაგწეროო, ჰა?
დიდი ბობა : ხა, ხა, ხა.
სულხანი : ხი, ხი, ხი.
გურამი : ვისაც რა შეუძლია, იმას ეუბნება, გაუშვი, მე დავწერავ და მაგან დახატოს.
ბიჭები : ხა, ხა, ხა, ხი, ხი, ხი.
გურამი : კარგით რა, ვიანგლეთ, მორჩა. ისევ ანგლობა? ვიწყებთ, ბრძანებს დიქტატორი.
ჯიმშერი : უკაცრავად, კიდევ უნდა შეგაწყვეტინოთ.
სულხანი : რა მოგივიდა ამ წყნარ კაცს დღეს.
ჯიმშერი : არ ვიცი მე თვითონ, რაღაცნაირად თითქოს მართლა ბურუსში ვარ, თან მეცინება.
გურამი : მესმის, მაგრამ სწორი გითხრა, ბიჭებთანაც უხერხულია.
ჯიმშერი : ჰო, ვიცი, ისევ მაგათი მოთამაშეების სასარგებლოდ და ჩვენთვისაც, რაღაც ასე უცებ, ერთი შეხედვით, გაცილებით რეალურ ამბავზე, პიესაზე, გადასვლა, რაც უეჭველად უფრო რეალურია ჩვენს ლაპარაკთან შედარებით, რაღაც ზედმეტად კონტრასტული იქნება და მეშინია, ისევ არ ამოგვაგდოს. ე.ი. პიესაც ისე არ აღვიქვათ, როგორც ამ ამბების გაგრძელება.
სულხანი : ვერაფერს ვერ ეტყვი.
გურამი : ჰო, ვერაფერს.
ჯიმშერი : იმისათვის, რომ იყოს რაღაც შუა ხაზი, მოკლედ, შენი სიტყვებით მოგვიყევი, რა არის პიესის თემა.
გურამი : პირდაპირ მოყოლა ძნელია, იმდენად უბრალო თემაა _ ოჯახური ტრაგედია: ერთი არის ნაშვილები აკვანშივე, ოჯახი ზრდის, უვლის; მეორე, უმცროსი ძმა კი, გაიზარდა საბავშვო სახლში, ის იკვლევს თავის გენეალოგიას და იგებს, რომ მისი უფროსი ძმა...

იულონი : მე, არა? ესე იგი...
გურამი : ჰო, შენ.
იულონი : კარგი, გააგრძელე, ხელს არ შეგიშლი.
გურამი : უფროსი ძმა იზრდება, ე.ი. უკვე გაიზარდა მდიდარ ოჯახში. უმცროსი ძმა არის ბუნებით ბოროტი, მიდის უფროსთან, რომელმაც მხოლოდ ბუნდოვანი ეჭვით იცის, რომ არ არის მათი შვილი.
სულხანი : დანარჩენს ჩვენი თვალით ვნახავთ.
ჯიმშერი : ჰო, საკმარისია. ეს ისე გთხოვე, შესავლისთვის.
სულხანი : ჩემს სხეულსაც თითქოს მომზადება სჭირდებოდა სხვის მოსასმენად, იმდენად ვიყავი გატაცებული საკუთარი ლაპარაკით.
ირაკლი : ერთი შეკითხვა მეცა მაქვს ავტორთან. თუ განგვიმარტავთ პიესის იდეა რა არის, ეგ დაგვეხმარება კარგ გაგებაში.
გურამი : იდეა?
ირაკლი : იდეას სხვანაირი გაგებით კი არ ვამბობ, «იდეურობა» არ გეგონოს. უბრალოდ, იდეას გეუბნები, რა აზრი უნდა გამოვიტანოთ.
გურამი : აზრი? არ ვიცი. მაგ მხრივ, სრული უაზრობა უნდა იყოს ჩემი პიესა.
ირაკლი : ყველაფერს თავისი იდეა აქვს, რო გინდოდეს, უიდეოდ ერთ სიტყვასაც ვერ დაწერ. ამხელა პიესას იდეა არ ჰქონდეს, არ შეიძლება.
გურამი : იდეა შეიძლება აქვს, ოღონდ ფორმულირება არ შემიძლია.
ირაკლი : მაგის იდეაა, ალბათ, ოჯახის არდარღვევის იდეა.
გურამი : არ ვიცი.
ჯიმშერი : მე მესმის, რომ შეიძლება არ ესმოდეს.
სულხანი : ჰო, თითქოს სადღაც მივწვდი, რა უნდოდა ეთქვა გურამს.
გურამი : მე არაფერი არ მინდოდა მეთქვა.
სულხანი : მაშ, სულ ტყუილად მოვსულვართ და ეს არის.
გურამი : შეიძლება.
ჯიმშერი : ნუ ლაპარაკობ ასე, გურამ, თითქოს ჯიბრით, ხომ იცი, რომ არა ხარ სწორი.
გურამი : მეტი მე არაფრით არ შემიძლია თავი დავიცვა.
ჯიმშერი : შენ არავინ არ გესხმის თავს.
გურამი : არც ვამბობ მაგას, უბრალოდ, კონკრეტული იდეა არა მქონია მხედველობაში, ეს გამოდის საერთოდ ჩემი შეხედულებიდან ნაწარმოების არსის შესახებ.
ჯიმშერი : მაგასაცა აქვს თავისი იდეა.
გურამი : ნუ ვიხმართ აქ მაგ სიტყვას; ყოველგვარი წინა აზრის გარეშე ვამბობ, რადგან იდეა უკვე საზღვრავს რაღაცას, თითქოს ანკეტას ვავსებდე: თემა _ ოჯახური ტრაგედია, იდეა _ ? არაფერი, არაფერი არ მომდის თავში.
ირაკლი : მაშ, რისთვის უნდა ვუყუროთ.
გურამი : ჩემი აზრით, პიესა, თუნდაც რომანი, არასოდეს არ ემსახურება რაიმე იდეას, უფრო ფართო გაგებით ჰუმანურ იდეასაც კი, მიუხედავად იმისა, რომ კარგ, დიდ ნაწარმოებში უეჭველად კაცთმოყვარეობაზეა აღებული ძირითადი ხაზი, იგივე შეიძლება ითქვას ცუდ ნაწარმოებზეც.
ირაკლი : ჰოდა, ეგა ყოფილა მისი დედააზრი.
გურამი : ეგრე შეიძლება არც დაგეწერა არაფერი. ცხოვრების დედააზრია საერთოდ გამოხატული ლიტერატურულ ფორმაში _ იცხოვრო შენს ახლობელთან და შეიყვარო ის, როგორც შენი თავი.

ირაკლი : ჰო, ეგ უკვე იდეაა.

გურამი : ასეთ ზოგად რამეს არ შეგიძლია კონკრეტული ნაწარმოების დედააზრი უწოდო.

ირაკლი : მეც ეგა ვთქვი, კონკრეტული იდეა გვაინტერესებს-მეთქი.

გურამი : ნაწარმოების კონკრეტული იდეა არის ის შეუცნობელი განწყობილება, რომელიც ქვეშეცნეულად მოქმედებს მნახველზე თუ მკითხველზე, ემატება წვეთებად მის საკუთარ იმდროინდელ განწყობას და აღრმავებს მას; თუ მისი საკუთარი განწყობა არის, უხეშად რომ ვთქვათ, კარგი, კაცთმოყვარე _ უღრმავებს კაცთმოყვარეობას, თუ არის ავი _ უღრმავებს სიავეს და ამას აკეთებს ორ სხვადასხვა კაცში ერთი და იგივე ნაწარმოები, რომლის იდეა, როგორც მიღებულია ითქვას, ვთქვათ, არის _ ბრძოლა ეროვნული თავისუფლებისათვის ან სხვა რაიმე.

ჯიმშერი : მე გეთანხმები, ოღონდ არის ერთი ფაქტორი.

გურამი : მხოლოდ ნაწარმოების მხატვრული მხარე, მისი აღგზნებადობის განმსაზღვრელი, რომელზედაც თითოეული ადამიანი თავისებურად რეაგირებს და რომელიც სრულიად მოულოდნელ რეაქციას იწვევს ხოლმე პიროვნებებში, არის იდეა და ის ფაქტორი, რისი თქმაც გინდოდა შენ.

ჯიმშერი : ვგრძნობ, რომ სულ სწორი არა ხარ, მაგრამ არ შემიძლია არ დაგეთანხმო.

სულხანი : ჰო, ცილდება, ცილდება ეგ შეგრძნება და იდეა და მაინც თითქოს ვერ დავამთავრე ჩემს გონებაში.

გურამი : აა!

ირაკლი : ეგ უკვე ცხარობს.

ჯიმშერი : გურამი?

ირაკლი : ჰო, გურამის სისწორეზე არ ლაპარაკობს ეგ. თუმცა პირდაპირ მეც მიჭირს პასუხის გაცემა _ ისე მიუდგა საკითხს, თითქოს ყველა გზები მოჭრა.

ჯიმშერი : აი, რა გამოიწვია, გურამ, რომ გაცხარდი; როცა ლაპარაკობ შენს ნაწარმოებზე, არასოდეს არ უნდა გაცხარდე.

გურამი : არ გავცხარდე?!

ჯიმშერი : არა, ყოველთვის დარჩება სხვისთვის რაღაც გაუგებარი, მიუხედავად იმისა, რომ, ჩემი აზრით, იდეა შენ უკეთ გაიგე თავისი არსით.

სულხანი : ჰო, ავტორი ხარ მაინც, რაც გინდა იყოს.

დიდი ბობა : ავტორი, რა, კაცი არ არის?

გურამი : მართლა, თქვენ თუ გაქვთ უფლება გაცხარდეთ, მე არა მაქვს? მეც ისეთივე ნერვები მაქვს, როგორც თქვენ. მერე რა, რომ იდეა, როგორც ჯიმშერმა თქვა, უკეთ მესმის თქვენზე; მე რამეს გაგება ხელს არ მიშლის ისევე ვიგრძნო და განვიცადო ის. _ ა, აბა არა?

ირაკლი : მაინც არ ვარგა ეგეთი ლაპარაკი, თითქოს ჩიხში გვაყენებ, უკან დასახევი გზაც არ არის, რომ გეკამათოთ; ისე რომ, ფაქტიურად, არც უხეშობ ძალიან.

ჯიმშერი : ტონი მიიღო ისეთი, ეგ უარესია.

სულხანი : არის ჩვენს ნათქვამში, გურამ, სიმართლე.

გურამი : ჰო, ყველანი მართლები ხართ, მე მინდოდა მეთქვა, რომ მე მტყუანი ვარ, მაგრამ ეს ახალი ჩიხი იქნებოდა თქვენთვის; თუ დაიჯერებთ, არ მინდა

და მაინც რატომღაც იქმნება ასეთი დაძაბული მდგომარეობა ჩემი ლაპარაკიდან. _ გურამ, გაუშვი ეშმაკებისკენ ყველაფერი.
ბიჭებო!
არა გრძნობთ, რომ ამ წუთში ჩემი საკუთარი ნაწარმოები უნდა ითამაშონ, ჩემი საკუთარი ფილტვებით დაწერილი, ყვირილივით დაწერილი და მე ამას განვიცდი; განვიცდი ისე, როგორც არც ერთი თქვენგანი, ამიტომ გელაპარაკებით ზედმეტად გამომწვევადაც კი, არეულად, რომ შემდეგ შეფასებაში, თქვენს გულში კი არა, ჩემთან როცა შეაფასებთ, შეღავათი არ მისცეთ მას _ აი, ეს არის სრულიად უადგილო გულახდილობა, თუ გინდოდათ; ბოდიში, მე ისევ ჩაგაყენეთ ჩიხში, მაგრამ მეც ხომ არტისტი ვარ გულით:
არ გესმით თქვენ, მე მინდოდა მეყვირა მთელი ფილტვებით, მინდოდა მეყვირა, აი ასე, გაშლილი ხელებით აწეულს, ადღლეზილს აუუუუუუ! ჰااააუ და არ მომრიდებოდა არაფრის _ ეს იყო მთელი ჩემი კაცთმოყვარეობა. გესმით, რას ნიშნავდა ეს ხმა, ეს ყვირილი ჩემთვის!

სულხანი : ოოიუ! მეც დამებერა მართლა ფილტვები, თითქოს რაღაც ამოვისუნთქე მერე და სიმძიმე მოეხსნა გულს. აი, ახლა მართლა მზადა ვარ, სიამოვნებით ვუსმინო პიესას და თანაც ნაწარმოების აღმგზნებადობით გამოწვეული განწყობილების მხრიდან, რასაც შენ გულისხმობდი.

_ მოდით აქეთ, მოდით, ერთად დავდგეთ ყველა, ყველამ ერთმანეთს გადავხვიოთ ხელი და ყველამ ერთი საათით მაინც ვიგრძნოთ ერთი მიზანი: ვუყუროთ პიესას და განვიცადოთ სუფთა მხატვრული სიამოვნება.

პიესა, რომელიც დაწერა გურამმა და რომელსაც
წარმოადგენენ თეზიკო და იულონი

სათაური: **ი უ ლ ო ნ**

თეზიკო

რა უცნაურია, არა?

იულონი

ჰო, საკმაოდ.

თეზიკო

ერთმანეთის პირდაპირ ვცხოვრობთ, მე თქვენს შესახებ ყველაფერი ვიცი, თქვენ კი მე პირველად მხედავთ.

იულონი

არა, მაგაში კი არ არის საქმე, რომ მე ყურადღებას არ ვაქცევდე სხვებს... ჩემი ცხოვრება სხვანაირად აეწყო.

თეზიკო

ნუ შესწუხდებით მაგაზე, მე ისეც ბევრი რამე ვიცი თქვენ შესახებ; მე თქვენ ყოველდღე გხედავთ მარტოს, მხოლოდ მარტოს და არასოდეს ამხანაგებთან.

იულონი

ეს იმის ბრალია, რომ ბევრ ხმაურს ვერ ვიტან.

თეზიკო

მხოლოდ იმ დღეს დაგინახეთ გოგოსთან ერთად.

იულონი

გთხოვთ, მაგის შესახებ არ გინდათ.

თეზიკო

ჰო, მართალი ხართ, არც არის საჭირო; ისეთი სახით დაბრუნდით უკან, ყველაფერი გასაგები იყო.

იულონი

მე უკვე გთხოვეთ.

თეზიკო

მთხოვეთ? «თ»? ო, მე მაგ «თ»-სთვის უზომოდ მადლობელი ვარ.

იულონი

არ ვიცი, რატომ უსვამთ ამ უბრალო ზრდილობას ხაზს.

თეზიკო

ეს ჩემი თვისებაა, რომ ყველაფერს ხაზი გავუსვა, თუნდაც სულ უმნიშვნელო იყოს.

იულონი

ალბათ. მე თქვენ არ გიცნობდით, მე თქვენ პირველმა შემამჩნიეთ.

თეზიკო

ეს უკვე ჩემს მოვალეობად იქცა, რომ პირველმა მე დავიწყო ყველაფერი; აი, მე თქვენ პირველად მოგიყვებით ერთ ამბავს, გაინტერესებთ? ჰა? ჰა? ძალიან ახლოს ხომ არ მოვედი.

იულონი

გთხოვთ, ნორმალურად ილაპარაკოთ.

თეზიკო

მე? ნორმალურად? მე, იცით, პატარა ეშმაკი მიზის, აი აქ, თავის კუთხეში, რომელიც უფლებას არ მაძლევს ნორმალური ლაპარაკის.

იულონი

თქვენ ჩვენს მეზობლად ცხოვრობთ?

თეზიკო

არ მესმის! ა, სად ვცხოვრობ? ეს ხომ უკვე მკითხეთ. მეც უკვე გიპასუხეთ.

იულონი

აჰ, ჰო.

თეზიკო

მე დედათქვენსაც ვიცნობ, მისი შლიაპის ფერიც კი ვიცი; აი, ხედავთ, რა დაკვირვებული ვარ _ გიყვართ ის ქალი ძალიან.

იულონი

მართლა დაკვირვებული ხართ.

თეზიკო

ხო გითხარით, ხო გითხარით, თქვენ ჩემგან ბევრ კარგ რამეს გაიგებთ.

იულონი

აა, საინტერესოა, მაგრამ მეჩქარება, იცით?! მე წავედი.

თეზიკო

წადით, წადით; უფრო სწორად, იარეთ. მე ასე გდევთ ფეხდაფეხ და გელაპარაკებით.

იულონი

მე მგონი, ჯობია სხვა დროისთვის გადავდოთ.

თეზიკო

სხვა დროისთვის... ოი, ოი, ოი, რა საწყენია, რომ არ შემიძლია, არაფრით არ შემიძლია; ძლივს ვნახე ადამიანი, ვინც ყურს მიგდებს, ვინც, ვიცი, რომ ვერ გამექცევა.

იულონი

მე არ ვაპირებ გაქცევას, არც ყურის გდებას ვაპირებ.

თეზიკო

ნუთუ _ რატომ?

იულონი

საქმე მაქვს სხვაგან.

თეზიკო

იქით, ქუჩაში, ხეების ბოლომდე, და უკან, არა? მე ხომ ვიცი თქვენი საქმე, მარტო სიარული, ერთხელ გავიაროთ ერთად.

იულონი

მე მეჩქარება.

თეზიკო

რა ცუდია, რომ არ შემიძლია არაფრით დახმარება გაგიწიოთ; აი, მე ამდენი ამბავი ვიცი თქვენს შესახებ, თქვენ კი ჩემი გვარი და სახელიც კი არ იცით.

იულონი

სხვა დროს იყოს, შემდეგ...

თეზიკო

თქვენ გინდათ თქვათ, რომ შემდეგ ნაცნობები ვიქნებით, ეგ არ კმარა, იცით, ჩემთვის; მე მინდა ჩემს შესახებაც იცოდეთ რამე.

იულონი

თქვენს შესახებ?

თეზიკო

აი, თქვენს შესახებ მე ვიცი: ხართ მარტო, არ გიყვართ ამხანაგები, გყავთ მდიდარი დედა და სხვა არავინ.

იულონი

რატომ ჰყვებით მაგას, არ მესმის, ვინ მოგცათ უფლება, ილაპარაკოთ ჩემზე.

თეზიკო

უფლება? მე მაინტერესებს, ვინ წამართვა უფლება, ვილაპარაკო ჩემს თავზე.

იულონი

ილაპარაკეთ მერე.

თეზიკო

მერე ყურის დამგდები ხომ მინდა.

იულონი

ნახე ვინმე ამხანაგი, მეგობარი, ნათესავი.

თეზიკო

ნათესავი?! მე მინდა ჩემს ძმას ველაპარაკო.

იულონი

მაშინ უნდა წახვიდეთ მასთან. სამწუხაროდ, მე არ შემიძლია გავხდე მაგ სურვილის გულისათვის თქვენი ძმა.

თეზიკო

აი, მე კი შემიძლია, მე უფრო მეტს ვიტყვი, მე, როგორც ძმას, ისე მინდა გელაპარაკოთ, როგორც უფროს ძმას. ჰი, ჰი, ჰი, იცით, რატომ ვიცინი, მეშინია, ვინმემ

საერთოდ რაიმე ჩემი ნათქვამი სერიოზულად არ მიიღოს და უფრო სასაცილო არ გავხდე ამითი.

იულონი

არა, იცით... რაშია საქმე.

თეზიკო

ვიცი, ვიცი რაშიაც არის საქმე... მე მინდა, ჩემ ამორჩეულ ძმას მოვუყვე ჩემს შესახებ რაიმე; აი, თუნდაც საბავშვო სახლზე, სადაც ვიზრდებოდი.

იულონი

თქვენ იზრდებოდით საბავშვო სახლში?!

თეზიკო

ჰო, ჰო, საბავშვო სახლში; ოღონდ ჩუმად, ასეთ რამეზე ყოველთვის ჩუმად ჰყვებიან; მე ვცხოვრობდი მაღლა ოთახში, ძველი ციხის გალავნის ზევით; აი, როგორც შენ გეხები, ისე ახლოს იყო უფსკრული.

იულონი

უფსკრული...

თეზიკო

უფსკრული... და რატომ მომაგონდა, იცით, ის...

იულონი

უფსკრული?..

თეზიკო

ხი, ხი, დიახ, უფსკრული... ერთხელ, ღამე, როცა ორნი ვიდექით მის თავზე, მე მინდოდა შიგ გადავვარდნილიყავი იმ უძირობაში და რაღაცამ შემაკავა. ჩემს ზევით, ბურჯის თავზე, იდგა ატყორცნილი ალვის ხე; შემოდგომის პირი იყო, ხე ბოროტად შრიალებდა, ხის იქიდან ჩანდა სულ, აბსოლუტურად, უმოძრაო მთვარე. მისი სინათლე ეცემოდა შორს, უფსკრულის იქით და უფსკრული მოჩანდა ორმაგად შავი და საშიში.

იულონი

თქვენ გინდოდათ უფსკრულში გადავარდნა.

თეზიკო

მე არ ვიცი, რამ მიხსნა იქ გადავარდნისაგან _ უმოძრაო მთვარემ, ბურჯის თავზე ამოსულმა ალვის ხემ თუ უფსკრულის სიშავემ.

იულონი

მაშინ თქვენ საბავშვო სახლში იყავით, არა?

თეზიკო

ჰო, საბავშვო სახლში და ძალიან მძიმე იყო ჩემი ცხოვრება იქ. მე არ ვიცი, რამ მიხსნა უფსკრულში გადავარდნისაგან, მაგრამ ვიცი, რამ მიმიყვანა მის პირამდე.

იულონი

ო, ასეთი მძიმე იყო იქ ცხოვრება?

თეზიკო

მძიმე?

იულონი

მე მინდოდა მეთქვა, ასეთი ძნელი იყო?

თეზიკო

ძნელი? არა, ჰი, ხი, ხი, თქვენ არაფერი არ იცით, თქვენ ერთი სული გაქვთ, გამექცეთ, ოღონდ მე არ მოგეშვებით; მე მოგიყვებით ყველაფერს ბოლომდე, მე არ მეშინია

შეურაცხყოფის. მე ის გრძნობა, რასაც აყენებენ შეურაცხყოფას, იქ დავკარგე, უფსკრულის პირას, ღამე, როცა მარტო ვიდექი.

იულონი

ღმერთო ჩემო!

თეზიკო

მაშინ არ იყო იქ ღმერთი, მაშინ მე ვიყავი ათი წლის და მყავდა აღმზრდელი მასწავლებელი პეტრე დგვეფაძე; ჰი, ხი, ხი, არ მოგწონს სახელი და გვარი?

იულონი

არა, არაფერი, ჩემთვის სულერთია.

თეზიკო

თქვენთვის სულერთია?

იულონი

არა, სახელი და გვარია სულერთი.

თეზიკო

სახელი და გვარია თქვენთვის სულერთი, ე.ი. პეტრე დგვეფაძე, და მერე, იცით რას ნიშნავს ეგ სახელი და გვარი ჩემთვის, ჰა?

იულონი

არ მესმის.

თეზიკო

არ გესმით? ჰა? ჰი, ხი, ხი, აი, ხომ ხედავთ, რო ვიცინი. ეს სულ ის პატარა ეშმაკია, რომელიც თავის კუთხეში მიზის და, როცა რამე მტკივნეულს ვეხები, რამაც შეიძლება ამაღელვოს და თვითმკვლელობამდეც კი მიმიყვანოს, მაშინ ეს ეშმაკი ტვინის კუთხეში ეშმაკურად, ლიცლიცით მისვამს თითს, მიღიტინებს და მეც ვხითხითებ: ჰი, ხი, ხი, ხი, ასე, გესმით?

იულონი

ა!

თეზიკო

ო, ასე მოქმედებს ჩემი ლაპარაკი თქვენზე? მე კი ჯერ თითქმის არც კი დამიწყია, მე მხოლოდ გაკვრით ვახსენე პეტრე დგვეფაძე; მე მინდა, რომ გაიმეოროთ ეგ სახელი და გვარი, აბა...

იულონი

რატომ?

თეზიკო

გაიმეორეთ.

იულონი

რა საჭიროა.

თეზიკო

რომ უფრო კარგად დაგახსომდეთ.

იულონი

განა ასე საჭიროა ეგ?!

თეზიკო

გაიმეორეთ, თქვენ მასთან გექნებათ საქმე. ე.ი. პირდაპირ მისი ბრალია, რომ მე დღეს აქ ვდგავარ და თავს ვიმცირებ; იმან მასწავლა, რომ არ არსებობს თავის დამცირება, რადგან მეტი აღარ შეიძლება, რაც იმან დამამცირა; იმის მერე ვარ მე ავად, ავადმყოფი იმ ეშმაკის სენით, რომელიც ტვინში თითს მისვამს და მაცინებს, როცა სერიოზულად

მინდა დავილაპარაკო. აი, ახლაც, ხი, ხი, ხი, გაიმეორეთ სახელი და გვარი იმისი, დაგავიწყდათ...

იულონი

პეტრე დგვეფაძე.

თეზიკო

ხი, ხი, ხი, აი, ასე. _ იქ, იმ დიდი შავი უფსკრულის ზევით, დგას პატარა ქოხი, სადაც დამტვრეულ მერხებს ინახავენ «პრიუტიდან», იმ ქოხში წამიყვანა დასასჯელად მე ჩემმა აღმზრდელმა მასწავლებელმა; ორი დღე ვიყავი შიგ დამწყვდეული, მშიერი და მციოდა; როცა დავსუსტდი, ის მოვიდა, მე მივიკუნჭე კუთხეში და ვგრძნობდი, რომ ის მოდიოდა ჩემკენ; მე არ ვიცოდი, რისი მეშინოდა. არ მეშინოდა სიკვდილის, ცემის, მთელი სხეულით ვთრთოდი, ინსტინქტით მეშინოდა სხვა უფრო ცუდის და ის მოხდა. იმ კაცმა, ხომ არ დაგავიწყდათ, პეტრე დგვეფაძემ, მტაცა კისერში ხელი, იმ ამბის მორჩენისთანავე, მიმათრია უფსკრულის პირას და გადამკიდა იქით: «იცოდე, თუ ვინმეს გაუგია ეს ამბავი, სხვა დროს ხელს გაგიშვებ», მითხრა და მე გულში დავიფიცე, არავისთვის არ მეთქვა ეს ამბავი, რადგან მაშინ ხელს გამიშვებდნენ და ჩავვარდებოდი უფსკრულში... დღემდე არ გაუგია არავის; ხი, ხი, დღეს კი მომინდა და პირველივე შემხვდურს მოვუყევი, რომ გამერთო ის.

იულონი

გასართობად...

თეზიკო

მხოლოდ გასართობად.

იულონი

/თავისთვის/ ო, შეიკავე თავი, წყნარო იულონ. /იმას/ ღმერთო ჩემო!

თეზიკო

კიდევ იმიტომ, რომ გცოდნოდათ.

იულონი

/თავისთვის/ იულონ, დაწყნარდი, ნუთუ დგება დრო და ყველაფერი ის, რაც არ მჯეროდა, ხდება მართალი. /იმას/ მცოდნოდა?

თეზიკო

გცოდნოდათ, რომ ერთხელ ვინც დაკარგა თავმოყვარეობა და მოითმინა, ის მოითმენს იმდენჯერ, რამდენჯერაც დადგება მოთმენის საჭიროების წინაშე. ა, გაიგეთ?

იულონი

/თავისთვის/ მერე რა, რომ გავიგე და ნეტა არ გამეგო. /იმას/ ყველაფერი გავიგე და არაფერი არ მესმის.

თეზიკო

იცით, ვინ არის ის ადამიანი, რომელიც იმ უფსკრულის პირას ეკიდა?

იულონი

/თავისთვის/ ის, მგონი, მე ვარ, ოღონდ აწმყოში. /იმას/ თქვენ, არა?

თეზიკო

მოიწიეთ აქეთ _ დიახ, მე! მე, /ჩუმად ყურში იმას/ მე ვარ თქვენი ძმა.

იულონი

/თავისთვის/ მივაღწიე იმას, რისი გაგების ამაო სურვილი მე ბავშვობიდან მტანჯავდა და რისი მოსმენისაც ჯოჯოხეთივით მეშინოდა.
/იმას/ ჩემი ძმა?!

თეზიკო

შენი უმცროსი ძმა, რომლის არსებობის შესახებაც შენ არაფერი არ იცოდი.

იულონი

/თავისთვის/ მე გულით ვგრძნობდი, რომ სატანა იქნებოდა ჩემი ძმა და, როცა ვისმენ, ახლა არ მჯერა. /იმას/ დედას არაფერი არ უთქვამს ამის შესახებ.

თეზიკო

დედას? ხი, ხი, რომელ დედას?

იულონი

ჩემს დედას.

თეზიკო

ის შენი დედაა? ხი, ხი, ხი, ის ისევეა შენი დედა, როგორც ჩემი. ის ჩვენი დედა არ არის, ჩვენი დედა მოკვდა, ჩვენმა დედამ ჩვენ სიკვდილამდე გაგვყიდა _ შენ მიგყიდა მაგ ოჯახს, მე გადამაგდო, გესმის? გადამაგდო; თავიდანვე დაკარგული მქონდა ფასი, ამიტომ გადამაგდეს, შენ კი... ხი, არ არის სიცილის დრო, მე კი ვიცინი.

იულონი

ო, ღმერთო, და შენ ეგ შეგიძლია დაამტკიცო?

თეზიკო

სიტყვით არ გჯერა, არ გჯერა ჩემი მონაყოლის, რომელიც, დავიფიცე ჩემს გულში, არ მეთქვა არავისთვის და მხოლოდ მეზღა სამაგიერო შენთვის, შენზე, ჩემო ღვიძლო ძმაო, იულონზე... რადგან, როცა მე იქ ვეკიდე, შენ აქ თბილ ლოგინში დედასავით მზრუნველი ქალის მოტანილ ჩაის სვამდი. ჰე, ჰე, განა მაგიტომ მინდა ვიძიო შური? _ ის კაცი წავიდა, დიდი მაჯით რომელმაც ამწია, აღარ არის, გაქრა, მოკვდა, სიბრაზე კი დარჩა გულში, თავში კი ის პატარა ეშმაკი ზის, ის მისვამს ქუცქუცით ტვინზე და ხითხითებს: ხი, ხი, ხი... და მე მინდოდა მეძია შური, რომელიც მხოლოდ ჩემს ძმაზე გაჭრის ყველაზე მეტად. იცი, ჩემო ძმაო, ხი, ხი, შენც ხომ კაცი ხარ, მე კი, როცა კაცებს დავინახავ, მივდივარ მათკენ, მსიამოვნებს მათ სხეულზე ხელის ასმა, ეს ეშმაკი კი ტვინში მიღიცინებს, ლიცლიცებს: ჰიპ, ჰიპ, ჰი, ჰი იძახის და მიმსუბუქებს.

იულონი

/თავისთვის/ დრო დგება. /იმას/ იქით, პედერასტო, შენ არა ხარ ჩემი ძმა, შენ არა გაქვს საბუთი.

თეზიკო

პედერასტი, ხი, ხი, ხი; ჰო, შენ მაძლევ უფლებას, ყველაფრის უფლებას, მე დავტკბები სხვა ადამიანის, ჩემი სისხლის ტანჯვით; აი, ჩემო ძმაო, ის ნივთი, რომლის ნამტვრევსაც შენ იცნობ, დაუკვირდი; ასე, გამომართვი; მართლდება შენს გულში დამარხული ეჭვი, ქრება ის უკანასკნელი იმედი...

იულონი

/თავისთვის/ დადგა დრო. /ისე/ ღმერთო ჩემო, ეს თილისმა, ამის ნაწილი, შენ, შენ, შენ!! ხარ მაშ ის ადამიანი, რომელზედაც უნდა ვიძიო შური ამდენი ხნის წამებისათვის, ამდენი წლის ეჭვებისათვის, მარტო სიარულისათვის... ღვიძლო ძმავ!

თეზიკო

ეს მე ვიძიებ შენზე შურს იმ შორეული ტანჯვისათვის და არა შენ ჩემზე, ხი, ხი, ხი.

იულონი

ისევ სხვა იძიებს? და გინდ ძმა იყოს, ვფიცავ, რომ ის მაინც სხვაა. ო, ამოიღე მახვილი, შენ იყავი დაბადებული ამ წამისათვის, რომელიც გაორმაგდა. მე ვკლავ ძმას და პედერასტს. დადგა შენი ხმის ამოღების დრო, შენი ბღავილის დრო; ჩემს უფორმო ტანჯვას ბოლო ეღება და იქცევა ის ტრაგედიად, რომელსაც ხელი შეგიძლია შეახო... აი, ასე, მახვილით ხელში, შიგ გულში, მუცელში! ფერდებში! ფილტვებში! აქ, აქ, იქ.

თეზიკო

ოოო, ძმაო იულონ, _ დანით მოვკვდი, ღმერთო, ნუ შეუნდობ, ნუ აპატიებ მას კაცის მოკვლას, გინდ... ხი, ხი, ხი...

იულონი

აჰა, კიდევ, აჰა და გაჩუმდი სამუდამოდ.

თეზიკო

მე კი ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს უნდა დავეხრჩვეთ, აი აქ, აქ, ყელში მიჭერდა ყოველთვის რაღაცა, ოოჰ.

იულონი

/გაშლილ დანას ჩასცემს ყელში/ აი, ეგეც ბოლო.

_ ბიჭებო, სისხლი! მართლა მოკლა.
_ სისხლი!
_ სისხლი!
_ იულონ!
_ იულონ!
_ იულონი.
_ თეზიკო?
_ მაჯა აღარა მუშაობს, შიგ გულში აქვს ჩარტყმული დანა, მეორე ჭრილობა ფერდში აქვს, მესამე მუცელში.
_ აუჰ, აუჰ.
_ თითოეული სასიკვდილოა, არა?
_ ვერა ხედავთ, კაცი აღარ არის.
_ არ გინდათ, გაუშვით ხელი იულონს, ამ ოთახიდან მაინც ვერსად გაიქცევა.
_ სად უნდა გაიქცეს.
_ მოიცათ, თეზიკო ნამდვილად მკვდარია?
_ მაჯა აღარა მუშაობს.
_ რა უცებ მოკვდა კაცი.
_ მართლა არ მესმის არაფერი, როგორ მოხდა.
_ თითქოს ყველაფერი ეს აქ არ მომხდარა...
_ განცდის საშუალება არ არის, ისე უშუალო იყო ყველაფერი.
_ აქ თეზიკო იდგა, აქ იულონი, მერე იულონმა მოკლა თეზიკო, თეზიკო ახლა მკვდარი გდია, იულონი დგას კუთხეში და იღიმება. ღიმილი არ არის, მა რა არის ასე მშვიდად დგომა!
_ გაჩუმდი, რა.
_ ყველა გავჩუმდეთ, მიცვალებულის სული ახლა ამ ოთახიდან გადის.
_ ჩუუ, ისხედით ასე, ჩუმად, კუთხეებში და იდარდეთ ჩვენი ამხანაგის სიკვდილი.
_ იულონ!
_ ჩუუ, იულონი იდარდებს ჩვენთან ერთად, იულონი მერე... ჩუუ, აი კიდევ ერთი ძარღვი შეენძრა თეზიკოს და სული მოშორდა გვამს.
_ აცალეთ მის სულს დატოვოს ოთახი...

.....

.....

.....

_ სულმა დატოვა სხეული.

_ მაგრამ ის ჯერ კიდევ აქ ტრიალებს, ოთახში.

_ ჯიმშერ!

_ რა?

_ როგორ მოკვდა, არ მესმის.

_ რა ქნა.

_ რა ქნა.

_ ღმერთო ჩემო, რა მოხდა.

_ ახლა რა ვქნათ?

_ როგორც ერთმა კაცმა, ისე შევკრათ პირი.

_ ჰო, ახლა ჩვენა გვაქვს მიზანი.

_ ჩვენ უნდა გადავცეთ ხელისუფლებას მკვლელი.

_ მე, მე არ მესმის...

_ შენ რას იტყვი, ბობა.

_ თუ ჩვენ ვერ დავსაჯეთ აქ და ვერ გავერკვიეთ საქმეში, იქ რას გაიგებენ.

_ ჩვენ თვითონ უნდა გავიგოთ სიმართლე.

_ ჩვენ თვითონ.

_ აქვე უნდა დავადგინოთ ყველაფერი.

_ თეზიკო კი მოკვდა..

_ გაქრა დაბნეულობა და ყველაფერი ერთი მიზნისკენ მიდის.

_ ისეთი შთაბეჭდილებაა, თითქოს სიკვდილის ფაქტი ხორცშესხმული დგას ამ ოთახში.

_ მისი შეცნობა არის ჩვენი ერთობლივი მიზანი.

_ ნუთუ ამხელა ტრაგედია იყო საჭირო, რომ ყველას ერთი მიზანი გვქონოდა... მკვლელს აქვე გავასამართლებთ.

_ აქვე, ამავე ოთახში, მკვდარი სხეულის წინ.

_ მე მგონი...

_ მეც მაგის მომხრე ვარ, აქვე, ამ ოთახში.

_ თუ ვერ გავარკვიეთ სიმართლე, გარეთ სულ გაიბნევა საქმე.

_ მე მგონი... ე.ი. ყველაფერი ასეა. თუ ორი კაცი ვერ დაადგენს დანაშაულის ზომას, იქ უმწეო იქნება როგორც მთელი საზოგადოება, ისევე ხელისუფლება.

_ კაცი მოკვდა, ჩვენ კი ასე თავისუფლად ვლაპარაკობთ.

_ კაცი მოკვდა, მე კი ტირილიც არ შემიძლია.

_ სხვაგან რომ გამეგო ამხანაგის სიკვდილი, ვიტირებდი, ახლა რაღაც იმდენად აშკარაა...

_ თითქოს ხელი მოვკიდე სიკვდილს.

_ ვუყურებ და არ შემიძლია აღვიქვა.

_ ჰო, ძალიან ცივი სიკვდილია. საერთოდ, სიკვდილი ცივია, განსაკუთრებით, როცა ასე უშუალოა, თითქოს დარდის ან სევდის ადგილი აღარა რჩება; როგორც მშრალ ფაქტს, ისე ვუყურებ, იმდენად აღარ შეიძლება მეტი დარდი... მეტი სევდა... სიკვდილზე მეტი დარდი?.. გესმით, რა უნდა იყოს, კაცო?! რაღა უნდა იდარდოს კაცმა...

_ ეჰ, მაინც რა კარგი ბიჭი იყო.

_ ჰო, გახსოვს ზღვა?

_ როგორ არ მახსოვს ზღვა... ახლა მკვდარი გდია.
_ თქვენი ყველაზე ახლობელი ძმაკაცი იყო.
_ რა უცნაურია ყველაფერი.
_ მეტია, მეტია. აი, მინდა ვიდარდო, ვიტირო და არ შემიძლია, თითქოს უკან დასახევი გზა მოჭრა სიკვდილმა, იმის იქით რომ იდარდო, რაღაც უნდა იყოს... იქ კი მკვდარი წევს.
_ თქვენ სულ დაგავიწყდათ დამნაშავე.
_ ჩვენ ვფიქრობთ.
_ ჰო, ვფიქრობთ და სადღაც ჩიხში ვემწყვდევით.
_ მე პირადად არც მესმის, რა უნდა გავაკეთოთ, ამიტომ წინასწარ გეთანხმებით ყველაფერში.
_ აშკარაა აფექტსა ჰქონდა ადგილი.
_ აფექტი!? კაცი ჭკუაზე არეულსა ჰგავდა.
_ ბიჭო, თეზიკო, კუზმან, გახსოვს ზღვა?
_ საწყალი თეზიკო.
_ გურამ, პიესის მიხედვითაც კლავდა, არა?
_ ჰო კლავდა.
_ ჰოდა, მოკლა კიდეც, აირია იმ დროს.
_ უფრო წესიერად ვილაპარაკოთ, მე მგონი, თვითონ უფრო მეტს იტყვის.
_ თვითონ რა უნდა თქვას?
_ როგორ მოუვიდა.
_ თვითონ მხოლოდ ბოლო სიტყვის უფლებას ვაძლევთ.
_ ჯერ გავარჩიოთ.
_ მაშინ, როგორც წესია, ავირჩიოთ ერთი მოსამართლე, მსაჯულით, დანარჩენები იქნებიან ბრალმდებელ-დამცველები.
_ შენ იყავი მოსამართლე.
_ მე?!
_ ჰო, შენ. როგორც პიესის ავტორი, ყველაზე მეტად იძულებული იქნები ობიექტური იყო.
გურამი : განაჩენს ვინ მოიყვანს სისრულეში?
იულონი : მე თვითონ!
_ შენ, ახლა, ხმას ნუ იღებ.
გურამი : კარგით! მე ვარ მოსამართლე... ვინ გამოვა ბრალმდებლად... რა სიჩუმეა, არავინ არ აპირებთ გამოსვლას?
_ რა ადვილი მეგონა სულ წუთების წინ ეს ამბავი.
_ აბა, ძალიან ძნელია, სხვას რამე დააბრალო.
_ თან ყველაფერი თითქოს ისე ცხადია, რომ ლაპარაკიც არ შემიძლია.
გურამი : როგორც თქვენგან არჩეული მოსამართლე, მე თვითონ გაგყოფთ ორ ნაწილად; თითოეული ბრალმდებლის გამოსვლის შემდეგ გამოვა დამცველი მის საპირისპიროდ, მოგიწოდებთ ობიექტურობისაკენ, კონკრეტული ლაპარაკისაკენ, ასე... მე ვარ მოსამართლე, პირველი ბრალმდებელია პატარა გურამი, დამცველი, რეზო, შემდეგ გამოვლენ სულხანი _ ჯიმშერი, ირაკლი და ბობა იქნებიან ნაფიცი მსაჯულები, გიული წარმოადგენს ხალხს.
გიული : ჰე, ჰე, ჰე.
_ თავი შეიკავე, ბიჭო, კაცი ჯერ წესიერად არც კი მომკვდარა.

გურამი : დაიკავეთ თქვენი ადგილები. იულონ, თქვენ დადგებით თეზიკოს ცხედართან. ასე... ვიწყებთ... ყველაფერი იქნება ოფიციალური, ეს აუცილებელია ობიექტურობისათვის... ვიწყებთ.

_ ჩვენ მზადა ვართ.

_ ჩვენ დავდექით ჩვენს ადგილებზე.

_ ჩვენს სახეებზე წერია საქმის მთელი სერიოზულობა.

_ ანტიკური სიმშვიდით ვუდგებით საქმის გარჩევას

_ /თავისთვის/ ღმერთო ჩემო! სიკვდილიც კი თეატრალურ ტრაგედიამდე მივიდა ამ ოთახში.

გურამი : მე, გურამმა, მოსამართლემ, გადავხედე რა ჩემს გონებაში იულონის წარსულს თვით დღევანდლამდე, მოგიყვებით მის ბიოგრაფიას, ვიდრე მკვლელობის ფაქტამდე. გადმოგცემთ მოკლედ, გარკვევით, მით უმეტეს, რომ მოსაყოლი ბევრი არაფერია:

იულონის ცხოვრება თვით მის მიერ მკვლელობის
ჩადენის ფაქტამდე.

იულონი, ქართველი, 28 წლის, დედისერთა, დაბადებული და გაზრდილი ქარხნის მუშის ოჯახში, _ მამა ახლაც მუშაობს თვიური ხელფასით. 1800 მანეთი, _ დგას თქვენს წინაშე; მართალია ეს ცნობები, ამხანაგო ბრალდებულო?

_ მართალია.

_ მე განვაგრძობ. იულონი იზრდებოდა საშუალო შემლების ოჯახში. მე, როგორც მისმა მეზობელმა, შემიძლია გადმოგცეთ ზოგიერთი მისი სულიერი განცდათაგანი, დანახული ჩემ მიერ გარედან, რომლებიც საქმის განხილვის დროს გაცილებით უფრო დაგვეხმარება, ვიდრე სხვა დანარჩენი ცხოვრებისეული ზედაპირული ფაქტები, უფრო სწორად, შემთხვევები მისი ცხოვრებიდან, რაც, ჩემი აზრით, თითქმის არ მოიპოვება, ან თუ არის ასეთი, ჩემთვის უცნობია: იულონი გაიზარდა ყოველგვარი შემთხვევების გარეშე, თერთმეტი კლასი დაამთავრა საშუალოდ, იმავე წელს მოეწყო უმაღლესში; ორი წელი იყო ფრონტზე, შემდეგ დაბრუნდა უჯილდოებოდ, თუ არ ჩავთვლით სავალდებულო ორ მედალს, კავკასიის დაცვისათვის და სამაგალითო შრომისათვის, მოსავლის აღების გამო, რუსეთის ზურგში; ის მაშინვე აღდგენილი იქნა უმაღლესში, სამი წლის წინ დაამთავრა ისტორიული ფაკულტეტი და დაიწყო მუშაობა მხარეთმცოდნეობის სამმართველოში ექსკურსიების გამყოლად, რომელიც, მიუხედავად მისი წყნარი ბუნებისა, ან სწორედ ამიტომ, საგულისხმოა, რომ ძალიან უყვარდა, რადგან წყნარ ხალხს ხშირად უყვარს ხოლმე მოგზაურობა და განსაკუთრებით უცხო საზოგადოებაში, სადაც ოფიციალურად ლაპარაკობენ და ინაზღაურებენ თავის სიმორცხვეს უშუალო დამოკიდებულების დროს.

მისი სულიერი სამყაროს უფრო ზუსტი დახასიათებისათვის, მე მოვყვები სამ ამბავს ჩემთან კავშირში მისი ცხოვრებიდან. პირველი შეეხება ბავშვობას:

იულონი ჩემზე დიდია ექვსი წლით _ მე როცა რვა წლისა ვიყავი, ის იყო თოთხმეტი წლის. დღემდე არ შემიძლია დავივიწყო ის თხუთმეტი წლისა. ეს იყო ჩვენს ეზოში. ბიჭები ვთამაშობდით ბურთს. მე ბუნდოვნად აღვიქვამდი, რომ დიდი ბიჭი (იულონი), პირდაპირ ეზოდან, დგას მოედნის გარეთ და გვიყურებს, რომ ამ ბიჭს აცვია თეთრი პერანგი მაღალი საყელოთი, აქვს შავი შევარდნილი თვალები და საოცრად დიდი შუბლი და გვიყურებს; ის დადგა მოწინააღმდეგის გოლის უკან, ჩუმად, თავისთვის. რამდენი ბურთიც არ დავარტყით, ვერ შევაგდეთ; დაითარსა

ფეხი; რაღაცნაირად ყველამ ერთნაირად ვიგრძენით, რომ იქ იდგა თარსი და დავიწყეთ ბურთის აღების დროს თარსის შეგინება ჩუმად, გადაფურთხებით: თფუ, თფუ, თფუ ეშმაკს და ყველა გულში იულონს ვგულისხმობდით, ის კი იდგა იქ თავისთვის და გვიყურებდა და თითოეულ ჩვენგანს ეჩვენებოდა, რომ იმას უყურებს; ბოლოს მე ვერ მოვითმინე და მთელი ძალით დავარტყი ტალახიანი ბურთი მისკენ _ «კამერა-ობოლოჩკა» მთელი ძალით მოხვდა მას სახეში, უფრო სწორად, წინ წამოწეულ შუბლსა და თვალებზე; ტალახი შხაფანით მიესხა მის თეთრ ხალათს, ის შეტოკდა, უხმოდ მიტრიალდა და წავიდა. უცნაურად დაიკარგა თამაშის ხალისი და მე პირველად და, მგონი, უკანასკნელადაც გამიხარდა, რომ დედამ დამიძახა შუა თამაშის დროს სასაუზმოდ _ ეს იყო ერთადერთი შემთხვევა, რომ მას ხელმეორედ დაძახება აღარ დასჭირვებია.

მეორე ჩვენი, ასე თუ ისე დასამახსოვრებელი, შეხვედრა შეეხება მისი ფრონტიდან დაბრუნების შემდეგ დროს: მას ეცვა თეთრი, ახალი კიტელი, გულზე დამაგრებული ორი მედლით. მედლის რგოლები ყვითლად ლაპლაპებდნენ, ისინი ირხეოდნენ არა ჩვეულებრივ _ ერთი გვერდიდან მეორისაკენ, არამედ ზევიდან ქვევით. მე ეს განსხვავება რატომღაც უცებ მომხვდა თვალში. ის იდგა ლიას სახლის აივნის ქვეშ, მეც ლიასთან მივდიოდი ღიღინით. უცებ ვიგრძენი, რომ ოფლმა დამასხა სახეზე _ აივანზე ვედროთი ხელში იდგა ლია; მე დაძახებაც ვერ მოვასწარი, რომ მან წყალი გადმომასხა. სულ მთლად ამოწუწული იულონი გარეგნულად მშვიდად იყურებოდა ზევით, მერე ნაბიჯი გვერდზე გადადგა და ნერვიული მოძრაობით დაიძრა ადგილიდან.

_ რა ქენი ეს, _ ვუთხარი ლიას, ზევით ასულმა, და არ ვიცოდი, გამეცინა თუ გავბრაზებულიყავი.

_ მოუხდება, აღარ გაჩერდება ყოველდღე აქ. გამომივიდა გმირი, მედლებით, _ უდარდელადა თქვა მან.

იმ დღეს მე ჩემი საქნელი ვქენი ლიასთან დიდ მაღალ ტახტზე, რომელსაც ასეთ შემთხვევებში ყველა რბილ ლოგინს ვარჩევ ხოლმე; მაგარი ტახტი და გოგო _ ეს ერთადერთია, ერთად აღებული, რომელზედაც ვერასოდეს უარს ვერ ვიტყვი. აქ ჩემი ამბავი არაფერ შუაშია, მაგრამ იმ დღიდან სწორედ ვერაფრით ვერ ვაიძულე თავი ძველებურად მსიამოვნებოდა ლიასთან მისვლა. სწორედ ლიასადმი ამ ახლად გაჩენილი სიძულვილის გამო შემჯავრდა იულონიც. რაღაცა სრულიად საწინააღმდეგო და ერთნაირად უსიამოვნო ვიგრძენი ამ ორივე ადამიანში და უცებ თითქოს გონება გამეხსნა, ისე შევიცხადე, რომ იულონი ყოველთვის იკავებდა ადგილს ჩემს შეგრძნებაში, ყოველგვარი ზემოქმედების გარეშე მასზე (გონებაზე), ოღონდ ყოველთვის ერთნაირად იდგა ის თეთრ პერანგში, ბურთისგან სახედასვრილი, და არ ვიცოდი, მწყენოდა თუ გამხარებოდა; სხვათა შორის, არც ერთი გრძნობის საბაბი არა მქონია, იმდენად ცხადად იკვეთებოდა მისი ფორმა ჩემში და უკვე შემდეგ, როცა დავიწყე წერა, საერთოდ, და განსაკუთრებით ამ პიესაზე მუშაობა, ვიგრძენი, რომ იულონი ქვეშეცნეულად აძლევს ფორმას ჩემს დიალოგს; მე არ გავექეცი ამას, პირიქით, ჩავყევი და ჩემს მთავარ მოქმედ გმირსაც იულონი დავარქვი. მიუხედავად ამისა, მე ვატყობდი, რომ არამცთუ მთლიანად, არამედ ნაწილობრივაც არ ვიცნობ ამ კაცს.

ამიტომ მე გადავწყვიტე, ექსპერიმენტის სახით, მეკითხა იულონისათვის, ითამაშებდა თუ არა ჩემს პიესაში.

_ პიესაში, ა?! მკითხა მან, _ კარგი პიესაა?

_ კარგია, _ ვუთხარი მე.

_ პიესაში? სიამოვნებით, _ მითხრა მან და ყურებამდე გაიღიმა.

უცებ შეტრიალდა ჩემს თავში ყველაფერი, ამ თანხმობისგან სინათლესავით დაიღვარა გრძნობა ჩემს სხეულში; მე პირველად ახლა დავინახე, რომ მას კბილები ჰქონდა და არაჩვეულებრივი სითბო ვიგრძენი მისდამი, «რა უბრალო და რა კარგია ყველაფერი», ზუსტად ასეთი შეგრძნებები დაგროვდა, დაზვავდა ჩემს გონებაში და პირველად გავიგე, როგორ შეიძლება გიყვარდეს ახლობელი შენი, როგორც შენი თავი, იულონზე არ ვამბობ მხოლოდ, საერთოდ, ვინც უნდა იყოს ის...

.....

ახლა ის დგას როგორც სამარცხვინო ადამიანი, კაცისმკვლელი ჩვენს წინაშე და მე, გეფიცებით, როგორც მთავარი მსაჯული, მივუზღავ მას საკადრის სასჯელს. მანამდე კი გთხოვთ ყველას, დამეხმაროთ მკვლელის სულიერი სიმტყუვნის ან სიმართლის მთლიანად გამომჟღავნებაში. მე სულიერს ხაზს ვუსვამ, რადგან გარეგნული, ფიზიკური აქტი უკვე მოხდა და მხოლოდ ამისათვის მკვლელი, მიუხედავად მისი სულიერი განწყობილებებისა, აგებს პასუხს... ასე... გთხოვთ, განაწილებული როლების მიხედვით დამეხმაროთ საქმის გარჩევაში.

ირაკლი : მე მთლიანად ვეთანხმები მოსამართლის სიტყვას.

დიდი ბობა : მკვლელობის ფაქტი ცხადია, მთავარია, სასჯელის სისასტიკის ზომა გავარკვიოთ.

გურამი : პირველად გამოდიან ბრალმდებლები, რადგან ის, რასაც დაცვა სჭირდება, ჩვენ ჯერ არ ვიცით; ვიმეორებ, მკვლელობის ფიზიკური აქტი მომხდარია და მისი დაცვა შეუძლებელია. ამიტომ გვაინტერესებს, მკვლელის სულიერი დანაშაულის ზომა ვიცოდეთ, რომ საშუალება იყოს მისი დაცვისა. თითო წყვილი ბრალმდებელ-დამცველის შემდეგ, თავს იმართლებს დამნაშავე, თუ შუალედებში რაიმე სიტყვა არ ექნებათ მსაჯულებს. იგივე გამეორდება მეორე წყვილის გამოსვლის შემდეგაც... დავიწყოთ.

ირაკლი : მხატვრობის მცოდნე პატარა გურამ, თქვენ დაიწყებთ ბრალის დადებას.

პატ. გურამი: მე რაღაც მოვიფიქრე, დიახ, მოვიფიქრე როგორც უნდა დავიწყო.

ირაკლი : სულ გააზრებული გაქვთ?

პატ. გურამი: მე დავიწყებ.

გურამი : დაიწყეთ.

პატ. გურამი: ახლა ამის დრო არ არის, მაგრამ მე სწორედ ამით ვიწყებ _ დამიგდეთ ყური: მე ვარ ბრალმდებელი, მაგრამ ჩემს ბრალდებას, ვიცი, თქვენ არ მისცემთ სერიოზულ მნიშვნელობას, რადგან თვითონ მე არა მთვლით ასეთად, ე.ი. ჭკვიანად ან სერიოზულად; არ შემეკამათოთ. მე არცა ვარ არც ერთი და განგებ ვუსვამ კიდეც ხაზს ჩემს სიმსუბუქეს, რადგან ვიცი, არ მეყოფა უნარი, ბოლომდე გავიტანო თავზე აღებული სერიოზულის როლი. ახლა მე ოდნავ ტუტუცი და სასაცილო ვარ, მაგრამ წარმოიდგინეთ ადამიანი, სრულიად სერიოზული თავისი ქცევით და, სინამდვილეში, ცოტა მაინც მჩატე და ტუტუცი. არა მგონია, ამაზე სასაცილო იყოს რაიმე _ მე მშიშარა ვარ და ამას ვერ ავიტანდი, ამიტომ წინასწარ ვიზღვევ თავს ტუტუცური საქციელით, რომელიც ნელ-ნელა ჩემი ძირითადი ბუნება ხდება _ ახლა კმარა; გაითვალისწინეთ, ეს არ

არის ირიბი თავის ქება _ ეს თქვენ მტკიცების გარეშე, სიტყვაზე უნდა დამიჯეროთ, როგორც ჭეშმარიტება.

ეს შესავალი მე დამჭირდა მხოლოდ ერთი მიზნისთვის: მეტი ყურადღება მოგექციათ ჩემთვის და მეტი ანგარიში გაგეწიათ ჩემ მიერ წამოყენებული ბრალდებისათვის, რასაც ბოლოს, ანგარიშის გაწევის შესახებ თქმული სიტყვით, მე მგონი, მივაღწიე.

ირაკლი : აქ არ უნდა ზედმეტი კომენტარები.

გურამი : მსაჯულს ვთხოვ, ნუ გვაწყვეტინებს ჩემი ნებართვის გარეშე.

ჯიმშერი : ნება მომეცით, მეც, როგორც ბრალმდებელმა, მხარი დავუჭირო ჩემი კოლეგის შესავალ სიტყვას, რომელსაც არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ჩვენ ვსჯით, ყოველ შემთხვევაში, ჩვენი მიზანია განვსაჯოთ თვით შორეული სულიერი კუნჭულები დანაშაულისა, ამიტომაც, სასამართლოსთვის დამცველ-ბრალმდებელთა სულიერი სამყაროს გაცნობა ერთგვარ აუცილებლობას წარმოადგენს.

გურამი : მე კმაყოფილი ვარ ბრალმდებელ პატარა გურამის გულახდილობით.

პატ. გურამი: მოხდა ის, რაც მე არ მინდოდა, ე.ი. ზედმეტი ხაზის გასმა ჩემი სიტყვებისათვის, მაგრამ მე კმაყოფილი ვარ, რადგან საშუალება მომეცა, მეთქვა ეს უკანასკნელი სიტყვები.

ვიწყებ: მე, როგორც საერთოდ მოყვარული ხელოვნებისა და განსაკუთრებით სახვითი ხელოვნებისა, რომელშიაც სერიოზულად მესმის ზოგიერთი რამე, დავიწყებ სიტყვას ბრალდებულის გარეგნობის მშრალი აღწერით, რაც, თავის მხრივ, მოიკრებს მის სულიერ შინაგან სამყაროს, რომელზეც, ალბათ, იზრუნებს ჩემი კოლეგა ჯიმშერი.

აი, ჩვენს წინაშე დგას იულონი, ოცდარვა წლის კაცი, დამახასიათებელი ნიშნებით: მას თმები გაცვენილი აქვს, რამდენიმე კბილი აკლია.

_ ჰმ.

პატ. გურამი: მხოლოდ საჭიროება მაიძულებს ვილაპარაკო ასეთ ფაქტებზე _ ის ოდნავ მოხრილია წელში და, შეიძლება ითქვას, მოტეხილიც; ახლა კი შეხედეთ მის სახეს! უცებ გეცემათ თვალში უზომოდ დიდი შუბლი, რომელიც ზედ ადგას, სწორედ ზედ ადგას და ფარავს მთელ სახესა და სხეულს. შუბლის ქვევიდან, სიღრმიდან გამოდიან მისი შავი ნაღვლიანი თვალები და, თუ მათ ცოტა დიდხანს ვუყურებთ, ე.ი. როცა ნაღვლიანი გამომეტყველების გარდა, დავინახავთ მასში ფარულ მიზანს, რომელიც უცხადესი ხდება ამ თვისების შემჩნევისთანავე, იმდენად უცხადესი, რომ ქრება მისი შუბლი, წელში მოღუნული სხეული და სხვა დუნე თუ უაზრო შტრიხები მისი გარეგნობისა და რჩებიან მარტო თვალის გუგები _ შავი, წვრილი, გამხვრეტი, რომლებიც იყურებიან წინ და არაფერს, არაფერს არა ხედავენ თავის გზაზე, გარდა მიზნისა, რომლის შესახებაც ადვილი შესაძლებელია მისმა გონებამ არაფერი იცის, მაგრამ თვალები, სარკე შინაგანი ბუნებისა, ისევე უგულებელყოფს ყველა მსხვერპლის სერიოზულობას მიზნამდე მისაღწევ გზაზე, როგორც საკუთარ, თითქმის მობერებულ სხეულს და უზარმაზარ შუბლს; ასეთ ადამიანს შეუძლია ჩაიდინოს ერთი მკვლელობა, ისევე როგორც ასი მკვლელობა და არ ერქვას მკვლელი, რადგან ვერ იგრძნობს თავის დანაშაულს, რადგან მას არ შეუძლია სხვისი დანახვა, სხვისგან მისდამი მიყენებული შეურაცხყოფის აღქმა, როგორც ბავშვობისდროინდელ ბიოგრაფიაში იყო

ნათქვამი, და სწორედ ამიტომაც, ვერ გრძნობს თავის მიერ სხვისადმი მიყენებული შეურაცხყოფის სიდიდეს, თვით _ მკვლელობამდე. არის ადამიანი ეგოისტი, თვით ეგოიზმის შეგრძნების უარყოფამდე, რაც მას უკარგავს მთლიანად შიშის გრძნობას, ეს კი აიძულებს მის გარშემო მყოფ ყველა ადამიანს, რომელიც მისი თვალების ფარულ აზრს ჩასწვდება, კანკალებდეს და თავს გრძნობდეს მუდმივი საფრთხის ქვეშ. მე არ ვიტყოდი ამ სიტყვებს მის წინ, რომ მას ახლა მახვილი ეჭიროს წეღანდელივით ხელში, მე მაშინ პასუხს ვერ ვაგებდი ჩემს თავზე, თუმცა ამ დებულების განსამტკიცებლად დავამატებ, რომ ასეთი ადამიანები სულ სხვაგან ხედავენ თავიანთ მსხვერპლს, სიბრაზის საგანს, ვიდრე ჩვენ და, შესაძლოა, არავინ არის მისი ხელით სიკვდილი-საგან ისე დაზღვეული, როგორც მისი პირდაპირი ბრალმდებელი, ე.ი. მე.

გურამი : თქვენ დაამთავრეთ, პატარა გურამ?

სულხანი : ჰო, ჰო, ასე...

დიდი ბობა : კაცო, ეს ამბავი...

რეზო : შენც აღელდი, ბობა?

დიდი ბობა : ბობას, რა, ნერვები არა აქვს?

გურამი : დამცველის სიტყვამდე ხომ არავისა სურს კითხვა ან სიტყვა.

გიული : ვის სურს? არავის.

გურამი : ბრალდებულო იულონ, თქვენ თანახმა ხართ, რეზო იყოს თქვენი დამცველი?

იულონი : ჩემთვის სულერთია.

ირაკლი : ე.ი. თანახმა ხართ.

იულონი : თანახმა ვარ.

გურამი : დამცველის სიტყვამდე თქვენ ხომ არა გაქვთ სათქმელი რამე?

იულონი : მე? არაფერი.

გურამი : სიტყვა ეძლევა დამცველს.

რეზო : მე! მე პირდაპირ დავიწყებ. იულონს ჩემი დაცვა არა სჭირდება, რადგან მას იცავს კანონი, ის არის მისი მფარველობის ქვეშ და, კანონის გარდა, არავის შეუძლია გაუსწორდეს მას. ჩემი აზრით, იულონს ეშინოდა ჩვენთვის უცნობი რაიმე მიზეზის, რომელიც ყველაზე მაღლა დგას, ყველა ჩვენს შეგრძნებაზე, და მას ამ შიშმა გადააბიჯებინა საზღვარი, რათა გარკვეული დროით უზრუნველეყო თავისი თავი კანონის მფარველობის ქვეშ შესვლით და მე თქვენ გეტყვით, _ მე, მხატვარი რეზო, იულონის დამცველი, _ არის ამბები, რისი გამართლება არც ერთი გზით არ შეიძლება და ამ ამბავთა რიცხვს ეკუთვნის მკვლელობა; მე ხაზს არ ვუსვამ უდანაშაულო კაცის მკვლელობას; ჰო, ასეთი დანაშაულის გამართლება არ შეიძლება არც კანონით, არც გონებით, მაგრამ არ არსებობს დანაშაული, რისი პატიებაც არ შეიძლებოდეს, თუ ჩვენ მივმართავთ ყველაზე სამართლიანსა და დიდს გრძნობათა შორის _ ინტუიციას, ხოლო მე, ეს ინტუიცია მეუბნება, რომ ეს ადამიანი არ არის დამნაშავე. არ გაიგოთ ისე, თითქოს მკვლელობაში არ იყოს დამნაშავე _ მკვლელობა ფაქტია; მე აქ მეტი სიცხადისთვის მოვიყვან ბრალმდებელ პატარა გურამის სიტყვებს: «ასეთ ადამიანს შეუძლია ჩაიდინოს ერთი მკვლელობა, ისევე როგორც ასი მკვლელობა

და არ ერქვას ბოროტმოქმედი, რადგან ვერა გრძნობს თავის დანაშაულს, რადგან მათ არ შეუძლიათ სხვისი დანახვა, ისევე როგორც საკუთარი თავის დანახვა»; მე მახსენდება ჩვენი შეხვედრის დასაწყისში სულხანის სიტყვა: «ბობა, შენ გენაცვალე იმიტომ, იმიტომ, რომ საქმესთან ნამდვილი გულით მიდიხარ, ყველა შენი ცუდი საქმის დასაწყისი არის ალალი, მართალი», მკვლელობის, ცუდი საქმის ფაქტი აქ რჩება ფაქტად, ამიტომ მივმართავ მე ინტუიციის ძვირფას გრძნობას და ვცდილობ ამ ადამიანის არსს უფრო ღრმად ჩავწვდე. მე უცებ, ამ ლაპარაკის დროს, თავში მომივიდა ერთი აქ სათქმელად უადგილო ამბავი: ხშირად დავკვირვებივარ ცხოვრებაში, რომ ზოგ გოგოს აქვს ბოზის სახელი, მაშინ როცა კაცი არ უნახავს და სამუდამოდ იმკვიდრებს ამ სახელს, როცა სხვა მართლა გარყვნილ გოგოს აქვს პატიოსნის სახელი და, მიუხედავად მთელი უგარყვნილესი ორგიებისა, რჩება მუდმივ ქალწულად, რადგან ყველა ახალ მამაკაცს თვითონ ისე ეძლევა, როგორც ქალწული, და ყოველი პირველი კოცნის დროს უწითლდება სახე, როგორც უმანკოს. მე მწამს, რომ არ შეიძლება ამაზე მეტი შინაგანი, სულიერი პატიოსნება, როცა სხეულის ყოველგვარი გარყვნა არ მოქმედებს შინაგანად, სულზე, და მე ათჯერ, ასჯერ მეტ პატივსა ვცემ ასეთ ქალებს, ვიდრე სხეულით, მხოლოდ სხეულით პატიოსნებს და გინდაც სხეულით და სულით პატიოსნებს, რომელთაც ჯერ კიდევ არ გამოუცდიათ ერთ-ერთის დაკარგვა და ამიტომ მათზე მსჯელობა არცა ღირს. _ ეს ისე, დამატებისათვის. _ მე მინდოდა მეთქვა, რომ კი არ ვამართლებ, არამედ პატივსა ვცემ იმ მკვლელს, რომელიც არ იტანჯება თავისი მკვლელობით, ეს იმის შემდეგ, რაც ის საერთოდ მგრძნობიარე ადამიანია, ადამიანი არაგაფუჭებული, რადგან საწყისი მისი დანაშაულისა იყო წმინდა და მხოლოდ ფორმა, ფორმა იყო მცდარი, არანამდვილი და ამ ფორმისათვის შეგვიძლია სრული სინდისით დავსაჯოთ ის, ოღონდ არ შეგვიძლია სულის სიღრმეში არ ვაპატიოთ ეს დანაშაული, მუხლი არ მოვიდრიკოთ იმ სულიერი სიდიდის წინაშე, რომელსაც ამ ყველაზე დიდმა დანაშაულმაც კი ვერ მოსცხო ჩირქი...

გურამი : თქვენ დაამთავრეთ?

რეზო : დანარჩენის თქმა მე აღარ შემიძლია, დანარჩენს მე ვგრძნობ, ვგრძნობ, როგორც ნახატს. მომეცით ტილო, რომ მასზე გამოვხატო იულონი, ზუსტად ამ პოზაში მდგარი, მკვდარი თეზიკოს სხეულის თავთან, და მხოლოდ ნახატი ჩემი გეტყვით თქვენ, რომ რაც უფრო დიდია მსხვერპლი, ჩადენილი სისაზიზღრე, მით მეტი გამართლების ამოკითხვა შეიძლება დამნაშავის მთელ სხეულში, უფრო მეტად თვალებში; მთელი ეს ნატურა იდგება სიკეთისაკენ ან სიბოროტისაკენ გადახრის გარეშე და არა ბოროტი თვალებით, როგორც ეს საკმაოდ უპასუხისმგებლოდ აღნიშნა ჩემს წინ გამოსულმა ბრალმდებელმა.

პატ. გურამი: მაგას, დამცველ რეზოს, არაფერი არ ესმის, ეგ ექსცენტრიკია, მაგას შეუძლია ახლა იცინოს ან იტიროს, ერთნაირად ორივე: ეგ, შესაძლოა, კარგად ხატავდეს, ოღონდ მაგისი ნახატიდან ორ სხვადასხვა კაცს ორი სხვადასხვა რამის ამოკითხვა შეუძლია. ამიტომ მისი ეგ ბოლო თეორია მიუღებელია.

რეზო : ჩემი თეორიები მიუღებელია?

გურამი : გაქვთ ვინმეს სათქმელი?

რეზო : ხომ ვგრძნობ, რომ ვერ შევძელი დაცვა, სადღაც მე თვითონ არა მჯეროდა ჩემი სიტყვების, ოღონდ წარმოუდგენლად ახლოს ვარ, თითქოს ხელით ვეხები სიმართლეს.

პატ. გურამი: გულში ყველა მართალია.

ირაკლი : გულში ყველა მართალი კი არა, მტყუანია. აბა, დაუფიქრდით.

პატ. გურამი: ეგ სულერთია.

ირაკლი : სულერთი როგორ არის.

პატ. გურამი: აზრს ნუ მირევ რეპლიკებით.

გურამი : მსაჯულს ვთხოვ, თავი შეიკავოს.

ირაკლი : ყველას ხომ ერთი მიზანი გვაქვს.

გურამი : ჰო, და, ღმერთმა იცის, ვისა სჭირდებოდა ამხელა ტრაგედია, რომ ეს გაბნეული დამოკიდებულება ერთმიზნიან ურთიერთობად ქცეულიყო, მისი შემწეობით მხოლოდ.

რეზო : ნუთუ თეზიკო მართლა მკვდარია?!

პატ. გურამი: საწყალი თეზიკო.

რეზო : მე მზადა ვარ სულ დავიბნე, თითქმის ტირილამდე; საკმარისი იყო, იულონი დაგედანაშაულებინათ, გავივსე მისი დაცვის სურვილით, ახლა კი, როცა გავამართლე, თითქოს ვგრძნობ, რომ მაგან, მაგან მოკლა ჩვენი თეზიკო, ვახ, ვახ მე...

გურამი : გთხოვთ, ნუ გამოდიხართ მინიჭებული როლიდან.

რეზო : რა?! ნუ გამოვდივარ?! მე გავამართლე იულონი, თქვენ კი არა... კიდევ გავამართლო იულონი?! მაშ, ეს მკვდარი! მაშ, თეზიკო იცით, როგორ ცურავდა ის, როგორ უყვარდა ზღვაზე ერთი რუსის გოგო, მოსკოველი, ახლა კი აქა წევს... უჰუ, უჰუ, უჰუ. ვტირივარ, ბიჭებო...

პატ. გურამი: რა გინდა, რა, ბიჭო, ვაჰ, ვაჰ.

რეზო : რა?!

პატ. გურამი: რა გინდა, ბიჭო, რა?

რეზო : რა მინდა?! მოკალით ეგ მამაძაღლიც, ლინჩი მაგას.

პატ. გურამი: ვინ? იულონი? ეგ მკვლელსა ჰგავს, ბიჭო? არა გრცხვენია, არ იცნობდე მაინც იულონს.

ირაკლი : ფაქტი, ბიჭო, ფაქტი, ვახ, ვერ მესმის.

გურამი : დაწყნარდით ყველა.

დიდი ბობა : რას ამბობ, გურამ, კაცო, როგორ დავწყნარდეთ!

რეზო : სცადე და დაწყნარდი. ახლა, როცა ეს-ეს არის შენი ენით, _ ენას თავი დაანებე, _ გრძნობით, მკვლელს ამართლებდი..

ირაკლი : ეგა გღუპავს შენ.

დიდი ბობა : რას სულელობ, რა სიტყვებს იძახი, რა ეგა გღუ-პა-ვს, გესმის?! თუ სიტყვა ჩალაა, ჰა? თუ აქ კაცი არ მომკვდარა, ხალხო!

პატ. გურამი: კაცი კი მოკვდა, არც ყველაფერი მართალია, რასაც იტყვი; მე ჩემს სიტყვებზე ვამბობ.

გურამი : გთხოვთ ყველას, გაჩუმდეთ, შედით მკვდრის სულის პატივისცემის მდგომარეობაში და, რაც უფრო მთავარია, მოუსმინეთ ცოცხალ კაცს, რომელიც ყველაზე ახლოს დგას ამ საქმესთან, ვიდრე რომელიმე ჩვენგანი.

ირაკლი : იულონს მივცეთ სიტყვა.

რეზო : იულონი.
პატ. გურამი: იულონს, ჰო.
დიდი ბობა : საინტერესოა, კაცო, რას იტყვის იულონი, ნუთუ იტყვის, რომ არ მოკლა.
გურამი : თეზიკოს მკვლელ იულონს ეკუთვნის სიტყვა.
დიდი ბობა : რა უნდა თქვას, აზრზე არა ვარ.
ირაკლი : მოვუსმინოთ და გავიგებთ.
იულონი : მე მომისმენთ? გინდათ ეს?
გურამი : კი არ გვინდა, თქვენ უნდა ილაპარაკოთ, თქვენ ვალდებული ხართ.
იულონი : მე თავს არ ვიმართლებ, ეს იცოდეთ, თუმცა ყოველი სიტყვა ისე გაისმება ჩემი პირიდან, როგორც თავის გამართლება, რაც მე არ მინდა და რასაც გვერდს ვერ ავუვლი. მე აქ სააშკარაოზე გამომიყვანეს, მე _ წყნარი, თავმდაბალი იულონი, მე, მე თვითონ არ ვიცი, როგორ, მაგრამ მკვლელი, რომლის მთელი საშინელებაც, მიუხედავად მისი თითოეული დეტალის ცოდნისა, ჩემამდე არ მოსულა და ახლანდელი ჩემი ყოფა უფრო სიფხიზლეში თვლემასა გავს და გარკვეულად მშვიდ ჭვრეტასაც კი, რადგან, როგორც ჩემმა დამცველმა თქვა, მართლა გაურყვნელი დავრჩი; ეს იმიტომ, რომ ჩემ გონებას ეფარება ერთი მოგონება, ერთი უგმირო ტრაგედია, რომელიც ჩემად იქცა ისე, რომ მასში არავითარი მონაწილეობა არ მიმიღია და, ალბათ, მისი სხვისთვის მოყოლის შემდეგ შევიგრძნობ მომხდარი ამბის მთელ საშინელებას, მანამდე კი, იმ მარტო ჩემთვის ტრაგედიის საბურავში ვარ და მე მსიამოვნებს, როგორ ცუდადაც უნდა ჟღერდეს ეს სიტყვა, მე მსიამოვნებს, რომ მოვყვები იმ არაჩემსტრაგედიას, რის შემდეგაც დამრჩება ეს საკუთარი ტრაგედია და როგორი მერე... გესმით თქვენ, რა არის საკუთარი ტრაგედია; ეს არის გაცილებით დიდი და ძნელად მისაღწევი, ვიდრე საკუთარი ბედნიერება, საკუთარი ცხოვრების კომედია; მე კი უკვე ექვსი წელია გულში ვატარებ სხვის მოგონილ უბედურებას, ჩემთვის ტრაგედიად ქცეულს; არა, ექვსი წელი კი არა, მას შემდეგ სულ ყველა ჩემი ოცდარვა წელი გავიდა, ღმერთო ჩემო, ოცდარვა წელი, რაც მე არ მქონია ჩემი საკუთარი არაფერი; ჩემთვის ქონება, რაღაცა ბედისწერის ხმით, მხოლოდ ტრაგედია, გადავლილი ჩემს თავზე, იქნებოდა _ და მე ვეძებდი მას, მის ნაცვლად კი ხან ბურთს მარტყამდნენ სახეზე, ჭუჭყიან, ტალახიან, სველ ბურთს, ხან წყალს მასხამდნენ აივნიდან და ეს შეურაცხყოფა იზრდებოდა უბედურებამდე. ოღონდ მყოფნიდა მხოლოდ ცოტა, ძალიან ცოტა ხანი, შემდეგ ვხვდებოდი, რომ ის იყო შეურაცხყოფა, მე კი მინდოდა რაღაც უფრო დიდი, სავსე, და მე ინტუიციით, მარტო ცხოვრებას, მარტო ფიქრს შეჩვეული კაცის ინტუიციით ვიცოდი, რომ ის, დიდი, სავსე, არ შეიძლება იყოს ჩემთვის ბედნიერება და, ქვეშეცნეულად, ამ გრძნობას სწორედ უბედურებაში ვეძებდი; ამიტომ ვიღებდი პატარა ბავშვისაგან მორტყმულ ბურთსაც კი უხმოდ, რომ ერთი წამითაც, სამაგიეროს გადახდის შემდეგ, გამარჯვებული არ გამოვსულიყავი.
ექვსი წლის წინ მე წამიყვანეს ფრონტზე და როცა იქ თოფით მოვკალი პირველი კაცი, გამეღიმა, მივხვდი, რომ მოკლა ბრძოლაში მტერი, ეს არ შეიძლება იყოს უბედურება, მე კი მხოლოდ ამ ამბის განსაცდელად წავედი საომრად, მოხალისედ, რადგან, როგორც დედისერთას, შემეძლო განთავისუფლება ჯარიდან და მე კიდევ მივხვდი, რომ ომში არამცთუ არ ტრიალებს ტრაგედია, არამედ, საერთოდ, დაკარგულია იქ რაიმე უბედურების შეგრძნება; აქ, როგორც არსად, ისე უფასურდება ყველაზე ძლიერი განცდებიც კი და მსხვერპლი სასაცილობამდე არარაობა ხდება, მაგრამ ჩემი ბუნება ეძებდა, ეძებდა და მან იპოვა უდიდესი უსამართლობა, უდიდესი ბოროტება, ჩადენილი სხვის მიერ, ადამიანის მიერ, და ის იქცა ჩემს ტრაგედიად, რადგან ის, რაც

შეუძლია გააკეთოს ერთმა ადამიანმა, შეუძლია გააკეთოს ყველამ უკლებლივ, სწორედ ამიტომ სხვაც ისევე აგებს იმ უსამართლობისათვის პასუხს, როგორც თვითონ ჩამდენი. განაჩენის გამოტანისას, გთხოვთ, გაუწიოთ ჩემს ამ სიტყვებს ანგარიში და გაითვალისწინოთ, რომ ისინი ჩემს გასამართლებლად არ იყო ნათქვამი, არ იყო ნათქვამი ჩემი სასჯელის შესამსუბუქებლად. მე ახლა ვღელავ და ვიგრძელებ ვადას იმ ამბის მოყოლამდე, რაც საფუძვლად დაედო შემდეგ ჩემი ცხოვრების ფორმას, რაც ახლა არ მაძლევს საშუალებას, აღვიქვა ჩემი დანაშაული, მაგრამ მე გადავწყვიტე და მოვყვები და როგორც ვთქვი, მე ამ მოყოლის, ამ სხვისადმი ნაწილობრივ მაინც გადალოცვის, მოხარული ვარ; საქმე კი იყო სრულიად უბრალო და ჩვეულებრივი; ეს უკანდახევაა, რათა უფრო კარგად შეიგრძნოთ, ჩასწვდეთ ჩემს ტრაგედიას, რომელიც სხვამ ჩაიდინა, და რომლისთვისაც მე ჩემს სინდისთან ვაგე პასუხი, რადგან ჩემს სინდისს ყველაზე მეტად სჭირდებოდა პასუხისგება. ამ ამბის სათაური ასეთია:

რა შეიძლება იქცეს ტანჯვის მაძიებელი
კაცისთვის ტრაგედიად

ჩვენი ათეული ბრუნდებოდა ტბის ნაპირიდან, სადაც სისრულეში მოვიყვანეთ სამი გერმანელისადმი მისჯილი სასიკვდილო განაჩენი. მოდიოდა წვრილი წვიმა, რისგანაც მიწა ბარაქიანად იყო გაჟღენთილი და უფრო და უფრო მეტად იკრავდა ჩემს სალდათურ ჩექმებს; ეს ცოტა სასიამოვნოც კი იყო, რადგანაც სხვა რამეზე ფიქრის საშუალებას არ იძლეოდა. ტბა დარჩა უკან; ტყემდე, სადაც იდგა ნაწილი, კიდევ რჩებოდა ორი-სამი კილომეტრი, გარშემო იდგა აბსოლუტური სირუხე თვალუწვდენელი ტრამალისა; მე აშკარად ვგრძნობდი, როგორ არ ვნიშნავდით არაფერს ამხელა სივრცისათვის და უცნაური, თბილი შიში მეპარებოდა გულში. მე შემეცოდა ჩემი თავი, რომელიც არც ერთი მხრივ არ იყო დაცული, ეს უფრო სენტიმენტალური შიში იყო, უფრო სწორად, ლიტერატურული, რომელიც გამომდინარეობდა ჩემი თავისა და ტრამალის შედარებიდან, მაგრამ, როგორც უკვე ვთქვი, ფიქრებს თავიდან ვიშორებდი და მთელი ყურადღება გადამქონდა ტალახიდან რაც შეიძლება ნაკლები ენერგიის დახარჯვით ფეხის ამოტანაზე. თუმცა, მთელ ამ, ტრამალის აზრით, უაზრობაში, იყო ერთი საინტერესო ამბავი და თითოეული ჩვენგანისთვის აშკარა გამოსავალი; ეს იყო სალდათის მაზარის უტყუარი ჩვეულება, დაემორჩილოს სხვას, მთლიანად მისცეს თავისი ბედი სხვის ბრძანებებს. მე ოდნავ ეშმაკურად, რამდენადაც შეიძლება ასეთ დროს (ხანდახან გაცილებით უფრო მეტად შეიძლება, ვიდრე ჩვეულებრივი მოვლენების დროს). გადავხედე ჩვენს ათმეთაურს, რომელიც აშკარად გრძნობდა, რომ მას ათი კაცის ბედი აბარია და ისეთივე კმაყოფილი იყო უფროსობით, როგორც ჩვენ ვიყავით კმაყოფილი დამორჩილებით, და, მე მგონი, ეს დამოკიდებულება იყო ერთადერთი პირობა, რომ, ასე ვთქვათ, კმაყოფილი ან უკმაყოფილო ვყოფილიყავით, გვქონოდა რაიმე გრძნობა ჩასმული თავის ფორმაში. და ჩვენ ვმოძრაობდით: გვიბრძანებდნენ «მარჯვნივ» _ მარჯვნივ, თუ არადა _ პირდაპირ, ტრამალის ბოლომდე, შემდეგ _ უფრო იქით. ჩვენი საქმე პატარაა: რასაც გეტყვიან, შეასრულე; აი, მთელი ლოგიკა სამხედროსი, რაც გაიძულებს შენ, იყო არამცთუ უკმაყოფილო, არამედ, პირიქით, განიცადო ერთგვარი სიამოვნებაც კი, რადგან სხვები ფიქრობენ შენს მაგიერ, განსხვავებით სამოქალაქო ცხოვრებისაგან, სადაც თითოეული, ყოველ წამს ფიქრობს თვითონ თავისი გართობის შესახებ და აკეთებს ათასგვარ სისულელეს და პასუხს აგებს მასზე.

მე შევეჩვიე ფიქრს და განსაკუთრებით გაცხოველებული ვფიქრობ მაშინ, როცა სხვები აზროვნებენ ჩემი საყოფაცხოვრებო საჭიროებებისთვის ჩემს მაგიერ. აზრებს განსაკუთრებით ხელს უწყობს რიტმი, იარო ფეხაწყობილმა მწკრივში _ ეს არის უდიდესი განტვირთვა ადამიანისა, მე ვიტყოდი, თითქმის ჭვრეტის პროცესი, როცა სხეული შენ აღარ გეკუთვნის; ამ დროს უმეტესობა ნეტარებს, გრძნობს უცნაურ განცხრომას, ხოლო მისთვის, ვინც შეჩვეულია ფიქრს, აზრი არ წარმოადგენს რაიმე გამომწვევს ან დამღლელს _ ის მეთოდურად მოდის თავში, გაბმული რიტმის შეგრძნებისაგან და არის წუთები, როცა გეღიმება კიდეც შინაგანი ბრიყვული სიამოვნებისაგან, «დაამღერეთ!» ხელმძღვანელობს ათმეთაური და, მერწმუნეთ, გაცილებით ჯანსაღად ჟღერს სიმღერა, შესრულებული ბრძანებით, მწყობრში, ვიდრე გიტარით ხელში, სუფრაზე. ეს ბრძანება ამ წუთში საკმაოზე მეტად დროული იყო _ მარცხენა ფეხზე პირველმა ხმამ დაიწყო პირველით, ხმამაღლა, გამართულმა, და უცნაური სიმსუბუქე ვიგრძენით ყველამ, გაქრა ის უმნიშვნელო შეგრძნებაც კი შიშისა, რომელსაც იწვევს ყოველი მხრიდან დაუცველი ტრამალი, პატარა საფარი გორაკებით.

სიმღერის ბოლოს ჩვენ ყველა («ჩვენ»-ს ვხმარობ განგებ, რადგან სიტყვა «მე» მწყობრში თითქმის იკარგება და იმას, რასაც გრძნობს ერთი, გრძნობს ყველა) განსაკუთრებით ხაზს ვუსვამდით მარცხენა ფეხის დარტყმას, რომელზედაც უნდა მოსულიყო ახალი ბრძანება, ახალი სიმღერის დაწყებისა.

ჩვენი ათეული უკვე ტყეს მიუახლოვდა, სადამდისაც საკმაოდ დიდი გზა გამოვიარეთ, მაგრამ დროის გასვლა თითქმის არ გაგვიგია _ ესეც მწყობრის ერთ-ერთი ბრწყინვალე თვისებაა _ ის კარგავს დროის შეგრძნებას. ათმეთაურმა ტყის ზოლთან მიახლოებისას გვიბრძანა შაშხანების მომარჯვება სასროლად და ჯაჭვში გაშლა. აქ ერთი წამით ფსიქოლოგიურადაც იშლება მწყობრი და ყველა სხვადასხვა წერტილიდან ელის სროლას, აქ სხეულის კანკალამდე იგრძნობა, თუ რა საშიში იყო დაუცველ სტეპში სიარული და ახლა ყველა ორმაგი ენერგიით მიდის, რომ დროზე შეაფაროს ტყეს თავი. აქ ტყე პირდაპირ იწყება ტრამალის შემდეგ _ უზარმაზარი წიწვები, არეული ფოთლიან ხეებში. ჩვენ უკვე ისევ მწყობრით მივდივართ ბილიკზე, გარშემო უზარმაზარი ხეები გვარტყია და რაღაცა უცნობი, ხეს მოფარებული შიში გვიპყრობს; სტეპის შემდეგ, ტყეში შესვლისას დამკვიდრებული უშიშროების სასიამოვნო გრძნობასთან ერთად, ორმაგად იზრდება ფარული შიშიც, შიში ყოველი ხისადმი, მაგრამ აქაც, როგორც სტეპში, მწყობრი თავისას აკეთებს, «სადაც სხვები, იქაც მე», ფიქრობს თითოეული ან არ ფიქრობს, ეს თავისთავად ხდება ჩვენში; გაცილებით ადვილია, სასაცილომდე ადვილი, როცა სხვაც კვდება შენთან ერთად, შენს გვერდით. აქ არ არის მამაცობაზე ოდნავი პრეტენზიაც კი, ამიტომ ომში ყველაზე მხდალი ადამიანებიც კი ჩვეულებრივი ცხოვრების დროს სიმამაცის მაგალითებს იძლევიან.

როგორც ხედავთ, მწყობრსაც არ შეუძლია, აიძულოს ფიქრს შეჩვეული ადამიანი, არ გაუკეთოს ანალიზი თითოეულ ნაბიჯს, ოღონდ აქ ფიქრი არ იწვევს გაღიზიანებას, ის თავისთავად, რიტმულად მოდის თავში და ეს რიტმი, როგორც მე ყოველთვის მეჩვენებოდა, გაჟღენთილია სევდითა და სითბოთი, უმწეო სიყვარულით რაღაცა არაკონკრეტულისადმი, შეიძლება სადღაც გულის სიღრმეში თავისი თავის შეცოდებით: «აი, შენ როგორი ყოფილხარ სინამდვილეში, დიდი ფარის ნაწილი და სხვა არაფერი».

ფიქრი ყველა დროს, ეს არის, ჩემი აზრით, ადამიანის ტრაგედია, ის ყველანაირად მიისწრაფვის, ოღონდ ისევ და ისევ აზრის საშუალებით, გახდეს ცხოველივით

უგრძნობი, პლასტიკური, მორჩილი, რაც შეიძლება ინტენსიურად იგდებს თავიდან ყველა დარდს _ დარდი პირველი და ძირითადი ნიშანია აზრისა _ და რაც უფრო მიისწრაფვის თავის მოტყუებისკენ, მით უფრო შორდება თავის პირვანდელ ინსტინქტების მდგომარეობას და უფრო მაგრად ყოფს თავს ათასი პარალელური დარდების, აზრების ქსელში. და რამდენადაც შორს მიდის ეს გზა, მით მეტად დარდიანი, გულნატკენი და სასაცილო _ უსასრულობამდე თავგაურთველი ფიქრებით _ ხდება ადამიანი მთელი დანარჩენი ბუნებისათვის, რომელმაც უფიქრელადაც იცის ჭეშმარიტება და თან ჭეშმარიტებათა შორის ყველაზე ძვირფასი _ ბუნებამ იცის, რომ ჭეშმარიტების მისაღწევად ფიქრი არ არის საჭირო, ფიქრი საჭიროა მხოლოდ იმისათვის, რომ დაშორდე ჭეშმარიტებას _ ეს უკანასკნელი (დაშორება), როგორც ზემოთ ვთქვი, არის ადამიანის არსებობის მოწოდება და ერთგვარი კონტრასტი მშვიდი, კანონზომიერი სამყაროსათვის, რომელიც ისევე უყურებს კაცთა არეულ ვნებებს, როგორც საკუთარ სიმშვიდეს.

და მაინც, ყველა ამ აზრის შემდეგ, მიმჯდარი მიწურის კუთხეში, მე ვფიქრობდი და ვფიქრობდი ორმაგი სიამოვნებით, სიამაყით; თითქმის დაცინვით ვუყურებდი ორ ხესავით უგრძნობ სალდათს, რომლებიც ფეხზე მდგარი და ამწუთში უფიქრელი, ჩვენზე გადმოყუდებული წიფლებივით, ემზადებოდნენ მახორკის გასახვევად (ამ დროს ისეთი დიდია ნიკოტინის შესუნთქვის სურვილი, რომ ფიქრი არ შეიძლება, თუ არ ჩავთვლით დარჩენილ სურვილის გრძნობას, ხოლო ასეთი სურვილი აქვს ხესაც, რომელიც ნოტიოს ისრუტავს); უცებ საშინელი სიცხადით ვიგრძენი ჩემი უპირატესობა ბუნებასთან (იმ გაერთიანებული სხვა ორი ადამიანისა და ხეების სახით) შედარებით. ეს იყო სიამაყე ჩემი აზრების გამო, რადგანაც აზრი არის ადამიანის გონების უდიდესი დამსახურება, ეს უკანასკნელი აძლევს მას უპირატესობას მთელი დანარჩენი სამყაროს მიმართ. იმიტომ არ გვიყვარს ჩვენ, უფრო სწორად, პატივს არა ვცემთ ადამიანებს, ვინც სხვაზე ნაკლებსა ფიქრობს. და ეს არ არის გამოწვეული მხოლოდ შურით მათი უდარდელობისადმი, არამედ ეს არის თვისება, რომლითაც მაღალი ხე უყურებს და ჩაგრავს დაბალ ხეს თავისდაუნებლიეთ, ყოველგვარი წინააზრის გარეშე. დანარჩენი სხვა დამოკიდებულება _ ცხვირის აწევა, დაცინვა და სხვა _ უფიქრელი, განუვითარებელი ადამიანებისადმი გამოგონილია, მოწებებული, უმეტესად ამ უკანასკნელთა მხრიდან, ძირითადი კი არის, ვიმეორებ, ობიექტური განსხვავება ტვინის, აზრის, დარდის შეგრძნების ხარისხებს შორის.

მე დარდს ვუსვამ ხაზს და ამაზეცა მაქვს ჩემი შეხედულება, პირდაპირ კავშირში მყოფი ჩემ მონათხრობთან. დარდის შეგრძნება არის კუთვნილება, მე მგონი, სწორედ ყველაზე მეტად ქართველი ადამიანისა. ხშირად შემიმჩნევია, განსაკუთრებით, ტყვეების დახვრეტის დროს, რისი შესრულებაც ხშირად გვიწევდა, რომ გერმანელს სახეზე ყოველთვის უფრო მეტი უკმაყოფილება ეხატებოდა, უკმაყოფილება, შიში, გარკვეული პრეტენზია სიცოცხლის უფლებაზე; ხშირად დავკვირვებივარ კინოშიაც, რომ როცა ევროპელს კლავენ, ან ცოლს უუპატიურებენ, ან ახლობელს მოულოდნელად მკვდარს ხედავენ, სახეზე უკმაყოფილება ეხატებათ და ყოველთვის მიკვირდა, სამი ამხელა ტრაგედიის გამო როგორ შეიძლება იყო უკმაყოფილო და მეტი არაფერი _ თითქოს ჯამაგირიდან ორჯერ მეტი დაგიქვითეს, ვიდრე მოსალოდნელი იყო.

ჩვენს ათეულს მოუწია, აგრეთვე, მოღალატე რუსების დახვრეტა, რომლებიც არაჩვეულებრივად ყოყლოჩინობდნენ, თავს იმხნევებდნენ და უკმაყოფილო სახეებს იჭერდნენ გერმანელებივით, მაგრამ დახვრეტის წინ ისეთი სევდა, წმინდად

არამიწიერი უსაზღვრო სევდა დავინახე მათ თვალებში, სევდა, მოკლებული შიშის გრძნობას და დაფარული გაუტეხელობის საფარით, რომ მე ამ სევდამ შემზარა: მზად ვიყავი, დამეგდო თოფი, მაგრამ აშკარად ვხედავდი, რომ სხვები ისევე ესროდნენ მათ, როგორც გერმანელებს, უფრო მეტი სიბრაზითაც კი, და ეს იყო მხოლოდ მოღალატე, დასახვრეტი რუსების დამსახურება, რადგან მათ ყველანაირად შეძლეს, თავისდაუნებურად, დაეფარათ თავიანთი სევდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერავინ შეძლებდა მოეკლა ეს ადამიანები _ იმდენ ნათესაობას იგრძნობდა მათდამი. ისევ მინდა აზრის სიცხადისათვის კინოს მაგალითი მოვიყვანო (რატომღაც, კინოში ყველაზე კარგად მჟღავნდება ფსიქოლოგია ერისა ან ყველაზე გავრცელებული სანახაობა რომ არის, იმიტომ აქცევს კაცი მეტ ყურადღებას). აქაც, მინდა აღვნიშნო, ზევით ჩამოთვლილი შემთხვევების დროს _ სიკვდილი, ახლობლის მოკვლა, ცოლის გაუპატიურება _ რუსის სახეზე ყოველთვის იხატება საშინელება ან სასოწარკვეთილება, და ეს ისეთივე ბუნებრივია მისი სახისათვის, როგორც, მსგავს შემთხვევაში, უკმაყოფილება ევროპელის სახისათვის.

მე არ მომხვედრია ხელში დასახვრეტად ქართველი, მაგრამ ორივე ეს გრძნობა _ გერმანელის, ევროპელის უკმაყოფილება, დაფარული სევდით, უმეტესად სენტიმენტალური ცრემლებით, რომლებიც მხოლოდ საკუთარ თავს ტირიან, და რუსის არამიწიერი სევდა, დაფარული უკმაყოფილების ან გამომწვევი ვაჟკაცობის ნიღბით _ იმდენად ნაცნობი იყო ჩემთვის, რომ მე ცოცხლად წარმოვიდგენდი თავს დასახვრეტთა რიგებში. და არა ყოფილა არც ერთი ჩემი მახლობელი, რომ აზრით არ დამეხვრიტოს და ყოველთვის ყველა ქართველის სახეზე ვკითხულობდი დარდს, უსაზღვრო დარდს, გამოწვეულს იმით, რომ მას იქ, სამშობლოში, დარჩა უსაყვარლესი დედა, მიწა, კარ-მიდამო, სადაც გაიზარდა, და ყველაფერი გადმოდიოდა მის შინაგან ბუნებაში, როგორც უკმაყოფილება; ეს არაჩვეულებრივი ჰარმონიით ერწყმოდა მის არამიწიერ გამოსახულებას, მას, რომელიც აღარ უნდა იყოს, რომელიც უნდა წავიდეს სხვაგან და ეს სევდა, ობიექტური რუსული სევდა, რომელიც ერთნაირად წარმოიშვება ცუდის თუ კარგის დროს, უკმაყოფილებასთან ერთად დანახული ქართველში, მაიძულებდა თბილად და ნერვიულად, მარტო მიძინებულს მიწურის კუთხეში, ცრემლიანი თვალებით გამეცინა.

ეს ორი გრძნობა, უკმაყოფილება და სევდა ერთად, ძალიან ღრმადა ზის ქართველი კაცის შინაგან ბუნებაში და სწორედ მათი შეერთება წარმოშობს გრძნობათა შორის ყველაზე ადამიანურ შეგრძნებას _ დარდს. უცნაური ჩაციება ვიცი ხოლმე, მაპატიეთ და მეტი სიცხადისათვის ისევ კინოს მაგალითს მოვიყვან, იმავე ზემოთ დასახელებული შემთხვევებისათვის. კინო არის არტისტიც და ამ არტისტობის დროს მთავარია როლის ბუნებრივი შესრულება _ ევროპელისათვის ბუნებრივია უკმაყოფილება (იმ შემთხვევაში), რუსისთვის სევდა, და ორივე ერი ამას ნიჭიერად გამოხატავს ეკრანზე, ხოლო ქართველი დაბნეულია, მან არ იცის ამ გრძნობათაგან არტისტობის დროს რომელს მისცეს უპირატესობა, ამიტომ მისი თამაში არაბუნებრივი გამოდის. არაბუნებრიობა _ ესეც ერთ-ერთი მკვეთრად გამოხატული ადამიანური თვისებაა, ამით ყველაზე მეტად გამოვირჩევით ჩვენ, ქართველები, სხვა ეროვნებებისაგან და მხოლოდ ჩვენ, სხვა ხალხებს შორის, სწორედ ამიტომ, მიუხედავად დიდი ვნებებისა, არ გვახასიათებს არც ერთი უკიდურესობა. ამაზე მეტყველებს მთელი ჩვენი ისტორია _ ნაომარი, დაჩეხილი, ხშირად გამარჯვებულიც, მაგრამ შინაგანი ინტელექტით ყოველთვის ერთ დონეზე მდგარი, შუაში _ გამარჯვებათა და დამარცხებების საზღვარზე. გამარჯვების დროს დამარცხებული, შეშინებულიც კი სულით, და დამარცხებისას გულგაუტეხელი, გალომებული, რაც

შინაგანი წონასწორობის მუდმივობას უწყობს ხელს; ჩვენა ვართ ხალხი ურწმუნო და ღმერთების მოყვარული.

მე, მაგალითად, არასოდეს არ შემიძლია ერთ აზრს ჩავყვე ბოლომდე და, უფრო მეტიც, არ შემიძლია ერთ რამეზე, მხოლოდ ერთ რამეზე ვიფიქრო ერთი წამიც კი. ჩემს ძირითად აზრებს ყოველთვის გვერდზე მიჰყვება აუარებელი ქვეაზრები, სახეები. უმეტესად ვხედავ სხვა სახეებს, ვფიქრობ და აღვიქვამ სხვას, როგორც ახლა, ისე ზოგადად.

როგორც უკვე ვთქვი, მე ვიჯექი მიწურის კუთხეში. ამ დროს არ ვიცოდი, როგორ შემეერთებინა ჩემი ფეხები სხეულისთვის. ფეხებზე ჩვეულებრივ მცივა და მათი მოწყობა ყოველი დაძინების ან წათვლემის დროს მთელ პრობლემას წარმოადგენს ჩემთვის. ახლა ისე ვიყავი გართული მათი გათბობით, მყუდრო მდგომარეობაში მოყვანით, რომ ზევით ნათქვამი მსჯელობა მოდიოდა თავისთავად, ზედაპირულად, რომელიღაც კონკრეტულ შინაგან გრძნობებთან წონასწორობაში. მაშ ასე, ვფიქრობდი და ვზრუნავდი ფეხების მოწყობაზე, თითქმის გადავწყვიტე კიდეც, რომ ადამიანმა შეიძლება ყველაფერს მიაღწიოს, მოიწყოს ყველაფერი, სულ ყველაფერი, გარდა ფეხებისა, რომლებსაც რატომღაც მაინც ეციებათ. უცნაურად ამეკვიატა ეს ფეხების აზრი და ოდნავ გამეღიმა. მე ყოველთვის მეღიმება, როცა თავს ტყუილში ვიჭერ. ძლივს მივხვდი, რომ ფეხების მთელი ეს პრობლემა გამოწვეული იყო დილანდელი განცდისაგან _ დილით ჩვენ ორივეფეხწაჭრილი კაცი დავხვრიტეთ. ის აქედან ჩვენი ზურგით მიგვყავდა, საკაცეზე დასმული, მხოლოდ იმისათვის, რომ იქ დაგვეხვრიტა; საკაცის უკან წამოღება დაგვეზარა და იქვე დავტოვეთ, ტბის პირას. უცნაური შეგრძნება დამრჩა იმ კაცისგან _ მას ვერაფრით ვერ ვუყურებდი, ვერ აღვიქვამდი როგორც ადამიანს, რომელიც ფიქრობს; ის იყო ჩემთვის უფეხო, სწორედ უფეხო და, როცა დავხვრიტეთ, სწორედ ასეთი შეცოდება დამრჩა გულში. «რა ცოდოა უფეხო კაცი» _ ეს ფრაზა ავადმყოფობამდე განმივითარდა და მთელი გზა მიტრიალებდა თავში. სწორედ ამ განცდის შედეგი იყო, რომ ახლა ჩემს ფეხებს ვგრძნობდი და მათი მოწყობაც პრობლემად გადამექცა. «უცნაურია უფეხო კაცი», განვაგრძობდი ფიქრს და, მიუხედავად ცოდნისა, ვერ მესმოდა, რომ ის ასე არ დაბადებულა. მაგრამ მე ვთქვი, რომ ჩემს თავში ყოველთვის არის მრავალი პარალელური ფიქრი, რომელთა შორისაც მთავარია იმ საზოგადოების საერთო საზრუნავები, რომელშიც მე ვიმყოფები. ერთი საათის წინ კი მოვიდა ბრძანება, რომ ჩვენს პირისპირ დადგა გერმანელების ოთხი პოლკი, ჩვენ უნდა სასწრაფოდ დაგვეხია უკან _ იმ დროს ჩვენები უკან იხევდნენ, ამიტომ ვხვრეტდით ტყვეებს, რომელთა ბადრაგით ტარება არც ისე ადვილია ტყეებსა და ბორცვებზე. უკან დახევის ბრძანებაში აღნიშნული იყო, რომ უნდა ავყრილიყავით დილისათვის, ე.ი. თითქმის ბინდბუნდში უნდა დაგვეტოვებინა მიწურები.

ამ ჩემი აუღელვებელი და მონოტონურად მოსული აზრების დროს მე შევასრულე რამდენიმე ბრძანება: ვიდექი მწყობრში, მოვისმინე პოლკის უფროსის ამონაწერი არმიის სამოქმედო გეგმიდან, ვუპასუხე ათმეთაურის რამდენიმე შეკითხვას. სხვათა შორის, გაცილებით უფრო კარგად, ცხადად ვფიქრობდი, რადგან, როგორც ერთხელ უკვე ვახსენე, ჩემს ფიზიკურ ფიქრებს სხვები განაგებდნენ და უფრო ცხადად ვგრძნობდი, რომ ფეხების სიცივე და არა ფეხები იყო ერთადერთი, რაც მე მეკუთვნოდა ჩემი ფიზიკური ფიქრებიდან. ფიქრები არის ფიზიკური და სულიერი _ ეს დაყოფა განსაკუთრებით კარგად იგრძნობა არმიაში. ის, რომ დილაზე ადრე უნდა ავმდგარიყავი სიცივეში, სველი, თითქმის მშიერი, ეკუთვნოდა სხვას, და მე ვიყავი ამის მოხარული, მაგრამ ერთი საკითხი სულიერი ფიქრებიდან განსაკუთრებით შემომიჩნდა, მიუხედავად იმისა, რომ არ იყო არაფერი რთული და უცნობი. მე მინდა

მოგიყვეთ ამ უკანასკნელის შესახებ, რადგანაც ის დაედო ორგანულ საფუძვლად მთელ ჩემს წინა მონაყოლს.

სანამ იმ ამბავს დავიწყებდე, დამატებისათვის კიდევ ვიმეორებ: ომის დროს მთლიანად იკარგება მსხვერპლის, ტრაგიკულობის შეგრძნება, ამ უკანასკნელის განცდა კი იყო მიზანი ჩემი ჯარში წასვლისა. ერთი შეხედვით, ეს ამბავი მე უნდა გამხარებოდა, ე.ი. ტრაგიკულობის შეგრძნების სურვილის დაკარგვა; მე ვიქნებოდი უდარდელი, ბედნიერი ადამიანი, მაგრამ შიში, თანდაყოლილი, ბუნებრივი, საშუალებას არ მაძლევს გვერდი ავუარო რომელიმე ჩემს განცდას, გამოვრიცხო ის ჩემი დარდებიდან და უკვე ამ ტრაგიკულობის ვერნახვა ხდება ჩემთვის ახალი დარდი. მაშინ მე ახალი ძალით ვეძებ მას, მიმქრალ სურვილს და, რაც უფრო მიმქრალია ის, მით მეტ ადგილს იკავებს ჩემს არსებაში წინა პლანზე გამოსვლის დროს; და აი, მე ავადმყოფურად აღვიქვი, რომ ამ აურაცხელ გაჭირვებაში, არაადამიანურ პირობებში, ისეთი რამეც კი არ ხდება, რაც გაკვირვების საფუძველს მაინც მოგვცემს. თუმცა არ არის მომენტი, როცა ადამიანს არა აქვს რაიმე მოუწესრიგებელი სულიერი საზრუნავი თავის სინდისში.

მე განვაგრძობ მოყოლას: მწყობრში დგომის დროს ჩვენს წინ ჩაატარეს ახალი პარტია ტყვეებისა: ხუთი რუსი მოღალატე და ერთი გერმანელი, ექვსივენი არჩევაზე მოსულები, ღონივრები. როგორცა ვთქვი, ჩემი თავი დაკავებული იყო სხვა ფიქრებით, ოღონდ შიდა, პარალელური აზრი ძირითადი ფიქრებისა ყველა წვრილმანში იწერდა ჩვენს წინ ჩავლილი ტყვეების გარეგნობას და იმის მიხედვით ანალიზს უკეთებდა მათ ხასიათებს. მალე, მათი ჩავლის შემდეგ, შევამჩნიე, რომ ყველა სხვა აბსტრაქტული დარდი გაქრა და წინ წამოვიდნენ ტყვეების სახეები _ ისინი ამ ერთფეროვან მწვანე მაზარებს შორის განსაკუთრებით მკვეთრადა ჩანდნენ; მე დამაინტერესა და რიგის დაშლის შემდეგ გავწიე ღია ბარაკებისაკენ, სადაც ისინი ჩაკეტეს პირველად. იქ უკვე თავი მოეყარათ სალდათებს; ზოგი მათგანი, მიუხედავად აკრძალვისა, მაინც ცდილობდა გამოლაპარაკებოდა მათ.

სამი რუსი იჯდა აბსოლუტურად უინიციატივოდ. ისინი, როგორც ეტყობა, არა ფიქრობდნენ დახვრეტაზე, რაც ყველაზე მოსალოდნელი იყო, არც გადარჩენის რაიმე იმედი ეტყობოდა მათ სახეებს. პირდაპირ იყურებოდნენ სალდათებისაკენ და ვერ აღიქვამდნენ ვერაფერს, რაც გარშემო ხდებოდა. შესაძლოა, ისინი ერთგვარ ნეტარებასაც კი განიცდიდნენ, რომ მათი ბედი სხვას ჩააბარეს და, მაშასადამე, თვითონ საფიქრალი აღარაფერი აღარა აქვთ _ იქ კი, რაც იქნება იქნება; დანაშაული მათ ერთნაირი აქვთ, ისე რომ, სადაც ერთი, იქაც ყველა. _ როგორც ზევით აღვნიშნე, ასეთი შეგრძნება ხშირად სიამოვნებამდე ადუნებს ადამიანს. _ მეოთხე, ფეხშიშველა რუსი, აშკარად ხუმრობის ხასიათზე იყო და ეს არ იყო მოჩვენებითი პოზა, თუმცა, შესაძლოა, თავისი აზრით, იგი ამას პოზისათვის აკეთებდა. ის დადიოდა ბარაკის გასწვრივ, გავებზე კუკიშებდაწყობილი და თითებს შუა გამოვარდნილ, ზომაზე გრძელ ცერს ათამაშებდა ისე, რომ ყოველი მისი შებრუნებისას ზურგისკენ, სალდათები ხმამაღლა იცინოდნენ და რაღაცა მხიარულს ეძახდნენ. ის იმასვე აკეთებდა ფეხშიშველა ფეხებით, რომლებზეც გრძელი, ხელებისნაირი თითები ჰქონდა. ეს განსაკუთრებით მოსწონდათ ჯარისკაცებს; მალე მათ შორის გარკვეული თანხმობა ჩამოვარდა და ორივე მხარემ დაიწყო ერთმანეთის გართობა. როგორც ეტყობა, არც ერთ მხარეს არ უნდოდა ჩასწვდომოდა საქმის ნამდვილ ვითარებას. ისინი ცდილობდნენ, ოფიცრის ჩამოვლამდე მაქსიმალურად გამოეყენებინათ დრო გართობისათვის. ისინი გულწრფელნი იყვნენ, მიუხედავად იმისა, რომ ყოველმა მათგანმა იცოდა: ხვალ დილით საკუთარი ხელით შეეძლო დაეხვრიტა ტყვე _ ეს

კანონია, ეს კი... ბიჭი კარგია, მხიარული, შეგიძლია გაერთო. მეხუთე, აშკარად აპოლიტიკურად განწყობილი რუსი, ცდილობდა რაც შეიძლება მაგრად ეკბინა მსმენელისათვის თავისი ყოველი სიტყვით. მას ყურადღებას აქცევდა სულ ორი-სამი კაცი; ერთი მათგანი იყო სათვალიანი, რაც მთელ სამეულს ჭკვიანურ, ინტელექტუალურ შეხედულებას აძლევდა. მე ასეთ შეფასებას წინ არ აღვუდგები, რადგანაც, ჯერ ერთი, ასეთი აზრი ამ სამეულის შესახებ მართალი იყო, მეორეც, სათვალე დღემდე რჩება ჩემთვის მისი მფლობელის ინტელექტუალობის გარკვეულ საზომად. სამოქალაქოშიც რომ დავინახავ სათვალიან კაცს, იმ საათში გონებაში გამირბენს, რომ ის ჭკვიანი კაცია. სათვალიანი სალდათი, პრეტენზიის მქონე ჭკვიანის სახელზე, რაღაც გამომწვევ პოლიტიკურ საუბარში ჩაება ტყვესთან, რაც უკანასკნელს საშუალებას აძლევდა, დაუსრულებლივ გესლი ენთხია და ამითი მიენიჭებინა თავისი თავისთვის მაქსიმალური სიამოვნება. მის მდგომარეობაში მყოფი კაცისთვის ეს სიამოვნება, თავისი დროის მონაკვეთში, არც ერთი თავისუფალი კაცის სიამოვნებას არ ჩამორჩება, რა სახისაც უნდა იყოს ის, ხოლო თუ გავითვალისწინებთ, რომ მას აშკარა დახვრეტა ელოდა და დასაკარგი აღარაფერი ჰქონდა, მაღლაც კი დგება ჩვეულებრივ, კმაყოფილებით გამოწვეულ, სიამოვნებაზე.

მაშასადამე, ხუთივე ტყვე გართული იყო თავისი საქმით: სამი მშვიდად იჯდა, აბსოლუტურად უაზრო სახით, დანარჩენი ორიდან ერთი ხუმრობით ერთობოდა, ყურადღების ცენტრში მდგარი, ხოლო მეორე აშკარად მდგომარეობის უფროსად გრძნობდა თავს, რადგან, როგორც ვთქვი, შეეძლო ეთქვა რაც მოესურვებოდა _ ის უკვე აღარ აგებდა თავის თავზე პასუხს.

რჩებოდა მეექვსე ტყვე, გერმანელი, მან კი გადაწყვეტით არ იცოდა, რა გაეკეთებინა. უპირველეს ყოვლისა, მას სციოდა და არა ჰქონდა არაფერი, რითიც შეეძლო თავი გაეთბო; სიარულს, ხელების ქნევას გასახურებლად კი ვერა ბედავდა და, თუ ბედავდა, ძალიან პატარა მასშტაბებით, ისე რომ, გახურების მაგიერ ძაგძაგებდა. მას არავინ არ უყურებდა, ეს მდგომარეობა ჯერ სიამოვნებდა, შემდეგ კი, როცა მოლაპარაკე რუსებსა და სალდათებს შორის ახლო დამოკიდებულება გაიმართა, ის შეშინდა და ყურები ცქვიტა; შემდეგ, როცა ისევ არ მიაქციეს ყურადღება, საოცრად ტუტუცურად გაიღიმა და გააკეთა მოძრაობა კისრით, თავის მხრებში დამალვასავით, მაგრამ ეს უცნაურად უხერხული გამოუვიდა, რადგან დიდი, წახნაგოვანი თავი ოდნავაც კი ვერ დაიმორჩილა. ეს იმწამშივე იგრძნო და შეეშინდა, თითქოს ასეთი უხერხული მოძრაობა მის დანაშაულს გაზრდიდა. ცოტა ხნით ისევ გაყუჩდა, მაგრამ მის სხეულს მთელი არსებით მოუნდა, ყურადღება მიექციათ მისთვის. ის იყო ერთი და, უმოძრაოდ მჯდარს, სამი რუსის მსგავსად, არ შეეძლო შეერთებოდა მათ შინაგან განწყობილებას. ის წამოდგა, აიტუზა, საიდანღაც დააძრო ცალშუშაამომტვრეული სათვალე და ცხვირზე ჩამოიცვა, შემდეგ უფრო თამამი მოძრაობა გააკეთა ხელებით, გასათბობად. წვეტიანი ცხვირი აშკარად გამორბოდა სათვალის შიგნიდან; მხრებში ჩავარდნილი თავით, სადღაც მიმალული გრძელი კისრით, მაღალი, ხმელი ფიგურით, ის კითხვის ნიშანსა ჰგავდა, რომელსაც წერტილად შავი, ტალახიანი ბათინკებიდან გამოვარდნილი თეთრი ცერი ჰქონდა. ყველაფერი მზად იყო იმისათვის, რომ ამ კითხვის ნიშნისთვის ვინმეს ეპასუხა.

უცხოელი ყველგან და ყოველთვის, გარკვეული აზრით, ჭკვიანსაც ნიშნავს, ეროვნების განურჩევლად, ყოველ შემთხვევაში, კაცს, რომელმაც იცის ისეთი რამე, რაც შენ არ იცი (თუნდაც მელა-»პესეცის» თვალში ტყვიის მორტყმა _ ჩუქჩამ), ამიტომ ყოველთვის გაიძულებს ეს შეუცნობლობა, ერთგვარი შინაგანი ანგარიშის გაწევით და პატივისცემითაც კი მოეპყრა მას. მაგრამ სათვალიანი უცხოელი, ისეთი

ნახევარაზიატისათვის, როგორიცა ვარ მე, უკვე ჭკვიანი კაცია, ხოლო სხვა სათვალიანისთვის რაღაცით, მხოლოდ სათვალიანისთვის გასაგები ინტუიციით, თანატოლი და, ამავე დროს, ღირსეული მეტოქე. მე ეს არ შემიძლია ვთქვა ყველას შესახებ, ყოველ შემთხვევაში, ვიგრძენი, როგორ გაურბინა ზუსტად ამ შეგრძნებამ სათვალიან სალდათს, რომელიც პოლიტიკაზე ელაპარაკებოდა ტყვე რუსს. ის წამოდგა, თითქოს ახლა პირველად დაინახა ტყვე გერმანელი, გერმანელმა თავი ამოსწია მხრებიდან და, როგორც მხსნელს, ისე მიაშტერდა წამომდგარ სათვალიან სალდათს. ისინი ყოველგვარი წინასწარი მოლაპარაკების გარეშე წავიდნენ ერთმანეთისაკენ და დადგნენ ისე ახლოს, რამდენადაც ღობე უწყობდა ხელს. მე მომეჩვენა, რომ რაღაც იყო მათ სახეზე ღიმილის მსგავსი და, თუ გერმანელი იყო ნასიამოვნები აღმოჩენით, არანაკლებ კმაყოფილი ჩანდა რუსიც.

_ Вишь, очкастый!.. _ დაიძახა აშკარად გამხიარულებულმა უკრაინელმა მეორე ჯგუფიდან და სათვალიანი რუსისკენ წავიდა. არ ვიცი, ამ დროისთვის ყველას მოსწყინდა ხუმრობაც, სერიოზული ლაპარაკიც, თუ იმავე აზრმა გაურბინა ყველას თავში ქვეშეცნეულად. ასე იყო თუ ისე, ყველანი ნელ-ნელა მოგროვდნენ რუსის გარშემო _ აქტიური, ორი მოღალატე ტყვე რუსიც კი ისეთ პოზაში დადგა, თითქოს სალდათებს შეუერთდა. მხოლოდ ის სამი იჯდა ისევ განურჩეველი სახეებით. «კარგი იქნებოდა ახლა პაპიროსი», _ ხმადაბლა თქვა ერთმა სამთაგან. ისეთი სიჩუმე იდგა, რომ მე აშკარად გავიგონე მისი ხმა. ვიღაცამ სიჩუმის დამრღვევს გადაუგდო ქისა «მახორკით».

ჩვენს გარშემო სახეები მომზადებული იყო ეშმაკური ღიმილისათვის, რაღაცა მძაფრის, მართლის სათქმელად და ყველა იცდიდა. სხვებმა როგორღაც ქვეშეცნეულად იგრძნეს, რომ სათვალიანი ილაპარაკებდა მათ მაგივრად, რადგან ტყვე სწორედ ამ უკანასკნელის ფარდი იყო. რუსი სათვალიანი წინასწარგანზრახულად დუმდა, სანამ არ მოიკრიბა მთელი ყურადღება და არ იგრძნო თავი მდგომარეობის უფროსად. გერმანელი, რომელიც დასაწყისში სრული უგულებელყოფის შემდეგ ასეთ ყურადღებას არ ელოდა, შეშინდა, გააკეთა კისრის მოუხეშავი მოძრაობა, რის შემდეგაც თავი ისევ წინანდელ მდგომარეობაში დარჩა და რაღაც საოცრად ბავშვურად და ბრიყვულად გაიღიმა. მისმა მეტოქე რუსმა თავის გარშემო მდგომებს გადახედა და თვალი ჩაუკრა. ეს თვალის ჩაკვრა ეკუთვნოდა ტყვე რუსებსაც და ყველამ ერთად, ჩემი ჩათვლით, ღრმააზროვნად გავიღიმეთ _ ეს იყო დასაწყისი, მაგრამ სიურპრიზი წინ რჩებოდა _ სათვალიან რუსს მშვენივრად სცოდნია გერმანული და მან აღარ დააყოვნა დალაპარაკება.

_ შინდ სიე გესუნდ? _ იკითხა მან ცბიერად. გერმანელმა, თითქოს დიდი ხნის შიმშილის შემდეგ, ჰაერშივე დაიჭირა ნატეხი პური და შეეშინდა, რომ არავის წაერთმია უკან, ისე უპასუხა _ ჯა, ჯა. _ მას სისწრაფისა და მონდომებისაგან ქოშინი აუვარდა.

_ ესუნდ, გესუნდ? _ გამოაჯავრა უკრაინელმა _ а ну-ка спроси чего перься в нашу землю. _ მან მუქარით სავსე სახე მიიღო, ჯარისკაცები მის გარშემო შეიჭმუხნენ და სახის გამომეტყველებით აიძულებდნენ, რომ გერმანელს ამ სიტყვაზე პასუხი გაეცა. მას უფრო ბავშვური და დაბნეული გაუხდა სახე. მოღალატე რუსებიც დაიბღვირნენ _ ეს კითხვა გერმანელისადმი, ჯარისკაცებთან ერთად, ეკუთვნოდათ მათაც და ამას მშვენივრად გრძნობდნენ ჯარისკაცებიც.

სათვალიანმა რუსმა ინტელექტუალური საუბარი გვერდზე გადადო და ეს კითხვა თარგმნა. გერმანელი ხელების გაუბედავი ქნევით, ქოშინით ალაპარაკდა. ენისმცოდნე ძლივს ასწრებდა გადათარგმნას, მის სიტყვებს სალდათები ბუზღუნით

იმეორებდნენ; მე მომეჩვენა, რომ ზოგიერთ მათგანს კიდეც შერცხვა რაღაცის: «ბავშვები, ფერმა, ხიდი წყალზე, გაზაფხულზე ზამბახები, მე მიყვარს ცოლი, ჰიტლერს ჩამოაგდებენ, მე გლეხი ვარ», ეხოებივით იმეორებდნენ მთარგმნელის სიტყვებს ისინი. გერმანელი კი სულ უფრო შედიოდა როლში: ხელები გაიშვირა, ისეთი სახე ჰქონდა, რომ მის უდანაშაულობაში არ შეიძლებოდა კაცს ეჭვი შეჰპარვოდა და რუსებმაც დაუჯერეს ეს ალალად. _ И всё-таки он немец, чёрт, Мефистофель! _ მასავით წელში მოხრით და კისრის წინწაწევით თქვა ახმახმა რუსმა. სალდათები უცებ დადგნენ ამ რეპლიკის ავტორის მხარეზე და თითქოს ნანობდნენ, რომ წუთიერი შეცოდების გრძნობას აჰყვნენ. Ну его! _ დაცინვითა და ზიზღით დაარტყა ორი თითი მხარზე გერმანელს მოღალატე რუსმა. გერმანელმა ისევ გააკეთა ბრიყვული, გულუბრყვილო გრიმასა და ჩაქრა.

ჩვენ-ჩვენს მიწურებში დავიშალეთ დასასვენებლად და თავის წესრიგში მოსაყვანად, ტყვეები კი ჩაკეტეს სარდაფში, განკარგულების მოლოდინში, მაგრამ, როგორც პოლკის უფროსმა თქვა, მათ შესახებ არავითარი მითითება არ იყო მოსული, რომლის გარეშეც მათი დახვრეტის უფლება არა გვქონდა: რასაკვირველია, თავისუფლად გაშვებაზე ლაპარაკი ზედმეტი იყო. მაგრამ არსებობდა კიდევ ერთი ძირითადი გარემოება _ ყოვლად შეუძლებელი იყო უკანდახევის დროს მათი თან წაყვანა, ეს გამოიწვევდა დამატებით ათას სიძნელეს.

როგორც ვთქვი, ჯარისკაცები დავბრუნდით მიწურებში და დავიწყეთ თავის წესრიგში მოყვანა, ბინდისას აანთეს ჭრაქი. ჩემს გვერდზე საცვლების ამარა უკრაინელი შარვალს იკერებდა. ხანდახან ბრიყვული სახით იძახდა რამდენიმე «ოო»-ს სიმღერის მსგავსად და მე გუნებაში ვიმეორებდი на то и ты хохол. საერთოდ, უკრაინელები არ მიყვარს, ჯარში ვინც შემხვედრია მათ მიხედვით ვმსჯელობ, ისინი ყოველთვის ხაზს უსვამენ თავის არარუსულ გამოთქმას და, რამდენადაც შეუძლიათ, თავის სიბრიყვეს, რაც წარმოუდგენელ სიამოვნებას ანიჭებს მათ. ჩემი გაღიზიანებული შეგრძნებისათვის ასეთი საქციელი თითქმის აუტანელია, მე მათ სამუდამოდ შემაძულეს თავი და სრულიად არ მესიამოვნა, როცა ამ საცვლებში დარჩენილმა ოყლაყმა მომმართა ხაზგასმით, რომ ის ბრიყვია. მე ხშირად ცუდ რამეებს ვფიქრობ ადამიანებზე, სანამ ისინი დამელაპარაკებიან, მაგრამ საკმარისია გავესაუბრო, რომ მთელი ცუდი აზრები ქრებიან; მე, მიუხედავად ჩემი გარეგნული სიმარტოვისა, საოცრად მიყვარს საზოგადოება და განსაკუთრებით საუბარი, რომლის დროსაც ვამბობ აბსოლუტურად ყველაფერს, იმ აზრებსაც კი, რისი სამუდამოდ ჩემთვის დატოვება განზრახული მქონდა საუბრის დაწყების წინ.

ჰო, გვიყვარს ჩვენ, ქართველებს, გამოლაპარაკება, თუმცა ვის არ უყვარს ის, მაგრამ ხშირად, სხვაზე მეტად, ჩვენ უბრალო საუბარში გვახასიათებს თავის გამოჩენა, გაჯირითება, რომელიც ცოტა უსიამოვნოა, ყოყლოჩინური, ოღონდ როცა მიხვდები, რომ ეს ასეა, შემდეგ უკვე გიყვარს ეს ბავშვური თვისება.

პირველივე სიტყვები, რაც უკრაინელმა მითხრა, ისეთი ახლობელი იყო ჩემი იმწამინდელი ფიქრებისა, რომ მე არც კი გამკვირვებია და ტონში ვუპასუხე, ისეთივე ხაზგასმით ჩემს ქართულ აქცენტზე, როგორც ის უსვამდა უკრაინულს; მთელი ჩემი ამდენი ჭკვიანური აზრები, ანალიტიკური ფიქრები და გარკვეული თავის მოწონებაც კი მათი ქონებით, გაქრა, უპირველეს ყოვლისა, ეშმაკებისკენ გადავარდნენ ჩემი თეორიები, რომ სერიოზულად ვერ ვიტან უკრაინელებს, სერიოზულად მე არაფერი არ შემიძლია და განსაკუთრებით არ შემიძლია, ვერ ვიტანდე ვინმეს.

_ და იმათ რას უზამენ, ა? _ კი არ მკითხა, თქვა საცვლებიანმა უკრაინელმა.

_ ეშმაკმა იცის, _ ვთქვი და მეორე პარალელურმა აზრმა მაშინვე მიკარნახა, რომ ჩვენ ორივენი ერთი და იმავე რამით ვიყავით გატაცებული, რომ ჩვენი გონების ძირითადი საზრუნავი, სწორედ ეს იყო: «რას უზამენ იმათ». და ეს იმიტომ კი არა, რომ ვინმეს ეცოდებოდა ისინი, უბრალოდ, იმ დროს, როცა მთელი ჯარი მოქმედებს ბრძანებით, ბრძანებაში ნათქვამია, რომ მოვემზადოთ, დილით გავიდეთ, ყველაზე მეტად ბუნებრივი იყო ბრძანების გარეშე დარჩენილ ადამიანებზე ფიქრი, ფიქრი იმ ხალხზე, რომელთა ბედიც კანონით განსაზღვრული არ იყო. პლასტიკურად შემოცურდა ჩვენს საუბარში სხვისი ხმები და ყველამ უნებურად დავიწყეთ ფიქრი, რას უზამენ იმ ხალხს, რომლის შემდგომი ბედის შესახებაც ბრძანება დილამდეც ვერ მოვა. ის, რომ დილით მათი თან წაყვანა არ შეგვეძლო, ცხადი იყო. ჯარისკაცები ერთგვარად გამოცოცხლდნენ კიდეც, გამხიარულდნენ, დაიწყეს ცდა ერთმანეთზე უკეთესი გამოსავლის მოგონებისა. განსაკუთრებით ცდილობდა რამე მახვილი მოეგონებინა ერთი დონბასელი მემაღაროე, ისიც უკრაინელი. ის ყოველი ფრაზის შემდეგ, რომელიც თავისი მოსწრებულობით სიცილს იწვევდა, იქექავდა კეფას ახალი რამის მოგონებამდე და უეშმაკესი სახით დადიოდა კუთხიდან კუთხეში. რაღაცნაირი თბილი განწყობა ჩამოვარდა მიწურში, რაც განპირობებული იყო სხვა, უცხო ადამიანებზე ფიქრით.

დილით, როცა დაგვაწყვეს დიდი გადასვლისთვის ზურგისკენ, ისევ მოდიოდა წვიმა, მაგრამ ჩვენ უკვე გადავეჩვიეთ სტიქიური მოვლენებისათვის ყურადღების მიქცევას. პოლკის უფროსმა წაგვიკითხა დღის რეჟიმი, სადაც აღნიშნული იყო, რომ ტყვეების საკითხი შემდეგნაირად გადაწყდა: ვინაიდან შტაბიდან მათ შესახებ არავითარი ბრძანება არ იყო მოსული, მეორე ათეული _ ჩვენ, როგორც აღვნიშნე, წინა დღით ვიყავით დაკავებული _ წაიყვანდა ბადრაგით ტყვეებს და ჩააბარებდა სოფელში მდგარ შტაბს, ხოლო თვითონ საღამოსთვის დაგვეწეოდა ტყის სამხრეთ ნაპირას. _ შეხვედრის ადგილი ზუსტად იყო მითითებული.

მთელი ის დღე შეუსვენებლივ ვიარეთ და საღამოსთვის უკვე აღნიშნულ ადგილს მივუახლოვდით; იქ ჩვენ უკვე გველოდებოდა ბადრაგად გაყოლებული ათეული. ათმეთაურმა რაღაცა მოახსენა პოლკის უფროსს. ჩვენ მოხარული ვიყავით, რომ ვხედავდით მათ კარგად მყოფთ და ცოცხლებს. დაიწყო მშრალი ულუფის დანაწილება. ვიღაცა დაინტერესდა მათი დავალების შესრულებით, ყველანი ნასიამოვნები იყვნენ, რომ ასე კარგად აუვიდა ათეული რთულ ამოცანას. ბადრაგის უფროსმა თქვა, რომ შტაბამდე მათი მიყვანა ვერ შეძლეს, რადგან მტერმა გზა მოუჭრა, გარშემო რკალი ისე შევიწროვდა, რომ ტყვეებთან ერთად უკან გამოსვლა შეუძლებელი შეიქნა. «ავიღეთ და გავუშვით ტყვეები», _ თქვა მან.

_ А немца то этого, Мефистофеля, расстреляли, _ ბრიყვულად შეაქანა მხრები ახმახმა უკრაინელმა. ჩამოვარდა უხერხული სიჩუმე. ვახშამი თავდებოდა, ზევიდან წვრილად ცრიდა და მთელ სხეულში იპარებოდა ნესტი, აღარავის არა სიამოვნებდა შესვენება, ისე რომ ყველას გაუხარდა, როცა გზის გასაგრძელებლად მწყობრში ჩადგომის ბრძანება გაისმა. უხმოდ გავუყევით გზას. გზა ის-ის იყო გასცდა ტყეს და ტრამალში გავიდა. ყრუდ, დაგუბებულად ისმოდა სალდათის ჩექმების მწყობრი რიტმი, ტრამალი ნელ-ნელა ჩუმად ყლაპავდა ჩვენს ათეულს მთელ პოლკთან ერთად, შორს სადღაც ისმოდა ყუმბარების აფეთქების ხმა. იდგა ჩვეულებრივი განწყობა ომის დაწყების წინ და ჩვეულებრივზე ცოტა მეტი სიჩუმე, რომელსაც არავინ არ არღვევდა.

_ Ну его и по делам, _ თქვა ხმამაღლა და მკვეთრად, ამოძახებით ვიღაცამ, როგორც ეტყობა, დიდი ხნის ნაწვალები ფრაზა და უცებ, თითქოს მთელმა პოლკმა ამოიქშინაო, ისე მწყობრად, მსუბუქად და ოდნავ ხალისიანადაც კი გაისმა ჩექმების

რიტმი, თითქოს რაღაცა დაგუბებული, გამოუვალი აზრი ყველამ გადაისროლა სადღაც უკან. გაისმა ათმეთაურის ბრძანება და დამწყებმა ჯარისკაცმა წამოიწყო სამწყობრო სიმღერა _ ყველაფრის მპატიებელი და ყველაფრის შემცნობი. და გრძელდებოდნენ ჩემთვის დაუმთავრებელი ომები თვით ჩემი დაჭრის დღემდე, შემდეგ კი მთელი ექვსი თვე ვიწექი ჰოსპიტალში, თაბაშირში ჩასმული, უმოძრაოდ და ერთადერთი, რითიც შემეძლო გავრთობილიყავი, ეს იყო ფიქრი; უფიქრელად კი მე არ შემიძლია; ფიქრი არის ჩემი მეგობარი და მტერი, ფიქრი არის თვით ადამიანი, ასე ვფიქრობდი მე მაშინ ჰოსპიტალში და ასე ვფიქრობ დღესაც აქ. მაშ, გაუმარჯოს ფიქრს, როგორიც არ უნდა იყოს იგი! _ ამ ლოზუნგის ქვეშ გავატარე ექვსი გრძელი თვე ზურგზე მწოლიარემ, თაბაშირში ჩასმულმა ჰოსპიტალში და ლეიტფიქრი ჩემი მრავალნაირი, ზოგჯერ უცნაური ფიქრებისაც იყო: როგორ შეიძლება ერთი ადამიანი გამოყო სხვებისგან. უფრო კონკრეტულად მომდიოდა აზრის ფორმა რუსული ფრაზით, წინ მონაყოლი კონკრეტული ამბის შესახებ: расстрелять так всех вместе, а то ни одного. სწორედ ეს: ყველა ერთად _ დახვრეტ თუ გაათავისუფლებ, აბსოლუტურად სულ ერთი იყო ჩემთვის, _ მტანჯავდა მთელი ექვსი თვე და არ მასვენებს არც ახლა.

მრავალი რამე გადამხდა ომის დროს. მე არასოდეს არა ვყოფილვარ არც სხვაზე მეტად გულჩვილი, არც მკაცრი; როგორც უკვე მოვყევი, გერმანელის მიხვრეტის, სწორედ მიხვრეტისა და არა დახვრეტის, წინა დღეს მე ჩემი ხელით ჩავუსვი ტყვია შუბლსა და თვალს შუა უფეხო ინვალიდს, მასთან ერთად დავხვრიტეთ სხვა სამიც; მე ვფიქრობდი, ვიცოდი, რომ ისინი იყვნენ ადამიანები ჩემსავით და მაინც არ გამოვუყვანივარ ამას წონასწორობიდან, ყველაფერი ხდებოდა სიბრაზის გარეშე.

მაგრამ ის, რომ შეიძლებოდა გერმანელიც გაეშვათ მოღალატე რუსებთან ერთად, აშკარად იმ რუსებზე ნაკლებად დამნაშავე, როგორც პიროვნება, ან დაეხვრიტათ ის რუსებიც იმ გერმანელთან ერთად _ არ გამომდის ახლაც თავიდან. მე დღემდე ვერ წარმომიდგენია, როგორ შეეძლოთ ასეთი უზარმაზარი უსამართლობა ჩაედინათ ადამიანის ხელებს და თანაც, რაც ყველაზე შემზარავია, ის ადამიანები, რომელსაც ეს ჩაიდინეს, მე დარწმუნებული ვარ, არ იყვნენ ბოროტმოქმედები. მაშ, რა ინსტინქტმა აიძულა ისინი, მოქცეოდნენ იმ ერთს ისე, როცა სხვები გაათავისუფლეს, როცა თავისუფლად შეეძლოთ ის მეექვსეც გაეშვათ მათთან ერთად _ მე არ შემიძლია ჩავწვდე ამ საიდუმლოებას, არა იმიტომ, თითქოს არ მესმოდეს (თუ გახსოვთ, ადრევე გავუსვი ხაზი რუსი მოღალატეების ერთობას, ეროვნულ ერთობას, სულიერსაც, სალდათებთან ტყვეთა ბარაკში მომხდარი ამბების დროს), რომ ის მაინც გერმანელი იყო, თავდაპირველი მტერი _ ყველაფერი ეს სწორია, ასეა _ ოღონდ თუ არის ეს გამართლება? დავუშვათ და ასეც არის _ ამ ამბავს ამართლებს ომის დაუწერელი კანონი. მაგრამ შეიძლება ამ ამბის გამართლება, როცა წევხარ ჰოსპიტალში და არ გესმის ყუმბარის ხმაური, როცა ზიხარ სახლში და შენს სიცოცხლეს არ ემუქრება არავინ? მე არა ვარ ადამიანი ზედმეტად მგრძნობიარე, მით უმეტეს, სენტიმენტალური, _ ვიმეორებ, მე შემეძლო საკუთარი ხელით დამეხვრიტა ექვსივე ერთად, _ მხოლოდ ერთად, მაგრამ არ შემიძლია შევურიგდე იმ ამბავს, რომ სადღაც არიან ნაჯარისკაცარი მოქალაქეები, რომლებმაც ასე განაცალკევეს ადამიანები, სადღაც არის ხალხი, ვინც აიძულა ადამიანის ბუნება, ასე მოქცეულიყო; მე ვაპატიებდი მას, ბოროტმოქმედს, ბოროტს ბუნებით, მაგრამ ისინი იყვნენ ჩვეულებრივი ჯარისკაცები, ხშირად სენტიმენტალურობამდე მგრძნობიარენიც კი. კარგად მახსოვს, როგორ ატარა ერთმა მათგანმა ფრთამოტეხილი ჩიტი და როგორ

დატოვა საკუთარი ხელით მისთვის გაკეთებულ ბუდეში და როგორ ეჩხუბებოდა მეორე, ამ ადგილზე ჩიტი შეიძლება კატამ ან მელამ შეჭამოსო.

ერთი გაფიქრებითაც კი, რომ ის ადამიანები იყვნენ ჩვეულებრივი გულჩვილი ხალხი და მაინც გააკეთეს ეს, სისხლი მიჩერდება სხეულში და შიში მიპყრობს; მინდა მივეკრა ლოგინს და არა ვნახო არავინ არასოდეს, ხოლო იმ დღის შემდეგ მე დავკარგე უნარი, სხვებს ვუყურო თვალებში და, იცით რატომ? მე შეგპირდით და ყველაფერს ვიტყვი: ხშირად, ძალიან ხშირად, უძილო ღამეებში ჰოსპიტალში წოლის დროს, მე ვეკითხებოდი ჩემს თავს, რას იზამდი შენ იქ, ჯარისკაცების ადგილას, და, მთელი კაცობრიობის სამარცხვინოდ, იძულებული ვიყავი, მეღიარებინა «შესაძლოა, მეც ისევე მოვქცეულიყავი, ე.ი. დავხვრეტდი როგორც რუსეთის არმიის ჯარისკაცი, სწორედ გერმანელს, უდანაშაულო პიროვნებას, და გავუშვებდი მოღალატე, მართლა სამარცხვინო მოქმედების რუსებს». ამ ფიქრებისაგან ახლაც სისხლი მცემს თვალებში და ერთადერთი გამოსავალი მასში, არის ბოლომდე გამოვუტყდე, როგორც ახლა, ჩემს თავს ყველაფერში და ამითი მაინც ვნახო შვება, ნერვიული, დაძაბული, უღირსობის შეგრძნებით სავსე, ოღონდ მაინც შვება.

მე ვამთავრებ მოყოლას. აი, ეს ამბავი იყო, რაც შეიძლებოდა გამხდარიყო ტანჯვის მაძიებელი კაცისათვის ტრაგედიად. მე გეთანხმებით, რომ ბევრი რამ არის მასში გაუგებარი, უცნაური, თუმცა, შესაძლოა, ის გაცილებით უფრო გასაგებია თქვენთვის, ვიდრე მე თვითონ მესმის, ყოველ შემთხვევაში, ის, რაც მე ჩემი ხელით არ მიქნია, მაინც არ ითვლება კაცობრიობის კანონით ჩემს დანაშაულად (ის მხოლოდ ცოდვად აწვება მას, თითოეულს), ხოლო სხვისი ცოდვების მხრებით ტარება მე ვერ შევძელი და, აი, ნაყოფი _ ჩემი ხელით უდანაშაულო კაცის გაუმართლებელი მოკვლა, ნაყოფი ჩემი ახირებული, არაფრით დასაბუთებული უცნაური ფიქრებისა, სამწუხარო დადასტურება კაცობრიობის იმ კანონისა, რომ ვინც ჩაიდენს დანაშაულს, ის აგებს პასუხს, მე ვიტყოდი, მახინჯი დადასტურება, მაგრამ მაინც დადასტურება, რადგან იგი უკვე მოხდა და მისი ჩამდენი არ იყო გიჟი. მე დავამთავრე.

ბოლო ორი სიტყვა ზრდილობისათვის: მე დავამთავრე, ხოლო განსჯა თქვენი საქმეა და მე წინასწარ მივესალმები განაჩენს, როგორიც უნდა იყოს იგი...

ღმერთო ჩემო, საბოლოოდ მაქვს ჩემი საკუთარი დანაშაული, რომელსაც აღარ გავუყოფ არავის, როგორც მე არ გამიყვეს იმათ თავისი დანაშაული...

გურამი : ჩვენ მოვისმინეთ შენი ნაამბობი, იულონ.

პატ. გურამი: ჩვენ არ გაგვიშვია არც ერთი სიტყვა.

გურამი : მე პირადად ბევრი დრო მჭირდება, რომ მთლიანად შევიგრძნო შენი ნათქვამი.

ჯიმშერი : უცნაურად ცხადი იყო ყველაფერი.

ირაკლი : ჰო, უცნაურად ცხადი.

ჯიმშერი : იმდენად ცხადი, რომ თითქოს ძალიან ახლო მომიტანეს თვალებთან.

ირაკლი : მეც ეგეთი შეგრძნება მქონდა.

ჯიმშერი : ისე ახლოს, რომ თვალები დამიელმდა და ფოკუსი დავკარგე.

დიდი ბობა : ყველაფერი ცხადი იყო, კაცო, ოღონდ ვერ გავიგე.

სულხანი : არაფერი არ იყო მანდ გაუგებარი, ყველაფერი იდო ხელისგულზე, სწორედ საშუალო მანძილზე, და მე ვუყურებდი ზევიდან.

გიული : სწორს ამბობს სულხანი.

რეზო : საწყალი თეზიკო კი მკვდარია. იცით, როგორ ცურაობდა ზღვაზე?

გურამი : სამწუხაროდ, მე მხოლოდ ცივ ფაქტს აღვნიშნავ _ ვინც მოკვდა, უკვე იმდენად საინტერესო აღარ არის, სამაგიეროდ, ორჯერ უფრო საინტერესო ხდება მკვლელი.

ჯიმშერი : ჰო, სამწუხარო ფაქტია.

ირაკლი : რა თქმა უნდა.

სულხანი : არა, არა და არა.

გურამი : რა არა, ჰა?!

სულხანი : თქვენ არა სცემთ პატივს პიროვნებას.

რეზო : პიროვნება მკვდარია და ჯობია მისი ძველი ამბის მოგონებით ან სიჩუმით სცეთ პატივი.

პატ. გურამი: საწყალი თეზიკო.

სულხანი : ვიმეორებ, რომ არა.

რეზო : ა!

ჯიმშერი : რა, არა?

ირაკლი : ჰო, თქვი, კაცო, რა არა, იქნება სწორი ხარ.

სულხანი : მე რაღაცნაირად მეტი პატივი მინდა ვცე მას.

ჯიმშერი : ჩვენ არ გვინდა?

სულხანი : ნუ მეჯიბრებით, მე მაგ ტონით არ მითქვამს.

ჯიმშერი : არც მიფიქრია ეგ, უბრალოდ, შენ ისევ ის არ გამოგივიდა.

სულხანი : მე?

ჯიმშერი : ჰო, შენ.

სულხანი : არ მესმის, რა არ გამომივიდა.

გურამი : უფრო მეტი პატივისცემა. თეზიკომ გააკეთა თავისი საქმე, თუ ამას საქმე ჰქვია, იმითი, რომ მოკლეს.

რეზო : საწყალი ბიჭი.

ირაკლი : კარგი ტიპი იყო, ხო იცი.

გიული : ტიპი იყო, ხი, ხიკ.

ირაკლი : აბა!

გურამი : ჩვენ კი იმის შესახებ ვერაფერი გავიგეთ. მართლა თითქოს იმიტომ მოვიდა აქ, რომ მომკვდარიყო.

სულხანი : ყველაფერი ბურუსში გაეხვია.

ჯიმშერი : აქ ყველამა ვთქვით ყველაფერი, თითქოს გამოვიტანეთ გარეთ ჩვენი დარდები, ის კი მოკვდა უთქმელად.

რეზო : ვინ იცის, რა სათქმელი წაიღო თან; ეხ, ეხ.

პატ. გურამი: ვერაფერი გავიგეთ მის შესახებ.

გურამი : სამაგიეროდ, ორჯერ მეტი გავიგეთ იულონის შესახებ, რომელსაც მისი მოკვლის შემთხვევაში ვერ გავიგებდით.

სულხანი : ა!

გურამი : არაფერი, მე ოდნავ მიხარია კიდეც, რომ ერთის სიკვდილი დამეხმარა მეორის ხასიათის შეცნობაში, თავისი თავის სრულ ამოწურვაში.

ირაკლი : ეს უკვე რამეს ნიშნავს.

სულხანი : გაგიჟდით თქვენ? გაგიჟდით!

გურამი : არა, არ გავგიჟდით, უბრალოდ, არ ავღელვებულვართ.

ჯიმშერი : ო, მე თავბრუ მეხვევა და აღარაფერი აღარ მესმის.

რეზო : რას ლაპარაკობ, გურამ!

დიდი ბობა : მეც ვიტყვი, კაცის სიკვდილით გახარება იქნება, კაცო?

სულხანი : გიხაროდეს კაცის სიკვდილი?!
გურამი : მე არ მეგონა, თუ ასე გაგიკვირდებოდათ ეს ამბავი.
ჯიმშერი : რა ამბავი, გურამ?!
გურამი : რომ მე ოდნავ მიხარია კაცის სიკვდილი.
ჯიმშერი : შენ სისულელეს ამბობ, გურამ.
პატ. გურამი: შენ მაგაში დარწმუნებული ხარ?
სულხანი : უფრო მეტიც, უფრო მეტიც.
გურამი : რა უფრო მეტი?
სულხანი : შენ არა ხარ კარგი ადამიანი.
გურამი : სულხან, ნუ ღელავ, შენც გსიამოვნებს ცოტა ეს სიკვდილი, არა?
სულხანი : მე?!
ჯიმშერი : მაგას არ ამბობ მართალს, მე მგონი, მაგაში...
გურამი : რა, შენ გგონი, ა, მაგაში?
ჯიმშერი : შენ უკვე გადადიხარ...
გურამი : რაზე?
სულხანი : უსინდისობაზე, ჰო, უსინდისობაზე.
გურამი : ო, მე ძალიან მიხარია.
ირაკლი : გიხარია?
სულხანი : რა გიხარია?!
ჯიმშერი : უკვე აღარ მესმის რა გიხარია?!
გურამი : მიხარია, რომ უსინდისო მაინცა ვარ.
სულხანი : შენ უსინდისოც არა ხარ, შენ...
გურამი : მე მეტი ვარ?
სულხანი : ჰო, ჰო, მეტი ხარ, მეტი, მე ვერ ვამბობ...
რეზო : ან რა არის სათქმელი... ეგ უგულობაა.
ირაკლი : მართლა უგულობაა.
გურამი : დღეს ჩემი დღესასწაულია.
ბიჭები : დღესასწაული?!
გურამი : რატომ გიკვირთ, რატომ ღელავთ ასე ძალიან?
სულხანი : შენ, შენ ჭკუაზე ხარ?
დიდი ბობა : მე? არა.
სულხანი : შენ, შენ, გურამ!
გურამი : ისეთ ჭკუაზე ვარ, როგორც არასოდეს. რომ გიყურებთ, ოდნავ მეცინება კიდეც.
სულხანი : შენ შეურაცხყოფას გვაყენებ ყველას.
გურამი : აი, ახლა, ასე თუ ისე, სწორი ფორმულირება მიეცით ჩემს სათქმელს.
სულხანი : იცი, მე ყოველთვის გულში ვფიქრობდი, რომ შენ ასეთი ხარ.
გურამი : საინტერესო აზრები გქონია დამარხული, აბა, კიდევ გაქექე, იქნებ იპოვო, რომ მე მოწოდებით მკვლელი ვარ.
სულხანი : შენ უსინდისო ხარ.
გურამი : რაც შეეხება მაგ მუხლს _ მე მხოლოდ მწერალი ვარ, ამიტომ მიხარია კაცის სიკვდილი, მერე დავწერ ამის შესახებ.
ჯიმშერი : შენ ტყუიხარ, გურამ.
გურამი : საიდან მოგივიდა თავში ასეთი უცნაური აზრი.
სულხანი : ასეთი ცივსისხლიანობა ასეთ დროს, შენ რა უნდა დაწერო?! მე ყოველთვის ვფიქრობდი, რომ შენ ასეთი ხარ.

გურამი : შენც მწერალი ხარ, არა? ხედავ, რა ჭვრეტის უნარი გვაქვს მწერლებს, საკმარისია კაცი დაინახო, რომ უკვე იცი, რა კაცია, არა, სულხან?

სულხანი : გურამ, ნუ გამოგყავარ მოთმინებიდან, მე ვერ ვაგებ ჩემს თავზე პასუხს.

გურამი : მე ყოველთვის ვითვალისწინებ მაგას შენთან ლაპარაკის დროს.

სულხანი : შენ უსამართლო ხარ, გურამ.

გურამი : უსამართლო?

გიული : ხი, ხიკ.

სულხანი : ჰო, უსამართლო, უსამართლო.

ჯიმშერი : მე რომ შენ არ გიცნობდე, გურამ, ვიტყოდი, რომ მართლა უსინდისო ხარ.

ირაკლი : ეგეთი შთაბეჭდილებაა.

გურამი : როგორი, ირაკლი, გენაცვალე?

გიული : ხი, ხიკ.

ირაკლი : ჩემ პირადობასაც ეხები?

გურამი : ო, როგორი ამაყები ხართ, ახლო არ უშვებთ კაცს თავის პირადობასთან; სკოლის დირექტორი რომ ვიყო, ქების სიგელს მოგცემდით.

სულხანი : ეგ შეურაცხყოფაა.

გურამი : აა? გასაგებია.

გიული : ხი, ხიკ.

სულხანი : შენ მოთმინებიდან გამოგყავართ ჩვენ.

გურამი : ნუთუ არის მდგომარეობა, საიდანაც ჩვენი გამოსვლა შეიძლება.

ირაკლი : კიდე კარგი, იკადრე და ერთად გვახსენე ყველა, შენს თავთან ერთად.

გურამი : ეგ არაფერი შეღავათია თქვენთვის, იმის შემდეგ, რაც უსინდისო დამიძახეთ.

ირაკლი : მე არა...

გიული : ხი, ხიკ.

გურამი : ჰე, ჰე, ჰე, გაგიხარდათ ყველას, რომ ჩემთან ერთად გახსენეთ, სულხანს უცებ გაუხდა ჩემი მომმხრობი სახე, ჯიმშერს კი, ჭკვიან ჯიმშერს, გაორებული, ვითომ ვერც ამჩნევს, რომ ჩემს მხარეს გადმოვიდა სიამოვნებით.

ჯიმშერი : მე, არა, იცი...

გურამი : შენ წარმოიდგინე, ვიცი.

სულხანი : მე მართლა სულ ავირიე, დავიბენი, ბოდიში, აღარ მესმის, გარდა ერთისა, რომ შენ არა ხარ კარგი კაცი.

გურამი : ოო, სწორედ ეგ მინდოდა მეთქვა, ღმერთს გეფიცებით, მე ეგ ცუდი კაცის სახელი მსიამოვნებს, უფრო მეტიც, მე ეგ მამართლებს, ეგ ამართლებს ჩემს ახლანდელ მდგომარეობას.

ირაკლი : არა მგონია, ხო იცი...

გიული : ხი, ხიკ.

გურამი : ირაკლი, შენ, ჯობია, საერთოდ ხმა არ ამოიღო. მე მსიამოვნებს თქვენი გაბრაზება, შეურაცხყოფა, რადგან, ასეთი შეურაცხყოფის შემდეგ, უცებ გულში გიხარიათ, როცა ჩემს მხარეს გახსენებთ. და, იცით, რატომ? უბრალოდ, თქვენც ჩემსავით გეშინიათ, იყოთ სინდისიერები, პატიოსნები. მაშინ ჩვენ ერთი გზაღა დაგვრჩებოდა, იქითკენ, აი ... ამიტომ არ მინდა მე თქვენს თვალში ვიყო კარგი კაცი და, რაც ყველაზე

საზიზღარია, სამართლიანი, და იგივე გინდათ ქვეშეცნეულად ყველას. რა, არა?

სულხანი : ჰო. არა, მე ვრჩები პატიოსან კაცად.

გურამი : და შენ არ გეშინია ეგეთი სახელის?

სულხანი : ერთი წამითაც არა.

გურამი : სულხანი არის ჩვენში ყველაზე პატიოსანი ადამიანი! თქვით ყველამ.

გიული : ხი, ხიკ.

ჯიმშერი : სულხანი ყველაზე პატიოსანი ადამიანია მართლა და რატომ, მაგან...

ირაკლი : მართლა პატიოსანი კაცია სულხანი. მე გურამის შანტაჟურ სიტყვას კი არ ვიმეორებ.

დიდი ბობა : წმინდა კაცია და მორჩა. არ ეტყობა რომ ბავშვური გული აქვს? ყოველ სიტყვაზე იბნევა.

რეზო : ეგ დაბნევა სჯობია სულ სიმართლის ლაპარაკს პირში.

პატ. გურამი: კრისტალური, გულუბრყვილო და პატიოსანია.

გურამი : აი, ჭეშმარიტება! შენ ხარ პატიოსანი ადამიანი.

სულხანი : მაპატიეთ, კინაღამ ფეხი წამოვკარი ცხედარს და იმიტომ წავბორძიკდი, ღმერთო ჩემო! სიამოვნებით დაგახრჩობდი, გურამ. რა მართალი ხარ და მაგ სიმართლისთვის სწორედ. როგორ შეიძლება იდგე აქ პატიოსანი ადამიანი და უყურებდე ყველაფერ ამას! არა! არა!! მე არა ვარ პატიოსანი, მე ვერ ვატარებ მაგ ტვირთს ზურგით, მე უსინდისო ვარ, მე შენზე უსინდისო ვარ, ყველაზე უსინდისო.

გურამი : სულხან, ნუ ვარდები მეორე უკიდურესობაში და ნუ იძახი ყველაზე. მე ხომ გავიხუმრე და გაგაღიზიანეთ თქვენ, რომ დამეწყნარებინა ჩემი ნერვები.

ჯიმშერი : ო, ეგ ბოროტი ხუმრობაა.

გურამი : ბოროტი, ოღონდ მე განვიწმინდე და თქვენდამი უფრო კეთილი ვარ, ვიდრე თქვენ ჩემდამი; მე, როგორც უაღრესად ეგოისტს, ეს მდგომარეობა არაჩვეულებრივად მსიამოვნებს.

სულხანი : მე მინდა ვთქვა და აღარ შემიძლია.

ჯიმშერი : შენ ჩვენ ჩიხში გვაყენებ.

ირაკლი : ჩიხში გვაყენებს, ხო იცი.

დიდი ბობა : საკუთარი თავი არა გაქვთ. მე როგორცა ვარ, ისე ვდგავარ ყოველთვის.

გურამი : რომელი ხართ გულწრფელი? _ მაგაზე არც ერთი არ იტყვით უარს, ვიცი. _ თქვით: ვარ თუ არა მე უსინდისო და სადღაც მკვლელობის ჩამდენის ტოლი თქვენს თვალში.

სულხანი : ხარ.

ირაკლი : ხარ.

ჯიმშერი : ხარ და თითქოს არა ხარ და სულ სხვა ხარ.

გურამი : არ მაპატიოთ. მე ისევ ბოროტად ვსარგებლობ თქვენი აღგზნებადობით, უფრო სწორად, გულუბრყვილობით.

სულხანი : თანდათანობით გასაგები ხდება.

ჯიმშერი : ეგ არ არის პატიოსნება, ისარგებლო მეგობრების ნდობით.

გურამი : მეგობრების?

ჯიმშერი : რატომ გიკვირს, არა გვთვლი მეგობრებად?

სულხანი : გასაგებია, ეგ არა გვცემს პატივს, მაგას ეგ არ შეუძლია.

გურამი : პირიქით, უფრო მეტ პატივსა გცემთ, ვიდრე, შეიძლება, გეკუთვნით _ მე მინდოდა მეთქვა, ვიდრე თქვენა მცემთ მე. თქვენ ჩემი ოდნავ გეშინიათ, იმიტომ რომ თქვენზე ლოგიკურადა ვმსჯელობ _ გულში კი ჩვენ ყველანი ერთნაირად პატიოსანი მართლები ვართ. მე რითი ვარ თქვენზე პატიოსანი, იცით? _ მე არასოდეს არ გაპატიებთ არაფერს მხოლოდ იმისთვის, რომ ჩემი მეგობრები ხართ, არ ვეფარები მაგ სიტყვას (მეგობრობას), მე თქვენ არა გთხოვთ იმსჯელოთ ჩემზე თქვენთან კავშირში და, ჩემი მხრით, არ ვლაპარაკობ თქვენზე, როგორც ჩემს მეგობრებზე. თქვენთან საქმე მაქვს, როგორც ცალკე ადამიანებთან.

სულხანი : აი, ახლა... ეგ სწორი მიდგომაა.

გურამი : ეგ მიდგომა კი არ არის, ეგ ეგრეა და, ვინც ეგრე არ აკეთებს, ის მშიშარაა.

ჯიმშერი : ჰო, მაგაშიც სწორი ხარ. შენ ჩვენ აგვრიე, თორემ ყველანი მაგ აზრისა ვიყავით.

გურამი : როგორ? მე ისევ ახალ შანტაჟს მოგიწყობთ. უფრო სწორად, თქვენი დახმარებით შევეკამათები ჩემს თავს.

სულხანი : შენ სულ გამოგვყავი ჩვენ.

გურამი : პირიქით, თქვენ არსებობთ იმდენად, რამდენადაც მე ვმსჯელობ თქვენზე.

ირაკლი : ეგ ფილოსოფიაა.

გურამი : ეს მე ვარ. აი, თქვენ დარწმუნდით, რომ მე მშიშარა არა ვარ და სიმართლეს პირდაპირ ვუყურებ თვალებში.

სულხანი : ეგ სწორია, მაგის უნარი შენ ყველაზე მეტადა გაქვს.

გურამი : აბა, შეხედეთ მეორე მხრიდან. იქნება ეს ყველაზე მეტი შიშია, რომ არ შემიძლია, რაიმეც კი გაუგებარი დავტოვო ჩემს თავში; თქვენ იცით, რომ მე მდევნის გაუთავებელი შიში რაღაცა ჩადენილი დანაშაულისთვის და მაგ შიშმა ქვეშეცნეულად მიმიყვანა იქამდე, რომ აქ იულონის გვერდით გამეყო დანაშაული და არ ვყოფილიყავი მისი მსაჯული, როგორც ეს როლების გაყოფის დროს მოხდა.

სულხანი : ეგ სწორია, ეგ შიში.

ჯიმშერი : არ შემიძლია, არ დაგეთანხმო _ სწორია..

ირაკლი : ჰო.

გურამი : ოი, თქვენ ან მეთანხმებით, ან არ მეთანხმებით, ან სწორია, ან არ არის სწორი. იცით? ამ ბოლომდე გაგებისგან მე, სინამდვილეში, აღარაფერი არ მესმის და, საერთოდ, მიკვირს, რომ მსჯელობა შემიძლია, ოღონდ ამაში მაინც არ ვცდები, თუნდაც იმიტომ, რომ ყურს მიგდებთ, რაც სულ არ მიეწერება თქვენს ზრდილობას... ერთი წამიც, ნუ აღელდებით, მე ჯერ ბოლომდე არ მითქვამს, ნუ იჩქარებთ ან «არა» თქვათ და აყაყანდეთ, ან «ჰო» და მოიწყინოთ _ თქვენ იცით, რომ ორი დიამეტრულად საწინააღმდეგო აზრი ან ამბავი, შეიძლება ერთნაირად სწორი იყოს ადამიანის შეგრძნებისათვის და თითოეულის სისწორის ფიზიკური შეგრძნება იმდენად ცხადია ასეთ დროს, რომ ყოველგვარი, საკუთარი თავიდან გამომდინარე, ჭეშმარიტი ლოგიკა, საწინააღმდეგო ფიზიკური შეგრძნებისა, უსუსური ჩანს. აი, ხედავთ, სულ ერთ სიტყვაში სამი სხვადასხვა რამე ვთქვი და ყოველი იმათგანი გამოდგება ჭეშმარიტებად, სხვა, მათი საწინააღმდეგო, რომ არ მოდიოდეს თავში. ამიტომ არის, რომ მარტივ ადამიანს გაცილებით კარგად ესმის ჭეშმარიტება, ვიდრე

მრავალმხრივად განვითარებულს. მაშ, მოდით, სასამართლოს მსვლელობის დროს ეცადეთ იფიქროთ მხოლოდ აზრის ლოგიკურ სისწორეზე _ როგორიც უნდა იყოს ის, მაინც ვერ გაექცევა ჭეშმარიტებას, ისევე როგორც მაინც ვერ შეიცნობს მას. ახლა კი მე ისევ მოსამართლე ვარ.

რეზო : როგორ შეიძლება მოსამართლე საქმის შედეგის მიმართ წინასწარ პესიმისტურად იყოს გამსჭვალული და თავს ძალით აღიგზნებდეს.

პატ. გურამი: პესიმისტი არ შეიძლება იყოს მოსამართლე.

სულხანი : არა, ეგ ოპტიმისტია. მე მივესალმები მაგის ოპტიმიზმს, რომელსაც ამდენი ლოგიკურად დასაბუთებული საწყისი აქვს. მე მყოფნის იმდენი ვაჟკაცობა, რომ პირადი ანგარიში გვერდზე გადავდო საქმის გარჩევისას. აი, ეგრე, ოპტიმისტურად, რომელსაც არც ერთი წინააღმდეგობისა არ ეშინია _ გაარჩიე, გურამ, საქმე.

ჯიმშერი : გურამი ოპტიმისტია, როგორც მოქალაქე, ხოლო როგორც მსაჯული...

სულხანი : მაგაშიც ოპტიმისტია.

ირაკლი : ჰო, ოპტიმისტია.

დიდი ბობა : საქმის გარჩევას ოპტიმიზმი რად უნდა.

გურამი : ეჰ, თქვენ მე ყველას უნდა გაგიწიოთ ანგარიში, საკადრისი ლანძღვით მაინც, თქვენ კი ერთხელაც არ იფიქრეთ ჩემზე, ეს მაშინ, როცა თითქოს მე მხოლოდ ჩემს თავზე ვფიქრობ, თქვენ კი სხვებზე.

ჯიმშერი : რა, არ გინდა იყო მოსამართლე? მე ასე გავიგე.

გურამი : შენ გაიგე სწორად, მაგრამ არათუ არ მინდა _ არ შემიძლია, მე არც ოპტიმისტი ვარ, არც პესიმისტი. უფრო სწორად, მოკლებული ვარ რაიმე ასეთ გამოკვეთილ გრძნობას; მე ადამიანი ვარ ტენდენციების გარეშე, ხოლო მსაჯული წარმოუდგენელია უტენდენციოდ. ის, უპირველეს ყოვლისა, უნდა იყოს ცალმხრივ უფრო მეტად განვითარებული, რაც მის შეზღუდულ გონებას გამოყოფს, აიძულებს კონკრეტული საქმის შესახებ კონკრეტულადვე იმსჯელოს და გამოიტანოს სადღაც, სულ ღრმად, _ ჩვენთვის შეუმჩნეველი, მაგრამ ყოველთვის წვრილმანობამდე სწორი განაჩენი; სხვათა შორის, ამ თვისებით დაჯილდოებულია ყველაზე მივარდნილი უბნის მოსამართლეც კი _ ისინი მათემატიკური სიზუსტით საზღვრავენ ყველაზე უმნიშვნელო დანაშაულის ზომას, საზღვრავენ ყოველგვარი ფსიქოლოგიური დაკვირვების გარეშე. მე კი როგორ შემიძლია ვიყო მსაჯული, როცა ჩემი თავი ერთი წამითაც კი არ მემორჩილება, ის მაიძულებს ვაღიზიანო ხალხი _ თქვენ, როცა ეს საჭირო არ არის _ და, ჩემი ლოგიკურად თუ ფსიქოლოგიურად სწორი დაკვირვებებით, წავიდე სრულიად მცდარი მიმართულებით... მე უსუსური ვარ წვიმაში მოხვედრილი ჩიტივით, მე იულონის დანაშაულის შემსუბუქებაც კი ვერ შევძელი ჩემი ლაპარაკით და მის გამართლებას შევძლებ? გახსოვდეთ, მოსამართლის ვალია არა დასჯა, არამედ გამართლება, რადგან სასჯელის სწორად მიყენება ქვითავს მის დანაშაულს. იულონ, ძმაო, მაპატიე, მე მინდოდა შენი დანაშაულის განაწილება ჩემს თავზე და ვერ შევძელი.

იულონი : ვერ შეძელი?

გურამი : ჰო, ვერ შევძელი.

იულონი : რა ვერ შეძელი?

გურამი : ვერ შევძელი თეზიკოს მკვლელობის გადმოტანა ნაწილობრივ მაინც ჩემს თავზე... მე მხოლოდ ის ტრაგედია, შენი და ყველასი, აღვიქვი ჩემად და მაშინვე უკან დავიხიე.

იულონი : ა!

ჯიმშერი : ჩვენ ამ ამბებიდან გამოგვრჩა ყველასთვის ყველაზე ძირითადი.

სულხანი : ჩვენ გავერთეთ ჩვენი თავით და უკან დაგვრჩა იულონის ნათქვამი. აი, ეს არის გურამის დანაშაული.

გურამი : ეგ იყო ჩემი დანაშაული, მაგრამ ისე ამაღელვა იმ ამბავმა, რომ მომინდა რაიმე მსგავსი ჩამედინა; მე ვერ შევძელი მისი ზიდვა, როგორც ვერ შეძლო ეს იულონმა.

სულხანი : ასეთი აბსტრაქტული ტრაგედია არ ძალუძს ატაროს ადამიანმა მხრებით.

ჯიმშერი : და ადამიანი, იულონივით, იძულებულია მატარებელი გახდეს საკუთარი კონკრეტული ტრაგედიისა.

გურამი : ღმერთო ჩემო, მე კი მხოლოდ სასაცილო გავხდი, ყბედი და სასაცილო.

სულხანი : მე დარწმუნებული ვარ, შენ მაგას არ ამბობ იმისთვის, რომ განუგეშოთ.

გურამი : მე მზადა ვარ გადაგკოცნო შენ, შენი კარგი კაცობისთვის.

სულხანი : მოდი, გადავკოცნოთ. მე, იცი, რა გულუბრყვილო გული მაქვს?! მე დიდხანს არ ვიმახსოვრებ გაბრაზებას.

გურამი : აი, მაგ გულუბრყვილობისთვის გენაცვალე; სინამდვილეში ხომ მხოლოდ იმისათვის ვთქვი ბოლო სიტყვები, რომ თქვენ გენუგეშებინეთ, გეთქვათ, რომ მე არ გავხდი სასაცილო და, ღმერთო ჩემო, როგორ უცებ დაიფანტნენ მთელი ჩემი სისწორეები.

გიული : ხი, ხიკ.

დიდი ბობა : ერთადერთი სწორი აქ არის თეზიკოს მოკვლა და ისიც იულონს ეკუთვნის.

სულხანი : ის გვეკუთვნის ჩვენ ყველას.

დიდი ბობა : რამდენიც გინდათ ილაპარაკოთ, მაინც იულონმა მოკლა ის _ ფაქტი! _ გესმით?!

იულონი : დიახ! დიახ! ეს მარტო ჩემი ტრაგედიაა და მას ვერ დაგანებებთ თქვენ, მხოლოდ მე ვაგებ მასზე პასუხს, გესმის, გურამ, ყველა შენი ცდა ყურადღების ცენტრში ჩადგომისა, რომ ეს ამბავი გაგეყო, ტყუილი იყო... ტყუილი...

სულხანი : ნამდვილად ტყუილი.

ირაკლი : ტყუილი.

გიული : ხი, ხიკ.

გურამი : ტყუილი? იცით, რა არის ტყუილი? ახლა მართალს გეტყვით და დასკვნა თქვენ თვითონ გააკეთეთ: сейчас я хотел только поддразнить вас, чтоб скрыть мое физическое волнение, необусловленное, бесформенно страшное, скрыть от самого себя.

გიული : ხი, ხიკ.

გურამი : ამას მე განგებ ვამბობ რუსულად, რადგან, მიუხედავად თავისი ვულგარულობისა, უცხო ენაზე ნათქვამი თითქოს ხაზს უსვამს, მაღლა აგდებს ან, პირიქით, დაბლა, მყარად სვამს და გასაგებს ხდის აზრის საზღვრებს ყოველთვის; ... ეჰ, ისევ ვიმართლებ თავს, რომ რუსულადა

ვთქვი, ისევ ის შიში რაღაცისადმი, რომელიც მაიძულებს, ბოლომდე ჩავწვდე თითოეულ ფრაზას, ჩემგან ნათქვამს ან ნაფიქრალს, თითოეულ სიტყვას, რაც (როგორც გაკვრით აღვნიშნე) წარმოუდგენლად მაშორებს ძირითადი ცოდნისაგან, იმ ცოდნისაგან, რომელიც იცის ყველა რიგითმა ადამიანმა, რომელიც რაღაცნაირი კანონზომიერებით აკეთებს, ამბობს, რაც მართლა გაუხარდება, ე.ი. სიმართლეს, და არასოდეს თავს არ იმართლებს (იმიტომ რომ არ აშავებს). სად, სად შემიძლია მე მივიღო ეს ცოდნა, მე ხომ ნახევრად დაუმთავრებელი ადამიანი ვარ, დაბადებული უჭეშმარიტებოდ და ჩემი მიზანი მხოლოდ ის არის, ვიპოვო ის მარტივი ჭეშმარიტება, რაც, როგორც ვთქვი, იცის ყველა რიგითმა მუშაკმა... ეჰ, მე ისევ გავერთე საკუთარი თავის ანალიზით.

სულხანი : ეგ ყველასი ჩვენი ტრაგედიაა.

ჯიმშერი : ჰო, სამწუხაროდ, მეტად თუ ნაკლებად.

გურამი : ვაჰ მე, ოჰ თქვენ, ოღონდ დაეთანხმოთ კაცს, მომეწებეთ ზედმეტი ჩემი თავის დამატებებივით და მე, თუ კიდევ, ასე თუ ისე, თავს ვინარჩუნებ, მხოლოდ იმიტომ, რომ შემიძლია დაგცინოთ თქვენ, ისევე როგორც შემიძლია დავცინო ყველა ჩემს აზრს და უცებ გავხდე მხიარული, უცებ მომეშვას გულზე.

სულხანი : აი, ჩვენ ეგ არ შეგვიძლია, შენ ცოტა ზერელე ხარ.

გურამი : თქვენ, ერთად, შენს თავთან ერთად? თუმცა თქვენ მართლა ერთად ხართ, თქვენი უბედურება კი ისაა, რომ არ შეგიძლიათ ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლა, უფრო სწორად, არ შეგიძლიათ აღიქვათ, რომ გულზე მოშვებაც და მოწოლაც ერთი და იგივე მდგომარეობაა.

გიული : ხი, ხიკ.

იულონი : გურამ!

სულხანი : გურამ, იულონი?!

ირაკლი : იულონი!

ჯიმშერი : სულ დაგვავიწყდა.

იულონი : «სულ დაგვავიწყდა», დიახ, სულ დაგავიწყდით. ყველანი გაერთეთ თქვენი თავით. მე ვუცდი, დამნაშავე, განაჩენს და ვბრაზობ _ როგორ შეგიძლიათ ამდენი ილაპარაკოთ თქვენს თავზე? როცა კაცის მკვლელი, რომელმაც თავისი დანაშაული მთელი სიგრძე-სიგანით იცის, დგას თქვენ წინ, რომლებმაც დაივიწყეთ ის. მაგრამ მე არ მოგცემთ ამის საშუალებას, დამივიწყოთ მე, ჩემი ტრაგედიით.

რეზო : იულონი სწორია.

სულხანი : მართალს ამბობს.

ჯიმშერი : ჩვენ ახლა მართლა მასზე მეტად დამნაშავენი ვართ _ მან კაცი მაინც მოკლა, ჩვენ კი ცოცხალს ვაყენებთ შეურაცხყოფას.

გურამი : ეგ მკვლელია და ეგ უნდა გაწვალდეს. თუნდაც მაგითი. მაგის დანაშაულს არა აქვს შემსუბუქება.

სულხანი : როგორ შეგიძლია ასე ცივად იმსჯელო.

გურამი : გონებით.

იულონი : თქვენ ისევ მივიწყებთ მე.

გურამი : ნუ გეშინია, შენ შენი დარდი თავისთავად არ მოგცემს მოსვენებას.

იულონი : რომელი დარდი?

ჯიმშერი : რომ ერთთან ერთად არ აგებს საზოგადოება პასუხს.
გურამი : შენ ამაში რწმუნდები, როცა შენ გვერდს გივლით.
იულონი : ხი, ხი, ხი, მე ვიცინი, გესმით?
გიული : ხი, ხიკ, გვესმის.
გურამი : რატომ იცინი, არ გვესმის, იქნება გინდა გაგვაღიზიანო, როგორც ეს მე გავაკეთე.
იულონი : შენ სწორი ხარ.
სულხანი : გინდა გაგვაღიზიანო?
იულონი : ჰო, მინდა გაგაღიზიანოთ.
გურამი : ადამიანი, რომელსაც აქვს ამდენი აბსტრაქტული ტრაგედია, სხვას ვერ გააღიზიანებს; ჩემს მაგალითზე ვიცი, თვითონ უფრო აეშლება ნერვები.
იულონი : რა აბსტრაქტული ტრაგედია?
გურამი : როცა სხვებს ისევე არ ექცევიან, როგორც ერთს.
იულონი : აჰ, ის ამბავი, ბავარიელის დახვრეტის შესახებ, რომელიც შეიძლება ტანჯვის მაძიებელი კაცისათვის იქცეს ტრაგედიად?
ჯიმშერი : რატომ იხსენიებ ასე ზერელედ შენი ცხოვრების ტრაგედიას, რომელიც საკუთარი თვალით ნახე და განიცადე?
გურამი : მაგას უნდა გაგვაღიზიანოს, მაგრამ აქ გამოცდილი ხალხია, ეს არ გამოვა.
იულონი : არ გამოვა.
დიდი ბობა : აჰ!
სულხანი : არავითარ შემთხვევაში.
იულონი : რომ არ გამოვა, ეგ ვიცი, მაგრამ რა არის გამოსასვლელი, ეგ არ მესმის.
რეზო : ჩვენი გაღიზიანება. ო, რა არის ეს იულონი!
პატ. გურამი: ვითომ არ იტანჯება იმ დარდით.
გიული : ხი, ხიკ.
იულონი : ბავარიელის დახვრეტით ვიტანჯები? თქვენ რა, მართლა გეშინიათ, რომ გაგაღიზიანებთ, ისე შორს იჭერთ ჩემს ცდას, არა? ჰო, იმ ბავარიელის შესახებ კი ვიტყვი უბრალო სიმართლეს _ ეს თვითონ გურამმაც იცის და რატომ დაივიწყა, არ მესმის... მე ფრონტზე საერთოდ არა ვყოფილვარ, მე სულ ყოველთვის, როგორც ავადმყოფი, ზურგში ვიჯექი და პურის მოსავალს ვიღებდი.
გურამი : აა, ახლა მაგონდება... დედაშენი მიყვებოდა.
სულხანი : ღმერთებო... შენ რა, ტყუოდი? ყველაფერი ტყუილი მოყევი?!
ჯიმშერი : ის ამბავი?.. იყო...
იულონი : ის ამბავი მე არ მომსვლია, მე სანადირო თოფიც კი არ მისვრია არასოდეს.
ირაკლი : თვალს გვიხვევდა ყველას.
რეზო : ჩაქოლვა უნდა მაგას.
სულხანი : ჰო, ჰო, ჩაქოლვა მაგ მამაძაღლს.
იულონი : რბილად ოდნავ, მე უფრო მეტს ვიტყვი.
გიული : აღარ ათქმევინოთ.
სულხანი : ა!
გიული : აღარ ათქმევინოთ.
ირაკლი : რა აღარ ვათქმევინოთ?
იულონი : არაფერი ისეთი.

ირაკლი : მართლა, აღარა თქვას არაფერი, ეგ ჩაქოლვის ღირსია.

იულონი : მაცალეთ, მე მინდოდა მხოლოდ მეთქვა, რომ მაგ ისტორიას მომიყვნენ ექსკურსიის დროს. იცით, ვინ მომიყვა?.. გრიგოლაშვილი _ კინოსტუდიის დირექტორი.

ირაკლი : ეს უკვე მეტისმეტია.

სულხანი : იულონ, ხალხის დაცინვა ყველაზე მეტი დანაშაულია.

რეზო : ეგ არ ჩაგივლის ასე. საწყალი თეზიკო.

პატ. გურამი: რა ბიჭი მოკლა, მერე ვინ?!

გურამი : იულონ, გეყოფა ხალხის გაღიზიანება.

იულონი : გაღიზიანება? არც მიცდია...

ირაკლი : არც უცდია..?!

გურამი : რას ნიშნავს შენი ტონი და იმის უარყოფა, რასაც მე გულში თითქმის ვამართლებ.

იულონი : თქვენ არ მაცდით და ისე ღელავთ; მე არ მითქვამს, რომ ყველაფერი ის არ მოხდა, მაგრამ მე მომიყვნენ... დიახ, მომიყვნენ.

რეზო : ეგ უნდა დახვრიტო.

იულონი : ეჰ, შეგეძლოთ მაინც კაცის დახვრეტა.

ირაკლი : თუ გადავწყვიტეთ, შეგვიძლია.

იულონი : ცოცხლად დამარხვა _ კი.

გურამი : აცალეთ იულონს.

იულონი : სწორია, აცალეთ. როგორც გეუბნებოდით, მე მდიდარი ფანტაზია მაქვს და სიმარტოვისგან აღგზნებული ნატურა, ამიტომ გახდა მონაყოლი ჩემს ტრაგედიად და ეს უფრო სარწმუნოა, რადგან ჩემი სწორად მონაყოლი, და არა თქვენი თვალით ნანახი, იქცა გურამისათვის და თქვენთვისაც სინდისის ტრაგედიად და ამ ტრაგედიამ მისცა ერთი მიზანი თქვენს აზრს, ლაპარაკს; მთავარი ის არის, რომ ის ამბავი საერთოდ იყო და არა ის, მე დამემართა პირადად თუ არა. თქვენ კი არც ცდილხართ გაგეგოთ, ისე აღელდით ბავშვებივით.

სულხანი : მართლა ისე მოგვივიდა.

ჯიმშერი : რა მოგვივიდა «ისე», აქ იმ ტრაგედიაზე აღარ არის საქმე, არამედ თვითონ იულონში უნდა ვეძიოთ, მის ტონში.

ირაკლი : ჰო, მის ტონში უნდა ვეძებოთ.

გურამი : ეჰ, თქვენ /გვერდზე/, მეც /იმათ/ სწორედ იმიტომ, რომ ორ გრძნობას, მოშვებას და მოწოლას, ვერ აერთიანებთ, იმიტომ რომ არა გაქვთ უნარი, დასცინოთ თქვენივე თავს, ყოველ ნაბიჯზე იბნევით მოწაფეებივით.

სულხანი : ღმერთო, სადღაც მივფრინავ, ყველაფერს, ყველაფერს ვწყდები... მე პატიოსანი ადამიანი ვარ, გესმით...

დიდი ბობა : პატიოსნებას შეეშვით, კაცო დამნაშავეს მიხედეთ.

ჯიმშერი : აი, ის ამბავი, რომელიც ფრონტზე მოხდა...

გურამი : ის ამბავი შენ არ გესმის... არ ამყვე... ის ამბავი მხოლოდ შეიძლება იგრძნო...

იულონი : რა ამბავი?

გურამი : გერმანელის დახვრეტის...

იულონი : რომელსაც მე მომიყვნენ?..

გურამი : ჰო,რომელსაც შენ მოგიყვნენ.

იულონი : ნუთუ შენც დაიბენი?

გურამი : არ მესმის.
იულონი : არ გესმის?
სულხანი : არ გვესმის.
ჯიმშერი : მე უარს ვამბობ მოსმენაზე.
ირაკლი : ვეღარ უძლებს გონება ამდენ არეულობას _ ახლიდანა ვთქვათ და დავაწყოთ.
იულონი : ახლიდან? ხი, ხი, ხი, მე ვიცი, თქვენ მზადა ხართ, ახლიდან, ყველაფერი ახლიდან დაიწყოთ, მაგრამ მე არ მოგცემთ ამის საშუალებას, მე კიდევა მაქვს ერთი სიურპრიზი თქვენთვის, გულშემატკივარი მოსამართლეებისათვის მომზადებული.
გურამი : იულონ, ნუ სარგებლობ ჩვენი მოთმინებით.
იულონი : ეგ თქვენივე სურვილია მხოლოდ. მე რომ გავჩუმდე, თქვენ გაგიჟდებით.
გურამი : ხომ ხედავ, მიუხედავად შენი ამხელა დანაშაულისა, ასეთი გულისხმიერებით და ლმობიერებით გექცევა ყველა.
იულონი : ლმობიერად და გულისხმიერად?
გურამი : ნუთუ შენ თვითონ ვერა გრძნობ.
იულონი : მე ვერა ვგრძნობ?
გურამი : რატომ ლაპარაკობ გამომწვევად?
იულონი : როგორ?! შენ გინდა რომ ლაქუცი დავიწყო, თავის დამცირება მას შემდეგ, რაც კაცი მოვკალი, უდანაშაულო კაცი, და არა ვნანობ ჩადენილ მკვლელობას? დიახ, არა ვნანობ.
სულხანი : არა ნანობ?
დიდი ბობა : ეგ როგორ, კაცო, მაშ, გიხარია?
ჯიმშერი : არ მესმის, არაფერი არ მესმის.
ირაკლი : მთლიანად გაუგებრობაში ვარ.
გურამი : იულონ!
იულონი : რა, «იულონ»! ისევ ახლიდან დავიწყოთ? სია-მოვ-ნე-ბი-თ, დიახ, სიამოვნებით; მე სწორედ ახლიდან ვიწყებ, რა მოგივიდათ? სად გაქრა თქვენი არტისტულობა, დაღლილი და მოწყენილი სახეები გაქვთ, მე კი ეს-ეს არის ვაგრძელებ თქვენს დაწყებულ წარმოდგენას, მე ამის გულისათვის კაციც კი მოვკალი; იცით, რატომ მოვკალი? _ რომ მქონოდა საკუთარი ტრაგედია? _ არა! გეტყვით: მე მინდოდა მხოლოდ და მხოლოდ წამეფორსა და მეტი არაფერი.
გურამი : ბოროტად ტყუიხარ, იულონ.
პატ. გურამი: ისეთი...
სულხანი : ბუნებრივი მკვლელობა იყო.
ირაკლი : ნერვიულობისაგან კაცს აღარ ჰგავდა.
იულონი : ნერვიულობისგან? აბა, თქვენ რა გეგონათ? მე ისევ და სულ ახლიდან ვიწყებ; აბა, თქვენ რა გეგონათ, როცა უბრალო სიტყვის თქმისას, არტისტულობისაგან აღგზნებული, გიჟებსა ჰგავდით. თვითონ გურამი არა ყვიროდა, ჭკვიანი ყველაზე, როგორც თვითონ იცის გულში, ყვიროდა, გაშლილი, მაღლა აწეული ხელებით: წერის დროს მე, აი, ასე მინდა ვიყვირო: აუ, აუუ... ბუსუსებმაც კი დამაყარა, ისეთი საზიზღარი იყო ყველაფერი, თქვენ კი გულში გსიამოვნებდათ თქვენი ყალბი არტისტულობა.

დიდი ბობა : ცოტაღა დაგრჩა სალაპარაკო, იულონ.

იულონი : მით უფრო დიდი ვნებით ვილაპარაკებ. იულონი კი იჯდა კუთხეში და თამაშობდა ვიღაც საცოდავის როლს, რომელიც იმიტომ შესთავაზეს მას, რომ თვითონაც საცოდავი ეჩვენებოდათ _ იულონი დიდი თავით, გაცვენილი თმით, წვრილი კისრით და ვიწრო, მონგრეული მხრებით.

გურამი : გეყოფა, იულონ!

გიული : ხი, ხიკ!

იულონი : რა «იულონ»! ა! ხი, ხიკ, ხი, ხი, გინდა ეგ სიტყვა უფრო ხმამაღლა იყვირო, სხვათა შორის, მშვენიერი იქნებოდა ეგ სახელი ბერძნულ თეატრში; აბა, სათითაოდ დამიძახეთ თქვენებური ინტონაციით ყველამ: იულონ!

სულხანი : იულონ!

რეზო

პატ. გურამი} იულონ!

ირაკლი : იულონი, კაცო, ხედავთ?!

გიული : იულონი.

დიდი ბობა : იულონ?!

გურამი : იულონ!!!

იულონი : ჰო, ჰო, ჰო, ჰო, ჰო, ჰა, ჰა, ჰა, იულონ! ჰა, ჰა, ჰო, დიახ, მე ვარ იულონ... მე მეჩვენება, რომ ახლა ოიდიპოს მეფესავით ვდგავარ შუა სცენაზე, თქვენ კი გამოგიშვერიათ ხელები ჩემსკენ და იძახით: იულონ! იულონ! ეს წამი არის უმაღლესი წერტილი ჩემი დამალული არტისტულობისა; მაშ, იცოდეთ, ეს წამი, როცა მთელი ყურადღება ჩემზეა მომართული, ღირდა იმ ცოდვად, რაც მე ჩავიდინე და, რომ შეიძლებოდეს ამ წამის გამეორება, ახლიდან ჩავიდენდი იმ ცოდვას. ახლა მე მესმის ტორეადორისა, რომელიც ჩემსავით დგას შუა არენაზე, მომზადებული უდანაშაულო მსხვერპლის გასაგმირად, ხოლო რაც უფრო დიდი, ალესილი რქები აქვს მსხვერპლს, რაც მეტია საფრთხე, მით უფრო დიდია დიდების გრძნობა, მთელი ცირკი მისი სიცოცხლის ყოველ რისკს ბღავილით ხვდება, და, აი, დგება წამი, როცა ის და ხარი სამარისებურ სიჩუმეში უახლოვდებიან ერთმანეთს; კაცის ხელი, რომელსაც იარაღი უჭირავს და ბრმა რქები _ და ხდება ის! მკვლელობა! მთელი დარბაზი, როგორც ერთი კაცი, ამოიქშენს და ბღავის, ყვირის: ტორეადორ _ ტო-რე-ა-დორ! მე მესმის ყურებში ამ ერთი წამის, მთელი ყურადღების წამის დღესასწაულებრიობა, ხმები იყოფიან, ერთდებიან, ისევ იძახიან ახლა: იულონ! იუ-ლონ! აი, წამი ჩემს ცხოვრებაში, სავსე და უდიდესი, იდგე ყურადღების ცენტრში _ ამითი მე ახლა ტოლი ვარ ტორეადორისა _ ფიზიკურად ტოლი.

და თქვენ იცით, _ ამას მე ჩემი ხმით გეტყვით, ისევ არტისტული სხვაობისათვის, _ თუ დიდია ყურადღების ცენტრში დგომა ფიზიკურად, ორმაგად და ათმაგად დიდია, იდგე ყურადღების ცენტრში აზრობრივად.

დიახ, მე ისევ ვყვირი, რადგანაც მინდა, რომ მე თვითონ შევიგრძნო ეს უდიდესი წამი შეგრძნებებისა, იცით თქვენ, რა არის იდგე ყურადღების ცენტრში არა სხეულით, არამედ აზრით! _ ეს არის ახლა: იულონ! მან გააკეთა ის, რაც ვერ შესძელით თქვენ, რაც ვერ შესძელი შენ, პიესის

ავტორო _ ეს არის იულონის ვნება და მისი ბოლო სიტყვა: არ არსებობს ვნება აზრზე დიდი და, შებრუნებით: აზრი არის ვნებათა შორის ყველაზე დიდი ვნება! ოოოო... ხმა აღარ მყოფნის: ჩუმად... იულონ...

სულხანი : იულონ, ბიჭო!

ჯიმშერი : იულონ!!!

გურამი : ღმერთებო! აქ იმხელა ვნებები ტრიალებს, რომ ეს მკვლელობა, ფორმისათვის რომ არ ყოფილიყო, რევოლუციაზე მეტი იქნებოდა.

იულონი : ჰოო.

გურამი : ა?

იულონი : ვთქვი თუ არა ყველაფერი ეს, მაშინვე ჩემში არტისტულობის შინაგანმა მიზიდულობამ ძალა დაკარგა და ყველაფერი ეს მომეჩვენა ტყუილად.

გურამი : ძმაო, იულონ.

იულონი : ძმაო? ნუთუ ისეთი კარგი როლი შევასრულე, რომ თქვენ მოხარულები ხართ იყოთ ჩემი ძმები.

ჯიმშერი : მათ მაგიერ მე გეტყვი, შენა ხარ ჩვენი, შენი ვნებებით.

სულხანი : ჩვენ არ შეგვიძლია გაგასამართლოთ შენ.

იულონი : არ შეგიძლიათ მომისაჯოთ სიკვდილი? თქვენ რა, ამართლებთ ამ საზიზღარ მკვლელობას? ნუთუ ჩემმა ამ სიტყვებმა, ტყუილმა სიტყვებმა, ასე იმოქმედა და ისევ გახდით არტისტები, ნუთუ ვერ შევძელი, ზიზღი გამომეწვია თქვენში, იმდენად მაინც, რომ სიკვდილი მოგესაჯათ.

გურამი : ჩვენ მკვლელობას არ ვამართლებთ, ჩვენ ვამართლებთ ცოცხლად დარჩენილის სიცოცხლეს.

დიდი ბობა : ჩვენ აქ ყველანი ძმები ვართ, კაცო.

გიული : ხი, ხიკ.

სულხანი : ყველაფრით ძმები.

ჯიმშერი : თუ სხვაობა არის, მხოლოდ ის, რომ სხვადასხვა დედის შვილები ვართ.

იულონი : ძმებო, ბიჭებო, გამასამართლეთ, მომისაჯეთ... განა შეიძლება იმ კაცის გამართლება, ვინც ასეთ ბიჭს მოკლავს, ძმაო თე...ზი..კო, მე ვტირი, ჰოო, მე ვეღარ შევძელი ჩემი როლის ბოლომდე შესრულება. თუ, ვინ იცის, ეს ტი..რი..ლიც თავისთავად როლია. მე აბსოლუტურად აღარაფერი აღარ მესმის, მე მინდა მხოლოდ ვიტირო შენს ცხედარზე.

რეზო : თეზიკო, ბიჭო, ვის, ვის უნდოდა შენი სიკვდილი.

პატ. გურამი:ვის სჭირდებოდა,საწყალო ბიჭო.

გურამი : აი, ვინ არის მთავარი დამნაშავე _ ეს მე ვარ და მე ყველაზე მეტი ცრემლები მმართებს.

იულონი : შენ გმართებს ყველაზე მეტი ცრემლები, მე კი შენზე მეტს ვიტირებ.

გურამი : ძმაო თეზიკო, ძმაო იულონ.

ჯიმშერი : ვის, ვის სჭირდებოდა ეს ცრემლები, ღმერთო ჩემო!

გიული : თითქოს ახლა მივხვდი, რომ თეზიკო მართლა მკვდარია.

ბიჭები : ჩვენ დავიღალეთ, ჩვენ დავიცალეთ.

იულონი : გთხოვთ, გემუდარებით, მომისაჯეთ, მე მხოლოდ სიცოცხლის მეშინია ამ ქვეყანაზე, სიკვდილს კი არ ვიცნობ.

დიდი ბობა : ეგ ამბავი არ გამოვა, ჩვენ ცუდი მოსამართლეები ვართ, მოგვიხდება შენი მთავრობის ხელში გადაცემა.

გურამი : მხოლოდ იქა აქვთ ფორმები.

სულხანი : და, რაც ყველაზე სამწუხაროა, იქ მიუსჯიან ნამდვილად სწორ განაჩენს.

ბიჭები : ჩვენ ვტირით მის ცხედარზე.

დიდი ბობა : მკვლელს კი გადავცემთ მთავრობის ხელში, რადგან ამ ამბის მიჩქმალვა შეუძლებელია.

ფ ა რ დ ა

გურამი ფარდის წინ:

ეს პიესა მე დავწერე და ამ პიესის მსვლელობის დროს მოხდა მკვლელობა. ღმერთო ჩემო, ნუთუ ყველაფერი, წერაც, დადგმაც მხოლოდ მოწყენილობისაგან იყო, მოწყენილობისაგან, რომელსაც არსად არ შეგიძლია გაექცე. მე ვიცი, ამ ოთახიდან გარეთ გასვლას აზრი არა აქვს, რადგან თუ ერთ ოთახში ვერ ნახავ შენს ადგილს, მას ვერ ნახავ სულ, სულ შეუსვენებლივ რომ ირბინო დღე და ღამე მთელ მსოფლიოში _ დედამიწიდან კი არსად არის გასაქცევი.

ღმერთო ჩემო, ნუთუ ეს პიესა მართლა მხოლოდ მოწყენილობის გულისათვის დავდგით?!

ო, არა! აქ კიდევ არის სხვა რაღაცა და ის უნდა გავიგო.

ახლა კი მე დავიღალე და ეს ერთადერთი გზაა, დროებით გავექცე ყველაფერს. ამ ღამეს მე დავიძინებ. ღმერთო, მომეცი უსიზმრო ძილი;

გურამ! ნუ ტყუიხარ _ მე მიყვარს ძილი, სავსე სიზმრებით, საშიში, უცნაური სიზმრებით, მიუხედავად იმისა, რომ არსად ისეთი უმწეო არა ვარ, როგორც სიზმარში. შეიძლება სწორედ ამიტომაც მიყვარს ის. აქ ქვეშეცნეულად მრჩება შეგრძნება, რომ ყველაფერი, რაც ძილში ხდება, მხოლოდ სიზმარია, მე უმოძრაოდა ვარ და არაფრის გაკეთება არ შემიძლია, მაშასადამე, ვიღაც სხვა აგებს სიზმრის შედეგზე პასუხს. ეს უნარი, დააბრალო სხვას რაიმე, რჩება ჩემთვის, როგორც ადამიანისათვის, უდიდეს ნუგეშად, რომელიც, კიდეც რომ ვიცოდე, რომ სწორი არ არის, _ ნუგეში მაინც არის!

ჰო, სამწუხაროდ, ასეა!

მაგრამ რა შუაშია აქ სიტყვა «სამწუხაროდ» _ ალბათ, ესეც ნუგეშია _ შეიძლება ყველაზე მეტიც, რომ გასაგები მრჩება არა რაიმე, არამედ ყველაფერი და სანამ მექნება ეს სურვილი რამის გაგებისა, მე ვერა, ვერ შემჭამს მოწყენილობა.

ღამე მშვიდობისათ!

ყველაფერი ისეა, როგორც ძველთაგან მიღებული იყო თეატრში. ავტორი დგას თქვენს წინ და აკეთებს რევერანსს, დამშვიდობების რევერანსს და კიდევ ერთხელ გისურვებთ კარგ ძილს და კიდევ ერთხელ მისცემს თავს უფლებას, გითხრათ თავისი სანუკვარი აზრი:

შესაძლებელია ყველაფერი ეს იყო არაფრისთვის, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, არაფრისთვის არაფერი არ არსებობს, თვით არასაჭირო სიკვდილიც კი.

/ხმები ფარდის უკნიდან/

სულხანი : ა!
იულონი : ააჰ!
ირაკლი : ი!
ჯიმშერი : ჰო!
ბობა : მაშ!
პატ. გურამი: იო!
რეზო : ახლავე, უცებ.
გიული : ხი, ხიკ.

/გურამი ფარდის წინ/

გურამი

რაშია საქმე?

იულონი

როგორ თუ რაშია საქმე!

გურამი

თქვენ უკვე დამთავრდით და მორჩა, ახლა ფარდის უკანა ხართ.

იულონი

თეზიკო.

სულხანი

თეზიკო.

გურამი

მაგას ხომ უკვე გამოვუტანეთ განაჩენი, მთავრობას უნდა გადავცეთ მისი მკვლელი.

იულონი

კი, მაგრამ მოკლულისთვის რომ არ გვიკითხავს.

გურამი

ახ, ხო.

იულონი

ვკითხოთ.

ბიჭები

ახლავე ვკითხოთ.

გურამი

ჰკითხეთ მერე, ააყენეთ.

ბიჭები

შენა ხარ ავტორი, გაცოცხლება შენი საქმეა, შენა ჰკითხე.

გურამი

თეზიკო, გამოდი აქეთ.

თეზიკო

მოვდივარ!

ბიჭები

ვაჰ!

თეზიკო

გზას ვერ ვიგნებ.

გურამი

გასწიე ფარდა და გამოდი.

თეზიკო

მერე მკვდარს აქვს მაგის უფლება?

გურამი

მე გაძლევ უფლებას, მე ავტორი ვარ, ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული.

/თეზიკო გამოდის/

მე დიდხანს ლაპარაკი მიცვალებულებთან არ მიყვარს, იცოდე. რას ითხოვ მკვლელის სასჯელად?

თეზიკო

ისე არ ჩაეთვალოს ცხოვრებაში არაფერი, როგორც სიკვდილის მერე სიკვდილი აღარ ითვლება არაფრად.

იულონი

/ფარდის უკნიდან/

უუხ მე!

ბიჭები

უუხ... აუხ... თავისთვის რას ითხოვს, ჰკითხე.

გურამი

შენთვის რას ითხოვ?

თეზიკო

სიცოცხლეს... სიცოცხლეს. ჩქარა, გესმით, თუ შეგიძლიათ...

გურამი

რად გინდა მერე, არ გეშინია, რომ შენც არ ჩაგეთვალოს არაფერი. ცოცხალი მკვდარი რა სანახავი იქნება, შენ თვითონა თქვი, აბა!

თეზიკო

იყოს, რაც უნდა იყოს, როგორიც გინდათ, ოღონდ ცოცხალი ვიყო და სახრჩობელაზე ვეკიდო... გურამ, ყველაფერი შენს ხელშია...

ბიჭები

ყველაფერი შენს ხელშია, გააცოცხლე.

თეზიკო

გამაცოცხლე, ხომ შეგიძლია.

გურამი

ვიცი, ძალიან გეწყინებათ, ოღონდ არაფრით არ შემიძლია.

ბიჭები

რატომ?..

თეზიკო

ა...

გურამი

მაშინ ჰაერში ვრჩებით ჩვენ ყველანი. აბა, თქვენ თვითონა თქვით, რა ტრაგედია იქნებოდა, რომ კაცი არ მომკვდარიყო, ან ვინ დაიჯერებდა, რომ ეს ტრაგედიაა? ის კი არა, თეზიკოც მეცოტავება ტრაგედიისათვის. შეიძლება ეს ნაწარმოები დრამაში ჩამითვალონ, თქვენ თვითონა თქვით, სინამდვილეში იყო თუ არა ეს ტრაგედია.

ბიჭები

მეტი, მეტი იყო!

გურამი

ჰო.

ბიჭები

მაინც გავაცოცხლოთ, იქნება აღარ იყოს ტრაგედია საჭირო.

გურამი

ეს სიკვდილი სისხლის გამოშვებაა და თქვენ უმაგისოდ ნახეთ რა იქნებოდა ნამდვილი ტრაგედია, რომელსაც ვერავინ ტრაგედიის შერქმევასაც კი ვერ გაუბედავდა.

თეზიკო

მაშ, მე რა ვქნა?

გურამი

შენ? არაფერი, შენ უკვე მკვდარი ხარ.

თეზიკო

ვისთვის?! რისთვის?! ვაი, ვაი, ვაი, გინახავთ თქვენ ადამიანი, საკუთარ სიკვდილში მოტირალი.

გურამი

გეყოფა, თეზიკო, ტირილი. ის მარტო ჭირისუფალს მართებს, მკვდარს სიკვდილი არ ეყოფა, რომ კიდევ არ იტიროს? ახლა წადი... შენ უნდა დაგასაფლაონ.

თეზიკო

კარგი.. მივდივარ.

/გადის/

ბიჭები

იმან გაიარა ჩვენ გვერდზე და წავიდა დასასაფლავებლად.

გურამი

ისევ მარტო დავრჩი, უმკვდროდ, უბიჭებოდ, უგმირებოდ. ისინი კულისებში დგანან და იცდიან, სანამ ისევ არ გამოვიძახებ... დაუშვით უფრო დიდი ფარდა... /ეშვება უფრო დიდი ფარდა/. ერთი წამიც! /გამოდის უფრო დიდი ფარდის წინ/.

აი, მე, გურამი, ვდგავარ თქვენს წინ, ნამდვილი გურამი _ გურამი, რომელსაც უყვარხართ თქვენ, სიყვარულთა შორის ყველაზე დიდი სიყვარულით, სიყვარულით ყველაფრისადმი, არტისტული სიყვარულით, რომლის შეგრძნებაც ღმერთამდე ადის, ის არის ყველაფრის გამგები, ყველაფრის მპატიებელი.

მე ვშლი ისევ ხელებს, მომანათეთ ნათურები, ჩემი ჩრდილი ეცემა უკან ფარდას და ადის ჭერამდე, უფრო მაღლაც. მე უფრო ვშლი ამ ხელებს აშკარა, გულუბრყვილო არტისტულობით და მზადა ვარ, ჩავიტიო ჩემი გმირებიც, თქვენც, ჩემი თავიც და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მე არტისტი ვარ, როგორ უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ, სცენაზე, მხოლოდ აქ დგომის დროს ყველაზე გულწრფელი ადამიანი, მოკლებული ყოველგვარ წვრილმან საყოფაცხოვრებოს.

ჩემი ხელები, ჩემი ჩრდილი იშლება სულ უფრო და უფრო დიდად, ის იტევს ყველაფერს და იხსნება მასში.

მე ვიცი, რა არის უდიდესი ყველა გრძნობათა შორის, ეს იცოდით თქვენც, ამიტომ მოხვედით თეატრში:

აი, ჩემი აქ დგომის მაქსიმუმი: სცენაზე ყოფნა ეს არის უდიდესი სიყვარული!

1958 წლის დეკემბერი

ს ა ლ ო მ ე დ ა გ უ რ ა მ ი

მ ო ქ მ ე დ ე ბ ა I

სურათი პირველი

/ქუჩა/

გურამი: «ჩქარა, ჩქარა წინ, წინ გაიქეცი, თორემ დაიგვიანებ. იქ გელიან მაღალთაღება, თხელსვეტება ცისფერ დარბაზში, ოქროსფერი ვარაყებით მოხატულ ტალანებში; იქ დგას ის, რამაც უნდა მოგცეს ახალი გზა და უფრო წინ გაგაფრინოს.
ო, ღმერთო ჩემო, როგორა ჰგავს ჩემი გზა მილს, რომლის ბოლოდანაც მკრთალად ანათებს სინათლე, ჩემი სხეული, მომზადებულია სწორედ მილში მხრებში მოხრილი სიარულისათვის, უზარმაზარი ბიცეპსები რკინის კედლებზე ხლას იტანენ და უწინ რკინა გაცვდება თვითონ, ვიდრე მათ შეეტყობოდეთ რამე. ო, როგორ გაიშლებიან მხრები ამდენი ხნის მოხრილი სიარულის შემდეგ.
სწორედ ასე უნდა ვიარო მე გარეშემო დახურულ ჭურჭელში, რომ გვერდებიდან ვერავინ დამინახოს, რომ წინიდან ვერავინ დამინახოს. მილის უკანა მხარეს მე ჩავკეტავ ჩემი სხეულით და იქნება წინიდან გამოჩენილი სინათლე ჩემი გზის მაჩვენებელი, რომელსაც ამ ჭურჭლიდან მხოლოდ მე ვხედავ. ამით ვგრძნობ თავს მდგომარეობის უფროსად, რადგან სინათლეს აქეთ, სიბნელეში, არაფრის დანახვა არ შეუძლია, ხოლო მე სიბნელიდან ვხედავ მას, სინათლეს.
ჩემი სხეულის ბიცეპსები მზად არიან, სწორედ წელში ათჯერ მოხრილებმა იარონ მილში. მხოლოდ სული ვერა გრძნობს იმ ტანჯვას, რაც სხეულმა უნდა აიტანოს _ ის მსუბუქია ჭკუითაც და გონებითაც, მასზე ოდნავი ნიავიც კი მოქმედებს, ხოლო იქ, მილის სიღრმეში, გამოჩენილი სინათლე მას გონებას უკარგავს და სული აიძულებს ისეთივე გახდეს სხეულიც, სდიოს მას უკან, სადღაც დაუსრულებელი მიზნისაკენ. იტანჯება სხეული, მაგრამ უკან ჩამორჩენა არ შეუძლია, რადგან უკან დარჩენილს დატოვებს სული, ხოლო უსულო სხეულს მხოლოდ მძორი ჰქვია.
ო, გაჭენდი, გურამ, შენი სულითა და ხორცით.
ო, გაჭენდი, გურამ, შენი სხეულით და ნუ მიაქცევ ყურადღებას იმას, რომ წინ ლტოლვა ერთ ადგილზე სირბილსა ჰგავს, ხოლო დიდი ნახტომი _ ერთ ადგილზე სირბილის დროს «ჰოპ»-ის დაძახებას.
ისულელე? გეყოფა.

სალომე: გურამ!

გურამი: ნამდვილი არტისტი გავხდი, მარტოსაც კი მეჩვენება, რომ ხალხში ვდგავარ.

სალომე: გურამ! სად გაიქეცი!

გურამი:	ახლა ვეღარ დამინახავს სადარბაზოში.
სალომე:	პატარა ბავშვივით არის.
გურამი:	უუ!
სალომე:	ჩუუ, რა დროს ეგ არის, ღმერთო ჩემო, ახლა რა ვთქვა. /შემოდის შოთა/ გამარჯობა, შოთა.
შოთა:	ო, სალომე, მე ვერც კი დაგინახე.
სალომე:	ჰო, მეც შემთხვევით შეგამჩნიე.
შოთა:	მე მეჩქარება, სახლისკენ ხომ არ მოდიხარ?
სალომე:	არა, ანდროს საქმეზე ვარ აქეთ.
შოთა:	საქმის დროზე გაკეთებას გისურვებ. /მიდის/
სალომე:	გურამ!
გურამი:	შემოდი აქ.

/სადარბაზო/

გურამი:	სალომე, ხედავ ამ ოდნავ განათებულ კიბეებს?
სალომე:	გურამ!
გურამი:	სიგიჟემდე მიზიდავენ კიბეები, ყოველი მოსაბრუნის შემდეგ მეჩვენება, რომ რაღაცა ახალი უნდა გამოჩნდეს. აი, ასე შემიძლია დაუსრულებლივ ვიარო მაღლა კიბეებით.
სალომე:	არ გესმის? ახლა აქ შოთამ მნახა.
გურამი:	ოო, ამ სინათლეზე მეჩვენები ასეთი თუ წინათ არ შემიმჩნევია შენი მკერდი, რა ფერი აქვს შენს ტუჩებს! ხმა არ ამოიღო, ეგ ტუჩები იმისთვის არის, რომ მარტო კოცნო.
სალომე:	ნუ მკოცნი, მე ავვარდები კიბეებზე, პირველივე კარებში დავიწყებ კაკუნს. აი, აზრი!
გურამი:	სად? დაგავიწყდა ჩემი კუნთები? გტაცებ ხელს, აი, ასე... ახლა ასე ხელში აყვანილს მე თვითონ აგიყვან კიბეებზე.
სალომე:	გურამ, ნუ მიგყავარ იქამდე, რომ გაბრაზება აღარ შემეძლოს.
გურამი:	რომელ კარებზე გინდოდა დაგეკაკუნებინა? ოო, აქ ვინმე კილაძე ცხოვრობს, აქეთ _ ქაშაყიშვილი. მოდი, აქ დავაკაკუნოთ. რას მიძალიანდები, შენ თვითონ არა თქვი დავუკაკუნებო?! მაკოცე ტუჩებში.
სალომე:	არა, არა, არ დაგაკაკუნებინებ. ჩამომსვი ქვევით, ღმერთო ჩემო, არა, გეჭირო ეგრე აყვანილი, ახლა ყველაფერი სულ ერთი ხდება ჩემთვის.
გურამი:	ისიც, რომ ამ კარებში მარშანია ცხოვრობს? მოდი, აქ დავაკაკუნოთ.
სალომე:	როგორ? შენი ხელები მე მიჭირავს.
გურამი:	ოჰო, შენც მოგინდა, რომ დავაკაკუნო?!
სალომე:	მოიტა შენი ტუჩები, გტკივა თმები, როცა გწიწკნი? ო, გურამ, რას მიშვრები, რას? მე ხომ თავი დავკარგე, ღმერთო ჩემო, ანდრო.
გურამი:	ნუ იგონებ ანდროს.
სალომე:	ნუ უბრახუნებ კარებს, ანდრო.
გურამი:	ნუ იგონებ ანდროს.
სალომე:	ანდრო! ანდრეი! ჩემი ქმარი! ეშმაკმა შემაცდინა მე, მე შენ გღალატობ გურამთან.

გურამი:	ნუ ყვირი, თორემ ხომ ხედავ, კარები ჩამოვიღე ფეხის რახუნით, რომ ეგ სახელი არ გავიგონო.
სალომე:	ანდრო!
გურამი:	აჰ, ეგრე! კიდევ ყვირი შენი ქმრის სახელს, ახლა მე მიყურე.
სალომე:	არ გინდა, ბიჭო.
გურამი:	ანდრო, ძმაკაც, შენი ცოლი ჩემი საყვარელია.
სალომე:	ჩვენ ორივე გავგიჟდით, გურამ!
გურამი:	ხი, ხი, ხი, აბა, შენ მაჯობებდი, გეგონა?
სალომე:	მოიტა კიდე შენი ტუჩები.
გურამი:	ჩუუ, ახლა იმათ აღარა სცალიათ, უნდა...
სალომე:	რატო?....
გურამი:	რო ვაბრახუნეთ, პასუხის გაცემა არ უნდა?
სალომე:	გამიშვი ხელი, ვიღაცა მოვიდა კარებთან.
გურამი:	არა, ასე მეყოლები აყვანილი.
მარშანია:	ჩემთანა ხართ?
გურამი:	ქალბატონი სალომე და ბატონი გურამი.
მარშანია:	სასიამოვნოა, გთხოვთ, მაგრამ მეშინია, რომ ორივე ერთად ვერ შემოეტევით, მოგიხდებათ გაშლა.
სალომე:	უჰ შენი, გურამ, აი თმები.
გურამი:	ჩუმად, სალომე,
სალომე:	უკაცრავად.
მარშანია:	მორჩა, მორჩა, მე ვიცი ბიჭუნების ცელქობა, გთხოვთ ჩემთან ოთახში.
გურამი:	უცნაური სტუმრები ვიქნებით, არა?
მარშანია:	საკმაოდ, საკმაოდ უცნაური.

/შედიან/

სურათი მეორე

/ისევ ის ქუჩა/

შოთა:	აი, ახლა უნდა შოთას ჭკუა, ვუთხრა ანდროს? რას მოვიგებ მე თვითონ ამით? თუ არ მოვიგებ, მაშ ტყუილა ენაჭარტალა რატომ უნდა გავხდე, არადა სალომეს ძუძუები დღე თან დამყვება ქალაქის გახურებულ ქუჩებში, ღამე ჩემს გვერდით ეწყობა ბალიშზე, მეწევა თავისკენ, მერე ქრება და მარტო დარჩენილს მიათკეცებს ჩემს ოთახში ჩამობურულ შიშს. არა, არ ვეტყვი _ მაშ არ ვუთხრა? არც ამასა აქვს რაიმე აზრი, ვინ გაიგებს ამქვეყანაზე, რომ დღეს, აი, ამ წამში, მე დიდსულოვნება გამოვიჩინე, ორი ადამიანი, შეიძლება სამიც, საშინელ ხვედრს გადავარჩინე. არა, ვეტყვი, ახლავე გავიქცევი, მაგრამ მაშინ ხომ ყველა იმედსა ვკარგავ. ოო, იმედი არცა მქონია არასოდეს. ... საკმარისია ასე დავაწყო ჩემი ფიქრები, რომ იმედი გამიათკეცდეს.

მაგრამ ეს ენა, ენას რა ვუყო, საიდუმლოს თქმის სურვილის წინ ყველა ვნება ქრება, თვით სალომეს ძუძუებიც სადღაც იკარგებიან, ვკარგავ ლოგიკასაც და მინდა ვთქვა, მინდა ვიყვირო, მე ის ვიცი, რაც სხვისთვის უზარმაზარი საიდუმლოა, რასაც შეუძლია ორი ოჯახი ერთ წამში დაღუპოს, მაგრამ მე ვიცი, ეს სურვილი ხვალვე გამივლის, მერე ვინანებ, გვიანღა იქნება, მაგრამ ცოდნა არა მშველის, ის უკან იხევს, პატარა და სასაცილო ხდება ამ უზარმაზარი ნდომის წინ, რომელიც მომაწვა, რომ ვთქვა ეს საბედისწერო საიდუმლო, ვთქვა ჩურჩულით, ოდნავ უკანდახევით, ხელების ფშვნეტით, ყალბი ხმით: ანდრო, ძმაო ანდრო, სად არის ახლა სალომე? _ როგორ? შენ საქმეზე? ჰო, გურამი ხომ არ გინახავს, ა? რატომ აღელდი! მე ვთქვი, რომ ერთად იყვნენ-მეთქი შენი ნებართვით წასული.

ოო, აღარ შემიძლია, ალბათ, გავგიჟდები, რომ ვინმემ არ გაიყოს ჩემთან ერთად ეს საიდუმლო! აუ, ვინა ხართ აქ ახლოს?

ღამის ყარაული: რა გაყვირებს?

შოთა: იცი, რა მაყვირებს?

ღამის ყარაული: არ ვიცი და არც მინდა ვიცოდე.

შოთა: არ გინდა იცოდე?

ღამის ყარაული: ახლა გაიარე, თორემ დავუსტვენ.

შოთა: ნუთუ შეიძლება, რომ მთელი სხეულით არ გინდოდეს, იცოდე საიდუმლო.

ღამის ყარაული: არ მესმის.

შოთა: ეს კაცი, ალბათ, ყრუ არის ან გიჟია.

ღამის ყარაული: გიჟი მამაშენი იყო, შენ რო გაგაკეთა.

შოთა: იცი, იქ რა ხდება? ამხანაგი იმ ამხანაგის ცოლს, რომელიც საწოლზეა მიჯაჭვული და დღეს-ხვალ მოკვდება, კატა-თაგვობანას ეთამაშება.

ღამის ყარაული: მაგაზეა ნათქვამი: ძმა ძმისთვის, შავი დღისთვისო.

შოთა: ჰო, შენ სწორი თქვი, მეც მაგათი ძმა ვარ და ახლავე უნდა გამოვადგე სამივეს.

/ადის მოსასმენად/

სურათი მესამე

/მარშანიას ოთახი/

მარშანია: თქვენისთანა წყვილი იშვიათად მინახავს, ორივე მაღლები, ორივე ლამაზები და ავსილები ხართ.

გურამი: მე ვატყობ, რომ ჩვენ კარგ ადგილას მოვხვდით.

სალომე: თქვენ გინახავთ ჩემი ქმარი, ანდრეი? აი, ლამაზი ვინ არის, მე კი მაინც ვღალატობ ამასთან ისეთ კაცს. რომ იცოდეთ, როგორ გვიყვარს მე და ჩემ ქმარს ერთმანეთი, ის ერთ-ერთი ულამაზესი კაცია თბილისში.

გურამი: გაჩუმდი, ჩემს სინდისზე თამაშს აქ თავი დაანებე.

სალომე: ის ვერ იტანს, როცა მის გარეგნობას სხვას ამჯობინებენ. აი, მისი სინდისი. მე მხოლოდ ჩემს თავს ვუჯავრდები.

მარშანია: სასიამოვნო საუბარია, მხოლოდ ჩხუბის ტონს ნუ მისცემთ, რომ მეზობლებმა არ გაიგონ, მარშანიამ ხალხი შეიკედლაო.

სალომე: მერე რა, გაიგოს ყველამ, რომ სალომე თავის ქმარს ღალატობს. აღარა მაქვს მე მეტი სირცხვილი. აი, თქვენ თვალწინ ვაკოცებ ისევ გურამს, ის ისევ მზად არის გამომიწოდოს თავისი ტუჩები. ხედავ, ანდრეი, შენს ძმაკაცს.

გურამი: სალომე! გესმის? კიდე სიტყვა ანდრეიზე და შენს თმებს დავიხვევ ხელებზე.

სალომე: ანდრეი, ანდრეი! ხედავ შენს ძმაკაცს, გურამს, როგორ იცავს შენი ცოლის ნამუსს?

გურამი: ო, ეშმაკის გაკეთებულო, აი, მიიღე ჩემი მუშტები.

სალომე: ო, როგორ უყვარს თავისი მეგობარი, ო, როგორ იცავს მის სახელს. ამ სახელის უადგილო ადგილას ხსენებისათვის ის მზად არის მუშტებით გაუსწორდეს ყველას, იქნებ მოკლას კიდეც, ა!

მარშანია: ა, მაშ მე ჩავკეტავ უჯრას, რომ დანა არ ამოიღოს, აქ საქმეები სიყვარულზე რთული ჩანს.

გურამი: გააღე უჯრა, დანა მოიტა, მე დავკლავ ამ ძაღლის შექმნილს.

სალომე: თუ დანა ვერ იშოვა, უეჭველად დამახრჩობს.

გურამი: შენ თვითონ ირჩევ იარაღს, რითი უნდა მოგკლა.

სალომე: ეს ყელი იმიტომ შეიქმნა ასეთი, რომ შენი კოჟრიანი ხელებით დაიხრჩოს - დახ-რჩ...

მარშანია: ო, აზრზე მოდით, რასა შვრებით, კაცო, ვაჟკაცო, სატანის ხმას ჰყვები?

გურამი: ხი, ხი, ხი, ხი, რატომ აღელდით ასე, მასპინძელო, თქვენ გგონიათ, რომ მე მართლა დავახრჩობ ამას?

სალომე: მაგას არ ეყოფა მაგის გამბედაობა.

გურამი: ხი, ხი, ხი, გამბედაობა მარტო ამას ჰყოფნის, რომ თავისი ქმრის სახელი ახსენოს, იყვიროს.

სალომე: თითქოს, ასე მოქმედებს ეგ შენზე!

გურამი: მოქმედებს? იცი, ახლა შენ რა თქვი?

მარშანია: პირჯვრის გამოსახვა თუ მიშველის, ვის უნდოდა ასეთი სტუმრები შუაღამისას.

გურამი: ნუ ღელავთ, თქვენ, ბატონო ბუკინისტო, არა, ექიმო. თუმცა ექიმი და ბუკინისტი ორივე ერთია.

მარშანია: ბუკინისტო?

გურამი: იმიტომ გეგონათ დავახრჩობდი, წიგნებში რომ ახრჩობენ ასეთ დროს ერთმანეთს. თქვენ, ალბათ, ბევრს კითხულობთ.

მარშანია: ზუსტად იმდენს, რამდენსაც ბუკინისტები, მხოლოდ სათაურებს. თქვენ ისეთი გაბრაზებული იყავით...

გურამი: მერე რა, აი, ახლა ვწევ პაპიროსს.

მარშანია: ჯანმრთელობაში, ჯანმრთელობაში, როგორ შეეძლო მას მართლა თავის ქმრის სახელი ეხსენებინა.

სალომე: თქვენ ვერ გაიგებთ მაგას, ვერც შენ, გურამ!

გურამი: ნეტა, მართლა ეგრე იყოს, მაშინ მართლა დაგახრჩობდი და თეატრალურ მიზანსცენას არ გავითამაშებდი ტყუილად, ნახევრად გაბრაზებული.

სალომე: შენ გესმის ჩემი.

გურამი:	ჰო, ლამაზო, სალომე.
სალომე:	გმადლობთ, გურამ, მართლა გმადლობთ, შენ იცი, როცა ხმამაღლა მე თვითონ ვყვირი ჩემი ქმრის სახელს, თითქოს ფარდა ეხდება ჩემს დანაშაულს და საიდუმლო, მავნე ხმები აღარ მეძახის ყურში: მოღალატე, უნამუსო, ანდროს მოღალატე. მათ მაგიერ ერთი ხმა ისმის, ჩემი ხმა, და მხოლოდ ამითი ვფარავ იმ პატარა, მჩხვლეტავ, უსიამოვნო ხმებს. უმწეო ავადმყოფი მაინც არ იწვეს ლოგინში...
გურამი:	თუმცა მე მესმის შენი, სალომე, გეყოფა ამდენი ლაპარაკი.
მარშანია:	ორივეს ესმის ერთმანეთის. უცნაური იქნება, თუ გაგიგებთ თქვენ, ორივეს, ქმარი და ამხანაგი, ანდრო, არა?
გურამი:	ისევ ანდრო? არა, ნუ გეშინიათ, მე არ ვიწევ თქვენზე. რა უნდა გაეგო მას _ ის, რომ მის ცოლთან ცხოვრობს მისი ძმაკაცი? სასიამოვნო მოსასმენია ქმრის ყურებისათვის და, ალბათ, არც მოიძებნება ისეთი ადამიანი, რომ გაებედა ამისი თქმა მისთვის პირდაპირ, და როცა ვფიქრობ, რომ ეთქვა კიდეც, თითქოს ამითი ჩემი ცოდვა შემცირდებოდა, რომლის საზღვრები უსაზღვროა. მე ეს მჯერა გულით, მისთვის ყველანაირ დანაშაულს ავიტანდი, ოღონდ, გიჟივით, წონას ჩემი დანაშაულისას ხელში ვერა ვგრძნობ. ცოდნის წინ იზრდება ლტოლვა, სიყვარული სალომესადმი, რაც არ ამცირებს ჩემსა და ანდროს შორის მეგობრობას და ხანდახან, როცა მას ვესაუბრები, მინდა გავაღო პირი, ვიცი, რომ საბედისწეროდ, ოღონდ მაინც, და ვუთხრა: ანდრო, ბიჭო, მე და სალომეს ერთმანეთი გვიყვარს, დიდი ხანია ერთადა ვართ. მე ახლაც გიჟივით ვხედავ, როგორ დგება ამ სიტყვების მოსმენის შემდეგ ის ფეხზე, მთელი სახე უღიმის, გულით ნასიამოვნებია, მეხვევა, მკოცნის. ო, ზურგი ამითამაშდა, ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს დანა ჩამარტყა ვიღაცამ მოხვეული ხელით.
შოთა:	მე თქვენ ყურს გიგდებთ ჭუჭრუტანიდან, გამიღეთ კარები... ოჰო, უცებ შუა ოთახში აღელვებული სახეები. მე, მე მინდოდა მეთქვა, რომ ხო, დიახ, მე თქვენ ყურს გიგდებდით, მე მოვისმინე ყველაფერი, მე ეს ვიცოდი დიდი ხანია, დღეს იყო ბოლო წამი, მე აღარ შემეძლო არ მეთქვა, თქმა მომაწვა ყელში და მახრჩობდა, მე წავიდოდი ანდროსთან, ვეტყოდი ყველაფერს, მაგრამ როგორ ვუთხრა ავადმყოფს, ლოგინად ჩავარდნილ კაცს ეს უბედურება. ჯობდა თქვენთვისაც, ვინც იცოდით ყველაფერი, იმისთვის მეთქვა.
გურამი:	ო, მამაძაღლო, თვითონ გაები შენგანვე დაგებულ მახეში, მახეში ვეღარ გასძელი, რომ არ გეყვირა. /ეცემა/
შოთა:	გურამ, გურამ, მე არ მინდა, ჯერ არ მინდა.
მარშანია:	ო, ღმერთო ჩემო, ჩემს ოთახში.
სალომე:	გურამ, რას შვრები?
გურამი:	მოუჭირეთ, ჩემო თითებო, ამ მურტალ ყელს, სულ მაგრა და მაგრა, რომ ვეღარასოდეს ერთი სიტყვაც კი ვერ ამოგორდეს მყრალი, სიშმორით გაჟღენთილი.
შოთა:	/ხიხინით/ გურამ, ნუ მახრჩობ, ეს ჩემი ბრალი არ იყო, მე შენთან დამნაშავე არა ვარ, მე მიყვარდა სალომე. ეს შურია, მხოლოდ შური.
გურამი:	ხი, ხი, ხი, შურია მაშ ეგ? ეს კი მაგ შურისთვის შურისძიებაა.

მარშანია: მე მილიციას დავუძახებ, ღმერთო ჩემო.

სალომე: გურამ, რას შვები, ნუ იღუპავ თავს მაგ მურტალის გულისთვის.

შოთა: ო, მახრჩობს, ო, დედა...

სალომე: გურამ, ლამაზო, გურამ, ძვირფასო, მე ვკოცნი შენს ტუჩებს, შენს ყელს, შენს ხელებს, იქნება ჩემი ძუძუების ვნებით დავახრჩო შენი სიხელე, ჩარგე ამ ანთებულ ძუძუებში შენი სახე, ესენი დაგამშვიდებენ შენ.

გურამი: მე ძალას ვკარგავ, მოაშორე ეგ ძუძუები.

შოთა: ო, ყელი, ყელი აღარ მემორჩილება.

გურამი: აი, ამ ძუძუებს უმადლოდე და კიდევ ჩემს უძალობას იმათ წინაშე.

მარშანია: რა შუაში ვარ მე, მოხუცი ბუკინისტი, ექიმი, აქეთ მოიწი, ყელს გადაგიხვევთ.

შოთა: ორი წამის წინ კი შეიძლებოდა მე დავეხრჩვე.

გურამი: სალომემ გიხსნა, ამას უმადლოდე.

შოთა: სალომემ მიხსნა?! არა, მაგან დამღუპა. მე, როგორც ლეკვი, დავდევ მას უკან, რომ მარტო ყნოსვით მაინც მისი არომატი შევიგრძნო და იმითი დავტკბე.

სალომე: ჩუმად იყავი, უღირსო, ენაჭარტალა.

შოთა: მერე რა, ენაჭარტალას არ შეუძლია სიყვარული?

გურამი: როგორა ბედავ ჩემ წინ სიყვარული აუხსნა სალომეს?

შოთა: მომისმინეთ ყველამ, მე ხომ გისმენდით ჭუჭრუტანიდან, სიბნელიდან. თქვენ აქ ამბობდით ყველაფერს, რისი თქმაც კი შეგეძლოთ, სალომეც კი მთელი ხმით ყვიროდა თავისი ქმრის სახელს, მე კი უნდა მეთმინა. არავინ იყო, ვისაც შეეძლო ჩემთვის მოესმინა, ღამის ყარაულს ვუთხარი, როცა მეტის მოთმენა აღარ შემეძლო, და იმან გიჟად ჩამთვალა; ერთი გზა დამრჩა, რომ თქვენთვის მეთქვა და მე ვერ გავუძელი ამ ცდუნებას. გურამმა ხომ თავისი პირით თქვა, ცოდნის მიუხედავად, ვერა ვგრძნობო, როგორ შეიძლება ანდროს ეწყინოსო მართლის მოსმენა. ჩემი ცოდვა ხომ ათჯერ ნაკლებია, ეს ლეკვის ცოდვაა, რომელიც პატრონს დასდევს და ხანდახან წკმუტუნებს. და აი, მე მეგონა, რომ თქვენ ყველას გაგიხარდებოდათ... მაპატიეთ, მე წავიდე?...

გურამი: არა... ჩვენ ყველანი ერთად წავიდეთ.

მარშანია: გმადლობთ, რომ გვიკადრეთ და სტუმრად მოხვედით.

გურამი: შენ დაგავიწყდა და მე ისიცა ვთქვი, ანდროს მოხვევის შემდეგ ზურგში დანის ჩარტყმა ვიგრძენი-მეთქი.

შოთა: არა, მე ეგ არ დამვიწყნია, მე ახლაც ვხიხინებ, ჩემს ყელს ახლაც ეტყობა შენი თითები.

გურამი: ნუთუ არა აქვს ამ კაცს თავმოყვარეობა.

შოთა: აქვს, ოღონდ დამალული, ან შეიძლება მართლა სულაც არა აქვს.

მარშანია: ღამე მშვიდობისათ!

გურამი: ო, ჩვენ ისევ შენს ოთახში ვდგავართ?

მარშანია: დგახართ, დგახართ.

/გამოდიან კიბეებზე/

შოთა: იცი, მე შენ ძალიან მიყვარხარ, სალომე.

სალომე: მაინც როგორ ბედავ?
შოთა: მე მივაღწევ, რომ შენც გიყვარდე.
სალომე: ჩუმად, დაგავიწყდა გურამის თითები?
შოთა: პირიქით, არაფერი მე არ მავიწყდება.
სალომე: გურამ!
შოთა: ო, გთხოვ, ნუ ეტყვი ნურაფერს.
მარშანია: როცა გინდათ, მაშინ მობრძანდით, გურამ.
გურამი: გმადლობთ ყველაფრისთვის.
შოთა: სალომე, დაიხსომე, მე გავიმარჯვებ, იმდენად მართალი ვარ ჩემს სიყვარულთან.
სალომე: გურამ!
გურამი: ახლავე... ამ დღეებში შემოგივლით.
შოთა: ო, გთხოვ, სალომე, ჩუუუმად.
გურამი: რა იყო?
სალომე: /შოთას/ უ, შე მართლა ლეკვო, არცა ღირს შენზე ლაპარაკი, /გურამს/ მომხვიე შენი ხელი მხარზე, ცოტა შემცივდა.
მარშანია: მე წავალ, დავიძინებ.
შოთა: დიდი ხანია შენი ძილის დრო იყო.
მარშანია: რა მითხარით?
შოთა: არაფერი, ღამე მშვიდობისა გისურვეთ.

/სადარბაზოში, დაშორების შემდეგ/

შოთა: აი, ბედნიერი და თვითკმაყოფილი ხალხი. ცოლი ქმარს ღალატობს, ის ამხანაგს ატყუებს, მე კი, უბედური, ლეკვივით დავდევ ამ ბოზს და მის ღიმილს ველი, რომელიც რაც უფრო იგვიანებს, უფრო მახელებს.
მაგრამ მე მჯერა, ჩემსას მივაღწევ, ბოლოს და ბოლოს. რითი ვარ მე მათზე ნაკლები, ბედნიერებით? _ სრულიადაც არა. მე რომ თავს ვიმცირებ, ეგ იმათ სიბრიყვეზე ლაპარაკობს და არა ჩემს დაბალ ბუნებაზე. ეს, უფრო სწორად, ჩემი ცხოვრების ბრძოლის ხერხია. ვინ პირდაღებული, ვინ პირმომუწული, აქა-იქ ჩაკრული სიტყვებით... სამაგიეროდ, ის ჩაკრული სიტყვა თავისში იტევს მთელი სიჩუმის დროს დაგროვებული სათქმელის სიმძიმეს.
აი, თავის გამართლება. ადამიანი კი მხოლოდ იმიტომ ცხოვრობს, რომ როგორმე თავისი არსებობა გაამართლოს _ თვითგამართლებისთვის. მაშ ვინ წამართვა მე ამის უფლება? საკმარისია ჩავარდე შენს ყველაზე ბუნებრივ ფორმაში, რომ თავი ბედნიერად და პატიოსნად იგრძნო და რამდენიც არ უნდა თქვა ხმამაღლა, რომ ეს ასე არ არის, შინაგანი ხმა მაინც მშვიდია, იმიტომ რომ შენი სინდისია წმინდა. აბა, ჰკითხონ იმათ თავიანთ თავს ან თქვენ თქვენს თავს, პატიოსნება მხოლოდ ჩვენი შესაძლებლობის მაქსიმუმია, ხოლო ვინც სხვისი შესაძლებლობით ზომავს, ის ყოველთვის უკმაყოფილოა და, წარმოიდგინეთ, ბოროტიც ხდება საკუთარი თავის მიმართ _ ეს კი ყველაზე დიდი ცოდვაა, რადგან შინაგანად უკვე გეზიზღება მთელი კაცობრიობა. აი, მე დავწყნარდი. აბა, თქვით რამე თქვენ, სხეულით ბედნიერებო, რომ მე მტყუანი ვარ,

ა? ამ წამში მე შევასრულე ჩემი მისია და გავიმართლე თავი, მაგრამ მეყოფა ეს სხვა წუთებში?

როგორც გინდა იყოს, მე მირჩევნია, რომ სხვებმა იფიქრონ ჩემზე ცუდი, ვიდრე მე ვფიქრობდე მათზე ცუდს _ თავის მოტყუება ჭეშმარიტებით ამაზე მეტად არ შეიძლება _ და თუ ასეა, მაშ წადი, შოთა, და ყველა ხერხით ეცადე სალომეს დაპყრობას. გაუშვი, იფიქრონ შენზე ცუდი, შენ ხომ, როგორც ნამდვილ ქრისტიანს, ისინი მაინც გიყვარს...

რამდენიმე თქმით და უმნიშვნელო თავის მობეზრებით, კაცს შეჯავრდები, რა თქმა უნდა, მაგრამ თუ ეს გრძელდება წლობით, ყოველდღე, ყოველ წამს, ვისზედაც მიგაქვს იერიში, მას თავბრუ ესხმის, ეჭვები იპყრობს და თუ პირდაპირ უხეშად არ შეეჯახები, დრო როცა გავა, ყველაფერს გითმობს...

გურამი: /შოთაზე, თავისთვის/ ხო არის ხალხი, არაფერს ცუდს არ აკეთებს და მაინც არ გსიამოვნებს.

სურათი მეოთხე

/საბილიარდო/

მარკიორი: ყოველღამე დილამდე, ყოველდილა ღამემდე, კარგით, რა.

I მოთამაშე: ყოველღამე 500 მანეთი გვერდზე ჯიბეში, ჯერ მარტო ჩვენგან.

II მოთამაშე: დილით ორი მაგდენი, ვისთან გადადის, დუპელ ვ უგოლ.

მარკიორი: ფული იმიტომ მინდა, რომ ვიცხოვრო, არა? კაცურად დრო გავატარო.

II მოთამაშე: შარი ამოიღე, მაგდენი გცოდნია, შენ, კაცო, მეცნიერი ყოფილხარ, გეტყობა.

მარკიორი: მაინც რომ ვერ ვეშვები ამ ფულს?!

მაყურებლებიდან: ნახე, რა, შენც ადვილი მოსაშვები.

მარკიორი: მე მეცნიერი კაცი არა ვარ, მაგრამ ზოგჯერ ისე მეჩვენება, თითქოს ჩემი სინდისი ამ ფულში ჩადის და რაც უფრო მეტი ფული მაქვს, მით მეტი სინდისი მემატება.

მაყურებლიდან: მაშ, შენ ახლა, სულ ცოტა, მილიონის სინდისი გექნება.

მარკიორი: აბა, მილიონი სად მექნება.

II მოთამაშე: პირდაპირ მეორეთი, ჰა, გამოტყდი, შენ სახელზე ვურტყამ.

მარკიორი: აფიორა, მაიტა ორასმანეთიანი, შენგან თუმანს ავიღებ.

II მოთამაშე: მიდი, დაარტყი, დავკარგე თუმანი...

მარკიორი: პირდაპირ მეორეთი...

ბიჭებიდან: ვაა, ჩავარდა.

მარკიორი: შენთვის მიჩუქნია თუმანი.

II მოთამაშე: კაცო, ჩემთვისაც გეჩუქნა.

მარკიორი: მაიტა, შენთან აფიორა, შენგან 100 მანეთი, ჩემგან 1000 მანეთი.

II მოთამაშე: აიღე.

ბიჭები: ახლო მოდით.

მარკიორი: დუპელ ვ უგოლ... მიჩუქებია ასი მანეთი.

II მოთამაშე: უცებ არ გაგვამდიდრა ორივე!

მარკიორი:	110 მანეთის ზარალი ვნახე ორ წუთში. აბა, მე მილიონს ვინ მომცემს?
ბიჭები:	სხვა ზარალი ნუ გენახოს.
მარკიორი:	ვაჰ, 110 მანეთი განა რამეა, განა ეგ რა ფულია... მით უმეტეს, ნაღდი ხომ არ მიმიცია, ან ეგენი რისი მომცემები იყვნენ, მაგრამ მაინც ეწყინება კაცს, რომ იქნებ შეიძლება ჩემი ყოფილიყო, აი, ახლა სულ ჯიბე მეწვის, ხასიათიც დაიკარგა; მორჩით, დავხუროთ.
ბიჭები:	მა ეს ფული სად წავიღოთ, თუ არ წავაგეთ.
II მოთამაშე:	ერთი გაფიცებ, ეგ როგორ თამაშობს, ა?
მარკიორი:	თუ ეგრე განაგრძო, დაღუპავს თავის მამას, აი.
ბიჭები:	ჰე, ჰე, ჰე... მამას დაღუპავს.
მარკიორი:	ფულს მე მოგცემთ, ოღონდ წადით.
II მოთამაშე:	ჯერ მაიცა, კაცი მოვიდეს.
ბიჭები:	ჰო, ჯერ გურამი არ მოსულა.
მარკიორი:	ვაა, აი კიდე ერთი ხათაბალა.
II მოთამაშე:	ძალიან გადავარდა, აი, გოგოებში.
ბიჭები:	ფული იმათშია.
II მოთამაშე:	პირდაპირ აფიორა.
I მოთამაშე:	აიღე აფიორები. შენ გოგოებთან ნახე, დღეში 1000 მანეთიანია.
ბიჭები:	ფული იმათშია.
მარკიორი:	იმ დღეს 100 მანეთი მესესხა, ერთ ქალიშვილთან იყო.
ბიჭები:	გოგოს ფული უნდა.
მარკიორი:	ახლა ვისთან არი?
II მოთამაშე:	ვახ მე, სულ არ წავაგე!... ვისთანაც არი, არი. მორჩით, რა.
I მოთამაშე:	ერთი ისეთი გოგოა, მაგას რო სიყვარული შეეძლოს, შეუყვარდებოდა.
მარკიორი:	ოღონდ ფული დააძროს, ცივ ქვაზე რომ დასვა, ფულს გააკეთებს.
ბიჭები:	ფული იმათშია, ძუძუების შიგადაშიგ.
გურამი:	სმენა! გამარჯობათ.
ბიჭები:	გამარჯობას გისურვებთ, ამხ...
მარკიორი:	რა ჩინი აქვს, კაცო?
ბიჭები:	ქურდი და პოეტი.
გურამი:	კი!
მარკიორი:	რომელში?
გურამი:	ოთხივე კუთხეში მიყოლებით, ზედიზედ.
ბიჭები:	გაუმაზე.
მარკიორი:	100 ასზე, მეც ხასიათზე მოვედი.
გურამი:	აჰა, ასი მანეთი, თავი დამანებე.
მარკიორი:	აი, საღოლ!
ბიჭები:	სად იყავი?
გურამი:	გოგოებში.
ბიჭები:	ფული იმათშია.
გურამი:	მოდით ახლო.
მარკიორი:	მეც მოვიდე?
გურამი:	ყველაზე ახლო.
მარკიორი:	ლექსი უნდა თქვა?
გურამი:	ჯერ არ მოგისმენია.
მარკიორი:	ვა, ქურდებში პირველი პოეტი ხარ, როგორ არა.

გურამი:	დღეს ისეთ გოგოსთან ვიყავი, უუჰ! ყველაფერი თავის ადგილზე ჰქონდა.
ბიჭები:	ვა, ფული იმათშია.
მარკიორი:	ფულს იქით მივცემ, შენ ნაშა მიშოვე.
ბიჭები:	ვა, კიდე შეგიძლია?
გურამი:	ხვალვე მოგიყვან. ჩამომეცალე, მარკიორო, მაგიდასთან ლექსს ამბობს უზარმაზარი უსაქმური, ქურდი და პოეტი.
ბიჭები:	გურამ, გურამ, მიდი, გურამ!
გურამი:	დილიდან ღამემდე ბილიარდს თამაშობთ, როგორ არ გრცხვენიათ, გარეთ გამოდით, გოგოებს შეხედეთ. _ რა უზრდელები არიან ეს ბიჭები, როგორ არ რცხვენიათ, როგორ არ რცხვენიათ!
ბიჭები:	ვახაახაა... შაირით იწყებ?
გურამი:	მე შაირი არ მინდოდა, არც ძალად გითქმევინებიათ ჩემთვის.
ბიჭები:	მიდი, მიდი.
გურამი:	არყის ფული.
I:	25.
II:	50.
III:	30.
IV:	15.
გურამი:	უარყოდ ლექსები ვის გაუგონია?
მარკიორი:	აბა, გავარდი.
II მოთამაშე:	ხუთ წუთში აქა ვარ.
გურამი:	რა გვაქვს ახლა ჩვენ, ბიჭებო?!
ბიჭები:	სურვილი.
გურამი:	რა გვაკლია?!
ბიჭები:	არაყი.
გურამი:	ხი, ხი, ხი, არაყი, არაყი გვაკლია ჩვენ, გესმით თქვენ, ხალხო! ეს საფეხურია, რომლის იქითაც ბედნიერი კაცი ტირის და უბედური იცინის. არაყი წინა საფეხურია საფლავისა, არა, საფლავზე მეტია. აქ, სიცოცხლეშივე, სწორდება დიდი და პატარა, ღარიბი და მდიდარი, მაღალი და დაბალი სული. თუმცა შეიძლება იყო მთვრალი უარყოდაც, ისე, როგორც მე, თავის მოტყუებით. ა! მაშ, რა არის არაყი, თუ არა თავის მოტყუება?! არა, არაყს ერთი უპირატესობა აქვს: შეგიძლია სხვას აჩვენო ცარიელა ბოთლი იმის ნიშნად, რომ რაც შიგ იყო, შენ დალიე, ხოლო სანამ არ დაგილევია, მთვრალი მაინც არა ხარ, არ გითვლიან. რა გვაკლია ჩვენ, ბიჭებო!
ბიჭები:	არაყი!!!
გურამი:	რა გვაქვს ჩვენ, ბიჭებო!
ბიჭები:	სურვილი.
მარკიორი:	ახლავე იქნება არაყი.
გურამი:	გამოცანა შენ გერგება, მარკიორო, ოცდახუთიანი ჩემზე იყოს, ვალად ჩამიწერე.
ბიჭები:	ხი, ხი, ხი, გამოცანა შენ გერგება, მარკიორო.
გურამი:	რა გვაკლია ჩვენ?

ბიჭები: არაყი.

გურამი: არაყი მოიტანეს.

ბიჭები: არაყს გაუმარჯოს!

გურამი: ყველაფერი გვაქვს ახლა ჩვენ: ფული, არაყი, მარკიორი, კიები საჩხუბრად და ბილიარდის ბურთები ერთმანეთის თავში სათხლეშად, ბილიარდის მაგიდა საცეკვაოდ.

ყველაფერი გვაქვს ჩვენ. ხელები... ხედავთ ჩემს თითებს? ამ თითებში მილიონი პატიოსნებაა, ეს თითები ათასჯერ სცემიან სხვას ყელში და დაუხრჩვიათ მათ ოდესმე ვინმე?!

ბიჭები: არასდროს.

გურამი: უქნიათ მათ ოდესმე ცუდი?

ბიჭები: ისინი აკეთებენ უდიდეს საქმეს.

მარკიორი: ისინი აცლიან სხვას ჯიბიდან ფულს.

გურამი: ხი, ხი, ხი.

ბიჭები: აცლიან არყის ფულს.

ერთად: გაუმარჯოს არაყს!

მარკიორი: ისინი წერენ ლექსებს.

გურამი: ისინი წერენ ლექსებს.

ბიჭები: ისინი ქურდობენ და წერენ ლექსებს.

მარკიორი: არ შეიძლება ლექსის მოპარვაც?!

ბიჭები: ხი, ხი, ხი.

გურამი: შენი შანსის ამბავია.

ბიჭები: ეგ თითები იპარავენ ლექსებსაც.

გურამი: მაშ, ყველაფერს მოპარულს გაუმარჯოს!

ბიჭები: ფულს და ლექსებს.

გურამი: ეს თითები სრესენ იმ ძუძუებს, რომელიც სხვას ეკუთვნის.

მარკიორი: ეგ თითები იპარავენ ძუძუებსაც?!

ბიჭები: ხი, ხი, ხი.

გურამი: ეგ ერთადერთია, რასაც ორივე ხელი ერთად იპარავს.

მარკიორი: ძუძუების მოპარვაც შეიძლება?!

ბიჭები: რისი მოპარვა არ შეიძლება?! ხი, ხი, ხი.

გურამი: მაშ გაუმარჯოს მოპარულ ძუძუებს, მოპარულ ფულს, მოპარულ ლექსებს!

მარკიორი: თქვენი რაღა დარჩა, კაცო, ამ ქვეყანაზე!

ბიჭები: ხელები, რომლებიც იპარავენ ფულს, ენა, რომელიც ამბობს ლექსებს, ტუჩები, რომელიც კოცნის ძუძუებს.

გურამი: და სურვილი, რომელიც გვაიძულებს ყველაფერი ეს გავაკეთოთ. აი, გუშინ მე ერთი გოგოს ფანჯარაზე ავძვერი ღამის სამ საათზე და ერთი ლექსი მოვპარე, რომელიც იმისი ამხანაგისთვის დაუწერია თავის შეყვარებულს; იმ გოგოს ხელით, რომელსაც ლექსი მოვპარე, ზედა ჰქონდა იმ ფურცელს დაწერილი:

«შენ რომ ჩემს ამხანაგს მზერა მოსტაცე,
ნეტა ჩემთვის მოგეტაცა,
შენ რომ ჩემს ამხანაგს აზღუდი შეხსენი
და ძუძუ მოჰპარე,
ნეტა ჩემთვის მოგეპარა.»

გურამი: როგორა ვცდილობთ ჩვენ, რომ ყველაფერი უხამსი გავხადოთ, თითქოს გვეშინია, რომ პატიოსანი ვიყოთ, ამაში სენტიმენტალობას ვხედავთ.

მარკიორი: ვა, ვა, თვითონ ნდომებია.

ბიჭები: აბა, თვითონ კაცს რო არ უნდოდეს, ვინ რას წაართმევს.

გურამი: მე რომ ფულს ვაცლი,
იმიტომა ვარ ქურდი.
მე რომ ლექსის მოპარვა მინდა,
იმიტომა ვარ პოეტი.
მე რომ ღამე, სამ საათზე, სხვის
ფანჯარასთან ვზივარ,
შეყვარებულიც იმიტომა მქვია.

მარკიორი: აბა, შენ ყოფილხარ!

გურამი: მაშ, ხმა რომ არ მაქვს, სიმღერა ვეღარ მითქვამს.

ბიჭები: ჩვენ რომ სიმღერის თქმა გვინდა,
მომღერლებიც იმიტომა გვქვია.

ყველანი ერთად: ბნელაში დაბმული,
თივით სავსე თავლიდან
ასფალტიან ქუჩაზე,
ნალებით დაჭედილი,
გალესილი რქებით,
გამოვარდნენ ხარები.

გურამი: მარკიორო, კიები! მე მოვარჯულებ ხარებს.

ყველანი ერთად: შუაში გაიყო ქუჩები,
მილეწა რკინის კარები,
ხალხი უყურებს, იძახის,
ღვთის რისხვაა თუ ხარები.

გურამი: თფშ, თფშ, თფშ.

ყველანი ერთად: კედელთანა დგას გურამი,
კედლისკენ მირბის ხარი,
ალესილი რქებით.

მარკიორი: ბიჭო, კიით რას უზამ ხარებს?

ყველანი ერთად: საწყალი ხარები.
კედელში დატოვეს
თავისი რქები,
გურამი დგას და იცინის.
ურქებო ხარები...

გურამი: მარკიორო, ხედავ ამ კიებს?
აი, ასე დავლეწავ რკინის კარებს.

მარკიორი: ვახ, ჩემი კიები!

ბიჭები: ხა, ხა, ხა, ხა.

გურამი: ვალი ჩაწერე: კიდე ორი კი და ეს ერთი ბურთიც, გზაზე ვინმეს ფანჯარას ვესვრი.

მარკიორი: ვა, შარია!

ბიჭები: წავედით, წავედით.

მარკიორი: ოღონდ აქედან წადით და ღამე მშვიდობისათ!

/ქუჩა. მარტო გურამი/

გურამი: საით მიდიხარ ახლა, ჩემო უღვინოდაც მთვრალო თავო. რამდენი ხმაური იყო და რა სიჩუმეა უცებ. ალბათ, ჩქარა უნდა გათენდეს, მე კი სულ მივდივარ და ვერ მივაღწიე ჩემს სახლს. უსიამოვნო შეგრძნება მიპყრობს მარტო დარჩენილს, თითქოს კედლებიდან გამოდის ხალხი, უსხეულო, ბოროტი და გაუსამართლებლად ითხოვს ჩემს ჩამოხრჩობას. ალბათ, სიმთვრალე მომერია, თუ მარტოდ დარჩენილი შიშმა დამჩაგრა?! ისევ, ისევ იმათთან, ხალხთან გინდა წახვიდე, რომ ისევ მარტო იგრძნო თავი, ნუთუ ისეთი მშიშარა გახდი, რომ არ შეგიძლია მარტო დარჩენილმა პასუხი აგო ათას სხვა სინდისებთან, რომლითაც ივსება ეს ქუჩა; არ შემიძლია. ისევ წავალ იქ, ხალხში, და მარტო დავრჩები, მხოლოდ იმათთან ვგრძნობ ნამუსსა და სიმარტოვეს. ისევ ვიმღერებ იმათთან ერთად იმათი სიტყვებით ხმამაღლა და ისევ საიდუმლო, მხოლოდ ჩემი უბგერო ხმა, რომ ყველაფერი ტყუილია, მეც ტყუილი ვარ, ჩემი გართობაც, ამ გართობით მოგონილი თავის შექცევაც გამომყვება უწყვეტი კაკუნით, როგორც სინდისის ქენჯნა, რომელიც ჩემი ბგერიანი ხმის გაზრდასთან ერთად იზრდება. – იქ, ხალხში, მარტოობას კიდევ ავიტან, იქ მე ვტყუივარ, იქ სხვას ვატყუებ, ხოლო აქ, როცა სულ მარტო ვარ და არ ვიცი ვის ვატყუებ, მე მეჩვენება, რომ ჭკუიდან ვცდები. აბა, რომელი ჭკუათამყოფელი მოატყუებს თავის თავს.
ო, რომ ვიცოდე რა ადგილას ვტყუივარ მე, მე დავიფიცებდი, რომ აღმოვფხვრიდი იმავე წამში ამ ტყუილს. მაგრამ მე ვტყუივარ ყველაფერში, რასაც ვაკეთებ და რასაც არ ვაკეთებ, იმაში იმითი ვტყუივარ, რომ არ ვაკეთებ. ნუთუ ასეა ყველა და მეც ვერ ვამჩნევ ისევე იმათ, როგორც ისინი მე ვერ მამჩნევენ... ო, მთვრალო თავო, ნუ იწევ ისევ იქითკენ. მაგრამ ხომ უნდა ვიცოდე მე ვარ მარტო ასე თუ სხვაც ასეა გაორებული, გაათებული.
ვისთან შემიძლია ავიდე ახლა, ამ ღამეს. ჰო, სალომეს დასთან, იასთან, იმას ცალკე ოთახი აქვს. ჰა, ჰა, ჰა, იპოვე, გურამ, მიზეზი? ღმერთო ჩემო, შენ, გურამ, ასეთ გულად ბიჭს, ნუთუ ამდენი ლაპარაკი, თავის მართლება გჭირდებოდა, რომ დაწოლის წინ ერთხელ კიდევ მოგეკლა შენი ხურუში.
თუმცა არა, სერიოზულად, ახლა გადავძვრები ფანჯრიდან იას ოთახში და წყნარად, როგორც დასთან, ისე დავიძინებ მის გვერდით, მეც ხომ ვიღლები საბოლოოდ.

/აძვრება მეორე სართულზე და აკაკუნებს ფანჯარაში/

ია: გადმოდი, გურამ.
გურამი: დილა ადრე მშვიდობისა, ია.

ია: ჩუ, მეორე ოთახში გაიგებენ.

გურამი: რომ მთხოვო, მაინც ვერ ვიყვირებ.

ია: დაღლილი ხარ, ბიჭო.

გურამი: ია!

ია: რა, გურამ?

გურამი: გიყვარვარ შენ?

ია: მე მგონი, გურამ, _ შენ რომ იცოდე რა საფრთხეში ვარ, იქით დედ-მამას სძინავს.

გურამი: მომეცი შენი ხელი, ია.

ია: აჰა, ჩემი ხელი, გურამ, რად გინდა ის?

გურამი: მე დავიღალე, ია, მინდა ზედ დავდო თავი და დავიძინო.

ია: სად იყავი, გურამ?

გურამი: ჰო, ია, შენთვის რაღაც უნდა მეკითხა და აი, დამავიწყდა.

ია: დაიძინე, გურამ, ოღონდ მხოლოდ ერთი საათით, იცოდე. უკვე ჩაეძინა, როგორი მთვრალი და დაღლილია და მაინც რა ჯანსაღი და ბედნიერი ჩანს. ყველა რომ ეგეთი იყოს, ალბათ, უბედური არ იქნებოდა ამქვეყანაზე. როგორ მინდოდა მეც დამეძინა მის გვერდით, ის კი გაიჭიმა მთელ საწოლზე. არც კი მომაქცია ყურადღება, ისე დაიძინა. შეიძლება უსინდისო ვარ, მაგრამ ის ჩემთან ყოველთვის ასე შვრება. ნუთუ ისედაც დარწმუნებულია, რომ გაგიჟებით მიყვარს და ყურადღებას აღარ მაქცევს. გესმის, გურამ, მე შენ ძალიან, ძალიან მიყვარხარ.

გურამი: მესმის, ია, მე ვისვენებ შენთან.

ია: გურამ!

გურამი: ჰო, ია.

ია: რატომ ისვენებ ჩემთან, რატომა ხარ ასე წყნარი. მე ხომ შენ გიცნობ როგორც მოუსვენარს, ყველაზე ცოცხალს და ბედნიერ კაცს, ნუთუ შენც იღლები?

გურამი: მე, ბედნიერ კაცს, ყველაზე ცოცხალს და ბედნიერს... ჰო... ჰო, ასეთიც ვარ. ეს ისე, იქით რომ არ გაიგონონ, იმიტომ გავჩუმდი.

ია: არ გიხდება სიწყნარე, გურამ.

გურამი: არ მიხდება? გოგო, მე ისე, ისე გავჩუმდი, გესმის, რომ სიჩუმის შემდეგ უფრო გეგრძნო როგორ მინდოდა აქ ამოსვლა.

ია: აი, ასეთს გიცნობ შენ.

გურამი: მაშ ვიყოთ ისეთები, როგორებიცა ვართ, გინდა ვიყვირო ფანჯრიდან?

ია: ო, რაც გინდა არ შეიძლებოდეს, მაინც მინდა.

გურამი: გესმით უუუ _ მეზობლებო, მე ია მიყვარს, მე ია მიყვარს.

ია: გადახტი, მოდიან.

ხმა იქითა ოთახიდან: რა ხმაურია მანდ?

ია: არ ვიცი, დედა, ვიღაცა ბიჭი ყვიროდა ქუჩაში. გადახტი ფანჯრიდან!

გურამი: მინდა, რომ ვინმე შემოვიდეს.

ია: შენთვის არაფერია, მე კი, მე რა უნდა ვუთხრა დედას. ჩუ, ჩუ, აკაკუნებენ, გადახტი ფანჯრიდან!

გურამი: მამაძაღლი.

ია: რა არის?

გურამი:	ხედავ, ვინ გაიარა ფანჯრის ქვევით?
ია:	კოტემ?
გურამი:	ალბათ, მთელი ღამე გვითვალთვალებს.
ია:	არა, გვიან, დილით ბრუნდება სამუშაოდან. ჩუუ, ისევ აკაკუნებენ. ახლავე, ვდგები, გადახტი ჩქარა!
გურამი:	ისევ იქა დგას, მე არ მხედავს, გადავხტე?
ია:	დაგინახავს, უეჭველად დაგინახავს, რა ვქნა ახლა! ო, საცა შენა ხარ, იქ არ შეიძლება ალიაქოთი არ ატყდეს. რა გეცინება, ნუთუ არ არის მდგომარეობა, რომ შენ ჩაფიქრდე, ანდა დაღონდე.
გურამი:	მე? ხედავ, ისევ აკაკუნებენ, რას მირჩევ?
ია:	აქ დაიმალე, კარადის უკან.
გურამი:	კარადის უკან! ჩქარა, მოიგონე სხვა რამე, სულ არ მინდა ძველი თეატრალური ტრიუკის გამეორება შეყვარებულის სახლში, დაშნაღა დამაკლდება და ბატის ფრთით ქუდი.
ია:	ისევ აკაკუნებენ.
სალომე:	ია!
ია:	სალომეა, ჩემი და.
გურამი:	მოიგონე რამე ორიგინალური.
ია:	არ არის მაგის დრო, ჩქარა. როცა საქმე მოითხოვს, იქ შაბლონი არ არსებობს და ეგ სიტყვაც თავის აზრს კარგავს. გურამ, გთხოვ.
სალომე:	ია, ადექი?
ია:	მოვდივარ. /გურამი იმალება/
გურამი:	/თავისთვის/ აი, მე, დამალული, როგორც უკანასკნელი მამაძაღლი, იძულებული ვხდები ვუსმინო სხვების ლაპარაკს, თუმცა, ეს ჩემს სინდისზე არა მოქმედებს, პირიქით, ოდნავ ცნობისმოყვარეობაც მიპყრობს, ორი შეყვარებული დიდან, რომელი უკეთესი აზრისაა ჩემზე. თუ უცებ გამომლანძღეს წვრილი სიტყვებით? როცა უშვერად და მაგრა გაგინებენ მსხვილი სიტყვებით, მაშინ გულს ხვდება და თითქოს თავმოყვარეობას იკმაყოფილებ, ხოლო, როცა ისე, ზერელედ გაგინებენ, ამას ვერ ვიტან და, ალბათ, გიჟივით გამოვვარდები აქედან, რომ მეტი საგინებელი მივცე: მე ხომ ყოველთვის შიში მიპყრობს, რომ ჩემზე რაიმე უმნიშვნელო შეიძლება თქვან, მაშინ როდესაც მნიშვნელოვანი არასოდეს არაფერი გამიკეთებია. მაგრამ აბა, სცადეთ და ანგარიში გაუწიეთ, როცა სხვისი პირით ისმენთ თქვენს თავზე სიმართლეს. ოჰო, მე უკვე გავერთე ჩემი დაბალი როლით, არის ყველაფერ ამაში, სწორედ აქ დგომაში, რაღაცა საზიზღარი და წვრილმანი. რაც უფრო მეტს ვფიქრობ, მით უფრო უძლური ვხდები და არავითარ ძალას არ შეუძლია მაიძულოს, რომ, როგორც პატიოსანი ადამიანი, გამოვიდე აქედან და, თუ გამოვალ, ხომ არ იქნება ეს უფრო მეტი სისულელე და უსინდისობა, ვიდრე აქ დგომა? მაშინ ხომ სამუდამოდ შერცხვება ია და პირდაპირ ვაწყენინებ სალომეს; მაშ, დავუჯერებ რეჟისორს, რომელმაც ჩემი როლი ასე გაანაწილა _ ვიდგები აქ პირში წყალდაგუბებული და შევეცდები არ ჩავფლავდე, არ შევარცხვინო... ო, რა ადვილი ხდება, როცა ჩვენს გამოუვალ მდგომარეობას სხვა განაგებს და ჩვენ თვითონ ფიქრი აღარ გვჭირდება; როგორ გვიყვარს ადამიანებს გულზე მოშვება, თავის

ნუგეში და ჩვენი ცოდვის სხვა ვინმეზე გადაბრალება. თუმცა რას ვყბედობ ამდენს _ იჯექი, როგორც ლეკვი, და ყური უგდე, გინდა-არგინდა, როგორც მამაძაღლმა.

ია: როგორ არის ანდრო, სალომე?

სალომე: თითქოს უკეთ გახდა, ახლა ჩაეძინა, მე კი ვერაფრით ვერ შევძელი თვალის მოხუჭვა.

ია: ჩემო სალომე, ამდენი ღამე უძილობისაგან, როგორღაც გაფითრდი... არა, სხვა რაღაც მინდოდა მეთქვა.

სალომე: საწყალი ანდრო, ძლივს ჩაეძინა.

ია: მან ისევ არ იცის არაფერი?

სალომე: აბა, ვინ ეტყვის, რომ დღეს თუ ხვალ უეჭველად უნდა მოკვდეს? და გინდაც უთხრან, აქვს ამას რაიმე აზრი?

ია: როგორ უძლებ ამ დარდს, სალომე?

სალომე: აკი ვერ ვუძლებ ამ დარდს, ია.

ია: წამოწექი ჩემს საწოლზე, თავი დაუდე ცოტახანს ბალიშს, იქნებ ჩაგეძინოს.

სალომე: მე აქ მაგისთვის არ მოვსულვარ, ია.

ია: ჰო, მესმის, შენ ანდროზე დარდი გინდა რომ გამიზიარო.

სალომე: ო, ღმერთო ჩემო, მოკვლა ცოტაა _ ქვებით ჩაქოლვა პატიებაა და ჩამოხრჩობაა თავისუფლება შენი დისთვის.

ია: ჰო, ძალიან იტანჯება ანდრო, დაწყნარდი, მაგ სიტყვებით ხომ ვერ შეუმცირებ იმას ტკივილებს.

სალომე: ო, რომ შემეძლოს ჩემი სხეულით მისი ტკივილის შემცირება, ერთი წამითაც კი არ დავფიქრდებოდი, ისე დავთმობდი, სიამოვნებით, ჩემს უღირს გულს.

ია: დაწყნარდი, სალომე, შენ ხომ ჯერ ახალგაზრდა ხარ, უნდა აიტანო დარდი ანდროზე.

სალომე: როგორ თქვი? ახალგაზრდა? ხო, ხო, მე ახალგაზრდა ვარ, ძალიან ახალგაზრდა; უფრო მეტად კიდევ, ახალგაზრდა სინდისის მქონე.

ია: რატომ აბრალებ ბუნების უსამართლობას შენს სინდისს?

სალომე: ჩემს სინდისს? ის, რომ სხეული და ვნება მეტი მომცა ბუნებამ, ვიდრე სინდისი? ეს გინდოდა გეთქვა?

ია: შენ ანდროზე აღარ ლაპარაკობ.

სალომე: იმაზე? აღარ. ის მოკვდება, ვიცი, მაგრამ მე ვრჩები უსინდისო, ამ ქვეყანაზე საწამებლად, რომ მომაკვდავ ქმარს საწოლის უკან ვღალატობდი.

ია: სალომე?!

სალომე: ო, გთხოვ, ნუ მაჩუმებ. ისევ მეცა ის შეუკავებელი და გამოსულმა იმის საძებნად, მხოლოდ შემთხვევით შემოვიხედე შენს ოთახში და აქ შენთან სიტყვებით მინდა დავღვარო მთელი ჩემი ვნება და ეს დაღვრა ორჯერ მეტია, ვიდრე ღალატი, რადგან აქ სინდისსაცა ვგრძნობ და ვნებასაც, ხოლო იქ მარტო ვნებაა და სინდისი სასაცილო, არასაჭირო სიტყვად იქცევა ხოლმე.

ია: შენ ღალატობდი ავადმყოფ ანდროს?

სალომე: ო, შენ ეს გიკვირს?

ია: სალომე?!

სალომე: მე ეს მტანჯავს, აი, აქ გულს, ტვინს მწვავს, შენ კი როგორც ჭორს, ისე იღებ და ისე ნაზად მეკითხები, თითქოს ათას ერთი ღამის ზღაპარს ვყვებოდე.

ია: დაწყნარდი, სალომე!

სალომე: მე აქ ამისთვის არ მოვსულვარ, ვტყუი, ია, ყველაფერს და მაპატიე, თუ მე მხოლოდ ყვირილით შემიძლია დაწყნარება, რადგან ჩემს სხეულს მხოლოდ ყვირილი ესმის და სინდისი მხოლოდ ხელსა მკრავს იქითკენ, რომ გონება დავკარგო.

ია: სალომე, დაო, გთხოვ, მოდი, გაკოცო ან მოგეფერო. მე შენი მესმის და მაპატიე, თუ შენთან ერთად მეც არ ვყვირი, მე ხომ გაცილებით სუსტი ვარ შენზე, მაგრამ აქ, სიღრმეში, მეც ისე ვიწვი, როგორც შენ.

სალომე: ო, ნეტავ შემეძლოს მეც ეგრე ვიწოდე წმინდად, როგორც შენ.

ია: არა, მე ცოდვილი ვარ.

სალომე: შენ მომაკვდავი ქმრისთვის არ გიღალატია. ნუთუ შეუძლია ადამიანს სამმაგ ცოდვას და ერთ სურვილს ისე გაუძლოს, რომ საკუთარ დასაც კი არ უთხრას.

ია: მოყევი, ყველაფერი თქვი, ჩემო სალომე, განა არ იცი, რომ ერთნი იმიტომ ჩნდებიან ქვეყნად, რომ მეორეებს უსმინონ და თანაუგრძნონ და თუ მე არ ვყვირი, ალბათ, ნაკლები მაწუხებს დარდი, უფრო სწორად, ჩემში ცოტაა განცდა ზოგადად, ხოლო თავშეკავება ამქვეყანზე ყველას, ალბათ, ერთნაირი გვაქვს.

სალომე: შენ მართალს ამბობ და როცა განცდა სჭარბობს ამ საერთო თავშეკავებას, მაშინ ვყვირით. მაგრამ რატომღაც სიჩუმესა ვგრძნობ გულის სიღრმეში, თითქოს დავწყნარდი, ალბათ, იმიტომ რომ პირველობა აქამდე დაგითმე და უსიტყვოდაც ჩემი გაიგე.

ია: ნუღარ მოჰყვები ნუღარაფერს. მე შენი მესმის და გამართლება არ შემიძლია, თუმცა შენს ადგილას, შენი სურვილებით, მეც, ალბათ, მასვე გავაკეთებდი და მეც, როგორც შენ, არავინ არ გამამართლებდა.

სალომე: ეს ყველაფრი გამართლებაზე უფრო მაღლა დგას. არა, მაღლა კი არა, უფრო წინა დგას. აქ სიტყვა მაღლა ჩემს მდაბალ ქცევას არ მოუხდება, მე მინდა გითხრა ყველაფერი, სულ, სულ ბოლომდე.

ია: /თავისთვის/ ღმერთო, რატომღაც მეშინია ბოლომდე რომ თქვას, ნეტავ არ მოჰყვეს.

სალომე: მოვყვე იმიტომ, რომ მერე უფრო ვიტანჯო.

ია: ნუ, ნუ მოჰყვები, მე არ მინდა, რომ შენ შემიჯავრო, ჩვენ ხომ ვერასოდეს ვერ ვაპატიებთ იმ მეგობარს, ვინც ჩვენ, ნაცემს, სისხლი მოგვბანა და გვითანაგრძნო, ვინც თავისი თვალით მოწმე იყო ჩვენი სისუსტის.

სალომე: ო, ღმერთო ჩემო, რამდენი რამე შეიძლება ამქვეყანაზე რომ სწორი იყოს, გარდა იმისა, რასაც ყოველი ჩვენგანი ყოველ წამსა გრძნობს ღრმად, დაფარულად და, იტყვი თუ არა მას, რასაცა გრძნობ, იმავე წამში იმავ გრძნობისთვის ტყუილად იქცევა და სათქმელი კი საიდუმლოდ თავისთვის რჩება. ო, რომ შემეძლოს, ვიყვირებდი, რომ მე... გინდა იცოდე? ვიცი, რომ გინდა, მაგრამ თქმის შემდეგ ეს ნდომა არნდომად იქცევა და საიდუმლოს გაგების შემდეგ იტყვი: ნეტავ, არ მცოდნოდაო.

ია: ჰო, ჰო, მინდა და ათასჯერ უფრო ძლიერ, ვიდრე შენ გგონია, ოღონდ მაგ ნდომისთვის გთხოვ, რომ ნუ იტყვი. /თავისთვის/ ღმერთო ჩემო, ნუთუ ის არის. როგორ ისწრაფის გული, რომ ჩქარა სიმართლე იცოდეს და როგორ ეშინია ჩემს არსებას მისი მოსმენის.

სალომე: არა, არ ვიტყვი. დე, უფრო მეტად გაიზარდოს ჩემში ეს ტანჯვა და ის, ვინც მისი მოზიარეა, ჯერ ჩრდილში დარჩეს, რომ არ გაიყოს ჩემთან ერთად სინდისის ქენჯნა. /გურამი ჩუმად გამოდის და ფანჯრიდან ხტება/

ია: ო, ნუღარ მტანჯავ, დაო, სალომე.

სალომე: შენც იტანჯები?

ია: ჰო, შენთან ერთად.

სალომე: მაშ მე წავალ და მეცოდინება რომ ვიღაცა ჩემი დარდების მეასედს მაინც გულით ატარებს. /თავისთვის/ ნეტავ შემეძლოს იმავეს თქმა ყოველთვის და ყველგან ერთნაირად უდარდელ გურამზეც. /გადის/

ია: ღამე მშვიდობისა, სალომე. ო, გათენებულა. ღამის ნათურა თავის შუქს კარგავს. გურამ! გურამ! ვეღარ გაუძლო, ალბათ, ჩვენს ჭორებს, ქალურ ლაპარაკს და დრო იხელთა გადასახტომად, ან იქნებ... ო, ეს ეჭვი, რომელიც მეცა ჩემი დის პირველივე სიტყვებიდან, ახლაც მაწვალებს. იქნებ... მაშ რად გაიქცა. თუ არ სინდისმა, სხვამ რამ აიძულა გაქცეულიყო. მე ხომ ვიცი, რომ ეგეთ კაცსაც კი აქვს სინდისი, მე კი, ლაპარაკს ვერ გაუძლო-მეთქი ვიფიქრე. არა, საიდან... ისე კი გვანან ჩემი და და ეგ ერთმანეთს, ორივეს რაღაც ერთნაირი აქვს ისეთი, რაც სხვას ატყუებს, ისე რომ თვითონ არც კი იციან ამის შესახებ. მაგრამ მე? მე, მეც ხომ მიყვარს და, მე მგონია, ჩემს დაზე უფრო. მაშ რაღადა ვწევ უკან ამ ჩემ სიყვარულს და ჩემ გულში სალომეს უფრო მეტ უფლებას ვაძლევ, როცა ათასჯერ ნაკლებადა აქვს თავის მდგომარეობაში ამისი ნება. მაგრამ ეგეთი ხალხი, როგორიც ეგენი არიან, ნებართვას არ კითხულობენ. ალბათ, ამიტომ უნებურად... ო, რას ვსულელობ, გურამი ხომ ანდროს მეგობარია... მაგრამ მაინც რაც თითქმის მჯერა, აი, არ მინდა, რომ ეს მჯეროდეს. ჩემს დას, სალომეს, ვუთმობ მის სიყვარულს, როცა მასზე უფრო მეტად მიყვარს მე თვითონ. ჰო, რაღაცა არის მათში, ორივეში, რაც სხვას ატყუებს და აიძულებს, უნებლიეთ, თავისი გრძნობა უკან დახიო.

მე უიმედო წამებულის როლს უფრო კარგად შევეგუებოდი, ვიდრე გამარჯვებული შეყვარებულის...

სურათი მეექვსე

გურამი: და დავრჩი მე უძილო ღამესთან ერთად

მარტო...

რა სიწყნარეა ამ ბნელ შუკაში,

თვითონ სასტიკი წყევლის ხმაც კი აქ აღარ

აღწევს,

თითქოს საშინელ სიზმარში ვიყავ, ოფლში

გაღვრილი,
რომლის შემდეგაც გამოფხიზლება
გაზაფხულივით მოვიდა ჩემთან.
ამ სიწყნარეს, როგორც ზვირთების დაგუბებას,
ისე ვგრძნობ ტანით,
ისევე როგორც ხის კვირტები, წლის ამ დროს,
ჯერ გაუშლელნი.
თითქოს ივსება ეს იდუმალი, სანუკვარი წამი,
ადის ჯეგირის გამაგრებულ თავამდისაც კი,
და იქ სიმშვიდე, მიღწეული უკიდურესობამდე,
ინაბება,
და როცა ყველაზე სავსედ გრძნობს ის თავს,
გადავსებული, ზათქით, ღრიალით
უფსკრულისაკენ ეშვება ისევ,
თითქოს იპობა, იპარება იმ სიმშვიდეში,
როგორც სიჩუმე საუკუნეთა, ქულა ნისლებს
მოფარებული,
საბედისწერო ისევ ის კითხვა:
ყოფნა?! არყოფნა?! გაორკეცებით იპყრობს ჩემს
სხეულს,
და ის უნარი წინ აღუდგე, მოუყრუო,
დაუბრმავდე ამ დასმულ კითხვას,
სასაცილო, უსუსური ჩანს იმ დიდ სენთან,
რისთვისაც ტანჯვა შეურქმევიათ მრავალ
თაობათ.
ეს სენი არის ის შემოქმედი, რომლის
უფლებაც
ამქვეყანაზე ჯერ არავის გაუზომია,
რომელიც ყოველს ყოველდღიურად უბრუნებს
კითხვას _
მეც ავადმყოფი, უძლური იმის წინაშე,
როგორც პეპელა, ფრთაგაშლილი, ღამის
წყვდიადში
თავის დამღუპველ სინათლისაკენ, საბედისწეროდ
ვცდილობ მის ცნობას, მის შუაში გავლას.
ხომ შეიძლებოდა მე არ ვყოფილიყავ, არ
გავეჩინე სიცოცხლეს,
მაშინ აღარ იქნებოდა ჩემი ტანჯვაც.
მაგრამ ეს კითხვა, თვალბედითი, აქ არ
ჩერდება,
ერთხელ დასმული, ძირებამდე ლამობს
ჩახდომას:
მაშინ იქნებოდა სხვა, შეპყრობილი ამავე
სენით.
ო, რა კარგი იქნებოდა ეს ჩემთვის,
მაგრამ იქნება ის სხვა, სხვის მაგიერ

შექმნილი კაცი,
სწორედ მე ვარ და მხოლოდ იმიტომ ვიწვი ამ
ცეცხლზე,
რომ ის არ გაჩნდა, ასპარეზი კი მე დამითმო.
მაშ, სად არის გამოსავალი, თუ პირველი
ყოფილა ტანჯვა
და იმას თვითონ შეუქმნია ადამიანი,
მიუცია მისთვის გრძნობა და კაზმული ათასი
სიტყვა,
რომ თავის თავზე ლაპარაკი შესძლებოდა
განსატვირთველად,
რომ ამ განტვირთვით ძველის ადგილზე
ასკეცი ძალით დასწოლოდა ახალი ტანჯვა.
როგორ მაგონებს ეს ჩვენი ცდა მოტყუებულ
ოკეანეს,
რომელიც, პირამდე სავსე მლაშე წყლით,
როგორც ჩვენ სიტყვებს, მოზღვავებულს,
ვუშვებთ ჰაერში
და შევჩივით ჩვენივ გაჩენას,
ისე შესჩივის აორთქლებულ წყალს,
თან აყოლებს გულის ვარამს ლაჟვარდ ცაში,
რომ იქ ის, მის უნებურად, შავ წვიმის
ღრუბლად იქცეს,
და ის ცის ლაჟვარდიც, რომლის ნეტარი
სიმსუბუქეც
ოკეანიდან გაგზავნილი მძიმე ხვედრის
სულ მცირე წვეთსაც კი ძლივს იტანს,
ისიც იმისთვის, რომ მეორე წამსვე ისევე უკან
თავსხმასავით დაუბრუნოს ოკეანეს წვიმის
წვეთები,
როგორც სიმძიმისგან განტვირთვის
უმწეო ცდის დამარცხებული მაგალითი.
კაცნი არიან წარმავალნი.
მეც, თვითონ გურამს, ბევრი დღე, ალბათ, აღარა
მაქვს,
რომ შემეძლოს მთელი სენის ჩემში ჩატევა,
მისი თან წაღება
და განთავისუფლება ჩემი შემცვლელის
ამქვეყანაზე ამ მძიმე განცდისაგან.
მაგრამ პირიქით, პირიქით ვშვრები,
და თუ დაგვწყევლის შთამომავლობა, მხოლოდ
იმიტომ,
რომ ჩვენ ვაღვივებთ ჩვენში ჩასახულ პატარა
განცდას
იმისათვის, რომ სხვას გაორკეცებით
გადავულოცოთ.

სურათი მეშვიდე

/გურამის ოთახი, ბებო მარტოკა/

ბებო: ოხ, შენ, გულო, ამხედრებულო, თვითონ არ იცი რისთვის და ვის წინააღმდეგ. სად დაძრწიხარ ამდენი ხანი, საკუთარ ბებოსაც კი არ აძლევ მოსვენებას, რომ თვალი მოატყუოს შუაღამეს მაინც, და სხვას რა ხეირს დააყრი.

დაგწყევლო თუ დაგლოცო, ღმერთმანი, აღარა გამეგება რა. ყველაზე უვნებელი სიტყვაც კი, რითაც შენ გლანძღავ, გულს მიმძიმებს და წინათგრძნობა უცნაური აღარ მასვენებს მერე მთელი ღამეები.

არა გყავს დედა შენ, არა გყავს მამა, კიდევ კარგი, ბებო მაინცა გყავს, რომ დაგირეცხოს და შუაღამეს მაინც გაჭამოს; ნეტავ არ გყავდეს ეგ ბებო, რომ წიგნი ვერ გასწავლა და უმაღლესში ვერ შეგიყვანა, ნეტავ არ გყავდეს ეგ ბებო, რომ დედაშენს ვერ მოუარა, რომ იმდენი ხანი მაინც ეცოცხლა, სანამ შენ გაგზრდიდა.

ნეტავ, ჩქარა მოგიკვდეს ეგ ბებო, რომ მისი დღეები შენ მოგემატოს. სადა ხარ, ბიჭო, გურამ, ამდენი ხანი.

გურამი: აქა ვარ, ბებო, კარი გამიღე.

ბებო: ღიაა, ბიჭო!

გურამი: მერე არ გეშინია, ბებო?

ბებო: შენზე უარესი ვინ შემოვა, შვილო, აქ, თფუ, თფუ _ ისევ დავიწყევლე. დილა მშვიდობისა, ჩემო ბატონო.

გურამი: ბრაზობ, ბებო?

ბებო: საკრამენტო, კიდევ ბედავ ამდენ ლაპარაკს!

გურამი: მაპატიე, ბებო.

ბებო: მე შენ გაჩვენებ პატიებას, გაიხადე, ახლავე ჩაწექი ლოგინში.

გურამი: ვწვები, ბებო.

ბებო: შენ რა, ცოცხით ცემა მოგინდა?

გურამი: კარგი, ბებო, ბავშვი ხომ აღარა ვარ.

ბებო: მე შენ გაჩვენებ, ვინცა ხარ.

გურამი: ბებო, ვინ შემოვიდა, ა?

ბებო: ვინა?

გურამი: ა, ხომ აგიყვანე ხელში. მოდი ვიმღეროთ, ბებო, სიმღერა.

ბებო: გამიშვი, შე მამაძაღლო, სული შემეგუბა.

გურამი: აი, აქ დაჯექი, ბებო, მე აქ დავჯდები შენ ფეხთით. დაიწყე რა, ბებო, სიმღერა.

ბებო: მაინც მომალბო ამ ეშმაკის კერძმა. რა დროს სიმღერაა, ბიჭო, საცაა გათენდება.

გურამი: ერთად, რა, ბებო, ერთად ვიმღეროთ, მერე უცებ დაგვეძინება.

ბებო: Жил был у бабушки
Серенький козлик.

გურამი და ბებო: Вот как, вот как,
серенький козлик

ბებო: Бабушка козлика
очень любила.
გურამი: а козлик бабушку тоже!
ბებო, აბა ერთად, სხვა ტონში.
გურამი: У Попа была собака
ბებო: თავი მოგვეჭრა მეზობლებში.
/ცეკვავენ, მღერიან/
Попа ... собака...
გურამი: შენ უკვე ამოდიხარ, მზეო, გალამაზებული და გამოძინებული ღამის წყვდიადში, მე კი ჯერ არ დამიძინია. არაუჭირს არტისტი გამოვიდოდა ჩემგან. ისევ რაღაცა არაბუნებრივი მწვდა ყელში ამ სიტყვების თქმისას, რომელიც თითქოს გულით წარმოვთქვი. ალბათ, იმიტომ იყო უჩვეულო, როგორც თვითონ ეს სიტყვა «უჩვეულო», რომ ამ სარდაფში პატარა ფანჯრიდან არც ჰაერი ჩანს და არც თვითონ მზე, მაგრამ რაც გინდა იყოს, ჭუჭრუტანებში შემოსული ეს რამდენიმე სხივი, რომელშიაც აუარებელი თვალით ხილული სხეული დაცურავს, ფიქრსა ჰგავს, რომელიც სადღაც გაშლილი სამყაროს შუიდან გამოგზავნა მზემ, ხოლო ეს ბინძური ოთახი სხეულს მაგონებს, ჭუჭყიან სხეულს, რომელმაც იმ წმინდა ფიქრს ბინა უნდა მისცეს, რადგან ისეთი არაწმინდა ჭურჭლის გარეშე, როგორიც სხეულია, ყველაზე წმინდა სულიც კი არარაობას წარმოადგენს.
რამდენიც უნდა ვიცინო მე ჩემს ჭკვიანურობაზე, მაინც დილის სხივებმა მომანიჭეს მე ეს აზრები თავის გამომჟღავნების და თავის დაცინვის.
მადლობელი ვარ, მზეო, შენი, მთელი არსებით და ნუ მიაქცევ ყურადღებას იმ ჭუჭყიანი სხეულის ხარხარს, რომელიც მესმის ამ სიტყვების თქმის დროს ჩემი სხეულიდან.
ო, შენ დააცხუნე საწყალ ბებიაჩემს, რომელმაც ეს-ეს არის ჩაიძინა. ო, გთხოვ, ნუ აცხუნებ მას თვალებში. ნახე, მზეო, რა გულჩვილი გავხდი მე. მაპატიე, რაღაც არ მინდა, რომ შენს სხივებს რამე ჩამოვაფარო. ჯობია ავიყვანო ბებოს პატარა სხეული და აქეთ, ჩემს საწოლში, გადმოვაწვინო..

მ ო ქ მ ე დ ე ბ ა I I

სურათი პირველი

/მოედანი ზემელზე/

მამები: ეი, თქვენ, ისევ მანდ დგახართ?!
ბიჭები: აბა, სად წავიდეთ?
მამები: დილიდან ღამემდე თქვენ სარჩენად წელი გვწყდება მუშაობაში.
ბიჭები: ჩვენ კი თქვენ მაგივრადაც ვდგავართ აქ.
მამები: გაფუჭდა დროება, მადლობის მაგიერ დაგვცინიან შვილები.
ბიჭები: ეს იმის მაგიერია, რომ თქვენ თქვენს მამებს დასცინოდით.

მამები: რა გათახსირებაა ასე თქმა პირში ყველაფრის.
ბიჭები: ახლა ასეთი დროება დადგა, გამარტივდა ყველაფერი.
მამები: რა დროებაც გინდა დადგეს, ჩვენ მაინც მამები ვართ თქვენი.
ბიჭები: და ვინ უარყოფს მერე მაგას?
მამები: თქვენ, თქვენი საქციელით.
ბიჭები: ჩვენ, ჩვენი საქციელით? პირიქით, ხაზს ვუსვამთ მაგ ამბავს.
მამები: ჩვენ არ ვესხედით მამებს კისერზე, ჩვენ არ ვიყავით ზარმაცები.
ბიჭები: ჩვენ? ზარმაცები? თქვენ გგონიათ, ეგრე ადვილია დილიდან ღამემდე დგომა ერთ ადგილას?
მამები: პასუხი მზად აქვთ, რაც შეიძლება ბრიყვული, თუმცა, აგერ მათი მეთაური, აგერ მათი მასწავლებელი.

/შემოდის გურამი/

ამან გააფუჭა ესენი.
გურამი: მე გავაფუჭე? ამათ განა კიდე გაუფუჭდებათ რამე?
მამები: შენ გყვებიან ისინი, შენ ასწავლი მათ...
გურამი: ჩვენ ყველა ტიტვლები ვიბადებით და გზადაგზა ვიცვამთ გარშემო დაყრილი უზარმაზარი გარდერობიდან იმ ტანსაცმელს, რომელიც ყველაზე უფრო გვიხდება.
ბიჭები: უუუ ... საყვირი, სამუშაო იწყება.
მამები: წავედით, რომ თქვენთვის ვიშრომოთ, ნაშრომის საჭმელად მაინც ამოდით საღამოს სახლში.
ბიჭები: საწყალი მამები.
გურამი: სულელი შვილების ხელში.
ბიჭები: შენ რა, ჭკვიანი ხარ?
გურამი: მე მამა არა მყავს, ჩემ საჭმელ ფულს მე თვითონ ვშოულობ.
ბიჭები: ქურდობით?
ბიჭი: მაგას სჯობია, რომ იმათხოვრო.
გურამი: მე მირჩევნია სხვას ვძულდე, ვიდრე ვძულდე კიდეც და ვეცოდებოდე კიდეც.
ბიჭები: ეგ არის ჩვენი ფილოსოფია.
გურამი: /თავისთვის/ ოდნავ მიაშველე ხელი და ყველა საზიზღრობა უცებ პოულობს გზას მათ გულებში და როგორც დამხრჩვალები დამპალი ტირიფის ფესვებს, ისე ეჭიდება ყველა, ლოგიკურ და თუნდაც ბინძურ აზრებს. /ბიჭებს/ რას იტყვით ახალს?
ბიჭები: ახალგაზრდობას გაუმარჯოს!
გურამი: ჩუმად!
ბიჭები: რა იყო, რა მოხდა, ოჰო, ია!
გურამი: სამსახურში მიდის.
ბიჭები: არა, აქეთ მოდის.
გურამი: აქეთ?
ბიჭები: ხი, ხი!
ია: გურამ! თუ შეიძლება, ერთი წამით.
ბიჭები: მინდორში, ბალახ-ბულახში, თავს იწონებდა იაო,
ვარალო, პატარა გოგონიაო.

გურამი:	ახლავე, ია.
ბიჭები:	ია გაწითლდა ყაყაჩოსავით.
გურამი:	ჩუმად!
ია:	გურამ, ბოდიში.
გურამი:	რისთვის, ია?
ია:	მე ჩემი გულისთვის არ გაწუხებ შენ.
გურამი:	რატომ გეშინია, რომ შენი გულისთვის შემაწუხო?
ია:	არ ვიცი, გურამ, ეგ მერე. ანდრო ცუდად არის.
გურამი:	ეგ ვიცი. ალბათ, დღეს ვნახავ.
ია:	არა, უფრო ცუდად. მისი სიცოცხლის გაგრძელება კიდე მთელი თვე შეიძლება, წამალი რომ ვიშოვოთ.
გურამი:	ვერ შოულობთ წამალს თუ ფული...
ია:	არა, წამალი არ არსებობს, არის მხოლოდ შხამი ოპიუმის, რომლისგანაც ის კეთდება. საიდუმლოდ, ერთი ნაცნობი ექიმია, ის იღებს თავზე, შეიძლება განკურნოს კიდეც.
გურამი:	ოპიუმი, ოპიუმი მარტო საწყობებშია, მისი შოვნა შეუძლებელია.
ია:	ამიტომ მოვედი შენთან.
გურამი:	მე რა შემიძლია?
ია:	სალომემ გთხოვა. ანდროს გულისთვის, მეც ვიცი, შენ ეს შეგიძლია გააკეთო.
გურამი:	ხვალ დილით მოგიტანთ.
ია:	ნუ გააკეთებ ამას, გურამ, შენ შეუძლიათ დაგიჭირონ, გესმის?
გურამი:	ოჰო, შემთხვევით ეს ექიმი ხომ არ არის? ჩვენკენ მოდის კოტესთან ერთად.
ია:	მე გთხოვ არ გააკეთო, სალომემ რაც გთხოვა. ამოირჩიე ახლა, რომელიც გინდა. მე შენი გულისთვისა გთხოვ.
გურამი:	სალომე თავისი ანდროსთვის, ანდრო ჩემი მეგობარია, მე შემიძლია ანდროს სიცოცხლე ერთი თვით გავაგრძელო, თუმცა, არა აქვს მაგას მნიშვნელობა, მე ყოველთვის ვარჩევ გავაკეთო რამე, ვიდრე არ გავაკეთო. ამიტომ ვუჯერებ შენს დას.
ია:	/გვერდზე/ და, ალბათ, სწორეთ ამიტომ უყვარს ის (თუ ის არის, ვინც მე მგონია) ჩემზე მეტად. მაგრამ ხომ არ შემიძლია საყვარელი ადამიანი ასე გავტანჯო, იქნებ ციხისთვისაც...
ხმა:	თუ არ შეგიძლია, არ შეგიძლია მაშ სიყვარულიც.
ია:	ღმერთო ჩემო, თავბრუ მეხვევა უძილობისაგან.
გურამი:	ისინი იქ დგანან და, მგონი, ჩვენ გველიან.
ია:	გურამ, თუ კოტემ გკითხა რაიმე ჩემ შესახებ, უთხარი, რომ ჩვენ ამხანაგები ვართ მხოლოდ. ნუ მიყურებ ეგრე, მე არ შემეძლო ყველაფერი მეთქვა მისთვის, მე არ შემეძლო, ნუ იცინი ეგრე მზაკვრულად.
გურამი:	გამარჯობა, კოტე.
კოტე:	გურამს სალამი, გაიცანით.
ექიმი:	ჩვენ, ჩვენი გამარჯვება.
გურამი:	/თავისთვის/ ოჰო, მარშანია! გამარჯობათ, გურამი.
ია:	/მარშანიას/ ეს დათანხმდა, ხვალისთვის იქნება.
ექიმი:	ნახვამდის.

ია: ჩვენ ერთად წავალთ, ნახვამდის.
კოტე: მე დაგვიანებით მოვალ სამსახურში.
ბიჭები: გურამ, წავედით ქვევით.
კოტე: გურამ, შენთან საქმე მაქვს.
ბიჭები: გურამ, ჩვენ წავედით ქვევით.
გურამი: მოვდივარ ახლავე.
კოტე: გურამ, თითო რაღაც მინდოდა დაგველია.
გურამი: სასმელისთვის სულს გავყიდი. დაგეწევით, ბიჭებო.
ბიჭები: სასმელისთვის სულს გაყიდის.
ბიჭი: და რა ღირს რო?
ბიჭები: ხი, ხი, ხი.
Атаманишка наш любит водку выпивать.
ბიჭები: /იმეორებენ./

სურათი მეორე

/ყრუ ქუჩა. დგას შოთა. შემოდის მარშანია/

შოთა: ეჭვი არ მეპარება, უარი არა თქვა.
მარშანია: ხვალ იქნება თრიაქი, ჰაშიში, ოპიუმი, პლანი, ანაშა _ რაც გინდა, ის დაარქვი.
შოთა: მაშინვე დათანხმდა?
მარშანია: ია ელაპარაკა.
შოთა: აი, ხალხის სისულელე სადამდე მიდის.
უსუსურები, გულჩვილები და სულსწრაფები,
ყოველ წამს, არც კი ფარავენ, ისე უკლავენ
ერთმანეთს სინდისს,
სამართებელს უფშვნიან ერბო-კვერცხში,
გულ-მუცელს სწვავენ საკუთარ დედებს
და ძმაკაცი ძმაკაცს რაღას დაინდობს,
შემდეგ კი, როგორც რეტდასხმულებს მათივ
შხამისგან,
დაინახავენ, ეცემიან როგორც შლეგები
და შემოდგომას მათივე ხელით გადახერხილ
ხეს
შუაზაფხულში, გვალვებისა და უტენობის დროს,
სისხლის ფასად ნაშოვნ წყალს უსხამენ.
მარშანია: ყველაფერი ეგრეა, ხვალ პლანი იქნება.
შოთა: შენ რაღა გიხარია, ბებერო, შენ სადღა დაკარგე სინდისი ... თუ არც გქონია ის.
მარშანია: ჩემგან რა გინდა, მე ექიმი ვარ, საღამოს პლანი იქნება.
შოთა: როგორ შეგიძლია, შე ბებერო, ეგრე გიხაროდეს... შენი მოგონილი ოინბაზობის გულისთვის კაცი უნდა ჩასვან ციხეში.
მარშანია: შენ, შენ, შენ არ მომეცი გუშინ იდეა პლანის შოვნის! პლანი იქნება. მე მის მოწევას ციხეში შევეჩვიე. ჩვენ ვეწეოდით, ვეწეოდით და

ვიცინოდით, ზოგი ტიროდა, პირიქით, მე კი სულ ვიცინოდი, მერე მარტო ვიღიმებოდი, ხი, ხი, ხი ...ახლა ისე ვარ, თითქოს პლანს ვეწევი.

შოთა: ამ საწამლავისათვის კაცის დაჭერაზე თანხმდები, ერთი წამი რომ გაიხარო, ნახევარი ფეხით საფლავში მდგარო, უ...

მარშანია: ნუ იწევ ჩემზე, მე რა, მე რა, შენ არ მომეცი ეს იდეა?

შოთა: მე? მე მაწყენინეს, მე უარი მითხრეს სიყვარულზე და ამ სიყვარულისათვის მახრჩობდნენ, მე რითი ვარ იმაზე ნაკლები ღონით. ვნახოთ ვინ ჭკვიანია, ვის ერგება სალომე, ვნახოთ. ო, უმადურო მამაძაღლო, ერთობი ძმაკაცის ცოლთან, დროს ატარებ და ვერ ამჩნევ შენ გარშემო ისეთ პატარა ხალხს, როგორიც შოთაა.

მარშანია: შენ პატარა ხარ, კაცო?

შოთა: თაგვს კატაზე დიდი არავინ ჰგონია. შენ ჩემი კატა ხარ, შენი სურვილი ნარკოტიკის მიღებისა ისეთი საწინდარია, ისეთი ფიცია, როგორც არაფერი ამქვეყანაზე, თვით საკუთარი შვილის მძევლად დატოვებაზე მეტი. მაშ, მიიღე ნარკოტიკი და მოკვდი შენთვის ნელ-ნელა, რომ მეზობლებმა შენი სიკვდილი შენი მძორისაგან დაყენებული სუნით გაიგონ.

მარშანია: რატომ მლანძღავ მე, მე არ მოვკვდები, შენც არ აკეთებ ამ საქმეს?

შოთა: უ, შე ბებერო, მარტო შენ გაზივარ ახლა ბეჭებზე, შენთანა ვარ გულახდილი მარტო, რადგან მხოლოდ შენა ხარ ჩემს ხელში სიკვდილზე მეტი ფიცით შეკრული. ეგეც თავისებური სიყვარულია, ოღონდ ეს ისეთი წყნარი სიყვარულია, რომლის შესახებაც ყვირილი არ შეიძლება _ ყველას ხომ არა აქვს უფლება იყვიროს. მე აღარ წამოვეგები მეორედ ყვირილის სურვილის სულელურ ანკესზე _ ზოგს ხმა იმიტომ აქვს, იღრიალოს, ზოგს იმიტომ, ჩუმად იჩურჩულოს. ჩემი ხმა იმიტომაა, რომ მხოლოდ ვიფუჩუნო, მით უმეტეს, რომ მაგალითი მიღებული მაქვს. ჰუ, ბებერო ოპიუმის მწეველო, კაცს აჭერინებ.

მარშანია: რატომ ვერ მიტან, განა ორივე ერთად არ ვაკეთებთ ამ ამბავს?

შოთა: /მარშანიას/ რომ საკუთარი სინდისის ქენჯნა თუ გამაჩნია, გულშივე ჩავკლა. /თავისთვის/ როდის ყოფილა რომ ორ მკვლელს ერთმანეთი ჰყვარებოდა, მათ ეშინიათ ერთმანეთის და რომელსაც უფრო ეშინია, ის ადრე მოკვდება. შენ ბებერი ხარ, მე მინდა, რომ ის შენ იყო, რომელიც ადრე მოკვდება.

მარშანია: მე არა ვარ მკვლელი, მე მარტო ვურჩიე იმათ ოპიუმის შოვნა. შენი დარიგებით და ჩემი სურვილით, მართალია. ოღონდ მე არ მინდა, რომ ის დაიჭირონ. უჰუ, უჰუ...

შოთა: მე კი მინდა, იმიტომ რომ მე ოპიუმი არ მინდა. მაშ ასე, მილიციას დავაყენებ თავზე, როცა გამოიტანს საწყობიდან გარეთ; ვეტყვი, მე მომცეს ერთი კოლოფი დასამალად, მერე კი ვიტყვი სალომესთან, რომ მეც მიჭერდნენ და გადავაგდე-მეთქი.

მარშანია: მე კი მოვწევ და მოვწევ.

შოთა: ალბათ, მეც გავსინჯავ გემოს, ოღონდ ეგ მერე. შენ ისევ მარტო ხარ სახლში?

მარშანია: ყოველთვის, რაც დავიბადე. მე ძალიან მიყვარს ყველა, მაგრამ მაინც ძალიან მარტოხელა კაცი მქვია.

/ისმის მილიციელის სასტვენის ხმა/

სურათი მესამე

/მეზობელი ქუჩა/

კოტე: ეე. ეს მესამე ურნა, ბრახ, ბრახ! მე ვარ კოტე, მოდი აქ შენ.
გამვლელი: რა ამბავია?
გურამი: არაფერი, დაუთმე, კაცი დათვრა.
კოტე: დამითმოს, მე ამას ვაჩვენებ.
გამვლელი: ჩამომეხა კოსტუმი, ხელი გამიშვი!
კოტე: სულ ჩამოგიღებ მაგ ყბებს.
გურამი: წამოდი აქეთ, კოტე.
მილიციელი: დაწყნარდით, მოქალაქე, დათვერი _ წადი სახლში, რა.
გურამი: მე წავიყვან.
კოტე: ეგ ვინღა არის! ორი, ორი დაუსტვინე, ერთი...
მილიციელი: შეურაცხყოფას ნუ გვაყენებთ, ჩვენ პატიოსანი ოსი ვართ.
კოტე: ერთი შენი, მე კოტე ვარ.
მილიციელი: ერთად დავაწყნაროთ, შენც მომეხმარე.
გურამი: არ მინდა შენი მოხმარება, წადი, ხომ ხედავ, ნერვები ეშლება.
მილიციელი: ორივეს წაგიყვანთ განყოფილებაში.
კოტე: ვის წაიყვან?
მილიციელი: შენ წაგიყვან, თუ არ დაწყნარდები.
გურამი: ახლავე დაწყნარდება.
მილიციელი: ხელს იკვრევინება.
კოტე: ორივე ყბას ჩამოგაცლი, მე პოეტი კაცი ვარ, გესმის, მილიციელო.
მილიციელი: მე შენ გაჩვენებ.
გურამი: მოიცა.
მილიციელი: მა, რასა მკრავს ხელს?
მილიციელები: რა ხმაური ატყდა ეს, კაცო!
მილიციელი: აი, ეს მამაძაღლი, სახეში ხელს მარტყამს, დედას მაგინებს.
მილიციელები: ესა?
მილიციელი: მაშა, ესა, გააკავეთ ეგეც, ამას ალიყური.
გურამი: რას ურტყამთ, კაცო.
მილიციელი: ჩუმად, შენც მოგხვდება.
კოტე: რას მირტყამთ, კაცო, რა დავაშავე?
მილიციელი: როგორ მოტყდა უცებ.
კოტე: მარტო ვუთხარი, რა გინდათ-მეთქი.
მილიციელი: მარტო მოიგდე მილიციელი, წამოდი ახლავე მილიციაში.
კოტე: მე არ დამიშავებია, კაცო, არაფერი.
გურამი: კარგით, რა, მე წავიყვან, მე მათხოვეთ ეს კაცი.
მილიციელი: ეს პატიოსანი კაცი ჩანს, გავატანოთ.

მილიციელები: ერთიც მიარტყი მაგას.
კოტე: ნუღარ მირტყამთ, რა, წყნარად წავალ, რა, ჩემთვის სახლში, დედას გეფიცებით.
გურამი: მოეშვით, მე წავიყვან.
მილიციელები: თუ ამაზე მეტი შნო არა ჰქონდა შენს ამხანაგს, რას იქაჩებოდა?
გურამი: ჰკითხე, რა ვიცი.

სურათი მეოთხე

/სადარბაზო/

კოტე: ვაჰ, კიდე კარგი არ წამიყვანეს.
გურამი: აბა, კაცო, ძაან დაძვერი, /თავისთვის/ წაეყვანათ სჯობდა შენისთანა მამაძაღლი, მილიციაში ჩაჯდომაც არ შეუძლიათ წესიერად.
კოტე: მე, მე, ხომ იცი, ჩემთვის არ ვთხოვდი, დედას გეფიცები, აი, ყველაფერს გეფიცები, მე, თუ გინდა, ახლავე წავალ, არ მეშინია დახვრეტისაც, მაგრამ აი, ამისთვის, ამ კაკლისთვის ვთხოვდი, რომელიც იამ მომცა ერთხელ. მე პოეტი კაცი ვარ, აღგზნებული, ხომ იცი, როგორ მოქმედებს. არა, შენ არ იცი, მე იმიტომ გეუბნები, რომ შენ იმისი ამხანაგი ხარ, ჩვენ ხომ ვილაპარაკეთ სმის დროს, მე გითხარი შენ, რა კარგი ამხანაგი ხარ იასი. გამიგე?
გურამი: ზედმიწევნით,
კოტე: მე ვერავინ, ვერავინ ვერ მიგებს, მარტო შენ გამიგე, მაგრამ ახლა სულერთია, მე მაინც უნდა გითხრა. ახლა სულ ერთია ჩემთვის ყველაფერი. მე იას გულისთვის არ წავედი მილიციაში, აღარ ვიჩხუბე მეტი, მინდოდა ეს კაკალი მომეცა შენთვის, რომ იასთვის მიგეცა, იმიტომ რომ მე ხვალ თავს მოვიკლავ, მე წავალ აქედან, ნუ ადიხარ მაღლა კიბეებზე, ასე იდექი. აი, ამ კაკალს კბილებში დავიჭერ და შენამდე ხოხვით მოვალ, მე მსიამოვნებს კიბეებზე რომ მივხოხავ, მაღლა.
გურამი: /თავისთვის/ აი, გველი უჭკუოთ. /კოტეს/ მე მესმის შენი კოტე. ძნელია შემოქმედ კაცს სხვამ გაუგოს. ეგ გტანჯავს, ალბათ. მე ერთადერთი ვარ, ვისაც ესმის შენი სულის წვა.
კოტე: სულის წვა, სულის წვა, ჰო გესმის? მე ვიცი, შენ ყველაფერი გესმის. აი, მე შენ წინ ვიჩოქებ ორივე მუხლზე, თავს ვიქნევ, შენს ფეხებს ვკოცნი, რადგან შენ ჩემი გესმის, რადგან მე ია მიყვარს.
გურამი: ადექი, მე გადავცემ ამ კაკალს იას, მაგრამ გთხოვ, ნუ მოიკლავ ჯერ თავს.
კოტე: არა, მე მივდივარ უკვე ამ ქვეყნიდან, მე არ მიმართლებს სიყვარულში.
გურამი: სამაგიეროდ ლექსებს დაწერ უფრო კარგად. ვისაც ყველაფერში უმართლებს, იმას აღარაფერი საქმე არა აქვს ამქვეყანაზე.
კოტე: ა? მართალი ხარ, მაგრამ მე რომ რაღაცას ვამბობდი... მე რომ იმას არ ვუყვარვარ?
გურამი: ადექი, გეყოფა ჩემს ფეხებთან მუხლებზე დგომა.

კოტე: მომეცი, რა, ისევ ეგ კაკალი, მე კიდევ უნდა ვაკოცო მაგას, მერე კი წავალ, სულ, სამუდამოდ წავალ, იას კი დარჩება ეგ სამახსოვროდ.

შოთა: ერთი საინტერესოა, გული აქვს თუ არა მაგ კაკალს?

გურამი: /თავისთვის/ აი, კიდე ერთი. /შოთას/ შენ საიდან?

შოთა: აქ, კოტესთან მივდივარ, მეოთხე სართულზე. კაკალი რომ მოგცა კოტემ ახლა, დავინახე და მე ვიფიქრე, კიბეებზე იმიტომა ზის, რომ კაკლები დაამტვრიოს-მეთქი.

კოტე: შოთა, ძმაო!

შოთა: ამოდი ზევით, შენთან საქმე მაქვს.

კოტე: წავიდეთ, გურამ, შენი იმედი მაქვს.

გურამი: იცოდე თავის მოკვლაზე ფიქრს თავი დაანებე. ალბათ, ყველაფერი გამოვა.

/გადიან შოთა და კოტე/ არც უფიქრია თავის მოკვლა მაგ კატის კნუტს, ძაღლის შობილთან დღენიადაგ რომ ძმაკაცობს. აი, ეგ ორი ღირსეული სამკაული ერთი ბეჭდის. ორივე მშიშარა და მათ შორის ერთი გაიძვერა, მეორე სულელი. საინტერესოა, რომელი იგებს. ალბათ _ სულელი, რადგან თავის ნაკლს თვითონ ვერა გრძნობს და გინდაც მართლა დღესვე ღამით მოიკლას თავი, მაინც მე პირზე ღიმილს მომგვრის და არა ცრემლებს. ეგეთი კაცის ტრაგედია სასაცილოა და ეს კაკალი, ვით სახსოვარი გულის სატრფოსთვის, მისი უმწეო ფანტაზიის გამოგონილი, კვირტში რომ შეჯდეს ისევ უკან და ფესვებიდან გაიპაროს ხიდან მიწაში, ისა ჯობია. უცებ ვიფიქრე, წავუყრუებ-მეთქი, რომ პატიოსნად ვიყო ჩემს თავთან, მაგრამ ამისი ბოლო ეს არის /ამტვრევს ფეხით/.

ახლა კი წავალ, საღამოსთვის შევემზადები.

სურათი მეხუთე

/მარშანიას ოთახი/

მარშანია: რა დარჩენია ჩემსავით მოხუცს,
მარტოხელა კაცს, საფლავთან მისულს,
თუ არა ტკბილად, უფიქრელად დახუჭოს
თვალი,
არც კარგი რამის გაკეთებით იტანჯვის სული,
არც ცუდი აზრი რამე ტრიალებს ჩემს მელოტ
თავში.
ხი, ხი... მხოლოდ ფილტვები გრძნობენ,
რომ ოპიუმი უნდა მიიღოს ჩემმა გონებამ;
როგორც სიზმარი, დიდი ხნის წინ ნანახი და
დავიწყებული,
მოიგონოს ოცნებით თრობა,
სიჭაბუკის ჟამს უღვინოდაც ბევრჯერ განცდილი.
მე რა საქმე მაქვს, თუ ვიღაც ბინძურს
სურდა ვიღაცის ტყუილად დაღუპვა.

მე ვკვდები უკვე და ყველაფერი «ვიღაცა» ხდება,
მაგრამ ეს ფიქრი შემაშფოთლად რატომ
მომდის, თუ არაფერი აღარ მინდა?
ანდა ამ ფიქრთა შეჩერებას რატომა ვცდილობ,
სიკვდილის სიახლოვისთვის ხაზის გასმით?
ნუთუ მეც შიში მეპარება, რომ დამიჭერენ, თუ
გაგვიგებენ,
ან იქნებ ბიჭი მებრალება.
ო, თქვენ, ფიქრებო, მომწყდით თავიდან,
დამაცადეთ ტკბილად სიკვდილი,
დამაცალეთ, რომ ოპიუმს გავაცნო ჩემი ტკივილი,
მარტოხელა მშიშარა კაცისგან გულის
სიღრმეში დამარხული.
ა! აგერ მოდის ეშმაკის შვილი,
მაგრამ მისი მძორისაგან მოსულ სიმყრალეს
ჰაშიშის არომატი ფარავს.
ო, მარშანია, გცემონ, გლაძღონ, დაგამცირონ,
შენ ხომ უნათესაო, მარტოხელა კაცი ხარ
და შენი სულის მეტმა არავინ იცის შენი
დამცირება, შენი ცვედანკაცობა.
მაშ, მოსწიე ოპიუმი, რომ მანაც აღარ იცოდეს.
ერთდროს მქონდა მეც ნდომა, მინდოდა კაცი
დასაკმაყოფილებლად,
ვიმცირებდი ამისათვის თავს,
ზოგჯერ ჭკვიანი ვიყავი, ზოგჯერ _ პირიქით,
და თავის დამცირება სულ უარვყავი, ისე
შევეჩვიე.
ახლა გამიქრა ყველა სურვილი
და საიდანღაც თითქოს ახლიდან დავიბადე.
ისე მოვიდა ჩემთან ფიქრი,
თუ ეს იყო ყოველთვის და, ნდომისაგან
დაბრმავებული, ვერ ვამჩნევდი.
მე ვხედავ,
ყველაფერს შეგიძლია გაექცე, გარდა ფიქრისა,
რომელიც გიტევს ყოველი მხრიდან,
და რაც უფრო უფიქრელად ყოფილხარ წინათ,
თვით სიკვდილის წინ მით მაგრა გიქცევს თავის
ბრჭყალებში.

/შემოდიან შოთა და კოტე/

შოთა: ვერ მოგიტანე ვერაფერი.
მარშანია: ა?
შოთა: რა იყო, შეგეშინდა, ბებერო?
მარშანია: ოპიუმი ვერ მოიტანე, ოპიუმი...
შოთა: აჰა, მოსწიე...

კოტე:	ზის მამაძაღლი.
შოთა:	ყველაფერი მშვენივრად აეწყო, ამას უმადლოდე. კოტემ გამოართვა, მერე მე გადმომცა, მილიცია ადგილზე იდგა.
კოტე:	ჩემი სიკვდილი უნდოდა, არა?
შოთა:	ვერ დავაწყნარე იმის შემდეგ. კაცი შენი ხელით დააჭერინე და კიდე ეჭვი გეპარება?
კოტე:	არა, მეშინია, არ გაიგოს.
შოთა:	საიდან გაიგებს. აი, მარტო ჩვენ სამმა ვიცით.
მარშანია:	აბა, სადა დევს, სადა დევს?
შოთა:	ჩემოდანში, გახსენი.
მარშანია:	აი, ყალიონი, კიდევ მეორე ყალიონი, მე უკვე ვიწყებ მოწევას. /ეწევიან სამივენი/
კოტე:	მახველებს ამისგან.
მარშანია:	ასე მოსწიე, ღრმად, რამდენიმე ნაფაზი ზედიზედ, შეუჩერებლივ.
კოტე:	თითქოს სასიამოვნო ჭიანჭველებმა დამირბინეს ტანში.
მარშანია:	იფ, იფ, იფ, ნამდვილი პლანია.
შოთა:	ხი, ხი, ხი, უკვე გამიჯდა მეც.
კოტე:	ხა, ხა, ხა, ა? რა უნდა მაშ გურამს, უნდოდა, რომ მე თავი მომეკლა?
შოთა:	არ გახსოვს, გითხრა, თავი არ მოიკლა, გთხოვ-ო? აშკარად გაქეზებდა, აშკარად.
მარშანია:	ჩემი ბებერი სხეული სულ გათბა, მე ვგრძნობ, როგორ მიდიან უკან აზრები და უფორმო ოცნება იპყრობს ჩემს არსებას. იქ არ არის ცუდი და კარგი, იქ არის მარტო ჩვენებები.
კოტე:	მე მეცინება, რატომღაც მეცინება და არ შემიძლია თავი შევიკავო ამ სიცილისგან _ ხა, ხა, ხა. მე რომ თავი მომეკლა, მე რომ თავი მომეკლა...
შოთა:	მაშინ გურამი იცინებდა.
კოტე:	ახლა სატირლადა აქვს საქმე, შოთა. კიდევ კარგი, შენ გამაფრთხილე... ხა, ხა, ხა.
მარშანია:	ო, ველარავის ვერ ვხედავ ამ ოთახში, თითქოს მარტო ლანდები დადიან, ნისლზე უფრო მსუბუქი, ყველა შეწოვასთან ერთად ნისლიც ქრება.
კოტე:	ხა, ხა, ხა... მკვდარი კოტე, თავისი ხელით მკვდარი, რა სანახავი იქნებოდა!
შოთა:	ისე, ცუდი სანახავი მართლა არ იქნებოდა.
კოტე:	ხა, ხა, ხა, მაქეზებდა, მე კი როგორ ვენდობოდი, მე საერთოდ ყველას ვენდობი, ასეთი ბუნება მაქვს, მე პოეტი ვარ და იმიტომ.
შოთა:	ამ ხალხს ეგონება, რომ პოეტობა უჭკუობას ნიშნავს. მე მიმადლეთ, თორემ შენი პოეზია ვერ გიშველიდა.
კოტე:	მე კი ია მიყვარს, ახლაც მიყვარს, ყველგანაც ვიტყვი. როცა მოვკვდებოდი, ველარ მეყვარებოდა.
შოთა:	ია? ხი, ხი, იასთან გურამს, ხომ გითხარი.
კოტე:	ხა, ხა, ხა, ვიცი, ვიცი, ეგეც შენ მითხარი. გმადლობთ, ძმაო შოთა, შენი გულისთვის მე მეტს გავაკეთებდი, შემეძლო ადგილზევე მომეკლა გურამი, დამეჭერინებინა კი არა.

შოთა: არც იქნებოდი დამნაშავე, იმან კინაღამ თავი არ მოგაკვლევინა, აშკარად გიხსენი.

მარშანია: ყველანი დაიხოცნენ და ქვეყანაზე აღარავინ დარჩა, რომ იგლოვოს, ამიტომ სიკვდილს აღარა ჰქვია სიკვდილი და სადარდებელი არ არის; მიცვალებულები იღიმებიან კეთილად, მათი სახეები ერთდება ერთ სახედ, ერთ დიდ ღიმილად, მე შემიძლია კიდევ ვთქვა, რომ ეს ნისლია, მარტო მე თვითონ გამოვცემ ამ ნისლს და ერთადერთი ცოცხალი ნისლი ვარ სხვა ნისლებს შორის. ყველანი მოდიან ჩემკენ. ისინი არიან უწონო ღიმილები, რომლებსაც არცა სწყინთ არაფერი, არც უხარიათ არაფერი. მარტო მე, მარშანია, მოხარული ვარ, რომ ეს გრძნობა სიხარულის მარტო მე დამრჩა, ცოცხალ ნისლს, რომ არ ეხება ჩემს სხეულს, გარდა ამ დიდი, მშვიდი სიყვარულისა, არაფერი.

კოტე: გესმით, ხა, ხა, ხა, ბებერი უკვე სულ სხვაგან არის.

შოთა: სამაგიეროდ, მე მაინც ვდგავარ აქ, ამ იატაკზე. აბა, ადექი, კოტე, შენც.

კოტე: არ შემიძლია, ვბორძიკობ, ვეცემი, ხა,ხა...

შოთა: მაგრა არ დაეცე, თორემ მოკვდები იცოდე და მეტს ვეღარ გიშველი.

მარშანია: ყველა მოკვდა, კეთილად მოკვდა, არავინ არა გლოვობს, არავინ არა ტირის.

კოტე: შოთა, მომეცი ხელი, ვერა ვდგები ფეხზე.

შოთა: სხვის ხელს ნუ ენდობი, ეცადე შენ თვითონ ადგე.

კოტე: მე სულ ვიშხლართები, თავის აწევაც კი აღარ შემიძლია.

მარშანია: მოკვდა კოტე. ის აღარ იბრაზებს, ის აღარ იცინებს, მარშანია კმაყოფილია, რომ სულ უფრო მშვიდად დარჩება.

შოთა: კოტე მოკვდა და გაშხლართული წევს.

კოტე: კოტე მოკვდა?! მოკვდა?! კოტეს არ უნდა სიკვდილი, კოტე გთხოვთ, ამის მერე აღარ იზამს, ამის მერე მეტს აღარ მოკვდება.

შოთა: ხა, ხა, ხა... მეტს აღარ მოკვდება.

მარშანია: ამ სულელმა მეც კი გამომაფხიზლა, კოტე მოკვდა? ხა, ხა, ხა.

კოტე: ნუ ხარხარებთ, ნუ გიხარიათ კოტე რომ მოკვდა, ის არ იყო, დედა მომიკვდეს, ცუდი კაცი. მერე რა, რომ გურამი დააჭერინა, ეს შოთამ გააბრიყვა, შოთამ უთხრა, გურამს შენი სიკვდილი უნდოდაო... ჰო, აი, აი, მე ავიღებ და ყველგან ვიტყვი, რადგან აი, ამ ხელებს ვგრძნობ, ამ თავს ვგრძნობ. მე ვიცი, რომ მკვდარი აღარ ვარ. მე ყველგან ვიტყვი, რომ კოტე გააბრიყვეს, გურამი მოატყუეს შოთამ და მარშანიამ. ხალხო, მოატყუეს, მოატყუეს!

შოთა: გაჩუმდი, შე მურტალო!

კოტე: არა, ვიყვირებ, რომ მე არ მომკლათ. მე მკლავენ პლანით, მე მათრობენ ოპიუმით, რომ მომკლან.

შოთა: არ ჩუმდები? ეგეც ამ ვირისთავს.

მარშანია: ეგ იტყვის ყველგან, ჩვენ დაგვიჭერენ და ციხიდან ვეღარ გამოვალ. მე, მე მოხუცი ვარ, მე არა ვარ ცუდი კაცი.

შოთა: გაჩუმდი, შე ბებერო ექიმბაშო!

კოტე: არ გავჩუმდები, შოთამ მომატყუა.

შოთა: ოხ, შენი დახრჩობა ცოტაა შენზე. მოდი, ამის შემდეგ კაცს სიკეთე უყავი.

მარშანია: ვინ გიფასებს, ვინ გიფასებს...

კოტე:	მიშველეთ, მახრჩობენ!
ხმა გარედან:	გააღეთ კარები, ახლავე გააღეთ!
შოთა:	სალომეს ხმა არის.
მარშანია:	ახლავე, ახლავე!
კოტე:	რა იყო, რა მოხდა, ვის ახრჩობენ?
შოთა:	ჩუუ, სალომეს ხმა იყო.
სალომე:	ანდრო ცუდად არის! ქეიფობთ?
მარშანია:	ოდნავ, ოდნავ.
სალომე:	სად არის წამალი?
მარშანია:	წამალი? ახლავე...
შოთა:	ჩქარა, თორემ სალომე იმის სიკვდილს ვერ გადაიტანს.
კოტე:	ვერ გადაიტანს, თუ გაიგო, რომ...
შოთა:	კოტე?
კოტე:	ხა, ხა, ხა.
სალომე:	გაჩუმდით ახლავე, თქვე თხიპნია მამაკაცებო, ქალებისგან შარვლის ჩაცმით და მოკლე თმებით რომ განსხვავდებით, რასაც თქვენ თქვენს გრძელ ჭკუას აწერთ. ამას შეხედე, ქალაჩუნა, ახლა ახრჩობდნენ, კიდე იცინის, კისერი მაინც გაიმსხვილე, შე საცოდაო, გველს რომ ჰგავხარ სულით და სხეულით, შოთასგან მაინც ისწავლე შხამის გაშვება შენი ჭიანი კბილით კბენის დროს, შენ, ბებერო ექიმბაშო, ჯერაც არ მოკვდი?
მარშანია:	მივრბივარ, მივრბივარ. თუ არ ვიჩქარე ნარკოტიკებით, ციხე არ ამცდება.
კოტე:	ო, იას ვკარგავ მე სამუდამოდ.
სალომე:	შენ რაღას უცდი?
შოთა:	შენ გასვლას.
	/გადიან ყველანი/

სურათი მეექვსე

/სადარბაზო, შოთა და სალომე/

შოთა:	შენ ჯერ მოიცა.
სალომე:	გზას მიღობავ? მე ყველაზე უწინ უნდა გავრბოდე.
შოთა:	მომაკვდავ ქმარს რომ სიკვდილის წინ ერთგულება დაუმტკიცო, არა?
სალომე:	შენს დაბალ სულს ეგ არ შეჰფერის, რომ პატიოსნება და სიყვარული ერთად გაიგოს.
შოთა:	თუ შენ სიყვარულს ღალატს ეძახი, მაშინ მესმის.
სალომე:	შენ მართლა ფიქრობ, გზა ჩამიკეტო, პატარა ლეკვო?
შოთა:	ჯერ მითხარი, ოჯახის ერთგულო, ვის წირავ ვისთვის, პატიოსნებას სიყვარულისთვის თუ სიყვარულს პატიოსნებისთვის. ქმარს სხვასთან ღალატობ და იმ სხვას ქმრისთვის სასიკვდილოდ ან ხანგრძლივ ციხისთვის მაინც აგზავნი.
სალომე:	უფრო გარკვევით ჩამაწვეთე შენი შხამი, ლეკვზე დამპალო.

შოთა: შენი წმინდა სიყვარული დაჭრეს, დაიჭირეს და შეიძლება მოკვდეს კიდეც, თუ დროზე არ უშველა ვინმემ; ამით შოთამ აგაცდინა შენ შენს საქციელს, წამალიც გიშოვა ქმრის მოსარჩენი... დაკმაყოფილდა შენი პატიოსნება?

სალომე: ო, ღმერთო, მე სიყვარული მინდოდა და არა პატიოსნება. მაშ გურამს უჭირს, შეიძლება მოკვდეს კიდეც. ეშმაკმა წაგიღოთ ერთ დღეს ყველანი, თუ ჩემი სიყვარული აღარ იქნება. ნუთუ დაჭრილი ჩემივე ხელით, ჩემი გულისთვის, ის წევს ციხეში და მე აქ ვდგავარ, ამ უასაკო და უსქესო ლეკვთან.

შოთა: მაგ ლეკვს აქვს სქესი.

სალომე: ო, გურამ, შენზე დარდმა მე გამაშეშა და ამასაც ვერ ვგრძნობ, თუ ვისთან ვდგავარ.

შოთა: შენ მასთან დგახარ, ვინც იმ განზრახვის შესრულებაში შენ დაგეხმარა.

სალომე: შენ შენი ხელით დააჭერინე?

შოთა: ჰო, ამ ხელებით, აი, ამ ჭკუით, და ისევე შეუძლიათ, რომ გამოუშვან.

სალომე: მომეცით გონება, რომ რამე ვიღონო.

შოთა: მაგას შენი გონება არ უშველის, მაგას მხოლოდ შენი სხეული უნდა.

სალომე: წაიღეთ ყველაფერი ჩემგან, ჩემი გონებაც, ჩემი სხეულიც, თუნდაც ამას მიეცით, ამ ქვეწარმავალს. ისინი მე არ მეკუთვნიან. წაიღეთ ჩემი პატიოსნებაც, რომლისთვისაც მე მართლა ჯერ არ მიღალატია. მაგრამ მომეცით, სამაგიეროდ ყოველივესი, სიყვარული... ა, შენ გინდა ჩემი სხეული? მოდი ახლოს, მშიშარა თაგვო, მოდი, წაგლიჯე მას შენც შენი წილი. გეშინია? აჰა, მიიღე /არტყამს/. არ მოქმედებს შეურაცხყოფა. რატომ არა ვარ შენზე ძლიერი, რომ მოგახრჩო წიწილასავით.

შოთა: მაშინ გურამი სამუდამოდ იქ დალპებოდა.

სალომე: შემომფიცე ნამუსგაცლილი კაცის სახელით, რომ მე სხეულით გამოვისყიდი იმ კაცს ციხიდან.

შოთა: ვფიცავ იმ ნამუსს, რომელიც მე არ გამაჩნია და რომელიც ასე უხვადა გაქვს შენ.

სალომე: მაშ, რას დგახარ! მე თვით სატანას დავუჯერებ, როცა გურამის თავისუფლებას ისა მპირდება. სულსაც მივყიდი, თავით ფეხებით გადავეშვები უღრმეს ცოდვებში, თუნდაც იმიტომ, რომ გავიგო რას ჰქვია ცოდვა, რომელიც მე არ ჩამიდენია. გურამთან ხომ ეს ცოდვა არ იყო, მასთან მე არ ვგრძნობ დამნაშავედ თავს, მიუხედავად საქციელის საზიზღრობისა. ის გულღიობა და პირდაპირი ვნებათა ღელვა თითქოს გამოგვყოფს ჩვენ ორივეს ყველა ღირსეულ და უღირს მცნებათაგან და ეს შეგრძნება თვით უდიდეს დანაშაულსაც კი არარად ხდის და ეს ტუჩები, მთელი ღამის ალერსის შემდეგ, ჩემი სიყვარულის გამო ოდნავ სირცხვილსაც კი არა გრძნობენ, როცა ანდროსთან იმავ გურამზე, როგორც ოჯახის მეგობარზე, ლაპარაკობენ... აი, აქ დგას სხვა მდაბალი სული, იმავე ვნებით შეპყრობილი, რითაც ჩვენ ყველა, მაგრამ უბრალო ლაპარაკიც კი მის თანდასწრებით მხოლოდ ცოდვაზე, უწმინდურობაზე, საზიზღრობაზე მიმითითებენ. ო, მხოლოდ ამ მდაბალ ვნებასა ჰქვია, ალბათ, დანაშაული, გინდაც ის იყოს ნებადართული, ხოლო შეფარვით, სხვის მოტყუებით, როცა ის მოდის, მაშინ ათასი

უმსგავსობა ერთიანდება და მხოლოდ ქალის სუსტ ჭკუას თუ შეუძლია, რომ ყველაფერი ეს აიტანოს.

შოთა: თუ არ აიტანს, ისევე წააგებს.

სალომე: ისევე წააგებს, ჰო, მესმის, ისევე წააგებს. რას წააგებს იმაზე მეტს, რასაც სანაცვლოდ ის მიიღებს. პატიოსნებას? ეს არ მჭირდება, თუ სიყვარული ტყვეობაშია და რაც უფრო ჩქარა გავა ეგ წამი, მით უფრო ჩქარა მოვა მისი ნახვის საათი. რას დგახარ მანდ, შე უბედურო, გეშინია, რომ ახლოს მოხვიდე თუ გრცხვენია? აქ ხომ სირცხვილი აღარ არსებობს?

შოთა: ო, ღმერთებო, არ მესმის მართლა და არცა მჯერა, თუ ჩემისთანა მდაბალ არსებას სხვა ყველას თვალში თავის თავთან იმდენი პატიოსნება ექნებოდა, რომ წლების განმავლობაში ნაოცნებარ წამს ასე უღონოდ შეხვდებოდა. ეს ერთი იყო, რისთვისაც ამდენს ვიღვწოდი და მე მასაც მივაღწიე. რაღა დამრჩება?

სალომე: ჩქარა, გესმის? მე მხოლოდ ცდად ვიქეცი.

შოთა: ო, ქალთა უმადურობავ,
საყვარელი დააჭერინე, ციხეში ლპება, ქმარი გიკვდება
და შენ აქ ჩემთან ღალატობ,
და მას ეძახი, შენს მდაბალ სურვილს,
ცოდვის გაზრდით რომ ათკეცდება,
წმინდა სიყვარულს?
არა, ძალიან ბევრი ველოდე მე,
ყელგამხმარმა წყურვილისაგან, შუა უდაბნოში,
რომ პირველივე ოაზისის დანახვისთანავე,
როგორც შლეგი მას დავეწაფო.
დე, შენც მომეცი მაშინ ფიცი,
შენი მაღალი სიყვარულის სახელით,
რომ აღარ შესვამ იმ ტკბილ შარბათს იმის სხეულის,
რომელიც ჩემი დახმარებით ორი დღის შემდეგ გარეთ იქნება.
და მისი გარეთ გამოსვლის შემდეგ ჩემი გახდები.

სალომე: ჩვენ ვაგვიანებთ.

შოთა: ფიცი მომეცი.

სალომე: ვფიცავ! შენც დაიფიცე, რაც წეღან თქვი, რომ შეასრულებ.

შოთა: მე შენს ფიცს ვფიცავ.

/გადიან/

მ ო ქ მ ე დ ე ბ ა I I I

სურათი პირველი

/საგიჟეთი. ექიმის ოთახი/

«გურამ! ოპიუმის საქმე ჩაწყობილი იყო შოთასა და მარშანიასგან, რომლებმაც მე გამაბრიყვეს, მე კი იას პირით შემოგითვალე. მე არ ვიცი, რისი გულისთვის

დათანხმდი შენ. მართალია, მე იამ მითხრა, რომ შენ მხოლოდ მოქმედების გულისთვის წახვედი, რადგან გირჩევნია აკეთო რამე, ვიდრე არ აკეთო, მაგრამ მე, თუ მომცემ ნებას, ვიქნები შენი სიყვარულის ძალიან მადლობელი, თუმცა არ მესმის, რა შუაშია აქ მადლობა. დაჭერაში პირდაპირი როლი ეკუთვნის მაგ დოყლაპიას, კოტეს, რომელსაც შოთა გამოგზავნის საგიჟეთში დაკითხვაზე შენ საშველად _ ასეთი პირობა მომცა მე, მაგრამ არ ენდო. რა ვიცი, რა უზით გულში. შენ გამოსვლამდე შოთას მე გავუსწორდები, გინდა გიშველოს კოტემ, გინდა არა. იყო აქ გარკვეული პირობა ჩემგან დადებული შენი გამოყვანისთვის, მაგრამ პირობას ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს.

სალომე.

PP.შ. გინდაც მოხდომოდა ეგ წამალი ანდროს, მაინც ერთი-ორი დღით თუ გაუგრძელებდა ცხოვრებას. გმადლობთ შენ, ჩემო შეყვარებულო, სიყვარულისთვის გაღებული მსხვერპლისთვის. იცოდე, რომ მე არა ვარ უმადური და გადაგიხდი.

სალომე.»

გურამი: ა? მადლობასაც წერს,
ო, უმადურო! გურამ, რაზე აგიშფოთდა ისევ სხეული,
ნუთუ სალომეს სიყვარულისგან.
ო, ბოზო, ჩემო შეყვარებულო,
შენ გგონია, რომ მე შენთვის ჩავჯექი აქ,
თუ შენ ფიქრობ, რომ მე, სულელი,
მხოლოდ იმიტომ გავიქაჩე,
რომ ტყუილად ყოფნა არ შემეძლო ბიჭებთან ერთად.
თქვი, გურამ, შენს თავს მაინც უთხარი,
რომ ერთი წამიც ვინმეს სიცოცხლე რაღაცას ნიშნავს
და მერე ვისი? ჩემი ანდროსი,
ვისთანაც ერთად გავიზარდე მე ბავშვობიდან,
იმისი სიცოცხლის ერთი წამისთვის მე გავისარჯე,
ეს ერთი წამი რითი არის მაშინ ნაკლები ას ათას წელზე,
რომელიც სიცოცხლისათვის და სამყაროსთვის ისეთივე უსუსურია,
როგორც წამი, თვალის ჩაქნევა
და ამ მიწაზე ეს ერთი წამი სიცოცხლისთვის
1000 წელსავით ხანგრძლივი არის.
ეს თუ ასეა, აი, ისევ ეჭვმა დამქროლა,
მაშინ რად ვილტვით, ერთი კი არა, ორი წამი მაინც ვიცოცხლოთ
და თან იმწუთში ისე მოვეწყოთ,
რომ კარგად ყოფნა ჩვენი სხვებს შურდეთ,
მე ხომ ეს უსასრულოდ დიდი და ამდენითვე პატარა დრო
მინდოდა მეჩუქებინა ანდროსთვის,
კაცისთვის, ვისთანაც ერთად მე გავიზარდე
_ ის კი, სალომე, თავის სიყვარულს,
თან მოკრძალებით, რომ არ ავღელდე,
ახვევს ჩემ საქმეს, მე კი მხოლოდ ჩემს კარგ კაცობას.
ისევ გავვორდი და აღარ ვიცი როგორ შევატყო,

რომელი უფრო ტყუის ჩვენ ორში,
თუ არ ვტყუივარ, ფაქტი აქ არის,
მე ხომ ზურგში მახვილს ვცემ ძმაკაცს, მაგრამ,
ო, გურამ, შენ თვითონ მაინც თქვი ერთხელ სიმართლე
_ მე ხომ მიყვარს ანდროს სიცოცხლის ის ერთი წამი,
რომლის ჩუქებაც, ჩემი აზრით, მე მოვინდომე,
მაგრამ გონებას, რომელიც მიხურს,
აქ გამომწყვდეულს, გაგრილება სჭირდება, ალბათ... აი, ახალგაზრდა ფსიქიატრი და კარგი თანამოსაუბრე.

/გურამი და ახალგაზრდა ფსიქიატრი, გურამის ნაცნობი./

გურამი: ძალიან გაგიჟებული მოიყვანეს, ძლივს მოათრევს ორი კაცი ქვევით.
გიჟი: გამიშვით, არა ვარ გიჟი!
ახ. ფსიქიატრი: გამარჯობა, ეგეთები აქ ყოველდღე მოჰყავთ.
გურამი: შეათრიეს როგორც იყო, უკან გამოვიდნენ მომვლელები. უცნაურია, ასეთი სატანჯავი სამუშაოა და მაინც ღიმილი უთამაშებთ სახეზე, ლოყებიც ისე დაბრაწვიათ, თითქოს აგარაკზე არიან, თუმცა აქ ისეთი ჰაერია, არ შეიძლება არ მოიკეთო. უცნაურია, რა ჯანსაღად იცინიან ორივენი, უბრალოდ, მშურს, ისე კარგად მიუგნიათ თავისი ადგილისათვის.
ახ. ფსიქიატრი: თანამდებობა შეგშურდა მაგათი?
გურამი: თანამდებობა კი არა, ადგილი რომ ნახეს თავისი ცხოვრებაში და იმ ადგილით არიან კმაყოფილები ან უკმაყოფილოები, ეგ სულ ერთია, მთავარი ის არის, რომ გამოსავალი წერტილი უნახავთ, საიდანაც უნდა შეხედონ ცხოვრებას.
ახ. ფსიქიატრი: გინდა მოგაწყო შენც აქ რამე ადგილზე?
გურამი: ეგ რომ ადვილი იყოს?
ახ. ფსიქიატრი: მე მომანდე.
გურამი: ეგ თანამდებობა? არა, გმადლობთ, ეგ საკმაოდ ბევრია ჩემთვის. სასაცილო იქნებოდა, რომ მანდ მოვხვდე, უფრო სასაცილო, რომ შევიფერო ეგ ადგილი. მაღლა კი, თუნდაც მთავრობის თავმჯდომარედ ან რომელიმე პროფესიის სათავეში რომ მოვხვდე, მე თვითონ შემჯავრდებოდა ჩემი თავი. ხალხი, პატივისცემით და ჩუმი სიძულვილით შეპრყობილი ყველა პროფესიისადმი, იტყოდა: «აი, მოხვდა კაცი თბილ ადგილზე». ჩვენ ხომ, ქართველებს, ისე გვეზიზღება გულის სიღრმეში ყველა პროფესია... ისინი თავს იტყუებენ ოსტატურად, მე კი ვერაფრით ვერ შევითვისე ეს ტექნიკა.
ახ. ფსიქიატრი: მაშ, რა გინდოდა ან რად შეგშურდა იმათი ჯანსაღი ლოყების, თუ მართლა აურიე საგიჟეთში ყოფნის დროს?
გურამი: შეიძლება, მართლაც, ავურიე, მაგრამ შენ თუ მეტყვი, მე რა მინდა, ან ვინმე თუ მეტყვის, საერთოდ, ჩემი თავის ჩათვლით, მე გადავეხვეოდი მას და სიცოცხლის ნახევარს გავუყოფდი ამ რჩევისთვის, ხოლო მეორე ნახევარს ისე ვიცხოვრებდი, როგორც მან მირჩია.

ახ. ფსიქიატრი: შენ შავნაღველამ შეგიპყრო, როგორც გატყობ, და მართლა დაგჭირდება მკურნალობა.

გურამი: ნეტავი ეგ მაინც იყოს. ოღონდ მიმაგნებინა ჩემი ავადმყოფობისათვის, თუნდაც მას სიფილისი ან კეთრი ერქვას, ჩემი სულის ფსიქოლოგიურ გამომხატველად ქცეული, და მზადა ვარ ახლავე.

ახ. ფსიქიატრი: არა, შენ უეჭველად მუშაობა უნდა დაიწყო. აი, ხომ ხედავ, დარდიც შენზე მეტი მაქვს, ცოლ- შვილი მოსავლელი, სამუშაოც, მაგრამ ვგრძნობ, რომ მაინც კაცი ვარ, რაღაცას ვაკეთებ.

გურამი: შენ მაპატიე, ძმაკაცო, მაგრამ მე შენს ადგილას ისე უბედურად ვიგრძნობდი თავს, რომ მუშაობას თავს დავანებებდი, იმიტომ კი არა, რომ არ მეკადრებოდა თანამდებობა, პირიქით, მეტი იქნებოდა ის ჩემთვის, ისევე როგორც გიჟების სანიტარის ადგილი, ან უფრო პატარა, ყველაზე მცირეც. არ არის თანამდებობა, რომლის ღირსიც მე ვიყო.

ახ. ფსიქიატრი: შენ თუ ეგრე გააგრძელე, გურამ, გიჟის ადგილი არ აგცდება.

გურამი: უბედურება ის არის, რომ შენც იცი, მაგასაც არ მომცემს ჭკვიანი ხალხი.

ახ. ფსიქიატრი: მაშინ ისევ ციხეში მოუხდებათ შენი გადაგზავნა.

გურამი: ეგ ჩემზე იყოს, სამ დღეში სიგიჟის ცნობას ავიღებ და აქედან გავალ.

ახ. ფსიქიატრი: აქ ნამდვილი გიჟები წვანან და 9 ბ-ს იმათ არ აძლევენ.

გურამი: ნამდვილი გიჟები ეგ სხვა ამბავია, ყველაფერს ჭკუა უნდა. მე კი იმდენი ჭკუა მაქვს, რომ სიგიჟის ცნობა მომცენ, ოღონდ ცოტა შენც უნდა დამეხმარო, როცა ჩემს წარსულს გკითხავენ.

ახ. ფსიქიატრი: მაგაში მოუტყუებლად გავიმარჯვებთ.

გურამი: კარგ ხუმრობას გაუმარჯოს, ეგ სულ სხვა საქმეა, ამ დროს სამ მეოთხედზე გავიწყდება, რომ სახუმაროდ არა გაქვს საქმე, თუმცა რატომ, ალბათ, აქაც 1/2-ზე, რადგან იმდენივეა ამ ქვეყანაზე საცინელი, რამდენიც სატირელი.

ახ. ფსიქიატრი: დრო მოვიდა, მე უნდა ჩავიდე გიჟებთან. შუადღის შემოწმების შემდეგ ეზოში გიცდი. შენ იცი, თავს როგორ დაიჭერ.

გურამი: ჩემი თავდაჭერილობის იმედი საწყალ ბებოჩემს არა ჰქონია.

ახ. ფსიქიატრი: სწორედ იმიტომა მაქვს იმედი, რომ რაცა ვთქვით, იმას გააკეთებ. /გადის/

სურათი მეორე

/ისევ საგიჟეთი. ეზო/

ახ. ფსიქიატრი: /შემოდის/ რა ქენი?

გურამი: დღეს შენ გამოგიძახებენ, ალბათ, ხვალ მოგცემენ.

ახ. ფსიქიატრი: ყოჩაღ, არ მეგონა. აი, აქ ორი აშკარა გიჟი დგას, სულ ყვირიან და მაინც არ აძლევენ. რა კარგი განსაცდელია, ოხ, ოხ.

გურამი: ეგ იმიტომ, რომ დირექციას აბრაზებენ, ინვენტარს ამტვრევენ. კიდევ გეუბნები, ეგ გიჟები ჭკვიანად რომ მოქცეულიყვნენ ჩემსავით, მაგ ცნობას უცებ აიღებდნენ.

ახ. ფსიქიატრი: ოხ, ოხ, ხუმრობ და ხუმრობ, შე გიჟო.
გურამი: /თავისთვის/ მე მგონი, ვერც ეს მოახერხებდა სიგიჟის ცნობის აღებას. /ფსიქიატრს/ ასეა, ჩემო კარგო, საქმეები.
გიჟები: მოვდივართ, მოვდივართ!
ახ. ფსიქიატრი: მოდიან, ნახე, მოდიან. ოხ, ოხ, რა კარგი განსაცდელია.
გურამი: მეც შევუერთდე?
ახ. ფსიქიატრი: ოხ, გურამ, შენ მომკლავ სიცილით.
გურამი: მეხი კი დაგაყარე მაგ თავზე.
ახ. ფსიქიატრი: ხი, ხი, ხი, მეხი, მეხი... რა...

/შემოდიან გიჟები/

I გიჟი: ალეეე, ოპ!
II გიჟი: პო, ეეელა...
III გიჟი: /ჯერ გადახტება, მერე იძახის/ ალეეე, ოპა!
I გიჟი: არ ითვლება.
IV გიჟი: აქ გიჟი ხომ არა გგონია ვინმე, რომ გადახტომაში ჩაგითვალოს.
I გიჟი: ვერ ხედავ, რამდენი მოწმე დგას?
II გიჟი: ეგრე იყო, მამუკა,
რაც იხტუნავა, მას უკან.
III გიჟი: კარგით, ალეე ოპ! /გადამხტარი, ადგილიდან ხტება უკან/
I გიჟი II-ს: მგონი, გიჟია, ხო იცი.
IV გიჟი: სიუ, სიუ, სიუ, ჩქარა, ჩქარა!
III გიჟი: ვის, საით, მე კი არ მეჩქარება.
IV გიჟი: ჩქარა, ჩქარა!
III გიჟი: მოჩქარეს მოუგვიანდეს, ვინც დადგა, დააგვიანდა.
IV გიჟი: რას უყურებთ მაგას, ვერ ხედავთ, გიჟია, თავი დაანებეთ.
I გიჟი: აბა, ვინ წინა და ვინ უკანა.
II გიჟი: აბა, ერთად, მე სულ ზევით მინდა.
IV გიჟი: მზე ამოდის, ჩქარა, ჩქარა, წყალს აშრობს და ვაშლი მწიფს.
III გიჟი: სულელები არიან ამხელა ხალხი, ამ შუადღეზე, საუზმის წინ, მაგათ ასაკში რა დროს «ვაშლის ხეზეს» თამაშია.
I გიჟი: (ხიდან) შენ ასაკში რაღა დროს სიგიჟეა.
III გიჟი: სიტყვას ვერ მოგიჭრის თუ...
IV გიჟი: ერთი თვე, ორი თვე, სამი თვე, ბიჭებო, ბიჭებო, დამწიფდით!
გიჟები: დავმწიფდით, დავმწიფდით.
III გიჟი: პირდაპირ ღვივიან.
IV გიჟი: გრრ, გრრ, ვარხევ ხეს, მწიფე ცვივის, მკვახე ზედ დარჩეს. /ტყაპანით ცვივიან გიჟები ძირს/
III გიჟი: მწიფე ცვიოდესო, მკვახე რჩებოდესო.
IV გიჟი: ვინ არის მკვახე!
III გიჟი: კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდაო.
IV გიჟი: /ვარდება თავით/ ეგეც შენ, ვინ არის შენი მკვახე?!
III გიჟი: ახლა კი ნამდვილად დამწიფდი.
გურამი: ეგეთი ღირსეული გიჟი ჯერ არ მინახავს.
IV გიჟი: ისევ ხეზე, სიუ, სიუ, გრრ, აბა, ჩქარა!

III გიჟი: ყველაზე ზევით, დედასთან, ჩემი ადგილია.
IV გიჟი: მოეწყვეთ, ჩამორიგდით ტოტებზე.
გიჟები: მოვეწყვეთ, მოვეწყვეთ, ჩამოვრიგდით ტოტებზე.
IV გიჟი: ცოტა ხანი დამწიფებას დაუცადეთ.
III გიჟი: შენ დაარხიე. ვინც მწიფეა, თავისთავად ჩამოვარდება.
IV გიჟი: გრრ, გრრ.
I გიჟი: მარტო მე ჩამოვვარდი.
II გიჟი: მწიფე იყავი?
გიჟები: არ იყო მწიფე.
II გიჟი: ყუნწი ჰქონდა სუსტი.
I გიჟი: შეცდომით ჩამოვვარდი.
IV გიჟი: ამოდი ისევ.
გიჟები: ამოდი, ისევ ამოდი, ჩქარა ამოდი, თორემ ვღვივივართ..
III გიჟი: Да, Да...
გურამი III გიჟს: ერთი წამით, შეიძლება?
III გიჟი: ზრდილობის ფარგლებში, სიამოვნებით.
გურამი: მაგ ფარგლებში სწორედ, თქვენი სახელი მიბოძეთ.
III გიჟი: მაგ ფარგლებში? ფილოსოფიის ისტორიის და მომავლის დოქტორი. ხი, ხი, თქვენ გგონიათ, რომ ფოიხტვანგერობას ვიჩემებ? არავითარ შემთხვევაში – მიცნობდეთ, ბატონი ვარლამი.
IV გიჟი: მზე აჭერს, საცაა ყველანი მოიწევიან.
გიჟები: ისევ ჩავარდა, ჯერ არ იყო მწიფე, ისე ჩავარდა.
I გიჟი: ისევ ჩამოვვარდი.
III გიჟი: ბატონო ექიმო და თანამოსაუბრე, მაგაზეა ნათქვამი, მწიფეს ესროდნენ და მკვახე ცვიოდაო.
ახ. ფსიქიატრი: ნამდვილად, ბატონო ვარლამ, სასიამოვნო განსაცდელია თქვენი სიტყვები. წავედით, გურამ.
გურამი: სად წავედით, ბიჭო.
ახ. ფსიქიატრი: წამოდი, ბიჭო, აქეთ, გიჟებს ნუ მიფუჭებ.

/ხმები შემოსასვლელიდან/

/სურათი: შოთა და კოტე/

ყარაული: არ შეიძლება მანდ შესვლა, საგიჟეთია.
კოტე: ჩემთვის შეიძლება, მე დაბარებული ვარ დაკითხვაზე საგიჟეთში.
გურამი: გამოუშვით, გამოუშვით, გამოუშვით, მაგისთვის შეიძლება.

/საყარაულოში იცინიან/

კოტე: გურამ, არ მიშვებენ.
ახ. ფსიქიატრი: არცა ხარ ღირსი, ალბათ.
გურამი: არყის ბოთლი ჩაარტყი თავში.
კოტე: ბოთლი სადა მაქვს?
გურამი: მაშ, ისე რას მოდიოდი, შე კარგო კაცო. /ახ. ფსიქიატრს/ ჩემ საქმეზეა დაბარებული მოწმედ.

ახ. ფსიქიატრი: გამოუშვით, ეგ კაცი ჩემთან მოდის.
კოტე: გამარჯობათ, ასეთი ამბავი დამაწიეს.
გურამი: ალბათ, ჭკვიანი ეგონე. გაიცანით ჩემი მეგობარი, ოღონდ გიჟი არ არის.
III გიჟი: კარგად იყავი, მე მასთან საქმე არა მაქვს.
კოტე: გაწვდილი ხელი დამიტოვა, არ მოვეწონე.
გურამი: ეტყობა, მეტოქედ გიცნო, კარგად ბრძანდებოდეთ, ბატონო ვარლამ.
კოტე: ვინ არის ეგ კაცი?
გურამი: ჩვენი მეგობარია.
ახ. ფსიქიატრი: რა ქენით დაკითხვაზე?
კოტე: დღეს გამოირკვევა, ოხ, აქ რა ამბავია?

/გიჟები ტყაპატყუპით ცვივიან ძირს/

IV გიჟი: აბა, ჩქარა, წამოდექით ფეხზე, თორემ დალპებით დაჟეჟილები.
III გიჟი: ნათქვამია, დაჟეჟილს გატეხილი სჯობიაო.
IV გიჟი: /გიჟს ხეზე/ შენ რა, არ დამწიფდი?
გიჟი ხეზე: მე ერთი საწყალი კაცი ვარ და არა ვმწიფდები.
II გიჟი: ჩვენ თუ ვიწევით.
გიჟები: ეგ მარტო ერთხელ მოიწია.
III გიჟი: გიჟები არიან და იმდენი მამაძაღლობა კიდევ აქვთ, რომ თავისთან ერთად სხვასაც მოატეხინონ კისერი, ნახეთ, როგორ შეუჩნდებიან ახლა.
გიჟები: ჩქარა ჩამოვარდი, გინდაც მკვახე იყო.
გიჟი: მე ისეთი მაგარი ყუნწი მაქვს, რომ ვერა ვძვრები ტოტს.
გიჟები: ახლავე დავარხევთ ხეს.
II გიჟი: ჭკუაში გვატყუებს, გიჟები ვგონივართ, დაარხიეთ ხე.
გიჟები: არც ახლა ჩამოვარდები, ისე დაგარხევთ. აი, ასე დავარხევთ, მკვახეც რომ იყო, მაინც ჩამოვარდები.
გიჟი ხეზე: სამი შვილი მყავს.
II გიჟი: მაგრად დაარხიეთ.
გიჟები: ყველამ ერთად.
გიჟი ხეზე: სამი შვილის მამა ვარ, მეშინია, ხელი რომ გავიფუჭო, ოჯახს როგორ ვარჩენ, ჭკუა მე არა მაქვს და...
IV გიჟი: უფრო მაგრად დაარხიეთ.
გიჟი ხეზე: ვეღარც თოხს ვიხმარ, ვეღარც ბარს.
გიჟები: ჩამოაგდეთ ეგ გორსალა.
გიჟი ხეზე: მე თვითონ ჩამოვვარდები, სამი შვილის მამა ვარ.
გიჟები: ხი, ხი, ხა, ხა, დაიმტვრა, გასკდა...
ჩამოვარდნილი
გიჟი: ვაი, ხელი, ვაი, ცოლ-შვილო!
გიჟები: ისევ ხეზე, ისევ ხეზე!
ჩამოვარდნილი
გიჟი: ერთი ისეთი გოგო მყავს, უნდა ყანა გავმარგლო და ქოშები ვუყიდო.
II გიჟი: აქ სავაჭრო რიგი კი არ არის.
III გიჟი: აქ ყანა კი არ არის.

გიჟები: ხეზე, ხეზე ჩქარა, ხეზე!
IV გიჟი: ეს არ ამოდის.
გიჟები: ჩქარა ადი ხეზე!
ჩამოვარდნილი
გიჟი: ერთი ხელი უკვე მოვიტეხე. ორი ბიჭი მყავს, იმ გოგოს გარდა.
გურამი: მერე რა დროს შენი სიგიჟე იყო.
ჩამოვარდნილი
გიჟი: რა ვქნა, აბა.
გურამი: რა ხნისა ხარ?
ჩამოვარდნილი
გიჟი: ბევრი ხნისა ვარ, ერთი ისეთი პატარა გოგო მყავს, ორი საცოლშვილო ბიჭი.
გურამი: მერე მაგ ხნის კაცმა ჭკუა ვერ ისწავლე, რომ აქ არ მოეყვანეთ?
ჩამოვარდნილი
გიჟი: უსწავლელი ვარ, ექიმის მეგობარო.
III გიჟი: მაშ, ეპატიება. მე, აი, დოქტორი კაცი ვარ და მაინც აქა ვარ.
ჩამოვარდნილი
გიჟი: ვაიმე ხელი, ვაიმე წითელო გოგოს წითელო ქოშებო.
ახ. ფსიქიატრი: ხი, ხი, ხელი მოიტეხე, ძია კაცო?
ჩამ. გიჟი: ეჰ, რა არ მოვიტეხე.
III გიჟი: აქლემსა ჰკითხეს, კისერი რადა გაქვს მოგრეხილიო და რა მაქვს რო სწორიო.
გიჟები ხიდან: ჩვენზეა ნათქვამი, ჩვენზეა ნათქვამი.
/შემოდიან მილიციელები/
IV გიჟი: აბა, მწიფე და მკვახე ერთად.
/ცვივიან. გარბიან/
გურამი: ხედავთ, მაგ გიჟებსაც აქვთ ჭკუა.
მილიციელი: შენ და შენ წამოხვალთ, ექიმის კაბინეტში იქნება დაკითხვა /გურამი, კოტე და მილიციელები გადიან/
ახ. ფსიქიატრი: ხი, ხი, ხი...

სურათი მესამე

/ქუჩა საგიჟეთის წინ. შოთა და სალომე/

მილიციელი: ამხანაგო დამნაშავე და ამხანაგო მოწმე, მე ჩემს ვალად ვთვლი, როგორც აქ, საგიჟეთში, მთავრობის წარმომადგენელმა ფეხზე ადგომით ჩამოვართვა ხელი ყველა მოქალაქეს და მივულოცო გუშინ სამყაროში დედამიწიდან ჩვენი მთავრობის მიერ რაკეტის გაშვება.
ახ. ფსიქიატრი: /ხმა გარედან/ ავადმყოფებო, მოგილოცავთ ახალ ერას, მოგილოცავთ რაკეტის გაშვებას, გაუმარჯოს, ჩვენს მთავრობას, ვაშა!
მილიციელი: აბა, ერთად ყველამ, ვაშა!
გურამი: ვაშაა!
მილიციელი: თქვენ რატომ არ ყვირით, ამხანაგო?
კოტე: მე? მე!.. უკაცრავად.

გურამი: ეგ საგიჟეთს არ ეკუთვნის. ეგ გარეთ რომ გავა, მაშინ იყვირებს.

მილიციელი: აჰ, ჰო, გასაგებია... აი, სანამ მე საქმეებს გადავათვალიერებდე, შეგიძლიათ ნახოთ გაზეთები.

გურამი: ოჰო, საინტერესოა, ნამდვილად ასეა. მშვენიერი ფრაზაა, ამხანაგო მილიციელო: «ხალხი ჩვენი სამშობლოს ყველაზე ძვირფასი სიმდიდრეა», მერე მოდის ძროხის წველადობაზე ლაპარაკი, შემდეგ წერია გენიალური სიტყვები. თქვენი ნებართვით ამოვიკითხავ, თუ შეიძლება: «ძროხა იწველის რძეს, ხოლო ხალხი იძლევა საერთაშორისო რაკეტას».

მილიციელი: მე ეგ სიტყვები დილითვე ზეპირად ვისწავლე. გენიალური სიტყვებია, რას იტყვით?

გურამი: მაგაზე ორი აზრი არ შეიძლება იყოს. თქვენი აზრით, რომლის მოწველა უფრო ძნელია _ ძროხის თუ ხალხის?

მილიციელი: დღეს ისეთი დღეა, მე ყველა შეკითხვაზე სიამოვნებით ვაძლევ პასუხს პატიმარსაც კი.

გურამი: რატომ, რატომ?

მილიციელი: ამითი გამოვხატავ ჩემს ჰუმანურ აღტაცებას და ვუერთდები მილიარდებს მშვიდობის მომხრეთა ბანაკიდან. რაც შეეხება წველადობას, თქვენ მშვენიერი სიტყვა იხმარეთ დასახასიათებლად. დიახ რომ ასეა, ჩვენ ნებაყოფილობით ვიწველით რძეს რაკეტისათვის, ხოლო ძროხა იძულებით.

გურამი: მოდით ყველანი შევუერთდეთ ამ აღფრთოვანებას, გაუმარჯოს სამყაროს გამკვეთს, გავიდეთ ერთად ქუჩაში.

მილიციელი: რაა?

გურამი: თავისუფლად გავიჭრათ ქუჩებში, ისე როგორც რაკეტა, მე წავედი!

მილიციელი: მოქალაქე, ადგილზე! თქვენ გავიწყდებათ სადა ხართ.

გურამი: იმ ადგილას, საიდანაც გასროლილი რაკეტა დედამიწასაც კი გასცილდა.

მილიციელი: ბალანსისთვის შენ ციხეში ამოგალპობთ. გეყოფათ აღფრთოვანება, ჩვენთვის ცნობილია თქვენი წარსული და ისიც, რომ სრულიად ნორმალური კაცი ხართ. ჩვენთან არ გავა არაფერი, ჩვენ ეს დოყლაპია ფსიქიატრები კი არა ვართ, ვისი მოტყუებაც შეიძლება.

გურამი: ჰო, თქვენ სულ სხვა ხალხი ხართ.

მილიციელი: რა გაგებით თქვით ეგ?

გურამი: თქვენთან სულ სხვანაირად, სერიოზულად უნდა მოიქცეს-მეთქი ხალხი. იმათი მოტყუება კიდევ შეიძლება, მაგრამ თქვენთან სხვა გზა არ არის, ყველაფერს შეგიძლია შემოუარო, გარდა...

კოტე: ამხანაგო მილიციელო, ფანჯრიდან გეძახიან.

/მილიციელი მიდის ფანჯარასთან. გურამი ურტყამს თავში ბოთლს/

გურამი: ჰო, რას ვამბობდი? გარდა ამათი სიბრიყვისა. ასეთი ბოთლი უნდა თავში. გმადლობთ, კოტე, რომ დაუძახე. ოჰო, ერთიც მოკვდა. ეს ნაგანი გამომადგება.

კოტე: გურამ, რა ქენი? მე... მე...

გურამი: შენ რა აზრის ხარ რაკეტაზე, რომელიც იქ, სადღაც გაუშვიათ?

კოტე: გურამ, მე, მე შენ გამოსახსნელად მოვედი აქ, შენ საშველად ყველაფერი მზად იყო.

გურამი:	რატომ ღელავ, კოტე, აი, ახლა შენი დახმარება აღარ იქნება საჭირო. რატომ დაკარგე ფერი, კოტე, გენაცვალე. შენ რაკეტის გაშვების ამბავს გუშინვე გაიგებდი, ალბათ, ლექსიც მოამზადე საგაზეთოდ უკვე. გთხოვ, რომ ამ პატივცემულ აუდიტორიას, ერთი ცოცხალი დამნაშავე გიჟის და ერთი მკვდარი მილიციელის დასწრებით, წაუკითხო. ტაშს მარტო მე დაგიკრავ, საწყალ ოპერს მაგისი თავი აღარა აქვს, როგორც ამჩნევ, თუმცა, მე მგონი, ტაშის დაკვრას თავი საერთოდ არა სჭირდება, რას იტყვი, ა?
კოტე:	გურამ, მე... მე დამნაშავე არა ვარ, მე შოთამ მომატყუა, მე იმან მითხრა, რომ ჩემი სიკვდილი გინდოდა და გავბრიყვდი.
გურამი:	რატომ ღელავ, კოტე, მე შენთან მაღალ თემებზე მინდა ლაპარაკი, აი, პოეზიაზე, რაკეტაზე... კოტე, გენაცვალე, შენ, როგორც გეტყობა, ძალიან უნდა გიყვარდეს ახალი სიმინდის კომბინატი, ამას წინებზე შენი ლექსი წავიკითხე გაზეთში მის შესახებ: «და კომბინატი, როგორც მეტეორი სამყაროსათვის, ერთი წვეთია იმ დიდი ზღვისა, რომელიც აშენებს კომუნიზმს...» შენც ამ მილიციელის ძმა ხარ, არა? ისიც წეღან ძროხასა და სიმინდზე ლაპარაკობდა, თუ გახსოვს.
კოტე:	გურამ, გთხოვ, მე მაგისი არაფერი არა ვარ, მე პოეტი ვარ, გესმის, სულით პოეტი, ამიტომ სუსტი ვარ და სოციალურ ამბებში ვერ ვერკვევი... ო, წაიღე ეგ ნაგანი იქით... მე დამავალეს და გავაკეთე, ეგ ჩემი ბრალი არ არის... დავალებაა, გესმის!?
გურამი:	რას ამბობ, კოტე, როგორ არ მესმის, მე სწორედ მაგიტომ არ ვიდებ ნაგანს ჯიბეში, რომ ეჭვი მაქვს შენზე, იქნება ჩემი მოკვლა დაავალეს-მეთქი და, შენ რომ გიცნობ, ისეთი წესიერი და კეთილსინდისიერი ხარ ვალის წინაშე, მეშინია არ აასრულო.
კოტე:	მე პოეტი ვარ, მარტო ლექსების წერა შემიძლია. მკვდარი რომ ვიყო, ალბათ, მაინც დავწერ.
გურამი:	კოტე, მართლა, კინაღამ უსინდისოდ არ მოგექეცი.
კოტე:	ხო, ხო, კინაღამ. აი, ასე, გურამ, ვიცოდი მიხვდებოდი.
გურამი:	ნამდვილად მივხვდი. აიღე ის სამელნე ბოთლი, კოტე.
კოტე:	ავიღო? ვიღებ, ვიღებ. იქით გასწიე ნაგანი, გურამ, გაგიჟდი, შენ?
გურამი:	თანაც ოფიციალურად.
კოტე:	გურამ, რას აპირებ?
გურამი:	ახლა მოიყუდე და დალიე.
კოტე:	გურამ, შენს მუხლებს ვაკოცებ, გურამ, რას აპირებ?
გურამი:	დალიე, შენი დედის სული არ იყოს.
კოტე:	ო, მაპატიე, ღმერთო, რისთვის ვიტანჯები ასე?
გურამი:	დალიე, თორემ მოგკალი, აი ეგრე, დაჩოქილმა, დალიე, მოვიდა ჩემი დრო, ჩემებურად ვიძიო შური ყველა თქვენგანზე, ეგრე, ეგრე სვი, რა? ცუდად გახდი, ტუჩებზე გეღვრება? ო, თუ აღარ შეგიძლია, აი, კალმის წვერი და დააყოლე, დააყოლე ახლავე.
კოტე:	ო, ო, მოვკვდი... /ეცემა/
გურამი:	ო, მამაძაღლი, იმის მაგიერ, რომ თავში ჩაერტყა ჩემთვის ეს ბოთლი, სულ ჩაიცალა თავის მუცელში და ახლა, პირზე დუჟმორეული, ჩქარა მოკვდება.

რადიოს ხმა: 36000 კილომეტრი დედამიწიდან განვლო რაკეტამ დღე-ნახევარში, მთვარესაც ჩასცდა და ამ სამყაროს სულ მთლად გასცილდა.

გურამი: სულ მთლად გასცილდა?
ნუთუ მოიკლა ხალხმა ვნება,
თუ თვითონ რაკეტას ჰქონდა ეს ვნება,
რომ გაჭრილიყო ატმოსფეროდან
და ათასობით ტანჯული სული
აქ დედამიწისთვის, როგორც
მოტყუებული პირუტყვი,
პირდაღებული გაეწირა
და თვალებაპყრობილთ მაღლა მთვარისკენ,
ჭკუა-გონება სულ დაჰკარგოდათ.
გონება, ალბათ, არასოდეს არცა ჰქონიათ,
მაგრამ გული ხომ ყოველთვის იყო,
რომ სხვა მისთანა შებრალებოდა,
ის რომ იქ არის, ყველაფერს გასცდა,
აქ, ამ მიწაზე, ხომ დარჩა მაინც ჩვენი ცხოვრება,
რომელშიც მე ვდგავარ მარტოკა
და ამ წამებში ჩემი თავი,
ვგრძნობ ფიზიკურად, რომ მეცოდება.
გურამ, გამაგრდი, ჯერ დრო არ არის
და ამ პისტოლეტს შენ საფეთქელთან
ნუ ათამაშებ,
ჯერ ბევრი რამე არის აქ კიდევ გამოსარკვევი,
თუნდაც რისთვისაც ხალხის ფარები
თავ-პირსა იმტვრევს,
რისთვისაც ცდილობს, რომ სხვა იყოს
მის გამგებელი
და თავის გულ-ღვიძლს საკორტნ-საჯიჯგნად
რაღაცა მეტალს უდებს ხახაში,
რომ გამაძღარი ათასი ლეშით, ჯანზე მოსული,
უსასრულობისკენ ის მაინც გაიჭრას,
აი, ამ მიზნისთვის არ დაეძებს ხალხი
თავის მსხვერპლს.
ეს არის მათი, ალბათ, უდიდესი ვნება,
დამალული მათ არსებაში ქვეშეცნეულად,
ეს არის, ალბათ, ჩემი ვნებაც,
მაგრამ მე ჩემი გულ-ღვიძლი
ჩემს თავშივე შევუხამე,
გაძეხი, ბიჭო?
თუ ამ საგიჟეთში ორ მკვდარს შუა მდგარი,
შიშმა შეგიპყრო,
ისევ იმ შიშმა, რომელსაც შენი
თავქარიანი საქციელით
და ბრიყვი ხალხის თვალში ვაჟკაცობის
გამომხატველი სერიებით ფარავ.

გამიძეხი, შიშო, ისევ წინ,
ჩემი შიში კი ისე დიდია
და ისე მეშინია მე მისი,
რომ არასოდეს არავინ მას ვერ შემატყობს,
ხოლო მე ჩემს შიშს მაშინ ვატყობ,
როდესაც ფილოსოფიის ხასიათზე მოვდივარ
და რომელიც მაიძულებს ხალხში ყოფნის დროს მხოლოდ ვიცინო.
წადი და განაგრძე შურისძიება,
იმ შიშისგან გამოწვეული,
რომ შენმა თავმა შენვე მშიშარა არ დაგიძახოს.

/ძვრება ფანჯრიდან/

მ ო ქ მ ე დ ე ბ ა I V

სურათი პირველი

/სცენაზე მოჩანს ერთდროულად დიდი საყდრის ნაწილი, მერე გაჭრილი ღრმა ქუჩა, შემდეგ კოტეს სახლის ნაწილი. განათებულია ეკლესია/

დებილი დიაკონი: მაინც ძაან საინტერესოა, მამაო, როგორ მიიღო ღმერთმა ჩვენი საჩუქარი?

მღვდელი: უფალი მოწყალეა, განუზომელი გულის პატრონი.

დებილი დიაკონი: ხი, ხი.

მღვდელი: სასწაულია მისთვის ყოველი.

დებილი დიაკონი: რა ოინი იქნება, რომ იმას მოხვდეს. აი, მამაო მღვდელო, თქვენ თვითონა თქვით, საით არის ღმერთი? – მაღლა, რა თქმა უნდა. საით გავისროლეთ რაკეტა? მაღლა, რა თქმა უნდა. ვინ გაისროლა? – ჩვენ, ჩვენი შეწირულობების დახმარებით, როგორც გუშინდელ ლოცვაში მოიხსენიეთ. გამოდის, რომ ჩვენ ჩვენი ხელით ვესროლეთ ღმერთს. არა მგონია, ამისთვის იქ მადლობა გვითხრან. თუ მოკვდა ღმერთი, კიდევ არა გვიჭირს რა, გამკითხავი აღარავინ იქნება, მაგრამ თუ მარტო დაიჭრა, მაშინ მე საერთოდ უარს ვამბობ სიკვდილზე, ღმერთმა დაგვიფაროს დაჭრილი მსაჯულის წინ წარდგომისგან.

მღვდელი: სულელო, ღმერთის შემწეობით მოხდა ყველაფერი.

დებილი დიაკონი: მაშ, ღმერთს თვითმკვლელობა განუზრახავს, არა, მამაო მღვდელო?

მღვდელი: ღმერთო დიდებულო, აპატიე ამ სულელს, რადგან სულელები რომ არ მოგეცა ჩვენთვის, ეკლესია დაულაგებელი იქნებოდა და მტვერში ვისხდებოდით. ჩქარა, ჩქარა გადაწმინდე ყველაფერი.

დებილი დიაკონი: მე მტვერშიაც კარგა ვძლებ და ჩემს მეტი მაინც აღარავინ დადის აქ.

მღვდელი: მაშ, მე ლოცვებს ვისთვის ვკითხულობ?

დებილი დიაკონი: ჩემთვის, ალბათ, მამაჩემო, იმიტომაც მეძახიან დებილს. ისე მაინც საინტერესოა: ყველაფერს ჭკვიანურს ვლაპარაკობ, რომ

დაუკვირდეს კაცი, შენ, მამაო, რაღაცეებს გაუგებარს ლუღლუღებ და მე მაინც სულელი ვარ, შენ _ ჭკვიანი. როგორ უნდა ავხსნათ ეგ?

მღვდელი: იმითი, რომ შენ ეგ ყველაფერი ახლა გაიგე და გიხარია მაგეების ლაპარაკი, მე კი მომწყინდა უკვე და ყველა სიტყვამ აზრი დაკარგა, გარდა იმისა, რომ თვითონ ბგერას სასიამოვნო ჟღერა აქვს.

დებილი დიაკონი: უფალო, შე-იწ-ყალე მღვდელი ჩვენი.

მღვდელი: თავისი მრევლიიი-ით...

დებილი დიაკონი: ხი, ხი.

მღვდელი: დიაკონო, აგე, ვიღაცეები მოდიან. სიმართლე გითხრა, ჭირივით მეზარება ლაპარაკი. მოდი, შენ გაუძეხი, რაღაც ჭკვიანობის ხასიათზე ხარ.

/გადის/

დიაკონი: რამეთუ ღმერთმა წელსა 1959-სა გამოითხოვა მოციქული თავისი მიწიდან ხორცითა და სულითა, ღერბითა და წარწერითა, რომლითაც ქრისტე ამდენივე წლის წინათ ჩამოსვა ზევიდან სრულქმნილი ხორცითა დედამიწაზე.

გურამის ბებო: მამაო, მიიღე ეს შეწირულობა ჩვენგან.

დიაკონი: თქვენ, ძველებსღა, გწამთ ღმერთი. ღმერთო, მადლობას გიძღვნით თქვენ. თქვენი ამბები, გაჭირვებები მეორევე რაკეტით გაიგზავნება ცაში იმასთან. ეს საგრძნობლად შეამოკლებს გზას.

ბებო: აიღე, შენ ნუ მომიკვდები, შენ თვითონ ჭამე ეგ ქადები, გურამისთვის გამომცხვარი. ის ვერა ვნახე თვითონ და, ციხისკენ წამოსულმა, აქ შემოვუხვიე.

დიაკონი: შვილიშვილი დაგიჭირეს, ბაბო?

ბებო: იმის გამოშვებისათვის გინდა ილოცო? მას ლოცვა არ უნდა, თვითონ მოუხერხებია გამოქცევა, ჩვენ სათხოვნელად არავისთან არ დავდივართ, დიაკონო.

დიაკონი: არც ღმერთთან?

ბებო: რომელთანა, დიაკონო?

დიაკონი: იმ ღმერთთან, რომელიც აქ არის. მაშ, ეკლესიაში რას მოდიოდი, თუ ღმერთი არა გწამს? იქნება...

ბებო: არა, დიაკონო, რაღა დროს ჩემგან ღმერთის წამებაა, დავბერდი ქალი. მე, აი, ეკლესია მწამს, სიჩუმეა, შეგიძლია ისე იჯდე, არავის ხელი არ შეუშალო. თუ ლაპარაკი მოგინდა, კი არ იყვირო, როგორც ქუჩაში შვრებიან, წყნარად ილაპარაკო, გული გადააყოლო, ღმერთსაც მეტი არაფერი ენდომება, შენ რას იტყვი?

დიაკონი: მე ერთი ებრაელის აზრზე ვდგავარ, რომელსაც უთქვამს, როცა უკითხავთ, ღმერთი გწამსო? – მწამსო, რატომაც არაო _ თუ არ არის და ისე ვიწამე, ვის რა დაუშავდება ამითაო, ხოლო თუ არის, რატომ გავიფუჭო მასთან დამოკიდებულებაო?

ბებო: აგე, კიდევ ხალხი მოდის, შენ იმათ მიხედე, მე კი აქ ჩემთვის წავილოცებ.

ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე, მიეცი ჩემ ბიჭს მშვიდობა, მიეცი წყნარი გული, რომლის მიცემაც მე ვერ შევძელი.

სალომე: ძლივს მოვედით წყნარ ადგილას.

დედა: ღმერთს ნუ სცოდავ, ეს იმის სამყოფელია.

დიაკონი: იმისი ნება და სურვილია აქ ყველაფერი.

ია: ღმერთო, შენ გთხოვ, მხოლოდ შენ, რადგან შენა ხარ ერთადერთი, ვისაც შემიძლია ვუთხრა მე, რაც გულში მაქვს და რის თქმასაც ვერ შევძლებ, არ ავღელდები, მეცოდინება, რომ უთქმელადაც გამიგო.

დედა: აი, ეს შეწირულება მიიღე, დიაკონო, ამისი ქმრის სახელზე, ჩვენი სიძის სახელზე, იქნება ღმერთმა ტანჯვა გაუადვილოს.

დიაკონი: ეტყობა, ძალიან გიჭირთ, დედა, რომ აქ მოსულხართ, ან იქნება სულაც იმედი აღარაფრისა გაქვთ?

დედა: მარტო ღმერთი დარჩა ჩვენი შემწე.

დიაკონი: ჭეშმარიტად, დიდი შვებაა გაჭირვებისას მისი სახელის მოხსენიება, იმისი სახელი თავის თავზე იღებს ჩვენს ცოდვებს, უბედურებებს და თუ იმ ცოდვის გამოსწორებაში ვერ დაგვეხმარა, მისი შედეგის გაქარწყლებაში უზომოდ დიდია ჩვენს გულებში ჩაღვრილი მხურვალე ლოცვის დროს იმისი სითბო.

დედა: ჭეშმარიტად, დიდია მისი სახელი.

დიაკონი: წყალობითა ღვთი-სა-თა...

ბებო: სალომე, შენც სალოცავად მოხვედი?

სალომე: ჩემი ცოდვები მინდა ვიტირო სხვაზე ლოცვით, იქნება იმათ ეშველოთ რამე. ვისზე ვილოცო, ბებო, მირჩიე, გაფიცებ.

ბებო: ჩვენ თვითონ იმდენი გვაქვს ჩვენს თავზე სალოცავი, რომ დიდი ცოდვა იქნებოდა ღმერთის წინაშე სხვისი გულისთვის შეგვეწუხებინა ის.

სალომე: მე რომ არა მწამს ღმერთი, ბებო?

ბებო: ღმერთი ვისა სწამს? ჩვენ ჩვენი ცოდვების სიდიდე და მისი თავიდან მოშორების სურვილი გვწამს _ ილოცე ამისთვის, შენს თავზე ილოცე, თუ გინდა რომ სხვას დაეხმარო და შენს სათხოვარს სხვას ნურასოდეს ნუ დააბრალებ, ამითი ტანჯვას ვერ შეიმცირებ და თუ შესძელი თავის მოტყუება, ცოტა ხნის შემდეგ ის შენი ცოდვა, სხვისადმი ლოცვაში ნათქვამი, ორმაგი ძალით დაგიბრუნდება.

სალომე: მაშ, ჩემი თავის გულისთვის ვილოცებ, ბებო.

ბაბო: მეც მარტო ჩემი თავისთვის ვლოცულობ, სალომე.

სალომე: მე რომ ლოცვა არ ვიცი, ბებო.

ბებო: მაშ, მე დამიგდე ყური და ერთად ვილოცოთ.

ბებო და სალომე: ღმერთო, ჩვენ შენ წინაშე უძლურები ვართ, ჩვენ აღარა შეგვიძლია რა, ჩვენი სათხოვარი კი შენ წინაშე უსაზღვრო არის _ მით უფრო, რომ ახლა ჩვენს თავზე არ უნდა გთხოვოთ შენ, ჩვენ გთხოვთ, გურამი კარგად ამყოფე და თუ ჩვენს თავზეც გაწუხებთ, მხოლოდ იმას გეტყვით, რომ ჩვენთან ახლო ამყოფე ის.

დედა: ღმერთო, შენს სახელს ვენაცვალე, კარგად მიმყოფე, შეუმსუბუქე ტანჯვა ჩემს სიძეს!

ია: ღმერთო, შეუმსუბუქე სიკვდილის ტანჯვა ანდროს!

სალომე: ღმერთო, შეუმსუბუქე სიცოცხლის გზადაკარგული ხვედრი გურამს!

ბებო: ღმერთო, ჩვენთან ახლოს ამყოფე ის.

ბებო, ია: იმისი მოუსვენარი სული არის ჩვენთვის სიყვარული, იმისი კარგად ყოფნა იქნება ჩვენი კარგად ყოფნა.

ბებო: მე ბებო ვარ და იმის მეტი არავინა მყავს.

ია: მე ის მიყვარს და იმიტომ მინდა მისი კარგად ყოფნა, გინდაც რომ სხვაგან უჩემოდ იყოს.

სალომე: მე ის მიყვარს და იმიტომ მიყვარს, მე იმისი კარგად ყოფნა მარტო იმიტომ მინდა, რომ ჩემთან ერთად იყოს. ღმერთო, აპატიე სალომეს, კარგად ამყოფე ის და ნუ დატანჯავ ისედაც უბედურ ქალს უფრო მეტად. აი აქ, ამ საყდარში, მარტო მე შემწევს იმისი უნარი, რომ ჩემს თავზე ვილოცო მხოლოდ და ამისგან დაწყებული ლოცვა სხვაზე არ გადავიტანო, როგორც ეს ბებოს და მეც მომივიდა დაწყებისთანავე. ღმერთო, ნუ დამსჯი ამის გულისთვის. თუ გინდა დამსაჯე კიდეც ათას ჯოჯოხეთით იმ ქვეყანაში, ოღონდაც აქ ჩემს გვერდით მყავდეს შეყვარებული და თუნდაც ის ცეცხლი იყოს ინკვიზიციის და მე მასზე ვიდგე.

/სიბნელეში მიდის ეკლესია/

სურათი მეორე

/ნათდება კოტეს სახლის მიდამო/

მომტირალი ქალები: შვილო, ვის უნდოდა შენი სიკვდილი, ვის რას უშავებდი, ერთი პოეტი და კეთილი ბიჭი იყავი, ცუდი არავისთვის გდომებია და თუ ის გიქნია, მარტო იმიტომ, რომ ის ცუდი იყო დედამიწაზე, ის ცუდი იყო ჰაერში გაფანტული და შენც სხვებსავით მასა სუნთქავდი შენს უნებურად.

დედა კოტესი: ვაიმე, შვილო, აგერ, იაც მოვიდა, შენი შეყვარებული. შენ ხომ შენი ხუჭუჭა თმებით მე მიყვებოდი ყველაფერს.

მომტირლები: იტირე, იტირე შენც, მკვდარი ბიჭის შეყვარებულო, გაიშალე თმები და ისე იტირე, ტირილი შვებას აძლევს, ცრემლებთან ერთად გარეთ გამოდის გულის სიმწარე და მოწმენდილი კურცხალი თავსაფარზე შრება. მაშ, ერთად ვიტიროთ ყველამ.

დედა: ვაიმე, შვილო, შენი სიყვარული უხმოდ ტირის, შენ კი არ გესმის.

მომტირლები: ცრემლები ღვარად მოდიან თვალებიდან. მკვდარს რომ შეეძლოს ამ ცრემლის ყურება, ატირდებოდა თვითონაც.

დედა: იმას ისეთი ნაზი გული ჰქონდა. აი, შენი მეგობარიც მოვიდა.

მომტირლები: იტირეთ, მეგობრებო, იტირეთ მეგობარი, იმდენჯერ, ისე მაგრა იტირეთ, რომ ცრემლებმა წონა დაკარგონ, თვალებმა _ უნარი მათი დაღვრის.

დედა: იტირეთ, ჩემი შვილი იტირეთ.

მომტირლები: თუნდა იცინეთ. დედავ, დაგვიჯერე, ჯობია იცინონ, რომ ტირილი დაგროვილი გულში დარჩეთ, თორემ ტირილის შემდეგ სიცილი რჩებათ, ის ახრჩობთ და მოვაშორებთ თუ არა თვალს, სულ უაზროდ იხარხარებენ.

შოთა: კარგი მეგობარი იყავი შენ ჩვენთვის, კოტე, ჩვენ აქ სატირლად მოვსულვართ.

მეგობრები: ჩვენ არცა ვტირით, არც ვიცინით, ჩვენ ვხედავთ ჩვენივე ტოლს მკვდარს, რომელიც კუბოში წევს და გული გვიცარიელდება ორივე გრძნობისგან.

მომტირლები: ჩვენ ვტირით, ქალები.
აუ, აჰუ...
/ქრება/
/ნათდება შუკა/

სურათი მესამე

I ბიჭი: მე ვერ შემოვალ, ვერ ვიტან პანაშვიდებზე სიარულს.

II ბიჭი: ჰო, მეც ცუდად მიხდება გული მკვდრის დანახვაზე.

III ბიჭი: არ მესმის, ხალხი როგორ უყურებს. წავიდეთ, ჯობია გასვენებაზე მოვიდეთ, თანაც მე მეჩქარება.

I ბიჭი: მე მგონი, ქვევით იქნება, ორთაჭალისკენ, გურამი. ერთი ადგილი მეგულება, დედა-შვილი არიან ბოზები, იმათთან უყვარს ხოლმე დამალვა, როცა რამე ანგარიშია.

II ბიჭი: არ გინდა მაგაზე ლაპარაკი, ვინმე გაიგონებს. ხომ იცი, როგორ ეძებენ.

III ბიჭი: ისე კი ძალიან გამოქცეულა. ეტყობა, მაგან ჩაარტყა მილიციელს ბოთლი, მაგრამ კოტემ მელანი რატომ დალია, არ მესმის. თანაც სულ ჩამოღვრილი ჰქონია გულზე.

II ბიჭი: უნდა ვნახოთ გურამი, გავიგოთ რაშია ერთი საქმე.

I ბიჭი: ალბათ, ძალით დაალევინა თვითონ. მე ადრევე გავიგე, კოტეს ჩაუგდია ციხეში.

III ბიჭი: წავიდეთ ორთაჭალაში, იქ ადვილად ვიპოვით.

I ბიჭი: შენ იცი იმ დედა-შვილის სახლი?

III ბიჭი: როგორ არა, მეცა ვყოფილვარ იქ.

II ბიჭი: წავედით. იქ იქნება უეჭველად გურამი.

გურამი: ჩუ, ჩუ, გურამი აქ არის.

II ბიჭი: გურამ!

გურამი: ჩუმად, ათასი გამვლელია, პანაშვიდზე არ ადიხართ?

III ბიჭი: მაიცა, ჯერ გვითხარი როგორა ხარ?

II ბიჭი: ჰო, მართლა...

გურამი: რა მართლა? როგორა ვარ? ვერა მხედავთ? კარგად. ადით პანაშვიდზე.

III ბიჭი: არ შემიძლია, მე მკვდრის დანახვას ვერ ვიტან.

II_I: ვერც ჩვენ ვიტანთ. თანაც ისეთი ნატანჯი სახე ჰქონია, გული გამიხდება ცუდად. არ გვიყვარს ეგეთი რამე.

გურამი: ამათ უყურეთ! იმის მაგიერ, უთანაგრძნონ, საკუთარ თავს უფრთხილდებიან, რომ გული ცუდად არ გაუხდეთ.

III ბიჭი: მაინც ჩვენ რას ვუშველით?

გურამი: თქვენი შველა ვის რად უნდა, თქვენ თვითონ ხომ გინდათ, რო თქვენს გასვენებაში მოვიდნენ, თანაც რაც შეიძლება მეტი ხალხი, არა? ჰოდა, წინასწარ უნდა ჩააწყოთ საქმე _ თქვენ ახვალთ, თქვენთანაც მოვლენ.

II ბიჭი: შენ რა, აქ დარჩები?

გურამი: არა, რატომ? მეც ამოვალ.

III ბიჭი: რო აგწიონ იქიდან?

II ბიჭი: თანაც, ხო იცი, შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ შენ იყავი...

გურამი: ნუ ლაპარაკობთ ამდენს, წავიდეთ. თქვენ წინ წადით, ოღონდ მე მერე შემოვალ. /გადიან/ ჰა, რას აპირებ, ჩემო არეულო თავო, ჩაგესახა ისევ რამე საბედისწერო იდეა, რომლის გაუკეთებლობასაც შენი სუსტი ნერვები ვერ აიტანენ? თუ ეშმაკი, ძლიერი ყველა ანგელოზზე, ჩაგიჯდა სულში და მიგაქანებს აღმართზე მშიშარა კურდღლის სისწრაფით, რომ უფრო მალე ჩაუვარდე ხელში იმ მონადირის ძმაკაცს, რომელიც უკან მოგვდევს და თავისი, მთის წვერზე ჩასაფრებული, მეგობრისკენ მიგერეკება, თუ, სულ უფრო სწორად, ქვის ნატეხი ხარ, რომელსაც სიმძიმე მარტო იმიტომა აქვს, რომ უფრო კარგად დაგორდეს ოდნავი ბიძგის დროს მთის წვერიდან უსწორმასწორო დაბლობზე. _ ო, რომ შველოდეს საკუთარ თავთან აღიარება რამეს?

მომტირლები: აუ, ბედშაო კოტე, იმ ადგილას მოკვდი, საცა სხვები ცხოვრებას იწყებენ.

გურამი: მაშ, ასე, ყველაფერი ადგილზეა: კუბო, მომტირლები, ჭირისუფლები და პანაშვიდზე მოსული ხალხის მთავარი მოქმედი გმირი. მე აქა ვარ, მოვ-დი-ვარ!

სურათი მეოთხე

დედა: ჩემო ლამაზო ბიჭიკო, ჩემო პოეტო, ლექსების დამწერო, აუ მე, კიდევ მოვიდნენ ბიჭები, ვერ შეძლეს, რომ არ მოსულიყვნენ და იმიტომაც მოვიდნენ, ვერ შეძლეს, უკანასკნელად არ ენახათ თავიანთი მეგობარი. რა დაუბარე, კოტე, სიკვდილის წინ ამ ბიჭებს _ სიყვარული დაუბარე იმათ...

მომტირლები: ისინი დარჩნენ ამქვეყანაზე შენ სატირლად, დედისერთაო! ისინი დარჩნენ ამქვეყანაზე შენ მაგიერ საცინლად, დროს სატარებლად, დედისერთაო! ისინი დარჩნენ ლექსების საწერად, გოგოების საჭვრეტად, დედისერთაო!

დედა: აუ მე, დედისერთაო, ჩემო კოტე, მე შენ მაგიერ შენს ამხანაგებს ვეხვევი, ბიჭო.

ია: გურამ!

გურამი: გამატარე, ია.

ია: მე ვიცი, რომ ეს შენ ქენი, უსინდისო!

გურამი: მე? ჰო, მე.

ია: არცა მალავ?

გურამი: პირიქით, მე ამის სათქმელად მოვედი აქ.

ია: არ გაბედო, გურამ, გთხოვ, გემუდარები, გესმის, შენ დაგხვრეტენ, ჯერ მარტო მილიციელისათვის.

გურამი: რატომ მთხოვ, ია, რადა ღირს ასეთი უსინდისოს ცხოვრება, რომელიც კოხტაობს კიდეც თავისი უსინდისობით და მის სათქმელად ამდენი ხალხი ნახა, რომ ყველას უთხრას. რადა ღირს, ა, ია?

ია: სიცოცხლედ, გურამ, შენს სიცოცხლედ. იყავი ათასჯერ უსინდისო, მე არ მინდა შენ მკვდარი გნახო და თანაც ციხეში დამწყვდეული მკვდარი, გურამ – გთხოვ, გურამ, ხალხი გვიყურებს, შეგამჩნიეს, ნუ იზამ მაგას. ეგ ერთი რამე გააკეთე ჩემი გულისთვის, გესმის ჩემი...

გურამი: ჩუუ, მე ტირილს ვუგდებ ყურს.

მომტირლები: უჰუ, უჰუ, უჰ, ცრემლებს ვერ ვიკავებთ. პანაშვიდი, გლოვა იმიტომაა, ცრემლი დაიღვაროს. იტირეთ, ყველაფერი იტირეთ, რისი დარდიც გქონიათ ოდესმე, ტირილით დაწყევლეთ ის, ვინც არ ინდომა კოტეს სიცოცხლე.

დედა: აუჰ მე, დასწყევლიდეს იმას გამჩენი ყველაფრის.

მომტირლები: ვინ, ვინ ქნა ეს, იქნება განა ისეთი ღმერთი, რომ ის შეიბრალოს, ისეთი გული, რომ ის გაამართლოს თავის სიღრმეში მაინც...

ია: იქნება, იქნება.

გურამი: ჩუმად, ია.

დედა: ვის უნდოდა ეს, ვის?

გურამი: მე ეს არ მინდოდა.

ია: გურამ!

მომტირლები: ვის უნდოდა ეგ, ვისა, ბეჩაო?

გურამი: ოღონდ მე ეს გავაკეთე, მე დავალევინე კოტეს მელანი.

დედა: აი, ჩემი ბიჭი, იმან მეორე ჩემს ბიჭს მელანი დაალევინა, უცებ რომ მოეკლა, მაგრამ რომ არ მახსოვს, როდის გავაჩინე ეს მეორე, რა კარგი ბიჭი, რა მადლობელი ვარ ღმერთის, რომ მის მაგიერ ეს გამომიგზავნა. ოი, რა ლამაზია, იმაზე ლამაზია, რომელიც აღარა მყავს, ეს ციდან ჩამოვიდა და თქვა: ის იმიტომ მოვკალი, რომ ღმერთმა თქვა, ახლა შენ იყავიო მისი შვილი. რა დიდი და მოწყალეა, იმისი სახელის ჭირიმე. რა გქვია შენ, ჩემო ახალო შვილი?

გურამი: გურამი მქვია მე... მე...

დედა: არა, არა, მეტს ნუღარ იტყვი. მე ვიცი, ყველაფერი ვიცი, ოღონდ არ მინდა, რომ ის სხვამ მითხრას. გთხოვთ, ხალხო, ყველას, თუ შეიძლება, ცოტა ხანი ასე ვიქნები.

მომტირლები: აუ ბეჩავ, სულ გადირია, სულ გადირია შვილის მტირალი დედა და მისი გულის მკვლელი შვილი ჰგონია თავისი ღმერთის საჩუქარი. აუ, შე წყეულო, მოხვედი განა დედას გულის მოსაკლავად?

ხალხი: მკვლელი, მკვლელი, მკვლელი შეკარით, ჩაქოლეთ მანდვე ეგ არაკაცი.

დედა: ო, გთხოვთ, ნუ ერტყმებით გარეშემო, ესეც არ მომიკლათ, ამას ხელს ნუ ახლებთ, ამასთან მარტო მე მივალ ახლოს, აი ასე, უფრო ახლოს დაიხარე ჩემკენ.

მომტირლები: ჭკუაზე მოდი, ბეჩაო!

დედა: ასე! /ეცემა/ აი, ახლა ვარ ჭკუაზე და თმებით ვათრევ ამ, ამ...

ხალხი: მოკალით ეგ!

ია: ო, გურამ!

ბიჭები: ვუშველოთ!

დედა: კოტეს აღარაფერი ეშველება.

ბიჭები: უშველეთ გურამს!

/გურამი გარბის/

დედა: უუ, შე წყეულო, აღარ გეცოცხლოს ამ ქვეყანაზე, მოსამსახურედ ჰყოლოდე ჩემს შვილს იქ, სადაც არის. უუ, კოტე, დედისერთა ჩემო.

მომტირლები: არა, იცოცხლე, გურამ, მკვლელო, მხოლოდ იმიტომ, რომ უფრო მეტი დახოცო კიდევ, რომ არა გქონდეს მოსვენება არც დღე, არც ღამე და დღენიადაგ ამქვეყნიურ ჯოჯოხეთშიც ცეცხლში იწვოდე.

დედა

მომტირლები: წყეული იყავ, წყეული იყავ!

დედა: ღმერთო მაღალო, რატომ არ მაცალე ვყოფილიყავი გაგიჟებული! რა დაგიშავეთ, ხალხო, მაგისი! აი, ახლა ხომა ვარ ისევ ჭკუაზე, ხომ მკვლელსა ვწყევლი! ოჰ, ის სიგიჟე ნეტავი ცოტა ხანს კიდევ ყოფილიყო.

/შუკა. ბნელა. ის ადგილი განათებულია, სადაც გურამი დგას. ყრუდ ისმის წყევლა, ტირილი, მერე სამარისებური სიჩუმეა/

სურათი მეხუთე

სურათის ბოლოს იჭრება გალობის და პანაშვიდის მუსიკის ხმები _ ეკლესიიდან და პანაშვიდიდან მიდის ხალხი. გურამი კუთხეში იყუჟება. სალომე ეკლესიაში რჩება.

სურათი მეექვსე

სალომე: დიაკონო!

დიაკონი: /თავისთვის/ უ, რა კარგი ქალია, /იმას/ გისმენთ, ქალიშვილო.

სალომე: ეგ როგორა ხდებოდა ხოლმე წინათ აღსარების თქმა?

დიაკონი: სულ უბრალოდ, ოღონდ ქალს უნდა ჰქონდეს თავზე შავი მანდილი მოხვეული, იდგეს სულიერი მოწმის წინაშე მუხლებზე და მისი ხელი მკერდზე ჰქონდეს მიდებული, რომ გულისთქმა ადვილად გაიგოს.

სალომე: ახლა არ შეიძლება უმანდილოდ? აი აქ, თითქოს გულზე მაწვება და ართქმა არ შემიძლია.

დიაკონი: როგორ არა, როგორ არა, ოღონდ უმანდილოდ სულიერი მამის ორივე ხელი უნდა დაიდო გულზე, რადგან როცა თვალები ახელილი გაქვს და ბევრ ნივთებს ერთად უყურებ, უფრო ადვილია ტყუილის თქმა.

სალომე: სად უნდა დავიჩოქო მე?

დიაკონი: აქეთ, აქეთ. ადგილი უეჭველად უნდა იყოს ბნელი.

სალომე: და თქვენი ორივე ხელი გულზე უნდა დავიდო, არა, დაჩოქილმა?

დიაკონი: ჰო, ჰო. აი, ჩემი ხელები, აქ დაიჩოქეთ, არა, ჯობია ამ დაბალ სამფეხაზე დაჯდეთ. აი, ჩემი ხელები.

სალომე: ხი, ხი, ხი, ფრთხილად იყავით, დიაკონო, ხელები არ დაიწვათ, თქვენ არ იცით, როგორა წვავს ჩემი მკერდი.

დიაკონი: არა, არა, ქალიშვილო, ნუ იფიქრებთ...

სალომე: ეს ჩემი ყველაზე დიდი აღსარება იყო, მეტი მე არაფერი მაქვს სათქმელი. აქ თუ დავრჩი, მხოლოდ იმიტომ, რომ იმათთან ერთად წასვლა არ მინდოდა და, კიდევ, ღმერთი ვილოცე, რომ ის, ვისი ნახვაც ყველაზე ძალიან მინდოდა, აქ მოსულიყო.

/შემოდის კედელს მიფარებული შოთა/

შოთა: წარმოიდგინე, სულ არა მქონდა შენი პატიოსნების იმედი, რომ ამდენ ხანს აქ დამიცდიდი.

სალომე: ოჰო, მოვიდა ჩერჩეტი მებაღე იმ ხილის მოსაკრეფად, რომელიც მისთვის უკვე ჩამოცვივდა.

შოთა: აი, მესმის ლექსიკონი.

დიაკონი: ლექსიკონი ჰო, ხო.

სალომე: /თავისთვის/ მართლა, როგორ დავიწყე ლაპარაკი. მით უკეთესი, არაფერი აღარ მინდა დავიტოვო ჩემში კარგი _ თუ ვცოდავ, ბოლომდე და ყველაფრით. /შოთას/ ეგ ლექსიკონი ისეთი ტუჩებიდან ამოდის, რომლის გულისთვისაც შენ არაფერს დაზოგავ, როგორც ვიცი.

შოთა: სწორედ მაგისთვის მოვედი აქ, მინდა მაგ ტუჩების ცოდვა გავიყო.

სალომე: ლექსიკონის სიმდიდრით?

შოთა: დაგავიწყდა ფიცი?

სალომე: რა თქმა უნდა. რას ნიშნავს ჩემთვის ფიცი? შენც იცი, მე მაგაზე მეტი ფიცი გამიტეხია.

შოთა: სალომე, რას ამბობ, მაშინ ხომ თანახმა იყავი ყველაფერზე.

სალომე: მერე რატომ მაშინ არ მოინდომე. ეს ოაზისი, რომელზეც შენ ლაპარაკობდი, უკვე დაშრა შენთვის, მის შესასმელად სხვა არის ისევ, ძველი მეუდაბნოე, რომელიც მთელი საუკუნე მარხულობდა, შენზე ლოცვაში გართული, ციხის კედლებში.

შოთა: ოხ, ჩემო უჭკუო თავო, ამ სატანას რომ აჰყევი, რა, რა არ გყოფნის შენ? ჭკუა თითქოს გაქვს, მაგრამ გიტაცებს შენივე თავი და ფუჭ ოცნებას უფრო მეტს აძლევ, ვიდრე მის ნაყოფს, ესენი კი აქ არ ოცნებობენ, მხოლოდ, მიმდგარი ცხოვრების ბაღთან, ნაყოფსა კრეფენ, მე კი, ვით ძაღლი მოდარაჯე, ვუღრენ მათ სურვილს დაკრიფონ ხილი, რომლის გასინჯვაც მე თვითონ არ შემიძლია.

დიაკონი: ავი ძაღლივით, რომელიც თივას არც თვითონა ჭამს და არც სხვას აჭმევს, არა?

შოთა: არა, ეგენი მაინცა ჭამენ და ავ ძაღლებზე ორჯერ მეტი ცოფიანები არიან, ოღონდ ცუდი კაცი მაინც მე ვარ მარტო.

დიაკონი: ეგ იმიტომ, რომ შენს თავზე მარტო ცუდსა ფიქრობ და საქმესთან ცუდი გულით მიდიხარ. ცუდი და კარგი კი იმითი იზომება, შენს სამოქმედოსთან როგორი განზრახვით მიდიხარ, ავით თუ კარგით, და შედეგს მნიშვნელობა არა აქვს.

შოთა: ჰა? ეგ მართალია, დიაკონო?

/შემოდის გურამი, სალომე წინ აეფარება _ კოცნის ტუჩებში/

მაგრამ ვინ მოგცა მითხარი ნება,
რომ აფათურო შენი ხელები ჩემს სულში ასე განუკითხავად?
თუ სისულელე და კარგი გული,
რომლითაც მიხსნი შენ ჩემს ნაკლ მხარეს,

უფლებას გაძლევს გალანძღო კიდევაც,
გინდაც საყდარში, და მერე მე რომ თავი მოვიკლა,
ანდა შენივე ხელით მომწამლო, ღმერთი არ დაგსჯის,
რადგანაც ჩემთვის კარგი გინდოდა.
მაგრამ ვინ ზომავს შენს გულს წინასწარ,
რა სასწორია ისეთი ზუსტი,
ვისაც სიმძიმე თვითონ ნივთისა არაფრად უღირს
და ხარისხს, როგორც შენა თქვი, ზომავს მხოლოდ.

სალომე: გული, ჰო, გული. ეგეთი ზუსტი სასწორი არ გამოგონილა ამ ქვეყანაზე,
ხედავ, როგორ დასწონა გულმა,
იმას ლაპარაკი არ უყვარს,
ის მარტო ცემს
და როცა ორი გულის ცემა ერთმანეთს ემთხვევა,
ისინი თავის გარშემო ვეღარავის ვერა ხედავენ.

შოთა: ოჰო, გურამი გამოპარულა. ახლა უფრთხილდი, შოთა, შენს ტყავს, თუ გინდა, რომ ეგ ტყავი, რომელიც არავის არა სჭირდება, გადაარჩინო. /გარბის/

დიაკონი: და მოუსვენარმა ღმერთმა, რომელმაც ყველა თავისი საქმე მოათავა და აღარ იცოდა რა ექნა, შექმნა სამყარო და თავის ამ სურვილს უწოდა სიყვარული...

გურამი: ოო, ეკლესიაში ვყოფილვარ.

სალომე: დიაკონი გეტყვის დანამდვილებით.

დიაკონი: ეკლესიაა, ნამდვილად ეკლესია, რომლის გუმბათებში მტრედები ბუდობენ და მნათე კი იმ მტრედებს პეშვით სიმინდს უყრის დილა-საღამოს, რომ იმრავლონ. ასეა აწყობილი ყველაფერი. მტრედების სიყვარულის დამტკიცებას გამრავლება ჰქვია. ნეტარი და საამოა საყრდისათვის, ხოლო ადამიანების იმავე სურვილს, ღმერთო, ნუ მათქმევინებ ამ პატიოსანი ხალხის წინაშე...

სალომე: გეყოფა სისულელე, დიაკონო, ხო იცი, ახლა სულელები აღარავის არ ეცოდება, რადგან მიხვდნენ, რომ სულელი სულელია და მეტი არაფერი.

დიაკონი: მე ერთი დიაკონი ვარ.

გურამი: შეეშვი. ეგ ისეთი როლია, თუ ერთხელ იკისრებ ცხოვრებაში, მილიონი სიჭკვიანე რომ გააკეთო, მაინც ვერ გამოხვალ. აი, მე სიგიჟე და მოუსვენრობა მიკისრია და როგორც არ უნდა დაღლილი ვიყო, მაინც ვერ ვისვენებ..

დიაკონი: მანამდე დაღლილი არა ხარ, სანამ არ იკისრებ შენ თვითონ, რომ დაიღალო. აი, მეც ეგრე ვარ, ვერ გამიბედია, რომ ვთქვა ჭკვიანი ვარ-მეთქი, დავბერდი და მაინც ვერ ვბედავ, თან არც შეეფერება ჩემს თანამდებობას.

გურამი: მეტისმეტი სისულელე არც ერთ თანამდებობას არ უხდება.

დიაკონი: რას მიბრძანებ, ჩემო ბატონო.

სალომე: ეს არც ისეთი უჭკუოა.

გურამი: ფულის შოვნის ჭკუა ყველას აქვს.

დიაკონი: ჭეშმარიტად, ზოგს გამოყენება უჭირს მხოლოდ.

გურამი:	აჰა, ეს შენ. ახლა აქვე სადმე ერთი ღამით ოთახი მიშოვე.
დიაკონი:	სულ ზევით რომ იყოს, მტრედებთან?
გურამი:	ხი, ხი... მით უკეთესი.
დიაკონი:	მე მგონი, მტრედების ღუღუნს არ მოერიდებით.
გურამი:	წადი, ისინი გააფრთხილე და ბოდიში მოუხადე, თუ ჩვენი ღუღუნი ცოტა მაინც შეაწუხებთ.
დიაკონი:	ერთად წავიდეთ. აი, აქეთ. /გადიან/
გურამი:	ეს ერთი ღამე კიდევ განცხრომის და მერე წინ ისევ შენგან წამოწყებული შურისძიებისაკენ, რომელიც მხოლოდ გაკავშირებს ამ ქვეყანასთან და ყველა შენს ვნებას ფორმას, მიზანს აძლევს. მე ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ, მიუხედავად თავისი უცოდველობისა, ანდრო, ჩემი მომაკვდავი ძმაკაცი, ყველაზე მეტად დამნაშავეა ჩემთან და ყველაფერი ეს იმიტომ ხდება, რომ იმაზე ვიძიო შური. ჯერ ერთი, მე იმის ცოლს ნამუსს ვხდი მთლიანად, მეორე _ ის ჩემი ძმაკაცია, მესამე _ ის ავად არის და კვდება. იქნებ სწორედ ამ სიკვდილისთვის ღირსია ის, რომ შური ვიძიო მასზე. თქვენ განმსაჯეთ, ღმერთებო, თქვენგანვე შექმნილი კაცი ასეთი შეგრძნებით, რადგან ჩემი გრძნობის გამართლებას მე უკვე ვეღარა ვპოულობ. მაშ, კიდევა გაქვს საქმე შენ თვითონ გასაკეთებელი ამქვეყანაზე და გჭირდება სიცოცხლე, მერე კი მე დავისვენებ ან სიკვდილთან, ან ციხეში. ო, როგორ დავისვენებ, რომ ჩემი სხეულის სურვილებზე სხვა იზრუნებს.
სალომე:	გურამ! აქ ისეთი კარგი და პატარა ოთახია.
დიაკონი:	მტრედებთან ახლოს. ადი, გელოდება.
გურამი:	ღამე მშვიდობისა, დიაკონო. ეს აბსტრაქტული შურისძიებაა, რაღაცნაირი, რომ მე ცოცხალი ვარ, ის კიდევ კვდება _ რა უფლებით. შურისძიება იმისა, რომ მე ცოცხალი ვარ და უნდა ვიმოქმედო. ო, რომ შეეძლოს კაცს უქმად ჯდომა და სისულელის ან სისაზიზღრის არჩადენა, როცა არაფერი საქმე არა აქვს.

[1959 წლის ზამთარი]

ს უ რ ა მ ი ს ც ი ხ ე

«გვიანი შუა საუკუნეები. აოხრებული, დაცემული საქართველო. მას ძალა არ შესწევს გაუმკლავდეს მტერს და დაამყაროს სიმშვიდე და წესრიგი ქვეყნის შიგნითაც. თვითნებობა, გარყვნილება, დაუნდობლობა _ აი, ის მორალური ზღვრები, რომელიც კიდევ უფრო ფიტავს ერს ფიზიკურად და სულიერად. არსაიდან ხსნა არ არის. ღვთისაგან და კაცისგან მიტოვებულ ერს დაღუპვა ელის. უფლისწული ზურაბი (ო, როგორ საჭიროა აქ ზურაბის მაგივრად გურამი ვიხმარო) მიდის მკითხავთან და ეკითხება: ვაშენებთ ციხეს და ინგრევა იგი. რაღაც ზე ძალა არ აძლევს ამშენებლებს ციხის აშენების საშუალებას. ამ ციხეს კი შეეძლო აღედგინა ძველი სიდიადე, დაეცვა მტრისგან და მიეცა გადარჩენის რწმენისათვის დასაწყისი. ზურაბს სურს გაიგოს იმ ზე ძალის მოთხოვნა. მკითხავი ეუბნება უფლისწულს, რომ არ აშენდება ციხე, რადგან ზე ძალა მოითხოვს მსხვერპლს _ ადამიანი უნდა იქნეს ჩატანებული კედლებში. ზურაბი ეკითხება, თუ ვინ უნდა იყოს იგი. მკითხავი უპასუხებს, რომ ეს უნდა იყოს ადამიანი, რომელიც შეიცნობს თავის თავში მსხვერპლს და სიხარულით შეეწირება. და ზურაბს ჩამოუთვლის იმ ნიშნებს, რა ნიშნითაც უნდა ეძებოს მან ეს მსხვერპლი. ზურაბი იწყებს ძებნას. ამ ძებნაში იხსნება აზრი და უნარი მსხვერპლად შეწირვისა. ბოლოს და ბოლოს, უფლისწული აღმოაჩენს, რომ მსხვერპლი ეს თვითონ უნდა იყოს. ამ აღმოჩენას ის ნელ-ნელა ეგუება, ჯერ ის ამ აზრს ურიგდება როგორც ადამიანი _ უნდა დაძლიოს შიში სიკვდილის წინაშე. იქნებ ადამიანის ამგვარ სიკვდილს კომპენსაცია სჭირდება? რა ღირს ამგვარი სიკვდილი? ნუთუ პატივმოყვარეობაა ეს კომპენსაცია? რასაკვირველია, არა. რადგან მკითხავმა უთხრა, რომ მსხვერპლი თავისუფალი უნდა იყოს ყოველგვარი სისუსტისაგან. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის მსხვერპლი კი არ იქნება, არამედ სიკვდილმისჯილი, და ციხე ამ შემთხვევაშიც არ აშენდება, რადგან ზე ძალა არ მიიღებს ამგვარ მსხვერპლს...»

მ ო ქ მ ე დ ი პ ი რ ე ბ ი

ზურაბი _ უფლისწული, რომლითაც დედოფალს მკვდრადშობილი შვილი შეუცვალეს მშობიარობისთანავე. სინამდვილეში იგი ხელმწიფის შვილია. ხელმწიფეს ის ეყოლა უსაყვარლეს ქალთან, რომელსაც ხელი ჰკრა დედოფლის შერთვის დროს (თვითონ მხოლოდ თავადი იყო ამ ქორწინებამდე).

ვარდო _ ახლანდელი ხელმწიფის საყვარელყოფილია, რომელმაც არ იცის, რომ ზურაბი მისი შვილია. იგი დაარწმუნა დურმიშხანმა, რომ ბავშვი მკვდარი დაებადა (ვარდო მხოლოდ იმ მიზნით ცხოვრობს, რომ დურმიშხანის ბედნიერებაზე იძიოს შური, სინამდვილეში კი, აკვლევინებს თავის საკუთარ შვილს).

დურმიშხანი_ ბავშვი რომ არ ჰყოლოდა დედოფალს, ისიც ბიჭი, იგი შეიძლება დაეთხოვათ _ ამ ფაქტმა გაამაგრა მისი ტახტზე ჯდომა.

მართა _ ბებიაქალი, რომელმაც ყველაფერი იცის.

რუსუდანი _ დედოფალი.

საურმაგი _ ზურაბის მეგობარი და მოშურნე, მამის ჩაგონებით. სუსტი ნებისყოფის.

შადიმან _ მოშუღლე თავადი, მთავარი მრჩეველი, საურმაგის მამა.

გურანდუხტ _ შადიმანის ძმის ქვრივი, რომელსაც ატყუებენ, რომ ზურაბი მის ქალს შეირთავს. ამას ცდილობს თვითონაც. მოშუღლე, რიგრიგით, შადიმანისა და დურმიშხანის.

სოფიო _ მისი ქალი. ყველაფერთან ერთად, გარყვნილი. ცხოვრობს ბიძაშვილ საურმაგთან.

თეკლა _ აზნაურის ქალი, ზურაბის ერთგული შეყვარებული.

მამალა _ თეკლას ძმა, თავდაპირველად ზურაბის მეგობარი, რომელსაც ეცოდება ის, შემდეგ _ შადიმანის. როცა გურანდუხტის წყალობით შეიტყობს, რომ ზურაბი მის დასთან ცხოვრობს, ხდება მისი მტერი.

ისო
ომარ _ მეციხოვნეები, მეჭორეები.
თომა

ლეილა _ ისოს ცოლი, რომელთანაც ცხოვრებაზე ცილსა სწამებენ ზურაბს.

ზურაბისა და მტრის ლაშქარი

ქარუმ-თათარი _ ზურაბის უერთგულესი, ოღონდ ბრიყვი.

მთელი მოქმედება ზურაბის მტრებისა თუ თვითონ ზურაბისა, მიმართულია იქითკენ, რომ ის ციხეში ცოცხლად დაიმარხოს.

თემურ ხან _ მტრის ჯარის სარდალი, რომელიც ყველას (შინაურების) მაგიერ იცოდებს ზურაბს: *«ურჯულომ შეგიცოდათ და თქვენ არ გენანებათ ერთმანეთი!»*

მ ო ქ მ ე დ ე ბ ა I

სურათი პირველი

ბინდბუნდი. /ციხის ნახევრად ამოყვანილი კედლები, ჩაივლის ზურაბი, კედელი ინგრევა ხმაურით./

ომარ: აუ, ხელმწიფის შვილო!

თომა: ისევ დაინგრა, აქეთ, აქეთ!

ომარ: უფლისწული ხომ მთელი არის, თვალი მოვკარი, სწორედ ახლა ჩამოიარა.

ისო: იმისი კარგად ყოფნა ამ კედლებს ვერ გაამთელებს.

ზურაბ: ეს-ეს იყო ჩამოვიარე,
სულ ერთი წამით გავასწარი
და ნახევრამდე ამოყვანილი ბურჯი ისევ მოინგრა.

ისო: ჩვენ მხოლოდ თქვენი შეგვეშინდა. ერთი ფეხით დაგვიანება და შიგ მოყვებოდით.
(ისმის კვნესა)

ზურაბი: ვიღაც კვნესის ნანგრევებიდან.

ომარ: ისო, თომა!

ზურაბი: აი, იმ გვერდიდან ისმის ხმა, ომარ!

ისო: გულმკერდი სულ შელეწილი აქვს.

ზურაბი: სახელი ჰკითხეთ.

ომარ: ენას ვერა ძრავს, მარტო კვნესის.

ისო: სახეც სისხლში აქვს და ვერ ვარჩევ ვინ უნდა იყოს.

თომა: მიმიშვით ახლოს.
კაცო, რა გქვია?

კაცი: ღმერთმა დასწყევლოს უფლისწული და თვით ხელმწიფეც!

ზურაბი: რაო, რას ამბობს?

ისო: აღსარებას.

ზურაბი: სახელი ჰკითხეთ.

კაცი: აქ ჩამოიარა უფლისწულმა? მე მას მოვდევდი ფეხდაფეხ. რომ დავწეოდი, ცუდი დღე გაუთენდებოდა დედოფალს. წყეულიმც იყოს. ღმერთო, დამარხე ეგ ცოცხლად ამ აუშენებელ ციხის კედლებში. მე ვკვდები...

ზურაბ: /თავისთვის/ ნუთუ ის არის?
/ხმამაღლა/ სახელს არ ამბობს?

ისო: თქვა აღსარება და მოკვდა.

ზურაბი: სახელი?

თომა: ჩაცმულობაზე ეტყობა ვინმე დიდებულთაგანი უნდა იყოს.

ზურაბი: თითქოს მეცნობა, არარაობად უქცევია მოხეთქილ ლოდს..!

ისო: ვინც ღამე სახლში არ მიდის, დილას ცოლი ეძებს.

ომარ: დილამდე ამის ცნობა შეუძლებელია.

ზურაბი: გადაასვენეთ საყარაულოში და სხვებს მიანდეთ მისი ცნობა, ამ ნანგრევებს კი დარაჯობა აღარ სჭირდება. დილისთვის ისევ უნდა შევყაროთ კალატოზნი. არც დღე, არც ღამე ჩვენს სამეფოში მოსვენებით არ დაიძინებს არც ერთი კაცი და რაც გინდა უდიდესი მსხვერპლი დაგვჭირდეს, ციხის კედლები თვის ბოლოს მტკიცედ უნდა იცავდნენ დედაქალაქს.

/გადის, მიცვალებული გაჰყავთ/

სურათი მეორე

მასხარა: მშვიდობის დილა, ჩემო ქალბატონო.
იმედი მაქვს, კარგად გეძინათ გუშინ ღამე.
უფრო სწორად, კარგად გეღვიძათ.
მე ერთ ქალიშვილს ვიცნობდი, ვინც ოთხი წელი
ფეხებს ითრევდა იმის შემდეგ, რაც საურმაგთან
გაატარა ოთხი საათი _
შუაღამის შემდეგ დილის მოსვლამდე.

თეკლა: ჰო, ძილი პირველი მამლის ყივილამდე არ მომკარებია, შემდეგ კი აღარაფერი
მახსოვს თვით დილამდე.

მასხარა: ეს როგორ მოსვლია ჩემს გაზრდილს.

თეკლა: დიდბუნებოვნებამ შეიწყალა ჩემი სინაზე.

მასხარა: /თავისთვის/ მოტყუებულა ჩემი «ძმისწული». ვინც ამის კატის ხასიათი იცის, ვეფხვის ბდღვინვებით, ასე ადვილად არ დაინდობდა. ეგეც არ იყოს, ნეტა, რას ავნებს თაგვს თივის ზვინი.

თეკლა: რას ამბობ?

მასხარა: შენისთანა ნორჩის არდანდობა არ შეიძლებოდა. თუმცა სახე არეული გაქვთ და უცნაურად სუნთქავ .. ხომ არ ეშმაკობ ჩემთან ტყუილად?

თეკლა: უგუნებობა მომერია ნეტარი ღამის შემდეგ და მარტო ყოფნა მომინდა.

მასხარა: მე ერთი კარგი თვისება მაქვს: თავის თავთან ვისაც მოუნდება საუბარი, ყველას
თამამად შეუძლია მელაპარაკოს, მე სარკე ვარ.

თეკლა: ვინც მაგ სარკეში ჩაიხედავს, თავისი თავი ეშმაკად მოეჩვენება.

მასხარა: თქვენ როგორ ხედავთ ამ დილაზე თქვენს კულულებს და უმანკო სხეულს?

თეკლა: თავი მიბრუის თითქოს და თუ დამტოვებ, ძალიან კარგს იზამ.

მასხარა: ძნელია იხედებოდე შენი სულის სარკეში.
თანაც დიდია ცდუნება შიგ ჩახედვისა. ამიტომ მაგდებენ და ისევ მეძახიან.

თეკლა: ოჰ!

მასხარა: გავრბივარ, გავრბივარ.
/მღერის/ ერთ პატარძალს თმებში თივა ჩაეხლართა, მთვარის ნათელი...

თეკლა: ძლივს არ დამტოვა ამ სალახანამ, აბეზარმა და თავის ყოფნით თითქოს მაინც შემიმსუბუქა, მასხრის თვალით დამანახვა ეს ქვეყანა და ჩემს დარდთა სიტყვად ქცევის უნარი მომცა. დაე, იცოდნენ ამ კედლებმა და ყველა ხალხმა, ვინც მე მომისმენს და ვერც კარგს და ვერც ცუდს ვერ გამიკეთებს, რომ ერთ კვირაში ვუღალატე ჩემს შეყვარებულს, თავქარიან უფლისწულ ზურაბს.

უცებ გავთხოვდი, მშვენიერი სხეულის მადლით, ერისმთავრის ერთადერთ ვაჟზე.
იმავე ღამეს ის გავცვალე ჩემს ქორწილშივე შეზარხოშებულ მეფის ვაჟში, რომელმაც სილა გამილაწუნა თავისთანვე ღალატისათვის.
მე შევკივლე, მას საურმაგი გამოუდგა და ციხის ნგრევის მხვერპლი შეიქნა.
ო, რა იმედი დავკარგე მე დედოფლობის.
და ამ იმედებს რომ დაემატოს ჩემი მშვენება, ამდენსავე ვნახავ შურისძიებას მის წინააღმდეგ, ვინც მე მომიკლა სიყვარული, მერე ქმარი და ყველაზე უწინ პატიოსნება.
მიფრთხილდი, ზურაბ, შურისძიებით დაიტენა ჩემი სხეული.
აგერ, შადიმანიც მოდის, ჯერ კიდევ ბედნიერი მამა, სახე უბრწყინავს...
/გადის/

სურათი მესამე

შადიმან: აქეთ, აქეთ, ჩემო მასხარავ, კარგი სიზმარი რამე ვნახე და ხასიათი შემეცვალა თითქოს ცუდისკენ.
მასხარა: მერე მე მიხმობ მაგ ხასიათის გასაღრმავებლად?
შადიმან: არა, სიზმრის გასაგრძელებლად.
მასხარა: მაშ მე მეფის ტახტის ფორმას მივიღებ და თქვენ ზედ დაბრძანდით, ოღონდ შემთხვევით თავამოჩრილ ლურსმანზე შარვალი არ ამოიხიოთ.
შადიმან: შენ რომ არ მყავდე, სწორედ არ ვიცი, ვის დავანთხევდი ჩემს დარდს და ბოღმას.
მასხარა: უფრო სწორად, იმის შესახებ ვის ეტყოდი, არა?
შადიმან: ქარაგმებისთვის განვეწყვე უცებ მეც შენსავით.
ვეტყოდი კი ისეთ ვინმეს, რომ ჩემი ჭკუა და შენი გრძელი ენა...
მასხარა: ო, რამდენ სისულელეს ჩაიდენდნენ ერთად, რადგან მაგისთანა ჭკუისათვის ენა სწორედ დიდი მტერია.
შადიმანი: ხი, ხი, ხი, უნდა გეთქვა პატიოსნებაო, არა?!
მასხარა: როგორ, არ ვიცი, მე მამაჩემზე, სულ ცოტა, ხუთი-ექვსი წლით ადრე დავიბადე და მაშინ უკვე სამჯერ მკვდარი ვიყავი, როცა დედოფალმა, რომლის კალთის ერთი შეხებაც კი ჟინს დაუკარგავს ადამიანს, შენს მაგიერ ხუჭუჭთმიანი აზნაური დურმიშხანი მოიყვანა ცოლად და სამუდამოდ დაგიკარგა იმედი პატიოსანი გზით მეფედ გახდომისა.
შადიმან: მაგრამ ხომ შემრჩა ... კარგი სიზმარი გამახსენდა და ხასიათი ისევ მომეწამლა.
მასხარა: გინდოდა გეთქვა, თავი, გამოტენილი უპატიოსნო გზებითო, არა?
შადიმან: მორჩი ყბედობას.
მასხარა: მე ისევე ვერ მოვრჩები ყბედობას, როგორც შენ ხელმწიფობაზე ფიქრს.

შადიმან: მე რომ ხელმწიფე გავხდე, შენ სახრჩობელა არ აგცდება.

მასხარა: და თუ არ შეიქნები, კიდევ შენ თვითონ შეიძლება გახდე იმის მსხვერპლი.

შადიმან: ეგ მასხრობა რაღაც არ მომწონს.

მასხარა: ალბათ, იმიტომ რომ სახრჩობელასთან შენ უფრო ახლოსა ხარ, ვიდრე მე.

შადიმან: მაგ სიტყვებით კი მასიამოვნე. ერთი ახლოს მოდი, ეს ოქროს კვერთხი მინდა გაჩუქო.

მასხარა: ნუთუ?!

შადიმან: აჰა, მიიღე... ოქროს გაყიდი, ვიცი, ხარბი ხარ, ეს დარტყმა კი დაგამახსოვრდება.

მასხარა: ო, ხარბო გულო, მამაჩემზე ექვსი წლით ადრე დაბადებულო, ამდენი იცი და ამ პატარა ოქროს ნამტვრევმა ასე როგორ დაგაბრმავა. თითს ვკაკვავ, ვაღიარებ, რომ ღირსეულად დამკარ ბეჭებზე... ოხ... ამის შემდეგ შენთან ახლოს აღარ მოვალ, სანამ ჩემი ხელით არ ჩამოგხსნი სახრჩობელიდან.

შადიმან: რას აგეკიდა ეგ სახრჩობელა?!

მასხარა: უბრალოდ, კარგი სიზმრები ცუდად მთავრდება და მე კი სულ შენს სიზმარზე ვფიქრობ.

შადიმან: იცი, რა ვნახე?

მასხარა: ვხვდები.

შადიმან: აბა?

მასხარა: ციხის დანგრეულ კედლებში შემოდიოდა მტრის ჯარი.

შადიმან: კიდე?

მასხარა: მეფე ეკიდა დედოფლის გვერდით, ჩამომხრჩვალი სასახლის თაღქვეშ.

შადიმან: ხასიათი რად გამიფუჭდა მაშინ დილაზე?

მასხარა: უფლისწული დარჩა, ალბათ, ცოცხალი.

შადიმან: მოდი აქ, ძაღლო! როგორ მიდის გალავნის შენების საქმე?

მასხარა: ღვთისა და ჩვენი შემწეობით, ისევ დაინგრა გუშინ ღამით და, მგონი, მსხვერპლიც მოჰყოლია.

შადიმან: აუ, ღმერთებო, იმატე, მსხვერპლო, და არ აშენდე შენ, გალავანო.

თეკლა: მიშველეთ, მიშველეთ!

მასხარა: ერისმთავრის ვაჟი ხომ არ მოგდევს, ჟინზე მოსული?

შადიმან: ხი, ხი, აბა, თქვი, თეკლავ, ჩემო რძალო!

გურანდუხტ: აუ, მაგ შავ დღის არგათენებას.

შადიმან: რა დაგემართათ!

მასხარა: თათარი ხომ არ მოგდევს, ქალბატონო?

გურანდუხტ: ვაი უბედურს!

შადიმან: რა დაგემართათ!!

გურანდუხტ: უბედურო ჩემო მეუღლევ, ბედდამწვარო ბებერო შადიმან!..

შადიმან: გამაგებინეთ რა გემართებათ!

მასხარა: აქ სულ სხვა რაღაც საქმე დატრიალდა.

თეკლა: აღარ მყავს...

შადიმან: საურმაგ სად არის, შენი მეუღლე და ჩემი ერთადერთი ძე, შემატყობინეთ.

/მასხარა გარბის/

გურანდუხტ: ძალა მერთმევა, გონებას ვკარგავ, გულს ვეღარა ვგრძნობ და მაინც ცოცხალი მქვია, აუ, უბედურს.

თეკლა: ხსნად მხოლოდ სიკვდილი დაგვრჩა.

შადიმან: სად არის, ხალხო, ჩემი საურმაგ!

მასხარა: /შემორბის/ ხორცის გროვაა იმისგან მხოლოდ დარჩენილი.

|შადიმან: მასხრობ?! ხომ მასხრობ, მართალი მითხარ და ამ ჯოხს მართლა გაჩუქებ, ზედ მთელ ქონებას დავუმატებ. ....

მასხარა: /თავისთვის/ იგრძნო ოხერმა, რომ ეს ჯოხი და მთელი ქონება მასთან დარჩება.

/ხმამაღლა/ ნეტავი მართლა მასხრობა იყოს.

შადიმან: ვახმე უბედურს, არარაობას, მამას უშვილოდ და ერისმთავარს უმემკვიდრეოდ.

მასხარა: /თავისთვის/ დიდი ზარია ჩემთვისაც, საურმაგის, ჩემი გაზრდილის, გვამად ქცევა, მაგრამ დავკარგე ავისა და ცუდის გარჩევის ცნობა და, საოხუნჯოდ დაბადებული, მასხარად დავრჩი.

თეკლა: ო, ჩემი ქმარი!

გურანდუხტ: ო, ჩემი ვაჟი!

შადიმან: ტახტის მფლობელად გამზადებული ჩემი მემკვიდრე, მითხარით, ვინ მოკლა?O

გურანდუხტ: ვიღაცას განგებ მისი გავლის დროს დაუნგრევია ციხის კედელები და შიგ მოჰყოლია.

შადიმანი: ციხის კედლები!! განგებო, ამბობთ?!

მასხარა: ციხის კედლებთან ლაპარაკობდნენ, ამ საქმეს თვითონ მეფე იკვლევსო და თუ მიაგნო... /თავისთვის/ ვშიშობ, ერისთავი მასხარის გვერდით არ ჩამოახრჩოს.

შადიმანი: ოოჰ, ბედისწერავ, უსამართლო, რისთვის გვაგონებ ჩვენ ავ საქმეთ, ... წვრიმალ შურსა, რისთვის გვასწავლი ასე იოლად გზას ბოროტისაკენ და არ გვიტოვებ უკან დასახევ არც ერთსა ბილიკს. ამ ხელებმა ბრმამ, არაწმინდამ, თვითვე მოთხარეს თავისი ჯაფით დარგული ხე და მათვე უფრო ღრმად უნდა მიაბარონ იგი მიწას.... ვფიცავარ იმას, რაც აღარა მყავს, რომ იმ მიწიდან მხოლოდ შური პირდაპირი ამოვა ცისკენ, არ მოისვენებს ჩემს სხეულში არც ერთი ნერვი, სანამ იმ კედლებს მეხუთეჯერაც არ მოვანგრევ, ოღონდ ისე კი, რომ შიგ მოყვეს უფლისწული, მეფე-დედოფლით, და თუნდ მთელი ერიც.

მასხარა: ნგრევის წინ, თურმე, უფლისწული უნახავთ იქ ჩავლილი.

(შემოდის ვახტანგ)

ვახტანგ: მუხლს ვიდრეკ თქვენი უსაზღვრო დარდის წინაშე.

შადიმან: ო, ჩემო სიყრმის მეგობარო, მეორედ მოსვლა დაიწყო ჩვენთვის.

ვახტანგ: მე შენთანა ვარ, ერისმთავარო,

ოღონდ მზემოკლე იყოს ხელმწიფე.

მის ვაჟიშვილზე ჭორი დადის, ზუსტი ასლია მისი ქცევისა.

მის უთავბოლო ქარაფშუტობას დამატებია ავი ზრახვანი

და ამ ავ ზრახვად უმსხვერპლიათ, თურმე, საურმაგ.

თეკლა: ნუთუ?

ვახტანგ: კიდევ ერთ ვინმეზე აქვს ხალხს ეჭვი.

შადიმან: ვისზე?
ვახტანგ: თქვენს რძალსა ჰკითხეთ.
შადიმან: თეკლა!
თეკლა: ახლა ჩემთვის მხოლოდ გლოვა არსებობს.
ვახტანგ: რაღაც არა ჰგავდით გახარებულს მაშინ, ქორწილის ღამეს, რომ სხვაობისათვის დარდი ძლიერ დაგტყობოდათ.
თეკლა: ჩემი დარცხვენა იმ ნეტარ წუთებში თუ უგუნებობად მიიღეთ...
მასხარა: ფარდა ეხდება საშინელ საქმეთ, რომ უფრო მეტად ჩამოიბუროს.
თეკლა: რაზედა ბრძანებთ, მე აღარ მესმის არაფერი, დარდისგან მოკლულს.
ვახტანგ: რაზედა დარდობ, ბილწო დიაცო,
შემბღალველო მეუღლის ვალის,
მას, რომ არ გახდი უფლისწულის ნაზი მეუღლე,
თუ რომ დაკარგე ძვირფასი ქმარი
ქორწინების პირველსავე ღამეს.
თეკლა: ო, ღმერთო ჩემო, ცილისწამება თავს დაატყდა ჩემს მწუხარებას.
შადიმან: ერისთავთა ამაყი რძალი ამ წამებში შურისძიებაზე უნდა ფიქრობდეს მხოლოდ.
რას მივაწერო, თავადო ვახტანგ, თქვენი სიტყვები!
ვახტანგ: ჩემს აღელვებას. დამავიწყდა, რომ მხოლოდ გლოვა გვმართებს ყველას.
მასხარა: მაშინ დავიწყოთ ხელები გულმკერდზე და ვიტიროთ.
შადიმან: არა!
გურანდუხტ: მე თვითონ, დედა, პირველი შევიშრობ ცრემლებს.
მასხარა: მეც თქვენ მოგბაძავთ თქვენი მასხარა და სიცილს დავიწყებ.
ვახტანგ: ბრძნული არის თქვენი სიტყვები.
შადიმან: დამიგდეთ ყური, ჩემო ერთგულო მახლობლებო, ცოლო და რძალო,
არც ერთი წვეთი ცრემლი არ დაიღვრება ჩემს ოჯახში იმ დღემდე,
ვიდრე უფლისწულს და იმის მშობელთ
სიცილისა და ტირილის უნარს ...
შემომფიცეთ.
მასხარა: შეჰფიცეთ!
ყველანი: ვფიცავთ.
შადიმან: ახლა გავიდეთ, დავტოვოთ ეს ვრცელი დარბაზი,
რომელშიც ყველა სიტყვა იბნევა
და ვნებას ამცირებს შურისძიების.
მე თვით მექნება საუბარი ჩემს პატიოსან რძალთან
და შევეცდები ყოველი მისგან ცუდი ნაქნარი
ჩემს სასარგებლოდ გამოვიყენო.
ამ დრომდე გამოუკვლევლად მივუტევებ მას ყველა ცოდვას.
თეკლა: ყველა მიზეზი მაქვს მე შურის საძიებლად
და არც ერთი სიყვარულისათვის,
სისუსტესა ვგრძნობ მარტო ყოფნისას.
ნეტავ, პირველმა გაიმარჯვოს უკანასკნელზე.
მასხარა: როცა სისუსტე მომაწვება, მე შადიმანს მივმართავ ხოლმე
და მისი ერთი დანახვაც კი

ყველაფერს დევნის, ბოროტის გარდა, ჩემი გულიდან.
თეკლა: შენ ყურს მიგდებდი!
მასხარა: არა, ისე, საქმეთა ვითარებას გულისხმიერად ვადევნებ თვალყურს.
შადიმან: /შემოდის/ მცირე ოთახში მოიცდიან დედოფალი და დიდებულებიც,
მე დიდ არენას დიდ საქმეთათვის ვარჩევდი
და აქ მსურს ჩემს რძალთან ლაპარაკი.
შეგიძლია, რომ შენც დაესწრო.
მასხარა: დიდო ბატონო, მე თანახმა ვარ,
რადგან ბნელ ზრახვათ ღია ფერებში ჩაცმული
მასხარასავით არაფერი არა ფარავს.
შადიმან: სიამოვნებით ჩავიცვამდი მე მაგ სამოსელს.
მასხარა: მე კი თქვენსას, მაგ სამოსელში მასხრობა უფრო იოლია.
შადიმან: იატაკზე, იატაკზე დაჯექი-მეთქი...
ჩემო რძალო, დიდი თავადის აღელვება რას მივაწეროთ?
თეკლა: თვით იმას ჰკითხეთ.
შადიმან: მე მიზეზს ვეძებ და არა შედეგს.
მასხარა: ცუდად ეძინა თეკლასავით, ალბათ, იმასაც ან ჩვენმა დარდმა დაუკარგა ჭკუა-გონება.
შადიმან: ჩემო რძალო, ერთი მითხარი, ძლიერ დაითვრა ჩემი ვაჟი გუშინ ქორწილში?
თეკლა: მე მას სიმთვრალის ვერაფერი შევამჩნიე.
შადიმან: აბა, უფლისწულს როგორ ჰკადრა ხმამაღლა სიტყვა!
თეკლა: ზურაბი გახლდათ უგონოდ მთვრალი.
შადიმან: თავქარიანი... თუ სთქვა რამე...
თეკლა: ალბათ, არ მახსოვს.
შადიმან: შენზე ამბობენ, რომ გაწითლდაო!
თეკლა: დიახ, სიცხისგან.
შადიმან: შენ ყოველთვის სწორს ამბობ.
მე ჩემი რძლის კარგ ქცევაში ეჭვის შეტანა
უაღრესად დამამცირებდა
და თავს არ ვკადრებ მაგნაირ რამეს,
მაგრამ ხომ იყო ქორწილამდე ერთი შემთხვევა,
როცა უფლისწულს მონდომებია გაარშიყება
მსუბუქად, ოდნავ...
მე, როგორც მამას და შენს პატრონს,
ნუ დამიმალავ.
თეკლა: დიახ, იყო.
შადიმან: ღვინოს წარსულში გადაჰყავს კაცი,
და რაც დაკარგა იმ წუთებში, ყველა უნდა,
რომ უცება ქნას.
მასხარა: ესეთ ბუნდოვან საუბარში ამდენი ნათელი აზრი ჯერ არ მსმენია.
თეკლა: მე კი არ მესმის, საითკენ მიგყავთ საუბარი.
მასხარა: ქვევითკენ, ქვევითკენ.

შადიმან: შესაძლო არის, რომ ზედმეტად შეაქო ღვინონასვამმა თქვენი თვალ-წარბი!
თეკლა: დიახ, შეაქო.
შადიმან: როცა ენას ფარად იყენებს კაცი,
მაშინ მხოლოდ სხეულის ერთ ნაწილსა ფარავს.
მასხარა: ის ნაწილი კი ყოველთვის შიშველი რჩება, რაც ამოძრავებს.
თეკლა: ისედაც მოკლულს დარდისაგან, გთხოვ, ნუ მაწამებთ.
შადიმან: წადი, ჩემო რძალო ... მოიცა,
მხოლოდ მეფესთან გაიმეორე, თუ შეგეკითხონ.
ღვინონასვამი ზედმეტად აქებდა-თქო ჩემს თვალ-წარბს.
თეკლა: მერე ეგ ვითომ შეუმსუბუქებს საურმაგს ხვედრს?
შადიმან: ახლა მე შენი სიპატიოსნე მაინტერესებს
და ხალხს, ვინც ზედმეტს ლაპარაკობს,
პირში ბურთს ჩასჩრი უმტკივნეულო
გულახდილობით.
თეკლა: ბატონი ბრძანდები.
/გადიან/
მასხარა: ქორწინების, ბედნიერების პირველსავე ღამეს საურმაგ მოკვდა.
ეს საწყისია... ტრაგედია ახლა იწყება.
შადიმან: ჩემი რძლის ერთ ნაზ სიტყვას
მე იმდენ ჩუმ ცეცხლს დავუმატებ, რომ
სასაკლაო დატრიალდეს მთელ სამეფოში.

სურათი მეექვსე

ვარდისახარ: კატო, გოგო, სარკე მომეცი.
კატო: რომელი სარკე, ქალბატონო, ცოდვათა ქმნის თუ მონანიების?
ვარდისახარ: პატარა სარკე, ვაზის ჩარჩოთი, ოქროს პატარა არშიით და ბრილიანტებით,
რომელშიც მოჩანს ცუდიც და ავიც.
მხოლოდ საკუთარ საქმეთათვის მცალია ახლა.

/კატო ბებერი ქალია, რომელმაც იცის მისი შვილის საიდუმლო/

კატო: იგი მე ჯერ თვალითაც არ მინახავს.
ვარდისახარ: ის მე დავმალე კიდობნის უკან, როცა შევფიცე
ეშმაკსაც და ანგელოზს ერთად,
მამაკაცს არ გავკარებოდი,
ჩემს სახეს მზე არ დაენახა,
ტანს წყალი არ მოხვედროდა,
თმას სავარცხელი და სულს მშვიდობა,
ვიდრემდის..
კატო: ვიდრემდის მაგ ნივთს ვიპოვიდე, ხომ არ
მიიღებთ, ქალბატონო,
სამარჩიელოდ მოსულ მომლოდინეთ.

ერთი კაცია, დარდისგან მკვდარი,
იმისი შვილი ჩუმად მოუკლავთ აკვანშივე,
მას მიჰყოლია იმისი ცოლიც, ყმაწვილი ქალი,
ხოლო ქალის დარდს გადაჰყოლია დედამისი.

ვარდისახარ: ნეტავი მაგათ, შვება უნახავთ.

კატო: ვაჰ ეგეთსა ხსნას!

ვარდისახარ: ეს კაცი მკვდარს ჰგავს,
დარდისგან დამჭკნარს?
ხომ ვერ გამიგებ მის სახელს?

კატო: ახლავე, ქალბატონო,

ვარდისახარ: მოიცა, გოგო, თუმცა წადი და სახელთან ერთად სარკეც მომიტანე.

კატო: ახლავე, ქალბატონო, არ დამავიწყდება. ის კაცი კარებს უკან იცდის.
ის სარკე კი კიდობნის ქვევით არის დამალული, არა?

ვარდისახარ: წადი.

კატო: რამდენი ხანია. რაც ის სარკე იქა დევს?

ვარდისახარ: წადი და ახლავე მომიტანე.

კატო: რა დარდები გაქვთ, ქალბატონო, სხვის დარდის მკურნალს, ვერ მომახსენებთ? თქვენს ერთგულ მსახურს სურს, რომ რითიმე შეგიმსუბუქოთ.

ვარდისახარ: შენ კიდევ აქ ხარ?!..
/კატო გადის/
რა ვერაგია ხალხი ბუნებით. ეს უცვლელი
მოახლე ქალიც ცდილობს გაიგოს
ქალბატონის გულისნადები,
რომ მოიკლას თავისი ჭორი და მით იარა
გამიღრმაოს.
რა ნაცნობია ჩემთვის ეს გრძნობა,
ჩემთვის, რომელმაც მარჩიელობის ამ ულევ წლებში,
ხალხის პატარა ტკივილიც კი ზეპირად ვიცი.
რომელიც კურნავს ერთის მუწუკს, რომ
მით მეორეს რაც შეიძლება მაგრად ატკინოს.
სწორედ ამიტომ შორს გავარდნია ვარდისახარს
და მის ხელობას, შიშისა და შვების
მომგვრელი მარჩიელის, გაჭირვებისას
საჭირო და ლხინის, ქეიფის, სხვა
ამქვეყნიურ დროსტარების დროს დასაცინი,
შემზარავი და გასაკიცხი სახელი.

კატო: /შემოდის/ ქალბატონო, იმ კაცს ზურაბი ჰქვია, ეს სარკე კი შუაზე გაბზარულა.

ვარდისახარ: ზურაბი?!

კატო: დიახ, უფლისწულის სეხნია გახლავთ.
ხოლო ცოლი და დედა დარდს კი არ
მოუკლავს, როგორც მოგახსენეთ,
არამედ იმ ციხის კედლებს, რომლებიც ისევ დაქცეულან
და სალოცავად მიმავალნი შიგ მოუყოლებიათ.

მეფის შიკრიკი:/შემოვარდება/
ვარდისახარი რომელი ხართ,
კიდით კიდემდე ცნობილი მარჩიელი?
ვარდისახარ: ის დღეს არ იღებს.
მეფის შიკრიკი:ხელმწიფის ბრძანებით, ხვალ დილას
მის კარს უნდა ეწვიოთ სამარჩიელოდ...
მტერი საცაა გამოჩნდება, ციხის კედლებს
კი არაფერი ეშველა.
ვარდისახარ: ვეახლები.
/შიკრიკი გადის, კატო აცილებს/
ეს სარკე ტყუილად არ გაბზარულა,
არც ის მოსულა, უფლისწულის
ერთსახელა, ამ დილას ისე,
მეც ტყუილად არ დამძვრია შურისძიების
ხელოვნურად და დიდი ძალით მივიწყებული
ტვირთი, რომელსაც 21 წელს მშვიდად ეძინა.
ყოველი იგი, ვინც ამ სარკეში
ჩაიხედავს, საშინელ ტანჯვით დაიღუპება.

/სარკეში იხედება/

უუ, ღმერთებო! სისხლის ნიაღვარს ვხედავ,
რომელიც მე ვარ,
და შიგ ქარიშხლისგან გზააბნეულ ნავებივით
მიცურავენ სხვა დანარჩენნი.
და თუ ხელმწიფეს, ვინც მე მიყვარდა,
ქალური სიფაქიზით თვითონ ვერ ვავნე,
ვისგანაც მკვდარი შვილი მეყოლა
სწორედ იმავ დღეს, როცა სამეფო
ეგებებოდა ჩვენს უფლისწულს,
და ყველას ლხინი
ჩემს ნაღველსა და დარდს აღრმავებდა ...
მაშ შეტრიალდი, ბედისწერავ, ჩემგან შექმნილო,
დაწყებულო ჩემს უნებურად
და ამ ტრიალში თუნდ მეც მიმსხვერპლე.
ჩამოიწეწეთ დედაბერივით, ჩემო თმებო,
ბროლივით თეთრ სახეზე აიკარ
ყველაზე უფრო შავი ნიღაბი
და მოემზადე ხვალ დილისათვის.
სისხლის წუწნა არათითიდან სისხლის
აშკარა ღვრით შეიცვლება.

/გადიან/

(დაუმთავრებელი)

[1960 წელი. თბილისი]

ნ ი კ ო ფ ი რ ო ს მ ა ნ ა შ ვ ი ლ ი

სუფთა თეთრ კედელს პირდაპირ ეფარება ირმის სურათი. მის ფონზე იწერება სურათის შესავალი წარწერები.

მიდის დიქტორის ტექსტი: 1918 წელს ქალაქ თბილისში უაღრეს სიღარიბესა და სულიერ მარტოობაში გარდაიცვალა თვითნასწავლი ქართველი მხატვარი ნიკო ფიროსმანაშვილი. დრომ თითქმის არ დატოვა მოწმე, რომელიც მოგვითხრობდა მისი ცხოვრების შესახებ. მოკვდა ის ისეთივე მარტო, როგორიც იყო მთელი სიცოცხლის მანძილზე: ლოთი, უპატრონოდ, უამხანაგოდ ბნელ სარდაფში მიტოვებული. უკვალოდ მიიკარგა სადღაც საფლავი, დარჩა ლეგენდა მთვრალ ფიროსმანაშვილზე _ ამბავი იკითხება მხოლოდ მისი ნახატებიდან.

ისტორიამ თითქოს ცნობისმოყვარეობის გასაღიზიანებლად შემოინახა რამდენიმე ფრაგმენტი მისი ცხოვრებიდან: დაიბადა 1863 წელს ისტორიულად უბატონო მხარე ქიზიყში, სოფელ მირზაანში. მამის სიკვდილის შემდეგ დედა, 7-8 წლის ქალ-ვაჟით სახლდება თბილისში /მიდის დოკუმენტური სურათები თბილისის ყოფიდან/.

ცხოვრობდა ღარიბთა უბანში. მრავალფეროვანია თბილისური ბოჰემა, მოქეიფე ყარაჩოხელები, კინტოები, ბაზარი, დუქანი, დაღლილი ჭუჭყიანი მეკურტნეები, ხელოსნები, ქალები ხელგაწვდილი ბავშვებით, ინტელიგენცია გახუნებულ და ახალ ფრაკებში პენსნეებით, პოლიციელები, მეეზოვე – აშკარა სურათი რევოლუციამდელი დეკლასიური საზოგადოებისა.

ასეთ ატმოსფეროში წამოზრდილი ფიროსმანაშვილი ხსნის რძის საწარმოს, აქვს გარკვეული წარმატება ვაჭრობაში, მაგრამ, თავისი ხელგაშლილობის წყალობით, ორ-სამ წელიწადში კოტრდება, ხდება ლუმპენპროლეტარი და ნაცნობები კარგავენ მის კვალს.

აღმოაჩინეს ის, უკვე როგორც მხატვარი, 1912 წელს, ფიზიკურად მოტეხილი, გალოთებული. ამ დროისათვის მას უკვე ჰქონდა მოხატული თბილისის დუქნების დიდი ნაწილი, უამრავი აბრა და ტილო. ხანმოკლე გამოდგა მხატვართა წრეებთან მისი ნაცნობობა. უკვალოდ იკარგება ფიროსმანაშვილის მედიდური პიროვნება თბილისის ჯურღმულებში.

თითქმის უცნობია ამ ადამიანის მხატვრული ბიოგრაფიაც, რომლიდანაც შიგადაშიგ ცნობილი ხდება: უმეტესი ცხოვრება გაატარა ბნელ სარდაფში /ჩანს ეკრანზე ყველაფერი/, რომლის ერთ კედელს ღებავდა თეთრად, მეორეს შავად, ზელდა თავისი ხელით ბუხრიდან გამოღებულ ჭვარტლს, ფშვნიდა ფეხით ცარცს, ხატავდა თეთრ კედელზე შავით, შავ კედელზე თეთრით უცებ, უბრალოდ, ხელის რამდენიმე მოსმით. შავ მუშამბაზე მუშაობის დროს ფონის ნაცვლად ტოვებდა მასალის პირვანდელ ფერს. ფერებიდან ხმარობდა აგრეთვე წითელს, ცისფერს, მწვანეს, ყვითელს, რომელთა შერწყმითაც იღებდა საკუთარ საღებავს. ჩრდილს იყენებდა არა განათებისათვის, არამედ ფორმის შესაქმნელად /დეტალი/.

ხატავდა ნიკო ფიროსმანაშვილი ერთ ჭიქა არაყზე და უსასყიდლოდ, შემკვეთთა სურვილით და თავისი ნებით. მუშაობდა შიგ დუქნებში ქეიფის დროს, ხალხის თანდასწრებით, თავის შედევრებს ამთავრებდა საათებში.

ივსება თეთრი და შავი კედლები მოქეიფე კინტოებით, მოქალაქეებით, ყველგან, მუყაოსა თუ მუშამბებზე, რჩება თავშეუკავებელი ლხინი, გაკვირვებული კინტოს თვალებივით, ხელებაწეული, გულუბრყვილო ლხინი. მოქეიფეები არღანზე, მოქეიფეები დილით, მოქეიფეები საღამოს, მეცენატ-შემკვეთთა სახის ზუსტი ასლები, რომელთა დაკვეთაც საოცარი შინაგანი ჰარმონიით ერწყმება მხატვრის სურვილს, ერთ მთლიან სხვის ღრეობად არის გადაქცეული თითქმის მუნჯი შემოქმედის ნახატები.

წარმოშობით მასავით გლეხი მედუქნე უკვეთს დახატოს სოფელი: მიწა, კალო. იქმნება გენიალური ფრესკა კალოზე მომუშავე გლეხებისა; ღმერთული ტკბობა, გამოწვეული დოვლათის შექმნით /სურათი _ «კალო»/. საკუთარი სურვილით თუ მეცენატ-მედუქნეთა დაკვეთით, გაუთავებლად ეძლევა ლხინს, შრომას, ბავშვობის სილაღეს /სურათები. მისი ფუნჯით ასახული კახეთი/. ჩვენ წინ დევს უტყვი, არაცოცხალი ლხინი /ნატურმორტი/, რომელიც დაწყებას ელის, ნაყოფი, რომელიც ელის მოკრეფას. დიდებული კახური ნატურმორტი. მასში იხატება მაღალი ხელოვნების არსი: აქ ყველაფერი გაქვავებულა უზარმაზარი სიცოცხლისაგან. თითქოს ხორცი შეისხა ამ სურათში /სურათი «რთველი»/ ნატურმორტმა. შრომა, ქეიფი, ღვინო, დათვი, უკანა ფეხებზე დამდგარი, გაქვავებული უძრავი კაცი, ფეხებჩაწყობილი საწნახელში, საქართველოს ცხოველმოქმედი კერპივით. ავტობიოგრაფიული შტრიხივით იყოფა მხატვრის ოჯახის ქალაქში გადმოსახლების დროიდან სურათი _ ქალი, მიმავალი გზაზე კოკით და ბავშვებით /»ქალი კოკით და ბავშვებით»/. ფიროსმანაშვილების ოჯახი მოდიოდა სოფლიდან ცარიელი, უდოვლათო. აქ, ნახატში, თითქმის მოშორებულია მთელი გარეგნული მხარე მისი ბიოგრაფიისა: სამივენი დატვირთულები არიან სიცოცხლით, იმედით სავსე კოკებით, მხოლოდ დედას ეხატება სახის ოვალში ოდნავი შეშფოთება. უცნაური, ხაზგასმული უშიშრობით მიდის წინ პატარა ბიჭი, არავითარ სიმძიმეს არა გრძნობს ის დიდი კოკისგან, რომელიც საოცარი ძალდაუტანლობით უჭირავს მას ხელში. მარადიული ბიბლიური ფრესკებივითა დგანან გამოსახულებები /სურათები/: დედა, რომელიც ბავშვს აწვდის ყურძენს, ბაბუა, რომელიც უკვე წამოზრდილს ღვინოს აგემებს.

გადმოცემის მიხედვით, უყვარდა ფიროსმანს ილია ჭავჭავაძე და ვაჟა-ფშაველა, იცნობდა საქართველოს წარსულს. თავისებურად აცოცხლებს მისი ფუნჯი შამილის დროს, მიურიდებს, /სურათი «ყაჩაღი მთვარიან ღამეში»/, რომელმაც ცხენი მოიპარა, ხატავს თამარ დედოფლის და ერეკლე II-ის პორტრეტებს. დიდი შინაგანი ძალით ამეტყველებს იმ ადამიანთა სახეებს, რომლებიც ისტორიულ ფიცს აძლევენ გიორგი სააკაძეს /სურათი/.

ახლა ჩვენს წინ დგება სულ სხვა სამყარო, დახატული არაჩვეულებრივი სიმარტოვისა და უდიდესი შემოქმედებითი გულახდილობის დროს. ხის ტანის ფონზე ზის შველი, სიცოცხლით სავსე სხეულითა და თვალებით: ლომი, ირემი, ერთ ნახტომად შემართული ჟირაფი, ღორი მთელი ოჯახით, დათვი ბელებით, მარტო დათვი გადაჭრილ ხეზე მთვარის ქვეშ, დატვირთული აქლემი, ჯუჯა მეუდაბნოეთი და სხვ.

ოდესღაც ფიროსმანაშვილს გამცილებლად უმუშავია მატარებელზე. ყველაფერი ხატია ამ პეიზაჟში: ვაგონები, გემი, ზღვა, ბათუმის სახლები. შემდეგ სურათებში

უფრო მთლიანად იპყრობს ბუნებას მისი ტალანტი: /სურათი/ «ნადირობა» _ სურათის ცენტრში ოლიმპიური სიმშვიდით კლდის ქიმზე მდგარი ჯიხვით, ქოხი და ურემი ფრინველების ფონზე. /სურათი/ დაუსრულებლად ღრმა მთვარიან ცაში /სურათი/: მწყემსი მიერეკება ნახირს, მიდის მარტო ურემი და ისევ ხალხი /სურათი/.

ყველგან _ ხალხი და ღრეობა, ყაბახი, წინ გამოსული მოხუცითა და ბავშვით. დიდი მხატვრული ტექნიკით იქმნება ორთაჭალელი მეძავი ქალები, უნაზესი ყვავილების ფონზე, სავსე ხორცითა და ანგელოსურად ჰაეროვანნი. აი, მისი შეყვარებული «აქტრისა მარგარიტა», ვნების განსახიერება და ბავშვის ნაკეთები ფიტულივით მიუკარებელი. ამ ქალს უძღვნა, ლეგენდის მიხედვით, შეყვარებულმა ნიკალამ არარსებული შავი ვარდი, რის ყიდვასაც მთელი ქონება შესწირა. ფიროსმანაშვილის გამოფენის მნახველები ერთხმად თანხმდებიან «მეეზოვის» გენიალობაში: უცნაურად თეთრი წინსაფარი ჰკიდია ამ კაცს, ხელში, როგორც ხედავთ, არა ცოცხი, არამედ სკიპტრა უჭირავს. თავზე მას სახელმწიფო გვირგვინი ადგას, წარწერით Дворник. ეს მარტოსული, თავისებური უარმიო, უცნობი მბრძანებელი, მედიდური და საცოდავი. კლდეებშუა, შიგ წყალში დგას მებადური, ლოქოთი ხელში /სურათი/. ერთმანეთის პირისპირ დგანან მუდმივად ფეხზე სადგომად განწირული მოუხერხებელი ფიგურები მუშებისა /სურათი/. მარტო პორტრეტი მეკურტნისა, ასეთი ნაცნობი, ახლობელი სახელით: «მუშა სოსო».

მძაფრად იჭრება ხალხების ცხოვრებაში ომი. თავისი მხატვრული ვალი მოიხადა მის მიმართ ფიროსმანაშვილმაც /სურათები: «ომი ზღვაზე», «დაჭრილი სალდათი», «არწივი გლეჯს კურდღელს» და სხვ./.

თითქმის მთავრდება ნიკო ფიროსმანაშვილის სურათების გულისტკივილამდე მოკლედ ჩვენება. კოლოსალურად დიდი რაოდენობა შექმნა მან ნახატებისა, უმრავლესობა დროის უმოწყალობით, დაუდევრობისაგან, საღებავის ცუდი ხარისხისაგან დაიკარგა სამუდამოდ. მცირე, მაგრამ ყველაზე დამახასიათებელი ნაწილი შენახულია.

«მილიონერი უბავშვებოთ და ღარიბი ბავშვებით» წარმოადგენს უდიდესი ეპოქალური ღირებულების ფრესკას, თავისი სიმარტივით და ჩანაფიქრის სიღრმით. დიდ ობიექტურ სიმაღლემდეა ასული ნახატი «დიდმარხვა საქართველოში», რომელიც ავტორს ბუნების წიაღში გამოუტანია. დინამიურობის მაგალითს წარმოადგენს ეს პატარა დეტალი: ორი ბავშვი, დამხობილი და ხელებაშვერილი.

ამბობენ, ძალიან უყვარდა საწყალ ნიკალას აღდგომა დღე, მისტიური ქეიფი ამ დროს ბუნების წიაღში /სურათი/. ლეგენდად იცხოვრა, თქმულებად დარჩა მისი ამბავი ამქვეყანაზე, ამის შესახებ ჰყვებიან მისი უკვდავი ქმნილებები. დგას პატარა ბატკანი სააღდგომო სამზადისში, წითელი დროშით და მხატვრის ხელით მიწერილი სიტყვებით: «მადლობა ღმერთსა რო დაგვასწარით აღდგომასა, ქრისტე აღსდგა ჭეშმარიტად!»

აღდგომა დღეს მომკვდარა მხატვარი /დიდი სურათი: ბატკანი, ბრტყელი, წითელი ლენტით კისერზე/.

1958 წლის შემოდგომა

/ოცდახუთწუთიანი კინოსთვის/

დაგუბებულ ხეობაში საზარელი ჭიხვინი ისმის. ყორნების გუნდი ფერდაზე იშლება და შავი ჩრდილები გორახებზე გადადიან. ზევით მარტო ქორი დაბოინობს. ჭიხვინი მეორდება უფრო ძლიერად, ხეობიდან უმხედრო, ყაჯარგადაფარებული და ლაგამამოდებული ცხენი ამოვარდება /ყაჯარი ოდნავ გვერდზე აქვს მოქცეული და გარსაკრით არაა დამაგრებული/. ჭენებით ეშვება ფერდაზე. მხოლოდ ცხენის ფლოქვების ხმა ისმის. ცხენის საჭენებელ გზაზე, ქვევით, კლდის ქიმთან, ზის არწივი _ დიდი, მოხუცი, დინჯი. ცხენი ზედ ვარდება თითქმის მას. ის დინჯად იწყებს ფრენას, ნელა იქნევს უზარმაზარ ფრთებს. ცხენი ქვევით მიჭენავს, ის სულ პატარავდება, არწივი კი სულ იზრდება და თითქმის მარტო ის მოჩანს. ისმის ისევ ჭიხვინი. არწივის ლანდი ბოინით გადადის არღუნის წყალზე, ხევში ჩაყრილ ლოდიანებზე. უმხედრო ულაყი გაშლილ ხევში გრძელი ოთხით იკლანკება ბილიკზე. ისმის ფლოქვების ხმა. არწივის ფრთების ჩრდილი ხან დაეწევა, გაუსწრებს, ხან ჩამორჩება ულაყს.

- - - - -

შატილში დილაა, სიწყნარე. ძროხები დიდი ქვის ჩარდახებიდან გამოდიან, შუკებში ერთდებიან და ნელა ეშვებიან არღუნისაკენ. ისმის მელოდია «შამილი შევა ციხეში». კალთებაკეცილი, ფეხშიშველა დედაკაცი, პაჭიჭებში გამოწყობილი, შუაზე გატეხილი ჯოხით, უჯავრდება ნადირს. მელოდია ლოცვაა, დინჯი, აუჩქარებელი. სადღაც თავლაში ცხენი აბია; ლოცვის ტემპი იზრდება. ჯერ ბუნდოვნად შედის მუსიკაში ფლოქვების ხმა. თავლაში დაბმული ცხენი თავსა სწევს, ნელა ხვიხვინებს. მელოდია ხელდება, მუსიკის რიტმი იზრდება, შიგ კიდევ სხვა ხმები შედიან; გზიდან ისმის საზარელი საპასუხო ჭიხვინი. უმხედრო ცხენი დაოთხებული შევარდება შატილის კარებში.

მელოდია ბეთჰოვენის სიმფონიაში გადადის. გარშემო ყველაფერი იღვიძებს. საიდანღაც მზის წვერი ჩანს და სოფელს სხივს ურტყამს. ბანები მოძრაობენ, ქალები, ქერა ჩოლკებით და ხევსურული ჩიხტაკოპებით, შრიალებენ. მერე რომელიმე შერბის და ქმრისთვის იარაღი გამოაქვს. სიმფონია უფრო ხელდება და ეცემა.

- - - - -

შატილი ქრება

- - - - -

ვიღაც მიფორთხავს კლდეზე. მარჯვენაში თოფი უჭირავს, მარცხენა თავისუფალი აქვს. ფარ-ხმალი წელზე ჰკიდია. კლდე დაქანებულია, ლიპი. გარშემო სრული სიჩუმეა. ოდნავ ისმის ადამიანის სუნთქვის ხმა. სადღაც ნაშალი მიწა იყრება ხეობაში. ხრიალებს. კლდე ფერდაზე გადის. ის, ვინც მიხოხავდა, ცერად ჭრის ფერდას, შემთხვევით ფეხს ადგამს ლოდიანს. ლოდიანი ადრევე ჩანს, რომ ძლივს იკავებს თავს დაქანებულზე. ის ნელა იღებს სიჩქარეს, მერე უზარმაზარი მალაყებით გადადის და თან წვრიმალ ქვებს იყოლიებს. მთელი ხეობა ზანზარებს უხეში ხმებისაგან, ხევსურის მხოლოდ გამალებული ნაბიჯებიღა ჩანს.

- - - - -

იქით, გადაღმა ხეობაში, ნაშალის ხმა გრძელდება. აქ ეს ხმა უფრო ხშირია და არამკვეთრი. ათიოდე ძროხა და ექვსი ცხენი ძუნძულით მიჰყვებიან ფერდას. ქისტები ფეხდაფეხ მისდევენ, ხანდახან ისმის ჩუმი სტვენა. ერთი ქვევიდან მისდევს ნახირს, ქვიდან ქვაზე ხტის და მიმართულებას აძლევს, მეორე უკნიდან უჯავრდება, ჩქარობენ. თოფი ერთს მარცხენაში უჭირავს, მეორესაც მარცხენაში, თავისუფალ ხელში სახრეები უჭირავთ. ფერდა უფრო დამრეცი ხდება. ბილიკი იკლაკნება და ქარაფზე თითქმის შვეულად ეშვება წყლისკენ. ნახირი წინა ფეხებზე დაბჯენით ძლივს ეშვება ქვევით. ქისტი უკნიდან აჩქარებს. მეორე ზევიდან მოექცა და ისიც აჩქარებს. სიჩუმეა. ახლა ნაშალი აღარ იშლება. მზე იპარება ხეობაში. იმ ქისტის თოფს, რომელიც ზევიდან უვლის ნახირს, სხივი ურტყამს, იარაღი პრიალებს. სულ ბოლო ცხენი, რომელიც საბელჩადგმული მიჰყავს მეორე ქისტს, კისერს აბრუნებს და ნელა ხვიხვინებს. ხეობა უფრო იბურება, გზაც უფრო ეკიდება დაღმართზე. საოცარი სიჩუმეა. ამ სიჩუმეში უეცრად იჭრება თოფის ხმა. ხმა იზრდება, მთებს აწყდება, გრიალებს და ათას თოფის ხმად იშლება. შორს სულ ბუნდოვნად ისმის წყნარი მელოდია. ის წყდება თითქმის. ფერდობიდან დაგორებული ქისტი ჯერ ნელა, მერე სწრაფად მიგორავს ბილიკისაკენ. თოფი ბუჩქზე ეკიდება. ქისტს მკერდი აქვს შენგრეული, ნახირი გვამს თელავს, გვამი ლოდიანებს ეჯახება, სკდება, მელოდია შორს ისმის, ის ნერვიულია, ნაწყვეტებით. წყლის პირას ნახევრად წყალში გდია დაჩეხილი ქისტი. ის მკვდარია. ნახირი რაღაცის მოლოდინში ჩერდება. ხეობაში ჩქამი არ ისმის.

სიჩუმეში სროლა ახალი ძალით მეორდება; ლოდს ამოფარებული მუცალი გასროლილ თოფსა ტენის. ისმის საპასუხო სროლა. მერე სიჩუმე. თავიდან დავლილი ალუდა ლოდიანებზე ხტება და ახალ ადგილას საფრდება. მის ჩასაფრებამდე ისევ ისმის მუცალის თოფის ხმა. მზე ერთნაირად იღვრება ხეობაში. სიჩუმეში თოფზე უფრო ვარდება ქისტის ხმა.

_ არა გჭირსაა, რჯულძაღლო!

სიჩუმეში ისმის ალუდას პასუხი:

_ ნუ გგონავ მჭირდეს, რჯულძაღლო!

ხმები მკვეთრია და სადღაც სიღრმიდან მოდის. ის არც მუცალს ეკუთვნის, არც ალუდას.

სროლა გრძელდება; ხეობა ხან განაბულია, ხან თოფის ხმით ივსება. წამლის ბოლი ამოდის ორივე მხრიდან, მერე ბოლი იშლება, იზრდება და სადღაც ერთდებასავით. მზე სხივებად გადის მასში. ქეთელაური ახალ სამალავში ხტება და იქიდან ესვრის. მოჩანს მუცალის გაშეშებული სახე, მარცხენა ხელს მუცელზე იკიდებს, პირიდან დუჟთან ერთად სისხლი გადმოსდის.

_ არც ახლა გჭირსა, რჯულძაღლო?!

მთელი ფილტვებით იძახის ალუდა და ლოდიანის თავზე ამოდის. ის მთელი ტანითა ჩანს. მუცალი ბალახს იტენის ჭრილობაში. ცდილობს ადგეს, ჯერ მუხლებზე დგება, მერე იმართება ისიც და ისვრის. ტყვია ალუდას გულზე დაკიდებულ ხატს ასკდება და მასთან ერთად იფშვნება. მუცალი ძალას კარგავს; ალუდა შეტორტმანდება და ისევ ასობს ლოდიანს ფეხებს. მუცალი თოფს სწევს ჰაერში და ქეთელაურის მხარეს ისვრის.

_ ახლა შენ იყოს, რჯულძაღლო, _ ამბობს. ხეობა განსაკუთრებით ჩაგუბებულია წამლის ბოლით, ხმა ისმის ჩახრეწილი, მაგრამ უდრეკი. მუცალი ნელა ეშვება მუხლებზე, მერე მოსხლეტით ეცემა. მარჯვენა ზევით გაშვერილი რჩება, მარცხენა ტანქვეშა აქვს მოყოლილი, ფეხები _ მთელ სიგრძეზე გაშხვართული. სიჩუმეა.

შეუმჩნევლად იპარება ბლუზის ხმები. ხეობაში გაურკვეველი ფერია. ბლუზის რიტმით ალუდა ეშვება ხეობისაკენ. ის წელში ხან მოხრილია, ხან ზომაზე მეტად გაშლილი, სახე ღრმა და ჩაფიქრებული აქვს. აქამდე გაჩერებული ნახირი ნელა იწყებს უკან გზაზე სიარულს, მიიზლანზება. ცხენის ფლოქვები ბლუზის ტაქტს ურევენ. ქეთელაური თავზე ადგას პირველად მოკლულ ქისტს, მერე იხრება; ყამით ჭრის მარჯვენას, მარჯვენიდან თქრიალით გადმოდის სისხლი, სისხლთან ერთად ჰაერში აფრიკული ბუგების ხმები დარბიან. სისხლი ნელა კლებულობს, მერე წყდება. ალუდას თვალები უელავს, ხელში მოჭრილი მარჯვენა უჭირავს, სისხლი მაჯას უწითლებს. სისხლის შეჩერებასთან ერთად ალუდა იღუშება. ბუგები წყდება და ისევ ბლუზი იწყება. მოდუნებული მიჰყვება ზევით ფერდას ქეთელაური, ერთ ხელში თოფი უჭირავს, მეორეში ორი ხელი ჩანს: თავისი და მოკლული ქისტის. რაღაც შეუცნობელი ხდება მასში, ბლუზის ხმა გაურკვეველია, განწყობის გარეშე. მუცალი ლოდის ძირში გდია, ალუდა მის თოფს იღებს და თავზე ადგას. ქისტს ცალი ხელი ტანქვეშა აქვს მოყოლილი, მარჯვენა გაშვერილი აქვს მთელ სიგრძეზე, თითები ძლიერი და ოდნავ მოკრუნჩხულია. ახლა ალუდა მარტო მუცალის მარჯვენას ხედავს. მის გონებაში ის იზრდება, იკრუნჩხება, უზარმაზარ ძალას, ვაჟკაცობას გამოხატავს. ალუდა ხელიდან უშვებს მუცალის ძმის მარჯვენას და მუცალის მარჯვენას იღებს, მას მთელი მკლავი აჰყვება, შემდეგ ხელს უშვებს. მკლავი გაშოტილი ეცემა, თითები ოდნავ მოღუნულია, ისინი იშლებიან ალუდას გონებაში სულ სწორად და პირვანდელ ფორმას იღებენ. მუსიკის ხმებში რაღაც ქვითინის მაგვარი იპარება, მერე ბლუზი წყდება და კაცის ხმამაღალი ქვითინი ისმის. ალუდა უმოძრაოდ დგას. ქვითინის შემდეგ მუსიკა გრძელდება. ქეთელაური ქისტს თავისივე ხირიმს უდებს მტევანში, მერე გაფანტულ იარაღს უწყობს და ნაბადს აფარებს.

ბლუზში ყორნის ხმა იპარება. მთის ნაოჭებზე დინჯად გადადიან კაცის ლეშის მჭამელი ფრინველის ლანდები, მერე მაღლა იწევენ და ისევ ქვევით ეშვებიან, მოდუნებული მიდის ალუდა შატილისაკენ. შორს, იქით ბილიკზე, გაღმა გასული ნახირი მიიზლაზნება. ალუდას გზა ქედზე გადის და შატილს გადასცქერის. სოფელი შავია, დაბურული. არღუნი შატილის წყალს უერთდება, წყალს ორივე მხარეს მხედრები ჭრიან, მერე სოფლის კედლებში იკარგებიან. ვიღაცეები ჩამოშლილ ხიდს აკეთებენ, ბერი დედაკაცი საფქვავაკიდებული მიდის წისქვილისაკენ. ალუდა თხემზე ზის და თავის სახლს უყურებს გონებით.

– – – – –

მისი კოშკის კედლები სავსეა მოჭრილი მარჯვენებით. თვალებს ხუჭავს, მერე ხელს ისვამს, ეჩვენება, რომ მარჯვენები მოძრაობენ. ბლუზი რიტმს იღებს, მერე მარჯვენები კედლიდან ჩამოდიან და თავის პატრონებს უბრუნდებიან. ბლუზი რიტმულ ჯაზში გადადის. მარჯვენაში ყველას უკვე ხმალი აქვს. ამხედრებული ალუდა ტრიალებს მტრებში. ისმის აფრიკული ბუგების ხმა, ბრძოლა ხელდება. მერე რიტმი ეცემა, დახოცილი ყრია მტერი, რიტმი ისევ ვარდება მაღლა, პირზე დუჟმომდგარი ალუდა დარბის დახოცილებში და ჭრის მარჯვენებს, მერე არეული თვალებით აჭედებს კოშკის კედლებზე. ხელები სისხლითა აქვს მოსვრილი, სისხლი წვეთავს მიჭედილი მტევნის თითებიდანაც.

– – – – –

სწრაფად დგება ქეთელაური. ჯდომასა და ფიქრს ცუდი აზრები მოაქვს, აჩქარებული ეშვება ბილიკზე. ახლა უკვე ბლუზის ხმა არეულია. ქეთელაური თითქოს ხვდება მოუსვენრობის ნამდვილ მიზეზს. ისმის ნერვიული ნაბიჯების ხმა. საქსაფონებს ცვლის მარტო ბარაბანი, ან მარტო ნერვიული ვიოლინო. ალუდა ახლად

გაკეთებულ ხიდზე გადის. ვიოლინოს ნერვიული ხმა ყრუდ ისმის მხოლოდ მისთვის, სოფელში მუსიკის მხიარული ხმები დგას. აქ უკვე გაიგეს მისი გამარჯვება და ეგებებიან.

ხალხი ბანზეა გამოფენილი. ვაჟკაცები ვაჟკაცური შურით უყურებენ მას. ქალი მტირალა ბავშვს აჩუმებს, მერე ხელში იყვანს და, ფეხმორთხმული, ბანზე ჯდება. შუკაში დატვირთული ცხენები ჩამოდიან მოტეხილ კლდეზე, კაცები საფიხვნოში სხედან. ალუდა ნელა უახლოვდება მათ.

_ მაგვიხვედ მშვიდობით, ალუდავ! _ ბუბუნებენ ფეხზე ამდგარი ხევსურები ერთად. ხევისბერი ყალიონს ფხეკს საჩხიკინებლით, რომელიც გრძელი თოკით ჰკიდია ჩიბუხს, მერე მხარზე გადაკიდებული დიდი ტყავის ჩანთიდან წეკოს იღებს, ხელისგულზე იყრის, მერე დანით ცერზე ითლის ყლორტს, წეკოში ურევს და ჩიბუხს ტენის. ქეთელაური თავაწეული იყურება ხევისბერის იქით. უხეშად იღიმება ხევისბერი. ალუდა თავის ამბავს ჰყვება, ჯერ ხელით უჩვენებს მთის მიმართულებას, მერე ამბობს:

_ ორნ იყვნენ, თოფი ვიხმარე.

ჩუმდება. ყველანი მას უყურებენ, ის აგრძელებს:

_ იმ ცხონებულსა მუცალსა

რკინა სდებიყო გულადა!

_ რას ამბობ, ალუდავ! _ მთელი ხმით ბუბუნებს ხევისბერი, _ ქისტის ცხონება არ დაწერილა რჯულადა.

_ ვაჟკაც იყვ მუცალი, _ უპასუხებს ალუდა. - იმ ცხონებულსა ვაჟკაცსა ტყვია სდებიყო გულადა, _ იმეორებს და განაგრძობს: ვერ გავიმეტე მუცალი მარჯვენის მოსაჭრელადა.

ხევისბერები იფხორებიან, უფრო ამჭიდროებენ რკალს მის გარშემო, მერე იშლებიან, ვიღაც ბოროტად იღიმება, გვერდზე რაღაც ბუბუნი ისმის. საიდანღაც ყრუდ, მაგრამ მკაფიოდ მოდის ხმა:

«მოკვდი, სიკვდილი გირჩევნავ,

რა ხარ სიცრუის მთქმელადა

გამუქცევიხარ ქისტიშვილს!

გადუქცევიხარ ქალადა.

მაჰკალ, მარჯვენა არ მასჭერ,

უკვენ მისდევდი მა რადა?!»

ხევსურები, ზურგშექცეული ალუდასკენ, იშლებიან, აშკარად წირავენ მას. ვიღაც ბრუნდება და ქვევით იხედება, იქიდან მინდია მოდის ყაბარდოული ულაყით. ის ვიღაც ქვევითვე უყვება ალუდას ამბავს, ბოროტად იცინის. მინდია იღუშება. გამწყრალი უყურებს ხევსურებს. ისმის მინდიას ხმა:

«_ ნუ იტყვით ვაჟკაცის აუგს...

ადვილად მტერი მოგიკვდესთ,

ადვილ გავიგო მართალი.»

ვიღაც ქალს კოშკიდან ერთი კოტორი, ყველი ნახლეჩი და მოხარშული ცხვრის ბეჭი გამოაქვს, მერე უნაგირზე უკან ჩაბმულ ნაბადში უტენის მინდიას. ცხენი ოთხით წყდება ადგილიდან.

- - - - -

ღამეა.

ისმის მელოდია დაისიდან «მაროს ტირილი», ასრულებს ორკესტრი, შორს ოდნავ გასარჩევად მიჰყვება ხმა. ალუდას სახლში შუაცეცხლი ანთია. მორთხმული ბერდედა ყველის ხინკალს აკეთებს, ცომს აბრტყელებს, შიგ ყველს ახვევს, მერე ტაბლაზე ალაგებს და შუაცეცხლზე ჩამოკიდებულ ქვაბში ყრის. ცეცხლთან კაბააწეული პატარა გოგო და უშარვლო ბიჭი დგას. თბებიან. ალუდას ცოლი ლელა ქსელზე მუშაობს, მაქოს გაუყრის, ძაფებში ჩაბეჭავს, მერე კავით ასწორებს ძაფებს, ისევ უყრის მაქოს და ბეჭავს. თვალები დიდი, მოწყენილი და ოდნავ წყლიანი აქვს.

ბერდედა ტაბლას წმენდს, ზედ ხინკალს აწყობს, ხინკალი ცხელია და ოხშივარი ასდის, იქვე დგას ჯამით ერბო, ყველის დიდი ნატეხი გდია. უხმოდ ჭამენ ქალები, პატარები ფეხზე დგომელა ვახშმობენ.

ცეცხლი ბიჭის შიშველა უკანალს ანათებს. ალუდა ნელა მოდის დარბაზის სიღრმიდან, «მაროს ტირილში» ქალების გუნდის ხმები იჭრება, ის ხინკალს წატეხს, ერბოში აწობს და ისევ ბრუნდება. ბერდედა ქვევიდან უყურებს. ლელას სახე უაზრო და შეწუხებული აქვს. იქით, საითაც ალუდა შევიდა, ბნელა და არაფერი არა ჩანს; ჯაზის ხმებში, რომელიც ჰარმონიულად შედის მელოდიაში, ისმის ნაბიჯების ხმა _ იქიდან ჩუმად გამოდიან ალუდასა და მუცალის ლანდები, მერე ელვის უსწრაფესად გამოჩნდებიან ეშმაკის ლანდები და რქიანი დევები უკნიდან, სიზმარი მიდის.

- - - - -

-

წვიმა კლდეს რეცხავს, პატარა რუები მთის ნაოჭებში ჩადიან, ჰაერში მხოლოდ ბუნების ხმებია. ქვევიდან ნისლები ამოდიან ქედზე და უფრო ზევით იწევენ მწვერვალისაკენ. სადღაც მზე ატანს, ისევ იბურება. მერე ნისლი იყრის, ფერდის ნაოჭებში ჩამორეცხილი მიწა ჩანს, მზეს ისევ ეფარება ღრუბელი. გაღმა ფერდაზე ლოდზე დასობილან ჯიხვები, წინა ფეხები კლდის ქიმისათვისა აქვთ მიბჯენილი, ქვევით უფსკრული იწყება, ოდნავ შესამჩნევად მიდის წყალი. აქეთ, ქედზე, ალუდა ლოდს ფარად იყენებს და თხემ-თხემ უვლის ჯიხვებს, ბანდულები პიტალოზე ძლივს იკავებენ ფეხს; ახლა ჯიხვები გვერდიდან ჩანან, აქედან ეპარება ალუდა. დიდ ცხვრის ბოხოხს, რომელიც თავზე ხურავს, ბალანს აცლის და ქარს უშვერს. ბალანი ჯიხვებისაკენ მიდის; აქედან მიპარვა აღარ შეიძლება, სულ პატარა ქარსაც კი შეუძლია გასცეს მონადირე. ჯიხვებმა უკვე იყნოსეს საფრთხე და მწვერვალისაკენ იწევენ. მწვერვალი დიდია, მასიური. უზარმაზარი ზვავები ყრიან კლდის ნაპრალებში. ჯიხვები მწკრივად გადადიან თოვლზე, მერე ისევ კლდე იწყება, საჯიხვე ბილიკით. ისინი დინჯად და ამაყად მიდიან. შეუმჩნევლად ეპარება მთას სიბნელე, ნისლი მწვერვალებიდან ხეობაში იხევს, ის რძისფერი ხდება, მწვერვალის თავზე შავი ღრუბლები დაბოინობენ, ელვა უფსკრულს ანათებს. წვიმს. მეხის ხმა, ერთი და ძლიერი, ათას პატარა ხმებად იშლება მთებზე. ალუდას ლანდი, დაღლილი, გადადის ქედზე. ის ჯერ მხოლოდ ელვის დროს ჩანს, ქედზე უფრო ნათელია აქ, ელვის გარეშეც შეიძლება მისი გარჩევა. ჰაერში ერთმანეთს ცვლის წვიმის ტკაპუნი, ხეობის შრიალი და მეხის გრგვინვა, ხან სამივე ერთად ისმის. ქეთელაური ქედზე დგას; მის ქვევით უზარმაზარი შავი ლოდის სილუეტია. მკვეთრ ზიგზაგად იხატება მთელ ცაზე ელვა. ლოდიანზე ფეხებახლეჩილი დგას კაცი, მხარზე ჯიხვგადადებული. «უუ» იძახის ალუდა. კაცი არ იძვრის, მერე ერთმანეთისაკენ მიდიან. მეხი ახლაღა ვარდება. მათი ლანდები ერთმანეთს ხვდებიან. იმ სხვას მუცალის სახე აქვს, ის არის. ალუდა უხერხულად იღიმება, ისინი ხელს ართმევენ ერთმანეთს; ქეთელაურს მისი მარჯვენა ჩაუბღუჯია და არ უშვებს, ამღვრეული თვალებით უყურებს მას. ლოდიანის უკან მონადირეთა ნიშია, ნიშში ხმელი შეშა

აწყვია და კათხითა დგას წყალი. მუცალი ცეცხლს ანთებს, ალუდა წყალსა სვამს. ის დიდხანს სვამს. ალი ორივეს სახეს ანათებს. სახეები დამსკდარი და წითელი ჩანს. ნაკვერჩხლებზე ჯიხვის მწვადები იწვება. ნაკვერჩხლები დიდია, ვარვარა. ალუდა მწვადს ატრიალებს, ის შიშინებს, სკდება. შიშინი ძლიერდება. ახლა ალუდას თვალები მხოლოდ ნაკვერჩხალს და შამფურს ხედავენ. შამფურზე ჯიხვის ხორცის მაგიერ მუცალის მკლავია წამოცმული, მუცალი აღარსად არის, გაქრა. მკლავი სკდება, შიშინებს, თითები იკრუნჩხებიან. ისევ მხოლოდ შიშინი და ტკაცუნი ისმის. ალუდა გამალებული გლეჯს მარჯვენას, ჭამს და კიდევ შია. სახეზე ოფლს ასხამს. სადღაც კუთხეში მუცალის ახეული პირი და დაკრეჭილი კბილები ჩანს, ალით განათებული. ისმის ხარხარი. გარშემო შიშინია მწვადის, ნაკვერჩხალზე რამდენიმე შამფური დევს და რამდენიმე მტევანი იწვება, თითები იპრანჭებიან, ხარხარი ძლიერდება, ალუდა გამოხრულს აგდებს და სხვა მარჯვენას გლეჯს, სახეშეშლილი ბორგავს.

- - - - -

«მაროს ტირილის» მელოდია ადრინდელის გაგრძელებაა და დასასრულს უახლოვდება. ბერდედა მიმქრალ ცეცხლთან ზის და ყვინთავს.

- - - - -

თენდება.

გარეთ შატილი იღვიძებს. მზის სხივი ალუდას ბანს ურტყამს. შიგ შედის ჭერხოში. მოჩანს კოჭებზე ჩამოკიდებული ჭრელი წინდები, ძველი ტანსაცმელი, ნამგალი, იარაღი, გუდანურები. გარეთ კოშკზე ძვლად ქცეული მარჯვენები კიდია, ზოგი სულ ახალია, ხორცი კიდევა აქვს შერჩენილი, ძროხები შუკებში ერთმანეთს უერთდებიან. ისმის სალამურის ხმა. ბერიდედაკაცი შუაში გატეხილი ჯოხით უჯავრდება ნახირს. სადღაც ჭერხოში დედა სცემს შვილს. სალამურის ხმაში ფლოქვების ხმა იპარება, ახლა მხოლოდ ის ისმის. ბანზე ჩოლკიანი ქალები გამოდიან. საფიხვნო კაცებით ივსება. ვიღაც მეორედ ტენის ყალიონს. შუკაში ჭენებით ამოდის მინდია, ალუდა კოშკის თავზე დგას. მისი სახლი საფიხვნოს გვერდზეა, ხევსურები იშლებიან ადგილებიდან.

მინდია უნაგირზე ჩამოკიდებულ მარჯვენას ხსნის და ალუდასკენ იხედება გამარჯვებული, თანაგრძნობის გამომხატავი სახით. თემი დარცხვენილი უყურებს მას. სიჩუმეში ისმის ალუდას მკვეთრი ხმა.

_ თუ ხელის მოჭრა მდომიყო,

განვერ მოვსჭრიდი თავადა?!

მას სახე განრისხებული აქვს. გაკვირვებული ხევსურები დაბნეულები უყურებენ მას. მინდია დარცხვენილივითაა, ფეხდაფეხ მიჰყავს ცხენი ქვევით. უკან მდუმარე შატილის შუკა იკლაკნება; მოქნევით ისვრის მუცალის მარჯვენას ხევში. მერე ცხენს მოახტება და მიაჭენებს კლდეზე.

- - - - -

მკვეთრად ისმის საიდანღაც ხმა:

«წესი არ არის მტრის მოკვლა,
თუ ხელ არ მასჭერ დანითა.
ვაი ეგეთას სამართალს,
მონათლულს ცოდვა-ბრალითა.»

- - - - -

მთის ფერდობზე რამდენიმე ხე დგას, ხეებს შუა ხატია. ხატამდე გზა კლდიანია, იქაც მხოლოდ აქა-იქ მოჩანს მწვანე. ნიამორის რქები კოჭებზე მწკრივადაა დაკიდებული, ჯიხვის რქები პირდაპირ აჭედია ბოძებზე. უკანა ოთახიდან ბოლი ამოდის, ხატის გარშემო მთვრალი ხევსურები ყრიან. აქა-იქ ყელგამოჭრილი საკლავი გდია უპატრონოდ. ყველგან სისხლია დაქცეული. ქალები წაბლისფერი ჩოლკებით და ხევსურული ჩიხტაკოპებით ხატის მიჯნაზე დგანან მწკრივად. დასტურებს ლუდი მოუტანიათ, ასმევენ. ზოგ ქალს აღვირი უჭირავს, ცხენზე გადაკიდებული ხურჯინიდან საკლავს ამოუყვია თავი, დასტურს საკლავი მიჰყავს ზევით. ხევისბერი ვერცხლის შეწირულობით ახუნძლულ ჯამზე მიკრულ სანთელს ანთებს კვარით, საკლავს ავედრებს ღმერთს. მისი შემწირავის კარგად ყოფნას სთხოვს. სიჩუმეა. ისმის ხევისბერის ხმა:

_ ღმერთო, შეუნდე მზექალას, კარგად იყვენით, ქალებო!

_ მშვიდობა მოგცესთ, ჭირი გაშოროსთ! _ ბუბუნებენ ხატის წინ მდგარი ხევსურები, ზოგი მთვრალი ფეხზე დგება, ბუბუნებს და ისევ იძინებს. დაჩოქილი ხევისბერი კლავს საკლავს, სისხლი ასხამს გადაჭრილი ყელიდან. საკლავი მატულობს, დაკლულებს ატყავებენ, ზოგს იქვე აბამენ დაკვლის მოლოდინში. დილიდან მთვრალები იღვიძებენ. ღრეობა გრძელდება. დასტურები უზარმაზარ ლუდის თასებს დაარბენინებენ, ვიღაც არყის შესმაზე ამბობს უარს. დასტური კისერში ჰკიდებს ხელს და ძალით ასმევს. ის, ვინც ძალადობდა, მორჩილად სვამს. მერე სუფრასთან რაღაც ჩოჩქოლი ტყდება. ისმის ხევსურული სიმღერა, ის ხან მაღლა ადის, ხან ნელა გრძელდება, თავისთვის. ჩოჩქოლი ისევ წყნარდება.

- - - - -

გაღმა ფერდას ქეთელაური მოჰყვება, ვერცხლის იარაღში ჩამჯდარი. საბლით კურატი მოჰყავს, კურატი ხან მორჩილად მოსდევს, ხან დაიღმუვლებს და იქაჩება. ალუდა აუღელვებელია, კურატის ბრძოლას ვერც კი გრძნობს. ბილიკი ხევში ჩადის, კურატიანად იკარგება შიგ ალუდა.

- - - - -

ხევის თავზე, ხატის საზღვრის იქით, ვიღაცეები ეჯიბრებიან ჯირითში, უბელო ცხენებზე გადამსხდარნი. წაბორძიკებული ცხენი ერთს შორს ისვრის, ის წელმოთრეული დგება. ხატში სიცილია, მერე ღრეობა გრძელდება. ნელა უახლოვდება სამსხვერპლოს ალუდა.

_ მახველ მშვიდობით, ალუდავ, _ ისმის ბუბუნი ყოველი მხრიდან. ქეთელაურს პირდაპირ ხევისბერთან მიჰყავს კურატი. იქვე მხოლოდ რამდენიმე ხევსურია, სხვები ღრეობენ. ხევისბერი ხანჯალმოღერებული წყალობის სათქმელად ემზადება. ალუდამ უნდა უთხრას მისი სახელი, ვისაც სწირავს. სიჩუმეში ისმის მისი ხმა:

_ ეს სამხვეწროა, ბერდიავ, ძოღან მოკლულის ქისტისა; მუცალს ეტყოდენ სახელად. _ ხევისბერი იღუშება. ხევსურული სიმღერა იზრდება და ბოროტ ხმებს იღებს. იწყება თვალებით ბრძოლა. ბერდია, ჯაგარაშლილი, სიტყვას ამბობს დაბღვერილი, განრისხებული, ოღონდ ბუბუნით და ხმადაბლა. ალუდა ნელ-ნელა ხელდება. ყელმოღერებული კურატი ბღავის საზარლად, მელოდია დაგუბებულია რაღაც შინაგანი ძალით, რაღაცის მოლოდინში, და უცებ სკდება; გაცოფებული ქეთელაური ერთი მოქნევით ჭრის თავს კურატს. სამარისებური სიჩუმეა და ამ სიჩუმეში ისმის ხევისბერის შემზარავი ხმა:

_ გაგონილაა....

ხევსურები ადგილებიდან იშლებიან და რკალად ერტყმიან ალუდას. ის თავაწეული დგას. ხევისბერი ორივე ხელით უჩვენებს მასზე. წრე ალუდას გარშემო ვიწროვდება. სახეები ათასნაირია: ბოროტი, თანამგრძნობი, ბრიყვული, უაზრო. ხატის კართან თვალზე ცრემლმომდგარი დგას მეორე დიდი ვაჟკაცი მინდია, თორმეტი ქისტის შუბით მომკვლელი. მას დახმარება არ შეუძლია, თემი დიდია და ძლიერი, თემის წინ გამსწრებს ალუდას ბედი მოელის.

იწყება ოპერა «დაისის» უვერტიურა.

ქვევით, ხევში, ბავშვების ყიჟინი ისმის. ერთი, ჯოხის ცხენზე გადამჯდარი, მორბის ხატისკენ. ჯოხის ბოლოზე მარჯვენა კიდია, გაცვეთილი და უფერული. ვიღაც იხედება ბავშვისაკენ, სხვებსაც ახედებს. ბავშვი კბილებდაკრეჭილი მიდის თემთან. ყველანი მარჯვენას უყურებენ.

_ მუცალის მარჯვენა არის! _ აღელვებული ამბობს მინდია. ხატის გარშემო კუდაბზეკილი ძაღლები დარბიან. ხევისბერი მძიმედ მიდის მარჯვენისაკენ, ხევსურები გზას აძლევენ. ის იხრება, ხელში იღებს. უყურებს ზიზღით, მერე ძაღლს უგდებს. კუდაბზეკილი ძაღლი ყნოსავს, მერე კუდს ლაჯებშუა იკრავს, იყუჟება და წკავწკავით მიძუნძულებს მარჯვნიდან შორს.

_ ძაღლი ძაღლის ძვალს არა სტეხს. _ ბუბუნებენ ხევსურები. კლდეზე დაგდებული ნათრევი მტევანი გდია მარტო.

შატილში მშვენიერი დილაა. მთის ნაოჭებში ნისლები მიყუჟულან, ხეობაში კი მზეა, მხარზე თუნგშედგმული ქალები წყალს ეზიდებიან ზევით. ისინი სულ მაღლა ადიან შუკით. ახლა შატილი ქვევიდან ჩანს. შატილის წყლის მხრიდან ატყორცნილ კლდეზე სამ-ოთხსართულიანი კოშკებია ამოსული. კოშკის ბანებზე სიცოცხლეა. ქვევიდან ჩანს: პატარა გოგო მორბის ბანზე უფსკრულისაკენ, გადასავარდნამდე ერთი ნაბიჯით იქით ჩერდება, ქვევით იყურება, იქ წყალი მიდის ვიწრო ზოლად.

- - - - -

ბავშვი თავსა სწევს და იღიმება. იქითა მხარეს საფიხვნოა, ის სავსეა კაცებით. ისმის წიტების, ხველების ხმა და ამოდის ბოლი. საფიხვნოს გვერდზე ჩანგრეული კოშკი დგას, შებოლილი კედლებით. კედლებზე აქა-იქ მოჩანს გარუჯული ძვლადქცეული მარჯვენა. ეს ალუდას ნასახლარია.

- - - - -

მზე მაღლა ადის, მერე ქვევით ეშვება. ოპერა «დაისის» უვერტიურის წყნარი ნაწილი თავდება. აქა-იქ ქარი ნაშალი კლდის მტვერს შლის და წუის. მელოდია უფრო მაღლა ადის, ქარი მატულობს, უფრო მატულობს, ტორტმანით მიდის ალუდა ქედისკენ. მელოდია ზიგზაგებით ადის მაღლა, ჩუმ ნაწილში ქარის ხმა განსაკუთრებით ძლიერად ისმის. ქეთელაურის მარტო ზურგი ჩანს. ქედზე ნისლები ბოინობენ, ზოგჯერ იხსნებიან, ნახლეჩში ჩანს, რომ ხეობაში მზეა, ისმის ცხენების შემზარავი ჭიხვინი და ქალი წვრილი, კივილისნაირი ხმით ჰყვება მუსიკის ხმას. ახლა ერთად მოჩანს ალუდას მხრები და ზევით, კლდის ქიმზე, მორთხმული ლელას წყლიანი თვალები. ბავშვები თმებზე ეჭიდებიან დედას. ქარი სერავს ყველაფერს, ცაზე ელვა იკლაკნება, შავი ღრუბელი დევების ფორმას იღებს, იშლება, მერე თმებგაწეწილ დედაბერს ემსგავსება. ქარის ქროლვაში ქიმზე დედაბრის სილუეტი

მოჩანს. ხელები, გრძელი თითებით, სადღაც შორს მიდიან, ძონძად ქცეული კაბა და თმები ქარისაგან წინაა გაწელილი. გრძელი თითები ელვასთან ერთად იკლაკნებიან. ქალის ხმა, რომელიც მუსიკას მიჰყვება, ზარში გადადის. კივილთან ერთად ისმის შემზარავი ჭიხვინი. ყველაფერი გახელებულია. ელვაზე ქეთელაურის ზურგის სილუეტი ჩანს, რომელიც კიდევ მაღლა მიდის.

- - - - -

-

ხეობაში თოვლი მოდის. უჩვეულო სიწყნარეა. სიწყნარეში დაშვებული მელოდია წყნარადვე გრძელდება. თოვლზე მოჩანს შიშველი ფეხების ნაფეხურები. ძველ ნაფეხურებს თოვლის ფიფქები ავსებენ, ისინი /ფიფქები/ არიან დიდი და დინჯი. წინ ახალი ნაფეხურები ჩანს. ხეობაში ფეხმძიმე ქალს /ზურგიდან ის ლელასა ჰგავს/ მიჰყავს შვიდი წლის ფეხშიშველა ბიჭი. მათი ტანსაცმელი ძველია, დაკონკილი. შორს მოჩანს დათოვლილი შატილის კარები, ისინი უახლოვდებიან მას და იკარგებიან შიგ. უკანასკნელ ნაფეხურებს თოვლი ავსებს.

დასასრული.

[1957 წელი]

ბ ე ვ რ ი ბ ა ვ შ ვ ე ბ ი ე რ თ ა დ

(ანუ დღე შუადღის შემდეგ, მთელი ღამე და დილა)

თქვენ ახლა ნახავთ ბავშვების დაუსრულებლად ბევრ, ბედნიერ, მოღიმარ სახეს, ნახავთ თავშეუკავებელ ხარხარს, მათ თამაშობებსა და თავისებურ, ატეხილ ლხინს.

ნახავთ, აგრეთვე, პატარების განცდათა დიდ სიღრმეს, გონების სიმახვილესა და უცნაურ, დიდებისათვის თითქმის გაუგებარ, სევდას, რომელსაც მათი ბუნება ყოველთვის გართობის საფარველში ახვევს ხოლმე.

ყველაფრის სიმხიარულით გამოხატვა არის მათი უპირველესი თვისება.

ჩვენც აქედან დავიწყოთ.

შეხედეთ მათ სახეებს.

ეს-ეს არის დამთავრდა გაკვეთილები.

მოჩანს:

სკოლის საპარადო განიერი კიბე.

კიბე გაჭედილია ყველა ასაკის ბავშვებით.

ბავშვები სხედან მოაჯირებზე, ფანჯრებზე, კიდიან საფეხურების უკანა მხრიდან გამოშვერილ რელსებზე.

მიდის ბავშვების მიმიკებით თამაში.

ამ მოზღვავებული ჯგუფის შუიდან დგება სწორად გადავარცხნილთმებიანი გოგო, რუსიკო, იყურება ხელოვნური სიმკაცრით, ყელზე უკეთია პიონერის ყელსახვევი:

ორჯერ ზედიზედ უკრავს ტაშს.

საშინელი ხარხარით ივსება მთელი გარემო.

იცინიან გულის შეწუხებამდე კიბეზე მსხდომნი.

სიცილისაგან დაუძლურებულები ცურდებიან მოაჯირებიდან,

ვარდებიან რელსებიდან. იცინიან მსუქნები, გამხდრები, შედარებით პატარები, შედარებით დიდები.

უცებ სწრაფი მოძრაობით ისევ იმართება ის გოგო, თვალის დახამხამებაში იღებს ადრინდელ შეკრულშუბლიან სახეს.

ისევ ორჯერ უკრავს ტაშს:

ახლა სასოწარკვეთით ღრიალებენ ბავშვები, ტირიან ცრემლებამდე, მოთქვამენ, უწითლდებათ თვალები.

რუსიკო ისევ უკრავს ტაშს:

ამჯერად პატარები დგებიან ადგილებიდან და ღრმად სერიოზული სახეებით დააბიჯებენ ტალანში, კიბეებზე; დააბიჯებენ გულხელდაკრეფილები, ხელებუკანდაწყობილები, დოინჯით.

შუა თამაშში:
დერეფნის ორივე ბოლოს მოსახვევთან ჩასაფრებული (ატანდაზე) ბიჭი და გოგო ატეხენ განგაშს.
ბავშვები წამოავლებენ ჩანთებს ხელს.
გარბიან ქუჩაში.

ისევ იღებენ იმ შეთქმულთა სახეებს, რომლებმაც, რადაც არ უნდა დაუჯდეთ, უნდა განაგრძონ თამაში.
წამით ეშმაკურად ინაბებიან.
მეორე წუთს: ეწყობიან ერთ მწკრივად. ჩანს: დიდი კაცის სერიოზული ჩრდილი, რომელსაც თითის წვერებზე სათითაოდ მისდევენ ბავშვების ჩანთიანი ჩრდილები.

დიდის ჩრდილი ნელა აბრუნებს თავს:
პატარების ჩრდილები იფანტებიან.
დამფრთხალი ბავშვები სიცილით გარბიან ყველა მხარეს,
ცოტა ხნის შემდეგ ისევ ერთად იყრიან თავს.

ვიღაც მოხუცი კაცის გაოცებული, კომიკური ჩრდილის წინ უცებ ეცემა ბიჭი. ეს ბიჭი არის გიზო. მას ზემოდან აყრიან ჩანთებს და ფარავენ.
წინ გამოდის მსუქანი, თუხთუხა გოგი, თვალებზე ცრემლი ადგება. ლაპარაკობს სასაცილოდ, თითქმის სლუკუნით: «აქ დაეცა გაკვეთილების გმირულად ხუთებზე ჩაბარების შემდეგ ბიჭი გიზო. მადლიერმა კაცობრიობამ სკოლის ჩანთებით შეამკო იგი.»

ისმის სტვენა.
უსტვენს ვასიკო _ პატარა, დიდყურება, წრიპინა.
ყვირის: არიქა, გიზოს დედა!

ზედიზედ იტაცებენ ხელები ჩანთებს.
წამოხტება გიზო, აიტაცებს თავის ჩანთას, თავქვეშ რომ ჰქონდა ამოდებული. გარბის.

გარბიან ყველანი სხვადასხვა მხარეს.

ისმის ხმა: ბავშვებო, ყველანი სახლებში!

ჩანს: ცარიელი სკოლა, დაცარიელებული ქუჩა, ასეთივე ეზოები.

ტექსტი: ამ დროს ბავშვები საუზმობენ და შემდეგ იწყებენ საშინაო დავალების მომზადებას. არავინ აღარა ჩანს გარეთ.
სინამდვილეში
ჩანს: დიდი სტადიონ-ეზოს კუთხეში ზის ე.წ. ქუჩის ბიჭი სოსო, იფურთხება მზესუმზირას, ხელში უჭირავს შურდული, ესვრის სხვადასხვა მომენტებში მოძრავ ან მწოლარე კატებს და დიდებულად ერთობა მარტოკა.

ტექსტი: ოჰ, უკაცრავად, ეს გამონაკლისია. თქვენ ნახავთ, რა კეთილსინდისიერად ამზადებს გაკვეთილებს გოგი.

სინამდვილეში

ჩანს: გოგი ორივე ხელით იტენის პირში საჭმელს და ილუკმება.

ტექსტი: ოჰ, არა, არა, არა, სულ დაგვავიწყდა, რომ ეგ ღორმუცელაა. აი, ახლა გიჩვენებთ ორ ფრიადოსანს, რომლებიც სულ ერთად ამზადებენ გაკვეთილებს.

ჩანს: გიგული /მიმიკების დიდი ოსტატი/ და ვასიკო.

გიგული თითების წყობით აკეთებს კედელზე ჩრდილებს _ ფიგურებს, ვასიკო წრიპინა ხმით ახმოვანებს.

ტექსტი: ოჰ, დღეს რაღაც არ გვიმართლებს, მაგრამ მე მეგულება ერთი გოგონა, ის ყოველ მიზეზგარეშე გაკვეთილების სწავლით იქნება გართული.

ჩანს: ირინას ოთახი.

კედლებზე ხატია ათასი უცნაური რამ და კიდია სურათები: ქალების რომანტიკული პორტრეტები, მეკობრეები, პაპუასი, კიდია, აგრეთვე, მარაო-ქოლგა.

ტექსტი: ხედავთ ირინას? ხომ გითხარით!

ჩანს: ირინა, პატარა თხელი გოგონა, ამაყი, ჭკვიანური სახით, ზედმიწევნით ნაზი, ჩაჰყურებს სახელმძღვანელოს, კედელთან გაივლის დედის ჩრდილი და გავა მეორე ოთახში.

ირინა უცებ ხურავს სახელმძღვანელოს. მის ქვეშ ამოდებული წიგნიდან ჩანს რაღაც ბრძოლის სურათი _ უცხო ილუსტრაცია ალბომიდან.

ტექსტი: ოი, ოი, აღარ შეხედოთ, სულ დაგვავიწყდა, ეგ ხომ ცნობილი თავგადასავლების მაძიებელი გოგონაა. სულ ეჩვენება, რომ იტაცებენ და, მოტაცებულს, ღირსეულად უჭირავს თავი. ჯობია, ისევ გარეთ გამოვიდეთ საყოველთაოდ ცნობილ ცუღლუტებთან.

ჩანს: ეზოში სოსო შურდულით ქვას ესვრის კატას.

ჩანან: დათო და მიშა სახურავზე.

დათო არის დიდი, დიდთავა დეფექტური ბიჭი.

მიშას აშკარად მლიქვნელის სახე აქვს, მოძრავი, შეწუხებული, მოღიმარი, ვერ ისვენებს ვერც ერთი წამით. ჩუმად ჩქმეტს დათოს, აწვალებს, რადგანაც იცის, რომ იგი ვერაფერს ავნებს.

სამაგიეროდ, აღტაცებულია გურამით.

გურამი წითელ თუნუქზე ცარცით ხატავს ბატალურ სცენებს:

სოსო ახრჩობს კატას.

სოსო შურდულით მისდევს კატებს.

სოსო ცოცხლად აძრობს კატებს ტყავს.

ნახატები გამოირჩევა კატების უცნაური მრავალფეროვნებით.

ამ დროს გაირბენს ცოცხალი კატა,

სოსო ესვრის ქვას ქვევიდან,

ქვა სახურავზე ვარდება.

«სოსოა, სოსო!» აღტაცებულია ისევ მიშა.
დათო წაწვება და თავს გადაყოფს.
სოსოს ისევ კატა ჰგონია და ესვრის ქვას.
«სოსო, სოსო», ყვირიან მიშა და დათო.

სოსო კისერზე ჩამოიკიდებს შურდულს.
თვითონ კატასავით მიძვრება საწვიმარი მილით სახურავისაკენ.

ბოლოს უჭირს.
სამივეს დახმარებით მაინც აძვრება.

_ შენ ეი, რა თეთრი ხარ, თეთრ პერანგში, დედას ბიჭივით. _ აძრომისთანავე ისვრის ის გურამისაკენ.
მიშა ზურგზე ჩამოუსვამს ნახშირის ნატეხს,
გურამი იღუშება და იღიმება, თვითონაც ეხმარება მიშას საკუთარი თავის გაჭუჭყიანებაში.
_ აი, აგრე, _ ამბობს სოსო, _ ახლა ცოტა გაშავდა.
_ ეყოფა? _ კითხულობს მიშა.
_ ეყოფა, ნამდვილი ძველი ბიჭი გახდი. _ სოსო გურამს თავზე ქუდს ჩამოაფხატებს. მხატვარი ხარ და არ იცი, ფერს რამდენი შეუძლია, ვინმეს დედალი ეგონებოდი.

უცებ სოსო ხელით ანიშნებს ბიჭებს ჩაწვნენ.
ბიჭები თუნუქს ეკვრიან.
სახურავის თავზე მტრედები იწყებენ ტრიალს.
სოსო წამით ჩამომჯდარ მტრედს მოხერხებულად იჭერს.
ქვევით: ეზოში გამოდის გოგი, პირი საჭმლითა აქვს გამოტენილი, ხელები _ მოთხვრილი მელნით.
ჰაერში ისევ ტრიალებენ მტრედები.
გოგი ოთხივე თითს იდებს პირში, უსტვენს, ტუჩები მელნით ეღებება.

სოსო სამტრედეში ჩამწყვდეულ მეორე მტრედსაც იჭერს.
გოგი ითვლის ჰაერში მოტრიალე მტრედებს;
ისევ ითვლის და სულ ორი აკლია.
მიხვდა.
იხედება სახურავისაკენ, _ ააა, _ ამბობს ხმადაბლა, იქ გაიელვებს დათოს თავი და გაქრება.

გოგი თუხთუხით შერბის სადარბაზოში.
აკაკუნებს სხვადასხვა კარზე.
კარებიდან გამორბიან გოგოები, გამორბიან ბიჭები. ყველას ეტყობა, რომ ეს-ეს არის დაამთავრეს გაკვეთილების მომზადება.
ზოგს ხელები აქვს მელნით მოთხვრილი, ზოგი წიგნს კეცავს. გოგი ხელით ანიშნებს ყველას, რომ ჩუმად იყვნენ.
ნიშნებით აცნობს მოქმედების გეგმას.
ვიწრო კიბით ფეხაკრეფით მიიწევენ სამტრედისაკენ.

ამ დროს სოსოს კამპანია მშვიდდება.
გოგი აღარ არის ეზოში, ყველაფერი რიგზეა!
შერჩებათ მტრედების აწაპვნა _
გურამი ხატავს ხალხმრავალ სტადიონს, სადაც მტრედები უნდა გაუშვან.
გაწოლილი სოსო ტრაბახობს:
_ უჰ, ერთი ჩამაგდებინა ხელში ის მაბეზღარა ხოზო!
გურამი ხატავს, რასაც უზამდა იმ მაბეზღარას სოსო. ნახატი საკმაოდ კომიკურია. ყველანი აღტაცებით უყურებენ ნახატზე გამარჯვებულ სოსოს.
_ ეს ხელოვნება მე მეკუთვნის, _ მხარზე ხელს არტყამს სოსო გურამს. უბიდან ორივე მტრედის ბოლო მოუჩანს.

უცებ გაირბენს კატა.
სოსო ერთი ნახტომით დაეწევა.
კატა გარბის სამტრედისაკენ: აქ ბავშვები არიან ჩასაფრებული.

სოსო დაიჭერს კატას.
გოგი დაიჭერს სოსოს.
ჩოჩქოლია.
ბავშვები დასდევენ და დანარჩენ სამ ბავშვსაც იჭერენ.
აჰყავთ სხვენში.
აქ ოთხ აბლაბუდიან ბოძზე აბამენ ოთხივეს.

გოგი «ჩაჭმუჭნულ» მტრედებს თავისი ხელით ათავისუფლებს. მტრედები ირაოებით მიდიან ჰაერში.

ბავშვებს მოაქვთ და წითელი ყელსახვევებით დაფარულ ყუთზე აწყობენ მტრედის ბუმბულს, ერთ მკვდარ ჩიტს, იქვე აბამენ ერთ ფეხმოტეხილ და ერთ ყურმოჭრილ კატას, აგრეთვე, ცოცხალ ქათამს, რომელიც სანახევროდ გაპუტულია.

ეწყობა სასამართლო.
გოგი მოსამართლეა, რუსიკო _ პროკურორი, ვასიკო _ მსაჯული.
_ ეგენი დამცველის ღირსნი არ არიან, _ ასეთი აზრია დარბაზიდან.

გოგი: თქვენ წინ არის ოთხი აგრესორი.
დათო: მე არა ვარ აგრესორი!
გოგი: სულერთია, მათთან ხარ შენც მიკრული, ამხელა ბიჭი!
გურამი: არც მე ვარ აგრესორი, მე მხატვარი ვარ.
რუსიკო: მოსამართლის ნებართვით ვუპასუხებ.
გოგი: გთხოვთ.
რუსიკო: აგრესორის განკარგულებაში მყოფი ხელოვანი, აქ ვხედავთ მის ნახატებს, _ ჩხირით ხატია მტვერზე, _ თვითონაც აგრესორია, შეიძლება უარესიც.

სოსო: /ამაყად/ რისი გეშინიათ? დიახ, მე ნამდვილი აგრესორი ვარ, თუ კარგია და აგრე გინდათ.

მიშა: მეც, მეც!

სოსო: გიხაროდეთ, აბა რა, ჩვენ ოთხივენი აგრესორები ვართ!

დათო: /დაეჭვებით/ მართლა? რა არის აგრესორი, გოგი? არც ისე ცუდია? თუ პირიქით, კარგიც არის. /უყურებს სოსოს. სოსო ამხნევებს/.

გოგი: /მორცხვობს/ კარგად არ ვიცი, რა არის, რუსიკომ იცის.

რუსიკო: /იბნევა, მაგრამ ისევ სწრაფად იღებს მკაცრ სახეს/. ჩვენ ვალდებულები არა ვართ განვუმარტოთ მაგათ, რა რას ნიშნავს. ერთი რამ ცხადია _ აგრესორობა კარგი არ არის.

გოგი: ჯობია გავაგრძელოთ სასამართლო.

დარბაზიდან: გავაგრძელოთ, გავაგრძელოთ.

იხილავენ დასასჯელთა «ბიოგრაფიებს».

გოგი: რა სასარგებლო საქმეს ეწევა ბრალდებული სოსო?

სოსო: ათავისუფლებს ეზოს სხვა ეზოს კატებისაგან.

გოგი: ვისია ეს კატა? /უთითებს ფეხმოტეხილზე/.

სოსო: /იმრიზება/.

ხმები: ჩვენი ეზოსია!

გოგი: გაჩუმდით! /გიზოს. ის მდივანია/ ჩაწერე ერთი ეს ფაქტი /გიზო წერს ჩხირით მტვრიან კოჭზე, გურამის ნახატების ქვევით/.

გოგი: რატომ დაიჭირე მტრედები?

სოსო: /თავხედურად/ ვწევდი მაგივრობას იმ კატების, რომლებიც დავხოცე.

გოგი: აჰ, ასე პასუხობ?! /დარბაზს/ რას უშვრებოდა სოსო მტრედებს?!

დარბაზი: აცლიდა ბურტყლებს.

გოგი: კბილი კბილისა წილ, მიესაჯოს სოსოს ყოველი დამსწრესაგან თითო ღერი თმის ამოცლა.

სოსო: /ყვირის/ ეს რა სამართალია!

სხვები აცლიან თმას და ხარხარებენ.

სოსო ატირდება.

გამოდის აქამდე ნახევრად მიმალული ირინა და დამცინავად უყურებს მას, _ «მტირალა!» _ უყოფს მას ენას.

გოგი ანიშნებს ყველას, არავის გაუმხილონ დამნაშავეთა აქ დაბმის ამბავი; დაბმულებს კი აძლევენ დროს მოიფიქრონ, რა ურჩევნიათ: ქუჩის ბიჭობა, აგრესორობა თუ ეზოს ბიჭობა, მოშინაურება.

_ ეზოს ბიჭობა, ეზოს ბიჭობა, _ ბლუკუნებენ ატირებული დათო და შეშინებული მიშა.

_ ფუჰ, ეს რანაირი ქუჩის ბიჭები არიან, _ გოგის გასაგონად ამბობს რომანტიკულად განწყობილი ირინა და იმრიზება. _ აი, მე ვნახე გუშინწინ ისეთი კარგი ყოჩაღი ქუჩის ბიჭები, _ უმატებს ის.

გოგი ყურებს ცქვეტს.

ეტყობა, ყველანაირად უნდა, ირინას წინაშე ვაჟკაცი გამოჩნდეს.

_ საღამომდე ყველას დაბმულს ვტოვებ, _ ამბობს გოგი.

ყველანი ჩარბიან ქვევით. ქვევით ჩარბენის წინ ეჯღანებიან დაბმულებს.

_ მაინც რა ბიჭები ნახე ისეთი? _ ეკითხება გოგი ირინას, რომელსაც არ დაავიწყდა მისი სიტყვები. გოგი ნაწყენ-გაბერილია, ისინი დგანან ჩამოსასვლელთან.
ირინა სარგებლობს ამით და იპრანჭება /საკმაოდ ზომიერად, ოღონდ გამომხატველად/.
_ შენ ვერასოდეს იქნები ისეთი.
_ რატომ? _ ათუხთუხდება გოგი. _ არც მინდა, არც მინდა!

აქეთ, შუა ეზოში:
იწყება «მრგვალი ვირის» თამაში.
ბავშვები გაჰყვირიან ისეთ სიტყვებს, რომ სხვენში მიბმულები გააბრაზონ: _ უჰ, რა ამინდია, რა სათამაშოა, რა კატამ გაირბინა და სხვა.
მორბის გოგი, მას სხვის მაგიერ უცებ აყენებენ «დედად». გოგი ძალ-ღონის დაუშურებლად, აქლოშინებული თამაშობს.
/მიდის «მრგვალი ვირის» თამაში მთელი წესების დაცვით/.

გოგის თავიდან არ შორდება ხმა:
«ალბათ, იმიტომ იყვნენ კარგი ბიჭები, რომ ყველას სცემდნენ».
თამაში უფრო ხმაურიანი ხდება.
«მეც ყველას ვცემ, მეც ყველას მოვერევი», _ უტრიალებს გოგის თავში ეს აზრი.
უცებ «დედა»-გოგის ვასიკო წრიპინით მოახტება ზურგზე. «ესეც შენ», გაწითლდება გოგი.
«ყოჩაღ, ვასიკო, ვასიკო, ვასიკო!», _ წვრილი ხმით აქებენ ბიჭები. გოგის თვალები, რომელსაც ზურგზე ვასიკო ჰკიდია, ხვდება ირინას დამცინავ თვალებს.

თამაშის წესების მიხედვით, გოგიმ ხაზს გარეთ უნდა გაიყვანოს ვასიკო, მაგრამ ხაზთანვე ბრაზდება და ზურგიდან შორს მოისვრის, «ალბათ, ყველას სცემდნენ ის ბიჭები, ირინას რომ მოეწონა», _ ისევ გაუელვებს გოგის თავში.

იქით ვასიკო დაეცემა და წრიპინით ტირის.

_ ე-ე! _ არენაზე გამოდის შედარებით დიდი ბიჭი, ედიშერი. იგი აქამდე არაფერში არ ერეოდა.
თამაში ჩერდება.
ყველანი გოგისა და ედიშერის გარშემო იყრიან თავს.

_ რა «ე», _ თუხთუხებს გოგი.
_ ხოზო! _ ეუბნება ედიშერი.

_ ჩემზე დიდია, თორემ ვცემდი, _ იხედება ირინასაკენ გოგი.
ედიშერს უკანიდან ხელს ჰკრავენ.
ეჯახება გოგის.
გოგი, თავის მხრივ, ოდნავ ჰკრავს ხელს ედიშერს.

_ აბა, კიდევ მკარი, _ იჯგიმება ედიშერი.
ახლა გოგის ჰკრავენ ხელს, ის ეჯახება. _ კიდე, აბა, _ გამომწვევად ამბობს ედიშერი და თან ვერ ბედავს ჩხუბის დაწყებას.

_ გაგკრავ კიდევაც, _ თამამდება გოგი.
_ აბა, მკარი, _ იმეორებს უკვე შეშინებული ედიშერი.
_ გკრავ.
_ მკარი.

გოგის ხელს ჰკრავენ და ახლა უკვე მაგრად ეჯახება ედიშერს.
ედიშერი ხელს არტყამს მკერდში.
ირინა ირონიულად იცინის.

გოგი უცებ მთელი ძალით მივარდება მოწინააღმდეგეს, დააგდებს ძირს და სცემს.
ედიშერი დაბნეულობისაგან სუსტად უმკლავდება.

სხვები: ყვირიან, ტრიალებენ, უსტვენენ, ამხნევებენ.
საკუთარი ძალით აღფრთოვანებული გოგი ირინასკენ იხედება.
_ ვითომ ჩემზე კარგი მოჩხუბარი იყო ის ქუჩის ბიჭი? _ ისმის მისი ხმა.
_ მა რა, აბა რა, _ იპრანჭება ირინა.
გოგი უცებ შეუშვებს ხელს ედიშერს. ჩააფრინდება ირინას და კიბისკენ გაარბენინებს.

ბიჭები განაგრძობენ «მრგვალი ვირის» თამაშს.

თამაშის ფონზე მოჩანს:

ედიშერი ილურსება ბოძთან.
ვასიკო შანსიანად ტრიალებს მის წინ და ენას არ აჩერებს:
_ ეგ რა ცემა იყო, ვითომ მოგერია... არც ითვლება ეგ ცემად, არც კბილი ჩამოუგდია, არც ტუჩი გაქვს გახეთქილი, ცხვირიდან სისხლი კი ჩხუბში, შენც იცი, არ ითვლება, არა?!
ედიშერი ძლივს ითმენს მის ეშმაკურ თანაგრძნობას, მერე წამოარტყამს და ლაპარაკის აზარტში შესულ ვასიკოს იქით ისვრის.

ამ დროს:

სადარბაზოდან გაპრიალებული ფეხსაცმლებით პაკაპუკით გამოდის, უნაკლოდ გამოწყობილი სათვალიანი ბიჭი ტატული; მას ხელში უჭირავს ბრტყელი სანოტე, კომპოზიტორის პროფილით.
ვასიკო სწორედ ტატულის ფეხებთან ეცემა.
დაცემისთანავე წამოხტება და სიცილით შეუყეფს: «აუ-აუ», _ მისი ყეფა წრიპინივით ისმის.
ტატული გაიქცევა, ვასიკო გამოუდგება, გათამამებული, მერე გაჩერდება, დოინჯს შემოიყრის და კმაყოფილი უყურებს როგორ გარბიან მისგან.

გოგი ირინას მიარბენინებს კიბეზე.
სხვენთან გაჩერდებიან.
_ რითი მჯობია მე ის ქუჩის ბიჭი, შენ რომ ნახე, _ გულუბრყვილოდ, გაბრაზებული ეკითხება გოგი გოგონას.
_ გჯობია, გჯობია, არ გეტყვი რითი, _ გულუბრყვილოდვე იპრანჭება ირინაც.
_ მაშ შენ ჩემი ამხანაგი არა ხარ, _ თუხთუხებს გოგი.
_ შენი ამხანაგი ვარ, მაგრამ ის უფრო ყოჩაღი ჩანდა, აი, ასეთი, _ ირინამ ისეთი პოზა მიიღო, თითქოს თვითონ იყოს ტანწერწეტა ბიჭი.
_ ხოზო რო ვარ?! _ აჭარხლდა გოგი, _ მე, მე ყველასა ვცემ, იმასაც ვცემ, მე ყველა ქუჩის ბიჭებზე მეტი ქუჩის ბიჭი გავხდები, ვიოლინოზე ხომ აღარ ვუკრავ? ეს ერთი! _
ირინას უცებ ეშმაკური სახე გაუხდება, გოგისაკენ გადაიწევა და ყურში ეტყვის:
_ იცი მამაჩემი როგორი კაცია?
_ როგორი?!
_ დედაჩემს მოჰკიდა ხელი და მოიტაცა.
_ მარტოკამ?
_ არა, ამხანაგებთან ერთად.
_ სკოლიდან?
_ არა, საკუთარი ეზოდან.
_ ნამდვილად იცი? საიდან იცი?!
_ სულ ჰყვებიან ხოლმე დედაც და მამაც სადილის შემდეგ.
_ მერე, მერე?!
_ ალბათ, ის ქუჩის ბიჭიც ისევე მოიტაცებს თავის ცოლს.
_ ვერაფერსაც ვერ მოიტაცებს ის!
_ მოიტაცებს!
_ ვერა!
_ მოიტაცებს!
_ ვერა!
_ მაშ, ვინ მოიტაცებს?!
_ მე!

_ ეეე-უ, გოგი! _ ისმის ბოძზე მიბმული სოსოს ხმა სხვენიდან.
გოგი მაგრად სტაცებს ირინას ხელს და იქითკენ მიათრევს.

ქვევით, ეზოში:
პატარები კვდებიან სიცილით.
წრის შუაგულში სკოლამდელი გიგული მიბარბაცებს, ჰბაძავს მთვრალს.
_ გენაცვალე სულში, _ ბუტბუტებს ის და თვითონვე უკეთებს კომენტარს: _ ასეთი იყო გუშინ მამაჩემი, _ აგრძელებს გამოჯავრებას:
_ შენა ხარ ჩემი საყვარელი მეუღლე, უსაყვარლე-სი, _ ხვევს მხარზე ხელს მასზე გაცილებით მაღალ გოგონას, ლიას.
_ შენ კი, _ ყვრიმალში ამოსდებს ხელს ვასიკოს, _ ჩემი უსაყვარლესი, უმამაცესი, უვაჟკაცესი... უუმამაძაღლესი, საკუთარი ვაჟი გი-გული,

რომელიც ამასაც მირჩევნია, _ უთითებს ცოლზე, _ და ამასაც, _ ხელს იშვერს მზიასკენ.
ბიჭები შეუჩერებლივ იცინიან.

_ ტატული, ტატული, _ მზრუნველი დედის სახით შემოდის რუსიკო წრეში, მიდის გიგულისკენ.
გიგული იბერება, სერიოზულდება, იწკიპება გარეგნულად, იღებს მევიოლინის სახეს, ვიოლინოს ნაცვლად იჭერს რაღაც მუყაოს ნაჭერს და «დედისაკენ» მიდის ნამდვილი ტატულივით.
«დედა» განაგრძობს: შენ, ჩემო ბიჭო, ანგელოზო, მჯობთა მჯობო ყველა ვიოლინოზე დამკვრელისა, ყველაზე ლამაზო და ჭკვიანო ტატული, ტატული...
რუსიკო ლოყაზე უჩქმეტს გიგულის, ოღონდ ოდნავ უფრო ძლიერად, ვიდრე თამაშს შეეფერება.
გიგული ენას გამოუყოფს და თმას მოსწიწკნის მისკენ დახრილ რუსიკოს, რომელსაც თმა ზედმიწევნით წმინდადა აქვს დავარცხნილი.
რუსიკო სტაცებს ხელს და ერევა გიგულის, გიგულის მიეხმარება ვასიკო.
რუსიკოს მიეხმარება ლია.
ბიჭს ეხმარებიან ბიჭები, გოგოს _ გოგოები.

მათ შორის ხელჩართული ომის დაწყებამდე ჩანს:

ეზოს ერთ კიდეში, ისეთ ადგილას, რომელსაც ყველა მხრიდან კარგად ვერ დაინახავთ და საიდანაც, თავის მხრივ, ყველაფერი მშვენივრად მოჩანს, დგას ორსართულიანი ვიწრო საქათმე, ქვედა სართულში შეყრილები არიან ინდაურები და ერთი გოჭი, იქვე, გარეთ, აბია საჩხუბრად მომზადებული ყოჩი, მეორე მხარეს ზის ეზოს ძაღლი ყურშა.
ზედა სართულში შეყუჟულ პატარა ვარიკებს შორის ამაყად დადის წითელბიბილოიანი დიდი მამალი.
საქათმის თავზე ზის ფეხმორთხმული, ტანად ძალიან პატარა ბიჭი ლევიკო, მოღერებული ყელით და ამაყი სახით, იგი ხანდახან იღიმება; მიუხედავად თავისი ჩუმი უცნაურობისა, აბსოლუტურად არ ტოვებს არანორმალურის შთაბეჭდილებას _ უფრო, პირიქით.

ტექსტი: ერთი წამით, ერთი წამით გამოეთიშეთ ყველაფერს. შეხედეთ ამ პატარა, განმარტოებულ მეოცნებეს, ნახეთ, რა საინტერესოდ აღიქვამს მისი კეთილშობილი, ნაზი და სულის სიღრმეში ვაჟკაცური ბუნება გარემოს.

ლევიკოს უკან წამოყუდებული სახლის კედელი გადაიქცევა სალ კლდედ, ლევიკო თავად _ მიჯაჭვულ ამირანად, ხოლო ეზოს ძაღლი _ ცნობილ ყურშად.

ტექსტი: მისი არსება ყოველთვის შეპყრობილია რაიმე დიადისა და კარგის გაკეთების სურვილით, მაგრამ სუსტია და პატარა იგი ფიზიკურად,

ამიტომ ყოველთვის თავისი საყვარელი ზღაპრის გმირის, მიჯაჭვული ამირანის, მდგომარეობაში წარმოიდგენს ხოლმე თავს.

ეზოში ჩანს: ბიჭები ცალკე გავიდნენ, გოგოები ცალკე. მერე დაერივნენ ერთმანეთს და ხელჩართული წეწვა-გლეჯა ატეხეს.

ლევიკოსთან: მთელი სხეული ეძაბება, ცდილობს, ფეხზე წამოდგეს, რომ გააშველოს ისინი, მაგრამ ჯაჭვები არ უშვებს. ყურშა ლოკავს ჯაჭვს და თითქმის გაწყვეტამდე ათხელებს.

ტექსტი: ლევიკოს გონება ბიჭებისა და გოგონების შეტაკებას ისე აღიქვამს, როგორც ახლად წაკითხულ ლეგენდას ამორძალებისა და მაკედონელის ჯარების შეტაკებაზე.

ეზოში ბრძოლა მწვავდება, ბევრი უსულოდ ეცემა ძირს.

ლევიკოსთან: ესმის იარაღის ჟღარუნი, ცხენების ხვიხვინი.

ეზოში ომი თავის ზენიტს აღწევს.
რამდენიმე ბავშვიღა რჩება ფეხზე.
ეცემიან ისინიც.

გადარჩებიან მხოლოდ რუსიკო და გიგული.
უსულოდ ყრიან შუა მზისგულზე მშვენიერი გოგონები, მშვენიერი ბიჭები.
დადის რუსიკო მარტო თავის დახოცილ დებში და ტირის უძლურებისაგან.
დადის გიგული თავის მეგობარ-ძმებში და ისიც ტირის უნუგეშოდ.

უცებ დაინახავენ ერთმანეთს.
საშინელი სიბრაზე ეტყობა ორივეს სახეზე.
გვერდით მოჩანს ცარიელი საომარი მოედანი.
სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისათვის მიდიან იქითკენ.

ლევიკო წამოიწევს, ჯაჭვი სულ გაწვრილებულია, სოლი თითქმის ამოწეულია მიწიდან, უნდა გამოქანდეს, გააშველოს, მაგრამ ამ დროს დაჰკრავენ მჭედლები ჯაჭვს უროს და ისევ ასქელებენ.
ლევიკო უმწეოდ ეშვება თავის ადგილას.

სადაცაა უნდა შეეტაკნენ გიგული და რუსიკო ერთმანეთს.
უნუგეშობაა ლევიკოს სახეზე.
თავგანწირვა ამათ მოქმედებაში.

ამ დროს:

მუსიკის გაკვეთილის დამთავრების შემდეგ, შინ ბრუნდება ტატული. ის მხიარული სახით შემოდის და ელდანაკრავი დგება. გდია პატარა

ვასიკო უსულოდ. ტატულის ცრემლი ერევა. წვანან სხვები სისხლიანები. ტატული ტირის.
გიგული და რუსიკო მიიწევენ ერთმანეთისაკენ.

უცებ ისმის მამლის არაჩვეულებრივი მხნე ყივილი.
რაღაცა გრანდიოზული აზრი მოსდის თავში ლევიკოს, ხელით ანიშნებს ტატულის.

ტატული სერიოზულ სახეს იღებს.

ხსნის ბუდეს, ამოიღებს ვიოლინოს და უკრავს.
სულ მაღლა და მაღლა მხიარულად და მხნედ ისმის ხმები.

იმსხვრევა ლევიკოს ჯაჭვები, ფეხზე იმართება იგი.

გიგული მივა ახლოს რუსიკოსთან, რომელიც მეგობრულად უღიმის და ხელს გადახვევს.

თავს წამოყოფს პატარა ვასიკო.
ამოძრავდებიან გალიაში ცხოველები.
ცოცხლდებიან დახოცილები.
უცებ ყველაფერი ეხვევა ისევ რეალურ სამოსელში.
ძველიდან რჩება:
ტატული უკრავს ვიოლინოზე,
ბავშვები აღფრთოვანებულები ცეკვავენ, მღერიან, ერთობიან.

ტექსტი: ხედავთ ლევიკოს?
ჩანს ლევიკო: ხელგაშლილი მდგომი საქათმის თავზე.

ტექსტი: ახლა იგი უეჭველად გაფრენას მოისურვებს!

ლევიკო დააქნევს ხელს, გაფრენა უნდა, მაგრამ ძალიან სასაცილოდ ვარდება თავისი ადგილიდან ძირს, ნესტში, წამოხტება, სევდიანად ეღიმება.

ბავშვები ითვლიან რაღაცა თამაშისათვის.
ვიოლინო ისევ უკრავს. ტატულისაც ათვლიან.

ეზოში ისმის მშობელთა ხმები ყოველი მხრიდან:
_ ტატული, ტატული, ჯერ არ გისადილია!
_ ვასიკო, არითმეტიკა დაგრჩა მოსამზადებელი!
_ რუსიკო, ამოდი ჩქარა!
_ გიზო, დაკარგავ, იცოდე, ფრიადოსნობას!..

ბინდდება.

გაბმულ მავთულზე მიბმული ბულდოგი იფხორება.

ცარიელდება ეზო.
საქათმესთან მიბმული ყურშა მოწყენილი რჩება.
ქათმები იბუდრებენ.
გოჭი იძინებს ინდაურებს შორის.
ყოჩი და მამალი უყურებენ ერთმანეთს.

ამოდის მთვარე.

ეზოში ისმის მშობლების შეშფოთებული ხმები:
გოგი! სოსო! მიშა! დათო! გურამ!
ირინა, ჩემო გოგონა, ირინა!

ჩანს სხვენი, ბოძები _ გადაჭრილი თოკებით.
ეს ის თოკებია, რომლითაც დილით მიაბეს სოსო, მისი კამპანიით.

ძებნის ხმები მეორდება ცარიელ ეზოში.
ჩანს ხელი, რომელიც მავთულიდან აუშვებს ბულდოგს. ჩანს ხელი, რომელიც ახსნის გალიასთან მიბმულ ყოჩს.
გრძელდება ბავშვების სახელების ძახილი.

ჩანს ღამეში გახვეული მტკვარი, მოქცეული გრანიტის კედლებში.
მთვარე ტალღებს მიჰყვება ხიდის ქვევიდან.
ნაპირი გრანიტიდან ქვიშიან დაბლობზე გადის.

ისმის ხმები წყლის შხრიალთან ერთად:
_ მე მეგონა, შემეშინდებოდა.
_ მე, პირიქით.
_ შენ სტყუი!
_ არა, მართლა, პირიქით.
_ არც შენ გეშინია, სოსო?!
_ მართლა არა?
_ არა!
_ ყველაზე ყოჩაღი მაინც გოგია.
_ აბა, რა!
_ ირინასაც კი არ ეშინია, იმიტომ რომ გოგიმ მოიტაცა.
_ უჩვენოდ ხომ ვერ მოიტაცებდა.
_ ირინამაც ასე თქვა, უამხანაგებოდ მოტაცება მოტაცებად არ ითვლებაო.
_ გოგის მერე ყველაზე ყოჩაღი მაინც სოსოა.
_ სოსოსაც რომ მოტაცებული ცოლი ჰყავდეს, ისიც ისეთივე ყოჩაღი იქნებოდა.

სოსო: ჩუუ!

გამოჩნდება: ნაპირის გასწვრივ მიდის ოთხი ლანდი.
ბოლოს დიდ, დიდთავა დათოს ათრეული მიჰყავს ყოჩი, ჩქარობს, ბორძიკობს, საკმაოდ სასაცილო მდგომარეობაშია. ყვირის:

_ ახლა ქორწილს გადავიხდით, ცხვარს დავკლავთ!
მათგან კარგა მოშორებით წინ მიდიან გოგი და ირინა, თან ბულდოგი ახლავთ. გოგი ხანდახან წვება და მიწას ადებს ყურს.

ამ დროს უკან მიმავალნი ჩერდებიან.

მერე გოგი ნელა უსტვენს და ყველანი განაგრძობენ მოძრაობას.

_ გეშინია, ირინა? _ ეკითხება გოგი ჩურჩულით.
_ მგონი, კი, _ პასუხობს ირინა.
_ ჩემთან ერთად რო ხარ, მაინც?
_ შენ თვითონ ისეთი პატარა ხარ!
_ პატარა თუ ვარ, ცოლი საიდანა მყავს?
_ მართლა გყავს?!
_ დაგავიწყდა? შენ არა ხარ?!
_ ჰო, მართლა. მაშ, აღარ მეშინია.
_ ახლა მალე მივალთ. ხედავ, იქით ჩანს კიდევაც იმ კოშკის ნანგრევები, სადაც ღამე უნდა გავათიოთ.
_ შეიძლება იქ უკვე არიან სხვები.
_ ჯერ ერთი, იქ არასოდეს არავინ არის. მეორეც, თუ იქნებიან, ბრძოლით გამოვყრით.

კოშკის ნანგრევები წარმოადგენს სახლს, რომელიც სანაპიროზე მშენებლობის ძირითადი გეგმის გვერდით დარჩა დანგრეული კვარტლის აღების შემდეგ. ამ სახლიდან მხოლოდ მაღალი, სიფრიფანა კედლებიღაა დარჩენილი. აქა-იქ გამოჩხირულია რკინის კოჭები. კედლის მხოლოდ ერთი მხარეა თეთრად განათებული მთვარისაგან. დანარჩენი ჩაფლულია სრულ სიბნელეში, რომელსაც ნელ-ნელა ეჩვევა თვალი.
სანამ შესაძლებელი იქნება იქ რაიმეს გარჩევა, ისმის მოხუცისა და ორი ბიჭის ხმა. მოხუცს ხმაზე ეტყობა, რომ ყოჩაღადაა, მხიარულია და ცოტა მოსულელო.

მოხუცი: ყოჩაღ, ბიჭებო, დიდი ხანია გამოიქეცით სახლიდან?
პირველი ბიჭი: ეე, ვინ მოთვლის.
მეორე ბიჭი: ნახევარ წელიწადზე მეტია.
მოხუცი: გამოქცევა ცუდია, ო, ეგ ცუდია, ცუდია. არც გაიყინეთ, არც შიმშილით დაიხოცეთ?! ყოჩაღ თქვენ, ყოჩაღ!
პირველი ბიჭი: ძალიან მოგვწონს ჩვენ ასე ხეტიალი.
მოხუცი: ოღონდ მაინც უნდა დაბინავდეთ, ბოლოს მაინც. ისე მე თვითონ თქვენზე ძალიან მიყვარს უგზო-უკვლოდ თრევა, დავბერდი და მაინც ასე ვარ. ბევრი ვიხეტიალე, ყველაზე ბოლოს მოვხვდი თბილისში. აქ მომეწონა, აქ ყველაზე კარგია, მე ჭკვიანი და ეშმაკი ვარ, უცებ ავუღე ალღო აქაურობას; რაც დედამიწაზე ერებია, ყველა აქ ცხოვრობს.
ვთქვი, ებრაელი ვარ-მეთქი, _ ებრაელებმა მცეს პატივი.
ვთქვი, სომეხი ვარ-მეთქი, _ სომხებმა.

მერე ქართველ ემიგრანტად გავასაღე თავი და თან გადამყვნენ ქართველები. მერე ყველა ეროვნებები ერთმანეთში ამერია, სად რას ვამბობდი, აღარ მახსოვდა და მაინც ყოველთვისა მქონდა სამყოფი ლუკმა და პატივისცემა.

მეორე ბიჭი: ჩვენ სულ ერთი კვირაა, რაც აქ მოვხვდით და ჯერ ტყუილი არ გვითქვამს.

პირველი ბიჭი: რა, ჩვენც მოვიტყუოთ?

მოხუცი: ცოტა კი, ცოტა აუცილებელად.

მეორე ბიჭი: ჩვენ რომ არ გვინდა ტყუილი?

მოხუცი: მაშინ სიმართლე ილაპარაკეთ. მე, უბრალოდ, ძალიან დიდი ხანია ვცხოვრობ, ძალიან ბევრი ვისწავლე და ძალიან შევეჩვიე ტყუილს.

პირველი ბიჭი: ჩვენ ისიც კი არ ვიცით, რა ტყუილის თქმა შეიძლება, საერთოდ.

მოხუცი: თქვით, რომ ისეთი ქვეყანა არასოდეს გინახავთ, როგორიც საქართველოა.

მეორე ბიჭი: ეგ სულაც არ იქნება ტყუილი, ჩვენ სხვა ქვეყანა არც გვინახავს რუსეთის გარდა.

/სიბნელეში ნელა გამოიკვეთებიან ბიჭების ფიგურები, მხოლოდ მოხუცი რჩება ისევ თითქმის უჩინრად ჩრდილში./

მოხუცი: აი, ტყუილიც სწორედ მანდ შეიძლება ითქვას, თანაც სრულიად უმტკივნეულო. მხოლოდ თქვით, რომ ძალიან ბევრი ქვეყანა ნახეთ ერთის ნაცვლად, მაგრამ ასეთი... არ გამოდგა არც ერთი... ხი, ხი...

პირველი ბიჭი: ეგ რა, აუცილებელია?!

მოხუცი: აუცილებელია, ჩემო კარგებო, აუცილებელი. ქართველებს ძალიან უყვართ, როცა ცოტას ატყუებენ, თუნდაც იცოდნენ, რომ ეს ტყუილია.

მეორე ბიჭი: ჩვენ კი მაინც არ მოვიტყუებთ!

პირველი ბიჭი: არ მოვიტყუებთ, არ მოვიტყუებთ!

მოხუცი: ხი, ხი, ნუ მოიტყუებთ, ნუ მოიტყუებთ, მე კი დაგტოვებთ, წავალ, გამთენიისას უკვე ქუჩაში ვიქნები, სადაც გარეთ გამოდიან დახლიდარები და თითოეულს დილა მშვიდობისას ვეტყვი; ვეტყვი, აგრეთვე, ასეთი დილა არასოდეს არა ყოფილა-მეთქი. _ განა ესეც ტყუილი არ არის? _ რამდენი კარგი დილა ყოფილა სხვაც, მაგრამ იმასაც სიამოვნებს და მეც _ ასიამოვნეთ სხვას და თქვენს თავსაც, სანამ კარგადა ხართ, ცოცხლები ხართ.

მეორე ბიჭი: არა! როცა ცუდი დილაა, ჩვენ ვამბობთ, რომ დილა ცუდია.

პირველი ბიჭი: ჩვენ იმითი ვამაყობთ, რაც სინამდვილეში გვაქვს. ახლა ვამაყობთ, რომ გვაცვია დახეული ტანსაცმელი, გამოვიპარეთ შინიდან და ვხეტიალობთ.

მოხუცი: თქვენ იცით, თქვენ იცით, მე კი გავიქეცი, რომ დილა მშვიდობისა ვუსურვო ხალხს, ნუ იქნებით ბრიყვები, ჯობია იამაყოთ იმ კარგით, რაც გინდათ გააკეთოთ, ვიდრე იმ ცუდით, რაცა გაქვთ. მე ყოველთვის, რაც მინდა, ის მაძლევს სიამაყეს.

ბიჭები: /წამოდგებიან, აძლევენ პიონერულ სალამს ოდნავ სასაცილოდ/ პიონერული სალამი! ჩვენ ვამაყობთ ორივეთი, იმითი, რაც გვაქვს, ჩვენ ვამაყობთ იმითი, რაც გვინდა! /სხდებიან/

მოხუცი: თქვენ იცით, თქვენ იცით, მე მოხუცი ვარ, მე გავიქეცი.

მოხუცის ხმა ნანგრევებს გარეთ, შორიდან:

მე ერთი სულელი მოხუცი ვარ, მიყვარს «დილა მშვიდობის» თქმა და მიყვარს ბაყაყივით ყიყინი: ყვიტ, ხი, ხი... ყვიტ, ყვიტ.

პირველი ბიჭი: ნახე, ბებერს ყიყინიც ჰყვარებია.

მეორე ბიჭი: მე კი ოცნება მიყვარს.

პირველი ბიჭი: მეც ძალიან მიყვარს ოცნება.

მეორე ბიჭი: ისეთი ხმა აქვს, ოცნება მაგ მოხუცსაც ძალიან ეყვარება.

პირველი ბიჭი: ყველას, სულ ყველას უყვარს ოცნება.

მეორე ბიჭი: ზოგს მაინც განსაკუთრებით, ალბათ...

ტექსტი: ოო, ზოგი მხოლოდ მაგით ცხოვრობს.

/სიბნელე. სიბნელიდან გამოდის ლევიკოს ოთახი/.

ტექსტი: აი, ეგ ბიჭები ხეტიალობენ, ის მოხუცი «დილა მშვიდობის» სათქმელად დადის, ეს კი სულ ოცნებობს და ოცნებობს.

ამასობაში ვათვალიერებთ ლევიკოს ოთახს:

ერთ კუთხეში ანთია ფანტასტიკური ფრინველის ფორმის მწვანე ნათურა. კედლებზე ჰკიდია რამდენიმე მკვეთრად დახატული სურათი, ზოგი დახატულია მისი ხელით: როგორ ზის თვითონ ცოცხზე და მიფრინავს კატასტროფის ადგილისაკენ, კატასტროფის ადგილი ცალკე; ერთი სერიის სამი სურათი: ის დგას მზეზე, ის დგას მთვარეზე, ის დგას და ერთი ფეხი მზეზე უდგას, მეორე _ მთვარეზე.

კიდია აგრეთვე რაკეტის ფოტოსურათი, ამოჭრილი გაზეთიდან, ჩასმული გაფორმებულ ჩარჩოში.

ლევიკო უზარმაზარი ფანჯრის კუთხეშია მიმჯდარი, პატარა, ერთი ბეწვა, და მისჩერებია ვარსკვლავებს. ერთი ვარსკვლავი განსაკუთრებით კარგად მოჩანს.

ტექსტი: ეს არის მისი ვარსკვლავი.

რადიოს ხმა: იუწყება პირველი საპლანეტათშორისო ხომალდის გაშვების ამბავს.

ლევიკოს
გონებაში: წითელ ზოლად მიდის ხომალდი მისი ვარსკვლავისაკენ.

შეაჟრჟოლებს.

ტექსტი
ლევიკოს ხმით:ნეტავი ახლა ვიჯდე იმ ხომალდში და მივფრინავდე ჩემი პატარა ვარსკვლავისაკენ. ო როგორ მინდა იქ გავფრინდე /მოიხედავს ოთახისაკენ, უცებ მოსწყდება ფანჯარას, გამოიქცევა და უზარმაზარბალიშებიან საწოლში დაეცემა პირდაღმა/.

ისევ მისი ხმა: ძალიან მინდა იმ ვარსკვლავზე მოხვედრა და ასევე ძალიან მეშინია იმ გრძელი, ცივი, უჰაერო გზის, რომლის გავლაც უნდა მომიხდეს იქამდე. მერე, როცა გავივლი, ნეტავ რა იქნება იქ, ჩემს ვარსკვლავზე! იქ, სადაც მივაღწევ!

ნეტა კარგია?! ნეტა კარგია?!

ძალიან მეშინია! აქ ღამისაც კი მეშინია...

/უცებ მხნევდება/ ვისაც ღამის ეშინია, ის ვერც გაფრინდება /წამოხტება ფეხზე და შთაგონებული სახით დგას შუა ოთახში/.

ისმის ლევიკოს დედის ხმა მეორე ოთახიდან:

_ მართლა, რა შესანიშნავი მოვლენაა, სადაცაა ადამიანსაც გაუშვებენ მთვარეზე.
_ მე კი მეშინია, საშინლად მეშინია ჩემი ლევიკოსა და სხვების მაგიერ.
_ რა არის ასეთი საშიში, ქალო, გეგონება, შენი ლევიკო მიფრინავდეს პირველ რიგში.
_ ვინ იცის, რა იქნება, ვინ იცის, რა არა ხდება! ახლა ჯერ ვერც გოგი იპოვეს, ვერც ირინა, ვერც სხვები, ხუთი-ექვსი საათია, რაც აღარა ჩანან /ლევიკო ყურებს ცქვეტს/.
_ დადასტურდა, თუ იცი, რომ ერთად გაიპარნენ?
_ ეჭვი არ არის, სხვა ვინ გადაჭრიდა იმ თოკებს, რომლითაც ისინი დილით მიუბამთ.
_ ოოო, რა გაუზრდელობაა სახლიდან გაპარვა. არა მგონია, ჩვენმა ლევიკომ ეგ გაბედოს ოდესმე, ვერც კი წარმომიდგენია.
_ ლევიკო ახლა უკვე მესამე პირ ძილშია, ალბათ.

რადიოს ხმა: მოისმინეთ სიგნალები ხომალდიდან _ ტტტტ...

ლევიკოს ფიქრი:
ვისაც ღამის ეშინია, ის ვერც გაფრინდება. ისინი გაფრინდებიან, იმათ არ ეშინიათ, უნდა დავარწმუნო ყველა, რომ არც მე მეშინია... /ჩუმად იპარება სახლიდან, ჩადის კიბეზე/.
ფიქრობს: იქ მინდა, იმათთან, იქ, იქ... გადის მთვარიან ეზოში, მიჰყვება ჩრდილიან კედელს საქათმისაკენ.
სიბნელე.
სიბნელიდან
ჩანს: აურზაური, დარბიან სახლის ნანგრევების ახლოს მისული ბავშვების ჩრდილები.

ნანგრევების შიგნით ქვებს აგროვებს ის ორი ბიჭი, მერე წვალებით ადიან კედლის თავზე, ემზადებიან საბრძოლველად.

ნანგრევების გარეთ:
თავგამოდებით ყეფს ბულდოგი,
ბიჭები აქეთ-იქით გარბიან.
მხოლოდ გოგი დგას და ამაყად იყურება სიბნელისაკენ, მას ეკვრის ირინა.
მხნევდებიან გოგის მაგალითით.
შედგება სოსო. მოვა მასთან და გვერდით ამოუდგება.
მას მიბაძავენ მიშა და გურამიც.
დიდი დათო «საქორწინო» ყოჩთან ერთად ათას კომიკურ სიტუაციაში ვარდება.
საერთო სიტუაცია დრამატულია.

_ ეეუ, _ იძახის გოგი.

დანგრეული სახლის თხელ, მაღალ, სამკუთხედად მონგრეულ კედელზე, რომელსაც ძირი უფრო წვრილი აქვს, ვიდრე ზედა განი, გადმოდგება პირველი ბიჭის სილუეტი და ისიც იძახის:
_ ეი, ეი, ეიიი...

გოგი: ვინ ხართ მანდ, იმ კოშკში, სადაც მოვდივარ მე, ირინათი და ამხანაგებით.
პირველი ბიჭი: თვითონ ვინა ხართ თქვენ, გოგი, ირინა და მათი ამხანაგები?
გოგი: ჩვენ ვართ ისინი, ვინც გადაწყვიტა მაგ კოშკის დამორჩილება, რადგან კოშკი გვეკუთვნის ჩვენ.
პირველი ბიჭი: თუ გინდათ, მიგიღებთ სტუმრად, თუ არადა, აქედან წადით, დაუპატიჟებელო სტუმრებო!
სოსო: /გოგის/ ხო ხედავ, მაგისი ხმა არა ჰგავს ქართველისას.
მიშა: არა ჰგავს, სწორია, არა ჰგავს...
გოგი: /ხმამაღლა/ შენ ეი, შენ თვითონ დაუპატიჟებელო სტუმარო, საიდანა ხარ?
პირველი ბიჭი
მეორე ბიჭს: რა ვუპასუხო?
მეორე ბიჭი: უთხარი მართალი.
პირველი ბიჭი: ჩვენ ვართ რუსეთიდან!
სოსო: /ჩუმად/ ჰკითხე, მერე აქ რა უნდათ?
გოგი: აქ რა გინდათ?!
პირველი ბიჭი
მეორე ბიჭს: რა ვუპასუხო?
მეორე ბიჭი: უთხარი, რომ გამოვიპარეთ სახლიდან.
პირველი ბიჭი: ვხეტიალობთ მთელ ქვეყვანაზე.
სოსო: /ჩუმად/ უთხარი, ახლავე დაცალონ ეგ კოშკი და წაეხეტონ, სადაც უნდათ.
გოგი: საიდანაც მოსულხართ, იქით წადით, თორემ ძაღლს მოგიქსევთ და თავს დაგესხმებით.
პირველი ბიჭი
მეორე ბიჭს: რა ვქნათ?
მეორე ბიჭი: სწორია, კოშკი მაგათია.
პირველი ბიჭი: დავტოვოთ?
მეორე ბიჭი: უთხარი, რომ ვტოვებთ და წავიდეთ.

გოგი: ეეე, ტოვებთ თუ არა!
მეორე ბიჭი: დავტოვებთ, ოღონდ მუქარით, არა!
გოგი
/თავისებს/: აღარ დავემუქროთ?
ირინა: ა?
სოსო: ეგ თავის დაძვრენაა.
გოგი: თუ არ წახვალთ, თავს დაგესხმებით.
მეორე ბიჭი: დაგვესხმებით და დაგხვდებით.
პირველი ბიჭი: დაგვესხით, მაინც არ დავტოვებთ.

ესხმიან თავს.
თავდასხმაში მონაწილეობს ძაღლი, ყოჩი,
მონაწილეობენ ყველანი,
ისინი უშენენ ქვებს,
ესენი სიფრიფანა კედლებზე მიძვრებიან ზევით.
თითქოს ნამდვილი, სიცოცხლისთვის მართლა საშიში ომია.
პირველ ბიჭს ჩამოათრევს გოგი დიდი, სახიფათო სიმაღლიდან, მეორე არა ნებდება არავის.

ირინა: გთხოვთ, ნუღარ ღვრით სისხლს, გთხოვთ!
გოგი მის ფეხებთან ორივე ბეჭზე დააწვენს იმ ბიჭს.

ირინა: ო!

პირველი ბიჭი: ა!

ირინა: ეს ის ქუჩის ბიჭია, მე რომ ვნახე სამი დღის წინ და რომ მომეწონა. შენ რომ გითხარი.

გოგი: მართლა?
/გაუშვებს ხელს, ბიჭი თვალებს ხუჭავს და დარცხვენილი წევს ორივე ბეჭზე/.

ირინა: ეს ისეთი ყოჩაღი იყო მაშინ.

სოსო: ეგ მარტო შორიდან მოგეჩვენა. ახლოს, ხომ ხედავ, სხვანაირადაა საქმე.

ირინა: არა, ეგ ტყუილია. ადექი, ბიჭო, ზევით. /ბიჭი დგება/ თქვი, თქვი, შენ ხომ ყოჩაღი ბიჭი ხარ?

გოგი: სწორია, ეგ ყოჩაღი ბიჭია. /სოსოს/ განა შენც მოერევი!

ირინა: შერიგდით რა, გთხოვთ, შერიგდით!

პირველი ბიჭი: მე მარტო არ შევურიგდები... /ზევით მისი ამხანაგი იბრძვის/.

გოგი: თქვენ, ეი, დაანებეთ მაგას თავი /თავს ანებებენ/.

მეორე ბიჭი: რა მოხდა?!

გოგი: ჩამოდი, უნდა შევრიგდეთ /ჩამოდის/.

პირველი ბიჭი: აბა რა!

ირინა: უნდა შევრიგდეთ, უნდა შევრიგდეთ /ორივენი მორცხვად იღიმებიან/.

პირველი ბიჭი: /მიდის გოგისთან და კუნთებს უსინჯავს./ ო, რა ღონიერია! _ ამბობს.

გოგი: /ჩამოყრილ თმაზე მოჰკიდებს ხელს/ რა კარგი თმა აქვს ამ ბიჭს, არა? /უყურებს ირინას/.

მეორე ბიჭი: /აქნევს თავს, იცინის/ მეც კარგი თმა მაქვს.

ყველანი: რა კარგი ბიჭები არიან, რა კარგი ბიჭები! /შემოეხვევიან/

დათო: აბა რა! აბა რა! ვაშაა!

მიშა: /ჩუმად/ საინტერესოა, ვინ არიან?

გოგი: ვინა ხართ თქვენ, ბიჭებო?

მეორე ბიჭი: ჩვენ მოგზაურები ვართ.

პირველი ბიჭი: მოხეტიალე მოგზაურები.

გოგი /სწრაფად/: მერე, მოგეწონათ საქართველო?

პირველი ბიჭი: ძალიან.

სოსო: ყველაზე ძალიან?!

მეორე ბიჭი: არა.

ირინა: განა სხვა რამე უფრო კარგია საქართველოზე?
მეორე ბიჭი: რუსეთი.
ირინა: რატომ?
მეორე ბიჭი: იმიტომ, რომ იქიდანა ვართ.
სოსო: ნახე, რას ამბობს?
გოგი: შენ ნუ ხარ წიწმატა, სწორს ამბობს, ეგ იქიდან არის და ის უფრო მოსწონს.
ირინა: ყოჩაღ, გოგი! /აკოცებს/ რა ჭკვიანი გახდი! როდის დაჭკვიანდი ასე?
გოგი: არ ვიცი...
ირინა: ხომ მოგწონს აქ ყველაზე უფრო, სოსო?
სოსო: მომწონს.
ირინა: ხო იტყვი ყველგან?
სოსო: ვიტყვი!
ირინა: ყოჩაღ, ეგენიც მართალს ამბობენ, არც ეშინიათ და არც ტყუიან.
მეორე ბიჭი: არც გვეშინია და არც ვტყუით.
გოგი: ესენი მართალი და კარგი ბიჭები არიან.
ყველანი: ჩვენ მოგვწონხართ თქვენ, ჩვენ შეგვიყვარდით თქვენ.
მეორე ბიჭი: თქვენ ძალიან, ძალიან კარგი ბიჭები ხართ.
პირველი ბიჭი: ვინა ხართ თქვენ, ჩვენსავით მოგზაურები?...
გოგი: ჩვენ არა... ჩვენ, მე... /ირინას/ ვთქვა?
ირინა: თქვი.
გოგი: მერე? ... /დაიმორცხვებს/
ირინა: თქვი ... /თვითონაც დაიმორცხვებს/
გოგი: მე მოვიტაცე ირინა, ესენი მომეხმარნენ, იმიტომ რომ მარტო ერთმა რო მოიტაცოს, არ შეიძლება.
ირინა: ჰო, მომიტაცა...
პირველი ბიჭი: ო!
მეორე ბიჭი: ჰოო! /იღიმება/ მერე რა უნდა ქნათ?...
გოგი: /გაკვირვებულია/ მართლა, რა უნდა ვქნათ? /ერთ ბიჭს ეღიმება, მეორეს სულელური გამომეტყველება აქვს/
ირინა: ვაიმე, დედა, ალბათ, როგორ მეძებს...?!
გურამი /ჩუმად ტირის, რითაც ტონს აძლევს ყველას/.
გოგი: /ესეც გულაჩუყებულია/ რა მო-გი-ვიდა?...
გურამი: დედა, დედა მეცოდება, ალბათ, გა-გი-ჟე-ბუ-ლია... /ირინა ჩუმი ქვითინით ყველას გულს უჩუყებს/.
პირველი ბიჭი: ჩვენ კი, ალბათ, უკ-ვე მკვდ-რე-ბი ვგო-ნი-ვართ /აბღავლდება/.
მეორე ბიჭი: მერე დედაჩემი რა კარგი ქა-ლია, რა ახალ-გაზრ-და!...
საერთო ტირილია, გარდა დათოსი და ყოჩისა, რომლებიც ისევ ვერ «უგებენ» ერთმანეთს, ძაღლიც კი ყმუის.
გოგი: ჩვენს ამხანაგებს კი რა ტკბილად სძინავთ, დედებთან ერ-თად...

სიბნელე.
სიბნელეში ჩანს ოთახი.
სძინავს რუსიკოს, სძინავს მის დედ-მამას. მათი მხოლოდ ფეხები ჩანს.
სძინავს გიგულის, სძინავს მის ბებოს, საბანში თავით ფეხებამდე გახვეულს.

სძინავთ ლევიკოს მშობლებს.
ცარიელია ლევიკოს საწოლი...

საქათმე.
ჩანს ხელი, რომლისკენაც იწევს მისაგებებლად ყურშა.
ხელი ათავისუფლებს მას გალიიდან,
ყურშა გარბის.
თოკი არ უშვებს, ბრუნდება, ეფერება ბავშვის ფეხებს და ისევ წინ მიიწევს. გაიარეს უზარმაზარი ეზო, სრულიად ცარიელი და ბნელი. შედიან მრგვალ, მაღალ ალაყაფის კარში.
ორივენი ცნობისმოყვარეობით და შიშით შეპყრობილნი, ინაბებიან ქუჩის ზღურბლთან.

ტექსტი: ეს ჩვენი ტრაგიკომიკური მეოცნებე გმირის პირველი დამოუკიდებელი გასვლაა გარეთ ... თანაც ასეთ დროს.

ჩანს წყვდიადი და თეთრი მთვარე.

ტექსტი: ვუსურვოთ მას წარმატება ამაღამინდელ მოგზაურობაში, ვუსურვოთ, რომ უფრო კარგი მოეჩვენოს სამყარო, ვიდრე ოცნებით წარმოიდგენდა. წინასწარ იცოდეთ, ზედმიწევნით ნაზი და ადვილად დასამსხვრევია ასეთი ბავშვის გული.

ბოლო სიტყვებთან ერთად ლევიკომ უკვე გადალახა ზღურბლი და შეშინებული მიდის ცარიელ ქუჩაში შეშინებულ ძაღლთან ერთად.

ტექსტი
გრძელდება: იარე, ლევიკო, ჩვენ მივყვებით შენს გზას და მოწმენი ვიქნებით შენი საბოლოო ბედისა... არავინ იცის, კარგია თუ ცუდია შენი სახიფათო მოგზაურობა მარტო, ღამით...
მაყურებლებს: თქვენ ახლა ნახავთ თბილისის ღამეს, დანახულს ბავშვისა და ყურშას თვალით.
ჩანს:
განიერი ცარიელი ქუჩა.
ქუჩას არც თავი აქვს, არც ბოლო.
პატარა, უსუსური წერტილებივით მოდიან შუა ქუჩაში, თეთრ ხაზზე, ლევიკო და ყურშა. ჯერ ვერ გაარკვევ, ლევიკოს ეშინია თუ არა.
ისმის ნალიანი ნაბიჯების ხმა.
ლევიკო შეშინებულ ძაღლთან ერთად გადარბის ქუჩიდან,
ეფარებიან ურნას.
იქიდან უყურებენ თეთრ ხაზს.
ჩაივლის მილიციელის ჩექმები.
ტექსტი: ამ კაცის არ უნდა გეშინოდეს, იგი შენ დაგეხმარება.
ლევიკოს
ფიქრი: ის დიდია და ჩემი მშობლების მხარეს დაიჭერს. დედას და მამას უნდათ, რომ მე შინ დავბრუნდე.
ყურშას

წკმუტუნი: მოერიდე მას!

მიდიან ტროტუარით,
წინიდან ისმის ჯაზის ხმა, მელოდია ძლიერდება,
ხმები გამოდის ღია ფანჯრიდან,
ქუჩაში გოგო და ბიჭი ცეკვავენ «როკ-ენ-როლს»,
ჩანს მხოლოდ მათი ფეხები.
ტაქტში მოძრაობენ მაყურებელთა ფეხებიც.

ტექსტი: ეს დაბადების დღის გაგრძელებაა.
ნუ უყურებ მათ, ლევიკო,
ეს მილიციელზე უარესია.
ის დედ-მამასთან მაინც წაგიყვანს,
ეს კი წაგიყვანს ცუდი ქცევისკენ.
შედი, შედი ეზოში,
მოარიდე თვალი ამ სანახაობას.

ლევიკოს ფიქრი: შენ რაღას იტყვი, ყურშა?
/ყურშა მიიწევს ეზოსკენ კუდამოძუებული./
შედიან ეზოში,
ეფარებიან სანაგვეს,
იჭუჭკნებიან.
უცებ შეშინებული ყურშა ვიღაცას ეცემა ფეხებში.

მანამდე ჩანს ფეხები წყვილისა. მათ მოძრაობაზე ეტყობათ, რომ კოცნაობდნენ.

ძაღლისაგან შეშინებული წყვილი გარბის ქუჩაში ჯაზის ხმებისაკენ.
იმათგან შეშინებული ყურშა და ლევიკო მირბიან მტკვრის უგრანიტო სანაპიროსაკენ.

ტექსტი: ხედავთ, როგორ დაიღალა ლევიკო,
მას სუსტი გული აქვს, _ ხედავ, რა ძნელია რეალური ასეთი პატარა უსიამოვნებაც კი...

ლევიკოს ფიქრი: ჯობია, გავიქცეთ ტყისკენ,
იქ მეტი სიწყნარე ჩანს და
უფრო ნაკლებად დავიბნევი.

მიდიან დაბალ სანაპიროზე.
ბუჩქები.
პატარა ტყე.
ჯერ შიში,
შემდეგ ლევიკო მხნევდება.
მიდის ხალისით,
წინ ნაკადულია, იგი მტკვარს უერთდება.

ლევიკო ყოჩაღდება და უფრო თამამდება.
მისი ფიქრი: «უხომალდოდ ძნელია მისი გაპობა, მაგრამ მე გავცურავ.»
ძაღლი შერბის კოჭებამდე წყალში,
გარბის და გამორბის.
ლევიკოს მაინც უნდა, რომ ეს მდინარე ზღვასავით დიდი იყოს.
წვება შიგ, სულ იწუწება,
გადის ცურვით.
ქვებზე იღლეტს, ისისხლიანებს ხელებს.

ლევიკოს ფიქრები: ეს გავცურე, მაგრამ ნამდვილ ზღვას...
იმასაც გავცურავ!
სხეულზე ეტყობა, რომ საშინელი სიამაყე იპყრობს.
იმართება, იცინის...
_ ხი, ხი, ხიკ... _ ისმის მოულოდნელად ხის უკნიდან ხმა.
ყურშა ეკრობა პატრონს.
ლევიკო მოემზადება.
მისი ფიქრი: ნეტავ რაც შეიძლება დიდი ხიფათი იყოს!
მოხუცის ხმა: მე ხიფათი არა ვარ, შენ, ეი, მეოცნებევ, საშინელ ღელვაში მოყევი და გემი დაგემსხვრა?! ხიკ...
ლევიკო: დიახაც!
მოხუცი: ხი, ხიკ... იცი, მე ამღამით ჭკუა ვისწავლე.
ლევიკო: მე არაფერი არ ვიცი!
მოხუცი: აბა, რას დადიხარ ტყეში ღამე მარტოკა, ბრძენივით.
ლევიკოს ფიქრი: «მართლა რას დავდივარ?»
მოხუცი: შენ სახლიდან იქნები გამოპარული.
ლევიკო: /შეეშინდება/ დიახ... დიახ...
მოხუცი: /გამოდის შავი სილუეტივით, გრძელი თმით მთვარის შუქზე/
ნუ გეშინია, მე ცოტა სულელი მოხუცი ვარ, მოხუცებიდან კი მხოლოდ სულელებს რჩებათ საღი ჭკუა და სიხალისე. მე არ ვარიგებ პატარებს, პირიქით, თვითონ ვუჯერებ მათ: ახლა მითხრა სწორედ ორმა შენმა ტოლმა, იმით უნდა იამაყო, რაცა გაქვსო და მე უკვე ვამაყობ, რომ სულელი ვარ, ნახე რა კარგი თვისებაა სისულელე, რომელი ჭკვიანი იზამდა ამას, ა?!
ყურშა /ეფერება მოხუცს/.
ლევიკო: შენ კარგი მოხუცი ხარ!
იქ კი ისეთი ხალხი იყო! შეგვაშინეს მე და ყურშა.
ყურშა /ახლა გულადად გაიქაჩება, ვითომ შემშინებლისაკენ/.
მოხუცი: შენ თუ მიატან სიბერემდე... ჩემსავით სულელი იქნები.
ლევიკო: /მოიწყენს/ მე არ დავბერდები.
მოხუცი: საწყალო და ბედნიერო...
ლევიკო: მე ძალიან სუსტი გული მაქვს, ეს მარტო მე ვიცი. ამიტომ სულ შინ ვზივარ და სულ ვოცნებობ.
მოხუცი: ვინ გითხრა?

ლევიკო: ასე უთხრა ექიმმა დედას, როცა სამი წლის ვიყავი, ეგონათ, ვერ გავიგებდი, მე კი დავიხსომე _ თქვეს, ძალიან ადვილად შეიძლება გული გაუსკდესო.

მოხუცი: ოი, ოი, აი, ასეთია ჭკვიანი ხალხი. მათ ჰგონიათ, რომ ბავშვებს არაფერი ესმით, იმათ კი სინამდვილეში ყველაფერი იციან. მე არა ვარ ჭკვიანი. ვიცი, რომ შენ ყველაფერს გაიგებ და ამიტომ გეტყვი /გაიყვანს გვერდზე ყურშას და ლევიკოს და ბიჭს ყურში ეუბნება/: არ დაუჯერო არასოდეს დიდებს, ისინი ყოველთვის იმას ურჩევენ პატარებს, რისი გაკეთებაც თვითონ უნდოდათ და ვერ შეძლეს, და არა იმას, რაც სინამდვილეში უნდა გააკეთონ პატარებმა.

მოხუცები სულ ტყუიან. მათ გამოცდილება კი არა აქვთ, არამედ ნაკლები სურვილები აქვთ და ამას ეძახიან ჭკუას.

დედა შენ გცემდა, ამოწუწული რომ ენახე, მე კი არაფერს გეუბნები.

მე ნუ მიყურებთ, სულელი მოხუცი ვარ და არაფრის გაკეთება აღარ შემიძლია. თქვენ კი ოღონდ მოინდომეთ რამე, ოღონდ, და გინდა ეგ პირველად სისულელეც იყოს.

ნუ მოერიდები გამოჩნდე სასაცილო.

მთავარია, გქონდეს სურვილი, რომ ზღვა გაცურო და თუ პირველად ნაკადული ოკეანედ მოგეჩვენება, ეგ არაფერს ნიშნავს.

შორიდან: ისმის ბულდოგის ყეფა.

ყურშას ემატება ხალისი. ყეფს.

მოხუცი: გავიქეცი... გავიქეცი...

წადი შენც... იქით შენი ტოლები არიან... ძალიან კარგი ბიჭები. ხი, ხიკ, ხედავ, მე ვითომ სულელი ვარ და რამდენი ჭკვიანური რამე ვთქვი, ასეთი თვალთმაქცები ვართ ჩვენ, მოხუცები... ზოგი სიჭკვიანეზე დებს თავს და სისულელეს ამბობს. მე კი, პირიქით, მე კი, პირიქით...

თუ გული გტკივა, ბევრი არ ირბინო, თორემ გაგისკდება.

ნახვამდის... ნახვამდის...

ისმის ბულდოგის ყეფა.

მთვარე, ბუნება გარშემო, ბუნებაში დგას სახლის ნანგრევები.

არაჩვეულებრივი გამოცოცხლებაა ნანგრევებში, ყველანი ერთად არიან შეყრილები. მღერიან საშინლად მხიარულ სიმღერას.

მთვარის შუქზე ამფითეატრივით ამაღლებულ ადგილზე გამოდის დიდი დათო: ./ლაპარაკობს ხელოვნური მანჭვით, ბაძავს ბალაგანის წამყვანს/.

_ ყურადღება, ყურადღება, ასეთია ბავშვის გული,

ხან იცინის, ხან კი ტირის.

ახლა ვიცინით, როგორც ხედავთ. _ მთელი ეს სურათი ჩვენია და რასაც გვინდა, იმას გავაკეთებთ.

ახლა დავდგამთ წარმოდგენას ცის მნათობებზე, უფსკრულზე, მოქანდაკესა და მლიქვნელზე, აგრეთვე, მეოცნებეზე. /მაყურებლებისაკენ/:

თქვენ გვიყურეთ სავარძლებში კარგად მოკალათებულებმა, თქვენ კი /ორ ბიჭს/ შესკუპდით გალავანზე და იქიდან /ბიჭები შესკუბპდებიან/.

_ აი, ეს ბულდოგი ჩვენი ადმინისტრატორია /ძაღლი პოზას იღებს/.
_ ეს ცხვარი კი სფინქსია.
/ცხვარი დგება თავის ადგილას/
_ გოგი არის მზე.
/თითოეული მოქმედი პირი თავისი სახელის გაგონებისას უცებ იწყებს მხიარულ სიმღერას, რომელიც გრძელდება მანამ, სანამ ყველა არ ამღერდება. შემდეგ სიმღერა გადადის მუსიკაში/.

დათო განაგრძნობს:

_ ირინა მთვარეა.
/ირინა და გოგი, კედლის თავზე ასულები, ალერსის პოზაში დგებიან/
_ მზე და მთვარე სხივებით ეალერსებიან ერთმანეთს.
_ ეე ... ჰოო ...ვარსკვლავები ... ეს ბიჭები ვარსკვლავები იყვნენ.
/ყველაზე მაღლა შესკუპებული ბიჭები იმანჭებიან/.
_ სოსო კი აშკარად ჯურღმულის მეფეა, მის სამეფოში ბნელი ზრახვები და შავი კატები ბატონობენ.
/სოსო დგება ჩრდილში, მის გარშემო დაძრწიან შავი კატები, მტრედის ბურტყლებით პირში/.
_ გურამი მოქანდაკეა, იგი მთელ ამ სამყაროს გამოაქანდაკებს.
/რჩება მარტო მიშა, რომელიც განაგრძობს სიმღერას/

მიშა: მე?

დათო: შენ ხარ მლიქვნელი ადამიანი!
/მიშა შეუდგება მლიქვნელის როლის შესრულებას, დადის და ყველას უღიმის/

დათო: ხედავთ, ყველას როგორ ესმის თავისი საქმე, არავინ უშლის ერთმანეთს ხელს. მაგრამ ეს ვიღაა, ძაღლთან ერთად რომ მოდის? აჰ, ჰო, ეს ხომ ცნობილი მეოცნებე ლევიკოა.
ლევიკო, რომელიც დაიღალა მხოლოდ ოცნებისაგან და უნდა საკუთარი თვალით ნახოს ქვეყნად რა ხდება.
ო, მას ეტყობა, უკვე ძალიან მოიქანცა და მოშივდა კიდევაც.

ლევიკო: /გოგის/ დამაპურე, მზეო.

გოგი: მე მხოლოდ შემიძლია გაგათბო და დაგანახვო საშოვარი, შოვნით კი თვითონ უნდა იშოვო.

ლევიკო: შენ მაინც დამაპურე, კეთილო მთვარევ, ჩემი ოცნებების მფარველო.

ირინა: მე შემიძლია მხოლოდ დაგაძინო და ნანა გიმღერო, დაგასვენო და შემდეგ ოცნებებით გაგაძღო, პური კი თვითონ უნდა იშოვო.

დათო: გახსოვდეს, ლევიკო, მათი სიტყვები!

ლევიკო: /სასოწარკვეთილია/ მე მხოლოდ ოცნება შემიძლია, ამიტომ ვთხოვ მზეს, ამიტომ ვთხოვ მთვარეს. /მიდის უფსკრულისაკენ/.

დათო: ფრთხილად, არ გადავარდე!

ლევიკო: /შედგება/ გმადლობთ, დათო. /სოსოს/ შენ მაინც დამაპურე მშიერი.

დათო: ო! უფსკრულამდე მივიდა შენი ოცნება?!

ლევიკო: ჰო, დათო...

სოსო: მათხოვე შენი ჩანთა აქ.
/ამოიღებს იქიდან, რაც კი იყო შიგ ჩარჩენილი/

ახლა უცებ წადი, თორემ ამ კატებს ვუბრძანებ, შენც ჩაგყლაპონ.
/უცებ ისმის მოქანდაკის ჩაქუჩის ხმა!/

ლევიკო: კეთილო კაცო, შენ მაინც დამაპურებ, ვიცი.

გურამი: მე? მე დაბადებიდან მშიერი ხელოვანი ვარ.

ლევიკო: საწყალო…... მე კი გუშინ ვჭამე და უკვე მშია, ეს ვიღაა?
/მიშასკენ უთითებს/ ეს ხომ ვერ დაგვაპურებს ორივეს?

გურამი: ეგ ჩემი ღვიძლი ძმაა, მას მლიქვნელი ჰქვია. ის მზესაც უყვარს, მთვარესაც. ოღონდ მაგისი უბედურება ისაა, რომ ჯურღმულსაც ემლიქვნელება და მასაც შეაყვარა თავი, ამიტომ მიჰყავთ ხოლმე თავისთან ქვესკნელში შავ კატებს.

ლევიკო: არც მაგასა აქვს საჭმელი?

გურამი: აქვს, მაგრამ არავის არაფერს აძლევს, განსაკუთრებით არ უყვარს მეოცნებეები, იმიტომ რომ მათგან არაფერს არ მოელის.

ლევიკო: არც შენ გაძლევს?

გურამი: მე ეგენი წელიწადში ერთ ნაჭერს თუ გადმომიგდებენ ხოლმე... ისიც მთელი წლის მუშაობის საფასურად.

ლევიკო: მე კი დედა რომ არა მყავდეს, ეგ ერთი ნაჭერიც არ მექნება საკუთარი.

გურამი: ჰო, შენ მეოცნებე ხარ.

დათო: ჰო, ეგ მეოცნებეა.

ლევიკო: /ცრემლი ადგება თვალებზე/ მე ვგრძნობ, ჩქარა უნდა მოვკვდე, რადგანაც არავის არა ვჭირდები.

დათო: /უცებ იცვლის კილოს/ შემომხედე! შემომხედეთ ყველამ! /მოდიან მისკენ/
გეყოთ, გეყოთ დარდიანი სახეები და ჭკვიანური ლაპარაკი.
/თენდება/
ხედავთ, გათენდა!

ყველანი: გვეყო, გვეყო!
ცას დილა ეპარება.
_ ლევიკოს გაუმარჯოს! _ /აიტაცებენ ხელში ლევიკოს, იცინიან, ეფერებიან/ ჩვენს ოცნებას გაუმარჯოს ...!
_ გაუმარჯოს, გაუმარჯოს!... დილა მშვიდობისათ!…
/შემორბიან ამ დროს გიგული და ვასიკო, უცებ ეხვევა ყველაფერი რეალურ საფარველში/.
_ უუუ, _ ყვირიან ყველანი მზის წვერის ამოყოფოსთან ერთად.

გიგული: /იჯღანება/ გამოიპარეთ და არ მითხარით ...

ვასიკო: თქვენთან ლაპარაკი აღარა ღირს, რანაირი კაცები ხართ, _ წრიპინებს ვასიკო.
წინ გამოდის ორი ბიჭი.

გიგული: ეს ბიჭები ვინ არიან?

პირველი ბიჭი: ჩვენ?!

მეორე ბიჭი: ჩვენ ახლა .../იქექავს თავს/

გოგი: ახლა ეგენი ჩვენები არიან.

დათო: წავიყვანოთ სახლში, წავიყვანოთ ჩვენს სკოლაში.

ყველანი: წავიყვანოთ ჩვენთან სახლში, წავიყვანოთ ჩვენთან, სკოლაში.

ყველანი: წავიყვანოთ, როგორ გაუხარდებათ ჩვენთან, სკოლაში, ჩვენთან, სახლში.

გიგული: შენ რაღას ყვირი, გოგი. რომ იცოდე დედაშენი რა ამბავშია! /ჰბაძავს დედამისს «ქა-ქა-ქა» იძახის და ხმას ვეღარ იღებს./

/პირველი ბიჭი ეშმაკურად ცმუკავს, მერე უცებ დაიწყებს გამოჯავრებას, როგორი იყო გოგი ღამით, ციხის აღების დროს, და როგორი იყო ირინა. თამაშობს მუნჯ, სასაცილო სცენას, მას ეხმარება გიგული./

_ შეხედეთ, შეხედეთ! _ ყვირის უცებ მიშა. ყველანი მივარდებიან ნაპირისაკენ გადასახედს.

ჩანს: მეორე ნაპირზე დარბიან ჯერ კიდევ ბურუსში გახვეული მშობლები.

ბავშვებს ესმით მათი ხმები.

საიდანღაც ნანგრევების თავზე, სიფრიფანა კედელზე ადის ტატული, თავისი ვიოლინოთი. მზის მთლიანად ამოვარდნის წინ გარემო ერთი წამით წყნარდება. ისმის ნაზი, ენერგიული მელოდია, ლევიკო მიდის მუსიკის ხმებისაკენ.

უცებ ჰაერში მძლავრად შემოიჭრება სკოლის ზარის ხმა.

_ სკოლისაკენ, სკოლისაკენ! _ ერთხმად აყვირდებიან ბავშვები და ქანის აუღებლად მოსწყდებიან ადგილს.

ვიოლინოსაკენ წასული ლევიკო სხვებთან ერთად მირბის, ისმის მუსიკის ამაღლებული, ტრაგიკული ტონი.

გარბიან ბიჭები ქვიშიანი ნაპირის გასწვრივ.

უკრავს ტატული, ნანგრევის მაღალ თავზე გადმომდგარი.

გარბიან თავდაუზოგავად.

გარბის ირინა, გოგი.

გარბიან სხვები.

უკვე აირბინეს სანაპირო.

ძლიერდება ზარებისა და ვიოლინოს რიტმი.

მირბიან სკოლისკენ.

მირბის ლევიკოც სხვებთან ერთად.

დიდი ქუჩა.

უზარმაზარი საბარგო მანქანა მიქრის მათ წინ, დატვირთული სკოლის მერხებით.

არ ჩამორჩება მანქანას არც ერთი.

ემატებიან ბიჭები.

ემატებიან გოგოები,

ემატებათ ხალისი.

გარბის ლევიკოც და არ ეტყობა დაღლა.

გავარდა მანქანა მტვრიან ქუჩაზე, თეთრ ბურუსში გაახვია ბავშვები.

მისდევენ ისინი შეუნელებლად და დაღლა არ ეტყობათ.

მირბის ლევიკო, არ ჩამორჩება სხვებს.

სახეზე ეტყობა უკანასკნელ ძალას იკრებს.

გათავდა მტვრიანი გზა. გალაღებულები გარბიან ყველანი.

შედგება ლევიკო,

დაბარბაცდება მტვერში;

გაიფანტება მტვერი;

გდია ლევიკო ძირს, თვალები ფართოდა აქვს გახელილი, ღრმად სუნთქავს და ცას უსწორებს მზერას;

უხშირებს სუნთქვას.

უკრავს ვიოლინო თავგანწირვამდე, მონდომებით და ტრაგიკულად.
მიფრინავს ხომალდი ვარსკვლავისაკენ;
მიდიან სკოლებისაკენ სუფთად ჩაცმული ბავშვები, პიონერთა ყელსახვევებით.

ტექსტი: გათენებისას დატოვა პატარა მეოცნებემ ეს ქვეყანა.
_ მოდის სინამდვილე გაშლილი რიგებით /მოდიან პიონერები/.

ბოლო:

ჩანს ტატული, რომელიც უკრავს ვიოლინოზე, ჩანან ბავშვები, მწყობრად მიმავალნი სკოლისაკენ.

[1960 წელი]

ჩ ვ ე ნ ე რ თ ა დ მ ი ვ დ ი ვ ა რ თ

ამ სცენარის მიზანია აჩვენოს მუშა ახალგაზრდობას კომკავშირლების ცხოვრება რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში, სადაც გადაწყდა ჩამოყალიბდეს, პარტიის XXI ყრილობის დირექტივების მიხედვით, კომუნისტური შრომის ბრიგადები ღირსეულთაგან. ერთ-ერთ ასეთ ბრიგადაში ერთიანდებიან როგორც უკვე გარკვეული საწარმოო სტაჟის მქონე მოწინავე კომკავშირლები, ისევე ახალბედები, საშუალო სკოლადამთავრებულები, რომელთაც სიამოვნებით უზიარებენ თავიანთ ცოდნას შრომაში გამოცდილები.

სცენარში ნაჩვენებია ფსიქოლოგიური დაბრკოლებები ახალგაზრდათა ნამდვილ მუშებად ჩამოყალიბების პერიოდში, ის მარცხები, რომელიც ამ პროცესის განმავლობაში შეიძლება მოხდეს და ის ცხოველმყოფელი ძალა კომკავშირის ორგანიზებული წევრებისა, რომელთა თითოეული საქმეც მხოლოდ გამარჯვებით უნდა დაბოლოვდეს, მიუხედავად ცალკეული ტრაგედიებისა, რომელიც ყოველ ჭეშმარიტად დიდ საქმეს თანა სდევს.

მოქმედება მიმდინარეობს რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში.

ნაჩვენებია მძლავრი ტექნიკა, ქარხნის თავისებური, პოეტურად საიდუმლო ლითონის იდილია; ნაჩვენებია შრომის პროცესი, მუშები, რამდენიმე კონკრეტული სახე.

ქარხნის საღამოს ცვლას მუშაობის დაწყების წინ პარტორგანიზაციის მდივნის კაბინეტში მოუყრია თავი. აქ არიან უკვე ასაკში მყოფნი, შუახნის მამაკაცები, თითქმის უწვერულვაშონიც. _ კრებაზე იღებენ გადაწყვეტილებას შვიდწლედის ექვს წელიწადში შესრულების შესახებ და განიხილავენ შრომის კომუნისტური ბრიგადების შექმნის საკითხს; წინადადებაა ერთ-ერთი ასეთი კანდიდატი-ბრიგადა შეიქმნას მხოლოდ კომკავშირელი ახალგაზრდობისაგან. წევრების შერჩევას ქარხნის დირექცია ანდობს ახლად დავაჟკაცებულ კომკავშირელ ჟორა ავალიანს, რომელიც პრეზიდიუმში ზის როგორც მოწინავე. ჟორა თავისთვის ათვალიერებს დარბაზს და მზერას ირაკლიზე შეაჩერებს _ ირაკლი უღიმის _ «ეს ერთი», აღნიშნავს ავალიანი თავისთვის.

უცებ კაბინეტში შემოიჭრება განგაშის ხმები, ფანჯარაში წითელი ალის ანარეკლი შემოვარდება, ისმის ხმა: «საამქროში ხანძარია, ყველანი, ბრიგადების მიხედვით, კატასრტოფის ადგილებისაკენ, პანიკის გარეშე!» _ ბრიგადები უკვე გარბიან იქითკენ, იწყება ცეცხლთან ბრძოლა, მოდიან ცეცხლისმქრობელი რაზმები.

აუღელვებლად უცქერის ცეცხლს ჟორა ავალიანი, მის გვერდითაა ირაკლი. ისმის რადიოს ხმა: «კატასტროფის ადგილზე დარჩენილია რამდენიმე საშუალოდამთავრებული ექსკურსანტი!» სხვა ექსკურსანტები აქვე დგანან დაბნეულები. იმათგან გამოირჩევა გურამი, რომელიც მარტო გადაეშვება რადიოს ხმასთან ერთად ცეცხლისკენ. ბრიგადებს გამოჰყავთ ოდნავ დაზიანებულები, გადამრჩენლებს შორის არიან მუშა კომკავშირლები, რომელთა სახეებიც კრებაზევე გამოირჩეოდა: ჯიმშერი, ედიშერი, ვასიკო, ტიტო, სიომა. აქვე დგანან გამოცდილი მუშები: ყველას ფეხებში ედება და ვერავინ ვერ ამჩნევს აქ ერთ მოუხეშავ ახალგაზრდას, რომელსაც აშკარად არაფერი აქვს საერთო არც მუშებთან, არც სკოლადამთავრებულებთან; ეს არის შიოშვილი _ გლეხის ბიჭი, ჩამოსული ქარხანაში

სამუშაოდ. ის გაკვირვებული, დაბნეული უყურებს მთელ ქარხანას და კატასტროფას. ხანძარი თითქოს ნელდება, მაგრამ შენობის ზედა ნაწილში ისევ ათამაშდებიან ცეცხლის ენები, რომლებიც იკარგებიან სქელ ორთქლში. უცებ პანიკა _ კურსდამთავრებულთა მასწავლებელი დაბნეულია: არ არის არსად ცირა. ეძახიან ცირას. ალმოდებული შენობის ზედა ფანჯარაში გაიელვებს გოგონას სილუეტი და ქრება. სილუეტს ერთდროულად ხედავენ გურამი და ჟორა. დაუფიქრებლად გარბის გურამი მაშველი კიბისაკენ, მას მისდევს მისი თანაკლასელი ომარი: «სად მირბიხართ, სად მირბიხართ, თქვენც დაიღუპებით მარტოები!» _ ეძახიან მათ. ისინი გარბიან სულმოუთქმელად და არ აქცევენ არაფერს ყურადღებას.

დაბნეული ხალხის წინ, რომელთა სახეზეც წერია «ისინი დაიღუპებიან», გამოდის ჟორა. მას ხელში ცული უჭირავს. «საჭიროა რამდენიმე ვაჟკაცი», _ ამბობს იგი. წინ გამოდიან ირაკლი, ედიშერი, ჯიმშერი, ვასიკო, ტიტო, სიომა და კიდევ რამდენიმე სხვა. მიდის ჟორა ხიფათისაკენ თითქმის სირბილით. უკან მისდევენ ნარჩევი ახალგაზრდები, მისდევენ ცირას დასახსნელად, ორგანიზებულად, გარეგნულად აუღელვებლად.

სწრაფად, უგეგმოდ, არაორგანიზებულად იკვლევენ წინ გზას გურამი და ომარი, უნებურად ხელს უშლიან ცეცხლისმქრობელ რაზმს, არ ეპუებიან მათ ბრძანებას უკან დაბრუნების შესახებ.

შეუჩერებლად, ორგანიზებულად უტევს ცეცხლს ცირას გადასარჩენად ჟორა, თავისი რაზმით.

ახლოს არიან უკვე მიზანთან გურამი და ომარი. ომარს სული უგუბდება, მეტი აღარ შეუძლია, წინ კი ხის ალმოდებული კარებია _ საჭიროა მისი ჩამოგდება. არც ერთს ცულიც კი არა აქვს თან. კარები მათი ცდისას ვარდება და ომარს ეცემა თავში. გურამი შუა ალიდან იტაცებს მეგობარს, იკიდებს მხარზე და უკანდახევის მაგივრად მიდის იქითკენ, სადაც ცირა ეგულება.

ამავე დროს, ცეცხლს ყოველი მხრიდან უტევენ კომკავშირლები. რკალი შევიწროებულია, მათი დახმარება აუცილებელია.

გურამი მხარზე აკიდებული ომარით მიდის ცირამდე, რომელსაც უკვე გონება აქვს დაკარგული, დიდი წვალებით მოათრევს მასაც გასასვლელისაკენ, ორთქლი გზას უღობავს, ეცემა, ფეხს იტეხს. გონზე მოდის ცირა, რომელიც თითქმის დაბრმავებულია. იმართება და ისევ ეცემა. საცაა ალი შთანთქავს სამივეს. ამ წამებში მათ ყველა მხრიდან ერტყმიან ჟორას რაზმელი კომკავშირლები, გამოჰყავთ ცეცხლიდან სამივენი. სირენა, სასწრაფო დახმარება, საავადმყოფო. დარჩენილ ხანძარს აქრობენ მუშები ცეცხლისმქრობელებთან ერთად.

მომხდარი ხანძრის შემდეგ მტკიცე კოლექტივად იკვრება კომუნისტური შრომის ბრიგადის სახელისათვის მებრძოლი კომკავშირელთა ჯგუფი, რომელთაც ერთმანეთი გაჭირვების დროს გამოსცადეს. ისინი იღებენ სერიოზულ კონკრეტულ დავალებას.

სწრაფად ჯანსაღდებიან დაზიანებულები. საავადმყოფოდან გამოსვლის შემდეგ ცირა, გურამი და ომარი, რომლებსაც ავადმყოფობის პერიოდში კავშირი ჰქონდათ მათ სანახავად მოსიარულე ახალგაზრდა მუშებთან, გადაწყვეტენ დარჩნენ ქარხანაში სამუშაოდ _ კერძოდ კი, ჟორას ბრიგადაში.

უყოყმანოდ იღებენ ცირასა და ომარს, მხოლოდ დიდ კამათს იწვევს გურამის საკითხი. ის მე-10 კლასში არაღირსეული, ჯიუტი ხასიათისათვის გამორიცხული იქნა კომკავშირის ორგანიზაციიდან.

ჟორა პირადი რეკომენდაციით აძლევს მას საშუალებას გახდეს საპატიო კანდიდატი ბრიგადის წევრობისა.

ნელ-ნელა იკვეთება თითოეული ახალგაზრდის საინტერესო, ინდივიდუალური სახე, დამოკიდებულება ერთმანეთს შორის _ ყველასათვის ცხადი ხდება გურამისა და ცირას სიახლოვე.

გამალებული ბრძოლაა მთელ ქარხანაში შვიდწლედის ექვს წელიწადში შესრულების საფუძვლების ჩასაყრელად, ძალ-ღონეს არ იშურებს ახალგაზრდული ბრიგადა დასახული გეგმის გაორკეცებით შესრულებისათვის, მუშაობის ამ კრიტიკულ მომენტში ყველა ივიწყებს თავის პირად საქმეებს; მხოლოდ გურამია გართული ცირასთან რომანით. მუშაობს ისიც, ოღონდ მის საქმეს ხალისი აკლია. ასეთივე ხასიათზეა ცირაც. მართალია, იგი აღტაცებულია ყველაფრით, ქარხნის თითოეული დეტალით, სიამოვნებით ლაპარაკობს მათ შესახებ, ოღონდ ისიც ორგანიზებულ შრომაში ჩაბმას, გურამივით თავისდაუნებურად, გაურბის.

რამდენიმე ხნის განმავლობაში ახალგაზრდული ბრიგადის წევრები, ჩაფლულნი შრომაში, ამჩნევენ, რომ მათ გარშემო სისტემატიურად ტრიალებს აჩრდილივით გლეხის ბიჭი შიოშვილი, რომელიც ესწრებოდა ხანძარსაც, მაგრამ რატომღაც ვერც ერთმა ვერ მოახერხა მასთან გამოლაპარაკება. მხოლოთ ცირა, რომელიც არცთუ მთლიანადაა ჩაფლული მუშაობაში, მიაქცევს ამ ბიჭს ყურადღებას, გამოელაპარაკება. ირკვევა, რომ მას უნდა დაიწყოს მათთან მუშაობა, რომ ის არის სოფლიდან, საიდანაც უკვე დიდი ხანია ჩამოვიდა და მორიდებულობის გამო ვერ გაუბედავს მიმართოს ვინმეს. ცირა ალალად დასცინის მის მორცხვობას, შედის მდგომარეობაში, ელაპარაკება, უხატავს ბრწყინვალე მომავალს, სახე უბრწყინავს ორივეს. გოგო ხელს მოჰკიდებს და დაუფიქრებლად მიარბენინებს ქარხნის დასათვალიერებლად. გარბიან ათასგრადუსობით გავარვარებული ქურების გასწვრივ. მიდის დიალოგი კისკისით და უცებ ისმის ცირას კივილი მანქანების ხმაურს შორის. მათზე წამოსული ამწე-კრანისგან ტყუილად შეშინებული შიოშვილი, უკან გადამხტარი, ქურაში ვარდება და თვალის დახამხამებაში ქრება. ცირა თვალებს ვერ უჯერებს, ეძახის, იხედება, იცის და არ სჯერა, ფიქრობს: იყო ის ბიჭი საერთოდ თუ არა?! იგი გარბის, უძახის ამხანაგებს, ყველანი საშინლად განიცდიან მომხდარს, ზოგს არც კი სჯერა. აქ მხოლოდ გავარვარებული ცეცხლის ქურა ჩანს.

შიოშვილის ტრაგედია დიდი მსჯელობის საგნად იქცევა. ამის შემდეგ მთლიანად იცვლება ცირა და ერთი-ორი, ოდნავ ცუღლუტურად განწყობილი, სხვაც. მთელი სერიოზულობა მუშაობისა იგრძნო თითოეულმა, უფრო კარგად გაიგეს, რომ აქ წყდება უდიდესი მნიშვნელობის საქმე.

მხოლოდ გურამი შეხვდა ერთგვარი იუმორითა და სიმსუბუქით მომხდარს. იგი ისევ მხოლოდ ნახევრად სერიოზულად განაგრძობს მუშაობას, სულ უფრო და უფრო ირიყება სხვებისაგან. ალბათ, სწორედ ამიტომ, დასაყრდენის საპოვნელად, მოჰყავს მას სატუსაღო კოლონიიდან ახლად გამოსული რუსი ბიჭი გლები ბრიგადაში. გლებთან მისი დაახლოება იწვევს ცირასთან ჩასახული დაშორების გაღრმავებას _ სწორედ ამ დროს გურამი აძლევს მას წინადადებას დატოვოს ქარხანა. ეს არის დასაწყისი მათ შორის ოფიციალური განხეთქილებისა.

ცირა, რომელიც ილაშქრებს მის წინააღმდეგ, ასე აღნიშნავს ამ ფაქტს კრებაზე: კაცს, რომელსაც არ შეეშინდა ცეცხლის, შეეშინდა შრომის; გურამის თავმოყვარეობა შელახულია, მისი კომკავშირში მიღების საკითხი გადაიდება. ის თავისებურად, მარტო, ინდივიდუალურად ცდილობს გადააჭარბოს სხვას შრომაში _ ერთდროულად იმსახურებს თავისი პიროვნებით აღტაცებას და უკმაყოფილებას. მას არ ტოვებს

შეგრძნება, რომ იგი ამ საზოგადოების სრულფასოვანი წევრი არ არის, იგი არასოდეს არ ეხმაურება, როდესაც ბიჭები ერთმანეთს ეძახიან: კომკავშირლებო, წავედით კინოში, ან კომკავშირლებო, სასადილოდ, სამუშაოდ და სხვ. ის, რომელიც ვერ გახდა ღირსი კომკავშირის ორგანიზაციაში არჩევისა, შეგნებულად გარე-გარე დადის და მხოლოდ ინდივიდუალური შრომით ცდილობს სხვას აჯობოს. მასში ნელა ისადგურებს არა საერთო საქმის გაკეთების სურვილი, არამედ სხვისი ჯობნის ნდომა. ამასთანავე, იგი გულახდილობის წუთებში აღტაცებულია ჟორას პიროვნებით და შურს კიდეც მისი. ეს კიდევ უფრო აღრმავებს მის გათიშვას კოლექტივისაგან. იგი თავის ერთადერთ მეგობრად მხოლოდ გლებს იხდის, რომელსაც კიდევ არ მიუტოვებია ციხის ჩვევები.

ჯერ უბრალო მოქმედებით იწყება ცირას აღტაცება ჟორას პრინციპული, ვაჟკაცური ხასიათით, ხოლო შემდეგ გადაიზრდება სიყვარულში. ამ ჩასახულ კავშირს ახალგაზრდა ბრიგადირი ყოველნაირად გაურბის გურამის გამო; მიუხედავად ამისა, ყველასათვის ცხადი ხდება ცირას ეს ლტოლვა, რასაც მთლიანად ვეღარ უმკლავდება თვით ჟორაც, რომელიც, თავის მხრივ, გულში დიდი ხანია შეყვარებულია მასში. სწორედ იმისათვის, რომ გურამმა არ იფიქროს, თითქოს ბრიგადირი მას ცირას გამო მტრობს, ის დიდ დათმობაზე მიდის მის მიმართ, როგორც ქვემდგომი მუშის მიმართ, რაც გამართლებულია ფსიქოლოგიურად, ოღონდ შეუწყნარებელია საქმისათვის, გურამის მიერ მოყვანილი გლებთან კი ჟორა დათმობაზე აღარ მიდის.

ისმება საკითხი გურამისა და გლების კომკავშირში მიღების შესახებ, რაც დიდ კამათს იწვევს. არჩევნების წინა დღეს ხდება ერთი მნიშვნელოვანი ეპიზოდი. ბრიგადის ნაწილი მუშაობს მარტენის ციხეში სწორედ იმ ადგილას, სადაც სითხედ ქცეული ფოლადი ფორმებში ისხმება. ეს ფორმები დგას ვაგონებზე, საიდანაც ისინი გაციებამდე ქურებისაკენ მიდიან. მემანქანემ რამდენიმე ხნით დატოვა ორთქლმავალი. სწორედ ამ დროს ჟორას დაემართა ღვიძლის შეტევა, რაც წინათაც ჰქონდა ხოლმე, და კიბეებიდან დაგორდა. გურამი აქეთ-იქით იხედება: რითი მიეშველოს, ვის დაუძახოს ამ ხმაურში, აღარ იცის. გლებს სთხოვს ააწევინოს ჟორა და მას ორთქლმავალში სვამს. ჟორა, უარყოფის ნიშნად, რაღაცას ლუღლუღებს; გლები ეუბნება, რომ ჯობს დარეკონ სასწრაფოში. გურამს ეჩვენება, რომ ყველაფერი შემდეგ გვიან იქნება, თან უნდა, რაც შეიძლება სწრაფად დაეხმაროს ჟორას, რომ არავის და, პირველ ყოვლისა, თვითონ არ იფიქროს, რომ იგი წყენის გამო რამეს აგვიანებს. ასეთ აფექტში იგი მიაქანებს ორთქლმავალს, თავისი ვაგონებით, ქარხნის გასასვლელისაკენ. სქელ ნაკადად იღვრება გავარვარებული ძვირფასი ფოლადი. განგაშია. გლებისაგან გამოძახებული სასწრაფო დახმარების მანქანები ეწევიან ორთქლმავალს. გურამის დაუფიქრებელმა საქციელმა საქმე დაღუპა და ჟორას დახმარებაც ვერ დააჩქარა.

კინაღამ არ ჩავარდა მთელი ბრიგადის საქმე: უშველა მხოლოდ გეგმის ორასი პროცენტით შესრულების მაჩვენებლებმა. მეორე დღეს ჟორა ისევ სამუშაოზეა, გლებს ირჩევენ კომკავშირში, ხოლო გურამი ისევ რჩება ორგანიზაციის გარეთ. ეს აძლიერებს მის იუმორს სხვებისადმი და მის განმარტოებას. იგი ახლა ოდნავ მტრულადაც კი უყურებს ყველა ცდას სხვებისას, რომელთაც ალალი გულით სწადიათ მასთან დაახლოება. ამასობაში ჟორა ცოლად ირთავს ცირას. გურამი, რომ არ იფიქრონ, თითქოს მას ეს ეწყინა, ცდილობს გარეგნულად მაინც ჩაებას საერთო ფერხულში. განუსაზღვრელად წინ მიდის ბრიგადის საქმე, «ასე რომ იშრომოს ყველამ, შვიდწლედი შესრულდება სამ-ნახევარ წელიწადში», _ ამბობენ ქარხანაში.

1957
თბილისი

მე თვალები სუსტი მაქვს,
        გული უფრო,
მაქვს ჩემი მეთოდი წიგნების კითხვის.
ვითხოვ!
ვდებ მაგიდაზე ყველაზე შესამჩნევ ადგილას,
ყველა ამბობს თავის აზრს:
_ ეგ დოსტოევსკია?
_ ჰა!
_ «Преступление и наказание»?
_ ჰა!
_ ვახ, რა კარგია, გაგიჟდები!
_ ო!
_ არაჩვეულებრივად არის გარჩეული, როგორ
    იტანჯება
        კაცი!
ჯერ კლავს, მერე სჯის თავისი
                    თავი,
                        ნერვები.
მოდის სხვა.
_ მაგ წიგნის წაკითხვის მერე
არ მძინებია სამი დღე,
_ ამბობს. რჩება.
        თავისთავად ხდება.
კარგად ვიცნობ იმათ გემოვნებას, ვინც მსჯელობს.
ვიგებ შინაარსს მათგან,
ვადგენ არსს.
_ აღარ მძინავს სამი ღამე
                    თორმეტამდე!
ე. ი. სანამ დამეძინება.
წიგნი წაკითხულია!
                    Баста!
წიგნი, თუ კარგი ყდა აქვს,
მიმაქვს
        ბუკინისტებთან.
ვსვამ
        არაყს,
ფანტაზია იზრდება.
        ასე:
        წიგნი წაკითხულია შემოქმედებითად
                    და

ათვისებულია ასოცი პროცენტით.

მთა მაღალია
    და კლდიანი,
ჯიხვები _ სალი რქიანი.
მთა მაღალია და კლდიანი,
    ფერდობი _ ბალახიანი.
ფერდობს მოჰყვება ნახირი,
ნახირს ანიკო.

კლდეებს შუა ქუჩი ამოსულა _
მომწვანო, სწორი ბალახი.
ქუჩის შუა გადის ბილიკი
მორუხო.
დილით აივლის ნახირი-,
საღამოს ჩაივლის ნახირი,
დილითაც აჰყვება ანიკო,
საღამოს ჩაჰყვება ანიკო.
        ქსოვს.

მივალ სოფელთან _ დავჯდები,
        ვუმზერ ბანს,
        ვფიქრობ:
ანიკო, ანიკო.
ბანზე გამოვა ანიკო _
        მიყურებს,
        ვუყურებ,
        ამბობს:
რაგიყო, რაგიყო.

მთა მაღალია ხეობაზე,
ხეობა _ დაბალი მთაზე,
მე ვზივარ ხეობაში
    და
ვფიქრობ მთაზე.

ერთ ლოყაში რომ სილა მოგარტყან, მეორე უნდა შეუშვირო.
სახარება

ხარაჩოები

    წითელი პლაკატები
ბულდოზერები
    ყვითელი პლაკატები
        და კომბაინები
        და ესკავატორები
        და ლოზუნგები
        და უთვალავი: მტრედები,
        და შეგონება ერთი:
და თუ მოგარტყეს ერთ ყბაში, ერთხელ
ისეთი დაადე, რომ მეორე ვეღარ მოასწროს.

ყ ა ვ ი ს ს მ ა

სუფრა ყვითელი
დოქი დოქისფერი
დოქი შავი
დოქი შავი და ყავისფერი.
ყავა დოქისფერი
ფინჯნები უფერული
კედლები ძველი
კედლები მწვანე, წითელი
სუფრა ყვითელი
სკამები ჟამი.

ნ ა პ ო ლ ე ო ნ ს !

და დაგდებული, ცხვირჩამტვრეული
სფინქსი უდაბნოში
მზე უბედური, მზე ბედნიერი
ქარი ძლიერი
და გაშხვართული სფინქსი უდაბნოში.

ტბა ლურჯი, ტბა შავი,
ტბა ცისფერი, ცა ტბისფერი
და ტბა ვრცელი
მთებს შუა მოქცეული.
მთები მაღალი
ტბებს შუა
და ტბაში ტალღები.
მე ვზივარ ნავში.

თოლიები თეთრი
შავი
    მწვანე.
И птица вольная
Самая безвольная.
ნაპირზე ცხენი
ულაყი.
ნაპირზე ცხენი,
ნაპირი ბალახში
და მე ცხენზე.
ცხენი თავისუფალი მირბის სტეპში.
მე ცხენზე.
И птица вольная
Самая безвольная.
და მე სასადილოში
ვსვამ არაყს.

ოთახი ცხელი და ნერვიული
შორიდან ხმები «როკ-ნ-როლ»
რადიო ძველი და დანგრეული
«ზაგლუშენია»,
შორიდან ხმები, «როკ-ნ-როლ»
შუბლი სისხლიანი, შუბლი ოფლიანი
პერანგი დაგლეჯილი, მკლავი გადაფხრეწილი.

სამარე ცივი
სამარე თბილი
სამარე გრილი
დოქით ღვინო
ხითხითი, სიცილი
სიცოცხლე ცივი
სიცოცხლე თბილი
სიცოცხლე გრილი
დოქით ღვინო
ხითხითი, სიცილი:
ფართო ქუჩა ასფალტიანი
ქუჩა ნაცრისფერი, შავი
მტვერი ატლოკილი ქარით
ქარი ძლიერი, საშიში
სადღაც რადიო კანტორის თავზე
მღერის:
შვიდკაცა

და ქარი, ქარი
ქარისგან ასფალტი, სუფთად
ატლოკილი
და
ისევ ქარი
ქარი მტვრიანი,
ქარი უმტვერო
და ორი ქალი
შავი თავსაფრით
კანტორის ქვევით
ზევით რადიო
და
რადიოში
მღერის: შვიდკაცა.

უბედურია ის, ვინც არ იცის უდიდესი უბედურება.

ბოლი პაპიროსის
ნამწვი პაპიროსის,
ნაფაზი, ნაფაზზე
თითები ყვითელი
თითები დამწვარი
და არომატი
რუსიკოს ტუჩების
თითებს შუა სიგარეტი
ბოლომდე ჩამწვარი
თითები ტუჩებზე მიმჯდარი
თითები ტუჩებზე მიკრული
ბოლი ყვითელი
ბოლი შავი
ნახველი, ნახველი
და არომატი
თითების ტუჩებზე
და არომატი
რუსიკოს ტუჩების

ცარცი და, კედელი
კნოპკით დაჩხვლეტილი
სურათი ნილოსის
მეფის ნიანგისა
სურათი რომაელ
მსუბუქი მეომრის
კარლოს დიდის
დროის რაინდისა

ხატები ეგვიპტელ
ხატები ინდოელ
ქალ მოცეკვავეთა
რეპროდუქცია მძინარე მადონას,
პორტრეტი პროფილში
ჭრელი ძუ ვეფხვისა
ცარცი და, კედელი
კნოპკით დაჩხვლეტილი
სურათი მიკრული ირიბად:
სურათზე რუსიკო.

დ ე ვ ს თ ა ვ ი ს ქ ა ლ ა

სატივეზე ტივი შევკარ
ტივი იყო ნაძვის ხისა
მტკვარი ქვიანი, მტკვარი კლდიანი
მტკვარი მღვრიე და ხიფათიანი
სატივეზე ტივი შევკარ
და ნიავს მიაქვს ყვითელი ჩალა
იშლება შენი თმა თაფლისფერი
და მტკვრის ნაპირას გველი
        შხამს ტოვებს.
და მტკვრის ტალღებში უშხამო გველი
        ებრძვის მეტივეს.

И подо мной вода пресная
вода мутная, змея ядовитая
        და
მტკვარი ქვიანი, მტკვარი კლდიანი
მტკვარი მღვრიე და ხიფათიანი.

დალიეთ ბურახი
    ოფლი შეგაშრებათ
შეჭამეთ ნაყინი
    გაიგრილეთ გული.
ზემოთ ჩანს დუქანი
    მივდივარ,
        ჩავდივარ,
            არ ვჯდები:
თაროდან მიყურებენ მე
        «პოლბუტილკები».

მე არ ვარ მარტო _
ნათესავები,
ძმაკაცები,
და საყვარელი.
მე არ ვარ მარტო
და მარტოობა
ყველაზე მეტი
ალბათ აქ არის.
ისევ ის ქარი,
ასფეხა ქარი,
ზღვების ხმაური,
ზვავების ლეწვა,
ჩემი გრძნობები
ავადმყოფური
და თოვლის სამარეში
ნაპოვნი კაცი,
და მიწის სამარეში
ნაპოვნი კაცი
და თოვლის სამარიდან
მიწის სამარისკენ
კაცები, ჩონჩხები,
ჩონჩხები ხორცებით.
ავადმყოფური ჩემი
გრძნობები,
ნათესავები,
ძმაკაცები,
საყვარელი _
მე არ ვარ მარტო
და მარტოობა
ყველაზე მეტი
ალბათ აქ არის.

ნედლი ბალახი
მწვანე,
გამხმარი ბალახი
რუხი,
კუნძები _ ფესვებით,
ხეები _ ფესვებით,
ხევიც _ ფესვებით
და კაცი
შავი,
რუხი

ოფლისფერი
თუ ჟანგიანი,
და ესკავატორი უფერული.
მიწა
შავი,
მიწა
თეთრი,
მიწა
რუხი
და ხევი ფესვიანი,
სავსე კუნძებით, სავსე
ფესვებით
სავსე ბალახით.
ესკავატორი გავსებულ
ხევზე
შედის და ტკეპნის.

ს ი გ ი ჟ ე

ჟანგი, ჯანღი
ღამე ბნელი
დიდთვალება ტყეში მგელი.

ერთხელ ღამე, ერთხელ ღამე,
კოცნა ყოველ ღამე,
ცხელი ბარძაყები,
ხელი ბარძაყებში,
კოცნა ბარძაყებში
და
მართლა ღამე, მართლა ღამე,
ცივი ბარძაყები,
ხელი ბარძაყებში
ძილი უგრძნობელი.

და ჩემში გაჩნდა ორივე ერთად:
ეჭვი და სიყვარული.

გულგადაღეღილი
ქალები, კაცები;
საუბარი ციკლონზე,

სიმღერა ჯაზების.
ქალები, კაცები,
ღია მანქანები,
კისრამდე შეკრული
მილიციელები.
შუა დღის მოდუნება
            სიცხეზე.
კისკისი საღამოს
            ბაღებში
და პოდიეზდები
ღია ბარდაგები,
ხოში და ხურუში
გადახლართულები.

ჩემს გოგოს მაღალი წელი,
ლამაზი ტუჩები, სავსე მკერდი
აქვს,
აქვს სილამაზე და ის ჩემია,
აქვს სიყვარული და ის ჩემია,
აქვს ერთგულება და ის ჩემია,
ვარ კმაყოფილი, ვარ უდარდელი.
აქვს ყველაფერი და ის ჩემია.
და არ ვიცოდი მე _ სიყვარული.

და ერთხელ ვნახე ის სხვასთან ერთად,
საუბრობდნენ,
ბევრჯერ მინახავს ის სხვასთან ერთად
მოსაუბრე
და მაშინ ვნახე, არ ვიცი რატო,
და მაშინ ვნახე მე სიყვარული
და ჩემში გაჩნდა ორივე ერთად:
        ეჭვი და სიყვარული.

ა ღ მ ა რ თ ი

აღმართი მიჰყვება აღმართს,
შორს მოსჩანს აღმართი,
გურამი ჯდება კლდის ქიმზე,
ქალაქი გდია წინ დიდი და გაბერილი.
მოსჩანს მტკვარი, მტკვრის იქით სახლები,
მტკვრის აქეთ სახლები და სწორი ქუჩა.
გურამი დგება:

ქალაქი გდია უკან
დიდი და გაბერილი.
აღმართი მიჰყვება აღმართს,
შორს მოსჩანს აღმართი.

დ ა ღ მ ა რ თ ი

ნაწვიმარ ქარაფზე
დახეთქილ ქვებზე
დაფხრეწილი ქალამანი,
ქალამნიდან გადმოვარდნილი ცერი,
ცერზე ხორცი დაგლეჯილი.
ნაწვიმარ ქარაფზე
დახეთქილ ქვებზე
სისხლი დაიღვარა,
შრება, შავდება, ქრება.
გურამი მირბის ხეობისაკენ,
ნაპრალი ხარხარებს.

ქ უ ჩ ა შ ი

ტრამვაი მიგორავს ქუჩაზე,
ქუჩა არ არის ფართო,
ქუჩა არ არის ვიწრო.
გურამი დგას და იცდის,
ეწევა სიგარეტს «პრიმას».
ტრამვაი მიდის,
მანქანები მიდიან,
ხალხი მიდის,
გურამი დგას და იცდის.
მის ფეხებთან აგდია ნამწვი,
ტრამვაი მიდის.
გურამი გადადის ქუჩაზე,
გურამი მიდის,
წეღან ხო მოსწია, კიდევ მოსწევს მერე.

В Р О Д Н О М Г О Р О Д Е

ქვები,
ქვები,
ქვები დაფენილი.
ქვაფენილი.
მტვერი
ნაფეხური.
ფეხები,
ფეხები
ვობლების,
ჭიქები ჩაის
არაყით სავსე.
ვიწრო შარვლები,
კლოში,
მაკინტოში
ქუჩაზე ეზოში
სანაგვე ყუთი,
ყუთში ნაგავი,
ყუთის უკან ბოზი
ბუზები.
ქაღალდი ტკბილი და შხამიანი
ბუზის სიფათით.
წარწერა ბუზიანი:
მოსპეთ ბუზები.
ბოზი ნაგვისყუთთან,
ბოზი ნაცემი
ნამტირალევი.
ქუდები,
შლაპები
კლოშები,
ყოჩები.
ბუტილკა შარვლები
მაკენტოშები.

მიხაკი, ზამბახი, ყვავილთა ჯარი,
რკინის მოაჯირი, ოქროსფრად სკამი
და სადღაც ქარი, ასფეხა ქარი
მტვერი ჰაერში, ბოღმის ტრიალი.

მიხაკი, ზამბახი, ყვავილთა ჯარი
და გათელილი საფლავის თავი:
კუზიანი და დიდცხვირა
იქ მესაფლავე ჩაივლის,
ხელში ვედრა უჭირავს,
უვლის ახალ საფლავებს.

და სადღაც ქარი, ასფეხა ქარი
გადამხმარ ყვავილებს მიაყრის ღობეს
და გადასული სკამიდან ფერი.
ვაჟკაცი დგება:
ყვავილი ხმება,
საღებავი ქრება
მოაჯირი ტყდება.

მიდის ხევისკენ, მოათრევს ლოდებს
გულზე დაიწყობს და ათამაშებს.

ხეზე მივცოცავ,
ნაძვის მტვრით ვივსები,
მელოტზე მედება ფერფლი და ჭუჭყი.
კენწეროს ვაღწევ,
ქვევით ვიხედები,
იქ პატარები ფეხბურთს თამაშობენ.
გადაღმა ბაღში სიმღერა ისმის.
აქ ქარი მირტყამს,
დარჩენილ ჭაღარას მიშლის.
კენწერო ირწევა,
გული ფართოვდება,
ცივ ჰაერს ისუნთქავს ტანი.
ბავშვები მხედავენ,
ზევით მოცოცავენ,
ტოტები იმტვრევა,
მოდიან მაინც.
დგას მოხუცი უქუდო კაცი
_ ალეკო, _ ეძახის ის შვილს, _
ახლავე ჩამოდი! მანდ მტვერია
და ჭუჭყი.
ბაღში ზის მანანა, ჩემსავით ჭაღარა,
თვალები უცინის,
ღელავს,
ჩემს რწევას უყურებს
და ვგრძნობ, რომ ამბობს:
რა ახალგაზრდაა ჩემი ბიჭუნა,
მე კი დავბერდი!

1958

/ლექსი ორ ნაწილად/

ამდენ ზღვეებში,
ამდენ მზეებში,
ამდენ მიწებში
რამდენი მესერი თავწამტვრეული.
ჩემი ცხოვრება
მოდის,
    იწყება,
როგორც ატმოსფეროში შემოვარდნილი
    რამ მეტეორი.
ტიტველა ტორები,
შიშველა რტოები,
რძით და სიცოცხლით
ავსილი მკერდები
და ორღობეები და ორღობეები.
გზები პაპიჩემის,
გზები წინაპრების,
ათასი ელვები,
ელნათურები
და სპუტნიკები,
დიდი მილები
და შავი კვამლი.

პატარა ოთახში გოგო ელოდა შეყვარებულს
და ქსოვდა მისთვის ჭრელ წინდას.

1959
წყალტუბო

იმ მიუწვდომელ მშვენიერებას
ბავშვი რომ ხედავს
ქალის სხეულში,
თავის პატარა გაურყვნელი წმინდა ხელებით
როცა დაბერილ თეთრ ძუძუებს
ვნებით უჭყლიტავს,

ვცდილობ მივაგნო,
როგორც ერთი წლის დაბადებიდან
მოურიდებლად თავის დედას გაუხსნის საკინძს
ვარდისფერი ძუძუსთავების დასაწაფებლად.
ისევე წმინდა,
ისევე დიდი,
არის სურვილი ჩემი (?)
მხოლოდ მორალი დაწესებული გარეშემო
მე შეურაცხმყოფს,
ტყუილ ბრალსა მდებს
და მეც ბრალდებულს
ცოდვისთვის შობილს,
გულის სიღრმეში
მიხარია ეს განაჩენი.
და სხვებთან ერთად
ნეტარ წამებს
შევურაცხყოფ
ენის გაკილვით,
ან იმ ბიბლიურ დაბალი
        კაცის მიერ მოგონილ
მაღალ სიტყვებით:
«მე დავამდაბლე აი, ეს დიაცი
და ამ დიაცს დღეის შემდეგ
უწოდეთ ბოზი.
მე აქ ვმაღლდები პირუტყვული
უკუპროპორციით
და თავს ტაშს ვუკრავ,
რადგან არ ვგავარ ვნებააშლილ
ქალთაგან ნაცემ
იმ უძლურ სხეულს,
ვინც იცემა კაფეში ბოზთაგან,
რომ ნამთვრალევმა,
ღამენატეხმა,
დამდაბლება მათი ვერ შეძლო
და საოცარი ყველაფრის მხეთქი
ხმა ამომძახის გეენის ცეცხლივით:
შენ კაცი ხარ, დიდი კაცი, სანამ გიდგება,
და ნახევარი ადამიანი.»

მთის ფერდაზე,
იქ სადაც ხეობა ივაკებს,
იზრდება სენტიმენტალური ბუჩქი:
მწვანე ფოთლებით,
მცირე ნაყოფით

და სამი გამხმარი ტოტით.

1959
თბილისი

მე მომერია დიდი სურვილი დავწერო
ჩემი ბიოგრაფია,
პირობას გიდებთ არ ვიქნები ორიგინალური,
ვეცდები ვიყო მორიდებული ზედმიწევნით
და თავმდაბალი,
საუკეთესო ჩემს თვისებებს მიეკუთვნება _
და მის შესახებ მე თვითონ ვიტყვი ორიოდ სიტყვას:
არა ვყოფილვარ არასოდეს რეპორტიორად,
არა ვყოფილვარ ასოთამწყობი,
არ განმიცდია ასოების, ლაქის სუნის და
ახლად გამოსულ გაზეთების არომატი,
არც დიდ ქუჩებში მიმუშავია
ფეხსაცმლის მწმენდავად,
წარმოიდგინეთ აფრიკაშიც კი არ ვყოფილვარ
და ლომიც კი არ მომიკლავს.
და ამის შემდეგ, ალბათ, აღარც
გაგიკვირდებათ,
რომ არ მყოლია მეგობარი
არც კონდუქტორი, არც შოფერი, არც ლოთი, არც შფოთი,
არც ჯიბგირი, არც გოღი, არც ბოზი,
არც მღვდელი, არც ზანგი, არც კომუნისტი,
არც სომეხი, არც რუსი,
არც დანტე, არც უიტმენი, არც ტოლსტოი.
მიყვარდა მხოლოდ ბედისწერა
როგორც ერთობა კაცისა და ბუნების
ყველა კანონების,
მიყვარდა მეფე ოიდიპოს
თავისი ვნებით, თავისი ბედით,
დანიის პრინცის ჰამლეტის ყველა სისუსტეები
და ჩაილდ ჰაროლდის მოწყენილობა.
მიყვარდა ნაპოლეონი თავისი პოზით,
მიყვარდა ჰიტლერი თავისი სიგიჟით
და მიყვარს ლენინი _ რატომ არ ვიცი!?
მიყვარს მწვანე ბალახი თავისი სიჩუმით
და კაცი თავისი ნერვიული ხმით,
წინასწარმეტყველში მიყვარს

მისი კაცური ტანჯვა
და არა მისი წინასწარჭვრეტა.
კაცში არ მიყვარს თავმდაბლობა,
ძაღლში კი ის, რომ ყეფა არ იცის.
მე ვიცი:
ცოცხალ სამყაროს აქვს ორი ხმა:
კაცის და მხეცის.
ო, რუსთაველო, მესხო მელექსევ,
ერთიანი მსოფლიოს
პირველო პოეტო,
ჩემო სამშობლოვ, საქართველო,
მცხოვრებო ცხოვრებით
მთელი მსოფლიოსი.
დიდო სამყაროვ, რატომ გარიყე ის,
ვინც ყველაზე მეტად ცხოვრობს შენით,
გრძნობს შენს თავს, გამოგხატავს შენ,
მღერის შენზე, გრძნობებზე,
ომში ვაჟკაცობაზე,
სიყვარულზე, მეგობრობაზე,
ბრძოლაში მშვიდობაზე,
მღერის ისე, რომ მხოლოდ სოფოკლე
და შექსპირი
იყვნენ ღირსი ქართველობის.
ო, ბედისწერავ, უსამართლო თუ სამართლიანო,
რატომ ტოვებ ჩრდილში
რუსთაველს და საქართველოს,
რატომ? რატომ? რატომ?!
ხომ არ გეშინია შენი თავის?!
აქ არის ყველაზე მეტი პრანჭია,
ყველაზე მეტი უსაქმური,
ყველაზე მეტი მშიშარა
აქ არ არის კონტრასტი!
აქ არიან მხდალები და ნიჭიერები,
აქ არიან არტისტები ცხოვრებაში,
უიღბლოები ნამდვილ სცენაზე,
აქ არიან უხმო მომღერლები.
დამალეთ, დამალეთ, დამალეთ
ეს ქვეყანა!

1960
გაგრა

რადგან ლექსების წერა დავიწყე,
            უნდა ვთქვა კიდეც, რა მიყვარს ლექსში:
მე ვეტრფი, მე ვგრძნობ, მე ხოტბას ვასხამ
იმ პოეტურ ბუნდოვანებას, რომლის თითოეული
ნაწილიც სინათლით სუნთქავს.

ტრამალის შუაში ვიდექი მე მარტოკა
იმდენი სივრცე და ჰაერი იყო გარეშემო, რომ სუნთქვის მეშინოდა.
დაიკარგა მზე თავის ზენიტში,
დაიკარგა ჩემი სხეული უსასრულო მხარეში და
უცებ, უცნაური ძალით ვიგრძენი ჩემი არსებობა.

_____წ ე რ ი ლ ი ჩ ე მ ს მ ე გ ო ბ რ ე ბ ს ა ნ უ ე რ ა ნ !

იცით, რას ამბობს ერანა!
_ მე შენი მეგობრები რად მინდა
ან იმათი პატივისცემა,
მე შენ მინდიხარ,
მე ბიჭი მარტო ღამე მინდა
და ისინი, თუ ღამე იქნებიან
                ჩემთან,
მაშინ შენი მეგობრები ხომ
აღარ იქნებიან?!
_ გიჟია! _ მეუბნება.
«გიჟი ვარ, მართლა» ვფიქრობ მეც.
იცით, ვინ არის ეს?!
ეს ირენ კი არ არის,
                ბერძენთა ქალღმერთი,
არამედ ერან,
აღმოსავლელი წარმოშობით,
უფრო მეტიც,
სპარსელი იეზიდი
თბილისში გაზრდილი.
დედა ატლასი,
            მამა არყუთა,
            ძმა თემურა.
დროისა და
ცივილიზაციის შეგრძნების გარეშე.
ერან პატიოსანი არ არის
და არც ბოზია,

არც გამოცანა,
იმისი ახსნა არ შეიძლება.
იმასთან მარტო უნდა იცხოვრო,
რადგან მხოლოდ ამ დროს მიხვდები
მის სიყვარულს.
ის ღამეა დაბადებული
სიბნელის სამეფოში
და ღამე ბატონობს,
ღამე ტირის,
ღამე მღერის,
ღამე წევს უხმოდ,
ღამე წივის,
ღამე არ იძინებს
და გაუთავებლივ შეუძლია ალერსი.
თუ ჩაგეძინა,
გაიქცევა და აღარ მოვა აღარასოდეს
                    შენთან,
ის დღის სინათლეს ვერ უძლებს,
მხოლოდ ღამე ბრწყინავენ მისი თვალები.
დღისით ის ქრება,
დღისით იმალება,
დღის ეშინია
და თუ ნახე, მზის სხივები როცა ანათებენ,
არ დაიჯერებ, რომ ღამის ღმერთი
მხოლოდ მონას ჰგავს
დღის სინათლეზე.
ერანა მღერის _
ღამის ღმერთი _
ვნებით გავსების და დაცლის
უთვალავ საფეხურებს შუა:
ო, შავო ღამევ,
რატომ ხარ ჩემთვის ასეთი ნათელი
და რატომ ვერ გხედავენ შენ სხვები!
ო, ყარაგიოზ,
ო, შავთვალება ღამე,
მე ყველაფერი მიყვარს შენი,
შენ ჩემი მონა ხარ.
_ მე ვარ ქალბატონი,
მე ვარ ღამის ღმერთი.

ო, ყარაგიოზ, ო, შავთვალებავ!

დედა!

არ ჩამოხვიდე ზღვაზე
ზღვა ძალიან ღელავს
შენთვის არ შეიძლება აქ ცურაობა
ზღვა ძალიან ღელავს
შენც ძალიან ღელავ
არ ჩამოხვიდე იცოდე ზღვაზე
ზღვა უდარდელია
ის ტყუილა ღელავს
ის ქარისგან ღელავს
შენ კი უთუოდ დაიხრჩვები ღელვისგან ზღვაში
მე თოლია ვარ და ქართან ერთათ მლაშე
ტალღებს ვეთამაშები
ქარი ქრის თავისთვის
ზღვისთვისაც სულერთია თოლიის ბედი
შენ კი დაიხრჩვები ღელვისგან ზღვაში.
თოლიასაც არა აქვს თავის დარდი
არც ქარში აქვს ბინა
არც ზღვაში აქვს ბინა
არც ხმელეთზე
დედა!
ნუ ჩამოხვალ ...
აქ ყველაფერი ისედაც ღელავს
და შენ უთუოდ დაიხრჩვები ღელვისგან
ზღვაში.

ისედაც=თავისთვის=უდედოდ=უმიწოდ=უსახლოდ=

წინ სულელო მეზღვაურო
წინ სულელო ქარივით
უბინაოვ ქარივით
უგზოვ ქარივით
წინ სულელო მეზღვაურო
მხოლოდ სულელებს სჩვევიათ წინ
სიარული
ცურვა და სირბილი
ჭკვიანი ხედავს და ეშინია
მხოლოდ სულელი ვერ ხედავს
ვერაფერს
ვერც ტალღას
ვერც წვიმას
ვერც ქარს
ვერც ზღვას
წინ სულელო მეზღვაურო, წინ

წინ
წინ
უცნობი პორტისკენ.
მხოლოდ სულელი მიცურავს უცნობი
ადგილისკენ
არ დარდობს,
არ წუხს,
არ ეძებს
თვალახვეული სისულელისგან
პოულობს ყველაფერს
წინ სულელო მეზღვაურო
წინ
წინ
წინ
სადაც მიხვალ იქ არის
ის პორტი
რომელსაც ეძებ
რადგან არ ეძებ შენ არაფერს
თვალახვეული წინ ცურვის მეტს
წინ, სულელო მეზღვაურო, წინ
წინ
წინ!
წინ!
ზღვა მხოლოდ ერთია
და ზღვას არც ერთი პორტი არა
აქვს
არც ერთი ბინა,
არც ერთი ადგილი
სადაც დაისვენებს
დაბერე ქარო
არ მოიწყინოს ზღვამ
ზღვა დიდია და არც ერთი
პორტი არა აქვს
ზღვას მხოლოთ ერთი მეგო-
ბარი ყავს, სულელი ქარი.
წინ სულელო მეზღვაურო,
წინ
წინ
წინ
ზღვა დიდია და არ უნდა
ნავთსაყუდარი
ქარი ზღვის მეგობარია და
როცა იღლება მასთან თამაშით
მასზე ისვენებს თოლიებთან
ერთათ
წინ, სულელო მეზღვაურო

დღე
ღამე
დილა
წინ შეუსვენებლივ
უცნობი პორტისკენ
მხოლოდ სულელებს შეუძლიათ
უცნობი პორტისკენ ცურვა
წინ სულელო მეზღვაურო
წინ
წინ
წინ!
როცა სულელი მივა უცნობ პორტში
მაშინ იტყვიან რომ ის იყო
ჭკვიანი,
ასეთი იყო ყველა რევოლუცია!

1957 27 თებერვალი. 9 მარტი. 10 მარტი.
თბილისი

მინიატურები ერთი ხელის მოსმით ერთ
საღამოს
სათაური: «შეგიჭამე ცოცხი»

დღიურიდან:

ვწერ: მიდგას შავი ღვინო: ვამატებ სიმთვრალეს: გაზაფხულის თბილი თუ გრილი საღამო მიდის: უკრავს კუბის ჯაზი: შავკანიანი თუ ყვითელკანიანი ნოდარ ზედელაშვილი ცეკვავს ბუგი-ვუგის. იწერება მინიატურები. უფრო ვთვრები. ნოდარი ხურდება: ცეკვავს მარტო.

წ. 1957 მარტის 10.

გაზაფხულდა, ბუჩქის ძირას
თავს იწონებს ნაზი ია.
მოგილოცავთ პირველ მაისს
თქვენი ძია გოზალოვი.

მერცხალი:
შავი ისარივით.
ამბობენ:

იწყება გაზაფხული.

ბუგი-ვუგი!
ჰამლეტი? _ არა!
მეფისტოფელი? _ არა!
კაფეში ცეკვავს შიშველა ზანგი.

შეყვარებული:
ყოველდღე ვკოცნიდი,
მერე?
მერე მომწყინდა.

ტრამალში უკრავდა გარმონი,
სლავის ქალს ეჭირა ძუძუ,
წყდებოდა ვარსკლავი.

ქ მ რ ი ს დ ა ბ რ უ ნ ე ბ ა

ქარმა მოუბერა ხრიოკში:
მტვერი ავარდა სადღაც.
ცრემლი შეიმშრალა ქალმა.

რ ო ც ა ქ ა ლ ი თ ვ ლ ე მ ს

მთვარე მთოვარე!
ძაღლი მყეფარე!
თოფი შემართული!

ქოხი ინგრეოდა სადღაც.

ა ხ ლ ა

ოძელაშვილი არსენა!
მარტო ვიჯექი მატარებელში,
მტვრიან გზაზე ფაფარგაცვენილი ცხენი
მირბოდა.

ექსკურსიაზე

გრძელფეხა ჯოჯომ ხრიოკი დასერა.
ღმუოდა ქარი.
«უფლისციხე _ ქალაქი ძველი:»
ღმუოდა ქარი.

ექსპრესიონიზმი, იმპრესიონიზმი,
ჭყეტია ფერები:
იდგა დოყლაპია გამოფენაზე.

1953 წ. თეთრკანიანმა როკი მარჩიანომ სცემა
ამერიკელ ბოქსიორთა კერპს ჯო ლუისს.

ზანგი აწყდებოდა ბაგირს,
ღმუოდა ხალხი.
ცხვირჩამოფხრეწილი იდგა ჩემპიონი
თეთრკანიანი:
როკი მარჩიანო!

ზ ი ს ს ა დ ღ ა ც ს პ ა რ ს ი

შაითან-ბაზარი,
კაფე-შანტანი,
თვალმოჭუტული ზის სადღაც სპარსი.

ჰემინგუეი!
ახალი სტილი.
მოხუცი ზღვაში.
თევზი დაგლეჯილი ზვიგენის პირით.

დ ა ბ რ უ ნ ე ბ ა (ს ი ზ მ ა რ ი)

არწივის ფრთის ქვეშ,
არღუნის პირას,

შატილთან ახლოს,
იდგა
დაღლილი,
შორიდან მოსული
ალუდა ქეთელაური!

უ კ რ ა ვ ს ლ უ ი ა რ მ ს ტ რ ო ნ გ ი

არმსტრონგი უკრავს:
კბილებდაკრეჭილი,
თვალებდაჭყეტილი
შავკანიანი
ძუძუს სწოვს ლედის.

თმები ბოქსი,
ცხვირი ჩაჭყლეტილი შუაში,
ნეკზე ფრჩხილი,
მოდის მიკიტანი.
ბიჭები შაყირობენ:
აბა, განი!

თ ქ ვ ე ნ ი ჭ ი რ ი მ ე თ ! _ გ ა _ ზ ა ფ _ ხ უ ლ _ დ ა !

გაშლილი თმები მზეზე,
თვალები ელავენ,
ტუჩები მოძრაობენ: სულ ნელა.
თქვენი ჭირიმეთ!
_ გაზაფხულდა!

ტაქსი: ჭადრაკის ზოლებით,
შოფერი: ტყავის ტყაპუჭით,
მგზავრი: ფეტრის შლიაპით.

ძაღლი ყმუოდა სადღაც,
დილით მოკვდა. ჭლექი.
მეზობელს გაგუდული ბავშვი ეყოლა

წინა ღამეს.

პ ო ლ ი რ ო ბ ს ო ნ გ ა ს ტ რ ო ლ ე ბ ზ ე ლ ო ნ დ ო ნ შ ი .

ლონდონში დადგეს ოტელო,
თამაშობდა ზანგი:
პოლი რობსონ!
მეოთხე აქტი: მავრმა დაახრჩო
თეთრკანიანი _ თავისი ცოლი,
პრინცი-ქალი _
დეზდემონა!

თ ა ვ ი ს დ ა ხ რ ჩ ო ბ ა !

გაზაფხულობით გიჟდება მტკვარი,
ამომშრალი თვალები იყურებიან:
დედას მოკვდომია შვილი.

დედამიწა ბრუნავს, იგი მრგვალია...
ამბობდა ბრუნო.
მერე დაწვეს,
მერე იწამეს.

ჩ ქ ა რ ა , ს ა ნ ა დ ი რ ო დ

მომკილი პური,
მარცვალი ჩაბნეული,
გასუქდა მწყერი!

მანქანა «სამოსვალი». ფირფიტა «ბერიოზკა.»
გალიფე, ჩექმა და მითქმა-მოთქმა.
ქორწილი ტრამალში.

იგივე ჯაზი,
იგივე ფირფიტა.
უნიჭო რითმა:
«გონება გამოიფიტა.»

წ. 1957 . მარტის 10.

ბ ა კ უ რ ი ა ნ შ ი , მ ო წ ყ ე ნ ა ზ ე .

Над ручьем весь день
Ловит, ловит стрекоза
Собственную тень
Тие-ни

Жаркого полдня разгар
На облачке отдыхая
Жаворонки поют

აყვავდა კვირტი სადღაც.
მარტია ხვალზევით.
ამბობენ:
ზამთარი იცისო მარტში.

ვიჯექი დაღლილი.
ვუკრავდი პატეფონს.
მერე მომწყინდა:
ვიჯექი დაღლილი.

ფეხები ცეკვავდნენ.
მერე გაჩერდნენ.
ისევ ფართხალებდა გული.

ლ ე ქ ს ი პ რ ე ტ ე ნ ზ ი ე ბ ი თ

დაჩეხილი სახე,
ხელზე ბეჭდები.
ვიდექი მე,
ხალხი იცინოდა,
ვიდექი მე.

სახლის კედლები დგას დანგრეული,
აქა-იქ მოჩანს წარწერა მურით.
სად?
ყველგან, სადაც ბომბა დავარდა.

მკითხეს:
რა არისო სიყვარული?:
შავი თვალები,
მაღალი წელი
    და
სქელი ტუჩები.

ისევ მომიტაცა ურჯუკას ულაყმა.
ისევ დავუჭირე თავი.
ცხენი შფოთავდა: მე გული დამწყდა.

ცხენი თუ მხედარი?

    ციცაბო კლდეზე ულაყი გავარდა,
ტაბლასთან მივიდა პირველი.
მინდიასთანა მხედარი არ ჰყოლიაო ჯერ ფშავს:
ამბობდა მოხუცი ლიქოკელი.

დაიცალა ხევსურეთი!

გოგოთურ შეჰკრავს აფშინას
არაგვი მოუკლებს სირბილს,
ორწყალში სახლი დგას დაცლილი.

პედერასტთა კლუბი პარიზში

თვალებდაჭყეტილი.
შავკანიანი თეთრი კბილებით.
ამოგდებული, გაშიშვლებული.

კუთხეში სხედან მიბნედილი
თეთრი ძიები.

გ. რჩეულიშვილი.
საბოლოოდ დავქლიავდი.

ჭ უ ჭ ყ ი ა ნ ი ქ უ დ ი გ ა ხ უ რ ე ბ უ ლ ა ს ფ ა ლ ტ ზ ე

თხოვნა და მადლობა.
ხურდა ფული,
ჩაცვენილი
ქუდში.
ხანდახან მანეთი.
გზაჯვარედინზე ზის მათხოვარა.

დამსკდარა მიწა.
დალეულა ხევი.
ღრიალებს ქარი: ბუღი დგას სტეპში.

ახველებს პაპა;
მელოტი თავი;
გრძელი ულვაში ყურებამდე:
ახველებს პაპას.

ც ვ ი ვ ა ფ ი ფ ქ ე ბ ი

ყმუიან მგლები.
იმატებს თოვლი:
ცვივა ფიფქები.

მანქანა ტრამვაის დაეჯახა,
მთელი დღე ბჭობდნენ სახლში,
საღამოს წავიდა მამასთან ერთად
ნოდარი კინოში.

ჯურღმულში უკრავდა ზურნა,
ეზოში ბოლავდა ცეცხლი,
ქორწილობდა იეზიდი.

რადიო მღეროდა ჰიმნს პარტიაზე.
სირენა წიოდა. ენთო რეკლამა.
ეგდო კურტანი.
იეზიდს ეძინა სადღაც.

დედას იგინებოდა ლოთი.
ხურდა ფულს ითვლიდა მათხოვარი.
დაკითხვაზე ბოთლზე დასმული ქურდი ყვიროდა.
ლექციას კითხულობდა ლექტორი
თემაზე:
ალკოჰოლი და ბრძოლა მასთან.

ნავსაყუდართან ვზივარ სოხუმში,
ჩემს წინ დგას გემი,
სავსე შუქით და ჯაზის ხმებით.
ის ჩქარა გავა,
ოცდახუთწუთში!

უნიჭო საქსაფონი, დიდთავა ჩელო
ჩაფხრეწილი ხმით მღერის.
ნახევარბოთლიანს უყურებს ლოთი.

ქარი მღერის,
დრო გადის ფიქრებში,
დრო გადის, ვბერდები.

გ ა მ ო ფ ხ ი ზ ლ ე ბ ა ან ის გ ა მ ო ფ ხ ი ზ ლ დ ა !

ტრამვაი მირბოდა რელსებზე,
წამყვანს ეჭირა საჭე,
პატარა თვლემდა გზაზე.

ტრამვაი გადასცდა რელსებს,
წამყვანს გაეშვა საჭე,
ბავშვი აღარა თვლემდა გზაზე.

დ რ ო

მიყვარდა მაშინ,
არ მიყვარს ახლა.
მის მერე სამი წელი გავიდა.

ქისაში ეყარა მახორკა,
ჩიბუხი ეგდო იქვე,
იჯდა ხის სკამზე _
ბაბუა ვანიჩკა.

ა ვ ტ ო გ ა დ ა რ ბ ე ნ ა

გუგუნი იდგა ქუჩაში,
ხალხი აეყუდა კედელს,
მოტორი უშვებდა სქელ ბოლს.

მზე იდგა ქალაქში,
ბუღში გახვეული
საოცარ სიცხეებს
ეჭირათ ქუჩები,
მე დავდიოდი რუსთავლის
გამზირზე
და სიცხეს სიცხით
ვიგერიებდი.

ლ ე ქ ს ე ბ ი ზ ღ ვ ა ზ ე

მზე ჩაიძირა ზღვაში.
გახურდა ღრუბელი.
მეთევზემ გაშალა ბადე.

მზემ ამოყვინთა ზღვიდან.
გაწითლდა ღრუბელი.
შეცურდა ნავი წყალში.

გახურდა ნაპირი.
დედიშობილა
        რუსი
        იწვა:
ეტკლიცებოდა კანი.

იდგა ხურუშის სუნი.
გრძელი ტრუსები.
დაგრეხილი ფეხები.
სიშავე: _ ჭუჭყიანი.
არაყი, ღვინო.
გახურებული ქვიშა.
სომხები ისვენებდნენ
                ზღვაზე.

კეხიანი ცხვირი,
თავზე ქუდი,
ტანი თეთრი და
                ჭორფლიანი.
რუსი ებრაელი
                შეცურდა მლაშე წყალში.

გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ი

ბალახი გადამხმარი,

ველი რუხი,
მეველე ველში,
თოფი ორლულა.

როგორც შავ ორმოში ფეტვის მარცვალი,
ისე ჩავარდა ჩვენს შუა, ხაიამ, ათი საუკუნე.

პახმელიაზე არგამოსულ ლომს
გამოსასვლელად თაგვმა არაყი მიართვა,
ლომმა დალოცა.
თაგვმაც დალოცა ...

კიდე დაასხი ეს ოხერი, თითოც დავლიოთ.

სიბრძნე რო ვთქვა, სულელს დამიძახებენ.
_ მიწა შემჭამს?
_ დაითვრება.
_ არ მოვკვდები?
_ სპირტში შემინახავენ.
_ აღარ დავლევ სამარეში?
_ ვახ, ხო მატლები შემჭამენ.
_ კოტე, დაასხი თითო არაყიც.

მოვხუცდები? რას დავეძებ, რად ვიდარდებ
იმ წლებს, რაც არ მქონია,
ახალგაზრდა არ ვყოფილვარ
არა ვდარდობ,
ღმერთმა იცის, ეს ამბავი
ჩემთვის არცთუ
ისე ძნელია.
დავიბადე არყის ბოთლით და
ვიცხოვრე მასთან ერთად.
კოტე, დაასხი,
შესვი?
ახლა მე გისხამ, შესვი, გაამოს.

დღე არც მოკვდა და არც გარდაიცვალა,
უბრალოდ, იყო და აღარ არი,

გურამს დარდი არა ჰქონია.
ერთხელ კაცი იყო,
        კარგად ახსოვს,
და ახლა აღარ არი.
კოტე!
დაასხი ისევ ის არაყი,
ყველას გაუმარჯოს _
ესეც უბრალო სიტყვები არი.

კოტე, შენ მოგწონს
        ჩემი ლექსები,
მე შენ მომწონხარ,
        ნუ გეწყინება,
აუ, დავლიოთ ისევ
არაყი,
ეს არც გვაწყენს და არც გვეწყინება.

როგორ მეცოდება ქალი
                    საწყალი,
ვინც ჩემთან ერთხელ მაინც
                    არ ყოფილა,
როგორ მეცოდება ის პოლბუტილკა,
რომლისგან ას გრამსაც ჩემთვის
                    არ ასხამენ,
როგორ მეცოდება, თქვენა
                    ხართ მოწმე,
                    ჩემო ცრემლებო,
კაცი ლოთი და დედ-მამიანი.
                    პატრონიანი.
ნიაზ!
ვიტიროთ ისევ იმ ცრემლებით
ჩვენი პატრონი და იმათი უპატრონობა.

ჰა, პირი გავაღე,
რას მომჩერებიხართ, ჩემგან
სიბრძნეს ელით?
მოდით, მოიწით, მე არავის
მოვკლავ.
აჰათ, იყნოსეთ ისევ არყის
სუნი.

თემურ, გაგიჟდი? რას ურტყამ მაგას!
ეგეც ლოთია, ეგეც ჩვენებური,
ეგეც ბებერია
სხეულით და სულით,
ეგეც მოკვდავია,
ეგეც ახალგაზრდა,
ეგეც უბედური,
თემურ, გაგიჟდი? რას ურტყამ
მაგას...

ლეილა! კიდევ გაიარე მოჭრილი
თმებით,
ისევ მომიკალი არყისფერი გული,
ღმერთო, მითხარი!
ლეილა! რომელი ჯობია _
შენი სიფხიზლე
თუ ჩემი მთვრალი სული.

ბიჭო, ნიაზ, უძილო ხარ?
თუ არყის სიზმარს ხედავ.
_ სად გარბიხარ?
არაყს ეძებ?
გინდა, რომ ცხადს ისევ
არყით დაუბრუნდე.
_ ირაკლი, დაუსხი,
გურამი იხდის.

ათასჯერ დანა აქვს გურამს
მოქნეული
და არც ერთი გული არ
დაუჭრია.
ირაკლი! კაცო! ვაჭარო! ძუნწო,
დაასხი შენით ამ სისხამ დილაზე,
არაყი ღვთისაა, გამარჯობასავით.

გურამ!
შენს თვალებში ჭაჭის გრძნობა დგას,
დაბერილ ძარღვებში უფერო

სითხე,
გულშიაც ხანჯალი რომ
დაგკრან, მაინც
ვერც ცისფერს, ვერც წითელს
ვერ გამოგადენენ.
ნიაზ! მოიტა ერთი პოლბულტილკა,
ერთიც მოვწიოთ
და არყის ცრემლებით ვიტიროთ
ერთად.

ლეილა,
მე შენი თორმეტად ჩაწნული
ნაწნავი ხელში მიჭირავს,
და გულზე ვიკრავ,
შენ კი...
ვახ, რად დადიხარ თმებგაჩეჩილი,
დამისხი, კოტე, გესმის არაყი.
...

დაუკარით!
რაც მოგინდეთ ისა, გესმით,
დაუკარით!?
გურამს დარდი არ ჰქონია,
რას უქარვებთ ...

მე ჩემი საუკუნის შვილი
რათა ვარ,
როცა მეგობრად ხაიამი გამხდომია.
ხაიამ, ნუ დამახარბებ შენ
მწარე ღვინით,
მაგაზე უფრო მწარე არაყსა
სვამს გურამი ყოველ უზმოზე
და ყოველ დილას.

ლეილა!
სად გაქრა სევდა შენი თვალებიდან,
სპარსული უძირო ღამე და ბაიათი.
ლეილა!

არყის ფერივით რატომ გაიცრიცა
                    შენი წამწამები,
სახე მთვარე და ტუჩები ბროწეულის.
განა იმიტომ მარტო, ო, ლეილა!
რომ ჭაჭის ნექტრით გურამის
                    გული ჩაწვას.

როგორც შავ ორმოში ფეტვის მარცვალი,
უკუნეთ დროში
ისე უკვალოდ ჩავარდა ჩვენს შუა ო, ხაიამ,
ცამეტი საუკუნე.
და ერთი, რაც მოხდა,
შენ ღვინოს სვამდი,
მე კი არაყს ვსვამ.

ხაიამ!
გურამს იმდენი აღარა სცალია,
რომ დოქით ღვინო
        და ფიალით შარბათი
            შესვას.
ხაიამ!
გურამი არაყს სვამს ერთ ჯერზე
        ნახევარბოთლებით
და სადღაც გარბის.

1957 _ 1958
თბილისი, მოსკოვი

Д Р А М А В Т Р Е Х Д Е Й С Т В И Я Х

1.
В стенах дышал амур,
где-то замерла страсть,
на диване
        лежала она
                и не дышала.
Черная юбка,

белая кожа
до ...
и опять
страсть
подо мной, как
мост над буйной рекой
замерев я,
Огромное тело:
– Ирэн! ты моя,
не даруй мне дитят.
– Да, я Ирэн, навек твоя,
о Гурам!
– Приходи завтра.
– Значит, пока.

Настало завтра
пришла она
в тысячу первый раз.

2.
На тротуаре дышала зима,
за переулком
на мостовой
гудел мотор.
Машина-
автомат:
0-3,
опять
0-3
скорая помощь
покойнику,
чтоб успели забальзамировать
огромное тело
покрыв горсточкой земли
и
камнем:
последняя память от Ирэн!:
Слезы,
слезы,
слезы
детей ведь сам не хотел.

3.
Огромная, как тело Гурама,
Комната холодная
с дубовой дверью:

здесь проживает Ирэн!
Ночь,
Стужа
и
Сон.
из-за дверей без стука
входит он,
черный кот,
с огромным хвостом.
– Ирэн, забыла ты страсть?
– Нет.
– Ирэн, не жди меня.
– Нет.
– Ирэн, я сон!
– Нет!
Нет!
Нет!

Было шумно и пусто на сердце
будь что будет
стукало в ушах
и я шел один
не злясь ни на кого
огромная, пустая
без голоса валялась улица
и лишь звонок трамвая
слышался издалека
гул нарастал понемногу
вместе со зноем и пылью
будь что будет
вливался голос в пустое сердце
и шумно, ужасно становилось там
– Гурам – услышал голос
обернулся
– здравствуй – услышал опять
это кто-то из знакомых поздоровался так.
кивнул я тоже головой и ускорил шаг
У мостовой
на больших часах стрелка указывала –
пять!
мы шли вдвоем
Ирэн и я
– Вчера получила развод – сказала она –
ты не рад Гурам?

И вот мы встретились снова
на чердаке
где Вы
вешали белье
а я
как и прежде голубей ловил
– Гурам! – воскликнули Вы –
семь лет прошло разлуки
– Ирэн! что Вам нужно здесь
– Я в этом доме
живу давно
с тех пор как вышла замуж
– А я недавно – сказал без вопроса
– перешел.

Было сыро и сухо
вокруг чирикали божьи птицы
по жестяному покрову крыши
капал дождь

– как твой муж поживает –
застегивая штаны,
спиной к ней
осведомился я
– Вы сволочь Гурам – сказала она
и привстала
свежий слой извести стряхивая с себя –
Ведь я любила же Вас – продолжала
опять
Было лето
сушеное белье
собрала она
спотыкаясь
спеша
спустилась одна
со слезами
– Вас любили Вы отвергли
и ради тебя (почему то перешла на ты)
изменила я брачному долгу
пусто
тяжело было одному
оставатся на чердаке вспоминая
о прежней любви

которая только что повторилась.
Потом опять пошел дождь
стряхнул я тоже с себя пыль
и медленно спустился вниз
Грязная
шумная
улица лежала впереди
по мостовой оборванный пацан бежал
кричал семечки!
семечки!
Улыбнулся я почему то
и подумал сквозь грусть:

Гораздо приятнее
быть любовником Ирэн
чем
мужем которого недавно обманули.

Шумно и скучно в восьмом номере
давай испробуем люкс
обхватив большой лапой
Вашу грудь
вылепленную на мою ладонь
целую
рву
рубашку
теперь!
А ведь недавно
в прибрежных лесах где как Дали
с огромной золотой косой
до темноты гуляли Вы
или пляж на Черном море
где я по утрам
до восхода солнца
за Вами наблюдал:
как вы голая
гордая
как богиня
выходили нз волн одна
и после этого только
луч первый вливался на землю
как кинжал алмазный
страстный
острый
желанный

и исчезали Вы
в пышном,
персидском халате.
Исчезло то и...
Теперь Вы для меня больше не
Венера
восставшая из пены
а просто
Ирэн!

გ ა შ ლ ი ლ ი ხ ე ლ ე ბ ი ქ ა რ შ ი

Я бык без рогов
кровью поливаю опилки
на арене
и мечусь
на красный цвет
Обнажив шпагу, матадор
стоит.
в руках у него
Красный шарф
он должен пронзить меня
Я красив,
в крови,
мечусь,
я его не боюсь

Одетые в черное,
коричневое, белое
пикадоры
швыряют бандерилья
и мухи лижут мою кровь
Я бык без рогов
опрокинувшись матодор
валяется белый
среди красной лужи
Чернь замерев полминуты
орет
и опять новый матадор.
Взбесившись в конец
от укусов невзрачных пикадоров
Снова мечусь:
На Красный,
Эй Вы!!:

держитесь крепко:
Я бык без рогов!

П О Л У С О Н

Три года любви
и я бесчувственен как глыба
перепуганные Амуры прячутся в углу
полуголая Агаза дрожит одна

Я не бог и не милостлив
На столе нож,
как страсть пьяный,
лежит
Стены черные
крашенные в красный
дрожат
и Я
расту
за стенами
трясется земля
На плечи надрывается потолок
Из недр выбивается огонь
и жжет
жарит
рушит
Все
Волосы рыжие
в черный цвет дымят
Стою
не стону
горю
пепел
Конец.

Над обвалами
Я обеими ногами вросся в Землю
И головой проник в Небо.

Семафоры
фонари
машины

Милиционер в сажень ростом
перекресток
и на перекрестке стою я
дожидаюсь
                десять
                пятнадцать
                полчаса
Это она, кого люблю
                еще бы!
                не пришла
Я красив во гневе
большое
            черное
                пальто
валяется на спине
и кашнэ описав дугу через шею
торчит на правом плече

шагаю медленно по проспекту
кругом шумно
не видать неба
и деревья одевшись в лохмотья
смотрят тупо

_ Стойте _ слышу
зов проститутки
ловлю
        похабную улыбку (сквозь густой слой помады)
_ Вы меня не устраиваете! _
                думаю
                хмурясь
_ Стойте! _ слышу опять
голос собственной фантазии
и в гневе подхожу
                Хочется:
                хоть на другой вылить злобу
                и неожиданно любезно говорю
_ Вы свободны?!

ქარის მოლოდინი (*Из серии "Маяк и Мрак"*)

Я знаю что такое Мрак
и потому хочу видеть

хотя бы тусклый
Маяк.
А море все не бушует
Упали паруса
большие, белые
жалко висят
нет ветра
не двигаются волны
вокруг тьма
и
Мрак.
Маяк!
Не видно тебя
ты на берегу
а берег
далеко
и надо плыть
а паруса
как крылья столетнего орла
висят
Нет качки
стою
борт черный
коричневый, серый
и черная на горизонте (?)
а горизонт во тьме
кончается у борта.
Мысли
мрачные, мелкие
Большие
и года
юность
вот она моя:
Я на борту
смотрю:
Маяк Луны
из облаков
рассеяв Мрак
виднеется горизонт
а дальше опять тьма

«Господи спаси нас.»

ჰ ი მ ნ ი ყ ვ ე ლ ა ს , ვ ი ს ა ც მ ა რ თ ლ ა უ ყ ვ ა რ ს ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა

С Бетховенской гривой
симфонией Бетховена
дирижировал дирижер
глаза его блестели
палка как палка
верх и вниз
вниз и вверх
руки двигались и не дрожали
жалко
        робко
                и
                без слуха
играл заваленный оркестр.

Вечером в духане
у дирижера с бетховенской гривой
стограммовый стакан дрожал в руках
он был пустой
                и бутылка пустая
и все чужие вокруг

«Отец Бетховена был пьяница
и я пьяница
может быть я его отец»

თ ვ ი თ ო ნ ა ვ ი ღ ე ბ !

/ბებოს/

По соседству у нас

шофер такси купил магнитафон

и день и ночь Рок-н-ролл
рок-рок-рок енд рол
в ушах.
глаза
заболели читая
Сагу о Форсайтах
и Хемингуей на расхват
изношенные листья
читаю по ночам
в одиннадцать опять
                гыф

и
джаз
Мне двадцать три
и сила
тысяча-тысяч
а заграница
как Маяк во Мраке
А я Грузин
все двадцать три здесь прожил
И я боготворю единственную
Из женщин
мою бабушку, которой нет в живых
Бабушка!
с тех пор
я не нашел ни одну
Бабушка!
Зачем мне Рок-н-ролл
Бабушка
Спаси меня
Прости мне
Дай мне:
Собственное что нибудь!

Б Е С К О Н Е Ч Н О С Т Ь И В Е Р А

(Единственное во что я верю Это бесконечность!)

У моего престола
нет предшественника
и
Я
Не наследник
Иду без тела
мощный аристократ
безо всяких лишних
светских замашек
Кругом Мрак
И
Я
сам себе Маяк
Вера
смутная
ни во что
и ненависть ко всему
что ложь,

неправда
плюс всякий изм
и особенно
патриотизм
Но я люблю свою родину так
как грудной ребенок
свою блядину мать
Я за Вас
только кто без имени
И пространство
где Нептун
и мириады планет
Мерцают
лгут
надувают
как глаза Шахразады
рассказам которой дивится царь
И Бесконечность во что я верю
не тысяча
а одна.

УЖАСНЫЙ МИГ!

Я прямо из облаков
С огромным сердцем
УУФ!!!
Учтите Все
и Ты
в эту минуту я Все,
Все могу простить!
Не правда ли
Ужасный миг.

С М Е Р Т Ь М А Т Е Р И И Л И П Е Р Е Д С М Е Р Т Ь Ю М А Т Е Р И

В крохотной комнате
огромная кровать
день рождения справляет
дочери больная мать тринадцатый раз!

(Поэт ночью в городе / на прогулке)

Два часа ночи
на тротуарах
нет ни души
во сне живет город
                только кое-где лампочка горит
не видать ни где лица
переулок
а за переулком улица
Выхожу я влюбленный в ночи
привычка
        люблю
            гулять в этот час
Сон
и во сне дышит спящий город
вздох
    выдох
            тяжелый
                бодрый
                и
                больной.
Сижу на ступеньке
закутавшись в пальто и кепке
и сон
    ночной гость
                приходит ко мне
_ Вежливее гражданин _
                кричу проснувшись
Это какой то бродяга
ну мать его ...
без кепки и пальто
_ Что ж ты ругаешь
Это мое место _
                мужается он
Ну еще раз по бродяге
мать его ...
встаю
    иду
        прочь
Ночью он хозяин
а я, лишь гость.

Куда деться куда пойти –
Учиться?
В конце семестра читая по ночам
                партисторию
я давно махнул рукой (на это)
По кабачкам что-ли шляться
Как провел последние года
Распахнув грудь волосатую
орал во все горло
песню грузинскую
შენ გენაცვალე თბილისო,
                შენი ჭირიმე
или в оперу ходить
и делать вид, что ты
                другим нравишься
и та черноглазая за тебя
                готова жизнь отдать
Я эту оперу
    со всеми своими бездельниками
всех вместе к черту пошлю
И пусть убирается эта девка черноглазая
Для рифмы и для настроения!!!
А на деле пусть остается со мной
Ведь я ее люблю.

В ГОСТЯХ У ДРЕМУЧИХ ДУБОВ

Тысячелетний дремучий лес
стоит на равнине
вросшийся в землю миллиардами корней
и тень коричневая бродит вокруг
одиноких кипарисов
единственных нежных животных
среди достойных дубов
тьма
        тьма
            просквозы
нет сквозняка
Только мышь
                и лев
как видно здесь хозяева
Стоит и он
старше

на один год
выше на вершок
тысячеоднолетний(?)
_ Дуб _
у дубов
и красивых мечтаний
нет
одни стволы и длинных ветвей
очертания везде
нет смерти здесь
нет бессмертия
один единственный
только семь
и бесконечные созерцания.

Б Е Й Т Е Е Щ Е С И Л Ь Н Е Й

У меня грудь завалена
легкие как дымоход
сердце стучит в минуту
сто двадцать
Стою на ринге
руки как у скелета висят
изо рта кровь
на ковре кровь
на перчатках противника
кровь
МОЯ КРОВЬ!
Бейте
сильнее
ещё
ещё
Свистите там
смейтесь надо мной
И ты судья улыбайся
бейте
еще сильней
бейте
не сдамся
сукины дети
бейте
еще сильней.

Я о б е и м и н о г а м и с т о ю

на земле
и головой проник в небо

Я не проповедник
но знаю
земля пашется
сеются семена
и после того растет
как дождь с неба льет.

Я видел вчера на Московской

Как автобус наехал на
девку одетую
в красное
Упав на тротуар она даже
звизгнуть не успела
А визг же главное для нее
И хоронили ее
Меня не было там
Я в метро на эскаваторе
делая прыжки нагонял другую
Она была в зеленом.

И хоронили ее, девочку в красном
Меня не было там
Ведь я ее не знал!

Единственный кого лучше всех знаю

И в ком хуже всех разбираюсь
это я
а я на тройке полупьяный
и буду вспоминать тебя
а ты кто?
ты моя, любовь моя
к любым чертям с матерями
катитесь все
а покамест я аккуратно
пить буду я, пить буду я.

Самоубийство?

Но я в него не верю
Старались же другие до меня
Одни не смогли
Другие лежат в могиле
От собственных пуль
Или же с переломанным хребтом
И в памяти близких,
что у его ног
валялись карты:
Дама пик,
И письмо:
Она вышла замуж за ...
А я не хочу больше жить!
Или же:
Растратил миллион,
я наказан собственной рукой,
смотрите за детьми!
Лишив себя жизни, положив границу мукам
они отдыхают
если могилу санаторием назвать можно
А я все еще мучаюсь
Их дух покоя не дает
И нахожу:
После смерти моей
кто-нибудь
и не один
Будет мучаться как и я
и может быть из-за меня
Что для них покоя и прелести жизни
я выйскать не смог.
И пистолет дрожит в моих руках
Он заряжен:
шесть патронов в магазине
И один уже в дуле
Разум шепчет о каких то людях,
Которые этим покой не обрели
Сердце клонится к нему
Нельзя порицать его
Ведь ему же жить хочется
И за всякую ложь
Обеими руками хватается

В Е Р И Т Ь

Я верю
в Веру

Настолько есть луна
Настолько есть Я
а Я ее не вижу
кругом фонари
семафоры
а под симафорами
жизнь
Моя идет
с поднятой головой
и
видит
только
Свет красный _
запрет
дороги нет.

მ შ ო ბ ლ ი უ რ ქ ა ლ ა ქ შ ი

Ажурные лампы, большая люстра
посередине
зеленый свет падает на патефон:
Изношенная иголка и пластинка новая
Кажется играют фокстрот
Или как его _ Рок-н-ролл
Девушка с верзилой танцует точками
А потом переходит ко мне
кривляясь вполголоса шепчет на ухо
смотрит в ту строну
где прежний кавалер стоит
смеется
и я смеюсь
А на диване сидят отдельно девушки
мальчики жмуться в углу:
Один краснея подходит
робко улыбается
просит краснощекую потанцевать
(Взял бы да прямо поцеловал бы в губы)
Она не соглашается
потом с трудом встает
Моя девушка опять с верзилой танцует
Оба смеются ...

Ну мать их ...!
Стою у окна
а за окном зима
на тусклом свете лампочки
голые ветки торчат
У меня грудь распахнута
взмахом открываю окно
Хочу дышать,
дышать морозом!
Эх!!
Даже не холодно в этом проклятом
городе.

Дни,
Они
дом
крохотная комната
кругом родные
любящая мать на кухне
и все по четыре у нас
завтрак
обед
полдник
ужин
поцелуй, поцелуй, поцелуй, поцелуй,
поцелуй еще пятый раз
ночью сон
а во сне сны
спокойные
безмятежные
только любовь
вокруг
высказанная
потертая
маленькая подушка с иголками
память от бабушки
трижды увеличенный портрет дедушки
моя фотография у матери в тумбочке
и корзинка для мелко рубленных дров
везде
везде
любовь
и скрытое рабство в ней.

Я в бессмертие не верю

Часто слыхал про бога смерти Танат
но в глаза не видел его никогда
Я жив
Жизнь моя
по железной дороге мчится
(мне не надо крылатого коня Пегаса!)
кричит паровоз
густой дым
из труб
горы
туннель
и опять –
свет
из облаков падает
в море
луч луны
луч солнца
Я слеп
глух
нем
безчувственен
только голос изнутри вырывается _
Вон
_ Буди буди _ говорит он
и опять мчится
как стрелы громовержца Зевса
_ буди буди _ кричит сильнее
смех везде
страх везде
_ буди буди _ опять
_ Иду Иду _ гремлю без голоса в ответ
Я вержец мне подобных!

Дама бездомная

или просто блядь
стояла в углу и просила:
услугу
за
услугу
всем губам
душегубам

за бесценок
за червонец
чтоб прокормить тело
для завтрашнего дня
_ вот она проститутка
_ фу
_ бесстыдница
_ она же просто блядь
_ она беременна
ремнем завязала талию
покрасила губы
нарядилась
для вечера
_ здраствуйте _ подошел я
едва кивнув головой
на мои рванные ботинки посмотрела
_ у меня нет денег _ сказал я
_ значит не будете иметь со мной дело
_ пока
ее потащил другой
подошел достал деньги
и сказал что за такую шлюху
это даже много
вечер был теплый
не слышно было чириканья птиц
на мостовой гудел мотор
я шел один
не стыдясь рванных ботинок
и ту бездомную беременную
в душе называл
                наверное
                один я
                дамой.

Г И Б Е Л Ь Г Л Ы Б Ы

Я глыба
поток волн падает
на меня
стою
    рассекаю
        взбесившись
            надрываются
воды

теплые
холодные
и только иногда
кусок волоска несут с собой
Мой век _ велик
Он белый клык
Я спокоен как олимпиец
скромен
горд
и только тот
Этот поток
льет льет льет.

Л Ю Б О В Ь

Удар в лицо
и она!
Кровь из лица
Она мне равна!

На море был закат
все краснел и краснел
огромный желтый диск
и потом постепенно угас.
Лодка
качка
море
и берег наконец _
круглые камни
сумерки
длинную прогулку совершал
я один
остовляя позади в песке
Стопы
большие
бесформенные
а потом выше по болоту
топал
топ, топ, топ
Сверху из гор
буйный поток
вливался в море

местами
шум всплеск вод
заглушал мой голос
и я все шел
и шел
выше в гору
то исчезали
то опять виднелись
следы мокрых,
босых
окровавленных ног
и настала наконец безлунная черная ночь.

Во дворе нет вьюги
безветренный стоит мороз
белая пена тучи
покрывает луну
Прильнув носом к столу
вижу –
мчится кошка
большая
серая
двухметровые делая прыжки
и в страхе прячется на чердаке
одноэтажного дома напротив.
Кругом пусто
нет шума
эта она большая
серая
от кого же бежала кошка?
Стоит Ночь
таинственная черная
бесцветная и бессшумная
огромную кровать уже постелила мать
лежу крохотный
или совсем без тела
странно, тихо, без голоса
шепчет шопот,
Месяц назад она ушла от меня
оставив одного
в обьятиях ночи
до чего же безразлично было тогда
и как легко, когда куришь папиросу
сказать,

что навсегда можешь ее бросить.

Хочу верить в Бога
и на коленях стоять у икон
День и ночь
в глазах богоматери
читать бессмертие
тихо себе псалмы петь

По дороге мчится Машина
Мотор хрипит от засорения
люди как муравьи
люди как автомобили
                сирены орут
люди как звери
Люди _ Люди

В переулке за сорным ящиком
проститутку!
        проститутка!!
                Все проститутки!!!
Размнажайте Человеческий Род.

Эй вы поэты
зря не лепите из асфальта
Зеленую траву иву
и
липу
знайте:
в наш век межпланетных
и исскуственных спутников
Это все липа.

Проспект Горького
В покрове снежнем
Громадные рекламы
играют как ртуть
Как мне хочется
быть таким нежным
И таким драчуном каким был

Сергей Есенин
И целоваться с девушками
как поэт
Прямо в губы
по середине улицы
и гопак отбивать
позабыть совсем что есть
на свете лекури
Но я пьяница
в этом могу
с тобой сравниться
С распахнутой грудью
в двадцати градусном морозе
иду по улице
шатаюсь
А! не слышу
А! куда я?
на концерт
                в рваной телогрейке
Иду послушать Бармана
Сегодня читает он стихи
                Есенина
Эй, девушка,
                голубоглазая
послушай меня
«Если б знала ты
сердцем упорным
как умеет любить хулиган
как умеет он быть покорным»
_ Эй, милиционер пристал ко мне
какой то шарлатан
_ Предьявите Ваш паспорт грубиян
_ Пожалуйста,
                получай
                я дипломат
С вывернутым подбородком
на тротуаре растянулся
государственный хам!
Ночь,
        тьма
                нежные
                падают
                хлопья
собака
        без пушистого меха
жалобно воет ей холодно

И я проснувшись на утро
в кутузке
на грязном полу в милицейском захолустье
дрожу от мороза
а во дворе
все идут,
            падают
большие,
            прозрачные
                        нежненькие хлопья.

Крохотный божик смерти

Ты хочешь сказать что Я
                        один череп да кости
Так знай
            из москвы
                        по радио
тук, тук, тук
Восемь
            мой дедушка
                        на кровати
и до смерти
                одни
                        кости
                            кости
                                кости.

[1960 წელი]

В ДУШЕ МОЕЙ ПРОИСХОДИЛО!

Я перед прелестью пустой
Пустыни преклоняюсь
В минуты порывов полной
И неожиданной страсти
Ночь да луна или лучше
Безлунность
Когда даже сияющие звезды
Поглощает тьма

И ветру рад
И таинственному шелесту безмолвия
Лишь бы стоять и быть
Королем!
О! как это мало!
Когда простой пастух
и так король,
Рядом пасутся несколько
Усталых лошадей
О пастух и король!
Я твой раб! Гурам
Пришел просить на
коленях отдать хоть
на минуту клочок
Безмолствующей пустыни
И коня.

შენიშვნები

ასე მახსოვს, გურამი დრამატულ ნაწარმოებს მიიჩნევდა უმაღლეს, ყველაზე ობიექტურ ჟანრად, სადაც მწერლის პიროვნება, ლირიკული ნაკადი ამოუცნობლობამდეა ხოლმე ჩაკარგული. თითქოს ჩემი ძმა სხვადასხვა დროს სხვადასხვა გზებით ცდილობდა მიეღწია იმ «ნეტარი უსახელობისათვის,» რომლის შესახებაც 1958 წლის შემოდგომის ერთ-ერთ დღიურში წერს (იხ. ტომი 5. აგრეთვე, მოთხრობა «უსახელო უფლისციხელი»). ასე მგონია, რომ გურამის სწრაფვა «ყველაზე ობიექტური ჟანრისაკენ» იგრძნობა მის ადრეულ მოთხრობებშიც. ეს ჩანს, ჩემი აზრით, დიალოგების აგების თავისებურებაში, ხშირად მოთხრობების გრაფიკულ სტრუქტურაში და სხვ. მან დრამატული ნაწარმოებების წერა დაიწყო 1958 წლიდან. პირველი პიესა იყო «მარინა». მისი ბოლოდროინდელი მხატვრული შემოქმედების გეგმები _ აპირებდა დაეწერა «მედეა», «ერეკლე მეორე» (სხვა გეგმების შესახებ იხ. «ჩანაწერები», ტომი 5.) _ დაკავშირებულია ისევ დრამატულ ჟანრთან. აღსანიშნავია, რომ მისი ბოლო, დაუმთავრებელი, ტრაგედიაა «სურამის ციხე». აქ მწერალი თითქოს ნიღბავს თავისი ალტერ ეგოს და მას ზურაბს არქმევს (მკითხველს გავახსენებ 1958 წელს მწერლის მიერ მოსკოვიდან მოწერილ წერილს, სადაც ის კატეგორიულად მოითხოვდა არ შეეცვალათ ლირიკული გმირის სახელი: «გურამი»). თითქოს თავისი ხანმოკლე შემოქმედებითი ცხოვრების განმავლობაში გურამი გადის გზას, სადაც სწრაფვა სუბიექტურ-ობიექტური ნაკადებისაკენ მუდმივად ენაცვლება ერთმანეთს. (ამონაწერი დღიურიდან: «როგორ უნდა ვწერო _ ღრმად სუბიექტურად თუ ობიექტურად, როგორც ტოლსტოიმ.») თუმცა აქვე შეიძლება ითქვას ისიც, რომ გურამის შემოქმედება, მიუხედავად ხშირად მისი სურვილისა გაეობიექტურებინა ლირიკული ნაკადი, განეზოგადებინა და თითქოს გარედან შეეხედა მასში დაძრული შინაგანი ენერგიისათვის, მთლიანად სუბიექტურია. ყველა მის მიერ მოსინჯული ჟანრიდან, ვფიქრობ, ნიაღვარივით, სრულიად დაუფარავად მოედინება მწერლის პიროვნება. ამასვე უნდა მოწმობდეს გურამის სიტყვები დღიურიდან: «ჩემი აზრით, პიესა, არ არის სავალდებულო, რომ დაიდგას. ის უნდა იკითხონ როგორც რომანი _ ამიტომ ასევე უნდა წერო»; ამასვე ადასტურებს «იულონის» ქვესათაური _ «დრამატული რომანი»; «მარინას» სიუჟეტურ-კომპოზიციური სტრუქტურა, სადაც, «ყველაზე ობიექტურ ჟანრში», სრულიად ბუნებრივად იჭრება ეპიზოდები მწერლის ცხოვრებიდან, ეპისტოლარული ჟანრი, რაც დრამის ჩარჩოს თითქმის აღუქმელობამდე გამჭვირვალესა ხდის. საინტერესოა, აგრეთვე, რომ, ზოგიერთ შემთხვევაში, პიესის ტექსტში სრულიად მოულოდნელად შემოდის _ მართალია, სულ ერთი-ორი სიტყვით, მაგრამ მაინც _ ავტორის და არა მისი გმირის თვითირონიული კომენტარი (იხ. თუნდაც, პიესაში «მარინა»: «ჯერაც არ გამოგორებულა...», ავტორი მათხოვარზე და სხვ.).

დრამატული ჟანრი გურამმა პირველად მოსინჯა 1957 წლის გვიანი შემოდგომით, როდესაც მას, მისივე თქმით, განსაკუთრებით უჭირდა წერა («დიდს, სულ ოდნავ დიდსაც კი ვერაფერსა ვწერ, როცა მიყვარს. ასე იყო მ-ს დროს, ასე იყო რ-ს დროს». _ დღიურიდან).

1957 წლის პიესა

წლების განმავლობაში მწვანე საქაღალდეში, რომელსაც დაკრული ჰქონდა ვიწრო თეთრი ქაღალდი, წარწერით «ველურებზე» (პირობითი სათაური), იდო _ უფრო სწორად, უწესრიგოდ იყო ჩაყრილი _ ყველა ფურცელი, რაც გურამის გარდაცვალების შემდეგ, 1960 წლის შემოდგომაზე, არქივის პირველი მექანიკური დალაგებისას, დაკავშირდა 1957 წელს დაწერილ დაუმთავრებელ პიესასთან. ხელნაწერი გადაიბეჭდა მხოლოდ წინამდებარე გამოცემის მომზადებისას. ჩანაწერები პიესისათვის არც დათარიღებულია და არც დასათაურებული.

დათარიღებისათვის მყარ ინფორმაციას იძლევა არქივის ქრონოლოგიური ჩარჩოს შედგენისას შემუშავებული ზოგადი კრიტერიუმი: ასეთ თაბახის ფურცლებზეა დაწერილი დაუმთავრებელი რომანი «სასამართლო გადის განაჩენის გამოსატანად», მოთხრობა «ყველაზე ძალიან ეს ბოლო სურათი მომწონდა» და სხვა, 1957 წლის ბოლოთი დათარიღებული, პატარ-პატარა ნაწარმოებები.

რ. თ-მ (იხ. შენიშვნები «ირინა და მესათვის») თქვა: ერთხელ, 1957 წლის შემოდგომაზე, მე და გურამი სტუმრად ვიყავით თემო ჯაფარიძესთან. გურამმა ხელში აიღო თემოს მაგიდიდან რაღაც ფურცლები და წაიკითხა თუ ზეპირად თქვა, ახლაც არ ვიცი: «ქრისტე აწამეს, მერე იწამეს». როგორც ჩანს, ჩვენი შეხვედრებისას იმდენად ხშირად იმეორებდა ის ამ ფრაზას, რომ ამდენი წლის შემდეგაც კი მახსოვს. დათარიღებისათვის დამატებით ინფორმაციას იძლევა, აგრეთვე, ამ ჩანაწერებში ნახსენები საბჭოთა კავშირიდან დედამიწის პირველი ხელოვნური თანამგზავრის გაშვების ფაქტი (1957 წლის ოქტომბერი). ასე რომ, ჩანაწერები პიესისათვის დაწერილი უნდა იყოს 1957 წლის, ჩემი აზრით, გვიან შემოდგომაზე, კოსმოსში დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის გაშვების შემდეგ. აღსანიშნავია, რომ 1957 წლის 4 ივლისს გურამმა უფლისციხეში იპოვა თავის ქალა, რომელიც მოსკოვში წასვლამდე მუდმივად იდო მის სამუშაო მაგიდაზე (გაიხსენე თავის ქალა «უფლისციხელის» მომდევნო მოთხრობაში: «თავის ქალა ლოდიანზე იდო…», აგრეთვე, ვაჟა გიგაშვილის მოგონება (იხ. ტომი 2, შენიშვნები მოთხრობისათვის «სიკვდილი მთებში»). შესაძლებელია, ამ პიესაში თავის ქალებით ვაჭრობის ეპიზოდი აუკების სოფელში ამ ფაქტითაც იყოს შთაგონებული.

ისე, როგორც ერთხელ უკვე აღვნიშნე, საარქივო მასალების გამოქვეყნებისას ზოგჯერ საჭირო ხდებოდა გადამეხვია ზოგად პრინციპისათვის და ყოველ ცალკეულ შემთხვევაში მიმეღო კონკრეტული გადაწყვეტილება. ამჯერადაც ვღალატობ ჩემს მთავარ ჩანაფიქრს, დაუმთავრებელი ნაწარმოებები დავბეჭდო ტომის ძირითად ნაწილში დამთავრებულებთან ერთად, და გარკვეული მიზეზების გამო, ამ პიესას ვბეჭდავ შენიშვნებში და ისიც მხოლოდ იმ ადგილებს ამ პიესიდან, რომლებიც მნიშვნელოვნად მიმაჩნია მწერლის ცხოვრება-შემოქმედების მთლიანი და, ამავე დროს, ეტაპური გააზრებისათვის. ასე მახსოვს, გურამი უტრიალებდა სტალინის თემასაც. ეს ჩანს ამ პიესის ერთ-ერთ მონოლოგსა და ზოგიერთ დღიურში.

გაკრული, მომსხო ასოებით, ძალიან ხალვათად, შევსებულია თაბახის ფურცლების 69გვერდი). ჩანაწერებში პიესისათვის სცენებისა თუ მონოლოგების თანმიმდევრობა პირობითია, რადგან პაგინაცია ყოველ ცალკეულ შემთხვევაში იწყება თავიდან:

I.

/სცენის სიღრმეში მოჩანს ჯვარზე გაკრული ქრისტე. ისმის ლოცვის ხმები... ლაპარაკობს შეუცნობელი ხმა/

ვინც ჯვარს არ ცმულა, არ წამებულა,
ვინც არ დამწვარა,
ვინც არ მომკვდარა,
და თავგანწირვა საკუთარი
იდეისათვის, რაც სწამდა თვითონ.
არ შეუძლია: არც უწამიათ!
....
ქრისტე ჯვარს აცვეს, მერე იწამეს,
....
დროსა და სივრცეში განუსაზღვრელი
არის სამყარო,
და მასში სადღაც გაბნეულია
მარადი სული.
მან არც დრო იცის,
არც დაშორება,
ის უკვდავია, არც ბოლო აქვს
და არც დასაწყისი.
იბადება და კვდება სხეული,
ვითარდება და იზრდება იგი,
ცოდვილი სული
უბრუნდება ცოდვილსვე
სხეულს,
მოუსვენარი მოუსვენარს, წყნარი თვინიერს,
და თვითმკვლელობა, მოჩვენება სხეულის შვების,
არის წამება გაშვებული კოსმოსში სულის.
მხოლოდ მაღალი _ ხვედრია მაღლის,
და ქრისტეს სულიც დაჰქრის ჰაერში
და ეძებს პატრონს, ცდილობს გადასვლას
ის სხვის სხეულში...
თან დროც მოვიდა, ორი ათასი წელი გავიდა,
და გაჩენილი სხეული უკვე თავისთვის
ამერიკაში, «ბროდვეიზე», ან ჰიმალაის ბრამანებში,
ან რუსთაველზე დროგადასული სტილნი პიჯაკით დადის
წამებულ სულით, შეუცნობლად გარს დასტრიალებს მას
ქრისტეს სული.
მან კი არ იცის, და თუ შეიქმნა
მისი სხეული Oოცდაათი წლის.
/ისმის ხმები ყოველი მხრიდან/
_ ახალი ქრისტე!
_ ქრისტეს მოველით!
_ ჩვენ რწმენა გვინდა!
_ გვწამს მოსვენება.
...
II.

/სცენა ჩაბნელებულია მთლიანად, ფარდა ღიაა. ისმის რადიოს ხმა. ხმები ბუნდოვნად მეორდება სხვადასხვა ენაზე./

ამ საუკუნეში, მეოცე საუკუნეში,
ტექნიკის საუკუნეში,
სადაც აღარ ცხოვრობს კანტი /ფიზგარმონი მძიმედ უმატებს ორ ბგერას/
სადაც აღარ ცხოვრობს ჰეგელი /აქაც ისევე, ოღონდ უფრო მძიმედ/
და ძლივსღა ახსოვთ ქრისტე და ღმერთი,
თორმეტ საათსა და ოცდაათ წუთზე,
ათას ცხრაას ორმოცდაჩვიდმეტ წელს,
სამყაროს შეემატება ახალი პლანეტა,
ხელოვნური პლანეტა,
ის უკვე მზად არის გასაფრენად,
დევს რაკეტაში, წამში ის გადის 8 კილომეტრს,
ძლევს დედამიწის მიზიდულობას და იწყებს
ბრუნვას დედამიწის გარშემო,
იბრუნებს დღეში თხუთმეტჯერ
წრიულ სპირალზე,
ახალი პლანეტა, ხელოვნური პლანეტა,
შეარყევს ორივე სფეროს, შეარყევს ცათამბჯენებს,
გადაუვლის ქოხებს,
გადაუვლის გემებს,
მოემზადეთ საყურებლად,
ოკეანის იქით,
ოკეანის აქეთ,
ის ძილს დაუფრთხობს სკალპზე
მონადირე ველურ აუკებს...
....
პლანეტა მზად არის,
დრო მოვიდა,
ერთი, ორი, სამი.
/ჩაბნელებულ სცენაზე რაკეტა ვარდება./
/ფარდა ეშვება და ისევ იღება/.

III.

/მოჩანს აუკების სოფელი. ნელა იპარება დილა. შიშველი აუკი ქალი, ჩამოყრილი ძუძუებით, ზის ქოხთან, რომელიც ლერწმისგანაა ნაკეთები. სიღრმეში მოჩანან სხვა ქოხები. მაღალ აუკს, რომელსაც სახეზე ტატუირება აქვს, თმებში ფრთები და სიშიშვლეს წალმის ტოტები უფარავს, გამოაქვს ადამიანის მოჭრილი თავი. თავი თმებით უჭირავს, გადაჭრილი კისრიდან სისხლი წვეთავს. ცალ ხელში შუბი უჭირავს, შუბს ლაჯებს შუა იჩრის, ძირს ჯდება, ხელში ქვას იღებს და თავს ნაყავს. ისმის ფუყე ხმა. ის აუკი ბელადია, ტომის ბელადი/:

რა ფუყე თავია, საოცარია,
როცა მოვჭერი, ვიღაც იძახდა,

ჭკვიანი იყოო, თან ფიზიკოსი.
ბუჩქებში ვიჯექი და მეცინებოდა,
ისინი დარბოდნენ, ჩემს კვალს ეძებდნენ,
და თან იძახდნენ _
ჭკვიანი იყოო, თან ფიზიკოსი.
/ურტყამს ქვას ქალას/.
რა ფუყე თავია, საოცარია,
თან პატარა. როცა გახმება
დაიჭერს მუჭის სიმსხოს.
/აცლის ძვლებს კისრიდან/
თან მოჭრილ თავებზე
ფასიც დაეცა, ესეც ბედია?!
/დედაკაცი/
რას ზიხარ უქმად, მაგ ბავშვს
ვინ მოგპარავს,
გამოიტანე ჩქარა სხვა თავები.
/დედაკაცი ბავშვს უხეშად აგდებს, ბავშვი ჭყავის, თვითონ ქოხში შედის და უკვე გამომხმარ თავებს ეზიდება, ქოხზე კიდებს. სამი თავი სულ ახალია და გამომხმარი არაა. ბელადი თვლის, ნელა ამოდის მზე და თავებს ანათებს./
გაიაფდა თავები,
მამაჩემის დროს მაგის ნახევარში
ოცჯერ მეტს იღებდნენ.
/უყურებს თავებს/
პაპაჩემის დროს მაგის ნახევარში
ასჯერ მეტს იღებდნენ.
/იყურება ხალხისკენ/
გაიაფდა თავები.

/შორიდან ისმის ყიჟინის ხმა, იარაღის ჯახუნი, ბელადი ზის და მშვიდად განაგრძობს თავის საქმეს, მანჭვით და ცეკვით შემოდიან მისი ცოლები, მოჭრილ თავებს აწყობენ ბელადის წინ, ბელადი დგება და საპასუხო ცეკვას ასრულებს, ისმის დაფდაფების ხმა, ველურები იყოფიან და ველურ ცეკვას ასრულებენ. ცეკვა ბრძოლის მონაყოლს გამოხატავს. ცეკვავენ დიდხანს, მერე ერთი ნაწილი ამარცხებს მეორეს, დამარცხებულებს ვითომ ჭრიან თავებს და გამარჯვებულები ბელადს მოჭრილ თავებზე მიუთითებენ./

პირველი აუკი: დიდო ბელადო,
ის ჩემი ქოხი, ფშათან რომ იდგა,
სულმთლად დაინგრა გუშინ წვიმის დროს,
/ბელადი აუკის იქით იყურება სადღაც სივრცეში/
ცოლი შინ ვერ წევს,
ბავშვები ტირიან,
/უთითებს სამ მოჭრილ თავზე/
ეგ ჩემებია.
/იღებს მახვილს/ ამით მოვჭერი.

/ცეკვა-მანჭვით მიდის უკან, მზე უფრო მაღლა იწევს, ველურები შუაში იყოფიან. თეთრებში გამოწყობილი ევროპელი გადამყიდველი თავების, თეთრი შლიაპით და ორი ჩემოდნით მიდის ბელადისაკენ, თავს უკრავს, ბელადი დგება, ველურები ჩურჩულებენ./

_ რამხელა თავია!

_ კარგია, კარგი.

_ ეგეთი ქალა დიდი ხანია არ მინახავს.

_ თან თეთრკანიანის.

_ ოთხმაგი ფასი აქვს, ასე გამიგია მე პაპაჩემისაგან.

_ აქედან დავხვდეთ, ჯუნგლების შუაში.

/თეთრკანიანი და ბელადი ერთხანს ერთმანეთს უყურებენ, მერე ხელს ართმევენ ერთმანეთს და სხდებიან, შემდეგ ბელადი დგება/

ბელადი: ნარდად წაიღებთ თუ ცალობით ვივაჭროთ?

გადამყიდველი: /უყურებს თავებს/

ნარდად არ მაწყობს, ზოგი

დიდია, ზოგი პატარა,

მეტწილად _ თეთრი, აქა-იქ _ შავი. /ველურები იღიმებიან,

ხელებს ისრესენ, ჩურჩულებენ/

_ თეთრში მეტს მოგვცემს!

_ ისე, ძუნწია გადამყიდველი.

_ თეთრზე გამოვალთ, ის მეტად ფასობს.

ბელადი: აქედან დავიწყოთ, ჯერ ეს მოვიშოროთ, შავი საქონელი,

ის სულ ხუთია.

მერე გაჩვენებთ სულ ყველა თეთრებს,

თეთრი თავები დიდი შუბლებით.

/იღიმება, ჩუმად ეუბნება გადამყიდველს ისე, რომ ველურებმა ვერ გაიგონ/

თქვენთვის ცალკე მაქვს სამი თავი თეთრკანიანის, ჭკვიანი თავები.

გადამყიდველი: ჩქარა დავიწყოთ, მაგვიანდება.

ბელადი: ამ შავ თავებში, ხუთივეში ერთად, რას მისცემ?

გადამყიდველი: ოთხას მანეთს.

/ველურები სიხარულით ყიჟინას სცემენ და ცეკვიდან ასრულებენ ნაწყვეტს, ბელადი წელში იმართება, პალმის ტოტი ვარდება, შიშვლდება/

აჰა, აიღე.

/აძლევს ფულს და ხარბად ათვალიერებს მიღებულ თავებს, მერე ტენის ჩემოდანში, ველურები ჩურჩულებენ/:

_ შავებში ოთხასი.

_ ხუთ თავში მაგდენი?

_ თეთრებში, ალბათ, ათჯერ მეტს ავიღებთ.

ბელადი: აი, ეს თეთრი. თეთრებზე ცალ-ცალკე ვივაჭრებთ, ალბათ. ისინი დიდია, დიდი შუბლებით, ჭკვიანი თავები.

გადამყიდველი: სულ რამდენია?

/აგდებულად უყურებს თავებს/.

ბელადი: სულ?

/ითვლის/

სულ ოცდახუთი.

გადამყიდველი: ნუღარ ვივაჭრებთ,

ოთხასი მანეთი.
ბელადი: ალბათ, ორ თავში?
გადამყიდველი: ოცდახუთივე ერთად შეკარით.
ბელადი: ალბათ, არ მესმის.
გადამყიდველი ნერვიულად: ოცდახუთ თავში, თეთრ თავში, ჭკვიანში /იცინის/.
ოთხასი მანეთი.
ბელადი: ხუთ შავში ოთხასი, თეთრშიაც ოთხასი, თანაც ოცდახუთში?
/ველურები იბღვირებიან და რკალად ერტყმიან გადამყიდველს, ჩურჩულებენ/
_ ჯუნგლებში ჩავკლავთ!
_ ხედავთ, გვატყუებს!
_ ახლავე მოვკლათ.
/ბელადს ბოლო სიტყვები ესმის და ხელით ანიშნებს მოშორდეს, ველურები შორდებიან, პატარავდებიან და მოყუჟულები დგანან, მხოლოდ თვალები უელავთ./
გადამყიდველი: რატომ განიცდით თქვენ, ველურებო,
ან შენ, ბელადო, აუკთა ტომის,
ნუთუ არ იცით, რომ შავი თავი იშვიათია,
თეთრს კი, წამოდით, თუნდ მე მოგცემთ ათობით, ასობით.
ნუთუ არ იცით?
თეთრებს მე მოგცემთ, თქვენ დამიმზადეთ.
/ჩემოდნიდან შავ თავს იღებს და ათვალიერებს/
უფ, რა თავია, თანაც სულ შავი,
თითოში ბაზარზე ოთხასს მოგცემენ.
ასეთი თავი აღარ იშოვება,
ეს დამიმზადეთ, როდესაც მოვალ.
ეს ძვირად ფასობს, იშვიათია.
ეს კი /დამცინავად აგდებს თეთრ თავს ჩემოდანში/,
ჩემთან წამოდით, მე გამოგიტანთ, რამდენსაც გინდათ /იცინის.
ბელადი შერბის ქოხში და გამოაქვს თეთრი თავი/
ბელადი: ეს თეთრი თავი რაც მოვჭერი, ძლივს გადავურჩი.
ბუჩქში ვიჯექი და
ხმები მესმოდა: ეგეთი თავი არ ყოფილაო,
ეგ ფიზიკოსის უნდა იყოსო.
ოხ, აი /ათამაშებს თავს.
გადამყიდველს დაკვირვებით ათვალიერებს/.
გადამყიდველი: ვოლტერ ჟან რუკ!
აკადემიკოსი, ქიმიკოსი, ფიზიკოსი,
დიდი გამომგონებელი და მწიგნობარი,
მაგისი სიცოცხლე მილიონი ღირს,
ეგეთი თავი არ დადიოდა მთელ მსოფლიოში.
მე ის მინახავს თვით ვაშიგნტონში,
როცა ლექციას კითხულობდა.
/გახარებული ბელადი ხტის, ველურები იმართებიან, ჩურჩულებენ:
_ აი, ფული სად არის!
_ ავშენდით, გავმდიდრდით!
_ მე ქოხს ავიშენებ, ცოლსაც მოვიყვან. /ბელადი ავტორიტეტულად/:
შენ როგორც ჩემ პირად ნაცნობს,

როგორც მეგობარს აუკთა ტომის,
თავს, რომელიც ღირს მილიონი _
გითმობ /ფიქრობს/
ოცი ათასად.
/გადამყიდველი იღიმება/
გადამყიდველი: ოთხი თუმანი, თუ გინდათ...
იცოდეთ ჩემი ბოლო სიტყვა.
/ჩემოდნებს კრავს და გასასვლელად ემზადება, შეურაცხყოფილი ველურები ადგილებიდან იწევენ, ერთი შუბს უღერებს, ჩურჩულებენ:
_ მასხრად აგვიგდო მაგ სალახანამ!
_ თეთრი რომ არის, ჰგონია...
_ ხო, ჰგონია გაუვა აქ მოტყუება... /ბობოქრობენ, ბელადიც აღელვებული შუბს იღებს ხელში, მაგრამ მაინც ანიშნებს ველურებს დაშოშმინდნენ, ისინი ნახევრად წყნარდებიან/
ბელადი: თეთრკანიანო, რაშია საქმე?
გადამყიდველი /გვერდზე/: რეგვენი ხალხი,
ოხ, რა ძნელია ამათთან
საქმე, ვერ გააგებინებ, ვერც ავს და ვერც კარგს.
/ბელადს/
რაშია საქმე? ეგ თავი ღირდა
მილიონები, როცა მხრებს ება,
როცა ფიქრობდა,
მიმიხვდი, ალბათ, ახლა გროშია
მაგისი ფასი, დიდი თავები,
ჭკვიანი თავები, რამდენსაც გინდა
მე თავს გიშოვი, მე თვით მოგიტან.
აი, ეგეთი, ტომის ბელადის
/ბელადს უყურებს თავზე/,
ასი თუმანი, ახლავე მოგცემ. /ბელადი განრისხებული ეტაკება. თეთრკანიანი ძირსა გდია განწირული, ნახევარრკალად შემორტყმული ველურები სიკვდილის ცეკვას ასრულებენ. რკალის შუაში ბელადი ცეკვავს, ნელა აწევს შუბს მაღლა. შეშინებული თეთრკანიანი იკლაკნება მიწაზე, მერე პისტოლეტს აძრობს, უცებ მთელ დარბაზს საშინელი ხმა ავსებს. რაკეტა გადაივლის სცენის თავზე, მისი ქარისგან ქოხები გვერდზე წვებიან. შეშინებული ველურები მუცელზე დავარდნილი ფართხალებენ და მიწას ურტყამენ თავს. თეთრკანიანი გარინდებულია, მერე წამოდგება ლერწმებისგან ფეხზე და მიდის/.

IV.

/ღია სცენა მანქანის საყვირების ხმასთან ერთად ნათდება, საყვირების ხმა ძლიერდება. სცენა წარმოადგენს კაბარეს ცათამბჯენების თავზე, ღია ცის ქვეშ., ცა მოჭედილია ელექტროსინათლისაგან გაბაცებული ვარსკლავებით. ნახევრად შიშველი ევროპელი ქალები ასრულებენ ზანგურ ცეკვას. პატარა მრგვალი მაგიდების გარეშემო სვამენ ვისკის. ერთ მაგიდასთან კაცი ზის სავარძელში, ეწევა სიგარას, ფეხები შეწყობილი აქვს ზევით, მარტო მისი პრიალა ლაქის ძირები ჩანს და სიგარის ბოლი. ცეკვა ხურდება. ქალი, რომელიც სოლოს ასრულებს, ხტება იმ მაგიდაზე,

სადაც კაცის ფეხები აწყვია. კაცი ერთ ფეხს ჰაერში სწევს, კაცი თავის ფეხს ჰკიდებს ხელს და ამოდის მაგიდაზე. მას ფრაკზე აცვია ველურის ტანსაცმელი: წინ პალმის ტოტი აქვს ჩამოფარებული, მხარზე ჯინჯილები ჰკიდია, თმებში ფრთები გაურჭვია, სახე ტატუირებიანი. ის ხელს ჰკრავს ქალს, ქალი ვარდება მაგიდიდან, მხოლოდ ცალი ფეხითაა მიმაგრებული. კაცი ჰიპნოზის მსგავს მოძრაობას აკეთებს. ჯაზი წამით ჩუმდება, მაგიდაზე ნელა ამოდის მართი კუთხით გამართული ქალის სხეული, მას დეკოლტიან უკანასკნელი მოდის კაბაზე ჩაცმული აქვს ველური ქალის ტანსაცმელი, ძუძუები აქვს შავი და ტატუირებიანი, ზურგზე ბავშვი ჰკიდია ჩანთით. ცეკვის დროს ის მუსიკის ტაქტში ჭყივის, ბავშვს თავი შავი აქვს, სხეული თეთრი. უცებ ვარდება ბუგის ხმები. ბუბუნებენ დაფდაფები. მაგიდაზე სრულდება ევროპულ-აზიური ცეკვის მსგავსი. ცეკვის დროს ორივენი შიშვლდებიან. ახლაღა ჩანს, რომ კაცი შავკანიანია, _ ის სახიდან და ხელებიდან ნიღაბს იძრობს, _ ქალი კი თეთრკანიანი. ცეკვის რიტმი უმაღლეს საფეხურზე ადის _ ბავშვს ხელიდან ხელში ათამაშებენ. ის მელოტია, დროდადრო ჭყივის. ბოხხმიანი ზანგი სოლისტი მღერის თავიდანვე დინჯად/

ქვეყნად იყო დიდი მიწა,
შავი მიწა, თეთრი მიწა.
/ჩქარა/ კბილის ფხვნილი, თეთრი ფხვნილი,
აჯანსაღებს კბილებს.
/გუნდი/ კბილეებს... შეისყიდეთ!
/დინჯად/ მიწებს შორის გაუვალი ოკეანე, ვეშაპებით და ყინულის დიდი მთებით.
/ჩქარა. მანქანის საყვირს გამოაჯავრებს, იმანჭება/
უ,უ,უ, ჭრელი, დიდი, პატარა და გამძლე, შეისყიდეთ «აბრაამ ლინკოლნი».
უუუუ
/გუნდი/ ლინკოლნ! შეისყიდეთ!
/დინჯად/ და ყინულები დაიმსხვრა და ვეშაპები ამოწყდა, სადღაც დარჩა ოკეანე _
როცა ცხელა, გაებანე.
/გუნდი/ გაებანე!
/კონფერანსიეს მიაქვს მასთან რაღაც ტექსტი,. ზანგი ჩუმად კითხულობს, მერე სერიოზულად ამბობს/
თქვენ /უთითებს კაცებზე/
და თქვენ /უთითებს ქალებზე/
/იქით ცეკვა გრძელდება, ის მაგიდა ოდნავ ბოლშია გახვეული. ზანგი ნახევრად სიმღერით ჰყვება, ჯაზი დაბალ აკომპანიმენტს აძლევს, მაგიდას გარეშემო მჯდარი წყვილები დგებიან, ცეკვავენ და ისე უსმენენ/.

თქვენ!
ხუთი წუთი არ გასულა იმის შემდეგ,
რაც მიიღეს ვაშინგტონში ეს დეპეშა,
შიგ ეწერა: დღეს საღამოს 6 ტაიმსა და 00 წუთზე
დედამიწის იმ მხარიდან მთვარისაკენ მთვარის მსგავსი სათამაშო
თანამგზავრი გამოუშვეს.
ის იბრუნებს როგორც მთვარე, გაცილებით უფრო ჩქარა,
და ათ წუთში ჩვენს ცათამბჯენს გადაუვლის.
ხმები: რამდენ ხანში?
ზანგი: ალბათ, ჩქარა!

/საყვირი მთელ ხმაზე უწევს. მესაყვირეს ლოყები დაბერილი აქვს, ის გრძელია. სიგარა მილში აქვს გაჩრილი, დაკვრასთან ერთად იწევა და გრძელ ბოლს უშვებს. ზანგის ხმა საყვირის ხმაზე მაღლა ადის.

ზანგი /სიმღერით/: შეიძინეთ ჭოგრიტები, თოკები და თან კარები.

/მესაყვირეს თვალთან მიაქვს საყვირი. შიგ იყურება. კულისებში მეორე საყვირი უკრავს მასზე მაღლა.

შემოაქვთ ყუთებით ჭოგრიტები: ხალხი ყირაზე გადადის, ხელში ფულები უჭირავთ, ცდილობენ ერთმანეთს დაასწრონ. ისინიც, ვინც მაგიდაზე ცეკვავდნენ ამდენ ხანს, მირბიან იქით, გზაზე კარგავენ მორთულობის ნაწილებს. იქით მირბიან დამკვრელებიც, მხოლოდ ზანგი მღერის და საყვირი უკრავს./

ზანგი: შეიძინეთ, აბა, თანამგზავრმა გადაუარა /ყურს სწევს კულისებისკენ/

ხმა კულისიდან: ოკეანეს, ოკეანეს, აბა ჩქარა,აბა ჩქარა /საყვირი აკეთებს «აბა ჩქარას»/

/მერე ორივენი, ზანგი და მესაყვირე, იღებენ ბინოკლებს და იხედებიან. ჭოგრიტმომარჯვებული ხალხი თავის ძველ ადგილებს იკავებს და დაჭმუჭნილ ტანისამოსს ისწორებს, იქით ყუთის ნამტვრევები ყრია. ჯაზი ადგილზეა. ახლიდან ისმის ხმები, ჯერ დაბალი ქალი და კაცი მაგიდაზე ისევ ცეკვავენ. ხურდება მუსიკა: ბავშვით ცეკვა ტრანსში გადადის./

ზანგი: ორი, სამი.

/ზრიალით გადაივლის რაკეტა. ყველანი მაგიდებზე ხტებიან მაღლა, ჭოგრიტებით უყურებენ. დამკვრელები თავიანთ საკრავებში გასცქერიან. მოცეკვავეები ბავშვს სწევენ მაღლა, ის ღრიალებს, პირი დაღებული აქვს _ ორივენი მის უკანალში იყურებიან და ხელს იშვერენ იმ მიმართულებით, საითაც გადაიარა თანამგზავრმა. ყველაზე ადრე საყვირი მოდის აზრზე და ფანფარით აფხიზლებს ხალხს. ზანგი მღერის. სანამ ის მღერის, ჯაზის წინ გამოაქვთ მაგიდა, სამი სკამი, ვიღაც მოხუცი, ასტრონომის ტიპის ორი კაცი და ერთი, აშკარად ბიზნესმენი, იკავებენ ადგილებს/.

ზანგი: შუაღამემდე კიდევ ორჯერ გადაივლის, მოემზადეთ საყურებლად!

როგორც ხედავთ, სწრაფი არის,

შეუცნობი გასაგებად.

/ხელს იშვერს/ აი, აქ სხედან, ხედავთ? /ალბათ, მაგიდასთან მჯდომი ხალხისკენ./

მე გიმღერებთ იმათ სიტყვებს /რეჩიტატივით/:

ეგ გაუშვეს იმ მიწაზე, წითელზე და დიდზე.

ეგ იბრუნებს ძლიერ სწრაფად

დღე-ღამეში ოცდახუთჯერ.

ეგ კარგია, მიღწევაა, მაგრამ წინ დევს უფრო რთული,

ჩვენი ქვეყნის მოამაგეთ აუღიათ თავზე ვალი,

გააკეთონ ორთქლმავალი პლანეტაზე გასაფრენად.

და აქ დღესვე ყალიბდება იმ

რაკეტის სასარგებლოდ,

ვისაც სურს, რომ თვით გაფრინდეს

დიდ კოსმოსში, მთვარისაკენ,

შეიძინოს ბილეთები დღესვე, აქვე,

/ხმამაღლა, დამარცვლით/

თითო სამიათასი დოლარი _ პირველი ათი რეისი,

შემდეგი ოცდაათი _ თითო ათას ხუთასი,

დანარჩენი ასი _ თითო ხუთასი.

/დარბაზში ჩოჩქოლია, ქალები კაცებს ეჭიდებიან, იქექავენ ჯიბეებს. ზანგი ბილეთებს იღებს, ერთად მირბიან ყველანი მისკენ. ის მალავს და მაგიდისაკენ მიუთითებს. ხალხი იქით აწყდება./

V.

/სცენის ერთ კიდეში სვეტებიანი კიბეები ჩამოდის რომის ერთ-ერთი დიდი ეკლესიიდან ვატიკანში. კიბეებზე მათხოვრები სხედან.... ისმის ზარების რეკვა _ კიბეების გვერდზე დუქნებია ჩამწკრივებული. დუქნები იღება. ქუჩაში ხალხი იწყებს მოძრაობას. ერთი დუქნის წინ სვამენ და თვრებიან. ზარების რეკვა ძლიერდება, მერე წყდება. სცენაზე გაზეთის გამყიდველი ბიჭები დარბიან./

პირველი გამყ.: ახალი გაზეთები, უკანასკნელი ცნობა,
ქრისტე ჩამოდის დედამიწაზე.
მეორე გამყ.: პაპმა მიიღო გუშინ დეპეშა.
თვითონ სად არის, არავინ იცის.
პირველი გამყ.: ახალი ცნობა, უკანასკნელი ცნობა.
ასორმოცდაათჯერ შემოუარა.
მესამე გამყ.: /ხტუნაობს/ უფრო ახალი ცნობაა ასეთი: თანამგზავრმა
დღეს
დილით ადრე რომს გადაუარა.
მეორე გამყ.: ქრისტეს შეხვედრია გუშინ ზეცაში, იქა წერია,
წაიკითხეთ
ახალი ცნობა, წაიკითხეთ ახალი ცნობა, ბოლო ცნობა. ქრისტეს
შეხვედრია გუშინ ზეცაში.
.....

VI.

ყოფნა? არყოფნა? საკითხავი ეს აღარ არის.
აუტანელი ჩვენი ცხოვრება ასატანია
სხვა განწყობის დროს.
სიმხიარულე, კეთილდღეობა, თვითკმაყოფილი,
აუტანელზე უარესი ხდება.
და დროსტარება გამუდმებით, აუტანლობით,
მუდმივ ტანჯვას უახლოვდება.
სიმშვენიერე, რომელიც გვხიბლავს მოვლილ
ტყეებში _ მოსაწყენია,
და ველურ ვერხვებს, უსწორმასწოროდ
მთაში შეფენილთ, ვერ უსწორდება.
ზოგ შემთხვევაში,
თვით სილამაზეც ქალის სხეულის ცვალებადია:
დღეს მოგწონს სიმსხო ძუძუების, ხვალ გავა ფართე
და ზეგ სითხელე, ნატიფობა
მისი სხეულის.
...
თვითონ ცხოვრებაც, დასაგმობი გაჭირვებისას,

ლხინის დროს ტკბება.
და თუ გახშირდა ის ლხინი მარად,
იმისგან ხდება დასაგმობი ისევ ცხოვრება,
ის არც კარგია, ჩვენი ცხოვრება,
არც ცუდი არის, ის სიცოცხლეა,
რაღაც სულის, სხეულში მჯდომის,
არც სიკვდილსა ცნობს, არც დაბადებას,
მუდმივობაა თავისთავადი, და წარმავალი
ჩვენი სხეული, მისი წყალობით ფეხზე დამდგარი,
მის წასვლის შემდეგ რჩება საგნად სულის გარეშე.
სული კი დარბის სამყაროში
და ახალ სხეულს ეძებს მარადის.
.....

ქრისტეს მეორედ მოსვლაზე: ხალხს უნდა
სარწმუნოება: არი თუ არა სპუტნიკი ის?
არა! ის ჩანს, რწმენა არ უნდა
ჩანდეს!
ვის სხეულში მოხვდება ქრისტეს სული?

VII.

ველური: მე მოგიყვებით ერთ ამბავს ახლა,
ის მე ინდოელ თავით მოვაჭრე დერვიშისაგან გამიგონია
...
ცხოვრობდა ქვეყნად
....ერთი უქნარა და მეოცნებე.
ხან სად ძვრებოდა, ხან სად ეძინა, ასე ცხოვრობდა სხვის ხარჯზე მუდამ
და ოცნებობდა.
ერთხელ მდიდარმა სახლის პატრონმა
სავსე გოდორი ახალი ბრინჯი გამოუტანა
დუღილისგან დაბერილ მარცვლებს მიაძღა ის და
სულ ცოტა ხანში გაძღა ჭამისგან,
გოდორს არ აკლდა ჯერ არაფერი.
იმან აიღო სავსე გოდორი,
ფეხთით დაიდგა და გაინაბა.
შურდა თავისი, ბრაზობდა კიდეც,
რომ ვერ შეჭამა, უცებ რომ გაძღა.
ნელა წავიდა ნირვანაში, ოცნებებს მიჰყვა.
ეჩვენებოდა შიმშილობა ქვეყნად უღმერთო.
თვითონ ბრინჯს ყიდდა და მდიდრდებოდა,
ერთი გოდორი ათ ქათმად გაცვალა სადღაც,
ათმა ქათამმა ათასი წიწილა მისცა ორ თვეში.
ყველა დაყიდა, ხარი იყიდა,
მოხნა, დათესა, სახლი აიშენა,

ცოლი შეირთო, შვილი ეყოლა
და დაისვენა.
სერ რიკა: /იცინის/ რას მჭერმეტყველობ, შვილი ეყოლა და დაისვენა.
/ველურს არ ესმის, ის განაგრძობს/
შვილს მან დაარქვა სამაშარმან.
ბავშვი ტიროდა, თვითონ კი იწვა
და გაჩუმება ეზარებოდა, ცოლი რეცხავდა,
არც მას ეცალა, ნელა გაბრაზდა,
ფეხი ჰკრა სარეცხს, ცოლს დაუყვირა,
გაქრა ოცნება.
ფეხი ბრინჯს მოხვდა, ბრინჯი დაიბნა, ასე დამთავრდა მისი ოცნება.
გამომგონებელი ირონიულად: ბავშვის შესახებ, რომელსაც ერქვა სამაშარანდა
და მამამისმა შექმნა ოცნებით,
არავინ იცის ჯერ არაფერი, მამამისი
კი ვინც ოცნებობდა გოდორი ბრინჯით კარგ მომავალზე,
ოცი ათასი წელი გავიდა და დღესაც
ახსოვთ ის ინდოეთში.

VIII

არ მესმის, არა, ტრაგედია ჩემი სულისა.
მე ან ბრმა ვიყავი, ან საოცრად ნათელმხედველი.
ერთი მიზანი იდო პირდაპირ,
მისკენ მავალი გზაც ერთი მქონდა,
სხვა ყველაფერი _ დიდიც, წვრიმალიც _
ჩემს მხედველობას ვერ აღაგზნებდა.
არ ვიცოდი მე მეგობარი,
გულისტკივილი პატარა სულის
ის ერთი მწამდა, სხვასაც ვაწამე
მისკენ მავალი ხაზი პირდაპირი.
უძილო ღამეებს ვტეხდი საკნებში
წამებით დაშანთულ სხეულებს შორის.
მეცნიერები, ხელოვანი, ორატორები
ეყარნენ იქვე გამფლანგველთ შორის
თვით ჩემს მეგობარს, ერთად გაზრდილს,
ვისაც არ სწამდა ის მიზანი, ბრძანებით
ორივე თვალი ამოუღეს.
მესმოდა წყევლა საკნებიდან
ოხვრა მრავალი.
თვალებდათხრილი მეგობარი მიხმობდა იქით _
არა სჯეროდა, რომ ჩემგან იყო გაცემული
იმის წამების მკაცრი ბრძანება.
მესმოდა ხმები ყველა მხრიდან,
მაგრამ ბრმა ვიყავ, თავს ვიყრუებდი,
რადგან ვხედავდი უნათლესად
სულ წინ, პირდაპირ

იმ დიად მიზანს, რაც წვრიმალებში მე მაყრუებდა
იმავ მიზნისთვის, ჩემი საქმისთვის ჩემი სახელის ერთხმად ძახილით.
ლეგიონები აწყდებოდნენ იმავ მიზნისთვის მტრების ზარბაზნებს.
თოვლში ფეხშველა, ნემსით ეწამა პატარა გოგო;
ყუმბარებით ტანკების ქვეშ ვარდებოდნენ იმავ მიზნისთვის
და თავის მკერდით ტყვიამფრქვევის ჯერებს აქრობდნენ.
ვერც მათ ვხედავდი.
ის იდო იქით, რაც მაბრმავებდა თვისი სინათლით.
ის არა ჩანდა, არცთუ ახლა ჩანს უბრალო თვალით.
მე მას მეექვსე, ინტუიციის გრძნობითა ვხედავ.
ის არ მატყუებს.
აი, ახლაც ვხედავ
და კიდევ ბევრ მსხვერპლს გავიღებ მისთვის.
ის, ვინც თავისი ნებით მომყვება,
თავისი ნებით დატანჯავს სხეულს,
სხეულების თუნდ ორ თაობას,
მესამეში მოვა ახლიდან იმისი სული
და იმ თაობის ლეში იგრძნობს, რომ მას
ის სული დაეპატრონა, ვინც თავს წირავდა
იმავ მიზნისთვის.

IX

2: შენ გინდა მითხრა, რომ ეს
ტანჯვა ჩემი არსების არის მუდმივი?
1: მას ტანჯავს სული, წაბილწული,
შენში რომა ზის.
მკვლელობისათვის, მრუშობისათვის აქეზებს სხეულს.
ისიცა ყვება, როგორც უტყვი,
არაფრის შემძლე.
ავ საქმეს ავზე ამატებს კიდევ,
გადაუდებლად გრძელდება ასე,
ბოლოს კი, როცა ის გაქრება
კოსმოსში ისევ,
დარჩება მძორი, გასახრწნელი,
არაფრის მდომი.
ბოროტი სული, გაფრენილი, დაიწყებს ძებნას, ეძებს
სხვა სხეულს,
სადაც შეიძლებს ის დაბუდებას.
და ემზადება ახალ ცოდვისთვის.
2: მაშ ხსნა არ არის ჩემი სულის,
ის წაწყმედილა,
მას დრო არა აქვს, ამ წაწყმედას,
როგორც შენა თქვი,
არც ბოლო ელის, არც დასაწყისი.
მისი ხვედრია მუდმივობა,

და ყოველივე ბრძოლა მასთან
სიკეთისათვის ამაო არის.
რადგან ძირშივე მოწამლულია.
1: შენ ცდები, კაცო,
როგორც ის სული მოითხოვს სხეულს,
ისევე მძორი დაეძებს პატრონს.
ერთმანეთს ცვლიან ორივენი,
განსხვავება ერთია მხოლოდ,
სიკვდილის შემდეგ მძორი იხრწნება,
სული მაღლდება, განაგრძობს ბრძოლას.
2: მაინც არ მესმის ხსნა
რაში არის?
ხსნა იქ ეძებე, სადაც იყრება
სული და მძორი,
იქ ისახება სიცოცხლე ისე.
როგორც ვეძახით ჩვენ, მომაკვდავნი
მხოლოდ სხეულით....
და ამ სიცოცხლეს აქვს სხვა თვისება:
მას შეუძლია სული ასწიოს, აპატიოსნოს
მძორის გახრწნამდე.
ის განწმენდა კი სხვაში გადავა
სიკვდილის შემდეგ,
ახალ სხეულში.
2: მაშ ხსნა ყოფილა შესაძლებელი;
სულის გაწმენდა სხეულში თვითონ
1: არის
2: რა ჰქვია მაგ ხსნას?
1: ალბათ სიცოცხლე, ის მაღალია
სულზეც, სხეულზეც, ის მაშინ ხდება,
როცა ერთმანეთს პოულობს ორი: პირველი, კოსმოსში გაფანტული, მას ჰქვია სული.
მეორე, მიწაზე მცხოვრები, მას ჰქვია მძორი.
2: /ომები, მკვლელობა, გამართლება/ მაშ ჩემ სიცოცხლეს გამართლება
არა ჰქონია, მილიონობით მსხვერპლი გავიღე,
უსამართლო თუ სამართლიანი, მინდოდა მე
თვით შემექმნა ღმერთი, მიუწვდომი და დასაჯერები.
1: მერე, შექმენი?
2: თითქმის, დროებით.
1: ეგ არც მე მესმის, თუმცა, მოიცა,
მათი მძორები, ვისი სიცოცხლეც
შენ შეიწირე,
უკვე გაიხრწნა.
სული კი ფრინავს, ან მოთავსდა ახალ სხეულში.
ეგეთ არსებებს, ვინც თავს სწირავენ ბრმად და მორჩილად,
სული სცილდებათ ისეთივე თვისების მქონე, და სწრაფად იბუდებს
სხვა სხეულში, თავისნაირში, ის კვლავ მზად არის

ახალი მსხვერპლის გამოსაღებად, მაგათი ცოდო შენ არ გედება.
ისინი კი, რომელთაც ჰქონდათ მაღალი სული,
მძორს დააშორე, მოსპე სიცოცხლე,
შურისძიებით დაჰქრიან მაღლა, ვერ პოულობენ ადვილად თვის ლეშს,
მაგრამ თუ ნახეს, შექმნიან შენს მსგავსს და ის იძიებს შურს მძორის მკვლელზე.
2: სულის გაწმენდა არ შეიძლება ალბათ ცოდვისგან,
რომელიც მადევს, ბევრი გავწყვიტე თავისი ნებით
ველად, ბრძოლებში,
ბევრსაც ისე, ბნელ საკანში მოვუღე ბოლო.
მათ შორის იყვნენ დიდი სულის მქონე
ლეშები.
ჩემს სულს წამება მოელის მარად.
1: მანდ ხსნა სულისა მხოლოდ ერთია.
მისთვის მიმართეთ თეოსოფიას.
ის გეტყვის მართალს, როგორ აგიხსნა:
თუ იმ მაღალი სულების ტანჯვა ღირდა
იმ საქმედ, რაც გააკეთე, საერთო ჯამში,
მომავალ სულთა ასამაღლებლად _ მაშინ არ
გელის შენ იქ წამება.
2: სად ვნახო მე ის?
1: ყველაზე დიდი თეოსოფი მომავლის
ისტორიაა, რომელიც არის სამყაროში
უკვე სრულყოფით, ის არ მოკვდება, არც
იბადება და სხვა ყოველი მიწიერი
მის განგებას უნებურად ემორჩილება.
2: გრძელი მონოლოგი საქმიანობაზე. სულს ვერ გაექცევი, მოკვლა თავისა არა ღირს.

[1957 წლის შემოდგომა]

ქვეყნდება პირველად.

პიესა, ორიგინალური ბოლოსიტყვაობითა და ანდერძით...

არქივში ინახება ბლოკნოტის ტიპის ორი, ერთმანეთის მსგავსი, საერთო რვეული. ერთში დაწერილია «მარინას» შავი ვარიანტი (1_96გვ), მეორეში _ თეთრი (1_100გვ.). შავ ვარიანტში შიგადაშიგ ჩასამატებელი ფურცლების ადგილები ტექსტშივეა მითითებული. თეთრი ვარიანტის ბოლოს ჩამატებულია შუაში გაკეცილი, ორივე გვერდზე ნაწერი თაბახის შვიდი ფურცელი. თეთრი და შავი ვარიანტები სხვადასხვანაირადაა დასათაურებული. შავი: «აცადეთ სიყვარული მარინას» /ტრაგედია უკაცოდ/. თეთრისათვის იხ. ნაბეჭდი ტექსტი. დათარიღებულია მხოლოდ თეთრი ვარიანტი.

როგორც არაერთხელ გურამთან, აქაც, ამ პიესის რედაქტირებისას, დასაფიქრებელი იყო ტექსტის დადგენისა და სათაურის საკითხი: მიგვეჩნია თუ არა

მხატვრულ ფაქტად თეთრი ვარიანტის დასაწყისში სხვა მელნით, როგორც ჩანს, პიესის გადათეთრების შემდეგ, დაწერილი სიტყვები (იხ. ნაბეჭდი ტექსტი). ეს თავისთავად უკვე წყვეტდა პიესის ბოლოს, სიტყვა «ფარდის» შემდეგ, მოთავსებული «ბოლოსიტყვაობისა და ანდერძის» ტექსტად მიჩნევა-არმიჩნევის პრობლემას (იხ. ნაბეჭდი ტექსტი). ზემოთ აღნიშნული პასაჟების ტექსტად მიჩნევის სასარგებლოდ მეტყველებდა წინა ტომებზე მუშაობის გამოცდილება: როგორც არაერთხელ დავრწმუნდით, მწერალი თავის ცხოვრება-შემოქმედებას მოიაზრებს ერთ მთლიანობად და ცხოვრების სიუჟეტური ხაზი ხშირად უშუალოდ იჭრება მის შემოქმედებაში, როგორც მხატვრული სტრუქტურის ნაწილი. ყურადღება მიაქციე: ავტორი და არა მწერლის ალტერ ეგო უშუალოდ ერთვება პიესის სტრუქტურაში «/ნელ-ნელა თენდება, მოგორავს მათხოვარი/ *(«ჯერაც არ გამოგორებულა!!!* _ ხაზი ჩემია _ გ.რჩ.») და თითქოს აფიქსირებს თავის დამოკიდებულებას, რომელიც, ისე როგორც სათაურების შერჩევისა, ბოლოსიტყვაობისა და ანდერძის დაწერისას (იხ. შემდეგ), ოდნავ ირონიულია.

ასეთმა დამოკიდებულებამ განაპირობა პიესის ამჟამინდელი რედაქცია. საინტერესოა, აგრეთვე, მწერლის შემდეგი მოსაზრება, ამ პიესასთან დაკავშირებულ ჩანაწერებში რომ არის გამოთქმული:

«ჩემი აზრით, პიესა არ არის სავალდებულო რომ დაიდგას, უნდა იკითხონ როგორც რომანი _ ამიტომ ასევე უნდა წერო.»

პრობლემური იყო პიესის სათაურიც, რადგან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ტრადიციული სათაური აქვს მხოლოდ შავ ავტოგრაფს («აცადეთ სიყვარული მარინას!» /ტრაგედია უკაცოდ/). ამ სათაურის მიმართ მწერლის ირონიული დამოკიდებულება ჩანს თეთრი ვარიანტის «ანდერძში» _ «ძალიან ჰგავს: «მიეცით ქმარი ანა ზაკეოს» (იმ დროს გადიოდა ეკრანზე ფილმი ასეთი სათაურით _ მ.რჩ.). თუმცა აქვე ჩანს, რომ მწერალი ირონიულად გაიაზრებს ყველა სხვა, თავის მიერვე შემოთავაზებულ, სათაურს. «ბოლოსიტყვაობაში» სხვადასხვა სათაურების დასახელებით და იქვე მათთვის გვირგვინის მოხდით, ისევე როგორც ნაწარმოების შესავალშივე ამ პიესისათვის საერთოდ რაიმე სათაურის მიცემის მიმართ ირონიული დამოკიდებულებით («ასეთი პრემიების შემდეგ, დარწმუნებული ვარ, სათაურზე ფიქრით არავინ თავს აღარ შეიწუხებს, რითაც ძალიან დამავალებენ»), ვფიქრობ, მწერალმა, ფაქტობრივად, მოჭრა ყველა გზა პიესის დასასათაურებლად. ასეთი მიდგომა, ანუ ნაწარმოების უსათაუროდ დატოვება, როგორც მკითხველი, ალბათ, უკვე თავადაც დარწმუნდა წინა ტომების გაცნობისას, უცხო არ არის მწერლისათვის, რომლის ნაწარმოებები ხშირად თითქოს ღია ტექსტს ქმნიან (აქ იგულისხმება მათი ადგილი არა მხოლოდ შემოქმედების, არამედ ცხოვრება-შემოქმედების მთლიანობაში). ასე რომ, პიესის არატრადიციული «სათაური» (იხ. ნაბეჭდი ტექსტი) მივიჩნიეთ ავტორის ბოლო ნებად.

აღსანიშნავია, რომ თვითონ გურამი ამ ნაწარმოებს დღიურებსა და პირად წერილებში მოიხსენიებს როგორც «პიესას». გამონაკლისია 1958 წლის აპრილის დღიური: *«მარინა». ხორო _ კაცების მსაჯულები, ქალები _ გრძნობები. საოცარია როგორ ვითარდება ხალხის ინტუიცია», «ახლა, როცა «მარინა» დავამთავრე, ვგრძნობ, რომ მარინა მე ვარ _...»* (სიადვილისათვის ამ პიესას კომენტარებში, ისე როგორც თვითონ მწერალი ზემოთ მოყვანილ დღიურში, მოვიხსენიებთ როგორც «მარინას.» _ მ.რჩ.)

შავი ვარიანტის რამდენიმე გვერდზე პაგინაცია გაკეთებულია ავტორის მიერ. თეთრი ვარიანტის პაგინაცია უნდა ეკუთვნოდეს მბეჭდავს.

1957 წლის გვიან შემოდგომაზე გურამმა გადაწყვიტა სამუშაოდ მოსკოვში წასულიყო (იხ. კომენტარები «იულონისათვის»). თავდაპირველად მშობლები უარობდნენ, მაგრამ ჩემმა ძმამ შეძლო მათი დარწმუნება, რის შემდეგაც დედამ და მამამ უკვე თვითონვე შეუწყვეს ხელი და 1958 წლის 23 იანვარს გურამი წავიდა თბილისიდან. ამ პერიოდის ზოგიერთ დღიურსა და ნაწარმოებს თან ახლავს გურამის მოსკოვში წასვლისწინა განწყობა. გამგზავრებამდე ცოტა ხნით ადრე გურამმა მითხრა: მაინცადამაინც მოსკოვში წასვლა აღარ მინდა, მაგრამ რადგან ვთქვი, სიტყვას ვერ გადავალო.

დღიურებიდან:

«ოცდასამში მივდივარ მოსკოვში… მიდის ბოლო დღეები … განსაკუთრებით მიჭირს ყველა ხაზის დაწერა ან რამის გაკეთება.»

«მიმყვება ჩაგუბებული ბრაზი საქართველოზე, ცოტა სიყვარულიც. არ შეიძლება მთლიანად გძულდეს უძლური» და სხვ.

«მარინას» წერა გურამმა დაიწყო თითქმის მოსკოვში ჩასვლისთანავე, 29 იანვარს. როგორც ჩანს, წერდა სამი დღე: 29 იანვარს, 2 თებერვალს და 8 თებერვალს.

თეთრი ვარიანტის გადაწერა დაამთავრა 4 მარტს (თარიღი დაწერილია პიესის თეთრი ვარიანტის ბოლოს) და თითქმის მაშინვე, ბანდეროლით, გადმოგვიგზავნა წასაკითხად («პიესა თითქმის დავამთავრე» _ მიწერილი აქვს ბოლოში მოთხრობას «მატარებელი სტეპში». იხ. ტომი 3, შენიშვნები მოთხრობისათვის).

ჩანაწერები, გაკეთებული «მარინას» თეთრი ვარიანტის ბოლოს ჩამატებულ ორად გაკეცილ თაბახის ტიპის ფურცლებზე (1_4გვ.). აქ შესული ზოგიერთი ჩანაწერი, შესაძლოა, იყოს «ბოლოსიტყვაობისა და ანდერძის» შავი ვარიანტი (იხ. ტექსტი):

«დედა მეშინია სცენიდან არ გააგდონ _ ძალიან ბევრს ლაპარაკობს _ თან გიჟია, ყურს ვინ დაუგდებს _ თუმცა შეიძლება პირიქითაც იყოს.»

«პიესა ორიგინალური ბოლოსიტყვაობით და ანდერძით _ სამწუხაროდ, ჯერჯერობით უსათაუროდ. სათაურზე ვაცხადებ პრემიას:

1 _ სამი ბილეთი პრემიერაზე

2 _ ორი ბილეთი «—»

3 _ ერთი ბილეთი პრემიერაზე.

ასეთი პრემიების შემდეგ, დარწმუნებული ვარ, სათაურზე ფიქრით არავინ თავს აღარ შეიწუხებს, რითაც ძალიან დამავალებენ.»

მინაწერი სიტყვა «ფარდის» შემდეგ:

«ჩემი აზრით, პიესა არ არის ცუდი. ეერთადერთი ის მაწუხებს, რომ ერთმოქმედებიანია და პრემიერაზე შესვენების დროს (რომელიც საერთოდ აქვთ პიესებს) ვერ გავივლ-გამოვივლი ფოიეში ავტორის ღიმილით.»

ბოლოსიტყვაობას მოსდევს ანდერძი (იხ. შემდეგი გვერდი): *«თუ ამოღებული იყოს ოჯახური ცენზურის მიერ _ მოითხოვეთ!»*

«უუჰ!

როგორც იყო დავამთავრე პიესის გადათეთრება. Uუღმერთოდ დამღალა _ სხვა საქმე რომ მქონდეს, არასოდეს არაფერს არ დავწერდი. ღმერთო, რა დაგიშავე, რომ საერთოდ წერა დამაწყებინე. წერა! თქვენ არ იცით, ეს ნამდვილი წყევლაა, ეს იგივე თამადობაა სუფრაზე. თავი შენა ხარ, იცი სულ რამდენი ღვინოა და ვინ რამდენს სვამს, სხვები კი ტკბებიან სასმელ-საჭმელით, შენ კი იმის დროც არ გაქვს, გოჭის თავი დაჭრა. ღმერთო ჩემო, ვერ გამიფიქრებია რამე, რომ ჩაწერა არ მომინდეს ან უბრალოდ, ან ლექსად, ან მოთხრობად _ ნამდვილი ტანჯვაა, რომელსაც თავს ვერ ვაღწევ, როგორც ჰერაკლე _ თავის 12 დავალებას.

არა! მე მწერალი არა ვარ!

მე შეყვარებული ვარ, გესმით! ოღონდ ახლა არ ვიცი, ვისში. წერა მხოლოდ ნაწილობრივ მინაცვლებს ამ სიყვარულს, რითიც ძალიან მაგონებს რაიმე სერიოზული რადიოგადმოცემის დროს მუსიკალურ ანტრაქტს. არც მზიას, არც რუსიკოს დროს თითქმის არაფერი დამიწერია. ვმუშაობდი მხოლოდ ინერციით _ ისიც, როცა ნაწყენი ვიყავი მათგან. ახლა არ შემიძლია, რომ არ ვწერო, სხვა რა უნდა ვაკეთო, აბა? მომიტევეთ, თუ ჩემი მოთხრობები ან პიესები ბევრ უსიამოვნებას მოგაყენებენ, შემიძლია გირჩიოთ: გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, ნუ წაიკითხავთ _ მე, როცა კარგ ხასიათზე ვარ, არასოდეს არაფერს არ ვკითხულობ.»

«რამდენიმე სიტყვა სათაურებისა და სიუჟეტის შესახებ:

არის რამდენიმე წინადადება პიესას დაერქვას:

1. აცალეთ მარინას სიყვარული.

ძალიან ჰგავს «მიეცით ქმარი ანნა ზაკეოს».

2. ხმები და მარინე

ან _ ძალიან მაგიურია.

მარინე და ხმები

3. მეზღვაურები პორტში _ ზედმეტად სიმბოლურია.

4. ტრაგედია უკაცოდ _ ძალიან აშიშვლებს.

5. უბრალოდ, «მარინა» _ ოღონდ მეშინია «ჭრიჭინა» არ ეგონოს ვინმეს.

საერთოდ პიესა საშინელი დაუმუშავებელია, გადმოვწერე ცალკე გაბნეული ნაგლეჯებიდან, რომელთაც არავითარი კავშირი არა ჰქონდათ ერთმანეთთან, მონტაჟზე ვმუშაობდი დაწერის დროს. განსაკუთრებით მოუწესრიგებელია თეთრი ლექსები და გრძელი მონოლოგები. აუარებელს ლაპარაკობს მარინა ცირასთან, უფრო მეტს _ მკვლელის გიჟი დედა. მეშინია სცენიდან არ გადმოაგდონ. თანაც გიჟია, ყურს ვინ დაუგდებს, როცა დეპუტატის მონოლოგის სმენაც კი სწყინდება ხალხს თანამედროვე პიესიდან, თუმცა შეიძლება პირიქითაც იყოს.

ნახვამდის.

1958 წლის 4 მარტი. 4[20]»

«ყველა წვრილმალი საქმისათვის შემიძლია მივატოვო წერა, რაც გინდა გახურებული ვიყო.»

«დრო მაქვს? რომელი დრო, მაცალეთ, რაღაც არ მესმის. დრო, დრო. ოოჰ, რა საოცრად ნელა გადიან წუთები და რა უცებ გარბიან წლები: იყო, აღარ არის, ორ დღეში. აღარც ის იქნება, ვინც მოკლა, ახლა კი წამი წლად მეჩვენება,... ეს იყო შურისძიება, რომ უარესად ვეწამო, (...) გიოს გულისთვის, ღმერთო, გამახსენე, როგორც ცოცხალის, იმისი სახე. აი, ნიკაპი, შავი ჩოლკა, თვალები შავი, მაგრამ იერს

ვერ ვირდგენ თავში, აღარც ცხვირის ფორმა მახსოვს და საერთოდ თითქოს ბაცდება მისი გამოსახულება; ოჰ, ეს სახე ვერ მოვიშორე თავიდან, ქერა ჩოლკით, მწვანე თვალებით. ახლა კი თითქოს ფარავენ გიოს სახეს.

ხმა: მაგ სახეს ერიდე, ეგ სახე დაგტანჯავს, იცოდე, ადრე მაგ სახემ გააღვიძა ეს გიჟი დედაც და შენკენ მოდის (შემოდის დედა).

დედა: აქა მშვიდობა, ჯერ არ მოკლა ჩემი ბიჭი, არა უჭირს, ნუ ღელავ, გენაცვალე, შენ ხომ კარგი გოგო ხარ, ახლა წამთვლიმა და ძილში ვიგრძენი, როგორ გამომეცხადა ვიღაც კაცი დიდი ულვაშებით და თქვა: მარტო მაგ გოგოს შეუძლიაო შენი ბიჭიკოს მოყვანა. ეს უიმისოდაც ვიცოდი, გუშინაც გნახე, შენ არ გახსოვს ჩემი ბიჭი, მარტო რომ იჯდა იმდენ ხალხს შორის, მერე ტაში რომ დაუკრეს.

მარინა: (თავისთვის) ოჰ, ახლაც მესმის იმისი ხმები (ესმის ხმები). როგორც მითხარი (...), მთელი ძალღონით მთელ ჩემს სხეულზე ისე შევიგრძენი ამ ტაშის დაკვრა. თან მე მიყურებდა ხალხი (...), მე მიკრავდნენ ტაშს., რა ვქნა, რა? მითხარით, თქვით, ღმერთო ჩემო, ჰა, რა ხმებია, ხმები მესმის, ხმები. რას ამბობთ, არ მესმის, გიოც ბრაზობს ჩემზე, რატო, მერე?

ხმები: სანამ დრო არის, ჩქარა გათენდება ჩემო გოგონა, წადი და ჩემი ბიჭიკო მომიყვანე. მე კი აქ ჩავთვლემ.

მარინა: ღმერთო ჩემო, შენ მიშველე (იწერს პირჯვარს, გადის).»

«ლამარამ მითხრა (ვიდექით _ и я валял дурака, როგორც ყოველთვის) «у тебя женская логика». »ანნას» ბოლოს ვიგრძენი, რომ ის ქალი მე ვარ, ახლაც, როცა ეს პიესა დავამთავრე, ვგრძნობ, რომ მარინა მე ვარ _ არასოდეს არ ვიცი გადაწყვეტილად, რა მინდა _ საოცარია! არც მარინამ იცის, არც ანამ _ თან ეს ნერვიული ატმოსფერო. ოღონდ უნდა ვთქვა, პიესის გადაწერამ ცოტა უფრო მეტად მომაბეზრა თავი, ვიდრე ტოლსტოის ანა კარენინამ /ალბათ/ !

(ყოველთვის ვფიქრობდი უცხო წინადადებებზე წერაში ან ლაპარაკში _ ხაზის გასმასავით არის).

სხვადასხვა ჩანაწერი «მარინასათვის» (1_5გვ.):

1. ბლოკნოტიდან ამოხეული ფურცლის მარჯვენა კუთხეში ჩახატულია მარინას ოთახი, მაღალი სკამით შუა ოთახში. სკამის ზემოთ ჭერიდან ეშვება დიდი მრგვალი ნათურა. ოთახს აქვს ფანჯარა, რომელიც გადის შუკაში. გზის მეორე მხარეს ჩანს სხვა, ალბათ, ცირას ფანჯარა. გზის პირას, როლიკებზე, ზის უფეხო მათხოვარა, თავისი ქუდით.

«ყურს უგდებენ ჩუმად, მერე ჭორაობენ _ ცირა ტირის.»

დასახვრეტის მშობლები მარინასთან...

მარინა, როგორ იყო მოწმე, უყვება ცირას _ სუსანას გარეგნობა.

მათხოვრის სიტყვები.

суд идет და სხვ.

მარინა _ ცირა

ცირას ლექსი.

ბავშვები და დათო შუკაში.

_ ცირას ხასიათი ბიჭისადმი უფრო კარგად.

_ მარინასი.

ცირას რო უნდა თუნდაც ისე იდარდოს, როგორც მარინა დარდობს, ოღონდ ამის უფლება ჰქონდეს.
/მე მგონი, წინ/
ვიღაც ბიჭმა რო გაიარა, რო მოვიდეს ხანდახან სალაპარაკოდ.»

2. ერთ გვერდზე გაკეთებული სხვადასხვა ჩანაწერი, გადაშლილი გურამის მიერ სხვა მელნით. ვფიქრობ, წერის პროცესში თანდათან ახორციელებდა ამ ჩანაწერებში მოცემულ გეგმებს.

ჩანაწერები მეორე გვერდზე: «*საქმეში გავიყვანო საჭიროა მილიციელიც.*
მარინაზე: ეს ერთადერთი კაცია, ვისადმიც მაქვს გრძნობა, ვისზეც ვფიქრობ, გინდ სიძულვილით.»
... გისმენდი და მძულდი, თან მშურდა, თან მიყვარდი.
მარინა: იგონებს, თითქოს იმას ის /თვითონ/ უყვარდა, იმიტომ მოკლა გიო. სინამდვილეში, ორივე დამნაშავე იყო.
დედა სასამართლოში გიჟდება.

3. ჩანაწერი რვეულის ფურცელზე (1-2გვ.).

«მართლმსაჯულებას ხომ არ შეუძლია ხან ასე, ხან ისე.
Как она захочет. მე მგონია, она просто сошла с ума, да, от истощения сил.
ქეთო: ღმერთო შეგცოდე, ბოლო ხანებში მართლა არ იყო ნორმალური, მგონი. თან სულ მარტო ცხოვრობს, ობლად გაზრდილი ბავშვია საწყალი.
მარგო: რაც მართალია, მართალია, ზოგს დარდი უხდება. она безусловно изменилась к лучшему, прямо красавицей стала.
მარგო: что за вкус у людей, რა მოსწონთ ასე მისი.
ქეთო: მოიცათ, მოჰყვება სუსანა.
სუსანა: ის ბიჭი, რაღა ბიჭი, უკვე კაცია ოცდაათი წლის.»
«მეოცე საუკუნე (გდია ლადო)
მე არა ვარ /ისინი/,
ზოგ რამეში იმათზე გარყვნილი ვარ _ ЧЕРТ ПОБЕРИ –
წუთი, ეს ხომ გარდამავალი საფეხურია, ა? может быть?
მთვრალი; ღამე. 2? თებერვალი.»

4. ამონაწერი მოსკოვის აპრილის დღიურიდან («პიესა» უკვე დაწერილია):

«მკვლელის დახვრეტამდე მარინეს განწყობა ტაშის დაკვრასთან დაკავშირებით უკეთ უნდა ჩანდეს.»
აქვე: «გუნდის და მარინას საუბარი უნდა გაკეთდეს ბრწყინვალედ.»

ამ ჩანაწერის ბოლოს ფანქრით ჩახატულია ავტოპორტრეტი, გასმული ხაზის ქვეშ მწერლის ფაქსიმილე: «გ. რჩეულიშვილი.»

ჩანაწერები პიესისათვის თაბახის ფურცლებზე:

I. (1 გვ.)

«პირველად ეუბნება: არ შემოვალ, ნუ გეშინია.

წასვლისას მოვალ, მოვალ ისევ, შვილო.

1. მარინას უნდა, რომ ვინმე იყოს, თუნდაც ის ქალი _ არა, ზუსტად ის ქალი.

ცირასთან საუბარი.

2. დედის მოხსენიება ცირასთან საუბარში.

3. ისევ იქ _ მარინა ამბობს: მესმოდა ყველაფერი, მეჯავრებოდი და მიყვარდი.

4. რაც უფრო კარგა იჯდა მკვლელი, უფრო მომწონდა და უფრო მეტი სურვილი მქონდა ცუდი მელაპარაკა.

ცირას უნდა ისევე იდარდოს, როგორც მარინამ, ოღონდ ამის უფლება ჰქონდეს.

5. მარინას: სანამ ტაშს დაუკრავდნენ, ეგონა სხვებს არ უნდოდათ მისი დახვრეტა.

სანამ მარინა წასულია, დათო და ის ქალი ლაპარაკობენ.

8. დათო: გიოც იქ იყო?

დედა: შენ იქნები ჩემი შვილი, მარინა _ შენი ცოლი.

9. ის ტაში ჩემი სასჯელი იყო.

გასწორება: შენს შვილს დახვრეტენ.

გიო ათასჯერ სჯობდა მკვლელს, მაგრამ ცუდი ცოცხალი მაინც სჯობია კარგ მკვდარს.»

II. (1 _ 10გვ)

თაბახის ფურცლის დასაწყისში დაწერილია *«გ. რჩეულიშვილი. გ. რჩეულიშვილი. 1958 წელი.*

И слух обо мне пройдет

по всей Руси великой. ~(გადაშლილია მწერლის მიერ)

«ხმები: /აქეთ_იქიდან/ მარინა! მარინაა!

შენ კიდე სახლში ხარ, წადი საფლავზე, იქ ბუჩქები ამოვიდა გიოსთან, ველარც კი იცნობ იმ ადგილს. იმის გვერდზე, წინ, უკან სულ ახალი საფლავებია, იცი? დაიკარგები, წადი ჩქარა, თორემ ზედ დაასაფლავებენ ვინმეს, მერე, მერე ველარც კი იცნობ, რას უნდა მოუარო პა, პა _ თქვი, დარჩი მარტო, დარჩები უსაფლავოდ, კიდე დგახარ, რა მოგივიდა, არ შეგიძლია წასვლა, ნუთუ ასე იმოქმედა იმ ბიჭის დახვრეტამ, თუმცა რა იცი, ჯერ კიდევ ორი დღეა, შეიძლება არც დახვრიტონ, შეიძლება იცოცხლოს; მარინა! მარინა! მარინა! გამოცოცხლდი, ნუთუ გინდა რომ იცოცხლოს, ნუ გეშინია, უეჭველად დახვრეტენ, რა გეშინია, გაიქცეს, არაა, ის ახლა მარტოა, სულ მარტო სიკვდილმისჯილების საკანში, დაგვიგდე ყური _ დაგვიგდე ყური _ იქ ცივა, სიჩუმეა. ჩუუუ, ნუ გვაწყვეტინებ, თაგვებიც კი არ დარბიან, ის წევს გულდაღმა, ქვევით სუფთად დაგვილი მიწის იატაკია, თვალები ღია აქვს, მწვანე, ანათებენ, არ ტირის, არც უნდა, რო მოინანიოს, შენ რა გაწუხებს, უკეთესი, იქაც ეწამება .. ითვლის წუთებს, ერთი-ორი-სამი, სულ პატარა ხმასაც ეპოტინება. აი, გაიჩხაკუნა სადღაც, ნუთუ დრო მოვიდა _ ო როგორ ელის, რომ აპატიებენ, ჩუ, თვალები დახუჭა, მოუჭირა გუგები ერთმანეთს და უკანასკნელი ცრემლი გამოწურა მწვანე თვალებიდან _ ჰა, ჰა, ჰა შეეშინდა, შეეშინდა _ ვაითუ დახვრიტონ _

გიკვირს?! რა? მაინც ეჭვი ეპარება, სანამ ცოცხალია, არ შეუძლია თავი მკვდრად წარმოიდგინოს, აი, ისევ ნაბიჯები, იღება კარები!

ოო! რამდენი ძალა უნდა, რომ არ შეიმჩნიოს, არ წამოხტეს, არ იყვიროს, თავი აღარა აქვს არაფრის. ის წევს. ეს მხოლოდ ექიმია, შემოდის, უხმოდ სინჯავს. აბა რა გეგონა, განა შეიძლება ავადმყოფის დახვრეტა _ ჯანმრთელია, მიდის ექიმი _ ხვალაც მოვა, ხომ შეიძლება ხვალამდე გაცივდეს, მაშინ წამლებს მოუტანენ, შენ კი გეგონა შური იძიე, ხედავ, როგორ უვლიან!

მარინა: ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო.

ხმები: წადი საფლავზე, ღამეა, კარგია იქ, ახლა გიოც ამოსულია მაღლა, ის კმაყოფილია, გელის, ხედავ, როგორ მოდის შენკენ, ფეხსაც კი არ აკარებს მიწას, ნუ, მარინა, თვალებში არ შეხედო, ო, რა უმადურია მკვდარი ადამიანიც კი, შენ ამდენი იწვალე, რა არ ქენი, ის კი როგორ გიყურებს, მიდი, აკოცე, ო, უმადურო ლანდო, ბრუნდები იქით, არ იღებ შენს საყვარელს, ახლა აღარ გინდა, რა, მარტო წოლა გერჩივნა. ჩვენ აღშფოთებულები ვართ, ხმები, ო, უმადურებო.

ხმები ერთად: წადი, წადი საფლავზე.

არ მიდიხარ, კიდე დგახარ, ოჰ, მაგისი ნუ გეშინია, ეგ გიჟი ქალია, დედაა, მერე რა, რომ დედაა, გიჟი გიჟია.

ხმები: მაგას ყურს ნუ უგდებ. ხომ ხედავ, არც კი ესმის ჩვენი, ზის და იყურება მაღლა, მაგან წელანვე გაიღვიძა, ჰგონია, აქ მოვა მისი შვილი, ხომ გითხარი, არ არის ჭკუაზე. ან აქ რა უნდა, გზა აერია და მოვიდა. გადი ფეხაკრეფით, ვერც კი გიცნობს. ჰა, რას უცდი, წადი, თორემ გათენდება და გიოს ველარ ნახავ.

მარინა: ო! ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, არ შემიძლია, არა, როგორ ველოდი ამ წუთებს, როგორ მინდოდა შენთან მოსვლა, ახლა ველარ ვდგამ ერთ ნაბიჯსაც კი, ნუთუ ფეხები დავკარგე. თავი მტკივა, ფეხებიც მერთმევა, გუშინ ჯერ კიდევ რამდენი ძალა მქონდა, როგორ დავკარგე.

/ხმები ტაშს უკრავენ/

ოჰ, ჩუმად, ჩუმად, მახსოვს, მახსოვს ეგ წუთი, ღმერთო ჩემო, ახლაც მიდგას ყურებში მოსამართლის ხმა.

ხმები: მიესაჯოს სასჯელის უმაღლესი ზომა, ო, რა დაძაბული ვუსმენდი, როგორ ველოდი, როგორ ვარწმუნებდი თავს, რომ მაგ წამს ველი, რამდენი ძალა მქონდა, არ მეშინოდა არაფრის და უცებ ტაში, ტაში. იმას ხვრეტენ _ მე გავიმარჯვე _ მათრახივით მომხვდა სახეში? Eეს ტაში შენ დაიმსახურე. ხალხი იღიმებოდა, ნასიამოვნები..

დღეს, ხვალ, ხვალზევით იმას დახვრეტენ _ მოკვდება და მორჩა, ისევ სიმარტოვე, ღმერთო ჩემო, ნუთუ სისხლის მსმელი ვარ, რომ ასე მაშინებს უმიზნოდ დარჩენა. ახლა, ახლა რა უნდა ვქნა უგიოდ. ჩემი გიო მკვდარია, ვინც ყველაზე ძლიან მიყვარდა. ორი დღის შემდეგ იმის მკვლელიც აღარ იქნება ცოცხალი. ო, როგორ მძულს ახლაც, აღარ იქნება, ვინც შეიძლება მძულდეს, რატომ ვისჯები ასე, არა, არა აღარ მძულს ახლა ის, ის მეცოდება კიდეც, ცოცხალია და სიკვდილს ელის. ჰა? ხომ შეიძლება გადარჩეს,

მარინას ძალა მოდის თვითონ.

გაიქცეს, არა, ეგ შეუძლებელია, მე? მე? არა მე ვერ დავეხმარები, რომ (...)

ჩვენება, იქნებ გამოუშვან, ჰა? იქნებ გამოუშვან. რამდენი ძალა მაქვს ისევ, ღმერთო ჩემო, საიდან მოდის ეს ძალა, მეშინია, მეშინია ძალის. არა, დახვრიტონ, ეგ თვალები მწვანე ხვლიკივით მოკვდება, ქერა ჩოლკით, ვიწრო ნიკაპით, აპრეხილი წარბებით, რომელმაც ჩემი გიო მოკლა. გიო, მოვდივარ შენს საფლავზე, ახლავე, ოღონდ შენს სახეს მოვიგონებ და მერე: ნიკაპი, თმა, თვალები, ღმერთო გამახსენა რა ფერის თვალები ჰქონდა, ჰო, სახე ასეთი, მაგრამ თვალები, ცხვირი, ნუთუ კეხიანი, არა,

პირიქით დაბერილი ნესტოები, არა; ოჰ, ამ მწვანე თვალებს ვერ ვიშორებ, დახვრიტონ, დახვრიტონ, ღმერთო მოვიგონე გიოს სახე, ო, როგორ გიხდება ის ქერა ჩოლკა, რა ცხადად ვხედავ, ნუ, ნუ დამცინი, მოინანია.

ღმერთო ჩემო,

ხმები: მიესაჯოს სასჯელის უმაღლესი ზომა, დახვრეტა. გაიღვიძე, მარინა, ეგ ტაში შენ დაიმსახურე, შენ გეკუთვნის, ჰა, ძალა დაკარგე, გამხნევდი, ხომ ხედავ ხალხი რა ნასიამოვნებია.»

ამონაწერები 1958 წლის აპრილის დღიურიდან /ამ დროისათვის «მარინა» უკვე დაწერილია/.:

«/ეპიზოდი: მარინას აქვს ლადოს თმები/ _ გიყვარს მანამ გაქვს რამე მატერიალური, მერე იწყება ილუზია და ... /ცეცხლი უშეშოდ/ _ რჩება სუსტი მოგონება _ ნაცარი.»

«მკვლელის დახვრეტამდე მარინას განწყობა ტაშის დაკვრასთან დაკავშირებით უნდა უკეთ ჩანდეს.»

«მარინა: გუნდისა და მარინას საუბარი უნდა გაკეთდეს ბრწყინვალედ.»

«არაჩვეულებრივი ძლიერი ხორო. ნამდვილი ანტიკური გუნდი.»

«მარინა» _ ხორო კაცების, მსაჯულები, ქალები _ გრძნობები. საოცარია, როგორ ვითარდება ხალხის ინტუიცია, თუმცა, ალბათ, ყოველთვის ასე იყო.»

«დევიზი: любовь или ненависть და არავითარი არევა ამ გრძნობების _ ასეც არის აქ. როგორც ბავშვებს: ეს ხიხია, ეს ბოზი ბაბა... «

«ბოროტმოქმედება აბსტრაქტულად დაუსჯელი რჩება, ისევე როგორც აუნაზღაურებელი ქველმოქმედება. ჩემი ბოროტმოქმედიც დაუსჯელია (მარინა/ ჩემი ცხოვრებიდან იმიტომ, რომ არ ვიცი ვინ არის ის ნამდვილად და სად, ის ჩემშია თვითონ, ჩემი ნაწილი, მოკვდება ჩემთან ერთად.»

«..თუმცა, არც არაფერია გასაცნობი (მოსკოვში – მ.რჩ.) _ არა, ვტყუი, აუარებელია, ბევრია აქ აშკარა საიდუმლო. მინდა გამოვიცნო რა მინდა, რა ხასიათზე ვარ და ზიზღი მიპყრობს. საზიზღრობაა წამდაუწუმ ანალიზი და თან სრული დაბნეულობა.»

«ახლა როცა «მარინა» დავამთავრე, ვგრძნობ, რომ მარინა მე ვარ _ არასოდეს არ ვიცი გადაწყვეტით რა მინდა _ საოცარია! არც მარინამ იცის, არც ანამ.»

ზოგიერთი განსხვავება შავსა და თეთრ ხელნაწერებს შორის:

1. როგორც შავ, ასევე თეთრ ხელნაწერში წერია ხან «მარინა» და ხან «მარინე». ამას აქვს, ალბათ, სულ უბრალო მიზეზი: ჩემი ძმისათვის პირველი იმპულსი იყო დაეწერა «მარინე», რადგან ის შეჩვეული იყო სახელს ამ დაბოლოებით და შემდეგ, გახსენებისას მხოლოდ, ცვლიდა მას «მარინად». «პიესის» შავ ვარიანტში გვხვდება სახელი «ანიუტა», თეთრში, უკვე რეტროსპექტულად, შეცვლილია «ირინკათი», ალბათ, «ირინა და მეს» დაწერის შემდეგ (იხ. შენიშვნები «ჩემი ლიტერატურული შეხედულებებისათვის»).

2. თეთრ ხელნაწერში პიესას წამძღვარებული აქვს სიტყვები: *«პიესა, ორიგინალური ბოლოსიტყვაობით და ანდერძით _ სამწუხაროდ, ჯერჯერობით უსათაუროდ»* და სხვ. Eეს სიტყვები დაწერილია სხვა მელნით, ვფიქრობ, პიესის დაწერის შემდეგ.

თეთრ ხელნაწერში სიტყვებს *«პიესა, ორიგინალური ბოლოსიტყვაობით»* და სხვ. მოსდევს მოქმედ პირთა დასახელება (იხ. ნაბეჭდი ტექსტი), რაც შავში არ არის. ტექსტის დაწყებამდე ჩახატულია მთელი სცენა, რომლის გარეთ დახატულია ლოჟა. ლოჟას მწერლის პროფილის ფორმა აქვს (იხ. ავტოგრაფი ამავე ტომში).

3. შავი ავტოგრაფის სათაურია: «აცადეთ სიყვარული მარინას
/ტრაგედია უკაცოდ/»

4. პირველი რემარკა შავ ავტოგრაფში:

«სცენა სულ უბრალოდ არის გადატიხრული ორ არათანაბარ ნაწილად. მარჯვენა მხარე გაცილებით ნაკლებია მარცხენაზე. მათ შუა გადის ვიწრო შუკა, შუკის სიღრმეში, შორს, ჩანს ავტო და ბუნდოვნად მოლიცლიცე რეკლამა, წინ კიდია მოძრაობის წესების ნიშანი: «_» (მანქანის გასასვლელი არ არის.) მარჯვენა ოთახში ჩანს მარინას სილუეტი. ის ზის მაღალ თხელფეხება სკამზე, კუთხეში დგას გაუსწორებელი ლოგინი; მარცხენა ოთახში ორი საწოლია: ერთში, გასაშლელზე, წევს დედა_ქეთო, მეორეში _ კუტი ქალიშვილი ცირა.

სცენაზე თითქმის ბნელა, მხოლოდ პატარა ნათურა ანათებს მარინას ფანჯრამდე. სიღრმიდან ოთხგორგოლიანი საჯდომით მოგორავს მათხოვარა ვანო და ჯდება ნათურის ქვეშ.»

5. თეთრში ჩამატებულია მარინას ჩაცმულობის და გარეგნობის აღწერა. ხელნაწერის გვ.4-ზე

უფრო ხშირად წერია «მარინე», თუმცა მოქმედ პირთა დასახელებაში გვაქვს «მარინა.»

6. ხელნაწერის შავ ვარიანტში მათხოვრის მოგონების დაწყებამდე, არეზე, მიწერილია: «უფრო კარგად, ვრცლად მონოლოგი.» თეთრი ვარიანტის გვ.8-ზე ეს განხორციელებულია.

7. ორივე ვარიანტში ცირას სიტყვებში თავიდანვე იგრძნობა ეჭვი მარინას რაღაც ქმედების გამო. კერძოდ, გვ. 9: *«პროკურორთან ზის და უყურებს დაბღვერილი.»*

ამასთან დაკავშირებით თეთრში ცირას რეპლიკაში ჩამატებულია სიტყვები: *«მარინა კარგი გოგოა, თუმცა შენც მაგას არ ამბობ?»* ან კიდევ *«თავისთვის რო აეტეხა რამე, ისე არ გამიკვირდებოდა, როგორც...»*

შავში წერია პირდაპირ: *«ცირა: კიდე არ ველოდი, თუ ასეთი იყო ის. მე, მაგალითად, ამას ვერ შევძლებდი.»*

8. შავში ჩამატებულია ფურცელი, მწერლის გეგმით, დაწეროს ბოშების ცხოვრების ეპიზოდი. თეთრში ეს განხორციელებულია.

9. შავში ცირას ეპიზოდში ჩამატებულია მწერლის შენიშვნა *«უფრო ძლიერად»*, თეთრში _ განხორციელებულია. ცირას ლექსი შეუცვლელად გადადის შავიდან თეთრ ვარიანტში.

10. შავში: «/*მარინა გვერდზე _ შურისძიება იწყება. თვალები უბრწყინავს.*/»

ჩამატებულია ცალკეული სცენები. ამ სცენებში ჩანს, რომ ცირა, ყველასაგან განსხვავებით, წინააღმდეგია მკვლელის დახვრეტისა: *«წარმომიდგენია ახლა იმ ბიჭის სახე, ალბათ, სულ ტირის და ეხვეწება, რომ აპატიონ. რა თქმა უნდა, მარინასაც გული მოულბება, არ იტყვის იმის წინააღმდეგ ყველაფერს. მაშინ დახვრეტას გადარჩება. ღმერთო ჩემო, რა ცოდოა. საწყალ გიოს კი აღარაფერი ეშველება, არაფერი. რა ცოდოები არიან, ღმერთო ჩემო.»*

თეთრში ჩამატებულია მარინას მოგონება, როგორ გაიცნო გიო, ეპიზოდი ცირასა და მისი ბავშვობიდან. შუა მოგონებების დროს ცირას სიტყვები *«ჩემო კეთილო»* გამოიყვანს წყობიდან და აბრუნებს რეალობაში. მარინა: *«ჩემო კეთილო?»* /სულ

იცვლება, სწრაფად შორდება საწოლს/, *კეთილო? არა! არ მინდა ვიყო ეგ, კეთილი.»* აქვეა მარინას მონოლოგი მკვლელის შესახებ.

შავი:

«მარინა: აი, ამ ადამიანმა, _ ვთქვი მე, _ მოკლა გიო მაშინ, როდესაც ჩვენ მივდიოდით ერთად, მოკლა სრულიად შეგნებულად, რადგან გიომ, როგორც თვითონ მომიყვა სიკვდილამდე _ არა! მოიცა, ჯერ ვიტყვი მართალს _ ახლავე მოვიგონებ, მე სიმართლე დავივიწყე ეს ოთხი თვეა და ყველაფერი დავაწყე ისე, რომ იმისათვის დახვრეტა მიესაჯათ, მერე ჩემი შეთხზული თვითონვე ვიწამე _ ხო _ სინამდვილეში ასე იყო ყველაფერი _ ერთხელ იმ ბიჭმა, მთვრალმა, მხარი გამკრა ცოტა უხეშად, მგონი, არც შეუმჩნევია თვითონ, ისე, ჩემს უკან მოდიოდა გიო _ ის ბიჭი საკაცით წაიღეს, ისე სცემა _ ურტყამდა უწყალოდ და ისევ მე გავაგდებინე ხელიდან, თორემ მოკლავდა მაშინვე! საავადმყოფოდან გამოსვლის შემდეგ ის ბიჭი შეხვდა გიოს და სთხოვა აეხსნა რატომ სცემა, თან დაემუქრა. გიო ჯერ წესიერად ელაპარაკებოდა, როცა დაემუქრა და დანა ამოუღო, გიომ წაართვა, ისევ სცემა. სამი დღის შემდეგ მოხდა ყველაფერი. მოვდიოდით ერთად. «შენ!» დაიძახა ვიღაცამ. გიომ მიიხედა, მეც მივბრუნდი, იქ უცნობი შავგვრემანი ბიჭი იდგა. «არაფერი ამერია», თქვა მან. როცა მოვბრუნდით, ჩვენ წინ ის ბიჭი იდგა. «არ მომიხდი ბოდიშს?» _ თქვა მან. «არა,» უთხრა გიომ. პირველი, რაც მე დავინახე, იყო რაღაც უცნაური მოძრაობა _ ის გაიქცა. გიოს გაოცებული სახე ჰქონდა. «აღარ შემიძლია იმისი ცემა,» თქვა ენის ბორძიკით და წელში მოიხარა, ორივე ხელი მუცელზე ედო, თითებს შუა სისხლი მოჟონავდა. .. «

თეთრი:

«იცი ვინ მოკლა, ვიღაცამ, ხო ვიღაც ცხოველმა, არაკაცმა, ახლაც მაკანკალებს, მას რომ ვიგონებ, თხელი, მხრებში ჩამჯდარი, თავისი სახესავით მწვანე თვალებით, პატარა, ქერა ჩოლკით.

ყველაფერი ერთ წამში მოხდა. მოვდიოდით ერთად, როგორ დაუძახა, აღარ მახსოვს, რატომ, არც ის ვიცი _ ისინი გვერდზე გავიდნენ, მერე ის გაიქცა, მე ვერ გავიგე, რა მოხდა, როცა მივირბინე გიოსთან, ის წელში იყო მოხრილი, მე გამიკვირდა, ხელი მოვკიდე, ის სულ მოეშვა, «აღარ შემიძლია, რო გადაუხადო,» თქვა, თითქოს თავის მართლებით, მერე კიდევ უფრო დასუსტდა, სულ მოეშვა და გათავდა ჩემი ბიჭი ...»

შავი ვარიანტი დაწერილია მომსხო, გაკრული ხელით. თეთრი ვარიანტი _ ლამაზი, მოწესრიგებული ხელწერითა და განსხვავებული მელნით.

როგორც ჩანს, ლადო ქოქიაშვილის მკვლელობამ პირველი გამოხმაურება პოვა მოთხრობაში «ყველაზე ძალიან ეს ბოლო სურათი მომწონდა...» (1957 წლის გვიანი შემოდგომა), შემდეგ კი პიესაში «მარინა» (მოსკოვი, 1958 წლის მარტი). ამას წინ უძღოდა 1957 წლის შემოდგომაზე ისევ ამ მკვლელობასთან დაკავშირებული რამდენიმე სცენა, რაც შეიძლება პიესის პირველ ვარიანტად მივიჩნიოთ.

როგორც მკითხველი თავადაც დარწმუნდება ამ ჩანაწერების წაკითხვისას, ეს ტექსტი შესული არ არის პიესის არც შავ და არც თეთრ ვარიანტში. ეს იყო მასალის პირველი ტრანსფორმაცია, ჯერ სახელებიც კი არ არის შეცვლილი: ლადო, გურამი, მარინე. აქ გამოთქმულ აზრს, ისე როგორც მთელ ტექსტს, ვფიქრობ, ცოტა ხელოვნური, სქემატური, ნაძალადევი ელფერი აქვს. მხოლოდ მოსკოვში დაწერილ პიესის ბოლო ვარიანტში ვლინდება, რომ «ამბავს, სავსეს გაორებითა და სიმწარით»,

მხოლოდ ადამიანთა ურთიერთსიყვარული და ურთიერთსწრაფვა უდევს საფუძვლად, თუნდაც გარეგნულად ყველაფერი სხვანაირად ჩანდეს თავდაპირველად.

აღსანიშნავია, რომ პიესის თბილისურ ვარიანტში გამოთქმული აზრები ხელოვანისა და ხელოვნების შესახებ მწერლის ცხოვრება-შემოქმედების მაგისტრალური სიუჟეტის ერთ-ერთ საწყის ეტაპს წარმოაჩენს. მართლაც, როგორც ამ პერიოდის დღიურები და წერილები მოწმობენ, «პიესაზე» მუშაობის პირველი დღეებიდანვე მწიფდებოდა სიტუაცია «ირინა და მესათვის», სადაც ცხოვრებისა და ხელოვნების ურთიერთდაპირისპირებამ თავის მწვერვალს მიაღწია და იქცა მწერლის ცხოვრება-შემოქმედების მაგისტრალური სიუჟეტის პირველ ეტაპად. *(«ხმა შავი: შენ მწერალი ხარ, შენ უნდა წერო, როგორ იკლავენ სხვები თავს, ასეთია შენი ვნება.*

გურამი: ჩემი ვნება, ჰა? ა, ჰა, ხი,ხი, ხი. გესმით, ხალხნო, გესმით თქვენ ხმა ჭეშმარიტების, ჭეშმარიტების ხმა, მანუგეშებლის როლში ჩაცმული ბოროტი სულისგან»).

«მარინას» I ვარიანტი.

«სასაფლაო. Uუკანა პლანზე მოჩანს ხის ორი ჯვარი; წინ, მარჯვენა კუთხესთან ახლოს, საფლავის ქვა გდია ჯვრების მიმართულებით, უჯვაროდ. საფლავის ქვის თავთან, მარჯვნივ, ცოტა მოშორებით, დგას მეარღნე და არღანზე უკრავს. არღანს მიკრული აქვს ანთებული სანთელი. საფლავთან უჩოხო ყარაჩოხელი დგას, ხელში მოხდილი ბოხოხი უჭირავს, ცალი ფეხი ქვაზე უდგას და გულხელდაკრეფილი შიგ საფლავში იყურება.

მეარღნის სიმღერა: მე ეს არღანი არ მიყიდია,
მე არღანზე დაკვრა არავისგან მისწავლია.
დედა ვინ არი _ სახელი არ ვიცი,
მამა ვინ არი _ სახელი არ ვიცი.
აზარფეშა რა არი _ კახურის სასმელი,
დოქი რა არი _ ღვინის ჩასასხმელი.
მე სკოლაში არ მივლია,
ჩემს თვალს წიგნი არ დაუნახია.
ლექსი რა არი _ ვაჟკაცის სათქმელი,
ცრემლი რა არი _ საფლავზე დასაღვრელი.
მე ჩიტების ჟღურტულისთვის ტყეში მისმენია,
მე ყვავილები გაშლილ მინდორში დამიკრეფია,
ვარდი უეკლოდ ვის მოუწყვეტია.
მე ვარდი ბაღში არ მინახია.
შუკაში ჩაივლი,
ჩაკეტილ ფანჯრებში,
სინათლე არ არი;
შუკიდან ამოივლი,
გაღებულ ფანჯარასთან
ვარდი მიუტანია.
ფანჯრამდე მაღლაა კედლამდე მესერი,

მესერზე ოსტატი
თოფგატენილი,
ვარდი უეკლოდ ვის მოუკრეფია...
მკვდარ ვაჟკაცს ტირილით რა ეშველება.

ყარაჩოხელი: ვახ მე, ბიჭო, ლადუში, მკვდარ ვაჟკაცს ტირილით რა შველებია, მაშ მე რას ვტირი იქითკენ წასული ვაჟკაცის თავს, საიდანაც აღარავინ მობრუნებულა... მაშ სათავეში მე რას დავეძებ მდინარის ბოლოს დამრხჩვალ მეარღნეს, სიმღერის ხმები სიკვდილის წინ ხარფუხში, მაღლა, ალალი აშუღისათვის ულევ სათქმელად რო დაუტოვებია.. მაშ მე მდინარეში, ჩემო ლადუში, მარტო ბადე მისროლია, ... მაშ მე ცოცხალი მყვარებია და ის მდინარის ბოლოში უსინათლო ღამეში დამხრჩვალი მეარღნე ფეხებზე დამიკიდებია.

მეარღნე: მე ხელობა მისწავლია, გრძნობა თან დამყოლია. ტირილის სწავლა არ შეიძლება.

ყარაჩოხელი: ბიჭო, ლადუში, მაშ მე ტირილში მარტო ცრემლი მყვარებია, ბიჭო ლადუში, მაშ ის ცრემლები ხარფუხის თავში აშუღებს მოუგონებიათ და მე იმათგან მისწავლია.

მეარღნე: ოცდაათი Qწელი ისე მიცხოვრია,
ოცდაათი სიტყვა არავისგან მისწავლია,
მე არღანზე ისე დამიკრავს,
მუსიკა თვითონ არ დამიწერია.

ყარაჩოხელი: ბიჭო ლადუში, შე უსინდისო, მე შენთან ეს დოქით ღვინო და ესეც აზარფეშა ტყუილად არ მომიტანია, მე ამ ღვინოში შენთან ლაპარაკი მომდომებია, ხმა ამოიღე, სიტყვა მითხარი, რო არა თქვას ყარაჩოხელმა მამაკაცთან იყო, სათქმელი ჰქონდა, გრძნობა ჰქონდა, გული ჰქონდა, სიყვარული ჰქონდა, რო არა თქვას, უკან დაბრუნდა გაწბილებული, უკან დაბრუნდა ხმის გაუცემლად, უსიყვარულოდ, ბიჭო ლადუში, მე ღვინო ტყუილად არ დამილევია, მე ეს გზა ტყუილად არ გამომივლია, მე ეს ცრემლები ტყუილად არ დამიღვრია;

ბიჭო ლადუში, მე ამ გულში სიყვარული მაქვს, გესმის, აი, ეს არღანი შენთვისა მღერის, გესმის, აი, ეს პირი შენთვის ლაპარაკობს, თვრები? Eეს ღვინო შენს გულზე იღვრება, ჩემი გზები შენ საფლავთან წყდება.

მეარღნე: ზღვასთან ვინც ფეხით მისულა,
ის უკან დაბრუნებულა,
მთის წვეროდან ვინც უფრთებოდ გადამხტარა,
ის უფსკრულში ჩაჩეხილა.
საფლავთან მისული..
ისევ უკან დაბრუნებულა.

ყარაჩოხელი: ჩემო ლადუში, ძმაკაცს საფლავში ამქვეყანაზე ჯერ არავინ ჩაჰყოლია. მე და შენ ერთ ოსტატთან ვერცხლის ჭედვა ერთად გვისწავლია, მე და შენ ჩვენს შუკაში ერთმანეთი გვიცემია, ბალღობისას წიწამურში ხილით უბეებდავსებულებს მეიდნამდე ყარაული ვერ დაგვწევია.

ზარი რა არი, თუ დახლზე არ გააგორე. ჯანი რა არი, თუ შრომაში არ გამოსცადე. მე და შენ ურო ერთ გრდემლზე გვირტყია, ხელობა გვისწავლია _ რკინა მოგვიღუნია _ ოსტატს ლაპლაპა ხმლების გამოწრთობა აუხსნია, ჩვენ დაგვხსომებია, დოქის ყელები ამოგვისხამს, ტანზე შავი ჩოხები ჩაგვიცვამს, წიგნი წაგვიკითხია, წერილი დაგვიწერია _ გვიცდია და გვისწავლია, ბიჭო ლადუში, გესმის ჩემი ხმა, მე ვტირი მარტო, მგლოვიარე ყარაჩოხელი, ბიჭო ლადუში, ჩვენ სიყვარული არ გვისწავლია.

მეარღნე: მე ქვეყანა მომივლია,
ათი ენა მისწავლია.
დახლში ჩამდგარს,
ფულის დათვლა,
ანგარიში მისწავლია.

ყარაჩოხელი: ბიჭო ლადუში, ჩვენ სიყვარული არ გვისწავლია, ჩვენ სიყვარულში დავბადებულვართ, ჩვენ ყველა საქმეს სიყვარული ჰქვიებია, ეგა ყოფილა ჩვენი ღვინის სმა, ჩვენი ჩხუბი, ჩვენი ამქარი, ბიჭო ლადუში, მე ტირილი არ მისწავლია, მე ცრემლებით დავბადებულვარ და ის ტკივილის დროს დამიღვრია, მე ამ ცრემლებით უშენოდ დარჩენილი ჩემი თავი მიტირია.

მეარღნე: მკვდარ ვაჟკაცს ტირილი არ უნდა, ვაჟკაცს არღანი და არღანზე დაკვრა უნდა, ვაჟკაცს საფლავზე ღვინის დალევა და სიმღერა უნდა.

ყარაჩოხელი: მე აქ სამხიარულოდა ვარ ჩემი ძმაკაცის საფლავზე ამოსული, ამოსული გზას სატირლად გიჟი არ გაივლის. მე ეს ცრემლები იმ სიხარულით მომდიოდა, რომლითაც ჩვენ სიყვარულსა ვგრძნობდი, მაშ მოდი ასე ხელგადახვეულადა ვთქვათ ერთი სიმღერა, ჩემო მეარღნე, სიყვარულის დარდზე ვთქვათ,

აი, მაგ არღნის ხმაზედა ვთქვათ.

მეარღნე

და ყარაჩოხელი

მღერიან: მომისპე იმედი, მომიკვდა გული,
მოვიგონე ბედნიერი წარსული..
ამ მკვდარ გულის სიღრმიდან ამოსული,
ოხვრა ბოძად იქცა, ცას მიებჯინა.

ყარაჩოხელი: /ბრუნდება საფლავისკენ/

ვააახ მე! ლადუში.

/სცენის სიღრმიდან გამოჩნდება გურამი _ პიესის ავტორი. მარცხნიდან შემოდის მარინე/

ყარაჩოხელი: ყველა ცოცხალს დღეგრძელობა. შენ დღეგრძელობა. მოდი, ამ ჩემი მკვდარი ძმაკაცის, სადაც არი, იქ გამარჯვებისა დალიე.

გურამი: ამ აზარფეშით ლადოს გაუმარჯოს _ სადაც არის, იქ კარგად იყოს.

ყარაჩოხელი: ამ მეორე სადღეგრძელოთი, ჩემო მეარღნევ, მოდი, იმ კაცს გაუმარჯოს, რომელიც, ვთქვათ, ახლა ჩვენს წინ გაივლის, ჩვენს ავს ნახავს, წავა და კარგს ილაპარაკებს.

მეარღნე: ეს შენ გაგიმარჯოს, ახლად მოსულო.

გურამი: ეს თქვენ გაგიმარჯოთ, ლადოს დამტირებლებო.

ყარაჩოხელი: ლადოს ტირილი არ უნდოდა.

გურამი: მაშ, ლადოს ძმაბიჭებო, მეც თქვენთან ერთად გამიმარჯოს.

ყარაჩოხელი: შენ იცნობდი ლადოს?

გურამი: ვიცნობდი.

ყარაჩოხელი: ეეჰ!.

გურამი: კარგად ვიცნობდი.

მეარღნე: შენ რა კაცი ხარ?

გურამი: მე? მწერალი.

მეარღნე: აშუღი?

ყარაჩოხელი: პოეტი ყოფილა.

გურამი: ჰო, მე ვწერ, ოღონდ ვერა ვმღერივარ.

ყარაჩოხელი: აი, ეს ვერა წერს და მღერის.

მეარღნე: მაშ მოდი, მწერალო, ეს იმ კაცს გაუმარჯოს, რომელიც არცა ხნავს და არცა თესავს, მხოლოდ მკის და ისე ცხოვრობს. ეს მე და შენ გაგვიმარჯოს მწერალსა და მომღერალს.

გურამი: ეს ყველა კარგ კაცს გაუმარჯოს.

მეარღნე: ამ ღვინით გაუმარჯოს.

ყარაჩოხელი: მაგ აზარფეშაში ღვინოსთან ერთად ჩასხმულ ჩვენ სიყვარულს გაუმარჯოს, ჩვენ დარდს.

/არღანი უკრავს, მეარღნე მღერის/
ცოცხალს გამარჯვება უნდა,
მკვდარს კი _ შესანადობარი,
ვაჟკაცს მკლავი უნდა ჰქონდეს,
ქალს _ ხასიათი ამაყი.

გურამი: ჩუ.

/ნელა მოდის მარინა. გურამი წინ გამოდის, ისინი უკან იხევენ. მარინა ვერავის ვერ ამჩნევს, დგება საფლავის თავზე აწურული, მაღლიდან იყურება ქვევითკენ. მეარღნე და ყარაჩოხელი მიდიან, შორიდან ისმის არღნის დაკვრა და ყარაჩოხელის სადღეგრძელო/

ყარაჩოხელი: ესეც ღმერთმა აცოცხლოს ის ხე, რომელიც წყლის პირასა დგას და უწყლოდა ხმება.

გურამი: მარინე!

მარინე: ა! აქ ვინმე არის?

გურამი: აქ მე ვარ.

მარინე: ა, თქვენ?

გურამი: დიახ, მე..

მარინე: მე თქვენ არ გიცნობთ.

გურამი: სამაგიეროდ, თქვენი ტრაგედია ძალიან ახლოს არის ჩემთან, მე მას თქვენზე უკეთ ვიცნობ.

მარინე: რას?

გურამი: თქვენს ტრაგედიას.

მარინე: ჩემს ტრაგედიას? აქ ასაფლავია ჩემი შეყვარებული, მე მოვედი საფლავზე, ეს არის ჩემი ტრაგედია..

გურამი: მე კიდევ უფრო მეტი ვიცი თქვენს შესახებ, ის, რაც არ იცით თქვენ.

მარინე: ის, რაც არ ვიცი მე?

გურამი: ის, რაც არ იცით თქვენ.

მარინე: მე თქვენ არ გიცნობთ.

გურამი: მე შემეძლო თქვენი შეყვარებულის მკვლელისათვის ხელი შემეშალა.

მარინე: ო!

გურამი: მე შემეძლო დანა წამერთვა იმ ბიჭისათვის.

მარინე: ო!

გურამი: მე ვიყავი ერთადერთი, ვისაც ეს შეეძლო, რადგან მე ეს ვიცოდი.

მარინე: ვინა ხართ თქვენ?

გურამი: გურამი.

მარინე: თქვენ ხელი შეუწყეთ მის მოკვლას?

გურამი: არა.

მარინე: არ მესმის..

გურამი: არა, მე ხელი არ შევუშალე მის მოკვლას.

მარინე: ხელი არ შეუშალეთ მის მოკვლას?

გურამი: მე არ შემიძლია წინ აღვუდგე ბედისწერას.

მარინე: მე არ მესმის, მე არ მესმის არაფერი, ისევ, ო, ისევ, თქვენ ხართ ერთადერთი ადამიანი, ვისაც ჩემს ტრაგედიასთან ასეთი დიდი კავშირი აქვს.

გურამი: მხოლოდ მე.

მარინე: მე ვკარგავ ყველა გრძნობას და ერთმანეთში იხლართებიან უდიდესი სიძულვილი და სიყვარული, რომ ვხედავ სახეს, ვისაც, ვინც ასე ახლობელია ამ ამბავთან, ჩემს სიყვარულთან. თქვენ, თქვენ არ შეუშალეთ ხელი!

გურამი: მე არ შემიძლია წინ აღვუდგე ბედისწერას.

მარინე: რა გინდათ თქვენ, მე ისევ წავედი უკან, მე ვეღარა ვხედავ ვერაფერს, მხოლოდ თქვენი სახე იკვეთება ახლა ჩემს გონებაში. რა გინდათ თქვენ?

გურამი: მე მიყვარხარ შენ, მარინე!

მარინე: ო, მე შემიძლია ამ წამში სიკვდილიდან უდიდეს სიყვარულამდე ყველაფერი გავაკეთო თქვენ მიმართ, რადგან თქვენს მეტს მე ვერა ვხედავ ვერაფერს. რა გინდათ თქვენ?

გურამი: მე მიყვარხარ შენ, მარინე!

მარინე: მე? თქვენ იცით, მე ეს მჯერა და კიდევ იცით, ო, ჩემო ვნებებო, მე ეს მსიამოვნებს, რა საზიზღარი სიტყვაა ეს «მსიამოვნებს» და თან რა მართალი. აქ იჭრება სითბო და წყნარი ცხოვრების, ოჯახის, ბავშვობის სხივი, ფარული სურვილი ჩემი ვნებებისა. მე ვხედავ ადამიანს, ვინც არა ტყუის. თუმცა, ეს სულერთია, მე ვხედავ ადამიანს, რომელიც ნაწილია ჩემი ტრაგედიის. რა გინდათ თქვენ?

გურამი: მე შენ მიყვარხარ, მარინე.

მარინე: ვინა ხართ თქვენ?

გურამი: გურამი.

მარინე: რა კავშირი გაქვთ ჩემთან?

გურამი: მე პირდაპირი მოწმე ვარ თქვენი ტრაგედიის.

მარინე: რა გააკეთეთ თქვენ მისთვის?

გურამი: მე მას ხელი ვერ შევუშალე, რადგან არ შემიძლია წინ აღვუდგე ბედისწერას.

მარინე: რა გინდათ თქვენ ჩემგან, მარინესგან, გოგოსგან, რომელსაც მოუკლეს შეყვარებული.

გურამი: მე შენ მიყვარხარ, მარინე.

მარინე: შენ, გურამ, არ შეგიძლია წინ აღუდგე ბედისწერას?

გურამი: არა.

მარინე: ხედავ ამ დანას, მან მაჩუქა ეს დანა, ამ დანაზე ვფიცავ, შენ ხარ ერთადერთი ადამიანი, ვისი სიყვარულიც მე შემიძლია, თუ შენ მატყუარა არა ხარ?

გურამი: მე შენ მიყვარხარ, მარინე.

მარინე: დამიგდე ყური. ახლა ამ დანით მე მოვიკლავ თავს, გესმის, ნუ გეშინია, შენ ფერი დაკარგე, თუ შენ არა ხარ მატყუარა, თუ შენ არ შეგიძლია წინ აღუდგე ბედისწერას, ვერ შემიშლი მე ხელს და მე ვიწამებ, რომ შენ გიყვარვარ, ხოლო თუ ხელს შემიშლი, შენ იქნები მატყუარა, წვრიმალი ოინბაზი და მე ვიცინებ ზიზღის სიცილით.

გურამი: ო... ო, ღმერთო ჩემო, ო, მარინე, მე არ შემიძლია შენ ხელი შეგიშალო, მე შენ მიყვარხარ, ო ბედისწერა, ო, გამოუვალო ბედისწერა.

/მარინე ნელა იცემს გულში დანას, გურამი აკეთებს მოძრაობას და ხელს ვერ უშლის/.

გურამი: მარინე, მარინე .. მარ_ინე .. ღმერთო ჩემო, ნუთუ, ნუთუ, ო უდიდესო ეგოისტო და რა იყო შენთვის ეს სიყვარული, ნუთუ შენს სხეულზე მაღლა ვერ დადგა, ნუთუ შენ ამჯობინე სჯერებოდა მას შენი სიყვარული, ვიდრე ყოფილიყავი მშიშარა და ახლა ო, ახლა ხარ შენ მშიშარა, წვრიმალი, პატარა ტრაგედიის მქონე ..... ო. აღარა სუნთქავს, სისხლი, სისხლი ჩემს ხელებზე და მე შემეძლო მისი სიკვდილისათვის ხელი შემეშალა, მე ეს ვერ შევძელი .. ჰა? ვერ შევძელი, არა, არა, ვერ შევძელი, არ გავაკეთე, და ისიც მოკვდა, მოკვდა მაშინ, როცა შეიძლებოდა შევყვარებოდი და ეს სიყვარული ყოფილიყო ყველა სიყვარულთა შორის ყველაზე დიდი .. და ნუთუ ყოველთვის ამ მიჯნაზე, თუმცა, ხედავთ, ის უკვე მოკვდა და მე ვდგავარ პირდაპირი ხელისშემწყობი, არა მე ვდგავარ სიგიჟემდე შეყვარებული მასში, ის დანა მიჭირავს ხელში, რომლითაც მან თავი მოიკლა და არა ვტირივარ, არა ვტირივარ? არა, ნუ გეშინია სიმართლის, გურამ, შენ არ იკლავ თავს, ჰა? გეშინია, ო მშიშარა, მშიშარა, გესმით, მე მშიშარა ვარ! მე არ შემიძლია მოვიკლა თავი, რადგან თავის მოკვლისათვის დაბადებულები არიან სხვები, მე კი ო, მშიშარა, ო, მშიშარა, და ვდგავარ უნუგეშო, უნიღბო და ვცახცახებ, ვცახცახებ არა იმისგან, რომ ის აღარ არის, ვინც მიყვარდა, ო, არა, უსინდისო, მკვლელო, შენ ისეთი ეშმაკი ხარ, სხვასაც იპოვი და დაარწმუნებ თავს, რომ ის უფრო გიყვარს. შენ ცახცახებ, შენ კრთიხარ, შენ გეშინია მოიკლა თავი, გეშინია იყო ისეთივე დიდი სიყვარულში .. ო, გარეშემო საფლავებია ხის ჯვრებით, ჩემს წინ დევს, თავისი შეყვარებულის საფლავზე, ჩემი მიზეზით მკვდარი მარინე და არსად, არსად გამოსავალი, ო როგორ მეშინია, როგორ მეშინია ამ დანის, თან არ შემიძლია გადავაგდო ის, მე ვკანკალებ, მე მინდა ტირილი, ცრემლები კი ამოშრნენ, მე მინდა ვიყვირო, ხმა ჩაწყვეტილი მაქვს და მე ვკანკალებ, მე მეშინია თავის მოკვლის. შეენ? შენ თავს არ მოიკლავ, რადგან შენ მშიშარა ხარ და არსად, არსად ამ წრიდან არ არის გამოსავალი. რადგან მე არ შემიძლია, სხვას კი არა, არამედ ჩემს თავსაც კი შევუმსუბუქო რაიმე, რადგან მე არ შემიძლია წინ აღვუდგე ბედისწერას, ტირილი კი შემიძლია, მე ცრემლები მაქვს შიშთან ერთად და მე ვტირივარ და ეს ცრემლები არ არის ჩემთვის ნუგეში .. (ტირის. ფარდა) ა .. მე მესმის ხმები.

ხმა შავი: შენ მწერალი ხარ, შენ უნდა წერო როგორ იკლავენ სხვები თავს, ასეთია შენი ვნება.

გურამი: ჩემი ვნება, ჰა? ა, ჰა, ხი,ხი, ხი, გესმით, ხალხნო, გესმით თქვენ ხმა ჭეშმარიტების, ჭეშმარიტების ხმა მანუგეშებლის როლში ჩაცმული ბოროტი სულისგან. ა, ეს მე არა მაქვს ცრემლები, ო ეს მე, მე არ შემიძლია წინ აღვუდგე ბედისწერას, მაშ უყურეთ, მე ვტირივარ, მე ვღრიალებ, ჰო, მე, ვისაც თითქოს დამშრალი ჰქონდა ცრემლები. იტირეთ ჩემთან ერთად, გესმით, მე გთხოვთ არ თანამიგრძნოთ, რადგან, მე მშიშარა ვარ და მხოლოდ შიში მაწერინებს, რომ გავამართლო ჩემი სრული არასაჭიროება, ო, რა ძნელია ამის შეგრძნება. ო, ღმერთო, მოკვდა, ის მოკვდა, მარინე, ოო, ხალხო, მომკალით მე ქვების სროლით, რადგან მე მხოლოდ მისთვის ვარ დაბადებული.»

[1957 წელი. თბილისი. გვიანი შემოდგომა]

თბილისში ჩამოსვლის შემდეგ გურამს უნდოდა პიესის გამოქვეყნება. ცხადია, უარი უთხრეს. არ მახსოვს, მამამ ურჩია თუ მისი იდეა იყო, პიესის მოქმედება გადაეტანა პარიზში.

არქივში ინახება გურამის სახელზე «Дружба народов˜-ის მიერ გამოგზავნილი მოწვევა ჟურნალის პრიზზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად. დათარიღებულია 1959 წლის იანვრით. ვფიქრობ, პიესის ფრანგული ვარიანტი (იხ. ქვემოთ) გაკეთებული უნდა იყოს სპეციალურად ამ ჟურნალისათვის. გთავაზობთ გურამის საპასუხო ბარათს:

«პატივცემულო რედაქტორო!

დაახლოებით წელიწადნახევრის წინ მივიღე თქვენი რედაქციის ჩემდამი გამოგზავნილი მოწვევა, სადაც მაცნობებდით, რომ სასურველი იყო მიმეღო ჟურნალის პრიზზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობა, სამწუხაროდ, მაშინ ჩემთვის ამ დიდად დამავალებელი თხოვნის შესრულება ვერ შევძელი, მაგრამ იგი არასოდეს არ დამვიწყებია _ გადავწყვიტე რაიმე შესაფერი დამეწერა თქვენი ახალგაზრდული ჟურნალის მკითხველთათვის (რომლის ბეჯითი თვალყურის მადევნებელიც მე ვარ), რაც სულ ცოტა ხნის წინ მოვიყვანე სისრულეში. მე მგონი, დაგაინტერესებთ ნაწარმოებში მოთხრობილი ემიგრანტი ქართველების არასახარბიელო, თავიანთი 1922 წელში აჩქარებისაგან გამოწვეული, ხვედრი.

დიდად ვიმედოვნებ თქვენს ყურადღებას ჩემს ნაწარმოებზე.

პატივისცემით გურამ რჩეულიშვილი.»

არქივში ინახება, აგრეთვე, წინასიტყვაობა ფრანგული ვარიანტისათვის (მხოლოდ მწერლის მიერ ნასწორები ნაბეჭდი ტექსტი):

«რამდენიმე ხნის წინ პარიზიდან თბილისს დაბრუნდა მენშევიკების დროიდან ემიგრაციაში მყოფი ჩვენი ოჯახის ნაცნობი ქალი.

მრავალ საინტერესო ამბავს ჰყვება იგი თავისი თავგადასავლიდან, რომელსაც ძირითად ხაზად გასდევს იმ დიდი სინანულის გრძნობა, რასაც განიცდის 1922 წელში დაშვებული საბედისწერო შეცდომის გამო, რისი გამოსწორებაც მთელი სიცოცხლის საუკეთესო ხანად დაუჯდა მას.

ახლა იგი კვლავ სამშობლოშია. მართალია, უკვე ჭაღარა, გულგაუტეხელი და, თავისივე თქმით, გაახალგაზრდავებული მრავალი წლით საბჭოთა საქართველოს ცხოვრების რიტმისაგან, რომელმაც ახალი ნათელი მიზნების წინ დააყენა უცხოობაში გატარებული ოცდარვა წლის შემდეგ.

ჩვენი ოჯახის ნაცნობი ქალი ემიგრაციაში ყოფნის დროს გათხოვილი იყო ფრანგ გრაფზე. იგი ეკონომიურად უზრუნველყოფილი იყო. მიუხედავად ამისა, ერთი წამით არ შორდებოდა ის უსაზღვრო სევდა თუ სინანული და სიმართლის, ნამდვილის დაკარგვის შეგრძნება, რის ძიებამაც სამშობლოში დააბრუნა იგი.

ამ პიესაში მოთხრობილი ამბავი თითქმის დანახულია მისი საკუთარი თვალით, ამბავი, რომელიც ხდებოდა ემიგრანტ ქართველთა იმ ღარიბ უბანში, რომლის სტუმარიც იყო ხოლმე იგი ფრანგზე გათხოვების შემდეგ.

მე გადავწყვიტე დრამატულ სტილში ამესახა ეს, წინასწარ ვიტყვი, სავსე გაორებითა და სიმწარით ამბავი და მიმეძღვნა თქვენი ჟურნალის ახალგაზრდა მკითხველებისათვის, რომლებიც მთელი შეგნებით მიუდგებიან ამ ნაწარმოების გმირთა ხვედრს და განსჯიან მას.»

E

მწერლის სიცოცხლეში გადაბეჭდილ პიესის ტექსტში მის მიერვე კალმით ჩამატებულია ცალკეული სიტყვები და წინადადებები ფრანგული ვარიანტისათვის.

ქვემოთ მოგვყავს არქივში შემონახული ცალკეული ჩანაწერი პიესის ფრანგული ვარიანტისათვის.

მოქმედი პირების დასახელებისას ფრანგულ ვარიანტში ქეთოს ამხანაგებს ემატება *«მარგო _ ფრანგი ქალი, ისიც ქეთოს ამხანაგი.»* აგრეთვე,*»მათხოვარა _ ფრანგი, მეორე მსოფლიო ომის ინვალიდი.»*

პიესის დასაწყისში აღნიშნულია, რომ *«მოქმედება მიმდინარეობს პარიზში, ქალაქის განაპირა ადგილას დასახლებულ ქართველების უბანში.»*

ჩანაწერები ფრანგული ვარიანტისათვის:

1. «ცირას ძილის წინ ქეთოს ლაპარაკი ვინმესთან მარინას ბედის და შუკის ბედის შესახებ.
დედა შეიძლება მოვიდეს მისი _ დედის მოგზავნილი ქალი.
ყველაზე მარინას ოჯახის ლაპარაკი.
2. დედა და მარინე.
როგორ გაფუჭდა პატიოსანი დედის ბიჭი / შუკის ბედისწერა.
Марго последняя стерва.
3. მათხოვარს ღამე ესმის ლაპარაკი გარეთ. არ ეუბნება სუსანებს.
4. მარგო _ ფრანგი ქალი.
5. მარინას მონოლოგი.
ცირა (ამაღლებს), ეხმარება, ერევა ბავშვიც გამეორებებით.
მარინა მალავს პოლიტიკურ ამბავს და ტყუის, ვითომ იმ ბიჭს უყვარდა, რადგან სასამართლოს ასეთი ტენდენცია აქვს პოლიტ. ამბისკენ, რომ შეიძლება ის ბიჭი გაამართლონ.
1. პარტიების შეცვლა მოხდა.
2. ბოლოს ქეთო იგონებს პირველ ლაპარაკს უცნობთან, რომელიც შუკაში შეხვდა.
3. მათხოვარა. ბოლო.
ორმა უცნობმა დასცინა ბოლოს: ამ შუკიდან ხარ?
4. ბოლო. ქალების ერთად ლაპარაკი.
შავები.
ბოლო: მარინა, მიდი?
ვარდება ცირას იქით (...)
რადიო: მთავრობის შეცვლა ელ. მილი.»

ნაბეჭდი ტექსტის 45გვ.-ზე, დედას რეპლიკის შემდეგ _ *«რა მყუდრო ქუჩაა, რა კარგია სეირნობა..»* _ ჩამატებულია:
«შუკაში წინიდან შემოდის ორი უცნობი და დგებიან ზურგით.
I უცნობი: ო! შენ.
II უცნობი: ა?!
I უცნობი: იცი სადა ვართ ახლა?
II უცნობი: რა თქმა უნდა.
I უცნობი: ჩვენა ვართ ქართველების უბანში.

II უცნობი: ხომ გითხარი, რომ ვიცი.

I უცნობი: აი, იმ ქალს ხედავ, იქით, შავებში, ჩვენს დანახვაზე რომ ზურგით მობრუნდა?

II უცნობი: რა თქმა უნდა.

I უცნობი: ის გიჟი დედაა.

II უცნობი: ეგრეც ვიცოდი.

I უცნობი: იცი, ის...

II უცნობი: ჰო.

I უცნობი: მაგის შვილს დახვრეტა მიუსაჯეს.

II უცნობი: გასაგებია ყველაფერი.

I უცნობი: მე შენ თითქოს ტყუილა გელაპარაკები.

II უცნობი: რა თქმა უნდა.

I უცნობი რა თქმა უნდა, ა?

II უცნობი: შენზე, რა, ქართული უბნის კლიმატმა იმოქმედა?

I უცნობი: ჩემზე?

II უცნობი: ალბათ, მომეჩვენა. უცებ აღელდი და იმიტომ გითხარი.

I უცნობი: შენ არ გშორდება ჩვენი ეროვნული იუმორი.

II უცნობი: შენ სწორი ხარ, როგორც ყოველთვის.

I უცნობი: ჯობია ამ ლაპარაკს თავი დავანებოთ.

II უცნობი: გეთანხმები.

I უცნობი: ეგეც როგორც ყოველთვის?

II უცნობი: რა თქმა უნდა.

I უცნობი: დავანებოთ ასეთ ლაპარაკს თავი.

II უცნობი: დავანებოთ.

I უცნობი: მოდი ვილაპარაკოთ ქართველების უბანზე.

II უცნობი: სამწუხაროდ, ბევრი დრო გვჭირდება, სანამ მაგ გადაწყვეტილებამდე მივალთ ხოლმე.

II უცნობი: სევდა კი ღრუბელივით დაეკიდა ქართველების უბანს, ეს უცებ გეცემა თვალში პარიზის მხიარული ქუჩების შემდეგ.

I უცნობი: ჩვენ ცოტა რამა გვაქვს სადარდებელი, ცუდად თუ კარგად მაინც ჩვენ ჩვენს მიწაზე ვცხოვრობთ.

II უცნობი: ამბობენ, იმათი მიწა სადღაც შორს არის, კავკასიაში, დიდი მთების უკან.

I უცნობი: აქ კი როგორი სწორი ადგილია. ალბათ, ძალიან უძნელდებათ.

II უცნობი: უცნაურია. ჰოდა, ახლა ეს სიკვდილი ასეთი ვაჟკაცის.

I უცნობი: ამბობენ, პოლიტიკური პარტიების ბრძოლაში იყო ჩაბმულიო და ტერორის სახით მოუწყვეს.

II უცნობი: პარიზს ოღონდ მიეცი სალაპარაკო.

I უცნობი: შენ, რა, არ გჯერა?

II უცნობი: რა თქმა უნდა, არა.

I უცნობი: შენ?

II უცნობი: არც მე.

I უცნობი: მაინც რატომ მოხდა ეს მკვლელობა, საინტერესოა.

II უცნობი: განა გაიგებ ქართველების ვნებებს, როდის რა ინთება.

I უცნობი: ყველაფერი სადღაც სიღრმიდან მოდის და შუა გზაზე ჩერდება.

II უცნობი: ცოდოები არიან აქ, მარტო, ვიცი, მაგრამ საცოდაობის გრძნობას არასოდეს არ იწვევენ მაინც.

I უცნობი: ალბათ, ასეთები არიან მათი წინაპრები კავკასიიდან, (გადიან, მოდის წინ დედა)»

ნაბეჭდი ტექსტის ამავე გვერდზე დედის რეპლიკაში ჩამატებულია შემდეგი სიტყვები:

«ღმერთო ჩემო, რამდენი ლაპარაკი უყვართ ფრანგებს, მე თქვენ გეტყვით ერთ საიდუმლოს _ მეც ძალიან, ძალიან მიყვარს ბევრი ლაპარაკი. მოიცათ, ა? ჰო.»

ნაბეჭდი ტექსტის გვ.30-ზე მარინას რეპლიკაში ჩამატებულია:

«მარინა: (აბნეულია, ცდილობს გაიღიმოს) ჰო, (იხედება გარეთ. ლაპარაკობს თითქმის თავისთვის, თავის ლაპარაკში ჩართულ სიტყვებს ვერა გრძნობს, ასე განაგრძობს).

რა მყუდრო შუკაა ჩვენი, მათხოვარაც რომ ასე პირნათლადა ზის ყოველთვის, წინათ სხვა მოხუცებული ქალი პატარა ბავშვთან ერთად, გახსოვს??

X

ცირა: როგორ არ მახსოვს, ბავშვი ქერა იყო და ყოველთვის ჭუჭყიანი.

მარინე: ჰო, ჩქარა გავიზარდეთ, სულ გუშინ იყო თითქოს, შენ ურიკაში იჯექი, მე გაგორებდი აქეთ-იქით, ზოგჯერ გარეთაც გავდიოდით, დიდ ქუჩაში, ერთხელ იმ ქუჩის იქითა მხარეს ბომბორა ბანტიანი ძაღლი დავინახეთ. არა, შენ დაინახე, მგონი, პირველად, მარტო მინდოდა მისკენ გაქცევა, ისე მომეწონა, მაგრამ შენ ატირდი.

ანა: ცირამ ტირილი იცის? (ამბობს სხვათა შორის)

მარინე: მაშინ მივაწექი ურიკას და სირბილით იქით, სულ მაჩქარებდი და მაჩქარებდი.

ცირა: ჰო,ჰო სულ ჩქარა, ჩქარა.

მარინე: ძაღლის გარშემო კი აუარებელი ხალხი მოგროვდა, ცოტაც და მივიდოდი, მაგრამ უცებ მოსახვევიდან გამოვარდნილი საბარგო მანქანა პირდაპირ ჩვენზე წამოვიდა.

ცირა: ჩემო დედიკო, როგორ გადავრჩით? ..

მარინე: მე გამიკვირდა, შენ დაიყვირე, მართლა სასწაულით გადავრჩით. მანქანამ კი ჩვენს მაგიერ სხვა გაიტანა.

ცირა: პორტფელიანი ფრანგი კაცი.

მარინე: მაღალი, შლიაპიანი კაცი, რომელიც იქითა მხრიდან გადმოდიოდა და ის-ის იყო გვერდზე ჩაგვიარა.

ცირა: მე სულ დავიბენი.

მარინე: მეც ვერ გავიგე, რა მოხდა.

ნანა: მანქანა კაცს დაეჯახა?

ქეთო: მანქანამ კაცი მოკლა...

მარინე: მართლა ვერ გავიგე რა მოხდა, ყველაზე ახლოს კი მე ვიყავი, ის ეგდო, თავის ქალა გადახდილი ჰქონდა, სისხლი არ მოსდიოდა.

ცირა: ო, ჩემო დედიკო ..

მარინე: ხალხმა დაფარა ქუჩა; ბანტიანი ძაღლი საიდანღაც ჩვენთან გაჩნდა, შენ ტიროდი მთელი ხმით, მეც ძალიან შემეშინდა, ტირილი დავაპირე, მაგრამ ბანტიან ძაღლს მოვკიდე ხელი _ გადამიარა _ იმას გრძელი და თბილი ბეწვი ჰქონდა ..

ცირა: მთელი თვით ჩაგვკეტეს იმ ამბის შემდეგ სახლში.

მარინე: ჰო, მთელი თვით.

ცირა: მარინე! რა კარგად გახსოვს შენც ის ამბები, სულ ექვსი წლისები ვიყავით მაშინ.

ანა: მე უკვე რვა წლისა ვარ.

მარინე: /ლაპარაკობს სულ თავისთვის/

ჰო, ექვსის. შემდეგ წელს მე დავიწყე სკოლაში სიარული, საღამოს მომქონდა ჩაწერილი გაკვეთილები და ერთად ვსწავლობდით, ყოველთვის ჩემზე ადვილად იხსომებდი ყველაფერს.

ცირა: ახლაც მახსოვს ის ლექსები.

მარინე: ოი, რა უნიჭო ვიყავი, წარმოგიდგენია მუსიკაზე სიარულიც კი მეზარებოდა.

ცირა: ოი, როგორ გეჩხუბებოდა საწყალი დეიდა იულია.

მარინე: ეგ პირველად, მერე შემიყვარდა, ზოგჯერ ექვს-შვიდ საათს ვუკრავდი _ სკოლის გაკვეთილებსაც კი... მავიწყებდა. ეჰ, ისე მომინდა ახლა კარგად ვუკრავდე, სიამოვნებით გავატარებდი ფორტეპიანოსთან მთელ დღეს, ვერ წარმოიდგენ, რა სიამოვნებით შევასრულებდი რახმანინოვს.

ცირა: საწყალი დეიდა იულია... ეცოცხლა, შენ არ გაანებებდი მუსიკას თავს.

/უნდა, რომ მარინემ მეტი ყურადღება მიაქციოს/

ნაბეჭდი ტექსტის გვ. 21, ცირას რეპლიკის შემდეგ _ «დედა ჯერ არ მოსულა» _ ჩამატებულია ფრანგული ვარიანტისათვის:

«/შუკის სიღრმიდან ფეხაკრეფით მოდის ქალი, ჩაცმული უკანასკნელ მოდაზე, ფრანგულად, შავი ვუალით, არავულგარულად. ის ჩერდება მარინეს კედელთან და იძახის იქიდან/.

უც. ქალი: ქეთო!

/სიჩუმეა.

ქეთო გამოდის გარეთ. ისინი მიდიან ერთმანეთისაკენ და სიბნელეში მათი ნახევრადჩურჩული მკვეთრად ისმის- სასურველია მუსიკის ფონზე/

უც. ქალი: გახსოვარ მე კიდევ, ქეთო?

ქეთო: როგორ არა, დარეჯან.

უც. ქალი: მე ისე დიდი ხანია გადავედი შუკიდან.

ქეთო: შენ კარგად გათხოვდი, დარეჯან.

უც. ქალი: ჩემი ქმარი არის ფრანგი.

ქეთო: ჰო, ვიცი, ფრანგი გრაფი.

უც. ქალი: გრაფი, ოღონდ მაინც ფრანგი, მისგან მე სამი ვაჟი მყავს და სამივენი ფრანგები არიან, ეს ფრაზა თითქმის სასაცილოა, არა?

ქეთო: ჰო, სასაცილო.

უც. ქალი: მაგრამ სწორია.

მახსოვს ჩვენი ახალგაზრდობა, ჩვენ ვოცნებობდით კარგ ცხოვრებაზე.

ქეთო: შენ აგიხდა ოცნება, დარეჯან.

უც. ქალი: ჰო, ამიხდა, მე თითქმის მიყვარს კიდეც ჩემი ქმარი.

ქეთო: ჰო, ის კარგი კაცია.

უც. ქალი: მაგრამ ის მაინც ფრანგია.

ქეთო: მე გადავეჩვიე კიდეც მაგის გარჩევას.

უც. ქალი: ჰო, თქვენთვის ადვილია, ყველა ქართველი ერთად ცხოვრობთ.

ქეთო: მაგ მხრივ ადვილია.

უც. ქალი: მე კი სულ ფრანგებში ვტრიალებ, ვერ წარმოიდგენ რა კეთილი და კარგი ხალხია მთელი ჩემი ქმრის ნათესაობა.

ქეთო: ჰო, ჩვენ ყველანი უზომოდ მადლობლები ვართ ფრანგების, სუფთა ხალხია რაღაცნაირი.

უც. ქალი: შენ იცი, ქეთო .. მიუხედავად ყველაფრისა, ზოგჯერ ღამით, როცა ქმარი იძინებს _ მას ყოველთვის ზედმიწევნით სუფთად სძინავს, რაღაცა არ მაძლევს საშუალებას მეც დავიძინო ... რაღაცა უცნაური დიდი, უფორმო სევდა იპარება ჩემთან.

ქეთო: ჩემო დარეჯან!

უც. ქალი: ეს სევდა მდევს ყველგან ... და მაშინ მთვარეულივით ვდგები, დავდივარ ჩემს უზარმაზარ ოთახებში.

ქეთო: ბავშვები?

უც. ქალი: მე ხომ გითხარი, ისინი მაინც ფრანგები არიან, მე კი ისევ ისე ძალიან მიჯდება ეს სევდა სხეულში და ისე მეწევა, მეწევა როგორც მთვარეულს მთვარე და მოვდივარ ამ უბანში.

ქეთო: ჩვენს ღარიბ უბანში.

უც. ქალი: ეს უცებ მეცემა ხოლმე თვალში და მე რაღაც სევდიანი და თბილი მაწვება გულზე აქ მოსვლისას, ხანდახან ცრემლებიც კი.

ქეთო: დარეჯან..

უცნობი ქალი: იცი რა სევდას მოვყევარ მე აქეთ. ო, ძნელად გამიგებ შენ ამას, ქეთო, ეს ფიზიკური სევდაა ქართველ კაცზე.

ქეთო: სადღაც იხატებიან ბუნდოვნად კავკასიონის მთის სილუეტები და ქრებიან.

უც. ქალი: ეს სევდა კი იზრდება.

ქეთო: ახლა კი გიოს სიკვდილიც.

უც. ქალი: მაგ ამბავმა მომიყვანა მე აქ, მე აღარ შემეძლო იქ გაჩერება.

ქეთო: ჩემო დარეჯან.

უც. ქალი: ჩემო ქეთევან.

ქეთო: ღმერთო ჩემო, შენ გახსოვს იულია, გიოს დედა?

უც. ქალი: ის ჩვენი ბავშვობის მეგობარი იყო.

ქეთო: რა უცებ მოხდა ყველაფერი და რა დიდხანს გრძელდება ახლა.

უც. ქალი: როგორ მოხდა ის, ქეთევან?

ქეთო: მე მოგიყვები, ოღონდ აქ რატომღაც მიძნელდება.

უც. Qქალი: ჰო, გავიაროთ იქით.

ქეთო: იქით მეტი სიმხიარულეა და უფრო ადვილია დარდზე ლაპარაკი. /..გადიან./»

«ნატა: ნუ გეშინია, იმას უეჭველად დახვრეტენ.

ქეთო: რა, რამე ახალი და სარწმუნო იცი შენ?!

ნატა: ჰო.

ქეთო: მკვლელობის შესახებ?

ნატა: ჰო, ჰო ...

ქეთო: საიდუმლოა?

ნატა: საიდუმლო? რა?

ქეთო: ისევ ... პარტიიდან?

ნატა: ჰო. 200-მდე კაცმა მოაწერა ხელი მკვლელის დახვრეტის მოთხოვნას.

ქეთო: მე მაინც ვერ გავიგე რა შუაშია პარტია?

ნატა: უბრალოდ, გული სტკივათ თავის კაცზე.

ქეთო: მერე როგორი ბიჭი იყო .. გასაგებია.

ნატა: ალბათ, შენც ხელს მოაწერდი, იმ პარტიის წევრი რომ იყო.

ცირა: აღარ გინდათ მაგაზე ლაპარაკი,…ისე ახლოს იყო ის ბიჭი ჩემთან.

ქეთო: რა თქმა უნდა, მოვაწერდი. შენ?

ნატა: მეც, აბა რა.

/ცირა ნახევრად ბრუნდება კედლისკენ, იყურება ჭერში და თითქმის ყურს აღარ უგდებს მათ ლაპარაკს/

ქეთო: არაფერი, არაფერი არ ისმის კარგი გარეშემო ..

ნატა: კარგი? შენ ვერ იგებ კარგს.

ქეთო: შენ, რა, რამე იცი კარგი?

ნატა: რა თქმა უნდა, ჩვენი ქართველი, იცნობ შენ იმ ქალს კარგად, ბუაძე, თხოვდება ფრანგ გრაფზე, წლიური შემოსავლით 111000 ფრანკი.

ქეთო: ფრანგ გრაფზე?

/ქეთოს ბოლო სიტყვებისას დაუკაკუნებლად შემოდის მარგო/

მარგო: ფრანგი გრაფი, ოჰო! ქეთო, დროა, არ მოდიხარ?

ქეთო: ჯერ არა, დასვენების შემდეგ წამოვალ, ცირას კაბა უნდა გამოვჭრა /ათვალიერებს ნატას მოტანილ მოდების ჟურნალს/.

მარგო: რა გვარია ის შენი გრა-ფი?

ნატა: ლედორონი.

ქეთო:ᲝᲝშეუძლებელია.»

შექმნის ისტორიისათვის:

ჩვენ ვცხოვრობდით კალინინის (ახლანდელი ჯავახიშვილის) და რენინგერის (ახლანდელი კიტა აბაშიძის) ქუჩების გადაკვეთაზე მდებარე კუთხის სახლში. სახლი ეკუთვნოდა საშიკო ორბელიანს, მეუღლეს მარიამ ორბელიანისა, რომელსაც ძალიან ბევრი ნათლული ჰყავდა და ამის გამო მეტსახელად «ნათლიკოს» ეძახდნენ. ამ სახლში ზედსიძეებად შევიდნენ ივანე ჯავახიშვილი _ ანასტასია ორბელიანის მეუღლე და კიტა აბაშიძე _ თეკლე ორბელიანის მეუღლე. პირველ სართულზე «დროებით», ვაკეში ჩვენი სახლის მშენებლობის დამთავრებამდე (ჩამოგვართვეს ბოლშევიკების შემოსვლისთანავე), დასახლდა ბებოჩემის, ალექსანდრა ჯავახიშვილის (ივანე ჯავახიშვილის დის) ოჯახი. (აღსანიშნავია, რომ მარიამ და საშიკო ორბელიანები ნამდვილი ქართული, შეიძლება ითქვას, თავადური პატივისცემით და სტუმართმოყვარეობით იღებდნენ ნათესაობას საცხოვრებლად არცთუ ისე დიდ სახლში («ნოეს კიდობანში», როგორც ძია ლალი ჯავახიშვილმა მითხრა) და, როგორც ნათესაობაში იყო ცნობილი, არც არავინ ეზედმეტებოდათ. ამავე სახლში ცხოვრობდნენ, აგრეთვე, ბაუკა და პეტრიკა წერეთლები, რომელნიც 1924 წელს გადაასახლეს. (აქვე მინდა მოვიგონო ერთი ამბავი, რის შესახებაც ჩვენი უფროსებისაგან გამიგონია: საშიკო ორბელიანის დედას თავისი სასძლოსათვის პირის მოსაკითხად, უჩუქებია ატენი, ცხადია, თავისი ტაძრით, სიონით. შემონახულია ივანე ჯავახიშვილის წერილი, სადაც ის შეწუხებული წერს მარიამ ორბელიანს, რომ ატენი საშინელ მდგომარეობაში დაუხვდა და ვინაიდან ოჯახი ვერ შეძლებდა მის მოვლას, ჯობდა გადაეცათ სახელმწიფოსათვის). ცხადია, იმავე უბანში იყო ჩვენი სკოლებიც და იქვე ცხოვრობდნენ ჩვენი ამხანაგ-მეგობრები და ბიძაშვილ-მამიდაშვილები. ლარსის ქუჩაზე გადმოსვლის შემდეგ (ჩემი ძმა, მაშინ უკვე მეორე ან

მესამე კურსის სტუდენტი იყო) ბუნებრივია, ხშირად დავდიოდით ხოლმე მათთან სტუმრად. ერთხელაც გურამს გვიან საღამოს, ალბათ, გზად ჯავახიშვილ-აბაშიძეებისაკენ, კალინინის ქუჩაზე მდებარე ბაღთან დაეწია იმუბნელი ბიჭი და უთხრა: ბაღში ძალიან მნიშვნელოვანი საქმის გასარჩევად იკრიბებიან ბიჭები, ამ საქმეს შენთან კავშირი არა აქვს და თუ გინდა შარს არ გადაეყარო, დროზე გაეცალე აქაურობასო. როგორც ჩანს, გურამი მაინც არ წავიდა და გადაწყვიტა შორიდან ედევნებინა თვალი. მისი ნაამბობიდან, დაახლოებით, ასე მახსოვს: ძალიან მალე ბაღი აივსო რუსთაველელი და პლეხანოველი ბიჭებით და მერე ყველაფერი წამებში მოხდა. ლადო ქოქიაშვილი (რუსთაველელების ლიდერი) პირისპირ დარჩა ერთ-ერთ ბიჭთან, პლეხანოველ ჰასანასთან, მერე უეცრად შეტორტმანდა და დაეცა. შემდეგ ჰყვებოდნენ, რომ ჰასანა ლადოს ადრე ნაცემი ჰყოლია ერთი თავისუბნელი მკერავის გამო, რომლისთვისაც იმას არ გადაუხდია ფული. ჰასანას, რომელიც თავისი ფიზიკური მონაცემებით ლადოს ბევრად ჩამორჩებოდა, ლადოსთვის უთქვამს: სადაც დამარტყამ ხელს, იქ დაგარტყამ დანასო. ლადოს ხელუკუღმა მსუბუქად მიურტყამს მუცელზე ხელი. ჰასანამაც შეასრულა დანაპირები და დანა მუცელში გაურჭო. ამბობდნენ, რომ პლეხანოველები დანებით დახვდნენ მოსულებს და ბაღი ლადოს წაქცევისთანავე დაცარიელდა. გურამი, თურმე, მაშინვე მივარდა ლადოს, წამოაყენა, ხელში აიყვანა და პირველივე შემხვედრი მანქანით გააქროლა მახარაძის ქუჩაზე ოთარ რჩეულიშვილთან (მამას ბიძაშვილი, იმ დროს ცნობილი ექიმი_ინფექციონისტი). ძია ოთარმა მითხრა: ერთ საღამოს სტუმრები მყავდა. უეცრად მოვარდა გურამი და ქვევით ჩამიყვანა. მანქანაში სისხლით მოსვრილი ახალგაზრდა იჯდა. გავაგზავნე კამოს ქუჩაზე სასწრაფო დახმარების საავადმყოფოში.

ლადო ქოქიაშვილს გაუკეთდა სასწრაფო ოპერაცია. ოპერაციამ კარგად ჩაიარა. მშობლებს მიულოცეს, გურამი დამშვიდებული წამოვიდა სახლისკენ. ეს იყო 1957 წლის 26 მაისი (ნახე, აგრეთვე, ტომი 1, შენიშვნები «უღელტეხილისათვის»).

კოკა იგნატოვის მოგონება:

1957 წლის შემოდგომაზე კამოს ქუჩაზე გამიკეთეს ბრმა ნაწლავის სასწრაფო ოპერაცია. მარტო ვიწექი ექვსკაციან პალატაში. საღამოს დედა იყო ჩემთან, მითხრა: ლადო ქოქიაშვილი შემხვდა, ხვალ აპირებს შენ სანახავად მოსვლასო. დედა წავიდა, მაგრამ ოთახიდან გასვლის შემდეგ მალევე დაბრუნდა. თურმე, დაუნახავს, რომ ლადო ქოქიაშვილი საკაცით მიჰყავდათ საოპერაციოში. საოპერაციოდან გამოყვანის შემდეგ ლადო ჩემს ოთახში დააწვინეს ერთ საწოლგამოტოვებით. ექიმმა მითხრა, ყველაფერი კარგად არის, გავიგე, მეგობრები ყოფილხართ და ხვალ უკვე შეგიძლიათ მთელი დღე ილაპარაკოთო. ოპერაციის შემდეგ ლადოს ჯერ ეძინა, ნარკოზის ქვეშ იყო. მერე დაიწყო ბორგვა, მამას ეძახდა, შემოვიდა მამა. ლადოს დაეწყო კრუნჩხვები. უცებ ყველაფერი აირია. ოპერაციიდან საათ-ნახევრის შემდეგ ლადო გარდაიცვალა. გაირკვა, რომ ქირურგს მუცლის ღრუში ჭრილობის უკანა მხარე გასაკერი დარჩა და ლადო სისხლისაგან დაიცალა.

ნუგზარ წერეთლის გადმოცემით (იხ. წიგნი «მე ახლაც ოცდაექვსი წლისა ვარ»), საავადმყოფოდან წამოსვლის შემდეგ გურამმა ცოტა დალია. გვიან საღამოს ნუგზარი და გურამი დათო ღოღობერიძესა და მამასთან ერთად ბრუნდებოდნენ სახლში. კიროვის ბაღთან მათ ვიღაცამ შეატყობინა ლადოს დაღუპვის ამბავი. გურამი, თურმე, უცებ მოსწყდა ადგილს, გადაახტა რკინის ღობეს, ცოტა გაიქცა, მერე მიწაზე დაემხო და ხმამაღლა აქვითინდა..

ლადო ქოქიაშვილის მკვლელობამ, რომლის უნებლიე მოწმეც შეიქნა ჩემი ძმა, ვფიქრობ, დააჩქარა გურამის სულიერი ცხოვრების ისედაც საოცარი სისწრაფით წინ მიმავალი პროცესები. ამ მკვლელობამ სხვადასხვანაირი ტრანსფორმაცია განიცადა მწერლის მომდევნო შემოქმედებაში («ყველაზე ძალიან ეს ბოლო სურათი მომწონდა..», «ირინა და მე», «იულონი» და სხვ.) და, შესაძლებელია, პირველი სერიოზული ბზარიც კი შეიტანა მის დამოკიდებულებაში ხელოვნების მიმართ (იხ. კომენტარები მოთხრობისათვის «ყველაზე ძალიან ეს ბოლო სურათი მომწონდა..» ტომი 2.). ყველაფერი დაახლოებით შეიძლება ისე წარმოვიდგინოთ, როგორც დაწერილია «იულონში»:

«დიდი ბობა: მეც ვიტყვი, კაცის სიკვდილით გახარება იქნება, კაცო?
სულხანი: გიხაროდეს კაცის სიკვდილი?!
გურამი: მე არ მეგონა, თუ ასე გაგიკვირდებოდათ ეს ამბავი.
ჯიმშერი: რა ამბავი, გურამ?!
გურამი: რომ მე ოდნავ მიხარია კაცის სიკვდილი.
ჯიმშერი: შენ სისულელეს ამბობ, გურამ.
პატ. გურამი: შენ მაგაში დარწმუნებული ხარ?
სულხანი: უფრო მეტიც, უფრო მეტიც.
გურამი: რა უფრო მეტი?
სულხანი: შენ არა ხარ კარგი ადამიანი.
გურამი: სულხან, ნუ ღელავ, შენც გსიამოვნებს ცოტა ეს სიკვდილი, არა?
სულხანი: იცი, მე ყოველთვის გულში ვფიქრობდი, რომ შენ ასეთი ხარ...
გურამი: საინტერესო აზრები გქონია დამარხული. აბა, კიდევ გაქექე, იქნებ იპოვო, რომ მე მოწოდებით მკვლელი ვარ.
სულხანი: შენ უსინდისო ხარ.
გურამი: რაც შეეხება მაგ მუხლს _ მე მხოლოდ მწერალი ვარ, ამიტომ მიხარია კაცის სიკვდილი, მერე დავწერ ამის შესახებ.»

მახსოვს, ამ მკვლელობიდან ერთი-ორი თვის გასვლის შემდეგ შუშაბანდში ვისხედით. მგონი, გურამი ვარჯიშობდასავით სკამით, რომელსაც გირების მაგივრად სწევდა ხოლმე ზევით, თან ვლაპარაკობდით. ვლაპარაკობდით ლადოს მკვლელობაზე, მარინა მაჭავარიანზე (ამბობდნენ, რომ ლადოს და მარინას უყვარდათ ერთმანეთი) და ამის შემდეგ განვითარებულ ამბებზე. რას? როგორ? ზუსტად არაფერი მახსოვს. რატომღაც უეცრად ვთქვი: «ლადოს შემდეგ მარინასათვის, ალბათ, ყველაზე ახლობელი მისი მკვლელი უნდა იყოს. მარინასი რომ ვიყო, ჰასანას სიკვდილს, დახვრეტას არ ვინდომებდი, მაგაზე ახლობელი ახლა მას არავინა ჰყავს.» (სხვათა შორის, თითქმის ზუსტად იგივე სიტყვებია დაწერილი პიესაში მარინას ხმებთან გასაუბრების ეპიზოდში: «გინდა ახლა რომ ეგეც მოკვდეს, ეგ ერთიღაა, ვისაც ასე ახლო იცნობ, ვისზეც ამდენს ფიქრობ, როგორც კაცზე, როგორც ცუდ კაცზე, ოღონდ მაინც კაცზე, არა?»). ჩემი სიტყვები დამამახსოვრდა მხოლოდ გურამის რეაქციის გამო. მახსოვს, უეცრად ის თითქოს ყალყზე შედგა, ნესტოები დაებერა, ვიგრძენი, რომ ჰაერში დაეკიდა «ნადირობის» სიტუაცია, როგორც არაერთხელ ჩვენი საუბრისას («არიელ! ჩუ, ისინი ღმუიან, მაშ დაე, ნადირობა იყოს ნამდვილი» _ მოთხრობა «ნადირობის» ეპიგრაფი). ჩვეულებრივი, ისე წამოსროლილი სიტყვები, შეიძლება სულაც გურამისაგან პროვოცირებული, გახდა განსაკუთრებული

მნიშვნელობის მქონე, შეიძინა არსი, განზოგადდა, თან ამავე დროს თითქოს დაკონკრეტდა კიდეც. გურამი, მგონი, ოთახში შეიკეტა, შეიძლება სულაც სახლიდან წავიდა, არ მახსოვს. მთავარი იყო, რომ ლაპარაკი შეწყდა და მე მოულოდნელად მარტო აღმოვჩნდი (მკითხველს გავახსენებ, აგრეთვე, ერთხელ ჩემს სრულიად უაზროდ ნათქვამ სიტყვებს: «გავიზრდები და შურს ვიძიებ შენზე», განაწყენებულმა, უეცრად რომ მივახალე უფროს ძმას, როდესაც დავრწმუნდი, რომ მასთან რაღაც ჭიდილში დავმარცხდი. ამას მოჰყვა მაშინაც გურამის სრულიად მოულოდნელი, უსიტყვო რეაქცია, დაახლოებით ისეთი, როგორიც «იულონში»: «ის უხმოდ მიტრიალდა და წავიდა» (იხ. ტომი 3, «შაშას რევოლუციის» კომენტარები).

ვფიქრობ, გურამი ამ ტრაგედიას მარინას კუთხით პირველად ჩემი სიტყვების შემდეგ მიუტრიალდა.

მწერლის შემოქმედებაზე ხანგრძლივი დაკვირვებისას გამოიკვეთა მხოლოდ, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო ჩემი ძმისათვის შურისძიების თემა, რაც, ფაქტობრივად, ამ პიესით იწყება («შურისძიება იწყება», «მარინა», გვ.25). «მარინას» შემდეგ შურისძიებაზე ფიქრი გურამის თითქმის ყველა ნაწარმოებს გასდევს, ხან როგორც ძირითადი სიუჟეტის წარმმართველი და ხან როგორც ფონი, ქვეტექსტი სხვადასხვა ჩართული ამბების თხრობისას. შემოქმედების საშუალებით გურამი თითქოს ცდილობს გაერკვეს თვითონ მოვლენის, «შურისძიების», არსში და ამ გარკვევისას ყველა ნაწარმოებში ხდება ერთი და იგივე: გამოვლინდება შურისძიების ცნების პირობითობა და გვირგვინი ეხდება «მტრის ხატის» ცნებას, საერთოდ, რადგან ირკვევა, რომ ის «სხვა», ვისზეც შენ შურს იძიებ, ხარ შენ თვითონ (ამ მოტივის კულმინაციაა გურამის ბოლო დაუმთავრებელი ტრაგედიის, «სურამის ციხის,» სიუჟეტი. იხ. ამავე ტომში).

ლადო ქოქიაშვილის მკვლელობა საფუძვლად დაედო პიესა «მარინას» ფაბულას. ჩემი ისე ნათქვამი სიტყვები კი, რომელთაც, ალბათ, არავითარი დატვირთვა არა ჰქონდათ მაშინ, გარდა იმისა, რაც ზედაპირზე იდო, როგორც ჩანს, შეეხო ჩემთვის სრულიად მიუწვდომელ სიღრმეებს და მოიცვა მთელი ნაწარმოების სივრცე. შურისძიება შეიქნა პიესის, როგორც ძირითადი სიუჟეტური ხაზის, ისე პიესაში ჩართული სხვადასხვა სიუჟეტური ხაზების _ მათხოვრის, ბოშების, მეზღვაურთა ისტორიების წამყვანი მოტივი (აღსანიშნავია, რომ მარინას შურისძიებას თავისი შეყვარებულის მკვლელზე კვებავს, ამხნევებს და წარმართავს გიოს სიკვდილის წინ ნათქვამი სიტყვები, თითქოს ანდერძად და სამოქმედო გეგმად რომ დაუტოვა მას: «იმას ვდარდობ მხოლოდ, რომ სამაგიეროს ვეღარ გადავუხდი «).

მარინას სულიერი ევოლუციისას, აგრეთვე, რეტროსპექტული ამბების თხრობისას, ვლინდება შურისძიების პრინციპული შეუძლებლობა, რადგან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შურისძიება შურისმაძიებელსავე უბრუნდება უკან და ხდება მისი მომავალი გაუკუღმართებული ცხოვრების საფუძველი («ეგ შურისძიება არ მოგასვენებს შენ ყველაზე მეტად», «ნუთუ ეს არის შურისძიება, რომ უარესად ვეწამო» «... ოჰ, როგორ დავიღალე, აღარ მინდა არაფერი, დამასვენეთ, გესმით? იძინე, მარინა! დაისვენე, ჩვენო საყვარელო, ჩვენ ნანას გიმღერებთ, არ გინდა? აბა, მარტო ხომ არ დაგტოვებთ, ახლა ჩვენთან ერთად იქნები ყოველთვის, საცა შენ, იქაც ჩვენ.» «მარინადან»). «არაკაცი», «მკვლელი» («იცი ვინ მოკლა? ვიღაცამ, ჰო, ვიღაცამ, ცხოველმა, არაკაცმა»), თურმე ჩვეულებრივი ადამიანი, რაღაც წუთებში უნაზესი გრძნობებით ივსება და ირკვევა ისიც, რომ მკვლელის დედა, გიჟი დედაც, მხოლოდ დედაა და სხვა არაფერი.

ამონაწერი დღიურიდან:
«ნუთუ წმინდანები არიან ყველანი, ცოდვილებიც კი!»

ერთი შეხედვით ჩამოყალიბებულ ფორმაში ყოველთვის ჩნდება ბზარი, რაც უბიძგებს ადამიანს ამ ფორმის დაძლევისაკენ, რადგან შიგ ვეღარ ტევს ის დარჩენილ გრძნობას («იულონში» ეს თან სდევს ყველა მოქმედ პირს და პიესის მხატვრული ქსოვილის განუყოფელი ნაწილი ხდება. იხ. აქვე შენიშვნები «იულონისათვის»). ყველა შურისძიებას პიესაში მოსდევს სინანული და შურისმაძიებელში მოულოდნელად ამოტივტივებული სიყვარული ადგილს აღარ ტოვებს მასში სხვა გრძნობისათვის.

ამონაწერები დღიურებიდან და ჩანაწერებიდან:
«არა ისე, როგორც კლასიკოსებთან _ კარგი სულ ბოლომდე კარგია, ცუდი _ ცუდი.»
«სასამართლოში მარინა სულ ბოლომდე შურისმაძიებელი ჰგონიათ!»

მარინას სულიერ ევოლუციაში, რაც, ფაქტობრივად, ნიშნავს გზის გაწმენდას მისივე გულის სიღრმეებისაკენ («ჩვენ, ეხოები, ვამბობთ იმას, რაც არის გულის სიღრმეში», «ეხოები ვართ იმისათვის, რომ ადამიანის მზერა გადავიტანოთ ზედაპირს იქით»), ვლინდება ყველაფერი ის, რაც შურისძიების შესახებ ითქვა ზემოთ. ამ გზაზე მარინას ეხსნება სულიერი, თითქოს «იქითის იქით» ხედვა. ის ეზიარება იმ სამყაროს, სადაც საერთოდ არ არსებობს შურისძიება. ამას მოწმობს გიოს უმადური ლანდი, რომელიც, თითქოს რაღაცით შეურაცხყოფილი, უკმაყოფილო, ზურგს შეაქცევს თავის შეყვარებულს, თითქოს აღარ უნდა მისი სიყვარულის მიღება («ო, რა უმადურია მკვდარი ადამიანიც კი, შენ ამდენი იწვალე, რა არ ქენი, ის კი როგორ გიყურებს. მიდი, აკოცე, ო, უმადურო ლანდო, ბრუნდები იქით, არ იღებ შენ სიყვარულს, ახლა აღარ გინდა, რა, მარტო წოლა გერჩია?! ჩვენ აღშფოთებულები ვართ, ხმები, ო, უმადურებო.») მარინა მოულოდნელად აღმოაჩენს, რომ მისი შეყვარებულის სული მიანიშნებს შენდობაზე, რაც სრულიად განსხვავდება მათხოვრის სულ ცოტა ხნით ადრე ნათქვამი სიტყვებისაგან _ «ვგრძნობ, რომ მსხვერპლს მსხვერპლი მოჰყვება ზედვე, არ მოისვენებს იმ ბიჭის სული.» ის მოულოდნელად ხვდება იმასაც, რომ გზა შენდობისაკენ მხოლოდ მსხვერპლის ცნებაზე გადის.

შავ ავტოგრაფში არის გიოს მკვლელობის ეპიზოდი, საიდანაც ირკვევა, რომ ამ მკვლელობას შურისძიებათა ჯაჭვი ედო საფუძვლად. გიოს ხასიათი წააგავს ლადო ქოქიაშვილისას და, საფიქრებელია, მათი მკვლელობის რეალური მიზეზიც ერთია _ შურისძიება. ეს ეპიზოდი თეთრში ამოღებულია (იხ. აქვე «თეთრი და შავი ვარიანტების შედარებისას»).

ასე რომ, ნაწარმოების ძირითადი აზრი საკუთარი სულის სიღრმეების ძიებაა. ალბათ, სწორედ ამის გამოხატვა უნდოდა გურამს შავი ვარიანტის სათაურით: «აცადეთ სიყვარული მარინას», ე.ი. აცადეთ ბოლომდე ჩაჰყვეს თავის გრძნობებს, რადგან მაშინ ამოტივტივდება მხოლოდ ადამიანის გულის სიღრმეში ჩამალული უნარი ჩაიტიოს ყველას სიყვარული, მათ შორის მტრის სიყვარულიც კი. პიესის ბოლოსათვის მარინაში, შინაგანი ხმის გაღვიძების შემდეგ, ადგილი აღარ რჩება შურისძიებისათვის. ყველაფერი ემორჩილება თითქოს ქრისტიანულ სიყვარულს, რომლის საფუძველშიც მსხვერპლის ცნება დევს (სხვათა შორის, «მსხვერპლზე»

ლაპარაკია ამ პიესისათვის გაკეთებულ ჩანაწერებში). ეს სათაური გურამმა მისთვის ჩვეული იუმორით გააბიაბრუა: «დავარქმევდი «აცადეთ სიყვარული მარინას,» ოღონდ მეშინია, არ ეგონოთ «მიეცით ქმარი ანნა ზაკეოს»). აქვე მინდა შევჩერდე გურამის მიერ შერჩეულ და ასევე მის მიერვე უარყოფილ პიესის მეორე სათაურზე, თავისი კომენტარით: «მეზღვაურები პორტში _ ზედმეტად სიმბოლურია». შეიძლება ითქვას, რომ ასეთი განცხადებები ბუნებრივია მწერლისათვის, რომელიც, მისთვის ჩვეული დამოკიდებულებით სიმბოლურობისადმი, არჩევს ყველაფერი გადაიტანოს სიღრმეებში, ამოცნობა არამოცნობის ზღვარზე. გურამის მიერ შემოთავაზებულ სათაურებში (იხ. ნაბეჭდი ტექსტი) ჩანს, რომ ნაწარმოების არსი ნებისმიერი წერტილიდან შეიძლება გაიხსნას.

იყო კიდევ ერთი რაღაც, რაც, ცხადია, ისევ ზემოთ მოყვანილ აზრებთანაა დაკავშირებული და ასევე მოიცავს მწერლის მთელ ცხოვრება-შემოქმედებას: ეს არის გურამის რწმენა ადამიანთა შინაგანი, სიღრმისეული ერთიანობისა ყველა შემთხვევაში, როგორი შეუძლებელი, წარმოუდგენელი და პარადოქსულიც არ უნდა ჩანდეს ეს ერთი შეხედვით. როგორც ჩანს, ამის ყველაფრის მიმნიშნებლად მიიჩნია მან მაშინ ჩემი ისე წამოსროლილი სიტყვები. ყველაფერი მისაღები იყო მისთვის, რაც ადასტურებდა ერთი ადამიანის შინაგან ლტოლვას მეორისადმი და შურისძიების, მტრობის, სიძულვილის გრძნობის ზედაპირულობას.

ამ პიესაში არის კიდევ ერთი მომენტი, რაც მწერლის შემდგომ შემოქმედებაში სხვადასხვა ფორმით იჩენს ხოლმე თავს: ყველა სხეული ერთნაირად ვარგისია სულის ამაღლებისათვის. აქ ჩანს, ისე როგორც შემდეგ «შაშას რევოლუციაში», თითქოს ნაკლული სხეულის უპირატესობაც კი სულიერი წინსვლის გზაზე («შაშა შეიძლება სულაც იმით სჯობდა სხვებს, რომ იყო ჩოლახა. რაც უფრო მეტი ჩოლახა იყო, მით უფრო»). ისეთი შეგრძნება მრჩება, რომ გურამმა დაიწყო მარინათი, ანუ შურისძიებით. ცირას მნიშვნელობა მისთვის, შესაძლებელია, გასაგები გახდა მხოლოდ წერის პროცესში. კუტი გოგო ცირა, თავისი ავადმყოფობის გამო, თითქოს უკვე არის ის პიროვნება, საითკენაც მიდიან სხვა პერსონაჟები. ამის თაობაზე წერდა გურამი როგორც ოდესის დღიურში, ისე თბილისში დაბრუნებისას.

«*…ამ წამში პირველად დავფიქრდი, მიყვარს თუ არა ჩემი გმირები. ჯერ ისე არა. მიყვარს ცირა და კა და კო, ახლები: სხვები კარგა არ მესმის. ჯერ ისინი ბატონობენ ჩემზე და არა მე იმათზე.*» (ოდესის დღიურიდან)

«გუშინ ვიყავი მანანასთან, .. გაარჩია ჩემი პიესა. საოცარია, ჩემების გარდა, ვერავინ ვერ ხედავს ცირას. ამ დროს ცირაა მთავარი» (თბილისის დღიურიდან).

ამავე ტიპის გმირების რიგს მიეკუთვნებიან «მარინას» მომდევნო ნაწარმოებების პერსონაჟები: ძაგანია, შაშა, იულონი, «ლოთი-წინასწარმეტყველი» «დღიურიდან», აშაქალი და სხვები.

ჩემი ძმა მოსკოვში ჩასვლის პირველი დღეებიდანვე გვწერდა წერილებს როგორც ოჯახის თითოეულ წევრს, ისე ამხანაგ-მეგობრებს. ამ წერილებში (იხ. ტომი 5.) გურამი გვიყვებოდა თავისი შემოქმედებითი ცხოვრების, საყოფაცხოვრებო პრობლემების შესახებ და ვრცლად მსჯელობდა იმ მწერლებსა და ნაწარმოებებზე, რომელთაც მაშინ კითხულობდა. ქვემოთ ვაქვეყნებთ ამონაწერებს მოსკოვის დღიურებიდან და წერილებიდან, რომელთაც გასდევს «მარინაზე» მუშაობის კვალი.

დღიურებიდან:

«საშინლად დავქლიავდი. დავიწყე მუშაობა პიესაზე. ვიჯექი მარტო, ნეტა არ მოვიდეს ხაზეიკა, მთელი ღამე ხვრინავს, ლაპარაკობს აუარებელს, საერთოდ შემპარავად აუტანელია. ფულმა უბედურად მომიჭირა, დღეში თუმანზე მეტს ვერა ვხარჯავ, მაინც წამძლია სულმა და მეტროში ვიყიდე ნაყინი 2 მან. ისევ ამერია გზა…» /1958 წლის 29 იანვარი/.

«საშინლად ცხად სიზმრებსა ვხედავ …... დავიწყე მუშაობა _ პიესა ხურდება _ წინ კიდევ იმდენი მაქვს სამუშაო, სულ თავშია ჯერ _ ახლა ვგრძნობ, დრო ისედაც ცოტა ყოფილა საერთოდ /რაღაც სიბრძნე მინდოდა დამეწერა _ დამავიწყდა/.» … /1958 წლის 8 თებერვალი./

«დღეს დავამთავრე, სულ ახლა, შვიდ საათზე, პიესა _ შავად, რა თქმა უნდა. ადგილებით ძალიან კმაყოფილი ვარ, ხაზეიკა მიზის გვერდზე და ყბედობს .. მინდა დღიურის წერა. პიესა დავწერე სამ დღეში. პატარა ბავშვივით გამიხარდა. მოვიდა თუ არა ხაზეიკა, ვუთხარი _ აი, რამდენი დავწერე, და გავწითლდი _ სულელი ვარ. რვა საათზე უნდა შევხვდე კოკას. ..» (კოკა იგნატოვი)

გურამმა «მარინა» თეთრი ვარიანტის დამთავრებისთანავე გადმოგვიგზავნა მოსკოვიდან ბანდეროლით. გვთხოვა წაგვეკითხა და მიგვეწერა ჩვენი აზრი.

პირველი წერილი მოსკოვიდან (იანვრის ბოლო):

«მარინე!

მოვეწყე საზიზღრად _ ოღონდ დედას არ უთხრა _ ამ დღეებში გადავალ კარგ ადგილას. მოსკოვი სანახევროდ გავიცანი, მეტრო მაინც. პირველ დღეს ვერაფერი განსხვავება ვერ ვნახე თბილისთან……

ვზივარ სამკითხველოში და იქა ვწერ. გუშინ წავიკითხე ესქილეს ტრილოგია «ორესტეა»…… ძალიან მომეწონა, განსაკუთრებით, «აგამემნონი». მაშინვე შევნიშნე, რომ სხვა ქალაქში ვიყავი.

… რაც გინდა, იმის დაწყებას ყველაზე ძალიან გაურბიხარ. … ოცნებისას ყოველთვის ცდილობ, რომ ძირითადთან რაც შეიძლება გვიან მიხვიდე .. გზაზე იგონებ კიდევ ათას ხიფათს, როგორც ჰომეროსი უგონებდა ოდისევსს _ რო მიღწევა უკვე სასიამოვნო აღარ არის _ ოდისევსის მოგზაურობა სწორედ იქ თავდება, გამარჯვებასთან… ამასობაში დავწერე პიესა (იგულისხმება «მარინა» _ მ.რჩ.), რამდენიმე წერილი, დღიური, წავიკითხე სხვა წიგნი…..»

«..ამას წინებზე ბანდეროლით გამოვგზავნე ჩემი პიესა, წაიკითხეთ თუ არა? მარინემ მომწეროს თავისი აზრი სრულიად ობიექტურად, თქვენც...»

«გამარჯობათ!

დღეს მივიღე თქვენი წერილი.

მარინე!

თემო!

ერლომ!

მოდი, ყოველგვარ საერთო განხილვას, საერთო პასუხის მოწერას და მაგდაგვარ მატრაბაზობებს თავი დაანებეთ. (რასაც ისედაც არ გააკეთებთ, მხოლოდ იმსჯელებთ თავისთვის. შენზე კარგად ვიცნობ ჩემს ძმაკაცებს და ჩემს დას). რაც გითხარი, ქენი ისე, წაკითხე სასწრაფოდ ნოდარს და მომწერე მისი აზრი, მხოლოდ ნაკლების შესახებ. ან თვითონ მომწეროს, გესმის! (ნოდარ ჩხეიძე, ცნობილი ფილოლოგი, მაშინ ჟურნალისტიკის კათედრის გამგე, გურამის მეგობარი. იხ. ტომი 1.)

«გურამ!..

შენი პიესა მივიღეთ დღეს. ჯერ არ წამიკითხავს. წავიკითხე ბოლოსიტყვაობა... დედამ შენი პიესა უკვე წაიკითხა. Eეტყობა ძალიან მოეწონა, მაგრამ აზრი თავშეკავებულად გამოთქვა. Eეს კი მითხრა _ იმედი მომეცაო, ისე წავიკითხე როგორც სხვისი დაწერილი წიგნიო. არ მოეწონა მხოლოდ ერთი ადგილი, იქ, სადაც მეზღვაურები ჩანან ტელევიზორში. მერე გაირკვა, რომ საქმე თემოში ყოფილა. ბოლოსიტყვაობამ თავზარი დასცა (რაც მე მომეწონა).

მარინე».

ამონაწერები მამასა და გურამის მიმოწერიდან «მარინას» შესახებ (წერილები შემოკლების გარეშე დაიბეჭდება მეხუთე ტომში):

«გურამ, კარგა ხანია მინდოდა წერილის მოწერა შენი პიესის შესახებ, მაგრამ ვერ მოვიცალე.. ძალიან მომეწონა. მაგას ნამდვილად ეტყობა, რომ გიმუშავია. მშვენივრად არის გაკეთებული დედააზრიც და მისი გადაჭრის მხატვრული მხარეც. მეზღვაურების სცენაც საწინააღმდეგო შეხედულების გასავითარებლად, ჭორები და მითქმა-მოთქმაც მარინეზე,_მათხოვარიც და თეთრი ლექსებიც. რასაკვირველია, საჭიროა შიგადაშიგ შეკეთება, რომ ყველა ნაწილი ერთნაირად ძლიერი იყოს. მაგრამ, ჩემის აზრით, ამ პიესას აქვს ისეთი იდეოლოგიურ-პოლიტიკური მხარე, რომლის გამოც, მე მგონია, არც დაბეჭდავენ და, მით უმეტეს, არ დადგამენ. ესენია:

1. შენს პიესაში ერთი ბოროტმოქმედი და ისიც კანონის წარმომადგენელი, დაუსჯელი რჩება (სხვათა შორის, მსაჯულს მდივანი არა ჰყავს, უნდა იყოს მოსამართლე). ეს არ არის პროგრესიული არც ერთ ეპოქაში და, მით უმეტეს, ჩვენში არ ითვლება პროგრესულად. ამაზე დეკადენტობას მოგაწერენ. მოიგონე, თუნდაც, ჰამლეტი. ბოროტი მეფე კვდება ჰამლეტის ხელით. მართალია, ჰამლეტიც კვდება, მაგრამ მის ადგილს იჭერს პროგრესიული პირი (რომელიც ჰამლეტსაც უნდოდა) და აქედან ჩანს, რომ სიბოროტეს ბოლო ეღება. მოიგონე თუნდაც ოტელო, მართალია, ყოველგვარმა სიბოროტემ თავისი ნაყოფი გამოიღო და ბოლოს იაგოს, ამ სიბოროტის ჩამდენს, იჭერენ იმისთვის, რომ სათანადოდ დაისაჯოს. ეს პროგრესიულია, რადგან ჩანს, რომ _ ყოველგვარი ბოროტება დაუსჯელი არ რჩება.

მე მგონი, თუ ბევრს არ დაუმატებ, ბოლოში მოკლედ შეგიძლიან გააკეთო. მაგალითად, მოსამართლის მდივანი ცირა, მიუხედავად უფროსის წინაშე შიშისა, იმდენად შეიძლება აღშფოთდეს მოსამართლის ბოროტებით, რომ წავიდეს მის წინააღმდეგ საქმის აღსაძვრელად და შემდეგ მათხოვარმა ან სხვა მის მაგიერმა იმავე თეთრი ლექსით ერთი მონოლოგი თქვას, საიდანაც გამოჩნდება ამ მოსამართლის დასჯა და ყოველგვარი სიბოროტის (დანაშაულის) საბოლოოდ მაინც დაუსჯელად არდატოვება.

2. დღეს ქალაქებში მათხოვრებს იჭერენ და ასახლებენ სხვაგან, სადაც უნარის მიხედვით სამუშაოს აძლევენ. მით უმეტეს, არასგზით არ გაუშვებენ მათხოვარს პიესაში და ისიც ფრონტის ინვალიდს. მე მგონია, პიესა არაფერს არ წააგებს, თუ შენ იგივე ფრონტის ინვალიდს, ვთქვათ, პაპიროსების გამყიდველად გადააქცევ. მას ყველაფერი შეუძლიან თქვას, რასაც შენი მათხოვარა ამბობს.

(ფრონტზე ორჯერ დამარხული ვარ და სხვა... და ჩემგან იყიდეთო. დაემდუროს თავის ბედს, რომ ვაჟკაცს ახლა პაპიროსების გაყიდვის მეტი არაფერი შეუძლია. ისიც, რომ გიო ხუთ მანეთს მეტს აძლევდა ხოლმე პაპიროსში; ისიც შეიძლება დარჩეს, რომ საჭმელს აძლევდნენ, რადგან ეცოდებოდათ, ისიც, რომ ლუდის გამყიდველი ერთ

ჭიქას უფასოდ ასმევდა, რადგან ფრონტის ინვალიდი იყო და ეცოდებოდა (ამით კიდევ უფრო მოიგებს პროგრესის თვალსაზრისით და სხვა). ამ ინვალიდს, მოძრავი ფუნდუკის გამყიდველს, შეუძლია პიესაში ყველა მოვლენა გახსნას ისევე, როგორც მათხოვარი ხსნის, ამით პიესა არაფერს წააგებს და პოლიტიკურად ბევრს მოიგებს. მით უმეტეს, რომ მეტად უმნიშვნელო შეკეთება დასჭირდება.

აი, ეს არის ჩემი არსებითი შენიშვნები, თუ გაიზიარებ. ზოგიერთი შენიშვნა გამოთქმებზე, ქართულზე და სხვ,

1. მარინა რუსულია. უნდა იყოს მარინე.

2. ქოფაკი თათრულია. იყოს ძაღლი ან მეცხვარული ძაღლი.

3. სკრიპკა _ ვიოლინო.

4. გვ. 4, მოდღლეზილი ციგანი _ ჩანჩურა ბოშა, ან ჩამოხეული და სხვ. იმისდა მიხედვით, რა გაგებითაა ნახმარი.

5. ციგანი _ ბოშა.

6. არ არის კარგი, როდესაც ყველა ნაწარმოებში შენი და შენი ამხანაგების სახელებია. საჭიროა შეიცვალოს სხვა სახელებით.

7. პაჩებნიკიანი _ გლუსუნებით.

8. გვ.7, «ბუნებაში იყო შეზრდილი» უნდა იყოს «ბუნებასთან იყო შეზრდილი.»

9. გვ. 12, სკრიპკაზე დამკვრელი _ ვიოლინოზე დამკვრელი.

10. ათსტრუნიანი _ ათსიმიანი.

11. გვ. 34. და სხვაგანაც: ვაჟზე არ შეიძლება ქერა ჩოლკით _ ქოჩრით.

(ჩოლკა ქოჩრის ერთ-ერთი ფასონია და ისიც ქალებსა აქვთ).

12. გვ, 35. ძმაკაცი _ ქუჩურია, უნდა იყოს მეგობარი.

13. გვ,41. შუხური წმინდა ავლაბრული სომხურია და ქართულად აყალ-მაყალს, კინკლაობას ნიშნავს.

14. გვ. 43. იაზვად _ მართალია, რუსულია, მაგრად ქართველი კინტოები ხმარობენ და ქართულად გამაღიზიანებელი უნდა იყოს.

15. გვ. 44. უდილიხოროდ _ წმინდა კინტოური, ქუჩური სომხურია და სხვ.

16. ერთი სიტყვით, ამ გამოთქმებსაც მიაქციე ყურადღება. თუ გაითვალისწინებ ამ შენიშვნებს და საჭიროდ დაინახავ სათანადო შესწორების შეტანას, მე მგონი, რომ პიესა მოიგებს იმით მაინც, რომ ძირითადი აზრი დარჩება დაუმახინჯებლად და გამოცემის საშუალებაც მოგეცემა...

გაკოცებ ბევრს შენი მამა.
27. IV. 58 წ.»

მამას გურამისაგან:

« ... მე მგონი, გაცილებით ნაკლებს წააგებდა «ოტელო», რომ თვით ოტელო იყოს მავრის მაგიერ ქართველი ან ინდიელი, ვიდრე მთავარსარდლის მაგივრად რომ იყოს დიპლომატი ან მკერავი. ამ შემთხვევებში პიესა უნდა გადაკეთებულიყო მთლიანად და, ალბათ, თავისი მხატვრულობის თუნდაც მეათედი /ყველაზე ცოტა/ დაეკარგა. ასევეა ჩემი მათხოვრის და მემწვანილის ამბავი. მემწვანილე რაღაც გარკვეული ფენის წარმომადგენელია სოციალურად, ასე თუ ისე უზრუნველყოფილი, ე.ი. გარკვეულ სურვილებზე პრეტენზიის მქონე, მათხოვარა კი შეიძლება იყოს (გახდეს) მემწვანილიდან მეფემდე ყველა, ვისაც ეყოფა ძალა მოიკლას თავი, როცა სხვა გამოსავალი აღარ დარჩენია .. მე მგონი, ბოროტმოქმედი არსად ისე დასჯილი არ ყოფილა, როგორც ჩემთან (ყოველ შემთხვევაში, მე არ ვიცი). ყველაზე დიდი სასჯელი ეს არის, მორალური სასჯელი, განსაკუთრებით, სცენაზე და სცენაზე მომხდარი

ამბების შეფასების დროს. ფიზიკურს გრძნობს ერთი კაცი ან რამდენიმე, ხალხის მორალზე კი ისე ძლიერად არაფერი მოქმედებს, ისე ძალიან არაფერი აღელვებს, როგორც დაუსჯელი ბოროტმოქმედება და მაყურებელს ყველა მსაჯულზე უფრო სასტიკი და სწრაფი სასჯელი გამოაქვს ბოროტმოქმედისათვის. ავიღოთ ისევ ოტელო: წარმოიდგინე ერთი წამით, რომ იაგო ვერ დაიჭირეს, ის დგას, ყველა მკვდარი გდია, იცინის. აი, სად ავიდოდა უმაღლეს დონეზე ხალხის ზიზღი ამ ადამიანისადმი, ეს იქნებოდა მთელი პიესის განმავლობაში განვლილი ღელვების ტოლფასოვანი.

ამ ღელვისათვის იწერება როგორც კომედია, ისე ტრაგედია. რაც უფრო მეტს ღელავს ადამიანი და რაც უფრო მეტ ხანს მიჰყვება ეს ღელვა, მით უფრო მეტ სიამოვნებას განიცდის ის, თუმცა არასოდეს უტყდება თავს, რომ სცენაზე ნახული სიბოროტეა სწორედ მისი სიამოვნების საგანი და არა ბოროტმოქმედის დასჯა, რომელიც უმეტესად მხოლოდ შედარებით აწყნარებს, აწონასწორებს განვლილ ღელვას. ამიტომ არის, რომ კომედია ფარდის დახურვისთანავე გავიწყდება (ის მხოლოდ შენ ფიზიკურ მხარეზე მოქმედებს ძირითადად), ტრაგედია კი არ გასვენებს, არ გაძინებს და სხვა. სწორედ ამ შეწუხებაშია სიამოვნება. არიან ადამიანები, რომელთათვისაც ეს სიამოვნება ეთანხმება პირად სულიერ და ფიზიკურ განცდებს, მათ ითრევენ ძლიერი შეგრძნებები, ისინი დახეტიალობენ აფრიკის სიცხეებში, ან უყვარდებათ ვინმე და სიკვდილამდე მის დევნაში ატარებენ .. ან აკეთებენ უზარმაზარ მსხვერპლს მეცნიერებისათვის. მაგ. იშხაპუნებენ რაიმე ახლად გამოგონილ შრატს ... მომავალში ჩასხდებიან პირველ რაკეტაში და გაფრინდებიან მთვარისაკენ, ასეთები არიან შედარებით ცოტა, მეორე ნაწილი არჩევს ეს ღელვა განიცადოს თეატრის ლოჟებიდან, ბევრი მათგანი გაცილებით უკეთ განიცდის და მეტს, ვიდრე პირველი წყება ხალხისა და სხვა და სხვა .. აქვე შედიან, ალბათ, ავტორებიც. ყოველ შემთხვევაში, როგორც ცნობილია, შექსპირს თავი არ მოუკლავს ოტელოსავით, ე.ი. ფიზიკურად. მაგრამ მან განცდით მოიკლა, მორალით, თავისი თავი, ამიტომ ეს ყველა თვით მაიაკოვსკის ფაქტიურ თვითმკვლელობაზეც გაცილებით მაღლა დგას. სულიერი ღელვა, აი, ცხოვრების უმაღლესი პრინციპი და სიამოვნება _ უამისოდ სწყინდებათ ადამიანებს. აიღე შვედეთის ამბავი, სადაც ხალხი მატერიალურად უზრუნველყოფილია, სულიერი განცდა იმდენი არა აქვთ, შინაგანი დიდი ბუნება, ამიტომ გამოიფიტნენ და ახლა იქ ისეთივე ნორმალური ყოფილა თვითმკვლელობა, როგორც სიცოცხლე, უფრო სწორად, ბუნებრივი სიკვდილი.

1958 წლის 4 მაისი.»

«ჩემო გურამ! ძალიან მომენატრა შენი ნახვა, მოუთმენლად გელი და იმედია მალე ჩამოხვალ. ჩვენ კარგადა ვართ, ... ძალიან მინდა შენი ნახვა და შენთან საუბარი. ბევრი მაქვს სალაპარაკო შენს პიესაზედაც. შენი განმარტება მივიღე ჩემს შენიშვნებზე. შესაძლებელია ბევრში მართალი ხარ, მაგრამ, მე მგონი, ზოგიერთ საკითხში სცდები. სახელდობრ იმაში, რომ ადამიანი გამუდმებულად აღგზნებულ და ნერვიულ მდგომარეობაში რომ (ამყოფო). მართალია, აღგზნება თავისთავად განცდასთან არის დაკავშირებული და ამდენად დაჭიმულ მდგომარეობაში გაგდებს, ამიტომ არის ადამიანისათვის საინტერესო, მაგრამ აღგზნება უნდა იყოს ხანმოკლე. ადამიანის ორგანიზმი ისეა მოწყობილი, რომ ხანგრძლივ აღგზნებას ვერ იტანს, ის უკვე პათოლოგიაში გადადის და თუ დიდხანს ამყოფე ფსიქიკა აგზნებულად, კაცი გიჟდება. ამიტომ პერიოდულ აგზნებას სიმშვიდე უნდა მოსდევდეს, ორგანიზმი ისვენებდეს. ეს არის ადამიანის ბიოლოგია და მისი ხანგრძლივი ან გამუდმებული

შეცვლა პათოლოგიაა. ამიტომაა რომ კომედია სჯობს ტრაგედიას ადამიანის კარგად ყოფნისათვის, მაგრამ ტრაგედიაც კარგია იმისათვის, რომ მუქ ფერებში ადამიანმა ცხოვრების სინამდვილე დაინახოს და იქიდან პრაქტიკული დასკვნა გააკეთოს. ამიტომ პრაქტიკულად ყოველი მხატვრული ნაწარმოები ისე უნდა გადაიჭრას, რომ ჯერ აიყვანოს აგზნების კულმინაციურ წერტილამდე და შემდეგ დაგამშვიდოს. სხვაგვარად მოქმედება ადამიანის ბუნების წინააღმდეგია და ამიტომ ხანგრძლივ სიცოცხლეს მოკლებულია.

საერთოდ ადამიანი იმით განსხვავდება, რომ მას ცხოველური ინტერესების გარდა (ჭამა, გამრავლება) აქვს კეთილი ცხოვრების ინტერესებიც. კეთილი ცხოვრება კი ეს ტრაგიკული ხასიათის აგზნება არ არის. Eეს უფრო ნერვების დამამშვიდებელი სიმხიარულეა და სიმშვიდე, და თუ ცხოვრებაში, სცენაზე, რომანში ის განიცდის ტრაგედიას, მხატვარმა მას შემდეგ მას სიმშვიდე უნდა მისცეს, რომ ამ საშინელების გამუდმებული გავლენის ქვეშ არ იმყოფებოდეს და მისი სული მუდმივ შფოთს არ განიცდიდეს.

ავიღოთ იგივე ოტელო. შენ ამბობ იაგო რომ არ დაეჭირათ და ის დასდგომოდა დაღუპულ დეზდემონას და ოტელოს და ეტირა, ეს უფრო მეტად აღაგზნებდა ადამიანს და მის სულს ხანგრძლივად ააფორიაქებდა. ეს მართალია და ამიტომაც არის ცუდი მაგისთანა ბოლოს მიცემა. შექსპირი დიდი ადამიანი იყო სწორედ იმიტომ, რომ სხვა ყველაფერთან ერთად მას ადამიანის ბუნებაც კარგად ესმოდა, ამიტომ მისცა მან თავის საშინელ ტრაგედიას შერბილებული ბოლო (ესეც შედარებით).

ერთი სიტყვით, რომ ჩამოხვალ, მერე ვილაპარაკოთ...

გაკოცებ ბევრს, შენი მამა.
1958. 20. მაისი.»

«პიესა, ორიგინალური ბოლოსიტყვაობით და ანდერძით», სათაურით «მარინა», პირველად გამოქვეყნდა ჟურნალ «ცისკარში».

კა და კო

არქივში ინახება «კა და კოს» შავი (1-100გვ.) და თეთრი (1-96გვ.) ავტოგრაფები, აგრეთვე, 1960 წლამდე მწერლის მიერ ნასწორები, მანქანაზე გადაბეჭდილი ცალი (1-60გვ.). შავი ავტოგრაფი დაწერილია ისეთივე ბლოკნოტის ტიპის რვეულის ორსავე გვერდზე, როგორშიაც «მარინას» შავი და თეთრი ავტოგრაფები, უმეტესად, გაურკვევლობამდე გაკრული ხელით, ლურჯი ფერის მელნით, ნაწილობრივ, ქიმიური ფანქრით. ხელნაწერზე დაკვირვება მოწმობს, რომ წერა რამდენჯერმეა განახლებული: ვფიქრობ, თავდაპირველად, დაწერილია კოს სიმღერამდე (შავ ხელნაწერში მინიშნებულია ჩანართის ადგილი), შემდეგ ახლად შევსებული კალმით სიტყვებიდან: «შორიდან მოდის დედა» _ დედის სიმღერამდე (მინიშნებულია ჩანართი). წერა განახლებულია ქიმიური ფანქრით მეორე მოქმედებამდე. მეორე მოქმედება იწყება სხვა ფერის მელნით. ექსპოზიცია (იხ. ქვემოთ) გადაშლილია მწერლის მიერ. ახლად ავსებული კალმით წერა განახლებულია სიტყვებიდან «წინ გამოდის ვეირამუტი» «სხვა ხეებამდე». შემდეგ წერა შეწყვეტილია და გაკეთებულია

მინაწერები (იხ. ქვემოთ). ისევ ახლად ავსებული კალმით გურამ-გურამის სიტყვებიდან «ვეირამუტ, მე მქონდა იმდენი ძალა, რომ შენთან მოვსულიყავი» ბოლომდე, როგორც ჩანს, დაწერილია ერთი ამოსუნთქვით. ტექსტი მთავრდება ბლოკნოტის ბოლოს ჩამატებულ ორად გაკეცილ თაბახის ფურცელზე.

ნაწარმოები პაგინაციის გარეშეა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, შავ ვარიანტში მინიშნებულია კა და კოს, ვეირამუტის, ტია-ტუს, დედის სიმღერის და სხვა მონოლოგების ჩასამატებელი ადგილები. ნაწარმოების დაწერის შემდეგ არეზე გაკეთებულია სხვადასხვა მინაწერი. გადათეთრებულია ლამაზი ხელით რვა თორმეტფურცლიანი რვეულის ცალ გვერდზე. სათაური და თარიღი არა აქვს არც ერთ ვარიანტს. თეთრი ხელნაწერის ყდაზე ფანქრით დაწერილი სათაური: «კა და კო (ფიქრები გოგენის სურათთან «მაშ შენ ეჭვიანობ?») ეკუთვნის სხვას. სათაური აწერია მხოლოდ 1960 წლამდე, ე.ი. მწერლის გარდაცვალებამდე, დაბეჭდილ ვარიანტს. «კა და კოს» ქვესათაური, როგორცა ჩანს, გურამმა გაუკეთა უკვე თბილისში (იხ. ნაბეჭდი ტექსტი).

რამდენიმე ადგილას ნაბეჭდ ვარიანტში მწერლის მიერ შეტანილი, თეთრი ვარიანტისაგან განსხვავებული, ტექსტი მიჩნეულია მწერლის ბოლო ნებად და გათვალისწინებულია წინამდებარე გამოცემაში. ბოლო ცარიელ გვერდზე სხვისი ხელით მიწერილია ჩვენი ბინის ტელეფონის ნომერი: 3-24-20.

ამონაწერები მოსკოვის აპრილის დღიურიდან:

«ა. გამოქვაბული. ინდიელი გოგონა ღეჭავს ყველაფერს, რაც მოხვდება. მისი მამა.

1. სწავლობს სკოლაში ანტონიუს და კლეოპატრას, ან კლეოპატრა და ცეზარი.

2. არაფერსაც არ სწავლობს, მარტო იცის სიყვარული ან ისიც არა _ ესმის მარტო სქესი ცხოველივით.

აზრი: ყველაფერი მიდის, იცვლება და ძირს ვერაფერი ვერ გასცდება.

ინდიელი გოგონა. (ეპიზოდი: მარინას აქვს ლადოს თმები) _ გიყვარს მანამ, სანამ გაქვს რამე მატერიალური, მერე იწყება ილუზია და რახან შთაბეჭდილება არ მეორდება _ ქრება ცეცხლი უშეშოდ _ რჩება სუსტი მოგონება _ ნაცარი _ ვინმეს პირს უნდა ვათქმევინო ეს _ ჯობია თქვას გამოქვაბულის პირმა, თქვას მგლებზე, დათვებზე, სირაქლემებზე, რომლებიც ამ ველური გოგოს ტრაგედიამდე ცხოვრობდნენ ამ გამოქვაბულში, თქვას ფუტკარზე და ყვავილებზე _ წინ ადამიანისკენ იზრდება სიყვარული, უფრო მეტ ხანს რჩება მოგონება და მაინც კვდება, რადგან კვდება თვით ადამიანი _ ის მოგონება კი მის სიკვდილამდე კვდება _ შემთხვევა, როცა არ კვდება: ადამიანი ატყუებს თავს ილუზიით, მგლოვიარე მდგომარეობას შეეჩვია და სიამოვნებს. უნდა გაკეთდეს ისე, რომ გოგო თვითონ კლავდეს თავის შეყვარებულს ნახევრად შემთხვევით.

□□გავიგე, რომ სადღაც აღმოაჩინეს 1500 ველური სამხრეთამერიკელი ინდიელი. შურმა თუ ჟინმა შემიპყრო: რატომ არ უნდა იცოდნენ იმათ ჩემი სახელი.

□□სიზმარი _ ხეობა ეშვება ქვევით, აწყვია არაჩვეულებრივად არეული ლოდები, თან საოცრად მუსიკალური სიმეტრიით დაწყობილი, ჩავდივარ ნელ-ნელა _ თემა ნახატისათვის.

□□დარდის გადასვლა თავისებურ გართობაში, შავები, ტონი, სამძიმრები, ყვავილები, მსაჯულები».

«ა. 1. შემორბის ინდიელი ველური მეომარი. ეკითხებიან: დაიღალე? ბევრი ირბინე? უქმი კითხვები, მეომარი იწყებს ფიცილს. იფიცებს ყველაფერს და გრძლად.

უხუცესი: ვინც ბევრს იფიცებს, ცოტა მართალს ამბობს. მეომარი: კიდე იფიცებს, რომ მართალს ამბობს. უხუცესი: ცხონებულ პაპაშენს უყვარდა ბევრი ფიცი. ე.ი. მამასთან ლაპარაკობენ ყველაფერზე გარდა იმისა, რატომ მორბოდა ველური, დაღლა, გზა და სხვა. არ ლაპარაკობენ იმიტომ, რომ ყველამ იცის თურმე მიზეზი და მასზე ლაპარაკს ერიდებიან. მეომარს მოსდევდა ბურთობრივი ელვა, რომელიც კლავს.

3. გოგო ელაპარაკება მომავალ მეომარს: ეგ წითელი რა არი? _ სახელია ვისი? _ ჩემი, ვიცი, ეგ გული რატო დადის ასე? _ ო დავიღალე და ა. შ. «

ა: კინოაზრი: კაცის ძლიერი გარდაქმნა ფიზიკური გაჭირვებისგან გამომდინარე ...., აფრიკა, ჯუნგლი, ზღვა, ნაპირი.»

«სამი კურდღლის დაჭერა ჩემი საქმეა: ვუყურებ პიესას, ვფიქრობ ძირითადად ჩემს პიესაზე, ვცდილობ უსიტყვოდ მოვჩანგლო გოგო. მწამს, შუა კურდღელს, ალბათ, დავიჭერ _ ჩემს პიესას. ორი, ალბათ, ქვეშეცნეულად მეხმარება _ საერთოდ საშინელი გაფანტული მაქვს ყურადღება. ცუდია? კარგია.»

«მიკლუხო მაკლაი თვლის ყოველგვარ ცივილიზაციას ზედმეტ ელემენტად პაპუასების ბედნიერებისათვის _ რაც მთლიანად ეთანხმება ჩემს შეხედულებებს, რომელიც წამომეჭრა სერპების ცხოვრების გაცნობისას».

«პირველად გამოვთქვამ ასეთ სერიოზულ აზრს და ვაძლევ უფლებას თავს, დავეთანხმო მიკლუხო მაკლაის».

«წიგნები ველურებზე:

1. მიკლუხო მაკლაი.

2. მაგელანზე თავდასხმა.

3. ლივინგსტონი ველურებზე.

4. მოგზაურობა გვინეაზე.

5. ცნობები ეკვატორის ველურებზე» (1958 წლის 26 აპრილი. დღიური).

ამონაწერები პატარა ბლოკნოტიდან. დაწერილი უნდა იყოს ოდესაში (ნაწერია ქიმიური ფანქრით):

«ვეირამუტი იწყებს ძირიდან, დააწყობს ფეხებს დაფაზე.»

«შაყირი ჩემს ახალ პიესაზე: ასე იყო მილიონი წლის წინათ, პირველყოფილი კომუნიზმის დროს.

ვწერ დედის სიმღერას. ვსვამ ორ წერტილს და უცებ ვკვდები სიცილით, მაგონდება: დედას ჰყავდა ერთი შვილი.»

«ჰა ეე ფახ _ а ты ревнуешь?

Она называется Вайрамути.

მოქმედება ხდება მარტო ქალებში, იწყება გოგენის სურათით «შენ, რა, ეჭვიანობ?» მეომრები წასულები არიან ომში, ლაპარაკია ფარულად კაცებზე. ორ ველურ ქალს უყვარს ერთი ბიჭი, ის მოდის დაჭრილი გამოქვაბულში და იქ კვდება, ორივე ქალი უვლის, ორივე ეჭვიანობს, მერე ერთი ატყობს დაჭრილს, რომ უყვარს უფრო ვეირამუტი, ეჭვიანობს და განგებ წამლავს. მეომარი კვდება, ვისი სიკვდილის შემდეგაც ეჭვიანობს ველური ქალი და უფრო ახლო რომ იყოს მკვდართან, იმავე საწამლავით იწამლავს თავს.

სიკვდილის შეგრძნება: ახლა წამლავენ სხვას, მაშინ იწამლავდნენ თავს. არსი ერთი _ შური, სურვილი, რწმენა მისი ასრულების, სხვადასხვა. ეს არის და ეს.

ბოლო სცენა: გოგენის სურათი ისევ, ოღონდ მწოლიარე ქალი მოწამლულია _ ვაირამუტი (გურამი «ვაირამუტს» სხვადასხვანაირად წერს _ მ.რჩ.) *ეკითხება _ არა,*

გუნდი კითხულობს _ ალბათ, აღარ ეჭვიანობ ახლა შენ, ვეირამუტ _ ტიატუ სწორად ახლა ეჭვიანობს, გრძნობს რომ მკვდრების სამეფოში მისი შეყვარებულის და ვეირამუტის სულები უფრო ახლოს არიან, ის ნერვიულობს, გიჟდება, იღებს იმავე საწამლავს და იკლავს თავს.

ბოლო სცენა:

გოგენის ნახატი: ვეირამუტი წევს მკვდარი, ტიოატი თავით ეშვება მკერდზე _ მჯდომარე კვდება. დედაბერი, ბინძური, დაგლეჯილ ტანსაცმელში _ ბებერი პალმის ობიანი ფოთლებისგან _ ავყია, ბოროტი, ენატარტალა, ბებერი ქალის ორი პატარა გოგო, ტაიოტი და ვეირამუტიც მისი შვილები არიან _ (მატრიარქატი), ის ბიჭი ამ გოგოების ნახევარძმაა, კედლებზე ხატია ბუშმენების სურათები, გამოქვაბული ორივე მხრივ ღიაა, უკანა მხარე ხან არაჩვეულებრივად განათებულია და მოჩანს სიმწვანე და ზღვა.

ტაიოტი. ჭკვიანი ქალი ეჭვიანობს თავის პატარა დებისადმიც, რომლებისთვისაც მეომარ ძმას მოაქვს ლოკოკინები. ეჭვის ნიადაგზე უკეთებს სახიზღარ ტატუირებებს, ისეთს, რომ ყველანი უკან იხევენ მათგან _ რელიგიურად საშიშს. მარტო საუბარი _ მონოლოგი ხდება გუნდთან გასაუბრების სახით, გუნდი წარმოადგენს ეხოს და ამ დროს გამოქვაბულის კედლები მეტყველ სახეს იღებენ _ ბოროტს ან კეთილს.

მეომრის სიკვდილის სცენა:

გდია ვიაიატო. უკანა ფონზე მეომრები ასრულებენ სიკვდილის ცეკვას. ზევით დგას დედაბერი, იქნევს ტაქტში ხელებსა და თმებს, ზოგჯერ უტაქტოდ. ნელა იწევა ვიაიატო _ ხურდება დაფდაფი _ ის უცებ ხელდება, ხელები გაშლილი აქვს, კბილები დაკრეჭილი, თავი უკან გადაგდებული, ასრულებს სიკვდილის ცეკვას, ტიაოტი უახლოვდება, მეომარს ხელით ანიშნებს გაეცალოს, მიდის ვეირამუტი _ მეომარი თრთის, მთელი კუნთები უთამაშებს ტაქტში, უფრო ხელდება. ვეირამუტი ხელებს უსვამს ტანზე, გულიდან ჩამოდის ქვევით, ის არაჩვეულებრივი მორჩილი და მშვიდია, მისი ხელის მიკარებიდან მეომარს გულიდან გადმოსჩქეფს სისხლი (აქ დიდი ასოებით წერია: «მუსტრაგედია» _ მ.რჩ.), *გოგო ვაჟის ტანზე ხელების ჩამოსმით ნელა იჩოქებს მოცეკვავე სხეულთან, ტუჩებს აწებებს მის ფალოსს, მეომარი ხურდება, გიჟდება, მერე წამით არაჩვეულებრივი ძალით ჩერდება ადგილზე და ნელა და უცებ ეშვება, ეცემა.*

სიტყვები მთელი მოქმედების დროს, ლაპარაკობენ ეხოები: ხმები _ ეხოები: კეთილ ადამიანს ურჩევენ კეთილს, ბოროტ ადამიანს _ ბოროტს, ეხო ხომ გულის გამოძახილია. ადამიანები რჩევას ყურს უგდებენ და მაინც იმას აკეთებენ, რაც თვითონ უნდათ ფიზიკურ-სულიერად.

грация – привлекательность – красота ორივე ლამაზია. ერთს აქვს თაიგული თეთრი თავზე, სიმბოლო გრაციისა, რაც თვითონაც არ იცის, არც არავინ იცის, მეორეს არა აქვს.

ფიზიკურად უშნო, უფრო სწორად, უგრაციო _ გინდაც ლამაზი, უფრო ბოროტია.

Грация есть красота изменчивая, то есть красота мощная случайно возникает в своем носителе и также случайно исчезает. თავისი ქამარი გრაციისა ვენერას შეუძლია მოიხსნას და სხვას ათხოვოს, (...) თავისი სილამაზე კი შეუძლია მისცეს მხოლოდ თავის თავთან ერთად. Без своего пояса она уже не восхитительная Венера, без красоты она вообще не Венера.

ადამიანი, რომელიც გრაციის ქამარს ატარებს, ლამაზი კი არ ჩანს, არამედ მართლა ლამაზია _ ის ხდება მისი თვისება.

ეს ტომი თაყვანს სცემს მხოლოდ ეხოს.

ტიაოტი ემდურის ეხოებს, რომ თმებიც კი არ არგუნეს მეომრის, თმები კი წესით ერგება იმ ქალს, რომელიც ბოლოს, სიკვდილამდე, შეეხო მის ტანს მეომრისავე სურვილით.

ვაირამუტს ეფანტება თმები დაცემინების დროს და მაშინ მოსდის აზრი თავი მოიწამლოს ტიაოტივით იმავე საწამლავით, რომ წავიდეს მეომართან.

მაკლაი: эта свинья дается жителям Теныгум – о там Маклай ее заколет копьем что свинка будет кричать, а потом умрет, что Маклай развяжет ее, опалит волосы разрежет ее по частям.

ველური გოგოების თამაში: ძაფების ამოხვევა ხელიდან _ (ჩემი _) შელოცვა, ჩაფიქრება ამ დროს.

ის გოგო, ტიოატი, არ არის ბოროტი ბუნებით.

ქალებს აცვიათ გრძელი იუბკები, გლოვის დროს _ თითქმის არაფერი, არც რაიმე მორთულობა _ ხაზს უსვამენ თავის დარდს.

პაპუასებს ეშინიათ, როცა ხატავენ: ჩქარა სიკვდილის ნიშანია, ასეთივე აზრია ევროპაშიც. /რამე კავშირი გოგენთან./ ტოიაიტი ჩუმად ეპარება და ხატავს ვაირამუტს _ ვაირამუტი ტირის.

ბავშვების გართობები.

ტაბუ და სხვ.

ხორუმის მსგავსი ცეკვა.

ზოგჯერ პატარა გოჭებს პაპუასის ქალები თავისი ძუძუთი კვებავენ.

გამოსადეგია! სიმღერა გოჭის აღზრდაზე და გოჭის სიკვდილზე.

საოცარია. რა ერთნაირია ხალხი _ ადამიანი განვითარების ყველა საფეხურზე: ცნობისმოყვარეობა, ტირილი _ ქალების საქმე, კაცების სერიოზული სახე, საჩუქრები მეზობელ სოფელს, კეთილშობილება, უმადურება, თამაშები, მაგ. პაპუასები.

ერთმა ჩაავლო თავისი ცოლი სხვის ქოხში, წაათრია სახლში, ქოხის პატრონი ახტა _ მოხდა პერესტრელკა ისრებით _ ხშირია დუელი ქალისთვის.

პაპუასი ბავშვები ძუძუს წოვენ 3_4 წლამდე საჭმლის ნაკლებობის გამო _ სანამ კბილი გაუმაგრდებათ.

ეპიზოდი: ყანიდან ადრე დაბრუნებულმა ლაკომ ჩაავლო კალეუ, რომელიც ცოლს უქერავდა სახლში, კალეუ აითესა, ლაკომ სცემა ცოლს, მერე ატეხა პანიკა, მოიტანეს მშვილდისრები, ლაკომ ორი ესროლა და ააცილა, კალეუმ ერთი, მერე ლაკომ დაიწყო კალეუს ქოხის ლეწვა.

მეორე დღეს ერთად წევდნენ პაპიროსს.

კალეუმ წაიყვანა ლაკოს ცოლი თავის ქოხში.

ქალიშვილი ლოს გათხოვება. გუნა შუბზე დაყრდნობილი იხვევს თითზე ლოს თმას და ამბობს სიტყვას. სიტყვები: თითქმის არ იყო ლაპარაკი ახლად ჯვარდაწერილებზე, მოხუცმა გუნომ შუა სიტყვაში მთელი სერიოზულობით იკითხა სიძის სახელი, რასაც სიცილი არ გამოუწვევია _ ჩვენი სადღეგრძელოები, ოღონდ ჩვენთან ჩუმად კითხულობენ.

ჩვეულება «მულუმ» ჩუჩის წაჭრა _ როგორც ქერაობის პასპორტი _ არ იცავენ წესიერად. უკაუ _ ქმარი _ 14-15 წლის.

მოტაცება ქალის წინასწარი შეთანხმებით _ დილიხორ-ფორსისთვის _ რუსიშვილის ქორწილი.

მოთეს მოთქმა ნაჯახით ხელში და ბუქნებით, დიდი ფრთებით თავზე.

მოთქმა: უკვე მზე ჩავიდა, იმას ჯერ კიდევ არ სძინავს, უკვე ღამდება. ის კი ჯერ არ მოდის, მე ვუძახი მას, ის კი არ მოდის. სიკვდილის დემონი _ მოქმედ პირად ეხოს სახით.

ეხოები ეხმაურებიან მხოლოდ გულის გამოძახილს და არა სიტყვების, ამიტომ ეშინიათ ველურებს ეხოების.

მინდა «კა და კო» გავაკეთო ტრილოგიად, სადაც მეორე მოქმედებაში ისინი აღარ იქნებიან.

მესამე. კა და კო ერთმანეთს გაურბიან და ხმას არ სცემენ, ლაპარაკობენ კეთილი კოდალასა და გუგულის მეშვეობით, არის ბოროტი ჩიტი ყვავი და ჭრელი ჩხიკვი. ეშინიათ მხეცების, ბოლოს ძლევენ შიშს და სულ ცისფერში გახვეულები ეხვევიან ერთმანეთს, ტირიან.

ორად გაკეცილი თაბახის ფურცელი _ (2გვ.)

კა და კო ერთმანეთს მიმართავენ:
შავთვალება და ქერათმიანია:
ბოლო: შიშის მაგიერ იქნება
მხეცი: ყორნები და მგელი ან რამე.
ყვითელი, ნაცრისფერი+თეთრი _ არიან კა და კო
ეგონათ იყო ტია-ტუ
რომ იწვის არის მეომარი,
ვეირამუტს ეგონა თვითონ იყო
დედა.
ბოლო: ცისფერი რჩება ყველაფერი თეთრში გახვეული.
ვეირამუტის სიკვდილი
ცალკე სცენაზე.

ორად გაკეცილი იმავე ტიპის თაბახის ფურცელი (2გვ.):

ბოლო
ვეირამუტი: /მკვდარ ტია-ტუს/ შენ აღარ ეჭვიანობ ტია –ტუ.
ტია-ტუ: დუმილი (სიკვდილის წინ ხედავს ჰაერის ფერებს).
ვეირამუტი: საწყალი ვეირამუტი დალევს წამალს და ნახავს შავს, და იქნება მარტო შავი და შავში იქნება ის და ვეირამუტი მის გვერდზე, იქ შეუძლია იყოს ტია-ტუც, მაგრამ ვეირამუტი ვერ დაინახავს და იმიტომ იეჭვიანებს, ვერც ტია-ტუ დაინახავს და იმიტომ არ იეჭვიანებს ისიც.

ძირითადი სცენის წინ უბრალოდ ეშვება ფარდა გოგენის ნახატით, რომლის გვერდზეც ეშვება მუხა დიდი ტოტით, ზედ კიდია გვამები, იმის ქვეშ სხდებიან კა და კო.

კას მოჰყავს კო _ კამ ადრევე ნახა ტია-ტუსთან ეს ადგილი. და იცოდა ეს ამბავი, კომ უთხრა და არ ამბობდა.

ბოლო. დიდი მუხა ჩამოშლილი ფოთლებით, გოგენის სურათის ფონზე. ბოლო: სულ ცისფერი სიზმარივით და თეთრი.

ხეზე კიდია ოთხი ტომარა, ბავშვები სხედან და თამაშობენ ძაფების ამოხვევას, მიყუჟულები:

ბოლო: ძლევენ კა და კო ამ შიშს და ეკვრებიან ერთმანეთს.

ჩანაწერები რვეულის ფურცელზე (1_4გვ.)

ვეირამუტი: ტია-ტუ.

ტია-ტუ: მე ვარ ბოროტი!!

ვეირამუტი: ტია-ტუ .. /უკან იხევს/

ტია-ტუ: გურამ-გურამ მოკვდება უწყლოდ.

ვეირამუტი: ოოო.

ტია-ტუ: ის მოკვდება წყურვილზე ადრე.

ვეირამუტი: ოო.

ტია-ტუ: ის მოკვდება ტია-ტუს ხელით.

ის მოკვდება შენთან ერთად, შენ მოკვდები ამ ნაჯახით.

ვეირამუტი: ო, ტია-ტუ.

ტია-ტუ: ის მოკვდება ამ დანით და ჩემი ძუძუები დარჩებიან სავსე ვნებით, სავსე სიცოცხლის ძალით, ისინი მოკვდებიან გურამ-გურამთან ერთად ხელუხლებელი, ისინი მორწყავენ სისხლით ტია-ტუს სხეულს.

/ირტყამს ძუძუში დანას, სისხლიანი დანით მიდის ვეირამუტისა და გურამ-გურამისაკენ, გურამ-გურამი წამოიწევს და დაუძლურებული ისევ ეცემა ტია – ტუსკენ, და დაუძლურებული თავიანთი ვნებებისაგან, მიდიან წინ, იქით უძირო უფსკრულია. /»

«კა: ჩემო პატარა.

კო: ჩემო საყვარელო.

კა: ჩემო ქერათმიანო და.

კო: ჩემო შავთვალა და.

კა: მე გელოდი აქ.

კო: მე მოვრბოდი შენთან.

კა: მე გელოდი ძალიან ბევრი, ბევრი ხანი.

კო: მე მოვრბოდი დღისით, მე მოვრბოდი ღამე.

კა: მე აქ ვიჯექი მოწყენილი, მე აქ ვიჯექი ერთი სურვილით, მენახე შენ.

კო: მე მოვრბოდი დღისით მზის შუქზე, მე მოვრბოდი ღამე და მთვარე მინათებდა გზას.

კა: მე ვიცოდი, რომ შენ მოხვიდოდი აქ.

კო: მე ვიცოდი, რომ შენ მელოდი აქ.

კა: მოდი აქ, მე მინდა რომ ჩაგიკრა გულში, მე მინდა ჩემი მკერდი მივადო შენს მკერდს.

კო: ჩემო საყვარელო.

/იკრავენ ერთმანეთს მკერდში/

კა: ოო რა თბილია შენი მკერდი, ო რა ლამაზად არის ის მოხატული.

კო: უფრო ლამაზია შენი მკერდი, შენს მკერდზე ხატია წითელი და ყვითელი ხაზები, მე მეღიმება მათი დანახვისას, რადგან ორივეს აქვს ცისფერი ფერი და ორივე არის ძალიან ნაზი და გამჭვირვალე.

კა: ჩემო ქერათმიანო, შენს გულზე ხატია ცისფერი ჰაერზე უფრო გამჭვირვალე, ის ხატია ბევრი [1]თხელი და ლამაზი ხაზებით, წითელი და ყვითელი ფერებით და არის მკრთალი ცისფერი. მე ისინი მომწონს, მე ისინი მიყვარს, ისინი ხატია შენს მკერდზე,

კო: მე ვერ ვხედავ ჩემს მკერდზე დახატულ ლამაზ ხაზებს, მაგრამ მე მიყვარს ის ხაზები, რომლებიც ხატია შენს მკერდზე, ისინი მიზიდავენ თავისკენ, მე მინდა ჩაგიკრა შენ.

კა: აჰა, ჩემი მკერდი, ჩემო პატარა, ჩემო კეთილო კო.

/ეკრობიან ერთმანეთს/

კო: ო, რა თბილი და ახლობელია ის.

კა: ეს იმიტომ არის თბილი და ახლობელი, რომ ეკრობი შენ.

კო: მე მინდა ასე ჩაკრულებმა ვიაროთ ერთად.

კა: ჩვენ წავალთ იქითკენ.

კო: იქით ირხევიან შავი ჩრდილები.

კა: შავ ჩრდილებს ეკრობათ ცისფერი ფერი. ისინი კარგავენ ფერს, ჩვენ მივდივართ მათკენ.

კა: ჩვენი გზა ხდება ცისფერი. შენი სახე ხდება ცისფერი, უფრო ცისფერი და გამჭვირვალე.

კო: ჩვენ მივდივართ ერთად, ჩვენ მივდივართ იმ ფერებისაკენ, რომლებიც იღებენ ცისფერ ფერს.

კა: ჩვენ მივდივართ ერთად.

კო: ჩვენი ჩრდილები გრძლად ეცემიან ჰაერში და უერთდებიან მას.

/კა და კო მიდიან მიცვალებულების შავი ჩრდილების გასწვრივ, რომლებიც სცენის მთელ გარემოსთან ერთად იღებენ ცისფერ ფერს, მათი მოძრავი ჩრდილები ეცემიან გრძლად ჰაერის გასწვრივ და უერთდებიან ჰაერს/.»

შუაში გახეული თაბახის ფურცელი (1გვ.)

მეორე მოქმედება:

იწყება იმით, რომ ვეირამუტი პოულობს თავის თავს დახატულს კლდეზე, რაც ძალიან ცუდი ნიშანია.

მამულ-მეომარი, დედაბრის ნაპოვნი ტყეში და ისე გაზრდილი, როგორც ამ ლეკვს ზრდის.

მერე ელაპარაკება ტია-ტუს კა და კოზე, ტია-ტუ თაფლავს.

დედა: ლეკვის სიკვდილი და მისი დატირება.

ტია-ტუ: ტია-ტუს გოდება, რომ უშნოა და იმიტომ შვება ცუდს, მეომარს რომ მოსწონდეს, ცუდს არ იზამდა, მაგრამ ძალიან უნდა და უშნოა.

ჩანაწერები ბლოკნოტიდან ამოხეულ ფურცელზე (4გვ.):

კო: დაო კა! ო!

კა: დაო კო!

ეხვევიან ერთმანეთს.

კო: შენ მართლა მოგდევდა ვინმე, ჩემო დაღლილო, პატარა და.

კა: ჰო, მე მომდევდა ვიღაცა, მოიცა ახლავე გავიხსენებ მის სახელს.

კო: არა, არ გინდა, ნუ გაიხსენებ.

კა: შენ იჯექი სულ კუთხეში?

კო: მე ვიჯექი სულ კუთხეში.

კა: და მელოდებოდი მე.

კო: და გელოდებოდი შენ.

კა: მე მახსოვს, რომ ვინც მოგდევდა, იმას ერქვა შიში.

კო: შიში?

კა: იმას ეშინოდა ჩემს გულზე დახატული ბოროტი ეხოსი.

კო: შენს გულზე დახატული ბოროტის? მე ის ეხო მომწონს, ის ხატია ლამაზად და კარგი ფერებით.

კა: მეც მომწონს შენს გულზე დახატული ეხო.

კა და კო: ჩვენ გვახსოვს, რომ გვეშინოდა იმისი, მოდი ვკითხოთ ვინმეს რატომ გვეშინოდა /იხედებიან გარეშემო არავინ არის, შემოდის ცისფერი სივრცე/

კა: იქ არიან მარტო ჩრდილები, იმათი ჩრდილები, ვისთვისაც შეგვეძლო გვეკითხა.

კო: ისინი ველარ გვეტყვიან ვერაფერს.

კა: მე დამავიწყდა.

კო: მეც დამავიწყდა.

კა: ჩემო პატარა კო.

კო: ჩემო პატარა კა.

კა: მე მიყვარხარ შენ, მე მინდა გაკოცო შენ.

კო: მე გიშვერ ჩემს ხელებს, მე ჩაგიკრავ გულში.

კა: კო.

კო: კა.

მიდიან სცენის გასწვრივ, მათი ჩრდილები ეცემიან ჰაერში და უერთდებიან მას.

კა: მე მარტო ვარ, უსურვილო, მოწყენილი.

კა: მე დავრჩი პატარა, ოღონდ მე ვიცი, მე ვიცი ...

/შემორბის კო/

კო: მე მეშინია, მე მეშინია, მე მეშინია.

კა: კო!

კო: /ვერ ხედავს ვერავის შიშისგან/ ოოო, მე მესმის ხმები, საცაა დამეწევა, საცაა წამიყვანს უკან, იქითკენ.

კა: დაო, კო!

კო: ოოო, იქ კუთხეში ვიღაცა ზის. ის მეძახის დაო კოს, ის კი მომდევს, ის საცაა მოვა, საცაა წამიყვანს.

კა: ეს მე ვარ, კა, <u>კუთხეში იმიტომ ვზივარ, რომ არსად არა მაქვს წასასვლელი</u> (ხაზი მწერლისაა _ მ. რჩ.)

კო: მე ვერა ვხედავ ვერაფერს შიშისგან, მე ვგრძნობ, მე ვკანკალებ.

კა: შენ უკან არავინ არის, ვინ მოგდევს შენ, ვინ?

კო: მე მომდევს შიში დიდი თვალებითა და გრძელი ფეხებით.

კა: შიში რა არის?

კო: ეგ არის იქით. ეგ არის ჩემში და ის მომდევს მე.

კა: ის არის აქ, ის ხატია ჩემს გულზე, წითელი ხაზები, ლამაზი ფეხებით, მე ისინი მომწონან.

კო: შენ ისინი მოგწონან?

კა: შენ არ მოგწონან? ისინი ხატიან ჩემს გულზეც.

კო: შენს გულზე დახატული ეხოები მე მომწონს, ისინი არიან კეთილი და ლამაზი.

კა: შენს გულზეც იგივე ეხოები ხატია.

კო: მე მეშინია ჩემს გულზე დახატული ეხოების.

კა: მეც მეშინოდა ჩემს გულზე დახატული ეხოების.

ჩანაწერები რვეულის ფურცლებზე (1_4გვ.)

«ადამიანებს საერთოდ ეშინიათ ზედაპირის, ეს შიში იმდენად ძლიერია, რომ საშუალებას არ აძლევს მათ უფრო ღრმად დაინახონ ერთმანეთი _ შიშის საზღვრის იქით. ამ შიშის საზღვრის იქით გადატანისათვის ვარსებობთ ჩვენ, ეხოები.

ჩვენ, ეხოებს, არ გაგვაჩნია საკუთარი არც ხმა, არც მხედველობა, მით უმეტეს გრძნობები, რომლებიც ყველაზე მეტად უშლიან ხელს ადამიანებს ღრმად დაინახონ ერთმანეთი. <u>ჩვენ ვარსებობთ მხოლოდ როგორც ობიექტური ჭეშმარიტება, ჩვენ</u>

<u>გაგვაჩნია მხოლოდ სიმართლე, იმიტომ არის, რომ რასაც არ უნდა ვისმენდეთ, ვიმეორებთ მხოლოდ სიმართლეს</u> (გადაშლილია მწერლის მიერ _ მ. რჩ.). *ამის გამოც საერთოდ არ შეგვიძლია მოვისმინოთ ტყუილი, ის ჩვენთვის არ არსებობს, რადგან ის არ არსებობს თავისთავად, ის მხოლოდ ეჩვენებათ ადამიანებს, რომელთაც აქვთ ხმა, ყურები მათ გასაგონად, მხედველობა და გრძნობები.*

1. რატომ არ შეუძლიათ ეხოებს გაარკვიონ ადამიანები, როგორ უნდა მოიქცნენ ისინი?

2. კერძოდ, რა შეუძლიათ მათ, (ეხოებს).

ა. წინასწარმეტყველება, რომელსაც ამოხსნის მხოლოდ გამოცდილი, მცოდნე.

ეხოებს შეუძლიათ გაარკვიონ ადამიანი ამ წინასწარმეტყველებით, ანუ უფრო სწორად, ცხადი_ნათელი ხედვით რაიმე სიტუაციაში ადამიანი, მაგრამ არ შეუძლიათ ურჩიონ როგორ უნდა ისარგებლონ ამ მომენტით, ამიტომ ყველა ერთნაირად მოსმენილს იგებს თავისებურად და მოქმედებს თავისი სურვილის მიხედვით.

<u>ყური დაგვიგდეთ ჩვენ, ეხოებს, ჩვენ გვინდა ვილაპარაკოთ ჩვენი თავის შესახებ. ჩვენ ვცხოვრობთ იქ, სადაც არსებობს ხმა</u> (გადაშლილია მწერლის მიერ _ მ.რჩ.)

ბოროტი ძალების ეშინია ყველას, ეშინია მისი ძლიერ, ავ ტია-ტუს, კეთილ, უმწეო, ვეირამუტს და მათ ტყუპ პატარა, უსუსურ დებს კა და კოს. კა და კოს ეშინიათ მით უფრო, რომ ბოროტმა ეხოებმა დაიკავეს ადგილი მათი გულის ზედაპირზე სხვების დასანახად, თვითონ ვერა ხედავენ თავის სხეულზე გამოყვანილ გამოსახულებებს, ისინი მხოლოდ ხედავენ ერთმანეთს.

ადამიანებს საერთოდ ეშინიათ ზედაპირის. ეს შიში იმდენად ძლიერია, რომ საშუალებას არ აძლევს მათ უფრო ღრმად დაინახონ ერთმანეთი, დაინახონ ერთმანეთი შიშის საზღვრის იქით. ამ შიშის საზღვრის იქით ადამიანთა მზერის გადატანისათვის ვარსებობთ ჩვენ, ეხოები.

ჩვენ არ გვეშინია არაფრის, რადგან თავისთავად ჩვენ ვარსებობთ, ჩვენ ვართ მხოლოდ იქ, სადაც არის ხმა. ხმებს გამოსცემენ ადამიანები, ხმებს ისმენენ ადამიანები და ...მხედველობა ადუნებს მათ მიერ ხმის შეგრძნების უნარს; ჩვენ, ეხოებს, არა გვაქვს მხედველობა, ჩვენა გვაქვს მხოლოდ მზერა.

ჩანაწერები ბლოკნოტიდან ამოხეულ ფურცლებზე (5გვ.)

ეხო და ეხოები:

ეხო: ყური დაუგდეთ ეხოებს.

ეხოები: ყური დაგვიგდეთ ჩვენ, ეხოებს, ჩუუუ!

ეხო: ყური დაუგდეთ ფუტკრების ბზუილს, კარგად უყურებთ ყვითელთავების ყანებს, იყნოსეთ სუფთა ნაწვიმარი ჰაერი და კარგი დარი. რაც უფრო მეტ ფუტკრის ბზუილსა ვგრძნობთ ჩვენ, ეხოები, და გადმოგცემთ ჩვენი უფაქიზესი ხმებით, მით მეტს შრომობს ფუტკარი: ბზუილი მათი ვნებაა, თაფლი _ ვნების ნაყოფი და გაფურჩქნილი ყვითელთავების სიუხვე სამართლიანი ხარკია ფუტკართა დაუღალავი შრომისა. ამ სამი ვნებიდან: ფუტკრის სურვილიდან მოიკლას ჟინი სიტკბოს წუწნით, ყვითელთავას სიუხვიდან, რომელიც ხარკად თავის მტვერს თუ ვნებას ატანს ფუტკარს სხვა ყვითელთავასკენ, რადგან თვითონ მოკლებულია მოძრაობის უნარს, და ცხოველის ვნებიდან თვითონ მიითვისოს, სრულიად უსამართლოდ, სხვას აწყობილი, ურთიერთსასიამოვნო შრომით დაგროვილი ნაყოფისთვის თაფლი და მინდვრის ყვავილთა ვნების თაიგული _ ამ სამი ვნებიდან არც ერთი არ არის მეორის მადლიერი, არც ორივე კეთილად განწყობილი მხარე, ფუტკარი და ყვავილი, და არც მესამე, ბოროტი ძალა, რომელსაც მიაქვს სხვისი ნაყოფი აუნაზღაურებლად,

უნებართვოდ და პატრონის უნდომლად. ჩვენ, ეხოებმა, ეს არ ვიცით გონებით, ეს არ ვიცით გრძნობით. ეს ჭეშმარიტება თვითონ ჩვენს არსებაში, თვითონ ჩვენს სახლშია შეერთებული _ ამიტომ გქვია ჩვენ, ეხოებს, _ ეხოები _ ჩვენი ვალი დიდია _ ჩვენ არ შეგვიძლია ტირილი, არ შეგვიძლია შებრალება, არ შეგვიძლია დასჯა, ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ სიმართლის გამეორება უანგარიშოდ, იმდენჯერ, რამდენჯერაც მოვისმენთ მას, ჩვენ არასოდეს არ ვიმეორებთ ტყუილს, რადგან მას არ ვისმენთ არასოდეს, რადგან არ არსებობს თვითონ ტყუილი თავისთავად, ამითი ვართ ჩვენ, ეხოები, ძლიერები და დიდები, ჩვენთვის არსებობს მხოლოდ სიმართლე, რომელსაც ვიმეორებთ უანგარიშოდ, ოღონდ მუსიკით და უსიტყვოდ და მხოლოდ ის, ვისაც ესმის სიტყვების მუსიკა, ის მხოლოდ იგებს სიმართლეს. ესეთები არიან ჩვენი წინაპრები, ბებერი ეხოები, რომლებიც დასკდნენ ელვისა და მეხისაგან, მზისა და მტვერისაგან, კარგი და ცუდი დარებისაგან, ოღონდ იმ ეხოებმა დაკარგეს ეს უნარი თვითონ გამოსცენ ეს მუსიკა _ მათ ნაოჭებში გაჩენილი ნაპრალები ველარ უძლებენ იმ ძლიერ ნაკადს, რომელიც სჭირდება მართალი მუსიკის გამოცემას. ამიტომ გვქვია ჩვენ, ეხოებს, ჯანსაღი ეხოები _ ბებერი ეხოები

და

ჩვენ, ეხოებმა, ვიცით, რომ ჩვენს სიმართლეს არავინ იჯერებს, ესმის პატრონებს, რომლის ხმასაც ჩვენ ვიმეორებთ, რადგან მათ ესმით მუსიკა, ისე აღიქვამენ ჩვენს ხმებს, როგორც მათ უნდათ, საჭიროა და როგორც უფრო ახლოა მათი საკუთარი გულის ეხოებთან, სადაც ჩნდება ახალი მუსიკა, რომელზედაც ჩვენი ხმების ის ნაწილია ჩაწერილი, რომელიც ყველაზე ახლოა მათივე მუსიკასთან.

ჩვენი შრომა ეს არის მხოლოდ: გავაღვივოთ მათ გულებში ის მუსიკა, რომელიც თვითონვე, ჩვენგან დამოუკიდებლად, უნდათ მათ და ჩვენ თვითონ დავრჩეთ ჩრდილში, მათთვის უგრძნობელი, და ( ) შესრულების დროს გვაქვს მხოლოდ მუსიკა და არა გვაქვს ყურების ...»

ჩანაწერი თაბახის ფურცლის ნაგლეჯზე (1გვ.)

1. ამიტომ უჯერებენ ისევ ახლა ეხოებს სხვები, ისინი მიუდგომლად იმეორებენ თავის სიმღერას და ამ მიუდგომლობაში ყველა თავის სიმღერას აღიქვამს, რაც თვითონ უნდა; ძველი ეხოები ძველდებიან და მხოლოდ ნერვებს უშლიან სხვებს თავისი გულჩვილობით.

თაბახის ფურცლის დასაწყისში (თეთრი ვარიანტის ფურცელი):

«ოთხი ფურცელი: ეხოების გასაუბრება, შემდეგ მოდის მეორე მოქმედება.»

თეთრი ვარიანტისათვის (3გვ.):

«სცენა: სცენის უკანა მხარე წარმოადგენს თეთრ გამჭვირვალე ნაჭერს, რომელიც მთელ სიმაღლეზეა ატყორცნილი, ასეთივეა სცენის მარცხენა მხარე, რომელსაც ეცემა ოთხი დიდი და ერთი პატარა ჩრდილი ტომარაში ჩადებული მიცვალებულის სხეულებისა. ჩრდილები უმოძრაოდ ირხევიან. სცენის მხარე თავისუფალია, ფარდის ახდისთანავე იგრძნობა არაჩვეულებრივი გამჭვირვალება და სისუფთავე ყოველი მხრიდან. ჰაერში ირევა ნაზი, ცისფერი სივრცე და ბოლოს მთლიანად იპყრობს გარემოს; კა ზის სცენის კუთხეში მარტო, უსურვილო.»

ხოტბა სახატავ იარაღებს, ხელოვნებას:

ტია-ტუ:

შენ, მთვარევ, მნათობთა შორის ყველაზე ნათელო მზის მერე, შენ, მთვარევ, მნათობთა შორის ყველაზე უწყინარო და სევდიანო, შენ, მთვარევ, სუსტო და

უძლურო ღრუბლების წინაშე, შენ დამანახვე, შენ გამინათე თუნდაც სულ მკრთალად კას და კოს მკერდი, თქვენ, პალმის ბუსუსა წვერებო, შენ, წითელო სითხევ, დამზადებულო ხის ნაყოფისაგან, და შენ, სიბნელევ, ყველაზე ძლიერო ჩემივე სხეულში, შენ გამინათე, მე მათ გულებზე ვხატავ ბოროტ ეხოებს, ეს რქები _ ეს კა, ეს იმათ შორის, მგონი, ეხო, წამოგებული კოს ძუძუები, ეს ჩემი სიბნელის ნახელოვნები, სულ ცოტაც, სულ ცოტაც, ხი,ხი,ხი, ახლა მშვიდობით, ავი ეხოების, ჩემი ხელოვნების, ჩემი ეხოების დანახვაზე მათგან გაიქცევა ყველაზე ძლიერიც, მათგან გაიქცევა ყველაზე სუსტიც, მისგან გაიქცევა კო, კოსგან გაიქცევა კა, ხი,ხი,ხი ვეირამუტის ვარსკლავი მოწყდა და დავრჩი, მე, ტია-ტუ, მნათობთა შორის ყველაზე ნათელო, შენ გამინათე მიბრუნებელს გამოქვაბულის კართან მარტო მდგომი.

ეხოები: ეხოებო, ოოო, ჩქარა დაბრუნდება ის?

როდის?

ჩქარა.

ჩემთვის! _ არა.

ბოლოს: ტომარაში ჩამოკიდებული მიცვალებულის ჩრდილები.

კა: არ მეშინია, ვიცი და მაინც.

კო: მე არ ვიცი ვინ არიან ისინი.

კა: მე არ ვიცი ვინ არიან ისინი.

კა და კო: ჩვენ არ ვიცით ვინ არიან ისინი.

ბოლოში ცისფერი ფერი _ ღამეა.

აი, მინდორი. ეს ხე ადრევე ვნახე.

ეს ხე, ეს ტომრის

ჩრდილები გვაჩვენა ტია-ტუმ.»

ჩანაწერი თაბახის ფურცელზე ბოლო ეპიზოდისათვის (1გვ.):

ისევ პირველი სცენა, მდინარის იქით მოჩანს ტოტზე დაკიდებულ ტომარაში ჩაწყობილი სხეულის ჩრდილები, ისინი ჩამომხრჩვალებივით ქანაობენ, შორიდან ისმის ნაბიჯების ხმა, მორბის კა, მის წინ აფრინდება ჩიტი, იკარგება.

კა: ნუ, ნუ, არა, ნუ წახვალ.

კო: ჩიტს არ შეუძლია კასთან ერთად ცხოვრება,

კა: ოოო.

კო: ჩიტს უნდა იცხოვროს ჩიტებთან.

კა: ოოო., კა დაიჭერს ჩიტს, კა ხატავს ჩიტს, მე ავძვრები ხეზე, სადაც დაჯდა ჩიტი.

ჩიტი: ისმის ჟღურტული.

/კა მიცოცავს ხეზე, ის შუამდეა მისული, როცა შემოდის კო, ესმის ქარის ხმა, ის უცებ ტრიალდება ჩამოკიდებული ჩრდილებისაკენ და შეშინებული იხევს უკან, კა ხის ტოტს ეკრობა, არ უნდა უყუროს თავის დას/

კო: საწყლები, ყველანი უკვე ხეზე კიდიან, მე კი მარტო ვარ, მე მეშინია კასი.

კა: მეც მეშინია კოსი.

კო: კა (მოდის მისკენ, კა უფრო მაღლა მიფორთხავს, უკან იწევს კოც, დგანან ერთმანეთისაგან ზურგით და ისე ლაპარაკობენ)

ჩანაწერი თაბახის ფურცლებზე (1_4გვ.)

კო: კომ ნახა დიდი მინდორი _ სულ მწვანე, ძალიან მწვანე, ძალიან მწვანე. იქ არ იყო არც ყვითელი, არც წითელი, არც შავი, მარტო იყო ლურჯი, ოღონდ მწვანე მინდორის ზევით ძალიან, ძალიან ლურჯი. მერე კომ დაინახა ყვითელი და წითელი

და გაიცინა. კომ გაიცინა იმიტომ, რომ კომ დაინახა ცისფერიც. ცისფერი ამოდიოდა მწვანე მინდვრის შუაში. ის იყო პატარა და ცვიოდა ფერფლი, ფერფლი იყო ბევრი და ადიოდა მაღლა, მერე სულ იყო ფერფლი და ცა იყო ცისფერი და მინდორი ჩანდა ყვითელი, შავი, წითელი, შინდისფერი იყო ყველაფერი, ძალიან შინდისფერი და ძალიან დაემსგავსა შავს, მერე შავი გაიზარდა, გაჩნდა ისევ ფერფლი, კო ვეღარა ხედავდა ვერაფერს, როცა ისევ დაინახა, აღარ იყო აღარც წითელი, არც ლურჯი, მწვანე, ყვითელი, ცისფერი, ყავისფერი, თეთრი. კო დიდი ხანი ვერა ხედავდა ვერაფერს, იმიტომ რომ იყო ყველაფერი შავი, ძალიან, ძალიან შავი, კომ იმიტომ დაინახა შავი, რომ ზევით გამოჩნდა ყვითელი, კომ იფიქრა, რომ ის არის მთვარე.

ვეირამუტი: კომ იფიქრა სწორედ.

კო: კომ კიდე ნახა წითელი და კომ იფიქრა, რომ ის არის ვარსკლავი და სისხლი და ცეცხლი და ის არის.

ვეირამუტი: ვეირამუტი!

კო: ვეირამუტი (ეკვრება ვეირამუტს)

ვეირამუტი: რატო იფიქრა კამ, რომ წითელი არის ვარსკლავი ან ცეცხლი?

კო: წითელი იწვოდა, წითელი იყო ვეირამუტი.

ვეირამუტი: რა ნახა ბოლოს კომ?

კო: კომ არ ნახა არაფერი.

ვეირამუტი: რატომ არ ნახა კომ არაფერი?

კო: კომ იმიტომ არ ნახა არაფერი, რომ ყველაფერი იყო შავი.

ვეირამუტი: საწყალი კო, კოს ცუდად ეძინა.

კო: საწყალი კო, საწყალი კა.

ვეირამუტი: კა?

კო: კა!

ვეირამუტი : რატო კა?

კო: კომ ნახა ყავისფერი და წითელი, კომ ნახა პატარა და დიდი, რომლებიც ჰგავდნენ ერთმანეთს, კომ ნახა შავი და იქ არ იყო არც ყავისფერი, არც წითელი, იმიტომ რომ იყო მარტო შავი და მარტო ყვითელი.

ვეირამუტი: წითელი?

კო: წითელი აღარ იყო, ის დაიწვა მაშინ, როცა დაიმალა ყვითელი.

ვეირამუტი: კომ თქვა, რომ ნახა ყავისფერი.

კო: კომ ნახა ყავისფერი და ყვითელი და თეთრი.

ვეირამუტი: რა იფიქრა კომ?

კო: კომ არ იფიქრა არაფერი.

რას ფიქრობს ვეირამუტი?

აი, იმ მინდვრიდან მე ავიღებ ფერად ნაჭრებს და დავაწყობ ისე, როგორც კომ ნახა სიზმარი, თუ შემეშლება ჩემი და მეტყვის, მერე მოვა კა, და კიდე მოვა ტია-ტუ, ნუ გეშინია, ტია-ტუ მოვა და იქნება ჩუმად.

/ამოდის მზე და ანათებს ფერებს, კო სიბნელეში დგას, ვეირამუტი აწყობს ნაჭრებს ფერების მიხედვით/

ვეირამუტი: კომ ნახა ჯერ სულ მწვანე, მწვანე იყო ძირს და მწვანე იყო გვერდებზე.

კო: გვერდებზე არ იყო მწვანე.

ვეირამუტი: გვერდებზე იყო ლურჯი.

კო: ლურჯი იყო მარტო ზევით.

ვეირამუტი ისვრის ლურჯ ნაჭრებს ზევით. ის ჩერდება გაშლილი.

იღებს ყვითელს და წითელს. კომ დაინახა ყვითელი და წითელი და გაიცინა იმიტომ, რომ დაინახა ცისფერი.

ზოგიერთი განსხვავება შავ, თეთრ და 1960 წლამდე გადაბეჭდილ ვარიანტებს შორის (ქვემოთ სხვაობა ამ ვარიანტებს შორის ჩემ მიერაა ხაზგასმული):

* შავი ვარიანტის ტექსტის გარეთ ალაგ-ალაგ მიწერილია შენიშვნები. ზოგიერთი შენიშვნა გათვალისწინებულია ტექსტის გადათეთრებისას.

* შავი: «*სცენა წარმოადგენს გოგენის სურათს: «შენ ეჭვიანობ?»*

აქ და შემდეგაც, ყველგან თეთრ და ნაბეჭდ ვარიანტებში: *«სცენა წარმოადგენს გოგენის სურათს: «მაშ, შენ ეჭვიანობ!»*

* შავში თავდაპირველად ეწერა: *«უკან ქოხისმაგვარი რაღაც ჩანს, ველია აჭრელებული ყვავილებით.»*

აქვე გადაშლილია და ზევიდან ქიმიური ფანქრით დაწერილია: *«დაგებულია სხვადასხვა ფერის ნაჭრებით /ჭარბობს ყავისფერი, ყვითელი/»*

აქვე მინაწერი ქიმიური ფანქრით არეზე: *«უბრალოდ სცენაზე აწყვია ძირს ნაჭრები. მუქი მწვანე ყველაზე მეტი, ყვითელი, წითელი, შავი ფონი გვერდებზე, ცა არის მუქი ლურჯი.»*

* შავი: *«ვეირამუტი სცენისკენ აბრუნებს თავს, ეტყობა არ უნდა ტია-ტუს უყუროს თვალებში* და *ეკითხება:»*

თეთრი, ნაბეჭდი: *«ვეირამუტი სცენისკენ აბრუნებს თავს .. არ უნდა ტია-ტუს უყუროს..»*

* შავი: *«ვეირამუტი: .. როცა მიდიოდით, რა გითხრათ იმან?»*

თავდაპირველად ეწერა «მუმალმა».

შავი ვარიანტის I მოქმედებაში ყველგან თავდაპირველად ეწერა *«მუმალ»*, შემდეგ გადაშლილია და ზევიდან აწერია *«გურამ-გურამი.»*

* შავ ვარიანტში პირველი ჩანართია «კა და კოს» სიმღერა.

ეს სიმღერა, ისე როგორც სხვა სიმღერები ამ ტექსტში, დაწერილია შემდეგ, ქიმიური ფანქრით, სხვა ჩანართებთან ერთად.

* პირველ მოქმედებაში იმ ადგილას, სადაც დები ლაპარაკობენ «იმ კაცზე», ანუ გურამ-გურამზე, და თავიანთ სიყვარულზე, თავდაპირველად, შავი ქიმიური ფანქრით, რომელსაც შემდეგ შემოვლებული აქვს კალამი, მიწერილია: *«ტია ტუ!!! ეცოდებათ, აპატიებენ ყველაფერს, იგონებენ რაც კარგი უქნია.»*

* შავში _ *«ვეირამუტი: დაიძინებენ კა და კო, მერე გაიღვიძებენ და მოუყვებიან რა ნახეს, როცა თვალები დახუჭული ჰქონდათ და გული ხედავდა.»*

თეთრში ხაზგასმული სიტყვები არ არის.

* შავში _ *«სიმღერის ბოლოს მჯდომარე თვლემს ვეირამუტიც და ისე მღერის, სიტყვები ისმის სულ ბუნდოვნად, მერე წყდება. სძინავთ კას და კოს, სძინავს ვეირამუტს, მუსიკა გრძელდება, ხდება ცხადი სიზმარი».*

თეთრში _ *«სიმღერის ბოლოს მჯდომარე თვლემს ვეირამუტიც, დიდი ვერხვი, სადაც კოდალა ზის, საიდუმლოდ შრიალებს, სცენის ორივე მხრიდან დაბალი ნისლი იპარება. მთვლემარე ვეირამუტი მღერის, სიტყვები ისმის სულ ბუნდოვნად, ბუნდოვნად, მერე წყდება. სძინავს კას და სძინავს კოს, სძინავს ვეირამუტს, მუსიკა გრძელდება.»*

აქ არის მეორე ჩანართი: «ვეირამუტის სიმღერა».

* ვეირამუტის სიმღერის შემდეგ არის ტია-ტუს მონოლოგი. შავ ხელნაწერში აქ ფანქრით მიწერილია: «კარგა არ არის». თეთრში ეს მონოლოგი ოდნავ შეცვლილია.

* შავში _*» არა ჩანს დღე, არა ჩანს არაფერი, გარდა იმისა, რაც შენ გულშია.»*

* შავ ვარიანტში აღნიშნულია კოს სიმღერის ადგილი, რაც განხორციელებულია თეთრ ვარიანტში.

*ტექსტი კოს სიმღერის შემდეგ _ ვეირამუტის რეპლიკიდან «კომ იფიქრა სწორად» სიტყვებამდე «შემოდის დედა» _ არის მხოლოდ თეთრ ვარიანტში.

* შავი _ *«კო: ჯერ იყო ყველაფერი მწვანე.*
დედა: .. იყო სიცოცხლე და იყო სიბოროტე.
კო: მერე ყველაფერი იყო ლურჯი (.. ბუნების ნახევარი იღებს ლურჯ ფერს და გადადის მწვანიდან ლურჯში)
დედა: კო იყო ცოცხალი და კოს ეძინა, იმიტომ რომ კო არ არის ბოროტი.
კა: ეძინა კასაც.
დედა: ამოვა მზე და კო ვერ მოასწრებს თქმას.
კო: კოს ახსოვს, რომ კომ გაიცინა.
დედა: კომ დაინახა ცისფერი.
კო: დაინახა ცისფერი / მოდის ცისფერი სიღრმიდან ნისლივით და ნელა, მოყოლის დროს, ყველაფერი ხდება ცისფერი.
/ძირს აგებენ ცისფერს/
დედა: კომ დაინახა ყველაზე ღრმა და დიდი ფერი,
ყველა ერთად: რა არის ეგ ფერი.»

თეთრი _ *«დედა: რა არის ეგ ფერი, რას ნიშნავს ცისფერი?*
შავი _ *«დედა: დედამ არ იცის რა არის ეგ ფერი, დედამ მაშინ იცის რა არ არის ეგ ფერი, როცა თვალები დახუჭული აქვს და გაიგებს მაშინ, როცა დაკიდებენ ტომარაში ჩასმულს დიდი მუხის ხეზე, იქ, სადაც კიდიან დედის დედები».*
ტია-ტუ: ეგ ცუდი ფერია?
დედა: ეგ არ არის ცუდი ფერი»

* თეთრი _ *«ვეირამუტი: ეგ კარგი ფერია. ეგ ფერი არის, როცა ამოდის მზე.»*
შავი _ *«ვეიარამუტი: ეგ არ არის კარგი ფერი, ეგ არ არის ცუდი ფერი, ეგ ფერი არის მაშინ, როცა თვალები დახუჭულია.*
კო: კოს წყნარად გაელიმა, როცა ნახა ცისფერი.
დედა: ვინც ნახულობს ცისფერს, ყველას ეღიმება წყნარად.

კო: მერე ყველაფერი იყო ცისფერი და კოს აღარ ეღიმებოდა.

დედა: ვინც ცისფერის მეტს ველარაფერს ხედავს, ცოტა თეთრს მაინც, იმას აღარ შეუძლია გაიღიმოს, ის მკვდარია და იმას დაკიდებენ ხეზე.

კო: კომ მაშინვე დაინახა ყვითელი, შავი, წითელი, ყავისფერი, შინდისფერი. ყველაზე მეტი იყო შინდისფერი (სცენა თითქმის შინდისფერი ხდება) და კოს შეეშინდა, იმიტომ რომ შინდისფერი აღარა ჰგავდა შინდისფერს. ის იყო უფრო და უფრო შინდისფერი და გახდა შავი. ... დედა: კომ ნახა, რომ წითელი მოწყდა და დაიწვა?

დედა: გურამ-გურამ მოკვდება იქ, სადაც ომობს.

ყველა: ოოო...

დედა: სანამ ნახავს მხოლოდ ცისფერს და მეტს არაფერს, ის მოვა აქ, აქ ჩაქრება ის...

დედა: რა ნახა ბოლოს კომ?

კო: დედამ იცის ყველაფერი. ბოლოს კამ ნახა შავი.

დედა: კომ ნახა კეთილი და ბოროტი სული. კო იცოცხლებს.

ბუნება ყვითელია და სიღრმეში სულ ყვითელი ტია-ტუ ცეკვავს სიკვდილის და განშორების ცეკვას.

* თეთრი _ *«დედა: რა ნახა პირველად კომ?*

კო: კოს არ ახსოვს არაფერი, კოს მარტო ახსოვს მწვანე, ყველაფერი იყო მწვანე.

დედა: /დედა ხელს იშვერს სამი დისგან დაგებული მწვანე ფერისკენ/. იყო სიცოცხლე და იყო სიბოროტე. /სცენაზე ირევიან სხვადასხვა ფერის მწვანე ფერები../

კო: მერე იყო ლურჯი..

* შავ ვარიანტში «ცუდი ეხოს» მაგივრად წერია «მოა-კო», «მოა-კა.»

* მეორე მოქმედების ექსპოზიცია არის მხოლოდ შავ ვარიანტში:

«ყური დაუგდეთ ფუტკრების ბზუილს, კარგად უყურეთ ყვითელთავების ყანებს, იყნოსეთ სუფთა ნაწვიმარი ჰაერი და კარგი დარი. რაც უფრო მეტ ბზუილსა ვგრძნობთ ჩვენ, ეხოები, და გადმოგცემთ ჩვენი უფაქიზესი ეხოთი, მით მეტს შრომობს ფუტკარი, ბზუილი მისი ვნებაა, თაფლი _ ვნების ნაყოფი და გაფურჩქვნილი ყვითელთავები თითოეული _ მზესავით ძლიერი, რადგან მზე კვებავს მთლიანად მიწას, ყვითელთავა კი თავისი (...). ფუტკრის დილა და კარგი დარი ჩვენი ჯილდოა. ჩვენ, ეხოებს, გული არ გვწყდება ჩვენი ვალის შესრულებისას. ჩვენ, ეხოებს, გული არც გვაქვს, ჩვენი ვალი კი დიდია, ჩვენ არ შეგვიძლია ტირილი, არ შეგვიძლია შებრალება, არ შეგვიძლია შველა, არ შეგვიძლია დასჯა. რადგან ჩვენ არ გვაქვს (...) გვქონდეს გრძნობა, მაშინ აღარ ვიქნებოდით ეხოები. ჩვენ მხოლოდ ვგრძნობთ მუსიკას და დაუყოვნებლივ ვიმეორებთ მას, ჩვენი ფაქიზი გული გლუვია და იქ არაფერი არა რჩება, გარდა საკუთრად ჩვენი ჭრილობებისა, ელვის ნაპრალები გაჩენილი მეხისა და წყლისაგან, მზისა და მთვარისაგან, კარგი და ცუდი დარებისაგან, მაშინ ვყრუვდებით, ვსუსტდებით, და ვკარგავთ გლუვ მიუკარებელ ზედაპირს და ჩვენებურად ვიგებთ ხმებს, ...მაშინ ჩვენ აღარ გვეძახიან ეხოებს, მაშინ ჩნდებიან ახალი ეხოები, მაშინ ვიგებთ რა არის ცრემლი და სიცილი, მაშინ ჩვენ აღარ გვეძახიან ეხოებს, (...) ახალი ეხოები კი დგანან, გრძნობენ, გამოსცემენ ხმებს და თვითონ არ ხმაურობენ თავისი ხმით, მათ მხოლოდ ესმით ის» (ახალი ეხოები არ

მინდა საერთოდ _ გ.რჩ.). «ხმა, რაც მართლა გამოდის და რასაც ის მართლა ასახავს, ჯანსაღ ეხოებს არ შეუძლიათ ტყუილი და ზარს ვერ აღიქვამენ სიცილად, მაგრამ ჩვენი და ჩვენი შვილების სიმართლეს ნამდვილი ხმის დედები ისე აღიქვამენ, როგორც მათი საკუთარი გულის ეხოები იღებენ ჩვენგან. და ისინი არა ტყუიან, მათ არ შეუძლიათ ტყუილი, ისინი არ გვიჯერებენ ეხოებს, რომლებიც იმეორებენ მათივე ხმებს, ოღონდ სხვა მუსიკით _ სადაც არის მთელი მათი ბედი ჩაწერილი. მათი შინაგანი ეხოები წერენ ახალ მუსიკას, ჩვენ დიდი ხანია შევეჩვიეთ ამას, ჩვენ დიდი ხანია გადავეჩვიეთ ტირილს, ჩვენ ვმღერივართ და ვტირივართ, ჩვენ ვიმეორებთ შეცვლილი მუსიკით ხმის პატრონების ხმებს და გვეჩვენება, რომ ეს შეცვლა არის ჩვენი სიბრძნე, მათ ეჩვენებათ, რომ ამ სიბრძნეს ჩვენგან ისმენენ მხოლოდ და განსხვავება ის არის, რომ ჩვენ, ეხოებმა, ვიცით მათი ეს შეცდომა, ჩვენ, ეხოები, ვგრძნობთ ამ მუსიკას, რომელსაც ჩვენ თვითონ ვქმნით ხმების გამეორებისას, და მაინც, ჩვენი სისუსტის მიუხედავად, ჩვენ ვლაპარაკობთ ახლა იმას, რაც მართალია და არა იმას, რასაც ამბობს ხმის პატრონი და ხმის პატრონი გაიგებს იმას, რაც უნდა მას რომ გაიგოს, ხმის პატრონებს შეუძლიათ მოიყრუონ თავი, რადგან მათ აქვთ ყურები, ჩვენ არ შეგვიძლია, რადგან ჩვენ გვაქვს მხოლოდ მუსიკა და არა გვაქვს ყურები.

ჩვენ, მარტო ეხოებმა ვიცით მუსიკით, რომ ტია-ტუს სიბოროტეში მხოლოდ ნაღველია. ამას ამბობს მისი ხმა, რომ ტია-ტუს ცეკვაში მხოლოდ სასოწარკვეთილებაა, მის ბოროტ სიმხიარულეში მხოლოდ მოჩვენებითობაა, ჩვენ ვუმეორებთ უანგარიშოდ ყველაფერ ამას ტია-ტუს, მაგრამ მისი ეხოები _ სმენის, ხმის და მუსიკის _ უმალავენ ყველაფერს, ჩვენ ვიცით, რომ ის ნაღველი, რომელზეც ის თითქოს მოჩვენებით ლაპარაკობს, ის ტყუილი სასოწარკვეთილების სიტყვები, რომლებითაც ის სხვებს ატყუებს _ მართლა ნაღველია და მართლა სასოწარკვეთილება, ჩვენ ვიცით, რომ მას უყვარს თავისი დები, ოღონდ ის მალავს ყველაფერს, მალავს იმიტომ, რომ მას არ უყვარს თავისი ტანი, თავის ხმა, თავისი სახე და რცხვენია უყვარდეს სხვაც, ის ძლიერია სულით, მოქმედი და თავს ვერ უტყდება ამაში, მას ურჩევნია იყოს ბოროტი, ვიდრე უშნო, მას ურჩევნია იყოს მკვდარი, ვიდრე არასაყვარელი, მას ურჩევნია სძულდეთ ის და ეშინოდეთ მისი, ვიდრე უყვარდეთ ის და ეცოდებოდეთ ის. მას არა აქვს ის იარაღი, რაცა აქვს ვეირამუტს _ სილამაზე და რომელი უფრო ბოროტია მათში თავისი იარაღებით, ჩვენ ვერ ვიტყვით, ეხოები, მას არა აქვს ის იარაღი, რაცა აქვთ კასა და კოს _ ისინი არიან სუსტები, პატარები, ტია-ტუ დიდია და ძლიერი. იბრძვის სილამაზე და ძალა _ ერთი სიძლიერის იარაღით, ეხოებისათვის ორივე ერთნაირად პატივსაცემია და ერთნაირად სულერთი შესაბრალებლად! დე, ნუ იქნება თქვენთვისაც ასე!»

* თეთრ ვარიანტში: *«ტია-ტუც არის მარტო?»*
შავში: *«ტია-ტუ არის მარტო»*

*მხოლოდ თეთრში: *«ეხოები: შენ მახინჯი ხარ ტია-ტუ, შენ გეშინია თქვა, რომ გიყვარს გურამ-გურამ! შენ ლამაზი ხარ, ვეირამუტ, და ყველა შენს გრძნობას ეძახი სიყვარულს!»*

* მხოლოდ თეთრში სიტყვებიდან *«ეხოები თეთრებში, შავებში: ო ვეირამუტი!O ტია-ტუ! თქვენ ორივენი ხართ დიდ, ღრმა გამოქვაბულში..»* სიტყვებამდე:

«ვეირამუტს ახვეული აქვს თვალები და არ შეუძლია დაინახოს სინათლე, თქვას მართალი.»

* შავში მინაწერი ლეკვის სიკვდილის ეპიზოდთან: «*კა და კოს ბრალია ლეკვის სიკვდილი.*»

* გურამ-გურამის შემოსვლის პირველ ეპიზოდში სიტყვების შემდეგ _ *«სხვა ხმები: ვეირამუტი. /ორივენი იძაბებიან, ყურს უგდებენ/»*, როგორც ჩანს, გურამმა შეწყვიტა წერა და გააკეთა სხვადასხვა ჩანაწერი. ამ ჩანაწერებიდან ჩანს, რომ პიესის შემდეგი სიუჟეტი მწერალს იმ დროისათვის ჯერ არ ჰქონდა მოფიქრებული.

ჩანაწერები:

«ვეირამუტი კვდება ტია-ტუსგან მიწოდებული შხამით.»

«ტია-ტუს ეტყვის მეომარი, რომ ის უყვარს მას. ტია-ტუ აღწევს მიზანს _ ის უყვართ, მაგრამ მას ეშინია, რომ მეომარი ყველაფერს გაიგებს, ან მას უბრალოდ წამოსცდა _ სიყვარული და მერე გადათქვამს, ტია-ტუს უნდა მასზე შეყვარებული მოკვდეს ისე, რომ იმასაც უყვარდეს ის და თავს იკლავს. რჩება მარტო გურამ-გურამ, რჩებიან კა და კო. ერთი უნდა ზედმეტი ვინმე».

«გურამ-გურამს არ ეშინია კა და კოს ეხოების. ის ხვევს მას ხელს, კოცნის, ორივეს იყვანს ხელში, ჩაიკრავს».

«გურამ-გურამ უძრავად გდია _ ის არის მკვდარი, ის მაშინ მოკვდება, როცა მის გარეშემო არ იქნება არავინ, დებმა ეს არ იციან, როცა ორივე კვდება, გურამ-გურამ წამოიწევა და ეძახის კას და კოს».

«კა და კოს მანამ ეშინოდათ ეხოების და ერთმანეთის, სანამ სხვები უყურებდნენ მათ _ ვინც იცოდა, რომ ეს ეხოები იყვნენ ცუდები და რომ მათ არავინ არ უნდა მიჰკარებოდათ. როცა ისინი დაიხოცნენ, მაშინ ჩაეკრობიან ერთმანეთს».

«ხეებს არ იცნობენ კა და კო, არც ჩიტებს, მათ არ იციან მათი საიდუმლო, ვინც იციან, სწორედ მათი ეშინიათ _ ამაზე ლაპარაკობენ ბავშვურად».

გადაშლილია:

<u>«ერთმანეთს ჩაკრულები ტირიან, ზევიდან ადგას გურამ-გურამ.»</u>

<u>«არ ვარგა ბოლოს გურამ-გურამი ყველაზე საშიშია მარტოობა, თვით ეხოებზეც, ამიტომ ერთდებიან კა და კო, როცა რჩებიან მარტო, სულ მარტო. რომ იყოს გურამ-გურამ, იქნებოდა მათი დაშორების ახალი საგანი.»</u>

*ამ ჩანაწერების შემდეგ იწყება ისე, როგორც თეთრ ვარიანტშია:

«გურამ-გურამ: ვეირამუტ! მე მქონდა იმდენი ძალა, რომ შენთან მოვსულიყავი.»

* ვეირამუტისა და ტია-ტუს გადავარდნის მომდევნო ნაწილს შავ ხელნაწერში ჰქვია: «კა და კო და გურამ-გურამ». როგორც ჩანს, თავდაპირველად ჩაფიქრებული იყო როგორც «ბოლო სცენა». ეს სიტყვები მომდევნო ტექსტის დაწერის შემდეგ გადაშლილია. იწყება რამდენიმე ხაზის გამოტოვებით სხვა მელნით. როგორც ჩანს, წერის პროცესში შეიცვალა სიუჟეტი. თეთრ ხელნაწერში წერია: «გადის ხანი.»

* «ბოლოში», შავი ვარიანტის დასაწყისში, წერია «ცხოვრობდნენ», თეთრში _ «ცოცხლობდნენ.»

* შავი: «არა *რცხვენოდათ ერთმანეთის, რომ იყვნენ ისევ ისეთივე პატარები და რომ არ იზრდებოდნენ*» _ (აქ არის მინაწერი: «ამიტომ რჩებოდნენ უცვლელად»).»

* მინაწერი არეზე სიტყვების შემდეგ: «... *და კამაც დაინახა კო»: სულ უბრალო საუბარი*

_ რას აკეთებ, კა?

_ მე?

_ ჰო, შენ.

_ მე ვაკეთებ საჭმელს.»

*«კო არ გაიზარდა იმიტომ, რომ არ ჰქონდა გრძნობები. საუბარი: კას ჰქონდა გრძნობა, მაგრამ იმდენად მარტო იყო და იმდენად ეშინოდა, რომ ვერ გაიზარდა.»**

ჩანაწერი 29 მაისის შემდეგ, უკვე თბილისში:

«კა და კოს სხვა რამის უფრო შეეშინდებათ: სიმარტოვის, ჰო, ვიდრე ტაბუსი _ ეხვევიან, ტირიან.

ძაფობანას თამაშობენ, მარტო ვერ იღებს ვერც ერთი, ერთი ბედავს ამოღებას. ერთდებიან.»

შტრიხები ნაწარმოების ინტერპრეტაციისათვის:

* «ირინა და მეს» შემდეგ (1958 წლის მარტის შუა რიცხვები), გურამმა მშობლებისთვის სრულიად მოულოდნელად, გადაწყვიტა ოდესაში გამგზავრებულიყო. მამა და დედა ძალიან აღელდნენ გურამის ამ ახალ «ახირებაზე» _ განსაკუთრებით ღელავდა დედა. მიუხედავად იმისა, რომ ის სულ უფრო და უფრო რწმუნდებოდა, რომ წერა გურამისათვის არ აღმოჩნდა უბრალო გატაცება, როგორც ის თავდაპირველად ფიქრობდა, მაინც უნდოდა, რომ მის შვილს აუცილებლად მიეყვანა საუნივერსიტეტო საქმეები ლოგიკურ დასასრულამდე და აეღო დიპლომი. გურამის მოსკოვში ყოფნა დედასათვის, ძირითადად, დაკავშირებული იყო ლენინის ბიბლიოთეკაში სადიპლომო მასალის მოძიებასა და დიპლომის დაწერასთან. ამას მოწმობს დედას წერილები, სადაც ის თავის შვილს გამუდმებით შეახსენებს მოსკოვში წასვლის მიზანს. რა თქმა უნდა, ოდესა აქ უკვე არაფერ შუაში იყო. მამამ უფრო სწრაფად აუღო ალღო ყველაფერს (ხვდებოდა, რომ გურამი მოსკოვში დიპლომის დასაწერად არ იყო წასული) და ურჩია გურამს, ოდესის მაგივრად პეტერგბურგში (მაშინდელ ლენინგრადში) გამგზავრებულიყო.

არქივში შემონახულია მამასა და გურამის მიმოწერა, სადაც ისინი ერთმანეთს უსაბუთებენ, სად ჯობს წასვლა სამუშაოდ _ ოდესაში (გურამი) თუ პეტერბურგში (მამა) (იხ. ტომი 5.)

ვფიქრობ, მამას, გარდა იმ არგუმენტებისა, რის შესახებაც ის წერილში წერს, აფიქრებდა ზღვისპირა ქალაქის თავისუფალი ცხოვრება და ყველაფერი ის, რაც მაშინდელი ოდესის სახელთან იყო დაკავშირებული.

როგორც ჩანს, გურამმა მამა დაარწმუნა თავისი აზრის სისწორეში, იქ უკეთესი პირობები მექნება სამუშაოდო, და 1958 წლის 4 მაისს მატარებლით გაემგზავრა ოდესაში.

ამონაწერი დღიურიდან:

«ვზივარ მატარებელში. არც მოწყენილი ვარ, არც მხიარული. ვიყავი, ვცხოვრობდი მოსკოვში, ოღონდ ცალკე. ვერ გავიცანი და ისე ვტოვებ, თუმცა არც არაფერია გასაცნობი _ არა, ვტყუი, აურებლად ბევრია აქ აშკარა საიდუმლო. მინდა გამოვიცნო რა მინდა, რა ხასიათზე ვარ და ზიზღი მიპყრობს, საზიზღრობაა წამდაუწუმ ანალიზი და თან სრული დაბნეულობა.»

რამდენიმე ამონაწერი მაისის დღიურებიდან გურამის ზოგადი განწყობისათვის ოდესაში:

«ჩემი გაჩერება არის ზღვის პირას, გორაკზე, აქედან უნდა წახვიდე ნაპირისაკენ. არის მხოლოდ ორი კარები, ორი დროშით. გაივლი მათ შუა და დაეშვები ქვევით, ქარაფებისაკენ, ზედ ნაპირას უკვე ჩანან ქოხები. დიდი გზიდან უნდა გადაუხვიო პირველივე შემოსაბრუნიდან მარცხნივ, გაჭყვე ბილიკს და ზღვიდან ამოსულ კლდეზე დგას ჩვენი ქოხი, ორი მოხუცი ცოლ-ქმარით, რომლებიც მარტო უკრაინულად ლაპარაკობენ. ყველა პირობებია იმისათვის, რომ კარგად ვიმუშაო, დააწყნარე დედა.»

«ვდგავარ მაღალ ნაპირზე. წინ ზღვა. მაცვია შავი კოსტუმი, თავს ფორმაში ვგრძნობ, ენერგია, ძალა.

ზღვა ღელავს.

_ ო, ზღვაო, რამდენი საწერი მაქვს.

_ ზღვა.

_ და ზღვა ძალა.»

«ნანა, მე მიხარია, გესმის (შენ, ალბათ, ვერ გაიგებ), მიხარია, აი, იმ წერტილის, მიხარია, აი, იმ კუზიანის, რომ ის კუზიანია და მე მეცოდება ის და მზად ვარ ვიტირო მისთვის. მე მიხარია, რომ ვგრძნობ, ნანა, გესმის!»

«მარტო, მარტო და არაჩვეულებრივად სავსე ვარ, არასოდეს არ მყოლია ამდენი ვინმე ერთად ჩემში, როგორც ახლა.»

«გავდივარ გარეთ, დიასახლისმა დამიტატანა, რას აკეთებ სახლში, ავად ხომ არა ხარო. Qქარი ჩადგა, მზე ჩავიდა, გრილა, რაღაცას ავყავარ მაღლა, მივრბივარ ბილიკზე, ვხტივარ, ვქშინავ, ვჭიხვინებ, გავვარდი ვიწრო კარნიზზე, ძლივს შევიკავე თავი კლდის ქიმზე ტალღების წინ. მიხარია. ვხტივარ მაღლა-მაღლა, დავიღალე. პაპიროსით ჩამწვარი ფილტვები სიცხეს უშვებენ, მაგრამ თავს ვიყრუებ, უფრო და უფრო მეტ ძალასა ვგრძნობ, ვიქნევ ხელებს, ვკიდებ ქვას ხელს, მეჩვენება, რომ ზღვას გადავაცილებ, ვისვრი, ქვა ტრიალებს და იქვე ეცემა ნაპირიდან ცოტა შორს, თითქოს მეცლება ძალა, რაღაც მეუბნება: ხომ ვერ გადააცილე, სად არის შენი ღონე. ვიწყენ, ვეშვები, ეეჰ, მეჩვენებოდა ...»

«1958 წლის 10 მაისი. შაბათი. ოდესა. ზღვა. საწოლი. ყალიონი. ვკითხულობ «ომ და მშვიდობას». ამ წამში პირველად დავფიქრდი მიყვარს თუ არა ჩემი გმირები. ჯერ ისე არა. მიყვარს ცირა და კა და კო, ახლები. სხვები კარგა არ მესმის. ჯერ კიდევ ისინი ბატონობენ ჩემზე და არა მე მათზე...»

არქივში შემონახულია მოსკოვში შეძენილი პატარ-პატარა ბლოკნოტები, სავსე გურამის ჩანაწერებით, დღიურებით, სამომავლო გეგმებით. ზემოთ მოყვანილი აპრილის დღიურები მოწმობენ, რომ ჯერ კიდევ მოსკოვში ყოფნისას ჩემი ძმა უეცრად დაინტერესდა ტაიტელების ცხოვრებით. შესაძლებელია, ეს მოხდა პუშკინის მუზეუმში გოგენის სურათის: «მაშ, შენ ეჭვიანობ!» ნახვის შემდეგ. როგორც ჩანს, «კა და კოზე» მუშაობა გურამმა მოსკოვშივე დაიწყო. აპრილის დღიურებში პიესისათვის

გაკეთებული ცალკეული ეპიზოდები ცხადყოფს, რომ ძალიან სწრაფად იბადებოდა ახალი ნაწარმოების სიუჟეტი, თავისი გეოგრაფიული სივრცითა და მოქმედი პირებით.

* მახსოვს, თბილისში, «კა და კოს» წაკითხვის შემდეგ, გურამმა მიმაქცევინა ყურადღება სახელზე «გურამ-გურამ» (თავდაპირველად მას ერქვა «მუმალ») და რაღაც მითხრა გადაკვრით, აღელვებით, მგონი, გრძნობის ინტენსივობაზე, რისი გამოხატვაც უნდოდა მას ამ გაორმაგებული სახელით. მკითხველს მივაქცევინებ ყურადღებას, რომ ნაწარმოების ბოლოსათვის მწერალი მოულოდნელად ცვლის სახელს «გურამ-გურამ» «მეომრით». რა თქმა უნდა, სიმბოლურია მეომრის ცეცხლმოკიდებული, დაჭრილი, სისხლმდინარე გული, რაც, ვფიქრობ, ჩემი ძმის სულის ცეცხლოვან არსს უნდა გამოავლენდეს («გურამ-გურამის წითელი ვარსკლავი, რომელსაც უკიდია ცეცხლი და იწვის» _ «კა და კოდან». საინტერესოა, რომ გურამის ცეცხლოვან არსზე _ «огненная суть его души» _ წერს მოსკოველი პოეტი მიხაილ გრობმანი /იხ. კომენტარები «იულონისათვის»/. იგივე იგრძნობა ესმა ონიანის მიერ შესრულებულ გურამის პორტრეტშიც). სიმბოლურია წყლის დალევა-არდალევის ზღვარზე არსებული სიტუაცია პიესის ბოლო ეპიზოდებში და გურამ-გურამის რწმენა: «მე მოვრჩები სულ მალე, მას შემდეგ, რაც დავლევ წყალს.» სიმბოლურია ისიც, რომ არც ერთ გმირს არ ხელეწიფება დაალევინოს მეომარს ეს «ცივი, ცივი წყალი,» რომელიც იქვე, სულ რამდენიმე ნაბიჯზე, გადმოდის. მკითხველს მივაქცევინებ ყურადღებას, რომ «წყლის ხმა, რომელიც უკვე მდინარეს წააგავს, იზრდება, ელვა ძლიერდება, იწყება წვიმა» და არა წვიმს მხოლოდ ვეირამუტის გარშემო. ამაოდ ცდილობს ის პეშვით მაინც დაალევინოს მეომარს წყალი, რომელიც, მაღლა ამოსული, მისი მიახლოებისას ნელა იწევს ქვევით და ქრება. *(«მეომარი: მათ არ მომიტანეს წყალი. კა: წყალს მოგიტან მე. მეომარი: ასე ამბობდნენ ისინიც, ასე ამბობდა კო, ასე ამბობდა ვეირამუტი. წყალი მოჰქონდა ვეირამუტს, წყალი მოჰქონდა კოს. კა: /დაიხრება გურამ-გურამის ლაპარაკის დროს, პეშვით იღებს წყალს, მიაქვს. შემოდის კო. კა ხელებს შლის. წყალი იღვრება...»/.* სიღრმისეული ინფორმაციის შემცველია სიტყვები _ «ნუ მოკლავთ, ძალებო, მეომარს უწყლოდ» _ სხვადასხვა გმირების მიერ სხვადასხვანაირად ნათქვამი, ვედრებასავით, ლოცვასავით რომ გაისმის მთელ ეპიზოდში გურამ-გურამის გამოჩენის შემდეგ. მათი მნიშვნელობა, ვფიქრობ, სულ სხვა სიმბოლიკასთანაა დაკავშირებული.

გურამი თითქმის პირველსავე დღიურში წერდა იმ ცეცხლის შესახებ, მის გულში რომ დაინთო გაზაფხულის ერთ დღეს (1956 წლის მარტი). ამის შემდეგ შეგრძნება ამ ცეცხლის, თითქოს მუდმივად წყლისაკენ, განელებისაკენ რომ მიისწრაფვის, თანა სდევს თითქმის ყველა მის გმირს. «კა და კოს» გულზე ცეცხლმოკიდებული მეომარი, რომელიც, წყურვილით შეპყრობილი, წყლის პირას მისული, უწყლოდა კვდება, ამ მაძიებელ გმირთა განზოგადებულ სახედ შეიძლება მივიჩნიოთ.

წყლის დალევის, წყურვილის მოტივები შიგადაშიგ გამოჩნდება ხოლმე ჯერ კიდევ 1956-1957 წლის მოთხრობებში და თითქოს თავიდანვე მიანიშნებს რაღაცას, რაც მეტია, ვიდრე, უბრალოდ, ფიზიკური წყურვილის დაკმაყოფილება-არდაკმაყოფილება. მკითხველს შევახსენებ, აგრეთვე, «შაშას რევოლუციიდან» ძაგანიას სიზმარს: გახურებულ, სისხლით სავსე ჭაობში ჩავარდნილი მწერლის ალტერ ეგო, სიცხისაგან ყელგამხმარი, ამაოდ მიისწრაფვის სულ ორ ნაბიჯზე დაგუბებული სუფთა წყლისაკენ, რომლის ნაპირზეც დამსხდარი ბაყაყები მშვიდად ყიყინებენ. სისხლის ფხვნილი კრავს ჭაობს. ძაგანია ძაბავს მთელ სხეულს, რომ

როგორმე მიასწროს იმ ადგილს, სანამ ისიც შეიკვრება და, საბოლოოდ, მუხლმოსხლეტით, წყლის დაულევლად დაეცემა ის წყლის პირას, ისე როგორც «კა და კოს» გურამ-გურამი, სულ ერთი-ორი თვით ადრე დაწერილ პიესაში, მდინარის პირას. გამოღვიძებულ ძაგანიას გონებაში უცებ მთლიანობად აღდგება ცოტა ხნის წინ ნანახი სიზმარი. მას გაუქრება ყველა სხვა შიში, შეგრძნება და ისე აღიქვამს ყველაფერს, როგორც ფიზიკურ წყურვილს: «თურმე, წყალი ნდომებია ძაგანიას, წყალი...» მოწყურებული, სულმოუთქმელად ეწაფება ის თავწატეხილი სურიდან წყალს. ნაწლავები ხარბად იწოვენ სითხეს, მაგრამ წყალი ყოველგვარი სიამოვნების გარეშე გადადის ყელში, უცებ იკარგება მთელი გემო და სურის მოშორებისთანავე რჩება ისევ იმ საოცარი «სიგამხმრის» შეგრძნება, რაც წყლის დალევამდე ჰქონდა.

ამ თვალთახედვით, ასევე მნიშვნელოვანია, ჩემი აზრით, სიმბოლიკა დაუმთავრებელი რომანის «საიდან მოვდივარ, საით მივდივარ, რა მინდა...» ერთ-ერთი ეპიზოდისა, რომლის კულმინაციად შეიძლება იქნეს მიჩნეული მაღალი მთის წვერზე, ზევით აწეულ, შუაში გაყოფილ ბურუსში, წყლებით დასერილ სამყაროში შემოსული სწორი მზის სხივი, რომელიც ეცემა « ...ნესტიან, გრილ ბურუსში», «<u>თეთრი ცხვრის ქურქში</u> მაგრად გახვეულ» მწერლის ალტერ ეგოს (მკითხველს კვლავ შევახსენებ, რომ იქვე, მთაზე, «<u>თექაში</u> გახვეული მწყემსის ბიჭია წამოწოლილი»). წყლის სემანტიკური ველი აქ ჩაითრევს ყველა სიტყვას, თუნდაც უშუალოდ წყალთან არ იყოს ის დაკავშირებული, და მზესთან ერთად «საოცარ ჰაერსა ქმნის». გურამი ამდენი წლების შემდეგ ძლივს შეიგრძნობს «ათასი წყლებით დასერილ სამყაროს», რომელიც მასში უკვე მთლიანად არის შესული, თითქოს ფიზიკურად წყლის დალევის გარეშეც კი. თითქოს ამ სამი ცნების ერთიანობაში («მზე», «ცხვრის ქურქი», «წყალი») იქმნება ის სიგრილე, ნესტი, რისკენაც მიისწრაფოდნენ გურამ რჩეულიშვილის ნაწარმოებების გმირები (ამ დროისათვის უკვე დაწერილია «ირინა და მე,» «შაშას რევოლუცია», «იულონი» და სხვ.). მაღალი მთის წვერზე ასულმა გმირმა უკვე იცის, რომ ეს ის წყალია, რომელიც «უდიდეს ცეცხლსაც კი დააწყნარებს, ოღონდ ისე თავისებურად, ზომიერად, რომ არ ჩააქროს.» ამ ადგილას თითქოს მთავრდება ლირიკული გმირის «უნებლიე მოგზაურობა» და უმტკივნეულო ხდება ის მარადიული კითხვა, რომლითაც იწყება ნაწარმოები: «საიდან მოვდივარ, საით მივდივარ, რა მინდა...» არაბუნებრივ სიწყნარეში გურამს (ნაწარმოების გმირს) დაეუფლება «ნეტარი უსურვილობა» («...გაუქრა ყველანაირი ნდომა, სურვილი, მიხვდა რისთვის ცხოვრობს ადამიანი. დაინახა გზა, რომელსაც უნდა მიჰყვეს და უეცრად ყველაფერი გახდა მარტივი. რა გზა იყო ეს? გიყვარდეს ყველა და დაკარგო ვნებები, სურვილები...»)

აქვე მინდა მკითხველს გავახსენო «ჩემი ლიტერატურული შეხედულებების» ბოლო მოთხრობის, «დღიურის», ფინალური ეპიზოდი: ახალმა სიღრმისეულმა განცდამ «სულ შეაცვლევინა ლოთს ზრუნვის საგანი», მკითხველის თვალწინ ერთ წამში შეიცვალა ლოთის დამოკიდებულება ადამიანებისა და მოვლენების მიმართ. მისი ყურადღება, მისი მზერა გადავიდა გარეგანი ამბიდან («წიგნებს წყალი შეუდგა, ისინი ფუჭდებიან») შინაგანი ამბისაკენ. მოკვდა «ძველი ლექსო» და დაიბადა «ახალი ადამიანი» თავიდან, სულიერად. აი, რატომ უხარია ლოთს ასე ძალიან საკუთარი თავის, «ძველი ლექსოს,» დასაფლავებას რომ უყურებს. აი, რატომ წვიმს ასე კოკისპირულად ცაზე მარტო დარჩენილი ღრუბლიდან მოთხრობის დასასრულს, რატომ იბანს მზე პირს და რატომ არის ჩუმი სიხარულით სავსე მთელი ეპიზოდი _ «ერთი გადარჩენილი სულით ხარობს ღმერთი ... ცაზე სიხარულია.» «დღიურის» ბოლო ეპიზოდის ფრაზაში _ «მზე პირს იბანს» _ ერთიანდება როგორც უშუალოდ

«ჩემი ლიტერატურული შეხედულებების,» ისე მწერლის მთელი ცხოვრება-შემოქმედებისათვის მნიშვნელოვანი ორი სიმბოლო: მზე და წყალი). წყლის სიმბოლიკაში შესვლას სჭირდებოდა გარკვეული სულიერი გამოცდილება, გარკვეული საფეხურების ავლა და, უპირველესად, ალბათ, ვნების, «გრძნობადის დატევებაი.» (ამოკრეფილია მესამე ტომის კომენტარებიდან (გვ. 3838_384)

ოდესის დღიურიდან:
«სიყვარულს ვერ ვუძლებ და ვიწვები.»

ასევე ვერ უძლებს სიყვარულს, ვნებას, ინთება და იწვის ვეირამუტის ვარსკლავი, ტია-ტუს ვარსკლავი. მწერლის შემდგომი შემოქმედების ფონზე თითქოს გასაგები ხდება, რატომ არაა, ფაქტობრივად, განსხვავება ლამაზი ვეირამუტისა (ყველა თავის გრძნობას სიყვარულს რომ არქმევს) და უშნო ტია-ტუს (რომელსაც თავისი სიუშნოვის გამო ეშინია გაამხილოს თავისი სიყვარულის ამბავი) ცხოვრების დასასრულს შორის, რატომ სხედან ორივენი ერთად გამოქვაბულის სიბნელეში («ო, ვეირამუტ! ო, ტია-ტუ! თქვენ ორივენი ხართ დიდ, ღრმა გამოქვაბულში, რომელშიაც არის მარტო სიბნელე, თქვენ ორივეს ახვეული გაქვთ თვალები და ვერა ხედავთ სინათლეს, რომლის მძლავრი სხივიც დანახვისთანავე თვალებსა გჭრით და გაბრმავებთ. ის, ვინც ვერ ხედავს სინათლეს, დაიღუპება») და, ერთნაირად დაბრმავებული თავიანთი ვნებისგან, რატომ მიდიან უფსკრულისაკენ, საიდანაც მოისმის სასოწარკვეთილი ორი ქალის კივილი:

« _ უ... /ისმის უფსკრულში გადავარდნილი ვეირამუტის სასოწარკვეთილი კივილი./

_ უუ... /ისმის უფსკრულში გადავარდნილი ტია-ტუს სასოწარკვეთილი ხმა./»

პიესის შავ ავტოგრაფში, მწერლის მიერ გადაშლილ მეორე მოქმედების ექსპოზიციაში (იხ. აქვე, ჩანაწერებში «კა და კოსათვის») «ყური დაუგდეთ ფუტკრების ბზუილს», პირდაპირ წერია, რომ ტია-ტუსა და ვეირამუტს შორის არ არის განსხვავება, რომ «ეხოებისათვის ორივე ერთნაირად პატივსაცემია და ერთნაირად სულერთი შესაბრალებლად! « «... მას (ტია-ტუს _ მ.რჩ.) არა აქვს ის იარაღი, რაცა აქვს ვეირამუტს _ სილამაზე და რომელი უფრო ბოროტია მათში თავისი იარაღით, ჩვენ ვერ ვიტყვით, ეხოები. მას არა აქვს ის იარაღი, რაცა აქვთ კასა და კოს _ ისინი არიან სუსტები, პატარები. ტია-ტუ დიდია და ძლიერი, იბრძვის სილამაზე და ძალა _ ერთი სიძლიერის იარაღით, ეხოებისათვის ორივე ერთნაირად პატივსაცემია და ერთნაირად სულერთი შესაბრალებლად! ჩვენ (ეხოებმა) ვიცით, რომ მას უყვარს თავისი დები, ოღონდ ის მალავს ყველაფერს, მალავს იმიტომ, რომ მას არ უყვარს თავისი ტანი, თავისი ხმა, თავისი სახე და რცხვენია უყვარდეს სხვაც, ის ძლიერია სულით, მოქმედი და თავს ვერ უტყდება ამაში, მას ურჩევნია იყოს ბოროტი, ვიდრე უშნო, მას ურჩევნია იყოს მკვდარი, ვიდრე არასაყვარელი, მას ურჩევნია სძულდეთ ის და ეშინოდეთ მისი, ვიდრე უყვარდეთ და ეცოდებოდეთ ის. დე, ნუ იქნება თქვენთვისაც ასე!» (ბოლო სიტყვები უნდა იყოს მიმართვა მკითხველისადმი. თითქოს აქ ჩანს, რომ სწორედ ამიტომ დაიწერა «კა და კო». ასეთი უშუალო მიმართვა მკითხველისადმი არის გურამის სხვა ნაწარმოებებშიც).

გურამ-გურამის სისხლმდინარე დაჭრილი გული, ეს უნდა იყოს მისიის ჯერ ბუნდოვანი შეგრძნებით შეპყრობილი ადამიანის გული, რომელსაც მიზნისაკენ მიმავალ გზაზე ქალისადმი ვნება კი არ კურნავს, კი არ აგრილებს, კი არ

უკმაყოფილებს წყურვილის გრძნობას, არამედ საწვავს უმატებს ცეცხლს. ჩემი აზრით, ვეირამუტი იგივე ირინაა, რომლისკენაც გზას გურამი თავისი ნებით იჭრის: «ცხოვრებაში, მადლობა ღმერთს, ყველაფერი უსისხლოდ დამთავრდა» (იხ. აქვე შენიშვნები «იულონისათვის». აგრეთვე «სალომე და გურამი»). ჩნდება აზრი, რომ «კა და კოში» ჩანს ის მიზეზი, რატომაც დაშორდნენ ერთმანეთს გურამი და რ. (იხ. კომენტარები «იულონისათვის»). შესაძლებელია, რაღაც წამს ჩემმა ძმამ იგრძნო, რომ ვნება, ქალისადმი სიყვარული არ იყო ის გზა, რაც მოუტანდა მას სიგრილეს და მოუკლავდა წყლის წყურვილს.

ამონაწერები «კა და კოდან»:

«მომაშორეთ ძუძუები, მომეცით სინესტე, მე ახლა წყალი მწყურია.

ეხოები: შენი ძუძუები სავსეა ვნებით, შენ მარტო ის დაგრჩა შენი გრძნობებიდან და შიგ ნოტიო სამუდამოდ გამოილია. შენ ბუნებამ დაგწვა .. მაგ ვნებამ დაწვა შენი მეომარიც.

ვეირამუტი: გურამ-გურამი კვდება უწყლოდ. ჩქარა გამივლის?

ეხოები: როცა აღარ გერქმება შენ ვეირამუტი, აღარ იქნება ტია-ტუ...

... როცა აღარ გექნება ვნება, აღარ დასჭირდება მეომარს წყალი.

მეომარი ხმამაღლა: წყალი, წყალი, წყალი /თავს სწევს მაღლა, ხვდება ვეირამუტის გადმოყრილი ძუძუები, სახეს სწვავს, უცებ იქნევს თავს და ირინდება/.

_ ოო, კვნესის საზარლად.

მეომარი: ო, ისევა მწვავს, ო, რა ცხელია. მე ის ლოყასა მწვავს, მე ის შუბლზე მედება .. ო, მომაშორეთ ძუძუები, მომეცით სინესტე, მე წყალი მწყურია.

ვეირამუტი: მომეცით წყალი, მომეცით სინესტე, აავსეთ, აავსეთ ჩემი ძუძუები.

ეხოები: შენ ვნებამ დაგწვა, მაგ ვნებამ დაწვა შენი მეომარიც.

/ეხოები, რომლებიც გამოავლენენ გულის ხმას, პირდაპირ ამბობენ, რომ ვეირამუტი და მეომარი დაწვა ვნებამ.

ვეირამუტი თავს აბრუნებს ტია-ტუსკენ, რომელიც წინანდებურად მშვიდია, და ნელა უძახის/

ვეირამუტი: აჰა, აი, აქ, აქ არის ნესტი, აჰა, შენია, აჰა, წაიღე, სულ შენ წაიღე.

/ის აღგზნებულია, აზღუდიდან იღებს ძუძუს და აწვდის, მეომარი წუწნის ნელა და ვნებით)

ვეირამუტი: ის სულ შენია, ის სულ შენია.

მეომარი: მე ის ახლა ლოყასა მწვავს, მე ის ახლა შუბლზე მედება, ო, მომაშორეთ ძუძუები, მომეცით სინესტე, მე წყალი მწყურია.

ვეირამუტი: კეთილო და ბოროტო ეხოებო, მომეცით წყალი, მომეცით სინესტე, აავსეთ, აავსეთ ჩემი ძუძუები.

ეხოები: შენი ძუძუები სავსეა ვნებით, შენ მარტო ის დაგრჩა შენი გრძნობებიდან და შიგ ნოტიო სამუდამოდ გამოილია.

მეომარი: წყალი, წყალი, ო, ნუ მტოვებთ.

ვეირამუტი: მე თანახმა ვარ, ოღონდ წყალი, წყალი მომეცით, რომ გურამ-გურამს დავალევინო.

ეხოები: როცა აღარ გექნება ვნება, აღარ დასჭირდება მეომარს წყალი.» /ამონაწერები «კა და კოდან»./

საინტერესოა, რომ ირინასა და ვეირამუტის სიკვდილის შემდეგ უცებ ყველაფერი მშვიდდება «კა და კოშიც» და «ირინაშიც.» მთავრდება ძლიერი ვნებათაღელვა,

ეჭვიანობა, შურისძიება, რაც ემყარებოდა სხეულის, გარეგნობის მძაფრ აღქმას. წყნარი და ლივლივა ხდება წყალი. ორივეგან სასიამოვნოდ ანათებს მზე, რომელიც ჯერ არა წვავს.

* ტია-ტუ არის პირველი მახინჯსხეულიანი პერსონაჟი გურამის შემოქმედებაში (თუმცა ფიზიკურად ნაკლული კუტი გოგო ცირა უფრო ადრე გამოჩნდა «მარინაში»). ასეთი გმირებით მწერალი თითქოს ამოწმებს, რამდენად მართალია მახინჯ სხეულში რომ მახინჯი სული დგას. გეგონება ეს წარმართული გამონათქვამი დაპროგრამებული იყოს და ადამიანი ყოველ ცალკეულ შემთხვევაში მხოლოდ იძულებულია დაადასტუროს ის (გაიხსენე «შაშას რევოლუცია», «იულონი» და სხვა, «კა და კოს» მომდევნო, ნაწარმოებები), თითქოს სხეული განაპირობებდეს სიკეთისათვის დაბადებული ადამიანის სულიერ მდგომარეობას («შენ მახინჯი ხარ, ტია-ტუ, შენ გეშინია თქვა, რომ გიყვარს გურამ-გურამ! შენ ლამაზი ხარ, ვეირამუტ, და ყველა შენს გრძნობას ეძახი სიყვარულს!»). გურამის ნაწარმოებებში ჩანს ისიც, რომ გარეგნობა, სხეული მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი ხდება ადამიანისათვის იმდენად, რამდენადაც არსებობს სხვისი თვალი, რომელიც აღიქვამს მას. როგორც მკითხველი თავადაც დარწმუნდა პიესის კითხვისას, ტია-ტუსთან დაკავშირებული რეპლიკები განუწყვეტლივ მიანიშნებენ ამას, ისე როგორც დედისა და ლეკვის ეპიზოდები. აქ ჩანს, რომ დედა მიკედლებულია ძაღლს მხოლოდ იმიტომ, რომ ძაღლი ვერ აღიქვამს მის დამჭკნარ ძუძუებს, მის სიბერეს, მის სიუშნოვეს და სხვ.

ამონაწერი «კა და კოდან»:
«ტია-ტუს არ ეშინია არაფრის, როცა ის არის მარტო. ტია-ტუს მაშინ ეშინია ეხოების, როცა ის სხვებთანაა, როცა მას უყურებენ მისი დები, დიდი მეომრები და როცა მას უყურებს ვეირამუტი.»

ამონაწერი დღიურიდან:
«ვწევარ ტახტზე მოკუნტული, მარტო ვარ, სხეული არა მჭირდება.»

მკითხველს შევახსენებ «შაშას რევოლუციიდან» იმ ადგილს, როდესაც ცარიელ, უცხო ქუჩაზე მომავალ შაშას საერთოდ ავიწყდება თავისი ჩოლახობა, თითქოს ცალი, მოკლე ფეხი უგრძელდება კიდეც, უჩვეულო, მედგარ, მხიარულ სიმღერასაც კი წამოიწყებს და როგორ წამში იცვლება შორიდან მომავალი ნაცნობის დანახვისთანავე მისი ბუნება. ბევრი ამდაგვარი ადგილის მოყვანა შეიძლება მწერლის ნაწარმოებებიდან. გურამთან ნაწილი გმირებისა _ და მათ შორისაა ტია-ტუ, ებრაელი შტოლცი «დღიურიდან» _ ვერ ეგუება, რომ გარეგნობით ისეთები არ დაიბადნენ ამქვეყნად, როგორებიც უნდოდათ რომ დაბადებულიყვნენ. მათი ცხოვრება, ფაქტობრივად, ეს არის «ბუნტი საკუთარი თავის წინააღმდეგ» («ფაშიზმს საფუძვლად ედო საკუთარი თავით უკმაყოფილო ადამიანის ვნება» _ ამონაწერი მწერლის დღიურიდან).

მაგრამ არსებობენ გურამთან გმირები, რომელთაც, «ვითარცა უსხეულოებს», ხელეწიფებათ სხეულისაგან შექმნილი პრობლემების, დაბრკოლებების დაძლევა, სულის მოთხოვნის უანგარო მიყოლა, სხეულზე გამარჯვება. მათ მიხედვით შეიძლება მსჯელობა ადამიანის პოტენციურ უნარზე. ასეთია, თუნდაც, უსახელო უფლისციხელი ამავე სახელწოდების მოთხრობიდან, დაუმთავრებელი ტრაგედიის «სურამის ციხის» ზურაბი, აშაქალი დაუმთავრებელი რომანიდან «საიდან

მოვდივარ...», კუტი გოგო ცირა, რომელსაც ფიზიკური ნაკლი არ აბოროტებს, სხვისი თვალი არ აშინებს. ცირა და აშაქალი იღებენ საკუთარ თავს ისეთებს როგორებიც არიან. გაიხსენე სხვისი, გარეშე თვალისაგან მთლიანად თავისუფალი, «დღიურის» თითქოს უსხეულო, «ლოთი-წინასწარმეტყველი», რომელიც ნაწარმოების ერთ-ერთ ბოლო ეპიზოდში (როდესაც დასასაფლავებლად მიასვენებენ) თითქოს მთლიანად თავისუფლდება საკუთარი სხეულისგან, რასაც მწერალი ლოთში გაელვებული ანგარების გრძნობის დაძლევასთან აკავშირებს.

ამონაწერი დაუმთავრებელი რომანიდან: «საიდან მოვდივარ, საით მივდივარ, რა მინდა...»:

«...ღამე რო ჩადგა, ჩაწყნარდა ყველაფერი, ღამე რომ ფიფქის მაგიერ ვარსკლავები ცვიოდა ციდან და ხეობაში ქუდმოხდილი თეთრი თმით ღმერთი დადიოდა წმინდა შუბლით და ყველას ლოცავდა, მერე პირდაპირ დიდ მთაზე დადგა, პირველი ღილი პერანგიდან შეეხსნა, კრიალა ნიავს უშვერდა შუბლს, ერთი ხელი გულზე ედო, მეორეს ცისკენ იშვერდა, მაშინ გარეთ გამოვედი, დაბლად დავუხარე თავი.

_ აშაქალ, ქალო! _ მომესმა იმისი მაღალი ხმა, დაბლად ნათქვამი.

_ რადა ყმუოდი ამდენი წელი, მე გაწყენინე ვიცი, აშაქალ, რომ არ მოგეცი სუფთა სახე, სუფთა თმები, სუფთა მკერდი, სუფთა კაბა, სუფთა ხმა. რად არა მწყევლი, საწყალო აშაქალ! _ თეთრ თოვლებზე მწვანე ბუჩქი აიყარა, მრგვალ ბუჩქებს შუა სამ-ოთხტოტიანი იასამნები აყვავდნენ, ისინი წელში ირხეოდნენ, ტოტებს ხელით შლიდნენ და ღმერთს თავის ყვავილს აწვდიდნენ.

_ ბეჩავ, აშაქალ, ბეჩავ, აშაქალ! _ იძახდა ღმერთი, _ რად არ მოგეცი სუფთა თვალები, სუფთა მკერდი!..»

გურამთან აქ, ისე როგორც შემდეგ, ხდება იმ სინაზის და სიყვარულის უნარის გამოვლენა, რაც ბუნებრივია საერთოდ ადამიანისათვის და არა მხოლოდ გარეგნულად ლამაზისათვის. თითქოს ხდება იმის დადასტურება, რომ ყველა სხეული ერთნაირად ვარგისია სიყვარულისათვის (შეიძლება პირიქითაც კი, როგორც შაშას ან ცირას შემთხვევაში: «შეიძლება შაშა სჯობდა კიდეც სხვებს, რაც უფრო მეტად ჩოლახა იყო, მით უფრო». იხ. კომენტარები «მარინასათვის»). ყველა შემთხვევაში ეს არის სიღრმეში ჩაძირული მოყვარული გული, რომელიც მოითხოვს ამოცნობას.

ასე რომ, «კა და კოში», ჩემი აზრით, მთელი სისრულით პირველად გამოვლინდა სხეულის მიერ შექმნილი პრობლემების არსი, რაც, ძირითადად, უცხო თვალთან, გარე თვალთახედვასთან, «ზედაპირის» ვერდაძლევასთან არის დაკავშირებული და არა ადამიანის შინაგან, არსობრივ სამყაროსთან. კა და კოს მანამ ეშინიათ ექოების და ერთმანეთის, სანამ სხვები უყურებენ მათ _ ვინც იცის, რომ ეს ექოები არიან ცუდები და რომ მათ არავინ არ უნდა მიეკაროს. ისინი მხოლოდ მაშინ ჩაეკვრებიან ერთმანეთს, როცა კვდება ყველა. მესამე თვალის გარეშე თითქოს ისპობა ზედაპირის მნიშვნელოვნება. გამოდის, რომ მხოლოდ ხილულ დონეზეა დაპირისპირება ლამაზსა და უშნოს შორის, რაც ხშირად ბოროტისა და კეთილის დაპირისპირებად იქცევა ხოლმე. სიკეთე და სიბოროტე, ცუდი და კარგი არის ამ ქვეყნის, ხილული სამყაროს, კუთვნილება. ძნელია იყო ადეკვატური ხილულ, მატერიალურ სამყაროში, ანუ შინაარსი დაამთხვიო ფორმას.

ამონაწერი დღიურიდან:

«სხეულთან ბრძოლა წარმოადგენს ჩემს უპირველეს მოთხოვნილებას.»

* ნაწარმოების კითხვისას გამიელვა ეჭვმა _ პიესის ბოლო ეპიზოდში კა და კო (ისე როგორც «მარინაში» გიო, როდესაც ის თავის შეყვარებულს ეცხადება და თითქოს უსაყვედურებს შურისძიებისათვის) მატერიალურ სამყაროში არიან თუ უკვე «სულეთში» _ იქ, სადაც, ვფიქრობ, მწერლის აზრით, აღარ არსებობს ის ვნებები, დამოკიდებული გარეგნობაზე, სხეულზე, რაც აპირისპირებს ადამიანებს და რაც უბიძგებს შურისძიებისაკენ, გაუცხოებისაკენ! თუ გურამ-გურამის სიკვდილის შემდეგ, უბრალოდ, შეიცვალა ყველაფერი და მათ ამ სამყაროშივე დაკარგეს სხვისი თვალის შეგრძნება, მათი დაპირისპირების, შიშის, გაუცხოების საფუძველში რომ იდო! «გურამ-გურამ რომ არ მომკვდარიყო, ისინი ვერ შეერთდებოდნენ.» ხომ არ არის ეს იგივე, რაც: «სურამის ციხე» ვერ აშენდებოდა, რომ ზურაბი მსხვერპლად არ შესწირვოდა მის აშენებას!

გურამის ჩანაწერებში არის ასეთი წინადადება: *«მინდა «კა და კო» გავაკეთო ტრილოგიად, სადაც მეორე მოქმედებაში ისინი აღარ იქნებიან.»*

ნაწარმოების ბოლო ეპიზოდიდან სხვადასხვა მაგალითების მოყვანა შეიძლება ჩემი ზევით გამოთქმული ეჭვის დასადასტურებლად.

* ხმები _ ექოები (ხელოვანი)

«კა და კოში», ისევე როგორც ადრე «მარინაში», გურამი ლაპარაკობს შემოქმედის (ექოები, ხმები) დანიშნულების შესახებ, იმაზე, რაც შემდეგ «ირინა და მეს» «მინაწერისათვის» გაკეთებულ ჩანაწერებში წერია პირდაპირი სიტყვებით, შენიღბვის გარეშე:

«...მე მეჩვენება, რომ დგება დრო, როდესაც აღარ იქნებიან საჭირო ცალკეული წინასწარმეტყველები, რომლებიც სხვადასხვა ენების ერებს ატყობინებენ მათივე გულში ჩადებულ ზრახვებს, არამედ იქნება ყოველი ადამიანი თავისთავად წინასწარმეტყველი, თავისთავად მარტივი (წინასწარმეტყველება სწორედ აუცილებელი სიმარტივის, სხვაში უკვე დამწიფებულის და მომზადებულის ერთისგან აღქმის, გაგების პრინციპზეა დამყარებული) და უმოციქულოდ გაუგებს ხალხი ერთმანეთს. აღარ იქნება საჭიროება პოლიტიკურ აზრთა გაცვლისაც კი (დღეს კიდევ აუცილებელის), ღმერთის მცნებასავით მარტივი გახდება ადამიანი და სადღაც შეხვდება განზე საშინელი ძალით ამოვარდნილი ხელოვნება ისევ მას ... ის იქნება არა ხალხისათვის, არამედ თვითონ ხალხი ... უზარმაზარი ხიდი გასდეს ამერიკაში ერნესტ ჰემინგუეიმ და რუსეთში მიხაილ შოლოხოვმა. მათ გარკვეულად ჩამოაშორესავით ლიტერატურას წინასწარმეტყველური ხასიათი, წააგეს, რა თქმა უნდა, მხატვრულობის მხრივ, მაგრამ მხატვრულობა არასოდეს ყოფილა თვითმიზანი. ლიტერატურა ეს მთლიანად ხალხია, თავისი ყველა ნაწილით, და თუ ყოველი იქნება წინასწარმეტყველი, დაიღუპება, დაიკარგება საჭიროება განმარტებისა, მხატვრულად აღქმისა, დაიღუპებიან, მოუბრუნებლად დაიღუპება მაღალი მხატვრულობა და ....»

«კა და კოდან»:

.»ადამიანებს საერთოდ ეშინიათ ზედაპირის, ეს შიში იმდენად ძლიერია, რომ საშუალებას არ აძლევს მათ უფრო ღრმად დაინახონ ერთმანეთი შიშის საზღვრის

იქით. ამ შიშის საზღვრის იქით ადამიანთა მზერის გადატანისათვის ვარსებობთ ჩვენ, ეხოები.»

«ეხოებს აქვთ უნარი თქვან არა ის, რასაც ადამიანები ლაპარაკობენ, არამედ ის, რასაც გრძნობენ, რაც დამარხულია ადამიანების გულებში».

«ჩვენ, ეხოებს, არ გაგვაჩნია საკუთარი ხმა, არც მხედველობა, მით უმეტეს, გრძნობები, რომლებიც ყველაზე მეტად უშლიან ხელს ადამიანებს ღრმად დაინახონ ერთმანეთი,» როგორც ობიექტური ჭეშმარიტება. ჩვენ გაგვაჩნია მხოლოდ სიმართლე, იმიტომ არის, რომ რასაც ვისმენთ, ვიმეორებთ მხოლოდ სიმართლეს, რის გამოც საერთოდ არ შეგვიძლია მოვისმინოთ ტყუილი, ის ჩვენთვის არ არსებობს თავისთავად, ის მხოლოდ ეჩვენებათ ადამიანებს, რომელთაც აქვთ ხმა, ყურები მათ გასაგონად, მხედველობა და გრძნობები.»

* გურამის შემოქმედებაში ხანდახან გვხვდება ისეთი ფრაზები და წინადადებები, რომელთაც თითქოს ნაწარმოების სიუჟეტთან არა აქვთ არავითარი კავშირი და იძენენ მნიშვნელობას, თითქოს რაღაც წინასწარმეტყველურ ფუნქციასაც კი, რაღაც ზოგადთან მიმართებაში. ასეთია, მაგალითად, თუნდაც «ალავერდობაში»: «ეს ისტორიულადაც ბოლო დღეა» ან იქვე: «ჩვენ ორი დღით დავიბენით.» «კა და კოშიც» გურამის ცხოვრებასთან მიმართებაში წინასწარამეტყველებასავით გაისმის სიტყვები, თითქოს სრულიად უადგილოდ ნათქვამი: «დედა არ შეიძლება მოკვდეს, კვდება მხოლოდ შვილი.»

«კა და კო» პირველად გამოქვეყნდა 1965 წლის კრებულში: «გურამ რჩეულიშვილი. მოთხრობები».

იულონი

1958 წლის შემოდგომაზე გურამი ინტენსიურად «ავსებდა» ცალხაზიანი რვეულის ფურცლებს დღიურებით («წერა, წერა რვეულის გავსებამდე..»). «იულონი» არის პირველი მხატვრული ნაწარმოები «შაშას რევოლუციის» (1958 წლის აგვისტო) შემდეგ. დაწერილია თბილისში 1958 წლის დეკემბერში.

არქივში ინახება ნაწარმოების როგორც შავი, ისე თეთრი ხელნაწერი. შავი ხელნაწერი დაწერილია ხუთი თორმეტფურცლიანი რვეულის ორსავე გვერდზე (I. 1-24გვ., II. 1-26გვ., III. 1-34გვ., IV. 1-26გვ,. V. 1-38გვ.). ზოგიერთ რვეულში ჩამატებულია ფურცლები. თეთრი ხელნაწერი დაწერილია მაგარი ყავისფერყდიანი საერთო რვეულის ორივე გვერდზე (1_201გვ.). დათარიღებულია მხოლოდ თეთრი ვარიანტი. თეთრი ხელნაწერის სრული სათაურისათვის იხ. ნაბეჭდი ტექსტი.

ჩანაწერები «იულონისათვის»:

ჩანაწერი რუსულ ენაზე თორმეტფურცლიან რვეულში, სადაც დაწერილია «გოგან გაგანია» (1959 წლის ზაფხული):

« Не любить, не презирать
Только стоять и чувствовать это смешение
на арену _ сцену». («იულონისათვის»)

«в роли:

_ Проста как жизнь

_ А что мне жизнь.»

შესაძლებელია, ეს იყოს ამონაწერი რომელიმე ნაწარმოებიდან, რომლის კითხვის დროსაც გაახსენდა «იულონი» და კითხვისას გაახსენდა «იულონი.» გურამისათვის ბუნებრივია თავისი ნაწარმოებების რეტროსპექტული ანალიზი.

სხვადასხვა ჩანაწერი «იულონისათვის» (1_25 გვ.), გაკეთებული ცალხაზიან და უხაზო თაბახის ფურცლებზე (ასეთი ფურცლები გამოყენებულია «შაშას რევოლუციისათვის»):

«ტრაბახზე: ტრაბახი სხვებთან არის ძნელი, არ იჯერებენ, თორე თავთან ტრაბახი ადვილია. დაიტრაბახებს კაცი, კაცის გული კი ისეთი საწყალია, უცებ უჯერებს თავის თავს და სიამოვნობს.»

«ადრე, გურამი როცა ჰყვება პიესის შინაარსზე: მოჰყვება: დედის და იულონის დამოკიდებულებას, სიყვარულს, იულონის პატარა ეჭვს ადრევე. იტყვის: იულონი ვერ აიტანდა, რომ ეჭვი მართალი გამომდგარიყო.»

1. «მკვლელობის მერე _ არაფერი საქმე არ იყო, ამბავი არ იყო, იმიტომ მოხდა ყველაფერი. აქ არიან მარტო განწყობები. აქ არიან მარტო იდეები.

იულონი არის მარტო, სულ მარტო, ბეჩავი, უშნო, ულამაზო, ის არ უყვართ გოგოებს, არ უყვარდათ სკოლაში ბიჭებს, ერთადერთი, ვისაც ის უყვარს, არის დედა. დედა, ეს დედა არის მისთვის ყველაფერი, მიუხედავად იმის, რომ მასაც იშვიათად ელაპარაკება.

უცებ მის ცხოვრებაში იჭრება სალახანა ძმა, რომელიც დედის სისხლის შეგრძნებას უბათილებს და, სამაგიეროდ, სთავაზობს თავის თავს.

იულონი თავს იკავებს ბოლომდე.

ეჭვები ახრჩობს, მაგრამ არ იჯერებს.

ძმა მეთოდურად უმტკიცებს,

იულონი უარყოფს.

აქ ჩანს რა ძვირფასია იულონისათვის დედა.

აქ ჩანს როგორი არაფრის მიმცემია მისთვის ძმა _ სალახანა

და უცებ, როცა ძმა ისე სალახანობს, რომ იულონს იმედი აღეძვრება, შეიძლება ეს მისი ძმა არ იყოს, ძმა ჯიბიდან იღებს ნივთის ნაჭერს, რომელიც იულონის კონვერტს ჰქონდა. ისინი ნახულობენ იულონის კონვერტზე იმავე ინიციალებს.

იულონი დგას გაშტერებული.

ხითხითებს თეზიკო

და უცებ სკდება მთელი მოთმინება.

ააა! ღრიალებს იულონი და დანით ახტება თავის ძმას.

ნამდვილი ცხოვრება იულონის: ჰყავს დედა, მამა, ოჯახი, არა აქვს ამბავი. სულ ფიქრობს, ბუნებით ის არის ტრაგედიისათვის დაბადებული. დაბადებული იდარდოს და ის ათრევს სხვის დარდს. დარდს მოკლულ ბავარელზე, რომელიც მას უამბეს და ეს დარდი ისე გაიზარდა, რომ მისი გახდა და დღეც და ღამეც ამ დარდზე ფიქრობს. ეს ტრაგედია იყო სცენაზე მისი პირველი ტრაგედია, ის უკვე 28 წლისაა და აქ გამომჟღავნდა მისი მიდრეკილება ტრაგიკულისადმი, ყოფილიყო არა სხვისი ტრაგედიის მატარებელი, არამედ საკუთარი ტრაგედიის მატარებელი.

ეს მკვლელობა რომ არა ყოფილიყო ტრაგიკულის ფორმის გულისათვის, რომელიც ქართველს როცა სულში შეუჯდება, არ შეუძლია არ ითამაშოს ცხოვრებაში, მაშინ ეს მკვლელობა იქნებოდა რევოლუცია.

_ თუ ამ ოთახში ვერ დავამყარეთ სიწყნარე, გარეთ რა გვეშველება?!

ან რა არის გარეთ.

ამ ქვეყნის იქით ხომ ვერ გახვალ,

იქით, გარეთ აღარ არსებობს.

!: კაცო, პიესას არჩევთ თუ მომხდარ ამბავს, მკვლელობას!

Он уже убит и он больше не интересен _ за то интересен убийца и вдвое»

«<u>გურამი:</u> მე არ შემიძლია თქვენსავით ლაპარაკი, არაგულწრფელი გამოდის, ფორმა მაქვს ცუდი. მე ვიცი ადამიანები არიან ასეთები და ისეთები: კარგი _ ცუდი, კარგი _ ცუდი.

არა აქვს მნიშვნელობა. მე მათ ხელითა ვგრძნობ როგორც სითბოურ წონას, ე.ი. მისი, მათი არსებობა ნამდვილია, არი რაღაცა საზღვარი, რითაც იგებ კაცს და თვლი მას ნათესავად. აი, მაგალითად, გოგო იღლიის ძირში ამოჯდომით და მხრების მოხრის პერსპექტივით.

ირაკლი: თავისი ისტორია გულახდილობით 37 წლიდან და (ჯიმიზე).

<u>ცდა ყველა</u> იყოს გულახდილი.

პატ. გურამი ჰყვება გოგოს გაყოფის ამბავს იმისა და ედიშერისაგან, ჰყვება აგდებულად.

ედიშერი: კუზმან, რატო არ გინდა მოჰყვე სერიოზულად, როცა სერიოზულად განიცდი.

დამნაშავე იყო ედიშერი.

«<u>გურამი:</u> მე არ შემიძლია თქვენსავით ლაპარაკი, არაგულწრფელი გამოდის, ფორმა მაქვს ცუდი. მე ვიცი ადამიანები არიან ასეთები და ისეთები კარგი_ ცუდი კარგი _ ცუდი

არა აქვს მნიშვნელობა. ის ენით ლოკავს, როგორც ერთ დროს დაიფიცა, იატაკს ერთი თავიდან მეორემდე. ლოკავს კუზმანაც, მაგრამ სხვაა ერთის ალოკვა, სხვაა მეორის და არც ერთის არ არის მართალი (მინაწერი არეზე: «აქ კუზმანას როლი კარგად!!!»), თანაც ორივე არ არის ტყუილი, უბრალოდ ფორმა არის ყალბი _ საერთოდ ყველა ფორმა არის ყალბი.

ფორმის მიცემა შეიძლება, როცა ხდება რაღაცა ტრაგედია, ან არის საბაბი მხიარულებისა, თუმცა თუ არის ამის განწყობა, ფორმა იქმნება თავისთავად.

გარემოსთვის გადაბრალება, თავისი სისუსტის ბოროტად გამოყენება.

რუსს არ ამცირებს, რომ ის გლეხია _ უბრალოდ, იცის თავისი ადგილი. არც იმას უშვებს თავის საქმეში, არც თვითონ შედის.

ქართველს სწყინს, რომ ის გლეხია _ თვითონ სახელი.»

«ინტელიგენტისთვის _ ნასწავლისათვის ლაპარაკი ძნელია. ჯიმი უხსნის: აი, შენ, ედიშერ, როცა ლაპარაკობ, მარტო შენს თავს კი არა, სხვებს გულისხმობ. ამიტომ უნდა აწყენინო ვინმეს, გამოხვიდე ცუდი, ბობა მარტო თავის თავს გულისხმობს.

ამითი შენ კი არ ზრუნავ უფრო მეტს მასზე, შენ გინდა უფრო მეტად ამოხსნა შენი არსებობა, როცა იმან თითქოს უკვე იცის რატომ გაჩნდა, როგორ უნდა იცხოვროს.

ედიშერი: აბრალებს სხვების სიყვარულს თავის უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნას.

ირაკლი: იქაჩება; აი, ჩვენ რამდენი სიკეთე გავუკეთეთ სხვებს, თავი შევწირეთ და ახლა ვიტანჯებით.

ინტელიგენტი თავისთავად პრინციპში ორმოა, ამიტომ ყოველი ფორმა, რომელიც არ უნდა მიიღოს მან, ყალბია. საქართველოში მძაფრი დაყოფა არასოდეს არა ყოფილა კლასობრივად, ყოველი გლეხი ფორმით უცებ ხდება ინტელიგენტი, უფრო სწორად, არის უკვე ყანაში მუშაობის დროსაც, ამიტომ არის, რომ მთლიანად ქართველი ხალხი ფორმალურად ყალბ მდგომარეობაში ვარდება. გლეხი თითქოს თამაშობს ყანის მკას, მუშა თითქოს ჭედავს, სინამდვილეში იმისი საქმეა სილაღე, სანახაობა _ ყარაჩოხელები _ კულტი იყო მათი გართობა. უპირისპირდებოდნენ ინტელიგენტებს და დასცინოდნენ სწორედ ქცევით, გარეგნული მხარით და არა სიღრმით. არ არსებობს აქ გლეხი, მუშა, ინტელიგენტი _ არის, უბრალოდ, ქართველი ტიპი.

უფორმობა ახასიათებს თითქმის უკლებლივ ყველას, რადგან ეს არის ჩვენი ბუნება, ქართველი კაცის ბუნება, რომელმაც არასოდეს არ იცის რა არის ის თვითონ და სისტემატურად ცხოვრობს მეზობელ ჩვენებებში. და არა თავის სინამდვილეში.

«ამ ფორმასა და აზრს შორის ჭიდილში მიდის შენი ცხოვრება.»

ქიზიყი, ხევსურეთი.

1. მე მინდა, რომ იყოს ღამე და არ იყოს სინათლე _ ვიდგე სანთლით და სხვადასხვა. დღე ანათებს მზე _ არ მიყვარს დღე _ დღის სინათლეზე არასოდეს არ მიდის წარმოდგენა, არ ხდება დრამა.

ედიშერი: მე როცა ფორმას ვიღებ, ამ ფორმას როგორც ნამდვილს, ისე ვგრძნობ, შენ კი გვერდზე გაქვს ეს ფორმა _ ნამდვილი სხვა გაქვს.»

«თეზიკო: შენ რა უცებ შედიხარ სხვის მდგომარეობაში.

თეზიკო პედერასტიც აღმოჩნდება, დგვეფაძე ქერავდა, მასწავლებელი.

იულონი: და რატომ ამირჩიეს მე მეთამაშა უშნო კაცის როლი _ ესეც ტრაგედიაა.

იულონი: როლი და ცხოვრება აერია. აქ დედა, იქ დედა და ეს არევა თვითონ უნდოდა, თვითონ ფორმას აჰყვა.»

«გურამი: ეს პიესა მე დავწერე და იქ მოხდა მკვლელობა, ღმერთო ჩემო, ნუთუ ყველაფერი ეს მხოლოდ მოწყენილობისაგან არის, რადგან არსად არ შეგვიძლია აქედან გასვლა, რადგან ამოვარდნა ორბიტიდან არ შეიძლება. თუ ერთ ოთახში ვერ ნახავ შენს ადგილს, მას ვერ ნახავ სულ, სულ შეუსვენებლივ რომ ირბინო დღე და ღამე მთელ მსოფლიოში, დედამიწიდან კი არსად არის გასაქცევი. ღმერთო ჩემო, ნუთუ ეს პიესა მხოლოდ მოწყენილობის გულისათვის დავდგით. არა! აქ კიდევ არის სხვა რაღაცა და ის უნდა გავიგო. ახლა კი მე დავიღალე და ეს ერთადერთი გზაა დროებით გავექცე ყველაფერს. ამ ღამეს მე დავიძინებ. ღმერთო, მომეცი უსიზმრო ძილი. გურამ, შენ დაიფიცე იყო გულწრფელი. გურამ, ნუ ტყუიხარ _ მე მიყვარს ძილი, სავსე სიზმრებით, საშიში სიზმრებით, და რადგან არასოდეს ისეთი უმწეო არა ვარ, როგორც სიზმარში და ჩემ მაგიერ პასუხს აგებს ვიღაცა სხვა და წამიერი უნარი, დააბრალო სხვას რამე, რჩება ჩემთვის, როგორც ადამიანისათვის, უდიდეს ნუგეშად, რომელიც როგორც არ უნდა ვიცოდე რომ სწორი არ არის, ნუგეში მაინც არის.

ჰო, სამწუხაროდ, ეს ასეა.

მაგრამ რა შუაშია აქ სიტყვა «სამწუხარო». ეს მაინც არ მესმის _ ალბათ, ნუგეშია, რომ გასაგები რჩება არა რაიმე, არამედ ყველაფერი. ღამე მშვიდობისა.

Может быть это было ни кчему ну я почему-то уверен, что никчему ничего не бывает»

«1. ტრაგედია კრავს _ ერთ მიზანს აძლევს, ხუმრობა, ღლიცინი შლის, საერთოდ უფაქტო, უდრამო ლაპარაკი ყველა ფუჭია.

2. ტრაგედია შეიძლება გახდეს ყველაფერი, მთავარია თქვა მასზე, რომ ის ტრაგედიაა.

3. იულონ: მას რომ მისცეს _ სწორედ მას ეთამაშა უშნო კაცის როლი _ ესეც ტრაგედია გახდა.

იულონი: როლი და ცხოვრება აერია: აქ დედა, იქ დედა _ ეს არევა თვითონ უნდოდა _ ფორმას აჰყვა _ მნიშვნელობა დაკარგა მისთვის, სად ხდებოდა ამბავი და მოკლა ბოროტმოქმედი და არა ნანობს ახლაც კი! მიუხედავად იმის, რომ ყველაფერი ესმის _ ახლა იულონს აქვს თავისი ტრაგედია. მასზე იტყვიან _ აი, ის ის კაცია, რომელმაც მოკლა უდანაშაულო კაცი და მხოლოდ მას ეცოდინება, რომ ის კაცი, რომელიც მოკვდა, იყო უდანაშაულო, თვითონ იულონი ორჯერ უდანაშაულოა. მან მიაღწია უმაღლეს ფორმას, ახლა სიამოვნებით ითამაშებს როლს, სადაც მოუწევს დახვრეტა და იმ როლის თამაშში ის არ შეიგრძნობს შიშს, არამედ იქნება უდიდესი ნეტარება, რომ ეს ამბავი მართლა ხდება მის გარეშემო.»

«<u>იულონს</u> სიმდიდრე კი არ აინტერესებს, არამედ იმდენად უყვარს აღმზრდელი ქალი, რომ არ უნდა დაიჯეროს, რომ ის მისი დედა არ არის.

<u>თეზიკოს</u> ვერ წარმოუდგენია ასეთი სიყვარული, მას ჰგონია, რომ ძირითადი აქ ფული და კეთილდღეობაა.

ამბავი: აქ კლავს თეზიკოს იულონი.

იწყება შინაური სასამართლო.

<u>იულონი ხმას</u> არ იღებს, ამართლებენ დედის

<u>სიყვარულის</u> პოზიციიდან, რომელიც მას მართლა არა ჰყავს და რომლისთვისაც შეიჭრა ის როლში.

<u>ამართლებენ</u> ფულიდან, რომელიც «არტისტს» ცხოვრებაში არა ჰქონდა და რომლისთვისაც შეიჭრა ის როლში/ როლში მართლა კლავს, იულონმა შეტოპა და არ ნანობს, რომ მოკლა თეზიკო, იმდენად მოაბეზრა იმან თავი, რომ მართალს ჰგავდა, მართალიც იყო.

<u>ვიოლეტა</u> იგონებს გოგოს, რომელიც ორივეს ერთად მოეწონა დაბადების დღეზე.

ბობა _ ყველაზე ახლოს მიდის _ ამბობს: მაგ ბაზარს კაცი ვერ გაიგებს.

იულონი: მოკლა იმიტომ, რომ ჰქონოდა საკუთარი ტრაგედია, მანამდე მას ჰქონდა სხვისი ტრაგედია და ეს ტრაგედია იყო: ომი _ ბავარელი.

ბოლო: ადრე რაზეც იყო ლაპარაკი დაემყარებინათ ურთიერთობა, გაერკვიათ, სულ ტყუილი გამოდგა სიტყვებით, ტრაგედიამ ყველას მისცა სახე, ოღონ მხოლოდ რამოდენიმე ხანით, ცოტა ხნის შემდეგ ტრაგედიაც გაბაცდა და ყველანი დაიშალნენ უფრო უცხოები ერთმანეთისათვის, მხოლოდ მოკლულის გვამი დარჩა სცენაზე.

ლაპარაკი: წასვლაზე _ არსად არ არის წასასვლელი და მაინც მიდის ყველა _ სადმე ხომ უნდა წავიდნენ.»

«<u>!!!</u> თვითონ სიკვდილიც ხდება ლამაზი, როცა ის თეატრალურ ტრაგედიამდე მიდის.

ღმერთო ჩემო, რამხელა შეგრძნება აქვს ამ ხალხს სიმშვენიერის.

თუ არა ეს სიმშვენიერის შეგრძნება, ასეთი მკვლელობა რევოლუციის დასაწყისი იქნებოდა. А ведь это теперь любовь между нами, которая окрепла трагедией, რომელიც ჩვენ უნდა დავმალოთ, ეს ჩვენი ტრაგედიაა, ყველასი ჩვენი ფორმა (...), დიდი იმითია აქ (...) უმაღლესი სიყვარული.

ბავარიელი _ ეს თავი შეგაცოდეთ. შეგაცოდეთ? თქვენ იცით, რომ დიამეტრულად საწინააღმდეგო ორი აზრი _ ამბავი შეიძლება ორივე ერთნაირად სწორი იყოს!

იულონი:

ბოლო სიტყვა: გადამეცით სახალხო სასამართლოს, რომ იქ უფრო მეტ ხალხში ვილაპარაკო _ სურვილი.

აქ არ არის ანგარიში, ნამდვილი, წვრიმალი.

(რეზო): ის გამოაგდეს სახლიდან.

იულონი: მე მაგაში (...)შენი სიამოვნება.

იულონი: მე არა მქონია საკუთარი ტრაგედია, ის სამი არც ერთი არ იყო ჩემი ტრაგედია, მე მიხაროდა ის შეურაცხყოფა და არა მყოფნიდა. და მაშინ რომ (...)ჩემი პიესის კითხვისას, მხოლოდ იმიტომ, რომ ის ჩემი იყო ფიზიკურადაც, ჩემი სხეული კი მე ყველაზე ნაკლებად მემორჩილება, რადგან მე ადამიანი ვარ, თანაც სხეულის უდიდესი შეგრძნებით.

მე არც პესიმისტი ვარ, არც ოპტიმისტი, მე ვარ ჯანსაღად მოაზროვნე ადამიანი, ამიტომ საერთოდ არ შემიძლია მსაჯული ვიყო, რადგან ტენდენციის გარეშე მსაჯული წარმოუდგენელია. მე გაბრაზებაც კი არ შემიძლია.

ფიქრი იულონზე _ ქვეშეცნეულად შემოიჭრა ბავშვობიდან, უცნაურად დამდევდა, კი არ დამდევდა, თავისთვის იდგა ჩემს გონებაში, ოღონ ყოველთვის იდგა.

?! ეგ მწერალია, მწერალს არ შეუძლია მსაჯული იყოს.»

მაინც მე მოჩვენებებში ვცხოვრობ, ნამდვილ ადამიანებს ვერასოდეს ვერა ვგრძნობ.

იმიტომ მომივიდა იმ სიმღერაზე, რომელიც არავის არ ეკუთვნოდა, ასეთი აბსტრაქტული ვნება.»

«გურამი: მე მოვიგონე, ბობა, ეს ჩემი ნათესავია სულის, მარტოა ხალხისგან, ადგილი არ იცის.

ედიშერი: ჩემიც ეგრეა, ჩემიც ეგრეა (ედიშერი ლაპარაკობს ბევრს, ავიწყდება ბობა და ტრაბახობს ამ ნათესაობით, უვლის, წინა აზრით, აზრს დებს, ყურს აღარ უგდებენ ბიჭები.)

ირაკლი: ჩემი აზრით, ეს ისეთი ტიპია.

ბობა: და კაცო, ვინ მოგცათ უფლება ჩემზე ილაპარაკოთ, მე მოვკვდი? კაცო, თუ დიდი ბობა აღარა ვარ.

დამოკიდებულება _ არ ეწყობა როგორც გიჟებთან.

ბობა ჰყვება ციხეში თავის გარეთ დატოვებულ სიყვარულზე, რომელმაც უღალატა_ჟარგონით.

ბობაზე ამბობენ, უდარდელიაო.

ტრაგედია შეიძლება გახდეს ყველაფერი, მთავარია თქვა მასზე, რომ ის ტრაგედიაა (რამე ამბავზე)»

« _ ბელადობის შესახებ.

_ ხალხისა და სიმარტოვის შესახებ!!!

მეორე ამოსვლა დიალოგში.

!! ფეხებში როცა უვარდები, თითქოს მხრებიდან დარდს იგდებ _ ამაშია თავის დამცირების სიამოვნება _ მე ეგ არ მინდა _ (...) და საწინააღმდეგო.

ქართული თვისება პასუხისგება ყველა მოქმედებაზე, რომ სადღაც გამომჟღავნდება შენი ნამოქმედარი და тебя накроют. ეს იწვევს შიშს, რომელიც, რაც გინდა ვაჟკაცი იყოს გარეგნულად, მარხია ყველა ქართველის გულში. შიში! რუსებს არ ეშინიათ თავისი მოქმედების, ჩვენ, ქართველებს, ყოველთვის გვეშინოდა რევოლუციის, როცა ვიბრძოდით მისთვის. ამიტომ აქ ვერ მოვახდინეთ. ჯობია სხვაგან, მერე თუ ის აქ მოახდენს, პასუხისმგებლობა ნაკლებია _ რა ჩემი ბრალია თავის დაზღვევა.

დარდზე _ რუსი _ ევროპა _

იმიტომ არის, რომ კინოში ევროპელის სახეზე ასე ადვილად, ბუნებრივად შეიძლება გამოიხატოს რამე გრძნობა _ შიში, სიხარული _ მისი სახე დაწმენდილია.

რუსს სახეზე შიშის დროს ეხატება _ ужас _ ქართველი ყოველთვის ვარდება არაბუნებრივ მდგომარეობაში _ რასაც ხშირად ფარავს ვაჟკაცურად. ე.ი. უადგილო გრიმასით, ხელის აწევით _ გაქაჩვით.

... ვამბობ, რაც ყველაზე ძვირფასია, მაგრამ ვიტყვი თუ არა, ვგრძნობ, რომ ყველაზე ძვირფასი კი არა ვთქვი, არამედ სულ სხვა, და არა აქვს მნიშვნელობა რას ვიტყვი _ ეს შეგრძნება უკანა მდევს ყოველთვის _ «სხვა რაღაც უნდა მეთქვა!»

იულონმა მოკლა .. ბოლო (...) აღიარება: თქვენ გგონიათ ტორეადორი მართლა ფულისათვის გამოდის არენაზე? (...) ის ერთი წამი, როცა მთელი ყურადღება მასზეა, როცა მთელი არენა ყვირის: ბრავო, ტორო, ფეხზე წამოვარდნილი, არის ყველაზე ძვირფასი, რომლისთვისაც ღირს სასიკვდილო რისკზე წასვლა, გესმით. აქ ჩემი არენა იყო და მე არ ვნანობ, რაც მოხდა. უბრალოდ, ცოდოა, რომ ხარის ადგილას კაცი აღმოჩნდა, მით უფრო დიადია ჩემი როლი. გესმით! და მე, სასიკვდილოდ დაჭრილი ტორეადორი, კიდევ გავიმეორებდი ამ სცენას ახლიდან რომ დაიწყოს. ... არტისტულობის შინაგანმა მიმზიდველობამ ძალა დაკარგა.

ტირილი ბოლო: ტირის გვამზე _ უჰ, თქვენ წინ გაიარა ადამიანთა სიცოცხლემ. მე ეს მინდოდა? არა, არა, მე გიჟი ვარ? არა, არა. ჩამქოლეთ, მე მკვლელი ვარ, გესმით, და სხვა ყველაფერი ტყუილია, ყველაფერი!

ჩვენ მაგის გასამართლება არ შეგვიძლია, არ არის მკვლელი, რომლის გამართლება ფსიქოლოგიურად არ შეიძლებოდეს. ჩვენ უძლურები ვართ. გადავცეთ მკვლელი ხელისუფლებას, იქ არის ფორმები და რომელიმეში ჩატევენ იულონს.»

ჩანაწერი ცალხაზიანი რვეულის ფურცელზე (1გვ.):

«1.არ მეშინია მე აქ მარტო _ ოთახში, იქ კი მეშინია, იქ ხალხია ეშმაკი და ბრაზიანი, ბოროტი.

2. საქართველოში სიკვდილი სიმშვენიერის სიმაღლემდე ადის.

ბოლო, სადაც ქალი იძახის _ მე ქალი ვარ, მე ბოზი ვარ _ თეატრალური სიმშვენიერის სიმაღლე ტრაგიკულობის შეგრძნების დროს.

3. მომტირალი ქალები _ ტირილი.

4. საქართველოში საკმარისია რამე შეეხოს საყოფაცხოვრებოს, რომ ამოვარდეს იქიდან.»

ჩანაწერი რვეულის ფურცელზე (1გვ.):

«!!! თუ წყენა არსებობს ამხანაგის, მეგობრის, უნდა აწყენინო, ამიტომ არის ის წყენა მოგონილი, აბა უცხო მარტო შეგიძლია მოკლა ფიზიკურად და არაფერი შური არა გქონდეს, ჩვენ იმიტომ ვამხანაგობთ, რომ ერთმანეთს ვაწყენინოთ, როცა ერთ ამხანაგს სცემენ, მეორე სისხლს მოსწმენდს, მოუვლის, კარგ სიტყვას ეტყვის _ ო, როგორ ვერ ვიტანთ ჩვენ, ვინც მოწმე იყო ჩვენი დამარცხების...»

ჩანაწერი რვეულის ფურცელზე (1გვ.):

«აპატიეს იმიტომ, რომ ფორმა იყო ცუდი.

ოჰო _ ვითომ არაფერი, აბა, რეზო ყოფილიყო ეს ფორმა?»

ჩანაწერები სხვადასხვა ფურცლებზე, სხვადასხვა ფერის მელნით და ფანქრით (1_8გვ.):

«არც კომედია შველის, არც სერიოზული ლაპარაკი _ თითქოს ხალხს წონა არა აქვს. როცა დაძაბული მომენტის გარეშე მკვლელობის ფაქტი ხდება, ხალხი წონას იღებს,

იკვეთება, ფასდება სიცოცხლე და იბუდებს შიში, რაც იწვევს დააფასონ ერთმანეთი _ არ გასცენ იულონი.

ბევრ ლაპარაკზე არ არის, ბობაც ბევრს ლაპარაკობს, ედიშერიც _ ბობა გულახდილია, ედიშერი _ არა.»

«გურამი: მე იმდენს ვცხოვრობ, რომ უნებურად თან დამყვება ეშმაკივით საბედისწერო ფიქრი: ხომ არ ვაშავებ რამეს?

_ აშავებ.

_ იცით რატომ? მხოლოდ იმიტომ, რომ გამართლება ჰქონდეს ჩემს ამდენ ცხოვრებას.

_ სასარგებლო (გავხდე).

_ ვინ აკეთებს სასარგებლოს? ის, ვისაც არ შეუძლია რამე დააშავოს. ყველაზე დიდი დამნაშავეები არიან ისინი, ვინც აღაგზნებენ ადამიანთა ვნებებს: ასტროლოგები და პოეტები.

!!! ხალხო, თქვენ რომ შეგეძლოთ ისხდეთ წყნარად, როცა არ იცით, რა უნდა აკეთოთ, ნაცვლად იმისა, რომ სისულელე ჩაიდინოთ ამ დროს!»

«ბოლო: _ ეს მკვლელობაც სუფთა ფორმა იყო.

ჰო, სუფთა ფორმა იყო, ქართველი ტყუილა არა კლავს, ე.ი. ფორმის გარეშე, და რომ ეგ ფორმა არ იყოს, მაშინ ის უკვე იქნებოდა რევოლუცია. «

«!! საწყალი თეზიკო, მოვიდა აქ მარტო იმიტომ, რომ მოგვეკლა, სხვა კი მისი ვერაფერი ვერ გავიგეთ _ ვინ იცის, რითი იტანჯებოდა ის!!!?»

«ჯიმშერი: ასეთ ადამიანებს ერთი ბრწყინვალე თვისება აქვთ, ისინი არ აბრალებენ თავის საქმეებს ხალხს, ამიტომ არიან ნაკლები ბოროტები და ამიტომ არიან სწორედ მეტი სასჯელის ღირსი.

მომენტი!!!? თეზიკოს არა აქვს არავითარი დანაშაული, ამიტომ არ შეუძლია გაიყოს იულონთან სასჯელი.

აქ დანაშაული აქვს პიესის ავტორს, ამიტომ და, საერთოდ, მწერალი არ შეიძლება იყოს მსაჯული.

_ ედიშერის სიტყვა.

იულონი: ეტაპები:

I. ჩემი ტრაგედია იყო სხვისი ტრაგედია.

II. იულონი შეიჭრა როლში როგორც სუსტი.

III. არა!!! თქვენ არ იცნობთ იულონს. როგორია ის? წყნარი?? მორიდებული.არა?? იმას უნდოდა ყურადღება, დიახ! ყოფილიყო ყურადღების ცენტრში, ყოფილიყო დრამის, ცხოვრების დრამის გმირი, ყოფილიყო სხვაზე მაღალი _ თქვენზე, ტყუილ მოლაპარაკეებზე მაღალი და ის გახდა.... იულონზე ლაპარაკობს ყველა და თქვენს ლაპარაკს გარდა ფორმისა რომ რაიმე აზრი ჰქონდეს, მაშინ ჩემი მკვლელობა იქნებოდა რევოლუცია, ხოლო მე, იულონი, პატარა, თმებგაცვენილი, მორიდებული იულონ, ვიქნებოდი მისი ბელადი.

ბობა: კაცო, აქამდე არაფერი არ იყო ეს იულონი და ახლა რამდენი რამე გაჩნდა მასზე სათქმელი.»

«ბოლო: მითხარით, ვინ შევიყვარო ამ ქვეყანაზე, ან ვინ მიყვარს. მე, მკვლელი და მაწანწალა, რომლის ვნებაც დატენილია ათასი მოტორით, თვით რაკეტებით, ძრავა ძლიერით, რომ გაიჭრას ამ სამყაროდან, ხოლო გაიჭრას კუნთებში ერთი საწყალი კაცის ძალა ძლივსა აქვს, მაშ იყოს ჩემი სული მხოლოდ სივრცისთვის. მასავით უსასრულო, უასაკო, განუზომელი, რომლის წინაშეც, ადამიანის სულის წინაშე ყველა რაკეტა და დედამიწაც, გამოსახული მატერიისაგან, სასაცილოა და უმოძრაო.

მაგრამ სისუსტე მივლის ძარღვებში, მე მეცოდები, ჩემო სხეულო. შენ, ხომ მხოლოდ შენ იცოდი შიში, გიყვარდა არაყი და კარგი ქალები.» (ამავე გვერდზე ტექსტზე ზევიდან წერია: «ყოფნა? სხეული და სამყარო.»)

რა დააშავე სულთან ასეთი? ალბათ, ის, შე საცოდაო, რომ საპყრობილეთ იმას გაუხდი, როგორც გალია უდაბნოში ნავარდს დაჩვეულ ძუ ვეფხვს, ზოოპარკში აწი დაჭერილს, სულთანაც თავისუფლება მხოლოდ მძორის არყოფნის შემდეგ მივა. მაგრამ მითხარით, თუ არ სხეულსა, ვის სჭირდება თავისუფლება. თვით ციხეს ყველაზე მეტად ესაჭიროება თავისუფლება, ხოლო ჰაერი, უხილავი სხეულისათვის, უძვირფასესი სახელის გაგონებაზე მხოლოდ თვალებს დააჭყეტავდა გაკვირვებული: რისი თქმა სურსო ხალხს მაგ სიტყვებით?»

«ბოლო: აი, ვდგავარ დამალული, როგორც ერთხელ, გურამი. არ შემიძლია გამოვიდე და ჩემი სურვილი ვამცნო ვინმეს. არ შემიძლია წინ აღვუდგე ბედისწერას, გინდაც ის მოკვდეს, ვინც ჩემს თავზე უფრო მეტად მიყვარდა.

იყო ხალხი, ვინც თავისი გარეგნობით, თავისი თავით, უნებურად სხვას ატყუებდა და თამაშობდა ბედნიერებას. ასეთები თავისი სიკვდილით არა კვდებიან, ის მირბოდა ამისკენ და ის მოკვდა. ო, იგლოვეთ იმისი სიკვდილი, ვინც შენს მაგიერ გამოხატავდა თავის ვნებებს და თავისი მაგალითით თავშეკავებას (თავშეკავებულთ) უფრო ულრმავებდა.»

შავი და თეთრი ხელნაწერების შედარებისას:

ზოგადად, თავიდანვე შეიძლება ითქვას, რომ გურამი ამ ვრცელი ნაწარმოების წერისასაც არ ღალატობს თავისი შემოქმედებითი ლაბორატორიის თავისებურებას და მიუხედავად იმისა, რომ ეს უხვსიტყვიანი ტრაგედია გადათეთრებულია და არსებობს კიდეც ცალკეული ჩანაწერი პიესისათვის, რაც ნიშნავს, რომ მას შეეძლო შეეცვალა ან დაეზუსტებინა მთელი სცენა, ცალკეული სიტყვა თუ წინადადება, ანუ ემუშავა ტექსტზე, თეთრ ხელნაწერში ყველაფერი გადასულია თითქმის უცვლელად, გარდა იმ შემთხვევებისა, რომელთა შესახებაც ქვემოთ არის საუბარი.

შავ ხელნაწერს არა აქვს სათაური, ქვესათაური, თარიღი. იწყება პირდაპირ მოქმედ პირთა დასახელებით (თეთრი ხელნაწერისათვის იხ. ნაბეჭდი ტექსტი).

თეთრში შეცვლილია ზოგიერთი გმირის სახელი:

შავი ხელნაწერის «ედიშერი» თეთრში შეცვლილია «სულხანად». როგორც ჩანს, გურამმა პიესის დაწერის შემდეგ გადაწყვიტა გმირის სახელის შეცვლა და შავი ხელნაწერის პირველი რვეულის რამდენიმე გვერდზე გადაშალა ყველგან «ედიშერი» და ზევიდან დააწერა «სულხანი.» შემდეგ, შავ ვარიანტში, თავი გაანება გადაშლას და უკვე თეთრ ხელნაწერში თავიდანვე შემოიყვანა «სულხანი». თუმცა ერთ-ორ ადგილას დაუშვა მექანიკური შეცდომა და გაეპარა ისევ «ედიშერი». სულხანის პროტოტიპი უნდა იყოს ედიშერ გიორგაძე (იხ. შენიშვნები, ტომი 3, «შაშას რევოლუციისათვის»). აქ მახსენდება დედა და მამა როგორ დაჟინებით ურჩევდნენ გურამს, შენი მხატვრული ნაწარმოებების გმირებს ამხანაგ-მეგობრების სახელებს ნუ დაარქმევო. ვფიქრობ, დაკარგული ტრაგედიის «სულხანი და მე», თუ სათაურის მიხედვით ვიმსჯელებთ, ერთ-ერთი მთავარი გმირის პროტოტიპი უნდა იყოს ისევ ედიშერი, «ისიც მწერალი». ეს ტრაგედია ქრონოლოგიურად მოსდევდა «იულონს».

შავი ხელნაწერის მოქმედ პირებში დასახელებული «გივი» პირველივე რვეულში იცვლება «ჯიმშერად», «ვალერია» _ «ირინკად». «ირინა და მეს» დაწერის შემდეგ გურამმა მოახდინა მთელ შემოქმედებაში გარკვეული ტიპის ქალთა სახელების უნიფიცირება და ყველა ქალის სახელი შეცვალა «ირინად», ზოგან რეტროსპექტულადაც კი (იხ. შენიშვნები «მარინასა» და «ირინა და მესათვის»). ვფიქრობ, ამ ფაქტშიც ჩანს გურამის დამოკიდებულება თავისი ცხოვრება-შემოქმედების მიმართ, რომელსაც ის ერთ მთლიანობად მოიაზრებდა.

განსხვავებულია შავ და თეთრ ავტოგრაფებში მოქმედ პირთა დასახელების თანმიმდევრობა. აქედან მნიშვნელოვნად მიმაჩნია, რომ შავში _ პირველად დასახელებულია «იულონი», თეთრში _ «გურამი» (შავ ვარიანტში გურამი დასახელებულია მეექვსე ნომრად).

ზოგიერთ შემთხვევაში განსხვავებულია გმირთა დახასიათება:

შავში:

«ედიშერი _ ისიც მწერალი, <u>ოღონდ სხვანაირი»</u> (ხაზგასმული სიტყვები აქ და ყველგან გადაშლილია მწერლის მიერ).

თეთრში:

«სულხანი _ ისიც მწერალი.»

შავში:

«გივი _ მაღალი, გამხდარი ბიჭი, გამგებიანი ღიმილით.»

თეთრში:

«ჯიმშერი _ სათვალებიანი ბიჭი.»

შავში:

«ირაკლი _ მთავარი მცოდნე, «ახლა რაშია საქმე».

თეთრში:

«ირაკლი _ ბიჭი, რომელიც სწავლობს ფილოსოფიას კანტი-კუნტად» (ირაკლის პროტოტიპი უნდა იყოს ირაკლი რამიშვილი, ფილოსოფოსი, იმ პერიოდში გურამის ახლო ამხანაგი, «ხორტისტი»).

შავში:

«იულონი _ 30_35 წლის თმაგაცვენილი, გაპარებული ბიჭი.»

თეთრში:

«გაპარსული ბიჭი.»

მხოლოდ თეთრ ვარიანტშია

მოქმედ პირთა დაყოფა წარმოდგენის მონაწილეებად და მაყურებლებად (იხ. ნაბეჭდი ტექსტი).

თეთრში შავისაგან განსხვავებულია ავტორისეული რემარკის ზოგიერთი წინადადება:

შავში:

«გივი ისეთ ადგილზე დგას, რომ ერთნაირად უყურებს ხალხსაც და პიესასაც.»

თეთრში:

«სულხანი, გურამი და ჯიმშერი (შავ ხელნაწერში გივი _ მ.რჩ.) *შეუმჩნევლად დგანან იქვე.»*

განსხვავებულია ზოგიერთი ფორმალური ელემენტი.

თეთრ ხელნაწერში:

ჩართულ პიესას აქვს სათაური «იულონ», შავისაგან განსხვავებული გრაფიკული სტრუქტურა, მოცილებული აქვს რეპლიკების ავტორთა სახელების შემდეგ დასმული ორწერტილი. ზოგიერთ შემთხვევაში გვაქვს რემარკები *«/თავისთვის/»*, *«/იმას/»* და სხვ. აღსანიშნავია, რომ მწერალს ჩართული პიესის თეთრ ხელნაწერში შავისაგან განსხვავებული გრაფიკული სტრუქტურა, ისე როგორც ზევით დასახელებული ფორმალური ელემენტები, თანდათანობით შემოაქვს.

თეთრი ხელნაწერი:

«თეზიკო: აი, მე ისევ მოვედი შენთან, ჩემო უფროსო ძმაო.

იულონი:

მე უკვე გითხარით, რომ მე ძმა არცა მყოლია არასოდეს და არც მინდა ვიცოდე რაიმე მისი არსებობის შესახებ.

თეზიკო:

სამწუხაროდ, მაინც უნდა გითხრათ სიმართლე,

რომლის გამორკვევასაც ორივესათვის

ერთნაირი მნიშვნელობა აქვს.

იულონი:

მე უკვე გითხარით _ მოსმენაც კი არა მსურს ..» და ა.შ.

ასევეა _ შავ ხელნაწერში**:**

«თეზიკო: აი, მე ისევ მოვედი შენთან, ჩემო უფროსო ძმაო.

იულონი: მე უკვე გითხარით, რომ მე ძმა არცა მყოლია არასოდეს და არც მინდა ვიცოდე რაიმე მისი არსებობის შესახებ.

თეზიკო: სამწუხაროდ, მაინც უნდა გითხრათ სიმართლე, რომლის გამორკვევასაც ორივესათვის ერთნაირი მნიშვნელობა აქვს» და ა.შ.

როგორც ვხედავთ, თეთრ ხელნაწერში გურამი ცვლის «ჩართული პიესის» გრაფიკულ სტრუქტურას მესამე რეპლიკიდან და ასე აგრძელებს ბოლომდე. ამისგან განსხვავებით, ის არ არის ყოველთვის თანმიმდევრული რეპლიკების ავტორებთან ორწერტილის დასმა არდასმაში. ამ ფორმალური ელემენტებით მწერალი თითქოს ცდილობს ჩანაფიქრს მისცეს უფრო კომუნიკაბელური იერი და მკითხველმა თავიდანვე მოიხელთოს ჩართული პიესის ჟანრი _ «კლასიკური ტრაგედია».

ზოგიერთ შემთხვევაში, შავ ხელნაწერში ჩართული პიესა თავდაპირველად «ნამდვილ წარმოდგენაში» შემოდიოდა უშუალოდ, როგორც იმ წარმოდგენის გაგრძელება, რომელიც აწმყოში მიმდინარეობდა. ეს ნიშნავს, რომ არ იყო გავლებული მათ შორის გამყოფი ხაზი _ არც გრაფიკული, არც სტილური. შემდეგ მწერალმა შავ ვარიანტშივე გადაშალა «ჩართული პიესის» «დიდ პიესაში» შემოყვანისას ის პასაჟები, რაც ყოფით ხასიათს აძლევდა ჩართული პიესის ტექსტს.

მაგალითად, შავი ვარიანტი:

«იულონი: შემოაღეთ კარები, მობრძანდით, მე მარტო ვარ». ბიჭებს: სულ ახლიდან ვიწყებთ.

თეზიკო: აა, შეიძლება, მე თითისწვერებზე შემოვალ. ო, აქ ისეთი ძვირფასი პარკეტია, მეშინია.

იულონი: ნუ მოგერიდება, არა უჭირს ..» და სხვ. (გადაშლილია მწერლის მიერ. თეთრი ხელნაწერისათვის იხ. ნაბეჭდი ტექსტი).

თეთრში ეს გადასვლა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფუნქციურად დატვირთულია. თითქოს ჩართული პიესა («კლასიკური ტრაგედია») თავიდანვე თავისი ჩამოყალიბებული, განსაზღვრული ჟანრული მახასიათებლებით გადადის «ნამდვილი წარმოდგენის», დიდი პიესის ქაოსში, დაუმთავრებლობაში, უფორმობაში, «არალიტერატურულ ხმაურში.» იქმნება შეგრძნება, რომ ესთეტური ფენომენი გადადის რეალობაში, ცხოვრებაში.

ვფიქრობ, ზემოთ მოყვანილი არგუმენტების გამო, მწერლის ბოლო ნების წინააღმდეგი არ უნდა იყოს თუ პიესის რედაქტირებისას მოვახდენ უკვე ნახსენები ფორმალური ელემენტების უნიფიცერებას იმის შესაბამისად, რისი ტენდენციაც აშკარადა ჩანს თეთრ ხელნაწერში.

მხატვრული სტრუქტურის სხვადასხვა დონეზე სერიოზული და სახუმარო ინტონაციების მონაცვლეობა (რაც პრინციპულად გამორიცხავს ცალსახა სერიოზულობას) შეიძლება ჩაითვალოს «იულონის» ზოგად სტილურ მახასიათებლად. ეს ქმნის ნაწარმოების განუმეორებელ რიტმს, მოძრაობას, ჰაერს, რაც მკითხველს საშუალებას არ აძლევს ჩამყუდროვდეს ერთ აზრში, ერთ განცდაში.

ამონაწერები «იულონიდან»:

სულხანი გურამზე: «*შენ... არ შეგიძლია იყო ბოლომდე სერიოზული და არ გაამასხრო ყველაფერი. თუ სერიოზულად ვლაპარაკობთ, ვიყოთ ბოლომდე სერიოზულები, თუ ვხუმრობთ, ვიხუმროთ.»*

გურამი: «*აბა, სცადე, სერიოზულობის დროს იხუმრო და, ხუმრობის ხასიათზე მოსულმა, სერიოზულად ილაპარაკო».*

«აქ იმიტომ მოვედით, რომ ამხანაგის დაწერილ წარმოდგენას ვუყუროთ და გამოვთქვათ ჩვენი აზრი მის შესახებ». «აქ ყველანი იმიტომ მოვედით, რომ ვიხუმროთ და ვილაზღანდაროთ.»

ნაწარმოების ეს ზოგადი ტენდენცია თეთრ ხელნაწერში უფრო დახვეწილია.

მაგ. თეთრში ჩამატებულია გარკვეული რეპლიკები ან სულაც ისეთი შორისდებულები, რომლებიც მონაწილეობას იღებენ როგორც ზოგადად «კლასიკური ტრაგედიის» ჟანრის, დამიწებაში, ისე პიესაში ყველა კონკრეტულად ცალსახად სერიოზული, კატეგორიული აზრის დამდაბლებაში. ამის საუკეთესო მაგალითია თეთრ ვარიანტში გიულის გაუთავებელი ჩაცინებების, ხითხითების ჩართვა სერიოზულ სიტუაციებში (იხ. ტექსტი).

«იულონში» არის ერთი სცენა, სადაც გმირები მთელი სერიოზულობით მსჯელობენ გარკვეულ საკითხზე. თეთრში აქ, შუა მსჯელობაში, ჩართულია ტექსტი, სადაც ხდება ამ მაღალფარდოვანი სიტუაციის განმუხტვა (*«სულხანი: და მე, მხატვარი. გურამი: გაჩუმდი, შე საწყალო, დიდთავა. რეზო: საწყალო, ხი, ხი. გურამი: რა გაცინებს? პატ. გურამი: რაც მაგას გოგოები ჰყავს..»),* შავში კი გრძელდება ისევ სერიოზული მსჯელობა.

ამასვე ემსახურება მხოლოდ თეთრში ჩამატებული ჯიმშერის სიტყვები «*თან მეცინება*» (*«ჯიმშერი: არ ვიცი, მე თვითონ რაღაცნაირად თითქოს მართლა ბურუსში ვარ, თან მეცინება»)* ან, თუნდაც, ირაკლის რეპლიკა (მხოლოდ თეთრშია) *«თქვენ სულ იცინით და ამიტომ სერიოზულად უკვე ძნელი გახდა ლაპარაკი.»* ასევე მხოლოდ თეთრ ვარიანტშია პატარა გურამის სიტყვები: «*მეშინია ვინმემ ჩემი ნათქვამი სერიოზულად არ მიიღოს და უფრო სასაცილო არ გავხდე ამით.*»

ამონაწერები დღიურებიდან:

«იყო სერიოზული, თან გაამასხრო, აიგდო და მაინც სერიოზული დარჩე, ეს ყველას არ შეუძლია და ძალიან ძნელია.»

«ჩემი ბედნიერება ის არის, რომ ყველაზე სერიოზულ სიტუაციაშიც კი შემიძლია დავცინო ჩემს თავს.»

«აბა სცადე, იხუმრე და დარჩი სერიოზული.»

«ყველაზე დიდი ტრანსების დროსაც კი შემიძლია დავცინო ჩემს თავს.»

«მე შემიძლია ყველაფერი გავამასხრო, ყოველთვის დავცინო ჩემს თავს, ედიშერს არ შეუძლია».

«აბა სცადე სერიოზულობის დროს ხუმრობდე და მხიარულ ხასიათზე მყოფი სერიოზულ აზრებს გამოთქვამდე.»

ამონაწერი ერლომ ახვლედიანთან გაუგზავნელი წერილიდან:

«შექსპირი ტრაგიკულ ხასიათზე დამდგარი წერდა კომედიებს» (იხ. ტომი 5, წერილი ერლომს).

მამას საოცრად არ უყვარდა დიალოგისა თუ ურთიერთობის ის ფორმა, რასაც «ღლიცინს», ხანდახან კი «ლაზღანდარობას» ეძახდა თვითონ და რითაც სავსეა «იულონის» პირველი ეპიზოდები («ყველანი აქ იმიტომ მოვედით, რომ ვიხუმროთ და ვილაზღანდაროთ» «და სალაზღანდაროდ სხვა ადგილი ვერა ნახეთ, კაცო?», «ლაზღანდარობის ყოფნა იქნება» და ა.შ. მკითხველს გავახსენებ, აგრეთვე, მოქმედი პირებიდან პატ. გურამის დახასიათებას: «ღლიცინა, რეზოზე მაღლა მდგომი..»). მამას არ მოსწონდა ჩემი ძმის ის ამხანაგებიც, რომელნიც ამ ღლიცინის ჩვევითა თუ უნარით გამოირჩეოდნენ და ბავშვობისას უშლიდა კიდეც თავის შვილს მათთან ამხანაგობას. თუმცა არც მე და გურამი ჩამოვრჩებოდით ლაზღანდარობით სხვებს. უნდა ითქვას, რომ ჩვენი ლაპარაკების დროს ხშირად იქმნებოდა «იულონის» პირველი ეპიზოდების მსგავსი სიტუაციები. ამ უნარით განსაკუთრებულად დაჯილდოებული იყო გურამის ამხანაგი და მეზობელი, ჩვენი სახლის მოპირდაპირე ეზოდან, გურამ აზმაიფარაშვილი, მეტსახელად «კუზმანა», პატ. გურამის პროტოტიპი (მას ჰქონდა განსაკუთრებული სმენა, უკრავდა ვიოლინოზე და საერთოდ, კარგად ესმოდა ხელოვნება). პატარა გურამი ჩემს ძმაზე ორი-სამი წლით უმცროსი იყო და ამიტომ ეძახდნენ მას პატარა გურამს. აქვე მინდა გავიხსენო ჩვენი ნათესავი ჯიმი დიღმელიშვილი, შემდგომში «რჩეულიშვილი» /გადავიდა დედის გვარზე. იხ. «ჩემი ლიტერატურული შეხედულებების» შენიშვნები, ტომი 3. აგრეთვე, შენიშვნები ნაწარმოებისათვის «სასამართლო გადის განაჩენის გამოსატანად», ტომი 2/. ჯიმისთან გურამი განსაკუთრებით დაახლოვდა უნივერსიტეტში შესვლის პირველ წელს. ჯიმის ჰქონდა ასეთი ტიპის იუმორის, «შაყირის» საოცარი ნიჭი. შეიძლება ითქვას, რომ ტრაგედიის პირველი ეპიზოდები სავსეა ჯიმით. თუმცა, არა მგონია, ის კონკრეტულად რომელიმეს ან თუნდაც მისი მოსახელის ჯიმშერის

პროტოტიპი იყოს. აქ მახსენდება უფრო გიული, რომელიც ყველაზე სერიოზულ სიტუაციებშიც კი იწყებს ხოლმე ხითხითს, რათა გვირგვინი მოხადოს, დაამიწოს ცალსახა, ხშირად მაღალფარდოვანი სერიოზულობა. ჯიმი დიღმელიშვილი იყო მწერალი, ძალიან ნიჭიერი პიროვნება, სტუდენტობის პერიოდში საუნივერსიტეტო კედლის გაზეთის «ნიანგის» რედაქტორი, დიდ ლიტერატურაში შესვლის ძალიან დიდი სურვილით და შენიღბული ამბიციებით.

ამონაწერი მწერლის დღიურიდან ჯიმიზე:

«ღამე დავრჩი ჯიმისთან... ოთხ საათამდე ვიღლიცინეთ მე და ჯიმიმ.

... დილა: არ მინდა დაეცეს ტონუსი, ისევ სიცილი, ღლიცინი, ჯიმი სულ იცვლება სამსახურის ხალხთან.. ეტყობა, ახალი ცხოვრების «ჟილკის» სამყარომ როგორ ჩაიბუდა მასში.. სამაგიეროდ, ჩემთან ძველი ჯიმია, ღლიცინებს _ მე ეს მირჩევნია….. ჯიმი ნიჭიერია, ..უბრალოდ, ძალიან არის ღლიცინს შეჩვეული. ვა, რა ცოდო და ნაზი გახდა, როცა თავის რაღაცას მაკითხებდა. ჰე, ჰე _ აქ ღლიცინიც კი აღარ შეეძლო...».

ზოგიერთ შემთხვევაში, შავისაგან განსხვავებით, თეთრ ხელნაწერში რეპლიკას წინ უძღვის არა ამა თუ იმ კონკრეტული გმირის სახელი, არამედ ტირე. ეს ფორმალური ელემენტი, ცხადია, რეპლიკას უპიროვნოს ხდის, თითქოს სულ ერთია ვინ ლაპარაკობს და ხელს უწყობს დაპირისპირებულ, თავ-თავიანთ სამყაროში ჩაკეტილ გმირებს შორის ერთიანობის, მსგავსების, ტოლობის გამოვლენას.

კონკრეტული შემთხვევები:

თეთრი, გვ. 50, 51 (აქ და ყველგან გვერდები მითითებულია თეთრი ხელნაწერის მიხედვით).

შავ ხელნაწერში, ჯიმშერის მნიშვნელოვანი მონოლოგის შემდეგ *(«უმორჩილესად გთხოვთ გააგრძელოთ სპექტაკლი .. ხოლო მე გავაკეთებ რევერანსს, ან, როგორც მიღებულია, მეც დავუკრავ თქვენთან ერთად ტაშს»),* ჯიმშერის მომდევნო რეპლიკამდე *(«იცით რა, აქამდე თითქოს აღარ მინდოდა, იმდენად აღგზნებული ვიყავი»),* გმირთა რეპლიკებს ჰყავთ კონკრეტული ავტორი, მათ შენარჩუნებული აქვთ ზოგიერთი მეტყველებისათვის დამახასიათებელი თავისებურება, თეთრში _ არა (იხ. ნაბეჭდი ტექსტი).

თეთრი, გვ. 86:

შავისაგან განსხვავებით, თეზიკოს მკვლელობის მომდევნო რეპლიკები, სიტყვებიდან *«ბიჭებო, სისხლი, მართლა მოკლა»* გურამის სიტყვებამდე *«განაჩენს ვინ მოიყვანს სისრულეში»,* ავტორთა დასახელების გარეშე შემოდის.

შავი ხელნაწერი:

«დიდი ბობა: ბიჭო
ედიშერი: იულონ
ჯიმშერი: იულონ
გურამი: იულონ
ირაკლი: იულონი» (თეთრისათვის იხ. ნაბეჭდი ტექსტი)

თეთრი, გვ. 67:

«_ მოდით აქეთ, მოდით, ერთად დავდგეთ ყველა, ყველამ ერთმანეთს გადავხვიოთ ხელი და ... « _ ეს რეპლიკა თეთრ ხელნაწერში მოქმედი პირის დასახელების გარეშეა, შავში ეკუთვნის სულხანს.

შავ ხელნაწერში არის ერთი რეპლიკა, რომელიც ეკუთვნის გურამს:
« ..მკვლელს აქვე გავასამართლებთ ..».
ეს რეპლიკა თეთრში დაყოფილია სხვადასხვა გმირთა რეპლიკებად*:*
_ გაქრა დაბნეულობა...
_ ისეთი შთაბეჭდილებაა...
_ ნუთუ ამხელა ტრაგედია იყო საჭირო ..»

შემდეგი ჩანაწერები «იულონისათვის» დაწერილია «შაშას რევოლუციის» ავტოგრაფის მსგავსს ფურცლებზე.

რვეული 1.
შავი:
«რეზო: რა გრძელია და რა მწიფეა.»
«რეზო: ვინაა მწიფე! დიდთავა კოპებიანო.»
თეთრი (გვ. 11)
«რეზო: რა გრძელია და რა მკვახეა.»
გიული: ვინაა მკვახე, დიდთავა კოპებიანო.»

შავში:
«რეზო: ო დონაა, <u>დონა, ბელა, ბელა ბელა დონა</u>» (მწერლის მიერ შავშივეა გადაშლილი*)*
თეთრში (გვ. 13)
იგივე, გადაშლილის გარეშე.

შავში:
«ედიშერი: აბა ჩაცმული სად გაგიგონია.»
თეთრი, გვ. 14
«სულხანი: აბა ჩაცმული რა დილიხორია.»

(თეთრ ხელნაწერში სალიტერატურო ენის ჟარგონით თუ, როგორც ჩემი მშობლები იტყოდნენ, ყოვლად გაუმართლებელი «ქუჩური მეტყველებით» შეცვლა მიუთითებს მწერლის ზოგად პოზიციას, რაც რედაქტირებისას ჩემთვის ანგარიშგასაწევი და სხვა შემთხვევების დროსაც დამაკვალიანებელი იყო. აქვე მინდა მოვიყვანო ამონაწერი 1959 წლის დღიურიდან უცენზურო სიტყვების შესახებ: «კი არ უნდა ავლაგმოთ, არამედ, პირიქით, უფრო უნდა მივუშვათ»)

შავი
«დიდი ბობა: ძუძუები თავისი ამბებით»
თეთრი გვ.15:
«ბობა: ძუძუები თავისი დის ტრაკებით…..»

რვეული 2 (შავი ხელნაწერი).

«გივი: შენ სულ <u>ни то</u> გამოგდის (გადაშლილია მწერლის მიერ. «ни то»_სთვის იხილე «შაშას რევოლუციის» კომენტარები, ტომი 3.)

ედიშერი: მე მართლა სულ <u>ни то</u> გამომდის.»

თეთრი, გვ. 25:

«ჯიმშერი: შენ სულ ის არ გამოგდის, მაპატიე, მაგრამ _

სულხანი: მე მართლა სულ ის არ გამომდის».

მინაწერი არეზე სიტყვებთან _ *«ჯიმშერი: აი, რეზო აიღე, სწავლობს საინჟინროზე და დარწმუნებულია, რომ მისი მოწოდება არის ხატვა.»*

«ჯიმშერი: თქვენ არ მოგწონთ ფორმით გატაცება. ამან შეიძლება დამღუპოს მე, ამან შეიძლება დაგვღუპოს ყველა ჩვენ, დაგვღუპოს სხვა ფორმის ძიებამ, მაგრამ ის, რომელიც ნახავს თავის ნამდვილ ფორმას, ის იმდენად ნამდვილი იქნება, რომ არც ერთი ჩვენგანი არ ინანებს, რომ იყო იმისი გზის უნებლიე მსხვერპლი.»

თეთრი, გვ.49

«ჯიმშერი: *«.. ნახავს თავის ნამდვილ არსს.»*

მინაწერები რვეული 2-ის ბოლოს:

«ძალიან დიდი უნდა იყო, რომ თავის ფორმას მიაღწიო, იმდენად მრავალფეროვანია ჩვენი ბუნება.»

«მთელი საქართველო, როგორც თვითონ ამბობენ, აკეთებს არა თავის ნამდვილ საქმეს, პატარა გამონაკლისის გარეშე, რომელიც რაც შეიძლება თავის ასეთ სურვილს უმალავს თავის თავს.»

«ახალი ფორმის ძიება წარმოშობს არანამდვილ ფორმას.»

შავი ხელნაწერი, რვეული 3.

«ედიშერი: მართლა გიჟებივითა ვართ ხო იცი .. .. ერთი გამოვა, იტყვის; მეორე გამოვა, იტყვის, მერე მიდის უკან და ყუჩდება თავისთვის, როგორც პიონერთა სასახლეში ბავშვებს რომ წინასწარ გაზეპირებულ ლექსებს ათქმევინებ.»

თეთრი, გვ. 57:

«სულხანი: მართლა გიჟებივითა ვართ ... ერთი გამოვა, იტყვის; მეორე გამოვა, იტყვის. მერე მიდის უკან და ყუჩდება თავისთვის, როგორც ობობა, რომელმაც ქსელი გააბა და ჩასაფრებული უცდის შიგ ბუზის გაბმას.»

მხოლოდ თეთრში, გვ. 57:

«დიდი ბობა: და მართლა ეს ხალხი აზრების ობობები ხართ, კაცო.»

«ჯიმშერი: ბობას გულახდილობა რომ მოგწონთ _ რატო მოგწონთ?

ედიშერი: <u>ფორმა აქვს თავისი</u> (გადაშლილია მწერლის მიერ და ზევიდან აწერია «ალალია») და იმიტომ

ჯიმშერი: არა ხარ სწორი, შენ გგონია ირაკლი ბობაზე ნაკლები გულის არის?

ედიშერი: აი, ისევ არა ხარ სწორე, ფიქრობ, რომ ხო და ამბობ არას, არც შენ შეგიძლია, ხედავ, იყო ალალი, გულახდილი.

ედიშერი: მე ვცდილობ, რაც შემიძლია.

ჯიმშერი: რაც შეუძლია ირაკლიც ცდილობს, ოღონდ მეტი არ შეუძლია, იმიტომ რომ თავისი ფორმა არა აქვს. სხვათა შორის, ეს უფორმობა მაგისი ბრალი კი არ არის, ეს უფორმობა გვახასიათებს ყველას ჩვენ და თითქმის უკლებლივ.»

თეთრში:

«ალალია და იმიტომ»

«ფორმის» ჩანაცვლება «ალალით» მიუთითებს კიდევ ერთხელ «ფორმის» გურამისეულ გაგებაზე: *«მალხაზი პატიოსანია, იმიტომ რომ აქვს თავისი ფორმა»* და სხვ.

შავ ხელნაწერში ედიშერის სიტყვები (რვეული 2.):

«თქვენ არ მოგწონთ ფორმით გატაცება .. ამან შეიძლება დაგვღუპოს ყველა ჩვენ, დაგვღუპოს სხვა ფორმის ძიებამ, მაგრამ ის, რომელიც ნახავს თავის ნამდვილ ფორმას, ის იმდენად ნამდვილი იქნება ..»

თეთრში გვ.4: *«ის, რომელიც ნახავს თავის ნამდვილ არსს.»*

შავში: «ფორმა აქვს თავისი და იმიტომ.»

თეთრში: *«ალალია და იმიტომ.»*

მალხაზი გურამისათვის იყო ალალი, რადგან ჰქონდა თავისი გარკვეული ფორმა (გაივლო გულში ქურდობის სურვილი! _ იქურდა. *«მე რატომ არ შემიძლია გავაკეთო, რატომ მეცოდება ბოლოში გასაქურდავი: მეცოდება? იქნებ მეშინია!»* დღიურიდან). იულონმა მოკლა კაცი ფორმისათვის, რათა მაქსიმალურად გამოევლინა თავისი ცოდვილი ბუნება. ეს იყო მისი მაქსიმალური გულწრფელობის წამი.

მხოლოდ შავში:

«ირაკლი: კარგი, იდეას ჩვენ თვითონ გამოვიტანთ.

გურამი: სწორედ ეგ არ მინდა მე, რომ ჩემს პიესაში რამე ეძებოთ, იმას ვერც იპოვით, რადგან ის საერთოდ არ არსებობს შიგ.»

თეთრი ხელნაწერი გვ. 63

«გურამი: ნუ ვიხმართ აქ მაგ სიტყვას, ყოველგვარი წინასწარი აზრის გარეშე ვამბობ, რადგან იდეა უკვე საზღვრავს რაღაცას, თითქოს ანკეტას ვავსებდე _ თემა _ ოჯახური ტრაგედია _ იდეა_? არაფერი, არაფერი არ მომდის თავში.

ირაკლი: მაშ რისთვის უნდა ვუყუროთ.»

მხოლოდ თეთრში, გვ.63:

«გურამი: ჩემი აზრით პიესა, თუნდაც რომანი, არასოდეს არ ემსახურება რაიმე იდეას, უფრო ფართო გაგებით ჰუმანურ იდეასაც კი, მიუხედავად იმისა, რომ კარგ, დიდ ნაწარმოებში უეჭველად კაცთმოყვარეობაზეა აღებული ძირითადი ხაზი, იგივე შეიძლება ითქვას ცუდ ნაწარმოებზეც.»

შავში:

«ცუდ ნაწარმოებზე» არაფერია ნათქვამი.

მხოლოდ თეთრში, გვ. 81:

«იულონ:

/თავისთვის/ იულონ დაწყნარდი, ნუთუ დგება დრო

და ყველაფერი ის, რაც არ მჯეროდა

ხდება მართალი».

«იულონ:

«/თავისთვის/ მერე რა, რომ გავიგე და ნეტა არ გამეგო».

«იულონ:

/თავისთვის/ ის, მე მგონი, მე ვარ, ოღონდ აწმყოში.

/იმას/ თქვენ, არა?»

«იულონ:

/თავისთვის/ მივაღწიე იმას, რისი გაგების ამაო
სურვილი მე ბავშვობიდან მტანჯავდა
და რისი მოსმენისაც ჯოჯოხეთივით მეშინოდა.»
«იულონ:
/თავისთვის/ მე გულით ვგრძნობდი, რომ სატანა იქნე-
ბოდა ჩემი ძმა და როცა ვისმენ ახლა არ მჯერა
/იმას/ დედას არაფერი არ უთქვამს ამის შესახებ»
და ა.შ. (სხვა შემთხვევებისათვის იხ. ნაბეჭდი ტექსტი.)

შავ ხელნაწერში მინაწერი არეზე სიტყვებთან:
«იულონი: შენ ძიობ, ო, წყნარო, იულონ, ამოიღე მახვილი ..»
«იულონი იყო უკანონო _ გრძნობდა _ ამიტომ იყო მარტო _ იტანჯებოდა»
«უნდა გაიხსნას იულონი».

მხოლოდ თეთრში, გვ.83:
«იულონ
/თავისთვის/ მე გულით ვგრძნობდი, რომ სატანა იქნებოდა ჩემი ძმა და როცა ვისმენ ახლა, არ მჯერა.

შავი:
«ჩემს ტანჯვას ბოლო ეღება და იქცევა ის ტრაგედიად, რომელსაც შეგიძლია ხელი შეახო.
თეთრი, გვ. 85:
«.. ჩემს უფორმო ტანჯვას ბოლო ეღება».

თეთრი, გვ. 86:
«(გაშლილ დანას ჩასცემს ყელში) აი, ეგეც ბოლო.
შავი: *«აჰა, აჰაა, კიდე აჰა და გაჩუმდი საბოლოოდ.»*

მინაწერი შავ ხელნაწერში:
«ახალი ფორმის ძიება წარმოშობს არანამდვილ ფორმას.»
«მთელი საქართველო, როგორც თვითონ ამბობენ, აკეთებს არა თავის ნამდვილ საქმეს, პატარა გამონაკლისის გარეშე, რომელსაც რაც შეიძლება (რაც შეეხება), თავის ასეთ სურვილს უმალავს თავის თავს.»

შავში:
«იულონის ცხოვრება თვით მკვლელობის ფაქტამდე» დაწერილია ცალკე ფურცელზე. შავ ხელნაწერში მხოლოდ მრავალწერტილით არის აღნიშნული ჩასამატებელი ადგილი.

შავი:
ირაკლი: ჩვენ მზადა ვართ.
ბობა: ჩვენ ყველას ერთი მიზანი გვაქვს.
ედიშერი: ღმერთო ჩემო, სიკვდილიც კი თეატრალურ ტრაგედიამდე მივიდა ამ ოთახში.
თეთრი, გვ. 93:

_ ჩვენ მზადა ვართ.
_ ჩვენ დავდექით ჩვენ ადგილებზე.
_ ჩვენ სახეებზე წერია საქმის მთელი სერიოზულობა.
_ ანტიკური სიმშვიდით ვუდგებით საქმის გარჩევას.
_ /თავისთვის/ ღმერთო ჩემო, სიკვდილიც კი თეატრალურ ტრაგედიამდე მივიდა ამ ოთახში.

თეთრი, გვ. 89:
«ისევ სხვა ძიობს? ამოიღე მახვილი. შენ იყავი დაბადებული ამ წამისათვის, რომელიც გაორმაგდა .. მე ვკლავ ძმას და პედერასტს. დადგა შენი ხმის ამოღების დრო.. «თავდაპირველად თეთრში ეწერა ისე, როგორც წერია შავ ვარიანტში: *«დადგა შენი ხმლის ამოღების დრო».*

რვეული 3-ის ბოლო გვერდზე მხოლოდ სათაურია: *«რა შეიძლება იქცეს ტანჯვის მაძიებელი კაცისათვის ტრაგედიად».* დაწერილია ცალკე ფურცლებზე. შეუცვლელად არის გადასული თეთრ ხელნაწერში.
შავ ხელნაწერში მხოლოდ მინიშნებულია ადგილი იულონის ვრცელი მონოლოგისა თუ რეპლიკისათვის, სადაც მოთხრობილია: *«იულონის ცხოვრება თვით მის მიერ მკვლელობის ჩადენის ფაქტამდე».* ეს ეპიზოდიც დაწერილია ცალკე ფურცლებზე (იხ. აქვე, ჩანაწერებში «იულონისათვის»), ალბათ, მთლიანი ნაწარმოების დაწერის შემდეგ და შეუცვლელად არის გადასული თეთრ ხელნაწერში. შავ ხელნაწერში წერა განახლებულია სიტყვებიდან: *«და ახლა ის დგას, როგორც სამარცხვინო ადამიანი..»*

მინაწერი შავი ხელნაწერის არეზე შემდეგ სიტყვებთან _ *«ჯიმშერი: ნება მომეცით მეც, როგორც ბრალმდებელმა, მხარი დავუჭირო ჩემი კოლეგის შესავალ სიტყვას .. ყოველ შემთხვევაში, ჩვენი მიზანია განვსაჯოთ თვით შორეული სულიერი კუნჭულები ..»:*
« ! მიზანი რამდენ სერიოზულობას აძლევს _ ერთი მიზანი _ კუზმანას სიტყვების მერე.»

შავი:
«ქრება მისი შუბლი, წელში მოღუნული სხეული და სხვა პესიმისტური შტრიხები მისი გარეგნობისა ..»
თეთრი, გვ. 103:
«დავინახავთ მის ფარულ მიზანს .. ქრება მისი შუბლი, წელში მოღუნული სხეული და სხვა დუნე თუ უაზრო შტრიხები მისი გარეგნობისა, რჩებიან მარტო თვალის გუგები ..»
თეთრ ხელნაწერში გამოტოვებულია 8 ხაზი სიმღერის ტექსტისათვის. შავში მინაწერია ფრჩხილებში «(სიმღერა)»

თეთრი გვ. 119
«რომელსაც იწვევს ყოველი მხრიდან დაუცველი ტრამალი, პატარა საფარი გორაკებით» _ ამ წინადადების მერე გამოტოვებულია ადგილი, სავარაუდოა, სიმღერის ტექსტისათვის.

თეთრი, გვ.149:
«დამწყებმა ჯარისკაცმა წამოიწყო სამწყობრო სიმღერა ყველაფრისმპატიებელი და ყველაფრისშემცნობი.» ამ სიტყვების მერე, სავარაუდოა, ისევ სიმღერის ტექსტისათვის დატოვებულია ადგილი.

შავი ხელნაწერი გრძელდება სიტყვებიდან*: «გურამი: ჩვენ მოვისმინეთ შენი ნაამბობი, იულონ.»*

შავი:
«.. რადგან ჩვენ ყველას გვეშინია ვიყოთ სინდისიერები, პატიოსნები, მაშინ ჩვენ ერთი გზა გვრჩება _ მარადიულობისკენ, ამიტომ არ მინდა მე ..»
თეთრი, გვ. 163:
«.. უბრალოდ, თქვენც ჩემსავით გეშინიათ იყოთ სინდისიერები, პატიოსნები, მაშინ ჩვენ ერთი გზაღა დაგვრჩებოდა იქითკენ აი .. , ამიტომ არ მინდა მე თქვენს თვალში ვიყო კარგი კაცი და რაც ყველაზე საზიზღარია, სამართლიანი და იგივე გინდათ ქვეშეცნეულად ყველას. რა, არა?»
შავ ხელნაწერში ნახმარი სიტყვა «მარადიულობა», ნაცვლად თეთრისა «იქითკენ», გვიხსნის სხვა შემთხვევებსაც, როდესაც გურამი «იქით», «იქითკენ» და სხვ., როგორც ჩანს, სწორედ «მარადიულის» მნიშვნელობით ხმარობს.

შავ ხელნაწერში არ არის «ხმები ფარდის უკნიდან.»

შავი:
«უფრო კონკრეტულად მომდიოდა ფიქრი რუსული ფრაზით.»
თეთრი, გვ. 150:
«.. უფრო კონკრეტულად მომდიოდა აზრის ფორმა რუსული ფრაზით.»

თეთრში არის ყველგან «დარდი», შავში _ «ტრაგედია».

თეთრი, გვ. 177:
თეთრი, პატ. გურამი: *ვითომ არ იტანჯება იმ დარდით.*
შავი: *ვითომ არ იტანჯება იმ ტრაგედიით.*

თეთრი, გვ. 185:
«მთელი ცირკი...»
შავი:
«მთელი თეატრი მისი სიცოცხლის ყოველ რისკს...»

თეთრი, გვ. 187:
«იცით, თქვენ, რა არის იდგე ყურადღების ცენტრში არა სხეულით, არამედ აზრით!»
შავში ეს ფრაზა დაწერილია რუსულად: *«быть в центре внимания не телом, а мыслью.»*

თეთრი:

«..რაც ვერ შესძელი შენ, პიესის ავტორო, _ ეს არის იულონის ვნება და აზრი არის ვნებათა შორის ყველაზე დიდი ვნება.»

შავში ჩამატებულია იულონის შემდეგი სიტყვები: «... *გააკეთა ის, რაც ვერ შესძელით თქვენ.»*

/ეს არის მისი ვნება _ არ არსებობს ვნება აზრზე დიდი, ე.ი. აზრი არის ყველაზე დიდი ვნება/.

თეთრში ჩამატებულია: *«.. და აი, დგება წამი, როცა ის და ხარი სამარისებურ სიჩუმეში უახლოვდებიან ერთმანეთს, კაცის ხელი, რომელსაც იარაღი უჭირავს და ბრმა რქები და ხდება ის! მკვლელობა! მთელი დარბაზი, როგორც ერთი კაცი ამოიქშენს და ბღავის, ყვირის: ტორეადორ, მე მესმის...»*

შავში: ხმები... _ ტო-რე-ა-დორ ტორე-ა-დორ იულ-ლონ, ი-უ-ლ-ო-ნ, ი-უ-ლონ»

შავი: «... *თუ <u>სასიამოვნოა</u> ყურადღების ცენტრში დგომა ფიზიკურად...»*

თეთრი: *«... თუ <u>დიდია</u> ყურადღების ცენტრში დგომა...»*

შავი:

«პატ. გურამი: აი, არასაჭირო მსხვერპლი, საწყალი თეზიკო.»

თეთრი, გვ. 190:

«პატ. გურამი: ვის სჭირდებოდა, საწყალო ბიჭო.»

შავში:

პატ. გურამის რეპლიკის შემდეგ არის ედიშერის სიტყვები. *«ედიშერი: თეზიკო გწამდეს, რომ თუ ვინმე განიცდის შენ სიკვდილს, ეს მე ვარ.»*

თეთრში პატ. გურამის ეს რეპლიკა გამოტოვებულია.

შავი: *«ამ ოთახიდან გარეთ <u>გასართობად</u> გასვლას აზრი არა აქვს.»*

თეთრი გვ. 191:

«ვიცი ამ ოთახიდან გარეთ გასვლას აზრი არა აქვს.»

მხოლოდ თეთრში, გვ. 194

«არაფრისათვის არაფერი არ არსებობს, თვით არასაჭირო სიკვდილიც კი.»

შავი ხელნაწერი მთავრდება სიტყვებით *«/სულ დიდი ფარდა/».*_არ არის _ */»ხმები ფარდის უკან».*/

შექმნის ისტორიისათვის

მახსოვს, «იულონის» შექმნამდე სულ ცოტა ხნით ადრე, გურამმა თქვა: «მორჩა, ვიწყებ ტრაგედიების წერას.» ამის შემდეგ ჩემი ძმა კარგა ხნით შეიკეტა თავის უფანჯრო ოთახში, რომელიც მხოლოდ შუშაბანდიდან შემოსული შუქით ნათდებოდა. ის მთელ დღეებს ატარებდა სამუშაო მაგიდასთან. უჩვეულოდ ჩუმი და დაფიქრებული ჩანდა. დედას და მამას არ მოსწონდათ გურამის სიჩუმე და არც ის, რომ სულ სახლში იჯდა და ამხანაგების მიღებაზეც კი უარს ამბობდა.

ასე მახსოვს, რომ გურამმა «იულონი» სულ ორ-სამ კვირაში დაწერა, გადაათეთრა მისთვის ჩვეული ლამაზი ხელით და თითქმის მაშინვე გადაწყვიტა მკითხველის რეაქციის შემოწმება. სამწუხაროდ, გურამის სიცოცხლეში მე აღმოვჩნდი ის პირველი და უკანასკნელი მკითხველი, ვინც სცადა მისი წაკითხვა (თუმცა, როგორც ახლა გავიგე, უცდია ერლომსაც: «მეც წამაკითხა, მაგრამ ვერაფერი გავიგე,» მითხრა მან გურამის გარდაცვალებიდან დიდი ხნის შემდეგ). მახსოვს გურამის დამუხტული, შეთქმულივით საიდუმლოებით მოცული სახე, როდესაც გამომიწოდა მან წასაკითხად მაგარყავისფერყდიანი საერთო რვეული. მოვიკალათე გურამის ოთახში კედელთან მიდგმულ ტახტზე, რაც იმავე დროს მისი საწოლიც იყო; გადავშალე რვეული და დავიწყე კითხვა. «არალიტერატურულად» უხვსიტყვიანი მომეჩვენა ყველაფერი («არალიტერატურულად გულახდილი»). თითქოს არსად არ ჩანდა მხატვრული შემოქმედებისათვის დამახასიათებელი პირობითობა. ძალიან სწრაფად გავიაზრე მისი «ნაკლი». ახლა რომ ვფიქრობ, ჩემი შეგრძნების საფუძველი უნდა ყოფილიყო საოცარი უფორმობის, ამორფულობის განცდა ყველა დონეზე. თითქოს ირღვეოდა ყველაფერი მყარი, გასაგები, აღიარებული. თითქოს ყველაფერს ეხდებოდა გვირგვინი და იფანტებოდა, იბნეოდა სხვადასხვა მიმართულებით აუკრეფელობამდე. საოცარი დაღლა, საოცარი მოწყენილობა მომეძალა. მახსოვს, როგორ უხალისოდ გადავავლე თვალი უხვსიტყვიანი რვეულის ფურცლებს, მოვიმიზეზე რაღაც და რვეული მაგიდაზე დავდე. შევატყვე, რომ გურამს არ ეწყინა ეს გულის სიღრმეშიც კი, როგორც ხანდახან იცოდა; ძალიან წყნარად და მშვიდად მითხრა: «არა უშავს, მოვა დრო და წაიკითხავ..» მახსოვს, ამ სიტყვების შემდეგ მან ახადა ლომბერის მაგიდას თავი და უსიტყვოდ ჩააგდო შიდა უჯრაში, თურმე მთელი ოცი წლით, «იულონის» ორივე ხელნაწერი და ყველაფერი ის, რაც დაკავშირებული იყო მასთან. ამის შემდეგ «იულონის» შესახებ ლაპარაკი არა ყოფილა, საერთოდ, და არც ყავისფერყდიანი რვეულისათვის მომიკრავს თვალი. გურამს «იულონი», წინა პიესებისაგან განსხვავებით, არ გადაუბეჭდავს. ეს ნიშნავდა, რომ მას არც უფიქრია მისი პუბლიკაცია. როგორც ჩანს, ძალიან კარგად იცოდა, რომ შორს იყო დრო, როდესაც არა მხოლოდ ცენზურა, არამედ ჩვეულებრივი მკითხველი აღიარებდა მის მხატვრულ სინამდვილეს. ამ «საიდუმლო» უჯრიდან «იულონი» ამოღებული იქნა მხოლოდ მწერლის გარდაცვალებიდან ძალიან დიდი ხნის შემდეგ. მისი პირველი მკითხველი იყო ერლომ ახვლედიანი. ის კარგა ხნის განმავლობაში დადიოდა ჩვენთან სახლში (მაშინ უკვე სოლოლაკში ვცხოვრობდით) და ცალი თითით ცდილობდა ამ საკმაოდ ვრცელი ტრაგედიის გადაბეჭდვას. მახსოვს, შესვენებების დროს როგორი ჩუმი, დაფიქრებული და თითქოს გაკვირვებულიც მიუჯდებოდა ხოლმე ის ჩვენთან ერთად სუფრას. რატომღაც, ჩვეულებრივ უხვსიტყვიანები, მთელი სადილის განმავლობაში ჩუმად ვიყავით, თუ არ ჩავთლით სრულიად უმნიშვნელო საყოფაცხოვრებო რეპლიკებს. თითქოს ყველას, ჩვენდა უნებურად, გვეუფლებოდა შეგრძნება რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი მომენტის: «იულონი» იძენდა სიცოცხლეს თავის პირველ მკითხველში *(«მერე რა, თუ ოდესმე ვიქნები კარგი მწერალი. ამ ფაქტს, თავისთავად, ჩემთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ეს ფაქტი მხოლოდ მაშინ იღებს თავის არსს, როცა ჩნდები შენ* (იგულისხმება ნებისმიერი მკითხველი _ მ.რჩ.), *როგორც მკითხველი»* (ამონაწერი დღიურიდან).

იმ თვეებში, როცა იწერებოდა «იულონი», ინტენსიური ცხოვრებით ცხოვრობდა «კიროვის (ახლანდელი «ვერის») ბაღის» საღამოს «ბირჟა», რომელსაც თავისი ისტორია აქვს. ზოგადად, ახლომახლო მცხოვრები თბილისელებისათვის ეს იყო

ყველაზე სასიამოვნო სასეირნო ადგილი. «იქ იყო ცისფერი პავილიონი, ფანჩატური ლუდის დახლებით, შუაში მრგვალი აუზით, რომლის ირგვლივაც სხდებოდნენ ბიჭები, ზაფხულის კინოთეატრი, უზარმაზარი ჭადრები, ყვაოდა იქაურობა: ამდენი ფოთლები, ამდენი შრიალი...» (ბესიკ ადეიშვილი). მაგრამ, ალბათ, ამ ბაღის მნიშვნელობა და ადგილი 50-60-იანი წლების თბილისის კულტურულ ცხოვრებაში მეტია, ვიდრე ჩვეულებრივი სასეირნო ბაღისა.

აქ, თითქმის ერთდროულად, დაიწყო შეკრება სხვადასხვა ჭადრების ქვეშ ორმა, ერთმანეთისაგან მთლიანად განსხვავებულმა ახალგაზრდულმა ჯგუფმა. ესენი იყვნენ უკვე ნახსენები «ხორტისტები» და ფეხბურთის «ბალელშჩიკები». პირველ ჯგუფში შედიოდნენ: ზურაბ კიკნაძე, ლევან მალაზონია, გივი შაჰნაზარი, ბესიკ ადეიშვილი, ედიშერ გიორგაძე, ერლომ ახვლედიანი, ირაკლი რამიშვილი («ირაკლი რამიშვილი და ხორტა» _ ამონაწერი მწერლის 1958 წლის დღიურიდან), ვაჟა დუნდუა, თამაზ აბულაძე, ჯუმბერ ხანთაძე და სხვები (იხ. ტომი 3, გვ. 308. «ეს სახელი, მგონი, გურამმა შეგვარქვა» _ ლევან მალაზონია, გივი კიკილაშვილი. «ხორტისტები იქვე მცხოვრებმა ბიჭებმა შეგვარქვეს. ისე, ძნელიც არის დადგენა პირველად ვინ თქვა. ჩვენ თანავუგრძნობდით უნგრეთს. ხორტა სწორედ იმ დროს ოპოზიციური მოძრაობისათვის იქნა დახვრეტილი უნგრეთში.» _ ბესიკ ადეიშვილი)

«იყო დრო, როდესაც კიროვის ბაღის ბირჟის პირველ მკვიდრთა _ ძმები ელგუჯა და მერაბ ბერძენიშვილები _ რიცხვი (იქვე ცხოვრობდნენ) ყოველდღიურად იზრდებოდა. გაიზარდა ასამდე, ათასამდე. მერე მთელი თბილისი იქ იყო. ამ ბირჟისაკენ გადმოინაცვლეს ყოფილმა უნივერსიტეტელებმაც. ეს იყო, ძირითადად, ფეხბურთის მოყვარული ახალგაზრდობა, რომელიც საათობით კამათობდა მესხზე, იამანიძეზე, თითოეულ მოთამაშეზე ცალ-ცალკე, დინამოს მომავალზე. «სცენარნი» ლოჟაზე ვისხედით «ბალელშჩიკები». გურამი ჩემს გვერდით იჯდა. ჩემთან ერთად დადიოდა ხოლმე. ფეხბურთის შემდეგ ლაპარაკ-ლაპარაკით, კამათ-კამათით, ნება-ნება მივიკვლევდით გზას ათასობით მაყურებელში, ჩელუსკინელების ხიდის გავლით, შემდეგ, თერთმეტსართულიანი სახლის გვერდის ავლით, ვსხდებოდით კიროვის ბაღში. ეს იყო 55-56-57-58 წლები და მერეც. გვიან შემარქვეს «ბელადი» სამართლიანობისათვის. ფეხბურთი მესმოდა ყველაზე კარგად. ყველა ჯგუფთან კარგად ვიყავი, ვაერთიანებდი ყველას. ლოგიკა მქონდა. გურამი არ თამაშობდა კარგად. ერთხელ ერთი საათი მდია, ვერ წამართვა. მესხი უყვარდა» (ქართლოს სვანიძე, «ბელადი»). მახსოვს, გურამმა ერთხელ მითხრა: თბილისის დაყოფა შეიძლება იმის მიხედვით, თუ ვინ ვის აძლევს უპირატესობას მესხსა თუ იამანიძესო. გურამის ერთ-ერთ დღიურში ვრცლად არის მოთხრობილი მესხზე, რომელსაც გურამი, თავისი სრულყოფილებით, ფორმაში მაქსიმალურად გამოვლენის უნარით, ადარებს დოსტოევსკის (ტომი 5. დღიურები).

თუ გურამის სიტყვებს მოვიშველიებთ, ედიშერ გიორგაძის მიმართ ნათქვამს, მეორე ჯგუფის ახალგაზრდების ერთიანობა იყო «წმინდა სულიერი, ე.ი. იდეური და არა კომერციული» (იხ. ტომი 3. «შაშას რევოლუციის» კომენტარები), ან, ვთქვათ, სპორტული, პოლიტიკური და სხვ. თუმცა 1956 წლის 9 მარტის სისხლიანი ტერორის შემდეგ ამ ჯგუფში, რომელთა ახლობლების უმეტესობა 1937 წლის რეპრესიების მსხვერპლი იყო, გააქტიურდა პოლიტიკური მუხტი. როგორც ჩანს, ისინი გულუბრყვილოდ ფიქრობდნენ, რომ ხალხს ადვილად გააერთიანებდნენ საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ საბრძოლველად. ედიშერ გიორგაძეს «ზარია ვოსტოკას» შენობის წინ წარმოუთქვამს სიტყვა, რომელიც თურმე ასეთი ლოზუნგებით მთავრდებოდა: ძირს კომუნისტური პარტია, ძირს საბჭოთა ხელისუფლება,

გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს! ბრძოლის დაწყების მაგივრად, ეს სიტყვები აღმოჩნდა პირველი და უკანასკნელი მოწოდება, რომლითაც მათ ხალხს მიმართეს. ედიშერ გიორგაძე «ჩაუშვა» საკუთარმა მეზობლის ქალმა, რის შემდეგაც ის დაიჭირეს და ერთი-ორი კვირით ციხეშიც ჩასვეს, საიდანაც საშინლად დათრგუნული გამოვიდა, თუმცა უთქვამს, წამება არა ყოფილაო. თბილისში მალე დაიწყო რეპრესიები. პოლიტიკური აქცენტი თითქმის მთლიანად შეწყდა. არ შეიძლებოდა ლექციების გაცდენა. სტუდენტები გაჰყავდათ ლექციებიდან დასაკითხად, ზოგს იჭერდნენ კიდეც.

«ხორტისტები» ისევე ცხარედ და აქტიურად კამათობდნენ ლიტერატურაზე, ფილოსოფიაზე, როგორც ფეხბურთის ფანები ფეხბურთზე. «ეს იყო ლიტერატურული სკოლა. ყველა წერდა, აზროვნებდა, თარგმნიდა. ამ ჯგუფში არ იყო ადვილი მოხვედრა. ბევრს უნდოდა, მაგრამ მიგიღებდნენ კი? გამოწმებდნენ. გურამი და მე მიგვიყვანა შოთა ჩანტლაძემ. უნივერსიტეტი გამანაწილებელივით იყო. შოთა ანაწილებდა. ყველამ განიცადა შოთას გავლენა. არ გეწყინოს, ეს გავლენა იგრძნობა გურამის შემოქმედებაშიც. იქ მივედით ჩვენ ჩვენი ბიოგრაფიებით..» (ბესიკ ადეიშვილი). «მიუხედავად იმისა, რომ ამ ჯგუფში თითქმის ყველა ან პოეტი იყო, ან მწერალი, ან მთარგმნელი, ისინი ბევრი სხვა მწერლებივით არ წერდნენ თავიანთი ნაწარმოებების დასაბეჭდად «პარავოზებს» (ანუ ცენზურისათვის განკუთვნილ ნაწარმოების პირველ ხაზებს, ან ლექსის პირველ სტრიქონს, რასაც უნდა გაეტანა მთელი ნაწარმოები და გადაეწყვიტა მისი დაბეჭდვა-არდაბეჭდვის საკითხი _ მ.რჩ.) და, საერთოდ, არც ცდილობდნენ პრესაში მოხვედრას. რიცხობრივი შეფარდება ფეხბურთის «ბალელშჩიკებსა» და ხორტისტებს შორის იყო დაახლოებით ერთი ასთან, ბევრმა არც იცოდა ჩვენი არსებობა. ჩვენ შორიდან ვადევნებდით თვალს გაცილებით დიდ მოედანს, რომელზეც სულ უფრო და უფრო მეტი ხალხი იკრიბებოდა» (გივი კიკილაშვილი). ასე რომ, «ხორტისტები» უპირისპირდებოდნენ თითქმის ყველა სახის ოფიციოზს: პოლიტიკურს, კულტურულს, საკუთარ ქვეყანაში ემიგრანტებივით იყვნენ. სწავლობდნენ დასავლურ ფილოსოფიას თუ ხელოვნებას, კითხულობდნენ თანამედროვე აკრძალულ ლიტერატურას და, ხშირ შემთხვევაში, ჰქონდათ სწორი პრეტენზია ამ ლიტერატურის პირველი მკითხველებისა თუ გამავრცელებლების. «ედიშერი იყო განათლებული. «ვერხივით ჰქონდა ეს განათლება» (ერლომ ახვლედიანი).

ამონაწერი 1958 წლის დღიურიდან:

«.. ამ პერიოდში ეს დაემართა ედიშერსაც, ის ბევრს იტანჯა, მართლა მხრებით გამოათრია კარგი, აუარებელი ძვირფასი და ახლა დროებით გაჩერდა, სხვები ალაპარაკდნენ და მისი ხმა გახდა ყრუ და ყრუ და მას, როგორც პირველს, არა სცემენ პატივს, რადგან მისი გრძნობა სხვისთვის აზრად კი არ დარჩა, არამედ ისევე გრძნობად. ე.ი. ის უნდა იყოს სულიერად არაჩვეულებრივად კმაყოფილი, მან მიაღწია იმას, რაც უნდოდა, ისე გაუგეს, რომ აღარც ესმით, თუ თავიანთი არ იყო ეს აზრი და აქ უცებ ედიშერი იწყენს და ის, როგორც კაცი, სწორეა, მას გაგება კი არ უნდოდა მხოლოდ, მას უნდოდა პატივისცემა, აღიარება» (იხ. გურამ რჩეულიშვილის ტომი 5. 1958 წლის შემოდგომის დღიურები).

აი, როგორ აღიქვამდნენ ერთმანეთს კიროვის ბაღში სხვადასხვა ჭადრების ქვეშ მყოფი ახალგაზრდები, რომელნიც სულ უახლოეს ხანში გაერთიანდნენ გურამში, როგორც მისი სულიერი ცხოვრების შემადგენელი ნაწილები:

«ხორტისტები», ფეხბურთის მოყვარულთა თვალთახედვით, _

«ეტმასნებოდნენ გურამს. გურამი არ იყო მაგათთან. მაგათთვის ეცალა! ხო იცი, გურამი, თავმდაბალი იყო, არ უყვარდა დაბრიყვება. უყვარდა მოფერება!» «კი.. იყვნენ ... შემოდიოდნენ ხოლმე კიროვის ბაღში ... თავისთვის იდგნენ».

«ხორტისტები» ფეხბურთელებზე:

«შორიდან ვუყურებდით ხოლმე «ფეხბურთელების» კამათს, რომელიც ხშირად კურიოზულ კოლიზიებამდე მიდიოდა. მახსოვს, ერთხელ ცხარე კამათის ხმა მოგვესმა, რომელიც სცილდებოდა ჩვეულებრივ ნორმებს. დავინტერესდით რა ხდებოდა. მივედით და ვხედავთ ერთ-ერთი, რომელიც თავს სპორტულ კომენტატორად მიიჩნევდა, დაჩოქილია, მუხლებზე დგას, გულში ირტყამს მჯიღს და ცრემლნარევი ხმით ყვირის: «კლევეტა, კლევეტა» თურმე მისთვის უთქვამთ: «შენ არ შეგიძლია რაიმე თქვა მესხის შესახებ, როდესაც მისი თამაში დუბლებში არ გინახავსო..»

თუ მივყვებით ჩემი ძმის შინაგან ხმას, რასაც ის, ვფიქრობ, ხშირად თავისთვისვე მოულოდნელადაც კი, განსხვავებულ, დაპირისპირებულ ადამიანთა შინაგან ერთიანობამდე, მათ შორის ზღვრის მოშლამდე მიჰყავდა (ამას მოწმობს თუნდაც «იულონი»), მაშინ შეიძლება ითქვას, რომ ამ სრულიად განსხვავებულ ჯგუფებს შორის სხვაობა გურამისათვის უფრო ზედაპირულ ფენებში იდო, ალბათ, ვიდრე სიღრმისეულში. ამის მაგალითი იყო, თუნდაც, თვითონ საკუთარი თავისათვის. მას თითოეული ჯგუფი თავისად მიიჩნევდა, ისევე როგორც ის მათ. ამიტომ იყო, რომ, ერთი მხრივ, ვითომ პრობლემურად, ძნელად, მაგრამ, მეორე მხრივ კი, ვფიქრობ, ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე და ადვილად, გადაადგილდებოდა ის ამ, ერთი შეხედვით, ერთმანეთთან მთლიანად დაპირისპირებულ ჯგუფებს შორის.

ამონაწერი გაუგზავნელი წერილიდან ერლომს (1959 წელი):

« ... ასეთი გიჟური, ავადმყოფური სურვილები სხვაზე კარგად გესმოდეს ფეხბურთი ან დოსტოევსკი (იგულისხმებიან «ბალელჩიკები» და «ხორტისტები» _ მ.რჩ.) _ არ ნიშნავს ერთის ან მეორის სიყვარულს, ყოველ შემთხვევაში, ის სულ მთლად მიყრუებულია და ექვემდებარება მხოლოდ სურვილს გესმოდეს, იყო სხვაზე მეტი... «

უნივერსიტეტის ახალგაზრდობა, ბუნებრივია, პირველი კურსიდანვე იცნობდა ერთმანეთს. «გურამი გავიცანი, ალბათ, 1955 წლის შემოდგომაზე, უნივერსიტეტის ბაღში. მერე ძალიან მალე დავუახლოვდით ერთმანეთს. მინდა იცოდე, რომ გურამთან არ შეიძლებოდა თავისუფლად დგომა, დაძაბული იყავი სულ. არავინ ამბობდა მაშინ, მაგრამ ყველა გრძნობდა, რომ პირველი იყო, თუმცა აღიარება არავის უნდოდა. მთავარია, რომ იყო არაჩვეულებრივად ცოცხალი, ამიტომ იყავი დაძაბული, პირველის სიცოცხლეს გაძლევდა. ვთქვათ, ვლაპარაკობდით, იდგა წელში გამართული, ხშირად ფრუტუნებდასავით ყალყზე შემდგარი ცხენივით. ენერგია გადმოდიოდა მისგან. ჩვეულებრივ დგომა გურამის გვერდზე გამორიცხული იყო, ყველანი ბებრები ვართ, ეს არავის უყვარს, სხვისი ენერგია, სიცოცხლის უნარი...» (ლევან მალაზონია). ზოგიერთი 1956 წლისა და 1957 წლის მოთხრობა, ისე როგორც მწერლის დღიურები, ადასტურებს ჩემი ძმის სიტყვებს, რომელიც რამდენჯერმე უკვე მოვიხმე: «შიგ შუა ცხოვრებაში ვიყავი ჩავარდნილი». ეს იყო დრო სმის სიტუაციების,

ვარიანტების შექმნის _ თავისი ფულის შოვნით, გაუთავებელი გავარდნა-გამოვარდნებით, სხვადასხვა ხელჩართული ჩხუბებით თავის თუ სხვის დასაცავად, სიცილით ჩხუბი, სიცილით ქეიფი... ჩხუბების გარჩევით, მილიციებით, ერთმანეთის სიყვარულით, ნამდვილი ძმაკაცობით, გაუთავებელი «ლაზღანდარობით», ერთმანეთის თუ სხვების «გაშაყირებით» («გურამი ჩხუბობდა სიცილით, უბოროტოდ. საერთოდ ძალიან უყვარდა გულიანი სიცილი. არაფერი რო არ ხდებოდა, ამას ვერ იტანდა, ჩაცემენტებული იყო ყველაფერი გარეშემო» (ლევან მალაზონია). *«გამახსენდა, როგორ ვიცინოდით ხოლმე ნუგზარი და მე. ასე არასდროს არ ვიცინი სხვასთან ერთად»* (მწერლის დღიურიდან). ერთხელ გურამმა თავის ერთ თანაკურსელს საათი წაართვა დასაგირავებლად. ერლომი გამოესარჩლა დაUუსაყვედურა გურამს. რეზო ერისთავმა უთხრა ერლომს: შენ ვის ელაპარაკები, რამე ხომ არ გეშლებაო. ერლომის თქმით, გურამს სიტყვა არ უთქვამს, შეტრიალდა და წავიდა. «ერთხელ გურამი და ჩიკო შემხვდნენ რუსთაველის ძეგლთან. შარვალში მქონდა გაჩხერილი ერთი ვობლა, უქაღალდოდ. გურამს მოეწონა ეს. ჯიბეში არყის ბოთლიც მედო. შევედით იქვე სასადილოში, ახლა რომ აფთიაქია იქ. რას გვეყოფოდა ერთი ბოთლი. კარგ ხასიათზე დავდექით. საათი მეკეთა ხელზე. ეგ საათი მომეციო, მითხრა გურამმა. წავიდა და, როგორც ჩანს, იქვე, გასტრონომში, დააგირავა. მოიტანა არყები, ძეხვი. მე რომ მივსულიყავი, არ მიიღებდნენ, ვიქეიფეთ. ღირდა კი ეს საათი იმის საფასური რაც მოიტანა! მინდა ვთქვა, რომ უბრალო ხალხიც გრძნობდა, რომ არ იყო ის ჩვეულებრივი ადამიანი, არ უნდა ამას აკადემიკოსობა, ხიბლი ჰქონდა რაღაცნაირი, ყველა ენდობოდა. ვის გამოატანდნენ იმ საათით რამეს.» (ლევან მალაზონია). «გადავწყვიტეთ კინოში წასვლა, «სპარტაკში». თითქმის დაწყებული იყო ფილმი. სალაროსთან არავინ იდგა. გოგუცა კუპრაშვილი (მოზარდ მაყურებელთა თეატრის ყველასათვის ცნობილი და საყვარელი მსახიობი, პატარა ბიჭებს თამაშობდა ხოლმე _ მ.რჩ.) იღებდა ბილეთს. ორმა მუტრუკმა უხეშად გასწია გვერდზე და თვითონ გადააწოდეს ფული. ჩვენ უკან ვიდექით. უცებ გურამმა მოატრიალა ჯერ ერთი, მერე მეორე და ისე ხეთქა, რომ ძლივს წამოდგნენ. ვეღარ მოვითმინეო, მითხრა მერე» (ჯურხა ნადირაძე). ასე რომ, ეს იყო 24 საათიანი «ჰეი _ ჰო». მუდმივად გურამის გზის შემყურე დედას მუდმივი ნერვიულობა: წავიდა! სად? ბიჭებთან ერთად, რომელ ბიჭებთან? ხომ არ უყვართ იმათ დალევა ან ჩხუბი! დედაჩემის გამუდმებული მოთხოვნით: ისწავლე, სასემინარო თემა არ დაგავიწყდეს, «მამიდა ნათელამ (ნათელა ჯავახიშვილი, ივანე ჯავახიშვილის ქალიშვილი) თქვა, ამდენ ბიჭებში მამაჩემის სპეციალობით მარტო გურამი წავიდაო. რომ იცოდეს, როგორ წახვედი!» «სახლიდან არ გახვიდე, საქმე მაქვს შენთან»; («წასვლა რო მინდა, ხანდახან იმასაც ვფიქრობ, რომ ახლობლის სიკვდილიც კი არ გამაჩერებს, მაინც წავალ...» «ფეხები დასვენებული მაქვს და მინდა ჩემი გმირების ცხოვრებით ვიცხოვრო», _ მწერლის დღიურებიდან), მიიღე ფორმა სტუდენტის, ოჯახიშვილის, შეიკერე კოსტუმი, არ ჩაიცვა ბატინკები, შეიკარი პერანგის ზევითა ღილი, არ შეგფერის გულგაღელილი სიარული. პატივი ეცი საზოგადოებას, გენაცვალოს დედა! ერთი შენი დაკაცება, დადინჯება მანახვა, მერე თუნდ მოვკვდე…... ეს იყო დრო, აგრეთვე, რაინდობის, გვარიშვილობის, დედას განსაკუთრებული სიყვარულის, მამას განსაკუთრებული პატივისცემის: სადაც და როგორ სიტუაციაშიც და როგორი ნასვამიც როგორ აყალმაყალშიც არ უნდა ყოფილიყო, მამას დანახვაზე ჩაქინდრავდა თავს კრავივით და ჩუმად მოჰყვებოდა სახლში. ეს იყო დრო უფროსების დახმარების, ბაბუას მოვლის, ჩემი განსაკუთრებული პატივისცემის და სიყვარულის. სხვის დასახმარებლად მუდმივად გაწვდილი ხელის და სხვ. იყო სწავლაც, ლექციებიც, ლურსმული წარწერები, რასაც

ფაკულტეტის დახურვის შემდეგ (იხ. ტომი 2. შენიშვნები «რომანისათვის» «სასამართლო გადის განაჩენის გამოსატანად») სულ ნაკლები და ნაკლები დრო ეთმობოდა. გურამზე დაწერილი ნუგზარ წერეთლის ორივე წიგნი იძლევა უხვ მასალას ამ პერიოდის გასახსენებლად, თუმცა, მისივე თქმით, მათი «საგმირო საქმეების» ნახევარიც კი არ წერია შიგნით. მნიშვნელოვანი იყო გურამის პირველი სიყვარული, რომელიც თან გასდევს მთელ ამ პერიოდს და მომენტებში გურამის სიჩუმის, დაფიქრების და გარინდების საფუძველი ხდება. ტაბუდადებულია გურამის მიერ ამ ქალის სახელის ხსენებაც კი. ამხანაგები პატივს სცემენ ამ გრძნობას და თვითონაც თანაგრძნობას მხოლოდ სიჩუმით გამოხატავენ.

გურამის პირველი დღიური დაწერილია 1956 წლის 14 მარტს. ამ პერიოდის დღიურებში არც რეტროსპექტული თხრობისას, არც ყოველდღიური ცხოვრებისეული ამბების გადმოცემისას, არც ზოგადი მსჯელობისას, არსად არაა ჯერ ნახსენები არც ერლომი და არც სხვა ვინმე, გარდა «ჰეი-ჰოს» უშუალო მონაწილეებისა.

სულ ერთად იყვნენ: ქართლოს სვანიძე, თემო ბერიძე, ბორია ინასარიძე, ედი რჩეულიშვილი, შალიკო რჩეულიშვილი, დათო ღოღობერიძე, იქვეა გურამ თიკანაძეც რაღაც მომენტებში, ჭუღუ ცხვირავაშვილი, ნოდარ ზედელაშვილი, გოგი დემეტრაძე, თამაზ ტოგონიძე, ანდრო ჭიჭინაძე, მალხაზ მიქაძე, ლევან ჩიქვილაძე და სხვები, თითქმის მთელი ბიჭები პლეხანოვ-რუსთაველიანა, ვინც უძლებდა ამ ტემპს და ამდენ გავარდნა-გამოვარდნებს. ამ მეგობრობის სათავეშია ნუგზარ წერეთელი _ გურამის სიყვარული და «პირველი ძმაკაცი» (დღიურიდან). ცალკე დგანან აგი და გიგი აბაშიძეები, დათო ჯავახიშვილი, როგორც ნათესავები და უახლოესი მეგობრები, რომლებთან ერთადაც გაიზარდა ის ბავშვობიდან; აგრეთვე, ვაჟა გიგაშვილი. მასთანაც გურამს მშობლების მეგობრობა, ბავშვობა და საერთო ინტერესები აკავშირებდა. მარიკა საყვარელიძე, მანანა მეგრელიძე, გიოლინა ჭიჭინაძე, მე, ჩემი ამხანაგებით, თანაკურსელი გოგოები, რომელთაც განსაკუთრებით უყვარდათ გურამი და რომლებთან ერთადაც დედა დაუღალავად განიხილავდა გურამის გზაზე დაყენების შესაძლებლობებს, და სხვები.

ერთხელ, გურამ გეგეშიძის მოთხრობების განხილვის კარგა ხნის შემდეგ გურამი მიტრიალდა შუა ლექციის დროს რამდენიმე მერხით უკან მჯდომ ერლომ ახვლედიანისაკენ და, სრულიად მოულოდნელად მისთვის და შეიძლება თავისთვისაც კი, უთხრა: ლექციების შემდეგ წამოდი ჩემთან სახლში, რაღაც უნდა წაგაკითხო. იმ დღიდან დაიწყო, თურმე, მათი ურთიერთობის ახალი ეტაპი, რადგან ცნობით ბავშვობიდან იცნობდნენ ისინი ერთმანეთს (იხ. ტომი 1. «ცქიტო და სელიოდკა»; აგრეთვე, გურამ რჩეულიშვილის «მოთხრობების» ბოლოსიტყვაობა, ტომი 3., «შაშას რევოლუციის» კომენტარები). ერლომისაკენ მიტრიალება იმავე დროს ნიშნავდა გურამის მიტრიალებას ახალგაზრდების მეორე ჯგუფისაკენ. მათთან დაახლოებას, ისე როგორც ერლომთან, გურამის ახლო ძმაკაცები, რომლებთან ერთადაც ის, როგორც თვითონ წერს, თავაუღებლივ ატარებდა დროს, მის ერთ-ერთ უცნაურ გამოხტომად მიიჩნევდნენ (და, ვფიქრობ, ასე მიიჩნევენ დღესაც). ამას მოწმობს თუნდაც ზემოთ მოყვანილი სიტყვები: «მაგათთვის ეცალა!» ალბათ, ერლომთან დაახლოების შემდეგ შიგადაშიგ გურამი ჩნდება კიროვის ბაღში «ხორტისტების» ჯგუფში, თუმცა არა როგორც ერთ-ერთი მათგანი, როგორც მათი წევრი, არამედ უფრო როგორც გარე მსმენელი ან მაყურებელი.

ეს კარგად ჩანს, ჩემი აზრით, თემო ჯაფარიძის მოგონებაშიც:

«ხოშტარიას ქუჩაზე ვცხოვრობდი, კიროვის ბაღთან ახლოს. ჩემი მეზობელი იყო ანზორ სალუქვაძე. ჩავყავდი ხოლმე ბაღში. გამაცნო «ხორტისტები». პატარა უნივერსიტეტივით იყო. ყველას თავისი სამყარო მოჰქონდა. ბესიკა გერმანისტი იყო, ირაკლი _ თეოსოფი, შოთა _ პოეტი და სხვ. ერთხელაც, ჩავედით. სკამზე, ჩვეულებრივ, ისხდნენ ბიჭები და წყნარად, მშვიდად ლაპარაკობდნენ. სკამის გვერდით, ამაღლებულ ბორცვზე, ვხედავ, ზის ვიღაც ტიპი. რაღაცით მაშინვე მომეწონა: გამომწვევად იჯდა, ბიჭურად. გურამი ერთი-ორი წინადადებით ჩაერია ლაპარაკში. ანზორი ფეხზე იდგა ჩემს გვერდით. გავიყვანე გვერდზე და ვკითხე: ვინ არის-მეთქი. «მაგარი დაცენტრილიაო,» _ მითხრა. სწორედ ახლა მკითხა გურამმა შენზე, მოდი, გაგაცნობთ ერთმანეთსო. მერე გურამს, ეტყობა, მოსწყინდა ეგრე ჯდომა, უცებ წამოხტა და თქვა: ვინ გადაახტება სკამის ზურგსო და თვითონ მაშინვე გადახტა. სხვებმაც მოინდომეს გადახტომა, მე _ არა. მიდიო _ მითხრა. მერე მეც გადავხტი. გურამმა რაღაც ბიჭური თამაში შემოიტანა, ავანტიურა წარმოშვა, სიცოცხლის მომენტი. ისე, მინდა იცოდე, გურამი გამაღიზიანებელი იყო».

შეიძლება გურამი, მართლაც, შოთა ჩანტლაძემ წაიყვანა კიროვის ბაღში, როგორც ბესიკ ადეიშვილისათვის უთქვამს მასE(«უნივერსიტეტი გამანაწილებელივით იყო. შოთა ანაწილებდა. ერთხელ მითხრა, კიროვის ბაღში შენ და გურამი მე მიგიყვანეთო»). ერლომის თქმით, შოთას ძალიან შეუყვარდა გურამი, კარგად იყვნენ ერთმანეთთან, მიხაროდა, მაინც შოთა ავტორიტეტივით იყოო.

ე.ი. ამ დროისათვის მისი მეგობრების წრეს ემატებიან ერლომი, თემო ჯაფარიძე, ზურაბ კიკნაძე, ლევან მალაზონია და სხვები. როგორც ჩანს, გურამში ძლიერად იფეთქა სწრაფვამ იმ ადამიანებისაკენ, რომელთა მთელი ცხოვრება დაკავშირებული იყო წიგნთან, ხელოვნებასა თუ ფილოსოფიასთან. «იმ ხანებში მე და ჩემი მეგობრები ხშირად ვიკრიბებოდით, ვსაუბრობდით, ვკამათობდით ლიტერატურაზე, ხელოვნებაზე და, რა თქმა უნდა, პოლიტიკაზე. მოდიოდა გურამი ხანდახან ჩიკოსთან ერთად. ზოგჯერ ხან ერთი, ხან მეორე მოთხრობას წაიკითხავდა (მათი გამოქვეყნება ფიქრადაც არავის მოსდიოდა). ასეთ ატმოსფეროში ვხვდებოდი ხშირად გურამს» (ლევან მალაზონია).

აი, ერთი ეპიზოდი ამ შეკრებებიდან. მომიყვა ლევან მალაზონია:E»ედიშერმა წაიკითხა თავისი მოთხრობა. მე არ მომეწონა. ზურამ მხარი დაუჭირა. მე ვთქვი, რომ ისეთი ენით არის დაწერილი, ქალის და კაცის სცენას რომ აღწერდეს, მკითხველს მაინც არ აღაგზნებს-მეთქი. გურამმა თქვა, არც არის საჭირო მკითხველის აგზნებაო. ერლომი გაბრაზდა, რატომ არაო, და დაიწყო ჩხუბი, სერიოზული კამათი. ედიშერმა მოისროლა რვეული, საერთოდ აღარ მინდა არაფერიო (მკითხველს გავახსენებ იმ ეპიზოდს «იულონიდან», სადაც კამათია მხატვრული ნაწარმოების არსზე, სწორედ მისი აგზნებადობის კუთხით).

«ისე, სასაფლაოზე იყო ყველაფერი აშენებული. ტრაგიკული იყო ჩვენი წრე, თითქოს წარსულზე ვაბიჯებდით (კიროვის ბაღი, ერთ დროს იყო სასაფლაო _ მ.რჩ.). Eჩვენ მოვდიოდით ერეკლე ტატიშვილიდან. იმ ინფორმაციას, რაც ჩვენს წრეში ტრიალებდა, ვერ ამოიკითხავდი გაზეთებში» (ბესიკ ადეიშვილი). «დონე იყო ძალიან მაღალი. და ამის შემდეგ ეს დონე არც შეცვლილა» (ერლომ ახვლედიანი). «ჩვენი წრე მახსენებს, ახლა რომ ვფიქრობ, გერმანულ ჯგუფს «ორმოცდაშვიდი». ისიც შედგებოდა სრულიად განსხვავებული ადამიანებისაგან, რომელნიც გაერთიანებულები იყვნენ ყოველგვარი ძალდატანებისა და სავალდებულო მომენტების გარეშე: არ ჰქონდათ წესდება, ან რაიმე მანიფესტი, გინდ შემოხვიდოდი,

გინდ გახვიდოდი. მათთვის მთავარი იყო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ახალი გერმანიის აშენება, გერმანული კულტურის გადარჩენა და მათ ეს შეძლეს. ამ შეკრებებზე გროვდებოდა ეროვნული მუხტი. წინდაწინ არ იყო თემა. ადამიანური კონტაქტების დროს ჩნდებოდა სინთეზები, ასოციაციები, ადამიანთა საზოგადოება როგორი უნდა იყოს... ისინი ასაკით ჩვენზე უფროსები იყვნენ.. მათ თავის ქვეყანაში უვლიდნენ, პატივს სცემდნენ, ჩვენ კი მილიციის მეთვალყურეობის ქვეშ ვიყავით. არც ხალხისგან გვაკლდა ცინიზმი. ერთხელ, მახსოვს, მამაჩემის ძველი პალტო გადავაკეთებინე სოლოლაკში ერთ მკერავს, ძალიან მომწონდა. ბელინსკის ქუჩის დასაწყისში ვიღაც დამეჭიდა პალტოს ღილზე, ხელი ვერ გავაშვებინე, ვერც მე და ვერც სხვამ. ვერც ზურა კიკნაძემ გაგვაშველა. «ა, პოეტი ხარო?» _ მეუბნებოდა, დამცინოდა, გეგონება ზიზღი ჰქონდა ჩემი ბიოლოგიური, და, ალბათ, ყველასი. ვინ არიან, ან რატომ წერენ ლექსებს, რა უნდათ, თავი მოაქვთ განათლებით...

მერე ერთი ცნობილი ბიჭი მოვიდა, არ მინდა სახელის თქმა, და, წარმოიდგინე, იმას მიემხრო! ფიქრობდნენ, ზევიდან გვიყურებენო. მერე, ალბათ, მთავრობამ ვიღაცეები შემოგვიგზავნა, დაიწყო ცინიზმი, ქილიკი, მოვიდნენ გოგოებიც. ჩვენი ჯგუფი დაიშალა ისევე ძალდაუტანებლად, როგორც შეიკრიბა. თავისით დაიფშვნა მთის ქანივით, ჩამოიშალა როგორც ქვიშის საათი. გაგვაერთიანა იდეამ, მერე სხეულს ძალა გამოეცალა, მოკვდა, იდეა კი წავიდა, რათა როდესმე ხელახლა შეიძერწოს, ისევ განსხეულდეს. ისეა, როგორც პიერ ბერანჟემ თქვა ერთხელ: «თავისუფლების იდეამ ძლეულს წაართვა დროშა და წაიღო სხვის ხელში გადასაცემად». შოთაც სულს ღაფავდა. მახსოვს, ერთხელ, ძლივს ამოდიოდა კიბეზე. ეს ხის წაქცევასავით იყო. ალბათ, ფეხბურთელებს გაუხარდათ კიდეც, რომ ჩვენი ჯგუფი დაიშალა» (ბესიკ ადეიშვილი).

მახსენდება კიროვის ბაღი გურამის დაუმთავრებელ რომანში «საიდან მოვდივარ..» სადაც არც ერთი სიტყვა არაა ნათქვამი არც ჭადრების შრიალზე, სიმწვანეზე, არც «ხორტისტებზე» და არც ფეხბურთის «ბალელშჩიკებზე», მხოლოდ მტვერზე ზაფხულის სიცხეში, ამ ბაღის გრძელ სკამებზე გაუთავებელ რიგებად მჯდომ ჰალსტუხიან მოხუც მაკლერებზე, მებაღეებზე, შეუჩერებლივ რომ რწყავენ მიწასა და მწვანე ფოთლებს და ამ ხელოვნური ნოტიოთი კიდევ უფრო დამძიმებულ და ჩამობურულ ატმოსფეროზე. გურამს უკვე დამთავრებული ჰქონდა ტრაგედიების წერა. ის შინაგანად უკვე ემზადებოდა ვრცელი ეპიკური ტილოს შესაქმნელად. ამ დროისათვის მან, როგორც ჩანს, იცოდა მხოლოდ, რომ ის დაიწყებოდა «ირინა და მე-თი».

ეს იყო 1959 წელი.

მახსოვს, ერთხელ გურამმა, დაახლოებით 1957 წლის შემოდგომაზე, «იულონის» დაწერამდე ერთი წლით ადრე, საოცრად აღელვებულმა, ძალიან სერიოზული და საიდუმლო ხმით გამანდო, რომ «ხორტისტები» აპირებდნენ ფილმის გადაღებას და ის ფიზიკურად უნდა დახმარებოდა მათ ჩანაფიქრის განხორციელებაში (კარგად მახსოვს გურამის სწორედ ასეთი ფორმულირება: «ფიზიკურად უნდა დავეხმარო»). ვფიქრობ, ამ დახმარებაში იგულისხმებოდა ფულის შოვნა, ცენზურასთან ბრძოლა, რადგან ეს იყო დრო, როდესაც ყველანაირი გულწრფელი ქმედება ანტისაბჭოთა განწყობილების გამოვლენად ითვლებოდა. მართლაც, შესაძლებელია, «ხორტისტებმა», არშემდგარი პოლიტიკური დაპირისპირების შემდეგ, გამონახეს პროტესტის სხვა ფორმა და გადაწყვიტეს მხატვრული ფილმის გადაღება. რეჟისორი,

სცენარისტი და მხატვარი უნდა ყოფილიყო ლევან მალაზონია, ოპერატორი _ თამაზ გაბელია. მას აღმოაჩნდა კინოაპარატი. მთავარი მოქმედი პირები უნდა ყოფილიყვნენ ერლომ ახვლედიანი და ედიშერ გიორგაძე. ერლომ ახვლედიანის თქმით, ეს ფილმი იყო «საკმაოდ სერიოზული განაცხადი და არა სენტიმენტალური რაღაც». ამასთანავე ეს იყო პირველი სამოყვარულო ფილმი არა მარტო თბილისში, არამედ მთელ საბჭოთა კავშირში. კინოგადაღებაზე მუშაობა დაიწყო 1957 წლის შემოდგომაზე და დამთავრდა დაახლოებით ერთ წელიწადში. 1958 წელს ბიჭებს შეუერთდა როგორც მემონტაჟე, მოსკოვიდან ჩამოსული ვანო ყვავილაშვილიც, რომელიც, თურმე, ისე გაიტაცა გადაღებებმა, რომ უნივერსიტეტის ერთი წელი გაუცდა კიდეც. ფილმი გადაიღეს. ჩვენებების შემდეგ ფოტოფირი ერთ-ერთი ამხანაგის სახლში, მათი აზრით, ყველაზე უსაფრთხო ადგილას შეინახეს, სადაც ის მალევე დაიკარგა.

გურამისგანვე მახსოვს ამ ფილმის სიუჟეტი: ერთ მდიდარ ოჯახში გაზრდილ გოგონას დაბადების დღეზე ღარიბმა თაყვანისმცემელმა სტუდენტმა მიართვა შვლის ნუკრი. გოგონამ შუა ქეიფის დროს შემოიტანა მწვადები და სიხარულით თქვა: ეს იმ შვლის ხორცის მწვადებია, თქვენ რომ მომართვითო. ამ სიუჟეტში, მე მგონი, კარგად ჩანან «ხორტისტები» თავიანთივე თვალთახედვით: ისინი უპირისპირდებოდნენ მეშჩანურ საზოგადოებას. მათთვის ღარიბი გახსნილი იყო სულიერებისაკენ, მდიდარი კი _ დახურული. ეს სცენარი უფულობის გამო ვერ განხორციელდა. ეკრანზე გადაიღეს, უფრო გვიან, სხვა ფილმი, რომელსაც გამოუჩნდა სპონსორი _ ანზორ ტაბატაძე, იმ დროს ფულიანი და თანაც ძალიან ხელგაშლილი ახალგაზრდა _ და უყიდა მათ ფირი. ფილმს ერქვა «ანეკდოტი ეკრანზე».

როგორც ჩანს, გურამი განსაკუთრებით დაუახლოვდა ამ ჯგუფს სწორედ იმ დღეებში. ყოველდღე, ხანდახან დღეში ორჯერაც კი, იკრიბებოდნენ ახალგაზრდები კიროვის ბაღში, ხან ერთმანეთის ბინებში: ედიშერ გიორგაძესთან _ ბელინსკის ქუჩაზე, ერლომ ახვლედიანთან _ კამოს ქუჩაზე ან ვაკეში, კუს ტბის ძირში, ჯერ კიდევ დაუმთავრებელ სახლში, რომელსაც სერგო პაპა, ერლომის მამა აგურ-აგურ აშენებდა მრავალი წლის განმავლობაში, ირაკლი რამიშვილთან _ იაკობ ნიკოლაძის ქუჩაზე და სხვ. გარდა მათთვის ჩვეული საუბრებისა, განიხილავდნენ კინოსცენარის დეტალებსაც. ამ ფილმით «ხორტისტები», თითქოს უპირისპირდებოდნენ საზოგადოების დანარჩენ ნაწილს, ყველას, ვინც ხელს შეუშლიდა მათი მიზნის განხორციელებას, და თითქოს ბრძოლაში იწვევდნენ მათ. გურამი, როგორც უკვე ვთქვი, მიწვეული იყო ამ შეხვედრებზე არა ხმის უფლებით, როგორც ერთ-ერთი მათგანი (ვთქვათ, ინტელექტუალი, შემოქმედი ან ფილოსოფოსი), რომელსაც უნდა გამოეთქვა თავისი აზრი და მონაწილეობა მიეღო კინოსცენარის დაწერასა თუ თვითონ ფილმის გადაღებაში, არამედ როგორც დამრტყმელი ძალა, როგორც ფიზიკურად ძლიერი პიროვნება. ის უნდა დახმარებოდა მათ ფილმის გატანაში.

ასე რომ, ამხანაგ-მეგობრებით გარშემორტყმული, «ცხოვრების შუაგულში მყოფი» ჩემი ძმა, სანახევროდ ხუმრობით, სანახევროდ მორიდებით და მორცხვობით, მიზეზის გაუმჟღავნებლად, რატომ, მთლიანად მიტრიალდა იმ ახალგაზრდების ჯგუფისაკენ, რომელთა ყოველდღიური ცხოვრება დაკავშირებული იყო წიგნთან, შემოქმედებასა და ფილოსოფიასთან. ეს მოხდა, როგორც ჩანს, მაშინ, როდესაც მან იგრძნო საკუთარ თავში ჯერ კიდევ ამოუფრქვეველი ვულკანის ბიძგები. მაგრამ, ვფიქრობ, გურამი მალევე მიხვდა, რომ ის იყო სრულიად უცხო ამ ბიჭებისათვის და _ შეიძლება პირველადაც კი თავის ცხოვრებაში, თავი თამაშგარეშე მდგომარეობაში

იგრძნო. ის იყო უგულებელყოფილი იმათგან, რომელთა განუყოფელ ნაწილადაც, რომელთა ტოლადაც მიიჩნევდა თავს.

მახსოვს, რაღაც ფიქრებში გართული, აღელვებული და შემართული, მართლაც, თითქოს ყალყზე შემდგარი, ბრუნდებოდა ის შინ და მალევე გადიოდა გარეთ, თითქოს ადგილს ვერ პოულობდა სახლში, გეგონება, უკვე ემზადებოდა საბრძოლველად, რაღაც უხილავ მტერთან შესაბმელად. მახსოვს, გურამის აღგზნებული სახე, დაძაბული, ღიმილიანი, კეთილი თვალები, რომლებშიც პატივისცემა გამოიხატებოდა სხვისი ვნების, არტისტულობის მიმართ. ამავე დროს, მას თითქოს ეუხერხულებოდა კიდეც თავისი შინაგანი მოწოლილი ძალის, შემოქმედებითი ენერგიის, რომელიც მალე უნდა გამოსულიყო გარეთ, მოეტოვებინა ყველა უკან და წასულიყო წინ უკანმოუხედავად.

ამონაწერები დღიურიდან:

«მეუხერხულება _ ედიშერი, ნამდვილი ხელოვანი, ის არ დარჩება როგორც მწერალი, მე კი...»

«რას არ მივცემდი, ვყოფილიყავი ერთ-ერთი, ბ.-ც კი მათი იყო. მე სხვა. ბ. უყვართ ედიშერს, ბესიკას და მე ვეჭვიანობ, მე მზად ვარ ვიყო ტუტუცი, ოღონდ იმათ დაინახონ, რომ მე ნამდვილად კეთილშობილი ვარ, რაც ტყუილია, ტყუილია იმიტომ, რომ დავიპყრობ თუ არა მათ წავალ კიდევ შორს და ვივლი მანამ, სანამ არ მივადგები ჩემს თავს მარტო, ერთი ერთზე, უცხო დამოკიდებულებების გარეშე, ხელსა ვკრავ მათ, შეიძლება ცუდიც გავაკეთო, უნდა მზად იყვნენ, ჩემი მიღება არ შეიძლება...»

(ამ თვალთახედვით, ბ._ს პროტოტიპი შეიძლება იყოს დიდი ბობა, რომელიც, მართალია, ყოფილი ქურდია, ე.ი. არც მწერალი და არც ინტელექტუალი, მაგრამ ის უყვართ, შეიძლება რაღაცით აფასებენ კიდეც «ხორტისტები» იმდენად, რომ აზრის გამოსათქმელადაც კი მიიწვიეს).

«ბესიკა გარკვეულ ანგარიშს მიწევს, როგორც ლოდს მგზავრი _ როცა ლოდი ბილიკზე გდია, ზედ ხომ არ გადაუვლი, გარშემო უნდა შემოუარო, ედიშერი ამჩნევს ამ ლოდს, იბნევა _ შემოუარო უხერხულია, უნდა შეხედო, ეშმაკმა წაიღოს, საიდან გაჩნდა ამ ბილიკზე, ვერ დაეცა კლდეზე, ტყუილა ხალხს ხელს უშლის წესიერად იარონ. და მაინც, ჩვენ ძმაკაცები ვართ, გაცილებით უკეთესები, ვიდრე სხვები, ბევრი სხვები, მე ნამდვილად მიყვარს ორივენი და ისე განვიცდი, როგორც ყველაზე ახლო ნათესავებს, უბრალოდ, მწყინს, რომ მე მათი მარტო ძმაკაცი ვარ, მე მათ არ ვამტყუნებ, მეც ასე ვუყურებ ჩემს თავს _ ზუსტად ასე...»

«ედიშერმა მითხრა ... რომ მისთვის სულ ერთი იყო, თუ რასა ვფიქრობ მასზე, მაშინ როდესაც ედიშერის აზრი არ იყო ჩემთვის სულერთი, ეს მაშინ, როცა მან მთელი საათი ილაპარაკა ძმაკაცობაზე, გაგებაზე, როცა ის თითქმის ტირილით ითხოვდა გაეგოთ მისთვის. მე მას გავუგე _ ამიტომ მიყვარს ის, ოღონდ მე მიყვარს ჩემი თავიც და ეს თავი შევიგრძენი შეურაცხყოფილი...»

ასე რომ, გურამს შეკრებებზე, სადაც მსჯელობდნენ ხელოვნებასა თუ ფილოსოფიაზე, ან, კონკრეტულად, მომავალი ფილმის შესახებ, როგორც იულონს პიესაში, არ ჰქონდა ხმის უფლება. ის მიწვეული იყო მხოლოდ გარეგნული ნიშნით (ფიზიკური ძალის გამო), ისე როგორც იულონი პიესაში _ თავისი გარეგნობის გამო.

ეს არის, ჩემი აზრით, «იულონის» გარე სიუჟეტური ხაზის წარმმართველი მნიშვნელოვანი კოლიზია.

«ხორტისტები» გამახსენდა «იულონზე» მუშაობისას სრულიად მოულოდნელად, რადგან, როგორც უკვე აღვნიშნე, უეცრად მივხვდი, რომ პიესის სიუჟეტში ჩამალულია, რა თქმა უნდა, ამოუცნობლობამდე ტრანსფორმირებული, გურამისა და ამ ჯგუფის ურთიერთდამოკიდებულების ერთი წახნაგი, რასაც თავისებური სიუჟეტური გამოხატვა ჰქონდა ცხოვრებაში. შეიძლება ითქვას ასე: ტრაგედიაში კონცენტრირებულია გურამისა და «ხორტისტების» ურთიერთდამოკიდებულების ერთი კონკრეტული ეტაპი, ან ერთი საღამო, ან სულაც რაღაც მომენტი, როდესაც გურამმა თავი იგრძნო მოედნის გარეთ. შეიძლება ვიფიქროთ, რომ სწორედ გურამსა და «ხორტისტებს» შორის არსებული ეს ურთიერთობები, რომელსაც ის განსაკუთრებით მძაფრად აღიქვამდა და, როგორც ჩანს, თვითონაც ახდენდა ამის პედალირებას, წარმოადგენდა თავისებურ ტექნიკას მისთვის «ჯარისკაცების ხიდზე გადასაყვანად» (კორესპონდენტი ჯოისს: «თქვენ ფართოდ იყენებთ ცნობიერების ნაკადს «ულისეში», რამდენად ეს ... « ჯოისი კორესპონდენტს: «ცნობიერების ნაკადი? ჰო, მგონი იყო რაღაც ამდაგვარი ... მე მჭირდებოდა ჯარისკაცების გადაყვანა მდინარის მეორე ნაპირას. მთავარია, გადაიყვანო ისინი, სულ ერთია როგორ და რით. მერე აღარ არის საინტერესო...» (იხ., აგრეთვე, გურამ რჩეულიშვილის მოთხრობები. ტომი 3. «ჩანაწერები» «ირინა და მეს» მინაწერისათვის, გვ. 449-450).

გურამს, თითქოს, მართლაც, გადაჰყავდა ჯარისკაცები ხიდზე და მერე წვავდა ამ ხიდს. ის არაჩვეულებრივი სისწრაფით, «უკანმოუხედავად» მიდიოდა წინ!

ჩემი ძმისა და «ხორტისტების» ურთიერთდამოკიდებულების ჩანაცვლება შეიძლება სხვადასხვა ურთიერთობების გახსენებით (ეს ცალკე მონოგრაფიის თემადაც კი შეიძლება იქცეს), როდესაც ის რჩებოდა, ან _ უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით _ თვითონვე იტოვებდა, ან სულაც აღიქვამდა თავს მოედნის გარეთ. მაგრამ ის სიუჟეტი, რისთვისაც გადაიყვანა მან ეს ჯარისკაცები ხიდზე, ანუ ტრაგედიის შინაგანი მოტივი, კარგად ჩანს ერლომ ახვლედიანის მიერ გურამთან მიწერილ ერთ წერილში, რომელიც ინახება არქივში (მიწერილია გურამის მოსკოვში ყოფნისას, 1958 წლის თებერვალში).

ამონაწერი ერლომის წერილიდან:

«.. რომ იცოდე, რა უხერხული ვარ, გურამ. ერლომს მარტო ერლომი თუ აიტანს. საზოგადოებაში ჩემი ყოფნა შეუძლებელია: თითქოს ცოდვა ვარ რაღაც, დანაშაული ..

რა ჩემი საქმეა, გურამ, ნორმალური ვიყო. მე ვიცი, რომ არაფრის ღირსი არა ვარ, მაგრამ რატომ არა ვარ არაფრის ღირსი, არ ვიცი. გურამ! მამაჩემიც ასეთია. მუშაობს, მუშაობს და არაფერი არ გამოსდის, ხელმოცარულია.

თავის სიცოცხლეში არაფერი ცუდი არ გაუკეთებია, არავითარი ცოდვა არ ჩაუდენია, მაგრამ მასზე ცოდვილი კაციშვილი არ არის, თითქოს მისი მთელი ცხოვრება რაღაც ცოდვის მონანიებაა, რომელიც მას არ ჩაუდენია..»

ამონაწერები პიესიდან:

გვ. 119

«გურამი: .. იქნება ეს ყველაზე მეტად შიშია, რომ არ შემიძლია რაიმეც კი გაუგებარი დავტოვო ჩემს თავში; თქვენ იცით, რომ მე მდევნის გაუთავებელი შიში რაღაცა ჩადენილი დანაშაულისათვის და მაგ შიშმა ქვეშეცნეულად მიმიყვანა იქამდე, რომ აქ იულონის გვერდით გამეყო დანაშაული და არ ვყოფილიყავი მისი მსაჯული..

როგორც ეს როლების გაყოფის დროს მოხდა. ეს .. შიშია, რომ არ შემიძლია რაიმეც კი გაუგებარი დავტოვო ჩემს თავში» (ნახე გვ.123, 130.)

ამონაწერები დღიურიდან:

«ბედნიერია ხალხი, ვისაც შეუძლია პირდაპირ ისულელოს, იმღეროს, მერე უბრალოდ დაიძინოს და ახლიდან, ვისაც იმდენად წმინდა აქვს სინდისი, რომ არ ქენჯნის.

საინტერესოა რა დავაშავე? _ ალბათ ის, რომ ასეთი აზრები მომდის _ ცოდვის _ რაც ნახევარ დანაშაულს უდრის თუ მთელზე მეტს არა.

რა მიზიდავს ამ სიბოროტეში? რა ცოდვა აქვს ჩემს სულს ასეთი, რომ ვერ ისვენებს, სად დაკარგა სიკეთის უფლება, რომ ამდენი ტანჯვა სჭირდება მისი უფლების მოსაპოვებლად. «გოგი, გოგია» შოლტით უნდა ვრეკავდე ცხენებს დღე და ღამე და ფეხით მივდევდე».

«არ არის მომენტი, როცა ადამიანს არა აქვს რაიმე სულიერი საზრუნავი მოსაწესრიგებელი თავის სინდისში».

ამ ამონაწერებში წერილიდან და დღიურებიდან და, აგრეთვე, «იულონიდან» ამოღებულ ციტატაში ნამდვილდება ისეთი სიღრმეები, რომელიც გურამს, ერლომს და სერგო პაპას, ცხოვრებაში აბსოლუტურად განსხვავებულ ადამიანებს, არსებითად აკავშირებს ერთმანეთთან. ეს, თავის მხრივ, საწინდარია, ალბათ, ზოგადად ადამიანთა ერთიანობისა, «საერთო ჭირის» არსებობისა, რაც ამოუცნობლობამდეა ჩაძირული ყოველდღიურ ცხოვრებაში.

***

1957 წლის გვიანი შემოდგომითაა დათარიღებული სხვადასხვა ჩანაწერი, რომლებიც გაერთიანებულია საერთო პაგინაციით. ამ ჩანაწერებში ჩანს გურამის დამოკიდებულება მის გვერდით მყოფი ადამიანებისადმი, რომელთა «გამოქანდაკებასაც» აპირებდა ის თავის შემოქმედებაში («.. *მე უკვე ვაქანდაკებ მას. ქანდაკებას კი შტრიხები უნდა, ძირითადი და სხვა ხარისხებისა, მთავარია დავიჭირო ძირი და ის სხვა ხარისხებით გავაკეთო! ნატურა მზად არის...*»). ჩანს, აგრეთვე, პირველი ეჭვები საკუთარი თავის, ისე როგორც ზოგადი ღირებულებების მიმართ: *«უნდა იყოს ფორმა, ყველამ იცოდეს თავისი ადგილი. ვითომ?» «რა ბედნიერი ხარ, ზიხარ და აბოლებ _ იმან რა იცის, რომ არა ვარ ბედნიერი, იმაზე მეტს მე განვიცდი. რატო, რატო, განა იმისი პატარა დარდი იგივე არ არის იმის გულისათვის, რაც ჩემი დიდი გულისათვის დიდი დარდი. თუმცა, რა გული, ეს მე მეჩვენება, ოხ, ახლა მეც ავწუწუნდი გულში, ეს წუწუნი რით ჩამორჩება მის წუწუნს», «პატივმოყვარეობა? არ სიამოვნებს ასეთი ქება, არა, ცოტა სიამოვნებს, არის თუ არა თავთან პატიოსანი!» «მერე რა, განა ერთი და იგივე არაა დიდი საქმისაგან არის გამოწვეული მისი დარდი, თუ პატარა რამისგან, თუ ადამიანი ერთნაირად განიცდის დარდის შედეგს», «ბოლოს და ბოლოს, ეს თავის დამცირება სამუშაოთი თუ უმუშევრობით რა არის? მართლა ამიტომ დარდობს თუ არა? არა _ ან ეს სიყვარული, გაგება, თავის შეცოდება. ამისთვის? არა. აბა? ის რაღაც არ იცის.»*

«გამოსაქანდაკებელ» ხალხს შორის ნახსენებია ერლომ ახვლედიანიც. როგორც უკვე ვთქვით, ამ დროისათვის გურამის მეგობრების წრეში უკვე ინტენსიურად შემოდიან სხვა ბიჭები, რომელნიც ადრე მის «ჰეი-ჰოებში» არ იღებდნენ

მონაწილეობას. გარდა მოგონებებისა, ამას მოწმობს არქივში შემონახული ჩანაწერებიც.

1956 წლის ბოლოს გურამი ბაკურიანში დაუმეგობრდა ერთ გოგონას. ეს ურთიერთობა მალევე გადაიზარდა ძლიერ სიყვარულში (ვნებაში) *(«მგონი შეყვარებული ვარ. თუმცა, როდის არა ვარ. არა, ახლა ვიცი ვინ მიყვარს. ჰო, ვიცი. ჰა? ჰო, ვიცი».* დღიურიდან) და მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ჩემი ძმის ცხოვრებაში.

მიუხედავად იმისა, რომ რ-სა და გურამის მეგობრობა თითქმის ჩემს თვალწინ დაიწყო და ჩემს თვალწინ დამთავრდა კიდეც, ძნელი იყო იმის თქმა, რა მოხდა, რატომ დასცილდნენ ისინი ერთმანეთს!

ყველაზე ბუნებრივია იფიქრო, რომ ერთს ან მეორეს, ან ორივეს ერთდროულად, გადაუყვარდათ ერთმანეთი, რასაც მოჰყვა მათი დაშორება!!

რ-მ პირად საუბარში, გურამის გარდაცვალებიდან დიდი ხნის შემდეგ, მითხრა: «არ ვიცი, უეცრად რა მოუვიდა გურამს! საერთოდ, ის იყო რბილი და საოცრად დამთმობი ყველა საკითხში. მაგრამ უეცრად დაიწყო ნამდვილი ტანჯვა ჩვენს ურთიერთობაში. ჩემი ბრალი არ იყო არაფერი, მე მაშინ ტვინი გადაკეტილი მქონდა გურამით. მახსოვს, როგორ მოუთმენლად ველოდი მოსკოვიდან მის დაბრუნებას.»

პატარ-პატარა რვეულის ფურცლებზე გაბნეულ 1957 წლის ჩანაწერებში, ისე როგორც ამ წლის ბოლო მოთხრობაში («ყველაზე ძალიან ეს ბოლო სურათი მომწონდა») ჩანს, რომ მათი დაშორების მომენტში, ჩემს ძმას განსაკუთრებით უყვარდა რ. დღიურებში დაწერილია ბევრი რამ, რაც ადასტურებს მის გრძნობას და განშორების სიმწარეს. მახსოვს, ამ სიყვარულის დასაწყისი (იხ. ტომი 3, «ირინა და მეს» კომენტარები):

თავდაპირველად, გურამმა რ. თითქოს დააკავშირა ყველაფერ იმასთან, რაც მას უყვარდა ცხოვრებაში, რისაც, ამავე დროს, თითქოს ეშინოდა და გაურბოდა კიდეც: ეს იყო ყოველდღიური, მარტივი, თბილი, გულღია, გულწრფელი ურთიერთობები. მახსოვს, ერთხელ როგორ მოახურა მას ბებოს შალი, როგორ ჩასვა სავარძელში და როგორ ეუბნებოდა, ბებო კატოს (ბებოს და, ძალიან ლამაზი ქალი) მაგონებო. გურამი იღიმებოდა, იღიმებოდა რ-ც. მერე, მახსოვს, რ. ჩვენთან სახლში რაღაცას ფუსფუსებდა, მგონი, სუფრას შლიდა. გურამი იქვე იჯდა სავარძელში და აბოლებდა ყალიონს. სადილის მერე რ-მ და დედამ ერთად აალაგეს სუფრა. მერე ჩუმად ლაპარაკობდნენ, ალბათ, გურამზე. მამა გაზეთს კითხულობდა. მეც იქვე ვიდექი და შუშაბანდის ფანჯრიდან ეზოში ვიყურებოდი. ეს იყო უხინჯო ოჯახური იდილია რ-სთან ერთად. საღამოობით მოდიოდნენ ბიჭები. გურამს ჰქონდა კრივის ხელთათმანები და იმართებოდა რინგი. რ. და მე მაყურებლები ვიყავით. გამარჯვებული ცეკვავდა ან ჩემთან ან რ-სთან. დავდიოდით კუს ტბაზე, ხან ლისის ტბაზე. ვცურავდით ტბაში ბიჭებთან ერთად, ხან ნავებით ვსეირნობდით. მახსოვს, ერთხელ როგორ ამოიყვანა რ-მ ლარსის ქუჩაზე მხარზე გადაკიდებული (როგორც მერე ხუმრობდა მამა) ძალიან ნასვამი ერლომი. გურამმა ერთხელ მითხრა, რა ვაჟკაცური მეგობრობა იცოდა რ-მ და როგორი იმედიანი იყო ყველა საკითხში. შეიძლება გურამი ამ თვისებით მას დედას ამსგავსებდა. მახსოვს, ლადო ქოქიაშვილი ახალი გარდაცვლილი იყო, რ-სთან ვიყავი სტუმრად. ის რაღაცას ამბობდა გურამზე, რას, ზუსტად არ მახსოვს. მახსოვს მხოლოდ, გამიკვირდა, რომ ასე ძალიან ახლოს იყვნენ ისინი ერთმანეთთან. რაღაც მუდმივობის, უცვლელობის განცდა მოდიოდა მათი ურთიერთობიდან, ისეთი, როგორიც თითქოს დედასა და მამას ურთიერთობიდან, თითქოს რ. ჩვენი ოჯახის წევრი გახდა. რ-ს ხელი ჰქონდა

ჩაჭიდებული გურამის ქამარზე როგორც ბოშა-ქალს («ეს მე ვასწავლეო», მითხრა ერთხელ გურამმა) და ისე დასეირნობდნენ თბილისის ქუჩებში. რ-ს უბზინავდა მხრებზე ჩამოყრილი ლამაზი, გაშლილი წაბლისფერი თმა, წითელი, სავსე ტუჩები, უბზინავდა კბილები, რაღაც უცნაურად უელავდა მრგვალი თვალები და თითქოს ყოველთვის შეფაკლული ღაწვები. განსაკუთრებით უცხოდ მეჩვენებოდა მისი მოქნილი ტანი, არაქალურად ძლიერი, ოღონდ ლამაზი კიდურებით და გაშლილი, აპრეხილი მხრებით. ამ დროის პატარ-პატარა ამბების მინაწერ დღიურებში, ისე როგორც თვითონ «ამბებში» (იხ. ტომი 2), შიგადაშიგ გაიელვებს ხოლმე რ-ს სახე, სახელი «რ.». ამავე წლის გაზაფხულზე გურამმა, როგორც დღიურში წერს, გადაწყვიტა რ-ს მოტაცება და საქმეების მოსაგვარებლად წავიდა თეთრ წყლებში. ამ მგზავრობის შესახებ დაწერილია პატარა მოთხრობაში «უღელტეხილი». გატაცების ამბავი ერთი-ორი სიტყვით მოხსენიებულია დღიურებშიც. ცხადია, ალბათ, ეს უფრო გურამის ოცნებების სფეროს მიეკუთვნებოდა (თუმცა ვინ იცის?), ისე როგორც სოფელ «რჩეულოვკას» აშენება ან ყოლა საკუთარი გემისა «გურამი», რომლის ეკიპაჟსაც საგულდაგულოდ არჩევდა ხოლმე. გურამი ისე დამაჯერებელად ლაპარაკობდა თავის გეგმებზე, რომ ძნელი იყო ეჭვი შეგპარვოდა მათი განხორციელების შესაძლებლობაში.

გურამის გვერდით ყოველთვის იგრძნობოდა არაჩვეულებრივი სიმხიარულე, თითქოს ძლიერი ტკბობა ცხოვრების სულ უმნიშვნელო დეტალებით, მაგალითად, თეთრი პერანგით, ლამაზი ვარცხნილობით, ლამაზად და მყუდროდ დალაგებული სახლით, ურთიერთობებით მეგობრებთან, არაჩვეულებრივად ხალისიანი ჩხუბითაც კი, როგორც მისი მეგობრები ყვებიან, კარგი მუსიკით, სიმღერით და სხვ. გურამი აღფრთოვანებული იყო ხოლმე მეგობრების მწერლობით, მეზობელ ლიონას უნარით ყოფილიყო ბოლომდე ლოთი, ვიღაც გოგოს უნარით ჰყვარებოდა თავისი პროფესია _ ოფიციანტობა, ვიღაცის სიძლიერით, ისე როგორც სხვისი სისუსტით. გულის სიღრმემდე განიცდიდა ადამიანის სასიცოცხლო ძალების დასუსტებას, მოხუცებულობას, დამარცხებას, გინდაც ის მტერი ყოფილიყო.

გურამი თითქოს, მართლაც, «სიცოცხლის ნიშნით» იყო დაბადებული. «მე მიფიქრია, ვინმე ასტროლოგი მისი ჰოროსკოპის შედგენისას აუცილებლად იტყოდა: იგი დაიბადა სიცოცხლის ნიშნით. სიცოცხლე ჩქეფდა მის მოძრაობაში, ნაბიჯებში, თითქმის ყოველთვის გადაქერცლილ ცხვირის კეხშიც კი,» _ ოტია პაჭკორია გურამზე.

ძალიან ძნელია გაერკვე მწერლის აზრებსა და გრძნობებში ამ პერიოდის ჩანაწერების მიხედვით, სადაც ურთიერთსაწინააღმდეგო აზრები და გრძნობები სრულიად ბუნებრივად ენაცვლება ერთმანეთს, ზოგჯერ, ერთ წინადადებაშიც კი.

აი, ზოგიერთი მათგანი:

«დამთავრდა გუშინ ყველაფერი საბოლოოდ. მე დავრჩი შეყვარებული, როგორც ყოველთვის, არა, ახლა უფრო მეტად, შეურაცხყოფილიც. _ ისევ აღარ ვუყვარვარ, მერე ვის? რ_ს!! კეთილ, ლამაზ რ_ს...»

«გეგმასავით განვახორციელე ჩვენი დაშორება ...»

«უნდა მივიდე რ-სთან, რომ ცუდად არ იფიქროს საერთოდ კაცებზე და არ დაკარგოს ყველას ნდობა. ჯობს იფიქროს, რომ იმან დამანება თავი...»

«სიძლიერე იყო ჩემი მხრიდან რ-სთან დაშორება თუ სისუსტე!»

«ყველაზე ადვილია დაშორება, როცა ძალიან გიყვარს.»

«მე ის აღარ მიყვარს ისე ახლა, სულ ორი დღის შემდეგ. როცა გულგრილად ვუყურებ საქმეს, გაცილებით ადვილია მისი შეცნობა.»

«არ მინდა არავის ნახვა.. ვღიღინებ, ტუტუცივით ვიკრიჭები, ხალხი მესალმება თუ ჩუმი სამძიმრებია.

«ნას ობმანული, ნას ლოჟიუ ოკუტალი» თან ვარჩევ კტო ოკუტალ? კტო ოკუტალ? არავინ. ე.ი. არ უხდება ეს სიმღერა ამ ხასიათს, მაინც ვმღერივარ... თან ბრაზი მომდის, კტო ობმანულ ჩემმა თავმა, ჩემი ბრალია, ის კარგი გოგოა, ყველაფერი ჩემი ბრალია.»

«.. არ მწამს მუდმივად ერთის სიყვარული, მაგრამ საერთოდ მწამს სიყვარული, თუმცა ერთი რო იყოს, მინდა. _ საშინლად ვიღლები. ე.ი. გული სავსეა სიყვარულით, ეძებს იმას, ვინც უნდა უყვარდეს _ აბა ვინ დაასწრებს! ნეტა შენ იყო ის, რ!»

«საშინლად მიკვირდა, როგორ გავხდი უცხო რ_თვის, საყვარელი გოგოსთვის, რომელსაც ჩემთან უტირია, მეც მიტირია _ როგორ გვიყვარდა ერთმანეთი! რას არ შვებოდა ის თავისი სიყვარულისათვის და, უცებ, მე უცხო ვარ მისთვის, ის კი იგივე დარჩა ჩემთვის, როგორიც იყო. თბილი, საყვარელი. დღეს მხოლოდ ერთხელ ვიგრძენი ასეთი უცხოობა _ წარმოვიდგინე ის და გულმა არაფერი არ იგრძნო, არავითარი ტკივილი. წარმოდგენაში ის მიდიოდა ქუჩაში, მივესალმე გულგრილად, ისიც მომესალმა _ სულ უცხო _ ისეთი, სანამ შეგვიყვარდებოდა ერთმანეთი _ ეს წამით! საოცარია _ მისთვის კი მტკიცედ უცხო ვარ....»

«მრჩება ტკივილი, შიში, ნდომა, ვნახო ის, ვისაც არ მოვბეზრდები, ვისაც ბრმად ვეყვარები ყოველთვის ან ვინც გამიგებს, ნეტა ყოფილიყო ის ვიღაც რ., ნეტა!»

«საშინელ ხასიათზე ვარ სიყვარულისგან. შეურაცხყოფა მიაყენა ჩემს გრძნობას, მერე ვინ? ჩემივე თავმა _ მე ვარ, როგორც ყოველთვის, ყველაფერში დამნაშავე _ ასე მწამს _ სხვა ვერაფერს დამიშავებს, ვერც მასიამოვნებს, თუ მე არ მინდა. ახლა მინდა მოვიშორო ეს სიმძიმე, არ შემიძლია.»

«უცებ გამიარა, ახლა ამაზე მომდის ბრაზი. ე.ი. არ შემძლებია სიგიჟემდე სიყვარული და ყველაფერში ასეა.» .. «ყველაფერი გავაკეთე იმისათვის, გეგმასავით, რომ დავშორებოდით ერთმანეთს ...»

«მე მწამს, რომ თუ მე არ მინდა, ისე ვერავინ ვერაფერს დამაკლებს. ვერც მასიამოვნებს, ვერც მაწყენინებს».

«ორი დღეა დავშორდით ერთმანეთს და მე უკვე ვაქანდაკებ მას, ქანდაკებას კი შტრიხები უნდა, ძირითადი და სხვა ხარისხებისა, მთავარია, დავიჭირო ძირი და ის სხვა ხარისხებით გავაკეთო! ნატურა მზად არის (Как это пошло!)»

რაღაც მომენტში, როგორც ჩანს, გურამმა დაიწყო თავის წამება, ყოყმანი, უარი ეთქვა თუ არა სიყვარულზე. თუ მათი დაშორება, მართლაც, გურამის ბრალი იყო და ჩემმა ძმამ, როგორც ზევით მოყვანილ ციტატაშია, ეს «გეგმასავით განახორციელა», მაშინ გამოდის, რომ ამ დაშორებით მან ტრავმა მიაყენა არა მარტო რ-ს, არამედ საკუთარ თავსაც. რ_სთან კავშირის გაწყვეტით ის შეგნებულად ამბობდა უარს ყველაფერზე, რაც უყვარდა. ერთხელ მას მანანა მეგრელიძისთვის უთქვამს: რ. ჩემთვის ცხოვრების სიმბოლოსავითაა. ეს დაშორება მისთვის, როგორც ჩანს, «ვადით გაუსვლელი დანაშაულის» ჩადენის, ანუ ირინას («ირინა და მეს» გმირი ქალი) მკვლელობის, ტოლფასი იყო _ «ცხოვრებაში, მადლობა ღმერთს, ყველაფერი უსისხლოდ დამთავრდა» (დღიურიდან). ისინი, უბრალოდ, უკანმოუბრუნებლად დასცილდნენ ერთმანეთს.

მაგრამ რატომ შეიქნა ეს აუცილებელი? რატომ აღმოჩნდა რ-დმი სიყვარული, თითქოს სრულიად მოულოდნელად, გზაჯვარედინზე და რას ემიჯნებოდა ჩემი ძმა, როდესაც უარს ამბობდა ამ გრძნობაზე!? მომდევნო პერიოდში დაწერილ ნაწარმოებებში გურამი თითქოს ცდილობდა გარკვეულიყო, რა მოხდა.

ჩემი აზრით, აქ მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო ორი მომენტი:

ერთი ის, რომ გურამი ცდიდა ყველას და ყველაფერს, უპირველესად კი, საკუთარ თავს, როგორც ოქროს ზოდს ან რაიმე სხვა ძვირფას მეტალს ცდიან ხოლმე ნამდვილ, ჭეშმარიტ ხარისხზე. გაძლევდა სრულ თავისუფლებას, შეგეძლო თავდაყირა დაგეყენებინა ყველაფერი, შენც თავდაყირა დამდგარიყავი და მაქსიმალურად მიჰყოლოდი გულისთქმას. თუმცა ამ საშიში თავისუფლებიდან თავის დასაღწევად მე, პირადად, უფრო მიადვილდებოდა საზოგადოებრივი აზრით მიღებული აკრძალვებისათვის (ამის მებაირაღე ჩვენს სახლში დედაჩემი იყო) თავის შეფარება.

ვფიქრობ, ჩემს ძმას ამ სიყვარულშიც, ისე როგორც ყველა სხვა შემთხვევაში, უნდოდა ამოეტივტივებინა, გამოემზეურებინა _ მსგავსად იმისა, ხევსურები რომ ამზეურებენ სკივრებს მოთხრობაში «საიდან მოვდივარ, საით მივდივარ...» _ ამოუცნობ სიღრმეებში ჩაძირული სამყარო, მზის სინათლეზე გამოეტანა ყველაფერი, და ამიტომაც შეჰქონდა დრამატული მომენტი თავიანთ ურთიერთობაში ჯერ კიდევ ბედნიერ, წყნარ დღეებში. ის, ვინც იქნებოდა მისი ტოლი და _ პირიქით, უნდა გაეძლო მასთან ერთად იმ განსაცდელისათვის, რასაც ის თვითონ უმზადებდა როგორც სხვას, ასევე საკუთარ თავს. შესაძლებელია, გურამი ფიქრობდა, რომ მხოლოდ ზედაპირის გადალახვით შეიძლება დაწყებულიყო ჭეშმარიტი ურთიერთობები და «მაქსიმალური გულწრფელობა», რისკენაც ის მიისწრაფვოდა როგორც ცხოვრებაში, ასევე შემოქმედებაში. 1957 წლის მოთხრობებისა და ამ პერიოდის დღიურებისათვის (იხ. ტომი 5.) თვალის გადევნებით, მკითხველი თავად შეძლებს მიჰყვეს პატარ-პატარა, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო მომენტებს მწერლის ცხოვრებიდან, იმ «განსაცდელებს», რომელთაგან თითოეული, თავისი ინტენსივობით, მძაფრსიუჟეტიანი ფსიქოლოგიური რომანის ამოსავალ წერტილად შეიძლება იქცეს.

«სიყვარულს აქვს სულიერი და ხორციელი მხარე. როგორ მინდა ეს ორივე ერთ ქალში იყოს გაერთიანებული. როგორ მინდა, რომ ეს ქალი შენ იყო, რ.!»

«ამ სიყვარულის შემოწმება თვითონ სიყვარულის ფასად დამიჯდა» (დღიურებიდან).

ასე მგონია, რ-ს სიყვარულმა ამ გამოცდას ვერ გაუძლო.

მეორე მომენტი, ჩემი აზრით, უშუალოდ იყო დაკავშირებული გურამის ცხოვრების ძირითად ამბავთან, იმ შინაგან წინააღმდეგობებთან, რამაც პირველად რ-სთან ურთიერთობაში იჩინა თავი (*«ხო, უცხო გავხდი ჩემი თავისთვისაც, სხვებისთვისაც. იმან ყველაზე კარგად იგრძნო ეს, რადგან ყველაზე ახლოს იყო. ხო, უცხო ვარ! ის კი არ არის უცხო.»)*

ზოგადად, მოგონებებზე, დღიურებსა და მწერლის მხატვრულ შემოქმედებაზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ 1957 წლის ბოლოსათვის გურამმა უეცრად იგრძნო, რომ საჭირო იყო მისთვის ყველა ურთიერთობის მწვავე ფაზაში გადაყვანა. რისთვის?

«ის რაღაც რა არის, ჯერ არ ვიცი.»

«ეს ჩემი თვისებაა ყველაფერში: ჯერ გაურკვეველია ჩემთვის რით, მაგრამ მე მით ვივსები, დავრბივარ, დავხტივარ და მხოლოდ მერე ვხვდები, რა არის ეს» (ამონაწერები დღიურებიდან).

მართლაც, რაღაც პერიოდში გურამი უკიდურესობამდე ამწვავებდა ურთიერთობებს და ეს არ ეხებოდა მხოლოდ «ხორტისტებს». ის ყველგან, ყველა საკითხში, ყველა ურთიერთობაში თითქოს ცდილობდა მოეხსნა კომფორტული მდგომარეობა საკუთარი თავისთვის: ოჯახში, ამხანაგ-მეგობრებთან დამოკიდებულებაში, გოგონასთან, რომელიც მას მაშინ უყვარდა, საკუთარ სხეულში (*«ჩემი სხეული არ არის ბოროტი, ზედმეტი ბიცეპსების გარეშე ..» «ეს სიბოროტე ჩემს სხეულში მე გარედან შემაქვს..»)* და სხვ. «ალბათ, სასაცილოა ამის აღნიშვნა, _ წერს დედა თავის დღიურში, _ მაგრამ გურამთან ყველაფერი პრობლემად იქცევა ხოლმე». ის წერდა ამ შემთხვევაში ბანაობაზე, ჩვეულებრივ შხაპის მიღებაზე. სხვა შემთხვევაში ეს შეიძლება ყოფილიყო სულ ელემენტარული დილის ვარჯიში, ბურთის აკენწვლა, ჟონგლიორობა, რითაც ის ერთხანობას იყო გატაცებული, ჭამა, ძილი და სხვ.

ამონაწერი 1958 წლის დღიურიდან:

« ..მარტო ვარ სახლში. პირველად დილით გადავწყვიტე მიმეღო შხაპი, არაჩვეულებრივად მესიამოვნა. ჩავიცვი თეთრი პერანგი. ყველაფერი ჯანსაღია, ბაბუაც კი უფრო კარგად მეჩვენება. წინათ (იგულისხმება 1957 წელი _ მ. რჩ.), როცა ვინმე ასე იქცეოდა, დავცინოდი, როცა ამით ვინმე კმაყოფილებას იღებდა, მე ათას დამამცირებელ სახელს ვუგონებდი გულში თუ ისე. ახლა მე თვითონ მსიამოვნებს. საკვირველია, ბევრი ძალა დამიჯდა, რომ ამ უბრალო სიამოვნების ღირსი გამეხადა თავი, მთელი ხუთი წელი ვიბრძოდი ყველა წვრილმანობაზე მაღლა დავმდგარიყავი და მხოლოდ ამ მაღლა დადგომის შემდეგ გამეკეთებინა ის, რასაც ყველა კაცი აკეთებს ყოველდღე სრული დარწმუნებით, რომ ის ღირსია. მე კი რამდენი წვალება მჭირდება ყველაფერზე, სულ უბრალო რამეზე _ თუნდაც, სიმხიარულეზე ან გოგოს მოჩანგვლაზე _ .. მე რაიმე კარგი, დიდი უნდა გავაკეთო ჩემს თავთან, რომ იმ მეორის ღირსი გავხდე, უფლება მოვიპოვო .. ღმერთო ჩემო, რა ადვილად ახერხებს ამას უმეტესობა და რა ძნელად ეძლევათ ეს სხვებს .. ან მე, რომელშიც გიჟივით იბრძვიან სული და ხორცი და საკმარისია, ერთ-ერთი იწყებდეს ძლევას, მეორე წარმოუდგენელ ხმაურსა ტეხავს. ინდომებს სმას, სიგიჟეს, ჩხუბს ან, პირიქით, წიგნებს, მარტო ყოფნას, საუბარს პატიოსნებაზე და მხოლოდ ერთის ნაწილობრივი გამარჯვების შემდეგ ეძლევა მეორეს თავისუფლება მისცეს თავი მოქმედებას...».

«გურამი ხშირად გამაღიზიანებელი იყო». ამას ბევრი აღნიშნავს ხოლმე ჩემთან პირადი საუბრისას. გურამის ეს თვისება ჩანს ამ ტრაგედიაშიც *(«რატომ იცინი არ გვესმის, იქნება გინდა გაგვაღიზიანო, როგორც ეს მე გავაკეთე»,* ან კიდევ *«იულონ, გეყოფა ხალხის გაღიზიანება»* და სხვ.).

ამონაწერი «იულონიდან»:

«сейчас я хотел только поддразнить вас, чтоб скрыть мое физическое волнение необусловленное, бесформенно страшное _ скрыть от самого себя.»

რა იყო ამ გამაღიზიანებლობის უკან? რა იყო ის *«необусловленное, бесформенно страшное»*, რაც ისეთ მღელვარებას იწვევდა მასში, რომ საკუთარ თავსაც კი

უმალავდა? და, ძაგანიას კვალდაკვალ, თითქოს ეშინოდა კიდეც გარეთ არ გამოსულყო «ის» და «ყველაფერი» (რა «ის»? რა «ყველაფერი»?) ცხადი არ გამხდარიყო. რატომ, რისთვის იყო საჭირო მუდმივად სიყვარულზე, სიმშვიდეზე მეოცნებე ჩემი ძმისათვის *(«მე ხომ მარტო ის მინდა, ვიცხოვრო წყნარად, მშვიდად..»)* ასეთი დრამატიზება, დაძაბვა სიტუაციების, სრულიად ბუნებრივი, ჩვეულებრივი ურთიერთობების?!

აქ შეიძლება გავიხსენო მოსკოვიდან ჩამოსული ახალგაზრდა რუსი პოეტი მიხაილ გრობმანი, რომელიც გურამმა, თუ არა ვცდები, ანზორ სალუქვაძისაგან გაიცნო. თბილისში ყოფნისას ის აღტაცებული დაჰყვებოდა ჩემს ძმას ყველგან. რუსეთიდან მან მალევე გამოუგზავნა გურამს პირველი წერილი:

«2 Февраля. 1959 года.
Харьков.

.....Ты, наверно, уже сидишь посреди 4-х стен и работаешь. Бог в помощь, хотя не могу тебя представить смиренно трудящимся в келье. А, впрочем, представляю и при этом вижу твою клубящуюся ауру:
Золотое сияние сконцетрировалось в молнии, голубое зарешечено розовыми линиями и еще миллиарды неуловимых оттенков, колеров и все это непрерывно всплывает и взрывается, а поверх всего непроницаемая оболочка спокойствия, символ сути .
Вот видишь, Гурам, я превратился в ясновидящего. .....
Твой Мишель ათონელი.»

არქივში შემონახულია გრობმანის სხვა წერილებიც. ამ წერილებიდან ჩანს, რომ რუს პოეტს განსაკუთრებით მოეწონა, უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვი, შეუყვარდა გურამი.
ჩემი ძმის გარდაცვალების შემდეგ მივიღეთ მიხაილ გრობმანის წერილი გურამის სახელზე. ცხადია, ამ წერილის ავტორმა არ იცოდა, რომ ადრესატი თითქმის უკვე ერთი წლის გარდაცვლილი იყო.

ამონაწერი წერილიდან:
«2 апреля. 1961.
Гурам!
сейчас я нашел письмо свое к тебе полуторалетней давности. Письмо неотправленное.
И решил, что лучше будет, если ты его все же прочитаешь.
Миша Гробман.

Октябрь. Москва. 1959 г.
Когда с самолета нам сбросили письма и среди них оказалось и твое, я как дурак от радости прыгал вокруг костра, я ведь не знал, что твое послание надо было тут же бросить в огонь. Да, когда я его распечатал, я не пропустил ни одного слова, я разбирал каждый штрих, и все надеялся, что вот сейчас все это обернется пусть нелепой, но все таки шуткой. Этого не случилось. Я не хочу оправдываться, но я хочу, чтобы ты знал,

что я тебя любил и верил тебе. Можешь считать, что твое письмо достигло цели (это мое признание, очевидно, принесет тебе необыкновенное удовольствие) после того странного и бессмысленного бреда, которого я от тебя получил. Мне было очень тяжело, тем более, что я верил в тебя так, как мало приходится в кого либо верить. Может быть, я был немного легкомысленен, но это едва ли может служить поводом к каким то странным обвинениям и оскорблениям. Я всегда был честен по отношению к тебе, ты этим, как выяснилось, похвастать не можешь.

Прощай, Гурам.
М.Гробман.»

ჩემთვის უცნობია რა გააკეთა, ან რა მისწერა ისეთი მიშა გრობმანს გურამმა (რომლის მოყვარული, ფაქიზი ბუნება ბევრი ახლობლისათვის იყო ცნობილი), ასე რომ ატკინა გული და სამუდამოდ გაანაწყენა მასზე შეყვარებული ადამიანი!

ამ ამბის გაგება, ვფიქრობ, შეიძლება მხოლოდ ჩემი ძმის მთლიანი ცხოვრება-შემოქმედების ფონზე იმ ფაქტების გახსენებით, როდესაც ის ცდილობდა თავიდან აეცილებინა მისი პიროვნების მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება (იხ. ტომი 3, «შაშას რევოლუციის» კომენტარები) და, როგორც დედა წერს მოგონებებში, «გეგონება ეშინოდა კიდეც, რომ ვინმეს უფრო კარგი არ გონებოდა ის, ვიდრე სინამდვილეში იყო». გურამი თითქოს, როგორც ამ ტრაგედიაშია, უფრო ადვილად იტანდა ძაგებას, მისი პიროვნების შეურაცხყოფას, _ ტრიალდებოდა და უხმოდ ტოვებდა მოედანს, _ ვიდრე ქებას *(«შენ რა, არ გეშინია პატიოსანი კაცის სახელის? სულხანი არის პატიოსანი კაცი» «.. მე ეგ ცუდი კაცის სახელი მსიამოვნებს, უფრო მეტიც, მე ეგ მამართლებს, ეგ ამართლებს ჩემს ახლანდელ მდგომარეობას»* _ «იულონიდან»). თუმცა ისიც მახსოვს: პატარა ბავშვივით უხაროდა, მასში უთქმელად და შეუქებლად რომ ამოიცნობდნენ კარგ, კეთილ გურამს, როგორიც სინამდვილეში იყო, და ძალიან სტკიოდა გული, როდესაც შეურაცხყოფას აყენებდნენ.

ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ რაღაც მნიშვნელოვანი ხდებოდა ჩვენს გვერდით. ამას უთქმელად ვგრძნობდით ოჯახის თითოეული წევრი. როგორც კი გაისმოდა სადარბაზოს მექანიკური ზარის გადატრიალების ხმა, თუ ის ეკუთვნოდა გურამს, ამას მაშინვე ვხვდებოდით შეუცდომლად, იმწუთშივე იმუხტებოდა ყველაფერი. თითქოს რაღაცნაირად ჩვენც ვებმებოდით ამ «უფლება არა გაქვს» სიტუაციაში. გურამი თითქოს ვეღარ ეტეოდა ჩვეულებრივ ურთიერთობებში. შვილზე შეყვარებული დედა თითქმის სასოწარკვეთილი წერს დღიურში: «რა ემართება გურამს, ის, თითქოს, თანდათან კარგავს ადამიანობას.»

გურამი მთელი სტუდენტობა ღელავდა დედაზე, დარდობდა დედას სუსტ გულზე და ეშინოდა, რომ ის ვერ გაუძლებდა მის გაუთავებელ აყალმაყალებს, გავარდნა-გამოვარდნებს. საყვედურით მეუბნებოდა, რომ უფრო ხშირად უნდა ვყოფილიყავი სახლში როგორც გოგო, და მეტი ანგარიში გამეწია დედასათვის, რომლის მთელი ცხოვრება მხოლოდ ოჯახთან იყო დაკავშირებული. თვითონ, თუმცა თითქმის ყოველთვის ატყობინებდა დედას სად იყო და როდის მოვიდოდა, ვერ აეძულებინა თავი, მოქცეულიყო ისე, როგორც მას გაუხარდებოდა. ამას მოწმობს დედას მოგონებებიც, მისივე თქმით, ხშირად თვალცრემლიანი რომ წერდა ხოლმე, გურამის დღიურები და განსაკუთრებით კი გაგრიდან დედასთან მოწერილი ბოლო წერილი და გაგრაშივე დაწერილი დედასადმი მიძღვნილი ბოლო ლექსი. ჩემი ძმის გარდაცვალების შემდეგ ჩემთვის პირველი ელდა იყო, რომ დედა გადარჩა და რომ ის

ჩვეული ძალისხმევით აგრძელებდა ოჯახის მოვლა-პატრონობას. და, მაინც, მთელი ჩემი ცხოვრება ჩემი ძმის გარდაცვალების შემდეგ მიდიოდა დედას გადარჩენის ნიშნით. გარდა ჩემი ნებისა, ეს იყო თითქოს გურამის ანდერძიც.

მახსოვს წამიერი შეგრძნება ჩემი ძმის დაკრძალვიდან ძალიან მალე: მივიღე შხაპი, მოვიცვი თეთრი ღუნღულა ხალათი, რომელიც სწორედ იმ დღეებში ჩვენმა ერთ-ერთმა ნათესავმა მაჩუქა, ალბათ, თანაგრძნობისა და სიყვარულის ნიშნად, და შევწექი ახლად გამოცვლილ ლოგინში. არაჩვეულებრივად კომფორტული, მყუდრო და მშვიდი ჩანდა ყველაფერი ჩემს გარშემო. დამეუფლა რაღაც უცნაური შეგრძნება ნებივრობის, თავისუფლების (რაც გინდა გააკეთე, როგორიც გინდა იყავი, ვინ არის განმკითხავი!) და მაშინვე გამახსენდა ზამზას და (კაფკას «მეტამორფოზებიდან»), ძმის გარდაცვალების შემდეგ მშვიდად რომ აგავა აქანდაზზე ის, რაც დარჩენილი იყო მისგან, ჩააგდო ნაგვის ყუთში და საღამოს, დედასა და მამასთან ერთად ხელგაყრილი, წავიდა კინოში ფილმის სანახავად.

გურამ რჩეულიშვილის ცხოვრება-შემოქმედების მთლიანი და, ამავე დროს, ეტაპური გააზრებისას, მხატვრულ ნაწარმოებებში, მკითხველის თვალწინ, ცხოვრების წამლეკავ ნიაღვრებში, «ჰეი-ჰოებში», თითქოს სრულიად მოულოდნელად, კუნძულებივით ამოიმართება ხოლმე რაღაც მომენტები, რომლებიც სიტყვაში გამკვრივებული გავარვარებული ვულკანის ლავასავით, რჩება როგორც ხილული ფაქტი, როგორც მტკიცება იმ სამყაროსი, უხილავ სიღრმეებში რომ არის ჩაძირული.

1957 წელს ამგვარი ფაქტი უნდა ყოფილიყო გურამის სულიერი გამოცდილება უფლისციხეში, რასაც მოწმობს პატარა მოთხრობა «უსახელო უფლისციხელი», იქვე, უფლისციხეშივე, რომ დაიწერა (იხ. შენიშვნები «უსახელო უფლისციხელისათვის», ტომი 2, გვ. 395-396). იმ დღეს, 4 ივლისს (გურამის დაბადების დღე), ვფიქრობ, ისეთი რაღაც შემოიჭრა ჩემი ძმის ცხოვრებაში, რამაც სულ სხვა სიღრმეებში საოცარი ძალით და სისწრაფით დაატრიალა და თავდაყირა დააყენა მისი სულიერი სამყარო: საშიში უფსკრულის პირას, ხრიოკსა და უდაბნოში, როდესაც მზე სულ უფრო და უფრო აჭერდა, როდესაც ხან ღმუოდა ქარი, ხან სისინებდა და ქვიშას აყრიდა დაღლილ თვალებში, რაღაც წამს, შეიძლება პირველადაც კი, დაეუფლა მას გარკვეული სულიერი განწყობა. ის «გაბრუებული», «ბანცალით» Eშევიდა ქვაბებში, დახუჭა თვალები და, თვალებდახუჭულს, მას თითქოს გაეხსნა შინაგანი ხედვა. მოულოდნელად ის პირისპირ აღმოჩნდა იმ «რაღაცის» წინაშე, რასაც ამაოდ ეძიებდა («ძაგანიას «რაღაც» რა არის, ჯერ მე თვითონ უნდა გავარკვიო»), შემოქმედებითი მოღვაწეობის დასაწყისიდანვე, როცა მასში ძლიერად იფეთქა «შიშველი» სიყვარულის გრძნობამ (იხ. 1956 წლის 21 მარტის დღიური). მაშინ, თავისი სიმხურვალით, სიყვარულის ეს გრძნობა გურამმა შეადარა ცეცხლს, მოგიზგიზე კოცონს, რომელიც ისეთი სიძლიერით დაინთო მის გულში, რომ მისი უგულებელყოფა არ გამოდიოდა. სიყვარულის ცეცხლი თანდათანობით გადაეცემოდა უკლებლივ ყველა ნაწარმოების გმირს და ქმნიდა მწერლის შემოქმედების საფუძველს *(«ყველა ნაწარმოების თემა არის სიყვარული».* «იულონიდან»).

«იულონის» ბოლო მონოლოგი:

«აი, მე, გურამი, ვდგავარ თქვენს წინ, ნამდვილი გურამი, რომელსაც უყვარხართ თქვენ *სიყვარულთა შორის ყველაზე დიდი სიყვარულით, სიყვარულით ყველაფრისადმი, არტისტული სიყვარულით, რომლის შეგრძნება ღმერთობამდე ადის. ის არის ყველაფრის მპატიებელი, ყველაფრის გამგები. მე ვშლი ისევ ხელებს, მომანათეთ ნათურები, ჩემი ჩრდილი ეცემა უკან ფარდას და ადის ჭერამდე, უფრო მაღლაც, მე უფრო ვშლი ხელებს აშკარა, გულუბრყვილო არტისტულობით და მზადა ვარ ჩავიტიო ჩემი გმირებიც, თქვენც, ჩემი თავიც და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მე არტისტი ვარ, როგორ უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ, სცენაზე, მხოლოდ აქ დგომის დროს, ყველაზე გულწრფელი ადამიანი, მოკლებული ყოველგვარ წვრილმანს, საყოფაცხოვრებოს.*

ჩემი ხელები, ჩემი ჩრდილი იშლება სულ უფრო და უფრო დიდად, ის იტევს ყველაფერს და იხსნება მასში. მე ვიცი, რა არის უდიდესი ყველა გრძნობათა შორის, ეს იცოდით თქვენც, და ამიტომ მოხვედით თეატრში:

აი, ჩემი აქ დგომის მაქსიმუმი: სცენაზე ყოფნა ეს არის უდიდესი სიყვარული!»

ვფიქრობ, გურამის «უცხოობის» შეგრძნება, რამაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, პირველად რ_თან ურთიერთობაში იჩინა თავი, უპირველესად, უფლისციხის გამოცდილებასთან უნდა იყოს დაკავშირებული. ეს იყო თითქოს მწერლის სულიერი ბიოგრაფიის დასაწყისი, როდესაც მხოლოდ იკვეთებოდა იმ სერიოზული კოლიზიების კონტურები, რომელთაც სულ მალე უნდა წარემართათ მწერლის ცხოვრება-შემოქმედების სიღრმისეული სამყარო და თითქოს გაეწმინდათ, მოემზადებინათ გზა _ «საით»?

«გურამმა სერიოზულად რომ დაიწყო ფიქრი, მერე შეტრიალდა ტრაგიკულად მისი ცხოვრება. ჩასაფრებულია ტრაგედია ცხოვრებაში» (ბესიკ ადეიშვილი).

გურამის იმდროინდელი ზოგადი განწყობისათვის მკითხველს შეუძლია მიადევნოს თვალი 1957 წლის მოთხრობებს, დღიურებს (იხ. ტომი 5.) და, ასევე, წლის ბოლოს დაწერილი დაუმთავრებელი პიესის სხვადასახვა პასაჟებს (იხ. აქვე, შენიშვნებში «მარინასათვის»).

თურმე ერთხელ გურამი თავის მეგობარ გოგონასთან ერთად თემო ჯაფარიძესთან იყო სტუმრად. ამ გოგონას გადმოცემით, გურამი მივიდა მაგიდასთან, მერე ზუსტად არ მახსოვსო, მითხრა მან, ხელში აიღო ფურცლები და წაიკითხა თუ ზეპირად თქვა: «ქრისტე აწამეს, მერე იწამეს». დამახსომდა მხოლოდ იმიტომ, რომ იმ დღის მერე ამ სიტყვებს ხშირად იმეორებდა ხოლმეო. როგორც არქივზე მუშაობისას გაირკვა, ეს სიტყვები ამ დაუმთავრებელი პიესის ერთ-ერთი მონოლოგის ლაიტმოტივი იყო.

წლის ბოლოს თითქოს ყველაფერმა მიაღწია კულმინაციას და გურამი 1958 წლის 23 იანვარს, ბევრისათვის სრულიად მოულოდნელად, რამდენიმე თვით გაემგზავრა მოსკოვში. დედასა და მამას დაყოლიებას, ახსნას, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო ეს მისთვის, საკმაო დრო დასჭირდა. დედა დათანხმდა მხოლოდ იმ პირობით, რომ გურამი მოსკოვში დაწერდა დიპლომს შუა საუკუნეების ისტორიაში, რადგან თბილისში, მართლაც, ამხანაგ-მეგობრებით გარშემორტყმული, ძნელად ახერხებდა მუშაობას.

ამონაწერი დღიურიდან:

«მივდივარ ოცდასამში.

მიმყვება ჩაგუბებული ბრაზი საქართველოზე, ალბათ, ცოტა სიყვარულიც. არ შეიძლება მთლიანად გძულდეს უძლური... მიდის ბოლო დღეები. განსაკუთრებით მიჭირს ყველა ხაზის დაწერა ან რამის გაკეთება...»

ეს იყო ჩემი ძმის ახალი ცხოვრების დასაწყისი.

რ-სთან კავშირის გაწყვეტით გურამი თითქოს უარს ამბობდა პირადულზე, პირად სიამოვნებაზე და, ალბათ, საერთოდაც, ჩვეულებრივ, ყოველდღიურ ურთიერთობებზე, რათა მთლიანად მისცემოდა ხელოვნებას. ცხოვრებისა და ხელოვნების შეთავსება აღმოჩნდა მისთვის სრულიად შეუძლებელი (პერიფრაზი დღიურიდან). ეს ეტაპი მთლიანად აისახა «ირინა და მეში».

1958 წლის ნოემბერ-დეკემბრისათვის («იულონის» წერის პერიოდი) გურამი კარგა ხნის ჩამოსული იყო მოსკოვიდან და, როგორც არქივის კვლევისას გაირკვა, უკვე დაწერილი ჰქონდა «შაშას რევოლუცია». მკითხველს გავახსენებ, რომ ამ ნაწარმოებში სინანულდაუფლებული მწერლის ალტერ ეგო პირველად დაჯდა მსაჯულის სკამზე და პირველად გაიაზრა თავისი ცხოვრების გზა როგორც გაუკუღმართებული: შეურაცხყოფით, შურისძიებითა და პატივმოყვარეობით შეპყრობილმა, მთელი ცხოვრება მოანდომა მეზობლის, თურმე მხოლოდ თავისი «საკუბოვე ოთახის» ხელში ჩაგდებას. ამ ვნებას დაუმორჩილა მან სხვა ყველაფერი: მრუშობდა, არ შეიწყალა ქვრივ-ობოლი, გული მზაკვრობით, შურით ჰქონდა სავსე, პირი კი თაფლით, ვითომ ქრისტიანული სიყვარულით. დაივიწყა გვერდით მყოფი ადამიანი, საკუთარი თავი, რომელსაც მთლიანად აკლდა მისი სიყვარული. «იულონის» წერის პროცესში იწერებოდა ნოემბრის დღიური, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია მწერლის ცხოვრება-შემოქმედების გააზრებისათვის. აი, რამდენიმე ამონაწერი ამ დღიურიდან:

« ..ამ სტრიქონების დამწერი იმყოფება საშინელ დაბნეულობაში, უფრო სწორად, გაურკვევლობასა და ბურუსში. ეს ყველაფერი გამოიწვია სულ რამდენიმე ხნის წინათ მის გონებაში შეჭრილმა არაჩვეულებრივმა სიცხადემ, თითქმის ფიზიკურმა შეგრძნებამ, რომ მან გაიგო ის არსი, რისთვისაც ცხოვრობს, რომ მან დაინახა გზა, რომელსაც უნდა მიჰყვეს და უცებ, ყველაფერი გახდა ისეთი მარტივი, მშვიდი, ადვილი, რომ მას შეზარა, შეზარა ამ უკიდურესობამდე სიადვილემ _ იყო ბედნიერი და კმაყოფილი, გიყვარდეს ყველა და დაკარგო ვნებები, სურვილები და იგრძნო თუ არა ყველაფერი ეს, შეგრძნება გადაიქცა ცოდნად, ხოლო თვითონ გაქრა. გრძნობებმა გამოჟონეს შიგნიდან, გამოვიდნენ, გაიფანტნენ, დაიბნენ..»

«ჩემი მიზანი ხომ მარტო ის არის, ვიცხოვრო სავსეთ და კარგად ..».

«საკმარისია მე დავკარგო შიშის გრძნობა, რომ შევურიგდე, შევურიგდე იმას, რისთვისაც დიდი ხანია ვემზადები _ ეს არის უმაღლეს ძალად სულის აღიარება და ეს ტენდენცია ძალიან ძლიერია ჩემში. მახსოვს, ვაკის სტადიონზე მივდიოდი მარტო, ცხოვრებაზე ფიქრით, რაღაცნაირი შეგრძნებით, რომელიც არასოდეს არ მტოვებს: რომ მე უნდა ვიცხოვრო მარტო ბერივით და იქ ვიგრძნო უდიდესი სიამოვნება..»

«..მაგრამ შენ უკვე ჭკუა ისწავლე _ ჩალის გემო საბოლოოდ გაიგე; რომელი ჩალის? ჩალა რამდენიც გინდა იმდენია აქ, ამ ქვეყანაში, შორიდან კი მზე ანათებს დიდი, ბრჭყვიალა, თბილი, მიმზიდველი და მზემდე სწორი გზა მოჩანს. აი, მიზანი, აი, იქით ღირს გაქანება, რადგან მზე შენ ზურგზე არაა დამაგრებული და იქამდე

შეიძლება მისვლა _ მთავარი განზრახვაა, თორემ მისვლით, მიხვალ. მერე რამდენად მიმზიდველია ასეთი მიზანი, წინ, სწორ გზაზე _ დედამიწა უკვე იცი, რომ მრგვალია, იქ კი _ მეტი ფიქრი საჭირო აღარაა _ მიზანი ჩანს, გაიქეცი იქითკენ, გავარდი, გაფრინდი და ჩემს რჩევას ყურს ნუ დაუგდებ _ არ შეიტრუსო ისე, როგორც სანთლისაკენ მიმფრინავი პეპელა, რომლისთვისაც რა იცი შენ, რომ სანთელი მზე არ არის და კიდე რა იცი შენ, რომ მისი მიზანი, როცა სანთლისაკენ მიფრინავს, სწორედ ფრთების შეტრუსვა ან საერთოდ მასში დაწვა არ არის. მაშ ასე, კარგ გზას გისურვებ! თუმცა რჩევებს ყურს ნუ დაუგდებ. გინდა დაუგდო, შენ უკვე იცი, რა ტკბილია მიზნისაკენ სირბილში დაწვა _ აქ ახლა ერლომი მოვიდა ფრთების შესატრუსად.»

თუმცა ამ დროისათვის მწერლისათვის უკვე ბევრი რამ იყო ნათელი, თითქოს გამოჩნდა კიდეც გზა, რომელსაც უნდა მიჰყოლოდა (ვფიქრობ, ამას უნდა მოწმობდეს ზემოთ მოყვანილი ამონაწერებიც 1958 წლის ნოემბრის დღიურიდან, «შაშას რევოლუცია» და სხვა ნაწარმოებები), მაგრამ ზევით მოყვანილი დღიურის წერის პროცესშივე, როგორც ჩანს, უეცრად, ყველაფერი გადაიქცა მისთვის ცივ ცოდნად და შეგრძნება კი გაქრა (მწერლის სიტყვების პერიფრაზი ამავე დღიურიდან).

პირისპირ შეხვედრა იმასთან, რაც გონებით უკვე მოაზრებული იყო და წინ წასვლა, «იქითის იქით», გურამისათვის, როგორც ყოველთვის, თითქოს შესაძლებელი ხდებოდა მხოლოდ დაბადებისას ისეთი ბუნდოვანების, «რომლის თითოეული ნაწილი სინათლით სუნთქავდა» (გურამის სიტყვების პერიფრაზი).

გურამი შეიკეტა სახლში და დაიწყო «ტრაგედია პირველის» წერა. ლომბერის მაგიდასთან მჯდარმა მწერალმა დროებით ახადა «ფარდა» საკუთარ თავს, რათა გარეთ გამოეტანა ის, რაც ამ ფარდის მიღმა ხდებოდა.

* * *

«...ახლა, ჩემი ოთახი, სადაც მე უკვე შეგნებული, დაწყნარებული გარეგნულად და გატაცებული მხოლოდ შემოქმედებით, აღელვებით ვმუშაობ, აღარ არის სამყოფელი დაბერილკუნთებიანი, მაგიური სუპერმენებისა, უსწორმასწოროდ მიყრილი წიგნების, არყის ბოთლების, პაპიროსის ნამწვების. იქ სუფევს სისუფთავე, აღტკინება, დროებითი შეჩერება, გარკვეული გარეგნული კომპრომისი ცხოვრების აუცილებლობებთან, რაც უზარმაზარ ბიძგს აძლევს სუფთა ლიტერატურულ მუშაობას, განტვირთავს მას, გზას უხსნის ცხოვრებას მისკენ და, პირიქით, ლიტერატურას ცხოვრებისკენ, აქ, ნაცვლად პატარ-პატარა კენჭებიანი მორევების, რომელიც კაცს ძალას აცლის, სუფევს უზარმაზარი, ერთი მთლიანი მორევი, უკიდურესად არეული და თავისი პრინციპით შეგნებულად კანონზომიერი, რომელიც შეუჩერებლივ, დაუსრულებლივ ელის თავის ფორმას, ლიტ. ფორმას, თუნდაც ის ისევ ის დიდი მორევი იყოს...» (1959 წელს «ირინა და მეს» «მინაწერისათვის» გაკეთებული ჩანაწერებიდან. ტომი 3.)

«იულონის» დახურული სივრცე (*«გრძელი, ორკესტრის სიგრძეზე გაჭიმული ცარიელი, პატარა სიღრმის ოთახი, რომელიც მხოლოდ ჭერში დაკიდებული ნათურით ნათდება»*) ადვილად ასოცირდება ჩემთვის შუშაბანდიდან შემოსული შუქით განათებულ პატარა უფანჯრო ოთახთან, სადაც ეს ტრაგედია იწერებოდა. გარდა ჩემი მოგონებებისა, ზევით მოყვანილ ამონაწერიდანაც ჩანს, რომ იმ დროისათვის გურამის სამუშაო მაგიდის წინა კედელზე აღარ ეკიდა სურათები, რის

შესახებაც 1957 წლის პატარა ჩანახატში წერდა (იხ. ტომი 2). წაშლილი იყო კოკა იგნატოვის მიერ კედელზე გამოსახული ფრესკებიც.

როგორც მწერლის 1958 წლის ნოემბრის დღიური მოწმობს, ამ დროისათვის მან უკვე იცოდა, რომ «მრგვალი დედამიწის» გეოგრაფიული სივრცეების დაფარვას, «ცხრა მთისა და ცხრა ზღვის გადალახვას» (ზღაპრებიდან) არა ჰქონდა არავითარი აზრი, რადგან რასაც ეძიებ, თუ ვერ იპოვი იქ, სადაც დგახარ, მაშინ იმას ვერ იპოვი ვერსად, სულ შეუსვენებლივ რომ ირბინო დღედაღამ, მაინც (მწერლის დღიურიდან. ვფიქრობ, ქვესათაურში _ «იულონისა და სხვა ცხრა ბიჭის ტრაგედია..» რიცხვი «ცხრა» არ უნდა იყოს შემთხვევითი). ეს ოთახი მწერლისათვის გადაიქცა სამყაროს ცენტრად, იმ «სხვა ადგილად», სადაც უნდა გარკვეულიყო ყველაფერი.

შემოქმედებითი ექსტაზის დროს, სერიოზულ-სახუმარო სიტუაციებში, შესაძლებელია, თავდაპირველად, მწერლისთვისაც მოულოდნელად, დაიწყო წინასწარგანსაზღვრულ ფორმათა რღვევა, ნიღბების ჩამოხსნა, რაც თითქოს საშუალებას არ აძლევდა მას ერთ აზრში, ერთ განცდაში ჩამყუდროებულიყო. ირყეოდა, იშლებოდა ყველაფერი. თავაწყვეტილი მიედინებოდა ვნებად ქცეული გონება. იქმნებოდა რაღაცნაირი ჰაერი, აურა და თითქოს ჯადოსნური ჯოხის დაქნევით მარტივი, შემოსაზღვრული, ჩახუთული სივრცე გადაიქცა კარნავალურ მოედნად, გარდაქმნების დაუსრულებელი შესაძლებლობებით. ამ «ადგილის» გაფართოება მივიდა იქამდე, რომ, საბოლოოდ, მოიხსნა ყველანაირი ბარიერი. თავდაპირველად, წაიშალა საზღვარი ორ სცენას შორის, შემდეგ საზღვარი დიდ სცენასა, მკითხველ-მაყურებელსა და სხვადასხვა ადამიანს, სხვადასხვა ჟანრს შორის. «ტრაგედია პირველში» ერთდროულად თამაშდებოდა ანტიკური ტრაგედია, ფარსი, ინტელექტუალური დრამა, იდეების დრამა; გვირგვინი ეხდებოდა თვითონ ესთეტიკური ფენომენის _ «ტრაგედიის» პირობითობას, ტრაგიკულ კოლიზიას: ფარულ შურისძიების მოტივს, მკვლელობას... თავისი კვანძის შეკვრით, კულმინაციით და კვანძის გახსნით. «ნამდვილი წარმოდგენა» _ სუფთა ჟანრი, ოდნავ პაროდირებული გადავიდა დიდი პიესის ქაოსში, დაუმთავრებლობაში, «არალიტერატურულ ხმაურში». ესთეტიკური ფენომენი რეალური მკვლელობით შემოვიდა «ემპირიულ სინამდვილეში», ემპირიული კი გააზრებულ იქნა როგორც ესთეტიკური _ «ერთი ტილოს კაცი».

ასე რომ, «გამონაგონსა» და «რეალობას» პიესის სიუჟეტის მსვლელობისას ერთნაირად ეხდება გვირგვინი. ყველაფერი მიისწრაფვის გარეთ გასვლისაკენ, «ბაკნის გარღვევისაკენ». ყველაფერი მიემართება სხვასთან, განსხვავებულთან შესახვედრად. ეს შეეხება არა მხოლოდ ბიჭებს, რომელნიც გურამში გაერთიანებულები, თავდაპირველად, გამოეყვნენ და დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, არამედ მხატვრული სტრუქტურის ყველა ელემენტს. გულის სიღრმეებიდან დაძრულმა გულწრფელობის ენერგიამ მოითხოვა მსმენელი, მაყურებელი, გამგები, მოითხოვა «სხვა». მან თავი უკვე ვეღარ წარმოიდგინა სიცოცხლის ერთიანი დინებიდან გამოყოფილად. როგორც ჩანს, «იულონის» შექმნის პროცესში რეალობად იქცა «კალამს მინდობილი» მწერლისათვის «ვნების სიმძაფრის» არსი, რომელიც მხოლოდ შენებასთან, ფორმათქმნადობასთან არის მისთვის დაკავშირებული. ეს არის ის შეგრძნება, რაც ერთი წლის შემდეგ სენტენციად დაიხვეწა მოთხრობა «ალავერდობაში» («ვნების სიმძაფრე შენებაშია და არა აშენებულით ტკბობაში», 1959 წლის შემოდგომა) და გურამის მკითხველისათვის უშუალოდ დაუკავშირდა მწერლის პიროვნებას.

მხრებზე მამას თბილქურთუკმოხურული გურამი, რომელიც ხანდახან მზიან შუშაბანდში გამოდიოდა ხოლმე, არასდროს მინახავს ასე ჩუმი, თითქოს დამშვიდებული, ყოველგვარი აგზნებისა და შემართების გარეშე.

თურმე, ის არალიტერატურულობის განცდა, «არალიტერატურულად გულახდილობის», უფორმობის, რაც მაშინ «იულონის» კითხვისას დამეუფლა, იყო მისი მხატვრული თავისებურება. ამ ფორმათქმნადობის აღსაქმელად, იმის აღსაქმელად, რომ «შედეგი იგივე გამოვიდა», ანუ ფორმათა რღვევით შეიქმნა ახალი ფორმა, საჭირო იყო გარკვეული სულიერი განწყობა, აღსარებითი ენერგიის დაძვრა, რაც მაშინ აბსოლუტურად მიუღწეველი აღმოჩნდა ჩემთვის. «იულონის» ფორმა-შინაარსის, სული-სხეულის ანუ ცოცხლობის შეგრძნება ისეთივე ძნელი და მარტივი იყო ერთსა და იმავე დროს, როგორც ნებისმიერი ცოცხალი ორგანიზმის, რომელიც შეიძლება გააანალიზო, შეისწავლო ფიზიკურად, ქიმიურად და სხვ. მაგრამ მაინც ვერ დაიჭირო მისი ცოცხლობის მომენტი, დაუსრულებლივ გაგექცეს ხელიდან და სულ თავიდან და თავიდან მოითხოვოს ახსნა. ყველა ახსნიდან ერთადერთი სწორი იქნება, რომ მისი ცოცხლობა იგრძნო ინტუიციით, სიტყვების გარეშე, როგორც გურამი ამბობს თავის ნაწარმოებზე: «წაიკითხო და განიცადო სუფთა მხატვრული სიამოვნება...»

«იულონის» მხატვრულ სტრუქტურაში, მის ფორმა-შინაარსში ანთია ის ცეცხლი, რაც წვავდა «კა და კოს» გურამ-გურამს. ოღონდ თუ «კა და კოს» გულში დაჭრილი მეომარი ამაოდ მიისწრაფვის მდინარისაკენ წყლის დასალევად, თუ მისთვის ყველა წყარო, რომელსაც ხელეწიფება ცეცხლის განელება, გადაკეტილია, «იულონში» დატრიალებული ტრაგედიით, ანუ ავტორის გულში არსებული ტრაგედიის გამოვლენით, «ხილულ ფაქტად» ქცევით, ანუ ცოდვა-აღსარება-სინანულით, თითქოსდა მონახულია იმ წყაროს სათავე, რაც გმირს საშუალებას აძლევს ტრაგედიის დასასრულს დადგეს დიდი ფარდის წინ გაშლილი ხელებით, თითქოსდა განწმენდილი, გაგრილებული დროებით მაინც და აღიაროს იმ სათავის, იმ სიყვარულის რეალურობა, რომლის წიაღშიც დაიბადა «სინანული, როგორც წამალი.»

ტრაგედიაში, გულწრფელი აზრების, გრძნობების მაქსიმალურად შესატყვისი ფორმის ძიების პროცესში ჩამოყალიბებულ ფორმათა დარღვევის, «გარეგანი ადამიანის დამხობის შემდეგ» _ ყველა ერთად აღმოჩნდა ჩათრეული საოცარი, შემაშინებელი გულახდილობის სიტუაციაში. პიესის დასასრულისათვის ერთმანეთის გვერდით დგანან უკვე შინაგან მზერაგაღვიძებული ადამიანები, გახსნილნი მოულოდნელობებისათვის, აბსოლუტურად დაუცველნი, ღიანი ყველასა და ყველაფრის წინაშე. მაყურებელი-მკითხველი პიესის გმირებთან ერთად შეიგრძნობს, რომ «ამდენი გულახდილობის ცდებისგან» უნიადაგოდ დარჩა ყველა, რომ უღვინოდ თრობის სიტუაციაში თითქოს «ჰაერი იწყებს ლაპარაკს», რომ «სიტყვებისაგან თავი თითქოს იბერება, თავისუფლდება ტვინისაგან და შიგადაშიგ მძიმე ბუშტებად დადიან უაზრო სახელები», მერე «ვიღაც უბერავს..» «მიწიდან აწეულ» სიტუაციაში «ლაპარაკი შორდება ნიადაგს და თითქოს ღრუბლებს ებჯინება». გარემოს ეუფლება განწყობა ირეალურობის, მისტიკის. ამ დროს ყველაფერი შეიძლება მოხდეს _ ციდან დაეშვას ანგელოზი ან კიდევ მიწის ქვეშეთიდან ამოძვრეს ის, უხსენებელი. და მაშინ, როდესაც ერთხელ დაძრულმა ვნებებმა მაქსიმალურ სიმძაფრეს მიაღწიეს, მოხდა იულონისა და სხვა ცხრა ბიჭის, სულ ცოტა ხნის წინ

საშუალო ნიჭისა და შესაძლებლობების ადამიანთა, სულიერი სამყაროს «აქტივიზაცია» (თომას მანი ჰანს კასტორფის, «ჯადოსნური მთის» გმირის შესახებ). «შენ ეს ახლა მოიფიქრე?» გაკვირვებულები ეკითხებიან ჯიმშერს ბიჭები. («იულონიდან»), თითქოსდა თვისებრივი ცვლილება. იულონი, საშუალო ნიჭის ადამიანი, რომელიც ინტელექტუალთა საზოგადოებაში მოწვეული იყო სწორედ ამ საშუალოობის გამო, _ *«ჰო, იულონი, რომელიც მომიწვიეთ სწორედ იმიტომ, რომ არაფერს არ წარმოვადგენ!»* _ ამ კარნავალურ სივრცეში ამაღლდა ანტიკური გმირის სიმაღლემდე («ახლა მე ვდგავარ სცენაზე... აბა, ყველამ ერთად დამიყვირეთ: იულონ!») და გახდა ამ ტრაგედიის ცენტრალური მოქმედი პირი, სიმბოლო, ყველა სხვა დანარჩენთა არსის მატარებელი.

ასე რომ, მწერლის ალტერ ეგო, სხვა ბიჭებთან ერთად, არის თეთრ პერანგში გამოწყობილი (ჩემს ძმას განსაკუთრებით უყვარდა მაღალსაყელოიანი თეთრი პერანგი) «დიდი ბიჭი» იულონი, რომელსაც, ისევე როგორც, ალბათ, ცხოვრებაში გურამს, «იულონის» ავტორს, უკვე არაერთხელ მიაყენეს შეურაცხყოფა: გადმოასხეს ზევიდან ტაშტით წყალი, როდესაც ის, ორდენებით დამშვენებული (ფაქტობრივად, ამ დროისათვის გურამი, უკვე აღიარებული იყო ნიჭიერ, დიდი მომავლის მქონე მწერლად), იდგა იმ გოგოს აივნის ქვეშ, რომელიც უყვარდა. ესროლეს ტალახიანი ბურთი, როდესაც საფეხბურთო მოედნის გარედან თვალს ადევნებდა ბიჭების თამაშს. პასუხად, ის უხმოდ ტრიალდებოდა და ტოვებდა მოედანს (მკითხველს გავახსენებ შემთხვევას გურამის ცხოვრებიდან, სადაც მსგავსი სცენაა აღწერილი. იხ. ჯუმბერ თითმერიას მოგონება, ტომი 3, «შაშას რევოლუციის» კომენტარები. იხ., აგრეთვე «შაშას რევოლუციაში» მსგავსი ეპიზოდი: ბიჭები თამაშობენ ბურთს. ჩოლახა შაშა დგას მოედნის გარეთ და იქიდან სიხარულით ადევნებს თვალს ფეხბურთის თამაშს... საინტერესოა, აგრეთვე, მოთხრობა «დღიურიდან» იმ ეპიზოდის გახსენება, როდესაც მწერლის ალტერ ეგოს ვიღაც გამვლელი აყენებს შეურაცხყოფას. პასუხად, ის უხმოდ ტრიალდება და აგრძელებს გზას. მკითხველს გავახსენებ გურამის ცხოვრებიდან იმ ეპიზოდს (აქვეა მოთხრობილი), როდესაც ერლომის საყვედურს ის უხმოდ იღებს, ტრიალდება და მიდის. შეიძლება ითქვას, რომ თეთრ პერანგზე ტალახმისხმული, შეურაცხყოფილი ადამიანი, რომელიც უხმოდ იტანს შეურაცხყოფას, ტრიალდება და მიდის, გახდა გურამის თანამდევი სახე. წერის დაწყების შემდეგ, განსაკუთრებით კი «იულონზე» მუშაობისას, ის მიხვდა, რომ ეს სახე *«ქვეშეცნეულად ფორმას აძლევდა მის დიალოგს, ისე როგორც ყველაფერს, საერთოდ, რასაც ის აკეთებდა»*. თუმცა, უეცრად, იგრძნო ისიც, რომ «სანახევროდაც» კი არ იცნობდა ამ ადამიანს (საკუთარ თავს). ის «ჩაჰყვა თავის გრძნობას ბოლომდე» იმის გასაგებად, თუ რა იმალებოდა ამ ტალახმისხმული, შეურაცხყოფილი ადამიანის სულში. ფიქრობდა, რომ როგორც ყოველთვის, წერის დროს გაირკვეოდა «ყველაფერი».

სხვა გმირებისაგან იულონის განსხვავება, რის დასტურადაც ბიჭები მას ბოდიშსაც კი უხდიან, რომ ინტელექტუალურ საუბარში ჩართულებს ის მიავიწყდათ და ამდენ ხანს ალოდინებენ, მისი «ნაკლი» სხვისი თვალთახედვით, ისე როგორც სხვა შემთხვევებში გურამთან, გმირის გარეგნული დეფორმაციით არის გამოხატული: *«იულონი კი იჯდა კუთხეში და თამაშობდა ვიღაც საცოდავის როლს, რომელიც იმიტომ შესთავაზეს მას, რომ თვითონაც საცოდავი ეჩვენებოდათ _ იულონი დიდი თავით, გაცვენილი თმით, წვრილი კისრით და ვიწრო, მონგრეული მხრებით»*. აი, ეს უზომოდ დიდი თავი, მწერლის მიერ საგანგებოდ ფორსირებული შუბლი (ასეთივე

შუბლი ჰქონდა ძაგანიას), რომელიც ადრეული ბავშვობიდან ზედ ადგა თითქოს ამ თავის სიმძიმისაგან წელში მოღუნულ, ნაადრევად მობერებულ სხეულს, უნდა იყოს სიმბოლო იმ ბრძოლებისა, ვნებად ქცეული გონებისა, ამ დიდი შუბლის უკან რომ იმალება.

«იულონის» ინტერპრეტაციით შეიძლება გასვლა მწერლის ცხოვრება-შემოქმედების ურთულეს და, ალბათ, ყველაზე შორეულ კუნჭულებში, რაც, რა თქმა უნდა, სცილდება ამ კომენტარის კომპეტენციას და სპეციალური კვლევის საგანს წარმოადგენს. აქ მინდა მხოლოდ გამოვყო, ჩემი აზრით, რამდენიმე მნიშვნელოვანი თემა, რაც კავშირშია გურამ რჩეულიშვილის ცხოვრება-შემოქმედების მაგისტრალურ სიუჟეტთან და, ამდენად, სხივს ჰფენს როგორც მის წარსულს, ასევე მომავალსაც. ამ ტრაგედიაში მოხდა «ჩვენება», დემონსტრაცია იმის, რის შესახებაც სხვაგან, მწერლის დღიურებსა თუ შემოქმედებაში, იყო მხოლოდ მსჯელობა, «ლაპარაკი». თუმცა ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ გურამ რჩეულიშვილის შემოქმედება ევოლუციონირებს, წინ მიდის, ერთდროულად _ «ჩვენებებითა» და «ლაპარაკით» (რა თქმა უნდა, სხვადასხვა ეტაპზე ერთის ან მეორის პრიმატით), ქმედებებითა და მხატვრული სახეებით, ფარული სიმბოლიკით, რაც მოთხრობიდან მოთხრობამდე იკრებს ძალას, სისავსეს. 1957 წლის ავტოგრაფების თავისებურებას ქმნის, აგრეთვე, ჩანახატ-ჩანახაზები, რომელთა დაჟინებული გამეორება ამ პერიოდის ხელნაწერებში (იხ. 1957 წლის ავტოგრაფები, კომენტარები. ტომი 2. აგრეთვე, «ავტოგრაფების დახასიათებისათვის», ტომი 1.) აფიქრებინებს მკვლევარს, რომ ისინი იტევენ რაღაც ინფორმაციას, რომლის შესახებაც გურამს ჯერ თითქოს არც ლაპარაკი სურს და არც მისი ქმედებაში ჩვენება. როგორცა ჩანს, მწერლის ცხოვრება_შემოქმედების სიღრმისეული აზრის გრაფიკულმა გამოსახვამ იმ პერიოდში ყველაზე ცხადად და, ამასთან ერთად, ყველაზე დაფარულად დაიტია სათქმელი. სათქმელის შენიღბვა, «მალვა», ვფიქრობ, რაღაც ამბის ორგანულ ნაწილად ესახებოდა მაშინ მწერალს (*«მალვა, მალვა უნდა ყველაფერს, რატომ?»* დღიურიდან. *«მეშინია, ყველაფერი ცხადი არ გახდეს და გარეთ არ გამოვიდეს. რა ყველაფერი?» ამის გახსენებაზე ძაგანიას გააჟრჟოლა.»* «შაშას რევოლუციიდან»).

ტრაგედიისათვის, გულწრფელობისათვის
(აღსარება-სინანულისათვის)

გურამი, როგორც მოსკოვიდან ბაკურიანში გამოგზავნილ პირველივე წერილში მწერს, ჩასვლისთანავე ჩაეწერა ლენინის ბიბლიოთეკაში და გატაცებით დაიწყო ანტიკური ტრაგედიების კითხვა. ვფიქრობ, ჯერ კიდევ მაშინ, ამ ტრაგედიების კითხვისას, მივიდა ჩემი ძმა იმ დასკვნამდე, რომ ანტიკური ტრაგედიებისაგან განსხვავებით, ტრაგიკულობის საფუძველი მისთვის ადამიანის შინაგან სამყაროშია, სრულიად დამოუკიდებლად გარემოსაგან, სხვისაგან. ამას, როგორც ჩანს, მისი აზრით, ქმნიდა _ სიკეთისათვის დაბადებული ადამიანის შინაგანი გახლეჩილობა ცუდსა და კარგს შორის. *(«გულში ყველა კარგია», «გულში კარგი, მართლა კარგი.»* დღიურებიდან. *«შენ ხომ იცი, ვინც რა უნდა თქვას, რომ მე კეთილი, კარგი გურამი ვარ»*, დედასთან მიწერილი წერილიდან)

ერთხელ გურამმა ერლომ ახვლედიანს უთხრა: «მე არა მაქვს ზღვრები, ყველაფრის მკისრებელი ვარ.»

გურამის გულში დანთებული ცოდვის შეგრძნება მალევე გადაიზარდა ტრაგიკული დანაშაულის შეგრძნებაში *(«ჩემთვის ქონება, რაღაცა ბედისწერის ხმით, იქნებოდა მხოლოდ ტრაგედია, გადავლილი ჩემს თავზე, და მე ვეძებდი მას».* «იულონიდან»). «იულონის» პირველსავე წინადადებაში _ *«აი, მე ისევ მოვედი შენთან, ჩემო უფროსო ძმაო»* _ ჩანს: გურამმა ამ ტრაგედიის წერა დაიწყო იმიტომ, რომ რაღაც თუ ვიღაც განუწყვეტლივ ახსენებდა მას თავს და უკარგავდა მოსვენებას. ჩემი ძმა, რომელიც ჯერ კიდევ «ირინა და მეს» შექმნისას დაეჭვდა «ბოროტი კაცის» არსებობაში *(«მე მინდოდა პოემა დამეწერა უბოროტკაცოდ?»* «ირინა და მე»), ახლა, თავისი პირველი ტრაგედიის წერისას, საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ეს «ბოროტი კაცი» იყო სატანა და მისი უგულებელყოფა არ გამოვიდოდა, რადგან ის იყო არა ვიღაც სხვა, როგორც ადრე ეგონა, არამედ მისი «ძმა».

ამონაწერები «იულონიდან»:

«მე გულით ვგრძნობდი, რომ სატანა იქნებოდა ჩემი ძმა და, როცა ვისმენ, ახლა არ მჯერა.»

«დადგა დრო და ყველაფერი ის, რაც არ მჯეროდა, გახდა მართალი.»

«მივაღწიე იმას, რისი გაგების ამაო სურვილი მე ბავშვობიდან მტანჯავდა და რისი მოსმენისაც ჯოჯოხეთივით მეშინოდა.»

როგორც ჩანს, სწორედ ეს გახდა საფუძველი იულონის (მწერლის ალტერ ეგოს) გულჩახვეული ხასიათისა, მარტოსულობისა, რადგან *«გარეგნულად ამის არავითარი მიზეზი არ არსებობდა.»* ის იზრდებოდა მდიდარ ოჯახში და ქალი, რომელიც მას დედობას უწევდა და რომელსაც ის თვითონაც დედად აღიქვამდა, არ აკლებდა ყურადღებას, სითბოსა და მზრუნველობას («ის _ გურამი _ იზრდებოდა «კმაყოფილ», სრულყოფილ, ჰარმონიულ ოჯახში» _ მ.რჩ. ტომი 3, შენიშვნები «შაშას რევოლუციისათვის»).

სხვადასხვა ამონაწერები:

«რატომ, რატომ ამეკვიატებიან ასეთი აზრები, როცა გარეგნულად ამის არავითარი მიზეზი არ არსებობს.»

«რატომ მომდიან ასეთი აზრები, როცა შემიძლია ვიცხოვრო წყნარად» (დღიურებიდან).

«რატომ არ შემიძლია ვაჟა ვიყო, მხიარული?» _ («ირინა და მედან»).

«მე ვერ ავალ ტოლსტოის სიმაღლემდე, ჩემი გზა კი ის არის და თუ იქამდე ვერ ავალ, მაშინ არ ვიქნები არაფერი, უბრალო კარგი მწერალიც კი, თუმცა, ამას ჩემს ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა არა აქვს, გადამწყვეტი მნიშვნელობა _ მე მინდა ვიყო ბედნიერი მცხოვრები ამ მიწისა _ ჰო, წყნარი და ბედნიერი _ რაც ყველაზე ნაკლებად გამომდის».

«ღმერთო ჩემო, როგორ ძნელად ხდება ჩემში ყველაფერი, რამდენი უნდა ვეწამო, რამდენი დღეები უნდა ვიშფოთო, ვერსად ვერა ვგრძნობ, თვით ყველაზე მხიარულ

დროსაც, თავს კარგად, რაღაცა ცოდვა მაწვალებს, ეს ცოდვა მაწერინებს და წერა მაძლევს ზურგს, რომ ჩემს თავში გავერკვე, ისეთივე ზურგს, როგორსაც მომცემდა ათი კაცის მოკვლა. მე წერას უდიდესი მკვლელობის ტოლად მივიჩნევ თუ უფრო მეტად არა. ჩემთვის ეს საშინელი წამებაა, ყველა დაჯდომა, ყველა სიმართლე, მაგრამ მე ეს მჭირდება იმისათვის, რომ ჩემს თავთან მართლის თქმის უფლება მოვიპოვო _ რად მინდა ეს? ეს მე არ მინდა, ეს უნდათ ჩემს დემონებს, რომლებიც არ მასვენებენ ერთი წამიც და, საკმარისია, კეთილი, კარგი გავხდე, მაფორიაქებენ, მეუბნებიან, რომ მე უსუსური ვარ და იმიტომ ვარ კეთილი. ჩემს სხეულს სჭირდება დასაბუთება, რომ ეს ტყუილია, რომ მე მაგიტომ არა ვარ კეთილი _ მთელი ჩემი ცხოვრება ეს არის ბრძოლა _ დამტკიცება, რომ რასაც ვაკეთებ, იმისი უფლება მაქვს _ ნუთუ ამისათვის კაცი უნდა მოვკლა კიდევ _ მე, უნაზესმა კაცმა, არადა არა მყოფნის სული სიკეთისათვის, ისევე როგორც სხეული ღონისათვის და სიბოროტისათვის (სიბოროტის სხეული მე სხეულში შემაქვს). თანაც ჩემი სხეული არ არის ბოროტი _ ნორმალური ტანი, ყოველგვარი ზედმეტი ბიცებსების გარეშე _ სწორედ ამიტომ სჭირდება მას დასაბუთება, რომ იყოს კეთილი, მას შემდეგ, რაც ის სიბოროტის (დიდი სიბოროტის) უნარს დაამტკიცებს. ეხ, მე, რა საშინელებაა შენს თავზე ამყარო ასეთი ექსმპერიმენტები, თან ასე გესმოდეს ყველაფერი და მაინც უძლური იყო და თან ყველა გარეშემო ზერელედ გთვლიდეს, ეს სწორედ იმიტომ, რომ არც ერთი ნამდვილი სიბოროტე არ გიქნია (სხვას თავი დავანებოთ, შენი თავი) და რა მიზიდავს ამ სიბოროტეში? რა ცოდვა აქვს ჩემს სულს ასეთი, რომ ვერ ისვენებს, სად დაკარგა სიკეთის უფლება, რომ ამდენი ტანჯვა სჭირდება მისი უფლების მოსაპოვებლად. «გოგი, გოგია» შოლტით უნდა ვრეკავდე ცხენებს დღე და ღამე და ფეხით მივდევდე...

ბედნიერია ხალხი, ვისაც შეუძლია პირდაპირ ისულელოს, იმღეროს, მერე უბრალოდ დაიძინოს და ახლიდან, ვისაც იმდენად წმინდა აქვს სინდისი, რომ არ ქენჯნის.

საინტერესოა რა დავაშავე? _ ალბათ ის, რომ ასეთი აზრები მომდის _ ცოდვის _ რაც ნახევარ დანაშაულს უდრის თუ მთელზე მეტს არა...».

«ცოდოა მალხაზი, მისადმი ისეთივე შეგრძნებები მაქვს, როგორც ერლომესადმი. უცნაურად პატიოსანი ადამიანია და მე მგონი, სწორედ მაგიტომ ქურდობს. (როგორ ავხსნა ეს «სწორედ მაგიტომ» არ ვიცი, მისი მხოლოდ გრძნობა შეიძლება) პატიოსნება სწორედ ფაქტია: ის აკეთებს ყველაზე ცუდს, რისი გაკეთებაც შეიძლება და არ იტოვებს უპატიოსნების ზღვარს _ თავისი ბუნებისათვის _ რისი მეშვეობითაც მისი ბუნება სხვა ყველა საქციელებში აღწევს იყოს ზედმიწევნით პატიოსანი...» (იხ. მოთხრობები მალხაზის სესახებ თავისი კომენტარებით, ტომი 2.)

დედამ, რომელიც თავის ერთ-ერთ დღიურში გურამისადმი სიყვარულს ასე გამოხატავდა: «სულიც კი არა მაქვს ჩემი საკუთარიო», როგორც ჩანს, ინტუიციით იგრძნო ეს: «გურამი, რომელიც იყო განუსაზღვრელად კეთილი, მიისწრაფვოდა, რატომღაც, რომ გაეკეთებინა ცუდი, მაქსიმალურად ცუდი» «რა ხდება, არ ვიცი, გურამი თანდათან კარგავს ადამიანობას» (ამონაწერი დედას დღიურიდან).

გურამის გარდაცვალებიდან სულ ერთ-ორ დღეში დედა, მამა და მე ჩუმად ვისხედით შუშაბანდში. მოულოდნელად, დედამ გადაიწერა პირჯვარი და წყნარად, თავისთვის თქვა: «ღმერთო, ნუთუ უარესისგან დამიფარეო». ცხადია, არაფერი მიკითხავს არც მაშინ და არც მერე, თუ რას გულისხმობდა ის, როდესაც გურამის

გარდაცვალების გამო ღმერთის უმადური კი არ იყო, არამედ, პირიქით, მადლობას სწირავდა რაღაცისათვის. რა უნდა ყოფილიყო შვილის სიკვდილზე უარესი დღედაღამ მისი გზისაკენ მაცქერალი დედასათვის! ახლა ვხვდები მხოლოდ, რომ საკუთარ შვილში შეყვარებულმა დედამ რაღაც წამს ინტუიციით იგრძნო, თუ რა ძალით წამოიჭიმა გურამში ბოროტი თავისი ადგილის დასაკავებლად და როგორი უკომპრომისო ბრძოლა გამოუცხადა იმ კეთილ საწყისს, რითაც ის ბავშვობიდანვე იყო გამორჩეული.

დედა ხანდახან უყვებოდა თავის შვილიშვილებს გურამის ძალიან ფაქიზ, მოყვარულ, კეთილ ბუნებაზე, მოხუცებისა და, საერთოდ, უფროსების განსაკუთრებული პატივისცემის უნარზე, უმწეო ადამიანების დასახმარებლად მუდმივად გაწვდილ ხელზე და, ამასთანავე, მის მოუსვენარ, წარმოუდგენლად დაუდგრომელ ხასიათზე, რის გამოც მას ბავშვობისას ვერცხლის წყალი შეარქვეს.

ერთხელ მამა, ნასადილევს, ჩვეულებისამებრ, გაზეთებით გარშემორტყმული, შუადღის ძილისა და დასვენებისათვის გაემზადა. მერე მოულოდნელად დამიძახა: მოდი ჩემთან, რაღაც უნდა გითხრაო. ჩამოვჯექი იქვე სკამზე, რატომღაც შემეშინდასავით. მივხვდი, რომ გურამზე უნდოდა რაღაცის თქმა. ეს იყო გურამის გარდაცვალებიდან ძალიან დიდი ხნის შემდეგ. უკვე დაწყებული მქონდა არქივზე მუშაობა. მე ჩუმად ვიჯექი, არ შემიმჩნევინებია მისთვის ჩემი აღელვება. მამამ დაიწყო ძალიან ნელა, თანდათანობით, როგორც იცოდა ხოლმე, მგონი, ასე: «მე მინდა შენ იცოდე მაინც, რომ გურამი ...» მერე უეცრად გაჩუმდა კარგა ხნით. ჩუმად ველოდი გაგრძელებას. ბოლოს ვკითხე: «მამა, რას ამბობ, ვერ გავიგე, რა გურამი?» «არაფერი,» მითხრა უეცრად. «რა უნდა გეთქვა, მითხარი!» «არაფერი, ისე დაგიძახე.» «რა? ძალიანა გთხოვ..» «დამანებე თავი, არაფერი. როგორც არის, ისე დარჩეს ყველაფერი.. არ არის საჭირო». რაღაცამ, გარდა სიტყვებისა, დამარწმუნა, რომ ჩემს შემდგომ თხოვნას არ ექნებოდა აზრი. მამამ წაიხურა თავზე საბანი და კედლისაკენ გადატრიალდა. რატომღაც აღარც მე მინდოდა რაიმეს გაგება. ეს მომენტი ისე გადაიყლაპა ჩვენი ცხოვრებიდან, რომ ვითომ არც ყოფილიყოს არასდროს.

ამ ამბიდან ძალიან დიდი ხნის შემდეგ, როცა მამა უკვე ძალიან ცუდად იყო, მახსოვს, დედაჩემს რამდენჯერმე სთხოვა: მარო, მოდი, დაჯექი აქ, რაღაც მინდა გითხრაო. დედა თითქოს ვერ იცლიდა, ვფიქრობ, უფრო თავიდან იცილებდა მის თხოვნას. შეიძლება ფიქრობდა, რომ ეს უნდა ყოფილიყო რაღაც გამოსამშვიდობებელი სიტყვები, დაკავშირებული ამ ქვეყნიდან წასვლასთან, რასაც მამა ჩვეული იუმორით და სიმხნევით ელოდებოდა მთელი ორი კვირის განმავლობაში. ერთხელ, როდესაც მამამ ხელახლა გაიმეორა თავისი თხოვნა და დედამ ისევ მოუცლელობა მოიმიზეზა, დავინახე, როგორ ჩაიქნია მან ხელი და ჩუმად თქვა იგივე სიტყვები, რაც მე ადრე მითხრა: «როგორც არის, ისე დარჩეს ყველაფერი... ალბათ, ასეა საჭირო». ამის შემდეგ არც ერთხელ აღარ გაუმეორებია თავისი თხოვნა. ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ მამას უნდოდა დედასთან გურამზე საუბარი და ისევ გადაიფიქრა. რატომღაც ვფიქრობ (შეიძლება ვცდები!), რომ მამას ეგონა გურამი ბოლოს ჭკუაზე შეცდა და შეიძლება მისი სიცოცხლის ბოლო წუთიც (დაღუპვა) სხვანაირად გაიაზრა. შესაძლებელია, ამასთან დაკავშირებით ჰქონდა კიდეც მას რაიმე, ჩემთვის უცნობი ინფორმაცია.

ერთხელ თემო ბერიძემ მოიტანა გურამის ბოლო სურათები 1960 წლის ხოვლის ექსპედიციიდან. ამ სურათებში ჩემი ძმა უკვე საოცრად დაღლილი და მობერებული

გამოიყურება (მკითხველს გავახსენებ იულონის პორტრეტს «იულონიდან»: «ნაადრევად მობერებული, მონგრეული სხეული, წვრილი კისერი...»). გურამმა თითქოს იწინასწარმეტყველა და ჰიპერტროფიულად წარმოიდგინა თავისი ფიზიკური მდგომარეობა, რომელზეც დაღი უნდა დაესვა იმ სულიერ ძვრებს, მასში რომ ხდებოდა. ერთ სურათში ჩემი ძმა, მართალია, თითქოს იცინის მთელი პირით, მაგრამ ეს უფრო ხათრიანი, მორცხვი ღიმილია, თითქოს ერიდებაო რაღაცის. მამამ სურათები გადამალა და მერე ნაწყენმა თქვა: რა საჭიროა, ან ვის სჭირდება ამ სურათების გავრცელება! ერთი სურათი მისი გარდაცვალების შემდეგ დაჭმუჭნულიც კი აღმოვაჩინე სამუშაო მაგიდის ქვედა უჯრაში.

***

«იულონიდან»:

«მოდი, შევეცადოთ, თითოეული ჩვენი სიტყვა იყოს გულახდილი...»

«მინდოდა გულწრფელად დამეწყო და არ გამოვიდა ... ზედმეტი გულახდილობა მინდა და არ გამომდის... რაღაცნაირად ზედმეტად ვგრძნობ იმას, რაც უნდა მეთქვა...»

«გულახდილობა გვაკლია ჩვენ ყველას, გულახდილობა...»

«არც ვაპირებდი თქვენს ლაპარაკში ჩარევას, მაგრამ ამდენი გულახდილობის ცდებისგან მეც უძიროდ დამტოვეთ, თითქოს ჰაერი ლაპარაკობს, თქვენი სიტყვებისგან თავი მეხდება ...»

«ისევ გადაუხვიე გულახდილობას და შენი ამბების მოყოლა...»

«ვგრძნობ, რომ იმას არ ვამბობ, რაც უნდა მეთქვა...»

«მინდოდა პირდაპირ მეთქვა ალალად და კაცს ვაწყენინე...»

«მე სულ სხვა მინდოდა მეთქვა...»

«სხვა მიზანი მქონდა, ლაპარაკი რომ დავიწყე...»

«არ დამამთავრებინეს, ახლა უკვე ის აღარ არის, რაც მინდოდა.»

«შენ სულ ის არ გამოგდის».

«მე, მართლა, სულ ის არ გამომდის.»

«იქნება რა აქვს კაცს სათქმელი,

უფრო სწორად რაღაცა მაქვს სათქმელი...»

«გასაგებია, რაც უნდა თქვა.»

«ბობას გულახდილობა რო მოგწონთ, რატო მოგწონთ?

ალალია და იმიტომ...»

«ფიქრობ სხვას, ამბობ სხვას...»

«არც შენ შეგიძლია იყო ალალი, გულახდილი.»

დღიურებიდან:

«ისეთი დიდი გულწრფელობა მინდა, რომ ეს ჩემთვის თითქმის შეუძლებელია.»

«უნდა ვწერო ყველა ჩემს ცუდზე, რომელიც აშკარად ძლევს ჩემში, სულ მინდა თავზე ვილაპარაკო დიასახლისებივით, მეშჩანებივით. ჩემთვის განყენებული თემა არ არსებობს, ყველაფერი ახლო კავშირშია, საზიზღრობაა, მთლიანად დაკარგულია ანტიურობა, მაგრამ ეგეც რომ ასე მიყვარს? Uუნდა ვლანძღო თავი და მასში ვიპოვო შვება, ერთადერთი ნუგეში, რომ სხვას იმით ვჯობივარ _ თავს ვუტყდები, მაგრამ რითი განსხვავდება ეს ნუგეში მფლანგველის ნუგეშისაგან, რომელსაც თავი ჯიბის ქურდზე კარგი ჰგონია...!»

«რა დამემართა ამ გულწრფელობის მაძიებელ კაცს...»

შემოდგომის დღიურებსა და «იულონს» წინ უძღოდა «ირინა და მეს» ბოლო პასაჟი, რომელიც მთავრდება შემოქმედის, საკუთარი თავისადმი მიმართული, მაქსიმალური გულწრფელობის მოთხოვნით: *«გურამ, იყავი მკვლელი, ოღონდ ნუ იქნები მატყუარა ...»*

როგორც უკვე აღვნიშნეთ, «იულონში» იქმნება განსაკუთრებული სიტუაცია და გმირები იწყებენ გაერთიანებას გულახდილობისაკენ, სრულყოფისაკენ სწრაფვაში. ზედაპირზე ამოსვლას იწყებს მხოლოდ მთავარი, სიღრმისეული, არსისმიერი, «რაღაც», რასაც სიტყვითაც ვერ იტყვი, და არა პროფესია, საქმიანობა, გარეგნობა, სოციალური მდგომარეობა და სხვ., რაც, თავდაპირველად, გამოკვეთილად შემოდის ტრაგედიაში, როგორც შემდეგ ირკვევა, მხოლოდ იმიტომ, რომ მისი არაარსებითობა აჩვენოს მკითხველს. ყველაფერი მიდის აღსარებითობისაკენ და, დასასრულს, «იულონი» წარმოდგება როგორც სინანულში მყოფი ადამიანის «სულის ბიოგრაფია», რომელიც უწყობს სასამართლოს საკუთარ თავს და სამსჯავროს წინაშე გამოაქვს თავისი ცოდვები.

ჩემი ძმის პირველი ტრაგედიის კითხვისას თავიანთი არსობრივი მნიშვნელობებით ამოტივტივდებიან და ერთ სემანტიკურ რიგად გაერთიანდებიან სიტყვები: დანაშაული, სასჯელი, ტრაგედია, შურისძიება, შეურაცხყოფა, სასამართლო, ცოდვა, სინანული, აღსარება, სინდისის ქენჯნა და სხვ. როგორცა ჩანს, სწორედ ეს სემანტიკური რიგი ქმნიდა მწერლისათვის საფუძველს «იულონში» მოწყობილი კიდევ ერთი «სასამართლოსი», რასაც ის შემოქმედებითი მოღვაწეობის თითქმის დასაწყისიდანვე უწყობდა საკუთარ თავს («სასამართლოებისათვის» გურამთან იხ. «შაშას რევოლუციის» კომენტარები, ტომი 3) .

«იულონიდან:»

«ეს უკანდახევაა, რათა უფრო კარგად შეიგრძნოთ, ჩასწვდეთ ჩემს ტრაგედიას, რომელიც სხვამ ჩაიდინა და რომლისათვისაც მე ჩემს სინდისთან ვაგე პასუხი, რადგან ჩემს სინდისს ყველაზე მეტად სჭირდებოდა პასუხისგება» («იულონი»).

ამონაწერი 1958 წლის დღიურებიდან:

«*საშინლად ვიტანჯები წერასა და არწერას შორის. გუშინ ბოლო ღამე იყო თავის შეკავების, დარწმუნების. ძლივს ვაჯობე დემონს და დაუწერლად დავიძინე, მაგრამ მაინც არ შემიძლია არ დავწერო როგორც <u>საბრალდებო აქტი</u> (მიუხედავად იმის, რომ გულზე არა მხვდება).»*

«ვერმიღწეულის ვნებით შეპყრობილი» მწერალი თითქოს მიისწრაფვოდა შინაარსის შესაბამისი, მაქსიმალურად ადეკვატური ფორმისაკენ, რათა აბსტრაქტულ ცოდვას მიეღო კონკრეტული დანაშაულის ფორმა კონკრეტული სასჯელის მისაყენებლად!

მაგრამ თავიდანვე, გარდა სიცუდისა, იყო კიდევ მასში რაღაც, რაც არ უშვებდა გაეკეთებინა, რასაც გაიფიქრებდა, *«რაც არავისზე არა ძიობდა შურს, რომელსაც არ შურდა არავისი, რომელიც იყო ნაზი და კეთილი და არ საჭიროებდა გარედან არავის მიერ ამის აღნიშვნას... თვითონ იყო ნამდვილი და არა სჭირდებოდა სხვების მიერ ამის ზედმეტი მტკიცება ან დადასტურება»* (დღიურიდან).

ამონაწერები დღიურიდან:

«მე რატომ არ შემიძლია გავაკეთო? რატომ მეცოდება ბოლოში გასაქურდავი: მეცოდება? იქნებ მეშინია?»

«მე პატიოსანი არა ვარ _ ვარ მხოლოდ კეთილი, ამიტომა ვარ სუსტი. სიკეთე სისუსტეა, პატიოსნება _ სიძლიერე. მინდა ბევრი ცუდი გავაკეთო და სიამოვნებით ვიღებ თავზე ცუდ სახელს, ქურდს, მკვლელს, შულერს, მაგრამ არ ვაკეთებ არასოდეს _ როცა საქმე–საქმეზე მიდის, მეცოდება გასაძარცვავი ან მერე ვუბრუნებ, ჰა? ან იქნებ შიშია მხოლოდ? რა შიში (ნაწილობრივ) _ ვისთანაც შემიძლია ვიყო ბოროტი, რატო ვუშვები კარგს? «

«ალავერდობის» ეტაპზე ასასვლელად (1959 წელი, იხ. ტომი 3.) გურამს სჭირდებოდა «სიწრფელე და სიწმიდე» გულისა. «ალავერდობას» წინ უძღოდა სინანულ-აღსარებების მთელი სერია: «შაშას რევოლუცია», «იულონი», «სალომე და გურამი» და, საერთოდ, მთელი შემოქმედებითი პროცესი, შემოქმედებითი ექსტაზის დროს ინტუიციას მინდობილი რომ მიიკვლევდა გზას თვითჩაღრმავებით, «წინ», «უკან მოუხედავად» («წავალ წინ და უკან აღარ მოვიხედავ», დღიურიდან).

1957 წელს დაიწერა «უსახელო უფლისციხელი», «იულონამდე» ორი-სამი თვით ადრე _ «შაშას რევოლუცია», შემდეგ _ 9 ნოემბრის დღიური. ამ დროისათვის ჩემი ძმა, ალბათ, უკვე მთლიანად იყო გამოსული «სასოწარკვეთილების დამანგრეველი ემოციებიდან» (ტომი 3, «შაშას რევოლუცია») და, როგორც ჩანს, უკვე მზად იყო იმ სიტყვების სათქმელად, რითაც ეს ტრაგედია მთავრდება: *«მე უფრო ვშლი ხელებს აშკარა, გულუბრყვილო არტისტულობით და მზადა ვარ, ჩავიტიო ჩემი გმირებიც, თქვენც, ჩემი თავიც ... აი, მე, გურამი, ვდგავარ თქვენს წინ, ნამდვილი გურამი, რომელსაც უყვარხართ თქვენ სიყვარულთა შორის ყველაზე დიდი სიყვარულით, სიყვარულით ყველაფრისადმი, არტისტული სიყვარულით, რომლის შეგრძნებაც ღმერთობამდე ადის, ის არის ყველაფრის გამგები, ყველაფრის მპატიებელი. აი, ჩემი აქ დგომის მაქსიმუმი: სცენაზე ყოფნა ეს არის უდიდესი სიყვარული!»*

ასე რომ, ტრაგედიის დაწერას, «უშჯულოების არდაფარვას» წინ უძღოდა საკუთარ თავში ყოვლისმომცველი სიყვარულის Oდა სიკეთის აღმოჩენა, რაც, როგორც ჩანს, ადგილს აღარა ტოვებდა მასში სხვა რაღაცისათვის და, ფაქტობრივად, წინ უძღოდა ხმამაღლა, «ყვირილივით» ნათქვამ აღსარებას («შუა საუკუნეებში ისეთი ძლიერი იყო რწმენა, რომ ადამიანი ეკლესიაში ღმერთის წინაშე ხმამაღლა აღიარებდა თავის ცოდვებს» _ პატრიარქის ქადაგებებიდან). ამ შეგრძნებამ ბრძოლის ველად გადააქცია მისი სულიერი სამყარო, სადაც ღმერთი და სატანა შეურიგებლად ებრძოდნენ ერთმანეთს. ამ ბრძოლიდან გამარჯვებული აუცილებლად უნდა გამოსულიყო მხოლოდ ერთი.

ინტენსიურმა სულიერმა ცხოვრებამ დაღი დაასვა ძლიერი ჯანმთელობით გამორჩეულ ჩემი ძმის სხეულს. (აი, რატომ აქვს იულონს, სრულიად ახალგაზრდა კაცს, მობერებული, მოტეხილი სხეული) და, როგორცა ჩანს, ის უკვე მთლიანად აივსო იმ ენერგიით, უძირო სიღრმეებიდან მხოლოდ სისავსისაგან რომ გადმოიღვარა გარეთ.

«ეს იყო წამი, როდესაც მას აღარ შეეძლო თითოეული ნაწილით, ხმამაღლა, არ ეთქვა თავისი არსებობის შესახებ, ტკივილები მისთვის არაფერს ნიშნავდა» («დღიურიდან»).

ალბათ, ეს შეგრძნება ედო საფუძვლად გურამის სიტყვებს, 1958 წლის შემოდგომაზე სრულიად მოულოდნელად რომ მითხრა: «მორჩა, ვიწყებ ტრაგედიების წერასო». როგორცა ჩანს, მსოფლიო ორად გაიყო მაშინ ჩემი ძმისათვის და ბზარმა მის გულზე გაიარა (სხვისი სიტყვების პერიფრაზი).

ხელოვნება გურამს საშუალებას აძლევდა «ელაპარაკა მთელი ხმით».

ერთიანობისათვის:
(ერთობა _ ერთიანობა)

როგორც ტრაგედიის მსვლელობისას ირკვევა, იულონი შინაგანად, თუმცა, ალბათ, უფრო გარეგნულად, უპირისპირდება დანარჩენ გმირებს. რადგან მომავლის ჯერ გაურკვეველი მნიშვნელობით შეპყრობილი (*«მის გამოხედვაში იყო ფარული მიზანი»),* როგორც ჩანს, ბევრ საერთოსაც გრძნობს მათთან, რაც, ვფიქრობ, თავდაპირველად, დაფარულია არა მარტო სხვებისათვის, არამედ თვითონ მისთვისაც. «იულონის» სიუჟეტის განვითარებისას, ფაქტობრივად, სულ სხვადასხვა დონეზე ხდება ამ განსხვავებულ, დაპირისპირებულ ადამიანთა საერთო ძირის, საერთო დარდის, პრობლემის ამოტივტივება, რაც, როგორცა ჩანს, მწერლისათვის პირველყოფილ ცოდვაშია საძიებელი და, ისე როგორც სულ რამდენიმე თვით ადრე დაწერილ «შაშას რევოლუციაში», ყველაფერი მიდის გურამის დღიურიდან ამოწერილ სიტყვებამდე, რომელიც ერთხელ უკვე მოვიხმე: «საწყალი ის ბიჭი, საწყალი მე».

იულონი ისევეა გართული ყურადღების ცენტრში დგომის, თავისი შინაგანი სამყაროს მაქსიმალურად გულწრფელად გამოხატვის სურვილით, შინაგანის, სულიერის ფორმადქცევით, ფორმისა და შინაარსის დამთხვევისაკენ სწრაფვით, როგორც სხვები *(«შენ ჩვენი ხარ შენი ვნებებით, ჩვენ შენ ვერ გაგასამართლებთ»*), და შეიძლება უფრო მეტადაც, რადგან, სხვებისაგან განსხვავებით, ეს სურვილი საკუთარ თავში გარკვევისა, იმდენად ძლიერია მასში, რომ ეს ხდება მისი ეგზისტენციური პოზიცია, ქმედების საფუძველი მიზნისაკენ მისაღწევ გზაზე და არა მხოლოდ ლაპარაკი, სიტყვა. ის ამის დასამტკიცებლად კაცსაც კი კლავს, მაშინ როდესაც სხვები მხოლოდ ლაპარაკობენ «მაქსიმალური გულწრფელობის» შესახებ.

როგორც უკვე ვთქვით, მწერალი გურამ რჩეულიშვილი მიისწრაფვის შეიცნოს იულონის არსი და მოელის მისგან თითქმის ყველაფერს. რაღაც მომენტში ის იყო მისთვის მხოლოდ შეურაცხყოფილი ადამიანი, მაგრამ როდესაც დაპატიჟა პიესაში სათამაშოდ (ანუ აირჩია თავის ალტერ ეგოდ) და იულონმა გაიღიმა თბილი, ადამიანური ღიმილით, გურამი მიხვდა, რომ სრულებით არ იცნობდა ამ კაცს: *«უცებ შეტრიალდა ჩემს თავში ყველაფერი, ამ თანხმობისაგან სინათლესავით დაიღვარა გრძნობა ჩემს სხეულში; პირველად ახლა დავინახე, რომ მას კბილები ჰქონდა და არაჩვეულებრივი სითბო ვიგრძენი მისდამი, «რა უბრალო და რა კარგია ყველაფერი», «ზუსტად ასეთი შეგრძნება დაზვავდა, დაგროვდა ჩემს გონებაში და პირველად გავიგე როგორ შეიძლება გიყვარდეს ახლობელი შენი, როგორც შენი თავი, იულონზე არ ვამბობ მხოლოდ, საერთოდ, ვინც არ უნდა იყოს ის...»* («იულონი»).

შეიძლება, ეს იყო მომენტი, როდესაც წერის დაწყებისას ჩემმა ძმამ უეცრად იგრძნო ის, რაც შემდეგ ერლომს უთხრა: *«ყველა დაიწყებს შიგ თავის თავის ძებნას, აქ კი მხოლოდ ერთი გმირია და ის გმირი მე ვარ.»* შეიძლება მიხვდა იმასაც, რომ ამ ბიჭებისაკენ ლტოლვის, მათთან ერთად ყოფნის სურვილის საფუძველი იყო,

უბრალოდ, სიყვარული მათი და მეტი არაფერი. ის პატივს სცემდა მათ შინაგან სამყაროს, მისწრაფებას კულტურისაკენ, წიგნისა და ზოგადად განათლებისაკენ, მოსწონდა როგორ ათავსებდნენ ისინი ურთიერთპატივისცემას, სიმშვიდეს ხელოვნების უანგარო სიყვარულთან და სხვ.

«იულონში», მართალია, თავდაპირველად, ყველაფერი იწყება დაპირისპირებულ გმირთა მხოლოდ მექანიკური გაერთიანებით «ერთ, ორკესტრის სიგრძეზე გადაჭიმულ, ოთახში», სადაც ისინი შეკრებილები არიან ამხანაგის მიერ დაწერილი პიესის საყურებლად და მასზე სამსჯელოდ *(«რა შინაარსის და რა ღირსების პიესა დაწერა გურამმა»*), მაგრამ სიუჟეტის განვითარებისას ყველაფერი მიისწრაფვის ამ დაპირისპირებულ გმირთა შინაგანი ერთიანობის გამოვლენისაკენ. თანდათანობით ირკვევა, რომ ძირითადი, შინაგანი მიზეზი ამ შეკრებისა, ისე როგორც ყველა შეკრებისა, საერთოდ, არის ადამიანების ერთად ყოფნის სურვილი, რასაც ისინი გარეგნულად ყოველთვის სხვადასხვა მიზეზით ფარავენ *(«როდემდე უნდა ვიტყუოთ თავი რაღაც სიტყვებით და უბრალოდ ერთად ყოფნის სურვილი სხვადასხვა რაღაცეებს დავაბრალოთ.»* «იულონი»).

ამონაწერი 1958 წლის სექტემბრის დღიურიდან:

«...როცა აქ დავბრუნდი (ერლომ ახვლედიანთან _ მ.რჩ.)*, შევეცადე მეხუმრა, მაგრამ საოცარ სიცივეს წავაწყდი, აღრენილი ხვადებივით ისხდნენ ბიჭები* (ირაკლი რამიშვილი, ზურაბ კიკნაძე, ლევან მალაზონია და სხვები _ მ.რჩ.)*, ჩუმად ლაპარაკობდა ერთი _ ისმებოდა ძმაკაცობის სადღეგრძელო, ყველა აქსოვდა შიგ მთელ თავის ურთიერთობას სამყაროსთან ... ოღონდ სადღეგრძელო არ იყო ზერელე ... აქ იყო საერთოდ ადამიანებს შორის ჩაქსოვილი განსხვავებანი, ურთიერთლტოლვა, დამოკიდებულებაში ჩაქსოვილი. ყველა იწეოდა ერთმანეთისაკენ, ყველა ირწმუნებოდა, რომ მის მიერ თავის გონებაში, უფრო სწორედ, ლაპარაკის დროს სიტყვებში გამოხატული აზრი მეგობრობაზე არის მართალი ...»*

მკითხველს ყურადღებას მივაქცევინებ რამდენიმე ჩანაწერზე, საიდანაც ჩანს, რომ ადამიანთა ერთიანობის პრობლემა საფუძველთა საფუძველია მწერლისათვის:

«ერთიანობა გარეგნული ნიშნით.»
«შინაგანი ერთიანობის პრობლემა.» (ჩანაწერებიდან «ალავერდობისათვის»).

«მე მეჩვენება, რომ დგება დრო, როდესაც აღარ იქნებიან საჭირო ცალკეული წინასწარმეტყველები, რომლებიც სხვადასხვა ენების ერებს ატყობინებენ მათივე გულში ჩადებულ ზრახვებს, არამედ იქნება ყოველი ადამიანი თავისთავად წინასწარმეტყველი, თავისთავად მარტივი (წინასწარმეტყველება სწორედ აუცილებელი სიმარტივის, სხვაში უკვე დამწიფებულის და მომზადებულის ერთისგან აღქმის, გაგების პრინციპზეა დამყარებული) და უმოციქულოდ გაუგებს ხალხი ერთმანეთს, ... ღმერთის მცნებასავით მარტივი გახდება ადამიანი ... თუ ყოველი იქნება წინასწარმეტყველი, დაიღუპება, დაიკარგება საჭიროება განმარტებისა, მხატვრულად აღქმისა, დაიღუპებიან, მოუბრუნებლად იღუპება მაღალი მხატვრულობა და ჩნდება სადღაც სიღრმეში ახალი, თვალისმომჭრელი, ჩაუხედველი სინათლე _ იყო ერთი, სუნთქავდე ერთით, იყო ისეთი გენიოსი, რომ არ

განსხვავდებოდე არავისგან, მხოლოდ განსხვავებული დარჩება ზედმეტი, დეფექტი, უცნაური, ღიმილით გასაგები ყველასათვის. ეს პოტენციაში აქვს, ალბათ, ხალხს. ამიტომ უყურებს სრულიად ქვეშეცნეულად უდიდეს ადამიანურ გამოყოფას წინასწარმეტყველიდან დიდ ლიტერატურულ გენიამდე როგორც უცნაურს, და ერთგვარად საცოდავს...». ამონაწერი «ირინა და მეს» თეთრი ვარიანტისათვის გაკეთებული ჩანაწერებიდან (ტომი 3).

ასე რომ, «იულონში» დაპირისპირებულ ადამიანთა მსგავსება-ერთიანობის გამოვლენა ყველა დონეზე, დაწყებული სათაურიდან («იულონისა და სხვა ცხრა ბიჭის ტრაგედია». იხ. აქვე თეთრი და შავი ხელნაწერების შედარებისას), არის მწერლის შემოქმედების უშინაგანესი თავისებურება და, ისე როგორც სხვა თემები, შემოქმედების მაგისტრალურ სიუჟეტთან ერთად ევოლუციონირებს. რა თქმა უნდა, ეს ცალკე კვლევის საგანი შეიძლება გახდეს მკვლევარისათვის, თუმცა ამ ტომებში მოთავსებულ ცალკეულ ნაწარმოებთა შენიშვნებში უკვე ბევრი რამ არის დაწერილი ამის შესახებ _ დაწყებული მწერლის რწმენით, რომ ხელოვნების ნაწარმოებს, სიტყვას შესწევს უნარი ადამიანთა საუკეთესო ძალების ამოძრავების, მობილიზების, გამოვლენის (ხოლო ეს საუკეთესო გურამისათვის ყოველთვის დაკავშირებულია ადამიანის იმ ძალების აქტივიზაციასთან, სხვასთან ერთიანობისაკენ რომ მიისწრაფვის) და, ალბათ, დამთავრებული ეჭვით, თუ რამდენად ხელეწიფება ეს ხელოვნების ნაწარმოებს!

ამ ტრაგედიაში კიდევ ერთხელ ამოტივტივდება, როგორც ორი-სამი თვით ადრე დაწერილ «შაშას რევოლოუციაში», ჩვეულებრივი ადამიანური ურთიერთობების მნიშვნელობა მისთვის და საერთოდაც და, ამავე დროს, ამაოება «საქმეების» («საქმეები, სულ ეს საქმეები», «შაშას რევოლუციიდან»), რაც ადამიანს ამ ურთიერთობებისათვის დროს აღარ უტოვებს.

საინტერესოა, ამ მხრივ, მოთხრობა «დღიურის» იმ ეპიზოდების გახსენება, სადაც მწერალი ლაპარაკობს ფაშიზმის და სოციალიზმის დროშის ქვეშ გაერთიანებულ ადამიანთა ერთიანობაზე, ასევე ჯარისკაცების ერთიანობაზე «იულონში» და, საერთოდ, ყველა იმ ერთიანობაზე, რომელშიც მთლიანად იკარგება პიროვნება. შეიძლება ითქვას, რომ ამას ეძღვნება, მთლიანად, ლიბრეტო კინოსათვის «ჩვენ ერთად მივდივართ» (იხ. ამავე ტომში).

E

ამონაწერი დღიურიდან:

«...შემდეგ (ნიცშემ _ მ.რჩ.) *ჭეშმარიტებები გამოყო, დაამცირა ცალკეული კაცის როლი და შექმნა რასა _ ძლიერთა რასა, რადგან არ ეყო ძალა ... და თავისი პირადი განცდები თავზე მოახვია მთელ ერს, რომლებიც დაბნეულები უცდიდნენ სულიერ მეთაურს, რომლებიც, ინდივიდუალურად ასევე სუსტები, ჩაეჭიდნენ და შექმნეს დიდი ფარა და, საბოლოოდ, დაამტკიცეს, რომ ძალა ერთობაში არ არის და არ არსებობს არავითარი ერთობა გარეგნული რიცხვით (აქვე ვიტყვი, რომ სისულელეა ისრების ერთად შეერთება, რომლებიც ერთად არა ტყდებიან, ხოლო ერთს ბავშვიცა ტეხს _ აბა, სცადეთ და ერთი მშვილდით ოცდაათი ისარი გაისროლეთ ერთად, ა?! _ ერთი ისვრის ერთს _ ...»)*

აქ მკითხველს გავახსენებ «უსახელო უფლისციხელის» ბოლო ეპიზოდს, როდესაც ტაძარში რწმენით გაერთიანებული ხალხი მხურვალედ შესთხოვს ღმერთს სამშობლოს გადარჩენას და ბოლოს კი აღუვლენს სამადლობელ ლოცვებს.

«იულონამდე» ერთი-ორი თვით ადრე დაწერილ «შაშას რევოლუციაში» შიშითა და სასოწარკვეთილებით შეპყრობილი ძაგანია უეცრად ხვდება, რომ მეორე ადამიანთან ერთიანობის გზა გადის სიყვარულზე, გინდაც ის იყოს მტერი, რომ ამ ერთიანობის შეგრძნებას ადამიანის შინაგან სამყაროსთანა აქვს საქმე.

«ალავერდობის» ბოლო ეპიზოდში ალავერდის გუმბათზე ავარდნილი გმირი დაინახავს ამაოებას, უაზრობას თავისი მცდელობისა ერთი მიზნით, ერთი აზრით გააერთიანოს ადამიანები. რადგან ადამიანის ყოველდღიურ უსიტყვო შრომაში, სწრაფვაში სიკეთისაკენ, სისრულისაკენ, ჰარმონიისაკენ, ის მოულოდნელად აღმოაჩენს ქრისტეს მადლის დაფარულ ქმედებას და მიხვდება, რომ სინათლე, სიცოცხლე, მიზანი, ერთიანობა დასაბამია სამყაროსი და არ საჭიროებს ვინმეს მიერ ამის გარედან შეტანას.

უხვ მასალას იძლევა, ამ მხრივ, თუნდაც მწერლის ბოლო წლების ნაწარმოებთა სათაურებისთვის თვალის გადავლება: «ბევრი ბავშვები ერთად», «ჩვენ ერთად მივდივართ», «ჩვენ ერთი საქმისათვის ვიბრძვით» და სხვ., სადაც ეს პრობლემა ხან სერიოზულ-სახუმარო სიტუაციაში, ხან კი ცალსახა სერიოზულობითაა ხოლმე წარმოჩენილი.

ამონაწერი «იულონიდან»:

«მოდით, ერთხელ მაინც მივიდეთ ახლოს სინამდვილესთან, როდემდე უნდა ვიტყუოთ თავი წარმოდგენებით, ქეიფით, ღვინით და სხვა რაღაცეებით, როცა ერთმანეთს ვხვდებით. რომ შევიკრიბეთ რაღაცის გასაკეთებლად და არა ვთქვათ, რომ ჩვენი მიზანი იყო მხოლოდ ერთად ყოფნის სურვილი, მეტი არაფერი...»

«დავდგეთ ყველა ერთად, ყველამ ერთმანეთს გადავხვიოთ ხელი და ყველამ ერთი საათით მაინც ვიგრძნოთ ერთი მიზანი: ვუყუროთ პიესას და განვიცადოთ სუფთა მხატვრული სიამოვნება» («იულონიდან»).

«გაქრა დაბნეულობა და ყველაფერი ერთი მიზნისაკენ მიდის. ისეთი შთაბეჭდილებაა, თითქოს იულონის, მკვლელის, მეტი აღარავინა დგას ამ ოთახში. ღმერთო ჩემო, ნუთუ ამხელა ტრაგედია იყო საჭირო, რომ ყველას ერთი მიზანი გვქონოდა ...»

«ალბათ, არის წუთები, როცა ჩვენ ყველანი ერთნაირად ვხედავთ საგნებს.»

ამონაწერები დღიურებიდან:

«..ვიწექი მარტო და მშურდა გვერდზე ოთახში მწოლიარე მოხუცი ცოლ-ქმრისა და ვეძებდი გონებით ისეთივე მეგობარს, რომელიც გამიგებს ყველაფერს, რომელსაც შეუერთდება ჩემი განცდა და გაიყოფა ტანჯვა ორად. იქიდან დიალოგი: საიდანაც მათი სრული ურთიერთგაუგებრობა მტკიცდება, თითქოს 50 წელი ერთად წოლამ სულ გამოაცალა ყველა საერთო შეგრძნება, რომ არც სხვა არის «ერთად», «ერთად» რაც ორს მაინც გულისხმობს და სხვას არ შეუძლია გაიგოს შენი, რადგანაც აქვს

თავისი და შენ არ უნდა დაემდურო მას ამისთვის, ისევე როგორც ის. იმ მუქ ჩამჯდარ შპალერში, კუთხეში დაკიდულ ხატში და მათ დიდ ბრინჯაოს ჩარჩოიან სურათში ვიგრძენი, რომ არ შეიძლება ვინმე ერთს შეუერთდე, ვინმე ერთმა გაგიგოს .. ან საერთოდ გაიგოს ხალხმა, გაგება არის მხოლოდ შერწყმაში რაღაც დიდთან, რასაც ჰქვია ორივე ცოლ-ქმარი ერთად, მემტრედე, რომელიც თოვლსა გვის მტრედებისათვის, თვითონ მტრედები და, საერთოდ, ძირი თუ არსი სიცოცხლისა, არსებობისა, სულისა...»

«...ვეხლები კედლებს და მივდივარ. და მხოლოდ წერის დროს, არა, რაღაც ჩემთვისვე შეუცნობელ ადგილას, ვრჩები მარტო. დაე, ეს ადგილი იყოს სახელად «ტროლეიბუსი». აქ, ამ ადგილას, ერთდებიან ისინი ერთად, ისპობა მათ შორის ზღვარი, ისინი არიან ხალხი, ისინი ღრიალებენ და აიძულებენ ჩემს გულს უყვარდეს რაღაც დიდი, ზოგადი, რომელშიც სასაცილომდე პატარად მოჩანს ძმაკაცობა, ხელოვნება ედიშერისა, ხელოვნება ნუგზარისა, ჭიდილი ჩვენ სამში მაგნიტდება. ერთმანეთისაკენ ლტოლვა ყველა ამინდში და შეხლისთანავე დაშორება. ის დიდი გარეშემო ეხვევა ყველაფერს, ამ დიდს არა აქვს ლტოლვა, ამ დიდს არა აქვს დრო, დამოკიდებულება, ეს დიდი არის დიდი და მძიმედ მსუბუქი და ის ძალიანა ჰგავს სიკეთეს, რომელიც კერძოდ არ ეკუთვნის არავის ...

დაშორების წინ ედიშერი იჯდა ვერაზე, მე ვიდექი, ხეებთან იდგა ბესიკა. როცა ედიშერს შევხედე, სახეზე ისევ ისეთი გამომეტყველება ჰქონდა: и все таки ни то ни то _ და მე ვფიქრობდი что? что? что?? დავშორდით. მე გავიფიქრე, როგორ დავშორდე ედიშერს, რომ არ იფიქროს ჩემი ამდენი ფიქრების შესახებ, მეორედ ხაზგასმული სიკარგით არ დავუქნიე ხელი, შესაძლოა именно это! это ни настоящее, ყალბი არის ни то! скорее всего так...»

ასე რომ, შეურაცხყოფილი ადამიანის უკან იმალება კეთილი, უბოროტო გული _ *«გულში ყველა მართალია,» «გულში ყველა კარგია»* (მწერლის დღიურიდან). შეურაცხყოფა, შური ეს არის მხოლოდ ფორმა, გარე სამოსელი, რომელსაც ურთიერთობისას მალევე ეხდება გვირვინი, ისე როგორც ნებისმიერ სხვა გრძნობას, რაც ერთ ადამიანს აპირისპირებს მეორესთან.

ხელოვნებისათვის:

როგორც ვხედავთ, «იულონში» გრძელდება ხელოვნებისა და ცხოვრების ურთიერთდაპირისპირება, რაც 1958 წელს «ირინა და მეში» დამთავრდა ირინას მკვლელობით. ეს მაშინ მწერლისათვის უკვე ნიშნავდა ცხოვრებაზე ხელოვნების უკომპრომისო უპირატესობის აღიარებას, ხელოვნებისათვის ადამიანის შეწირვას. «იულონში» მწერალი ხელოვანსა და ბოროტმოქმედს თითქოს უკვე ერთ მთლიანობად მოიაზრებს. თითქოს სამყარო, რომელშიც ის მოულოდნელად აღმოჩნდა, რომელიც მას «თავზე დაემხო», მთლიანად უპირისპირდებოდა სინდისს, ზნეობას.

«ხმა შავი: შენ მწერალი ხარ, შენ უნდა წერო როგორ იკლავენ სხვები თავს, ასეთია შენი ვნება, გურამი: ჩემი ვნება? გესმით, ხალხო, გესმით თქვენ ხმა ჭეშმარიტების. ჭეშმარიტების ხმა მანუგეშებლის როლში ჩასმული ბოროტი სულისაგან.» («მარინასათვის» გაკეთებული ჩანაწერებიდან).

ნაწყვეტი «ირინა და მეს» «მინაწერიდან»:

«დღემდე უდიდესი აღელვების გარეშე არ შემიძლია მოვიგონო ის საბედისწერო ღამე, რომელიც კანონზომიერად გამოიწვია მთელმა ჩემმა იმდროინდელმა არაბუნებრივად აღგზნებულმა მდგომარეობამ, რაც, თავის მხრივ, შედეგი იყო ჩემს ბუნებაში შემოქმედების სურვილის მძლავრი, ულმობელი ნაკადის შემოჭრისა. ამ ძალამ ჩამითრია თავის უფლებებში, წამომიყენა სულ სხვა მოთხოვნები, ვიდრე მე ვიყავი შეჩვეული. როგორც ხედავთ, ამან გამოიწვია ის უზარმაზარი, განუსაზღვრელი, ვადაგაუსვლელი დანაშაული, რომელიც ახლა ჩემს მხრებს აწევს. მისი დროით მოხდა შეუძლებელია, წინააღმდეგ იურიდიული სასჯელისა, მაგრამ მე ახლა, გარკვეული ხნის გასვლის წყალობით, მაქვს საშუალება ერთგვარად გარედან ვუყურო როგორც იმ ამბავს, ისევე იმავე ზაფხულში დაწერილ მის დაწვრილებით აღწერას, რომელშიც ქვეშეცნეულად გამოიხატა იმ ტრაგედიის გარდუვალობა. სანამ მოკლედ ვიტყოდე ჩემს აზრებს იმ მღელვარე წარსულ დროზე, თეზისის სახით აღვნიშნავ ჩემს ძირითად, მაგრამ აუცილებელ შეცდომას, რაც მეტ-ნაკლები მასშტაბით ყველას მოსდის, ვინც სრულიად ლაღი, სხვა ხასიათის ცხოვრებიდან ხელოვნების რკინისებურ პრინციპებში პირველად ეხვევა:. კიდევ გავიმეორებ: მე შემოქმედებით გატაცებამდე თავაუღებლივ, გატაცებით ვატარებდი დროს, ხოლო მით «დაავადების» შემდეგ მოხდა სრულიად საწინააღმდეგო: ახლა მხოლოდ ხელოვნების თვალსაზრისით დავუწყე ცხოვრებას ყურება და ყოველი მისი, ცხოვრების, უპირველესი მოთხოვნილება, რაც საერთოდ ისეც არ მესმოდა კარგად რა იყო, მკრეხელობად მომეჩვენა. მან (შემოქმედებამ) ჩემში «სიყვარულის» (ფართო მასშტაბით _ ცხოვრების სიყვარულის, ცხოვრების სურვილის), ყველაზე ძლიერი გრძნობის, შეთავსებაც კი ვერ შეძლო თავისთან, სამაგიეროდ, ხარბად ეწაფებოდა ის ყველა გამაბრუებელს _არაყს, ნიკოტინს, ჩაკეტილ ოთახს, რომ ჩაეხრჩო, არ შეეხედა გარშემო მყოფი რეალური საგნებისათვის, შემოესაზღვრა თავისი გრძნობა, გაქანება, «მაღალი აზრის მხატვრული გადმოცემის» არასწორი გაგებით: ყველაფერი ეს გამოწვეული იყო ფიზიკური და გონებრივი სისუსტით მოვარდნილი ნიაღვრის წინააღმდეგ. ფაქტიურად, ეს პერიოდი იყო ადრინდელი «დროსტარების» გაგრძელება მაღალ ფორმაში.» («ირინასა და მეს» «მინაწერიდან»).

დიდ პიესაში (ანუ პიესის მიხედვით «ცხოვრებაში») რეალურად გათამაშდა ის (მკვლელობა), რაც ჩართულ პიესაში, «გამონაგონში», ცხადია, პირობითი იყო მხოლოდ. ჩართული პიესის ავტორს საკუთარი თავი უპირველეს დამნაშავედ მიაჩნია, რადგან მიზეზი მკვლელობისა გახდა მისი ნაწარმოები, რომელმაც იმდენად აღაგზნო პიესის საყურებლად შეკრებილი ბიჭების ვნებები, რომ ისინი გამოიყვანა რეალობიდან, ყოველდღიური, ჩვეულებრივი ურთიერთობებიდან (აქ მინდა მკითხველს გავახსენო «ხორტისტების» ერთ-ერთ შეკრებაზე გურამისა და ერლომის კამათი: მხატვრულმა ნაწარმოებმა უნდა აღაგზნოს ადამიანთა ვნებები საპასუხო რეაქციის გამოსაწვევად თუ არა. გურამის დაუსაბუთებელი პროტესტი, რომ ადამიანთა აგზნება შემოქმედებით სულაც არ არის საჭირო).

«ნაწარმოების კონკრეტული იდეა არის ის შეუცნობელი განწყობილება, რომელიც ქვეშეცნეულად მოქმედებს მნახველზე თუ მკითხველზე, ემატება წვეთებად მის საკუთარ იმდროინდელ განწყობას და აღრმავებს მას; თუ მისი საკუთარი განწყობა არის, უხეშად რომ ვთქვათ, კარგი, კაცთმოყვარე _ ულრმავებს კაცთმოყვარეობას, თუ

არის ავი _ უღრმავებს სიავეს და ამას აკეთებს ორ სხვადასხვა კაცში ერთი და იგივე ნაწარმოები, რომლის იდეა, როგორც მიღებულია ითქვას, ვთქვათ, არის ბრძოლა ეროვნული თავისუფლებისათვის ან სხვა რაიმე.»

ასე რომ, ხელოვნებას საერთოდ არ აინტერესებს ადამიანი, მისი ზნეობრივი მხარე _ არც თვითონ შემქმნელის, არც მკითხველის თუ მსმენელის, ვისთვისაც ის იწერება. მისი მიზანი მთლიანად ესთეტიკურია. მას კავშირი აქვს მხოლოდ ემოციებთან, გრძნობებთან, იმასთან, რაც აღაგზნებს ადამიანთა ვნებებს, მის მობილიზებას ახდენს და საითკენღაც წარმართავს, საით, ეს უკვე მისთვის სულერთია.

«ნაწარმოების მხატვრული მხარე, მისი აღგზნებადობის განმსაზღვრელი, რომელზედაც თითოეული ადამიანი თავისებურად რეაგირებს და რომელიც სრულიად მოულოდნელ რეაქციას იწვევს ხოლმე პიროვნებებში,» ეს არის მისი თემა, იდეა, ანუ ესთეტიკურია მთლიანად (აქ მინდა მკითხველს გავახსენო ცნობილ კინორეჟისორ სტენლი კუბრიკის ფილმი «მექანიკური ფორთოხალი», სადაც მთავარი გმირის ღამის კოშმარულ ქმედებებს თითქოს ბიძგს აძლევს და კვებავს ბეთჰოვენის ჰეროიკული სიმფონია).

ამონაწერები «იულონიდან»:

«თუ არა ეს პიესა, მკვლელობა არ მოხდებოდა.»

«გურამი: აი, ვინ არის მთავარი დამნაშავე _ ეს მე ვარ და მე ყველაზე მეტი ცრემლები მმართებს.»

«ვინ აკეთებს სასარგებლოს? _ ის, ვისაც არ შეუძლია რამე დააშავოს. ყველაზე დიდი დამნაშავეები არიან ისინი, ვინც აღაგზნებენ ადამიანთა ვნებებს: ასტროლოგები და პოეტები.

აქ დანაშაული აქვს პიესის ავტორს, ამიტომ და საერთოდ, მწერალი არ შეიძლება იყოს მსაჯული.»

«შენ უსინდისო ხარ ...

რაც შეეხება მაგ მუხლს _ მე, მხოლოდ, მწერალი ვარ, ამიტომ მიხარია კაცის სიკვდილი, მერე დავწერ ამის შესახებ ... საინტერესო აზრები გქონია დამარხული, აბა, კიდე გაქექე, იქნებ იპოვო, რომ მე მოწოდებით მკვლელი ვარ.»

«მე ეგ სიკვდილი მსიამოვნებს კიდეც, მერე დავწერ. შენ რა, არ გსიამოვნებს? აბა, კარგად დაფიქრდი!»

ამონაწერები დღიურებიდან:

«ჩემი მიზანია არა ის, რომ მოვიპოვო წერის უფლება, არამედ ის, რომ მოვიპოვო უფლება არა ვწერდე _ ვცხოვრობდე და კმაყოფილად ვგრძნობდე თავს ცოდვების მონანიების გარეშე, რის პირდაპირ ნაყოფსაც წარმოადგენს ჩემთვის წერა. ამ კმაყოფილების მისაღწევად მე მჭირდება ან დიდი ბოროტმოქმედება, ან წერა. წერა ჩემი სიამოვნება არ არის, ის მე მხოლოდ სულიერ უსიამოვნებას მანიჭებს და ვწერ _ მეტი ძალა არა მაქვს, მაგრამ დარწმუნებული ვარ _ მეორედ მოსვლისას, თუ ცხოვრების მეორე ნახევარშივე არა _ მე დავანებებ წერას თავს, ან წერას ჩავთვლი ჩემს ჩვეულებრივ ცხოვრებად, რომლისგანაც გარკვეული სიამოვნების მიღება მაინც შეიძლება».

«მივდივარ ბასრი რქებისკენ, უდიდესი ცოდვისკენ, რომელსაც ჰქვია წერა... დაე, ეგ წერა იყოს ჩემი ბედისწერა და ჩემი «მეს» მისიაა ზედ არ წამოვეგო ამ რქებს.»

.»მასალად გამოიყენო შენი ბიძაშვილის სიკვდილი..?!»

«ღმერთო ჩემო, როგორ ძნელად ხდება ჩემში ყველაფერი. რამდენი უნდა ვეწამო, რამდენი დღეები უნდა ვიშფოთო, ვერსად ვერა ვგრძნობ, თვით ყველაზე მხიარულ დროსაც თავს კარგად, რაღაცა ცოდვა მაწვალებს, ეს ცოდვა მაწერინებს და წერა მაძლევს ზურგს, რომ ჩემს თავში გავერკვე, ისეთივე ზურგს, როგორც მომცემდა ათი კაცის მოკვლა. წერას უდიდესი მკვლელობის ცალად მივიჩნევ, თუ უფრო მეტი არა».

«ისევ დამეცა თავზე ბოროტი წერა» (დღიურიდან).

თემო ჯაფარიძემ უთხრა გურამს: ბათუმში ერთხელ ისე მაწყენინე, თავის დახრჩობას ვაპირებდიო. გურამს უთქვამს: რას ფიქრობდი! ბევრი-ბევრი ერთი პატარა მოთხრობა დამეწერა, სხვა რა იქნებოდაო (თემო ჯაფარიძის მოგონება).

1957 წლის აპრილის ბოლოს გურამი შეიქნა უნებლიე მოწმე ახალგაზრდების შეჯახებისა, რაც ერთ-ერთის მოულოდნელი მკვლელობით დამთავრდა. იქნებ შეეძლო მას ხელი შეეშალა მკვლელობისათვის! (თუ არ შეეძლო?!) და ცნობისმოყვარეობის გამო არ შეუშალა მხოლოდ, რათა მერე დაეწერა ამის შესახებ. «თუ ის, უბრალოდ, ბედისწერას ვერ აღუდგა წინ?! (იხ. შენიშვნები «მარინასთვის» ამავე ტომში).

ამ სულიერმა გამოცდილებამ, როგორც ჩანს, რეტროსპექტულად, სულ სხვანაირად გააზრებინა გურამს ცხოვრებისეული ფაქტები და, შეიძლება, საფუძვლადაც დაედო მის, როგორც მწერლის, შემოქმედის, სინანულის პირველ ძლიერ განცდას, თითქმის პირველ ეჭვებს: რა უფრო მნიშვნელოვანია მისთვის ცხოვრება თუ შემოქმედება.

«იულონი» არის აღსარება, სინანული შემოქმედის, რომელიც მზად არის ყოველ წამს, ხელოვნების სასარგებლოდ, ხელოვნების მასალად გამოსაყენებლად, ხელოვნების სიკეთისათვის, ცხოვრება მსხვერპლად მოუტანოს შემოქმედებას *(«ჯერ განიცადო, მერე დაწერო», «ერთხელ ისე სულელდება, რომ კაცსაც კი კლავს, რომ უკეთ განიცადოს.»* დღიურიდან). ეს არის მდგომარეობა, რასაც *მწერალი «თავს ვერ აღწევს, როგორც ჰერაკლე თავის თორმეტ დავალებას»* (მოსკოვის დღიურიდან), და მნიშვნელოვანია მოულოდნელი ეჭვიც, იქნებ მას *«მწერლობა ... სულაც პატივმოყვარეობისათვის უნდა, მეტი არაფერი...»* (დღიურიდან).

მწერლის მხატვრულ ნაწარმოებებზე დაკვირვება, ისევე როგორც ბიოგრაფიული ფაქტები, მოწმობენ, რომ «წერის დაწყების» დღიდან გურამი თითქოს ახდენდა არჩევას ზნეობრივსა, Eეთიკურსა და ესთეტიკურს შორის. «ირინა და მეს» სიუჟეტში, სადაც ირინას მკვლელობით თითქოს ყველაფერი უკვე ხელოვნების სასარგებლოდაა გადაწყვეტილი, უკვე შეპარულია ისეთი სახეები, არაფერი რომ არა ვთქვათ თვითონ მკვლელობის ფაქტზე, რაც ეჭვის ქვეშ აყენებს მკითხველისათვის მწერლის მიერ ესთეტიკურის, როგორც ზნეობრივის, გააზრებას.

მკითხველს შევახსენებ მოთხრობის ბოლოს: *«იმას მე ძეგლს ავუგებ და შემდეგ მოვიკლავ თავს, დავწერ მასზე უმშვენიერეს პოემას. ტრიალებენ სახეები გახურებულ ჰაერში და შიგ ავი ჯინივით ულვაშა კაცი ჩნდება, ოჰ, იმისი... მზე აჭერს ... მე მინდოდა პოემა დამეწერა უბოროტკაცოდ?!... მზე აჭერს... კეფას ნათელთევზასავით მიბურღავს, ოო, როგორ მომნატრებია ჩემი ოთახი... როგორ წამოვედი იქიდან... იქ სხვანაირია ყველაფერი, იქიდან სუპერმენი იბერება, მიზიდავს.... ყველაფერს ჩემი*

ოთახი ეპატრონება, იქ დაუწერელი ქაღალდები ყრია _ თეთრი, უხაზო ესკიზები, გაფანტული იატაკზე, პაპიროსის ნამწვები და არყის ბოთლები...» წელიწად-ნახევრის შემდეგ «ირინა და მესათვის» გაკეთებულ «მინაწერში» მწერალი რეტროსპექტულად გაიაზრებს ყველაფერს, რამაც მისი ალტერ ეგო მიიყვანა მკვლელობამდე და თითქოს პოულობს კიდეც მიზეზს: ხელოვნებით «დაავადების» შემდეგ მან დაიწყო ცხოვრების აღქმა შემოქმედების თვალსაზრისით და ამიტომ ცხოვრების სულ ელემენტარული მოთხოვნილებებიც კი მკრეხელობად მოეჩვენა (მწერლის სიტყვების პერიფრაზი). მან ადამიანზე, ცხოვრებაზე მაღლა შემოქმედება დააყენა, რამაც შეიწირა ჩვეულებრივი, თბილი ადამიანური ურთიერთობები.

«იულონი» დაიწერა 1958 წელს. ამ დროისათვის შექმნილი იყო, როგორც უკვე აღვნიშნეთ, «შაშას რევოლუცია», შემოდგომის დღიურები. ზევით მოყვანილი «მინაწერი» «ირინა და მესათვის» მწერალმა გააკეთა 1959 წლის შემოდგომაზე. სულ ერთი თვე იყო დარჩენილი «ჩემ ლიტერატურულ შეხედულებებამდე», სადაც მწერლის ცხოვრება _ შემოქმედების მაგისტრალური სიუჟეტი, ანუ ხელოვნებისა და ცხოვრების ურთიერთდამოკიდებულება, ახალ საფეხურზე ავიდა. ციკლის ბოლო მოთხრობაში «დღიური» ხელოვნების მნიშვნელობა მწერლისათვის შევიდა ახალ ფაზაში და, ვფიქრობ, სრულიად საწინააღმდეგო კუთხით მოტრიალდა. ხელოვნების «*სინათლით მსუნთქავი ბუნდოვანება»* გურამმა გაიაზრა როგორც ჭეშმარიტების წვდომის საკუთარი გზა, საიდუმლოს შეცნობის და გადმოცემის მისთვის ერთადერთი შესაძლებელი ფორმა. «დღიურში» ლოთის სხეულში «გადაბუდრულმა» მწერლის ალტერ ეგომ თითქოს, მართლაც, «ქნარზე ამოხსნა თავისი ამოცანა». გურამმა, როგორც ჩანს, უკვე საბოლოოდ იგრძნო თავისი მოწოდება _ სიტყვით გადაეცა ხალხისათვის ის, რისი გაგებაც მისთვის «წამისყოფით» გახდა შესაძლებელი. ეს გზა მისგან მოითხოვდა «უზარმაზარ მსხვერპლს». ასე რომ, ამ ეტაპზე ხელოვნება ესახებოდა მას იმ «უხილავ ჯვარად», იმ «მსხვერპლად სიმართლისა», რაც მას თავისი მოძმისათვის უნდა გაეღო. ეს არის «ჩლშ»-ის დასასრული: დაბრუნება ხელოვნებასთან ახალ ეტაპზე. «ირინა და მეს» მინაწერისათვის გაკეთებულ ჩანაწერებში (1959 წლის შემოდგომა) მწერალი გამოთქვამს მსგავს აზრს: «ხელოვანი მსხვერპლია.» მკითხველი დამეთანხმება, ალბათ, რომ ეს აზრი სრულიად განსხვავებულია «ირინა და მეში» გამოთქმული მოსაზრებისგან, როდესაც მას ხელოვნება მხოლოდ თავისი ეგოიზმის ნაყოფად წარმოუდგა: *«მე მას უნდა ძეგლი ავუგო, მხოლოდ მისთვისვე ვრჩები ცოცხალი! სიბრაზის ამოხეთქვასავით იმართება ჩემი სხეული თავისი თავის წინააღმდეგ: გურამ, იყავი მკვლელი, ოღონდ ნუ იქნები მატყუარა! მხოლოდ საკუთარი ვნებისთვის, შენთვის, შენთვის უნდა იცხოვრო შენ და არა გაქვს არავითარი უფლება, სხვას დააბრალო ეს სიცოცხლე»* (მოტივები «ჩემი ლიტერატურული შეხედულებების» კომენტარებიდან. იხ. ტომი 3, გვ.422-433).

ეს იყო 1959 წლის გვიანი შემოდგომა.

«იულონს» და «ჩემ ლიტერატურულ შეხედულებებს» მსგავსი ბედი ხვდათ წილად. ისინი მკითხველმა აბსოლუტურად შეცვლილი და დამახინჯებული სახით მიიღო. «ჩემ ლიტერატურულ შეხედულებებში» იყო წინასწარგამიზნული რედაქტორული ჩარევა: მთლიანად დაშალეს ნაწარმოები, დაუკარგეს მთლიანობა. ამოიღეს «ირინას» ექსპოზიცია, შეცვალეს ფინალი, თითოეული ნაწარმოებიდან ამოიღეს ტექსტის სიღრმისეული აზრის გასაგებად ძალიან მნიშვნელოვანი ცალკეული ფრაზები და სიტყვები, და კიდევ ბევრი სხვა. დაინტერესებულ მკითხველს ადვილად შეუძლია ამას თავად მიადევნოს თვალი. «იულონში» ასეთ ჩარევას არა ჰქონია ადგილი. ამ

ნაწარმოების დამახინჯება შეიძლება დავაბრალოთ უფრო ბრმა შემთხვევითობებს, უყურადღებობას, გულგრილობას, გაუგებრობას, რადგან მისი პირველი პუბლიკაციის დროს უკვე აღარ მოქმედებდა საბჭოთა ცენზურა. საერთო ბედი ნებსით თუ უნებლიეთ ორივე შემთხვევაში დაკავშირებული იყო გურამის შემოქმედების სიღრმისეული საზრისის უგულებელყოფასა ან, უფრო სწორად, ვერგაგებასთან.

«იულონის» მხატვრული ზემოქმედების ძალაზე მეტყველებს ის სტატიები, რომლებიც დაიწერა ამ ტრაგედიაზე ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ის გაურკვევლობამდე, გაუგებრობამდე შეცვლილი სახით მიიღო მკითხველმა.

«იულონი» პირველად გამოქვეყნდა ცალკე წიგნად 1987 წელს.

სალომე და გურამი

არქივში ინახება «სალომე და გურამის» მხოლოდ შავი ხელნაწერი (სამი ოცდაოთხფურცლიანი რვეული). ავტოგრაფი მიახლოებითაა დათარიღებული «იულონის» შავი ხელნაწერის მიხედვით (დაწერილია მსგავს რვეულებში). მსგავს თაბახის ფურცლებზეა დაწერილი «იულონისა» და «სალომე და გურამის» ხელნაწერებში ჩამატებული ტექსტებიც. ასეთივე რვეულებში იყო დაწერილი «სულხანი და მე» (სამი ოცდაოთხფურცლიანი რვეული. დაიკარგა წაკითხვამდე გაურკვეველ ვითარებაში, არქივზე მუშაობის დროს) და 1958 წლის სექტემბრის, ოქტომბრის, ნოემბრის დღიურები. «სალომე და გურამი», ვფიქრობ, არის რიგით მეორე ტრაგედია. მესამე უნდა იყოს «სულხანი და მე». ამას მოწმობს ჩანაწერები გაკეთებული «სალომესა და გურამის» წერის პერიოდში (იხ. ქვემოთ).

არქივში შემონახულია 1959 წლის 8 იანვრის გაზეთი «პრავდა», სადაც აღნიშნულია კოსმოსში რაკეტის გაშვების ფაქტი (ეს ფაქტი ნახსენებია ტრაგედიაშიც). ესეც მაფიქრებინებს, რომ «სალომე და გურამი» შექმნილია 1959 წლის იანვრის შემდეგ.

ავტოგრაფის აღწერისათვის:

რვეული «1».

რიცხვი «1» დაწერილია რვეულის პირველ გვერდზე და მიანიშნებს არა გვერდის, არამედ რვეულის ნომერს. თუმცა არც ერთი რვეულის ყდაზე არაფერი წერია. დანარჩენი გვერდები ყველა რვეულში პაგინაციის გარეშეა. თავდაპირველად დაწერილი «მოქმედება I» გადაშლილია მწერლის მიერ.

გვ. 1. მინაწერი არეზე:

პირველი მოქმედების პირველი სურათის პირველი გვერდის არეზე გვერდულად მიწერილია მწერლის მიერ, როგორც ჩანს, წერის პროცესშივე: *«ეს მონოლოგი იქნება ბრჭყალებში, ვითომ თავის თავს _ განწყობას აბრაზებს.»* იგულისხმება მონოლოგი: «ჩქარა, ჩქარა...» თითქოს გურამს არ უნდა, ისე როგორც სხვა შემთხვევებში, ცალსახა სერიოზულობით ლაპარაკი ასეთ თემებზე. «ჩქარა, ჩქარას» შემდეგ დაწერილი «იქ, თორემ დაიგვიანებ...» გადაშლილია მწერლის მიერ.

გვ. 2
მწერლის მიერ იმავე მელნით გამუქებულია სიტყვები: *«სიბნელიდან ვხედავ მას, სინათლეს.»* იგივე სიტყვები ხაზგასმულია ავტორის მიერ იმავე მელნით.

გვ. 3
სალომეს რეპლიკაში: *«პატარა ბავშვივით არის»* _ «ბავშვივით»-ის მერე, სავარაუდოა, წერის პროცესშივე გადაშლილია სიტყვა «*მოუსვენარი.»*

გვ. 11, სურათი III
მინაწერი არეზე: «*ადრევე გურამის ქურდობაზე.»*

მესამე სურათის უკანასკნელ, მეოცე, გვერდზე, ფურცლის ბოლოს არეზე არის ორი მინაწერი: *«მონოლოგში: ახასიათებს თავისი გაგებით გურამს _ ჭკვიანურად ლანძღავს».*
«!!! ღამე, დაშორების შემდეგ, პოდიეზდში შოთას მონოლოგი: როგორ მიაღწევს ხვეწნით, ათასჯერ თქმით, თავის დამცირებით თავის დილიხორს, მოსაგეზრებელი გახდება.»

შოთას მონოლოგი დაწერილია ცალკე რვეულის ფურცლებზე. მონოლოგის ბოლოს, კვადრატულ ფრჩხილებში, დაწერილია: *«შოთას მონოლოგი.»*
ამ გვერდის ბოლოს ისევ ორი მინაწერია:
«გურამი შოთაზე: ხო არის ხალხი, არაფერ ცუდს არ აკეთებენ და მაინც არ გსიამოვნებს.» «ვინც გარეგნულად უპატიოსნოდ გრძნობს თავს, ის შინაგანად კმაყოფილია თავისი პატიოსნების და პირიქით.»

პირველი რვეულის ბოლოს ჩამატებული ორი ფურცლის ორსავე გვერდზე დაწერილი ტექსტი _ «სარდაფის სართული» _ გადაშლილია მწერლის მიერ იმავე კალმით, რითაც დაწერილია ტექსტი.

გადაშლილი ტექსტი:
«(სარდაფის სართული)
ბებო: გურამ!
გურამი: მე მძინავს
ბებო: მშვენივრად ვხედავ
გურამი: შენი თვალებით?
ბებო: დიდხანს ისულელებ მანდ?
გურამი: ახლავე მოვრჩები
ბებო: არ მესმის რად გინდა რომ ყოველ დღე ერთი და იგივეს იწყებ
გურამი: აბა სხვადასხვა მოვიგონო
ბებო: ღმერთმანი ეგა სჯობს, ფანტაზიას მაინც განივითარებ
გურამი: ღმერთო დამიფარე კიდე მეტი ფანტაზიისგან
ბებო: ეჰ, რატომ არ ფიქრობ, რომ მეტი ფანტაზია გაქვს ვიდრე გჭირდება, პირიქით, ეგ სისულელეა რაც შენ თავში გაქვს და არა ფანტაზია, ეგ ადვილია იოლი ფიქრებით გამოიტენო თავი? ეგრე შენ მიუნჰაუზენივით ყველაზე ბედნიერი ადამიანი შეგიძლია გახდე

გურამი: შენ რად გინდა ჩემი ბედნიერება

ბებო: ეეჰ

გურამი: რა არა?

ბებო: დაანებე გთხოვ, სულელურ ლაპარაკს თავი

გურამი: არა უნდა ჩამოგაცივდე, რა იქნება მერე რომ მიუნჰაუზენივით ვიოცნებო, ვიგონო ტყუილები, ვიცხოვრო ცასა და მიწას შუა, არ დავუშალო არავის ხელი. განა უვნებელი ტყუილი ყველაზე ნაკლები ცოდვა არ არის ამ ქვეყანაზე

ბებო: მე ველარ ვხედავ ჩემი თვალებით, მაგრამ გულითა ვგრძნობ, რომ შენ მართალი ხარ შენი სიტყვებით, მაგრამ ეს შენ არა ხარ, შენ ვერ იქნები აგრე ბედნიერი

გურამი: რათა განა მე დიდი უსაქმური არა ვარ, შენც ხომ ასე მეძახი

ბებო: გურამ

გურამი: და აი, მე ვოცნებობ, ტყუილებით, რადგან ჩემს გარეშემო რაც ნამდვილია არაფერი არ მატკბობს, თუნდაც იმდენადაც კი რომ მასზე ტყულის მოგონებით ვისიამოვნო, ამიტომ ვჭრი კარტონისგან წითელ, ყვითელ და მწვანე ცხენებს, ახლა ამ გაზეთებიდან ილუმინაციებს გავაკეთებ

ბებო: ყველაფერი ეგ ძალიან ლამაზია, მაგრამ არა მგონია, რომ მაგას მაინც აკეთებდე, შენ ხომ დიდი უსაქმური ხარ

გურამი: გამოცანა შენია, ისევ მიხვდი ბებო, ახლა კი ფრთხილად, თავი დაწიე

ბებო: ახლავე შვილო, ახლავე, სკამი უნდა გადმოდგა?

გურამი: ახი, ხი,ხი

ბებო: ო, შენ მამაძაღლო, ისევ მომატყუე

გურამი: აი, ახლა კი ხელში აგიყვან და ასე გადაგაწვენ აქეთ

ბებო: გამიშვი ხელი, შე მამაძაღლო, ო, რა ღონიერი გამხდარხარ

გურამი: აბა, რა გეგონა უსაქმობისგან

ბებო: ეჰ, თითქოს გუშინ მეჭირე ხელში

გურამი: რა? კარგი იყო ის დრო, გინდა ბებო ახლა ახალგაზრდა იყო

ბებო: ღმერთმა დამიფაროს შვილო

გურამი: რატო ისე შორს დაიჭერე ცუდია ახალგაზრდობა?

ბებო: ვინც ახალგაზრდაა იმისთვის კარგი, მე კი ძლივს მოვაღწიე ამ ხანს და ისევ ახალგაზრდა გავხდე რა მიაღწევს მეორედ სიბერემდე».

ამავე რვეულში სხვა ჩამატებული გვერდები:

პირველი გვერდი (დაწერილია მხოლოდ ფურცლის ერთ გვერდზე _ იმავე კალმით, რითაც ძირითადი ტექსტი):

«სალომე მიდის გურამთან, სთხოვს ფულს _ წამლის ფულს.

გურამი ახრჩობს კომკავშირის ერთ კაცს ანდროს გულისათვის.

გურამი: კაცი მოვკალი ანდროს გულისათვის.

ანდროს ვკლავ ვისი გულისათვის?»

«პოეტების წრეში შესვლა, იმათი გაშაყირება, უკან გამოსვლა _ პოეტებმა ისე აქეს და გაარჩიეს მისი ლექსი, რომ უსიამოვნო სიტყვების ნაჯვარის მეტი არაფერი დარჩა _ პოეტებთანაც საქმის გულისათვის მივიდა, იქაც არაოფიციალურად, როგორც კომკავშირში, ნასიამოვნები დარჩნენ, რომ არაწესიერ კაცთან ჰქონდათ საქმე _ ქურდთან და ხულიგანთან.»

«! ყველას გული ჩუმად როგორ ოცნებობს უპატიოსნებაზე და პატიოსნებისთვის როგორ აშაყირებს ყველას პირში. ზრდილობით «მოწინავე» საზოგადოება.»

«საიდუმლო ოცნება _ სურვილი: ენახა, გაეცნო ყველა, თორემ ფულის შოვნას სხვა გზითაც მოახერხებდა.»

მეორე ფურცელი (დაწერილია ორივე გვერდზე)

«გურამი ტყუის, ვითომ სალომე არ უყვარს.

ყველა ამათგანს რომ უყვარს ვიღაცა, მაშ რაღათ ვაბრალებთ ფულს, ა?

სახლთან რომ მიდის გურამი ნაზი ხდება, მორიდებული.»

«პოეტისაგან ფეხებში ჩავარდნის შემდეგ გურამის მონოლოგი ფეხებში ჩავარდნის დროს ტვირთის მოშორების შესახებ.

სოსოს თამაში გოგონებთან და ამაზე ყველაფერზე დაყოლიება.

ბოლო: კაცი უნდა იყო, ეს არის აზრი.»

«მონოლოგი სახლისკენ: შიში მიპყრობს ამდენი გიჟების მერე მარტო დარჩენილს.

_ სალომე ღალატობს

_ ბიჭები ტუტუცები

_ მე მამაძაღლი ვიყო და (...), მაგრამ ცოდნა არა მშველის, რომ არ გავაკეთო.

_ იყავი პატიოსანი!

_ მე პატიოსნება კი არა, მე სიყვარული მინდა!

_ უპატიოსნებოთ არ არის სიყვარული.

_ მომეცით პატიოსნება.

_ მე საკმაოდ პატიოსანი ვარ იმისთვის, რომ ვინმეს ვუთხრა რომ მიყვარს _ მე ხომ ეს ნამდვილად არ ვიცი.»

მეოთხე ფურცელი (ნაწერი ერთ გვერდზე):

«ქალებზე ფიქრი მოდის დაჭრილი კაცის სისუსტისგან. ვინ ფიქრობს ჩემზე გარეთ:

!!! გურამი როცა ფიქრობს ორივე დაზე: იას ის ნაკლი აქვს, რომ თავის უმნიშვნელო ნაკლს უნდა ხელი დააფაროს, დამალოს, ამიტომ ის უფრო ჩანს.

სალომეს პირიქით, ბევრი ნაკლი აქვს გარეგნობაშიც, გულშიც და პირიქით, ყველა იმათგანს მაქსიმალურად ამჟღავნებს, ამიტომ ნაკლი ღირსებად ექცევა ხოლმე _ რომ გამოდის რატომ უარს ეუბნება და არ მალავს, რომ შოთასთან გაცვალა. ეჯახება შოთა და მაინც.

ია და სალომე!!! რომ ცოდვა ჩაიდინოს ... კლავენ ცოდვას.

!!! რატომღაც მასთან ამჟღავნებს ყველა თავის ხასიათს _ მაცდურია.»

ბოლო: სურათი III

«აი, ღორი მამაძაღლი შოთა და კოტე. ერთი ცბიერი, მეორე დურაკი და მშიშარა, აღგზნებული»

სალომე: ათჯერ გამეორებული გინება უკვე ქებაა და პირიქით, მაგრამ როცა ორივე ასჯერ_ ათასჯერ მეორდება, ეჩვევი და შენი ხდება.

ია: არის შენში მატყუარა, რა? არ ვიცი.

გურამი: მოჩვენებითი ბედნიერება.»

რვეული 2:

რვეულის პირველი გვერდის მარჯვენა კუთხეში დაწერილია დიდად რიცხვი «2:»; მიანიშნებს მეორე რვეულს.

ამ რვეულის მესამე გვერდის ბოლოს მთავრდება პირველი მოქმედება: «(პირველი მოქმედების დასასრული)»

გვ. 4.

ჩანაწერი, რომელიც უნდა ეკუთვნოდეს პირველ სურათს:

«ბებოს არწმუნებს ბედნიერებას და თვითონვე ველარ ირდგენს როგორ შეიძლება კაცი უბედური ან უკმაყოფილო იყოს.

ბიჭების ხორო: სიბოროტე ჩვენშია და არა ჩვენს გარეთ».

ამავე გვერდზე მომდევნო ტექსტი უნდა ეკუთვნოდეს შემდეგ სურათს (ძირითად ტექსტში შეცვლილია სხვა სიტყვებით):

«ია: დაიმალე შკაფში

გურამი: მე? ეს ხომ უძველესი თეატრალური ტრიუკია. მოიფიქრე რამე ცოტა უფრო ორიგინალური.

ია: არ არის მაგის დრო, ჩქარა, საცაა შემოვა.

როცა სიტუაცია მოითხოვს, როცა საჭიროა ან როცა თავის ადგილია, იქ შაბლონი არ არსებობს და ეს სიტყვაც თავის აზრს კარგავს და ჩვენ ყველანი ამას უნდა შევურიგდეთ.»

შემდეგ გვერდზე ფურცლის დასაწყისში დიდი ასოებით დაწერილი «მეორე მოქმედება. სურათი I» გადაშლილია მწერლის მიერ ყავისფერი ფანქრით.

მოქმედება მეორეში, «სურათი II»-თან, მინაწერი არეზე: *«აქ არის შოთა, მარშანია და შოთა ერთად მიდიან, გურამის დაჭერის ამბავი რომ ჩააწყონ.»*

რვეული 3.

მოქმედება III

მინაწერი არეზე: *«დიალოგის შუა და შუა უნდა იყოს გიჟის ყვირილი: გამიშვით, მე გიჟი არა ვარ» ამ ადგილას და სანიტრების ორი_სამი პასუხი.»*

სურათი I_ის ბოლოს მინაწერი: «წინ, სიმართლის თქმით აშაყირებს ფსიქიატრს.» /რაღაცეებს იძახის/

დაწერილია პირველი თავის ბოლოს, რვეულის ბოლო შიდა ყდაზე.

გადაშლილია ბოლო ორი რეპლიკა მწერლის მიერ:

«გურამი: ნახვამდის ია

ია: წახვედი გურამ?

და დავრჩი მე უძილო ღამესთან ერთად მარტო..

წყნარად ჯდომა იმას არ შეეძლო.»

ჩანაწერები «სალომე და გურამისათვის»:

1. ჩანაწერები რვეულის ფურცლის ერთ გვერდზე. დაწერილია იმავე კალმით, რითაც ძირითადი ტექსტი.

* *«წინასაწარ ვიცი იქ რა იქნება, ოღონდ მაინც მივდივარ, რომ გავიგო _ მე არ მეშინია იმედის გაცრუების, ცოდნის მიუხედავად ინტერესი მაინცა რჩება _ ჩვენ ხომ ვიცით, რომ ერთ მშვენიერ დღეს მაინც უნდა მოვკვდეთ, მიუხედავად ამისა, განვაგრძობთ ცხოვრებას შეუნელებელი სურვილით და იმედის ნაკადი «იქნებ არ მოვკვდეთ, იმ დროისათვის წამალი რამე მოიგონონ უკვდავების», არა გვცილდება, გინდაც ათასჯერ ვიცოდეთ, რომ ეს იმედი თავისთავად ტყუილია. _ მარშანია.* (სიტყვა «მარშანია» დაწერილია ყავისფერი ფანქრით. რამდენიმე ადგილას ყავისფერი ფანქრით არის გადაშლილი რვეულებში მოთავსებული ძირითადი ტექსტი).

* *პოეტების წრეში: ტოლსტოის ამტვრევდა მთელ ტანში (82 წელი იცხოვრა). ისეთი ტონით ამბობდა ერთი _ გულში ნასიამოვნები, რომ თვითონაც ამტვრევს _ გურამი პირში ეუბნება*

_ ის უარყოფს.

_ მერე რა, _ ამბობს გურამი _ ეს უკეთესია.

2. მწერლის მიერ დაჭრილია თაბახის ფურცელი შვიდ პატარ-პატარა ფურცლებად. ზოგიერთ ფურცელზე არის რაღაც ჩანაწერი. გაურკვეველია, ეს ჩანაწერები ეკუთვნის ამ პიესას თუ «სულხანსა და მეს», რომელიც დაიკარგა, თუ სხვა რომელიმე დაუწერელ პიესას. რადგან ნახსენებია სახელი «სალომე» და «ია» ისინი მოგვყავს ამ შენიშვნებში (ფურცლებს გამოვყოფთ ერთმანეთისაგან გამყოფი ხაზებით):

«სალომე»/

«ია: იამ ისე იცის გარეგნობის დაჭერა, რომ კაცებოს რომ შეეძლოს, ქვეყანას ჩაიგდებდა ხელში. არ მალავს ია არც ერთ ნაკვთს, თითქოს ისეთიც უნდა იყოს. «/

«ბიჭია: კაცებო ამბობს. კომკავშირის ძაგება. ბოლო _ გამართლება _ კაცებოსგან _ თავისთვის. თვითონ ბიჭია აგონებს კომკავშირს _ კაცებო ტუქსავს.» /

«კაცებო: ერთ დღეს 5 კაცი ეტყვის სხვადასხვა დროს _ უსაქმურო!» /

«ნიაზი:» /

«სულხანი» /

«ისე აზრები»//.

3. ჩანაწერი რვეულის ფურცლის ერთ გვერდზე. დაწერილია სხვა მელნით:

«მეც მთავრობის მეთაურთან და უამრავ სხვა ხალხთან ერთად მიკვირს ბევრი განათლებული ამერიკელი მოქალაქისა და ჩვენი ადგილობრივი საბჭოთა ქართველების გარკვეული ნაწილისაც, რომლებსაც არ შესწევთ უნარი ასეთი ცხადი ჭეშმარიტების არაღქმისა, ვერგაგება: პლანეტა მეზობელი, სხვა სხვაგან _ რაკეტა. მაგრამ ეს საპატიებელი ბომბია შენთვის, რადგანაც ეს ისეთი თვალისმომჭრელი სიცხადეა, რომლის თვალის გასწორებაც არც-თუ ისე ადვილია სუსტი ადამიანისათვის, განსაკუთრებით თუ ის გონიერებაზე გარკვეული პრეტენზიული სენით არის დაავადებული (ეს აკლებს თვალის გუგებს სიძლიერეს).

4. ჩანაწერები ოთხ თაბახის ფურცელზე (ფურცლებს ერთმანეთისაგან გამოვყოფთ გამყოფი ხაზებით).

I. *«გურამი:*

_ რატომ გვეჩვენება, რომ ის, ვისზეც ვფიქრობთ, არის ჩვენს გვერდზე

_ რატომ მეშინია მე,

_ რატომა ვგრძნობ ყოველ წამს მის მზერას, ვისი ხშირად არც ვიცი, რაც საშუალებას არ მაძლევს სულ მარტოც კი ვიყო თავისუფლად, დაუჭიმავად.

_ რა ცოდვა მაწვალებს მე, რა მიკრძალავს საშუალებას ვიყო თავისუფალი სხვასთან და, მარტო არა ვგრძნობდე სხვის თვალებს.

_ განჭვრეტა: სხვა ჭვრეტს, თუ არა ჭვრეტს, არ შეუძლია და იმიტომ.

სინამდვილე: ყველა ჭვრეტს, როგორიც შენ მარტო ხარ, იმის მიხედვით გექცევიან შემდეგ, რადგან შენდაუნებურად სხვაგანაც ისევე იქცევიან, თუნდაც ეს ქცევა დამალვით იყოს გამოხატული.» /

II. *სოსო: არის ლოთი _ რჩება საგიჟეთში.*

დავიწყებ საგიჟეთით.

მშიშარაა და ეშინია ლოთის სახელი დაკარგოს, რადგან იმდენი ნიჭი აქვს, რომ მეტი უნდოდეს, ხოლო შნო არა აქვს.

სულხანს ეშინოდა არ ჩამორჩენოდა და მოიგონა თავის თავთან სალომეს სიყვარული.

სალომეს სიყვარული გურამმა თვითონ ჩააგონა სულხანს.

გურამი: რამ მაიძულა შემეყვარებინა ძალისძალათი სულხანისათვის სალომე, მერე მიმეტოვებინა ორივენი?

უსაქმურო! როცა ეუბნებიან.

გურამი: და როგორ არის გავსებული ჩვენი ცხოვრება ორმაგი ტანჯვებით. არ აკეთებ და გეშინია, რომ ვერ მოასწრებ, როცა ფიქრობ, რომ გააკეთე, გეშინია, რომ აღარაფერი დაგრჩება და მერე რას შვრები.» /

III. *«სალომე*

სოსოსაგან სალომეს სიყვარულში გამოტყდომა _ позорная сцена с яблоком.

სალომეს და _ ის, რაც ატყუილებს გურამში.

სალომეს ქმარი.

სოსოსაგან თავის მოკვლა.

ღამის მონოლოგი ქუჩაში.

გაზაფხულზე (ხდება) იჭრება ტანში მუდმივი სითბო, სიკვდილი ახლოს, უფრო მშობლიურს, ნაცნობს, თბილს ხდის გარემოს.

გურამი და ბებო.

უსაქმურო! _

ასტრონომებთან _ ბოლო: ჩუ, მე უსაქმური ვარ!! უსაქმური. ვლაპარაკობ გიჟივით. მე ვიცი, რომ უსაქმური არა ვარ, მე ვიცი, რომ გიჟი არა ვარ, მაგრამ ხი, ხი, ხი, მე თქვენ მოგიყვებით ერთ ანეგდოტს და სამუდამოდ დავტოვებ სცენას;

ქათმისა და ქერის მარცვლის ამბავი.

რატომ აღარა ვარ სალომესთან? მომწყინდა? ამოვწურე?

არა. აღარ მინდა? არა. მე მეშინია რომ პირველი ის მიღალატებს _ трусость! და კიდევ, რომ სულ მიყვარდეს, მეშინია სწორედ ამის _ სულ რომ მიყვარდეს? მერე? მერე? ა? მერე რა იქნება. ო, ამ კითხვის დროს წიგნების და კუბოს სუნი მომდის. მე მეშინია და მივრბივარ სხვისკენ, რომ არ ვიფიქრო საბოლოოზე, როგორი ბოლოც არ უნდა იყოს ის.» /

IV. *«სალომე:*

_ სიყვარულია ჩემი მბრძანებელი, რა გინდა შენ?

_ ამაზე მე არაფრით არ შემიძლია გიპასუხო.»

შტრიხები ტრაგედიის ინტერპრეტაციისათვის:

«ვზივარ პროფესორის კაბინეტში. მტკივა ყველაფერი. რა საზიზღრობაა ფიზიკური ტკივილი!.... 21 იანვარი, 1959 წელი» (ჩაწერილია ბლოკნოტიდან ამოხეულ პატარა ფურცელზე).

გურამის ავადმყოფობა და ტკივილები მე არ მახსოვს. არქივზე მუშაობისას დედას და მამას ვკითხე, რა სტკიოდა გურამს, რატომ იწვა საავადმყოფოში-მეთქი. არაფერი განსაკუთრებულიო, მითხრა მამამ. უბრალოდ, განერვიულებული იყო ძალიან და ლილი ნაკაშიძემ (იმ დროს ცნობილი ფსიქიატრი, ოჯახის ახლობელი) გვირჩია, დროებით საავადმყოფოში მოათავსეთ, გამოეთიშება ქალაქის ცხოვრებას და ცოტას დაისვენებსო. ასე მითხრეს ჩემმა მშობლებმა და, ალბათ, ასეც იყო. შეიძლება მას, მართლაც, რევმატიული ტკივილები აწუხებდა, რომელიც მოულოდნელად დაეუფლა ჩემს ძმას, რის გამოც დასთანხმდა ის მშობლებს «არამიანცის» საავადმყოფოში დაწოლილიყო, ზაფხულში კი სამკურნალოდ წასულიყო წყალტუბოში (რევმატიული ტკივილების და თითქოს მათი გამომწვევი მიზეზის შესახებაც გურამი წერს ერლომს წყალტუბოდან 1959 წლის ზაფხულში: «უზომოდ სქელია ბაკანი გასამტვრევად, ბრიყვულად, უაზროდ და ნაცრისფრად სქელია, ისე რომ, არც კი იცი იმის რომელ ადგილს შეუტიო. მე კი ძალიან დიდი ვარ იმისათვის, რომ შიგ დავეტიო და ასე ვორთქლდები არყისგან, როცა ვსვამ _ ნერვიული რევმატიზმებისაგან, როცა სასმელის დალევა აღარ შემიძლია.»)

ნუგზარ წერეთელმა თავის დღიურში იპოვა ჩანაწერი, დათარიღებული 1959 წლის იანვრით: «დღეს მე და გურამ რუსიშვილი წავედით არამიანცის საავადმყოფოში. ძლივს მივაგენით... გურამი ძალიან მოწყენილი მეჩვენა, მითხრა, საშინლად მტკივა წელი, ფეხები და, საერთოდ, ყველაფერიო... მე შევპირდი, რომ კიდევ ვნახავდი. მითხრა, არ გინდა, მალე გამოვალო, სადმე უნდა წავიდე, რადგან ქალაქში ვერ ვძლებ, სხვაგან უკეთესად დავისვენებ, თან ძალიან ბევრი სამუშაო მაქვსო.» შესაძლებელია, მართლაც, ამ ტკივილების გამო უძნელდებოდა მას ქალაქიდან წასვლა, როგორც იცოდა ხოლმე ასეთ დროს, და ამიტომ, დროებით, საავადმყოფოს შეაფარა თავი.

განყოფილების გამგე, პროფესორი შიო გუგეშაშვილი მამას ახლო ამხანაგი იყო და გურამს საკუთარი კაბინეტი დაუთმო, ალბათ, სამუშაოდ. მახსოვს, უზარმაზარი ტყავის სავარძლები, დიდი, ძველებური ხის საწერი მაგიდა, მაგიდაზე და გურამის ხელში რაღაცა ფურცლები. რაზე მუშაობდა? რას წერდა ის იმ დროს? მართალია, ბლოკნოტში შემორჩენილია დაახლოებით ამ პერიოდის ამონაწერები «ფაუსტიდან», მაგრამ საავადმყოფოში გურამი «ფაუსტს» არ კითხულობდა. ეს იმიტომ მახსოვს კარგად, რომ მთხოვა რამე წასაკითხი მიმეტანა მისთვის. გულგრილად მოვეკიდე ჩემი ძმის თხოვნას და წავუღე რაც ხელში მომხვდა: ჰიპოკრატე(!), რომელიც ამხანაგის მედიკოსი მშობლების თაროზე იდო. (საერთოდ, გურამს მუშაობის დროს კითხვაც უყვარდა. შეიძლება კითხვის დროს ისვენებდა და თან ძალასაც იკრებდა. ყოველ შემთხვევაში, ეს ორი პროცესი ერთმანეთს ხშირად ემთხვეოდა. მახსოვს, «დევების ცეკვისა» და «ბათარეკა ჭინჭარაულის» წერის პროცესში კითხულობდა გოგოლს, პირველი მოთხრობებისას _ ჰემინგუეის, მოსკოვში პირველი პიესების წერისას _ ანტიკურ ტრაგედიებს და ტოლსტოის). გურამის საავადმყოფოში ყოფნა გასაიდუმლოებულივით იყო. ესეც შეიძლება იმის დასტურად გამოდგეს, რომ ჩემი ძმა შიო გუგეშაშვილის კაბინეტში რაღაცაზე მუშაობდა და ისე, როგორც სხვა დროს, ამხანაგებთან შეხვედრას ერიდებოდა.

მახსოვს, ქურთუკმოხურული როგორ იჯდა ის ჩუმად, დაწერილი ქაღალდებით ხელში, დიდ, ტყავგადაკრულ სავარძლებიან ოთახში ბატონ შიოს მაგიდასთან და თითქოს რაღაც მორცხვად იღიმებოდა. მე ჩემი პრობლემებით ვიყავი გართული. ახლა რომ ვფიქრობ, არ არსებობდა არავითარი ჩემი პრობლემები. მთავარი იყო შემეფარებინა თავი გულგრილობის ნიღბისათვის რაღაც ძალიან მნიშვნელოვანის,

თუ სიმართლის მიმრთ, რაც უფრო და უფრო იგრძნობოდა გურამის გვერდით და რისი გაგების არც სურვილი მქონდა მაშინ და არც თავი.

ერლომ ახვლედიანი იგონებს: ერთხელ, გურამის თხოვნით მივედი არამიანცის საავადმყოფოში. გურამმა მისვლისთანავე საითკენღაც წამიყვანა. რაღაც ბნელ კორიდორში გავჩერდით საბოლოოდ, რომელიღაცა ვიწრო კიბის თავზე. ვგრძნობდი, რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ არ უთქვამს არც ერთი სიტყვა, თითქოს დამუნჯდაო. მხოლოდ მიყურებდა, თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე. მეც არ მითქვამს არაფერი. მერე უბრალო რაღაც შევეკითხე მდგომარეობის განსამუხტად. მაგრამ ელდა, რაც თავდაპირველად დამეუფლა, არ გაბათილდა. ჩუმადვე დავცილდით ერთმანეთს.

* როდის და სად დაწერა გურამმა «იულონის» მომდევნო ორი ტრაგედია? ერთი რამ ვიცი, რომ სახლში ის სიტუაცია, რაც «იულონის» წერის დროს იყო, აღარ ყოფილა. არც ოჯახის წევრებმა და არც მისმა მეგობრებმა არაფერი იცოდნენ მათ შესახებ. გურამის გარდაცვალების შემდეგ ისინი მოულოდნელად აღმოჩნდა არქივში. ერთნაირ რვეულებში, ერთნაირი გაკრული ხელით, უფერო კალმით, თითქოს ნაჩქარევად დაწერილი ეს ტრაგედიები, რომელთა ავტოგრაფებს არ ეტყობოდა მუშაობის კვალი, თითქოს არაფერ საინტერესოს არ სთავაზობდნენ მკითხველს. მათი წაკითხვა, არქივის პირველი დალაგებიდან მოყოლებული, იდებოდა მომავლისათვის. წასაკითხი და გამოსაქვეყნებელი იყო ჯერ მოთხრობები, რომელთა შესახებ ასე თუ ისე ვიცოდით რაღაც: «ბათარეკა ჭინჭარაული», «დევების ცეკვა», უკვე ცნობილი პიესები და, საერთოდ, მთელი შემოქმედება (მოულოდნელი იყო «ნათელას» აღმოჩენაც და ბევრი სხვა ნაწარმოებისაც. მკითხველს შევახსენებ, რომ მწერლის სიცოცხლეში გამოქვეყნებული იყო მხოლოდ ექვსი ნაწარმოები. «ალავერდობა» და «ირინა» გამოქვეყნდა გურამის გარდაცვალების შემდეგ). ცხადია ერთი რამ, ეს ორი ტრაგედია უშუალოდ მოსდევდა «იულონს». აქ მნიშვნელოვანია ფორმალური ნიშნები: «იულონის» შავი ავტოგრაფი, «სალომე და გურამი» და «სულხანი და მე» დაწერილია მსგავს რვეულებში. მსგავს თაბახის ფურცლებზეა დაწერილი «იულონისა» და «სალომე და გურამის» ხელნაწერებში ჩასამატებული ტექსტებიც. ასეთივე რვეულებში იყო დაწერილი 1958 წლის სექტემბრის, ოქტომბრის, ნოემბრის დღიურები და, აგრეთვე, «შაშას რევოლუციის» ძირითად ტექსტში ჩასამატებელი თაბახის ფურცლები. შეიძლება ითქვას, რომ «შაშას რევოლუცია», ეს სამი ტრაგედია და შემოდგომის დღიურები, ფორმალური ნიშნების მიხედვით, ერთ მთლიანობას ქმნიან. გარდა ამისა, მათ ერთ მთლიანობად აერთიანებთ ის აღსარება-სინანულის ნაკადი, რაც, «ირინა და მედან» მოყოლობელი, მზარდი ინტენსივობით, ძლიერად დაიძრა მწერლის შემოქმედებაში და ამ დროისათვის მოიცვა თითქმის ყველაფერი. აქვე შეიძლება გურამის სიტყვების გახსენებაც: «მორჩა, ვიწყებ ტრაგედიების წერას». თითქოს «შაშას რევოლუციის» შემდეგ ის უკვე გრძნობდა, რომ ერთი ნაწარმოებით ვერ დამთავრდებოდა ყველაფერი.

როგორც უკვე ვთქვით, «იულონისაგან» განსხვავებით, გურამს ამ ტრაგედიებზე არ უმუშავია. არსებობს მხოლოდ რამდენიმე ჩანაწერი «სალომე და გურამისათვის». მათ შორის არის ერთი, რაც შეიძლება მივიჩნიოთ ჩანაწერად «სულხანი და მესათვის»:

«სულხანს ეშინოდა არ ჩამორჩენოდა და მოიგონა თავის თავთან სალომეს სიყვარული.

სალომეს სიყვარული გურამმა თვითონ ჩააგონა სულხანს.

გურამი: რამ მაიძულა შემეყვარებინა ხელისძალათი სულხანისათვის სალომე, მერე მიმეტოვებინა ორივენი?»

სულხანი არის «იულონის» გმირი, «ისიც მწერალი»; სალომე _ «სალომესა და გურამის» გმირი. შესაძლებელია, «სულხანსა და მეში» იმდაგვარად ვითარდება სიუჟეტი, როგორც ეს ზემოთ მოყვანილ ჩანაწერშია: გურამი სულხანს შეაყვარებს სალომეს და მერე ორივეს ანებებს თავს. ეს ფაქტი გამოდგება იმის დასტურად, რომ «სულხანი და მე» არის რიგით მესამე ტრაგედია. ამდაგვარი სიუჟეტი თანხმობაშია გურამის სიტყვებთან, «იულონის» კომენტარების წერისას რომ მოვიხმე: «ყველაფრის მკისრებელი ვარ, ჩემი ნდობა არ შეიძლება.» ან კიდევ გურამის ერთ-ერთ დღიურში გამოთქმულ მოსაზრებასთან: «წავალ წინ და უკან აღარ მოვიხედავ, ჩემი ნდობა არ შეიძლება.»

შესაძლებელია, ეს ორივე ტრაგედია გურამმა დაწერა საავადმყოფოში (როგორც უკვე ვთქვით, ჩემი ძმა წერდა იქ რაღაცას, რაც გასაიდუმლოებულივით იყო. «ბევრი სამუშაო მაქვსო», უთქვამს ნუგზარისთვისაც), ან დაიწყო საავადმყოფოში და დაამთავრა უკვე მუზეუმში, სადაც, როგორც ჩანს, საავადმყოფოდან გამოსვლის შემდეგ მალევე დაიწყო მუშაობა. საბუთების მიხედვით, ეს იყო 1959 წლის 25 მარტი. თუმცა მახსოვს, რომ მუზეუმში ოფიციალურად გაფორმებამდეც დადიოდა და რაღაცას წერდა.

როგორც ახლა გაირკვა, იმ დროს, როდესაც გურამი და ერლომი ერთმანეთს საავადმყოფოს კიბეზე შეხვდნენ, ჩემს ძმას სულ ორი-სამი კვირის დამთავრებული ჰქონდა «იულონი».

«პირველი ტრაგედიის» ბოლო ეპიზოდში, ტრაგედიის გმირებს, რომელნიც მას თეზიკოს გაცოცხლებას სთხოვენ, გურამი ელაპარაკება აღსარების მნიშვნელოვნებაზე: «ეს სიკვდილი სისხლის გამოშვებასავითაა და თქვენ უმაგისოდ ნახეთ, რა იქნებოდა ნამდვილი ტრაგედია, რომელსაც ვერავინ ტრაგედიის შერქმევასაც კი ვერ გაუბედავდა.» «აბა, თქვენ თვითონა თქვით, რა ტრაგედია იქნებოდა, რომ კაცი არ მომკვდარიყო, ან ვინ დაიჯერებდა, რომ ეს ტრაგედიაა? ის კი არა, თეზიკოც მეცოტავება ტრაგედიისათვის...». ჩემი აზრით, სიტყვებში: «ის კი არა, თეზიკოც მეცოტავება ტრაგედიისათვის», უკვე ჩამალულია წინათგრძნობა მომავალი აღსარებებისა, ჩამალულია განცდა, რომ თეზიკოს მკვლელობით არ დამთავრებულა მისი «უღმრთოების» გამოვლენა, სათქმელი კიდევ ბევრი დარჩა, შესაძლებელია, ნათქვამთან შედარებით უფრო მნიშვნელოვანი და საშიშიც კი.

ასე რომ, იმ სიდიადის მომენტშივე, როდესაც უმკვდროდ, უბიჭებოდ, უგმირებოდ დარჩენილმა მწერალმა იგრძნო სიყვარულის ძალა, რომლის შეგრძნებაც «ყველაფრის გამგებ, ყველაფრის მპატიებელ ღმერთამდე» ადიოდა, სრულიად მოულოდნელად დაიბადა მასში ახალი კითხვა თავისი პასუხით: «ღმერთო ჩემო, ნუთუ მართლა ეს პიესა მხოლოდ მოწყენილობის გულისათვის დავდგით?! ო, არა! აქ კიდევ არის სხვა რაღაცა და ის უნდა გავიგო. ახლა კი მე დავიღალე და ეს ერთადერთი გზაა, დროებით გავექცე ყველაფერს... « აი, ვფიქრობ, სწორედ ამ «დაღლიდან» მოდიოდა «ყოვლისმომცველი საზიზღარი ფიზიკური ტკივილები», რომელთა საფუძველი, სავარაუდოა, იდო იმ შეგრძნებაში, რომ «იულონი» მხოლოდ დასაწყისია აღსარების, რომ «ფარდა» მხოლოდ დროებით ჩამოეფარა სცენას, რომ გასაგები რჩება ჯერ კიდევ «არა რაიმე, არამედ ყველაფერი». პირიქით, შეიძლება «იულონმა», გულის სიღრმეებიდან დაძრულმა სიტყვამ, ის კიდევ უფრო დიდი გულწრფელობისათვის განაწყო. თუმცა, შესაძლებელია, ამ ტრაგედიების წერისას, «კალამზე მინდობით»

(«წერა გამარკვევს») გურამი ეზიარა ისეთ სიღრმეებს, რამაც უფრო დაამუნჯა, ვიდრე განაწყო სალაპარაკოდ. როდესაც გურამი ვახტანგ ჭელიძისადმი მიწერილ წერილში წერდა, ხელოვნებას მარტო გულწრფელობა სწამსო ან კიდევ დღიურში _ «იმდენად დიდი სურვილი მაქვს გულწრფელობის, რომ ეს ჩემთვის თითქმის შეუძლებელიაო», გარდა «საქმეებისა», ის გულისხმობდა თავის გულისთქმებს, გულის სიღრმეებს, რომელთა მთლიანად «გამომზეურების» აუცილებლობაც, როგორც ჩანს, მან ელდასავით იგრძნო.

***** თუ ადამიანი ლექსების დაუწერლად შეიძლება იყოს პოეტი (პოეტური ბუნების გამო. გაიხსენე «ნათელა» _ მ.რჩ.), რატომ არ შეიძლება ქურდად მივიჩნიოთ ის, თუ გულში ქურდობის სურვილი გაუვლია («სალომე და გურამიდან»)! ეს დამოკიდებულება ცოდვისადმი გასდევს მთელ ტრაგედიას. აქ გურამი არის ქურდი, მკვლელი, მოღალატე, წმინდა გრძნობების შემბღალავი, ზოგადად და კონკრეტულადაც, და სხვ. მას თითქოს გამუდმებით ესმის იმ «ჭუჭყიანი სხეულის ხარხარი», რომლის «გასაწმენდად და ასამაღლებლად გამოაგზავნა მზემ თავისი სხივები». ის ბღალავს, შესაძლებელია, მისთვის ყველაზე სანუკვარსაც, როდესაც თავისი მრუშობის ადგილად ეკლესიის სამრეკლოსთან, გუმბათთან ახლოს, პატარა ოთახს ირჩევს, თითქოს მისთვის სულ ერთი იყოს ყველაფერი, თითქოს ის, მართლაც, «ყველაფრის მკისრებელი იყოს» («რამეთუ უშჯოლოებანი ჩემნი აღემატნეს თავსა ჩემსა ...რამეთუ მომიცვეს მე ბოროტთა, რომელთა არა არს რიცხუ; მეწინეს მე უსჯულოებანი ჩემნი და მე ვერ უძლე ხილვაი; განმიმრავლდეს მე უფროის თავისა ჩემისათა და გულმან ჩემმან დამიტევა.») გურამის მიმართ ნახმარ ეპითეტებს ემატება «უღვთოც». აქ იგულისხმება ყველაფერი, რამაც გურამს 1958 წლის შემოდგომაზე წამოაძახებინა: «მორჩა, ვიწყებ ტრაგედიების წერას» (იხ. «იულონის» კომენტარები). თუ ბარათაშვილს «ხმა იდუმალში» აქვს მომენტი, როდესაც ლირიკული გმირი საკუთარი სინდისის ხმის დევნისას გაიფიქრებს: «მაგრამ მე ჩემში ვერ ვჰპოვებ ავსა, მის საშფოთველოს და საქენჯნავსა», გურამს სინდისის ქენჯნა დაჰყვება უკან «უწვეტი კაკუნით». ის ყოველ წამს აღიქვამს «მოუწესრიგებელი სინდისის საქმეებს» საკუთარ თავში. ამ ტრაგედიაში სინდისზე ლაპარაკობს თითქმის ყველა გმირი და არა მარტო გურამი: «ჩვენ ჩვენი ცოდვების სიდიდე და მისი თავიდან მოშორების სურვილი გვწამს» (ბებო). «საკუთარი სინდისის ქენჯნა თუ გამაჩნია, გულშივე ჩავკლა.» (შოთა) «არაფერი აღარ მინდა დავტოვო ჩემში კარგი, თუ ვცოდავ, ბოლომდე და ყველაფრით» (სალომე) და სხვ. გურამისათვის თითქოს ერთი იყო საქმე და გაფიქრება. გულისთქმა თითქოს მეტიც იყო მისთვის, რადგან, როგორც წერს, რაღაცა დაუწერელი კანონების მიხედვით, გულისთქმისათვის არა სჯიან. სასჯელის მიყენება კი ამსუბუქებს დანაშაულს, ისე როგორც ცოდვის ხმამაღლა აღიარება.

ასე რომ, მწერლის ალტერ ეგოს არც ერთი წამით არ ტოვებს შეგრძნება «სხვისი თვალისა», გამუდმებით მის გასამართლებას და დასჯას რომ მოითხოვს: *«უსიამოვნო შეგრძნება მიპყრობს მარტო დარჩენილს, თითქოს კედლებიდან გამოდის ხალხი, უსხეულო, ბოროტი და გაუსამართლებლად ითხოვს ჩემს ჩამოხრჩობას. ალბათ, სიმთვრალე მომერია, თუ მარტოდ დარჩენილი შიშმა დამჩაგრა?! ისევ, ისევ იმათთან, ხალხთან გინდა წახვიდე, რომ ისევ მარტო იგრძნო თავი, ნუთუ ისეთი მშიშარა გახდი, რომ ისევ მარტო დარჩენილმა პასუხი აგო ათას სხვა სინდისებთან, რომლითაც ივსება ეს ქუჩა; არ შემიძლია, ისევ წავალ იქ, და ხალხში მარტო დავრჩები, მხოლოდ იმათთან ვგრძნობ ნამუსსა და სიმარტოვეს. ისევ ვიმღერებ იმათთან ერთად იმათი სიტყვებით ხმამაღლა და ისევ საიდუმლო, მხოლოდ ჩემი*

უბგერო ხმა, რომ ყველაფერი ტყუილია, მეც ტყუილი ვარ, ჩემი გართობაც, ამ გართობით მოგონილი თავის შექცევაც, გამომყვება უწყვეტ კაკუნით, როგორც სინდისის ქენჯნა, რომელიც ჩემი ბგერიანი ხმის გაზრდასთან ერთად იზრდება – იქ, ხალხში, მარტოობას კიდევ ავიტან, იქ მე ვტყუივარ, იქ სხვას ვატყუებ, ხოლო აქ, როცა სულ მარტო ვარ და არ ვიცი ვის ვატყუებ, მე მეჩვენება, რომ ჭკუიდან ვცდები. აბა, რომელი ჭკუათმყოფელი მოატყუებს თავის თავს. ო, რომ ვიცოდე რა ადგილას ვტყუივარ მე, მე დავიფიცებდი, რომ აღმოვფხვრიდი იმავე წამში ამ ტყუილს, მაგრამ მე ვტყუივარ ყველაფერში, რასაც ვაკეთებ, და, რასაც არ ვაკეთებ, იმაში იმითი ვტყუივარ, რომ არ ვაკეთებ...»

***** ამონაწერი ნოემბრის დღიურიდან:

«...ამ სტრიქონების დამწერი იმყოფება საშინელ დაბნეულობაში, უფრო სწორედ, გაურკვევლობასა და ბურუსში, ეს ყველაფერი გამოიწვია სულ რამდენიმე ხნის წინათ მის გონებაში შეჭრილმა არაჩვეულებრივმა სიცხადემ, თითქმის ფიზიკურმა შეგრძნებამ, რომ მან გაიგო ის არსი, რისთვისაც ცხოვრობს, რომ მან დაინახა გზა, რომელსაც უნდა მიჰყვეს და უცებ ყველაფერი გახდა ისეთი მარტივი, მშვიდი, ადვილი, რომ მას შეზარა, შეზარა ამ უკიდურესობამდე სიადვილემ _ იყო ბედნიერი და კმაყოფილი, გიყვარდეს ყველა და დაკარგო ვნებები, სურვილები და იგრძნო თუ არა ყველაფერი ეს, შეგრძნება გადაიქცა ცოდნად, ხოლო თვითონ გაქრა. გრძნობებმა გამოჟონეს შიგნიდან, გამოვიდნენ, გაიფანტნენ, დაიბნენ..»

როგორც ზემოთ მოყვანილ დღიურშია ნათქვამი, მნიშვნელოვანი შეგრძნება _ *«გაიგო ის არსი, რისთვისაც ცხოვრობს... დაინახა გზა, რომელსაც უნდა მიჰყვეს»*_ რაღაც წამს გადაიქცევა ცოდნად და თვითონ კი ქრება. ამის შემდეგ გურამი გარედან, ირონიულად იწყებს თავისივე შეგრძნების აღქმას, რაც, ალბათ, საფუძვლად ედება «ჭუჭყიანი სხეულის» ხარხარს, ყველაზე სანუკვარი და წმინდა ფიქრების მოსვლის ჟამს რომ ესმის. ეს გასდევს ამ ტრაგედიის მთავარი გმირის თითქმის ყველა მონოლოგს. იგივე განცდა უნდა ედოს საფუძვლად «სალომე და გურამის» პირველი მონოლოგის გვერდით გაკეთებულ მუშა ჩანართს: «ეს მონოლოგი იქნება ბრჭყალებში, ვითომ თავის თავს _ განწყობას აბრაზებს», აგრეთვე, იმ ფაქტს, რომ მრუშობის ადგილად საგანგებოდ ირჩევს ეკლესიის გუმბათს, რითაც მას, შესაძლოა, უნდა მასში აღძრული მნიშვნელოვანი, უკვე ცოდნად ქცეული შეგრძნების დამდაბლება, მისთვის გვირგვინის მოხდა და სხვ. ამ დროს მის დასახასიათებლად ნათქვამ ეპიტეთებს: «ქურდი», «მკვლელი» და სხვ. ემატება «უღვთოც». ერთგან, «წმინდა ფიქრისა» და «ჭუჭყიანი სხეულის ხარხარი» ენაცვლება ერთმანეთს მთელი მონოლოგის განმავლობაში და თითქოს მთელი ტრაგედიის თავისებურებას შეკუმშულად წარმოაჩენს:

«...შენ უკვე ამოდიხარ, მზეო, გალამაზებული და გამოძინებული ღამის წყვდიადში, მე კი ჯერ არ დამიძინია. არაუჭირს არტისტი გამოვიდოდა ჩემგან, ისევ რაღაცა არაბუნებრივი მწვდა ყელში ამ სიტყვების თქმისას, რომელიც თითქოს გულით წარმოვთქვი. ალბათ, იმიტომ იყო უჩვეულო, როგორც თვითონ ეს სიტყვა «უჩვეულო», რომ ამ სარდაფში პატარა ფანჯრიდან არც ჰაერი ჩანს და არც თვითონ მზე, მაგრამ რაც გინდა იყოს, ჭუჭრუტანებში შემოსული ეს რამდენიმე სხივი, რომლის შუქზეც აუარებელი თვალით ხილული სხეული დაცურავს, ფიქრსა ჰგავს,

რომელიც სადღაც გაშლილი სამყაროს შუიდან გამოგზავნა მზემ, ხოლო ეს ბინძური ოთახი ჭუჭყიან სხეულს მაგონებს, რომელმაც იმ წმინდა ფიქრს ბინა უნდა მისცეს, რადგან ისეთი არაწმინდა ჭურჭლის გარეშე, როგორიც სხეულია, ყველაზე წმინდა სულიც კი არარაობას წარმოადგენს.

რამდენიც არ უნდა ვიცინო მე ჩემს ჭკვიანურობაზე, მაინც დილის სხივებმა მომანიჭეს მე ეს აზრები თავის გამომჟღავნების და თავის დაცინვის.

მადლობელი ვარ, მზეო, შენი, მთელი არსებით და ნუ მიაქცევ ყურადღებას იმ ჭუჭყიანი სხეულის ხარხარს, რომელიც მესმის ამ სიტყვების თქმის დროს ჩემი სხეულიდან...»

მოგონება:

ჩვენ ვცხოვრობდით სანახევროდ სარდაფის სართულში. ჩვენი ფანჯრებიდან, მართლაც, არც «ჰაერი ჩანდა» და არც თვითონ მზე. გვქონდა ორი საკმაოდ დიდი ოთახი: ერთი, მეორესთან შედარებით, უფრო ღრმად იყო მიწაში ჩამჯდარი. ამ ოთახს აღმოსავლეთით, ყოფილი კალინინის ქუჩის მხრიდან, ჰქონდა პატარა ვიწრო ფანჯარა. აქედან ადრე დილით შემოდიოდა მზის სხივი, რომელსაც, როგორც ჩანს, თავისებურად ელოდა თითოეული ოჯახის წევრი. (ამ სახლიდან გადასვლის შემდეგ ამ ოთახებში ცხოვრობდა ჩვენი მამიდაშვილი, მწერალი დათო ჯავახიშვილი. დათომ ერთხელ მითხრა: «შეგიმჩნევია რა უცნაურად შემოდის ამ ოთახებში მზის სხივი!») მზის სხივებში უამრავი მტვერი ფუსფუსებდა და სიმხიარულით ავსებდა ამ სანახევროდ ბნელ ოთახს. მახსოვს, მუდამ ლამაზად დაგვილ-დასუფთავებული ჩვენი ოთახი და მოთამაშე მზის სხივი. ამ ფანჯარაზე აძრომისას ვხედავდით ხალხის ფეხებს ქვაფენილზე, ტრამვაის ლიანდაგს, ისევ ქვაფენილს, რკინის მოაჯირის ქვედა ნაწილს და კათოლიკურ ეკლესიაში შესასვლელს.

ავტობიოგრაფიულია ბებოს სახე, მამის დედის _ ალექსანდრა ჯავახიშვილის. გურამს განსაკუთრებით უყვარდა ის. ერთხელ თქვა: «აი, ნიჭი, იყო მოხუცებული და გახსოვდეს შენი ახალგაზრდობა.» (ბებოზე იხ. ტომი 2, «ახლა მე ოცდახუთი წლისა ვარ» და ტომი 5, «ბებიაჩემისათვის», აგრეთვე, ლექსი ბებოზე ამავე ტომში).

* გურამზე, როგორც მისი შემოქმედებიდან ჩანს, თუმცა ცხოვრებაში არ მახსოვს ამის შესახებ რაიმე ეთქვას, ძალიან იმოქმედა კოსმოსში რაკეტის გასროლის ფაქტმა, თითქოს ადამიანი შეიჭრა აკრძალულ ზონაში _ *«აი, მამაო მღვდელო, თქვენ თვითონა თქვით, საით არის ღმერთი? – მაღლა, რა თქმა უნდა. საით გავისროლეთ რაკეტა? მაღლა, რა თქმა უნდა. ვინ გაისროლა? – ჩვენ, ჩვენი შეწირულობების დახმარებით, როგორც გუშინდელ ლოცვაში მოიხსენიეთ. გამოდის, რომ ჩვენი ხელით ვესროლეთ ღმერთს. არა მგონია, ამისთვის იქ მადლობა გვითხრან... მღვდელი: სულელო, ღმერთის შემწეობით მოხდა ყველაფერი. დებილი დიაკონი: მაშ, ღმერთს თვითმკვლელობა განუზრახავს, არა, მამაო მღვდელო?»*

«სალომე და გურამის» მიხედვით, თუ უსასრულობაში გაჭრის ვნებით შეპყრობილი ხალხი საკუთარ გულ-ღვიძლს საკორტ-საჯიჯგნად რაღაცა მეტალს უდებს ხახაში, რომ გამაძღარი ათასი ლეშით, ჯანზე მოსული, ის მაინც გაიჭრას ატმოსფეროდან, გურამი (ტრაგედიის გმირი) მზად არის საკუთარი სხეულით მიჰყვეს სულის სწრაფვას, საკუთარი გულ-ღვიძლი საკუთარ თავშივე შეუხამოს («გაძეხი, ბიჭო?») ამ ვნებას. ეს იგივეა, ალბათ, რაც საკუთარი სხეული შესწიროს სულის მოთხოვნილებას, რათა, სულისაგან მიტოვებული, მძორად არ იქცეს ის. ასე

რომ, ამ ტრაგედიის ლირიკული გმირი მზად არის არა მხოლოდ დაანახვოს სხვას გზა, რომელიც მიდის «იქითკენ», არამედ თვითონ, საკუთარი სხეულით, გაიაროს ის.

«სალომე და გურამის» მერე თითქოს გასაგები ხდება ბარათაშვილის «მერანის» ერთი სალექსო სტრიქონის გურამისეული პერიფრაზი, რომელიც არქივში ინახებოდა «ჩემი ლიტერატურული შეხედულებების» ჩანაწერებთან ერთად (იხ. ტომი 3. შენიშვნები «ჩემი ლიტერატურული შეხედულებებისათვის»):

«ბევრად უფრო ადვილია სხვას გაუადვილო სავალი გზისა, ვიდრე შენ თვითონ იყო ეს მოძმე.»

ან კიდევ ლევიკოს, მწერლის ალტერ ეგოს, ფიქრები კინომოთხრობიდან «ბევრი ბავშვები ერთად»:

«რა ძნელი ყოფილა, როცა მართლა აკეთებ რამეს. ნეტა რა იქნება შემდეგ, როცა დამჭირდება, გავუძლებ კი...» («ბევრი ბავშვები ერთად»).
«ამ მდინარეს გავცურავ, სხვას? მართალს, დიდს?»

* «სალომე და გურამი» მესახება «არათანაბარსაფეხურიანი» კიბის იმ ადგილად («Ступенки без начала и конца разных размеров, идущие вверх» _ გურამის ჩანაწერებიდან), საიდანაც ჩანს ამ კიბის როგორც წინა, გავლილი საფეხურები _ ზევით, მაღლა, «იქითის იქით» რომ მიდიან «დაუსრულებლივ», ასევე გასავლელიც. თითქოს მწერლის შემოქმედებითი მოღვაწეობის ოთხი წელი ერთ მთლიანობად სწორედ ამ წერტილში ერთიანდება.

«გურამი: სალომე, ხედავ ამ ოდნავ განათებულ კიბეებს?

... სიგიჟემდე მიზიდავენ კიბეები, ყოველი მოსაბრუნის შემდეგ მეჩვენება, რომ რაღაცა ახალი უნდა გამოჩნდეს, აი, ასე შემიძლია დაუსრულებლივ ვიარო მაღლა კიბეებით» («სალომე და გურამი»).

ამ ტრაგედიის პირველი მონოლოგი, რომელშიც მწერლის ალტერ ეგო საკუთარ თავს მოუწოდებს «სხეულითა და სულით» გაჭენდეს «წინ», «იქითკენ», სადაც *«მაღალთაღება, თხელსვეტება ცისფერ დარბაზში, ოქროსფერი ვარაყებით მოხატულ ტალანებში»*, დგას ის, რამაც უნდა მისცეს ახალი გზა და უფრო წინ გააფრინოს, ასე მგონია, «იულონის» გურამის ბოლო სიტყვების წართმოთქმისას დაიბადა *(«...აი, მე გურამი, ვდგავარ თქვენს წინ, ნამდვილი გურამი, რომელსაც უყვარხართ თქვენ სიყვარულთა შორის ყველაზე დიდი სიყვარულით, სიყვარულით ყველაფრისადმი, რომლის შეგრძნებაც ღმერთამდე ადის. ის არის ყველაფრის გამგები, ყველაფრის მპატიებელი...»).*

გურამის შემოქმედება «სალომე და გურამის» ამ მონოლოგამდე შეიძლება მივიჩნიოთ მწერლის იმ სულიერ მდგომარეობად, აღსარება-სინანულით, «წელში მოხრილი სიარულით» რომ ამზადებს ლირიკულ გმირს (მწერალს) მაღლა, ზევით მიმავალი კიბის საფეხურების ასავლელად.

მკითხველს შევახსენებ ადრეულ პატარ-პატარა მოთხრობებს თუ ჩანახატებს (იხ. ტომები 1, 2.), რომელთა საფუძველში უკვე იდო განცდა მწერლის მომავალი შემოქმედების. ამ მოთხრობების გარდა, ამ დროისათვის უკვე დაწერილი იყო «შაშას რევოლუცია», სადაც სინანულში მყოფი ძაგანია დაჯდება მსაჯულის სკამზე და თავის ცხოვრებას გაიაზრებს როგორც უკუღმართად განვლილ გზას. უკვე შექმნილი იყო «იულონი» _ სინანულში მყოფი შემოქმედის ხმამაღლა, «ყვირილივით ნათქვამი»

აღსარება. «სალომე და გურამში» კი თითქოს უკვე გამოჩნდა გზა, რომელმაც მწერალი ბუნებრივად წაიყვანა «დევების ცეკვისა», «ბათარეკა ჭინჭარაულის», «ნათელასა» და სხვა ნაწარმოებებისაკენ. აქვე ჩანს საფუძველი სულიერი გამოცდილებისა «ალავერდობის» გმირის, რომელიც ბოლო ეპიზოდში ტაძრის «მარადიულად დაწოლილ ვიწრო სიბნელიდან», გვირაბიდან გადის მზის კაშკაშა სხივებში გახვეულ ტაძრის გუმბათზე. აქვე უნდა ჩასახულიყო მისი ერთ-ერთი ბოლო ლექსი _ «წინ, სულელო მეზღვაურო», სადაც ლირიკული გმირი საკუთარ თავს მოუწოდებს შეუდრეკლად იაროს «უცნობი პორტისაკენ». ამ დროისათვის მწერალმა თითქოს უკვე იცოდა რა ელოდა იქ, უცნობ ნაპირზე («როცა სულელი მივა უცნობ პორტში/ მაშინ იტყვიან, რომ ის იყო ჭკვიანი,/ ასეთი იყო ყველა რევოლუცია!), საითკენაც უკანმოუხედავად მიისწრაფვოდა მისი ალტერ ეგო. მან უკვე იცოდა, რომ «ცუდად არ ჩაივლიდა ეს განწირული სულისკვეთება» და მის მიერ გათელილი გზა დარჩებოდა როგორც «უცნობი პორტის» რეალურად არსებობის ნიშანი. «სალომე და გურამს» წინ უძღოდა 1958 წლის ნოემბრის დღიური, სადაც მწერალი არამხატვრული სიტყვით, პირდაპირ წერს ადამიანის იმ ერთადერთი მიზნის _ «დიდი, ბრჭყვიალა, თბილი, მიმზიდველი მზის» შესახებ, რომელიც «მრგვალი დედამიწის» გარეთაა და სადამდეც მიდის «სწორი გზა».

ვფიქრობ, «სალომე და გურამის» გმირის _ ტრაგედიის დასაწყისსა («ო, გაჭენდი, გურამ...») და დასასრულში ნათქვამი სიტყვები («ო, რომ შეეძლოს კაცს უქმად ჯდომა და სისულელის, სისაზიზღრის არჩადენა, როცა არაფერი საქმე არა აქვს») ერთ აზრად კრავს მთელ ტრაგედიას: ადამიანის ერთადერთი საქმე, «მიწიერი ცხოვრების ამოცანა», არის ვნებებთან ბრძოლა, «წელში მოხრილი სიარული», სხეულის მომზადება იმგვარად, რომ «უზარმაზარმა ბიცებსებმა კედლებზე ხლას გაუძლონ» და სხეულმა შეძლოს სდიოს სულის მოთხოვნილებას იმ «სწორ გზაზე» დასადგომად, იმ «ვიწრო მილის» გასავლელად, რომელიც «მრგვალი დედამიწის» გარეთ მიდის, რომლის ბოლოდანაც «მკრთალად ანათებს სინათლე», საითკენაც გაგიჟებული, გონებადაკარგული მიისწრაფვის სული.

ამ ტრაგედიაში «ყველაფრის მკისრებელი» მწერლის ალტერ ეგო, როგორც ჩანს, უკვე ტანით გრძნობს «ზათქით, ღრიალით» «გადმოსაღვრელად დაგუბებულ ზვირთებს», «გასასკდომად, ნაყოფის გამოსაღებად დამწიფებულ კვირტებს».

საბოლოო მიზნის დანახვასთან უნდა იყოს დაკავშირებული მწერლის შემოქმედებაში «ყველა გმირის ... გამოუვალი მარცხი», ცხოვრებაში ადეკვატური ფორმის ვერმონახვა, «დიდი უსაქმურობა», რის შესახებაც ის წერს როგორც დღიურებში, ისე მხატვრულ შემოქმედებაში (იხ. ტომი 3, შენიშვნები «ჩემი ლიტერატურული შეხედულებებისათვის». ტომი 5, 1958 წლის შემოდგომის დღიურები). აი, კვირტების გასკდომის ეს მოლოდინი და ნებისმიერი საქმის ამაოების განცდა გარდა იმისა, რის შესახებაც ზემოთ იყო საუბარი, როგორც ჩანს, მწერლის სიცოცხლის ბოლო წუთამდე გრძელდება.

ქვეყნდება პირველად.

სურამის ციხე

არსებობს ტრაგედიის მხოლოდ რამდენიმე სცენა: სულ 39გვ. და თითქმის მთლიანი სიუჟეტი. მიუხედავად მასალის ასეთი ფრაგმენტულობისა, მწერლის ცხოვრება-შემოქმედებისათვის თავისი მნიშვნელოვნების გამო, მაინც საჭიროდ ვცანით ამ დაუმთავრებელი ტრაგედიის ტომის ძირითად ნაწილში დაბეჭდვა. ტექსტი დაწერილია შავი არაქიმიური ფანქრით, შავი ავტოგრაფისათვის დამახასიათებელი გაკრული ხელით. შიგადაშიგ _ როგორც ჩანს, წერის პროცესშივე _ მწერალი შლიდა ცალკეულ სიტყვებსა და ფრაზებს იმავე ფანქრით, რითაც დაწერილია მთელი ტექსტი. ქვემოთ ძირითად ჩანაწერებთან ერთად მოყვანილია გადაშლილი წინადადებები, სიტყვები და ვარიანტები. აქ ჩანს, რომ პიესის წერის პროცესში იცვლებოდა ცალკეული დეტალები, მოქმედ პირთა ფუნქცია და სხვ.

ჩანაწერები და შენიშვნები «სურამის ციხისათვის»:

თავდაპირველი ჩანაფიქრის მიხედვით, საურმაგს, *«ზურაბის მეგობარსა და მოშურნეს, მამის ჩაგონებით», უნდა «გაეხსნა ფრჩხილები».*

პირველი მოქმედების ბოლოს არის ასეთი მინაწერი: *«ეს სცენა უნდა გაკეთდეს როგორც ზურაბისგან ყოველი ტრაგედიის მასხრად აგდება, განსაკუთრებით, ციხის კედლებში დამარხვა, მოსწრებული სიტყვა-პასუხით. უნდა იყოს, აგრეთვე, არანიშანდობლივად ლაპარაკი თეკლასთან მისი ტრფიალის შესახებ».*

მოქმედი პირების დასახელებისას, პირველი მოქმედების დაწყებამდე წერია:

«მთელი მოქმედება ზურაბის მტრებისა თუ თვითონ ზურაბისა მიმართულია იქითკენ, რომ ციხეში ცოცხლად დაიმარხოს.»

გადაშლილი მინაწერები პირველ მოქმედებაში*: «ისო: ეგ ისეთი იღბლიანია, მანდ არ მოყვება», «კაცი: მან ჩაიარა ჩემზე სულ ერთი წუთით ადრე, მე აქ მოვყევი...» «მე ვკვდები, ეგ კი ცოცხლად დაიმარხოს ამ აუშენებელი ციხის კედლებში.»*

სურათი III (ალბათ, ეს სურათი უნდა იყოს პირველი ვარიანტი) (1_3გვ.)

მასხარისა და თეკლას დიალოგი თეკლას საძინებელში. აქ, გვ. 3-ზე, მინაწერი არეზე:

«აქ ამბობს, რომ დილით სარეცელი ცარიელი დახვდა. არც მან იცის, რომ საურმაგი მოკვდა. !!! ზურაბი ისე მივიდა ფანჯარასთან, დაიყივლა და უკან წამოვიდა...»

«უნდა ჩანდეს, რომ ზურაბი ძალიან უყვარდა.»

მინაწერი სურათის ბოლოს*: «ზურაბის ლხინის სცენა გაკეთდეს მარჩიელობამდე.»*

სურათი III: არსებობს ამ სურათის ორი ვარიანტი. ერთი იწყება სიტყვებით: *«აქეთ, აქეთ, ჩემო მასხარავ.»* (1_15 გვ.). ეს ვარიანტი უფრო სრულია.

ამ სურათის სხვა ვარიანტი იწყება შადიმანის სიტყვებით: *«შენ რომ არ მყავდე, ჩემო მასხარავ»* (1_11გვ.). ამ ვარიანტის პირველსავე გვერდზე არის ასეთი მინაწერი არეზე: *«მასხარასთან ლაპარაკის დროს ამბობს, რომ ის განგებ ანგრევს ციხის კედლებს.»* იქვეა მეორე მინაწერიც: *«შადიმანი და მასხარა ერთად აწყობენ ციხის კედლების ნგრევის ამბავს, რომელსაც შემდეგ უფლისწულს დააბრალებენ ტახტის ხელში ჩაგდების მიზნით, აუმხედრებენ მეფეს.»*

III სურათი (ვარიანტი _ მ.რჩ.)

შადიმან: შენ რომ არ მყავდე, ჩემო მასხარავ, ვის დავანთხევდი ჩემს ღვარძლს და ბოღმას, სწორედ არ ვიცი.

მასხარა: უფრო სწორად, იმის შესახებ ვის ეტყოდით, არა?

შადიმან: ალბათ, ისეთ ვინმეს, რომ ჩემი ჭკუა და შენი გრძელი ენა..

მასხარა: ო, რამდენ სისულელეს ჩაიდენდნენ ერთად, რადგან მაგისთანა ჭკუისათვის ენა სწორედ დიდი მტერია.

შადიმან: შენ ჩემი ჭკუისა რა იცი!

მასხარა: როგორ არ ვიცი: რომ სადედოფლო იმის კალთის შეხებაც კი ჟინს სამუდამოდ დაუკარგავს ადამიანს. ამ ოცდაერთი წლის (წინ) შენ უნდა შეგერთო, ერისმთავარს. იმან კი, თავის მხრივ, ხუჭუჭთმიანი აზნაური დურმიშხანი მოიყვანა ცოლად.

შადიმან: მე რომ ხელმწიფე შევიქნე, შენ სახრჩობელა არ აგცდება.

მასხარა: თუ არ შეიქნები, შენ თვითონ შეიძლება გახდე იმისი მსხვერპლი.

შადიმან: ეგ მასხრობა რაღაც არ მომწონს.

მასხარა: ალბათ, იმიტომ რომ სახრჩობელასთან შენ უფრო ახლოსა ხარ, ვიდრე მე.

შადიმან: ახლოს მოდი, ეს ოქროს კვერთხი მინდა გაჩუქო.

მასხარა: ნუუ?

შადიმან: აჰა, მიიღე. ოქროს გაყიდი, რა სახსოვარიც არ უნდა იყოს, ეს დარტყმა კი დაგამახსოვრდება.

მასხარა: ო, ხარბო გულო, ისევ ისე ტყუილად მოვტყუვდი და ღირსეულად დამკრეს ბეჭებზე... ამის შემდეგ შენთან ახლოს აღარ მოვალ, სანამ ჩემი ხელით არ ჩამოგხსნი სახრჩობელიდან.

შადიმან: რას აგეკიდა ეგ დახრჩობა?

მასხარა: როგორ არ იცი, მტერი საცაა გამოჩნდება, ციხის კედლები კი სულ ინგრევა, ხომ შეიძლება ვინმემ იფიქროს ერისთავზე რამე აუგად ... მაშინ ...

თეკლა: მიშველეთ, მიშველეთ!

გურამდუხტი: აუ, ამ შავ დღის არგათენებას...

შადიმან: რა დაგემართათ?

თეკლა: აუ, გვიშველეთ!

მასხარა: ძაღლი ხომ არ მოგდევთ, ქალბატონო?

შადიმან: რა დაგემართათ?

გურანდუხტ: უბედურო ჩემო მეუღლევ, ბედდამწვარო ჩემო შადიმან!

შადიმან: გამაგებინეთ, არ გადამრიოთ.

მასხარა: აუ, აქ სხვა რაღაც საქმე დატრიალდა.

თეკლა: აღარ გვყავს, აღარ.

შადიმან: საურმაგ სად არის, შენი მეუღლე და ჩემი ერთადერთი ძე,Eშემატყობინეთ.

/მასხარა გარბის და ისევ შემორბის/

მასხარა: ხორცის გროვაა იმისგან მხოლოდ დარჩენილი.

შადიმანი: მასხრობ, ხომ მასხრობ, მითხარ და ამ ჯოხს მართლა გაჩუქებ.

მასხარა: /თავისთვის/ იგრძნო ოხერმა, რომ ეს ჯოხი მასთან დარჩება. /თავისთვის/ ნეტავი მართლა მასხრობა იყოს.

შადიმანი: ვახმე უბედურს, არარაობას, მამას უშვილოდ

და ერისმთავარს უმემკვიდრეოდ.

მასხარა: /თავისთვის/ და უეროდ.

შადიმანი: გურანდუხტ, შენი ცრემლები ნუთუ მართლა საურმაგისათვის იღვრება, მითხარ!

გურანდუხტ: ვაჰ, განგმირულო დედის გულო, რისთვის მარგუნე ეს განსაცდელი! გესმის, შადიმან, აღარ არის ჩვენი საურმაგ, ჩვენი შვილი.

შადიმან: დამაცადეთ, რომ გონს მოვიდე, ან მთლად დავკარგო, რაც დამრჩენია.

მასხარა: დაგრჩა კიდევ დასაკარგავი?

შადიმანი: საუბედუროდ, ჩემო მასხარავ, აუჰ..

მასხარა: მაშ დაკარგე ისიც, რომ მის მაგიერ ვაჟკაცობა შეიძინო. და თუ აქამდე შენგან დაწყებული შურისძიება მხოლოდ შენ გვნებდა, ამის შემდეგ სხვასაც ავნოს.

შადიმან: საურმაგ, შვილო, შენზე უწინ მე მოვკვდი უფრო და აქ მხოლოდ აჩრდილი დარჩა შურისძიების, რომელსაც მოშორდა გვამის სიზარმაცე, სხეულის სიკვდილის შიში და იმ შიშისათვის გასამართლებელი მოწყობილობა _ გონება. გახელდი სულო, ენავ, გადაიქეც მასხრის სიტყვად და გველის შხამად.

მსახურთუხუცესი: მწუხარების ჟამს ერისთავთ ერისთავს შადიმანს ეახლნენ თავადები ლიპარიტ, ლევან და ვახტანგ.

შადიმან: შეწყდეს გოდება და ყველაფერი შურისძიებად გადაიქცეს! /შემოდიან თავადები/ სამძიმარი არ მომახსენოთ, ბოროტი იყოს ჩვენი მტრისათვის თქვენი აქ მოსვლა, თქვენთვის _ კეთილი, ხოლო ჩვენთვის ეგ ნეტარება აღარ არსებობს.

ლიპარიტ: მართალი არის, რაც გავიგეთ?

ვახტანგ: ციხის კედლების ჩამონგრევას უმსხვერპლია თქვენი ვაჟი.

ლევან: ღამე სასეირნოდ გამოსული.

თეკლა: (თავისთვის) თუ ყველაფერი გამომჟღავნდა, მეც, ალბათ, მის კვალს მიმაყოლებენ. ვერაგი არის ლიპარიტი, ალბათ, რამე იცის.

ვახტანგ: უკვე მეოთხედ ჩამოინგრა ეგ კედლები და ოთხივეჯერ მსხვერპლი მოჰყვა.

ლევან: მსხვერპლი იზრდება საშინლად ყოველ ჯერზე. და ეს მეორე პირველად დაგვატყდა ჩვენ რისხვით თავზე.

მასხარა: ჯერ თოთო ბავშვი დაიტანა, შემდეგ დედაშვილი, სალოცავად მიმავალი.

შადიმან: აუ, საურმაგ, აუჰმე შვილო, წყნარად იყავით, ბატონებო, ვფიცავ, ეს გმინვა ბოლო იქნება, და მას საქმე შეცვლის შურისძიების. /თავისთვის/ ჩემივ მახეში მევე გავები...

ვახტანგ: მაგრამ ვის წინააღმდეგ, განა სტიქიონს ავნებს რასმე ჩვენი სიბრაზე!

ლევან: ადამიანნი სტიქიონის სიმძვინვარისთვის ერთმანეთს ახდევინებენ როგორც იმისი ღირსეული შვილები, განა როდესაც დიდი მიწისძვრის ჟამს თმოგვი დაინგრა, მეფემ რაჭველთა ერისმთავარს არ დასთხარა თვალები?

შადიმან: შურისთვის შურისგება ყველაზე მძვინვარე მაშინ არის, როცა შენ ხარ თვით დამნაშავე. იქნებ ღმერთის ხელი სწორედ იმიტომ ჩაერია ჩემს უბედურებაში, რომ ყურადღება არ გამფანტვოდა, სიძაბუნე შორს გადამეგდო და ჩემი მტრისთვის მიმეზღო შური. ბატონო ვახტანგ, თქვენი მამა რისთვის აწამეს თათრებმა ტყვედმყოფი?

ვახტანგ: დამარცხებისათვის.

შადიმან: ვინ იჯაბნა იმ ბრძოლაში?

ვახტანგ: მეფემ, დურმიშხანმა, რომელიც იმ დროს არ მიეშველა და სხვას შეება.

შადიმან: ბატონო ლევან, თქვენი მეუღლე, თუ არ ვცდები, მუცელს გადაჰყვა.

ლევან: დიახ, როდესაც მეფემ იხმო ჩემთან ერთად სადარბაზოდ.

ლიპარიტ: ხოლო ჩემს მამულს თათრის ხანი დაეპატრონა, რადგანაც იგი მეფემ მოსპო სულ უმიზეზოდ.

შადიმან: ჩემი შვილი კი მეფის მიერ აშენებულმა გალავანმა ჩამონგრევისას დაიტანა.

თეკლა: მეც მათქმევინეთ, თქვენს თვალში უღირსს, იმის შემდეგ, რასაც გაიგებთ, მაგრამ ორმაგად ანთებულს შურისძიებით.

შადიმან: შენ რა უნდა თქვა, ყმაწვილო ქალო, ნაზო, უმანკოვ, უდროო ჟამსა უმეუღლეოდ დარჩენილო.

მასხარა: შურისძიებისას ყველაზე მეტად მხოლოდ ქალს ენდეთ.

გურანდუხტ: შურისძიება მე მმართებს დედოფლის მიმართ თუნდაც იმიტომ, რომ მას ძე ჰყავს და მე კი არა.

თეკლა: უპირველესად გთხოვთ, ყველა ეგ ნაზი თქმები: «ნაზი», «უმანკო» უკან წაიღოთ და დამიტოვოთ სიყმაწვილე, როგორც ნიშანი ჩემი ძალისა, რომელიც მომცემს იმის უნარს, რომ ჩემი ფიცი ბოლომდის შევასრულო. მე ახლაცა ვკრთი და ეს კრთომა არ მიმატოვებს თვით საფლავამდე. რაც თქვენთან ერთად უნდა ვთქვა...

შადიმან: თქვი, ნუ დამალავ. ამათი ხიზღი მეფის კარისადმი არ ჩამორჩება არც ერთის ჩვენს ხიზღს.

თეკლა: ეგ ხიზღი სულ მთლად მე დამედება.

შადიმან: სთქვი, ნუ დამალავ.

თეკლა: დაე, ეგ ხიზღი მე დამედოს და შურისძიება თქვენ გაგიღრმაოთ.

შადიმან: თქვი, ნუ დამალავ!

თეკლა: მე უფლისწული ცოლად შერთვას შემპირდა.

ყველანი: აუხ, შეხედეთ ბილწს, უნამუსოს.

თეკლა: და გუშინ ღამე ჩემს სარკმელთან იყო მოსული.

გურანდუხტ: ნუთუ ის იყო?

თეკლა: ის გახლდათ სწორედ, მას გამოუდგა ჩემი მეუღლე და მაშინ მოხვდა იმ კედლებში.

ზოგადი ჩანაწერები «სურამის ციხისათვის» (1გვ.):

<u>!. ზურაბისათვის:</u>

მე ვკვდები, ეგ კი ცოცხლად დაიმარხოს ამ კედლებში _ გაიგო ეს სიტყვები, ოღონდ აქ ყური მოიყრუა.

ვარდო: გაიგებს, რომ ზურაბს, თავისი სურვილით, ერისა და ხალხის ნებით, ცოცხლად მარხავენ ციხის კედლებში მისი მკითხაობის წყალობით, გაიგებს, რომ ამ ბედისწერამ მის საკუთარ შვილს უწია და თემურ ხანის ლაშქარს წინ წამოუძღვება.

რუსუდან: გაგიჟებულია და მარტო გამოხტება ციხის გარეთ, რომ იმ კედლებთან, სადაც მისი შვილია დამარხული, არავინ მიუშვას.

<u>2. თეკლასათვის:</u>

თეკლა ნაზი ქალია, რომელსაც უყვარდა უფლისწული და გააყოლეს ერისმთავარს.

3. (1 გვ.) შადიმან და მასხარა ციხის კედლების განგებ დანგრევას ზურაბს, მის მეგობარ ციხისკედლის მცველ ისოსა და თეკლას აბრალებენ. დასამტკიცებლად გადაცმული მეფე მიჰყავთ ზურაბისა და თეკლას შეხვედრის ადგილზე, სადაც თეკლა ორნაირ თამაშს თამაშობს., აქ ზურაბი კლავს მამამისს, ატყდება ომი თეკლას მდაბიო ნათესავებსა /ისო/ და დიდგვაროვან აზნაურებს შორის, ზურაბს ირჩევენ მეფედ.

აქ იწყება ნამდვილი ტრაგედია.

სიტყვები: მათი (დიდგვაროვანთა) ნელა წამვლა სჯობს თუ ამათი ვირეშმაკა პირდაპირობისაგან გამოწვეული სიუხეშე (რომელიც წამოსწია გლეხთაგან წინ, ისევ უხეშად ვერაგი გახდა).

ხალხი მოითხოვს მისთვის თავის შეწირულს, ისინი ეხმარებიან ვერაგობით. ვარდო იმათი წარმომადგენელია)

თქმებისათვის:

1. ცა გაიბზარა უცნაური ბედისწერით და ყველას თვალი ბინდით მოიცვა.

შვილის დარდი აღარ არის.

2. სისხლის წუწნა არათითიდან, სისხლის აშკარა ღვრით შეიცვალა.

3. მე, ქარაფშუტას, მეტი გრძნობა მაქვს, ვიდრე მთელ ამ დარბაისელთ, ერთად აღებულთ.

4. ხელმწიფის სიტყვა: ხელმწიფობას შემოქმედებას ადარებს.

5. ზურაბ: მაშინ მოვედი მე ჭკუაზე, როცა იგი ყველამ დაკარგა.

6. ამ უზარმაზარ სახელმწიფოში ერთი რამ მყავდა მეგობრად _ სიმხიარულე, თავმიცემული, არგამოსაფხიზლებელი, რომ არ მეგრძნო ჩემი ქვეყნის დაცემა, და ისიც დავკარგე. რას მომცემთ სანაცვლოდ _ საქმეს? აქაც ..

7. /რაც ეპოქისაგან ნაბრძანებია, კაცი მასზე მაღლა ვერ ავა _ უბრალოდ, არ მისცემს ღმერთი ნიჭს _ ამ შავბნელ შუასაუკუნეებში ყველაზე დიდი ძეგლი ცოცხლად დამარხვაა/.

მინაწერი არეზე ვარდისახარისა და კატოს სცენაში:

« (!!! შადიმანი თვითონ მოვა ამ სცენის ბოლოს ვარდისახართან და იქ ჩააწყობენ საქმეს. მეფის შიკრიკის სიტყვები ძალაში რჩება!)

(ნაჩვენები უნდა იყოს მთელი სცენა მარჩიელობის გონებამახვილობისა.

<u>!!! რაც შეიძლება კარგად და სიმბოლურად).»</u>

შტრიხები ტრაგედიის ინტერპრეტაციისათვის

* ერლომ ახვლედიანმა მითხრა: გურამი და მე 1960 წელს იშვიათად ვხვდებოდით ერთმანეთს. ჩვენს ურთიერთობებს, ძირითადად, გურამი წარმართავდა ხოლმე. ასე რომ, იშვიათი შეხვედრები, ალბათ, მისგანვე მოდიოდა. ერთხელ, გაგრის ამბებამდე (გურამ რჩეულიშვილი გარდაიცვალა გაგრაში 23 აგვისტოს _ მ.რჩ.) რამდენიმე თვით ადრე, ფეხით ჩამოვუყევით ზემელის დაღმართს. მაშინ ჯერ კიდევ კამოს ქუჩაზე ვცხოვრობდი. ლენინგრადის ქუჩის კუთხეში, 23-ე სკოლასთან ახლოს, გურამმა თქვა, «სურამის ციხეზე» ვმუშაობო და მომიყვა კიდეც ამ ტრაგედიის შინაარსს (იხ. ნაბეჭდი ტექსტი).

გურამის გარდაცვალებიდან 10-15 წლის შემდეგ, მეტეხის ტაძარში გამართულ ჩემი ძმის მოსაგონარ საღამოზე (მაშინ მეტეხის ტაძარში სანდრო მრევლიშვილის თეატრი იყო მოთავსებული), ერლომმა თქვა:

«გურამი ბოლო წლებში წერდა დრამას, რომელსაც «სურამის ციხე» უწოდა. ამ დრამას არაფერი საერთო არა აქვს ჭონქაძისეულ დიდებულ მოთხრობასთან, გარდა იმისა, რომ ორივეგან უნდა აშენდეს ციხე და ადამიანი უნდა ჩაატანონ კედელში. მე ჭონქაძისეულ ვარიანტზე მეტს არაფერს ვიტყვი, იგი ყველამ იცის.

თვით დრამის კონსტრუქციაში ჩანს იდეა, რომლის ბოლომდე ხორცშესხმა გურამმა ვერ მოასწრო. მაგრამ მთავარი გააკეთა და ამ დრამას დამთავრებაღა სჭირდება.

აი, თვით სქემაც...» (იხ. ნაბეჭდი ტექსტი).

არქივის პირველი მექანიკური დალაგებისას ფანქრით დაწერილი თაბახის ფურცლები, რომლებზეც ეწერა რამდენიმე სურათი «სურამის ციხიდან» და ჩანაწერები ამ ტრაგედიისათვის, მოთავსდა ერთ საქაღალდეში. დაახლოებით ათი წლის შემდეგ, შეიძლება ეს იყო სწორედ მეტეხში გამართული საღამოს მერე, ერლომმა გადაწერა ყველაფერი, რაც დაკავშირებული იყო «სურამის ციხესთან» და გაუკეთა რამდენიმე კომენტარი (მაგ. სიტყვებთან _ «ჩვენ იმ ციხის მეციხოვნეები ვართ, რომელიც ჯერ არ აშენებულა» დაწერილია: «რად უნდა მეციხოვნეები იმ ციხეს, რომელიც ჯერ არ აშენებულა? ჯერ არ არის?»). მას გადაწყვეტილი ჰქონდა ტრაგედიის დამთავრება, ძალიან უნდოდა ეს გურამის მამასაც. ერლომმა ვერ განახორციელა თავისი ჩანაფიქრი და, ალბათ, ეს ბუნებრივიცაა.

ჩემს შეკითხვაზე _ რამ განაპირობა ამ «სქემის» გადმოცემისას მისი სიტყვები: «ო, როგორ საჭიროა აქ ზურაბის მაგივრად გურამი ვიხმაროო» (იხ. ნაბეჭდი ტექსტი), ერლომმა მიპასუხა: «რატომღაც გურამის მოყოლისთანავე გამიჩნდა აზრი, რომ მსხვერპლშეწირვის აქტი მისთვის მთავარი კრედო იყო. ეს არის ჩემი სუბიექტური დამოკიდებულება გურამის მიმართ, მეტი არაფერი.»

საინტერესოა, რომ მეტეხში გამართული საღამოს მერე ხალხური მელოდიასავით აიტაცა ბევრმა «სურამის ციხის» გურამისეული ვარიანტი, დაიწერა კიდეც რამდენიმე ნაწარმოები (ლაშა თაბუკაშვილი, ვაჟა გიგაშვილი და სხვები). მახსოვს, როგორ ნერვიულობდნენ მამა და ერლომი, არავინ რომ არ ახსენებდა პირველწყაროს და რომ ერლომმა იმ დროისათვის ჯერ კიდევ ვერ მოახერხა ამ ტრაგედიის დაწერა. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ამ ნაწარმოებებში მეორდებოდა «სქემა», ვერც ერთში ვერ შეიძინა უფლისწულ ზურაბის ამბავმა ის აზრი, რაც გურამის «სქემის» არსში იდო და რაც მას სიცოცხლეს აძლევდა. ყველას აკლდა მთავარი!!! ეს «მთავარი» კი მხოლოდ გურამის შემთხვევაში იყო მნიშვნელოვანი, ვლინდებოდა მწერლის ეგზისტენციურ პოზიციაში და უშუალოდ იყო დაკავშირებული მისი ცხოვრება-შემოქმედების მაგისტრალურ სიუჟეტთან, რომლის შესახებაც წინამდებარე ტომების შენიშვნებში არაერთხელ ვისაუბრეთ.

ასე რომ, გურამმ უამბო ერლომს მომავალი ტრაგედიის სიუჟეტი და ერლომმა მაშინვე იგრძნო, რომ მათ საუბარში რაღაც იყო მეტი, ვიდრე, უბრალოდ, მხატვრული ნაწარმოების სიუჟეტის გადმოცემა. შეიძლება სწორედ ამის გამო იგრძნო მან გურამის გარდაცვალების შემდეგ ვალდებულება _ დაემთავრებინა «სურამის ციხე,» ხორცი შეესხა იმ იდეისათვის, რაც ტრაგედიის საფუძველში იდო. ყოველ შემთხვევაში, როგორც უკვე ვთქვით, ბუნდოვანი, აბსტრაქტული შეგრძნება, რომ «მსხვერპლშეწირვის აქტი გურამისათვის მთავარი კრედო იყო», ერლომს მიჰყვება მთელი ცხოვრება.

ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ გურამმა «სურამის ციხის» მოყოლისას თითქოს უკვე მეორედ სცადა ერლომისათვის რაღაცის თქმა. პირველად იყო დაახლოებით ერთი წლის წინ არამიანცის საავადმყოფოში (იხ. «სალომესა და გურამის» კომენტარები ამავე ტომში). მაშინ ერლომი საგონებელში ჩააგდო მუდამ უხვსიტყვიანი მეგობრის ინტენსიურმა სიჩუმემ, თითქოს ყელში მობჯენილმა ცრემლებმა, მას დაეუფლა გრძნობა, რომ გურამს უნდოდა მისთვის რაღაცის თქმა და მერე გადაიფიქრა.

მოგონება:

ერლომს უკვე დაწყებული ჰქონდა «სურამის ციხეზე» მუშაობა. ეს იყო დრო, როდესაც მე არ ვკითხულობდი ჩემი ძმის დაწერილ არც ერთ სიტყვას. სიმართლე უნდა ითქვას, გულისყურით არ ვეკიდებოდი არც მის საღამოებს, სადაც დავდიოდი მხოლოდ მოვალეობის გამო. მთლიანად სავსე ვიყავი იმის მშვიდი განცდით, რომ ეს მე არ მეხება, მე არაფერ შუაში ვარ. ისე რომ, მაინცადამაინც არც ერლომის მონაყოლისათვის დამიგდია ყური მაშინ. ამიტომ კარგად არც ვიცოდი «სურამის ციხის» გურამისეული გააზრება და, რაც მთავარია, არც მაინტერესებდა, რაზე მუშაობდა ერლომი, რა იყო ის სქემა, რის ხორცშესხმასაც აპირებდა ის და სხვ. ერთხელ, ერლომთან საუბრისას, ჩემს მეხსიერებაში საიდანღაც ამოტივტივდა ერთი ამბავი, რაც რატომღაც სასწრაფოდ ვუამბე მას:

გურამი ახლად ჩამოსული იყო თელავიდან. ეს უნდა ყოფილიყო, დაახლოებით, 1958 წლის შემოდგომა. შუშაბანდში ვისხედით და რაღაცას ვლაზღანდარობდით. მოულოდნელად გურამმა თქვა: «თელავში საცურაო აუზთან ვიდექით ბიჭები, ჩაცმულები ვიყავით და მოცურავეებს ვუყურებდით. გაისმა ყვირილი _ ვიხრჩობიო. მართლაც, ვიღაც იხრჩობოდა. აქეთ-იქით დავიწყე ყურება, მშველელს ვეძებდი. უეცრად ელდასავით ვიგრძენი, რომ ის სხვა, ვინც უნდა გადამხტარიყო წყალში იმ ბიჭის გადასარჩენად, მე ვიყავი.» გურამი აღელვებული ლაპარაკობდა. თან თითქოს დამშვიდებულიც ჩანდა. მივხვდი, რომ მან, ეს წუთი იყო, მითხრა მისთვის რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი.

1987 წლის ზაფხულში ფანცქალა სიდამონიძე, გურამის თელაველი მეგობარი, რომელიც მაშინ გურამთან ერთად მდგარა საცურაო აუზთან, საგანგებოდ მოვიდა ჩემთან ნადიკვარზე და მიამბო, ერთხელ როგორ იხრჩობოდა თელავის საცურაო აუზში ვიღაც ბიჭი, გურამი უეცრად როგორ მოსწყდა ადგილს, როგორ გადახტა აუზში ტანსაცმელგაუხდელად და როგორ გადაარჩინა ის.

ფანცქალასთან ეს შეხვედრა ერლომთან საუბრის შემდეგ იყო. საინტერესოა, რომ 1958 წლის უხვსიტყვიან დღიურებში, სადაც რამდენიმე დღიური თელავში გატარებულ სწორედ იმ დღეებს ეძღვნება, როდესაც ეს ამბავი უნდა მომხდარიყო, გადაკრულადაც კი არ არის ამის შესახებ რაიმე ნათქვამი.

მახსოვს, ამ ამბის მოსმენის შემდეგ ერლომი საოცრად აღელდა, თუმცა არაფერი უთქვამს. მერე სასწრაფოდ მოიმიზეზა რაღაც და წავიდა. ვიცი მხოლოდ, რომ მან მალევე დაანება «სურამის ციხეზე» მუშაობას თავი. მერე, ერთ მშვენიერ დღეს, მოვიდა ჩვენთან და მითხრა: ერთად ვიმუშაოთ გურამის არქივზე, შენ დაიწყე და მე შემოგიერთდებიო. ასე აღმოვჩნდი სრულიად მოულოდნელად, თითქოს ერლომის დავალებით, პირისპირ ჩემი ძმის არქივთან. არქივზე მუშაობის პერიოდში ერლომი ამ საქმეს მთლიანად ჩამოშორდა.

* როგორც მეორე ტომში აღვნიშნე, თითქმის წერის დაწყებისთანავე გურამმა თქვა: *«მე იმით განვსხვავდები სხვა მწერლებისაგან, რომ ისტორიკოსი ვარ»*. მალევე გაირკვა მისი ინტერესის სფეროც: *«სიბნელით მოცული შუა საუკუნეები»* («სურამის ციხის» ჩანაწერებიდან). აღსანიშნავია, რომ გურამი სწავლობდა კათედრაზე შუა საუკუნეების განხრით. ტრაგედიის თარიღის დასადგენად, გარდა არქივის კვლევისათვის შემუშავებული ფორმალური კრიტერიუმისა (ფურცლის ხარისხი,

ხელწერა და სხვ.), მნიშვნელოვანია, აგრეთვე, შუა საუკუნეების თემატიკა, რომელიც სხვადასხვანაირად იჩენს ხოლმე თავს მწერლის ხანმოკლე შემოქმედებითი მოღვაწეობის განმავლობაში.

ამ ეპოქას ეძღვნება «უსახელო უფლისციხელი» (1957 წელი), პატარა მოთხრობა «ლამაზია გურჯის ქალი» (1957 წელი) და სხვ. მნიშვნელოვანია დედას ჩანაწერი: «გურამმა მითხრა, მუზეუმში ვიწყებ მუშაობას, შუა საუკუნეები მაინტერესებსო» (1959 წელი). შუა საუკუნეებს ეძღვნებოდა მისი დიპლომიც, რომელიც, მიუხედავად დედას დაჟინებული თხოვნისა თუ მოთხოვნისა, გურამმა არ დაწერა («დიპლომის დაწერა, ვგრძნობ, რაღაცას დამირღვევსო,» მითხრა ერთხელ). არქივში ინახება «სურამის ციხის» ავტოგრაფის მსგავს ფურცლებზე გურამის ხელით ფანქრით ამოწერილი პასაჟები «ქართლის ცხოვრებიდან». საფიქრებელია, ისინი კეთდებოდა სპეციალურად «სურამის ციხისათვის» (1960 წელი). ამ ტრაგედიაში გვხვდება იგივე საკუთარი სახელები (მართა, საურმაგი), რაც გვხვდება იმავე პერიოდის მოთხრობაში _ «სულ დანაწევრდა და აოხრდა...» აღსანიშნავია, რომ ორივე ნაწარმოები დაწერილია ფანქრით და მსგავს თაბახის ფურცლებზე (1960 წელი).

საურმაგ მაისურაძით (ამ მოთხრობის გმირი) გურამი თავდაყირა აყენებს, ამდაბლებს და გროტესკულად, მისთვის დამახასიათებელი იუმორით წარმოგვიდგენს თავის სიღრმისეულ ინტერესს შუა საუკუნეების მიმართ.

ამონაწერი მოთხრობიდან:

«ბევრი რამ გააკეთა მაისურაძემ ამ ძეგლის შესწავლისათვის, პირველ ყოვლისა, მოიშვა წვერები, შეიმოსა ოდნავ უცნაურად, სველი სავარცხლით უკან გადაივარცხნა ევროპულად გაყოფილი თმები, ფეხებზე ჩაიცვა მთიულური ბანდულები, წინდებში ჩაიტანა პაჭიჭებიანი შარვალი, ხოლო ზედატანი შეიმოსა თეთრი პერანგით, ჰალსტუხით და უკანასკნელი მოდის პიჯაკით, რისგანაც გამოვიდა უცნაური ჰიბრიდი _ არაგვის ერისთავთა დროისა ნაჯვარი ჩვენს დროსთან».

მკითხველს გავახსენებ სათაურს ამავე პერიოდის დაუმთავრებელი დღიურისა, რომელიც უკვე არაერთხელ მოვიხმე: *«შუა საუკუნეების მოქალაქის მოგზაურობა XX საუკუნეში, ანუ თავგადასავალი გურამ რჩეულიშვილისა...»*. ამ სათაურში, ვფიქრობ, შუა საუკუნეების მიმართ მწერლის დამოკიდებულება ცალსახა სერიოზულობითაა გამოხატული.

ზემოთ ნახსენებ მოთხრობაში თითქოს საკუთარ თავზე განაწყენებული, გაბრაზებული ჩემი ძმა მსუბუქი ირონიით, და ამასთანავე, შეუბრალებლად უთხრის ძირს თავის ისტორიულ თუ ზოგად განათლებას, ცოდნას, თითქმის «რიტუალური» ჩაცმა-დახურვის სიყვარულს და ყველა თავის გატაცებას აღიქვამს მხოლოდ და მხოლოდ ფორმალობად *(«ფორმით გატაცება ეს არის საშინელი რაღაცა და ამას ჰქვია ქართველი კაცი»* _ «იულონიდან»). მკითხველს შევახსენებ ამ ტომში მოყვანილ გურამის ლექსს «მაქვს ჩემი მეთოდი წიგნების კითხვის», სადაც ის გვირგვინს ხდის საკუთარ თავს, როგორც მკითხველსა და განათლებულ ადამიანს, რომელსაც საურმაგ თურმანიძესავით კითხვაშიც კი მხოლოდ საქმის ფორმალური მხარე აინტერესებს. მართალია, ამ მოთხრობის გმირისაგან განსხვავებით, წვერმოშვებული ჰემინგუეის სურათი, ტუჩებში ჩამდგარი ოდნავი ღიმილით, იმ დროის ახალგაზრდების ინტერიერის შეუცვლელი დეტალი, არ ამშვენებდა ჩემი ძმის საწერი მაგიდის წინა კედელს, მაგრამ როგორც მკითხველი, საურმაგ თურმანიძესავით, ისიც

სერიოზულად იყო გატაცებული ამერიკელი მწერლით, განსაკუთრებით, წერის დაწყებამდე. კითხულობდა და აკრიტიკებდა რემარკს და სხვ. «ქართლის ცხოვრება» კი მისი სამაგიდო წიგნი იყო თითქმის მთელი ცხოვრების განმავლობაში.

ამონაწერი მოთხრობიდან:

«გაფორმდა თუ არა გარეგნულად, დაიწყო ზრუნვა შინაგანი ბუნების გასამდიდრებლად. იყიდა ჰემინგუეის ახლად გამოცემული ორივე ტომი, «Иностранная литература»-ს ის ნომრები, სადაც რემარკის «ტრიუმფალური თაღი» იყო დაბეჭდილი, და ვახუშტი ბატონიშვილის «აღწერაი სამეფოისა საქართველოსი», აგრეთვე, «ქართლის მოქცევა» და «სახარება». ამ წიგნების წაკითხვას ის, რა თქმა უნდა, არ შესდგომია, იმდენად ორგანულად შეესისხლხორცა იგი ამ ორივე ეპოქას.»

რა ბრალსა სდებდა გურამი საკუთარ თავს? რა მიაჩნდა მას შუა საუკუნეების მოქალაქის უშინაგანეს თვისებად, რაც არ ჰქონდა თვითონ და საკუთარი თავისათვის მხოლოდ რაღაც ფორმის მიცემით თითქოს ამის ანაზღაურებას ცდილობდა? რა იყო ის, რისთვისაც დაუღალავად ეძიებდა ადეკვატურ ფორმას და რაც აიძულებდა გურამს ყველაფერი მიღწეული მუდმივი თვითირონიის, თვით გვემის, საკუთარი თავით მუდმივად უკმაყოფილების საფუძვლად გაეხადა? (ეს განსაკუთრებით კარგადა ჩანს ბოლო ორი წლის შემოქმედებაში: «შაშას რევოლუცია», «იულონი», «სალომე და გურამი» და სხვ.).

ამონაწერები დღიურებიდან:

«ჩემზე ამბობენ, რომ მე უცნაური კაცი ვარ, რომელსაც აქვს პოლუსები, რაც ძირშივე მცდარია. არასოდეს ჩემს სიცოცხლეში მე არ მივსულვარ არც ერთ პოლუსზე, უკიდურესობა პრინციპულად გამოთიშავს ჩემს არსებობას. ჩემი განსხვავება შეიძლება იყოს მხოლოდ არანორმალურად ნორმალური გრძნობები, სურვილები და გაქანება, ოღონდ ყველა მხარეს. მიუხედავად ამისა, მე მაინც არა ვარ დილეტანტი, ზერელე _ რაც ყველაზე კარგი დახასიათება იქნებოდა ჩემს მიერ ჩემი თავის აღწერისას ...

არ არსებობს ფორმა ჩემში, მხოლოდ ჩემში, რომელიც ტოლფასოვნად შეესაბამებოდეს ნამდვილს.

გუშინ სტადიონზე შურით ვუყურებდი მესხის თამაშს. საკმარისი იყო მოედნისათვის შეგეხედა, სადაც თავს იკლავდნენ თამაშით 21 სხვა ფეხბურთელი, რომ გამოგერჩია მესხი, რომელიც ნამდვილად ფლობდა ბურთს ბურთის ფლობისათვის და ამ წამში არ ფიქრობდა არაფერზე. ეს იყო მისი უკიდურესობა, მისი პოლუსი, ის ნამდვილად იყო დიდი, ტორეადორივით დიდი, და ეს იგრძნო ხალხმა. საკმარისი იყო მისი ფეხი მიკარებოდა ბურთს, რომ ტაში ტყდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ მას გუნდისათვის არავითარი სასარგებლო არ გაუკეთებია. საერთოდ, მესხის თამაში, სინამდვილის შეგრძნებით, დამეხმარა დიდის გაგებაში ყველა მხრივ. რატომღაც ცხადად წარმოვიდგინე დოსტოევსკი, ჰემინგუეი, ტოლსტოი, მაიაკოვსკი, წარმოვიდგინე ცალ-ცალკე მათი ინდივიდუალობები და ყველგან იყო შესაძლებლობების ამოწურვა, მთლიანი ფლობა თავისი თავისა, რომელიც თავისთავად არის ნამდვილი. და შური, დიდი შური ვიგრძენი მათდამი, რომ ყველაფერი ნამდვილი ასე ჰგავს ერთმანეთს და მე არა ვარ მათ რიცხვში, რისი

ცოდნაც არაა, რატომღაც, მტკივნეული ჩემთვის. ის არის მხოლოდ შურის აღმძვრელი. ისე ხელმოსაკიდია, ისე შესამჩნევი თავისი პატიოსნებით ერთი რამისადმი, აზრისადმი თვითონ ძირისა, რომ იქ, სადაც ხარ, იყო წრფელი _ შენდაუნებურად თუ შენი სურვილით, ეგ სულერთია. თითქმის უნუგეშო იყო ჩემთვის ეს გაგება, უბრალოდ, ყველაფერი ჩემი, რომელიც რამდენია არ ვიცი ცალ-ცალკე, კარგავდა თავის ფასს და განსაკუთრებულად საცოდავადა ჩანდა ერთად, აჩონჩხლილი, დაულაგებელი ...

მერე რა, თუ ოდესმე ვიქნები კარგი მწერალი, ამ ფაქტს თავისთავად ჩემთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ეს ფაქტი მხოლოდ მაშინ იღებს თავის არსს, როცა ჩნდები შენ _ როგორც მკითხველი, მე კი ვრჩები ჩემთვის მარტო და ჩემი მიზანია, ჩემი სურვილია გავხდე ისეთი, მივაღწიო იმას, რომ ჩემს ამ სიმარტოვეში ვიყო ისეთი დიდი, როგორიც მესხი ჩემს თვალში თამაშის დროს ან დოსტოევსკი წერის დროს ... «

«უცნაურ, გალესილ სამართებლის წვერზე მივდივარ სიგიჟესა და უდიდეს ნორმალურობას შორის მე, გურამ რჩეულიშვილი, კაცი დაბადებული მეოცე საუკუნეში, აღჭურვილი შუა საუკუნეების მოქალაქის ყველა ძვირფასი და სრულიად სულელური თვისებებით» (ამონაწერი დღიურიდან).

«ერთი საზიზღარი ჩვეულება მაქვს: რასაც ვაკეთებ, ვერაფერს ვერ ვაკეთებ გულით, ყოველთვის მგონია, რომ მე ძირითადი სხვა მაქვს. როცა ვწერ, მაშინ ძირითადი ჩემი ბიჭობაა, როცა ვთამაშობ _ წერა, რა არის ძირითადი? არც ერთი! აბა რა? რა? _ არ ვიცი;»

«ჩვენი საუკუნე სხვა საუკუნეთა ფიქრიდან გამოსროლილი ჭავლია..» (ბაგრის რვეულიდან. 1960 წელი).

ერთხელ გურამმა უთხრა თემო სულხანიშვილს, რომელიც ზაფხულის ერთ ცხელ დღეს, საგანგებოდ ჩაცმულ-დახურული, კოსტუმ-ბათინკებით აღჭურვილი, შეხვდა ქუჩაში: შუა საუკუნეების ადამიანივითა ხარ გამოპრანჭულიო.

«პეტრიაშვილზე ჩვეულებრივი საქმიანი ნაბიჯით ვეშვები .... ახლა მაცვია შავი კოსტუმი და თეთრი საროჩკა, ოდნავ ამოწეული საყელოთი ზევით... შიგ შუა ცხოვრებაში ვარ ჩავარდნილი, თვითეული მისი ამბავი ისახება ჩემში და, როგორც აქტიურმა მოქალაქემ, არ შემიძლია არ ვამცნო ხალხს ჩემი გარეგნობით ჩემი შინაგანი სხვაობა მათდამი, ამას ითხოვს თვითონ ჩემი სხეული, ითხოვს მაშინაც, როცა მარტო ვარ ტყეში, სახლში, ან როცა ვდგავარ შუაგულ ხალხში. ჰო! მე მოვდივარ პეტრიაშვილის ქუჩით და მათგან განსხვავებით მაცვია მძიმე, ჩინური ყვითელი ბათინკები მაღალ ქუსლებზე, და ჩამოფხატული მაქვს შავი ქუდი ...» (ამონაწერი დღიურიდან)

***** «სურამის ციხეში» ახალ ფაზაში, ახალ ეტაპზეა გურამ რჩეულიშვილის ცხოვრება-შემოქმედების ურთიერთდამოკიდებულების ევოლუცია, მაგისტრალურ სიუჟეტად რომ მიჰყვება მთელ მის ხანმოკლე შემოქმედებით პროცესს და, შეიძლება ითქვას, იძლევა მნიშვნელოვან ინფორმაციას ამ დაუმთავრებელი ტრაგედიის დათარიღებისთვისაც. ალბათ, ეს უფრო ცალკე მონოგრაფიის თემაა და სცილდება შენიშვნების კომპეტენციას. აქ შეიძლება მხოლოდ ის ითქვას, რომ დილემა *(«რა*

უფრო მნიშვნელოვანია _ ცხოვრება თუ შემოქმედება?»), რომელიც წერის დაწყებიდანვე აწვალებდა მწერალს, «სურამის ციხეში» გადაწყვეტილია, რაც გამოვლინდა არა მისი მხატვრული სიტყვით, არამედ ამ სიტყვაზე უარის თქმით. ვფიქრობ, გურამმა «სურამის ციხის» დამთავრებაზე შეგნებულად თქვა უარი, ანუ, ვერ მოასწრო კი არა მისი დაწერა, არამედ, უბრალოდ, აღარ დაწერა ის.

საინტერესოა ერთი დეტალი: გურამისეული «სურამის ციხე» (იხ. ნაბეჭდი ტექსტი) დაწერილია ბაცი შავი (არაქიმიური) ფანქრით. მკითხველს შევახსენებ დღიურში შემორჩენილ მწერლის სიტყვებს: *«მენანება, ის, რაც დაიწერა, სამუდამოდ დაიკარგოს. ამიტომ ვწერ კალმისტრით, ან ქიმიური ფანქრით».* მართლაც, «სურამის ციხის» ფანქრით შევსებული გვერდები დროთა განმავლობაში თითქმის ამოუცნობლობამდე გაიცრიცა. როგორც ჩანს, გურამი წერის დაწყებისთანავე არა ფიქრობდა დაწერილი ტექსტის დაკარგვა-არდაკარგვაზე, ისე როგორც ტრაგედიის სიუჟეტის მისეული ვარიანტის დაფიქსირებაზე (როგორც უკვე ვთქვი, ის მხოლოდ «შემთხვევით,» ზეპირი გადმოცემის საშუალებით, ისიც დაუმთავრებელი, შემორჩა მწერლის არქივს).

***** მოულოდნელად აღმოვაჩინე, რომ სიცოცხლის სიყვარულით სავსე ჩემი ძმის შემოქმედებაში, რომელსაც, როგორც არაერთხელ უთქვამთ ჩემთვის, ბევრი უიმედობით და ცხოვრების ამაოებით შეპყრობილი ადამიანისათვის დაუბრუნებია სიცოცხლის ხალისი და სიყვარული, იმედი _ «თუ ცხოვრება არაფერი არ არის, თუ ამაოებაა ყველაფერი _ ხომ არსებობდა გურამ რჩეულიშვილი!» (ერთი ახალგაზრდის დღიურიდან), რომლის «ალავერდობიდან» ამოღებული სიტყვები *«ვნების სიმძაფრე შენებაშია და არა აშენებულით ტკბობაში»* სენტენციად იქცა ქმედების მოყვარული ქართველი კაცისათვის, წამყვანი თემა, წამყვანი სიტყვა, საითკენაც მიისწრაფვის სხვა დანარჩენი თემები და მოტივები, არის «მსხვერპლი». «მსხვერპლის» სემანტიკური ველი ნაწარმოებიდან ნაწარმოებამდე ფართოვდება, იკრებს სულ სხვადასხვა ლექსიკური მნიშვნელობის სიტყვებს და ივსება ახალ-ახალი შინაარსით. ის თავის კულმინაციას აღწევს დაუწერელ «სურამის ციხეში» (აქვე მინდა გავიხსენო, რომ «მსხვერპლი» იყო სიცოცხლით, ენერგიით, ხალისით სავსე დედაჩემის ყოველდღიური ქადაგებების წამყვანი თემა. ჩვენ ვიცოდით, რომ მსხვერპლის გაღების გარეშე არაფერი არ არსებობს ამქვეყნად: არც სიყვარული, არც სწავლა და, საერთოდ, საზოგადოებაში ცხოვრება. ეს ცნება თითქმის მექანიკურობამდე იყო გამჯდარი ჩვენში, შეიძლება ითქვას, შინაარსის გაუაზრებლადაც კი. ის იყო როგორც ჩვენი ყოველდღიური, ისე სამომავლო ცხოვრების, ჩვენი გეგმების ხორცშესხმის აუცილებელი პირობა. ვიცოდით: არსებობენ ადამიანები, რომლებიც ამაოდ ცდილობენ უმსხვერპლოდ მიაღწიონ დასახულ მიზანს).

რამდენიმე მაგალითი:

«იყო მსხვერპლი _ ეს არის უდიდესი ბედნიერება» («იულონი»).

«რიჰა, დიდება მარიამს უშგულისას, შესაწირი გინდოდა ძლიერისა» («დევების ცეკვა»).

«ამ ქვეყანაში ყველაზე დიდი ძეგლი ცოცხლად დამარხვაა» («სურამის ციხის» ჩანაწერებიდან).

«ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: თუ მიწაში ჩავარდნილი ხორბლის მარცვალი არ მოკვდა, მარტო დარჩება და თუ მოკვდა, ბევრ ნაყოფს გამოიღებს» (იოანე, 12. 24, ამონაწერი გურამის 1960 წლის დღიურიდან).

«ქრისტე აწამეს, მერე იწამეს» (1957 წლის დაუმთავრებელი პიესიდან) და სხვ.

***** ძნელია გაერკვე, სად შორდება ერთმანეთს გურამის ცხოვრება_შემოქმედება და სად ერთიანდება! (პერიფრაზი გურამის სიტყვებისა: *«ნეტავ სად შორდება ერთმანეთს ტოლსტოის ცხოვრება და შემოქმედება და სად ერთიანდება!»*). როგორც ჩანს, ეს მომენტი _ რომ «ის სხვა თვითონ იყო» _ სხვადასხვა დროს და სხვადასხვა დონეზე გამეორდა ჩემი ძმის ცხოვრება-შემოქმედებაში. ეს შეგრძნება, ვფიქრობ, თავდაპირველად გაუცნობიერებელიც კი მის მიერ, ფაქტობრივად, გასდევს მთელ მის ხანმოკლე ცხოვრებას, ბავშვობიდან მოყოლებული, და შიგადაშიგ პირველი მოთხრობებიდანავე იკვეთება, როგორც აღმოჩენა. გურამის ინტონაციიდან გამომდინარე, როდესაც ის თელავის საცურაო აუზის ეპიზოდს მიყვებოდა, შესაძლოა მან ეს ელდასავით რეალურად პირველადაც კი გაიაზრა მაშინ და სადღაც, შეიძლება, განჭვრიტა კიდეც მომავალი, როგორც ეს სხვა შემთხვევაში ყოფილა.

ამონაწერი «შაშას რევოლუციიდან»:

«ეს დღე უნდა დამდგარიყო რაღაცა დიდი ცოდვის შემდეგ. ძაგანია უეცრად მიხვდა, რომ იმ ცოდვის მსხვერპლი თვითონ უნდა ყოფილიყო და გააჟრჟოლა.»

***** მკითხველს შევახსენებ მოთხრობა «დღიურის» ბოლო ეპიზოდს (იხ. ტომი 3, «ჩემი ლიტერატურული შეხედულებების» შენიშვნებიდან):

როდესაც ალექსეი სიდორიჩის ლოთურმა, გაშლილმა სულმა გადაიბუდრა იმ ბიჭის სხეულში _ რაღაც ტრანსს აყოლილი, თითქოს იძულებით რომ ურტყამდა ღვედს შიშველკანჭება გოგოს დაფლეთილ წვივებზე და საშინლად შეეცოდა ის _ ეს იყო არა მარტო თანაგრძნობა ლოთის მხრიდან, არამედ «საკუთარი თავის შეგნებული გაიგივება» მასთან. ალექსეი სიდორიჩს მიეცა უნარი აღექვა და ეგრძნო სამყარო ისე, როგორც აღიქვამდა მას ის ბიჭი _ «ეს არის ნიჭი სხვადყოფნისა» (პატრიარქის ქადაგებიდან). ლოთი თითქოს ფიზიკურად იქცა სხვად და თვითონაც ჩაება სისასტიკის სიტუაციაში. მან რეალურად ჩაიდინა ცოდვა, რომელსაც სინამდვილეში არ სჩადიოდა. სხეულის ტყვეობიდან მთლიანად განთავისუფლებული «ლოთი-წინასწარმეტყველი» («თავისუფლება ჭეშმარიტების შეცნობას მოაქვს») როგორც კი მიხვდება, რომ ის პატარა ბიჭი სხვა ადამიანია, რომელმაც, უბრალოდ, არ იცის საკუთარი გულის სიღრმე, სადაც მხოლოდ «კარგია» (დღიურიდან: «გულში ყველა კარგია»), საშინლად შეეცოდება ის. მოულოდნელად რაღაც აიძულებს «სხვის საქმეში მუდმივად ჩაურეველ», «მხოლოდ თავის თავთან სწორი ფიქრებით მოსიარულე», «უმოქმედ-უმიზნო», «კეთილ, პატიოსან, ოღონდ ალკოჰოლის მიღებისაგან გაბრუებულ», «მხოლოდ თავისი მოკრძალებული ფილოსოფიით გატაცებულ» «ლოთ-წინასწარმეტყველს» გაიღოს მსხვერპლი და ამოიღოს ხმა. გრძნობის სისავსისგან ის უნებურად, თავშეუკავებლად წამოილაპარაკებს სიტყვას «წინ», რომელსაც თავისი ლექსიკური მნიშვნელობით კიდევ უფრო უნდა გაეხელებინა ბავშვები. მაგრამ მოხდება საოცრება და სწორედ ის სიტყვა გამოიყვანს მათ სისასტიკის სიტუაციიდან, რომელშიც თითქოს თავისდაუნებურად იყვნენ ისინი ჩათრეულნი.

ამავე ეპიზოდში ირკვევა, რომ ის შეგრძნება, რამაც მნიშვნელობით აავსო ლოთი-წინასწარმეტყველის მოწოდება «წინ», რომელმაც ბავშვები «შემოსა» და თავის გულის სიღრმეებს დაუბრუნა, ბეწვის ხიდზე გადიოდა. საკმარისი იყო ამ შეგრძნებას შეჰპარვოდა სულ უმნიშვნელო ამპარტავნება და ანგარება, რომ მოუბრუნებლად დაღუპულიყო, დანგრეულიყო ბავშვებში სულ ახლახან გაღვიძებული კეთილი საწყისი და თავიდან დაწყებულიყო ყველაფერი.

მკითხველს კვლავ მივაქცევინებ ყურადღებას იმ ეპიზოდზე, როდესაც ბავშვები «ლოთ-წინასწარმეტყველს» მიასვენებენ სასაფლაოსაკენ; მზე ზენიტშია და დედამიწას ნამის ნიშანსაც კი აცლის. ამ მომენტში კმაყოფილების მწვერვალზე მყოფი ლოთი შეშფოთებული აღმოაჩენს, რომ იმდენად პირდაპირია სხივების ცემა, რომ საფლავის ფსკერისაკენ დაშვებული მისი გვამი თითქმის გეომეტრიული სიზუსტით ფარავს თავის ლანდს და სხეულს საერთოდ არა აქვს ჩრდილი, თითქოს არც არსებობდეს ის საერთოდ. ის საშინელი ტკივილით იგრძნობს ამ უცნაურ დამთხვევას, თავისდაუნებურად ოდნავ შებორძიკდება, რომ როგორმე მეტი ჩრდილი გამოსცეს მისმა სხეულმა... ეს შეგრძნება, რაც, ალბათ, ანგარების, პატივმოყვარეობის გრძნობის გაელვებად შეიძლება იქნეს მიჩნეული, გახდება საკმარისი იმისათვის, რომ ბავშვები ისევ დაღლეტილ, უქამრო, ლახტნათამაშებ მოწაფეებად გადაიქცნენ, ისევ გამოჩნდეს ლენას დაწითლებული, დაფლეთილი კანჭები და წყალი გადაიქცეს გუბედ.

ეს იყო მწერლის გამოცდილება.

როგორც ჩანს, ცხოვრება-შემოქმედების ამ ეტაპზე გულწრფელი, ალალი, ყოველგვარი ანგარებისაგან თავისუფალი სიტყვა გურამს ესახება იმ «მსხვერპლად სიმართლისა», რომელსაც შეუძლია «საკურთხევლის ანთება»», «იერუსალიმის ზღუდეების აშენება». ამ სიტყვას, მისი აზრით, ხელეწიფება ამცნოს სხვას, «რა კარგია უხორცოდ, უბოროტოდ ცხოვრება», რომ «გულში ყველა კეთილია», «გულში ყველა კარგია», რომ «არ არსებობს ცუდი, რომ ცუდიც კარგია» (მწერლის დღიურებიდან). აი, რატომ უწოდებს გურამი ლოთს «წინასწარმეტყველს»: «წინასწარმეტყველის იარაღია სიტყვა», ამ «სამყაროს სადიდებლად, საქებრად აღქმული ბაგენი.»

ეს იყო დრო, როდესაც გურამმა ყველას გასაკვირად დაიწყო «სამკვდრო-სასიცოცხლო» ბრძოლა ახლად დამთავრებული მოთხრობათა ციკლის _ «ჩემი ლიტერატურული შეხედულებების» _ გამოსაქვეყნებლად. ვფიქრობ, ამ დროს უნდა ეკუთვნოდეს მისი სიტყვები, ერთხელ რომ მითხრა: «არ შემიძლია ვწერო და შევინახო ჩემი ნაწერები, ისე როგორც თუნდაც ერლომმა. ამის უფლება მე არა მაქვს.»

* რამდენი დრო დასჭირდა «სურამის ციხის» გმირს, უფლისწულ ზურაბს, იმის გასააზრებლად, რომ მსხვერპლი, რომელიც თავისი ნებით, უანგაროდ უნდა შესწირვოდა სურამის ციხის კედლების აშენებას და რომელსაც ის მთელ სახელმწიფოში კარდაკარ დაეძებდა, თვითონ იყო, რომ მხოლოდ მისი პირადი უანგარობის მაგალითს, მის უანგარო ქმედებას შეეძლო მორალურ ზღვრებდაკარგული ქვეყნის გამოფხიზლება, ყოვლისმომცველი ცოდვების გამოსყიდვა და გადარჩენის რწმენისათვის საფუძვლის ჩაყრა. ეს იყო კვლავ მწერლის გამოცდილება და უკვე, ვფიქრობ, «მოქალაქისაც», უშუალოდ გურამ რჩეულიშვილის

(მკითხველს კვლავ შევახსენებ მწერლის დაუმთავრებელი დღიურის სათაურს: «თავგადასავალი გურამ რჩეულიშვილისა, ანუ შუა საუკუნეების <u>მოქალაქის</u> მოგზაურობა მეოცე საუკუნეში»), რომელიც წერის პროცესში მიხვდა, რომ მის სიცოცხლეში არც ერთი მის მიერ დაწერილი სიტყვა არ მივიდოდა ხალხამდე (მწერლის სიტყვების პერიფრაზი დღიურიდან), რომ *«რაც ეპოქისაგან ნაბრძანებია, კაცი მასზე მაღლა ვერ ავა _ უბრალოდ, არ მისცემს ღმერთი ნიჭს _ ამ შავბნელ შუა საუკუნეებში ყველაზე დიდი ძეგლი ცოცხლად დამარხვაა»* («სურამის ციხისათვის» გაკეთებული ჩანაწერებიდან).

მოთხრობიდან მოთხრობამდე დრო, ეპოქა სულ უფრო მეტად ამჩნევს კვალს მწერლის შემოქმედებას (იხ. «ჩემი ლიტერატურული შეხედულებები,» 1959 წელი) და, როგორც ვნახეთ, ლიბრეტოში «ჩვენ ერთად მივდივართ» მთლიანად იპყრობს მას. მეოცე საუკუნის სამოციანი წლები საბჭოთა საქართველში არის ის ფორმა, ცხოვრებისეული გახევებული ჩარჩო, ის «ბაკანი», სხეული, სისტემა, კედელი, რომელსაც, თავისი გმირების კვალდაკვალ (მათ შორისაა ჯერ კიდევ 1956 წელს დაწერილი მოთხრობის გმირი სალამურა _ «მთებიდან ქალაქამდე»), საკუთარი სხეულით დაეჯახა მწერალი გურამ რჩეულიშვილი თავისი მოწოდების განხორციელების გზაზე: სიტყვით ეთქვა ხალხისათვის, რაც მან იგრძნო, რასაც ის მიხვდა და რის შესახებაც წინამდებარე ტომის შენიშვნებში არაერთხელ იყო უკვე ნათქვამი. ეს იყო 1959-1960 წლები.

ამონაწერი გაუგზავნელი წერილიდან ერლომს:

«მთელი ეს ოცდახუთი წელი საკმარისია იმისათვის, რომ კაცმა, ვისაც აქვს თავმოყვარეობა და ჩემდენი სურვილები, მშვიდი სინდისით მოიკლას თავი. ეს არის უაზრო, უსარგებლო ბრძოლა კვერცხის ნაჭუჭში მოქცეული წიწილისა, რომელსაც ათასნაირად მომზადებულს გამოსაჩეკად, ვერაფრით ვერ გამოუმტვრევია გამოსასვლელი. მე არ ვეძებ სხვაში ჩემს უმწეობას, მაგრამ «დედის» ვალია (ობიექტური ვალი), სადღაც ოდნავ შეუთხელოს ნაჭუჭს კედელი, მაგრამ ის საზოგადოება, წყობა, ამხანაგები, თვითონ ოჯახი, ყველაზე მეტად, და ჩემი ბუნებრივი, წმინდათ ლიტერატურულ-პოეტური მონაცემები, მხოლოდ იმის ცდაში არიან, როგორმე გაასქელონ ეს ნაჭუჭი საერთოდ გამოუმტვრეველობამდე, ისე რომ კაკუნის ხმაც კი აღარ გამოდიოდეს იქიდან. ჰო, სქელია ბაკანი გასამტვრევად, ბრიყვულად, უაზროდ სქელია, ისე რომ არც კი იცი, იმის რომელ ადგილს შეუტიო...» (1959 წელი)

***** სწრაფი გადაწყვეტილების მიღებისა და ქმედების უნარით დაჯილდოებული ჩემი ძმა სავსე გეგმებით და სურვილებით («გურამ რჩეულიშვილი ცხოვრობდა ისე, როგორც ჩვენ მხოლოდ ვოცნებობდით,» ოტია პაჭკორია), პრაქტიკულ ცხოვრებაში ვერ ახორციელებდა ვერც ერთ თავის ჩანაფიქრს, ისე როგორც ვერ ახორციელებენ თავიანთ ჩანაფიქრს სიცოცხლით სავსე მისი გმირები: *«...ყველა გმირის სახის გამოუვალი მარცხი _ იულონი, გურამი ... ერლომის «დიდი მონა» ან «ნელი ტანგო» ჩემი, ნუთუ ეს დეკადანსია, თუნდაც ჩემთვის, იმიტომ რომ წერის საშინელ სურვილთან ერთად ვგრძნობ საკუთარ თავზე ვიღაცის დაღლის ვერმოშორებას, რაც თვითონ წინადადების დაწყობაშიც კი მიშლის ხელს...»*

1960 წელს დაწერილი ნაწარმოებების გმირები (იხ. «ბევრი ბავშვები ერთად», «ჩვენ ერთად მივდივართ») იღუპებიან თითქოს ცხოვრებასთან შეჯახებისას (თუმცა, როგორც ზემოთ უკვე ვთქვით, ცხოვრებასთან შეჯახებას ვერ უძლებენ მისი ადრინდელი მოთხრობების გმირებიც). წარმოუდგენელი შეიქნა გურამის გმირების «გაპასპორტიანება», მათ ვერ იპოვეს თავიანთი ადგილი ცხოვრებაში (ვახტანგ ჭელიძესთან მიწერილი წერილიდან). პატარა მოთხრობით (ლიბრეტო) «ჩვენ ერთად მივდივართ» გურამმა თითქოს საბოლოო განაჩენი გამოუტანა თავის ალტერ ეგოს.

საინტერესოა, როგორი ფინალი ექნებოდა ლიბრეტოს «ჩვენ ერთად მივდივართ» (როგორც უკვე ვთქვით, თავდაპირველად ის ჩაფიქრებული იყო «ჩემი ლიტერატურული შეხედულებების» მეოთხე მოთხრობად), ზემოთ ნახსენები ციკლი რომ დაებეჭდათ! მწერლისათვის საშუალება რომ მიეცათ «ყველასთან ერთად ლაპარაკის» (დღიურიდან), რაც, როგორც უკვე ვთქვით, მაშინ გურამს ადამიანთა დახმარების, გულის სიღრმეებისკენ გზის გაკვლევის თავისთვის ხელმისაწვდომ ერთადერთ გზად ესახებოდა.

* «სურამის ციხის» გმირი _ უფლისწული ზურაბი _ გადის სულის დაბადების ურთულეს გზას: ფუქსავატი, უზნეო ადამიანიდან მოწამეობრივ აღსასრულამდე, თავის თავში მოწამეობრივი მისიის შეგრძნებამდე; გამოიტირებს რა თავს როგორც ხორციელი ადამიანი, ის თავისუფლდება ყოველგვარი ანგარებისაგან, თითქოს სხეულისაგან, სულის სასარგებლოდ...

ამონაწერი მწერლის დღიურებიდან და ნაწარმოებებიდან:

«საკმარისია მე დავკარგო შიშის გრძნობა, რომ შევურიგდე, შევურიგდე იმას, რისთვისაც დიდი ხანია ვემზადები _ ეს არის უმაღლეს ძალად სულის აღიარება და ეს ტენდენცია ძალიან ძლიერია ჩემში» (1958 წლის დღიურიდან).

* დანიელ ჭონქაძის «სურამის ციხე» იწყება სხვადასხვა სიყვარულებით: ვარდოსი და დურმიშხანის, ქალბატონისა თავისი მოახლის მიმართ, ოსმან-აღასი დურმიშხანის მიმართ, დურმიშხანისა თავისი ვაჟიშვილის მიმართ და სხვ. დანიელ ჭონქაძის «სურამის ციხის» დასასრულს თითქოს თავისუფლდება სცენა ყოვლისმომცველი შურისძიებისათვის. თანდათანობით, ყველაფერი მიდის იმედის გაცრუებისა, ღალატისა, სიყვარულის ნგრევისა და შურისძიებისაკენ. კარგს, კეთილს ყველა შემთხვევაში მოჰყვება ცუდი, ავი, ბოროტი. მთავრდება მოთხრობა და რჩება ორი გაბოროტებული ადამიანი, ტახტზე ერთმანეთთან მიწოლილი, ერთი _ მკვდარი ხანჯლით და მეორე კი _ დამხვრჩალი, გაბოროტებისაგან ჭკუაზე შემცდარი ზურაბის დედა, რომელიც თავისი ტრაგედიის გააზრებისთანავე კვდება. და, რაც მთავარია, რჩება სურამის ციხეში ცოცხლად დამარხული, სხვათა ვნებათა ღელვის მსხვერპლი, უდანაშაულო ადამიანი, კრავივით შეწირული, როგორც დაუსრულებელი სინანულის სიმბოლო, როგორც მაგალითი ამქვეყნიური სისასტიკის, უსამართლობისა.

გურამის «სურამის ციხეში,» ისე როგორც მის სხვა ნაწარმოებებში 1958 წლის შემდეგ, ყველაფერი იწყება შურისძიებით, რასაც საფუძვლად ყოვლისმომცველი შეურაცხყოფის გრძნობა, შური და მტრობა უდევს. და თუ ადრეულ ნაწარმოებებში ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, ვლინდებოდა შურისძიების არაარსებითობა ადამიანის შინაგანი «მე»-სათვის, ვლინდებოდა, რომ ის «ორი დღით დაბნეულ»

(«ალავერდობიდან») ადამიანებს, უბრალოდ, თავსა აქვთ მოხვეული და, სინამდვილეში სამყაროს ადამიანთა ერთიანობა და ურთიერთსიყვარული უდევს საფუძვლად, «სურამის ციხეში» ყველაფერი მთავრდება ყოვლისმომცველი უანგარო სიყვარულის დაბადებით, რაც წინ უძღვის მოწამის დაბადებას. რადგან, როგორც ჩანს, სიტყვა აღარ იყო საკმარისი. «სიბნელით მოცულ შუა საუკუნეებში» ერთადერთი, რასაც შეეძლო გამოეფხიზლებინა ერი და დასაბამი მიეცა გადარჩენის რწმენისათვის, იყო მოწამეობრივი აქტი.

ქვეყნდება პირველად.

ლიბრეტოები

გურამის ურთიერთობა კინოსთან, კინოსათვის დაწერილ ლიბრეტოებთან უშუალოდ უკავშირდება რეჟისორ გიორგი შენგელაის, რომელიც გურამმა თავდაპირველად ვაჟა გიგაშვილისაგან გაიცნო და მერე დაუმეგობრდა კიდეც. გიორგი სწავლობდა მოსკოვში, კინემატოგრაფიის ფაკულტეტზე და არდადაგებზე ხშირად ჩამოდიოდა თბილისში. ჩამოსვლისას ის აუცილებლად ხვდებოდა გურამს, რაც სხვადასხვა შემოქმედებითი ინიციატივებით და გეგმებით მთავრდებოდა. კინოში მუშაობის განზრახვა, გარდა ზოგადი ინტერესისა, გამოწვეული იყო «ცოტაოდენი ფულის შოვნის» სურვილითაც. ინიციატივა მუშაობისა, ძირითადად, მოდიოდა გიორგისაგან. მათ ერთად იმუშავეს რამდენიმე ლიბრეტოზე. მათ შორისაა: «თორტიზელი ქალიშვილი», «ჩვენ ორივე ერთი საქმისათვის ვიბრძვით», «ჩვენ ერთად მივდივართ», «ალუდა ქეთელაური», «ნიკო ფიროსმანაშვილი». კინომოთხრობა «ბევრი ბავშვები ერთად» დაწერილია გიორგისაგან დამოუკიდებლად, თუმცა, მისივე თქმით, ეს ნაწარმოები მას მაშინვე წაუკითხავს და ძალიან მოსწონებია.

გიორგი შენგელაიამ თურმე გაზეთში ამოიკითხა ინფორმაცია ქართველი გოგოს შესახებ, რომელიც სოფელში გამორჩეული ყოფილა თავისი დაუდეგარი ხასიათით: იტაცებდა ფაეტონებს, ჩასხამდა შიგ ბავშვებს და აქეთ-იქით დააქროლებდა. ომის დაწყების შემდეგ ის წავიდა წინა ხაზზე მოწყალების დად. იქ შეუყვარდა დაჭრილი რუსის ჯარისკაცი და ჩამოიყვანა თავის სოფელში. მერე ისევ წავიდა ომში, საიდანაც უკვე აღარ დაბრუნებულა. ეს ფაბულა დაედო საფუძვლად ლიბრეტოს «თორტიზელი ქალიშვილი.» დამთავრებისთანავე (არსებობს მხოლოდ რუსული ნაბეჭდი ვარიანტი) გიორგიმ წაიღო ის კინოსტუდიაში, მაგრამ გამოისტუმრეს უარით.

იგივე ბედი ეწვია კინოსცენარს «ჩვენ ორივე ერთი საქმისათვის ვიბრძვით» (ინახება მხოლოდ შავი ხელნაწერი ვარიანტი). ეს არის ამბავი ერთი უსაქმური, მშობლებისაგან განებივრებული ახალგაზრდა კაცისა, რომელსაც სამუშაოდ, მომავალში ასპირანტურაში ჩაბარების მიზნით, სოფელში აგზავნიან. იქ ის ხვდება იმავე მიზნით ჩასულ სხვა ახალგაზრდას. ვარდებიან სხვადასხვა კომიკურ სიტუაციებში. კინოსცენარი დაუმთავრებელია.

არქივში შემონახულია ქაღალდის ნაგლეჯი, რომელიც მოწმობს, რომ გურამს უნდოდა დაეწერა კინოსცენარი მერაბ ელიოზაშვილის «ბებერი მეზურნეების» მიხედვითაც:

«ეს სცენარი, რომელიც იწერება მერაბ ელიოზაშვილის მოთხრობა «მოხუცი მეზურნეების» მიხედვით, წარმოადგენს სამი ბებერი მუსიკოსის ცხოვრების ბოლო დღეების ასახვას, რომელიც თავისთავად გარკვეული გამოძახილია ძველის (თუნდაც, თავის დროისათვის კარგის) აუცილებელი ნგრევისა და ახლის შემოჭრისა. სცენარს საფუძვლად უდევს ხელოვნების უანგარო სიყვარული _ ერთგულება იმ საქმისადმი, რომელსაც ადამიანი მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ეწეოდა...»

ალუდა ქეთელაური

1957 წლის ზაფხულში ვაჟა გიგაშვილმა, გურამმა და გიორგი შენგელაიამ ერთად იმოგზაურეს ხევსურეთში (იხ. შენიშვნები მოთხრობისათვის «სიკვდილი მთებში»). გიორგიმ თქვა: ხევსურეთში მოგზაურობისას ჩაისახა «ალუდა ქეთელაურის» იდეა. მინდოდა ეთნოგრაფიული სიზუსტით გადამეღო სერიოზული, სრულმეტრაჟიანი ფილმი. სცენარი გურამს უნდა დაეწერა. გარდა ამისა, ალუდას როლში ვაპირებდი «აუცილებლად» გურამის გადაღებას, ასეთი წარმოდგენა მქონდა ალუდაზე. მუცალში კი ვხედავდი ამირან დუმბაძეს (ამირან დუმბაძეს ბევრი იცნობდა თბილისში ვაჟკაცური, დაუდეგარი ბუნებისა და შფოთიანი ხასიათის გამო, რისთვისაც მას ზოგი ერიდებოდა კიდეც. ის გამოირჩეოდა სხვებისგან გარეგნობით და ჩაცმა-დახურვის თავისებური სტილითაც. თვითონ ამირანს, მისივე თქმით, ძალიან უყვარდა გურამი და პატივს სცემდა მას, ალბათ, იმ თვისებების გამო, რაც მასშიც უხვად იყო. დაიღუპა ტრაგიკულად გურამის გარდაცვალებიდან ძალიან დიდი ხნის შემდეგ). ჩემი ხანმოკლე ჩამოსვლებისას თბილისში ვლაპარაკობდით ხოლმე მომავალ ფილმზე. ხევსურეთიდან დაბრუნების შემდეგ გურამმა დაწერა «ალუდა ქეთელაურის» ლიბრეტო (სატიტულო ფურცელზე აღნიშნულია მხოლოდ წელი). 1958 წლის ზამთარში, მართალია, იშვიათად, მაგრამ მაინც, გურამი გიორგის ხვდებოდა მოსკოვში ყოფნის დროსაც. ვფიქრობ, მაშინ არც ერთს არ ეცალა «ალუდა ქეთელაურისათვის».

«ალუდა ქეთელაურზე» მუშაობა იყოფა ორ პერიოდად. 1957 წელს დაიწერა ლიბრეტო კინოსცენარისათვის: თეთრი (1+1_27 გვ.) და შავი (1_17გვ.+1_14გვ) ვარიანტები. ინახება, აგრეთვე, ჩანაწერები ლიბრეტოსათვის (1_9გვ.), (1_24 გვ.). დათარიღებული და დასათაურებულია მხოლოდ თეთრი ვარიანტი, რომელიც 1957 წლისათვის დამახასიათებელი საგანგებოდ გამოყვანილი ხელითაა დაწერილი.

თბილისში ჩამოსვლის შემდეგ, გიორგის თხოვნით, 1958 წლის ზაფხულში გურამმა მუშაობა დაიწყო უკვე «ალუდა ქეთელაურის» სცენარზე (1_27 გვ.) +(1_9გვ). დღიურებიდან ირკვევა, რომ მას მაინცადამაინც არ აინტერესებდა ეს სამუშაო.

1957 წლის «ალუდა ქეთელაურის» ლიბრეტოს სატიტულო ფურცელზე, გარდა სათაურისა და თარიღისა, დახატულია ხევსური კაცი ფარითა და ქამარ-ხანჯლით, სავარაუდოა, თვითონ ალუდა. ჩანახატი გაკეთებულია წითელი ფანქრით, სათაური _ კალმით. ზევითა მარჯვენა კუთხეში თავდაპირველად დაწერილი <u>«შატილი»</u> გადაშლილია წითელი ფანქრით. ოცდამეექვსე გვერდის ბოლოს გამყოფი ხაზის მერე გადაშლილია:

<u>«ხეობაში თოვლი მოდის. უჩვეულო სიწყნარეა, სიწყნარეში დაშვებული მელოდია წყნარად გრძელდება. თოვლზე მოჩანს შიშველა ფეხების ნაფეხურები.»</u>

ასევე გადაშლილია მწერლის მიერ სიტყვა «დასასრულის» შემდეგ დაწერილი აბზაცი:

«კინოში, ჩემი აზრით, ალუდას წასვლის კადრის გადაღება არაა საჭირო. წინა კადრში სოფლის იდილიის დროს კარგად უნდა ჩანდეს გაპარტახებული ალუდას ნასახლარი, მერე გამოჩნდება იგივე ნასახლარი, თოვლით დაფარული, და წავა ბოლო კადრი თოვლიან გზაზე ფეხშიშველა ქალი, ბავშვთან ერთად.»

ამონაწერები დღიურებიდან:

*«მთელი ეს ამბები, წერა, მხოლოდ პატარა შესავალია იმისათვის, რომ **«ალუდა ქეთელაურის» წერა განვაგრძო.** ვაჰმე! ვამბობ ცოტა ხნის შემდეგ _ ტყუილია **«ალუდა»,** ტყუილი, ოღონდ თავის მართლებაა, რადგან ჯერ თითქოს უფლება არა მაქვს წერის, ჯერ მე რაღაც არ გამიკეთებია _ როცა იმას გავაკეთებ _ მერე აღარ მინდა არაფერი, არც აზრი, არც გონება, არც ტანჯვა, მერე იქნება მხოლოდ ოთახი და წერა და არ იქნება წერის გარეშე არაფერი, ოღონდ უფლება მინდა ავიღო, უფლება!! მინდა მოვასწრო, თორემ შემდეგ გვიანღა იქნება!*

და რომ მოვასწრო, უნდა ვიცოდე «რა? რა?? რა?? რა??» (1958 წლის 30 აგვისტო).

«.. ცოტა ხანი ვიდექი ფეხზე, საშინელი ბრძოლა მიდიოდა ჩემს თავში: დავჯდე ტახტზე, რომლის შემდეგაც უნდა დავიძინო, თუ მაგიდასთან, საითკენაც გლეჯს სურვილი, იმდენი რამე მაქვს ჩასაწერი. ბოლოს მაინც პასიური სურვილი ჯობნის და ვიძინებ, გიჟივით მეზარება ეს უაზრო ძილი.

*...არც მეძინება, წინ, მაგიდაზე, დევს **ქეთელაურის** სცენარი, რომელიც უნდა დავამთავრო, და მაინც წერის მაგიერ ვაქრობ სინათლეს და ვიძინებ: რატომ _ არ ვიცი, რა ძალა ჯობნის წერის სურვილს და ახლა რა ძალაა, რომ მაწერინებს. რა ბედნიერია ერლომი ან ზურაბი ან ედიშერი, რომ როცა წერენ, არ ფიქრობენ იმაზე, თუ საერთოდ რატომ უნდა წერო, მათი ბუნება თითქოს შეგუებულია ამ ამბავთან, რომ გაჩნდა საწერად..»* (3 აგვისტო).

ქვეყნდება პირველად.

ნიკო ფიროსმანაშვილი

ლიბრეტო ფიროსმანზე, როგორც უკვე აღვნიშნე, ისევ გიორგი შენგელაიასთან არის დაკავშირებული. ეს უნდა ყოფილიყო დოკუმენტური ფილმი, გიორგის საკურსო თემა, წინასადიპლომო ნამუშევარი კინემატოგრაფიის ინსტიტუში სწავლის პერიოდში. (მკითხველს შევახსენებ, რომ გიორგი შენგელაიამ სადიპლომო ნამუშევრად გურამის გარდაცვალების შემდეგ აირჩია მოთხრობა «ალავერდობა». თურმე, გურამის დაკრძალვის დღეს ის მაღალი სიცხით იწვა ლოგინში. რადიოში ვიღაცამ დაიწყო კითხვა «ალავერდობის», რომელიც სწორედ იმ დღეებში გამოქვეყნდა ჟურნალ «ცისკარში». გიორგიმ თქვა: ისეთი შეგრძნება დამეუფლა, თითქოს ვიღაც საგანგებოდ მიკითხავდა ამ მოთხრობასო. თვალწინ დამიდგა მთელი სურათი და მაშინვე გადავწყვიტე ჩემი სადიპლომოს ბედიც. შეიძლება ითქვას, რომ გიორგიმ «ალავერდობა» თითქმის დოკუმენტური სიზუსტით გადაიღო. ჩამატებულია მხოლოდ პატარა ეპიზოდი, რომელიც ბუნებრივად შეერწყა ნაწარმოების სიუჟეტს).

მახსოვს, გურამმა მითხრა: გიორგისთან მუშაობისას ისე დავწერე ლიბრეტო ფიროსმანაშვილზე, რომ ვერც გავიგეო.

არქივში შემონახულია ამ ლიბრეტოს შავი (1_14გვ.) და თეთრი (1_7გვ.) ვარიანტები და რამდენიმე ჩანაწერი.

ქვეყნდება პირველად.

ჩვენ ერთად მივდივართ

ეს ნაწარმოები დაწერილია როგორც ლიბრეტო კინოსცენარისათვის «ჩვენ ერთად მივდივართ.» არსებობს ორი შავი (1-12გვ., 1-8გვ.) და ორი თეთრი (1-9გვ., 1-7გვ.) ხელნაწერი, აგრეთვე, 1960 წლამდე გადაბეჭდილი ცალი, ავტორისეული სწორებებით (1-8გვ.). ამ ტექსტის დასაწყისში შავი ფანქრით, მამას ხელით, მკრთალად წერია: «№4. კინოსცენარის «ჩვენ ერთად მივდივართ» ლიბრეტო». ინახება კინოსტუდიის დირექტორის მიერ გაცემული დასკვნა ამ ლიბრეტოს თაობაზე (იხ. აქვე). არც ერთი ხელნაწერი არ არის დასათაურებული, არც დათარიღებული. სათაური წერია მხოლოდ კინოსტუდიის მიერ გაცემულ «დასკვნაში». დასკვნის თარიღის მიხედვით, ასევე დათარიღებისათვის შემუშავებული ზოგადი კრიტერიუმის თანახმად, შეიძლება მსჯელობა ლიბრეტოს დაწერის თარიღზეც. მნიშვნელოვანია, აგრეთვე, არქივში შემონახული 1959 წლის გაზეთი «პრავდა», რომლის ერთ-ერთ წერილში ლაპარაკია კომუნისტური შრომის ბრიგადების შექმნის თაობაზე, რაც თემატურადაა დაკავშირებული ამ ნაწარმოებთან.

პირველი შავი ვარიანტი (1_12გვ.) დაწერილია ბლოკნოტიდან ამოხეული მოყვითალო ფურცლების ორსავე მხარეს. ნაწერია ძალიან გაკრული ხელით, ნასწორებია წერის პროცესში. ეს ხელნაწერი იდო ორად გაკეცილი თაბახის ფურცელში. ამ თაბახის ფურცლის შიდა გვერდზე დაწყებულია სცენარის თეთრი ვარიანტი: «სცენარის მიზანია დაედოს საფუძვლად ფართოეკრანიან მხატვრულ კინოპლაკატს რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ცხოვრებიდან. ამ სურათმა შეგნებული პირდაპირობით უნდა უპასუხოს კითხვებს, რა არის ცუდი და რა არის კარგი კომუნისტური საზოგადოების შენების პროცესში.

ჩვენი აზრით, აღარ აკმაყოფილებს კინოს მნახველს თუ თითონ შემოქმედს ინტიმური კინოების ერთი რიგი ქარხნის მჩქეფარე ცხოვრებაზე, კინოები....»

ამ თაბახის ფურცლის მეორე გვერდზე კი ფანქრით, მამაჩემის ხელით, დაწერილია: «10 გვერდი. ერთი კიდევ შავი, დასაწყისი და ერთი რუსულად ამონაწერი». ჩემი ხელით: «კინოსცენარი რუსთავის მეტალურგიული ქარხნის შესახებ. შეიძლება ეს იყოს «ალავერდობის» ციკლის ბოლო მოთხრობა «რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაზე...». საინტერესოა, ჩემი აზრით, ამ ნაწარმოების (ლიბრეტოს) პაროდიულ-გროტესკული ხასიათი, რომლის ფონზეც თავისებურ სიუჟეტურ გადაწყვეტას პოულობს მწერლის შემოქმედების ერთ-ერთი ცენტრალური მოტივი: ერთისა და ყველას, პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთმიმართება.

ამ ლიბრეტოს შექმნის ისტორიისა და ინტერპრეტაციისათვის იხ. ტომი 3, შენიშვნები «ჩემი ლიტერატურული შეხედულებებისათვის.» აქ შეიძლება მხოლოდ

იმის გახსენება, რომ როდესაც გურამს დაუწუნეს კინოსტუდიაში მიტანილი «თორტიზელი ქალიშვილი» და უთხრეს, რამე დაგვიწერე საბჭოთა თემატიკაზეო, მან, გიორგის თქმით, არ იუარა და მისდა გასაკვირად, იქვე დაწერა რამდენიმე გვერდი (ინახება არქივში). ეს ჩანაწერები შეიძლება მივიჩნიოთ ლიბრეტოს პირველ ვარიანტად. გიორგის მაშინ თურმე შეექმნა შთაბეჭდილება, რომ ეს სიუჟეტი გურამს უკვე მომზადებული ჰქონდა დასაწერად. ლიბრეტო მოეწონათ. კინოსტუდიამ ახალგაზრდებს გამოუყო კიდეც ფული. ამხანაგების გადმოცემით ამ ფულის ნაწილი გურამმა სამკურნალოდ მისცა ერთ ამხანაგს, რომელსაც მაღალი სართულიდან გადმოვარდნის შემდეგ დაემართა «სტოლბნიაკი». დარჩენილი თანხით კი, როგორც მახსოვს, გურამი წავიდა გაგრაში. ეს იყო 1960 წელი.

კინოსტუდიის მიერ გაცემული დასკვნა ლიბრეტოზე: «ჩვენ ერთად მივდივართ»
ავტორი გ. რჩეულიშვილი.

«ლიბრეტოს თემისათვის დამახასიათებელია ჩანაფიქრის სიახლე და აქტუალობა. პირადულისა და საზოგადოებრივის ჰარმონიული შერწყმა ახალი სოციალისტური ფორმაციის ადამიანში. პიროვნების ადგილი კოლექტივში და კოლექტივის წარმატება, როგორც პიროვნების ბედნიერების მთავარი პირობა. _ აი, ლიბრეტოს თემატურ-სიუჟეტური კომპლექსი, რომელიც გაშლილია რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კომუნისტური შრომის ერთ-ერთი ახალგაზრდული ბრიგადის მასალაზე.

მომავალი სცენარი, მხატვრული გადაწყვეტის ხერხის მხრით, ავტორს რამდენადმე პირობითად და სადავოდაც აქვს ჩაფიქრებული. სადავოა და გადააზრებას მოითხოვს, კერძოდ, ფინალი და, სახელდობრ, გურამის დაღუპვა. გურამი იღუპება უბრალო უბედური შემთხვევის შედეგად, მაგრამ ავტორი ამას სიმბოლურ მნიშვნელობას ანიჭებს და განიხილავს როგორც დაღუპულის ინდივიდულიზმისა და კოლექტივისაგან მისი განდგომის დაგმობას ცხოვრების მიერ. აქ მოსაძებნია უკეთესი სიუჟეტური გადაწყვეტა, რომელიც აზრობრივად უფრო დასაბუთებული და მხატვრულად მეტად დამაჯერებელი იქნება.

ყოველ შემთხვევაში, ლიბრეტოში სახეზეა ახალგაზრდა მწერლის საინტერესო და მძაფრი ცხოვრებისეული დაკვირვებები, ღრმა პუბლიცისტური აზროვნების ნიშნები და საგულისხმო ფსიქოლოგიურ-ემოციური განწყობილებები, რომლებიც დამაიმედებელ საფუძველს წარმოადგენენ შემდგომი მუშაობისათვის.

რამდენადაც მუშათა კლასის თემა, თანამედროვე გაზრდილ მოთხოვნილებათა გათვალისწინებით, რთულია და მოითხოვს შემოქმედებით ძიებას, ხოლო ლიბრეტო ამ ძიების ამოცანათა დონეზე დგას, შესაძლებელად მიგვაჩნია ხელშეკრულების დადება ავტორთან სცენარზე მუშაობის გასაგრძელებლად.

სასცენარო განყოფილების უფროსი მ. მგალობლიშვილი
მთ. რედაქტორი ა. მახარაძე.
«ვამტკიცებ» კინოსტუდია «ქართული ფილმის» დირექტორი შ. ძიძიგური
10 მაისი, 1960 წელი.

<u>1960 წლამდე გადაბეჭდილი ცალი</u> წარმოადგენს თეთრი ვარიანტის ასლს. აქ რამდენიმე სწორება გაკეთებულია მწერლის მიერ. სავარაუდოა, რომ ამ ვარიანტს გურამი მიიჩნევდა ძირითადად (იხ. ნაბეჭდი ტექსტი).

ქვეყნდება პირველად.

ბევრი ბავშვები ერთად

არქივში ინახება ამ ნაწარმოების შავი და თეთრი დაუთარიღებული ხელნაწერები. დასათაურებულია მხოლოდ თეთრი ავტოგრაფი. კინომოთხრობა დათარიღდა არქივის კვლევისას შემუშავებული ზოგადი კრიტერიუმის თანახმად. დაწერილი უნდა იყოს, ვფიქრობ, 1960 წლის მარტში, დაახლოებით იმ დროს, როდესაც დაიწერა ლიბრეტო _ «ჩვენ ერთად მივდივართ». მსგავსია ორივე ნაწარმოების შავი ვარიანტის ჩანაწერებისათვის გამოყენებული ბლოკნოტიდან ამოხეული ფურცლები, აგრეთვე, თვითონ შავი ავტოგრაფების ტექსტისათვის გამოყენებული თაბახის ფურცლები, ხელწერა, მელანი, კალამი და სხვ.

შავი ხელნაწერის ერთ-ერთი გმირი, რუსის ბიჭი იგორი, მოგვაგონებს გლებს ლიბრეტოდან «ჩვენ ერთად მივდივართ» (თეთრ ხელნაწერში «იგორი» შეცვლილია «გურამით»). შავ ავტოგრაფში «რუსიკოს» მაგივრად არის «რუსული მკაცრი სახის გოგონა, პიონერის ყელსახვევით», რაც გურამის მკითხველს გაახსენებს ლენას «დღიურიდან» (ამ დროისათვის ეს მოთხრობა სულ სამი-ოთხი თვის დაწერილი უნდა იყოს). მოულოდნელად, შავი ავტოგრაფის პირველივე გვერდზე გამოჩნდა დიდი ხნის მივიწყებული, 1957 წლის ავტოგრაფებისათვის დამახასიათებელი, ფიგურული «ტ» სიტყვაში «ტაში», «ტატული,» შიგნით ჩახატული სახით (იხ. ტომი 1, ავტოგრაფების დახასიათებისათვის).

შავი ავტოგრაფი დაწერილია თაბახის ფურცლების ორსავე მხარეს, დიდი ასოებით, გაკრული ხელით, მეტი ნაწილი გვერდებისა პაგინაციის გარეშეა. განსხვავება შავსა და თეთრ ხელნაწერებს შორის თითქმის არ არსებობს.

თეთრი ავტოგრაფი დაწერილია მოწესრიგებული ხელით დაუხაზავი ბლოკნოტის ტიპის საერთო რვეულის ორსავე მხარეს, დაახლოებით ისეთსავე რვეულში (განსხვავებულია მხოლოდ რვეულის ფერი), როგორშიც მოსკოვის დროინდელი პიესები.

თეთრ ავტოგრაფში შეცვლილია «ლია» «ირინათი», შავ ხელნაწერში გიზოს გვარია «ავალიშვილი». მკითხველს შევახსენებ, აგრეთვე, «ჩემი ლიტერატურული შეხედულებების» მეოთხე მოთხრობად დასახელებული ნაწარმოების მწერლის ალტერ ეგოს გვარს «მაყაშვილი» და, აგრეთვე, სახელ «ირინასთან» დაკავშირებულ ასოციაციებს გურამის შემოქმედებაში (იხ. ტომი 3, შენიშვნები «ირინა და მესათვის»).

თეთრ ხელნაწერში გაკეთებული მწერლის რამდენიმე კომენტარი, რომლის განხორციელებასაც აპირებდა ის, ალბათ, ნაწარმოების დამუშავებისას, ან უფრო რეჟისორთან მუშაობის შემთხვევაში:

** «(ან ჯერ ერთი აკლდა, შემდეგ ორი დააკლდა) (ან რაიმე უფრო დამახასიათებელი) სიტყვებთან «ითვლის მტრედებს».*

(I ვარიანტი: ჩანს, როგორ ემზადებიან სხდომისათვის ბავშვები; ლაპარაკობს მათი აზრების შესახებ დიქტორი, განაჩენსაც თვით დიქტორი აცხადებს მოქმედების პარალელურად).

(II ვარიანტი: თვითონ საუბრობენ ბავშვები (შესაფერი ტექსტი).»

** /სასურველია კადრში გამოჩნდეს მოქალაქეთა მხოლოდ ფეხები, ყველაზე დამახასიათებელი მოძრაობის დროს. ამ პრინციპის დაცვა გამოწვეულია იმ*

პირობით, რომლის დაშვებითაც კინოში უფროსები მთელი ტანით, საერთოდ, არ ჩანან. გამონაკლისია მხოლოდ უცნაური მოხუცი. ისიც, ძირითადად, სილუეტია/.

(სცენის მოწყობისას ყველაზე მთავარია თავიდან დაშვებული პირობითობის ორიგინალურად დაცვა)».

თეთრი ხელნაწერისაგან განსხვავებული ტექსტები შავ ვარიანტში (როგორც მკითხველი თავადაც დარწმუნდება, თეთრში ეს ტექსტები გადასულია ქვეტექსტში):

»არავინ იცის რამდენად სწორია მისი უმეგზუროდ გარეთ სიარული, ხიფათი კი უზარმაზარია. საკმარისია, ასეთ არსებას კიდევ მიემატოს ერთი სურვილი მაინც, თანაც რეალური, რომლის განხორციელებაც გაცილებით ძნელია და თან სრულიად ახალი სამყაროა მეოცნებისათვის, რომ იგი დაიმსხვრეს.»

»...ლევიკოს ფიქრი: აქ გადავრჩი, აქ გავცურე, მაგრამ რა ძნელია, როცა მართლა აკეთებ რამეს, ნეტა რა იქნება შემდეგ, გავუძლებ კი..»

** «ლევიკო ჯერ ვერ გარკვეულა, ოცნებაში გულადს, ეშინია თუ არ ეშინია:»*

** «რა ადვილია ყველაფერი, როცა ეზოში ხარ ან წევხარ საწოლში _ უჰ, როგორ დავიღალე.»*

** «გდია ლევიკო გულშეწუხებული. ეჩვენება: უკრავს სევდიანად, ყრუდ, სამგლოვიაროდ ტატულის ვიოლინო, გულსა (...), ნელა შორდება პატარა ლევიკო ამ ქვეყანას. ოცნებით ხედავს, მიფრინავს ის რაკეტით თავისი ვარსკლავისაკენ, (შეიძლება: იქ ზის ის სულელი მოხუცი და ხელგაშლილი ელოდება). ისმის მისი სიტყვები: «იქ არის ჩემი ოცნება». მიდიან დაუსრულებელ რიგებად პიონერები, წითელი ყელსახვევებით. ლევიკოსთან ხმები: მე იმდენი ვიოცნებე, რომ როცა სინამდვილეს შევხვდი, ველარ გავუძელი. ლევიკოს ტექსტი: ოცნებამ დატოვა ისინი, ახლა საქმეა მთელი, დიდი, საჭირო.»*

ჩანაწერები ნაწარმოებისათვის:

1. ამ ნაწარმოების პირველი შავი ვარიანტი (1_5გვ.) დაწერილია ბლოკნოტიდან ამოხეულ რამდენიმე ფურცელზე. ასეთსავე ფურცლებზეა გაკეთებული ჩანაწერები ლიბრეტოსათვის: «ჩვენ ერთად მივდივართ.» ამ ჩანაწერების პირველ გვერდზე დახატულია ადამიანი-რაკეტა, ოთხივე კიდურზე ხელების და ფეხების მაგივრად ფიგურას აქვს ჯვრები. თავზე გამობმულია, ვფიქრობ, რაღაც ანტენასავით. აქვე დახატულია რამდენიმე გაურკვეველი ფორმის ფიგურა, შეიძლება იფიქრო, რომ შანდლები. ერთზე თითქოს გამოსახულია ალი.

«ვარიანტი: შეიძლება მასხარამ დაიწყოს და იდიქტოროს!

თქვენ აქ ნახავთ ბავშვების დაუსრულებლად ბევრ მოღიმარ სახეს, ნახავთ მათ გართობას, მათ თავისუფალ ლხინს. ჩვენი მიზანიც სწორედ ეს არის: გაჩვენოთ რაც შეიძლება მეტი სიმხიარულე, უდარდელობა, ყველაზე მეტად დამახასიათებელი ასაკისათვის. და ნუ გაამტყუნებთ ნურც სცენარის დამწერს, ნურც ფილმის გადამღებ რეჟისროს, თუ შიგადაშიგ შეხვდებით ეკრანზე ნაჩვენები პატარების მოქმედებაში ან კისკისში ასეთ სიღრმესა და სევდას, რომელსაც ისინი ყოველთვის ატარებენ თავიანთ ბუნებაში მალულად და შეიძლება გაცილებით მეტი რაოდენობით, ვიდრე ეს ჩვენ, უფროსებს, გვგონია ხოლმე. ჩვენ ბავშვებს მაინც მხიარუბლებად ვიცნობთ, დავიწყოთ აქედან.

იწყება!

შეხედეთ მათ სახეებს!

ეს ამბავი ხდება გაკვეთილების დამთავრების შემდეგ.

ვის შეუძლია დაძრახოს ისინი, რომ უყვართ გართობა:

... ღამე ბავშვებს, როგორც წესი, ეძინებათ, თუ ამის საშუალება არა აქვთ ეშინიათ, ხოლო თუ დაძლევენ შიშს, უცნაური შიშნარევი ჩვენებები ეუფლება მათ გონებას.

დასაწყისი: მოდი ვითამაშოთ მზე, მთვარე და ქვესკნელობანა.

შინაარსი: თამაშის სახელია: ღამე მოგზაურობანა: თითოეული იკავებს თავის ადგილს. გოგო ჯდება ნანგრევის თავზე როგორც მთვარე. ლია ეწყობა მის გვერდით როგორც მზე, დედოფალი. სოსო ეტუზება მას, გულხელდაკრეფილი მეფისტოფელის სახით, ნანგრევის ბნელ კუთხეში, მის თავთან შავი კატები დადიან. მიშა დგას შუაში და ხან ერთს უღიმი,ს ხან მეორეს. მის ერთ-ერთ მხარეს გაივლის ლევიკო. შუაში დგომა არ მოსწონს. დათო ქვისგან თლის ძეგლს _ შრომობს, მუშაობს. დათო, როგორც ცოტა დეფექტური ( ), პრინციპით _ გიჟი თავისუფალია, დარბის ყოველ მხარეს. ძაღლები უყურებენ წარმოდგენას და თავიანთ აღტაცებას თუ აღშფოთებას ყეფით გამოხატავენ. ლია /ან ჩემგან მოგონილი მასხარა დიქტორი/ აცხადებს /მე/ ლია მზეა, გოგი მთვარე, ორი დიდებული მეფე _ დღე და ღამე. მათ არ შეუძლიათ უერთმანეთოდ / არ შეუძლიათ ერთად ყოფნაც. / ორივეს კეთილი სახეაქვს. სოსო ჯურღმულია, შავი ზრახვებით ის მხოლოდ მარტოა ხოლმე, შავ ფიქრებთან და შავ კატებთან. მიშა შუაშია, მშიშარა და მლიქვნელი. ორივესკენ თანაბრად მიიწევს მისი გული როგორც მნათობისაკენ, ისევე ჯურღმულისაკენ. დათო არხეინია, ის გიჟია, ის თვითონ არის მოქმედი პირიც და მაყურებელიც _ გიჟმაჟია.

/შემოდის დაღლილი//

ლევიკო: დამაპურე.

ლია: მე მხოლოდ შემიძლია დაგაძინო და ნანა გიმღერო, დაგასვენო, მოგცე ოცნების საშუალება. პური შენ თვითონ უნდა იშოვო.

ლევიკო /სოსოს/: დამაპურე.

სოსო: მოდი ახლოს, მაჩვენე ეგ ჩანთა.

ლევიკო: აჰა, აიღე.

სოსო: /იღებს დარჩენილ საგზალსაც/ ახლა უცებ წადი, თორემ შენც გადაგყლაპავ.

/ლევიკო მოდის დაღლილი, შეშინებული და მაინც ამაყად/.

ლევიკო: შენ რას აკეთებ?

იგორი: ვაქანდაკებ.

ლევიკო: რას?

იგორი: მე ვაქანდაკებ იმას, რასაც ვხედავ _ მზეს, მთვარეს ან ღამეს და იმას, რაც ჩანს უფსკრულში შავსა და ბოროტში.

ლევიკო: ვინა ხარ შენ?

იგორი: მე ხელოვანი ვარ. მოქანდაკე. .....

ლევიკო: მე მშია, ვერ დამაპურებ?

იგორი: ჩემი პური აი, ეს ქანდაკებაა. აქ არის მზე, აქ არის მთვარე, აქ არის უფსკრული. ვაკეთებ, მერე ვუყურებ და სხვა არაფერი არ მინდა.

ლევიკო: ო, ეგ რა საინტერესოა. /მიშაზე/ ამას რატომ არ აქანდაკებ?

იგორი: ეგ ისედაც ჩანს ჩემდაუნებურად ჩემს ნამუშევარში. ეგ ჩანს, როცა ვაკეთებ მზეს, როცა ვაკეთებ მთვარეს და უფსკრულს. თითოეულს ისე ვაკეთებ, რომ მარტო მე კი არა, იმათაც ესიამოვნოთ. მაგალითად, მზეს ვუმატებ სინათლეს, სიდიდეს, უფსკრულს _ სიბნელეს, სივიწროვეს, ვისაც რა აქვს საქმე (პრეტენზია), იქითკენ სიამოვნებს თავისი გარეგნობის გაღრმავება. ეს ყველაფერი მაგ კაცმა მასწავლა, ეგ კაცი მარტო იმითი ცხოვრობს, რომ ერთდროულად შეუძლია ბევრს ასიამოვნოს, მე

ძალიანა ვგავარ მაგას, ოღონდ მაგან ზომა არ იცის და უნიჭოა, მე კი ზომა ვიცი და ნიჭიერი ვარ.

ლევიკო: მე კი არაფერი არ ვიცი, მე სულ შემთხვევითა ვარ აქ მოსული.

იგორი: შენ მეოცნებე იქნები. მეოცნებე და მოგზაური ერთი და იგივეა.

/ამასობაში მოქმედებენ მზე, მთვარე, ვარსკლავები, უფსკრული, მლიქვნელი, ძაღლი, მაყურებლები/.

ლევიკო: ჰო, ჰო, მგონი, ეგა ვარ.

იგორი: საწყალო ბიჭო.

ლევიკო: საწყალო?

იგორი: ჰო, შენ გინდა, რომ ყველას კარგი გაუკეთო, სინამდვილეში კი მხოლოდ შენს თავს ასიამოვნებ, ისიც იმავე ოცნებაში, სხვა ცხოვრებაში, შენს ახლობლებს კი მხოლოდ სიმწარეს აჩვენებ და ჩქარა დაიღუპები, რადგან უნაყოფო ხარ.

/დათო უნდა გავიყვანო საქმეში/.

მოვლენ გიგული და გიზო.

*ლევიკო **/იმათ/**: აქ ყველა რაღაც სიმბოლოები არიან _ მზე, მთვარე. მე მინდა ვნახო ნამდვილი ხალხი.*

/ხვდება მიშა/

ლევიკო: დამაპურე, კეთილო კაცო.

მიშა: ახლავე, ახლავე.

ლევიკო /უცდის, მიშა არ აპურებს/: როდის დამაპურებ?

მიშა: ახლავე, ახლავე.

/იცდის/

ლევიკო: როდის?

მიშა: მზემ დაგაპურა?

ლევიკო: არა.

მიშა: მთვარემ?

ლევიკო: არა.

მიშა: ქვესკნელმა?

ლევიკო: არა!

მიშა: აბა, წადი აქედან, მე შენთან სამლიქვნელო არაფერი მაქვს.

ლევიკო: შენ ვინა ხარ?

მიშა: მე ადამიანი ვარ, მლიქვნელი ვარ? მზისგან სინათლეს ველი. მთვარისგან _ ძილს, ქვესკნელისგან _ შენდობას, რომ არ წამიყვანოს უდროოდ..( ). მე ყველასთან კარგადა ვარ, შენ კი წადი, მე არა მჭირდები.

გოგი: მე მომწყინდა მზედ ყოფნა, მე ნამდვილი კაცი ვარ.

ლია: მეც.

სოსო: მეც.

ლევიკო: როგორც ეტყობა, მხოლოდ მე ვრჩები მეოცნებედ, მაგრამ ეს არც ისე ცუდია, არა?

გიგული: პირიქით.

/გიგული აფორიაქებს ყველას, დასცინის მათ პრიმიტიულ მისტიკას და შიშს/

მერე ეუბნება, როგორ ეძებენ დედები.

როგორ გამოიპარნენ ის და გიზო, რომელსაც დილით გაკვეთილები დარჩა გაუმეორებელი. /მეორე ნაპირზე ძებნაა, ჩქარა დაიწყება სწავლა. ჩქარა სკოლისკენ/ /სირბილი. ლევიკოს დაღუპვა. მისდევენ მანქანას. თითოეულის სახე. ამ დროს ოთახი, იქ ვარჯიშობს ტატული, ვიოლინო. მწუხარე ლევიკოს სახე, ტირის გიგული,

ლევიკოს ბოლო ოცნება, ტატული ვიოლინოზე უკრავს. იღუპება მეოცნებე. რეალური ხმები: მოდიან ჯანსაღი ბავშვები სკოლაში. / ისევ ვიოლინო/.

ჩანაწერი ცალკე ფურცელზე (1გვ.):

«დაუფარავად, გულწრფელად გამოსჭვივის ხოლმე მათ სიტყვებში _ გთხოვთ, ნუ დაეჭვდებით, რომ ეს მათი საკუთარია _ წინააღმდეგ შემთხვევაში, სულმოკლეობას დაგწამებენ შენ პატარებთან კამათისათვის _

დიქტორის ტექსტი: ბავშვები ყოველთვის ნახევრად არარეალობაში და ოცნებაში არიან, თუმცა არის ვერსია, რომ ისინი გაცილებით რეალური ხალხია და უკეთ გარკვეული თავის სურვილებში, ყოველ შემთხვევაში, მათ მოქმედებაში ნამდვილი და მოგონილი დიდი სილამაზითაა და ერწყმება ერთმანეთს და მათგან ჩვენ მიერ დანახული არაფერი არ ტოვებს ყალბის შთაბეჭდილებას.

აი, ახლაც, ღამე, ისინი დგამენ უცნაურ წარმოდგენას _ როდის მოიფიქრეს მისი მოწყობა, ან როგორ შემოდის შემდეგში ორგანულად, პირდაპირ პატარა ლევიკო, არაფერი ვიცით. ყოველ შემთხვევაში, ბავშვების მოქმედებას ასეთ უცნაურობებს ჩვენ, დიდები, ყოველთვის ვაპატიებთ, კარგი იქნებოდა, რომ უცნაურობასთან ერთად ვაპატიოთ მათ ის ჭკუა და სიღრმე, რაც სრულიად...»

ბლოკნოტიდან ამოხეულ ფურცელზე (1გვ.) დიდი ასოებით დაწერილია: «რა უნდა შევეკითხო», ალბათ, უნდა გულისხმობდეს კინორეჟისორს, შეიძლება ეს იყოს ისევ გიორგი შენგელაია, რომელსაც წაუკითხავს კინომოთხრობა დაწერისთანავე. შემდეგ ჩამოწერილია შეკითხვები:

1. *უფრო სიღრმისაკენ, ბავშვებისათვის ასატან მსჯელობებისაკენ წავიდე თუ თავგადასავლებისაკენ.*

2. მოკვდეს თუ მხოლოდ ოცნებაში წავიდეს ლევიკო.

ჩემი ვერსია: მოკვდეს.

ცაში როგორ გაფრინდეს _ იქნებ რაკეტით?!

თუ რაკეტით, მაშინ რაკეტა ადრევე უნდა იყოს ნაჩვენები ან უნდა იყოს ნათქვამი მის შესახებ.

1. ტექსტის წამკითხველი პიროვნება იქნება (მასხარა?) თუ მხოლოდ დიქტორის ხმა.?

2. აინტერესებს თუ არა ლევიკოს კომიკურ სიტუაციებში ჩავარდნა?

შტრიხები ნაწარმოების ინტერპრეტაციისათვის:

კინომოთხრობის დათარიღების ერთ-ერთ მნიშვნელოვან არგუმენტად შეიძლება მივიჩნიოთ გურამის ამ პერიოდის ნაწარმოებებისათვის დამახასიათებელი მოტივი: «ბევრი ერთად» (შეიძლება ითქვას ასეც: «ყველა ერთად»). განზე დგას, განსხვავებულია ყველასაგან მხოლოდ მთავარი გმირი, ალბათ, მწერლის ალტერ ეგო, რომლის დაღუპვაც სრულიად ბუნებრივად აღიქმება ნაწარმოებში. მკითხველს შევახსენებ ორი კინომოთხრობის («ჩვენ ერთად მივდივართ», «ბევრი ბავშვები ერთად») ფინალურ სცენას:

«გავარდა მანქანა მტვრიან ქუჩაზე, თეთრ ბურუსში გაახვია ბავშვები.

მისდევენ ისინი შეუნელებლად და დაღლა არ ეტყობათ.

მირბის ლევიკო, არ ჩამორჩება სხვებს.

სახეზე ეტყობა, უკანასკნელ ძალას იკრებს.
გათავდა მტვრიანი გზა. გალაღებული გარბიან ყველანი.
შედგება ლევიკო,
დაბარბაცდება მტვერში;
გაიფანტება მტვერი;
გდია ლევიკო ძირს, თვალები ფართოდა აქვს გახელილი, ღრმად სუნთქავს და ცას უსწორებს მზერას;
უხშირებს სუნთქვას.
უკრავს ვიოლინო თავგანწირვამდე, მონდომებით და ტრაგიკულად.
მიფრინავს ხომალდი ვარსკლავისაკენ;
მიდიან სკოლებისაკენ სუფთად ჩაცმული ბავშვები, პიონერთა ყელსახვევებით;
ტექსტი: გათენებისას დატოვა პატარა მეოცნებემ ეს ქვეყანა.
*_ მოდის სინამდვილე გაშლილი რიგებით /**მოდიან პიონერები**/.* (**«ბევრი ბავშვები ერთად**»).

«გარეგნულად ამ დროს თითქოს დროებით კოლექტივთან ერთად მყოფი გურამი, სინამდვილეში სულ გამოთიშულია მისგან, მან ვერ იპოვა აქ თავისი ადგილი, ხოლო იმ შემთხვევაში არასაჭირო თავმოყვარეობამ და სიჯიუტემ უფლება არ მისცა თავისი ნებით დაეტოვებინა ქარხანა, სწორედ ეს გახდა იმ ტრაგედიის საფუძველი, რომელიც აღნიშნული სადღესასწაულო დღის წინა საღამოს მოხდა: ამ საღამოს განსაკუთრებული თავდადებით მუშაობდა მთელი ბრიგადა. დაიწყეს გავარვარებული მეტალის ამოღება; «კომკავშირლებო, გამოდით აქეთ», მოისმა რუპორში ჟორას ხმა; ყველანი გამოვიდნენ. ქარხნის ხმაურში ჩანდა, როგორ არ გამოეხმაურა გურამი კომკავშირლად დაძახებას და თავჩაღუნულმა განაგრძო მუშაობა. მთელი ქარხანა დაიძაბა, ოღონდ უკვე გვიან იყო: წამოსულმა ვარვარა მეტალმა თითქმის მთლიანად ამოწვა იგი. საშინელი სიმწუხარე გამეფდა ირგვლივ, ძლივს შეძლო ბრიგადირმა, თავად უზომოდ დამწუხრებულმა, განწყობილების ოდნავ შერბილება; მეორე დღეს ზეიმი ტრაგედიას არ უშლიდა ხელს, ხოლო ტრაგედიამ ზეიმი უფრო სერიოზული, წონიანი და მრავლისმთქმელი გახადა (**«ჩვენ ერთად მივდივართ»**).

მნიშვნელოვანია კოსმოსში გატყორცნილი რაკეტის თემაც, რომელიც შემოდის ნაწარმოებში როგორც ადამიანის უსასრულობისაკენ სწრაფვის ირონიული მაგალითი (პირველად ამის შესახებ დაწერილია 1957 წლის დაუმთავრებელ პიესაში, შემდეგ _ «სალომესა და გურამში»).

მკითხველს ყურადღებას მივაქცევინებ, აგრეთვე, ბავშვების მიერ მოწყობილ «სასამართლოზე,» რაც ამ დროისათვის გურამის ნაწარმოებების სიუჟეტის ერთ-ერთ აუცილებელ მოტივად იქცა თითქოს (სასამართლოებისათვის გურამთან იხ. ტომი 3-ის კომენტარები).

ჩემი აზრით, მნიშვნელოვანი უნდა იყოს გურამის ცხოვრება-შემოქმედების მთლიანობაში გააზრებისათვის, ლევიკოს სიტყვები: «რა ძნელი ყოფილა, როცა მართლა აკეთებ რამეს, ნეტა რა იქნება შემდეგ როცა დამჭირდება _ გავუძლებ კი?» ან კიდევ ლევიკოს ფიქრები «ეს გავცურე, მაგრამ ნამდვილ ზღვას... « (იხ. აგრეთვე, «სურამის ციხის» კომენტარები), ისე როგორც მის მიერ დახატული სურათი: ლევიკო ზის ცოცხზე და თვითონ მიფრინავს კატასტროფის ადგილისაკენ. «კატასტროფის ადგილი ცალკე, ერთი სერიის სამი სურათი: ის დგას მზეზე, ის დგას მთვარეზე, ის

დგას და ერთი ფეხი მზეზე უდგას, მეორე _ მთვარეზე.» აქ შეიძლება გავიხსენოთ გურამის მიერ გაკეთებული ბარათაშვილის ცნობილი სიტყვების პერიფრაზი, რომელიც მწერლის შემოქმედების კომენტირებისას უკვე მოვიხმე: «ბევრად უფრო ადვილია სხვას გაუადვილო სავალი გზისა, ვიდრე შენ თვითონ იყო ეს მოძმე.»

«ბევრი ბავშვები ერთად» პირველად გამოქვეყნდა ნუგზარ წერეთლის რედაქციით გამოცემულ კრებულში: «სად გაექცევი ზამთრის ღამეს» 1985 წელს.

ლექსებისათვის

არც ამ შემთხვევაში ვღალატობთ ამგამოცემისეულ პრინციპს და ვბეჭდავთ არქივში მოძიებულ თითქმის ყველა ლექსს თუ მინიატურას, მწერლის შემოქმედებაში მათი მხატვრული ღირებულებისა და მნიშვნელობის გაუთვალისწინებლად.

გურამი, კარგად მახსოვს, ბავშვობისას არ წერდა არც ლექსებს და არც მოთხრობებს. გამონაკლისად შეიძლება მივიჩნიოთ რამდენიმე ნახატი-ზღაპარი, ნახატის ქვეშ მიწერილი თითოწინადადებიანი ტექსტებით (დაკარგულია), რომლებიც, რამდენადაც მახსოვს, ძია ლალი ჯავახიშვილთან ერთად შეადგინეს გურამმა და დათო ჯავახიშვილმა. ამ ზღაპრებში, როგორც მაშინ ამბობდნენ ბიჭები, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო, რომ ისინი იკითხებოდა როგორც სპარსული ტექსტები (მარჯვნიდან მარცხნივ) და არა ჩვეულებრივ.

არქივში ინახება ერთადერთი ბავშვობისდროინდელი ლექსი (მომაწოდა ლალი მიქელაძემ), მიძღვნილი «ხუთი მეგობარი გოგონასადმი» (ლალი მიქელაძე, ჯინა მიქაძე, ჯილდა ქორქია, გულიკო მესხი, მანანა ანთიძე). მათთან ერთად გურამი დადიოდა პიონერთა სასახლეში ირინა მიქელაძესთან, ისტორიის წრეში და ხშირად ლაშქრავდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეს (იხ. კომენტარები «შაშას რევოლუციისათვის», ტომი 3). ეს ლექსი საინტერესოდ შეიძლება იქნას მიჩნეული მხოლოდ როგორც დასტური იმ ფაქტისა, რომ ის დაწერილია «წერის დაწყებამდე» («მორჩა, ვიწყებ წერას...» დღიურიდან) და მას არავითარი კავშირი არა აქვს მწერლის ოთხწლიან შემოქმედებით მთლიანობასთან.

გურამმა 1957_1960 წლებში, თითქოს პაუზების დროს, დაიწყო ლექსების წერა. წერდა რაზეც მოხვდებოდა _ რვეულის ფურცლების ნაგლეჯებზე, თაბახის ფურცლებზე, ბლოკნოტებში. თითქოს ცდიდა თავს როგორც პოეტი და როგორც დღიურები მოწმობენ, მე მგონი, მაინცადამაინც კმაყოფილი არა რჩებოდა ამ ექსპერიმენტებით.

ამონაწერი 1960 წლის ჩანაწერებიდან:

«ო, მაღალო ბუნებავ, თუ დამბადე პოეტად, რითმის გრძნობაც უნდა მოგეცა.»

ერთხელ, ნუგზარ წერეთლისათვის, რომელიც იმ დროისათვის უკვე კარგი პოეტი იყო, უთქვამს: «მე რომ შენნაირი რითმის გრძნობა მქონდეს, დიდი პოეტი ვიქნებოდიო». ნუგზარმა თითქმის მთელი ქართული პოეზია იცოდა ზეპირად და მათი ყოველდღიური შეხვედრების დროს შეეძლო მთელ ღამეს ეკითხა ლექსები, ხშირად, გურამის თხოვნით. ნუგზარის თქმით, იმ თვეებში გურამი, თურმე, ხშირად იმეორებდა ტიციან ტაბიძის ცნობილ სტრიქონებს: «... ალიონზე თეთრ დუქანთან ტირის არღანი,/ მტკვარი ახლოა, მინდა მტკვარში თავი დავიხრჩო». შეიძლება ითქვას, რომ გურამს განსაკუთრებით უყვარდა პოეზია, ისე როგორც მუსიკა,

სიმღერა, თუმცა ვერ მღეროდა. მახსოვს, ერთხელ თქვა: «სიმღერა რომ შემძლებოდა, შეიძლება მაშინ არც არაფერი დამეწერაო.»

ამონაწერები დღიურებიდან:

«მაგონდება როგორ ვღელავდი, ლარისას რომ წავუკითხე მოსკოვში (იგულისხმება ლექსები _ მ.რჩ.). საერთოდ, გაცილებით განვიცდი ჩემს ლექსებს, ვიდრე ნოველებს, თუმცა პოეტი არა ვარ.»

«სულ არ მამცირებს ის გრძნობა, რომ ლექსებს ამ მახინჯ გოგოსთან (ოდესელი დიასახლისის შვილი _ მ. რჩ.) ვასაღებ, რომელიც უფრო მეტი, ვიდრე არ მომწონს, უბრალოდ, მსიამოვნებს, მსიამოვნებს იმიტომ, რომ ის სულელია და სულ არ მაინტერესებს რას იფიქრებს, მაინც გავამართლებ ჩემს თავს....»

«ჩემი ლექსები დევს მაგიდაზე, მახ. გოგომ გასწია თავისკენ, იდაყვის ქვეშ დაიდო, მეგონა მოეწონა, მესიამოვნა, უცებ მივხვდი, რომ მოხერეხებული იყო მისთვის რბილ ქაღალდზე ხელის დადება ... ეეჰ» (1958 წლის ოდესის დღიურებიდან).

«ძალიან მომწონს ეს ბლოკნოტი, განსაკუთრებით ხვეული სამაგრი, საერთოდ მასიური და გემრიელია. ვეცდები დავწერო ლექსი:
ვერა ვწერ.
ვნუკოვო. ღამე 1 _ 2.10.
თვითმფრინავი მარტო დილით იქნება.
თავს ვიმხნევებ, რომ არ ჩამეძინოს. საშინელებაა, ისე ამთქნარებს ხალხი.»

შესაძლებელია, გურამი 1960 წელს, როდესაც წერდა პატარა ლექსს («რადგან ლექსების წერა დავიწყე...» _ იხ. ამავე ტომში), საკუთარ თავზე, როგორც პოეტზე, უკვე აღარ ფიქრობდა იმგვარად, როგორც ზემოთ მოყვანილ დღიურებშია.

წერდა გურამი ლექსებს რუსულადაც. მე მგონი, ლექსების წერა რუსულად მან თბილისშივე, ჯერ კიდევ მოსკოვში წასვლამდე, დაიწყო.

ლექსების ქრონოლოგია პირობითია _ ძირითადად, ვეყრდნობი დათარიღებისათვის შემუშავებულ კრიტერიუმს, რადგან დათარიღებული არ არის თითქმის არც ერთი ლექსი.

(1957 წელი)

«მე თვალები სუსტი მაქვს, გული უფრო..»

არსებობს მხოლოდ შავი დაუთარიღებელი ავტოგრაფი. დაწერილია ხაზიანი თაბახის ფურცლის ორსავე გვერდზე მსხვილი, გაკრული, სწორი ხელით. მეორე გვერდზე არის მწერლის ფაქსიმილე. არაფერია გადასწორებული ან წაშლილი. დაწერილი უნდა იყოს 1957 წელს. ასეთივე ფურცელზეა დაწერილი რუსული ლექსები.

* **«მთა მაღალია..»** და **«მივალ, სოფელთან დავჯდები»** დაწერილია ერთსა და იმავე თაბახის ფურცელზე. არსებობს მხოლოდ შავი ავტოგრაფი. ხელწერა და ფურცელი 1957 წლის სხვა ავტოგრაფების.

* **«აღმართი», «დაღმართი»** _ გვაქვს როგორც შავი ავტოგრაფი, ასევე თეთრი. დაწერილია რვეულის ფურცელზე იმ დროისათვის ჩვეული ლამაზი, მომსხო, გამოყვანილი ასოებით. ამავე ფურცლის მეორე გვერდზე დაწერილია **«ქუჩაში», «ფეიხოას»** (მხოლოდ შავი ავტოგრაფები). გვხვდება ამ პერიოდისათვის დამახასიათებელი ასო «ტ», შიგ ჩახატული ადამიანის სახით..

* **«ყავის სმა»** და **«ხარაჩოები, წითელი პლაკატები»** დაწერილია ერთი და იმავე ფურცლის სხვადასხვა გვერდზე. თეთრი ხელნაწერი დაწერილია 1957 წლისათვის ჩვეული ლამაზი, სწორი, გამოყვანილი ასოებით. ასეთი ფურცლები გვხვდება 1957 წელს. ასეთსავე ფურცლებზეა დაწერილი «ნადირობა» და სხვა მოთხრობები წლის დასაწყისში და გაზაფხულზე. თარიღისათვის მნიშვნელოვანია, აგრეთვე, ასო «ტ», შიგ ჩახატული ადამიანის სახით.

* **«კლდეებს შუა ქუჩი ამოსულა..»** დაწერილია ვარდისფერ თაბახის ფურცელზე მომსხო, გაკრული, სწორი ხელით. ასეთ ფურცელზე დაწერილია «მუნჯი ახმედი და სიცოცხლე» 1957 წლის, სავარაუდოდ, ნოემბერში. გადაშლილ სიტყვაში ამოიკითხება მხოლოდ ასო «ტ».

* **«ტბა ლურჯი, ტბა შავი..»** დაწერილია 1957 წლის ფურცლებზე გაკრული ხელით თაბახის ფურცლის ორივე გვერდზე. პირველი გვერდის თითქმის ნახევარზე ხატია ადამიანი, მთელი ტანით. შეიძლება იფიქრო, რომ დგას ხიდზე და გადაჰყურებს ქვემოთ რაღაცას, შეიძლება ტბას. არსებობს მხოლოდ შავი ხელნაწერი.

* **«სამარე ცივი / სამარე თბილი»** დაწერილია თაბახის ფურცლის ორივე გვერდზე, გაშლილად. პირველ გვერდზე მწერლის სამი ფაქსიმილეა. თითქოს ვარჯიშობს ხელის მოწერაზე. არსებობს მხოლოდ ერთი ხელნაწერი.

* **«ბოლი პაპიროსის / ნამწვი პაპიროსის...»** მხოლოდ შავი ავტოგრაფი. დაწერილია ისეთივე თაბახის ფურცლის ორივე მხარეს, როგორზედაც წინა ავტოგრაფები. დათარიღების სისწორეზე მეტყველებს, აგრეთვე, ლექსში ნახსენები საკუთარი სახელი «რუსიკო» _ გოგონა, რომელთანაც 1957 წლის გაზაფხულზე მეგობრობდა.

* **«დევს თავის ქალა...»**

არსებობს მხოლოდ შავი ავტოგრაფი. დაწერილია ისეთივე ხელით და კალმით და ისეთსავე ფურცლებზე, როგორზეც წინა ავტოგრაფები.

ფურცლის თავში საგანგებოდ გამოყვანილი ხელით და დიდი ასოებით წერია გალაკტიონის ლექსიდან ამოღებული სტრიქონები: «დედაჩემია დღეს მარიამი და ჩემი თავის მე ვარ იესო! ამენ!»

მეორე გვერდზე დაწერილია სხვა ლექსი: «ოთახი ცხელი და ნერვიული..»

* **«მე არ ვარ მარტო...»** და **«ნედლი ბალახი...»** წერია ისეთსავე ფურცელზე, ისეთივე ხელწერითა და კალმით, როგორითაც 1957 წელს დაწერილი ლექსები.

* **«გულგადაღეღილი..»** და **«დალიეთ ბურახი..»** წერია ერთსა და იმავე თაბახის ფურცელზე. ეს ორი ლექსი ერთმანეთისაგან გამოყოფილია სამი ვარსკვლავით (***), რაც უნდა მიანიშნებდეს ლექსების ციკლს, რომლის აღდგენა ვერ მოხერხდა. დაწერილია ლამაზი, გამოყვანილი ასოებით. სიტყვა «პოლბუტილკაში» «ტ» დაწერილია იმ დროისათვის ჩვეული კონფიგურაციით.

* **«სიგიჟე...»** დაწერილია სწორხაზიანი თაბახის ისეთივე ფურცელზე, როგორზედაც «მე თვალები სუსტი მაქვს».

* **«ერთხელ ღამე..»** და **«ჩემში გაჩნდა ორივე ერთად»** დაწერილია ერთსა და იმავე თაბახის ფურცელზე. გამოყოფილია ერთმანეთისაგან გამყოფი ხაზით. ხელწერა, საწერ-კალამი და თაბახის ფურცლები მსგავსია წინა ავტოგრაფების. სიტყვებთან _ «ჩემში გაჩნდა ორივე ერთად» სხვისი ხელით წერია: «რუსიკო». ასეთსავე ფურცლებზეა დაწერილი მინიატურები.

* **« В родном городе»** დაწერილია ცალხაზიან თაბახის ფურცელზე. ასეთსავე ფურცელზეა დაწერილი ამ პერიოდის ზოგიერთი ლექსი, მათ შორის, რუსული ლექსების სერია. არსებობს მხოლოდ შავი ავტოგრაფი.

* **«მიხაკი, ზამბახი..»** მხოლოდ შავი ავტოგრაფი. ფურცელი 1957 წლის ზაფხულის. ასეთ ფურცლებზეა დაწერილი «უსახელო უფლისციხელი.» დაწერილია გაკრული, ოდნავ დაქანებული ასოებით.

* **«ხეზე მივცოცავ..»** 1957 წლის თაბახის ფურცელი. გაკრული ხელი.

* **«რუხი ტრაქტორი, წითელი ლოზუნგით»**
ეს ლექსი დაწერილია რუსულ ლექსთან ერთად: «Любовь». შავი ვარიანტი:
«ნაცრისფერ მიწას
აბრუნებს ტრაქტორი
გუთანს ამოაქვს შავი ბელტები
ბელტებზე ჯდება ყორნების გუნდი».

(1958 წელი)

“ამდენ ზღვეებში..» შავი ქიმიური ფანქრით დაწერილია ოდესიდან ჩემთან გამოგზავნილი წერილის ბოლოს როგორც «დამატება.» ამავე ფანქრითაა დაწერილი მთელი წერილი. არქივში შემონახულია ჩემი საპასუხო ბარათი, რომელშიც ვთავაზობ, ბოლო ორ სტრიქონში ზმნა გადაიყვანოს აწმყო დროში: «ქსოვს», «ელის». ამ ლექსის შავი ავტოგრაფიც შავი ქიმიური ფანქრითაა დაწერილი.

(1959)

<u>* «იმ მიუწვდომელ მშვენიერებას ..»</u>

თორმეტფურცლიან, ცალხაზიან რვეულში, «ბოგან გაგანიას» პირველი ვარიანტის პირველი თავის დამთავრების შემდეგ, არაბული ციფრით მინიშნებულია მოთხრობის მეორე თავის დასაწყისი («II») და დაწერილია ამ თავის პირველი წინადადება, რაც შემდეგ გადაშლილია მწერლის მიერ. იმავე ქიმიური ფანქრით იმავე გვერდზეა დაწერილი ეს ლექსი.

*** «მთის ფერდაზე..»**

ეს ლექსი მოსდევს «იმ მიუწვდომელ მშვენიერებას...». დაწერილია იმავე გვერდზე და იმავე ქიმიური ფანქრით.

*** «მე მომერია დიდი სურვილი დავწერო ჩემი ბიოგრაფია»**

არსებობს მხოლოდ შავი ხელნაწერი. როგორც ჩანს, წერის დამთავრებისთანავე (ან უფრო წერის პროცესში) შესწორებულია ზოგიერთი სიტყვა იმავე ფერის მელნითა და ხელით. დაწერილია მომსხო, გაკრული, ოღონდ სწორი ხელწერით, შუაში გაკეცილი სამი თაბახის ფურცლის ორივე გვერდზე. ხელწერის მიხედვით, ვფიქრობ, დაწერილი უნდა იყოს უფრო 1959 წელს. მწერლის მიერ შესწორებულია სიტყვები:

*»ვეცდები ვიყო მორიდებული..» თავდაპირველად ეწერა «მაგრამ ვიქნები».
*»წარმოიდგინეთ ლომებზეც კი არ მინადირია» გადაშლილია. დაწერილია: «აფრიკაშიც კი არა ვყოფილვარ».
*»არც ჩემი თავი, ხშირად მმტრობდა ჩემი თავიც» დაწერილი იყო «არც უიტმენი, არც ტოლსტოის» შემდეგ.

(1960)

***. «დედა! არ ჩამოხვიდე ზღვაზე..» «წინ სულელო მეზღვაურო», «რადგან ლექსების წერა დავიწყე», «წერილი ჩემს მეგობრებს..».**

ეს ლექსები დაწერილია საერთო რვეულში, რომელიც ჩემი ძმის გარდაცვალების შემდეგ ჩამოიტანეს გაგრიდან და გადასცეს მამას. საერთო რვეულს, რომლის ერთი ნაწილი ბლოკნოტია, მამას ხელით აწერია: «გაგრიდან». სამი ლექსი დაწერილია ისეთივე კალმით, როგორითაც იქვე მოთავსებული დღიური, დათარიღებული 1960 წლის 17 აგვისტოთი. ლექსი «წერილი ჩემს მეგობრებს» კი _ შავი, უბრალო, არაქიმიური ფანქრით (ლექსისათვის «წერილი ჩემს მეგობრებს» იხ. ტომი 2, შენიშვნები «ირინა და მესათვის»). ასეთივე ფანქრითაა დაწერილი გაგრიდან გამოგზავნილი 20 აგვისტოს წერილი დედასთან (იხ. ტომი 5.), რომელშიც გურამი დედას ატყობინებს, რომ 26 აგვისტოს აპირებს თბილისში დაბრუნებას. ამ რვეულში რამდენიმე გვერდი დაწერილია ინგლისურად (როგორც ჩანს, თავდაპირველად ეს უნდა ყოფილიყო ჩემი რვეული).

მოგონება:

1960 წლის აგვისტოს ბოლოსათვის, გურამის გაგრაში წასვლის შემდეგ, დედამ გამისტუმრა თელავში წვერიკმაზაშვილებთან. თვითონ, თურმე, სრულიად მოულოდნელად, დაიწყო ცხარე მზადება გურამთან რამდენიმე დღით გაგრაში წასასვლელად. მიზეზი ვერწასვლის იყო ბაბუა, რომელიც ხშირად ავადმყოფობდა და მისი მარტო დატოვება არ შეიძლებოდა. სამწუხაროდ, დედა 21 წლის ასაკშიც კი პატარა ბავშვად მთვლიდა და აზრადაც არ მოსდიოდა, რა თქმა უნდა, არც მე ვფიქრობდი მაშინ, რომ ბაბუასთან ჩემი დარჩენით გადაწყდებოდა პრობლემა. დედამ აგვისტოს, მგონი, 22-ში მიიღო გურამის წერილი გაგრიდან (იხ. ტომი 5). შეიძლება, ზღვაზე წასვლის სურვილი მას დაებადა ამ წერილის წაკითხვის შემდეგაც, რადგან, მეზობელი ქალის (მარო ცირეკიძე) თქმით, დედა წერილის მიღების შემდეგ სულ ტიროდა: «თუმცა, _ მითხრა დეიდა მარომ, _ მე წამაკითხა წერილი და იქ სატირალი ვერაფერი ამოვიკითხეო». მრავალი წლის შემდეგ დედამ ისე, სხვათა შორის, დაკონკრეტების გარეშე, როგორც იცოდა ხოლმე, თქვა: «ისეთი გრძნობა დამეუფლა მაშინ, რომ გურამი ამ წერილით მემშვიდობებოდაო».

(1957 წელი)

მინიატურები

მწერლის არქივში შემონახულია «იაპონური პოეზიის» კრებული (პატარა ფორმატის მუქშინდისფერშავი მაგარყდიანი წიგნი), რომლის შესახებაც გურამი ერთ-ერთ დღიურში წერს: «იაპონური პოეზიის» გავლენით დავიწყე მინიატურების წერა». «იაპონური პოეზია» გურამის სამაგიდო წიგნი იყო მთელი 1957 წელი. ამ პერიოდის ზოგიერთ მოთხრობას წამძღვარებული აქვს აქედან ამოკრეფილი სტრიქონები (იხ. ტომი 2).

გურამის გარდაცვალების შემდეგ, არქივის პირველივე დალაგებისას, სხვადასხვა საქაღალდეებში გაბნეული ორ-სამსტრიქონიანი პატარ-პატარა ლექსები, რომელთაც გურამი «მინიატურებს» უწოდებდა, მოთავსდა ერთ საქაღალდეში. ხელწერის მიხედვით, ეს მინიატურები დახარისხდა შავ და თეთრ ავტოგრაფებად (ზოგიერთის რამდენიმე შავი ვარიანტი არსებობს. ზოგი კი საერთოდ არ არის გადათეთრებული). მათი თანმიმდევრობით პუბლიკაციისას ძნელი აღმოჩნდა მწერლის ბოლო ნების გათვალისწინება, რადგან, ხშირ შემთხვევაში, გვაქვს მხოლოდ პირველი-მეორე გვერდები, მინიატურები მეორდება და სხვ. განსხვავება შავ და თეთრ ვარიანტებს შორის თითქმის არ არსებობს.

მინიატურები დაწერილია, ძირითადად, მსგავს თაბახის ფურცლებზე ერთნაირი ხელითა და კალმით, რაც მიანიშნებს, რომ ისინი დაახლოებით ერთსა და იმავე დროს უნდა იყოს შექმნილი, ვფიქრობ, სულ სამი-ოთხი დღის განმავლობაში. ასეთსავე ფურცლებზეა დაწერილი 1957 წლის თებერვლისა და გაზაფხულის პატარ-პატარა მოთხრობებიც. შიგადაშიგ გვხვდება ისევ ამ პერიოდისათვის დამახასიათებელი ასო «ტ», შიგ ჩახატული ადამიანის სახით, პატარ-პატარა ჩანახატები. ერთ-ერთი მინიატურის ავტოგრაფზე არის მოხაზული «მაგიური წრე» (მწერლის სიტყვებია), რაც შემდეგ მეორდება სხვა მინიატურებშიც და, აგრეთვე, «სამ-სამი ამბის» თავფურცლებზეც (იხ. შენიშვნები «ავტოგრაფების დახასიათებისათვის» ტომი 1, და ტომი 2, შენიშვნები «სამ-სამი ამბისათვის»).

მინიატურები დავაჯგუფე შავ და თეთრ ვარიანტებად. შავ ავტოგრაფს (1_12გვ.) აქვს ორი თავფურცელი: ერთი _ «დღიურის» გარეშე («მინიატურები ერთი ხელის მოსმით ერთ საღამოს. სათაური: «შეგიჭამე ცოცხი»), მეორე კი _ «დღიურით» (იხ. ნაბეჭდი ტექსტი). ამ თავფურცელზე მოთავსებულ მთელ სათაურზე ფანქრითაა მოხაზული, ვფიქრობ, მოკეცილი მაიმუნი. შავი ავტოგრაფი დათარიღებულია 9 მარტით. თარიღი დაწერილია პირველივე მინიატურის მარჯვენა მხარეს _ «1957 მარტის 9.»

1957 წლის «სამი ამბავი ისევ»-ისთვის წამძღვარებულ დღიურზე (იხ. ტომი 2, გვ. 50) დაყრდნობით, შეიძლება ზუსტად დადგინდეს პირველი მინიატურების დაწერის თარიღი:

«დავიწყე მინიატურების წერა გუშინ, 27-ში. შავმა ღვინომ აღმაგზნო. დავითვერი. ჯერ «იაპონურ პოეზიას» ვკითხულობდი. ნოდარი ცეკვავდა კუბის ჯაზზე «ბუგი-ვუგის». ვიჯექი. ვწერდი. გავაკეთე 21. აი, ერთ-ერთი მათგანი:

ჩვენი დრო

ბუგი _ ვუგი!

მეფისტოფელი? არა! ჰამლეტი?

არა!

კაფეში ცეკვავს შიშველი ზანგი.»

ვფიქრობ, რომ აქ უნდა იგულისხმობდეს მინიატურები, რომლებიც გურამმა დაწერა შუაში გაკეცილ ისეთსავე თაბახის ფურცელზე, როგორზედაც დაწერილია სხვა მინიატურები. მეორე მინიატურის ქვემოთ დიდი ასოებითაა დაწერილი მწერლის ფაქსიმილე. მწერლის გვარის შემდეგ, შტრიხებით, ჩახატულია გეომეტრიული ფიგურები, რომელთაც მოჰყვება, ვფიქრობ, მისი პირველი მინიატურები, დაწერილი 27 თებერვალს: «აყვავდა კვირტი სადღაც», «მერცხალი შავი ისარივით,» «ვიჯექი დაღლილი,» «თვალები არ მიყურებდნენ..», «თვალები არ უყურებდენენ», «შეყვარებული», «ფეხები ცეკვავდნენ,» «_აბა სიყვარული?», «ოძელაშვილი არსენა!» ამ თარიღის სასარგებლოდ მეტყველებს, აგრეთვე, პირველივე მინიატურის სიტყვები: «მარტია ხვალზევით.»

ერთ-ერთ თავფურცელზე მითითებული მინიატურების რაოდენობისა («სულ ოცდახუთი») და საერთო პაგინაციის მიხედვით გაერთიანდა 25 მინიატურა, თავისი თავფურცლით. ეს მინიატურები დათარიღებულია 1957 წლის 9 მარტით.

მინიატურების ბოლო ფურცელზე არის ისევ მწერლის ფაქსიმილე და მინაწერი: «საბოლოოდ დავქლიავდი.»

არსებობს «მინიატურების» მწერლის მიერ შეკრებილი, 10 მარტით დათარიღებული, თეთრი ვარიანტი, თავისი თავფურცლით, ვრცელი სათაურის გარეშე: «სათაური: შეგიჭამე ცოცხი», რასაც მოჰყვება «დღიური», თავისი თარიღით (იხ. ნაბეჭდი ტექსტი).

მინიატურების თეთრი ვარიანტები ავკრიფე: საერთო პაგინაციის (1_12გვ.), ხელწერის (დაწერილია ლამაზი, მომსხო, გამოყვანილი ასოებით თაბახის ფურცლის ორივე გვერდზე, თითოზე ორი ან სამი მინიატურა) და გაფორმების სტილის (თითქმის ყველა გვერდზე არის რაღაც ჩანახატისმაგვარი) მიხედვით. მინიატურები ერთმანეთისაგან გამოყოფილია გამყოფი ხაზებით: «___ . ___». ბოლო მინიატურა ისეთივე ხელითაა მიწერილი მეთორმეტე გვერდის არეზე. თითქოს გურამს უნდოდა, ისე როგორც ზოგიერთ სხვა შემთხვევაში, ტექსტი აუცილებლად ამ გვერდზე დატეულიყო. 9 მარტის მინიატურებიდან, რომლებიც შეიძლება 10 მარტით დათარიღებული მინიატურების შავ ვარიანტად მივიჩნიოთ, გადათეთრებულში

შესულია 19 მინიატურა. არ არის შეტანილი: «მკითხეს: რა არისო სიყვარული?», «ისევ მომიტაცა ურჯუკას ულაყმა», «ცხენი თუ მხედარი?» «ჟურნალი: В защиту мира˜, «სახლის კედლები დგას დანგრეული», «ლექსი პრეტენზიებით».

10 მარტის თეთრ ვარიანტში შესულია, აგრეთვე, მინიატურები, რომლებიც, ჩემი ვარაუდით, დაიწერა 27 თებერვალს ორად გაკეცილ თაბახის ფურცელზე: «მერცხალი შავი ისარივით,» «_ აბა, სიყვარული?», «ოძელაშვილი არსენა!» არ არის შეტანილი: «აყვავდა კვირტი სადღაც», «ვიჯექი დაღლილი,» «თვალები არ მიყურებდნენ..», «თვალები არ უყურებდენენ», «შეყვარებული: ..», «ფეხები ცეკვავდნენ.»

სხვა მინიატურები დაწერილია ცალ-ცალკე ფურცლებზე. მათი უმეტესობა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დანომრილია პირველ-მეორე გვერდებად. ბევრი მინიატურა, რომელიც შესულია 27 თებერვლით, 9 მარტით და 10 მარტით დათარიღებულ მინიატურებში, ამ ფურცლებზე მეორდება. სავარაუდოა, რომ ისინი, თავდაპირველად, ამ თაბახის ფურცლებზე დაიწერა.

ქვემოთ ის ავტოგრაფები შერჩევითაა დახასიათებული, საჭიროებისამებრ:

* «პირველი სიყვარული», «გოგო ტიროდა მარტო». მეორე მინიატურა დაწერილია ორჯერ, ერთმანეთის მიყოლებით. ერთ-ერთს მიხატული აქვს მტირალა გოგო. არსებობს შავი ვარიანტიც.

* «ტრამალში უკრავდა გარმონი». გვაქვს ერთი თეთრი და ორი შავი ავტოგრაფი. ერთ-ერთ შავ ავტოგრაფს მიხატული აქვს გაშლილი აკორდეონი.

* «ექსკურსიაზე» _ თუ მინიატურა «ექსკურსიაზე» 9 მარტამდეა დაწერილი, მაშინ გურამი უფლისციხეში ყოფილა 1957 წლის 4 ივლისამდეც, ე.ი. იქამდე, სანამ «ცისკარი» გაგზავნიდა მას იქ მივლინებით. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ კონკრეტულად უფლისციხეზე ნარკვევის დაწერის იდეა მოდიოდა მისგან. ამ ფაქტს ამტკიცებს მწერლის ზოგადი ინტერესიც შუა საუკუნეების მიმართ (იხ. კომენტარები «სურამის ციხისათვის»). შავ ვარიანტში თავდაპირველად დაწერილი «ღმუოდა ქარის» შემდეგ: «ქარი შევარდა ქვის ქვაბში» და «ქალაქი ძველის» შემდეგ სიტყვები «ჩაქუჩით ეწერა» გადაშლილია მწერლის მიერ.

* «ზანგი აწყდებოდა ბაგირს». თეთრ ეგზემპლარს მიხატული აქვს კრივის ხელთათმანი. შავ ეგზემპლარს არა აქვს ეპიგრაფი.

* «ზის სადღაც სპარსი». თეთრ ვარიანტს მიხატული აქვს ჩიბუხი, თავისი გრძელი საჩხიკინებლით.

* «დაბრუნება (სიზმარი)». შავ ვარიანტში: «<u>დაბრუნება სიზმარში».</u>

* «უკრავს ლუი არმსტრონგი». თეთრ ვარიანტს მიხატული აქვს ქალის მკერდი და დაბერილი, კბილებდაკრეჭილი სახე. წააგავს ზანგს.

* «თმები ბოქსი». თეთრს მიხატული აქვს ბიჭის პროფილი, ბოქსად შეჭრილი თმით. შავ ვარიანტში გვაქვს: «თმები გრძელი».

* «ტაქსი: ჭადრაკის ზოლებით». ამ მინიატურის შავი ვარიანტი დაწერილია 9 მარტს, მოსდევს «ლექსს პრეტენზიებით.» თეთრში სიტყვა «ტყაპუჭში» «ტ»-ში ჩახატულია ადამიანის სახე. თეთრში გვერდით მიხატულია ორი ერთმანეთის გადამკვეთი ისარი.

* «თავის დახრჩობა!» შავი ვარიანტი: «თავის დახრჩობა ან დედას მოკვდომია შვილი.»

<u>წყალი ამღვრეული;</u>
გაზაფხულობით გიჟდება მტკვარი..
__ . __
<u>სახე დახოკილი</u>
<u>თმები ჩამოშლილი</u>
<u>თვალები</u> ამომშრალი თვალები იყურებიან:
<u>წყალი ამღვრეული.</u>
__ . __
<u>მტკვარი ავარდნილი</u>
დედას მოჰკვდომია შვილი.

ხაზგასმული სიტყვები გადაშლილია იმავე ვარიანტში მწერლის მიერ. შავ ვარიანტში _ ნაწილობრივ, ზევიდანაც ტექსტზე _ ჩახატულია ახალგაზრდა კაცის პროფილი, შესაძლოა, ავტოპორტრეტი.

* მანქანა «სამოსვალი». სიტყვაში «ტრამალი» «ტ» დაწერილია 1957 წლის გაზაფხულისათვის დამახასიათებელი ხელით.

* «იგივე ჯაზი..» შავ ვარიანტში _ «გონება გამოფიტული!» მინიატურის ბოლოს დაწერილია: «გ. რჩეულიშვილი. საბოლოოდ დავქლიავდი.» თეთრში ხატია პატარა «მაგიური წრე». შტრიხებში ჩახატულია სათვალიანი კაცის მოგრძო სახე, დიდი შუბლით. სახის ზემოთ დახატულია ისრები, რომელნიც სხვადასხვა მხარესაა მიმართული.

ლექსი პრეტენზიებით

* «დაჩეხილი სახე»
სათაურის ქვემო მარჯვენა კუთხეში წერია თარიღი: 1957 მარტის 9, რაც შეიძლება მივიჩნიოთ მომდევნო 24 მინიატურის დაწერის თარიღადაც. შტრიხებით ჩახატულია რაღაც, შესაძლებელია _ გატოტილი ხე. ეს ხის რტოები თითქოს ქმნიან ღია გზებს, რომელნიც სხვადასხვა მხარეს მიემართებიან. ამდაგვარი ჩანახატი გაკეთებულია «სამ-სამ ამბავთან».

* «მკითხეს: რა არისო სიყვარული?» _ ორი შავი ავტოგრაფი.
ამ მინიატურის ქვემოთ გაურკვეველი ჩანახატია. შეიძლება აღქმულ იქნეს ოდნავ შეღებულ ალაყაფის კარად. მის ქვემოთ ხატია «მაგიური წრე» და წერია: «იწყება!»

ამავე ფურცლის მეორე გვერდზე დაწერილია მინიატურები: «ცხენი თუ მხედარი?» «ახლა» (9მარტი)

* «ისევ მომიტაცა ურჯუკას ულაყმა» _ სამი შავი ავტოგრაფი, დათარიღებული 9 მარტით.

ურჯუკა იყო გურამის თანაკურსელის, ბერდია გოგოჭურის ბიძაშვილი, ხევსური, რომელიც ცხოვრობდა თეთრ წყლებში. მასთან დაკავშირებულია ნუგზარ წერეთლის ერთი მოგონება, რომლის შესახებაც ის წერს წიგნში: «მე ახლაც ოცდაექვსი წლისა ვარ» (1980 წელი. გვ. 29_30). ერთხელ თურმე ბერდიამ დაპატიჟა ნუგზარი და გურამი თეთრ წყლებში. გურამი ჩასვლისთანავე, როგორც იცოდა ხოლმე, მოახტა, ერთ უბელო ცხენს, რომელიც იქვე იალაღებზე ბალახობდა, მაგრამ მას მალევე დაუბრუნებია ეს ცხენი უკან «ჯაგლაგობის» გამო. ურჯუკამ, რომელმაც იცოდა გურამის მხედრობის ამბავი, შესთავაზა გურამს გაუხედნავი ცხენი და შეჯიბრშიც გამოიწვია. ნუგზარი იგონებს, რომ გურამმა აჯობა ურჯუკას და ნიძლავში მოუგო ცხვარი.

* «დედას იგინებოდა ლოთი» _ ერთი ავტოგრაფი. მის ქვემოთ დიდი ასოებით წერია «ტიპი». «ტ»_ში გამოკვეთილად არის ჩახატული ადამიანის სახე.

* «იკვლებოდა საკლავი» _ ბოლო სტრიქონის გასწვრივ დიდი ასოებით მწერლის ხელმოწერაა, რაც ძალიან ხშირია ამ პერიოდის ნაწარმოებებში. მის ქვემოთ წერია რამდენიმე «ტ», ადამიანის სახეებით, და სიტყვა «ტუტუცი».

* «მის დანახვაზე ბავშვები ტირიან» _ ერთი ავტოგრაფი. მინიატურის ქვემოთ დიდი ასოებით წერია «ტიციან ტაბიძე.»

(1960)

«როგორც შავ ორმოში ფეტვის მარცვალი ...»

ეს კუპლეტები (მათ შეიძლება ბაიათებიც ვუწოდოთ) დაწერილია ყავისფერ, ბლოკნოტის ტიპის რვეულში, რომელიც გაგრიდანაა ჩამოტანილი. რვეულს მამაჩემის ხელით აწერია «გაგრიდან.» დაწერილია შავი წაუთლელი, ქიმიური ფანქრით რვეულის ბოლო გვერდებზე _ თითო გვერდზე თითო კუპლეტი. ის, რაც ავიღეთ ეპიგრაფად, მიწერილია ამავე რვეულის ცარიელი ფურცლის ერთ-ერთ კუთხეში. აქვე არის ჩანაწერები ვახტანგ ჭელიძისადმი მიწერილი წერილისა და ტრაგედიისათვის «მედეა.» ამავე რვეულშია რუსული ლექსი «В душе моей происходило!» (იხ. შენიშვნები ამ ლექსისათვის).

რუსულად დაწერილი ლექსები

(1957 _ 1958)

ყველა რუსული ლექსი მსგავს თაბახის ფურცლებზეა დაწერილი, მსგავსი ხელითა და კალმით. ასეთსავე ფურცლებზეა დაწერილი შემოდგომის ზოგიერთი მოთხრობა

(მაგალითად, მოთხრობა ბაბუაზე. მსგავსია, აგრეთვე, საწერ-კალამიც. ნახე 1957 წლის მოთხრობები). რუსულად დაწერილ ლექსებში გურამი რამდენიმეჯერ ახსენებს თავის რეალურ ასაკს _ 23 წელი: «ოცდასამი წლისა ვარ,» «დღეს გავხდი, მარტში, ოცდასამი წლის» და სხვ.55

თემო ბერიძემ თქვა: გურამი რუსულ ლექსებს თბილისში წერდა, ერთი-ორჯერ ჩემი თანდასწრებითაც დაწერა. მახსოვს, მე სავარძელში ვიჯექი, გურამი მაგიდასთან რაღაცას წერდა, მერე წამიკითხა რუსულად დაწერილი ლექსი. ვაჟა გიგაშვილსაც ახსოვს, როგორ იჯდა თავის ლომბერის მაგიდასთან გურამი, კედელზე კოკას ფრესკები ეხატა, წინ გაშლილი ჰქონდა რუსულად დაწერილი ლექსები. ეს ლექსები მეც მახსოვს თბილისში. ერთ-ერთ წერილში გვთხოვდა კიდეც მათ გაგზავნას. როგორცა ჩანს, ამ ლექსების წერა გურამმა დაიწყო თბილისში და მერე გააგრძელა მოსკოვში. რამდენიმე ლექსი რომ მოსკოვშია დაწერილი, ჩანს სიუჟეტიდანაც.

თარიღისათვის:

რამდენიმე რუსულ ლექსზე არის მწერლის ფაქსიმილე. ასეთივე ხელმოწერაა ზუსტად 1957 წლის მოთხრობებთან. გარდა ამისა, მოსკოვში წასვლამდე თბილისის ზოგიერთ დღიურში მინიშნებულია, რომ ესა თუ ის რუსული ლექსი უკვე დაწერილია. ვახტანგ ჭელიძემ მითხრა: მოსკოვში გურამი უნახავთ, მაიაკოვსკის მოედანზე ძეგლთან საკუთარ ლექსებს კითხულობდაო რუსულად. ეტყობა, რუსული ლექსები მოსკოვში დაწერაო.

რუსული ლექსების უმეტესობა გადათეთრებულია გურამის მიერ. ცვლილებები თითქმის არ არის. შავი ვარიანტები დაწერილია გაკრული ხელით, თეთრი _ ლამაზი, გამოყვანილი ასოებით.

დათარიღება მერყეობს 1957 წლის გვიან შემოდგომასა და 1958 წლის გაზაფხულს შორის. ეს უნდა ყოფილიყო იქამდე, სანამ დაიწყებდა «ირინა და მეს» წერას.

რუსულად დაწერილი ლექსები ირენზე

<u>Драма в трех действиях</u>
«Было шумно и пусто на сердце»
«Шумно и скучно в восьмом номере»
«И вот мы встретились снова»

ეს ლექსები ქმნიან ერთგვარ ციკლს «ირენზე». ვფიქრობ, ისინი ერთ დროს უნდა იყოს დაწერილი. 1957 წლის დეკემბერში გმირი ქალის სახელი ჯერ კიდევ იყო «ლეილა» (იხ. მოთხრობა «ყველაზე ძალიან ეს ბოლო სურათი მომწონდა»: «ახლა მირჩევნია ლეილა აქ იყოს და მოკლას ხატვა...»). Eჩემი აზრით, ლეილა ირინად გადაიქცა მოსკოვში, «ირინა და მეს» წერის დროს. ადრე ეს სახელი გურამის შემოქმედებაში არსად არა ჩანს. არც გიოს შესახებ 1957 წლის დეკემბერში სქემატურად ჩაწერილ ნაწყვეტში, რომელიც «ირინა და მესათვის» გაკეთებულ პირველ ჩანაწერად შეიძლება ჩაითვალოს. ირინა პირველად შემოდის მეორე ჩანაწერში «ირინასათვის», რომელიც დაწერილია უკვე მოსკოვში, «ირინა და მეს» წერის პროცესში: «განზრახული მქონდა დამეწერა, როგორ ვიგონებ ეჭვიანობის მიზეზებს... ვახრჩობ ირინკას ნავში..» როგორც უკვე აღვნიშნეთ, გურამმა «ირინა და მეს» გმირი ქალის სახელის შერჩევაზე სპეციალურად იმუშავა. არქივში შემონახულ ცალხაზიანი თაბახის ფურცელზე (ისეთზე, როგორზედაც რუსული ლექსებია დაწერილი) მითოლოგიური გმირების (მხოლოდ ქალების) სახელებს შორის ჩანს

ირინაც. ეს უნდა ყოფილიყო, დაახლოებით, «მარინას» დაწერის შემდეგ, რადგან მხოლოდ პიესის თეთრ ვარიანტშია შეცვლილი შავი ხელნაწერის «ანიუტა» «ირინად.»

შესაძლებელია, რომ თავდაპირველად შეიქმნა ლექსების ციკლი ირენზე, ჯერ კიდევ «ირინა და მეს» დაწერამდე. 1960 წელსაა დაწერილი ლექსი ერანაზეც, რომელიც იმავე სახელის აზიური ვარიანტია. ლექსების სიუჟეტიდანაც ჩანს ამ ლექსებისა და «ირინა და მეს» გმირი ქალის საერთო წარმომავლობა.

არსებობს ირენზე დაწერილი ლექსების შავი და თეთრი ავტოგრაფები. შავი ავტოგრაფები იშვიათად, მაგრამ მაინც შიგადაშიგ ჩასწორებულია მწერლის მიერ. ლექსის «Было шумно и пусто на сердце» შავი ვარიანტის მარჯვენა მხარეს მწერლის ფაქსიმილეა. ესეც დამახასიათებელია ამ პერიოდის ავტოგრაფებისათვის. დაწერილია სწორი, ლამაზი, გამოყვანილი ასოებით, რაც უფრო დამახასიათებელია ქართულისათვის.

ერთ-ერთ ფურცელზე არის ასეთი ჩანაწერი გადაშლილი მწერლის მიერ: «ცდუნება: ვაჟამ თქვა, მამაშენი რომ კარგ ყაურმას აკეთებს, ალბათ, ცხვრის ტყავშიაო, მურტალი ცდუნება იყო რო მეთქვა, ჰო, მეთქი. თან თქვა: მოშჩნი ხმები დადისო.»

ქვემოთ რუსულად დაწერილი ლექსების ავტოგრაფები დახასიათებულია შერჩევით:

* «გურამი სეირნობს ღამე». შავ ვარიანტს აქვს რუსული სათაური: «Поэт ночью в городе /на прогулке/».

* «Ужасный миг». ორი ვარიანტი. შავი ვარიანტის მეორე გვერდზე ჩვენი რამდენიმე ნათესავის თბილისის ტელეფონის ნომერია. როგორც ჩანს, აპირებდა მათთან მოსკოვიდან დარეკვას. ამიტომ, სავარაუდოა, რომ ეს ლექსი მოსკოვშია დაწერილი. თეთრი ვარიანტის მეორე გვერდზე მოსკოვის ტელეფონის ნომერია ჩაწერილი. გაურკვეველია გვარი. აქვეა მწერლის ფაქსიმილე. ტელეფონების ნომრების ქვევით დაწერილია:

«а вот там один человек
себе скромно сидит
сразу видно
собственная голова
и чужой костюм»

* **Самоубийство.** ერთი ავტოგრაფი. ქვემოთ მოყვანილი ლექსის ნაწყვეტი გადაშლილია მწერლის მიერ.

«лишив себя жизни, положив границу мукам
они отдыхают
если могилу санаторием назвать можно
А я все еще мучаюсь
Их дух покоя не дает
И нахожу :
После смерти моей
кто нибудь
и не один
Будет мучаться как и я

и может быть из за меня
Что для них покоя и прелесть жизни я выйскать не смог.
И пистолет дрожит в моих руках
Он заряжен:
шесть патрон в магазине
И один уже дан в дуло
Разум шепчет о каких то людях,
Которые этим покой не обрели
Сердце клонится к нему
Нельзя порицать его
Ведь ему же жить хочется
И за всякую ложь
обеими руками хватается “

იგივე განწყობილებაა, რაც 1957 წლის პიესაში: «და თვითმკვლელობა მოჩვენება სხეულის შვების, არის წამება გაშვებული კოსმოსში სულის.»

ბევრს უთქვამს ჩვენთვის, გურამის ოჯახის წევრებისათვის: თავის მოკვლა მინდოდა, გურამმა დამაბრუნა სიცოცხლესთან, თავიდან შემაყვარა ცხოვრება, გურამის შემდეგ სხვანაირად დავუწყე ცხოვრებას ყურებაო და სხვ. მათ შორის იყო მწერალი ვანო ოგანოვი, მოსკოვში საცხოვრებლად გადასული თბილისელი სომეხი, რომელიც აპირებდა დაეწერა ვრცელი მონოგრაფია გურამზე. ამ მიზნით გაგვიცნო და ხშირი სტუმარი იყო ჩვენი. გაიცნო გურამის მეგობრები, ჩვენი ნათესავები, მოიარა ყველა ადგილი საქართველოში, სადაც დადიოდა გურამი. ეს იყო წლების და წლების განმავლობაში. რა გააკეთა მერე, არ ვიცი. ამ ლექსში დასმულია თვითმკვლელობის საკითხი და აქვე უარყოფილია იმავე არგუმენტით, რომლითაც 1957 წლის პიესაში.

* **Гибель глыбы** _ ერთი ავტოგრაფი. ამ ლექსის სხვანაირი დამთავრება გადაშლილია მწერლის მიერ:

и только тот
Этот поток
мой враг и друг.

თავდაპირველი ვარიანტი, გადაშლილია მწერლის მიერ:

«Я беден:
у меня нет друзей
Ты только у меня:
один
Ветер, ветры
и лавины
огромных снегов.”

შემდეგ, როგორც ჩანს, იწყებდა ახალ ლექსს და ისევ გადაშალა:

“Уличных драк
и бешенных запоев мастер я”.

აქვე არის მწერლის ფაქსიმილე.

* **«На море был закат»** ორი ავტოგრაფი. შავ ავტოგრაფში «всплеск вод заглушал мое горе» . თეთრში _ «мой голос.»

შავში _ «буйный поток вливался в море» -ს შემდეგ თავდაპირველად დაწერილი ტექსტი გადაშლილია მწერლის მიერ:

`долго сидел один на утесе
и кому то махал белый платок
сентиментальность какая
стыд!
на меня же смотрит поток
и как тот
ожесточенно
смотрел
все свирепее становилось лицо
у меня
исчез и он и он
таяло тело мое ~

"Во дворе нет вьюги" ორი მსგავსი ავტოგრაფი.

* **"Эй вы поэты"** _ ერთი ავტოგრაფი. დაწერილია ისეთსავე თაბახის ფურცელზე, როგორზედაც ქართული ლექსები. ამ თაბახის ფურცლის მეორე გვერდზე ყავისფერი ფანქრით ჩახატულია სახეები და სამელნე, თავისი კალმისტრით. ასეთივე ჩანახატია 1957 წლის მოთხრობებთან. საინტერესოა, აგრეთვე, რომ ხელოვნურ თანამგზავრზე გურამი წერს პიესაში, რომელიც დაწერილია 1957 წელს.

* **"Мария"** ერთი ავტოგრაფი. დაწერილია, ვფიქრობ, წიგნის ფორზაცზე.

ლექსის ბოლოს მოსკოველი ამხანაგების ტელეფონის ნომრებია ჩაწერილი, უკანა მხარეს კი, ქიმიური ფანქრით, ნუსხა სასყიდელი ნივთების: «1. მელანი. 2. წიგნი. 3. პროდუქტები.» ამიტომ სავარაუდოა, რომ ის დაწერილი იყოს მოსკოვში.

*** "Проспект Горького"** დაწერილია ისეთსავე შუაში გაკეცილ თაბახის ფურცელზე, როგორზედაც გვხვდება მოსკოვში დაწერილი ტექსტები: წერილები მოსკოვიდან, «მარინას» შავი ვარიანტი, და სხვ.

(1960 წელი)

"В душе моей происходило!"

ეს ლექსი აღმოჩნდა გაგრიდან ჩამოტანილ ყავისფერ, ბლოკნოტის ტიპის, რვეულში, ტრაგედია «მედეასათვის» გაკეთებულ ჩანაწერებს შორის. სათაური ხაზგასმულია მწერლის მიერ. დაწერილია, ისე როგორც ყველაფერი სხვა ამ რვეულში, შავი ქიმიური ფანქრით, ძალიან გაკრული ხელით.

ქვეყნდება პირველად.